მიხეილ სვანიძე

თურქეთის ისტორია



საქართველოს ეროვნული მეცნიერებათა აკადემია
აკად. გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი
თბილისის აზიისა და აფრიკის ინსტიტუტი

❖

НАЦИОНАЛЬНАЯ АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИИ
ИНСТИТУТ ВОСТОКОВЕДЕНИЯ ИМ. АКАД. Г. В. ЦЕРЕТЕЛИ
ТБИЛИССКИЙ ИНСТИТУТ АЗИИ И АФРИКИ

❖

GEORGIAN NATIONAL ACADEMY OF SCIENCES
TSERETELI INSTITUTE OF ORIENTAL STUDIES
TBILISI INSTITUTE OF ASIA AND AFRICA

❖

GÜRCİSTAN MİLLİ BİLİMLER AKADEMİSİ
G. TSERETELİ DOĞU ENSTİTÜSÜ
TBİLİSİ ASİYA VE AFRİKA ENSTİTÜSÜ

94(560)(075.8)
ბ-45

მიხეილ სვანიძე

თურქეთის ისტორია

(1299-2000)

№ 1254

გამომცემლობა არტანუჯი
თბილისი 2007

წიგნში განხილულია თურქეთის ისტორია სახელმწიფოს დაარსებიდან XXI საუკუნის დამდეგამდე.

წიგნი განკუთვნილია სტუდენტებისათვის, აღმოსავლეთმცოდნე ისტორიკოსებისა და საქართველოს ისტორიის სპეციალისტებისათვის, ასევე მკითხველთა ფართო წრისათვის.

წარმოდგენილი ნაშრომი გამოიცა სამ ტომად და საქართველოს ეროვნულ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის დადგენილებით ავტორს მიენიჭა აკადემიკოს გ. წერეთლის სახელობის პრემია.

რედაქტორი ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
გიული ალასანია

გარეკანზე ალექსანდრე II კახეთის მეფის შეხვედრა ოსმალო სარდალ ლალა მუსტაფა ფაშასთან. თურქული მინიატიურა.

წიგნიდან W. E. D. Allen, Russian Embassiens to the Georgian Kings, 1589-1605, v. II. Cambridge, 1970.

© მიხეილ სვანიძე, 2007

ISBN 978-99940-59-18-8

ნაკვეთი პირველი

თურქეთის შუა საუკუნეების ისტორია 1299-1789 წლებში

თავი I

თურქები მცირე აზიაში XI-XIII საუკუნეებში

1. მცირე აზიაში თურქული ტომების დასახლება

მცირე აზიაში თურქული ტომები ჩნდებიან IV საუკუნის მიწურულიდან. ისინი აქ მოდიოდნენ სხვადასხვა გზებით – ირანიდან, კავკასიიდან, შავიზღვისპირეთიდან და ბალკანეთიდან. მათი გამოჩენა მცირე აზიაში დაკავშირებული იყო ხალხების დიდ გადასახლებასთან; მნიშვნელოვანი როლი შეასრულა აგრეთვე ჰუნების ლაშქრობებმა და VI-VII საუკუნეებში ბულგარებისა და სუვარების შემოსევამ მცირე აზიაში.

VI საუკუნის მიწურულისათვის კონსტანტინოპოლში გვხვდება თურქული მოდგმის მცხოვრებლები – ავარები, ბულგარები, ხაზარები. ცნობილია, რომ ზოგიერთ ბიზანტიელ იმპერატორს ცოლად ჰყავდა ხაზართა მეფის ასული. IX საუკუნეში ბიზანტიის იმპერატორის კარზე ხაზართა გვარდიაც კი დაარსდა. ამ პერიოდში ჩასახლებული თურქული მოდგმის ხალხები შთანთქმული იქნა ადგილობრივი ეთნოსის მიერ.

VIII-X საუკუნეებში შუა აზიიდან და ხორასნიდან მოვიდა თურქთა დიდი ნაკადი. აბასელი ხალიფები მათ იყენებდნენ როგორც სამხედრო ძალას, თავიანთი დასავლეთი საზღვრების დაცვის მიზნით. აღმოსავლეთ მცირე აზიაში, ბიზანტიის საზღვართან გაჩნდა თურქული ტომების დასახლებები. მათი რაზმები წარმოადგენდნენ ხალიფების მთავარ სამხედრო ძალას ანატოლიის პროვინციების დაცვის საქმეში. თურქი ტომების ბელადები ხშირად ამ რეგიონებში თავს გრძნობდნენ დამოუკიდებელ მმართველებად.

XI-XII საუკუნეებში ბიზანტიის სამფლობელოებში ჩრდილოეთ-დასავლეთიდან იჭრებიან სხვა თურქული ტომები – პაჭანიკები, უზები, ყივჩაღები. მათ ბიზანტიის მთავრობა იყენებდა როგორც დაქირავებულ ძალას და ასახლებდა სასაზღვრო პროვინციებში. ქვეყნის სხვა მცხოვრებთა შორის გაბნეულმა ამ თურქული მოდგმის ხალხებმა მოამზადეს შემდგომისათვის ნიადაგი თურქიზაციისათვის ანატოლიასა და აღმოსავლეთ თრაკიაში.

XI საუკუნეში მცირე აზიის საზღვრებს მოადგა ახალი, გაცილებით უფრო ძლიერი მიგრაციული ტალღა ოღუზურ-თურქმენული ტომებისა შუა აზიიდან, რომელმაც შეცვალა რეგიონის ეთნიკური სურათი.

2. დიდ-სელჩუკთა სახელმწიფო

XI საუკუნის 30-იანი წლებიდან ახლო აღმოსავლეთში იწყება თურქ-სელჩუკთა შემოსევები. ეს იყო თურქული ტომების ყველაზე მასობრივი გადმოსახლება, რომელმაც საფრთხე შეუქმნა ამ რეგიონის კულტურულ ქვეყნებს. თურქ-სელჩუკები ეკუთვნოდნენ ოღუზ-თურქმენულ ტომებს და თავდაპირველად ცენტრალური აზიის სტეპებში ბინადრობდნენ, ხოლო შემდეგ შუა აზიაში გადმოვიდნენ და არალის ტბასა და ურალს შორის მომთაბარეობდნენ. თურქ-სელჩუკები საზოგადოების განვითარების გვაროვნული წყობილების საფეხურზე იდგნენ და მომთაბარე მეჯოგეები იყვნენ. ოღუზები 24 შტოდ იყოფოდნენ. სელჩუკები ოღუზთა ერთ-ერთ შტოს – კინკის ეკუთვნოდნენ. ოღუზ-თურქული ტომები გააერთიანა სელჩუკთა გვარმა X საუკუნის მეორე ნახევარში და შემდგომ დინასტიის სახელწოდება – სელჩუკები – გავრცელდა მთლიანად მის მიერ გაერთიანებულ ტომებზე. X საუკუნის ბოლოს სელჩუკებმა ისლამი მიიღეს. შუა აზიაში დაწყებულმა საძოვრების კრიზისმა სელჩუკები აიძულა ახალი საცხოვრებელი ადგილები ეძებნათ. ისინი თავიანთი ოჯახებითა და ჯოგებით მახლობელი აღმოსავლეთისაკენ დაიძრნენ. 1040 წელს სელჩუკები შეიჭრნენ ირანში და 1055 წლისათვის მთლიანად დაიპყრეს იგი. იმავე წელს ხელთ იგდეს ბაღდადი, სახალიფოს რეზიდენცია. სელჩუკების ბელადმა თოღრულ-ბეგმა აიძულა ხალიფა ებოძა მისთვის სულთნის ტიტული. თოღრულ-ბეგი (1037-1063) იყო დიდ-სელჩუკთა სახელმწიფოს დამაარსებელი და გახდა აღმოსავლეთისა და დასავლეთის მბრძანებელი. თურქ-სელჩუკები აღიარებდნენ ისლამის სუნიტურ მიმართულებას და მისი დროშით აწარმოებდნენ დაპყრობით ომებს.

მომთაბარე თურქ-სელჩუკთა შემოსევებმა უდიდესი ზიანი მიაყენა ახლო აღმოსავლეთის როგორც ქრისტიან, ისე მუსლიმ კულტურულ ხალხებს. მათ ყველგან სჭირდებოდათ იალაღები და ყიშლაღები თავიანთი ოჯახებისა და ჯოგებისათვის. მათთვის სულ ერთი იყო, ვის ეკუთვნოდა მიწა – ქრისტიანებს თუ მუსლიმებს. თურქ-სელჩუკებმა აგრეთვე დიდი ზიანი მიაყენეს ამიერკავკასიის ქვეყნებს და, კერძოდ, საქართველოს.

XI საუკუნის 30-იანი წლებიდან იწყება თურქ-სელჩუკთა პირველი თავდასხმები ამიერკავკასიის ქვეყნებზე, ხოლო 1054 წელს მათ აზერბაიჯანი დაიპყრეს. სელჩუკთა აგრესია საქართველოს წინააღმდეგ განსაკუთრებით გაძლიერდა სულთან ალფ-არსლანის (1063-1072) დროს. იგი სათავეში ედგა საქართველოში ორგზის ლაშქრობას 1064 და 1068 წლებში. ამ ლაშქრობების შედეგად საქართველო მეტად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. თურქ-სელჩუკთა დაპყრობები არსებითად განსხვავდებოდა ბიზანტიელებისა თუ არაბთა ბატონობისაგან. ისინი მომთაბარე-მეჯოგეები იყვნენ და გადმოსახლებით მოდიოდნენ, დაპყრობილ ქვეყნებში ინტენსიურ სოფლის მეურნეობას აჩანაგებდნენ და სახნავ-სათეს მიწას საძოვრებად აქცევდნენ, ანადგურებდნენ მწარმოებელი საზოგადოების მიერ შექმნილ მატერიალურ კულტურასა და დოვლათს.

მელიქ-შაჰის (1072-1092) სულთნობის დროს სელჩუკებმა თითქმის მთელ საქართველოში მოიკიდეს ფეხი. XI საუკუნის 80-იანი წლებიდან საქართველოში დაიწყო ე. წ. „დიდი თურქობის“ ხანა. ამ დროს თურქული ტომები დიდი რაოდენობით შემოვიდნენ საქართველოში და დასახლდნენ. ამ მხრივ განსაკუთრებით დაზარალდა საქართველოს სამხრეთი რაიონები.

მცირე აზიაში თურქ-სელჩუკებმა თავიანთი პირველი თავდასხმა მოაწყვეს XI საუკუნის 50-იან წლებში, როდესაც მცირე აზია შედიოდა ბიზანტიის იმპერიის შემადგენლობაში. ბიზანტია იყო განვითარებული ფეოდალური სახელმწიფო, მაგრამ დასუსტებული შინაგანი წინააღმდეგობებითა და ურთიერთშორის ბრძოლით.

სელჩუკთა წარმატებებს ხელი შეუწყვეს თვით ბიზანტიის მმართველებმა, რომლებმაც ცოტა ხნით ადრე დაიპყრეს სომხეთი და მისი მოსახლეობის დიდი ნაწილი გადაასახლეს

ცენტრალურ ანატოლიაში, კილიკიასა და ჩრდილოეთ სირიაში, რითაც მნიშვნელოვნად გააშიშვლეს და დაასუსტეს თავისი ქვეყნის აღმოსავლეთი პროვინციები.

1071 წლის 19 აგვისტოს სელჩუკებმა მანასკერტთან სასტიკად დაამარცხეს ბიზანტიელები და იმპერატორი რომან IV დიოგენი დაატყვევეს. ბიზანტიელების დამარცხება იმანაც განაპირობა, რომ ბიზანტიის ჯარში იმყოფებოდნენ პაჭანიკები, უზები, ყივჩაღები და სხვა თურქული მოდგმის ხალხები, მათ უღალატეს იმპერატორს და ბრძოლის დროს მტრის მხარეზე გადავიდნენ. რომან დიოგენსა და ალფ-არსლანს შორის დადებული ხელშეკრულებით, ბიზანტია სელჩუკებს უთმობდა მცირე აზიის ტერიტორიის მნიშვნელოვან ნაწილს. რომან დიოგენს ტყვეობიდან თავის დასახსნელად ალფ-არსლანისათვის უნდა გადაეხადა ერთი მილიონი დინარი და ყოველწლიურად ხარკის სახით 360.000 დინარი. მანასკერტის ბრძოლის შედეგად, ბიზანტიამ დაკარგა საბოლოოდ აღმოსავლეთის პროვინციები და იქ სელჩუკები გაბატონდნენ.

მანასკერტთან დამარცხების შემდეგ ბიზანტიაში კიდევ უფრო გამწვავდა შიდაპოლიტიკური ბრძოლა. 1057-1081 წლებში შეიცვალა ხუთი იმპერატორი. ბიზანტია წელში იყო გატეხილი და აღარ შეეძლო სელჩუკებისათვის წინააღმდეგობის გაწევა. ბიზანტიამ საბოლოოდ ხელი აიღო თავის სამფლობელოებზე ანატოლიაში. ბიზანტიელებზე მოპოვებული გამარჯვების შედეგად, საფუძველი ჩაეყარა ანატოლიაში სელჩუკების დამკვიდრებას. აქედან იწყება ანატოლიის ინტენსიური გათურქება.

3. რუმის (კონიის) სასულთნო

მცირე აზიის სელჩუკებმა ყველაზე ადრე დაიწყეს ჩამოცილება დიდი სელჩუკებისაგან. გავრცელებული აზრით, ეს აიხსნება იმით, რომ დიდ სელჩუკთა სულთნები შიდა ანატოლიაში მომხდარ ამბებს ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებდნენ, ვიდრე სახელმწიფოს სხვა რეგიონებში შექმნილ სიტუაციას.

1073 წლიდან სელჩუკები სულეიმანის მეთაურობით, რომელიც იყო ალფ-არსლანის ბიძაშვილი, შეუდგნენ მცირე აზიის დაპყრობას. ადგილობრივი მოსახლეობა მათ სუსტ წინააღმდეგობას უწევდა. გლეხები, რომელთა შორის იყვნენ სლავები, ვალახები, სერბები, გადმოსახლებულნი ბიზანტიის ხელისუფლების მიერ, შევიწროვებულნი ბიზანტიელი ფეოდალების სასტიკი ექსპლუატაციით, უხალისოდ ებრძოდნენ შემოსეულ მტერს. ზოგიერთ მათგანს ერჩია თურქები. ეს განწყობილება კარგად გამოიყენეს სელჩუკმა სულთნებმა. 1077 წელს მცირე აზიაში, კონიასა და კაისერის შორის მდებარე დაბლობზე შეიქმნა მცირე აზიის სელჩუკთა სახელმწიფოს პირველი ბირთვი.

დიდ-სელჩუკთა სულთანმა მელიქ-შაჰმა (1072-1092) სულეიმან იბნ კუტლუმიშს სულთნის ტიტული უბოძა. ამით სულეიმანმა (1077-1086) საფუძველი დაუდო რუმის (კონიის) სასულთნოს – სელჩუკთა სახელმწიფოს მცირე აზიაში.

ამიერიდან ანატოლიის რუმის[1] სელჩუკთა სახელმწიფო ვასალურ დამოკიდებულებაში იმყოფებოდა დიდ-სელჩუკთა სახელმწიფოსთან. ანატოლიაში რუმის სელჩუკთა სახელმწიფოს დაარსებით, ძირითადად მთავრდება მცირე აზიის დაპყრობა და ამ რეგიონში თურქული ეთნიკური ელემენტის გაბატონება.

[1] რუმი – ასე უწოდებდნენ არაბები, ხოლო შემდგომ სელჩუკები ანატოლიას. ეს სახელი წარმოდგება ბიზანტიის სახელწოდებისაგან, რომელსაც ტრადიციულად ეწოდებოდა რომის იმპერია ან რომი. ბერძენ-ბიზანტიელები (მცირე აზიის მცხოვრებნი) ასევე თავიანთ თავს უწოდებდნენ რომეამებს (რომაელებს). სახელწოდება „რომე“ შემორჩა თურქულ ენაშიც – "რუმ". უფრო გვიან მას უწოდებდნენ თურქეთის ევროპულ ნაწილს – რუმელია (თურქ. „რუმელი“ – რუმის ქვეყანა).

სულეიმანი მიღწეული წარმატებებით არ დაკმაყოფილდა და განაგრძო ბრძოლა ბიზანტიის წინააღმდეგ. თურქების ლაშქარი დაიძრა დასავლეთის მიმართულებით. სელჩუკები მოკლე ხანში გავიდნენ ხმელთაშუა, შავი და მარმარილოს ზღვების სანაპირომდე.

1080 წელს სელჩუკებმა დაიპყრეს ნიკეა (იზნიქი) და იგი სატახტო ქალაქი გახდა. იზნიქი ახლოს მდებარეობდა კონსტანტინოპოლიდან და მას დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. 1085 წელს სელჩუკებმა დაიპყრეს სმირნა (იზმირი). მალე სელჩუკებმა ხელთ იგდეს კადიქოი და უსქუდარი და პირდაპირ კონსტანტინოპოლის წინ (აზიურ სანაპიროზე) აღმოჩნდნენ. სელჩუკებმა ბოსფორის სრუტის ანატოლიის სანაპიროზე საბაჟო გახსნეს და სრუტეში გამავალ გემებს ბაჟს ახდევინებდნენ. სულეიმანი კონსტანტინოპოლის წინააღმდეგ სალაშქროდ ემზადებოდა.

სელჩუკების ამ წარმატებებმა ბიზანტიის იმპერატორი საგონებელში ჩააგდო. მაგრამ ბიზანტიის იმპერატორს არც საკმაო ჯარი ჰყავდა და არც საჭირო თანხები ჰქონდა ჯარის დასაქირავებლად. ასეთ ვითარებაში იმპერატორმა ალექსი I კომნენმა (1081-1118) გადაწყვიტა სულეიმანს დაზავებოდა და ხარკის გადახდა იკისრა. იმ დროს სულეიმანი ანატოლიაში დარჩენილი ციხეების დაპყრობით იყო დაკავებული და ადვილად დაეზავა ბიზანტიის იმპერატორს. სულეიმანმა დაიპყრო ანთარდუსი, თარსუსი, ადანა და სხვა ქალაქები. თითქმის მთელი ანატოლია სელჩუკების ხელში გადავიდა.

1082 წელს სულეიმანი სირიაში შეიჭრა და აიღო დამასკო. 1084 წელს სულეიმანმა დაიპყრო ანტიოქია – ბიზანტიის მთავარი ქალაქი ამ რეგიონში. ანტიოქიის დაკავებით ბიზანტიას გამოეცალა უკანასკნელი დასაყრდენი სირიაში. 1085 წელს სელჩუკებმა დაიპყრეს ალბისტანი, ჰუნი, მარაში, გოქსუსუნი, ქეისუნი და სხვ.

სულეიმანის დაპყრობითი ომების შედეგად მისი სახელმწიფოს საზღვრები გადაჭიმული იყო აღმოსავლეთ ანატოლიიდან ეგეოსის ზღვის ნაპირამდე და ანტიოქიიდან შავ ზღვამდე.

სელჩუკთა რუმის სახელმწიფო გახდა ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი სახელმწიფო წინა აზიაში. იგი საფრთხეს უქმნიდა არა მარტო ბიზანტიის დედაქალაქს კონსტანტინოპოლს, არამედ საერთოდ ბიზანტიის სახელმწიფოს არსებობასაც. ასეთ ვითარებაში ბიზანტიის იმპერატორმა ალექსი I კომნენმა მიმართა რომის პაპს და დასავლეთ ევროპის მონარქებს დახმარებისათვის. სწორედ ეს გახდა საბაბი ჯვაროსანთა პირველი (1096-1099) ლაშქრობისა.

1096 წელს ჯვაროსნები ჩავიდნენ კონსტანტინოპოლში და იქიდან დაიწყეს ლაშქრობა სელჩუკების წინააღმდეგ.

ჯვაროსანთა მთავარი მიზანი იყო მუსლიმთაგან პალესტინის წმინდა ადგილების განთავისუფლება. ბიზანტიის იმპერატორს იმედი ჰქონდა, რომ ჯვაროსნების დახმარებით მთლიანად განთავისუფლდებოდა მცირე აზია თურქებისაგან და დაიბრუნებდა დაკარგულ ტერიტორიებს.

ბიზანტიის იმპერატორის მხარდაჭერით ჯვაროსნები გადავიდნენ მცირე აზიაში. 1097 წელს მათ აიღეს რუმის სასულთნოს დედაქალაქი ნიკეა და ესქიშეჰირთან სასტიკად დაამარცხეს სელჩუკები, რომლებიც იძულებული შეიქნენ დასავლეთ ანატოლიიდან აღმოსავლეთ ანატოლიაში გადასულიყვნენ. ამ გამარჯვების შემდეგ ჯვაროსნებს გზა გაეხსნა სირიისა და ჩრდილოეთ მესოპოტამიისაკენ. 1098 წლის თებერვალში ჯვაროსნებმა აიღეს ვაჭრობისა და ხელოსნობის ცენტრი ქ. ედესი (ურჰა), სადაც დააარსეს ედესის საგრაფო.

1097 წლის ოქტომბერში ჯვაროსნები მიადგნენ ანტიოქიას, რომელიც წარმოადგენდა მნიშვნელოვან სამხედრო, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცენტრს. რამდენიმე თვის ალყის შემდეგ, 1098 წლის ივნისში, აიღეს ის. ანტიოქიაში დაარსდა ჯვაროსანთა სამთავრო, რომელმაც 1268 წლამდე იარსება. 1099 წლის 15 ივლისს ჯვაროსნებმა აიღეს იერუსალიმი და დააარსეს იერუსალიმის სამეფო, რომელიც ითვლებოდა

ყველაზე მნიშვნელოვან პოლიტიკურ ცენტრად ჯვაროსნების მიერ დაარსებულ სახელმწიფოებს შორის.

1092 წელს მელიქ-შაჰის სიკვდილის შემდეგ დიდ-სელჩუკთა სახელმწიფოში დაიწყო ბრძოლა ხელისუფლებისათვის. ერთდროულად გამოჩნდა სულთნის ტახტის სამი პრეტენდენტი. გვირგვინისათვის დაწყებულმა ბრძოლამ დიდად დაასუსტა დიდ-სელჩუკთა სახელმწიფო.

რუმის სელჩუკთა სახელმწიფომ შეძლო ჯვაროსანთა ლაშქრობების შედეგად მიყენებული ზიანის აღდგენა.

1116 წელს მცირე აზიის სელჩუკთა დედაქალაქი გახდა კონია და ამის შემდეგ სასულთნოს გაუქმებამდე (1307 წ.) რუმის სელჩუკთა სახელმწიფოს ეწოდებოდა კონიის (იკონიის) სასულთნო.

XII საუკუნის 50-იან წლებში შუა აზიიდან მოდის ოღუზთა ტომების ახალი ტალღა. 1154 წელს ოღუზებმა ტყვედ იგდეს დიდ-სელჩუკთა უკანასკნელი სულთანი სანჯარი (1117-1157). 1157 წელს სანჯარის სიკვდილის შემდეგ დიდ-სელჩუკთა სახელმწიფო ცალკეულ სასულთნოებად დაიშალა.

რუმის სასულთნო ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი სახელმწიფო იყო მცირე აზიაში. რუმის სელჩუკმა სულთნებმა ადვილად შეძლეს ანატოლიაში პატარ-პატარა თურქული საამიროების დამორჩილება. რუმის სულთანს განსაკუთრებით დიდი წინააღმდეგობა გაუწია დანიშმენდების საამირომ, რომელიც 1067 წელს შეიქმნა. დანიშმენდების საამირომ თავის ხელისუფლებას დაუმორჩილა ქალაქები სივასი, მალათია, ტოკატი, ამასია და სხვ. დედაქალაქი გახდა სივასი. დანიშმენდებსა და კონიის სულთნებს შორის დაწყებული ბრძოლა დამთავრდა კონიის სულთნის გამარჯვებით და 1180 წელს დანიშმენდების საამირომ თავისი არსებობა შეწყვიტა.

XII საუკუნის 70-იანი წლებიდან კონიის სულთნებმა განაახლეს შეტევა ბიზანტიის წინააღმდეგ. 1176 წელს სელჩუკებმა მირიოკეფალთან სასტიკად დაამარცხეს ბიზანტიის ჯარი. ამ გამარჯვების შედეგად სელჩუკები კვლავ გაბატონდნენ მცირე აზიის მიწა-წყალზე.

კონიის სასულთნო კიდევ უფრო გაძლიერდა სულთან რუქნ ად-დინის (1196-1204) დროს. მან მიზნად დაისახა ცალკეულ სამთავროებად დაშლილი სახელმწიფოს გაერთიანება. ეს ცდები წარმატებით დასრულდა და მან შეძლო აღედგინა სახელმწიფოს ერთიანობა. ქვეყნის შიგნით ხელისუფლების განმტკიცების შემდეგ, სულთანი მეზობელ ქვეყნებზე სალაშქროდ სამზადისს შეუდგა.

1201 წელს რუქნ ად-დინმა არზრუმი დაიკავა, გადააყენა მისი გამგებელი და მის ადგილზე დანიშნა თავისი ძმა. ამის შემდეგ საქართველოს წინააღმდეგ სალაშქროდ გაემართა და ბასიანის ველზე დაბანაკდა. 1202 წელს, ზოგიერთი წყაროს ცნობით 1204 წელს, ბასიანის ველზე მოხდა დიდი ბრძოლა, რომელიც ქართველების გამარჯვებით დამთავრდა.

1204 წელს მეოთხე ლაშქრობის დროს ჯვაროსნებმა ხელთ იგდეს კონსტანტინოპოლი და ბიზანტიის სახელმწიფომ დროებით არსებობა შეწყვიტა. მართალია, 57 წლის შემდეგ მიხეილ პალეოლოგმა აღადგინა ბიზანტიის იმპერია, მაგრამ მან შეინარჩუნა მხოლოდ ძველი დიდების შარავანდედი.

ბასიანში გამარჯვებამ და 1204 წელს ჯვაროსნების მიერ კონსტანტინოპოლის დაპყრობამ საქართველოს მეტად ხელსაყრელი პირობები შეუქმნა.

1204 წელს თამარ მეფის ინიციატივით დაარსდა ტრაპიზონის სამეფო. მისი მეფე გახდა უფლისწული ალექსი კომნენი, რომელიც დედის მხრივ თამარ მეფის ნათესავი იყო და საქართველოში იყო აღზრდილი.

ბიზანტიის სახელმწიფოს დასუსტებამ ხელი შეუწყო სელჩუკთა შემდგომ წარმატებებს. 1207 წელს სელჩუკებმა დაიპყრეს ანტალია და გავიდნენ ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე, ხოლო 1214 წელს დაიკავეს სინოპის მხარე შავი ზღვის სანაპიროზე.

რამდენიმე წლის შემდეგ სელჩუკების ვასალები გახდნენ ტრაპიზონისა და კილიკიის სამეფოები.

1221 ან 1222 წელს სელჩუკებმა მოაწყეს საზღვაო ლაშქრობა ყირიმში და ხელთ იგდეს ქალაქი სოლდეა (სუდაკი).

ამ დროს სელჩუკთა სასულთნო წარმოადგენდა დიდ სახელმწიფოს, რომლის ტერიტორია მოიცავდა თითქმის მთელ მცირე აზიასა და სომხეთის ზეგანის ნაწილს.

დაპყრობითი ომების პროცესში მიმდინარეობდა მცირე აზიის დასახლება თურქული ტომებით. ზოგიერთი მკვლევარის მონაცემებით, XI-XII საუკუნებში მცირე აზიაში თურქული ტომების რაოდენობა ნახევარი მილიონიდან ერთ მილიონზე მეტს შეადგენდა. მცირე აზიის ოლქებში აღმოსავლეთ და ცენტრალურ ანატოლიაში თურქები აღმოჩნდნენ უმრავლესობაში, მათი პოლიტიკის შედეგად ადგილობრივი მოსახლეობა თანდათანობით მაჰმადიანდებოდა და თურქდებოდა.

მცირე აზიაში თურქ-სელჩუკების შემოჭრის შედეგად იცვლება მათი სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობა. დაპყრობითი ომების დაწყებამდე სელჩუკები იმყოფებოდნენ ფეოდალიზმის ადრეულ სტადიაზე. მათი მეურნეობის საფუძველი იყო არა მიწათმოქმედება, როგორც ეს ჰქონდა ბინადარ მოსახლეობას, არამედ მომთაბარე მეჯოგეობა. ამასთან მათ შორის გვაროვნულ-ტომობრივი ურთიერთობა იყო ჯერ კიდევ საკმაოდ ძლიერი. დაპყრობილი ტერიტორიების ათვისების პროცესში კი დაიწყო გვაროვნული ურთიერთობის დაშლა და თანდათანობით ახალი ფეოდალური ურთიერთობის ჩამოყალიბება – მიწათმოქმედების საფუძველზე. ეს პროცესი უმთავრესად მიმდინარეობდა ბარში, მთიან რეგიონებში კი შენარჩუნებულ იქნა მომთაბარე და ნახევრადმომთაბარე ცხოვრება და იგი ნაკლებად შეიცვალა სელჩუკთა სახელმწიფოს არსებობის მთელ მანძილზე.

XIII საუკუნის 20-30-იან წლებში კონიის სელჩუკთა სასულთნომ თავისი ძლიერების ზენიტს მიაღწია. ამ პერიოდში ახლო აღმოსავლეთს ახალი დამპყრობელი მოევლინა მონღოლების სახით. მონღოლებმა დიდი ზიანი მიაყენეს ახლო აღმოსავლეთის ფეოდალურ მეურნეობას და ეკონომიკურ ცხოვრებას. ცნობილია, რომ მონღოლთა ლაშქრის უმეტესობას თურქული ტომები შეადგენდნენ. ამიტომ მონღოლთა შემოსევების ერთი მნიშვნელოვანი შედეგი იყო თურქული ელემენტის გაზრდა-გაძლიერება მახლობელ აღმოსავლეთში.

1242 წლამდე მონღოლებმა დაიპყრეს შუა აზია და ირანი, თავს დაესხნენ სელჩუკთა სასულთნოს ჩრდილო-აღმოსავლეთ პროვინციებს და ხელთ იგდეს ისინი. 1243 წელს ქესედაღთან ბრძოლის შედეგად მონღოლებმა სასტიკად გაანადგურეს სელჩუკები. ამ ბრძოლამ საბოლოოდ გადაწყვიტა სელჩუკთა სასულთნოს ბედი. სასულთნოს დიდი ნაწილი მონღოლებს (ილხანებს) დაემორჩილა, ხოლო დასავლეთ ანატოლიაზე ფორმალურად ვრცელდებოდა სელჩუკების ხელისუფლება. მონღოლთა შემოსევების შედეგად მნიშვნელოვნად მოზღვავდა მომთაბარე თურქული ტომების რაოდენობა მცირე აზიაში, რამაც გამოიწვია ცენტრიდანული ტენდენციების გაძლიერება კონიის სასულთნოში.

აქ პატარა თურქული ბეილიქი (სამთავრო) არსებობდა, რომლებიც ფაქტობრივად არ ემორჩილებოდნენ არც მონღოლებს და არც სელჩუკთა სასულთნოს. ასეთები იყო გერმიანის, მენთეშეს, სარუხანის, აიდინის, კარასის და სხვა ბეილიქები.

XIII საუკუნის დამლევს სელჩუკთა სასულთნო დაიშალა დამოუკიდებელ ბეილიქებად (სამთავროებად). XIV საუკუნის დამდეგიდან იწყება აჯანყებები მონღოლთა ბატონობის წინააღმდეგ. 1307 წელს მონღოლებმა მოგუდეს სელჩუკთა უკანასკნელი სულთანი. ამ თარიღით დამთავრდა მცირე აზიაში სელჩუკთა სასულთნოს ისტორია, რომელმაც 230 წელი იარსება.

თავი II

ოსმალეთი XIV საუკუნეში

1. ოსმალეთის სახელმწიფოს დაარსება

მონღოლთა შემოსევამ და მონღოლთა ხანგრძლივმა ბატონობამ შეაფერხა სელჩუკთა სახელმწიფოს განვითარება და მიიყვანა იგი დაცემამდე, ხოლო შემდგომ - დაშლამდე. მცირე აზიის რეგიონში დიდი რაოდენობით დასახლდნენ თურქული ტომები, რაც თავისთავად მეტად მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო, რომ შემდგომში, ხელსაყრელ პირობებში, აქ აღმოცენებულიყო ახალი თურქული სახელმწიფო. მოვლენათა შემდგომი სვლა სწორედ ამ მიმართულებით განვითარდა და მცირე აზიაში დაარსდა თურქული სახელმწიფო, რომელიც დროთა განმავლობაში გადაიქცა შუა საუკუნეების ერთ-ერთ მძლავრ იმპერიად.



ოსმან I

ბეილიქებად (სამთავროებად) დაშლილ სელჩუკთა სასულთნოში გამოიყოფოდა რამდენიმე მსხვილი სამთავრო. მაგრამ ახალი სახელმწიფოს ბირთვი გახდა შედარებით მცირე და სუსტი ოსმანის ბეილიქი, რაც განპირობებული იყო შემდეგი გარემოებებით: გეოგრაფიული მდებარეობა, ბიზანტიასთან სიახლოვე, მონღოლთა მმართველებისაგან ფაქტიურად დამოუკიდებლობა, თურქული ტომების მოზღვავება და სხვ.

შუა აზიიდან დასავლეთის მიმართულებით მომავალ ჩინგიზ ხანის ურდოში ოღუზ-თურქმანებიც იღებდნენ მონაწილეობას, დაახლოებით 50 ათასი კაცის რაოდენობით, რომელთა წინამძღოლი იყო სულეიმანი. XIII საუკუნის 30-იან წლებში ეს ურდო მცირე აზიაში მოვიდა. გზაში, მდ. ევფრატზე გადასვლის დროს, სულეიმანი წყალში დაიხრჩო. სულეიმანის შვილებს შორის განსაკუთრებით თავი გამოიჩინა მისმა ერთ-ერთმა ვაჟმა ერთოღულმა, რომელიც ეკუთვნოდა ოღუზთა მოდგმის ქაის ტომს. მან თავისი ტომის ხალხით 400 კიბიტით გააგრძელა გზა დასავლეთის მიმართულებით და მალე სელჩუკთა სულთნის ქვეყანაში გაშალა კარვები. ერთოღულმა სულთანს გარკვეული სამხედრო სამსახური აღმოუჩინა. ამის საფასურად სულთანმა ალა ედ-დინ ქეიყობად I-მა (1219-1236) ერთოღულს უბოძა უჯი სეგუთის რაიონში, ყარაჰისარსა და ბილეჯიკს შორის, ბიზანტიის საზღვართან.

ერთოღული მეტად ენერგიული და ძლიერი პიროვნება იყო. მისი ლაშქარი წარმატებით ესხმოდა თავს მეზობელი ბიზანტიის სამფლობელოებს. მსგავს თავდასხმებს აწყობდნენ მისი მემკვიდრეებიც. ოსმანის მეზობელი ბეილიქების გამგებლები, რომელთაც ჰქონდათ ფლოტი, თავს ესხმოდნენ და არბევდნენ ბალკანეთის

ნახევარკუნძულის სანაპიროებს, რასაც მოჰყვებოდა ბიზანტიელების საპასუხო დარტყმები. მცირე აზიის რაიონების საზღვრების დასაცავად კი, სხვადასხვა მიზეზების გამო, ბიზანტიის ხელისუფლებამ თავისი ყურადღება შეასუსტა. მაგალითად, მიხეილ VIII პალეოლოგმა გააუქმა, სახელმწიფო ხაზინის შემოსავლის გაზრდის მიზნით, საგადასახადო შეღავათები სამხედრო ვალდებულებების მქონე გლეხებზე, რომელნიც იცავდნენ საზღვრებს. ამავე დროს იმპერატორი, მიტოვებულ სასაზღვრო ადგილებში, ურიგებდა მიწებს ბალკანეთიდან ჩამოსახლებულ თურქულ ტომებს. ცხადია, ყოველივე ეს ხელს უწყობდა ერთიღულის სამხედრო წარმატებებს.

სელჩუკთა სულთნები უჯებს (სასაზღვრო ტერიტორიებს) უბოძებდნენ ტომთა ბელადებს მემკვიდრეობით. უჯბეგებს ევალებოდათ საზღვრების დაცვა და შეეძლოთ თავიანთი სამფლობელოს გაფართოება მეზობელი ქვეყნების ხარჯზე. უჯბეგები თავისი ტომით მომთაბარეობდნენ ქვეყანაში და კრეფდნენ ხარკს ადგილობრივი მკვიდრი მოსახლეობისაგან. მათი ერთ-ერთი ძირითადი საქმიანობა იყო მეზობელი ქვეყნების ძარცვა-გლეჯა.

თურქულ წყაროებში ერთიღულის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ სარწმუნო ცნობები მეტად მცირეა. ამ მონაცემების მიხედვით, ერთიღული 1281 წელს გარდაიცვალა 90 წლის ასაკში, მეორე ვერსიის მიხედვით – 1288 წელს. მისი შვილი ოსმანი დაიბადა 1258 წელს სეგუთში.

მოიპოვება ორი ცნობა სელჩუკთა სულთნის მიერ ოსმანის დანიშვნის შესახებ სეგუთის უჯბეგად. ერთი ფირმანი დათარიღებულია 1284 წლით, მეორე – 1289 წლით. მეორე დოკუმენტი უფრო სრულია; მასში აღნიშნულია, რომ ოსმანი ინიშნება სეგუთის უჯბეგად და ეგზავნება სათანადო ინვენსტიტურა: თუღი, დროშა, ხმალი, ღოლი და სხვ.

ცხადია, სელჩუკთა სულთანი ოსმანს ორჯერ არ უბოძებდა უჯბეგობას. ვფიქრობთ, უფრო სანდო ჩანს 1289 წელს გაცემული ფირმანი, რადგან, როგორც ზემოთ მივუთითეთ, ერთ-ერთი ცნობის მიხედვით ოსმანის მამა ერთიღული გარდაიცვალა 1288 წელს და მისი გარდაცვალების შემდეგ სულთანმა უბოძა ოსმანს უჯბეგობა.

ერთიღულის სიკვდილის შემდეგ ტომის ბელადი და უჯბეგი გახდა მისი შვილი ოსმანი (1281-1326). ახალმა სახელმწიფომ და დინასტიამ ოსმანის (ოსმალეთის) სახელწოდება მიიღო, თუმცა ფაქტობრივად მისი დამაარსებელი ერთიღული იყო.

ევროპელებმა ოსმანს ოტო შეარქვეს და აქედან – ოტომანთა სახელმწიფო, ოტომანთა იმპერია.

ოსმანის მოღვაწეობის შესახებ იმდროინდელ წყაროებში მეტად ძუნწი ცნობებია შემონახული, ხოლო მომდევნო პერიოდში შედგენილი ოსმალური წყაროები აიდეალებენ მის საქმიანობას და მისი გვარის წარმომავლობას ლეგენდარულ პიროვნებებს ნოეს, ოღუზ ხანს და მუჰამედსაც კი უკავშირებენ.

ამ დროს ბიზანტიის სახელმწიფო დასუსტებული იყო და ოსმანმა თავისი მახვილი, უპირველესად ყოვლისა, მის წინააღმდეგ მიმართა. მცირე დროის განმავლობაში მან შეძლო დაეპყრო ბიზანტიის ბევრი ქალაქი და გამაგრებული ადგილი. 1288 წელს ოსმანმა ხელთ იგდო პატარა ქალაქი ყარაჯაჰისარი. ადგილობრივმა მოსახლეობამ გაქცევით უშველა თავს. აქაური მოსახლეობის ქრისტიანული ეკლესია მეჩეთად იქნა გადაკეთებული, სადაც პირველად დაიწყეს ხუტბის კითხვა ოსმანის სახელის მოხსენიებით. ბიზანტიის მიწა-წყლის დაპყრობის დროს ოსმალები სასტიკად ძარცვავდნენ და აოხრებდნენ ქალაქებსა და სოფლებს, ხოლო მოსახლეობას მონებად ჰყიდდნენ.

1299 წელს ოსმანმა თავი დააღწია სელჩუკთა სულთნის სუზერენიტეტს. ამ წელს სელჩუკთა სულთანი ალა ედ-დინ ქეიყობად III იძულებული გახდა გაქცეულიყო



ბურსა

ქალაქ კონიიდან, დედაქალაქში დაწყებული აჯანყების გამო და სასულთნო მეთაურის გარეშე დარჩა. ეს წელი ითვლება ოსმალეთის დამოუკიდებელი სახელმწიფოს დაარსების დასაწყისად, თუმცა ოსმანი ჯერ კიდევ ცნობდა ილხანების პოლიტიკურ ხელისუფლებას და მას უგზავნიდა მცირე ხარკს.

1301 წელს ოსმანმა ხელთ იგდო იენიშეჰირი და იქ გადაიტანა თავისი რეზიდენცია. 1302 წელს ოსმანმა დაამარცხა პრუსის (ბურსა) ბიზანტიის გამგებელი. ეს იყო ოსმანის პირველი დიდი სამხედრო გამარჯვება, მოპოვებული ბიზანტიელებზე. მაგრამ 1305 წელს ლეკესთან ბრძოლაში ოსმალები დამარცხდნენ. ბიზანტიაში კვლავ დაიწყო შიდა ომი, რამაც ხელი შეუწყო ოსმალთა სამხედრო წარმატებებს. ოსმალებმა ხელთ იგდეს რიგი ციხე-სიმაგრეები და გამაგრებული პუნქტები ქალაქ ბურსის მიმართულებით. 1315 წლისათვის ეს ქალაქი ყოველი მხრიდან გარშემორტყმული იქნა და ხანგრძლივი ალყის შემდეგ 1326 წელს ოსმალებმა იგი დაიპყრეს.

2. ოსმალეთის სახელმწიფოს ჩამოყალიბება

ოსმანის სიკვდილის შემდეგ ტახტზე ავიდა მისი შვილი ორხანი (1326-1359). მან დედაქალაქი გადაიტანა ბურსაში, მდიდარ სავაჭრო და სატრანსპორტო ცენტრში. 1327 წელს, ორხანის ბრძანებით, ბურსაში მოიჭრა პირველი თურქული ვერცხლის ფული (მონეტა) ახჩა. ეს კი იმის დამადასტურებელი იყო, რომ ოსმალეთის სახელმწიფოს ჩამოყალიბების პროცესი გადამწყვეტ ფაზაში შევიდა.

1330 წელს ოსმალებმა დაიპყრეს იზნიქი, 1337 წელს – იზმითი და გავიდნენ მარმარილოსა და შავი ზღვების სანაპიროებზე.

1338 წელს ოსმალებმა მოაწყეს პირველი თავდასხმა ბიზანტიის ტერიტორიის ევროპულ ნაწილზე, დარდანელის რეგიონში. ხოლო ორხანი სამი ათეული გემის თანხლებით გამოჩნდა კონსტანტინოპოლის კედლებთან. მაგრამ მისი რაზმი განადგურებულ იქნა ბიზანტიელების მიერ.

პირველი ოსმალო გამგებლები აწარმოებდნენ აქტიურ ექსპანსიონისტურ პოლიტიკას ბიზანტიის წინააღმდეგ, სამაგიეროდ ერიდებოდნენ აშკარა სამხედრო კონფლიქტს მეზობელ თურქულ ბეილიქებთან და ცდილობდნენ დიპლომატიური თუ სხვა საშუალებებით გაეფართოებინათ თავიანთი სამფლობელო ამ მიმართულებითაც.

ამ პოლიტიკის წარმატებით განხორციელებას ის უწყობდა ხელს, რომ სხვა თურქული სამთავროების მოსახლეობას სურვილი ჰქონდა ნებაყოფლობით შეერთებოდა ოსმალეთის სახელმწიფოს, რომელიც ესოდენ დიდ წარმატებებს აღწევდა „ურწმუნოების“ წინააღმდეგ ბრძოლაში. ორხანმა მცირე წინააღმდეგობის დაძლევით თავის სახელმწიფოს შეუერთა სარუხანის ბეილიქი და გერმიანის ბეილიქის ქალაქები – ესქიშეჰირი და ანკარა. 1345 წელს ორხანმა ისარგებლა კარასის ბეილიქში შექმნილი შიდაპოლიტიკური არეულობით და შეუერთა იგი თავის სამფლობელოს. ამიერიდან ოსმალებს საშუალება მიეცათ გასულიყვნენ დარდანელის ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე და შეექმნათ პლაცდარმი ბალკანეთის ნახევარკუნძულზე შესაჭრელად.

პირველი ოსმალო გამგებლები ფაქტიურად იყვნენ ტომის ბელადები. ოსმანი და მისი ტომის წევრები ეწეოდნენ ნახევრად მომთაბარე ცხოვრებას. ოსმან ბეი იყო პირველი თანასწორთა შორის.

ოსმალეთის ბეილიქის არსებობის დასაწყის პერიოდში მის სამხედრო ძალას მთელი ტომი წარმოადგენდა. მრავალრიცხოვან თავდასხმებში მეზობელ ტომებზე მონაწილეობდნენ არა მარტო მამაკაცები, არამედ, აგრეთვე, ქალები და ბავშვებიც. მომთაბარეები ბავშვობიდანვე ეჩვეოდნენ ცხენისა და იარაღის ტარებას. განუწყვეტელი თავდასხმები, მუდმივი თავდაცვის საჭიროება აკაჟებდა ხალხს და ხდიდა მას გაბედულ და დახელოვნებულ მეომრად. ერთიღულმა და ოსმანმა დაპყრობით ომებში წარმატებებს მიაღწიეს, უპირველეს ყოვლისა, ტომის მეშვეობით.

ოსმალთა სამხედრო წარმატებათა შედეგად თანდათანობით მეზობელი ბეილიქებიდან მათ უერთდებოდნენ მრავალრიცხოვანი მეომრები და დერვიშების რელიგიური ორდენების წევრები, რაც კიდევ უფრო მეტად აძლიერებდა „საღვთო ომისათვის“ მებრძოლთა რიგებს. „საღვთო ომი“ ფაქტობრივად იყო ბრძოლა ახალი მიწების დაპყრობისათვის.

ოსმალო სულთნები თავიანთ პოლიტიკაში ყოველთვის ეყრდნობოდნენ ამ რელიგიურ ძმობებს; ეს სამხედრო-რელიგიური ჯგუფები ანატოლიაში არსებობდა ოსმალთა სახელმწიფოს დაარსებამდე. ასეთი იყო: „ღაზიან-ი რუმ“, ე. ი. „ანატოლიის ღაზიები“. იგი ფართოდ იყო გავრცელებული მუსლიმურ აღმოსავლეთში. ღაზიები - რწმენისათვის მებრძოლნი, მუსლიმურ ჯარში შეადგენდნენ განსაკუთრებით პრივილეგირებულ ჯგუფს. ღაზიები უმთავრესად გამოსული იყვნენ გაღატაკებული გლეხებისა და ხელოსნების წრიდან, გაბრუებულნი მუსლიმური რელიგიური ფანატიზმით. ეს რელიგიური ჯგუფები წარმოადგენდნენ მთავარ დასაყრდენს დაპყრობითი პოლიტიკის გატარების საქმეში. ღაზიები ფართოდ იყვნენ გავრცელებულნი ანატოლიაში სელჩუკების დროს, ხოლო შემდეგ ანატოლიის ბეილიქებში. ოსმანისა და ორხანის მრავალი დაახლოებული პირი ამ ჯგუფს ეკუთვნოდა. ანატოლიაში არაბული ტიტ-

ულის „დაზის“ პარალელურად იხმარებოდა თურქული სიტყვა „ალფ“, რასაც იგივე მნიშვნელობა ჰქონდა.

ყურადღებას იმსახურებს „აბდალან-ი რუმ“ – სხვადასხვა ქვეყნის დერვიშების ჯგუფები, რომლებიც შეადგენდნენ ოსმანისა და ორხანის თანამებრძოლთა მნიშვნელოვან ნაწილს. ისინი იყვნენ ისლამის მებრძოლი პროპაგანდისტები. ამ უცხოელი დერვიშების ძირითადი პრინციპი იყო „საღვთო ომი ურჯულოების წინააღმდეგ“ და ისლამის პროპაგანდა ქრისტიანულ მოსახლეობაში. მათ დიდ მფარველობას უწევდნენ ოსმალეთის სახელმწიფოს დამაარსებლები.

ყურადღების ღირსია, აგრეთვე, „ბაჯიან-ი რუმ“, იგი იმყოფებოდა ჰაჯი ბექთაშის ორდენის გავლენის ქვეშ. ეს იყო შეიარაღებული მეომარი ქალების ორგანიზაცია, რომელიც თავის რიგებში რამდენიმე ათას ქალს აერთიანებდა.

ერთი სიტყვით, ამ რელიგიურმა ორდენებმა გარკვეული წვლილი შეიტანეს დაპყრობითი ომების წარმოებისა და ისლამის გავრცელებისა და პროპაგანდის საქმეში.

„საღვთო“ ომების წარმოების დროს ოსმალები წვავდნენ და ანადგურებდნენ ქალაქებსა და სოფლებს, მოსახლეობას ტყვეებად ყიდდნენ, ნაწილს კი ამაჰმადიანებდნენ, განსაკუთრებით ბავშვებს.

ოსმანის დროს მთელი დაპყრობილი მიწები ითვლებოდა სახელმწიფო საკუთრებად (არაზ-ი მირი). როგორც წყაროებიდან ირკვევა, მან თავისი მმართველობის დასაწყისშივე დაიწყო თიმარების (მიწის ნაკვეთების, ლენების) დარიგება; იგი ბიზანტიისაგან მიტაცებულ მიწებს ურიგებდა ტომის არისტოკრატიის წარმომადგენლებს და განსაკუთრებით იმ მებრძოლებს, რომლებმაც ომში თავი გამოიჩინეს. ოსმანის ერთ-ერთ ბრძანებულებაში ნათქვამია: „თიმარები, რომლებიც ჩემ მიერ არის ბოძებული, უმიზეზოდ არავის არ ჩამოერთმევა. მისი მფლობელის სიკვდილის შემთხვევაში, თიმარი გადაეცემა მის შვილს. თუ გარდაცვლილის შვილი არის მცირეწლოვანი, ლაშქრობაში მონაწილეობას მიიღებენ მისი მსახურები, მანამ იგი არ გახდება სრულწლოვანი. ჩემ მიერ დადგენილი თიმარების ამ სისტემის შეცვლის უფლება არა აქვთ ჩემ მემკვიდრეებს“.

ამრიგად, თიმარები ეძლეოდათ სამხედრო სამსახურისათვის.

თიმარული სისტემა არსებობდა ჯერ კიდევ ანატოლიის ბეილიქებში სელჩუკების დროს. როდესაც ოსმალებმა დაიპყრეს ეს საამიროები, ფეოდალთა უმრავლესობამ, რომელიც ოსმალთა სამსახურში ჩადგა, შეინარჩუნა ძველი მდგომარეობა. სულთნები იმით კმაყოფილდებოდნენ, რომ თიმარის მფლობელებს ძველი ბარათების ნაცვლად ახალს უბოძებდნენ. XIV საუკუნის მიწურულისათვის თიმარული სისტემა ყალიბდებოდა ყველა თურქულ ბეილიქში. ცნობილია, რომ როდესაც მურად I-მა თავის სამფლობელოს შეუერთა ჰამიდის ბეილიქი, იქ ხელუხლებლად დატოვა თიმარული სისტემა. მან თავისი სახელით ახალი ბარათების ბოძებით თიმარიოტებს დაუმტკიცა მფლობელობის უფლება. ასევე მოიქცა ბაიაზიდ I აიდინისა და მენთეშეს ბეილიქების დაპყრობის შემდეგ.

ოსმალებმა თანდათანობით სრულყვეს თიმარული სისტემა და იგი გახდა ოსმალეთის ფეოდალური სახელმწიფოს ერთ-ერთი ძირითადი საფუძველი.

ოსმანი და მისი მემკვიდრეები თიმარებს ურიგებდნენ რიგით მებრძოლებს – ცალკეული მიწის ნაკვეთების სახით, ბეგის შვილებსა და მის უახლოეს ნათესავებს კი – სოფლებსა და მთელ ოლქებს. თიმარებს მათ უბოძებდნენ არა მემკვიდრეობით, არამედ პირობითი მფლობელობის უფლებით. ისინი ვალდებული იყვნენ ომის დროს გამოეყვანათ შეიარაღებულ მხედართა გარკვეული რაოდენობა. ზოგიერთი თიმარიოტი განთავისუფლებული იყო ლაშქრობაში მონაწილეობისაგან, მაგრამ ევალებოდა

მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტების დაცვა. თიმარი მამიდან შვილზე მხოლოდ სულთნის სპეციალური დადგენილებით (ბარათის გაცემის გზით) გადადიოდა იმ შემთხვევაში, თუ შვილიც სამხედრო სამსახურს ეწეოდა და სახელმწიფოს ერთგული იყო. აკრძალული იყო თიმარის ქალისათვის გადაცემა. აიკრძალა მოხელეებისათვის თიმარების ბოძება.

თიმარიოტს უფლება ჰქონდა მისთვის ბოძებული მიწის ნაკვეთიდან (თიმარიდან) აეკრიფა გადასახადების გარკვეული რაოდენობა თავისი პირადი საჭიროებისა და სამხედრო აღჭურვილობის შესაძენად, რათა მოთხოვნისთანავე დაუყოვნებლივ მონაწილეობა მიეღო ლაშქრობაში როგორც მეომარ მხედარს (ცხენოსანს).

თავდაპირველად თიმარები თავისი ზომით არ იყო დიდი. მხოლოდ ბალკანეთში ფეხის მოკიდების შემდეგ, ოსმალეთის სულთნებმა შეძლეს ებოძებინათ თავიანთი მეომრებისათვის, განსაკუთრებული დამსახურებისათვის ან რაიმე ადმინისტრაციული თანამდებობის დაკავებისათვის, უფრო დიდი ზომის მიწის ნაკვეთები. 1375 წელს მურად I-მა დააწესა სამხედრო სამსახურისათვის უფრო დიდი ზომის მიწის ნაკვეთი (ზეამეთი). პირები, რომელთაც ეძლეოდათ ზეამეთები, სანჯაყბეგები ხდებოდნენ. ვეზირებსა და სულთნის უახლოეს ნათესავებს ხასები ხვდებოდათ. ხასების შემოსავალი კიდევ უფრო დიდი იყო. იგი ეძლეოდა უმაღლესი თანამდებობის პირებს, მაგრამ მემკვიდრეობით არ გადადიოდა.

ლენს, რომელიც წელიწადში 1.000 ახჩადან 19.999 ახჩამდე შემოსავალს იძლეოდა, თიმარი ეწოდებოდა, ხოლო 20.000 ახჩადან 99.999 ახჩამდე შემოსავლიან საკარგავს – ზეამეთი. ხასის შემოსავალი კი 100.000 ახჩას აღემატებოდა. თიმარებისა და ზეამეთების მფლობელები შეადგენდნენ ოსმალეთის ფეოდალურ ლაშქარს.

ბაიაზიდ I-ის დროს საბოლოოდ ჩამოყალიბდა თიმარული სისტემა და შეიქმნა თიმარების სპეციალური სამმართველო.

თიმარული სისტემის საფუძველზე ოსმალეთში შეიქმნა ირეგულარული ცხენოსანთა ლაშქარი, რომელიც ყველაზე მრავალრიცხოვანი იყო ოსმალეთის სამხედრო შენაერთებს შორის და მან მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ოსმალთა დაპყრობითი ომების დროს.

ოსმანის მემკვიდრეები განსაკუთრებით დიდ ყურადღებას უთმობდნენ სამხედრო ნაწილების შექმნას, დაპყრობითი ომების გაფართოების მიზნით.

1329 წელს შეიქმნა სამხედრო ქვეითი ჯარი იაია. მას აკომპლექტებდნენ ახალგაზრდა თურქებისაგან. ყოველი ჯარისკაცი ომის დროს იღებდა ჯამაგირს – დღეში ორ ახჩას. მშვიდობიან დროს მათ ხელფასი არ ეძლეოდათ. მათ მიცემული ჰქონდათ მიწის ნაკვეთი დასამუშავებლად და განთავისუფლებული იყვნენ გადასახადებისაგან.

ქვეითი ჯარი დაყოფილი იყო ასეულებად, რომელსაც სათავეში ედგა იუზბაში (ასისთავი), და ათეულებად, რომლის მეთაური იყო ონბაში (ათისთავი). ქვეითი ჯარის ასეთი სისტემა ოსმალებმა მონღოლებისაგან გადაიღეს. დროთა განმავლობაში ქვეითი ჯარის რიცხვი მნიშვნელოვნად გაიზარდა და მეჰმედ II (1451-1481) დროს 20.000 კაცს მიაღწია. იაიას ჰქონდა თავისი განმასხვავებელი ნიშანი – თეთრი თავსაბურავი. თუმცა იაიას რეგულარული ჯარის ნაწილებად თვლიდნენ, სინამდვილეში იგი ნახევრად რეგულარული იყო, რადგან მშვიდობიანობის დროს ჯარისკაცები სახლში ბრუნდებოდნენ და მხოლოდ ომის დროს მიდიოდნენ ჯარში.

განუწყვეტელი ომები მოითხოვდა მუდმივი ქვეითი ჯარის შექმნის საჭიროებას. ორხანმა დააარსა რეგულარული ქვეითი ჯარი (იენიჩარი, ახალი ჯარი), თუმცა იენიჩართა კორპუსის შექმნის თარიღად მიღებულია 1362 წელი, როდესაც მურად I-მა მათ მუდმივი ჯამაგირი დაუნიშნა. იენიჩარების რაზმებს თავდაპირველად ქრის-



იენიჩარები

- 1254 -

ტიანი სამხედრო ტყვეებისაგან აკომპლექტებდნენ, რომლებიც ნებაყოფლობით გამაჰმადიანდნენ. შემდგომ ეს წესი შეიცვალა.

იენიჩარები იმყოფებოდნენ სულთნის განკარგულების ქვეშ. იენიჩართა ჯარის დიდი უმრავლესობა დედაქალაქში იმყოფებოდა, დანარჩენები კი განლაგებული იყვნენ დიდ ქალაქებსა და ციხე-სიმაგრეებში.

იენიჩართა კორპუსი იყო რეგულარული, კარგად გაწვრთნილი და მუსლიმური ფანატიზმის სულისკვეთებით გამსჭვალული ქვეითი ჯარი. იენიჩართა კორპუსი გახდა ძირითადი ძალა, რომელსაც ეყრდნობოდნენ ოსმალეთის სულთნები როგორც დაპყრობითი ომების წარმოების დროს, ასევე ქვეყნის შიგნით აჯანყების ჩასაქრობად.

იენიჩართა კორპუსის შექმნასთან დაკავშირებით შეწყდა იაიას ჯარში ჩარიცხვა. იაიას ნაწილები გადაყვანილ იქნენ ირეგულარულ მდგომარეობაში, თიმარიოტთა ლაშქრის მსგავსად. ამასთანავე ყოველ მეომარს ბოძებული ჰქონდა პატარა მიწის ნაკვეთი – ჩიფთლიქი. ომის დროს, სულთნის ბრძანებით, იაია ვალდებული იყო დაუყოვნებლივ გამოცხადებულიყო დანიშნულ ადგილას. შემდგომ იაიას კორპუსი კვლავ ორგანიზებულ იქნა რეგულარულ ნაწილად: იგი კომპლექტდება, როგორც წინათ, მხოლოდ თურქებისაგან და ყოველი ჯარისკაცი იღებს ხელფასს.

მომდევნო საუკუნეებში იაიას კორპუსს აკომპლექტებდნენ მხოლოდ ანატოლიის 13 სანჯაყში: ქუთახია, სარუხანი, აიდინი, ხუდავენდიგარი, ბოლუ, მენთეშე, ანკარა, სახობ-ატა, ჩანგარი, ჰამიდი, ისპარტა, ესქიშეჰირი და კორასი (ბალიკესირი); მისი რიცხვი დაახლოებით 7.000 კაცს ითვლიდა.

კოლონიზაციის მიზნით თრაკიაში (ევროპაში) გადასახლებულებმა მიიღეს იგივე პრივილეგიები, რომლებიც ჰქონდა იაიას ანატოლიაში. მომთაბარეთა რაზმებს ტრადიციულად უწოდებდნენ იურუქებს, ხოლო ოფიციალურად მათ მიიღეს იაია იურუქე-

ბის სახელწოდება. იურუქები ორგანიზებული იყვნენ ოჯაკებად (ოჯახი) და ყოველი ოჯაკი 30 კაცს ითვლიდა. სულთნის ლაშქრობაში ოჯახიდან მორიგეობით უნდა გამოეყვანათ ხუთი კაცი.

იაიასთან ერთად ორხანის დროს შეიქმნა ნახევრად რეგულარული კავალერია, რომელმაც მიიღო "მუსელემთა კორპუსის" სახელწოდება. ამ კორპუსს აკომპლექტებდნენ თურქებისაგან და თავდაპირველად შედგებოდა 1.000 კაცისაგან. მუსელემები, ისევე როგორც იაია, ომის დროს იღებდნენ ხელფასს, ხოლო მშვიდობიან პირობებში მისდევდნენ სოფლის მეურნეობას და განთავისუფლებული იყვნენ გადასახადებისაგან. იაიასა და მუსელემების ჯარის ნაწილების დაკომპლექტება ხდებოდა ნებაყოფლობის საფუძველზე და იმდენად ბევრი იყო მსურველი, რომ ყადიები, რომლებიც აწარმოებდნენ ჩაწერას, ქრთამს იღებდნენ. მუსელემთა კორპუსი მურად I დროს რეორგანიზებულ იქნა, კაფიკულუს საკავალერიო კორპუსის შექმნასთან დაკავშირებით. მუსელემებს უბოძეს პატარა მიწის ნაკვეთები.

XIV საუკუნის უკანასკნელი მეოთხედიდან მუსელემებსა და იურუქებს იყენებდნენ დამხმარე სამხედრო სამუშაოებზე: ისინი არემონტებდნენ ძველ გზებსა და ხიდებს, აგებდნენ ახალს; იცავდნენ სამხედრო საწყობებს, სახელოსნოებს, ბადრაგობდნენ სამხედრო ტვირთსა და სხვა. ისევე როგორც იურუქები, მუსელემებიც გაერთიანებული იყვნენ ოჯახებში – ოცდაათ-ოცდაათი კაცი. ომის დროს სამხედრო სამსახურს მორიგეობით იხდიდნენ: ხუთ-ხუთი კაცი თითოეული ოჯახიდან.

ოსმალეთის გარკვეულ სამხედრო ძალას შეადგენდნენ, აგრეთვე, აზაბები და აკინჯიები. აზაბებს აკომპლექტებდნენ სულთნის ქვეშევრდომებისაგან. ომის დროს სულთნები სანჯაყ-ბეგებს, აზაბთა კორპუსში მობილიზაციის მიზნით, უწესებდნენ გარკვეულ ნორმას. სანჯაყ-ბეგები ამ ნორმას ანაწილებდნენ სოფლების მიხედვით: ყოველ 15, 20 ან 30 სამეურნეო ერთეულს უნდა გამოეყვანა ერთი აზაბი, სოფლის მცხოვრებლებს ევალებოდა გამოეყვანათ თავიანთი წრიდან ჯანმრთელი ახალგაზრდები, შეეიარაღებინათ ისინი და შეენახათ. აზაბებს შესწევდათ უნარი ფეხით სწრაფად გაევლოთ დიდი მანძილი, ამიტომ მათ მსუბუქ ქვეით ჯარს უწოდებდნენ, მაგრამ ისინი მსახურობდნენ არა მარტო ქვეით ჯარში, არამედ ფლოტშიც.

აზაბები იყვნენ მსუბუქი ფეხოსნები, ხოლო აკინჯიები მსუბუქ კავალერიას წარმოადგენდნენ. მათი დაკომპლექტება ხდებოდა სულთნის ქვეშევრდომებისაგან და პირველ რიგში მაჰმადიანებისაგან. მათი შერჩევისა და შენახვის წესი იგივე იყო, რაც აზაბებისა.

ოსმალეთის ტერიტორიულ ზრდასთან ერთად მიმდინარეობდა სახელმწიფოს მართვა-გამგებლობის ჩამოყალიბების პროცესი. დასაწყისში ოსმალეთის სახელმწიფოს ორგანიზაცია სრულიად პრიმიტიული იყო. პირველი ოსმალო გამგებლები – ოსმანი, ორხანი და გარკვეულ დრომდე მურადიც, ჯერ კიდევ არ ატარებდნენ სულთნის ტიტულს. მათ, ისევე როგორც სხვა ბეილიქების (საამიროების) გამგებლებს, უწოდებდნენ ბეგებს ან ემირებს. იმ პერიოდში ბეგის ავტორიტეტი, უპირველეს ყოვლისა, დამყარებული იყო პატრიარქალურ წესებზე. იგი არჩეული იყო პატარა-პატარა მომთაბარე ტომების ბელადებისა და წარჩინებულთა მიერ. მას სცნობდნენ მხედართმთავრად. მართალია, დროთა განმავლობაში ბეგის წოდება მემკვიდრეობითი გახდა, მაგრამ ოსმალურ წყაროებში მოიპოვება ცნობა იმის შესახებ, რომ ოსმანი ბეგის წოდებაში დამტკიცებულ იქნა უჯბეგებისა და ტომთა არისტოკრატიის წარმომადგენელთა საბჭოზე. ასევე, მაგალითად, ოსმანის სიკვდილის შემდეგ, როდესაც დაისვა საკითხი, თუ ვინ უნდა გამხდარიყო მის ორ შვილს შორის მემკვიდრე, მოწვეულ იქნა ტომთა არისტოკრატიის წარმომადგენელთა საბჭო. აქ უნდა გადაწ-



სულთანი თავისი ამალით

ყვეტილიყო, ოსმანის ვაჟებს შორის ვინ იქნებოდა ტახტის მემკვიდრე – ალაედინი თუ ორხანი. საბჭომ უპირატესობა მისცა უმცროს ძმას ორხანს.

გადმოგვცემენ, რომ ოსმანმა სიკვდილის შემდეგ თავის შვილებს „არავითარი ხაზინა არ დაუტოვა, რამდენიმე ცხენისა და ცხვრის ფარის გარდა".

ოსმალეთის სახელმწიფოს ნამდვილი დამაარსებელი იყო ოსმანის შვილი ორხანი. მან საფუძველი ჩაუყარა ოსმალეთის სახელმწიფოს ორგანიზაციას. მისი სურვილით შეიქმნა სათათბირო ორგანო დივანი, რომელსაც იგი თავმჯდომარეობდა. დასაწყისში ორხანი თვითონ განაგებდა სამოქალაქო და სამხედრო საქმეებს. სამოქალაქო საქმეებში მას ეხმარებოდა ვეზირი, რომელიც ფაშას ტიტულს ატარებდა. ორხანმა თავის ძმას ალაედინს ვეზირობა უბოძა. უფრო გვიან იგივე თანამდებობა და ტიტული მიიღო ორხანის შვილმა სულეიმანმა. შემდეგ ორხანმა მას გადასცა ჯარის ხელმძღვანელობა. ამრიგად, სულეიმან ფაშა გახდა მეორე პირი სახელმწიფოში ორხანის შემდეგ. სულეიმან ფაშას გარდაცვალების (1359) შემდეგ მისი თანამდებობა მიიღო შაჰინ ფაშამ. იგი იყო სულთან მურადის აღმზრდელი და ლალას წოდებას ატარებდა. მას ჰქონდა, აგრეთვე, ფაშას ტიტულიც ჯერ კიდევ 1348 წლიდან. პირველად ორხანის დროს შემოღებულ იქნა ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა, რამაც ხელი შეუწყო ტომობრივი ურთიერთობის რღვევას. ქვეყანა დაყოფილ იქნა სამ საფაშოდ, რომელიც, თავის მხრივ, იყოფოდა სანჯაყებად.

მურად I-ის დროს გამოვიდა პირველად საერო კანონები. 1368 წელს დაკანონდა, რომ დაპყრობილი მიწები განეკუთვნება სახელმწიფოს საკუთრებას. 1375 წელს მიღებულ იქნა კანონი სამხედრო ლენების – თიმარებისა და ზეამეთების ბოძების შესახებ. მურად I ითვლება ოსმალეთის სახელმწიფოს პირველ კანონმდებლად. მის დროს ოსმალეთი ჩამოყალიბდა სამხედრო-ფეოდალურ სახელმწიფოდ. მურადის მე-

ფობის წლებში განხორციელდა მნიშვნელოვანი ცვლილებანი სახელმწიფოს ორგანიზაციასა და სასამართლოს დარგში. შემოღებულ იქნა სამხედრო და ნახევრად სამხედრო ვალდებულებანი, დაფუძნებული თიმარულ სისტემაზე. ოსმალეთის სახელმწიფოში შემოღებულ იქნა ბეგლარბეგის (ბეგთა-ბეგის) წოდება. თურქული ტიტული სინონიმია არაბული ტერმინის „ამირ ალ-უმარა“, რომლის შესატყვისია, თავის მხრივ, არაბულ-სპარსული „მირ-მირანი“, ბეგთა-ბეგი, ამირთა ამირა. ბეგლარბეგის წოდება პირველად მიიღო სულეიმან ფაშამ, მურადის ტახტზე ასვლის შემდეგ. იგი იყო სამხედრო ხელმძღვანელი და უმაღლესი სახელმწიფო მოხელე სულთნის კარზე. მურადის დროს ვეზირების რიცხვი სამამდე გაიზარდა და შემოღებულ იქნა დიდი ვეზირის ანუ პირველი ვეზირის თანამდებობა.

მურადმა მიიღო სულთნის ტიტული და ისტორიაში შევიდა მურად I-ის (1359-1389) სახელით. მის მემკვიდრეს ბაიაზიდ I-ს (1389-1402) სურდა მიეღო რუმის სულთნის ტიტული და ამ მიზნით შეეცადა გამოეყენებინა კაიროში მცხოვრები ხალიფას შთამომავალის ავტორიტეტი და მიმართა მას – ეცნო იგი რუმის სულთნად.

მურადის დროს პირველად ჩამოყალიბდა ოსმალეთის საფინანსო უწყება. ასევე შეიქმნა ორი ხაზინა: სულთნისა და სახელმწიფოს.

გატარდა ოსმალეთის სახელმწიფოს ადმინისტრაციული დაყოფა. ოსმალეთის სახელმწიფოს ტერიტორია დაიყო სანჯაყებად. სანჯაყს სანჯაყბეგი განაგებდა, იგი აერთიანებდა სამხედრო და სამოქალაქო ხელისუფლებას. რაც შეეხება სასამართლო საქმეს, იგი მთლიანად სასულიერო პირების ხელთ იყო.

თავდაპირველად ოსმალები საზოგადოებრივი და ეკონომიკური განვითარების კიდევ უფრო დაბალ საფეხურზე იმყოფებოდნენ, ვიდრე მათი წინამორბედები – თურქსელჩუკები. მაგრამ თანდათანობით ისინი დაადგნენ ფეოდალური განვითარების გზას და მათზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინეს დაპყრობილმა ხალხებმა, რომლებიც თავიანთი დონით გაცილებით მაღლა იდგნენ, ვიდრე დამპყრობლები.

ოსმალეთი სამხედრო-ფეოდალური სახელმწიფო იყო და სამხედრო საქმე მაღალ დონეზე იყო ორგანიზებული, რამაც, ცხადია, გარკვეული როლი ითამაშა მის სამხედრო წარმატებებში.

ამრიგად, XIV საუკუნის შუა წლებში ჩამოყალიბდა ოსმალეთის სახელმწიფოს ძირითადი ბირთვი, რომელიც შემდგომში გადაიქცა შუა საუკუნეების ერთ-ერთ უძლიერეს სახელმწიფოდ.

3. ოსმალთა დაპყრობითი ომები XIV საუკუნეში

XIV - XV საუკუნეებში ბალკანეთის სახელმწიფოები დაცემა-დაქვეითების გზაზე იმყოფებოდნენ. ამ დროს მიმდინარეობდა დაუსრულებელი ომები როგორც ფეოდალებს, ისე სახელმწიფოებს შორის. ბალკანეთის ქვეყნების ფეოდალები თავიანთი ვიწრო კლასობრივი ინტერესებისათვის არა მარტო აწარმოებდნენ ურთიერთშორის ბრძოლას მიწების ხელში ჩაგდებისათვის, არამედ, აგრეთვე, ცდილობდნენ თავიანთი მიზნების განსახორციელებლად დაყრდნობოდნენ ოსმალო სულთნებს, რომლებიც საბოლოო ჯამში მათი დაუძინებელი მტრები იყვნენ. განსაკუთრებით ხშირად ოსმალებს დახმარებისათვის მიმართავდნენ ბიზანტიის ფეოდალური დაჯგუფებანი, იმპერატორის ტახტისათვის მებრძოლნი (კანტაკუზენები და პალეოლოგები). ბალკანეთის სახელმწიფოებში, განსაკუთრებით ბიზანტიაში, გაბატონებული კლასები სასტიკად ავიწროებდნენ ხალხის მასებს. გლეხები განიცდიდნენ მძიმე

ექსპლუატაციას და ამიტომ ხშირად იძულებული იყვნენ გაქცეოდნენ თავიანთ ფეოდალებს. მმართველმა კლასებმა ვერ შეძლეს გაეერთიანებინათ ხალხის მასები დამპყრობელთა წინააღმდეგ საბრძოლველად. ყოველივე ამან ხელი შეუწყო ოსმალებს ბალკანეთის ქვეყნების დაპყრობის საქმეში.

გავიდნენ რა ეგეოსის ზღვის სანაპიროზე, ოსმალებმა დაიწყეს მარბიელი თავდასხმები ბალკანეთის ნახევარკუნძულზე.

აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში ოსმალები არ მისდევდნენ ზღვაოსნობას. მათ ააგებინეს ბერძნებს პატარა გემები და ქრისტიანი ტყვეები დასვეს ნიჩბოსნებად. ამგვარად, დასაპყრობ ხალხებს გაალესინეს მათივე დასაკლავი დანა.

ოსმალები ხშირად ასეთ თავდასხმებს აწყობდნენ ბიზანტიის იმპერატორთან შეთანხმებით, რომელიც იყენებდა მათ ბულგარეთისა და სერბიის წინააღმდეგ.

1341 წელს ბიზანტიაში დაიწყო ბრძოლა იმპერატორის ტახტისათვის იოანე V პალეოლოგსა და იოანე VI კანტაკუზენს შორის. ამავე დროს იფეთქა გლეხთა და ხელოსანთა აჯანყებამ. ორივე პრეტენდენტმა დახმარებისათვის ოსმალებს მიმართა. პალეოლოგმა თავის მხარეზე მიიმხრო აიდინისა და მანისის ბეილიქების ჯარები, ხოლო კანტაკუზენმა დახმარებისათვის ორხანს მიმართა. ოსმალების მიმხრობის მიზნით, იოანე კანტაკუზენმა თავისი ქალიშვილი თეოდორა ცოლად მისცა ორხანს. 1345-1348 წწ. ორხანის შვილი სულეიმანი სამხედრო ოპერაციებს აწარმოებდა გალიპოლიის ნახევარკუნძულზე და თრაკიაში. იოანე VI კანტაკუზენი ტახტის ხელში ჩაგდების შემდეგ ოსმალთა ლაშქარს იყენებდა ბულგარელებისა და სერბიელების წინააღმდეგ ომში. 1352 წელს ამ სამსახურისათვის ოსმალებმა მიიღეს ციხე-სიმაგრე ჩიმპე, გალიპოლიის ნახევარკუნძულზე.

ამ დროიდან იწყება ბალკანეთში ოსმალთა ომების ახალი ეტაპი. ახლა თურქთა თავდასხმები აღარ იყო ეპიზოდური, არამედ ისინი მიზნად ისახავდნენ დაპყრობილ ტერიტორიაზე მტკიცედ ფეხის მოკიდებას. იოანე კანტაკუზენის ტახტიდან ჩამოგდების შემდეგ ორხანს მიეცა საბაბი შეჭრილიყო ევროპაში და განეხორციელებინა საკუთარი მიზნები. 1354 წელს ორხანმა დაიკავა ქალაქი გალიპოლი (გელიბოლუ) და დაიწყო თურქული მოსახლეობის ჩასახლება გალიპოლიის ნახევარკუნძულზე. 1356 წელს ოსმალებმა ხელთ იგდეს ციხე-სიმაგრეები ჩორლუ და დიდი მოტიხონი, ხოლო 1362 წელს დაპყრობილ იქნა ადრიანოპოლი (ედირნე). მურად I-მა დედაქალაქი ბურსიდან ადრიანოპოლში გადაიტანა. ბიზანტიის იმპერატორი გახდა თურქეთის სულთნის ვასალი.

ოსმალებმა დაიპყრეს ბალკანეთში ბიზანტიის სამფლობელოები და შექმნეს ხელსაყრელი პლაცდარმი მეზობელი ბულგარეთის ტერიტორიების დასამორჩილებლად: 1362 წელს ოსმალებმა ხელთ იგდეს პლოვდივი, ხოლო ორი წლის შემდეგ ბულგარეთის მეფე შიშმანი იძულებული შეიქნა გამხდარიყო ოსმალეთის მოხარკე, თავისი და კი სულთნის ჰარამხანაში გაეგზავნა. ბულგარელი ხალხი დამპყრობელს მედგარ წინააღმდეგობას უწევდა, მაგრამ ფეოდალური დაქუცმაცებულობა და ურთიერთშორის ბრძოლა აადვილებდა ქვეყნის დაპყრობას. ამ სამარცხვინო ბრძოლაში არ ერიდებოდნენ არავითარ საშუალებას, ბევრი მათგანი გადადიოდა მტრის მხარეზე, იღებდა ისლამს და დახმარებას უწევდა ოსმალებს ბალკანეთის დაპყრობის საქმეში. ბულგარეთში შექმნილი მდგომარეობით ცდილობდნენ ესარგებლათ, აგრეთვე, მეზობელი ქვეყნები – ბიზანტია და სერბია და ხელთ ეგდოთ მისი ტერიტორიის ნაწილი.

ორხანის სიკვდილის შემდეგ ტახტზე ავიდა მურად I (1359-1389). თავისი გამგებლობის პირველ წლებში იგი დაკავებული იყო საშინაო საქმეებით, მაგრამ 1373-1376 წლებში. ვითარება შეიცვალა. 1373 წელს მას აუჯანყდა მისი ვაჟი სავჯი და კავშირი დაამყარა ბიზანტიის ტახტის მემკვიდრესთან ანდრონიკესთან, რომელიც აგრეთვე

გამოვიდა თავისი მამის, იმპერატორ იოანე V-ის წინააღმდეგ. ეს დინასტიური ბრძოლა დამთავრდა საფჯის სიკვდილით და 1376 წელს ანდრონიკეს დროებითი გამეფებით. ანდრონიკემ, რათა დაეწყნარებინა მურად I, გალიპოლიის ნახევარკუნძული დაუბრუნა ოსმალებს.

ოსმალთა წინსვლამ საფრთხე შეუქმნა მაკედონიას. სერბიის მთავარმა ვუკაშინმა და მისმა ძმამ უგლეშამ გადაწყვიტეს ოსმალთა უკუგდება. ბიზანტიამ და ბულგარეთმა მათ მხარი არ დაუჭირეს. 1371 წელს ადრიანოპოლის მახლობლად, მდინარე მარიცასთან გაიმართა ბრძოლა. გაიმარჯვეს ოსმალებმა. ვუკაშინი და უგლეშა ბრძოლის ველზე დაიღუპნენ. ამ გამარჯვებამ ოსმალებს გზა გაუხსნა მაკედონიის, საბერძნეთისა და სერბიისაკენ. ვუკაშინის შვილი მარკო, რომელიც მამის სიკვდილის შემდეგ გამეფდა, სულთნის ვასალი გახდა. ოსმალებს სერბიის სხვა ფეოდალებიც დაემორჩილნენ და ხარკის გადახდა და დამხმარე ჯარის გამოყვანა იკისრეს. ამის შემდეგ ოსმალებმა თავიანთი ძალები ბულგარეთის წინააღმდეგ მიმართეს. 1371 წელს ოსმალებმა დაიკავეს იამპოლი, კარნობატი და სხვა ქალაქები, ბულგარეთის მეფემ ივანე შიშმანმა თავი სულთნის ვასალად სცნო და თავისი და მარა (თამარი) სულთანს ცოლად მიათხოვა.

XIV საუკუნის 80-იან წლებში ოსმალებმა ერთდროულად შეტევა განაახლეს ბულგარეთსა და სერბიაზე.

1381 წელს ოსმალებმა აიღეს სოფია, საიდანაც მათ გაეხსნათ გზა ჩრდილო-დასავლეთ ბულგარეთსა და სერბიაში. 1386 წელს მათ დაიკავეს ქალაქი ნიში და სოლივით შეიჭრნენ ბულგარეთსა და სერბიაში. 1371 წლიდან სერბიის ყველაზე დიდი ფეოდალი იყო სამხრეთ ნაწილის მფლობელი ლაზარე, რომელმაც თავი გამოაცხადა სერბიის მეფედ. მან კავშირი დადო ბოსნიის მმართველთან ტვრტკოსთან, რომელიც 1377 წლიდან ბოსნიის მეფის გვირგვინს ატარებდა. 1386 წელს ქალაქ პლოჩნიკთან, მდინარე ტოპლიცაზე, სერბიისა და ბოსნიის გაერთიანებულმა ლაშქარმა დაამარცხა ოსმალთა ჯარი.

ორი წლის შემდეგ ბოსნიელებმა კვლავ დაამარცხეს ოსმალები. ამ დამარცხების შემდეგ ბულგარეთის მეფემ ივანე შიშმანმა და დობრუჯის მმართველმა ივანკომ სულთნის ვასალობაზე უარი თქვეს. 1388 წელს მურად I-მა ივანე შიშმანის წინააღმდეგ 30-ათასიანი ლაშქარი გაგზავნა. ბრძოლის შედეგად ოსმალებმა დაიპყრეს ქალაქები შუმენი, ლოვეჩი, მადარა და სხვა. ბულგარეთის მმართველებმა ისევ ცნეს თავი სულთნის ვასალებად.

ბულგარეთში ლაშქრობის შემდეგ მურად I-მა დაიწყო საომარი მოქმედება სერბიის წინააღმდეგ. 1389 წელს ოსმალეთის ლაშქარი სერბიაში შეიჭრა. 1389 წლის 15 ივნისს კოსოვოს ველზე მოხდა დიდი ბრძოლა ოსმალეთის ჯარებსა და სერბია-ბოსნიელების ლაშქარს შორის. მათ რიგებში ბულგარელთა რაზმებიც იბრძოდნენ. თავდაპირველად ბრძოლა მოკავშირეთა სასარგებლოდ წარიმართა. მათ შეძლეს მტრის რიგების შეცვლა. სერბიელი ვოევოდა მილოშ კობელიჩი მურად I-ის კარავში შეიჭრა და სასიკვდილოდ დაჭრა სულთანი. რათა ჯარში პანიკა არ დაწყებულიყო, სარდლებმა ეს ამბავი ჯარს არ გაუმხილეს. მურადის შვილმა ბაიაზიდმა დასახმარებლად დამატებითი ლაშქარი გაგზავნა. ამ ბრძოლაში ოსმალებმა პირველად გამოიყენეს ზარბაზნები, რამაც გადამწყვეტი გავლენა მოახდინა ბრძოლის მსვლელობაზე. სერბიის მთავარი ლაზარე დაიჭრა და ტყვედ ჩაუვარდა ოსმალებს. სიკვდილის წინ მურადს მოჰგვარეს დატყვევებული სერბიის მეფე. მურადმა ბრძანა მისი თანდასწრებით ეწამებინათ იგი.

კოსოვოს ბრძოლა ოსმალთა გამარჯვებით დამთავრდა. სერბია ოსმალეთის ვასალი გახდა და ვალდებული იყო ყოველწლიურად გადაეხადა 20 ათასი ოქროს მონეტა.



ოსმან ბეის მიერ ბიზანტიელების ციხის აღება

ამავე დროს სერბიას ომის დროს ოსმალეთის მხარეზე 30 ათასიანი ლაშქარი უნდა გამოეყვანა. სულთანმა სერბიის გამგებლად დაამტკიცა ლაზარეს შვილი სტეფანე. ასეთი მდგომარეობა XV საუკუნის შუა წლებამდე გაგრძელდა, შემდეგ სერბია ოსმალეთის ტიპიურ პროვინციად გადაიქცა.

კოსოვოს ველზე მოპოვებული გამარჯვების შემდეგ ოსმალები შეიჭრნენ ალბანეთში. მოსახლეობა მედგარ წინააღმდეგობას უწევდა დამპყრობლებს და მათ შეძლეს მხოლოდ ზოგიერთი ადვილად მისაწვდომი რაიონის დაპყრობა.

ოსმალთა წარმატებებმა აიძულეს ბულგარეთის მეფე ივანე შიშმანი მოკავშირეები ეძებნა ოსმალებისაგან თავის დასაცავად. ამ მიზნით, მან მოლაპარაკება დაიწყო უნგრეთის მეფესთან, მაგრამ უშედეგოდ.

1393 წლის გაზაფხულზე ოსმალეთის ჯარი ბაიაზიდ I-ის სარდლობით ჩრდილოეთ ბულგარეთში შეიჭრა და ალყა შემოარტყა დედაქალაქ ტირნოვოს. სამი თვის გარემოცვის შემდეგ ქალაქი დანებდა მტერს. ტირნოვოს აღების შემდეგ ოსმალებმა განაგრძეს შეტევა ჩრდილოეთით, დაიკავეს ქალაქი ნიკოპოლი და დაატყვევეს შიშმანი. ბაიაზიდმა შიშმანი სიკვდილით დასაჯა, ბულგარეთის ტირნოვოს სამეფო გაუქმებულ იქნა.

1395 წელს ოსმალებმა დაიპყრეს დობრუჯის ოლქი, ხოლო 1396 წელს – ვიდინი, დაატყვევეს მეფე ივანე სტრაშიმირი და მოსპეს ბულგარეთის ვიდინის სამეფოს დამოუკიდებლობა.

სერბიისა და ბულგარეთის დაპყრობის შემდეგ ოსმალები მიადგნენ უნგრეთის საზღვრებს და საფრთხე შეუქმნეს ცენტრალურ ევროპას. უნგრეთის მეფემ სი-

გიზმუნდმა დახმარებისათვის ევროპის სახელმწიფოებს მიმართა. ამ დროს ევროპის პოლიტიკურმა მესვეურებმა შეიგნეს, თუ რაოდენ სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენდა მათთვის ოსმალეთი. რომის პაპმა მოწოდებით მიმართა ევროპის მონარქებს – შეექმნათ ჯვაროსნული კოალიცია ოსმალთა წინააღმდეგ საბრძოლველად. ევროპის ქვეყნები დადებითად შეხვდნენ ამ წინადადებას. შეიქმნა ანტიოსმალური კოალიცია, რომელშიც უნგრელების გარდა, მონაწილეობას იღებდნენ ფრანგები, ინგლისელები, იტალიელები, გერმანელები, ჩეხები, ვალახები და სხვა. ჯვაროსანთა ლაშქარი დაახლოებით 100.000 მებრძოლს ითვლიდა. ჯვაროსნებს მეთაურობდა უნგრეთის მეფე სიგიზმუნდ I.

1396 წელს მოპოვებული გამარჯვებებით აღფრთოვანებულმა ბაიაზიდმა გადაწყვიტა, ხელთ ეგდო ბიზანტიის დედაქალაქი. მაგრამ მან ვერ მოასწრო მისვლა თავისი ლაშქრით კონსტანტინოპოლის კედლებთან, როდესაც სულთანს აცნობეს, რომ უნგრეთის მეფემ სიგიზმუნდმა დარაზმა ჯვაროსანთა ლაშქარი ოსმალეთის წინააღმდეგ საბრძოლველად. კონსტანტინოპოლიდან ბაიაზიდი პირდაპირ ჯვაროსნებისაკენ გაემართა.

1396 წლის 25 სექტემბერს ქალაქ ნიკოპოლთან, მდინარე დუნაის მარჯვენა ნაპირზე გადამწყვეტი ბრძოლა მოხდა ოსმალებსა და ჯვაროსნებს შორის. მიუხედავად იმისა, რომ ჯვაროსანთა ლაშქარი ორჯერ აღემატებოდა თურქების ჯარს, იგი განადგურებულ იქნა. ორივე მხარემ განიცადა დიდი დანაკლისი. ოსმალებმა ხელთ იგდეს 10 ათასი რაინდი. ბაიაზიდი საშინლად გაუსწორდა დატყვევებულებს: თითქმის ყველას თავი მოკვეთეს. ეს სასაკლაო გრძელდებოდა მთელი დღე. სულთანმა შეიწყალა მხოლოდ ზოგიერთები და ისინი მონებად უბოძა თავის სარდლებს. დიდი გამოსასყიდლის ფასად ბაიაზიდმა გაანთავისუფლა 24 ცნობილი რაინდი საფრანგეთის მეფის კარლოს VI-ის თხოვნით. კარლოსმა არა მარტო გადაუხადა 200 ათასი ოქროს დუკატი, რომელიც სულთანს ჩაუტანეს ჰოლანდიელი ბანკირების შუამავლობით, არამედ მიართვა მას ძვირფასი საჩუქრები – შესანიშნავი რეინის თეთრი და ვარდისფერი ტილო, შპალერის ქსოვილები მასზე გამოსახული სურათებით ალექსანდრე მაკედონელის ცხოვრებიდან. ბაიაზიდმა გადაწყვიტა, გაეკვირვებინა ჯვაროსნები თავისი ნადირობის გრანდიოზულობით. ნადირობა ჰგავდა შესანიშნავად დადგმულ სპექტაკლს. მასში მონაწილეობდა 7 ათასი ბაზიერი, 6 ათასი კურძვალი, ასობით ატლასის ასალით დამშვენებული მეძებარი ძაღლი და სხვ.

ბაიაზიდმა გაუგზავნა საფრანგეთის მეფეს კარლოსს თურქი მეომრის სრული აღჭურვილობა, მათ შორის ექვსი მშვილდ-ისარი, რომლის ლარი გაკეთებული იყო ადამიანის კანისაგან.

ამ დამარცხების შემდეგ მთელი ბულგარეთი აღმოჩნდა ოსმალეთის ბატონობის ქვეშ და ვალახეთის გოსპოდარი იძულებული გახდა ეცნო სულთნის სუზერენიტეტი.

ჯვაროსნების დამარცხების შემდეგ სულთანმა გადაწყვიტა შეტევა საბერძნეთის წინააღმდეგ დაეწყო. 1397 წელს ოსმალთა ჯარები ატიკასა და პელოპონესში შეიჭრნენ და სასტიკად ააოხრეს ქვეყანა.

სულთან ბაიაზიდ I, რომელსაც მეტსახელად ილდირიმი (ელვა) შეარქვეს, აწარმოებდა დაპყრობით ომებს როგორც ევროპაში, ისე მცირე აზიაში. 1385-1390 წლებში დასავლეთ და ცენტრალურ ანატოლიაში დამორჩილებულ იქნა ბეილიქები: მენთეშე, აიდინი, სარუხანი, გერმიანი, ჰამიდი; 1390-1392 წლებში განადგურებულ იქნა ყარამანიის ბეილიქი, ხოლო 1396 წელს ოსმალებმა ხელთ იგდეს სივასი. მართალია, ოსმალეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში შევიდნენ თურქებით დასახლებული ტერიტორიები, მაგრამ ამ დროს ეს გაერთიანება ჯერ კიდევ არ იყო მტკიცე.

ამრიგად, XV საუკუნის დამდეგისათვის ოსმალეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში შედიოდა მცირე აზიისა და ბალკანეთის ტერიტორიის დიდი ნაწილი და მათ შორის კუნძულივით დარჩენილი იყო კონსტანტინოპოლი, ბიზანტიის იმპერიის დედაქალაქი.

მოპოვებული გამარჯვებებით წახალისებულმა ბაიაზიდმა კონსტანტინოპოლის დაპყრობა სცადა. 1397-1400 წლებში მან იერიში მიიტანა ამ ქალაქზე, მაგრამ უშედეგოდ. ამ დროს ბიზანტიის დედაქალაქი საკმაოდ კარგად იყო გამაგრებული. მას მტკიცე გალავანი ჰქონდა შემორტყმული და საიმედოდ იყო დაცული როგორც ზღვიდან, ისე ხმელეთიდან. მის დასაპყრობად საჭირო იყო ძლიერი არტილერია და ფლოტი, რომლებიც ოსმალებს ჯერ კიდევ საკმაო რაოდენობით არ გააჩნდათ.

ბიზანტიის იმპერატორ მანუელ II-ს (1391-1425) კარგად ესმოდა, თუ რა მძიმე და კრიტიკულ მდგომარეობაში იმყოფებოდა კონსტანტინოპოლი. მან გადაწყვიტა პირადად გამგზავრებულიყო დასავლეთ ევროპაში და დახმარება ეთხოვა რომის პაპისა და ევროპის მონარქებისათვის. მას ევროპაში ღებულობდნენ დიდი პატივით და აძლევდნენ დაპირებებს, მაგრამ რეალური დახმარება მისთვის არ აღმოუჩენიათ.

1400 წელს ბაიაზიდმა მოახდინა კონსტანტინოპოლის გარეუბნების ბლოკირება და დაიწყო მზადება იერიშისათვის. მაგრამ მოულოდნელად ბიზანტია გადაურჩა დაღუპვას. აღმოსავლეთიდან გამოჩნდა დიდი დამპყრობელი, რომელიც ოსმალეთის დასამორჩილებლად გამოემართა.

თავი III

ოსმალეთი XV საუკუნის პირველ ნახევარში

1. მცირე აზიაში თემურლენგის შემოსევები

თემურლენგი და ბაიაზიდი აზიისა და ევროპის ორი დიდი დამპყრობელი იყო, რომლებიც არ კმაყოფილდებოდნენ მიღწეული წარმატებებით და ახალ-ახალი ქვეყნების დაპყრობებზე ოცნებობდნენ. იმდროინდელი ევროპელი დამკვირვებლები თვალყურს ადევნებდნენ, თუ საითკენ წარიმართებოდა მათი შემდგომი ექსპანსია და როდესაც გაიგეს, რომ თემურლენგი აპირებდა ბაიაზიდის წინააღმდეგ გალაშქრებას, შვებით ამოისუნთქეს.

თემურლენგი (1336-1405) აზიის ერთ-ერთი უდიდესი დამპყრობელი იყო. იგი ბარლასთა მონღოლურ, მაგრამ უკვე გათურქებულ ტომს ეკუთვნოდა. თემურლენგი თავდაპირველად ყაჩაღთა ბრბოს მეთაურობდა, მაგრამ მალე დაწინაურდა. იმ დროს, როდესაც თემურლენგი პოლიტიკურ ასპარეზზე გამოვიდა, მთელ შუა აზიაში ანარქია სუფევდა. მან მოხერხებულად გამოიყენა თავის სასარგებლოდ შუა აზიაში შექმნილი პოლიტიკური ვითარება. თემურლენგის მთავარი პოლიტიკური ამოცანა მონღოლთა იმპერიის აღდგენა იყო. ამდენადვე მის ნათესაურ ურთიერთობას ჩინგიზიდებთან გარკვეული პოლიტიკური მნიშვნელობა ენიჭებოდა. მისი ჩინგიზიდებთან ამ ურთიერთობის აღმნიშვნელი იყო გურგანის (სიძის) წოდებულება, რომელიც მან ჩინგიზიდი უფლისწული ქალის ცოლად შერთვის შედეგად მიიღო.

შუა აზიის გაერთიანების შემდეგ იგი შეუდგა მსოფლიო ბატონობისათვის ბრძოლას და ამ მიმართულებით გარკვეულ წარმატებებს მიაღწია. „გრიგალივით გადაუარა დიდმა დამპყრობელმა ირანს, ინდოეთს, ამიერკავკასიას, სამხრეთ რუსეთის ველებს, მცირე აზიას, სირიას. მომთაბარეთა ბატონობას მხოლოდ ეგვიპტე გადაურჩა, ხოლო ჩინეთის განზრახული დაპყრობა თემურლენგს განუხორციელებელი დარჩა“ (ვ. გაბაშვილი).

თემურლენგმა თავისი ცხოვრების დიდი ნაწილი ლაშქრობებში გაატარა. 18 დიდი ომი გადაიხადა, 27 ქვეყანა დაიპყრო და უზარმაზარი იმპერია შექმნა. მის მიერ დაარსებული ვეებერთელა სახელმწიფოს საზღვრები გადაჭიმული იყო: აღმოსავლეთით ჩინეთის კედლებამდე, ჩრდილოეთით – რუსეთის შუაგულამდე, დასავლეთით – ხმელთაშუა ზღვის ნაპირებამდე, სამხრეთით – ინდოეთამდე და სამხრეთ დასავლეთით – ეგვიპტის საზღვრებამდე.

თემურლენგმა სახელი მოიხვეჭა როგორც სასტიკმა, დაუნდობელმა, მტარვალმა და სისხლისმღვრელმა ტირანმა. იგი დაპყრობითი ომების დროს ანადგურებდა, წვავდა და მიწასთან ასწორებდა ქალაქებსა და სოფლებს, ათასობით და ათიათასობით ხოცავდა და აწამებდა ბავშვებსა და მოხუცებს, ქალებსა და მამაკაცებს, დახოცილთა თავებისაგან აგებდა პირამიდებს, რათა ყველგან შიში და ძრწოლვა დაემკვიდრებინა. დაპყრობილ ქვეყნებში ნაძარცვ ქონებას აგზავნიდა სამარყანდში, აქეთკენ ერეკებოდა ათასობით ტყვეებს. თემურლენგის ურდოების რვაგზის შემოსევების მთელი სიმძიმე საქართველომაც განიცადა.

წინა აზიაში გაბატონებისათვის თემურლენგს წინ ეღობებოდა ოსმალეთი, რომელიც, თავის მხრივ, იმ დროისათვის საკმაოდ ძლიერ სახელმწიფოს წარმოადგენდა.

თემურლენგის ოსმალეთთან ომის ერთ-ერთი მთავარი მიზანი იყო აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის სავაჭრო გზების ხელში ჩაგდება, რომელიც ოსმალეთსა და მის მეზობელ ქვეყნებზე გადიოდა.

თემურლენგს კარგად ესმოდა ვაჭრობის სარგებლობა და მნიშვნელობა ქალაქების განვითარებისათვის, ამიტომ იგი მიზნად ისახავდა იმ მსოფლიო სავაჭრო გზებზე გაბატონებას, რომელნიც ოქროს ულუსის ტერიტორიაზე გადიოდნენ და ევროპისა და წინა აზიის ქვეყნებს შორეულ აღმოსავლეთთან აკავშირებდნენ. თემური მიისწრაფოდა დაერღვია ჩრდილოეთის სავაჭრო მაგისტრალი და კვლავ ვაჭრობის ცენტრალურ გზად გაეხადა წინა აზიაზე გამავალი გზა, რომელსაც ჰქონდა უდიდესი მნიშვნელობა. ამ მიზნით, 1395 წ. მან დაამთავრა ოქროს ულუსის სამხედრო განადგურება და თითქმის მთლიანად დაანგრია ოქროს ულუსის ის ქალაქები, რომლებიც დიდ როლს თამაშობდნენ ჩრდილოეთის საქარავნო ვაჭრობაში - აზოვი, ასტრახანი და სხვა.

თემურლენგის დაპყრობით ზრახვებს დასავლეთის მიმართულებით ოსმალეთი ეღობებოდა. ამ დროს ოსმალეთი მცირე აზიის და ბალკანეთის ბევრ ქვეყანას ფლობდა. ოსმალეთის სულთანი ბაიაზიდ I ევროპის სახელმწიფოების რისხვა იყო და თემურლენგს ტოლს არ უდებდა.

თემურლენგი ემზადებოდა ბაიაზიდის წინააღმდეგ ომისათვის. იგი ძალიან კარგად იყო ინფორმირებული მცირე აზიასა და ევროპაში შექმნილი პოლიტიკური ვითარების შესახებ. მაგალითად, ბაიაზიდთან ომის დაწყების წინ მას სრული ინფორმაცია ჰქონდა ბიზანტიისა და ოსმალეთის ურთიერთობის შესახებ და თავის თავს ბერძნების დამცველად აცხადებდა.

1399 წელს, ინდოეთში ლაშქრობიდან დაბრუნების შემდეგ, თემურლენგი შეუდგა ოსმალეთის წინააღმდეგ ომის სამზადისს. ამ დროს პოლიტიკური ვითარება მისთვის მაინცდამაინც ხელსაყრელი არ იყო. თემურლენგის ინდოეთში ყოფნით ისარგებლა ბაღდადის (ერაყის) ილხანთა გამგებელმა და მეორედ განუდგა. მან დახმარებისათვის მიმართა ოსმალეთის სულთანს. ასევე გადაუდგა თემურლენგს დიარბექირის გამგებელიც და მანაც მფარველობისათვის ბაიაზიდს მიმართა. ბაღდადიდან მოყოლებული ალეპომდე თემურის წინააღმდეგ გამოსვლები დაიწყო. შექმნილი ვითარებით ისარგებლა ბაიაზიდმა და ერზინჯანს თავს დაესხა. მისი გამგებელი თაჰერთანი თემურლენგის ხელდებული იყო. სიმშვიდე არც საქართველოში სუფევდა. სამაგიეროდ თემურლენგს თხოვდნენ დახმარებასა და შემწეობას ბაიაზიდის მიერ დამარცხებული ყარამანიის, მენთეშეს, სარუხანისა და აიდინის ემირები.

თემურლენგმა, უპირველეს ყოვლისა, გადაწყვიტა მორჩილებაში მოეყვანა საქართველო და 1400 წლის გაზაფხულზე მეექვსედ შემოესია მას. საქართველოში იგი სამხრეთიდან (ქვემო ქართლი) შემოიჭრა, გადმოვიდა ქართლში და სასტიკად ააოხრა იგი, ხოლო ქართლიდან მესხეთში ჩავიდა და კოლას ველზე დაბანაკდა.

თემურლენგი ორ თვეს იდგა კოლას მინდორზე, ჯარის წესრიგში მოსაყვანად და ცხენების მოსაღონიერებლად.

კოლადან თემურლენგი სივასისაკენ გაემართა და 8 აგვისტოს ქ. სივასს ალყა შემოარტყა. ქალაქის დამცველებმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს, მაგრამ დიდი ბრძოლის შედეგად ქალაქი აღებულ იქნა. თემურმა ერთიანად გააჟლეტინა მეციხოვნე-ოსმალები, ხოლო 4.000 სომეხი კი დაამარხვინა ცოცხლად.

სივასიდან თემურლენგი სირიისაკენ გაემართა, რომელიც ამ დროს ეგვიპტის მამლუქების გამგებლობის ქვეშ იმყოფებოდა. მან დაიპყრო ალეპო, დამასკო და სხვა ქალაქები.

იმ დროს, როდესაც თემურლენგი სირიაში იმყოფებოდა, ბაიაზიდ I ილდირიმი, სულთან აჰმედ ჯალაერის და ყარა-იუსუფის წაქეზებით, სივასის აოხრების გამო შურისძიების მიზნით, ერზინჯანს თავს დაესხა, მას ალყა შემოარტყა და ქალაქი აიღო.

სივასიდან თემურლენგი სირიაში შეიჭრა, იქიდან გეზი აღმოსავლეთისაკენ აიღო და დაიპყრო ბაღდადი, შემდეგ წავიდა თავრიზისაკენ, იქიდან ნახიჭევანში და 1402 წელს ზამთარი ყარაბაღში გაატარა.

ევროპის სახელმწიფოები დიდ იმედებს ამყარებდნენ თემურლენგზე და მისგან ოსმალთა მოძალებისაგან ხსნას ელოდნენ.

ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლაში თემურლენგი საიმედო მოკავშირედ მიაჩნდათ ბიზანტიისა და ტრაპიზონის იმპერატორებს. ზოგიერთი წყაროს მიხედვით, ბიზანტიის იმპერატორმა თემურლენგს დახმარება შესთავაზა ოსმალეთის წინააღმდეგ საბრძოლველად.

1402 წლის დამდეგისათვის თემურლენგმა საგრძნობლად განიმტკიცა თავისი პოზიციები ოსმალეთთან ომის დაწყების წინ: აღადგინა დაკარგული ძალაუფლება ერაყის არაბეთში, სირიაში, ხელთ იგდო მნიშვნელოვანი სავაჭრო-სატრანზიტო ქალაქები ბაღდადი, ალეპო, დამასკო და ოსმალეთს ხელიდან გამოგლიჯა სტრატეგიული ციხე-სიმაგრე ქ. სივასი.

1402 წლის გაზაფხულზე ყარაბაღში თემურმა დიდი ყურულთაი მოიწვია, სადაც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, დაეწყოთ ომი ოსმალეთის წინააღმდეგ.

1402 წლის აპრილის თვეში თემურლენგმა ყარაბაღი დატოვა და ოსმალეთის წინააღმდეგ სალაშქროდ გაემართა. გზაზე თემურის ლაშქარმა თორთუმის ციხე აიღო და არზრუმზე გავლით ანატოლიისაკენ გაემართა.

ოსმალეთის სულთანი ბაიაზიდ I მომზადებული შეხვდა მტერს და დაიძრა მის წინააღმდეგ საბრძოლველად. ბაიაზიდს ურჩევდნენ, თავი აერიდებინა თემურლენგთან პირდაპირი შებრძოლებისაგან, ხეობებსა და მთებში შეეტყუებინა მოწინააღმდეგის ჯარი და პარტიზანული თავდასხმებით დაექსაქსა და გაენადგურებინა იგი. მაგრამ ბაიაზიდმა ქედმაღლურად უარყო ეს წინადადება.

გადამწყვეტი ბრძოლა ბაიაზიდსა და თემურლენგის ლაშქარს შორის მოხდა 1402 წლის 28 ივლისს ანგორასთან (ანკარა). სხვადასხვა წყაროს მონაცემებით, ბაიაზიდის არმია 120-160 ათას ჯარისკაცს ითვლიდა, ხოლო თემურლენგის ლაშქარი რამდენჯერმე აღემატებოდა მას. ზოგიერთი წყაროს მონაცემით, ბრძოლაში ორივე მხრიდან ნახევარ მილიონამდე კაცი იღებდა მონაწილეობას. ეს რიცხვი, რა თქმა უნდა, მეტად გადაჭარბებულია, მაგრამ იმ დროისათვის ორივე მხარეს საკმაოდ დიდი ძალა გააჩნდა. თემურლენგმა გამოიყვანა ბრძოლის ველზე აგრეთვე 30 საბრძოლო ინდური სპილო, რამაც მტერზე დიდი ზეგავლენა მოახდინა. ბრძოლა მეტად ცხარე და სისხლისმღვრელი იყო. ამ ბრძოლაში თემურლენგმა სასტიკად დაამარცხა ოსმალეთის ლაშქარი. სულთანი ბაიაზიდი და მისი შვილი მუსა ტყვედ იგდო. ბაიაზიდის დამარცხების ერთ-ერთი მიზეზი იყო ღალატი. ანატოლიის ყოფილი ბეილიქების (ყარამანიის, სარუხანის, გერმიანის) გამგებლები იყვნენ თემურლენგის ლაშქარში და იგი ჰპირდებოდა მათ ბეილიქების დაბრუნებას. ბრძოლის დროს ამ ბეილიქების სამხედრო რაზმები თავისი ბეგების მხარეზე გადავიდნენ. საერთოდ კი უნდა ითქვას, რომ ბალკანეთიდან მოსული საბრძოლო შენაერთები უფრო თავდადებით იბრძოდნენ, ვიდრე ანატოლიისა. აქ გარკვეული როლი ითამაშა თურქულმა ტომობრივმა გრძნობებმა.

ერთმა თვითმხილველმა აღწერა აღმოსავლეთის ამ ორი დიდმპყრობელის შეხვედრა, რომელთაგან ერთი იყო გამარჯვებული, მეორე კი არარაობად ქცეული. დატყვევებული ბაიაზიდი თემურს მიჰგვარეს. თემურლენგმა თანაგრძნობით მიმართა მას:

„დიდმა ალაჰმა, – თქვა მან, – ნახევარი მსოფლიო მიბოძა მე, კოჭლს და ნახევარიც შენ, ცალთვალას[2]; კურთხეულ იყოს სახელი მისი“.

ეს ამბავი ფარსადან გორგიჯანიძესთან ასეა გადმოცემული: როცა თემურლენგს დატყვევებული ბაიაზიდი მიუყვანეს, „უნებურათ თემურს სიცილი მოუვიდა. ხონთქარს ეწყინა და ასრე მოახსენა – დღე უღამოთ არავის უნახავსო, ყოველი იძვრისი მიწათ იქცევისო. თემურ ასრე მოახსენა ხონთქარსა: ამაში ღმერთს ვიმოწმებო, რომ გახარებითა და ჩემად საამებლად არ გამიცინიაო. ამაზე სიცილი უნებურად მომივიდაო, რომ ღვთის წინაშენ ქვეყანანი როგორ უფასონი არიანო. რომ ჩემისთანა კოჭლმანო და თქვენისთანა ელამმანო ცუდს საქმეზედანო ორასი ათასი კაცი შემოვახოცეთო“.

ანგორის ბრძოლის შემდეგ თემურლენგმა დაიპყრო ქალაქები კონია, დენიზლი, ბურსა, იზმირი, ნიკეია და სხვა. მისმა ჯარებმა ქალაქები და სოფლები საშინლად გაძარცვეს და აოხრეს.

თემურლენგმა, ბაიაზიდის დამარცხების შემდეგ, გადაწყვიტა დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებთან სავაჭრო ურთიერთობა დაემყარებინა. ამ მიზნით მან სულთანიეს არქიეპისკოპოსის იოანე ჰალიფონტელის ხელით გაუგზავნა წერილები საფრანგეთისა და ინგლისის მეფეებს (დათარიღებული 1402 წ. აგვისტოთი); თემურლენგი სთავაზობდა ამ მონარქებს სავაჭრო ურთიერთობის დამყარებას.

მცირე აზიაში ლაშქრობის დროს თემურლენგი დატყვევებულ ბაიაზიდს თან დაატარებდა. მან გაქცევა სცადა, მაგრამ ამაოდ. იგი შეიპყრეს და ბორკილები დაადეს. ზოგი ისტორიკოსის ცნობით, იგი რკინის გალიაში ჩაუსვამთ. “ჩასუა რკინის ყაფაზში“, წერს ბერი ეგნატაშვილი, და რკინის ყაფაზით ატარებდაო. 1403 წელს ბაიაზიდი ტყვეობაში გარდაიცვალა.

მცირე აზიის დამორჩილების შემდეგ თემურლენგი სამარყანდში დაბრუნდა და შეუდგა ჩინეთში დიდი ლაშქრობისათვის სამზადისს, მაგრამ 1405 წელს მოულოდნელად გარდაიცვალა.

2. ტახტისათვის ბრძოლა უფლისწულებს შორის

თემურლენგის შემოსევებს ჰქონდა ოსმალეთისათვის მეტად მძიმე შედეგები. თემურლენგმა გადაწყვიტა დიდი ხნით დაესუსტებინა ოსმალეთის სახელმწიფო და ამ მიზნით დაანაწილა იგი: მან აღადგინა ყარამანიის, გერმიანის, აიდინისა და სხვა ბეილიქების დამოუკიდებლობა. თემურლენგი ამითაც არ დაკმაყოფილდა და დაურიგა ბაიაზიდის ოთხ შვილს ოსმალეთის სამეფოს ტერიტორია. ამით მან შექმნა ხელსაყრელი პირობები ძმათა შორის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლისათვის.

უფროსმა ძმამ სულეიმანმა მიიღო ევროპის სამფლობელოები, დედაქალაქ ადრიანოპოლის ჩათვლით, და ამიტომ იგი აცხადებდა პრეტენზიას სულთნობაზე. ამ დროიდან მოყოლებული, ძმებს შორის დაიწყო ბრძოლა ტახტისათვის, რომელიც გაჩაღდა თემურლენგის მცირე აზიიდან (1403) წასვლისთანავე.

სულეიმანი შეეცადა პრეტენდენტების წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარება მიეღო ბიზანტიის იმპერატორის მანუელ II-საგან. ამ მიზნით სულეიმანმა ბიზანტიას დაუბრუნა თესალონიკე (სალონიკი) და თრაკიის რიგი ქალაქებისა. აგრეთვე დაჰპირდა მომავალში აზიის ზოგიერთი სამფლობელოს გადაცემას, რომლებსაც აკონტროლებდნენ ბაიაზიდის სხვა შვილები. თავის მხრივ, იმპერატორი ცდილობდა გამოეყენებინა

[2] კოჭლობის გამო თემურს მეტსახელად „ლენგი“ შეარქვეს („ლენგ„ ან „ლანგ“ სპარსულად კოჭლს ნიშნავს). ბაიაზიდს ერთ-ერთ ბრძოლაში თვალი დაუზიანდა.

ხელსაყრელი ვითარება თავისი ინტერესების სასარგებლოდ და თავისი დისშვილი სულეიმანს მისცა ცოლად. ამის საპასუხოდ სულეიმანმა კონსტანტინოპოლში მძევლად გაგზავნა თავისი უმცროსი ძმა კასემი. სულეიმანმა, აგრეთვე, მცირეოდენი დათმობების გზით დადო შეთანხმება ვენეციასთან, გენუასთან და როდოსის რაინდებთან, რომ ისინი ძმებს შორის ომის შემთხვევაში დაიცავდნენ ნეიტრალიტეტს.

არც სხვა პრეტენდენტები ისხდნენ გულხელდაკრეფილნი. ასე, მაგალითად, ბაიაზიდის მეორე შვილმა მუსტაფამ დახმარება მიიღო ვალახეთის გოსპოდარისაგან.

ტახტისათვის ბრძოლა გამოიხატებოდა არა მარტო პრეტენდენტების პირად ამბიციებში. ამ ბრძოლაში ბაიაზიდის შვილები ეყრდნობოდნენ სხვადასხვა დაჯგუფებებს, რომლებსაც თავიანთი პირადი ინტერესები ამოძრავებდათ. სულეიმანს დასაწყისში მხარი დაუჭირეს ევროპის ვასალური სამფლობელოების მსხვილმა ბეგებმა; შემდგომში მან თავის დასაყრდენად გაიხადა იენიჩარები, აგრეთვე თავის მხარეზე მიიმხრო ქრისტიანი თავადები. სწორედ იმის გამო, რომ მას აღარ ჰქონდა მხარდაჭერა ადგილობრივი ბეგების მხრიდან, სულეიმანი დამარცხდა ტახტისათვის ბრძოლაში.

სულეიმანი ჩაება თავისი ძმის ისას წინააღმდეგ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში. პირველი დამარცხების შემდეგ ისამ თავი შეაფარა კონსტანტინოპოლს. შემდგომ ისამ ხელმეორედ შეაგროვა 10 ათასიანი ჯარი, გაემართა სულეიმანის წინააღმდეგ, მაგრამ სულეიმანმა კვლავ შეძლო მისი დამარცხება. მესამედ ისამ დახმარება მიიღო სარუხანისა და მენთეშეს ბეგებისაგან, მაგრამ ამჯერადაც დამარცხდა. 1405 წელს სულეიმანმა დაატყვევა ისა და სიკვდილით დასაჯა.

ისას დაღუპვის შემდეგ, სულეიმანის წინააღმდეგ ბრძოლა გააჩაღა მუსამ. 1408 წელს სულეიმანმა შეძლო კონსტანტინოპოლის მახლობლად გამართულ ბრძოლაში მისი დამარცხება. სულეიმანი არ აქცევდა ყურადღებას სახელმწიფოს საქმეებს და დროს ლოთობაში ატარებდა. ამის გამო მან თანდათანობით დაკარგა ავტორიტეტი და გავლენა თავის მომხრეებს შორის, განსაკუთრებით კი არმიაში.

ამ გარემოებით ისარგებლა მუსამ და გააძლიერა აგიტაცია სულეიმანის წინააღმდეგ. აკრიტიკებდა მის პრობიზანტიურ პოლიტიკას, „ურჯულოებთან“ თანამშრომლობას. მუსა გამოდიოდა „ურჯულოების“ წინააღმდეგ ბრძოლის ლოზუნგით. მისმა აგიტაციამ ნაყოფი გამოიღო. სულეიმანის ჯარის ნაწილები თანდათანობით მუსას მხარეზე გადავიდნენ. 1409 წელს, ერთ-ერთი შეტაკების დროს, სულეიმანი დამარცხდა და აპირებდა კონსტანტინოპოლში გაქცევას, მაგრამ მოკლულ იქნა. მუსა ადრიანოპოლში შევიდა და ტახტი დაიკავა.

მუსამ მხოლოდ დაახლოებით ოთხ წელს შეძლო ტახტის შენარჩუნება. ამ პერიოდში მან მოაწყო დამარბეველი ლაშქრობა სერბიაში, ხელთ იგდო და საშინლად გაძარცვა ქ. სალონიკი. 1411 წელს მუსამ სცადა კონსტანტინოპოლის აღება. ბიზანტიის იმპერატორმა დახმარებისათვის მიმართა მუსას უმცროს ძმას მეჰმედს, რომელმაც ამ დროისათვის მტკიცედ მოიკიდა ფეხი მცირე აზიის სამფლობელოებში. მეჰმედი სიამოვნებით გამოეხმაურა იმპერატორის თხოვნას. მუსას ცდა, ხელთ ეგდო კონსტანტინოპოლი, მარცხით დამთავრდა.

ამ დროისათვის მეჰმედი ისე გაძლიერდა, რომ გადაწყვიტა დაეწყო ბრძოლა ტახტისათვის. ამ მიზნით მან კავშირი დაამყარა სერბიის მთავართან და იგი დაპირდა დახმარებას მუსას წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. მეჰმედმა აგრეთვე შეძლო საიდუმლოდ თავის მხარეზე მიემხრო ძმის სამსახურში მყოფი რამდენიმე დიდმოხელე და სამხედრო სარდალი. მეჰმედს აშკარად მხარი დაუჭირა თესალიის გამგებელმა. 1413 წელს მარიცას ველზე მოხდა მეჰმედისა და მუსას ჯარებს შორის გადამწყვეტი ბრძოლა. მუსა დამარცხდა და გაქცევით უშველა თავს, მაგრამ შეიპყრეს და სიკვდილით დასაჯეს. ამგვარად, ტახტი ხელთ იგდო მეჰმედმა. მან გვირგვინი

სიკვდილამდე შეინარჩუნა და იგი ცნობილია მეჰმედ I ჩელების (1413-1421) სახელწოდებით.

მეჰმედ I-მა შეძლო დაემორჩილებინა ოსმალეთის სამფლობელოები რუმელიასა და მცირე აზიაში. იგი ამჯობინებდა ჰქონოდა მშვიდობიანი ურთიერთობა ბიზანტიასთან და მან იმპერატორს დაუბრუნა სალონიკი და რიგი ქალაქებისა, რომლებიც თავის დროზე მუსამ დაიკავა. მეჰმედმა ვერ შეძლო მხოლოდ ყარამანიის ბეგის დამორჩილება და იძულებული გახდა 1415 წელს მასთან ზავი დაედო. 1416 წლიდან მეჰმედ I ომს აწარმოებდა ვენეციის წინააღმდეგ, რომელმაც ხელთ იგდო ბიზანტიელების ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი; ვენეციელი მეზღვაურები თავს ესხმოდნენ ოსმალთა გემებს. ომი უპირატესად მიმდინარეობდა ზღვაზე, ხოლო ამ პერიოდში ოსმალთა ფლოტი მეტად სუსტი იყო. ყველაზე მნიშვნელოვანი საზღვაო ბრძოლა ვენეციელებთან დარდანელის მახლობლად მოხდა, სადაც ოსმალებმა დამარცხება განიცადეს. სხვა საზღვაო ოპერაციებმაც ოსმალებს წარმატება ვერ მოუტანეს და სულთანი იძულებული იყო ვენეციას დაზავებოდა. 1420 წელს მეჰმედმა შეძლო იზმითის ყურეში რიგი ქალაქების დაბრუნება, რომლებიც ანგორის შემდეგ ბიზანტიელებმა აიღეს.

3. გლეხთა აჯანყებები XV საუკუნის დამდეგს

მცირე აზიაში თემურლენგის შემოსევებმა და ბაიაზიდი I-ის შვილებს შორის ტახტისათვის ბრძოლამ ძალზე გააუარესა ხალხის მასების ეკონომიკური მდგომარეობა. ქვეყანა სასტიკად იყო დანგრეული და გაპარტახებული. ასეთ ვითარებაში, XV საუკუნის დამდეგს ადგილი ჰქონდა გლეხთა აჯანყებებს. ეს აჯანყებები გამოწვეული იყო ხალხის მასების ეკონომიკური მდგომარეობის მკვეთრი გაუარესებითა და ფეოდალური ექსპლუატაციის გაძლიერებით. ყველა ეს აჯანყება რელიგიურ სამოსელში იყო გახვეული. მათ სათავეში ედგნენ დერვიშთა შეიხები, ისინი თავს აცხადებდნენ მოციქულებად და მოითხოვდნენ ქვეყანაში სამართლიანობისა და წესრიგის აღდგენას.

აჯანყების იდეური ხელმძღვანელი და ერთ-ერთი გამოსვლის მეთაური იყო შეიხ ბედრედინ სიმავი (1358-1416). შეიხ ბედრედინს მუსას დროს ეკავა რუმელიის ყადი ასქერის თანამდებობა, ხოლო მეჰმედ I-ის გამარჯვების შემდეგ იგი გადაასახლეს დასავლეთ ანატოლიაში ქ. იზნიქში. იგი რამდენიმე წლის განმავლობაში მოგზაურობდა: მოინახულა ეგვიპტე, თავრიზი, ანატოლია, გაეცნო მომთაბარე ტომებისა და ქრისტიანების ცხოვრებას, იყო კუნძულ როდოსზე. მისი მოძღვრება ჩამოყალიბდა ამ მოგზაურობათა შედეგად მიღებული შთაბეჭდილებების საფუძველზე. მისი ქადაგება შეიცავდა ისლამური მისტიკის ელემენტებს, შიიტურ რწმენას მესიის მოვლენისა და ზოგიერთ ქრისტიანულ იდეას. შეიხ ბედრედინ სიმავი თავისი სოციალური შეხედულებებით იყო ჰუმანისტი. იგი გმობდა სოციალურ უთანასწორობას. ამასთან აცხადებდა, რომ ადამიანები თანასწორნი არიან განურჩევლად მათი რელიგიური მრწამსისა. იგი მოუწოდებდა ასკეტური ცხოვრების წესისაკენ და თვითონ ამგვარ ცხოვრებას ეწეოდა. ბედრედინი ქადაგებდა, რომ დედამიწაზე გამოჩნდებოდა მაჰდი და მოსპობდა უსამართლობასა და ბოროტებას.

1416 წლის გაზაფხულზე მან ისარგებლა მეჰმედ I-ის რთული მდგომარეობით და გადაწყვიტა აემხედრებინა გლეხობა სულთნის წინააღმდეგ. შეიხ ბედრედინმა თავისი მოწაფეები – მურიდები გაგზავნა თავიანთ მშობლიურ მხარეში, რათა დაეწყოთ აგიტაცია გლეხთა აჯანყების მიზნით.

აჯანყებათაგან ყველაზე ძლიერი იყო ბედრედინ სიმავის მოწაფის ბურქლუჯე მუსტაფას (იგი გამაჰმადიანებული ებრაელი იყო) აჯანყება, რომელიც მთელ სამხრეთ-აღმოსავლეთ ანატოლიაში გავრცელდა. აჯანყებაში მონაწილეობას იღებდნენ სხვადასხვა ეროვნებების წარმომადგენლები: თურქები, ბერძნები, ებრაელები. აჯანყებულთა რიცხვმა თითქმის 10 ათასს მიაღწია. აჯანყების ჩაქრობა დაავალეს დიდ ვეზირს ბაიაზიდ ფაშას. მან დიდი ბრძოლების შედეგად შეძლო აჯანყების ჩაქრობა. ბურქლუჯე მუსტაფა და მისი ბევრი თანამებრძოლი დაატყვევეს. დიდი ვეზირის ბრძანებით, ყველანი სიკვდილით დასაჯეს.

მეორე აჯანყება მოხდა მანისას რეგიონში და მას ბედრედინ სიმავის მოწაფე თორლაქ ქემალი ხელმძღვანელობდა. მას მხარი დაუჭირა 7 ათასმა კაცმა. ბურქლუჯე მუსტაფას აჯანყების ჩაქრობის შემდეგ დიდი ვეზირი ბაიაზიდ ფაშა თორლაქ ქემალის წინააღმდეგ გაემართა და ეს აჯანყებაც ჩააქრო.

მესამე აჯანყებას თვით ბედრედინ სიმავი ხელმძღვანელობდა. მან სცადა თავის მხარეზე მიემხრო აიდინისა და კასტამუნის გამგებლები, მაგრამ უშედეგოდ. ამის შემდეგ მან გადაწყვიტა დაეტოვებინა ანატოლია, გადასულიყო ოსმალეთის ევროპულ ნაწილში და იქიდან დაეწყო გამოსვლა. იგი ჩავიდა ვალახეთში, იქიდან - ჩრდილო-აღმოსავლეთ ბულგარეთში, იეშილ-დენიზის რაიონში. აქ მან თავის ირგვლივ შემოიკრიბა მთავრობის პოლიტიკით უკმაყოფილო მასები და მოუწოდა მათ აჯანყებისაკენ. შეიხ ბედრედინ სიმავიმ თავისი თავი გამოაცხადა მაჰდიდ და მიზნად დაისახა ხელთ ეგდო ძალაუფლება. იგი თავისი მიმდევრებითურთ დაიძრა ქ. ადრიანოპოლისაკენ. მაგრამ მალე ეს აჯანყებაც ჩაქრობილ იქნა და 1416 წლის 18 დეკემბერს შეიხ ბედრედინ სიმავი სიკვდილით დასაჯეს.

შეიხ ბედრედინისა და მისი მოწაფეების გამოსვლები იყო ფართო სახალხო მოძრაობა, რომელშიაც მონაწილეობდნენ გლეხები, მომთაბარეები და სიფაჰიების დაბალი ფენები. თავისი იდეური მიმართულებით იგი უტოპიური იყო, რადგან მას სურდა შეეჩერებინა ქვეყანაში ფეოდალიზაციის პროცესი და დაემყარებინა სოციალური თანასწორობა.

4. ოსმალეთი XV საუკუნის 20-იან წლებში

მიუხედავად იმისა, რომ XV საუკუნის დამდეგს ოსმალეთის სახელმწიფომ განიცადა თემურლენგის შემოსევების ძლიერი დარტყმები და მდგომარეობა უაღრესად გართულდა, აგრეთვე, სამოქალაქო ომისა და გლეხთა აჯანყებების შედეგად, მან ყოველივე ეს გადაიტანა და შეძლო აღედგინა თავისი პოტენციალი. ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ ოსმალეთის სოციალურ-პოლიტიკური სტრუქტურა გამძლე აღმოჩნდა, რომლის ერთ-ერთი მთავარი საფუძველი იყო თიმარული სისტემა. XV საუკუნის 20-იანი წლებიდან ოსმალეთის სახელმწიფო, წელში გაიმართა რა საგარეო და საშინაო დარტყმებისაგან, კვლავ შეუდგა აქტიური დაპყრობითი პოლიტიკის გატარებას.

1421 წლის მაისში მოულოდნელად გარდაიცვალა მეჰმედ I. ახლობლები სულთნის გარდაცვალებას 40 დღის განმავლობაში ინახავდნენ საიდუმლოდ მისი ვაჟის მურადის დედაქალაქში ჩასვლამდე, შიშობდნენ ტახტი ხელთ არ ეგდო მეჰმედის ძმას მუსტაფას.

მურად II (1421-1451) იძულებული გახდა გამეფებისთანავე დაეწყო ბრძოლა მუსტაფას წინააღმდეგ, რომელმაც პრეტენზია განაცხადა ტახტზე. მუსტაფამ შეძლო კონტროლი დაემყარებინა რუმელიის პროვინციების ნაწილზე, შემდეგ მან სცადა



ტყვეთა სყიდვის ბაზარი

ანატოლიაში შეჭრილიყო. 1422 წლის გაზაფხულზე ბურსის მახლობლად მურად II-სა და მუსტაფას ლაშქარს შორის მოხდა ბრძოლა, მუსტაფა დამარცხდა და გაქცევით უშველა თავს. იგი მალე დაატყვევეს და მურადის ბრძანებით სიკვდილით დასაჯეს.

მუსტაფას აჯანყებამ შექმნა ხელსაყრელი პირობები ანატოლიაში სეპარატისტული გამოსვლებისათვის. 1424-1426 წლებში მურად II-მ შეძლო ურჩი ბეგების გამოსვლების ჩაქრობა და აღადგინა ოსმალთა ხელისუფლება გერმიანის, სარუხანისა და ჰამიდის ბეილიქებში.

ამის შემდეგ ოსმალეთის სულთნის წინაშე მთელი სიმწვავით დადგა ორი პრობლემა: გასწორებოდა მთავარ მოწინააღმდეგეებს – ბიზანტიას და ყარამანიის ბეილიქს ანატოლიაში.

1422 წლის ზაფხულში მურად II-მ სცადა საბოლოოდ გაენადგურებინა ბიზანტიის სახელმწიფო. მან ალყა შემოარტყა კონსტანტინოპოლს. ქალაქი კარგად იყო გამაგრებული, სულთანს კი არ ჰქონდა საკმარისი საალყო დანადგარები. ამავე დროს მან ვერ შეძლო ქალაქის ზღვიდან ბლოკირება. 1422 წლის 24 აგვისტოს ოსმალებმა ქალაქზე იერიში მიიტანეს. კონსტანტინოპოლის დამცველებმა გამოიჩინეს საოცარი მამაცობა და გმირობა. ქალები და ბავშვებიც კი მონაწილეობას იღებდნენ ქალაქის დაცვაში. ბრძოლა გრძელდებოდა მთელ დღეს. მურად II-მ ვერავითარ წარმატებას ვერ მიაღწია და იძულებული შეიქნა ალყა მოეხსნა. იგი ბიზანტიის დედაქალაქს დასაპყრობად აღარ მობრუნებულა და თავისი ლაშქარი პელოპონესის დასარბევად გაგზავნა.

კონსტანტინოპოლის უშედეგო ალყის შემდეგ ოსმალებმა დაპყრობითი ომები განაახლეს სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში. ბიზანტიის იმპერატორმა კვლავ აღიარა თავი სულთნის მოხარკედ. 1430 წელს ოსმალებმა ხელმეორედ დაიპყრეს სალონიკი

– მნიშვნელოვანი ქალაქი-ნავსადგური ეგეოსის ზღვაზე. ქალაქი საშინლად გაძარცვეს და დაანგრიეს, ხოლო მოსახლეობა ტყვედ წაიყვანეს და იქ თურქები ჩაასახლეს.

ოსმალეთის დასუსტება დროებითი მოვლენა აღმოჩნდა. იგი განაპირობა საგარეო ფაქტორმა, კერძოდ, თემურლენგის შემოსევამ და არა სოციალურ-პოლიტიკურმა კრიზისმა. ოსმალეთის ახალგაზრდა სახელმწიფომ ამ დროისათვის შეინარჩუნა და აღადგინა დაპყრობითი ომების წარმოების პოტენციალი, რასაც უდავოდ ხელი შეუწყო არსებულმა მიწათმფლობელობის წესმა, კერძოდ, თიმარულმა სისტემამ. ოსმალეთი კვლავ მოევლინა დასავლეთისა და აღმოსავლეთის სახელმწიფოებს საშიშ ძალად, რომლის ექსპანსიას ისინი გამუდმებით განიცდიდნენ. ასეთი ვითარება გრძელდებოდა XV საუკუნის მეორე ნახევრიდან XVI საუკუნის უკანასკნელ მეოთხედამდე.

XV საუკუნის ოციან წლებში ოსმალეთის სახელმწიფომ სწრაფად შეძლო თემურლენგის შემოსევების შედეგად დაშლილი ქვეყნის ერთიანობის აღდგენა. შეიქმნა სახელმწიფოს ეკონომიკური და სამხედრო პოტენციალის ზრდის პირობები.

მურად II-მ განახორციელა რიგი რეფორმებისა, რის შედეგადაც საგრძნობლად განმტკიცდა სახელმწიფო და მისი სამხედრო ძლიერება. აღსანიშნავია, რომ სულთანმა მიიღო ზომები იენიჩართა კორპუსის დაკომპლექტების გასაუმჯობესებლად. დაპყრობითი ომების წარმოება მოითხოვდა იენიჩართა კორპუსის რიგების ზრდას. ის წესი, რომლის მიხედვითაც ხდებოდა იენიჩართა კორპუსის დაკომპლექტება, აღარ აკმაყოფილებდა სახელმწიფოს ინტერესებს. კერძოდ, მიღებულ იქნა კანონი ე. წ. დევშირმეს შესახებ, რომლის მიხედვითაც ხდებოდა ქრისტიანული მოსახლეობიდან ახალწვეულთა ჩარიცხვა იენიჩართა რიგებში. ამის საფუძველზე, ოსმალეთის მიერ დაპყრობილ ქრისტიანულ ქვეყნებში იძულებით კრეფდნენ 8-18 წლის ჭაბუკებს იენიჩართა რიგების შესავსებად. წელიწადში ყოველ 10 ოჯახს 5 ან 3 ბავშვი უნდა გაეგზავნა იენიჩართა კორპუსისათვის. ამისათვის ოსმალეთში არსებობდა სპეციალური ორგანიზაცია „აჯემი ოღლანი“ („უცხოელი ბიჭები“), სადაც თავს უყრიდნენ დევშირმეს წესით შეგროვილ ქრისტიან ყმაწვილებს. მათ მიაღებინებდნენ ისლამს და დროებით გზავნიდნენ სოფლებში თურქულ ოჯახებში, თურქული ენის შესასწავლად; ხოლო 3-4 წლის შემდეგ, როდესაც ეს ყმაწვილები გაიზრდებოდნენ რელიგიური ფანატიზმითა და მონური მორჩილების სულისკვეთებით, მათ ამზადებდნენ სამხედრო სამსახურისათვის. იენიჩარებს არ ჰქონდათ ცოლის შერთვისა და ოჯახის ყოლის უფლება. დევშირმეს წესი ვრცელდებოდა ალბანელებზე, ბოსნიელებზე, სერბებზე, უნგრელებზე, ბერძნებზე და სომხებზე.

ამ კანონის მიღების შემდეგ გაიზარდა იენიჩართა რიგები, რამაც ხელი შეუწყო ოსმალთა დაპყრობითი ომების შემდგომ წარმატებებს.

მურად II-ის მზრუნველობის საგანი იყო, აგრეთვე, თიმარული სისტემის შემდგომი სრულყოფა, რომელიც ოსმალეთის სამხედრო-ფეოდალური სახელმწიფოს მთავარ დასაყრდენს წარმოადგენდა.

5. ანტიოსმალური კოალიციის შექმნა და ბალკანეთის ხალხების ბრძოლა ოსმალთა წინააღმდეგ XV საუკუნის 30-40-იან წლებში

თემურლენგის მიერ ბაიაზიდის დამარცხების შედეგად ევროპაში ოსმალეთის საფრთხე შენელდა, მაგრამ მურად II-ის ახალმა დაპყრობებმა ბალკანეთში და ოსმალთა არმიის წინსვლამ დასავლეთის მიმართულებით ევროპაში კვლავ დიდი შეშ-

ფოთება გამოიწვია. ოსმალეთის საფრთხის ლიკვიდაციის მიზნით საჭირო იყო ევროპის სახელმწიფოების ძალების გაერთიანება. მაგრამ ევროპის ქვეყნებს შორის მიმდინარეობდა განუწყვეტელი ბრძოლა, ხოლო ზოგიერთი მათგანი ეძებდა კავშირს ოსმალეთთან. ყოველივე ეს დიდად აბრკოლებდა ევროპის სახელმწიფოების გაერთიანებას ოსმალთა წინააღმდეგ.

1439 წელს ფლორენტინის უნიის მსოფლიო საეკლესიო კრებაზე, რომელიც რომის პაპის მეთაურობით ჩატარდა, მიიღეს გადაწყვეტილება – მოეწყოთ ჯვაროსნული ლაშქრობა ოსმალეთის წინააღმდეგ. მაგრამ მისი რეალიზაცია ჭიანურდებოდა.

1440 წელს მურად II სერბიაში შეიჭრა და ალყა შემოარტყა ქ. ბელგრადს. მაგრამ ქალაქი კარგად იყო გამაგრებული და სულთანი იძულებული შეიქნა ალყა მოეხსნა და უკან გაბრუნებულიყო. ბელგრადთან ოსმალთა წარუმატებლობამ გაამხნევა ჯვაროსნული კოალიციის მომხრეები. რომის პაპმა და ბიზანტიის იმპერატორმა მოწოდებით მიმართეს ევროპის სახელმწიფოებს – დაეწყოთ ჯვაროსნული ლაშქრობა ოსმალეთის წინააღმდეგ. ამ მოწოდებას ენთუზიაზმით გამოეხმაურა უნგრეთის მეფე ვლადისლავ III, მას დახმარება აღუთქვა სერბიის დესპოტმა გიორგიმ. ალბანთა ბელადმა გიორგი კასტრიოტმა (სკანდერბეგმა) ოსმალეთს ომი გამოუცხადა. ანტიოსმალური ბრძოლის სულისჩამდგმელი იყო იანოშ ჰუნიადი, ტრანსილვანიის ვოევოდა. ამავე დროს ჯვაროსნებმა დაიყოლიეს ყარამანიის გამგებელი, თავს დასხმოდა სულთნის სამფლობელოებს მცირე აზიაში. უნგრეთის არმიამ და მოკავშირეთა ჯარებმა, რომელთაც იანოშ ჰუნიადი სარდლობდა, გადალახეს დუნაი და დაიწყეს ოსმალთაგან დაპყრობილი ტერიტორიის განთავისუფლება. იანოშ ჰუნიადიმ ტრანსილვანიაში სასტიკად დაამარცხა ოსმალთა ლაშქარი. ამ გამარჯვების შემდეგ მოლდავეთისა და აღმოსავლეთ მთიანი ოლქების ვოევოდები, რომლებიც აღიარებდნენ სულთნის ქვეშევრდომობას, უნგრეთს შეუერთდნენ და ვლადისლავ III-ს ერთგულება შეჰფიცეს. 1442 წელს სულთანმა ახალი ჯარები გაგზავნა ტრანსილვანიაში, მაგრამ მათაც სასტიკი დამარცხება იგემეს.

რომის პაპმა ევროპის ქვეყნებს მოუწოდა ჯვაროსნული ლაშქრობისაკენ. ჯვაროსნულ ლაშქრობაში მონაწილეობის მიზნით დასავლეთ ევროპის სხვადასხვა ქვეყნიდან უნგრეთში მოხალისეები ჩავიდნენ. რომის პაპმა ევგენი IV-მ უნგრეთის მეფესთან ვლადისლავ III-თან გაგზავნა თავისი დელეგატი კარდინალი იულიან ცეზარინი, ანტიოსმალური კოალიციის ერთ-ერთი თავგამოდებული მომხრე.

1443 წლის ზაფხულში უნგრეთის არმია, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ პოლონელები, სერბები, ვალახები, გერმანელები, ჩეხები და, აგრეთვე, ჯვაროსნები დასავლეთ ევროპის სხვადასხვა ქვეყნებიდან ვლადისლავ III-ის სარდლობით, დუნაი-სპირეთში შეიჭრნენ, აიღეს ქალაქი ნისა და დაიძრნენ სოფიისაკენ.

იმ დროს, როდესაც მოკავშირეთა არმია ბალკანეთის ქვეყნებში შევიდა, ბიზანტიის იმპერატორის ძმამ კონსტანტინემ (შემდგომ იმპერატორი კონსტანტინე XI) 10 ოქტომბერს დატოვა კონსტანტინოპოლი და გაემართა პელოპონესში, სადაც უნდა შეეკრიბა ლაშქარი სულთნის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ჯვაროსნებმა დაამარცხეს სამი საფაშოს გაერთიანებული ლაშქარი და აიღეს ქალაქი სოფია. სოფიიდან ფილიპოპოლამდე რჩებოდა სამი დღის სავალი, ხოლო ადრიანოპოლამდე – ექვსი. მაგრამ მოახლოებული ზამთრის სიცივეების გამო წინსვლა შეჩერდა.

სოფიის და სხვა ქალაქების განთავისუფლებამ ოსმალთა ბატონობისაგან დიდი გამოხმაურება ჰპოვა მთელ დასავლეთ ევროპაში. უნგრეთის მეფემ ვლადისლავ III-მ და იულიან ცეზარინიმ სოფიის აღების შემდეგ სასწრაფოდ აფრინეს შიკრიკები ვენეციაში თხოვნით – გაეგზავნათ ფლოტი ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებში,

რათა ამით ხელი შეეშალათ ოსმალებისათვის ანატოლიიდან ევროპაში ჯარების გადაყვანაში.

სანამ ანტიოსმალური კოალიციის სახელმწიფოების წარმომადგენლები მსჯელობდნენ, ვის რამდენი გემი უნდა გაეგზავნა კონსტანტინოპოლში სრუტეების დასაცავად და ოსმალთა ჯარის ევროპაში გადაყვანისათვის ხელის შესაშლელად, მურად მეორემ ენერგიული ზომები მიიღო. 1443 წლის გაზაფხულზე მან გაილაშქრა აჯანყებული ყარამანიის ბეგის იბრაჰიმის წინააღმდეგ და დაამარცხა იგი. შემდეგ სასწრაფოდ თავისი ჯარი სრუტეებზე ევროპაში გადაიყვანა და ჯვაროსანთა ლაშქრისაკენ გაემართა, მაგრამ ვერ გაბედა ბრძოლის დაწყება. უნგრეთის მეფეც მერყეობდა. სულთანმა უნგრეთის მეფეს ვლადისლავ III-ს ზავი შესთავაზა. 1444 წელს ივნისში ზავი დაიდო უნგრეთსა და ოსმალეთს შორის. მურად II-მ ყურანზე, ხოლო ვლადისლავ III-მ ბიბლიაზე ფიცი დადეს, რომ 10 წლის განმავლობაში არ დაარღვევდნენ მშვიდობიანობას. საზავო ხელშეკრულებით მურად II-ს სერბიის დესპოტისათვის გიორგი ბრანკოვიჩისათვის უნდა დაებრუნებინა ხულმი და ჰერცოგოვინა, სულთანს უნდა ეცნო უნგრეთის ხელისუფლება ვალახეთზე, ხოლო ალბანეთი უნდა გადაეცა სკანდერბეგისათვის და სხვ.

რომის პაპმა ევგენი IV-მ და ბიზანტიის იმპერატორმა იოანე VIII-მ ყველა ზომა მიიღეს, რათა უნგრეთის მეფეს ვლადისლავ III-ს დაერღვია ზავი და ოსმალეთთან ომი განეახლებინა.

უნგრეთში გაიგზავნა ვენეციისა და გენუის რესპუბლიკების სპეციალური ელჩები, რომლებსაც ვლადისლავისათვის უნდა ეცნობებინათ, რომ მათი მთავრობები მზად არიან გაგზავნონ თავიანთი ფლოტი გალიპოლისში, რათა ხელი შეუშალონ ოსმალეთის ჯარის გადაყვანას აზიიდან ევროპაში.

ბუდაში გაგზავნილ იქნენ საფრანგეთის, ინგლისის, ესპანეთის, არაგონიის, ბურგუნდიის და ფლორენციის ელჩები, რათა დაეყოლიებინათ უნგრეთის მეფე და უნგრეთის პოლიტიკური მესვეურები ჯვაროსნული ლაშქრობის მოწყობის საქმეში.

ბიზანტიის იმპერატორმა იოანემ პირადი წერილი გაუგზავნა ვლადისლავ III-ს, რომელშიაც ყოველგვარი არგუმენტებით ცდილობდა დაერწმუნებინა მეფე, დაერღვია ზავი ოსმალეთთან.

რომის პაპი უნგრეთის მეფისადმი გაგზავნილ ერთ-ერთ წერილში არწმუნებდა უნგრეთის მეფეს, რომ მას შეუძლია დაარღვიოს დადებული ფიცი, როცა საქმე ეხება ურწმუნოებსა და ერეტიკოსებს. მათივე მტკიცებით, ჯვაროსნული ლაშქრობის დაწყებისთანავე იფეთქებდა აჯანყება ბალკანეთის ქვეყნებში ოსმალთა ბატონობის წინააღმდეგ, რაც მნიშვნელოვნად გააადვილებდა ოსმალების დამარცხებას.

1444 წელს 40 წლის ოსმალეთის სულთანმა მურად II-მ უარი თქვა ტახტზე და ხელისუფლება გადასცა თავის ვაჟს, 12 წლის მეჰმედს (შემდგომ მეჰმედ II-ს, „ფათიჰ"-ს, კონსტანტინოპოლის დამპყრობს). მურადმა დატოვა ადრიანოპოლი (დედაქალაქი) და მანისაში (მცირე აზია) გაემგზავრა. ქვეყანაში კრიზისული მდგომარეობა შეიქმნა. მცირეწლოვანი სულთანი დიდი ვეზირისა და დიდმოხელეთა სათამაშო გახდა. ოსმალთა სამეფო დინასტიის შთამომავალმა ორხანმა ტახტზე პრეტენზია განაცხადა და დახმარებისათვის ბიზანტიის იმპერატორს მიმართა. სულთანს კვლავ აუჯანყდა ყარამანიის გამგებელი.

დრო მეტად ხელსაყრელი იყო. ბიზანტიის იმპერატორმა იოანე VIII-მ და რომის პაპმა ევგენი IV-მ ოსმალეთის წინააღმდეგ ჯვაროსნული ლაშქრობის გეგმა შეიმუშავეს: რომის პაპისა და ბიზანტიის გარდა ანტიოსმალურ კოალიციაში უნდა შესულიყო: უნგრეთი, ვენეცია, გენუა, პოლონეთი, ვალახეთი, სერბია, ალბანეთი, რაგუზა და ბურგუნდია. ვენეციის, რაგუზის, გენუის და ბურგუნდიის ფლოტი უნდა ჩასულიყო

კონსტანტინოპოლში, იქიდან მოეხდინა სრუტეების ბლოკირება და არ მიეცა საშუალება ოსმალეთისათვის, ლაშქარი მცირე აზიიდან გადაეყვანა ევროპაში. ამავე დროს მოკავშირეთა ფლოტი უნდა შესულიყო შავ ზღვაში, ოსმალთა ციხეები დაეკავებინა და დახმარება აღმოეჩინა ჯვაროსნებისათვის, რომლებიც უნდა გასულიყვნენ შავი ზღვის სანაპიროზე. ჯვაროსანთა ძირითადი ლაშქარი ხმელეთით უნდა შეჭრილიყო ბალკანეთში და გაენთავისუფლებინა ბალკანეთის ქვეყნები ოსმალთა ბატონობისაგან.

1444 წელს 25 გემისაგან შემდგარი ჯვაროსანთა ფლოტი კონსტანტინოპოლს მიადგა. 1444 წლის სექტემბრის დამდეგს დაიძრა უნგრეთის 20.000-იანი არმია ჰუნიადის სარდლობით, რომელშიაც შედიოდნენ, გარდა უნგრელებისა, ჩეხები, პოლონელები, ვალახები და სხვ. ლაშქართან ერთად იმყოფებოდა უნგრეთის მეფე ვლადისლავ III და კოალიციის თავგამოდებული მომხრე, რომის პაპის წარმომადგენელი კარდინალი იულიან ცეზარინი. ჯვაროსნებმა გადალახეს დუნაი, შეიჭრნენ დუნაისპირეთში, იქიდან ბულგარეთში და ქ. ვარნისაკენ გაემართნენ. ჯვაროსნები ვარნიდან აპირებდნენ ზღვით კონსტანტინოპოლში ჩასვლას და იქიდან გაერთიანებული ძალებით ოსმალეთისათვის დარტყმას. ჯვაროსნებს იმედი ჰქონდათ, რომ ოსმალეთის ბატონობის ქვეშ მყოფი ბალკანეთის ხალხები მხარს დაუჭერდნენ მოკავშირეებს. სერბიის დესპოტმა გიორგიმ უარი თქვა ანტიოსმალურ კოალიციაში მონაწილეობაზე და ოსმალეთს აცნობა ჯვაროსანთა გეგმები. ამასთანავე მან არ გაატარა თავის ტერიტორიაზე ალბანეთის გამგებლის სკანდერბეგის ლაშქარი, ჯვაროსნებთან შესაერთებლად მიმავალი.

მართალია, ანტიოსმალური გეგმა კარგად იყო შედგენილი, მაგრამ მის მონაწილეთა შორის არ იყო ერთიანობა და ყოველი მონაწილე თავის საკუთარ ინტერესებს სხვებზე მაღლა აყენებდა. ამ დროს განსაკუთრებით მწვავე ქიშპი იყო ვენეციელ და გენუელ ვაჭრებს შორის. ოსმალეთმა მოხერხებულად გამოიყენა ევროპის სახელმწიფოებს შორის არსებული წინააღმდეგობანი.

ოსმალეთის მდგომარეობა მეტად კრიტიკული იყო. შექმნილ ვითარებაში უავგუსტოესის დივანმა თხოვნით მიმართა მურად II-ს, კვლავ ხელში აეღო ძალაუფლება და ჩადგომოდა სათავეში ლაშქარს. მურად II დათანხმდა. იგი სასწრაფოდ დაბრუნდა დედაქალაქში და ენერგიული ზომები მიიღო. მურად II-მ სრუტეებზე მცირე აზიიდან ევროპაში ჯარის ნაწილები გადაიყვანა. ოსმალებმა სრუტეებში ჯვაროსანთა რამდენიმე გემი ჩაძირეს და არ მისცეს ბოსფორის ბლოკირების საშუალება. მურად II-მ, გენუელების გემების დახმარებით, გადაიყვანა აზიიდან ბალკანეთში 40.000-მეომრიანი ლაშქარი. გენუელებმა ამ სამსახურისათვის ყოველი ჯარისკაცის გადაყვანაში თითო დუკატი მიიღეს, ე. ი. სულ 40.000 დუკატი.

ჯვაროსნები არ მოელოდნენ ოსმალთა ესოდენ დიდი არმიის გამოჩენას ბალკანეთში. 1444 წლის 10 ნოემბერს ვარნასთან დიდი ბრძოლა გაიმართა ოსმალებსა და ჯვაროსნებს შორის, ჯვაროსნები დამარცხდნენ. ბრძოლაში დაიღუპა უნგრეთის მეფე ვლადისლავ III. ვარნასთან მოპოვებულმა გამარჯვებამ განამტკიცა ოსმალეთის სამხედრო ძლიერება და განაპირობა ბიზანტიის სახელმწიფოს საბოლოო დაცემა. ვარნის ბრძოლამ დიდი გამოძახილი ჰპოვა იმდროინდელ ევროპაში და მის ფარგლებს გარეთაც.

მიუხედავად ჯვაროსნებზე მოპოვებული გამარჯვებისა, ოსმალებმა მაინც ვერ შეძლეს ბალკანეთში ძველი მდგომარეობის მთლიანად აღდგენა.

1448 წელს იანოშ ჰუნიადიმ კიდევ ერთხელ სცადა შეეჩერებინა ოსმალეთის ექსპანსია, ამჯერად როგორც უნგრეთის მეფის რეგენტმა; შეადგინა რაზმი, რომელში-



იანოშ ჰუნიადი

აც შედიოდნენ უნგრელები, ჩეხები, პოლონელები და გერმანელები. მას აგრეთვე ჰქონდა იმედი სერბიისა და დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებისა.

1448 წლის ოქტომბერში ჰუნიადი თავისი ლაშქრით კოსოვოს ველზე დაბანაკდა. აქ მას უნდა შეერთებოდა სკანდერბეგის ჯარი. მაგრამ ვიდრე ალბანელები შეძლებდნენ იქ მისვლას, ჰუნიადის ლაშქარს მოულოდნელად თავს დაესხა ოსმალთა 50-ათასიანი არმია. ბრძოლა სამ დღეს (17-19 ოქტომბერს) გაგრძელდა და დამთავრდა ოსმალთა გამარჯვებით. იანოშ ჰუნიადიმ ძლივს შეძლო გაქცევით თავის გადარჩენა. ამ განადგურებამ, რომელიც მოხდა ვარნასთან დამარცხებიდან ოთხი წლის შემდეგ, მნიშვნელოვნად შეარყია უნგრეთის სამხედრო ძლიერება. როდესაც კონსტანტინოპოლი კრიტიკულ მდგომარეობაში აღმოჩნდა, იანოშ ჰუნიადიმ ვერაფრით ვერ შეძლო მისთვის დახმარების აღმოჩენა.

1449-1450 წლებში მურად II-მ მოაწყო ორი ლაშქრობა ალბანეთში, მაგრამ უშედეგოდ. მან ვერ დაძლია მთიელთა წინააღმდეგობა. ბალკანეთში, მხოლოდ ალბანეთის მთებში, არ წყდებოდა გმირული ბრძოლა ოსმალთა ბატონობის წინააღმდეგ.

ოსმალების მიერ ევროპაში მოპოვებული გამარჯვებების შედეგად კონსტანტინოპოლის დაცემა და ბიზანტიის იმპერიის მოსპობა, არსებითად, გარდაუვალი იყო.

თავი IV

კონსტანტინოპოლის დაცემა

1. მეჰმედ II

1451 წლის 2 თებერვალს ადრიანოპოლში მოულოდნელად გარდაიცვალა მურად II. მეჰმედი მანისაში იმყოფებოდა, როდესაც მას აცნობეს გარდაცვალების ამბავი. მან დატოვა მანისა, გადალახა დარდანელის სრუტე და გალიპოლისში ჩავიდა, სადაც რამდენიმე დღე დაჰყო. იგი ჩქარობდა დედაქალაქში ჩასვლას, რადგან ტახტს სხვა რეალური პრეტენდენტი ჰყავდა. მან ბრძანება გასცა, მოეკლათ მურად II-ის ქვრივის მცირეწლოვანი შვილი აჰმედი. 18 თებერვალს მეჰმედი საზეიმო ვითარებაში ადრიანოპოლში ჩავიდა და ტახტი დაიკავა. ამრიგად, 19 წლის მეჰმედ II (1451-1481) ოსმალეთის სულთანი გახდა.

მეჰმედის ბავშვობა არ იყო უდარდელი და ადვილი. დედით იგი იყო მხევალი ქალის შვილი, ხოლო მისი ძმები ასაკით უფროსნი იყვნენ და მათი დედებიც დიდგვაროვან ოჯახებს ეკუთვნოდნენ და ამიტომ მასთან შედარებით უპირატესობა ჰქონდათ ტახტის დაკავებისა. მაგრამ თითქოს რაღაც საიდუმლო ძალა წყალობდა მომავალ სულთანს. მისი უფროსი ძმა აჰმედი 1437 წელს მოულოდნელად გარდაიცვალა. ექვსი წლის შემდეგ საიდუმლო ვითარებაში დაიღუპა მისი მეორე ძმა ალაედინი. მამამისმა იგი ორჯერ გამოაცხადა ტახტის მემკვიდრედ, მაგრამ უკან წაიღო თავისი გადაწყვეტილება და მხოლოდ მისმა არაჩვეულებრივმა ნიჭმა სულთანს საბოლოოდ გადააწყვეტინა თავისი არჩევანი. მეჰმედმა საკმაოდ კარგი განათლება მიიღო, იგი ერკვეოდა სხვადასხვა მეცნიერებებსა და ფილოსოფიაში, იცნობდა ისლამურ და ბერძნულ ლიტერატურას. მან შეისწავლა არაბული, სპარსული, ბერძნული, ებრაული და ლათინური ენები, მამამისმა იგი აზიარა სახელმწიფოს მმართველობის ხელოვნებას.

მეჰმედის ბავშვობას (კარზე შექმნილი ინტრიგებით აღსავსე ვითარება) უკვალოდ არ ჩაუვლია. მისი ხასიათი სწორედ ბავშვობის წლებმა განაპირობა: გულჩათხრობილობა, უნდობლობა, დასახული მიზნისაკენ შეუპოვარი სწრაფვა; გადმოგვცემენ, რომ არავის შეეძლო გადაეთქმევინებინა მისთვის რაიმე, ან აეღებინა ხელი განზრახვაზე. სამწუხაროდ, კონსტანტინოპოლის დაპყრობა იყო ის მიზანი, რომელიც მან დაისახა გამეფებამდე.

მეჰმედ II-ის ტახტზე ასვლის შემდეგ ევროპის ქვეყნებიდან ადრიანოპოლში ჩავიდნენ სხვადასხვა ქვეყნის ელჩები, რომლებმაც ახალ სულთანს მიულოცეს ტახტზე ასვლა. მეჰმედ II დიდი პატივით შეხვდა უცხო ქვეყნების დელეგაციებს და დაარწმუნა ისინი თავის მშვიდობისმოყვარე პოლიტიკაში. მან მიიღო ვენეციის მისია და განაახლა ვენეციასთან ხუთი წლის წინათ დადებული სამშვიდობო ხელშეკრულება. მეჰმედ II-მ იანოშ ჰუნიადის წარმომადგენლებთან დადო სამი წლით დროებითი ზავი. სერბიის დესპოტს გიორგის დაუბრუნა არა მარტო ქალიშვილი (მურად II-ის ქვრივი), არამედ რამდენიმე ქალაქიც კი.

პატივით იქნენ მიღებული ვალახეთის გოსპოდარის, ქალაქ რაგუზის, კუნძულ როდოსის რაინდთა ორდენის, ლესბოსისა და ხიოსის წარმომადგენლები.

განსაკუთრებით კმაყოფილი იყვნენ ბიზანტიის იმპერატორის კონსტანტინე XI-ის ელჩები სულთანთან შეხვედრით. მეჰმედ II-მ დაიფიცა ყურანზე, რომ არ ხელყოფ-

და ბიზანტიის ტერიტორიის მთლიანობას. ამავე დროს იგი დაპირდა იმპერატორს, რომ ყოველწლიურად გადაუხდიდა 300 ათას ასპერს ოსმალთა უფლისწულის ორხანის შესანახავად, ვიდრე იგი დარჩებოდა საპატიო ტყვეობაში კონსტანტინოპოლში.

ამ ფრთხილი და მშვიდობისმოყვარე პოლიტიკის მიზეზი ის იყო, რომ სულთანს არ სურდა აშკარად გამოემჟღავნებინა თავისი აგრესიული ზრახვები და უნდოდა ამით მოედუნებინა ბიზანტიისა და ევროპის ქვეყნების ყურადღება. ამასთანავე, ვიდრე იგი დაიწყებდა კონსტანტინოპოლის წინააღმდეგ ომისათვის სამზადისს, საჭირო იყო მცირე აზიაში დაწყებული აჯანყების ლიკვიდაცია, რათა ზურგი მტკიცე ჰქონოდა.

ყარამანიის გამგებელი იბრაჰიმ ბეი კვლავ აუჯანყდა სულთანს და მოუწოდა აიდინის, გერმიანისა და მენთეშეს ემირებს მიებაძათ მისთვის. ამავე დროს იბრაჰიმი დასავლეთ ევროპის გამგებლებს არწმუნებდა, რომ მეჰმედ II ახალგაზრდაა, გამოუცდელი და ადვილია მისი დამარცხება. იბრაჰიმი თავისი ლაშქრით შეიჭრა ოსმალეთის სამფლობელოებში. ანატოლიის გამგებელმა ისჰაკ ფაშამ სთხოვა სულთანს, თვითონ ჩასულიყო იქ აჯანყებულთა დასაშოშმინებლად. მეჰმედ II სასწრაფოდ ჩავიდა ანატოლიაში და აჯანყება ჩაქრობილ იქნა. ამასობაში იენიჩარების რიგებში დაიწყო მღელვარება, მათ მოითხოვეს ხელფასის მომატება. სულთანი იძულებული შეიქნა დაეკმაყოფილებინა იენიჩართა მოთხოვნა, მაგრამ იენიჩართა მეთაური გადააყენა.

კონსტანტინე XI-მ გადაწყვიტა ესარგებლა ამ ხელსაყრელი ვითარებით. ანატოლიაში აჯანყება ჩაქრობილი არ იყო, როდესაც მან მეჰმედ II-ს ელჩები გაუგზავნა საჩივრით, რომ ის თანხა, რომელიც საჭირო იყო უფლისწულის შესანახავად, ჯერ კიდევ არ არის გადახდილი. ელჩებს აგრეთვე დავალებული ჰქონდათ შეეხსენებინათ სულთნისათვის, რომ ბიზანტიის კარზე იმყოფებოდა ოსმალეთის ტახტის შესაძლო პრეტენდენტი. მართალია, მეჰმედ II-მ ელჩებთან საუბრის დროს თავი ვერ შეიკავა გაღიზიანებისაგან, მაგრამ მათ დაპირდა, რომ ადრიანოპოლში დაბრუნების შემდეგ განიხილავდა ამ საკითხს. კონსტანტინეს ასეთმა წინდაუხედავმა ნაბიჯმა ძალზე განარისხა სულთანი და უბიძგა მას დაეჩქარებინა კონსტანტინოპოლის წინააღმდეგ ომის სამზადისი.

ადრიანოპოლში დაბრუნების შემდეგ მეჰმედმა ბრძანება გასცა, გაესახლებინათ ბერძენი ვაჭრები ქალაქებიდან და მოეხდინათ მთელი მათი ქონების კონფისკაცია.

2. შეტევისათვის სამზადისი

1451 წლის დამდეგიდან მეჰმედ II შეუდგა კონსტანტინოპოლის წინააღმდეგ სამზადისს. 1451 წლის ზამთარში სულთანმა ბრძანება გასცა, მთელ მის სამფლობელოებში შეეკრიბათ ქვის საუკეთესო ხელოსნები და შავი მუშები და გაზაფხულისათვის თავი მოეყარათ ბოსფორის სანაპიროზე. ზამთრის დამთავრებისთანავე ანადოლუ-ჰისარის პირდაპირ ბოსფორის ევროპულ ნაწილში ოსმალები შეუდგნენ მოსამზადებელ სამუშაოებს, ხოლო 15 აპრილიდან დაიწყეს ციხე-სიმაგრის (რუმელი-ჰისარის) მშენებლობა.

სულთნის მოქმედებამ დიდი შეშფოთება გამოიწვია კონსტანტინოპოლში. აშკარა იყო, რომ ეს იყო პირველი ნაბიჯი, გადადგმული ქალაქის ალყაში მოქცევისაკენ: იმპერატორმა სასწრაფოდ სულთანს ელჩობა გაუგზავნა, რომელსაც უნდა განეცხადებინა პროტესტი, რადგანაც სულთნის მხრიდან ეს იყო ხელშეკრულების აშკარა დარღვევა. ამავე დროს უნდა შეეხსენებინათ სულთნისათვის, რომ თავის დროზე სულთანმა ბაიაზიდ I-მა ნებართვა სთხოვა იმპერატორ მანუელს ანადოლუ-ჰისარის (ციხის) მშენებლობაზე. მეჰმედ II-მ აუდიენციის გარეშე უკან გააბრუნა ელჩები. 1452

წლის ივნისში კონსტანტინემ ახალი ელჩობა გაგზავნა. იმპერატორი მოითხოვდა მეჰმედისაგან გარანტიას, რომ ახლად აგებული ციხე არ იქნებოდა გამოყენებული კონსტანტინოპოლზე თავდასასხმელად. ამჯერად ელჩები დაატიმრეს, შემდგომ თავები მოკვეთეს. არსებითად ეს ნიშნავდა ომის გამოცხადებას.




კონსტანტინოპოლის გეგმა

1452 წლის 31 აგვისტოს დამთავრდა რუმელი-ჰისარის მშენებლობა. ერთდროულად სულთანმა გამოაცხადა, რომ ყოველი გემი, რომელიც გაივლიდა ბოსფორის სრუტეს, უნდა გაჩერებულიყო ციხესთან, გასინჯვისა და ბაჟის გადასახდელად. თუ კაპიტანი არ დაემორჩილებოდა ამ გადაწყვეტილებას, გემი ჩაძირული იქნებოდა. როგორც ვთქვით, ახალი სულთნისათვის არ არსებობდა რაიმე უკანდასახევი თავისი სურვილის განსახორციელებლად. მისი ხასიათის ეს თვისება საბედისწერო აღმოჩნდა. ამ გადაწყვეტილების რეალიზაციისათვის ახლად აგებულ ციხე-სიმაგრეში ჩადგეს სამი ზარბაზანი. ნოემბრის დამდეგს ვენეციის ორმა გემმა დაარღვია ეს წესი და არ დაემორჩილა ამ დადგენილებას, მათ ზარბაზნები დაუშინეს, მაგრამ გემებმა შეძლეს უვნებლად გასვლა. ორი კვირის შემდეგ სრუტეში ვენეციის ახალი გემი გამოჩნდა. მისმა კაპიტანმა სცადა მიებაძა წინამორბედებისათვის, მაგრამ ამაოდ. გემი ჩაძირულ იქნა ზარბაზნების ჭურვებით, მისი მთელი ეკიპაჟი დაატყვევეს, ხოლო შემდეგ, სულთნის ბრძანებით, ყველას თავები მოჰკვეთეს.

1453 წლის იანვრის ბოლოს სულთანმა მიიღო გადაწყვეტილება, დაეწყო ბრძოლა კონსტანტინოპოლისათვის. ქალაქის აღების საქმეში მეჰმედ II დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ფლოტს. ოსმალების ყველა წინა შეტევა ქალაქის აღების მიზნით წამოწყებული იყო ხმელეთიდან, კონსტანტინოპოლს ყოველთვის ჰქონდა შესაძლებლობა მიეღო დახმარება საზღვაო გზით. ამას გარდა, ოსმალები იძულებული იყვნენ დაექირავებინათ ქრისტიანებისაგან გემები თავიანთი ჯარების გადასაყვანად. სულთანმა გადაწყვიტა ამისათვის ბოლო მოეღო. მისი ბრძანებით, ეგეოსის ზღვის სანაპირო ქალაქებში რამდენიმე თვის განმავლობაში სასწრაფოდ შეიქმნა ოსმალეთის ფლოტი, ნაწილობრივ ახალი გემების აგებისა და ნაწილობრივ ძველი ხომალდების შეკეთების შედეგად. სხვადასხვა მონაცემებით, ოსმალეთის ფლოტი კონსტანტინოპოლის ალყის დაწყების წინ თავის რიგებში ითვლიდა 200-300 სხვადასხვა ტიპის გემს. სულთანმა ფლოტის სარდლად (ქაფუდან ფაშად) დანიშნა გალიპოლის გამგებელი სულეიმან ბალთოღლუ, წარმოშობით ბულგარელი. მარტის ბოლოს ოსმალეთის ფლოტმა გაიარა დარდანელი და მარმარილოს ზღვაში შევიდა.

თრაკიაში (ევროპაში) მიმდინარეობდა თურქეთის ქვეითი ჯარის ფორმირება. სულთანი დიდ ყურადღებას უთმობდა როგორც ფლოტის, ისე არმიის აღჭურვის საქმეს. ამზადებდნენ კედლის გამრღვევ და ქვის მსროლელ იარაღებს.



კონსტანტინოპოლი

მეჰმედ II-ს კარგად ესმოდა, რომ კონსტანტინოპოლის სქელი კედლების გარღვევა ზარბაზნების გარეშე შეუძლებელი იყო. სულთანს ბედმა გაუღიმა. სწორედ ამ დროს მას ეახლა უნგრელი ინჟინერი ურბანი, ამ საქმის ჩინებული მცოდნე. საინტერესოა, რომ სულთანთან ჩასვლამდე უფრო ადრე ანალოგიური მიზნით მან ბიზანტიის იმპერატორი მოინახულა, მაგრამ კონსტანტინეს არც სახსრები გააჩნდა და არც საჭირო მასალა. როგორც ჩანს, ურბანისათვის ქრისტიანობის დაცვაზე უფრო ფასობდა კარგი გასამრჯელოს მიღება. სულთანმა იგი დიდი პატივით მიიღო და დიდი ჯამაგირი დაუნიშნა. პირველი დიდი ზარბაზანი, რომელიც მან ჩამოასხა, რუმელიჰისარის ციხეში ჩადგეს. სწორედ ამ ზარბაზნით ჩაძირეს ვენეციის გემი ბოსფორის სრუტეში. ამან სულთანი კიდევ უფრო წაახალისა და სთხოვა ურბანს უფრო დიდი ზარბაზანი დაემზადებინა, თანაც ხელფასი გაუდიდა. მოკლე ხანში ჩამოასხეს უფრო დიდი ზარბაზანი, რომელიც, ურბანის სიტყვებით, გაარღვევდა კონსტანტინოპოლის კედელს. ამ უზარმაზარი ზარბაზნის წასაღებად საჭირო იყო 60 ხარი და 200 კაცი. სულთნის ბრძანებით, ზარბაზნის გადასატანად შეაკეთეს გზა და გაამაგრეს ხიდები.

23 მარტს მეჰმედ II-მ ადრიანოპოლი დატოვა და 5 აპრილს კონსტანტინოპოლის კედლის მახლობლად დაბანაკდა.

ოსმალეთის არმია, რომელიც მობილიზებული იყო კონსტანტინოპოლის დასაპყრობად, საკმაოდ მრავალრიცხოვანი იყო. ბერძნული წყაროების მიხედვით, მისი რაოდენობა 300-400 ათასი კაცი იყო, რაც, რა თქმა უნდა, ძალზე გადაჭარბებულია. ვენეციელების მონაცემებით კი, მისი რაოდენობა 150 ათას კაცს შეადგენდა. თურქული წყაროების ცნობით, ოსმალეთის რეგულარული არმია 80 ათას კაცს ითვლიდა. ამას თუ დაეუმატებთ სხვადასხვა დამხმარე რაზმებს, რომლებიც ზურგში იმყოფებოდნენ, მაშინ ოსმალეთის არმიის საერთო რაოდენობა 100-120 ათას კაცამდე გაიზრდება.

3. მდგომარეობა ალყაშემორტყმულ ქალაქში

ბიზანტიის იმპერიის ყოფნა-არყოფნის ბედი წყდებოდა. კონსტანტინეს კარგად ესმოდა შექმნილი მდგომარეობის სერიოზულობა. საკუთარი ძალებით ესოდენ მრისხანე მტრის წინააღმდეგობის დაძლევა შეუძლებელი იყო. საჭირო იყო ქრისტიანული

ქვეყნებისაგან დახმარების მიღება და ამ საქმეში რომის პაპის ავტორიტეტის გამოყენება. მაგრამ ამ დროს რომის პაპსა და ბიზანტიის ეკლესიას შორის განხეთქილება სუფევდა. საჭირო იყო ამ საკითხის მოგვარება.

1439 წელს ფლორენციის საერთაშორისო საეკლესიო კრებამ მიიღო დადგენილება კათოლიკური და მართლმადიდებლური ეკლესიის უნიის (გაერთიანების) შესახებ, რომის პაპის მეთაურობით. ამ გადაწყვეტილებას ხელი მოაწერა ბიზანტიის იმპერატორმა იოანე VIII-მ და კონსტანტინოპოლის პატრიარქმა. ამ კონგრესს ესწრებოდა აგრეთვე კონსტანტინე (იმპერატორის ძმა). იმპერატორი დათმობაზე წავიდა იმის გამო, რომ რომის პაპი პირდებოდა დახმარებას ანტიოსმალური კოალიციის ორგანიზაციის საქმეში. ბიზანტიაში მტრულად შეხვდნენ ფლორენციის კრების დადგენილებას. კონსტანტინოპოლის პატრიარქი, რომელმაც ხელი მოაწერა ამ გადაწყვეტილებას, იძულებული შეიქნა გაქცეულიყო რომში (1450 წ.). მღვდლებს და ხალხის მასებს გაგონებაც არ უნდოდათ უნიის შესახებ. არც ლიტურგიაში, არც რწმენის სიმბოლოში არ იყო შეტანილი არავითარი ცვლილება. უნიას ფაქტობრივად იცავდნენ მხოლოდ იმპერატორის კარზე. ყოველივე ეს კარგად იცოდა რომის პაპმა და სცადა ეკლესიების მოჩვენებითი გაერთიანება სინამდვილედ ექცია. 1452 წელს, ქალაქის ალყამდე ცოტა ხნით ადრე, კონსტანტინემ პაპთან გაგზავნა ელჩობა თხოვნით: მოეწოდებინა დასავლეთ ევროპის ქვეყნებისათვის – დახმარება აღმოეჩინათ კონსტანტინოპოლისათვის. ამის საფასურად რომის პაპი მოითხოვდა იმპერატორისაგან „წესრიგი დაემყარებინა ეკლესიაში“ და მიეღო რომის პაპის ლეგატი, რომელსაც უნდა მოესპო ყოველგვარი განსხვავების კვალი ეკლესიათა შორის. შექმნილ ვითარებაში კონსტანტინე იძულებული იყო დათანხმებოდა ამ პირობას.

1452 წლის 26 ნოემბერს კონსტანტინოპოლში ჩამოვიდა რომის პაპის ლეგატი კარდინალი ისიდორე. იგი დაუკავშირდა იმპერატორს, უმაღლეს სამღვდელოებასა და არისტოკრატიას, რომელთაც სავსებით ჰქონდათ შეგნებული მოსალოდნელი საფრთხე. თითქოს ყველას კარგად ესმოდა, რომ ხსნა მდგომარეობდა მხოლოდ უნიის მიღებაში. ეკლესიების გაერთიანებისათვის კონსტანტინემ სცადა მიეცა დიდებული ზეიმის ხასიათი. ღვთისმსახურება დანიშნულ იქნა 1452 წლის 12 დეკემბერს წმინდა სოფიოს ტაძარში. ქალაქის მდაბიო ფენები უკმაყოფილო იყვნენ მეფის გადაწყვეტილებით და აცხადებდნენ, რომ მეფემ ოსმალების შიშით მიჰყიდა მათი სულების ხსნა ლათინელებს. აბობოქრებული ბრბო მიაწყდა პანკრატორის მონასტერს, სადაც ცხოვრობდა ბერად აღკვეცილი გიორგი სქოლარი, გენადით წოდებული, რომელიც ბერძნული ეკლესიის თავდადებული ერთგული იყო და არ სცნობდა უნიას. მან გადასცა ხალხს პერგამენტი, რომელშიც უსაყვედურებდა კონსტანტინოპოლის მცხოვრებთ, რომ ისინი ხსნის იმედებს ამყარებდნენ ლათინელებზე და არა ღმერთზე. ქალაქში მღელვარება დაიწყო, იგი თანდათანობით ძლიერდებოდა და უმაღლეს წერტილს მიაღწია, როცა თურქებმა ხმელეთიდან ალყა შემოარტყეს კონსტანტინოპოლს.

ქალაქის შიგნით მდგომარეობა მეტად გართულებული იყო. უნიის მომხრე ბიზანტიელები გამოცხადდნენ ერეტიკოსებად. საერო და სასულიერო არისტოკრატია ამხედრებდა ხალხს იმპერატორისა და ყველა იმათ წინააღმდეგ, ვინც ოსმალთაგან გადარჩენის მიზნით თანხმდებოდა ეკლესიების გაერთიანებაზე. განსაკუთრებით აქტიურობდნენ ამ მიმართულებით გენადი და საერო არისტოკრატიის წარმომადგენელი ლუკა ნოტარა. მას მიაწერენ სიტყვებს, „რომ მას ურჩევნია ქალაქში იხილოს სულთნის დოლბანდი, ვიდრე პაპის ტიარა“.

ამის გამო ივ. ჯავახიშვილი შენიშნავდა: “მხოლოდ მაშინ, როდესაც მოულოდნელად ეს სურვილი აღსრულდა, იგრძნო ყველამ და უეჭველია თვით ნოტარამაც ამ

უგუნური სიტყვის მთელი საშინელება, მაგრამ უკვე გვიან იყო“.

ბერძენთა წინააღმდეგობით განრისხებული რომის პაპიც ვერ გრძნობდა იმ საშიშროებას, რომელსაც კონსტანტინოპოლის ოსმალთა ხელში გადასვლა დასავლეთის ქრისტიანობასაც უმზადებდა, და ისიც, სიძულვილით დაბრმავებული, არ მალავდა, რომ მისთვის უკეთესი იქნებოდა კონსტანტინოპოლი ოსმალებს დაეპყროთ, ვიდრე „მწვალებლებისათვის“ რაიმე დახმარება გაეწია.

კონსტანტინოპოლის ქრისტიანული (მართლმადიდებლური) მოსახლეობის ასეთი დამოკიდებულება რომის პაპისა და ლათინელების მიმართ განპირობებული იყო პოლიტიკური და ეკონომიკური მიზეზებით.

კონსტანტინე ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა მიეღო დახმარება დასავლეთისაგან. 1452 წლის შემოდგომაზე იტალიაში გაგზავნილ იქნენ ელჩები თხოვნით – დაუყოვნებლივი დახმარება აღმოეჩინათ ბიზანტიისათვის. მაგრამ კონსტანტინეს წარმომადგენლები ცივად მიიღეს. მაშინ გაგზავნილ იქნა ახალი ელჩობა, ამჯერად ვენეციაში. 16 ნოემბერს ვენეციის სენატმა განუცხადა კონსტანტინეს ელჩს: სენატი მეტად დამწუხრებულია აღმოსავლეთიდან მიღებული ცნობებით და თუ რომის პაპი და სხვა სახელმწიფოები რაიმეს მოიმოქმედებენ, მაშინ ვენეცია სიამოვნებით შეუერთდება მათ.

ბიზანტიის დესპანი ერთდროულად გაგზავნილ იქნა გენუაშიც. გენუა დაპირდა ერთი გემის გამოყოფას. გენუის სენატმა ურჩია ბიზანტიის ელჩს, უფრო არსებითი დახმარებისათვის მიემართა საფრანგეთის მეფისა და ფლორენციის რესპუბლიკისათვის. ნეაპოლის მეფემ ალფონს არაგონელმა ბიზანტიის ელჩს ნებართვა მისცა შეესყიდა სიცილიაში ხორბალი და სასურსათო პროდუქტები კონსტანტინოპოლში გასაგზავნად. რაც შეეხება სხვა სახის დახმარებას, პასუხი მეტად ბუნდოვანი იყო.

1453 წლის 19 თებერვალს ვენეციის სენატმა, მიიღო რა ახალი საგანგაშო ცნობები აღმოსავლეთიდან, გამოიტანა დადგენილება დაუყოვნებლივ გაეგზავნათ კონსტანტინოპოლში ორი სატრანსპორტო გემი, თითოეულ მათგანზე 400 ჯარისკაცით და შემდგომში გასაგზავნად მოემზადებინათ 15 გალერა. მაგრამ ამ გემების გაგზავნა რამდენჯერმე გადაიდო. ბოლოს, როდესაც გემებმა დატოვეს ვენეცია, კონსტანტინოპოლი უკვე ორი კვირა ალყაშემორტყმული იყო.

აპრილის დასაწყისში რომიდან მოვიდა ცნობა, რომ პაპი აპირებდა აღმოსავლეთში ხუთი ხომალდის გაგზავნას, ხოლო მარტის ბოლოს პაპმა გენუის სამი გემით გაგზავნა ნაყიდი სურსათ-სანოვაგე და იარაღი.

ერთგვარი იმედი ჰქონდათ, რომ უნგრეთის რეგენტი იანოშ ჰუნიადი ისარგებლებდა იმით, რომ ოსმალებმა მთელი თავიანთი საზღვარი დუნაისპირეთში გააშიშვლეს, და თავს დაესხმოდა მათ. მაგრამ ოსმალეთთან წინა ომებში უნგრეთი იმდენად იყო დასუსტებული, რომ ახალი ომის თავი აღარ ჰქონდა.

მოლდავეთის გოსპოდარები ურთიერთშორის ომით იყვნენ გართულნი, ხოლო ვალახეთის გოსპოდარი კი სულთნის ვასალი იყო და არ შეეძლო უნგრეთის დახმარების გარეშე ოსმალეთის წინააღმდეგ გაელაშქრა.

სერბიის დესპოტი გიორგი კიდევ უფრო მეტად იყო დამოკიდებული ოსმალეთის სულთანზე. იგი იძულებული იყო თავისი ჯარისკაცები გაეგზავნა ოსმალეთის არმიაში, თუმცა თანაუგრძნობდა ერთმორწმუნე ბიზანტიელებს.

ევროპაში მხოლოდ სკანდერბეგი განაგრძობდა ბრძოლას ოსმალო დამპყრობლების წინააღმდეგ. მაგრამ მას უთანხმოება ჰქონდა ვენეციასთან, რაც ხელს უშლიდა ძალების მობილიზაციას. რაც შეეხება ეგეოსის ზღვის გამგებლებს და ჯვაროსანიონიტებს კუნძულ როდოსზე, მათ ყველას შეეძლოთ მონაწილეობა მიეღოთ კონსტანტინოპოლის დაცვაში, მაგრამ მხოლოდ რაიმე დიდი კოალიციის შემადგენლობაში.

მორეის დესპოტი ხელებშებორკილი იყო, რადგან მის საზღვართან თავმოყრილი იყო ოსმალეთის ჯარები. რაც შეეხება ტრაპიზონის კეისარს, მან არავითარი ენთუზიაზმი არ გამოიჩინა დახმარებოდა თავის მოძმე ბიზანტიელებს. მართალია, ანატოლიის საამიროები მტრულად იყვნენ განწყობილი ოსმალეთის სულთნისადმი, მაგრამ დიდი ხანი არ იყო გასული მას შემდეგ, რაც მჰმედ II-მ ისინი დააშოშმინა და არ აპირებდნენ მის წინააღმდეგ ახალ გამოსვლას, მით უფრო, რომ კონსტანტინოპოლის დაპყრობით საერთო მუსლიმური საქმე კეთდებოდა.

მართალია, ევროპის სახელმწიფოებმა თავი აარიდეს უშუალო მონაწილეობას, მაგრამ აღმოჩნდნენ ადამიანები, რომლებიც მზად იყვნენ ებრძოლათ ქრისტიანობისა და კონსტანტინოპოლისათვის. ვენეციის კოლონიამ კონსტანტინოპოლში იმპერატორს სრული მხარდაჭერა აღუთქვა. ვენეციელთა კრებაზე, რომელსაც ესწრებოდა კონსტანტინე, ვენეციის ბაილომ (კონსულმა) აიღო ვალდებულება აქტიური მონაწილეობა მიეღოთ ქალაქის დაცვაში და გაედევნებინა თვალყური, რომ არც ერთ ვენეციიის გემს არ დაეტოვებინა თვითნებურად ნავსადგური. ვენეციის ექვსი გემი და სამი კრიტოსიდან, რომელიც ამ დროს ვენეციის კოლონია იყო, მათი კაპიტნების თანხმობით, იდგნენ ნავსადგურში და გადაკეთდნენ საბრძოლო გემებად.

1453 წლის 29 იანვარს ქალაქში ჩამოვიდა გენუელთა პატარა რაზმი ჯოვანი ჯუსტინიანეს მეთაურობით. იგი იყო გენუელთა საკმაოდ გამოჩენილი ოჯახიდან. მან ჩამოიყვანა 700 კარგად შეიარაღებული ჯარისკაცი, აქედან 400 დაიქირავეს გენუაში, ხოლო 300 – ხიოსისა და როდოსის კუნძულებზე. ჯუსტინიანე ცნობილი იყო, როგორც ქალაქების დაცვის ერთ-ერთი საუკეთესო მცოდნე. იმპერატორმა იგი დანიშნა ქალაქის კედლების დაცვის უფროსად.

ჯარისკაცთა მცირე რაოდენობა ჩამოვიდა შედარებით დაშორებული ქვეყნებიდან – შოტლანდიიდან, კასტილიიდან, ტოლედოდან, გერმანიიდან და სხვა.

უფლისწულმა ორხანმა, რომელიც ბავშვობიდან კონსტანტინოპოლში ცხოვრობდა, თავისი სამსახური შესთავაზა კონსტანტინეს. კონსტანტინოპოლში ჩავიდა, აგრეთვე, რამდენიმე ასეული კრიტოსელი, რომლებმაც თან ჩამოიტანეს პური და ღვინო. კონსტანტინეს ჰქონდა საფუძველი უფრო მეტად დაყრდნობოდა ლათინელებს, ვიდრე დედაქალაქში მცხოვრებ ბერძნებს. ქალაქის მცხოვრებთა რიცხვი უცნობია, ციფრი 200.000 უთუოდ გაზვიადებულია. როცა კონსტანტინემ მოითხოვა სია ბერძნებისა, რომელთაც შეეძლოთ იარაღის ტარება, ბერების ჩათვლითაც კი, გამოირკვა, რომ ასეთია მხოლოდ 4.973 კაცი; მეფემ მწარედ ამოიოხრა, როცა ეს ციფრი გაიგონა. მებრძოლ ბერძენთა რაოდენობა, რომლებმაც ისურვეს მშობლიური ქალაქის დაცვა, მხოლოდ ორნახევარჯერ აღემატებოდა ლათინელების მოხალისეებსა და დაქირავებულ მეომართა რიცხვს. სახმელეთო და საზღვაო კედლების დასაცავად საჭირო იყო ასჯერ უფრო მეტი რაოდენობა ჯარისა, ვიდრე ის, რაც კონსტანტინეს განკარგულებაში იყო.

წყაროების მიხედვით, ქალაქის ალყის დაწყების წინ კონსტანტინოპოლის მოსახლეობა, რომელსაც შეეძლო იარაღის ტარება, დაახლოებით 7.000 კაცს შეადგენდა, აქედან 2.000 უცხოელი იყო.

იმპერატორმა ქალაქის უმთავრესი პუნქტების დაცვა დაავალა არა ბერძნებს, არამედ ლათინელებს. ბერძნები გაცილებით უარესად იყვნენ შეიარაღებული, ვიდრე ლათინელები.

დიდი როლი შეასრულეს ქალაქის დაცვაში ისიდორემ და მის განკარგულებაში მყოფმა გენუელებმა. ოქროს ყურეს დაცვას მან მოახმარა საკუთარი სახსრები. ასევე აქტიურობდნენ ვენეციელი მეზღვაურები, მათი სარდლები – მინოტო და ადმირალი ტრევიზანი. ოქროს ყურის ნაკლებად მნიშვნელოვან უბანში იდგა ლუკა ნოტარი;

საერთოდ, მეორეხარისხოვან უბნებს იცავდნენ ბერძნები. ევგენის კარს კრიტოსელი მეზღვაურები ამაგრებდნენ. ამ კართან მდებარე კოშკიდან მოყოლებული, გალათას სანაპიროზე მდებარე კოშკამდე, ოქროს ყურე გადაღობილ იქნა მსხვილი რკინის ჯაჭვით, რომელიც ცურავდა მორებზე, მის უკან კი იდგა ექვსი ლათინური და ოთხი ბერძნული გემი (ამათგან სამი კრიტოსიდან). ლათინელები იცავდნენ, აგრეთვე, აკროპოლის რაიონში ზღვისპირა სიმაგრეებს. თვით ოქროს კარიბჭეს მარმარილოს კოშკამდე, ამ მეტად მნიშვნელოვან უბანს, სადაც სახმელეთო გამაგრებები უკავშირდებოდა საზღვარს, იცავდა 200 გენუელი. სახმელეთო კედლის გაყოლებით, ცხოველმყოფელ წყარომდე, კვლავ იდგა შერეული რაზმი, შემდგარი იტალიელებისა და ბერძნებისაგან, სიცილიელის სარდლობით. შემდეგ მოდიოდნენ ბერძენთა რაზმები; ხოლო ცენტრალურ ნაწილს, წმინდა რომანის კარის ჩათვლით (თურქული თოფკაფი), ისევ ლათინელები იცავდნენ. შემდგომ ადრიანოპოლის კარამდე ყველა მონაკვეთს გენუელები დარაჯობდნენ. უკანასკნელ ნაკვეთს იცავდა შერეული რაზმი, რომელსაც მეთაურობდნენ ბერძენი თეოდორე და გერმანელი ინჟინერი გრანტი.

ქალაქის დამცველთა ასეთი შემადგენლობის გამო ფ. უსპენსკი დასძენს: "იქმნება უცნაური შთაბეჭდილება, თითქოს საქმე ეხება არა ბიზანტიის დედაქალაქის დაცვას, არამედ რომელიღაც ლათინურ-ბერძნული ქალაქისა, თითქოს 1453 წლისთვის ბიზანტია უკვე აღარ არსებობდა. მაგრამ სად იყო ნაციონალური ჯარი? პალეოლოგებისა და მათი წინამორბედების პოლიტიკამ, რომელიც ემყარებოდა ლათინელებისა და თურქების დაქირავებულ ჯარს, თავისი შედეგი გამოიღო. ბიზანტიელებმა დაკარგეს ბრძოლის უნარი".

ცუდად შეიარაღებული, სამხედრო აღჭურვილობას მოკლებული ბერძნები უფრო ხშირად ემორჩილებოდნენ ლათინელი მეთაურების განკარგულებას. მეფის შტაბში მთავარი ადგილი ლათინელებს ეჭირათ. რეალურად დაცვის სულისჩამდგმელი იყო ჯუსტინიანე. ცუდად შეიარაღებული ჯარი, ფულისა და ზარბაზნების უქონლობა (მართალია, მათ ჰქონდათ რამდენიმე ზარბაზანი, მაგრამ მათი დაყენება შეუძლებელი იყო ძველ და არამყარ კედლებზე), პურის ნაკლებობა, ყოველივე ეს განაპირობებდა ქალაქის დაცვის უიმედობას. მოსახლეობაც ასევე იყო განწყობილი: ზოგიერთს დაცვა ეჩვენებოდა ლათინელთა ოინად ღვთის გარდუვალი შურისძიების წინაშე. მიუხედავად ყოველივე ამისა, ქალაქის დამცველებმა არნახული სიმამაცე და თავდადება გამოიჩინეს მტერთან ბრძოლაში.

1453 წლის აპრილის დამდეგს კონსტანტინოპოლში გაზაფხულის შესანიშნავი დარი იდგა. ბოსფორიდან თბილი ნიავი ქროდა. ქალაქის ბაღებში ხეხილი ყვაოდა. ცის ლაჟვარდში ფრინველების ჭიკჭიკი ისმოდა. ამ იდილიას არღვევდა ქალაქის ჩრდილოეთიდან გაუთავებელი გუგუნი უზარმაზარი არმიისა – ჯარისკაცების შეძახილები, ზარბაზნების გუგუნი, ცხენების თქარათქური, ურმების ჭრიალი.

4. იერიშის დაწყება

5 აპრილს კონსტანტინოპოლის კედლებთან თავი მოიყარა ოსმალეთის არმიამ სულთან მეჰმედ II-ის სარდლობით. ოსმალეთის არმიამ საბრძოლო პოზიციები დაიკავა. კონსტანტინოპოლის ალყა 53 დღე გაგრძელდა. ქალაქის ერთ დამცველზე მოდიოდა 10-15 თურქი. მიუხედავად მტრის აშკარა სიმრავლისა, ისინი გმირულად იბრძოდნენ და იგერიებდნენ ოსმალთა იერიშებს.

5 აპრილს სულთანმა, ისლამის წესის თანახმად, ქალაქში თეთრი დროშით გაგზავნა პარლამენტიორები. ქალაქის მოსახლეობისადმი გაგზავნილ მიმართვაში



ბრძოლა კონსტანტინოპოლისათვის

ნათქვამი იყო, რომ მაჰმადიანური კანონის მიხედვით, სულთანი ქალაქის მცხოვრებლებს შეუნარჩუნებდა ქონებასა და სიცოცხლეს, თუ ისინი ნებაყოფლობით დანებდებოდნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში არ იქნებოდა არავითარი დანდობა. მაგრამ კონსტანტინოპოლელებმა არ ისურვეს ედალატათ იმპერატორისათვის. მას შემდეგ, რაც ეს ფორმალობა შესრულებულ იქნა და ზარბაზნებმა დაიკავეს საბრძოლო პოზიცია, 6 აპრილიდან დაიწყო ქალაქის კედლების საშინელი დაბომბვა. ოსმალებმა ზარბაზნების მთავარი ცეცხლი მიმართეს ადრიანოპოლის კარის რაიონში. სწორედ მის მახლობლად იმყოფებოდა სულთნის ბანაკი და ამ მიმართულებიდან აპირებდა იგი ქალაქის წინააღმდეგ მთავარი იერიშის მიტანას.

ადრიანოპოლის კარის მახლობლად მდებარე კედლები სერიოზულად იქნა დაზიანებული, მაგრამ ქალაქის დამცველებმა ისარგებლეს ღამის სიბნელით და აღადგინეს ისინი. მაშინ სულთანმა გადაწყვიტა, ზარბაზნების უფრო მეტი რაოდენობისათვის მოეყარა თავი და დაეწყო ახალი იერიში. 11 აპრილს მეჰმედმა ადრიანოპოლის კართან თავი მოუყარა მთელ თავის არტილერიას.

12 აპრილს ოსმალებმა ახალი ძალით აამოქმედეს თავიანთი ზარბაზნები. ამან შემზარავი შთაბეჭდილება მოახდინა ქალაქის მცხოვრებლებზე. ურბანის დიდი ზარბაზანი ისროდა დღეში მხოლოდ შვიდჯერ. მის გამართვას რამდენიმე საათს უნდებოდნენ. სულ ოსმალთა ზარბაზნები დღეში ისროდნენ 100 ჭურვს. ანგრევდნენ ქალაქის კედლებს, აგებულს V საუკუნეში. სატყორცნი იარაღები ისროდნენ ათასობით ისარს. ქალაქის დამცველები იბრძოდნენ დღე და ღამე. მათ ეკავათ ამაღლებული ტერასა გალავნის ორ კედელს შუა. დიდი ზარბაზანი გასკდა და დაჭრა ურბანი,

მაგრამ სულთნის ბრძანებით, მალე ახალი ზარბაზანი ჩამოასხეს. დამცველები გმირულად იბრძოდნენ, იშველიებდნენ ქვებს, ისრებს, შუბებს, ადუღებულ ფისს. მთელი დღის განმავლობაში გრძელდებოდა უშედეგო შეტევა. 12 აპრილს ოსმალებმა ზღვიდანაც მიიტანეს იერიში და შეეცადნენ გაერღვიათ რკინის ჯაჭვი და შეჭრილიყვნენ ოქროს ყურეში, მაგრამ ცხარე ბრძოლების შედეგად ოსმალები აქედანაც უკუგდებულ იქნენ. მათ დიდი ზარალი განიცადეს.

18 აპრილს ოსმალები შეტევაზე გადავიდნენ ქალაქის კედლების იმ რაიონში, სადაც იბრძოდნენ ჯუსტინიანეს რაზმები. იერიში დაიწყო მზის ჩასვლის შემდეგ. მაშხალების შუქზე, დაფდაფებისა და დუდუკების ხმაურით, კედლთან ცეცხლის დანთებით ოსმალები ცდილობდნენ პანიკა შეეტანათ დამცველთა რიგებში და ქალაქში შეჭრილიყვნენ, მაგრამ ამაოდ.

15 აპრილს გენუის სამი გემი, რომის პაპის მიერ დაქირავებული და დატვირთული, იარაღითა და სურსათ-სანოვაგით კუნძულ ხიოსიდან კონსტანტინოპოლისაკენ გაემართა. სრუტესთან მათ შეუერთდა იმპერატორის დიდი სატვირთო გემი, ხორბლით დატვირთული, რომელიც ბიზანტიელებმა სიცილიაში შეისყიდეს. დარდანელს არავინ დარაჯობდა, რადგან ოსმალეთის მთელი ფლოტი თავმოყრილი იყო კონსტანტინოპოლთან. გემები სწრაფად შევიდნენ მარმარილოს ზღვაში. 20 აპრილს გემები ქალაქს უახლოვდებოდნენ. ამ დროს ოსმალებმა ისინი შეამჩნიეს. სულთანმა უბრძანა ოსმალეთის ფლოტის სარდალს ბალთოღლუს ხელთ ეგდოთ გემები და თუ ვერ შეძლებდნენ – ჩაეძირათ ისინი და, რაც მთავარია, არავითარ შემთხვევაში არ შეეშვათ კონსტანტინოპოლში. ოსმალეთის გემებმა მათ რკალი შემოარტყეს. თვით სულთანი თვალყურს ადევნებდა ამ ბრძოლას ნაპირიდან და ისე გაცხარდა, რომ ცხენითაც კი შეიჭრა ზღვაში. ამ საზღვაო ჭიდილს თვალყურს ადევნებდა, აგრეთვე, კონსტანტინოპოლის მოსახლეობაც. გენუელები უფრო დახელოვნებული და გამოცდილი მეზღვაურები იყვნენ, ამავე დროს მათი გემების ნაპირები უფრო მაღალი იყო და ოსმალებმა ვერ შეძლეს მათი აბორდაჟზე აყვანა. ცხარე ბრძოლის შედეგად მათ შეძლეს გაერღვიათ რკალი და ოთხივე გემი ოქროს ყურეში შევიდა. მთელი ქალაქი ზეიმობდა ამ გამარჯვებას.

განრისხებულმა სულთანმა ბრძანა სიკვდილით დაესაჯათ ფლოტის სარდალი ბალთოღლუ.

მეჰმედ II-მ გადაწყვიტა, რადაც არ უნდა დაჯდომოდა, ხელთ ეგდო ოქროს ყურე და შიგ თავისი გემები შეეყვანა. მას შემდეგ, რაც ზღვიდან იერიში მარცხით დამთავრდა, მან განიზრახა გემები ბოსფორიდან ხმელეთით ოქროს ყურეში გადაეტანა. ამ მიზნით აქ თავი მოუყარა ათასობით დურგლებსა და მუშებს. მათ სასწრაფოდ მორებისაგან გააკეთეს იატაკი, მოასხეს ზეთი და ბაგირების დახმარებით ერთი ღამის განმავლობაში 70 გემი გადაიტანეს. 23 აპრილს ბერძნებმა იხილეს „ახალი ქსერქსეს“ გემები ოქროს ყურეში. საკვირველია, რომ გალათაში მცხოვრებმა გენუელებმა (გალათა ოქროს ყურის ნაპირთან ჩრდილოეთით ბორცვზე მდებარეობს) დროზე „ვერ შეამჩნიეს“ ოსმალთა ეს საქმიანობა და არ აცნობეს ქალაქის დამცველებს.

შექმნილი ვითარების გამო, სასწრაფოდ მოწვეულ იქნა თათბირი, რომელსაც ესწრებოდნენ ლათინელი და ბერძენი კაპიტნები. მიღებულ იქნა გადაწყვეტილება – მოესპოთ ოსმალთა გემები. გენუელი კაპიტნის კოკოს წინადადებით, ღამით შეუმჩნევლად უნდა წაეკიდებინათ ცეცხლი ოქროს ყურეში მყოფი სულთნის გემებისათვის. სამწუხაროდ, მოღალატე გენუელებმა ეს გეგმა სულთანს შეატყობინეს. სულთანმა არ დააყოვნა მოქმედება, დაუშინა ყუმბარები კოკოს გემს და ჩაძირა იგი. ამის გამო ვენეციელებსა და გენუელებს შორის ატყდა ჩხუბი და მხოლოდ იმპერატორ კონსტანტინეს ჩარევამ იხსნა ისინი სისხლის ღვრისაგან.

ოსმალების მიერ ოქროს ყურის დაკავებამ გაართულა კონსტანტინოპოლის დაცვა. ნავსადგურის აღების შემდეგ, მეჰმედის ბრძანებით, ოქროს ყურის ზედა ნაწილში აგებულ იქნა პონტონის ხიდი – ჯარების გადასაყვანად.

მეჰმედ II გადაწყვიტა ქალაქის აღება არა ზღვიდან, როგორც ეს განახორციელეს ჯვაროსნებმა 1204 წელს, არამედ ხმელეთიდან. სულთნის ეს განზრახვა გამართლებული იყო იმით, რომ იმ დროისათვის თურქეთის ფლოტი არ გამოირჩეოდა ხომალდების ხარისხითა და მეთაურების გამოცდილებით. ოსმალების ცალკეულმა თავდასხმებმა ქალაქზე წარმატებები არ იქონია. მეჰმედის არმიაში მრხდა ზოგი ცვლილება: მწყობრიდან გამოსული დიდი ზარბაზანი შეიცვალა ახლით, უნგრეთის ელჩმა მათ ასწავლა მიზანში ზუსტი ტყორცნა. გამოჩნდნენ საინჟინრო საქმის მცოდნენიც. თურქები იყენებდნენ ტყავით შემოკრულ ხის კოშკებს. ერთ-ერთი მათგანი გალავნის კედელზე უფრო მაღალი იყო; დამაგრებული ჰქონდა ბაგირის ხიდი, რომლითაც შეიძლებოდა გალავანზე ასვლა და ძლიერი ტარანით კედლის გარღვევა. მაგრამ მიუხედავად ამ სიახლეებისა, მათი მორიგი ცდა ქალაქის აღებისა მარცხით დამთავრდა. ღამით თურქები გაიქცნენ, გმირმა დამცველებმა კოშკი დაწვეს და კედელი გაამაგრეს.

ჯერ კიდევ 26 იანვარს, კონსტანტინეს დავალებით, ვენეციის ბაილომ მინოტომ გაგზავნა ვენეციაში წერილი ქალაქისათვის დახმარების აღმოსაჩენად. ამ თხოვნის შესრულებას ვენეცია არ ჩქარობდა. წერილის მიღებიდან (19 თებერვალი) მხოლოდ ორი თვის შემდეგ ეს ფლოტი 7 მაისს გამოვიდა ვენეციიიდან გენერალ-კაპიტნის ლორედანის სარდლობით. ფაქტობრივად, ეს „დახმარება“ ვენეციელთა ორჭოფული პოლიტიკის აშკარა გამოვლენა იყო. ფლოტს მიცემული ჰქონდა ინსტრუქცია მისულიყო კ. ტენედოსთან და იქ დარჩენილიყო 20 მაისამდე. აქ მას უნდა შეეკრიბა ცნობები თურქეთის ფლოტის შესახებ. ამასობაში მას შეუერთდებოდნენ სხვა გალერები და კრიტოსის გემები და მხოლოდ ამის შემდეგ ფლოტი უნდა დაძრულიყო დარდანელისაკენ. ლორედანს უნდა გამოეჩინა სიფრთხილე, არ აჰყოლოდა ოსმალთა შესაძლო პროვოკაციებს, ვიდრე არ ჩავიდოდა კონსტანტინოპოლში, სადაც იგი დაემორჩილებოდა იმპერატორის განკარგულებებს. ვენეციის ვერაგობას ისიც ადასტურებდა, რომ ლორედანთან ერთად გამოემგზავრა ელჩი ბართოლემეო მარჩელო, რომელიც უნდა ჩასულიყო პირდაპირ სულთანთან და დაერწმუნებინა იგი თავისი რესპუბლიკის კეთილგანწყობილებაში. ლორედანს მიუთითეს, რომ მისი მისია მდგომარეობს ლევანტიდან მომავალი ვენეციელების სავაჭრო გემების და ვენეციიის კანონიერი ინტერესების დაცვაში. ლორედანის მისია უფრო დიპლომატიური იყო, ვიდრე სამხედრო: მას უნდა დაეყოლიებინა სულთანი დათანხმებოდა იმპერატორთან ზავს, ხოლო იმპერატორი დაერწმუნებინა, რომ მისთვის ერთადერთი გამოსავალია მიიღოს ზავის მეტ-ნაკლებად ხელსაყრელი პირობები. მაგრამ თუ მეჰმედი ამას არ დათანხმდებოდა, ელჩს უნდა გამოეჩინა სიფრთხილე და ყველაფერი ეცნობებინა სენატისათვის.

საკვირველი ინერტულობა და პასიურობა გამოიჩინა რომის პაპმა, მან მხოლოდ 5 ივლისს (გავიხსენოთ, რომ კონსტანტინოპოლი აღებულ იქნა 29 მაისს) მიმართა სენატს თხოვნით – მიეცათ მისთვის ხუთი გალერა კონსტანტინოპოლის დასახმარებლად.

ქრისტიანთა შორის ძლიერდებოდა სასოწარკვეთილება, ოსმალთა ბანაკშიც ძლიერდებოდა უკმაყოფილება. ბრძოლები დედაქალაქის მისადგომებთან უკვე შვიდი კვირა გრძელდებოდა. თურქეთის არმიამ, აღჭურვილმა შესანიშნავი ტექნიკით, ბევრს ვერაფერს მიაღწია. ორივე ბანაკი – ბიზანტიელებიცა და თურქებიც – მძიმე პირობებში აღმოჩნდნენ. ნათელი იყო, რომ ალყაშემორტყმულნი დაიქანცნენ, განიცდიდნენ

ცოცხალი რესურსებისა და სურსათ-სანოვაგის ნაკლებობას; ქალაქის გალავანი საგრძნობლად იყო დაზიანებული, მაგრამ აქამდე ვერც ერთმა თურქმა ვერ შეაღწია. არსებობდა კიდევ დასავლეთიდან დახმარების შესაძლებლობა. გავრცელდა ხმები, რომ ვენეციელთა ფლოტი გამოვიდა და მიადწია ხიოსს. ჯერ კიდევ იყო იმედი უნგრელთა შემოტევის საშიშროებისა. სულთანთან გამოცხადდა იანოშ ჰუნიადისგან გაგზავნილი ელჩობა, რომელმაც მოახსენა, რომ ჰუნიადი აღარ არის უნგრეთის რეგენტი და შეთანხმება სამწლიანი ზავის შესახებ ითვლება გაუქმებულად.

თავის მხრივ, თურქეთის ჯარმა საბრძოლო სულისკვეთება თითქმის დაკარგა. ფლოტმა განიცადა რამდენიმე სამარცხვინო დამარცხება. ჯარმა ვერ მიადწია ვერც ერთ გამარჯვებას, ეცემოდა სულთნის პრესტიჟიც. სულთნის კარზე მოსული ვეზირი ჰალილი და მისი მეგობრები კვლავ უარყოფითად იყვნენ განწყობილი ამ ამბებისადმი. ყოველივე ამის გამო, სულთანმა უკანასკნელად შესთავაზა კონსტანტინეს ზავი, მისთვის სასურველი პირობის დაკმაყოფილებით. ამ მიზნით მან გაგზავნა გამაჰმადიანებული ბერძენი ისმაილი, რომელსაც სულთანმა უბოძა სინოპი. ბერძნებმა თავისი მხრიდან გაგზავნეს კაცი სულთანთან, რომლის სახელი უცნობია. სულთანმა საკმაოდ კარგად მიიღო იგი და გაატანა მას წერილი, სადაც ალყის მოხსნის შედეგად იგი თხოულობდა ყოველწლიურ ხარკს 100 ათასი ოქროს ფულის რაოდენობით; ან თუ მოსახლეობა დატოვებდა ქალაქს, წაიღებდა მთელ მოძრავ ქონებას. სულთანი იძლეოდა პირობას, რომ არავის არ მიაყენებდნენ ზიანს. თურქულ წყაროებში დაცულია ცნობა, რომ იმპერატორმა შესთავაზა სულთანს გადაეცა მისთვის ყველაფერი, რასაც იგი ფლობდა, გარდა ქალაქისა. ამაზე კი სულთანმა უპასუხა: ერთადერთი არჩევანი, რომელიც შეიძლება ჰქონდეთ ბერძნებს, ესაა ქალაქის ჩაბარება ან სიკვდილი, ან მაჰმადიანობის მიღება.

5. ოსმალების მიერ კონსტანტინოპოლის დაპყრობა და მისი ისტორიული მნიშვნელობა

26 მაისს მეჰმედმა მოიწვია საბჭო. ჰალილ ფაშამ მოითხოვა ალყის მოხსნა. მან განაცხადა, რომ იგი ყოველთვის იყო ომის წინააღმდეგი და მისმა მსვლელობამ დაამტკიცა, რომ თურქებმა ვერაფერს მიაღწიეს, განიცადეს სამარცხვინო დამარცხებები. ბიზანტიას შეიძლება დახმარება აღმოუჩინონ დასავლეთის სახელმწიფოებმა: ვენეციამ უკვე გამოაგზავნა ფლოტი. ჰალილს საუკეთესო გამოსავლად მიაჩნდა ზავის შეთავაზება იმპერატორისათვის, მისთვის მისაღები პირობებით. როგორც ჩანს, მისმა სიტყვებმა შთაბეჭდილება მოახდინეს დამსწრეებზე. გამოცდილი სახელმწიფო მოღვაწის აზრი დაუპირისპირდა მეტად ახალგაზრდა, 21 წლის სულთნის პატივმოყვარე ზრახვებს. შემდეგ სიტყვა აიღო ჰალილის მოწინააღმდეგე ზაგანოს ფაშამ, მან გააქარწყლა ჰალილის სიტყვები. მისი აზრით, დასავლეთის სახელმწიფოების დახმარება არარეალური იყო. მან მოიშველია ალექსანდრე მაკედონელის მაგალითი, რომელმაც სულ ახალგაზრდამ დაიპყრო მსოფლიო. ფაშას მხარი დაუჭირეს ახალგაზრდა მხედართმთავრებმა, რამაც ძალზე გაახარა მეჰმედი და მან გასცა განკარგულება – დაეწყოთ მზადება შეტევისათვის.

მეჰმედი ემზადებოდა შეტევისათვის. მისი ბრძანებით ქალაქის ირგვლივ დაანთეს კოცონები, რამაც მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა ქალაქის მოსახლეობაზე. დამცველები სასწრაფოდ ამაგრებდნენ კედლებს, განსაკუთრებით ადრიანოპოლის კართან, სადაც ოსმალთა მხრიდან იდგნენ ჯარის რჩეული ნაწილები და ზარბაზნების

დიდი რაოდენობა. სულთანმა გადაწყვიტა იერიში დაეწყო 29 მაისს. შეტევის დაწყების წინ მან შემოუარა თავის ჯარს. ჰპირდებოდა ბრძოლაში დაცემულთ სამოთხის ნეტარებას, ხოლო ცოცხლებს – კონსტანტინოპოლის მოსახლეობას, ძვირფას საჩუქრებს და სხვა.

28 მაისს კონსტანტინემ მოიწვია ყველა მხედართმთავარი და ურჩევდა მათ გამოეჩინათ ბრძოლაში სიმტკიცე, დაეცვათ წმინდა ქალაქი, სამშობლო, სარწმუნოება და თავიანთი ოჯახები. ყოველი მამაკაცი, რომელსაც შეეძლო იარაღის ტარება, სასწრაფოდ დადგა თავის პოსტზე. მთელი მოსახლეობა – ქალები, მოხუცები, ბავშვები – როგორც შეეძლო ეხმარებოდა ქალაქის დამცველებს.

29 მაისს, დამის 2 საათზე, ოსმალები შეტევაზე გადავიდნენ. ხმელეთიდან და ზღვიდან უშენდნენ ყუმბარებს ქალაქის გალავანს, მეზღვაურების სპეციალური კიბეებით ადიოდნენ კედლებზე, ზაგანოს ფაშამ პონტონის ხიდით გადაიყვანა ჯარი ოქროს ყურეში. დამცველები თავდადებით იბრძოდნენ, საათობით გრძელდებოდა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა. ოსმალთა პირველი რაზმები განადგურებულ იქნა. სულთანი იძულებული იყო ბრძოლაში ჩაება რეზერვები. ოსმალებს იერიში იერიშზე მიჰქონდათ. დამცველთა რიგები თხელდებოდა. ქალაქის დამცველთა მდგომარეობა უიმედო აღმოჩნდა მას შემდეგ, რაც დაჭრილმა ჯუსტინიანემ, რომელიც მანამდე ენერგიულად და დიდი წარმატებით ხელმძღვანელობდა დაცვას, მიუხედავად იმპერატორის თხოვნისა, მიატოვა თავისი პოსტი და გაემართა გალათაში. მას გაჰყვა მრავალი გენუელი. ჯუსტინიანეს და მისი მომხრეების წასვლამ ქალაქის დამცველებს თავზარი დასცა და მათი რიგები შედრკა. ამით ოსმალებმა ისარგებლეს და ერთი რაზმი ქალაქის კედელზე ავიდა. საერთო პანიკით შეპყრობილი დამცველების დაუდევრობით (თუ ღალატით) ღია დარჩათ კერკოპორტას კარი. ოსმალებმაც არ დააყოვნეს და აქედან შეიჭრნენ. ქალაქის დამცველები განაგრძობდნენ უთანასწორო, გმირულ ბრძოლას. დამცველთა უმრავლესობა ბრძოლის ველზე დაიღუპა, მათ შორის ბიზანტიის იმპერატორი კონსტანტინე XI. ქალაქის აღების შემდეგ ბრძოლაში დაღუპული იმპერატორი ძლივს იცნეს მრავალ დახოცილთა შორის.

სულთანი მეჰმედ II მრავალრიცხოვანი ამალით საზეიმო ვითარებაში ადრიანოპოლის კარით კონსტანტინოპოლში შევიდა, წმინდა სოფიოს ტაძრისაკენ გაემართა და შიგ შევიდა. „მისი ბრძანებისამებრ მოლამ ამბიონითგან, საიდანაც მუდამ საქრისტიანო ლოცვა ისმოდა, მაჰმადიანთა მრწამსი წარმოთქვა, ხოლო თვით „ურჯულო“ სულთანი მკრეხელი თავმომწონებით საკურთხეველში შევიდა და დაწესებული ლოცვა შეასრულა“. ამიერიდან წმინდა სოფიოს ტაძარი მეჩეთად იქნა გადაქცეული.

იმპერატორ კონსტანტინეს მოკვეთილი თავი მიართვეს სულთანს. მეჰმედის ბრძანებით, იგი მოათავსეს თვალსაჩინო ადგილას, რათა ბიზანტიელები დარწმუნებულიყვნენ თავიანთი იმპერატორის დაღუპვაში. შემდეგ კონსტანტინეს მოკვეთილი თავი გაუგზავნეს სხვადასხვა მუსლიმ მთავრებს, რათა მათთვის ცხადი ყოფილიყო სულთნის გამარჯვება. კონსტანტინოპოლის აღების აღსანიშნავად მეჰმედ II-ს შეარქვეს ფათიჰი (დამპყრობელი).

კონსტანტინოპოლის ქუჩებსა და სახლებში გამარჯვებისაგან თავბრუდახვეული, სისხლისაგან მთვრალი თურქები დაერივნენ ქალაქის მოსახლეობას, დაუნდობლად ხოცავდნენ ქალებს, ბავშვებს, კაცებს, სხვებს მიერეკებოდნენ მონობაში.

29 მაისის საღამოსათვის, წერს დუკა, მთელი კონსტანტინოპოლი უდაბნოს დაემსგავსა: ქალაქში არ ისმოდა არც ადამიანის ხმა, არც საქონლის ბღავილი, არც ფრინველის ჭიკჭიკი.

სულ კონსტანტინოპოლიდან გაყვანილ იქნა 60.000-მდე ტყვე. დაუნდობლად ძარცვავდნენ ქალაქს. დუკას ცნობით, თურქები – ყველანი, მეჯინიბეებიცა და პურის მცხო-

ბელებიც კი - ხოცავდნენ, ძარცვავდნენ და მიათრევდნენ ნადავლს. სამი დღის შემდეგ სულთანმა გადარჩენილ მოსახლეობას უბოძა პატიება და მოუწოდა ლტოლვილთ დაბრუნებულიყვნენ ქალაქში; ჰპირდებოდა მათ უშიშროებას და ურჩევდა განეგრძოთ თავიანთი საქმიანობა. სულთნის ეს გადაწყვეტილება ნაკარნახევი იყო არა ჰუმანური მოტივით, არამედ მას სურდა აღედგინა ქალაქში ნორმალური ცხოვრება, დაებრუნებინა ახალი დედაქალაქისათვის წარსული სიდიადე. დაცარიელებულ ქალაქში, მოსახლეობის გაზრდის მიზნით, მან ჩაასახლა ბერძნები ეგეოსის კუნძულებიდან, მორეასა და შავიზღვისპირეთიდან, სომხები – ბურსადან და თურქები – აკრადან.

მეჰმედ II-სათვის ნათელი იყო, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქალაქის განვითარებისათვის ვაჭრობას და ამ საქმეში რა წვლილი მიუძღოდა ბერძენ ხელოსნებსა და ვაჭრებს. ამიტომ მან უცვლელად დატოვა ბიზანტიის იმპერიაში მოქმედი ყველა კანონი ვაჭრობა-ხელოსნობის შესახებ.

ოსმალების მიერ კონსტანტინოპოლის დაპყრობამ თავზარი დასცა ქრისტიანულ სამყაროს.

ოსმალთა ხელში მნიშვნელოვანი სამხედრო-სტრატეგიული ქალაქისა და ევროპასა და აზიას შორის სავაჭრო-სატრანსპორტო ცენტრის გადასვლამ საგრძნობლად შემატა მათ ძლიერება, რის გამოც მკვეთრად გაზარდა ბალკანეთის, ცენტრალური, სამხრეთ-დასავლეთ ევროპისა და შავი ზღვისპირა ქვეყნების დაპყრობის საშიშროება.

ბიზანტიის იმპერიის დაცემის შედეგად დამთავრდა კაცობრიობის საზოგადოების განვითარების ისტორიის გარკვეული პერიოდი და დაიწყო ევროპისა და აზიის მრავალი ხალხის ისტორიაში ახალი ეტაპი, განპირობებული ოსმალთა ბატონობით.

ოსმალების მიერ კონსტანტინოპოლის დაპყრობა მოასწავებდა ბიზანტიის იმპერიის მოსპობას და ოსმალეთის გადაქცევას ერთ-ერთ ძლევამოსილ სახელმწიფოდ. მაგრამ კონსტანტინოპოლის დაცემის ისტორიული შედეგი მხოლოდ ამით არ ამოიწურება: ამის შედეგად შეიქმნა განსაკუთრებით ხელსაყრელი პირობები ოსმალეთის შემდგომი ექსპანსიისათვის. ამასთანავე კონსტანტინოპოლის დაპყრობამ გადამწყვეტი როლი შეასრულა თურქოსმალთა სახელმწიფოს იმპერიად ჩამოყალიბების საქმეში.

როგორც ითქვა, კონსტანტინოპოლის აღების შემდეგ მეჰმედ II-ს ამ გამარჯვების აღსანიშნავად ფათიჰი (დამპყრობელი) შეარქვეს. 1457 წელს სულთანმა დედაქალაქი ადრიანოპოლიდან იქ გადაიტანა და ამიერიდან მას ისტანბულს (სტამბოლს) უწოდებენ. უძველესი ქალაქის ისტორიაში დაიწყო ახალი ეპოქა.

თავი V

ოსმალეთის იმპერიად ჩამოყალიბება

1. ოსმალთა პირველი ნაბიჯები შავი ზღვის რეგიონში გაბატონების მიზნით

კონსტანტინოპოლის დაპყრობის შემდეგ მეჰმედ II-მ თავის ერთ-ერთ ამოცანად დაისახა დაემორჩილებინა შავიზღვისპირა ქვეყნები და ხელთ ეგდო ვაჭრობა შავ ზღვაზე. მაგრამ ამ დიდი ამოცანის გადაჭრა ერთბაშად, ხელის ერთი მოსმით არ შეიძლებოდა, იგი თანდათანობით უნდა განხორციელებულიყო.

XIII საუკუნემდე შავ ზღვაზე ბიზანტია ბატონობდა და მთელი ვაჭრობა არსებითად ბერძნების ხელთ იმყოფებოდა. შავი ზღვა ჩაკეტილი იყო არაშავიზღვისპირა ქვეყნებისათვის.

ჯვაროსანთა ლაშქრობებისა და ბიზანტიის დასუსტების შედეგად შავ ზღვაზე თანდათანობით ვითარება იცვლება. 1169 წელს გენუელებმა, ხოლო შემდგომ ვენეციელებმა სავაჭრო უბნები ჩაიბარეს კონსტანტინოპოლში. იმავე წელს გენუელებმა უფლება მიიღეს თავიანთი გემებით შესულიყვნენ და ევაჭრათ შავ ზღვაზე. 1261 წელს გენუელებმა ნებართვა მოიპოვეს უბაჟოდ ევაჭრათ იმპერიის მთელ ტერიტორიაზე, ხოლო 1267 წელს მათ კონცესია უბოძეს კონსტანტინოპოლის პირდაპირ, ოქროს ყურის ჩრდილოეთ ნაპირზე გალათაში (პერაში). გენუელებმა აქ დააარსეს თავისი სავაჭრო ფაქტორია, გარშემო გალავანი შემოარტყეს და იგი, ფაქტობრივად, დამოუკიდებელი ქალაქი გახდა. გალათას განაგებდა პოდესტა (კომისარი), რომელსაც გენუის რესპუბლიკის მთავრობა ნიშნავდა. მალე გალათა ვაჭრობის მნიშვნელოვანი ცენტრი გახდა. აქედან გენუელებმა თანდათანობით თავიანთი სავაჭრო ფაქტორიები გახსნეს შავი ზღვის ქალაქებსა და დასახლებულ პუნქტებში. გენუელებს არ ჩამორჩნენ ვენეციელებიც და შავ ზღვაზე ვაჭრობა გააჩაღეს. მათ შორის დაიწყო მწვავე სავაჭრო კონკურენცია. მალე გენუელებმა შავ ზღვაზე გაბატონებული მდგომარეობა მოიპოვეს. მათი მთავარი სავაჭრო ცენტრი გახდა კაფა (ყირიმში). აქ იმყოფებოდა გენუელების კონსული, რომელსაც ემორჩილებოდა შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე სავაჭრო ფაქტორიები. შავიზღვისპირეთის თითქმის ყოველ რეგიონში გენუელებს თავიანთი სავაჭრო კოლონიები ჰქონდათ გახსნილი.

XIII საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში გენუელმა ვაჭრებმა საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე სოხუმში (სებასტოპოლისი), ბათუმში, ბიჭვინთაში, ახალ ათონში, გაგრაში, გონიოში, გუდაუთაში და სხვ. თავიანთი სავაჭრო ფაქტორიები დააარსეს და აქტიური სავაჭრო ურთიერთობა გააბეს ქართველებთან.

შავ ზღვაზე ვაჭრობა წარმოებდა არა მარტო შავიზღვისპირა ქვეყნებს შორის, არამედ აქ გადიოდა მნიშვნელოვანი საერთაშორისო სავაჭრო გზები აღმოსავლეთსა და დასავლეთს, ჩრდილოეთსა და სამხრეთის ქვეყნებს შორის. შავიზღვისპირა ქალაქებში ვაჭრები ჩამოდიოდნენ ჩინეთიდან, ინდოეთიდან, შუა აზიიდან, ირანიდან, აღმოსავლეთ ამიერკავკასიიდან, რუსეთიდან, სირიიდან, ეგვიპტიდან, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან და სხვა. გაცხოველებულ ვაჭრობას ეწეოდნენ ქალაქები: კაფა (ფეოდოსია), ტრაპიზონი, აზოვი (ტანა), სოგდეა (სუდაკი), სოხუმი, აკერმანი (მონკასტრო) და სხვა.

გენუელ და ვენეციელ ვაჭრებს შავი ზღვის ქალაქებში სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოჰქონდათ საქონელი, აგრეთვე, ადგილობრივ პროდუქციას ყიდულობდნენ და თავიანთი გემებით გაჰქონდათ ნავაჭრი იტალიასა და დასავლეთ ევროპის ქვეყნებში. თავის მხრივ, იტალიელ ვაჭრებს დიდი რაოდენობით შეჰქონდათ თავიანთი სამრეწველო საქონელი, ნაწილი ადგილზე იყიდებოდა, ხოლო დანარჩენი გაჰქონდათ შორეულ ქვეყნებში.

შავი ზღვის რეგიონიდან იტალიის ქალაქებსა და დასავლეთ ევროპაში გაჰქონდათ აბრეშუმი, ბეწვეული, ხმელი თევზი, ხიზილალა, მარცვლეული, ბრინჯი, თაფლი, ცვილი, ზეითუნი, ზეითუნის ზეთი, ერბო, ქონი, ტყავი, ხილი, გემების საშენი ხე-ტყე და სხვა. სავაჭრო ექსპორტის ერთ-ერთი მთავარი საგანი იყო „ცოცხალი საქონელი", მონები. იტალიის ქალაქებიდან აქ შემოჰქონდათ ტილო, ხალიჩები, აბრეშუმისა და შალის ქსოვილები და სხვა ნაწარმი. აღმოსავლეთის ქვეყნებიდან აქ მოჰქონდათ ძვირფასი ქვები, მარგალიტი, სანელებლები, აბრეშუმი, ხავერდი, ბამბის ნაწარმი, სანელებავები, სამკურნალო ნივთიერებები და სხვა. დიდი მოთხოვნილება იყო რუსეთიდან ჩამოტანილ ბეწვეულზე, ვერცხლისწყალზე და სხვა.

XIII-XV საუკუნის პირველ ნახევარში გენუელები და ვენეციელები გაცხოველებულ ვაჭრობას ეწეოდნენ შავ ზღვაზე, რის შედეგადაც დიდი შემოსავალი ჰქონდათ. ასეთი იყო ვითარება ამ რეგიონში ოსმალეთის გაბატონებამდე.

როგორც ზემოთ აღინიშნა, 1452 წლის ზაფხულში, სულთნის ბრძანებით, ბოსფორის სრუტის ევროპულ სანაპიროზე აგებულ იქნა ციხე-სიმაგრე რუმელი-ჰისარი. ამასთანავე მეჰმედ II გამოსცა დადგენილება, რომ ყოველი გემი, რომელიც სრუტეში შევიდოდა, ვალდებული იყო შეჩერებულიყო, გაევლო საბაჟო შემოწმება და გადაეხადა ბაჟი. წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში გემი ჩაძირული იქნებოდა. ამ გადაწყვეტილების გასაძლიერებლად სულთანმა ბრძანება გასცა – ბოსფორის სანაპიროზე განელაგებინათ ზარბაზნები. იმავე წლის ნოემბერში შავი ზღვიდან მომავალმა ვენეციის ორმა გემმა უარი თქვა დამორჩილებოდა სულთნის დადგენილებას. მათ ზარბაზნები დაუშინეს, მაგრამ გემებმა შეძლეს უვნებლად გასულიყვნენ სრუტიდან.

ორი კვირის შემდეგ სრუტეში გამოჩნდა ვენეციის მესამე გემი და მანაც სცადა ხელიდან გასხლტომოდა ოსმალებს, მაგრამ ზარბაზნების ცეცხლით გემი ჩაძირულ იქნა, ხოლო მისი შემადგენლობა დაპატიმრებული. სულთნის ბრძანებით, მათ თავები მოჰკვეთეს, გემის კაპიტანი კი სარზე ჩამოაცვეს და გზაზე საჩვენებლად დატოვეს.

მართალია, სულთნის ეს ღონისძიება მიზნად ისახავდა ალყაშემორტყმული კონსტანტინოპოლის ბლოკირებას, მაგრამ არავინ იცოდა, ბიზანტიის დედაქალაქის დაპყრობის შემთხვევაში, ვითარება როგორ წარიმართებოდა.

როდესაც ვენეციასა და გენუაში ცნობილი გახდა ეს ფაქტები, ამან დიდი შეშფოთება გამოიწვია. მათ აწუხებდათ არა მარტო ის, რომ კონსტანტინოპოლის დაპყრობის შემთხვევაში ისინი დაკარგავდნენ თავიანთ სავაჭრო პრივილეგიებს, რომლებიც მათ ჰქონდათ ბიზანტიის დედაქალაქში, არამედ ამას არ მოჰყოლოდა სრუტეებზე ნაოსნობის შეზღუდვა და შავი ზღვის სავაჭრო კოლონიების დაკარგვა.

განსაკუთრებით შეშფოთებული იყვნენ გენუელები, რომელთაც ეშინოდათ, არ დაეკარგათ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სავაჭრო ქალაქი – ნავსადგური პერა, კონსტანტინოპოლთან მდებარე.

გენუის რესპუბლიკის სენატმა ქალაქ გალათას (პერას) პოდესტას (კომისარს) გაუგზავნა მითითება, რომ შექმნილ რთულ ვითარებაში თურქების მიმართ გაეტარებინა ისეთი პოლიტიკა, რომელსაც იგი ჩათვლიდა საჭიროდ, ხოლო კონსტანტინოპოლის დაცემის შემთხვევაში უნდა მიეღო ყოველგვარი ზომები აქ კოლონიის


შესანარჩუნებლად. სწორედ ამით აიხსნება პერას მოსახლეობის ორჭოფული პოლიტიკა კონსტანტინოპოლის ალყის დროს.

კონსტანტინოპოლის დაპყრობისთანავე სულთანმა მეჰმედ II-მ უბრძანა ზაგანოს ფაშას წასულიყო გალათაში და არ მიეცა საშუალება გენუელებისათვის გემები გაეყვანათ ნავსადგურიდან; ქალაქის მცხოვრებნი უნდა დარჩენილიყვნენ თავიანთ ადგილებზე და მათ ეკრძალებოდათ გემებში ჩასხდომა და ქალაქის მიტოვება.

კონსტანტინოპოლის დაცემის შემდეგ გალათაში პანიკა დაიწყო. მოსახლეობის ნაწილმა ქალაქი მიატოვა და გემებით თავს უშველა. გალათას პოდესტამ ანჯელო ლომენილომ, როგორც კი შეიტყო კონსტანტინოპოლის დაპყრობის ამბავი, ოსმალთა ჯარის მოსალოდნელი შეტევისაგან თავის დაღწევის მიზნით, დაუყოვნებლივ გაგზავნა სულთანთან თავისი ორი წარმომადგენელი. მათ სულთანს მიულოცეს გამარჯვება, მიართვეს ქალაქის გასაღები და სთხოვეს დაემტკიცებინა ქალაქისათვის ის პრივილეგიები და შეღავათები, რომლებიც მას ჰქონდა ბიზანტიელების დროს. წარმომადგენლების მისვლამ სულთნის უკმაყოფილება გამოიწვია. მეჰმედი განრისხებული იყო იმის გამო, რომ პერა დატოვა მრავალმა გემმა, აგრეთვე, მოსახლეობის ორჭოფული პოლიტიკით. ამ მისიის ჩაშლის შემდეგ კოლონიის მესვეურებს ფარხმალი არ დაუყრიათ და მეჰმედთან კვლავ გაგზავნეს თავიანთი წარმომადგენლები. ეს მისია ამჯერად შედეგიანი აღმოჩნდა. ზაგანოს ფაშამ პერას წარმომადგენლებს გადასცა სულთნის ფირმანი (ფიქრობენ, რომ იგი შედგენილი იყო 30 მაისს ან ივნისის პირველ რიცხვებში), რომლის საფუძველზედაც ქალაქი უნდა გადასულიყო ოსმალთა ხელში. ამ ფირმანით სულთანი ჰპირდებოდა პერას მოსახლეობას, რომ ქალაქი არ იქნებოდა დანგრეული და მისი მოსახლეობა აყრილ-აწიოკებული, მცხოვრებლები შეინარჩუნებდნენ თავიანთ დუქნებს, წისქვილებს, ბაღ-ვენახებს, გემებს, მაგრამ ვალდებული იყვნენ ჩაებარებინათ იარაღი, დაენგრიათ წმინდა ჯვრის კოშკი და ნაწილობრივ ქალაქის გალავანი. ციხის კედლები შენარჩუნებული უნდა ყოფილიყო მხოლოდ ზღვის სანაპიროზე. არავინ ახლებდა ხელს მათ ცოლებსა და ბავშვებს. ვაჭებს არ წაიყვანდნენ იენიჩარებად. მათ ეძლეოდათ უფლება ესარგებლათ თავიანთი ეკლესიებით, მაგრამ ეკრძალებოდათ ზარების რეკვა, ახალი ეკლესიების აგება. არც ერთი თურქი არ იცხოვრებდა მათ შორის, გარდა თურქი მოხელეებისა. მათ უფლება ჰქონდათ ევაჭრათ სულთნის სამფლობელოებში, როგორც ზღვით, ისე ხმელეთით. გენუის მოქალაქეებს ასევე თავისუფლად შეეძლოთ შესულიყვნენ გალათაში. გალათაში მცხოვრები გენუელები თავისუფლდებოდნენ სპეციალური გადასახადებისაგან, მაგრამ კოლონიის ყოველ მამაკაცს უნდა გადაეხადა სულადი გადასახადი (ჯიზიე). გენუელებს შეეძლოთ შეენარჩუნებინათ თავიანთი სავაჭრო წესები, მაგრამ სხვა მხრივ უნდა დამორჩილებოდნენ სულთნის კანონებს. მათ უნდა ამოერჩიათ თავიანთი უხუცესი ან მამასახლისი, რომელიც მეთვალყურეობას გაუწევდა ვაჭრობას და დაამყარებდა კონტაქტს ოსმალეთის ხელისუფლებასთან.

სულთნის ფირმანის გამოქვეყნების შემდეგ ზაგანოს ფაშა თავისი ჯარით შევიდა პერაში და მის გამგებლად დაინიშნა ოსმალო მოხელე. ქალაქი გენუელთა გამგებლობიდან ოსმალთა მმართველობაში გადავიდა. 3 ივნისს გალათას ეწვია მეჰმედ II. გალათა სტატუსით დაემსგავსა იმ ქალაქებს, რომლებიც ნებაყოფლობით დანებდნენ მუსლიმებს.

კონსტანტინოპოლის დაპყრობის შემდეგ, 1453 წლის ზაფხულის ბოლოს, მეჰმედ II ადრიანოპოლში დაბრუნდა. აქ მასთან გამოცხადდნენ მეზობელი



ბოსფორის ხედი

ქვეყნების ელჩები ძვირფასი საჩუქრებით და სულთანს მორჩილება გამოუცხადეს.

პერას დაკავებამ და შავი ზღვის სრუტეებზე ოსმალეთის გაბატონებამ დიდი შეშფოთება გამოიწვია იტალიის სავაჭრო ქალაქებში, რომელთაც მჭიდრო ეკონომიკური ურთიერთობა ჰქონდათ შავიზღვისპირა ქვეყნებთან. განსაკუთრებით შეშფოთებული იყვნენ გენუელი ვაჭრები, რომლებსაც მანამდე გაბატონებული მდგომარეობა ეკავათ აქ. გამოჩენილი თურქი მოგზაურის ევლია ჩელების ცნობით, გენუელთა ხელთ იმყოფებოდა შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე შვიდას სამოცი – შვიდას სამოცდაათი ციხე-ქალაქი.

გენუელებს ესმოდათ, რომ კონსტანტინოპოლის დაპყრობა, რასაც მოჰყვა პერას დაცემა, გამოიწვევდა შავ ზღვაზე მთელი მათი კოლონიების დაკარგვას.

გენუის რესპუბლიკა ამ დროს დასუსტებული იყო მეფე ალფონს არაგონელთან ომებით და ოსმალეთის წინააღმდეგ რაიმე სამხედრო აქციების მოწყობაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლებოდა. საჭირო იყო დიპლომატიური ნაბიჯის გადადგმა. გენუის დოჟმა და ქალაქის დიდებულებმა მიმართეს წმინდა გიორგის ბანკს თხოვნით – აღმოეჩინა ფინანსური დახმარება სულთანთან საზეიმო ელჩობის გაგზავნის მიზნით.

გენუაში იმედოვნებდნენ, რომ ისინი შეძლებდნენ არა მარტო კაფას გადარჩენას, არამედ შეინარჩუნებდნენ გალათასაც კი. მაგრამ, როდესაც ეს ელჩობა სულთანთან გამგზავრებას აპირებდა, გენუის რესპუბლიკამ შეიტყო ჯერ კონსტანტინოპოლის, შემდეგ კი პერას დაცემა და გადაწყვიტა, რომ ასეთ ვითარებაში არავითარი აზრი არ ჰქონდა სულთანთან ჩასვლას.

შავი ზღვის გენუელთა კოლონიების მდგომარეობა უარესდებოდა. მეზღვაურებს არ სურდათ შავი ზღვის სრუტეებით ნაოსნობა, ხოლო ვაჭრებს სრუტეებზე ბაჟის გადახდა. კაფაში ორი წლის განმავლობაში (1453 წლიდან 1455 წლის ზაფხულამდე) არც ერთი გემი არ ჩასულა არც გენუიდან და არც პერადან.

გენუის რესპუბლიკის მთავრობის ფინანსური მდგომარეობა სავალალო იყო. შავი ზღვის კოლონიების მმართველობა და განსაკუთრებით მათი დაცვა დიდ ხარჯებს მოითხოვდა. ქალაქის ზოგიერთი გამოცდილი მოქალაქის რჩევით, სენატმა წინადადებით მიმართა წმინდა გიორგის ბანკის მესვეურებს, რათა შავ ზღვაზე მათი კოლონიების მმართველობისა და ფლობის უფლება გადასცემოდა ბანკს.

1453 წლის 10 ნოემბერს სენატმა ამ წინადადებით მიმართა ბანკს. ბანკის მესვეურებმა გადაწყვიტეს, რომ ჯერ კიდევ შეიძლებოდა საკმაო სიმდიდრის დაგროვება შავი ზღვის კოლონიების ექსპლუატაციის ხარჯზე და მიიღეს ეს წინადადება.

1453 წლის 12 ნოემბერს გენუის სენატმა მიიღო დადგენილება, რომლის ძალით წმინდა გიორგის ბანკმა სრულ საკუთრებად მიიღო შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე გენუელთა დასახლება. საბოლოო აქტი ამ კოლონიების გაფორმების შესახებ დამტკიცებულ იქნა 15 ნოემბერს. ბანკის მფლობელობაში გადავიდა კაფა, მიმდებარე მიწებით, სოფლებით, ციხე-სიმაგრეებით, ნავსადგურებით. ბანკმა მიიღო, აგრეთვე, საბაჟო გადასახადების აკრეფის უფლება კაფასა და სხვა ნავსადგურებში. ბანკის ხელთ აღმოჩნდა იურიდიული ძალაუფლება შავი ზღვის რეგიონში მყოფ გენუელთა კოლონიებზე.

ამასობაში მეჰმედ II შავიზღვისპირა ქვეყნების წინააღმდეგ ლაშქრობისათვის ემზადებოდა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იგი აპირებდა ტრაპიზონზე თავდასხმას, მაგრამ შემდეგ შეცვალა თავისი გადაწყვეტილება, შავიზღვისპირა ქვეყნებს შორის ერთ-ერთ რეალურ სამხედრო ძალას ყირიმის სახანო წარმოადგენდა[3].

ყირიმის ხანის დამორჩილება ამ ეტაპზე სულთნის გეგმებში არ შედიოდა. პირიქით, სულთანმა გადაწყვიტა ერთმორწმუნე ყირიმის ხანი თავისი ინტერესების სასარგებლოდ გამოეყენებინა და მისი დახმარებით ხელთ ეგდო ქალაქი კაფა, გენუელების მთავარი საყრდენი შავ ზღვაზე.

ამ მიზნით მეჰმედ II-მ ურთიერთობა დაამყარა ყირიმის ხანთან ჰაჯი გირეისთან, რომელიც, თავის მხრივ, დაინტერესებული იყო, რომ ყირიმის სანაპიროზე მდებარე იტალიელთა სავაჭრო კოლონიები თავისი ხელისუფლებისათვის დაემორჩილებინა და ამით გაეზარდა შემოსავალი. სწორედ ამ ნიადაგზე მოხდა სულთნისა და ყირიმის ხანის დაახლოება.

1454 წლის დამდეგს მეჰმედ II-სა და ყირიმის ხანს ჰაჯი გირეის შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც ოსმალები გენუელების წინააღმდეგ კაფაზე იერიშს ზღვიდან მიიტანდნენ, ხოლო ყირიმის ხანი კი – ხმელეთიდან.

ჩანს, სულთანი არ დაკმაყოფილდა მხოლოდ კაფაზე იერიშის მიტანით. მან გადაწყვიტა გაეფართოებინა თავისი მოქმედების ასპარეზი. ადრიანოპოლში სულთანთან არ გამოცხადებულან საქართველოსა და მოლდავეთის წარმომადგენლები და მისთვის მორჩილება არ გამოუცხადებიათ. მეჰმედ II-მ გადაწყვიტა მათი დასჯა და

[3] 1223 წელს თათარ-მონღოლებმა ყირიმი დაიპყრეს და იქ შეიჭრნენ და დასახლდნენ. XIII-XIV საუკუნეთა მიჯნაზე იქ შეიქმნა ნახევრად დამოუკიდებელი საგამგებლო, რომლის რეზიდენცია სოლხატში იმყოფებოდა. 1443 წელს ყირიმი გამოეყო ოქროს ურდოს და დამოუკიდებელი სახანო გახდა, რომელსაც გირეები განაგებდნენ. ყირიმის ხანის ცხენოსანი ლაშქარი საკმაოდ მრისხანე ძალას წარმოადგენდა. ყირიმელი ხანები გამუდმებით თავს ესხმოდნენ მეზობელ ხალხებს და მოსვენებას არ აძლევდნენ მათ. ხანების შემოსავლის ძირითადი წყარო ალაფი იყო.



სკანდერბეგი

მორჩილებაში მოყვანა. ამასთანავე ამ ქვეყნების საზღვაო სანაპიროებზე განლაგებული იყო გენუელთა სავაჭრო ფაქტორიები. მათზე თავდასხმით სულთანი ორ მიზანს აღწევდა: დაიმორჩილებდა როგორც ამ ქვეყნების გამგებლებს, ისე გენუელთა სავაჭრო ფაქტორიებსაც.

1454 წლის ზაფხულის დამდეგს ოსმალეთის დიდი ფლოტი, რომელიც 56 გემისაგან შედგებოდა, ბოსფორიდან გავიდა, ჯერ მონკასტროსაკენ (აკერმანი) გაემართა, იერიში მიიტანა ქალაქზე, რომლის მოსახლეობამ ენერგიული წინააღმდეგობა გაუწია, შემდეგ აღმოსავლეთისაკენ, კავკასიის სანაპიროსაკენ აიღო გეზი, სოხუმს (სებასტოპოლისს) თავს დაესხა და გაძარცვა. ამ დროს სოხუმში გენუელებს გახსნილი ჰქონდათ სავაჭრო ფაქტორია. ფაქტიურად, ეს იყო ოსმალთა პირველი თავდასხმა საქართველოს მიწა-წყალზე. სოხუმიდან ოსმალეთის ფლოტი ყირიმისაკენ გაემართა, 11 ივლისს ღუზა კაფას ნავსადგურის მახლობლად ჩაუშვა და ელოდებოდა ყირიმის ხანის ლაშქრის მოსვლას. 16 ივლისს ყირიმის ხანი 6.000-იანი ლაშქრით მოვიდა და კაფას ხმელეთიდან ალყა შემოარტყა. ქალაქი კარგად იყო გამაგრებული და მიუხედავად არა ერთი იერიშისა, მისი აღება ვერ შეძლეს. გენუელებს არსაიდან დახმარების იმედი არ ჰქონდათ და შექმნილ ვითარებაში გენუის კონსულმა ამჯობინა დაზავებოდა მტერს და მოლაპარაკება დაეწყო. დაიდო ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც კაფას კონსული ვალდებული იყო ყოველწლიურად ყირიმის ხანის სასარგებლოდ გადაეხადა 600 სომი (რომელიც შეესატყვისება 1.600 დუკატს ან 13.140 ლირას).

მეჰმედ II უკმაყოფილო იყო საზღვაო ლაშქრობის შედეგებით. მან ბოსფორის სრუტე ჩაკეტა. გენუელები არც კი ცდილობდნენ საზღვაო გზით დაკავშირებოდნენ შავ ზღვაზე მდებარე თავის კოლონიებს. თავიანთ წარმომადგენლებს კაფაში სახმელეთო გზით გზავნიდნენ. ამ დროს კაფას შიმშილი ემუქრებოდა, 1455 წელი მოუსავლიანი იყო. კაფას მცხოვრებნი მოითხოვდნენ დახმარებას სურსათ-სანოვაგის სახით, რომელიც უნდა მოეწოდებინათ მათთვის ან საზღვაო გზით (ეს კი ნაკლებად რეალური იყო), ან ხმელეთიდან უნგრეთისა და პოლონეთის გავლით.

გენუიდან, კაფისათვის დახმარების აღმოჩენის მიზნით, გაიგზავნა 2 გემი 800 ჯარისკაცით. კაფაში ამის შესახებ არაფერი იცოდნენ.

შექმნილ ვითარებაში კაფის კონსულმა გადაწყვიტა დაეწყო სულთანთან მოლაპარაკება და ამ მიზნით მას ელჩი გაუგზავნა. მეჰმედ II ამ დროს ადრიანოპოლში იმყოფებოდა. მოლაპარაკების შედეგად დადებულ იქნა შეთანხმება. ხელშეკრულებით კაფა ვალდებული იყო ყოველწლიურად სულთნისათვის გადაეხადა 3.000 ვენეციური დუკატი როგორც ხარკი (ხარაჯა). ქალაქი სამასტრა, რომელიც გენუელებს ეკუთვნოდა, ოსმალთა მფლობელობაში გადადიოდა.

ამრიგად, გენუელთა მთავარი სავაჭრო ფაქტორია შავ ზღვაზე ოსმალეთის მოხარკე გახდა და მათი პოზიციები ამ რეგიონში მნიშვნელოვნად დასუსტდა, ხოლო ოსმალეთისა – გაძლიერდა.

2. ოსმალთა შემდგომი ექსპანსია ბალკანეთის ქვეყნებში

კონსტანტინოპოლის დაპყრობამ ხელსაყრელი პირობები შეუქმნა ბალკანეთში ოსმალთა შემდგომ ექსპანსიას. ოსმალთა პირველი დარტყმა მიმართული იყო სერბიის წინააღმდეგ.

1456 წლის 27 ივლისს ბელგრადთან იანოშ ჰუნიადის სარდლობით შეკრებილმა ლაშქარმა, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ უნგრელების, ჩეხებისა და გერმანელების სახალხო რაზმები, სასტიკი დამარცხება აგემა მეჰმედ II-ის ჯარს. ამ მარცხის შემდეგ მეჰმედ II იძულებული გახდა, მოეხსნა ალყა და უკან გაბრუნებულიყო. ბელგრადთან წარუმატებლობამ შეაჩერა ათეული წლებით ოსმალთა წინსვლა უნგრეთის მიმართულებით. მაგრამ ამ გამარჯვებამ ვერ შეძლო არსებითად შეეცვალა ბალკანეთში მოვლენების საერთო მსვლელობა.

1459 წელს ოსმალებმა ხელთ იგდეს მთელი სერბია. ქვეყანა გადაიქცა ოსმალეთის სახელმწიფოს ერთ-ერთ პროვინციად (საფაშო). 200 ათასი სერბი გაყიდეს მონობაში, ხოლო მათ მიწებზე თურქები ჩაასახლეს.

მოლდავეთმა 1456 წელს სცნო ოსმალეთის სუზერენიტეტი, ხოლო ვალახეთმა – 1476 წელს. თუმცა დუნაისპირა სამთავროებმა შეინარჩუნეს საკუთარი მთავრის არჩევის უფლება.

კონსტანტინოპოლის დაცემის შემდეგ მორეაში განაგრძობდა არსებობას პატარა ბერძნული სახელმწიფო. 1458-1463 წლებში ოსმალებმა ბალკანეთში ხელთ იგდეს ბიზანტიის სამფლობელოები და ისინიც კი, რომლებიც იმყოფებოდა ვენეციელთა ხელთ.

1460 წელს ოსმალებმა დაიმორჩილეს მორეა, ხოლო 1463 წელს – ბოსნია.

ოსმალო დამპყრობლებს განსაკუთრებით მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს ალბანელებმა და ჩერნოგორიელებმა.

ალბანელი ხალხის ბრძოლას ოსმალთა წინააღმდეგ სათავეში ჩაუდგა გიორგი კასტრიოტი, ცნობილი სკანდერბეგის სახელით. გიორგი კასტრიოტი იყო ქალაქ ციხე-სიმაგრე კროის მფლობელის შვილი. ახალგაზრდობაში იგი მოიტაცეს და თურქეთში ტყვედ გაყიდეს. იქ მან მიიღო ისლამი და ჩაირიცხა არმიის რიგებში. მამაცობისათვის იგი დაინიშნა სანჯაყბეგად. მაგრამ სკანდერბეგს არ გაუწყვეტია კავშირი ალბანელ პატრიოტებთან. 1443 წელს იგი იმყოფებოდა ოსმალთა არმიის რიგებში, რომელიც მიემართებოდა იანოშ ჰუნიადის წინააღმდეგ საბრძოლველად. სკანდერბეგი თავის თანამოაზრეებთან ერთად გაიქცა, მოხერხებით ხელთ იგდო თავისი მშობლიური ქალაქი კროი და სათავეში ჩაუდგა ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლას.

24 წლის განმავლობაში, სიკვდილამდე (1467) იგი წარმატებით იგერიებდა ოსმალთა შეტევებს და საგრძნობი დამარცხებები აგემა მათ. სკანდერბეგის სიკვდილის შემდეგ, მებრძოლ ალბანელ ფეოდალებსა და ტომის ბელადებს შორის თავი იჩინა განხეთქილებამ, რამაც დაასუსტა მებრძოლთა ძალები. მიუხედავად ამისა, სკანდერბეგის გარდაცვალებიდან მხოლოდ 12 წლის გასვლის შემდეგ (1479) ოსმალებმა დიდი მსხვერპლის გაღების შედეგად შეძლეს ალბანეთის დიდი ნაწილის დამორჩილება.

სულთნის ჯარები სასტიკ წინააღმდეგობას წააწყდნენ აგრეთვე ჩერნოგორიაში. 1477 წელს ოსმალებმა ალყა შემოარტყეს ციხე-სიმაგრე სკუტარს (შკოდერი) და მრავალჯერ მიიტანეს იერიში, მაგრამ უშედეგოდ. რამდენიმე თვის ალყის შემდეგ შკოდერის გარნიზონმა, რომელიც შედგებოდა ჩერნოგორიელების, ალბანელებისა და ვენეციელებისაგან, დატოვა ქალაქი, მთელი თავისი სამხედრო აღჭურვილობით. ეს იყო ძალზე იშვიათი შემთხვევა, როდესაც თურქების მიერ ალყაშემორტყმული ქალაქის დამცველებმა შეინარჩუნეს არა მარტო ღირსება და პატივი, არამედ სიცოცხლეც.

ოსმალთა დაპყრობებმა ბალკანეთსა და ეგეოსის ზღვის კუნძულების რეგიონში გამოიწვია ვენეციასთან შეჯახება. ამ დროს ვენეციის რესპუბლიკას გაბატონებული მდგომარეობა ეკავა ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში. ოსმალთა ექსპანსია საფრთხეს უქმნიდა მის ინტერესებს ამ რეგიონში. ამის გამო დაიწყო ომი ოსმალეთსა და ვენეციას შორის, რომელიც შესვენებებით 16 წელი გაგრძელდა – 1463 წლიდან 1479 წლამდე და დამთავრდა ვენეციის დამარცხებით. 1479 წლის 26 იანვარს კონსტანტინოპოლში დაიდო ზავი. საზავო ხელშეკრულების მიხედვით, ვენეციამ ოსმალეთს დაუთმო კუნძულები ეგეოსის ზღვაში, მაგრამ შეინარჩუნა – კრიტოსი და კორფუ, აგრეთვე ზოგიერთი სამფლობელო ბალკანეთში. ვენეციას უნდა გადაეხადა ოსმალეთის სასარგებლოდ ერთდროულად 100 ათასი დუკატი და ყოველწლიურად – 10 ათასი დუკატი. ამის სანაცვლოდ ვენეციის რესპუბლიკამ შეინარჩუნა და გაიფართოვა სავაჭრო პრივილეგიები და შეღავათები, რომელიც მეჰმედ II-მ უბოძა ჯერ კიდევ 1453 წელს ვენეციელ ვაჭრებს.

1479 წელს ვენეციაში ჩავიდა მეჰმედ II-ის ელჩი სამხედრო კავშირის დადების მიზნით. ვენეციას უნდა აეღო ვალდებულება დახმარება აღმოეჩინა ფლოტით 100 გალერის რაოდენობით, თუ ოსმალეთის სამფლობელოებს ხმელთაშუა ზღვის რაიონში დაემუქრებოდა საფრთხე. თავის მხრივ, მეჰმედ II ანალოგიურ სიტუაციაში დახმარებას ჰპირდებოდა ვენეციას 100 ათასიანი ცხენოსანი არმიის გაგზავნით.

ბალკანეთსა და ეგეოსის ზღვაზე პოზიციების განმტკიცებისა და ვენეციასთან ზავის დადების შემდეგ მეჰმედ II შეუდგა იტალიაზე თავდასხმისათვის მზადებას.

3. ტრაპიზონის საკეისროს დაპყრობა

1204 წელს დაარსებულ იქნა ტრაპიზონის სამეფო და ამ საქმეში გარკვეული წვლილი შეიტანა თამარ მეფემ. ქართველები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ მის პოლიტიკურ ცხოვრებაში, თუმცა საკეისროს არსებობის ბოლო ეტაპზე მათი როლი საგრძნობლად იყო შემცირებული.

ტრაპიზონის საკეისრო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სახელმწიფო იყო შავი ზღვის რეგიონსა და მცირე აზიაში. მის ძირითად ბირთვს წარმოადგენდა პონტოს ოლქი, რომელიც გადაჭიმული იყო შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთიდან – მდინარე ჭოროხიდან, ბათუმიდან სინოპამდე.

ორნახევარი საუკუნის არსებობის მანძილზე ტრაპიზონის იმპერიის ისტორია აღსავსეა მეტად მძაფრი მოვლენებით. ამ პატარა სახელმწიფომ გაუძლო სელჩუკებთან ბრძოლას, შეძლო გამკლავებოდა მონღოლ-თათართა შემოსევებს. მოწმე იყო თემურლენგის ურდოების მოსვლისა მახლობელ აღმოსავლეთში და სხვა. თავისი ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობის გამო, ტრაპიზონის იმპერია იყო შუამავალი აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ვაჭრობის საქმეში. მის ტერიტორიაზე დაარსებულ იქნა იტალიელთა სავაჭრო ფაქტორიები, რომლებიც გაცხოველებულ ვაჭრობას ეწეოდნენ აღმოსავლეთსა და დასავლეთთან.

ტრაპიზონის სახელმწიფო დიდ როლს თამაშობდა ევროპის ქვეყნების სატრანზიტო ვაჭრობაში ირანთან, ინდოეთთან, ჩინეთთან. ამ ვაჭრობისაგან მას ჰქონდა დიდი შემოსავალი. XV საუკუნის დამდეგისათვის მისი შემოსავალი 700 ათას დუკატს შეადგენდა და უტოლდებოდა ინგლისის მეფის შემოსავალს.

XV საუკუნის შუა წლებისათვის, როდესაც ოსმალეთმა უშუალო საფრთხე შეუქმნა ტრაპიზონის სახელმწიფოს, იგი ძალზე დასუსტებული იყო.

კონსტანტინოპოლის დაპყრობის შემდეგ სულთანს განზრახული ჰქონდა ტრაპიზონის სამეფოს მოსპობაც. იგი სათანადო სამზადისს შეუდგა, მაგრამ მალე გადაიფიქრა. ამ დროს მეჰმედ II-ს უფრო მნიშვნელოვანი საქმეები ჰქონდა ევროპაში და მან მთელი ყურადღება იქითკენ გადაიტანა. ამის გამო ოსმალთა საფრთხე ტრაპიზონის მიმართ დროებით შენელდა.

1456 წლის გაზაფხულზე შეიხ გუნეიდინ რაფიზ თურქმენი ტრაპიზონის იმპერიის სამფლობელოებში შეიჭრა, აღჩაკალა აიღო, მის წინააღმდეგ გაგზავნილი ლაშქარი დაამარცხა, ტრაპიზონს ალყა შემოარტყა, მაგრამ ქალაქი კარგად იყო გამაგრებული და მან იგი ვერ აიღო. ამ დროს მის წინააღმდეგ გაემართა რუმის ბეგლარბეგი ჰიზის ბეი. გუნეიდინმა ოსმალებთან ბრძოლას თავი აარიდა, ტრაპიზონს ალყა მოხსნა და უზუნ ჰასანთან წავიდა.

ტრაპიზონის იმპერატორმა იოანემ ამ „სამსახურისათვის" ოსმალეთის სასარგებლოდ ყოველწლიურად 2.000 ოქროს (ხარაჯას) გადახდა იკისრა და ოსმალეთის მფარველობის ქვეშ შევიდა.

ერთი წლის შემდეგ, როდესაც მეჰმედ II სერბიიდან დედაქალაქში დაბრუნდა, იმპერატორმა იოანემ თავისი ძმა დავითი სტამბოლში გაგზავნა. სულთანი არ იყო კმაყოფილი ტრაპიზონთან დადებული შეთანხმებით. მან დავითს მოსთხოვა, რომ საკეისროს მისთვის ყოველწლიურად 3.000 ოქრო გადაეხადა.

ამრიგად, ერთდროულად ტრაპიზონის სამეფო ორ ცეცხლს შორის აღმოჩნდა: სამხრეთ-დასავლეთიდან მას აყ-ყოინლუს (თეთრბატკნიანთა) სახელმწიფო დაემუქრა, ხოლო დასავლეთიდან – ოსმალეთი. მდგომარეობა მეტად მძიმე იყო.

სწორედ ამ დროს მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებში ჩამოვიდა რომის პაპის ლეგატი ლუდოვიკო ბოლონიელი. მას პაპისაგან დავალებული ჰქონდა აღმოსავლეთის ქვეყნების მონაწილეობით შეედგინა კოალიცია ოსმალეთის წინააღმდეგ საბრძოლველად. ლუდოვიკო ბოლონიელი ტრაპიზონში ჩავიდა. ტრაპიზონის სამეფო კარზე რომის პაპის გეგმას დადებითად შეხვდნენ. ჩანს, ტრაპიზონის მეფემ ითავა მცირე აზიის მაჰმადიანური ქვეყნების გაერთიანება ოსმალთა წინააღმდეგ საბრძოლველად. მათ შორის ყველაზე რეალურ ძალას უზუნ ჰასანის თეთრბატკნიანთა (აყ-ყოინლუს) სახელმწიფო წარმოადგენდა.

იოანემ გადაწყვიტა უზუნ ჰასანთან დაახლოებისა და მისი ანტიოსმალურ კოალიციაში ჩაბმის მიზნით მისთვის მიეთხოვებინა თავისი ულამაზესი ქალიშვილი დესპინე (კატერინა). ამ საქმის მოსაგვარებლად იოანემ თავისი ძმა დავითი უზუნ ჰასანთან გაგზავნა. თავის მხრივ, უზუნ ჰასანი დაინტერესებული იყო ტრაპიზონის სამეფოსთან დაახლოებით, რითაც მას საშუალება ეძლეოდა მიეღო შავ ზღვაზე თავისუფალი გასასვლელი, რომელსაც მისი სახელმწიფოს ვაჭრობისათვის ძალზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. უზუნ ჰასანმა სიამოვნებით მიიღო ტრაპიზონის კეისრის იოანეს წინადადება და ცოლად შეირთო მისი ქალიშვილი. ამ ქორწინების შემდეგ უზუნ ჰასანი ტრაპიზონს თავის სამზითვო ქვეყნადაც კი თვლიდა. უზუნ ჰასანი, თეთრბატკნიანთა სახელმწიფოს გამგებელი, დაინტერესებული იყო აგრეთვე ოსმალეთის წინააღმდეგ კოალიციის შექმნით, რადგანაც მას ოსმალეთი თავის ძირითად მეტოქედ მიაჩნდა. უზუნ ჰასანი ასევე ხელს უწყობდა მცირე აზიის

სამთავროების ბრძოლას ოსმალეთისაგან დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად. მეჰმედ II-ის მიერ დამარცხებული ბეგები ხშირად თავშესაფარს თეთრბატკნიანთა სახელმწიფოში პოულობდნენ.

ერთი სიტყვით, ამ დროს მცირე აზიაში მეტად ხელსაყრელი პირობები იყო ანტიოსმალური კოალიციის შესადგენად.

1458 წელს გარდაიცვალა იოანე IV. მისი ვაჟი ალექსი ოთხი წლის იყო და იმპერატორი გახდა იოანეს ძმა დავითი. იგი კიდევ უფრო ენერგიულად შეუდგა ოსმალეთის წინააღმდეგ კავშირის ორგანიზაციას. 1459 წლის გაზაფხულზე დავითის აქტიური მონაწილეობით შეიქმნა ანტიოსმალური კოალიცია, რომელშიც შევიდნენ ტრაპიზონის მეფე დავითი, აყ-ყოინლუს გამგებელი უზუნ ჰასანი, ყარამანიისა და სინოპის გამგებლები და მცირე სომხეთის მთავარი. ამ კოალიციას შეუერთდნენ საქართველოს მეფე-მთავრები.

1459 წლის მიწურულს აღმოსავლეთის ქვეყნების ელჩობა, ლუდოვიკო ბოლონიელის მეთაურობით, დასავლეთ ევროპაში გაემგზავრა.

ტრაპიზონის იმპერატორი დავით კომნენი იმდენად იყო დარწმუნებული ანტიოსმალური კოალიციის წარმატებაში, რომ განიზრახა შეეწყვიტა ოსმალეთისათვის ხარკის მიწოდება, რომელსაც მისი ძმა იოანე IV სულთანს 1456 წლიდან უხდიდა. კიდევ უფრო მეტი: დავითმა მოსთხოვა თავის მოკავშირეს უზუნ ჰასანს მხარი დაეჭირა ამ საკითხში და სულთანთან ამ მიზნით სპეციალური ელჩობა გაეგზავნა. ბიზანტიელი ისტორიკოსი ლაონიკე ხალკოკონდილე გადმოგვცემს: „დავით მეფემ სთხოვა ჰასანს შუამდგომლობა მეჰმედ მეფის წინაშე, რომ ტრაპიზონს აღარ ეძლია მისთვის ხარკი, მაგრამ უფრო მეტად, რომ მეჰმედ მეფეს ჰასანისათვის წყალობა არ მოეკლო". დავითის ასეთი ნაბიჯი მოუფიქრებელი და მცდარი იყო, რამაც კიდევ უფრო დააჩქარა სულთნის გამოსვლა ტრაპიზონის სახელმწიფოს წინააღმდეგ.

უზუნ ჰასანმა სიამოვნებით მიიღო დავითის ეს წინადადება. კიდევ უფრო მეტი: მან თავის მხრივაც პრეტენზიები წამოუყენა სულთანს. 1460 წელს ამ მიზნით უზუნ ჰასანმა სტამბოლში მეჰმედ II-სთან გაგზავნა მურადი, თავისი ძმისშვილი. ბიზანტიელი მემატიანე ამ ელჩობის შესახებ მოგვითხრობს: „კომნელთაგან და უზუნ ჰასანისაგან... ელჩები გაიგზავნენ (მეჰმედთან) და მოითხოვდა (უზუნ ჰასანი) მისგან რაღაც უმნიშვნელო რამეებს და ეუბნებოდა, რომ მას მისი მართებს ხარკი 60 წლისაზე მეტი, წლიური 1.000 ჩული, მისი ცხენების გადასაფარებელი, 1.000 ხალიჩა და 1.000 დოლბანდი, როგორც დაწესებული იყო და ყოველწლიურად უხდიდა ამის (მეჰმედის) პაპა იმის (უზუნ ჰასანის) პაპას". უზუნ ჰასანის ელჩები ამითაც არ დაკმაყოფილებულან და „სთხოვეს აგრეთვე ისიც, რომ კოლხიდის (ტრაპიზონის - მ. ს.) ქვეყნის ხარკი მათთვის გადაეცა".

სულთანი აღშფოთებული იყო უზუნ ჰასანის ელჩების თავხედობით, მაგრამ თავი შეიკავა და წყნარად უპასუხა: „დამშვიდებული ბრძანდებოდეთ, მომავალ წელს ვიზრუნებ იმაზე და ვალს გადავიხდიო".

მეჰმედ II-სათვის ნათელი გახდა, რომ უზუნ ჰასანი და დავით მეფე მის წინააღმდეგ შეთანხმებით მოქმედებდნენ. ამასთანავე არ შეიძლებოდა მას არ სცოდნოდა, რომ დასავლეთ ევროპასა და მცირე აზიაში ანტიოსმალური კოალიცია იქმნებოდა. სულთანს საიდუმლო აგენტები ჰყავდა არა მარტო მეზობელ ქვეყნებში, არამედ ევროპაშიც, რომლებიც მას დაწვრილებით ინფორმაციას აწვდიდნენ.

მეჰმედ II-მ გადაწყვიტა რადიკალური ზომები მიეღო მცირე აზიაში თავისი მოწინააღმდეგეების მიმართ და ლაშქრობისათვის სამზადისს შეუდგა.

1461 წლის გაზაფხულზე მეჰმედს მზად ჰყავდა მრავალათასიანი ლაშქარი და 200-მდე სხვადასხვა ტიპის გემი. ისინი სულთნის ბრძანებას ელოდნენ.

ამ ლაშქრობის მთავარი მიზანი ტრაპიზონის დაპყრობა იყო. ქალაქს ერტყა საკმაოდ კარგად გამაგრებული ციხე-გალავანი. ზღვიდან მთელი ძალებით იერიშის მიტანა შეუძლებელი იყო, რადგანაც ქალაქის ნავსადგური მცირე ზომის იყო და მრავალრიცხოვანი გემები შიგ ვერ დადგებოდნენ. ასევე მეტად ძნელი მისადგომი იყო ქალაქი ხმელეთიდანაც, მთა-გორებზე გამავალი დამრეცი გზების გამო. საჭირო იყო ქალაქის წინააღმდეგ ერთდროულად იერიშის მიტანა როგორც ზღვიდან, ისე ხმელეთიდან.

ტრაპიზონის დაპყრობამდე მიზანშეწონილი იყო სინოპის დამორჩილებაც, რომლის გამგებელი განუდგა სულთანს და ანტიოსმალურ კოალიციას შეუერთდა. მოსალოდნელი იყო, სინოპის გამგებელს ხელი შეეშალა ტრაპიზონისაკენ მიმავალი ფლოტისათვის. მაგრამ ყველაზე დიდი საშიშროება მაინც მოსალოდნელი იყო უზუნ ჰასანისაგან, რომელსაც ყველაზე ბრძოლისუნარიანი ლაშქარი ჰყავდა. არ იყო გამორიცხული, რომ ტრაპიზონზე ხმელეთიდან იერიშის დროს იგი თავს დასხმოდა ზურგიდან ოსმალთა ჯარს. საჭირო იყო უზუნ ჰასანის უვნებელყოფა.

ოსმალეთის ლაშქარი გემებით მცირე აზიის სანაპიროსაკენ გაემართა და მუდანიაში ჩავიდა. აქედან გეზი ბურსაზე აიღო; სულთანი ბურსასა და ბოლუზე გავლით ანკარაში ჩავიდა.

ოსმალეთის ფლოტი, გალიპოლის სანჯაყ ბეგისა და ქაფუდან ფაშას კასიმ ბეგის სარდლობით, ივნისის დამდეგს თავს დაესხა ქალაქ ამასტრას, გენუელთა კოლონიას შავი ზღვის სანაპიროზე და დაიპყრო იგი. იქიდან კი სინოპისაკენ გაემართა.

სინოპის გამგებელი ისმაილ ბეგი გამაჰმადიანებული ბერძენი იყო. მან სცადა თავი დაეღწია სულთნის რისხვისაგან. ისმაილმა მეჰმედ II-ს ძვირფასი საჩუქრები გაუგზავნა თავისი ვაჟის ხელით, რომელიც სულთანს წარუდგა და მორჩილება გამოუცხადა. მეჰმედმა სიამოვნებით მიიღო ძღვენი და დაავალა, რომ თავისი მამისათვის გადაეცა შემდეგი: „უთხარი მამაშენს, რომ მე სინოპი მსურს და თუ ამას უბრძოლველად მივიღებ, მაშინ სამაგიეროდ სიამოვნებით მივცემ მას ფილიპოპოლის მმართველობას. და თუ მამაშენს ეს არ უნდა, დაუყოვნებლივ მოვალო“.

ისმაილი ჯერ კიდევ არ იყო სინოპში დაბრუნებული, როდესაც სულთანმა იქ თავისი ფლოტი გაგზავნა. ხოლო მას შემდეგ, რაც სულთანს აცნობეს სინოპში ფლოტის ჩასვლის ამბავი, თვითონაც ხმელეთით იქ გაემართა. ივნისის ბოლოს ოსმალეთის არმია და ფლოტი სინოპთან ერთმანეთს შეხვდნენ. ისმაილი შეშინდა და გამოვიდა ქალაქიდან, წინ მიეგება და მორჩილება გამოუცხადა სულთანს. სულთანმა ბრძანა, მთელი მისი ქონება და საგანძური ხელთ ეგდოთ. სულთანმა გადააყენა ისმაილი და სინოპის მმართველად დანიშნა თავისი ერთგული მოხელე.

სინოპის დამორჩილების შემდეგ მეჰმედ II უზუნ ჰასანის სამფლობელოებისაკენ გაემართა. ოსმალეთის არმიამ გადალახა საზღვარი და მტრის ტერიტორიაზე შეიჭრა. ამ ლაშქრობის დროს ანატოლიის ჯარებს სათავეში ედგა აჰმედ ფაშა, ხოლო რუმელიის ჯარს – დიდი ვეზირი მაჰმუდ ფაშა. თოკატზე გავლით, ოსმალეთის არმიამ იეშილირმაღი გადალახა და კელკითთან დაბანაკდა.

უზუნ ჰასანი თვალყურს ადევნებდა მეჰმედ II-ის სამხედრო მოქმედებას. მას კარგად ესმოდა, რომ ტრაპიზონის წინააღმდეგ ლაშქრობამდე სულთანი შეეცდებოდა მის დამარცხებას და ზურგის უვნებელყოფას. უზუნ ჰასანმა დახმარებისათვის თავის მოკავშირეს ყარამანიის გამგებელს მიმართა, მაგრამ მან არაფერი მოიმოქმედა მის დასახმარებლად. როდესაც უზუნ ჰასანმა შეიტყო, რომ ოსმალეთის ჯარი მის სამფლობელოებში შეიჭრა, იქითკენ გაემართა. იგი თავისი ლაშქრით შემახის მხრიდან დაიძრა. ოსმალებმა ციხე-სიმაგრე კოინლუ-ჰისარს ალყა შემოარტყეს და ზარბაზნები დაუშინეს. სამი დღის ცხარე ბრძოლების შემდეგ ციხე აღებული იქნა. უზუნ ჰასანმა

შკან დაიხია. ამის შემდეგ ოსმალეთის არმია ერზინჯანისაკენ გაემართა და მეოთხე დღეს ერზინჯანის ველზე დაბანაკდა, საიდანაც ლაშქარი არზრუმისაკენ აპირებდა წასვლას.

უზუნ ჰასანმა სულთანს დეპუტაცია გაუგზავნა, რომლის შემადგენლობაში იყვნენ მისი დედა სარა ხათუნი და ქურთთა ბეგი შეიხ ჰუსეინი. მათ სულთანს ძვირფასი საჩუქრები მიართვეს და ზავი შესთავაზეს.

სარა ხათუნის მოლაპარაკება მეჰმედ II-სთან წარმატებით დამთავრდა. ამ ორ ქვეყანას შორის ზავი დაიდო. უზუნ ჰასანმა პირობა დასდო, რომ არ აღმოუჩენდა არავითარ დახმარებას ტრაპიზონის სამეფოს. ამას კი სულთნისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. თავის მხრივ, სულთანი ვალდებულებას იღებდა, რომ არ დაესხმოდა თავს უზუნ ჰასანის სამფლობელოებს.

ზავის დადების შემდეგ სარა ხათუნი სამშობლოში არ დაბრუნებულა, სულთანთან დარჩა და მას თან ახლდა ტრაპიზონის ლაშქრობის დროს. მართალია, მეჰმედსა და უზუნ ჰასანს შორის ზავი დაიდო და მათ ერთმანეთს ერთგულება შეჰფიცეს, მაგრამ მეჰმედ II არ ენდობოდა უზუნ ჰასანს. მას ეშინოდა, ტრაპიზონისაკენ მიმავალ ოსმალეთის არმიას ზურგში მოულოდნელად თავს არ დასხმოდა უზუნ ჰასანის ლაშქარი. ამიტომ სულთანმა მძევლის სახით სარა ხათუნი დროებით თავისთან დაიტოვა.

უზუნ ჰასანთან ზავის დადების შემდეგ მეჰმედ II თავისი ლაშქრით პირდაპირ ტრაპიზონისაკენ გაემართა. ტრაპიზონისაკენ მიმავალი ოსმალეთის არმია გზაში დიდ სიძნელეებს განიცდიდა.

ივლისის დასაწყისში ოსმალეთის ფლოტი ტრაპიზონში ჩავიდა და ქალაქის მახლობლად ოსმალებმა დესანტები გადასხეს. ოსმალებმა დაიწყეს ქალაქის გარეუბნის ძარცვა და ელოდებოდნენ ხმელეთიდან ძირითადი სამხედრო ნაწილების მოსვლას. აგვისტოს დამდეგს ტრაპიზონის კედლებთან გამოჩნდნენ ოსმალეთის მოწინავე სამხედრო შენაერთები დიდი ვეზირის მაჰმუდ ფაშას სარდლობით.

ცოტა ხნის შემდეგ სულეიმანი მოვიდა თავისი ლაშქრით და დაბანაკდა ტრაპიზონის მახლობლად.

ტრაპიზონი საკმაოდ კარგად გამაგრებული ციხე-ქალაქი იყო. სულთანმა იმპერატორ დავით კომნენს შესთავაზა, თუ იგი ჩააბარებდა ქალაქს უბრძოლველად, მაშინ მას და მისი ოჯახის წევრებს შეუნარჩუნებდა სიცოცხლეს და მას გადასცემდა სამმართველოდ რომელიმე ბერძნულ სამფლობელოს.

იმპერატორი მერყეობდა, მაგრამ მასზე, ერთის მხრივ, გავლენა მოახდინა ამირუციისს დაჟინებითმა სიტყვებმა, რომ წინააღმდეგობის გაწევა უაზროა, ხოლო, მეორეს მხრივ, სარა ხათუნის წერილმა, რომელშიც იგი პატიოსან სიტყვას იძლეოდა, რომ სულთანი მას და მისი ოჯახის წევრებს პატივით მოექცეოდა. დავითი დათანხმდა ქალაქის ჩაბარებას.

1461 წლის 15 აგვისტოს ოსმალეთის სულთანი ტრაპიზონში შევიდა. მომდევნო დღეებში ოსმალებმა დაიკავეს ტრაპიზონის სამეფოს დანარჩენი ტერიტორია მდინარე ჭოროხის შესართავამდე. ზოგიერთი ისტორიკოსი ოსმალების მიერ ტრაპიზონის დაპყრობას 1461 წლის 26 ოქტომბრით ათარიღებს, რაც არ უნდა იყოს სწორი.

ამრიგად, უკანასკნელმა ბერძნულმა სახელმწიფომ არსებობა შეწყვიტა.

იმპერატორი დავითი და მისი ოჯახის წევრები გაგზავნილ იქნენ სპეციალური გემით კონსტანტინოპოლში: „ხოლო ტრაპიზუნტის მეფე, – წერს ლაონიკე ხალკოკონდილე, – ჩასვა ხომალდში მისი ბავშვებით, ასულით და მისი ნათესავებით, ვინც კი იქ იყო, და უბრძანა გამგზავრებულიყვნენ ბიზანტიაში“ (კონსტანტინოპოლში).

სულთანი ქალაქის მოსახლეობას მკაცრად მოექცა. ქალაქის წარჩინებულ და მდიდარ ოჯახებს ჩამოართვა მთელი ქონება და ყველანი ერთად გაგზავნა კონსტანტინოპოლში, სადაც ისინი უზრუნველყო საცხოვრებლითა და ფულით (ფულადი თანხა მაინცდამაინც უხვი არ იყო, იმდენი, რამდენიც საჭირო იყო ახალი ცხოვრების დაწყებისათვის). ასევე გადაასახლეს კონსტანტინოპოლში ხელოსნებიც, ხოლო ქალაქის დანარჩენი მოსახლეობა – კაცები და, აგრეთვე, მრავალი ქალი და ბავშვი მონებად აქციეს და გაინაწილეს სულთანმა და მისმა მოხელეებმა. ქალაქში მცირე რაოდენობით დარჩენილ ქრისტიანულ მოსახლეობას ჩამოართვეს სახლები და გარეუბანში მიუჩინეს ბინა. 800 ჭაბუკი წაიყვანეს და იენიჩართა კორპუსში ჩარიცხეს.

ტრაპიზონი უშუალოდ კონსტანტინოპოლს დაუქვემდებარეს და ჩაასახლეს მუსლიმური მოსახლეობა, ხოლო ციხე-სიმაგრეებში იენიჩართა გარნიზონი ჩააყენეს. ცოტა ხნის შემდეგ ტრაპიზონის სანჯაყი დააარსეს და იგი ოსმალეთის სულთნის უფლისწულების სამყოფელი გახდა.

დავითისა და მისი ოჯახის წევრების ცხოვრება ოსმალეთში დიდხანს არ გაგრძელებულა. 1463 წელს გიორგი ამირიუცისმა სულთანს აცნობა, რომ ყოფილმა იმპერატორმა დავითმა წერილი მიიღო თავისი ძმისშვილისაგან – უზუნ ჰასანის მეუღლისაგან (კატერინასაგან), რომელიც პატიჟებდა თავის ძმას ალექსის ან დავითის რომელიმე ვაჟიშვილს ჩასულიყვნენ მასთან სტუმრად. მეჰმედმა ეს ღალატად ჩათვალა. სულთანმა დავითს გამაჰმადიანება მოსთხოვა, მაგრამ მან უარყო ეს წინადადება. 1463 წლის 26 მაისს დავითი დააპატიმრეს და ადრიანოპოლის ციხეში მოათავსეს. 1 ნოემბერს, სულთნის ბრძანებით, დავითი, მისი ექვსი ვაჟი და ძმისშვილი ალექსი სიკვდილით დასაჯეს.

ტრაპიზონის სახელმწიფოს მოსპობა მძიმე დანაკარგი იყო არა მარტო ბერძნებისათვის, არამედ საერთოდ ქრისტიანული ქვეყნებისთვისაც.

ტრაპიზონის სამეფოს დაპყრობის შედეგად ოსმალეთი უშუალოდ მიადგა საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ საზღვრებს. ამან კიდევ უფრო გაართულა საქართველოს ხმელეთით თუ ზღვით ევროპასთან სავაჭრო და პოლიტიკური ურთიერთობა. ტრაპიზონის დაპყრობის შემდეგ ოსმალეთ-ირანის ურთიერთობაში დაისვა „გურჯისტანის საკითხი“ და აქედან დაწყებული, საუკუნეთა მანძილზე, საქართველოს რუსეთთან შეერთებამდე არ მოხსნილა დღის წესრიგიდან.

ტრაპიზონის დაპყრობის შემდეგ სულთანმა თავისი მახვილი მიმართა ყარამანიის სამთავროს წინააღმდეგ. ამ დროს ყარამანიის ბეილიქი მოიცავდა მცირე აზიის საკმაოდ დიდ ტერიტორიას, ხმელთაშუა ზღვის სანაპიროს ჩათვლით, და მისი მთავარი ქალაქი იყო კონია. მეჰმედ II-ის ბრძოლა ყარამანიის ბეგთან 12 წელი გაგრძელდა, იგი მიმდინარეობდა გარდამავალი უპირატესობით. 1471 წელს მეჰმედმა საბოლოოდ დაამარცხა ყარამანიის ბეგი და მისი სამთავრო ოსმალეთის სახელმწიფოს შეუერთა.

ყარამანიის ბეგის დამორჩილების შემდეგ მეჰმედ II გაემართა თავისი მთავარი მოწინააღმდეგის უზუნ ჰასანის წინააღმდეგ. იმ პერიოდში უზუნ ჰასანი ვენეციის მოკავშირე იყო, ხოლო ვენეცია ომს აწარმოებდა ოსმალეთთან. უზუნ ჰასნმა ვენეციისაგან მიიღო დახმარება თოფებისა და ზარბაზნების სახით, რომელთა დიდ ნაკლებობასაც განიცდიდა.

1472 წელს უზუნ ჰასანი შეტევაზე გადავიდა, შეიჭრა მცირე აზიის სიღრმეში და მიაღწია ამასიას, ხოლო შავი ზღვის მიმართულებით დაიკავა ბაიბურთი და ერზინჯანი. 1473 წელს მეჰმედ II მრავალრიცხოვანი ლაშქრით უზუნ ჰასანის წინააღმდეგ საბრძოლველად გაემართა. 1473 წლის 11 აგვისტოს თერჯანთან მოხდა დიდი ბრძოლა, რომელშიც უზუნ ჰასანი სასტიკად დამარცხდა. 1475 წელს მეჰმედ II-მ ახალი დამა-

რცხება აგემა უზუნ ჰასანს და მისი სამფლობელოების დასავლეთი ნაწილი თავის სახელმწიფოს შეუერთა.

4. ყირიმის დამორჩილება და შავი ზღვის გადაქცევა „ოსმალეთის ტბად“

მიღწეული წარმატებების შემდეგ მეჰმედ II-ის წინაშე დადგა მორიგი ამოცანა – გაბატონება შავიზღვისპირეთის ჩრდილოეთ რეგიონში. ამისათვის კი საჭირო იყო ყირიმის სახანოს დამორჩილება და იტალიელთა სავაჭრო კოლონიების გაუქმება.

1475 წელს ოსმალეთის ფლოტი, რომელიც 300-ზე მეტი გემისაგან შედგებოდა, ყირიმის სანაპიროს მიადგა. ოსმალებმა ხელთ იგდეს კაფა, სუდაკი, კერჩი, სხვა სანაპირო ქალაქები და ციხეები და გააუქმეს აქ არსებული გენუელთა სავაჭრო კოლონია. ყირიმის სამხრეთ-აღმოსავლეთი სანაპირო ზოლი, კაფას (ფეოდოსია) ჩათვლით, შეუერთეს ოსმალეთის სახელმწიფოს. ამ ტერიტორიაზე დაარსებულ იქნა კაფის სანჯაყი, რომლის სანჯაყბეგი უშუალოდ დაემორჩილა სულთანს, ყირიმის ხანმა კი ასევე მორჩილება გამოუცხადა სულთანს.

ამის შემდეგ ოსმალებმა ხელთ იგდეს აზოვის ზღვის სანაპირო და ქალაქი აზოვი (ტანა). მათ ხელთ გადავიდა აგრეთვე მდინარე ყუბანის შესართავთან მდებარე ქალაქი კოპა. ამ რეგიონში მნიშვნელოვნად იქნა შეზღუდული გენუელ ვაჭართა საქმიანობა. რეგიონის მთელი ვაჭრობა ოსმალეთის კონტროლს დაექვემდებარა. ყირიმისა და აზოვის სანაპიროს დაპყრობით ოსმალეთმა შექმნა რუსეთისათვის სამხრეთისაკენ წინსვლის შემაკავებელი ბარიერი.

ყირიმის ხანი ოსმალეთის სულთნის ვასალი გახდა. ამიერიდან ყირიმის ხანს (გირეების დინასტიიდან) ტახტზე ასვლისას სულთანი ამტკიცებდა. ყირიმის ხანმა შეინარჩუნა თავისი სახელით ფულის მოჭრის უფლება და მოიპოვა შიდაპოლიტიკური ავტონომია. გარდა ამისა მას ჰქონდა უცხოეთის ქვეყნებთან ურთიერთობის უფლება. ყირიმის ხანის უფლისწულები სტამბოლში ცხოვრობდნენ და სულთანს ყოველთვის ჰქონდა შესაძლებლობა ურჩი ხანის გადაყენებისა და მის ნაცვლად თავისი სასურველი ხანის დასმისა.

ყირიმის ხანს ჰყავდა 20-30 ათასიანი ცხენოსანთა ლაშქარი, რომელიც იყო ოსმალეთის მთავარი დამრტყმელი ძალა – სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის, რუსეთისა და ჩრდილოეთ კავკასიის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. აღსანიშნავია, რომ ყირიმის ხანს თავისი მოხარკე ქვეყნები ჰყავდა. ასე, მაგალითად, რუსეთის მეფე ყირიმის ხანს უხდიდა ხარკს 1700 წლამდე. იყო შემთხვევები, როდესაც ყირიმის ხანები ცდილობდნენ დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკა გაეტარებინათ. ოსმალო სულთნები ყურადღებით ადევნებდნენ თვალყურს ყირიმის ხანის მოქმედებას. ამის შესახებ ინფორმაციის მიწოდება ევალებოდა კაფის სანჯაყბეგს. საჭირო შემთხვევაში კაფის სანჯაყბეგი სათანადო ზეწოლას ახდენდა ყირიმის ხანზე. ერთი სიტყვით, ყირიმის სახანო ნახევრად დამოუკიდებელი ქვეყანა იყო.

ყირიმის სახანო, გარდა თავისი სტრატეგიული მნიშვნელობისა, ოსმალეთისათვის სხვა მხრივაც იყო საჭირო. ეს ქვეყანა, განთქმული თავისი სოფლის მეურნეობით, სტამბოლს ამარაგებდა სხვადასხვა პროდუქტებით. კაფას „ქუჩუქ ისტანბულსაც“ (პატარა სტამბოლს) უწოდებდნენ.

აზოვის ზღვისპირა რეგიონი განსაკუთრებით მდიდარი იყო თევზეულით, ხიზილალით და სტამბოლის მთავარი მომმარაგებელი იყო.

1484 წელს ოსმალებმა დაიპყრეს კილია და აკერმანი (მონკასტრო) და ხელთ იგდეს სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების შავ ზღვაზე გასასვლელი მნიშვნელოვანი სავაჭრო ნავსადგურები.

სულ რაღაც ნახევარი საუკუნის განმავლობაში გენუელთა სავაჭრო კოლონიები შავი ზღვის სანაპიროზე მოისპო ოსმალეთისა და მისი მოკავშირე ყირიმელი თათრების თავდასხმების შედეგად.

ამგვარად, XV საუკუნის დამლევისათვის შავიზღვისპირეთი, საქართველოს სანაპიროს გამოკლებით, ოსმალთა ხელში გადავიდა და შავი ზღვა „ოსმალეთის ტბად“ გადაიქცა. ამის შემდეგ ოსმალეთმა მასზე თავისი კონტროლი დააწესა. ზღვისპირა ქალაქები და მიმდებარე ტერიტორია აღწერეს, დავთრებში გაატარეს და სხვადასხვა კანონ-ნამეები შეადგინეს. გახსნეს საბაჟოები. ვაჭრობისა და ბაჟებისაგან მიღებული შემოსავალი სახელმწიფო ხაზინას დაუქვემდებარეს. ოსმალებმა შავ ზღვაზე შემოსვლისათვის ბაჟი დააწესეს. უცხოური გემების შესვლისათვის სპეციალური ნებართვა იყო საჭირო. უცხოეთის გემებს შავ ზღვაზე უნდა ემოგზაურათ ოსმალეთის დროშით. უმეტეს შემთხვევაში უცხოელი ვაჭრები იძულებული იყვნენ თავიანთი საქონელი თურქულ გემებზე გადაეტვირთათ და ისე ემოგზაურათ შავ ზღვაზე. მეჰმედ II-მ შეზღუდა ექსპორტი ისეთ საკვებ პროდუქტებზე, როგორიცაა მარცვლეული, თევზი, მარილი. სრუტეებზე ოსმალეთის კონტროლის დამყარების შედეგად თანდათანობით საერთაშორისო კომერციული ოპერაციები საგრძნობლად შემცირდა და იგი ადგილობრივ ვაჭართა ხელში გადავიდა.

შავ ზღვაზე ვაჭრობის შედეგად სულთნის მთავრობას დიდი შემოსავალი ჰქონდა, იგი წელიწადში რამდენიმე მილიონ ახჩას შეადგენდა. ამ რეგიონის ვაჭრობა ოსმალეთის ეკონომიკის ერთ-ერთი წამყვანი დარგი იყო.

შავიზღვისპირეთის რეგიონს უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმპერიის დედაქალაქის – სტამბოლის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებითა და ნედლეულით მომარაგების საქმეში.

შავ ზღვაზე ვაჭრობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი დარგი იყო “ცოცხალი საქონლით,“ ტყვეებით ვაჭრობა, რადგანაც ოსმალეთში მასზე დიდი მოთხოვნილება იყო. ეს რეგიონი იყო „ცოცხალი საქონლის“ მთავარი მიმწოდებელი.

ვაჭრობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი დარგი იყო, აგრეთვე, თევზით ვაჭრობა. აზოვის ზღვაში და შავ ზღვაში ჩამავალ მდინარეებში (დუნაი, დნესტრი, დნეპრი, დონი, ყუბანი) უხვად მოიპოვებოდა თევზი. ამ ადგილებში მოწყობილი იყო თევზის სარეწაოები და დიდი რაოდენობით იჭერდნენ ზუთხს, სივას, ამარილებდნენ და ამზადებდნენ ხიზილალას, თევზის სხვა პროდუქტებს და გაჰქონდათ გასაყიდად არა მარტო სტამბოლსა და ოსმალეთის სხვა პროვინციებში, არამედ უცხოეთის ქვეყნებშიც: იტალიაში, რუსეთში და სხვ.

ამგვარად, შავ ზღვაზე მთელი ვაჭრობა ოსმალეთის კონტროლს დაექვემდებარა.

5. იტალიის დაპყრობის ცდა

ოსმალთა წარმატებებმა ბალკანეთში, ყირიმსა და მცირე აზიაში გააძლიერა მეჰმედ II-ის აგრესიული ზრახვები. იგი აღარ კმაყოფილდება მიღწეულით და აპირებდა ევროპის ახალი ქვეყნების დაპყრობას, კერძოდ – იტალიის, უნგრეთისა და გერმანიის.

1480 წელს ოსმალეთის 100 ათასიანი არმია 300 გემის თანხლებით გადასხმულ იქნა სამხრეთ იტალიაში. ოსმალებმა ალყა შემოარტყეს ქ. ოტრანტოს და ორი კვირის ბრძოლის შემდეგ აიღეს იგი. ოსმალებმა გაძარცვეს ქალაქი და მამაკაცების დიდი ნაწილი დახოცეს. 800 კაცი, რომლებმაც არ ისურვეს მიეღოთ ისლამი, სიკვდილით დასაჯეს, 800 – მონობაში წაასხეს. ოსმალების სისასტიკემ და დაუნდობლობამ, რაც მათ ჩაიდინეს ოტრანტოს მოსახლეობის მიმართ, შეაძრწუნა მთელი იტალია. ასეთ კრიტიკულ ვითარებაში ქვეყნის მთელი მოსახლეობა დაირაზმა დამპყრობლების წინააღმდეგ საბრძოლველად. მედგარი და თავდადებული ბრძოლის შედეგად იტალიელებმა შეძლეს ოკუპანტების გაძევება თავისი სამშობლოდან. ოთხი თვით ადრე, ვიდრე თურქები იტალიიდან იქნებოდნენ განდევნილი, 1481 წლის 3 მაისს გარდაიცვალა მეჰმედ II. იტალიაში ოსმალთა დამარცხების ერთ-ერთი მიზეზი იყო ამ დროს ოსმალეთში ტახტისათვის გამართული ბრძოლა.

მეჰმედ II-მ გარდაცვალებამდე სამი წლით ადრე, 1478 წელს, გამოსცა კანონი: „ვაჟიშვილს, რომელიც ტახტზე ავიდოდა, უფლება ჰქონდა დაეხოცა თავისი ძმები". ფაქტიურად, მეჰმედმა დააკანონა ის, რაც სინამდვილეში ხდებოდა. მაგალითად, თვით მეჰმედ II-მ ტახტზე ასვლისთანავე ბრძანა დაეხრჩოთ თავისი 8 თვის ძმა. ამ კანონმა კი არ შეანელა ძმებს შორის ბრძოლა ტახტისათვის, არამედ კიდევ უფრო გააძლიერა და გაამწვავა, რადგან ერთ-ერთი ძმის გამეფების შემდეგ, დანარჩენ ძმებს სიკვდილი ელოდა. თვით ამ კანონის ავტორი მეჰმედ II გახდა მსხვერპლი ძმებს შორის დაწყებული ბრძოლისა.

მეჰმედ II-ის სიკვდილი მთელმა ევროპამ აღიქვა როგორც ღმერთის წყალობა. განუწყვეტლივ ისმოდა ეკლესიის ზარების რეკვა და იმართებოდა სახალხო ზეიმები. ევროპა დიდ საფრთხეს გადაურჩა.

ოსმალეთის სულთნებს შორის მეჰმედ II ერთ-ერთი ყველაზე დიდი და გამოჩენილი პიროვნება იყო. მან მიიღო საკმაოდ კარგი განათლება. იცოდა არაბული, სპარსული, ბერძნული, ლათინური და ებრაული ენები. იცნობდა ისლამურ და ბერძნულ ლიტერატურას, ისტორიას. აინტერესებდა ასტრონომია, ფილოსოფია და მათემატიკა. მამამისმა მას შეასწავლა სახელმწიფოს მმართველობის რთული და მრავალი ნიუანსებით აღსავსე ხელოვნება.

მეჰმედს დესპოტური და შეუბრალებელი ხასიათი ჰქონდა, მას ადამიანის სიცოცხლე არაფრად უღირდა. ჩვენამდე მოაღწია ერთმა ასეთმა ამბავმა: ერთხელ, კარზე მიწვეულმა იტალიელმა მხატვარმა ბელინიმ მას უჩვენა სურათი, რომელზედაც დახატული იყო გამარჯვებული მეჰმედი. სურათზე იყო, აგრეთვე, მტრის მოკვეთილი თავი. სულთანი შეედავა მხატვარს მოკვეთილი თავის დახატვის სისწორეში და მიმართა ასეთ თვალსაჩინო ხერხს: იხმო კარისკაცი, იშიშვლა ხმალი, მოჰკვეთა მას თავი და შემდეგ უთხრა მხატვარს: „ხომ ხედავ, ასეთ შემთხვევაში კისრის კუნთები მოკლდებიან".

მეჰმედ II დიდ ყურადღებას უთმობდა სახელმწიფოს მართვა-გამგებლობას, საქალაქო ცხოვრებას, ქვეყნის სამეურნეო მდგომარეობას. მისი თაოსნობითა და მითითებით შემუშავებულ და გამოცემულ იქნა მნიშვნელოვანი საკანონმდებლო აქტები. კერძოდ, მის სახელთანაა დაკავშირებული სამი საკანონმდებლო კოდექსი: პირველში (გამოიცა 1453-1456 წწ.) დადგენილია ოსმალეთის სახელმწიფოს ქვეშევრდომების ვალდებულება-მოვალეობანი, მეორეში (1477 წ.) – სახელმწიფოს სტრუქტურა და გაბატონებული კლასის სტატუსი, მესამეში (მეფობის ბოლო წლები) – მიწათმფლობელობა, საგადასახადო სისტემა და ეკონომიკური ურთიერთობანი.

მეჰმედ II-ის დროს შედგენილი კანუნ-ნამეები ითვლება ოსმალეთის იმპერიის პირველ ოფიციალურ სახელმწიფო დოკუმენტებად, რომლებიც ძალაში დარჩა სულეიმან I-ის მიერ ახალი კანონების კოდექსის მიღებამდე.

მეჰმედ II-ის მეფობის დროს საბოლოოდ ჩამოყალიბდა ოსმალეთის იმპერიის სოციალური და პოლიტიკური სტრუქტურა, რომელიც შემდგომში რთულდებოდა და სრულყოფილი ხდებოდა, მაგრამ არსებითად იგი რჩებოდა უცვლელი. მის დროს მოხდა, აგრეთვე, სახელმწიფოს შემდგომი ცენტრალიზაცია. მეჰმედ ფათიჰი იყო ოსმალეთის იმპერიის ფუძემდებელი და მისი მთავარი არქიტექტორი.

6. თიმარული სისტემა

მეჰმედ II-ის დროს სულთნის ხელისუფლების მთავარი დასაყრდენი გახდა ფეოდალური კლასის ის ფენა, რომელიც დაკავშირებული იყო თიმარულ სისტემასთან.

თიმარის ინსტიტუტის წარმოშობის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვა თვალსაზრისია გამოთქმული. თიმარი ("timār") სპარსული სიტყვაა და ნიშნავს ზრუნვას, წყალობას, გასამრჯელოს.

ჟ. ჰამერი თიმარს უკავშირებდა VI საუკუნის სასანური ირანის სამხედრო-ლენური მიწისმფლობელობას.

მ. ბელენი აღნიშნავდა, რომ ისლამურ საზოგადოებაში პირველად სამხედრო-ლენური ინსტიტუტები ჩამოყალიბდა სელჩუკი სულთნის ალფ-არსლანის დროს (1063-1072).

ევროპელ მეცნიერთა ერთი ნაწილი თიმარში ხედავს ბიზანტიურ გავლენას ოსმალურ ინსტიტუტებზე. მათი აზრით, თიმარი წარმოადგენს ბერძნულ „პრონიას ექვივალენტს".

თურქმა მეცნიერმა ფ. ქოფრულუმ უარყო თიმარის გაიგივება პრონიასთან. მისი აზრით, არსებობს გენეტიკური, მემკვიდრეობის ფაქტორი თურქულ სახელმწიფოებს შორის – ჰუნებიდან მოყოლებული ოსმალო თურქებით დამთავრებული. მისი შეხედულებით, თიმარული მიწისმფლობელობის სისტემა ოსმალურმა საზოგადოებამ მიიღო სელჩუკებისაგან. ფ. ქოფრულუ აღნიშნავდა, რომ სელჩუკურ პერიოდში ხშირად გვხვდება ტერმინი თიმარი, ზოგჯერ ვითარცა სინონიმი სიტყვებისა „ჯამაგირი", „სურსათ-სანოვაგე", „ფული", „იკტა". ფ. ქოფრულუს დაკვირვებით, XIV საუკუნის თურქულ-ოსმალურ ტექსტებში სიტყვები „იკტა" და „თიმარი", „ექმექისა" („პური") და „დირლაქის" („საჭმელი") სინონიმებია. ამის საფუძველზე ავტორი ასკვნის, რომ ტერმინმა "თიმარ" განიცადა ხანგრძლივი ევოლუცია და დაკონკრეტდა მხოლოდ ოსმალურ პერიოდში.

ფ. ქოფრულუმ დაადგინა აგრეთვე ის, რომ წინარე ოსმალური ხანის თურქულ წყაროებში გვხვდება ტერმინები „ხასი" და „ზაიმი". ოსმალურ ტერმინოლოგიაში - ზეამეთი ლენის პირობითი მფლობელი და „სიფაჰი" მისი ზოგადი სახელია.

ქოფრულუს ეს მოსაზრებები ეყრდნობოდა ოსმალური წყაროების ტექსტობრივ-ტერმინოლოგიურ ანალიზს და არ ითვალისწინებდა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ და აგრარულ სტრუქტურას, რაც თურქი ისტორიკოსის კვლევის ნაკლად მიგვაჩნია. მაგრამ მიუხედავად ამისა, მისმა კონცეფციამ დიდი გავლენა მოახდინა თურქულ ისტორიულ აზროვნებაზე და ქოფრულუს მრავალი მომხრე და მიმდევარი აღმოუჩნდა.

პირველად მისი თეორია ეჭვის ქვეშ დააყენა თურქმა მეცნიერმა ზ. თოგანმა. იგი ამტკიცებდა, რომ სამხედრო ლენური სისტემა, რომლის ერთ-ერთი სახეობაა თიმარი, შეიქმნა მახლობელ აღმოსავლეთში მონღოლთა ბატონობის დროს. შემდეგში ოსმან თურანმა დეტალურად შეუდარა სელჩუკების ინსტიტუტები ოსმალურ თიმარულ სისტემას და გამოავლინა მათ შორის არსებული მნიშვნელოვანი განსხვავებანი.

მიუხედავად ყოველივე ამისა, ფ. ქოფრულუს კონცეფციას მრავალი მომხრე ჰყავს.

თიმარის წარმოშობასთან დაკავშირებით საბჭოურ თურქოლოგებს გარკვეული თვალსაზრისი აქვთ გამოთქმული. ამ ინსტიტუტის ძირითადი შეფასება მოგვცა ვ. ბარტოლდმა. მას შესწავლილი აქვს შუა საუკუნეებში მახლობელი და შუა აღმოსავლეთის ქვეყნების ლენური სისტემის თავისებურებანი. იგი წერდა, რომ ევროპაში მიწათმფლობელნი თვითონ ეწევიან მეურნეობას თავიანთ ნაკვეთებზე, ხოლო აღმოსავლეთში ლენად გაიცემა არა მიწა, არამედ შემოსავალი, რომელიც მიიღება მიწიდან. მუსლიმურ სამყაროში არ არსებობს ბატონყმური წყობილება და არ არის პიროვნული მეურნეობა ფეოდალის მიწაზე.

ამრიგად ვ. ბარტოლდმა გვიჩვენა ის ძირითადი განსხვავება, რომელიც არსებობდა მახლობელი აღმოსავლეთისა და ევროპის სახელმწიფოებს შორის სამხედრო-ლენური სისტემის საკითხში. ამას კი უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ევროპისა და აღმოსავლეთის ფეოდალიზმის თავისებურებების შესწავლის საქმეში.

საბჭოთა თურქოლოგიაში თიმარის წარმოშობის შესახებ მიღებული იყო ვ. გორდლევსკის ჰიპოთეზა. ვ. გორდლევსკი ძირითადად ეყრდნობა წყაროების ტერმინოლოგიურ ანალიზს, ამიტომ მისი დასკვნები ახლო დგას ფ. ქოფრულუს მიერ გამოთქმულ შეხედულებებთან.

ვ. გორდლევსკიმ თავის გამოკვლევას საფუძვლად დაუდო იბნ ბიბის ქრონიკა, გადამუშავებული XV საუკუნის დამდეგს ოსმალო ავტორის ალი იაზიჯიოღლუს მიერ. მკვლევარმა ყურადღება მიაქცია იმას, რომ ამ ტექსტში ხშირად გვხვდება ტერმინები "თიმარი" და "ზეამეთი". ამასთან დაკავშირებით ვ. გორდლევსკი წერს: ორივე ტერმინმა ("თიმარი" და "ზეამეთი") ოსმალურ საზოგადოებაში, როგორც ჩანს, შეინარჩუნეს ის მნიშვნელობა, რომელიც მათ ჰქონდათ სელჩუკების ეპოქაში.

ვ. გორდლევსკი თვლიდა, რომ სელჩუკთა სამხედრო-ფეოდალურმა რეჟიმმა განიცადა მონღოლთა გავლენა, ხოლო მათი ინსტიტუტები ჩამოყალიბდა ჩინურის გავლენით. ამავე დროს ვ. გორდლევსკი აღიარებდა აგრეთვე მცირე აზიაში XIII-XV საუკუნეებში აგრარული ურთიერთობის ჩამოყალიბებაში როგორც მონღოლურ-ირანული, ისე სომხურ-არაბული, ბიზანტიური და დასავლეთ ევროპის ინსტიტუტების გავლენებს.

ამ თვალსაზრისს იზიარებს ა. შამსუტდინოვი. მისი მტკიცებით, თიმარების ბოძება ცნობილი იყო ოსმანის პრაქტიკაში, ხოლო მისი მემკვიდრეების დროს თიმარი გახდა მიწისმფლობელობის ძირითადი ფორმა XIV საუკუნეში. მკვლევარის თვალსაზრისით, თიმარის ინსტიტუტი არსებობდა უფრო ადრეც სელჩუკების დროს.

უკანასკნელ პერიოდში მნიშვნელოვნად გაფართოვდა XIII-XIV საუკუნეების თურქული წყაროების ბაზა. გამოქვეყნებულ იქნა XIV საუკუნის დამდეგის სპარსული წყარო, რომელიც შეიცავს მეტად საჭირო მასალას XIII საუკუნის მეორე ნახევრის მცირე აზიის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების შესასწავლად. გამოიცა იბნ ბიბის "სელჩუკ-ნამეს" სრული ტექსტი და სელჩუკების ისტორიის ანონიმური ქრონიკა, რომელიც დაწერილი იყო XIV საუკუნეში. ო. თურანმა მოიძია მრავალი საყურადღებო დოკუმენტი სელჩუკების ეპოქისა, რომელიც დაცულია თურქეთის არქივებში.



ოსმალეთის იმპერიის სამხედრო შენაერთები

წყაროების მეცნიერული ანალიზის შედეგად მკვლევარებს საშუალება მიეცათ მრავალი საკითხის დაზუსტებისა. გამოირკვა, რომ ტერმინი "თიმარი" არ გვხვდება ტექსტებში, როდესაც საუბარია მიწისმფლობელობის სისტემის შესახებ, ანდა კონიის სასულთნოს სახელმწიფო მმართველობის შესახებ; სპარსულენოვან წყაროებში და, მათ შორის, იბნ ბიბისთან გვხვდება ტერმინი "იკტა", და რომ ტერმინი ზაიმი აღნიშნავს სუბაშის ან სამოხელეო აპარატის უმაღლეს მოხელეს და არა მიწის მფლობელს, როგორც ამას ადგილი აქვს ოსმანთა ეპოქაში.

კლოდ კაენის მართებული შენიშვნით, თეორიულად ეს დასაშვებია, მაგრამ დღემდე არავის წარმოუდგენია ამ ურთიერთობის დამამტკიცებელი დამაჯერებელი საბუთი.

60-იანი წლების დასაწყისში ბულგარელმა თურქოლოგმა ვერა მუტაფჩიევამ წამოაყენა თიმარის წარმოშობის ახალი ჰიპოთეზა. ავტორის ამოსავალია საზოგადოების განვითარებაში შინაგანი ფაქტორების პრიორიტეტი გარეგანზე. მისი აზრით, თიმარი უნდა განვიხილოთ როგორც ოსმალური საზოგადოების ფეოდალიზაციის გამოხატულება და ამ პროცესის განვითარების დონის მაჩვენებელი. ავტორმა გაიზიარა ა. ტვერიტინოვას დებულება თურქ-ოსმანთა საზოგადოებრივი განვითარების დაბალი დონის შესახებ დაპყრობითი ომების პერიოდში, მაგრამ შეედავა ა. ტვერიტინოვას, რომ თითქოს ლენების ბოძება დაიწყო თვით ოსმანმა.

ვ. მუტაფჩიევას მოსაზრებით, თიმარების ბოძება არ შეინიშნება ორხანის დროსაც. თიმარების ბოძების პრაქტიკას ვ. მუტაფჩიევა უკავშირებს მურად I-ის მმართველობის ხანას. ცნობილია, რომ 1375 წელს მან გამოსცა კანონი თიმარებისა და ზეამეთების შესახებ და მათი ბოძების წესი. საფიქრებელია, ამ კანონმდებლობას წინ უსწრებდა მურადის სხვა ღონისძიებები, რომლებმაც სათავე დაუდეს თიმარს.

ვ. მუტაფჩიევას აზრით, თიმარის წარმოქმნა XIV საუკუნის 70-იან წლებში კანონზომიერი მოვლენაა, რადგანაც ამ პერიოდში, დაპყრობის შედეგად ჩამოყალიბდა



ოსმალეთის იმპერიის სამხედრო შენაერთები

დიდი და ძლიერი სახელმწიფო, რომელშიც სწრაფად ვითარდებოდა ფეოდალიზაციის პროცესი. ამ პროცესის გამომხატველად ვ. მუტაფჩიევას მიაჩნია დაპყრობილი მიწების გადაქცევა სახელმწიფო საკუთრებად, ე. ი. ახლად ჩამოყალიბებული ფეოდალური კლასის საკუთრებად. თიმარის განვითარებაში ვ. მუტაფჩიევა გამოყოფს სამ ეტაპს:

1. თიმარული სისტემის საფუძვლების თანდათანობითი ჩამოყალიბება – XV საუკუნის პირველი ნახევარი;

2. თიმარის საბოლოო ჩამოყალიბება და იურიდიული გაფორმება – XV საუკუნის მეორე ნახევარი;

3. თიმარული სისტემის რღვევა და კრიზისი – XVI საუკუნის მეორე ნახევრიდან.

ვ. მუტაფჩიევას სხვაგვარად აქვს ახსნილი თიმარის არსიც. მისი აზრით, თიმარი არ არის ლენი. მრავალი თურქული დოკუმენტის შესწავლის შედეგად მკვლევარი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ თიმარი XIV-XV საუკუნეებში წარმოადგენს გადარიცხვას ცენტრალიზებული ფეოდალური რენტიდან. ამავე დროს თიმარიოტის მიერ მიღებული შემოსავალი არ იყო დაკავშირებული მის უფლებებთან რაიმე ტერიტორიაზე. თიმარს შეადგენდა გადასახადი გლეხთა მეურნეობებიდან. ეს იყო ინსტიტუტი, დამახასიათებელი ფეოდალური საზოგადოების ადრეული ეტაპისათვის, როდესაც ჯერ კიდევ იგრძნობოდა მომთაბარეების გავლენა. მხოლოდ XVI საუკუნიდან, განსაკუთრებით სულთან სულეიმან კანუნის მეფობის დროიდან, თიმარი იძენს მიწის ფლობის ხასიათს.

XIV-XV საუკუნის პირველ ნახევარში მცირე აზიაში არსებობდა მთელი რიგი თურქული ბეილიქები, რომელთა აგრარული ურთიერთობის შესწავლა მეტად მნიშვნელოვანია. ამ საკითხს მრავალი წელი მიუძღვნა თურქმა ისტორიკოსმა ი. უზუნჩარშილიმ. მისი დასკვნით, ამ ბეილიქებში არსებობდა მულქები, ვაკუფები და თიმარები.

მიღებული იყო პრაქტიკა მიწაზე უფლების გაცემისა ვაკფის სახით, ხოლო მისგან შემოსავლის ნაწილის ბოძება – თიმარის სახით.

ი. უზუნჩარშილი ვერ ხედავს რაიმე განსხვავებას თიმარსა და იკტას შორის. ამიტომ ძნელია იმის თქმა, თუ რაოდენ ხშირად გვხვდება დოკუმენტებში ტერმინი "თიმარი".

ი. უზუნჩარშილის დაკვირვებით, თიმარი არსებობდა ანატოლიის სხვადასხვა ბეილიქებშიც.

ფრანგმა მეცნიერებმა ნიკოარა და ირენ ბელდიჩიანუმ გამოსცეს გამოკვლევა XVI საუკუნის ყარამანიის პროვინციის შესახებ. ყარამანიისათვის შედგენილი ოსმალური კანუნ-ნამეებიდან ჩანს, რომ ოსმალებმა შეითვისეს ამ მხარეში მოქმედი კანონები და ტრადიციები. ტექსტი ცხადყოფს, რომ ყარამანიაში დაპყრობამდე არსებობდა თიმარის ინსტიტუტი. მკვლევართა დასკვნით, თიმარი არის დომენური დოტაცია ბენეფიციუმი. თიმარიოტი მოვალე იყო გამოეყვანა ჯარისკაცთა გარკვეული რიცხვი, შესაბამისად მის ხელთ არსებული მიწებისა. ავტორები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ თიმარი არ იყო მფლობელის საკუთრება.

მ. მეიერის ვარაუდით, თიმარის წარმოშობა უკავშირდება მომთაბარე ტომებში ფეოდალური ურთიერთობის აღმოცენება-განვითარებას, რასაც ადგილი ჰქონდა XIV საუკუნესა და XV საუკუნის პირველ ნახევარში. მისი აღმოცენება თანხვდება მცირე აზიის ტერიტორიაზე მთელი რიგი დამოკიდებული საემიროების და, მათ შორის, ოსმანის ბეილიქის ჩამოყალიბებას.

კ. შუკოვის გამოკვლევით, XIV-XV საუკუნეებში ეგეოსის ემირატებში გავრცელებული იყო თიმარის ინსტიტუტი.

გენეტურად თიმარი მომდინარეობს სელჩუკური იკტას და ბიზანტიური პრონიისაგან. მაგრამ მათ შორის, შენიშნავს ს. ორეშკოვა, არსებობს მხოლოდ გენეტური კავშირი და საქმე გვაქვს ახალ მოვლენასთან. დასაბამითგანვე თიმარი იყო მემკვიდრეობითი. ამით იგი უახლოვდება ბიზანტიურ პრონიას, მაგრამ არ შეიძლება თიმარის გაიგივება პრონიასთანაც. ამის დამამტკიცებელია ის, რომ მათ განიცადეს სხვადასხვაგვარი ევოლუცია. პრონია იქცა ფეოდალურ საკუთრებად, ხოლო თიმარი არ წარმოადგენდა ფეოდალის საკუთრებას, ამ ტერმინის ჩვეულებრივი გაგებით. თიმარზე დაწესებული იყო სულთნის მკაცრი კონტროლი. ფაქტობრივად, ეს იყო სახელმწიფოს განკარგულებაში მყოფი მიწა, რომელიც ეძლეოდა გარკვეულ პირს სამხედრო სამსახურის გასამრჯელოდ.

რუსულ და საბჭოურ თურქოლოგიაში ოსმალურ ფეოდალურ სტრუქტურას უწოდებენ სამხედრო-ლენურს. ამ სახელწოდებაში გამოხატული იყო ოსმალეთის იმპერიის სამხედრო-ადმინისტრაციული და მიწათმფლობელობის სისტემების ერთიანობა. მაგრამ ჩვენი ცოდნის გაღრმავებასთან ერთად დადგინდა ოსმალეთის იმპერიის საზოგადოებრივი წყობის თავისებურება, რომელიც სცილდება ამ ტერმინს. ეს ბუნებრივია, რადგანაც ცნება სამხედრო-ლენური სისტემა წარმოიშვა ევროპაში და მოიცავდა ისტორიული სპეციფიკას, დამახასიათებელს ევროპული ფეოდალური ურთიერთობის გარკვეული ტიპისათვის. ამიტომ ტერმინი სამხედრო-ლენური სისტემა შეცვლილ იქნა ტერმინით თიმარული სისტემა, რომელიც თავისუფალია ევროპული სპეციფიკისაგან და გაცილებით უფრო ზუსტად ასახავს ოსმალეთის იმპერიის ფეოდალურ სტრუქტურას.

ოსმალეთში თიმარული სისტემა თანდათანობით ჩამოყალიბდა და საბოლოოდ დასრულდა სულთან სულეიმან კანუნის დროს.

ოსმალეთის სახელმწიფოში თიმარი მიწისმფლობელობის აღმნიშვნელი ზოგადი სახელი იყო. თუმცა დავიწროებული მნიშვნელობით თიმარი ბოძებული მიწის

(ლენის) მცირე ერთეულს ნიშნავდა და ამ ნიშნით განსხვავდებოდა ზეამეთისაგან. თიმარული სისტემა გავრცელდა არა მთლიანად ოსმალეთის იმპერიის მთელს ტერიტორიაზე, არამედ მხოლოდ იქ, სადაც ოსმალებმა შეძლეს თავიანთი სოციალურ-პოლიტიკური სისტემის, "ოსმალობის", დამყარება, ე. ი. იმ ქვეყნებში, რომლებიც ოსმალებმა აღწერეს და დავთრებში გაატარეს.

თიმარების გაცემა ხდებოდა სახელმწიფო მიწის (arazi memleket) ფონდიდან და წარმოადგენდა თიმარული სისტემის მატერიალურ ბაზას. სახელმწიფო მიწები მთავარი და წამყვანი კატეგორია იყო ოსმალურ მიწათმფლობელობის სისტემაში.

სულთანი თიმარებს ფეოდალებს უბოძებდა. თიმარის სიდიდე დამოკიდებული იყო სამსახურის ხარისხსა და მნიშვნელობაზე. იგი განისაზღვრებოდა არა მიწის ფართობით, არამედ წლიური შემოსავლის ოდენობით, გადაყვანილით ახჩებში. ოსმალეთის სახელმწიფო მიწების ერთ ნაწილს ხასი ეწოდებოდა. სულთნის კარის დიდმოხელეებს სამხედრო-ადმინისტრაციული სამსახურისათვის ხელფასის („დირლიქი") ნაცვლად ხასი ეძლეოდათ. ხასებს უბოძებდნენ დიდ ვეზირს, ვეზირებს, ბეგლარბეგებს, სანჯაყბეგებს და სხვ. ხასი გაიცემოდა თანამდებობაზე და მემკვიდრეობით მამიდან შვილზე არ გადადიოდა. ხასის მფლობელის თანამდებობიდან გადაყენების შემთხვევაში, ხასი ისევ სახელმწიფო მიწების ფონდს უბრუნდებოდა.

სახასო მამულის წლიური შემოსავალი 100.000 ახჩას აღემატებოდა. დიდი ვეზირის ხასი 1.200.000 ახჩას შეადგენდა. ბეგლარბეგის ხასის წლიური შემოსავალი 400.000 ახჩაზე ნაკლები არ უნდა ყოფილიყო, ხოლო სანჯაყბეგებისა – 200000-დან 400000 ახჩამდე.

ლენს, რომელიც წელიწადში 1.000 ახჩადან 19.999 ახჩამდე შემოსავალს იძლეოდა, თიმარი ეწოდებოდა, ხოლო 20.000 ახჩადან 99.999 ახჩა შემოსავლიან საკარგავს – ზეამეთი. თიმარის მფლობელს თიმარიოტი ეწოდებოდა, ხოლო ზეამეთისას – ზაიმი. თიმარებისა და ზეამეთების მფლობელები შეადგენდნენ ოსმალეთის სახელმწიფოს ფეოდალურ ლაშქარს.

თიმარიოტები და ზაიმები ვალდებული იყვნენ თავიანთ საკარგავებზე ეცხოვრათ და სულთნის ბრძანებისთანავე სალაშქროდ გამოსულიყვნენ და თან შეიარაღებულ მოლაშქრეთა (ჯებელები) დაწესებული რაოდენობა გამოეყვანათ. თიმარიოტს ყოველ 3.000 ახჩა შემოსავალზე ერთი შეიარაღებული (ჯებელი) უნდა გამოეყვანა, ზეამეთს კი ყოველ 5.000 ახჩაზე – ერთი შეიარაღებული მოლაშქრე.

ლაშქრობაში გამოსაყვან მეომართა რაოდენობა დამოკიდებული იყო თიმარის შემოსავალზე. სულეიმანის კანონმდებლობით ზუსტად იყო დადგენილი შემოსავლის მიხედვით ლაშქრობაში მონაწილეთა რაოდენობა.

სიფაჰიები (ფეოდალები) მხოლოდ ბრძოლებში იღებდნენ მონაწილეობას, ხოლო ყოველგვარი შავი სამუშაო, როგორიცაა სანგრების თხრა, ზარბაზნების ზიდვა და სურსათ-სანოვაგის მიწოდება, მათ მოვალეობას არ შეადგენდა.

თუ ფეოდალი ლაშქრობაში მონაწილეობას არ მიიღებდა და არ გამოიყვანდა მასზე დაწესებულ მეომართა რაოდენობას, მას თიმარი ჩამოერთმეოდა. ლაშქრობაში მონაწილე თიმარიოტების და მათ მიერ გამოსაყვან მეომართა აღრიცხვას აწარმოებდა იმ ეიალეთის ბეგლარბეგი, სადაც თიმარიოტი ცხოვრობდა. თუ თიმარიოტი ბრძოლაში თავს გამოიჩენდა, მას ასაჩუქრებდნენ: მტრის ერთი მოჭრილი თავისა და ერთი ტყვის მოყვანისათვის სიფაჰს თიმარის შემოსავლის ყოველ ათ ახჩაზე ერთი ახჩა ემატებოდა; 10-15 მოჭრილი თავისა და ტყვის მოყვანისათვის თიმარის მფლობელს ზეამეთს აძლევდნენ.

თიმარები და ზეამეთები მემკვიდრეობით გადადიოდა მამიდან შვილზე (მამაკაცის ხაზით), იმ შემთხვევაში, თუ ეს უკანასკნელი სულთნის წინაშე სამხედრო

სამსახურს განაგრძობდა. სიფაჰის სიკვდილის შემთხვევაში ვაჟიშვილებს იმავე უფლებებით გადაეცემოდა თიმარი, მაგრამ განსხვავდებოდა ომში დაღუპულთა და სახლში გარდაცვლილთა თიმარის მემკვიდრეობით გადაცემის წესი. „რწმენისათვის დაღუპული მამის ვაჟს მეტი წილი მიეცემოდა“. არ შეიძლებოდა თიმარის გაყიდვა, გასაჩუქრება და გასხვისება. იმ შემთხვევაში, თუ ვინმეს მემკვიდრე არ ჰყავდა, თიმარი ხელახლა სახელმწიფო ხაზინას გადაეცემოდა. ამგვარად მიწის მფლობელობა, ძირითადად, სამხედრო სამსახურით იყო გაპირობებული, ხოლო მიწათმფლობელი, როგორც წესი, მაჰმადიანი უნდა ყოფილიყო.

თიმარებისა და ზეამეთების გაცემა ასე სწარმოებდა: თიმარის პრეტენდენტს ორი ზაიმი და ათი თიმარიოტი დაუმოწმებდა, რომ იგი სიფაჰია (ფეოდალია) და ღირსია ფეოდალურ ლაშქარში იმსახუროს. ამის საფუძველზე ვილაიეთის ბეგლარბეგი სიფაჰის სპეციალურ დავთარში გაატარებდა. ამის შემდეგ სულთნის მთავრობა ბარათს გასცემდა. თიმარის ბოძების მთავარი პირობა იყო, რომ მისი მიმღები აუცილებლად უნდა ყოფილიყო ფეოდალი.

ოსმალეთში თიმარები, ზეამეთები და ხასები ორი ნაწილისაგან შედგებოდა: ხასა ჩიფთლიქი და ხისე.

ხასა ჩიფთლიქი იყო ფეოდალის პირად საკუთრებაში მყოფი მიწის ნაკვეთი, საკუთარი მეურნეობის მოსაწყობად. ხასა ჩიფთლიქი ფეოდალის დომენი იყო. ფეოდალის ხასა ჩიფთლიქი და გლეხის ჩიფთლიქი ზომით ერთი და იგივე იყო. მისი ფართობი შეადგენდა, მიწის ხარისხის მიხედვით, 60 დონუმიდან 150 დონუმამდე (ე. ი. დაახლოებით 6 ჰექტარიდან 15 ჰექტარამდე). ხასა ჩიფთლიქი შეიცავდა სახნავ-სათეს მიწას, ბაღ-ვენახებს და სხვა.

თუ ფეოდალს და მისი ოჯახის წევრებს არ სურდათ დაემუშავებინათ ხასა ჩიფთლიქი, მაშინ ეს მიწა უნდა გადაეცათ გლეხისათვის დასამუშავებლად, არა თაფუს უფლებით, ეს აკრძალული იყო კანონით, არამედ იჯარით. პირველ პერიოდში ფეოდალის ხასა ჩიფთლიქს ამუშავებდნენ გლეხები საბატონო ბეგარის საფუძველზე, რომელიც ოსმალეთში 7 დღეს შეადგენდა.

სულთან მეჰმედ ფათიჰის კანონმდებლობით, ფეოდალს არ ჰქონდა უფლება ერთ ჩიფთლიქზე მეტი მიწა ჰქონოდა. მას აგრეთვე არ შეეძლო დაეკავებინა გლეხის დაუმუშავებელი მიწის ნაკვეთი და თუ იგი გლეხის მიწას დაამუშავებდა, მაშინ ღარიბების სასარგებლოდ უნდა გადაეხადა გადასახადი.

ფეოდალს შეეძლო თავისი მეურნეობა ეწარმოებინა მხოლოდ ხასა ჩიფთლიქზე. სულთნის მთავრობა არ იყო დაინტერესებული ხასა ჩიფთლიქის გადიდებით და ფეოდალს დაბრკოლებებს უქმნიდა, რომ ჩიფთლიქი მამულად არ გადაექცია.

ხისე (წილი) შეადგენდა თიმარის ან ზეამეთის მთავარ და განუყოფელ ნაწილს, რომლის შემოსავლიდანაც ფეოდალი ვალდებული იყო გამოეყვანა მეომარი მხედარი (ჯებელი). მას კილიჩსაც (”kiliç“ – „ხმალი“, „მახვილი“) უწოდებდნენ. კილიჩი მინიმალური შემოსავლის შემცველი თიმარი ან ზეამეთი იყო, რომელთა დაყოფა აკრძალული იყო. ყოველ კილიჩზე ფეოდალს ერთი შეიარაღებული მხედარი (ჯებელი) უნდა გამოეყვანა. კილიჩის განმსაზღვრელი იყო წლიური შემოსავალი.

ოსმალეთის ევროპულ ნაწილში „კილიჩ თიმარად“ ითვლებოდა ლენი, რომლის წლიური შემოსავალი 3.000 ახჩას უდრიდა, აზიურ ნაწილში – 5.000 ახჩას. მაგრამ იყო ისეთი კილიჩებიც, რომელთა წლიური შემოსავალი 1.000 ახჩას შეადგენდა.

თიმარები იყოფოდა ორ ჯგუფად: თეზქერეს მქონე და უთეზქერო. თეზქერე ეწოდებოდა ბეგლარბეგის მიერ თიმარის მფლობელად რეკომენდირებული პირის იმ საბუთს, რომელსაც პროვინციიდან სტამბოლში, დეფთერ-ხანეში გზავნიდნენ. თეზქერეს საფუძველზე სულთანი გასცემდა ბარათს თიმარის ან ზეამეთის ბოძების შესახებ.

მცირე შემოსავლიანი თიმარების ბოძებისათვის ეს საჭირო არ იყო. უთეზქერო თიმარების გაცემა ბეგლარბეგს ევალებოდა, იგი დაუსვამდა თავის თუღრას და არ იყო საჭირო დედაქალაქიდან ბარათის მიღება. ასეთ თიმარს უთეზქერო ეწოდებოდა. ასე. მაგალითად, ანატოლიის ბეგლარბეგს უფლება ჰქონდა გაეცა ბარათი თიმარზე, რომლის შემოსავალი წელიწადში 3.000-დან 5.000-მდე ახჩას შეადგენდა, ხოლო რუმელიის ბეგლარბეგს – 5.000-6.000 ახჩამდე.

ცნობილია ისეთი თიმარებიც, რომლებიც რამდენიმე პირის (2, 3 ან 4) საზიარო მფლობელობაში იმყოფებოდნენ. მათ მუშთერექ თიმარი ეწოდებოდა.

ძველი კანონით დასაშვები იყო, რომ თუ მამას არ სურდა დაეყო თიმარი, მას შეეძლო ბარათი მიეცა თავისი ორი შვილისათვის. მაგრამ თუ ერთ-ერთი ძმა გარდაიცვლებოდა და მას შვილი არ დარჩებოდა, მაშინ მისი წილი ძმას გადაეცემოდა, ხოლო უცხოსათვის მისი წილის გადაცემა კანონით აკრძალული იყო. ერთი კილიჩ-თიმარი ორ კაცს მხოლოდ იმ შემთხვევაში ეძლეოდა, თუ ისინი ძმები იყვნენ და აუცილებელი იყო, რომ თიმარი მამის ყოფილიყო.

თუ სიფაჰი ფლობდა 2.000 ან 3.000 ახჩა შემოსავლიან თიმარს და გარდაცვალების შემდეგ მას ორი ვაჟიშვილი დარჩებოდა, მაშინ მისი თიმარი ორივეს გადაეცემოდა საზიაროდ, ერთობლივ მფლობელობაში; თუ სამი შვილი ჰყავდა, მაშინ ეს თიმარი მესამე შვილს არ ეძლეოდა. მას უნდა მოეთხოვა სხვა თიმარი. მაგრამ თუ თიმარი დიდი შემოსავლიანი იყო, შეიძლებოდა მისი გადაცემა მესამე შვილზეც.

საზიარო მფლობელობაში მყოფი თიმარიოტები მორიგეობით იღებდნენ მონაწილეობას ლაშქრობაში.

საზიარო თიმარის მფლობელებს, რომლებსაც ლაშქრობაში მონაწილეობა მორიგეობით უნდა მიეღოთ, იმ შემთხვევაში, თუ ისინი ბრძანების მიღების შემდეგ არ გავიდოდნენ ლაშქრობაში და არ შეასრულებდნენ თავიანთი ვალდებულებებს, ჩამოერთმეოდათ თავიანთი წილი თიმარის შემოსავლისაგან.

არსებობდა აგრეთვე ისეთი კატეგორიის ლენები, რომელთაც „ბენევებეთ თიმარი“ ეწოდებოდა. მას „მუნავებესაც“ ეძახდნენ („მორიგეობით სამსახური“). ასეთი თიმარები რამდენიმე პირს ეკუთვნოდა. მათი მფლობელები ლაშქრობაში მორიგეობით პირადად იღებდნენ მონაწილეობას და თიმარსაც ამის მიხედვით ჰქონდა შერქმეული სახელი. თუ რომელიმე მათგანი გარდაიცვლებოდა, მისი თიმარი შვილს გადაეცემოდა; თუ ვაჟი არ ჰყავდა ან მისი შვილი არ შეასრულებდა სამხედრო სამსახურს, მაშინ თიმარი სხვას გადაეცემოდა. თუ თიმარი წინაპართაგან თავისუფალი დარჩა, კანონით დაშვებული იყო მისი გადაცემა ძმისათვის. გარკვეულ შემთხვევაში „ბენევებეთ თიმარი“ ზოგიერთებს კერძო (მულქი) საკუთრებაში ჰქონდათ ბოძებული. ასეთი თიმარები ანატოლიის ეიალეთებში გვხვდება. ესაა მულქის მსგავსი თიმარები, რომელთა მფლობელები ვალდებული იყვნენ, რომ ომის დროს შეიარაღებული მეომრები გამოეყვანათ. მფლობელის გარდაცვალების შემთხვევაში იგივე უფლებები გადადიოდა ვაჟიშვილზე.

ოსმალეთში იყო თავისუფალი და არათავისუფალი ლენები. ხასები და ზეამეთები განეკუთვნებოდა თავისუფალ თიმარებს, მათი მფლობელები სარგებლობდნენ საგადასახადო, ადმინისტრაციული და ნაწილობრივ სასამართლო იმუნიტეტით. „თავისუფალი“ ლენის მფლობელები მთლიანად იღებდნენ ე. წ. „თავისუფალ გადასახადებს“ (ბად ჰავა, რესმი აღნამ, რესმი ჩიფთ).

ამას გარდა, „თავისუფალი“ ლენის მფლობელებს უფლება ჰქონდათ აეკრიფათ ზოგიერთი გადასახადი, რომელიც სახელმწიფოს ეკუთვნოდა: მაგალითად, ფული, აღებული უპატრონოდ დარჩენილი ქონების გაყიდვის შედეგად და სხვა.

„თავისუფალი“ ლენის მფლობელების სასარგებლოდ იკრიბებოდა, აგრეთვე, ფეოდალური რენტის ნაწილი, აღებული „არათავისუფალი“ ლენებიდან.

თიმარი არათავისუფალ ლენს წარმოადგენდა. მას არ გააჩნდა არც საგადასახადო და არც ადმინისტრაციული იმუნიტეტი. თიმარიოტი სარგებლობდა არა მთელი რენტით, არამედ მისი ძირითადი ნაწილით.

ლენური სისტემის დროს ფეოდალთა შორის ქონებრივმა განსხვავებამ, თიმარების დიფერენციაციამ, საგადასახადო, ადმინისტრაციული და ნაწილობრივ სასამართლო უფლებებს შორის არსებულმა განსხვავებამ ზოგიერთი მეცნიერი მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ოსმალეთში არსებობდა ფეოდალური იერარქია.

მ. ბელენსა და ს. დენის ფეოდალური იერარქიის ნიშნად მიაჩნდათ ლენურ საკარგავებს (თიმარი, ზეამეთი და ხასი) შორის არსებული სხვაობა, მათი შემოსავლის სიდიდის მიხედვით.

თურქი ისტორიკოსი ფ. ქოფრულუ იერარქიაში გულისხმობს მუსლიმურ საზოგადოებაში სუსტისათვის მფარველობის აღმოჩენის საერთო პრინციპს.

იუგოსლაველი მეცნიერი ნ. ფილიპოვიჩი იერარქიის საკითხის განხილვისას კმაყოფილდება მხოლოდ ფეოდალებს შორის არსებული ქონებრივი განსხვავების აღნიშვნით და ფეოდალური კლასის იერარქიას აიგივებს ოსმალეთის საზოგადოების სტრუქტურასთან.

ბულგარელმა ისტორიკოსმა ვ. მუტაფჩიევამ დიდძალი პირველწყაროების ანალიზის საფუძველზე დაასაბუთა, რომ ოსმალეთში არსებობდა ფეოდალური იერარქია. მაგრამ ამ მოსაზრებას ყველა არ იზიარებს.

ოსმალეთში ფეოდალური იერარქიის შესწავლისას ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ ოსმალეთში ხასები (ყველაზე დიდი შემოსავლის მქონე საკარგავები) მემკვიდრეობით არ გადადიოდა და დიდმოხელის თანამდებობიდან გადაყენების შემდეგ იგი მას ჩამოერთმეოდა და სახელმწიფოს უბრუნდებოდა. ოსმალეთში მემკვიდრეობით არ გადადიოდა არა მარტო მიწა თუ სხვა ქონება, არამედ არ არსებობდა არც მემკვიდრეობითი თანამდებობა, თანამდებობა ეძლეოდა მხოლოდ გარკვეულ დროით.

ო. გიგინეიშვილი სავსებით სამართლიანად წერს, რომ „ოსმალეთში, უფრო ზუსტად იმ ტერიტორიაზე, სადაც ოსმალური მიწისმფლობელობის წესი იყო გაბატონებული, არ არსებობდა არა მარტო მემკვიდრეობითი ფეოდალური არისტოკრატია, არამედ ქონების მემკვიდრეობის უფლებაც იმ სახით, როგორც ეს იყო ევროპის ქვეყნებში. ყველას მიმართ უმაღლესი სამოხელეო თანამდებობათა ჩათვლით, იქნებოდა ეს დიდი ვეზირი, ქაფუდან-ფაშა, რეის-ეფენდი თუ ვალი, სიკვდილის თუ თანამდებობიდან მოხსნის შემთხვევაში კონფისკაციების წესს იყენებდნენ და მათი ქონება ხაზინას მიჰქონდა“.

მართალია, ოსმალეთში არსებობდა განსხვავება ფეოდალთა შორის როგორც ქონებრივი, ისე თანამდებობრივი (ასე, მაგალითად, დიდი ვეზირის ან რუმელიის ბეგლარბეგის წლიური შემოსავალი ერთ მილიონ აღჩას აღემატებოდა, ხოლო იყვნენ ისეთი ფეოდალებიც, რომელთა შემოსავალი 1.000 ახჩას შეადგენდა), მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, რომ ყოფილი მონა შეიძლებოდა გამხდარიყო დიდი ვეზირი, ბეგლარბეგი ან სხვა თანამდებობის მოხელე. ამასთანავე დიდ მოხელეს ასევე ადვილად შეიძლებოდა დაეკარგა არა მარტო თანამდებობა, არამედ მთელი თავისი ქონებაც. ამიტომ ოსმალეთში ფეოდალური იერარქიის არსებობის საკითხის განხილვის დროს ამ ფაქტსაც გვერდს ვერ აუვლით.

ევროპის ქვეყნებთან შედარებით, ოსმალეთში ფეოდალური იერარქიის არსებობა მხოლოდ პირობითად შეიძლება მივიჩნიოთ.

ოსმალეთში არ არსებობდა ევროპული არისტოკრატიული კლასის მსგავსი რამ. იმპერიის ყველა ქვეშევრდომს, თუ ის მუსლიმი იყო, ჰქონდა უფლება დაეკავებინა სახელმწიფო თანამდებობა. ყოველი მონა, თუკი გამაჰმადიანდებოდა, შეიძლება დიდი ვეზირიც კი გამხდარიყო. ამას არაერთი ფაქტი ადასტურებს.

ოსმალეთის ამ თავისებურებას ყურადღება მიაქცია ფრანგმა მოგზაურმა ჟან ბატისტ ტავერნიემ. „იქ (ოსმალეთში), – წერს ჟ. ტავერნიე, – დიდებულები წარმოადგენენ სულთნის მონებს, რომლებიც ან ომის დროს ჩაიგდეს ტყვედ, ან საჩუქრად მიიღეს პროვინციის მმართველების ან ფაშებისაგან. აქ მოხელეთა ქონება და დოვლათი სიკვდილის შემდეგ უბრუნდება დიდ სენიორს (სულთანს), რომლისაგანაც მათ იგი სხვადასხვა დროს მიუღიათ. მოხელეები, როგორც უკვე ვთქვით, ბავშვობაში მოიყვანეს სერალში, რათა აღეზარდათ და დაეწინაურებინათ, ხოლო იმის იმედი, რომ ქონებას შეიძენდნენ და თანამდებობას მემკვიდრეობით გადასცემდნენ თავიანთ შვილებს, მათ არასოდეს ჰქონიათ. ამ საკითხში ოსმანთა კარის პოლიტიკა იმაში მდგომარეობს, რომ ერთ რომელიმე გვარს არ მიეცეს აღზევებისა და გაძლიერების საშუალება, რათა არ მოახდინონ დაჯგუფება და იმპერატორის ტახტის შერყევა. ამიტომაა, რომ კეთილშობილება და გვარის სიძველე თურქეთში მხოლოდ ოსმანთა სახლის შესახებ ითქმის. იქ თანამდებობა ეძლევა მხოლოდ თავისი პირადი დამსახურებისა და ნიჭის მიხედვით, ყოველგვარი შთამომავლობისა და მემკვიდრეობის გარეშე. ისეც ხდება, რომ იმპერატორის მინისტრობას აღწევენ მწყემსის შვილები... ამ მოხელეებმა იციან, რომ ყოველგვარ სიკეთეს, ქონებასა და თანამდებობას ისინი უნდა უმადლოდნენ არა თავის დაბადებას, არამედ აღზრდასა და დიდ სენიორს“.

7. ოსმალეთის საზოგადოებრივი წყობილება

ოსმალეთის საზოგადოება ძირითადად ორ ჯგუფად იყოფოდა: ასკერებად (სამხედრო-მეომარი), რომლებიც განთავისუფლებული იყვნენ ყოველგვარი გადასახადებისაგან და უშუალოდ არ მონაწილეობდნენ ეკონომიკურ ცხოვრებაში, და გადასახადების გადამხდელებად, რაიათებად (გლეხებად). ასეთი დანაწევრება იყო ოსმალური ფეოდალური საზოგადოების კლასებად დაყოფა: ასკერები შეადგენდნენ საზოგადოების გაბატონებულ კლასს, ე. ი. ფეოდალებს, ხოლო ექსპლუატირებული კლასი გლეხობა იყო.

ასკერები ორ ჯგუფად იყოფოდნენ: 1. „მახვილის ხალხი“ და 2. „კალმის ხალხი“. „მახვილის ხალხის“ ძირითადი საქმიანობა იყო ომებში მონაწილეობა. „კალმის ხალხს“ შეადგენდნენ ულემები, ყადიები, საფინანსო უწყების მოხელეები და ყველა ის, ვინც სახელმწიფოს მართვა-გამგებლობასა და სამოქალაქო საქმეებს განაგებდა. „კალმის ხალხი“ თავისი სოციალური მდგომარეობით უთანასწორდებოდა ასკერთა ჯგუფს[4].

საზოგადოების ამგვარი დაყოფა დაკავშირებული იყო ოსმალეთის სახელმწიფოს სამხედრო-ლენური, თიმარული სისტემასთან. მხოლოდ „ასკერებს“, ე. ი. ფეოდალებს შეეძლოთ მიეღოთ სულთნისაგან თიმარი.

[4] ოსმალეთის საზოგადოების ასეთი დაყოფა მომდინარეობდა საერთო მუსლიმური საზოგადოების ოთხ ფენად დანაწილებიდან: 1. „მახვილის ხალხი“, 2. „კალმის ხალხი“, 3. ვაჭრები და ხელოსნები, 4. მიწათმოქმედნი (გლეხობა). ოსმალეთში ვაჭრები და ხელოსნები, სხვა მუსლიმური ქვეყნებისაგან განსხვავებით, იმყოფებოდნენ შედარებით დაქვეითებულ მდგომარეობაში და არ იყვნენ ცალკე ფენად გამოყოფილნი.

თიმარიოტები და ზაიმები, გარდა სამხედრო მოვალეობისა, ასრულებდნენ აგრეთვე ზოგიერთ სამეურნეო-ორგანიზაციულ ფუნქციებს: მეთვალყურეობას უწევდნენ მიწის ფონდის მდგომარეობას, მიწის დამუშავებას, გლეხებისაგან გადასახადების მიღებას, გლეხების მიწების მემკვიდრეობით გადაცემასა და სხვა. ისინი არსებითად იყვნენ ადგილობრივი სახელმწიფო აპარატის მოხელეები.

ამავე დროს, სახელმწიფო თიმარიოტების მიერ ყველა მოვალეობის შესრულების შემდეგაც კი ინარჩუნებდა მათ ლენებზე კონტროლის უფლებას. ეს, უპირველეს ყოვლისა, ეხებოდა გადასახადების სფეროსა და თიმარის მემკვიდრეობის საკითხს. ყადიები თვალყურს ადევნებდნენ, რათა სიფაჰიებს არ აეკრიფათ კანონით დაწესებულზე გადასახადების ნორმაზე მეტი.

მემკვიდრეობითი კანონის მიხედვით, შვილს მამის თიმარი მთლიანად კი არ გადაეცემოდა, არამედ მხოლოდ ე. წ. კილიჩ-თიმარი და კილიჩ-ზეამეთი, ე. ი. ლენის მინიმალური, გაუყოფელი ნაწილი; დანარჩენი ითვლებოდა არამემკვიდრეობით მიწად და კვლავ უბრუნდებოდა სახელმწიფო მიწების ფონდს. მაგრამ ამ წესს ხშირად არღვევდნენ.

მეჰმედ II-ის ხანაში სულთნის ხელისუფლების დასაყრდენი გახდა ფეოდალთა კლასის ის ფენა, რომელიც დაკავშირებული იყო თიმარულ სისტემასთან. თავისი განვითარების უმაღლეს საფეხურს თიმარულმა სისტემამ მიაღწია ოსმალების მიერ დაპყრობილ დასავლეთ ანატოლიასა და, განსაკუთრებით, რუმელიაში.

XIV-XVI საუკუნეებში თიმარებისა და ზეამეთების ბოძების საკანონმდებლო აქტები მუშავდებოდა და ზუსტდებოდა, ხოლო ეს პროცესი დასრულდა სულთან სულეიმან კანუნის ეპოქაში.

ოსმალეთში სახელმწიფო მიწების გარდა იყო სულთნისა და მისი სახლის წევრების მიწები (ხავასსი ჰუმაიუნ), მუსლიმური ეკლესიისა და რელიგიური დაწესებულებების მიწები – ვაკუფი ანუ ვაკფი, კერძო საკუთრებაში მყოფი მიწები – მულქი.

არსებობდა, აგრეთვე , სათემო მფლობელობაში მყოფი მიწები და ე. წ. მკვდარი მიწები

სასულთნო მიწები მის პირად განკარგულებაში იყო. სულთანს შეეძლო თავისი ხასის ბოძება დიდი მოხელისათვის, მუსლიმური ეკლესიისათვის შეწირვა, მზითვად გადაცემა და სხვ.

საეკლესიო მიწების (ვაკფი) ფონდს შეადგენდნენ სულთნებისა და ფეოდალების მიერ შეწირული მიწები. ეს იყო მუსლიმური ეკლესიისა და სასულიერო ფეოდალების შემოსავლის წყარო. სახელმწიფო ვაკფისაგან გადასახადს არ იღებდა. თანდათანობით მუსლიმური ეკლესიის ხელში აღმოჩნდა მიწების დიდი რაოდენობა და იგი იქცა ქვეყნის უდიდეს ორგანიზაციად.

კერძო მიწები (მულქი) ოსმალეთში შედარებით მცირე რაოდენობით გვხვდება. ასეთ მიწებს სულთანი ცალკეულ პირებს უბოძებდა სახელმწიფოს წინაშე დიდი დამსახურებისათვის. შეიძლებოდა მულქის გაყიდვა, ყიდვა, გასხვისება და ვაკფად შეწირვა.

ყველა ამ კატეგორიის მიწებზე ისხდნენ გლეხები, რომლებიც სოფლის მეურნეობას მისდევდნენ.

გლეხის საერთო აღმნიშვნელი სახელი აღმოსავლეთის ქვეყნებში და, კერძოდ, ოსმალეთში „რაიათი“ იყო. არაბ. „რეაია“ (მრ.; „რაიათი“) სიტყვასიტყვით „ჯოგს“ ნიშნავს. „რეაია“ ან „რაიათი“ ორგვარი მნიშვნელობით იხმარებოდა. ფართო გაგებით „რაიათი“ აღნიშნავდა „ქვეშევრდომთ“, რომელნიც არ ეკუთვნოდნენ პრივილეგირებულ წოდებას და ამიტომ გადასახადები უნდა ეხადათ. ვიწრო მნიშვნელობით „რაიათი“ ნიშნავდა გლეხს, მიწისმოქმედს, გადასახადების გადამხდელს. ოსმალეთში

რაიათად იწოდებოდნენ როგორც ქრისტიანი, ისე მუსლიმი გლეხებიც; XVIII საუკუნიდან ამ სიტყვის მნიშვნელობა შეიცვალა და იგი აღნიშნავდა ოსმალეთის სახელმწიფოს არამაჰმადიან (ქრისტიან, ებრაელ და სხვ.) გლეხს.

ამ ტერმინით აღინიშნებოდა არა მარტო გლეხები, არამედ ქალაქში მცხოვრები გადასახადების გადამხდელი მოსახლეობა – ხელოსნები, ვაჭრები. გადასახადების გადამხდელი მოსახლეობისაგან განსხვავებით, გადასახადების არაგადამხდელი მოსახლეობაც – ფეოდალები, სასულიერო პირები წარმოადგენდნენ გაბატონებულ კლასს "ბერაიას"

ოსმალეთში გლეხი უუფლებო მდგომარეობაში იმყოფებოდა. ოსმალური კანონები მტკიცე ზღვარს დებდა გლეხსა (რეაია) და ფეოდალს (სიფაჰი) შორის. რეაია არ შეიძლებოდა გამხდარიყო ფეოდალი. „რაიათის შვილი არის რაიათი", ნათქვამია ოსმალურ კანუნ-ნამეებში.

გლეხები სამხედრო ლაშქრობებში არ გაჰყავდათ. მათ ეკრძალებოდათ ცხენზე ჯდომა და იარაღის ტარება, უფლება არ ჰქონდათ მიეღოთ თიმარი. მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში, თუ რეაია ომში თავს გამოიჩენდა, სულთნის ბრძანებით, იგი შეიძლებოდა მხედარი (ფერდალი) გამხდარიყო და მიეღო თიმარი.

გლეხის სარგებლობაში მყოფ მიწას ჩიფთლიქი ან ჩიფთი ეწოდებოდა ("CifT", < სპ. „ჯოფთ" – „წყვილი"). ჩიფთლიქს ამუშავებდნენ უღელი ხარის მეშვეობით.

გლეხის მიწის ნაკვეთი – ჩიფთლიქი წარმოადგენდა სამიწათმოქმედო მეურნეობას, მისთვის დამახასიათებელი წარმოების ყველა სახით: ყანა, ვენახი, ხეხილის ბაღი, ბოსტანი, საძოვარი, რაც განსაზღვრული იყო ადგილობრივი პირობებით.

კანუნ-ნამეებიდან ირკვევა, რომ გლეხის მიწის ნაკვეთი შეიძლება ყოფილიყო ნახევარ ჩიფთზე მცირე, ნახევარი ჩიფთი, სრული ჩიფთი და აგრეთვე ჩიფთზე მეტიც.

ჩიფთლიქი იყო არა მარტო გლეხის მიწის ნაკვეთი, არამედ საგადასახადო ერთეულიც, რომლის გაწერის დროს მიწის ნაკვეთის ზომას განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა. ოსმალურ კანუნ-ნამეებში ზუსტად იყო ფიქსირებული გლეხთა გადასახადები მათი მიწის ნაკვეთის შესაბამისად. ბასიანის კანუნ-ნამეში ნათქვამია: „ვინც ფლობს სრულ ჩიფთს, იგი იხდის 50 ახჩას, ნახევარ ჩიფთს – 25 ახჩას, ექინლუ ბენაქს – 18 ახჩას, ხოლო ბენაქს – 12 ახჩას".

გლეხის ჩიფთლიქი მემკვიდრეობით გადადიოდა. როცა რაია გარდაიცვლებოდა, ჩიფთლიქი ვაჟს რჩებოდა. თუ მას ორი ვაჟი ჰყავდა და ორივე ცოლშვილიანი იყო, ჩიფთლიქი შუაზე იყოფოდა, მაგრამ ერთობლივ სარგებლობაში რჩებოდა. კატეგორიულად აკრძალული იყო ჩიფთლიქის დაყოფა-დაქუცმაცება მემკვიდრეებს შორის. ამასთან დაკავშირებით სელიმ I-ის კანონთა წიგნის სათანადო ადგილას გაკეთებული იყო შემდეგი მინაწერი: „ჩიფთლიქის დანაწილება არ შეიძლება, ებრძანათ ერთობლივად ფლობა".

თაფუ გაიღებოდა მაშინ, როცა მიწის ნაკვეთი ერთი მფლობელიდან, სხვადასხვა მიზეზის გამო, მეორის ხელში გადადიოდა. თაფუ იყო არა მარტო გადასახადი მიწის ნაკვეთით სარგებლობისათვის, არამედ გლეხთა ფეოდალური დამოკიდებულების პირობა. თაფუს გადახდის შემდეგ გლეხი ვალდებული იყო, დაემუშავებინა მიწა და ეხადა დაწესებული გადასახადები.

თაფუს გადასახდელი თანხის ოდენობა დამოკიდებული იყო მიწის ხარისხზე. სულთან სულეიმანის კანონთა წიგნის მიხედვით, ნაყოფიერი მიწებიდან თაფუ შეადგენდა 50 ახჩას, საშუალოდან – 40-30 ახჩას, ხოლო მცირე მიწიდან – 20-10 ახჩას.

ოსმალეთში მიწა მემკვიდრეობით გადადიოდა მხოლოდ ვაჟიშვილზე. მრავალ კანუნ-ნამეში პირდაპირ იყო ნათქვამი: „თუ გარდაცვლილ რაიათს არ დარჩა ვაჟიშვილი და დარჩა ქალიშვილი და იგი მოითხოვს მამის მიწას, სიფაჰის ეკრძალება

გადასცეს მიწა ქალიშვილს, დაე, ეს მიწა თაფუს საფუძველზე სხვას მიეცეს". მაგრამ ზოგჯერ იყო შემთხვევები, როდესაც მიწა ქალიშვილს გადაეცემოდა თაფუს საფუძველზე. 1573-74 წლის გურჯისტანის კანუნ-ნამეში ნათქვამია: „გარდაცვლილ რეაიას შვილი არა ჰყავს და თუ მას ქალი რჩება, (ეს მიწა) სხვას არ მიეცემა, ქალს გადაეცემა თაფუს წესით".

თუ გარდაცვალების შემდეგ გლეხს რამდენიმე ვაჟი დარჩებოდა, ისინი ერთობლივად ფლობდნენ მამის მიწას: თუ რომელიმე მათგანი მოინდომებდა თავისი წილის სხვისთვის გადაცემას, ძმებს შეეძლოთ არ მიეცათ ამის უფლება. ბასიანის კანუნ-ნამეში ჩაწერილია: „თუ რომელიმე რეაია გარდაიცვლება და მას მრავალი შვილი დარჩება, ისინი შეთანხმებულად და ერთობლივად უნდა ამუშავებდნენ მამის მიწას. თუ მათგან ერთ-ერთი გარდაიცვლება და ვაჟიშვილები დარჩება, მისი წილი მის შვილებს გადაეცემა; თუ შვილი არ დარჩება, ძმის მიწა ძმას არ მიეცემა და მისი წილი უცხოს გადაეცემა, მაგრამ თუ ძმა,, სხვების მსგავსად, გაიღებს (ახჩას), მაშინ მისი წილი ძმას გადაეცემა".


ოსმალეთში მიწის მემკვიდრეობის უფლებით მამაკაცები სარგებლობდნენ. „თუ რაია გარდაიცვლება, – ნათქვამია სულეიმან I-ის კანონმდებლობაში, – და მას დარჩება ვაჟი და ქალიშვილი, მთელი ჩიფთლიქი უნდა დარჩეს ვაჟიშვილს, ხოლო ქალიშვილს არა აქვს უფლება მოითხოვოს წილი". ზოგჯერ თუ გარდაცვლილის მეუღლე ქმრის მიწას დაამუშავებდა და სათანადო გადასახადებს გადაიხდიდა, მაშინ მას მიწას არ ჩამოართმევდნენ.

იმ შემთხვევაში, როცა რეაია გარდაიცვლებოდა და მას აღარც შვილები დარჩებოდა, აღარც ძმები, დები და მშობლები, მაშინ გარდაცვლილის ჩიფთლიქი ფეოდალს უბრუნდებოდა.

გლეხთა მიწის ნაკვეთს ეწოდებოდა, აგრეთვე, ბაშთინა. ბაშთინები გვხვდება ბალკანეთის ქვეყნებსა და ტრაპიზონის საფაშოში. ა. ტვერიტინოვას მოსაზრებით, გლეხთა მიწის ნაკვეთებს, რომლებიც მუსლიმთა ხელთ იყო, ჩიფთლიქი ეწოდებოდა, ხოლო ქრისტიანებზე (გიაურებზე) მიმაგრებულს – ბაშთინა. ჩვენ ვერ გავიზიარებთ ა. ტვერიტინოვას ამ შეხედულებას. „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრიდან" აშკარად ჩანს, რომ ამ დროს (1595 წ.) ახალციხის საფაშოს გლეხების აბსოლუტური უმრავლესობა ქრისტიანი იყო და ისინი ჩიფთლიქებს ფლობდნენ. ასევე ჩიფთლიქები ჰქონდათ ქრისტიან სომეხ გლეხებსაც. ეს კარგად ჩანს არზრუმის, ერზინკას, კამახისა და სომხებით დასახლებული სხვა ტერიტორიებისათვის შედგენილი კანუნ-ნამეებიდან. ბალკანეთის ქვეყნებშიც ცნობილი არიან ჩიფთლიქის მფლობელი ქრისტიანი გლეხები. ამგვარად, ჩიფთლიქის მფლობელები იყვნენ როგორც მაჰმადიანი, ისე ქრისტიანი გლეხები.

მეჰმედ II ფათიჰის კანონმდებლობის მიხედვით, ფეოდალს უფლება ჰქონდა გლეხი მიწის ნაკვეთიდან ძალით გაეძევებინა. „თუ სიფაჰი (ფეოდალი) ძალით გააძევებს თავის რეაიას მიწიდან, რეაიასაგან (თავის მიწაზე) დაბრუნების შემთხვევაში თაფუ არ აიღება. ხოლო თუ რეაია თვითნებურად მიატოვებს მიწას, ან ერთი წლის განმავლობაში დაუმუშავებელს დატოვებს მიწის ნაკვეთს, მაშინ სიფაჰის უფლება აქვს მოიმოქმედოს თავისი ნებასურვილის მიხედვით. რეაიას მიერ თვითნებურად მიტოვებული სახლი და მინდორი სუვარის ეკუთვნის, ხოლო თუ სუვარი მას გააგდებს, მაშინ სახლი რეაიას ეკუთვნის".

ოსმალური კანონმდებლობის მიხედვით, გლეხს მიწა (ჩიფთლიქი) ჩამოერთმეოდა, თუ იგი მიწას სამი წლის განმავლობაში დაუმუშავებელს დატოვებდა. ოსმალურ კანუნ-ნამეებში ჩაწერილია: „დაკანონებულია, რომ თუ რეაია სახნავ-სათესად გამო-



მეჰმედ II ფათიჰი

სადეგ მიწას სამ წელიწადს ზედიზედ უმიზეზოდ დაუმუშავებელს და ცარიელს დატოვებს, მას იგი ჩამოერთვას და გადაეცეს სხვას, თაფუს საფუძველზე".

ამრიგად გლეხთა სარგებლობაში მყოფი მიწის ნაკვეთი პირობით მფლობელობაში იმყოფებოდა და მისი ფლობის მთავარი პირობა იყო მიწის დამუშავება.

მუფთი აბუსუდი, რომელმაც XVI ს-ში სულთან სულეიმან კანუნის კანონთა კრებულის ცალკეული მუხლების განმარტებები დაგვიტოვა, გლეხთა მიწების შესახებ წერდა: რეაიას ხელთ მყოფი მიწები არ წარმოადგენს მათ საკუთრებას (მულქ). ესაა სახელმწიფო მიწები (არაზი მემლექეთ). ნაბრძანები იყო, რომ დაპყრობების დროს ეს მიწები არავის საკუთრებაში არ გადასულიყო, (გლეხებს) ევალებოდათ მათი დამუშავება და საშემოსავლო ხარაჯის გადახდა, მეათედის სახელწოდებით და აგრეთვე მიწის ხარაჯისა და რესმი ჩიფთის სახელით. რეაიას მოვალეობას შეადგენდა მიწის დამუშავება, დათესვა და აღნიშნული გადასახადების გადახდა მიღებული მოსავლიდან. მას მხოლოდ ამის შემდეგ ჰქონდა უფლება მოსავლის ნაწილი თავისთვის დაეტოვებინა. ამ მიწების გაყიდვა, გასაჩუქრება, გასხვისება, თავის საკუთრებად გადაქცევა და, აგრეთვე, ვაკუფად შეწირვა კატეგორიულად აკრძალული იყო.

გლეხთა უდიდესი ნაწილი გატარებული იყო დავთარში და მათ დავთრის რეაიები ან სარეესტრო რეაიები ეწოდებოდათ. მაგრამ გვხვდებიან აგრეთვე დავთრის გარეშე (ხარიჯიე დეფთერი) მყოფი გლეხებიც, რომელთა უმრავლესობასაც შეადგენდნენ უმიწაწყლო გლეხები. სარეესტრო რეაიებად ითვლებოდნენ თიმარზე მიწერილი და ჩიფთლიქის მქონე გლეხები, ხოლო რეესტრგარეშედ კი ისინი, ვისაც მიწა არ გააჩნდათ და ფეოდალთან დროებით მუშაობდნენ.

ყოველი გლეხი გატარებული უნდა ყოფილიყო თითოეული სიფაჰის რეაიად. ზოგადი წესისაგან განსხვავებას მხოლოდ იმ შემთხვევაში ჰქონდა ადგილი, როცა ორი ან მეტი სიფაჰი ერთდროულად ფლობდა რამდენიმე საკარგავს და ამდენად თითოეული მათგანი თანაბრად ავრცელებდა თავის ფეოდალურ უფლებას საერთო გლეხზე. სხვა შემთხვევაში, როცა გლეხი რეგისტრირებული იყო ორი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი საფაჰის რეაიად, გლეხი შუაზე უყოფდა მათ გადასახადებს. ზოგიერთი გლეხი არ იყო მიწერილი სიფაჰიზე, ასეთად ჩანს უმიწაწყლო გლეხი, რომლის გადასახდელს მოხელე („მევკუფჩი") კრებდა.

აღმოსავლეთის ქვეყნებში და, კერძოდ, ოსმალეთში რეაია მიწერილი იყო სიფაჰიზე (ფეოდალზე), ხოლო გადასახადი – გლეხებზე. ფეოდალს შეეძლო მოეძებნა გაქცეული გლეხი და უკან დაებრუნებინა იგი. ძებნისა და უკან დაბრუნების ვადა,

მეჰმედ II-ის დროს, 10 წელი იყო, ხოლო სულეიმან I-ის კანონმდებლობით იგი 15-20 წელიწადს შეადგენდა. ხოლო თუ გაქცეული რეაია ქალაქში დასახლდებოდა, 20 წლის შემდეგ მისი უკან გადასახლება აკრძალული იყო: თუ ფეოდალი ამ ხნის განმავლობაში გაქცეულ რეაიას ვერ იპოვნიდა, შემდეგ, კიდევაც რომ მოეძებნა იგი, დაბრუნების უფლება აღარ ჰქონდა და გლეხი თავისუფალი ხდებოდა.

იურიდიული თვალსაზრისით, საგადასახადო სისტემა ოსმალეთის იმპერიაში, ძირითადად, ორ ჯგუფად იყოფოდა: 1. „რუსუმ-ი შერიე" – ე. წ. კანონიერი გადასახადები, რომლებიც შარიათის საფუძველზე იყო დაწესებული. ესაა უშრი (აშარი), ზექათი, ხარაჯა და ჯიზიე: ეს ოთხი კანონიერი გადასახადი თანდათანობით გაიზარდა და გადასახადების მთელი სისტემა შეიქმნა. მათ სხვადასხვა სახელწოდებები მიიღეს და სულ მთლიანად 80-მდე გადასახადი გვხვდება. 2. „თექალიფ-ი ურფიე" – ადათ-წესებსა და ტრადიციებზე დამყარებული გადასახადები, რომელთაც კრეფდნენ სხვადასხვა ადგილებში და სხვადასხვა დროს. უმთავრესად ეს იყო ნატურალური გადასახადები, რომელთაც გლეხები ფეოდალს უხდიდნენ. ასეთ გადასახადთა რიცხვს ეკუთვნოდა აგრეთვე ავარიზი. ამ გადასახადს ომის დროს აწესებდნენ. „თექალიფ-ი ურფიეს" გადასახადების რიცხვმა 97-ს მიაღწია.

ერთი სიტყვით, მწარმოებელი კლასი – გლეხობა სხვადასხვა გადასახადებით იყო დაბეგრილი და მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ ოსმალეთში ხშირად ადგილი ჰქონდა გლეხთა აჯანყებებს.

8. ოსმალთა დაპყრობითი ომების თავისებურებანი

დაპყრობითი ომების დროს სულთნის მთავრობა მეტად მოქნილ პოლიტიკას ატარებდა.

ჰალილ ინალჯიკის დაკვირვებით, ოსმალთა დაპყრობითი ომების მსვლელობისას გამოიყოფა ორი ნათლად გამოკვეთილი ეტაპი. ოსმალები ჯერ ცდილობდნენ დაემყარებინათ რომელიმე სახის სუზერენიტეტი (ვასალური ურთიერთობა), შემდეგ კი ესწრაფოდნენ უშუალო კონტროლის დაწესებას ქვეყანაზე. ამ მიზნით, ისინი გადაიყენებდნენ ხოლმე ვასალური ქვეყნების გამგებლებს, ადგილობრივი დინასტიების წარმომადგენლებს და თავიანთ მოხელეებს ნიშნავდნენ. ოსმალთა უშუალო კონტროლი, არსებითად, გულისხმობდა თიმარული სისტემის შემოღებას დაპყრობილ ქვეყანაში, რომელიც დაფუძნებული იყო დავთრებში ქვეყნის მოსახლეობისა და რესურსების მეთოდურ აღრიცხვაზე.

ჰ. ინალჯიკის აზრით, დაპყრობილ ქვეყანაში თიმარული სისტემის შემოღება ყოველთვის არ გულისხმობდა ძველი სოციალურ-პოლიტიკური წყობილების ერთბაშად გარდაქმნას. სინამდვილეში ეს იყო შემრიგებლური შეთვისება ადგილობრივი პირობებისა და კლასებისა ოსმალურ ინსტიტუტებთან, თანდათანობითი ასიმილაციის მიზნით.

არსებითად, დაპყრობილი ქვეყნის აღწერა და მისი დავთრებში გატარება ადგილობრივი სოციალურ-პოლიტიკური სისტემის გაუქმებას ნიშნავდა. ცხადია, ამას არ შეიძლება არ გამოეწვია დაპყრობილი მოსახლეობის დიდი წინააღმდეგობა. ასეთ ვითარებაში დამპყრობელი იძულებული იყო „თანდათანობითი ასიმილაციის" გზას დადგომოდა და ეს „შემრიგებლური შეთვისება" ნაკარნახევი იყო შექმნილი ვითარებით და არა ოსმალო სულთნების ლოიალური პოლიტიკით.

სულთნის მთავრობა, ადგილობრივი მოსახლეობის წინააღმდეგობის დაძლევის მიზნით, იძულებული იყო ზოგ შემთხვევაში წასულიყო კომპრომისზე დაპყრობილი ქვეყნის გაბატონებული კლასის ერთი ნაწილის მიმართ და მისთვის შეენარჩუნებინა მიწები მთლიანად ან ნაწილობრივ, თიმარებისა და ზეამეთების სახით. ამისათვის კი საჭირო იყო ორი პირობა: მიწის მფლობელი უნდა ყოფილიყო სამხედრო (ასკერი) წარმოშობისა და მას უნდა დაემტკიცებინა სულთნისადმი ერთგულება.

აღმოსავლეთის ქვეყნებში და, კერძოდ, ოსმალეთში მიწის უზენაესი მესაკუთრე სულთანი იყო. ამიტომ დაპყრობილი ქვეყნის გაბატონებულ კლასს თავის მიწაზე მფლობელობის უფლება სულთნისაგან უნდა მიეღო სპეციალური ბარათით. ამისათვის კი, როგორც ზემოთ მივუთითეთ, ორი პირობის შესრულება იყო საჭირო.

დაპყრობილი ქვეყნის ფეოდალები ინარჩუნებდნენ თავიანთ მიწებსა და სოციალურ მდგომარეობას, თუ ისინი ოსმალეთის სულთანს ლოიალობას გამოუცხადებდნენ და ოსმალეთის ლაშქარში ჩაეწერებოდნენ. ამასთან მეტად საყურადღებოა ის, რომ ოსმალეთის მთავრობა დაპყრობითი ომების პირველ ეტაპზე არ მოითხოვდა მათგან მაჰმადიანობის მიღებას. ამას კი უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ბალკანეთის ქვეყნების ფეოდალების თავის მხარეზე გადმოსაბირებლად და მოწინააღმდეგის ძალების გასათიშავად. ამის გამო იყო, რომ ბალკანეთის ქვეყნების ფეოდალების ნაწილი ოსმალეთის მხარეზე გადადიოდა, მის სამსახურში დგებოდა და უადვილებდა სულთანს ამ ქვეყნების დაპყრობა-დამორჩილებას.


XV საუკუნის თურქული წყაროებიდან ირკვევა, რომ ბალკანეთის ქვეყნების ზოგ რაიონში დაახლოებით თიმარიოტების ნახევარი ქრისტიანები იყვნენ: 1468 წელს ბრანიჩევის მხარეში 125 თიმარიოტიდან 62 ქრისტიანი იყო, 1431 წელს ალბანეთში 335 თიმარიოტიდან 60 ქრისტიანი იყო, ტირალას (თესალიაში) პროვინციაში 1455 წელს 182 თიმარიოტიდან 36 ქრისტიანი იყო. უეჭველია, რომ ეს შეფარდება ქრისტიანებსა და მაჰმადიან თიმარიოტებს შორის ამ რეგიონის დაპყრობის პირველი ეტაპისთვისაა დამახასიათებელი.

XV საუკუნიდან დაწყებული XVI საუკუნემდე ქრისტიანი ვოინუქები ბოსნიაში, სერბიაში, მაკედონიაში, ალბანეთში, თესალიასა და ბულგარეთში დიდი რაოდენობით შედიოდნენ ოსმალეთის ლაშქარში ასკერების (მეომრების) სტატუსით.

სულთნის დადგენილებებით, ქრისტიანი თიმარიოტები და ვოინუქები ოსმალთა სახელმწიფოში ხშირად ინარჩუნებდნენ მდგომარეობას, რომელიც შეესაბამებოდა მათ უწინდელ სოციალურ სტატუსს. მათ ოსმალები მაქსიმალურად უნარჩუნებდნენ მიწათმფლობელობის უფლებას თიმარებისა და ზეამეთების სახით და როდესაც ისინი მაჰმადიანდებოდნენ, მათ ეძლეოდათ ბეგის ტიტული.

თიმარის ქრისტიანი მფლობელნი და მათი გამაჰმადიანებული ჩამომავალნი, თუმცა საერთოდ ინარჩუნებდნენ თავიანთ მემკვიდრეობას მამულზე, იძულებული იყვნენ უარი ეთქვათ თავიანთი მამულის ნაწილზე და ზოგიერთ განსაკუთრებულ ფეოდალურ უფლებაზე ახალი ოსმალური თიმარული რეჟიმის პირობებში. ამის შედეგად დიდმა ფეოდალურმა ოჯახებმა უდიდესი ზარალი განიცადეს და ამან გამოიწვია გარკვეული წინააღმდეგობანი ბალკანეთისა და აღმოსავლეთ ევროპის ოსმალურ სამფლობელოებში.

ოსმალეთის მთავრობის ეს პრივილეგიები ბალკანეთის ქვეყნების ფეოდალთა ერთი ნაწილის მიმართ არ აიხსნება ოსმალეთის მთავრობის „ლოიალური პოლიტიკით“. ამ ლოიალობის (შემრიგებლობის) მიზეზი ის იყო, რომ ოსმალეთი მაქსიმალურად ცდილობდა დაპყრობილ რეგიონში თავისი პოზიციების განმტკიცებას. ამისათვის იგი მიმართავდა ამ ხერხსაც, რითაც თიშავდა ფეოდალთა რიგებს და გარკვეული შეღავათებისა და პრივილეგიების შენარჩუნების გზით იმხრობდა თავის



სტამბოლი XVI საუკუნეში

მხარეზე მოწინააღმდეგის გაბატონებული კლასის ერთ ნაწილს. დამახასიათებელია, რომ ამ პრივილეგიებსა და შეღავათებს ოსმალეთის სულთანი სამარადისოდ არ იძლეოდა და დროთა განმავლობაში, დამორჩილებულ ქვეყანაში ძალაუფლების განმტკიცების შემდეგ, მათ თანდათანობით აუქმებდა. სწორედ ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ დიდებულთა ოჯახები ბალკანეთის ქვეყნებში ასიმილირებულ იქნენ ოსმალურ თიმარიოტთა მასებთან და გახდნენ მუსლიმები. უკვე XVI საუკუნეში ამ მხარეებში იშვიათად გვხვდება ქრისტიანი თიმარიოტები. უფრო მეტიც, პროფესორ ჰ. ინალჯიკის ცნობით, ამ საუკუნეში ქრისტიანი თიმარიოტების არსებობამ ხალხი შეაძრწუნა და გამოიწვია სპეციალური გამოძიების ჩატარება, რათა გამოერკვიათ მათი წარმომავლობა (ჩამომავლობა). ფაქტობრივად, ზოგი თიმარიოტის ქრისტიანული წარმოშობა მყღავნდება მხოლოდ მათ მიერ იშვიათად ხმარებული გვარის მეშვეობით.

ანალოგიურ პოლიტიკას ოსმალები ახორციელებდნენ არა მარტო ბალკანეთის ქვეყნების მიმართ, არამედ ანატოლიაშიც. ადგილობრივმა ემირებმა და ფეოდალებმა, რომლებიც ოსმალთა სამსახურში ჩადგნენ, მიიღეს ბეგის ტიტული და დიდი თიმარები.

ოსმალეთის მთავრობა, რათა დაეძლია ქურთების წინააღმდეგობა, ქურთი ტომების ბელადებისა და ბეგების მიმართ დიდ დათმობებზე წავიდა. სულთანმა ტომის ბელადებს და ბეგებს თითქმის უცვლელად დაუტოვა მათ მფლობელობაში მყოფი მიწები, იურთლუკისა, ოჯაკლიკისა და ჰუქუმეთების სტატუსით, ხოლო ზოგიერთებს კი ტომის მოსახლეობის გადასახადების შემოსავალი თიმარებად უბოძა. ამრიგად, ოსმალებმა თიმარული სისტემა მიუსადაგეს აქ არსებულ მდგომარეობას.

ანატოლიაში თიმარული სისტემის დანერგვა ბალკანეთის ქვეყნებთან შედარებით უფრო უმტკივნეულოდ ტარდებოდა, რადგან ანატოლიის საამიროებს ბევრი რამ ჰქონდათ საერთო ოსმალურ სისტემასთან; მით უფრო, რომ აქ გაბატონებულ ფეოდალთა კლასის უმრავლესობა მაჰმადიანები იყვნენ.

სულთნის მთავრობა, ზოგ შემთხვევაში, კომპრომისზე მიდიოდა არა მარტო გაბატონებული კლასის, არამედ ადგილობრივი მოსახლეობის მიმართაც, გარკვეული შეღავათების მინიჭების გზით. მაგალითად, ათავისუფლებდა მათ ზოგიერთი გადასახადებისაგან. თუმცა ასეთ პრივილეგიებს სამუდამოდ არ იძლეოდნენ და სულთნის ბრძანებით შეიძლებოდა მათი წართმევა. ზოგ განსაკუთრებულ შემთხვევაში მთელი ქალაქის მოსახლეობა თავისუფლდებოდა გადასახადებისაგან; ამით ოსმალეთის მთავრობა იმედოვნებდა მოსახლეობის ერთგულების მოპოვებას. მაგალითად, კონიისა და კაისერის სააღრიცხვო წიგნში აღნიშნული იყო, რომ აქ ქალაქების მოსახლეობა მთლიანად განთავისუფლებული იყო გადასახადებისაგან „იმ ერთგულებისათვის, რაც მათ გამოიჩინეს უზუნ ჰასანთან ბრძოლის დროს“. ამ შეღავათების წყალობით, ოსმალებმა შეძლეს მნიშვნელოვან ქალაქებში ძალაუფლების განმტკიცება.

დაპყრობითი ომების პირველ ეტაპზე, როდესაც ოსმალები ჯერ კიდევ არ ერეოდნენ დაპყრობილი ქვეყნების საშინაო საქმეებში, ტოვებდნენ ადგილობრივ დინასტიებს, მოსახლეობას უნარჩუნებდნენ გარკვეულ პრივილეგიებსა და შეღავათებს. ყოველივე ამან ხელი შეუწყო ოსმალთა დაპყრობითი ომების წარმატებით მსვლელობას.

ბაიაზიდ I-ის დროიდან ოსმალო სულთნები იწყებენ ინკორპორაციის (ანექსიის) პოლიტიკის განხორციელებას, რამაც დიდი წინააღმდეგობა გამოიწვია არა მარტო ქვეყნის გარეთ, არამედ მის შიგნითაც. ბაიაზიდ I-ის ძალისმიერი პოლიტიკა, ქვეყნის უნიფიკაცია, რამაც ესოდენ ძლიერი რეაქცია გამოიწვია, იყო რეალური მიზეზი მისი დამხობისა 1402 წელს.

დაპყრობითი ომების მეორე ეტაპზე ოსმალები იწყებენ ქვეყნის აღწერას და დავთრებში გატარებას. ეს კი ნიშნავდა ადგილობრივი სოციალურ-ეკონომიკური სისტემის გაუქმებას, ოსმალური საგადასახადო სისტემისა და მართვა-გამგებლობის შემოღებას, რაც იწვევდა ადგილობრივი მოსახლეობის შეუნელებელ წინააღმდეგობას.

ბაიაზიდის მემკვიდრეებმა სულეიმანმა, მეჰმედ I-მა და მურად II-მ განაახლეს ზომიერი პოლიტიკა დაპყრობილი ქვეყნების მიმართ, მაგრამ 1451 წელს, როდესაც ტახტზე ავიდა მეჰმედ II, დაპყრობითი პოლიტიკა კვლავ სახელმწიფო დონეზე იქნა აყვანილი.

დაპყრობილ ქვეყნებში ოსმალებმა შეძლეს, თათარ-მონღოლებისა და ანატოლიის საამიროებისაგან განსხვავებით, დაემყარებინათ არა მარტო სამხედრო-პოლიტიკური, არამედ აგრეთვე თავიანთი სოციალურ-ეკონომიკური ბატონობაც.

სულთნის მთავრობა, დაპყრობილ ქვეყნებში თავისი ხელისუფლების განმტკიცების მიზნით, ხშირად იყენებდა კოლონიზაციისა და მოსახლეობის მასობრივად გადასახლების შემუშავებულ სისტემას. იგი დიდად იყო დაინტერესებული ოსმალთა დასახლებით დაპყრობილ ადგილებში. ოსმალურ წყაროებში ამის შესახებ არაერთი საყურადღებო ცნობა მოიპოვება. სულთნის მთავრობა მასობრივად ასახლებდა ოსმალურ მოსახლეობას ბალკანეთის ქვეყნებში, ხოლო ბალკანეთის მოსახლეობას – ანატოლიაში. ასეთსავე ღონისძიებას სულთანი მიმართავდა, აგრეთვე, თავისი იმპერიის აღმოსავლეთის ქვეყნების მიმართაც.

ამგვარი ღონისძიებების გატარებით ოსმალეთის მთავრობას სურდა, ერთის მხრივ, მოეხდინა დაპყრობილი ხალხების ასიმილაცია, ხოლო, მეორეს მხრივ, დაპყრობილ

პირებს ეძლეოდათ ჯამაგირი. ეს დავთრები არა მარტო განსაზღვრავდნენ ცალკეული გლეხებისაგან ასაკრები გადასახადების რაოდენობას, არამედ ისინი გამოყენებული იყო როგორც ოფიციალური საბუთი იურიდიული წესების შემოღებისას.

ამ ღონისძიების გატარება, ე. ი. დავთრის შედგენა, დაკავშირებული იყო დაპყრობილ ქვეყანაში ოსმალური მართვა-გამგებლობისა და მისი საგადასახადო სისტემის შემოღებასთან, ე. ი. ოსმალური სოციალურ-პოლიტიკური სისტემის დამყარებასთან.

აღწერის ჩასატარებლად და დავთრის შესადგენად სულთნის მთავრობის მიერ ინიშნებოდა სპეციალური კომისია. ამ კომისიაში შედიოდა ემინი და ქათიბი (მწერალი). ემინი იყო სულთნის რწმუნებული. იგი აწარმოებდა აღწერას და პასუხისმგებელი იყო მის ჩატარებაზე.

აღწერის ჩატარების შედეგად დგებოდა ორი სახის დავთარი: პირველი გვიჩვენებდა გადასახადებს მათი წყაროების დეტალური გარჩევით – დიდი დავთარი; მეორეში აღნიშნული იყო წლიური შემოსავლის განაწილება მხედართა შორის – პატარა, ანუ მცირე დავთარი. ამგვარი განაწილება საფუძვლად დაედო ოსმალეთის სახელმწიფოს ბუნებას. დიდ დავთარს, როგორც წესი, წამძღვარებული ჰქონდა კანუნნამე (კანონთა წიგნი), რომელშიც ჩამოყალიბებული იყო აღწერილი ქვეყნის მოსახლეობის მოვალეობანი ოსმალური საგადასახადო სისტემის შემოღებასთან დაკავშირებით. მას შემდეგ, რაც შედგებოდა დავთრები, ისინი ეგზავნებოდა პორტას და მათ ამტკიცებდნენ სულთნის ბრძანებით და თუღრის დასმით. დავთრები ორ-ორ ცალად იწერებოდა. დამტკიცების შემდეგ ერთი ცალი რჩებოდა სტამბოლში, ხოლო მეორე იგზავნებოდა ადგილზე, იმ მხარის ადმინისტრაციულ ცენტრში, სადაც იგი იყო შედგენილი.

თუ აღწერა არ იყო ჩატარებული სწორად, დავთარი უქმდებოდა, ხოლო დამნაშავე ისჯებოდა. შემდეგ ინიშნებოდა ახალი კომისია, რათა ჩაეტარებინა რევიზია ან ხელახალი აღწერა.

XV-XVI საუკუნეებში ოსმალეთის იმპერიაში რეგულარულად ტარდებოდა ქვეყნის აღწერა და დავთრის შედგენა. ეს ღონისძიება უმთავრესად დაკავშირებული იყო დაპყრობილი ქვეყნების ინკორპორაციასთან, იქ ადგილობრივი წყობილების გაუქმებასთან, ოსმალური სოციალურ-ეკონომიკური სისტემის დამყარებასთან. ქვეყნის აღწერა ოსმალეთში შეჩერდა მას შემდეგ, რაც ოსმალეთის სულთნებს აღარ ძალუძდათ დაპყრობითი ომების წარმოება და თავისი იმპერიის ტერიტორიის გაფართოება.

10. ლევანტის ვაჭრობა

მეჰმედ II-ის დაპყრობითი ომების შედეგად მნიშვნელოვნად გაფართოვდა მისი სამფლობელოები ევროპასა და აზიაში. ოსმალეთის ხელში აღმოჩნდა სავაჭრო ცენტრები და საქარავნო გზები, რომლითაც ევროპელი კომერსანტები აქტიურ ვაჭრობას ეწეოდნენ ლევანტის ქვეყნებთან.

შავ და ხმელთაშუა ზღვებს შორის სრუტეების დაპყრობამ და ოსმალეთის გაბატონებამ შავი ზღვის რეგიონში მძიმე დარტყმა მიაყენა არა მარტო შავი ზღვის, არამედ საერთოდ, ევროპისა და აზიის ქვეყნებს შორის ვაჭრობას. შავ ზღვაზე ოსმალთა გაბატონებამდე აქ გაცხოველებული ვაჭრობა წარმოებდა. მეჰმედ II-მ ბოსფორის სრუტით სარგებლობისათვის ბაჟი დააწესა. თანდათანობით უცხოელი ვაჭრებისათვის სრუტეებით სარგებლობა შეიზღუდა. უცხოეთის სავაჭრო გემებს სრუტეებით სარგებლობისათვის თურქეთის მთავრობისაგან უნდა მიეღო სპეციალური

ნებართვა. შემდგომ უცხოეთის სავაჭრო გემებს აუკრძალეს შავ ზღვაზე ნაოსნობა და თავიანთი საქონელი თურქულ გემებზე უნდა გადაეტვირთად.

მეჰმედ II ამით არ დაკმაყოფილდა და 1468 წელს გამოსცა ფირმანი, რომლის მიხედვითაც „გელიბოლუდან გემებით ჩამოსულმა ევროპელმა ვაჭრებმა უნდა გადაიხადონ ბაჟი საქონლის ღირებულების 4%-ი. სრუტეებიდან გასვლის შემდეგ, თუ ვაჭრები მოისურვებენ თავიანთი საქონლის თურქეთის სავაჭრო ცენტრებში გაყიდვას, მაშინ ვალდებული არიან ხელმეორედ გადაიხადონ ბაჟი“. ამავე დროს მეჰმედ II ბოსფორის სრუტით სარგებლობისათვის ბაჟი 1476 წლიდან 4%-დან გაიზარდა 5%-მდე.

ოსმალეთში დიდ ყურადღებას უთმობდნენ საფეიქრო წარმოების განვითარებას. მეჰმედ II-ის პოლიტიკა მიმართული იყო იქითკენ, რომ ნედლი (ხამი) აბრეშუმი, ჩამოტანილი აღმოსავლეთიდან, დამუშავებული ყოფილიყო თურქეთში და აქედან მზა პროდუქცია შეეტანათ ევროპის ქვეყნებში.

XV საუკუნის მეორე ნახევრიდან ქ. ბურსამ დაიკავა მნიშვნელოვანი ადგილი ევროპასა და აზიას შორის ვაჭრობაში და იგი გახდა ოსმალეთის საფეიქრო წარმოების მთავარი ცენტრი.

ოსმალეთში დიდი მოთხოვნა იყო ნედლ აბრეშუმზე. ამის გამო იქმნებოდა სხვადასხვა დაბრკოლებები თურქეთიდან ნედლი აბრეშუმის გატანისათვის. უცხოელ ვაჭრებს აიძულებდნენ თურქებისათვის მიეყიდათ აბრეშუმი შეღავათიან ფასებში. ამავე დროს ევროპელ ვაჭრებს, რმლებიც ირანიდან ბურსაში მიემგზავრებოდნენ ბაჟს ორჯერ ახდევინებდნენ: პირველად თოკატში მეორეს – ბურსაში.

მთავრობა ჰყიდიდა, გარკვეული ვადით, ცალკეულ პირებზე ბაჟის აკრეფის უფლებას. ამასთანავე, დროთა განმავლობაში, ზრდიდა ბაჟის აკრეფის ნებართვისათვის გადასახდელი თანხის ოდენობას. ასე, მაგალითად, ოსმალეთის მთავრობამ ბურსის ბაჟის აკრეფის ნებართვის გაყდვის შედეგად 1460 წელს მიიღო 180 000 ახჩა მოგება, 1492 წელს – 661 000 ახჩა, ხოლო 1492 წელს – 550 000 ახჩა.

ოსმალეთის იმპერიის ტერიტორიაზე აბრეშუმით ვაჭრობა სახელმწიფოს ხელში იყო. აღმოსავლეთიდან ჩამოტანილ აბრეშუმს ან სხვა საქონელს ათავსებდნენ სახელმწიფოს მიერ წინასწარ გამოყოფილ ადგილებში. თავისუფალი ვაჭრობა შეუძლებელი იყო. სავაჭრო ოპერაციები, გარიგებები სწარმოებდა სახელმწიფოს მიერ შედგენილი კომისიის დელალიების საშუალებით. ისინი შეაფასებდნენ აბრეშუმის ღირებულებას და ანაწილებდნენ მყიდველთა, პირველ რიგში თურქ ვაჭართა შორის. გაწეული სამახურისათვის ვაჭრებს ახდევინებდნენ სპეციალურ გადასახადს „დელალიეს“.

მართალია, ოსმალეთის ხელისუფლებამ შექმნა რიგი დაბრკოლებები აღმოსავლეთთან ვაჭრობაში, მაგრამ აღებ-მიცემის შედეგად ევროპელი ვაჭრები დიდ მოგებას ნახულობდნენ და ლევანტის ვაჭრობა არ შემცირებულა, არამედ გაიზარდა. მაგალითად, ქ. ბურსას საბაჟო შემოსავალი 1487 წლიდან 1582 წლამდე ოთხჯერ გაიზარდა.

XIV-XV საუკუნეებში ევროპაში ჩამოტანილი ნედლი აბრეშუმის დიდი ნაწილი მოდიოდა ვენეციელ ვაჭრებზე. ვენეციელებს იტალიაში ჩაჰქონდათ აღმოსავლეთში ნაყიდი აბრეშუმის მხოლოდ ნაწილი, ისინი მთელ ევროპაში ჰყიდნენ აღმოსავლურ საქონელს. ევროპის თითქმის ყველა საზღვაო ქალაქში გახსნილი იყო სავაჭრო ფაქტორიები. ვენეციელები სხვა იტალიელ ვაჭრებთან ერთად ამარაგებდნენ ევროპას სხვადასხვა საქონლით, ჩამოტანილს ჩინეთიდან, ინდოეთიდან და ახლო და შუა აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებიდან, აფრიკიდანაც კი.

XV საუკუნის შუა წლებიდან ვენეციის რესპუბლიკა ევროპაში იყო ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი საზღვაო სახელმწიფო. ვენეციის ფლოტი შედგებოდა 350 სხვადასხვა ტიპის სამხედრო და 600-700 სავაჭრო გემისაგან, რომლებზედაც მსახურობდა 30-40 ათასი მეზღვაური. ყოველწლიურად ვენეციიდან აღმოსავლეთსა ევროპაში გზავნიდნენ 6 საქარავნო გემს. ყოველი ქარავანი 2-4 გემისაგან შედგებოდა. მოგზაურობიდან დაბრუნების შემდეგ, ჩამოჰქონდათ 200 ათას დუკატზე მეტი ღირებულების საქონელი, რაც შეესატყვისებოდა 700 კგ. სუფთა ოქროს. ვენეციის რესპუბლიკის საქონლის წლიური ბრუნვა შეადგენდა 10 მილ. დუკატს, ხოლო მოგება – 2 მილ. დუკატს.

ამრიგად, XV საუკუნის მეორე ნახევრიდან, დაპყრობითი ომების შედეგად, ოსმალეთის ხელთ აღმოჩნდა მნიშვნელოვანი სავაჭრო ცენტრები და საქარავნო გზები. სულთნის მთავრობამ გარკვეული ნაბიჯები გადადგა თავისი კონტროლის დაწესების მიზნით და შექმნა გარკვეული ბარიერები ლევანტთან ვაჭრობაში.

ასეთ ვითარებაში ევროპელებმა დაიწყეს ალტერნატიული გზების ძიება აღმოსავლეთის ქვეყნებთან დასაკავშირებლად, რამაც ხელი შეუწყო და ბიძგი მისცა ახალ გეოგრაფიულ აღმოჩენებს.

თავი VI

ოსმალეთი XV საუკუნის მიწურულს და XVI საუკუნის დამდეგს

1. ბაიაზიდ II-ის გამეფება, უფლისწულ ჯემის ბრძოლა ტახტისათვის

მეჰმედ II-ის სიკვდილის შემდეგ უფლისწულებს შორის გაიმართა ბრძოლა ტახტისათვის. ბაიაზიდ II-ის (1481-1512) უმცროსი ძმა შეეცადა ხელთ ეგდო ხელისუფლება. იტალიური წყაროს ცნობით, უფლისწულ ჯემის დავალებით, მეჰმედ II-ის პირადმა ექიმმა მოწამლა და სიცოცხლეს გამოასალმა სულთანი. ტახტის მემკვიდრის ბაიაზიდის მომხრეებმა სასწრაფოდ მას მაცნე გაუგზავნეს (იგი ამ დროს ამასიის გამგებელი იყო) და მამის სიკვდილი აცნობეს. ბაიაზიდი დაუყოვნებლივ ჩავიდა სტამბოლში და 19 მაისს ტახტი დაიკავა. უფლისწულ ჯემს მხარს უჭერდა დიდი ვეზირი ყარამანლუ. მან სულთნის გარდაცვალებისთანავე საიდუმლოდ ჯემთან (იგი კონიის გამგებელი იყო) მაცნე გაგზავნა, მაგრამ მაცნე გზაში დააკავეს და ჯემმა დაგვიანებით შეიტყო სულთნის სიკვდილი. ამასობაში ჯემის მომხრე დიდი ვეზირი გადააყენეს და სიკვდილით დასაჯეს. უფლისწულმა ჯემმა გადაწყვიტა ძალით ტახტიდან ჩამოეგდო ბაიაზიდი და თვითონ გამეფებულიყო. მან სასწრაფოდ შეკრიბა ოთხათასიანი ლაშქარი, ბურსისაკენ გაემართა და, მცირე ბრძოლის შედეგად, 28 მაისს ბურსა აიღო. აქ მან თავი გამოაცხადა სულთნად და თავისი სახელით ფული მოჭრა: „ჯემი ძე სულთან მეჰმედ ხანისა“.

20 ივნისს იენიშეჰირთან ბაიაზიდ II-სა და ჯემს შორის გაიმართა ბრძოლა, ჯემი დამარცხდა და ეგვიპტეში გაიქცა. ამ დროს ეგვიპტესა და ოსმალეთს შორის დაძაბული ურთიერთობა იყო. მამლუქთა სულთანმა არა მარტო შეიფარა ლტოლვილი ჯემი, არამედ დახმარება აღმოუჩინა მას ბაიაზიდის წინააღმდეგ ბრძოლაში.

XIII-XV საუკუნეებში ეგვიპტის მამლუქთა სასულთნო ახლო აღმოსავლეთის ერთ-ერთი ძლიერი სახელმწიფო იყო. მის შემადგენლობაში, საკუთრივ ეგვიპტის გარდა, შედიოდა სუდანი, სირია, პალესტინა, არაბეთის ნახევარკუნძულის ნაწილი, წმინდა ქალაქებით მედინითა და მექით. მის სამფლობელოებზე გადიოდა მნიშვნელოვანი სავაჭრო-საქარავნო გზები, რომლითაც ევროპა აღმოსავლეთის ქვეყნებს უკავშირდებოდა. საშუამავლო-სატრანზიტო ვაჭრობის შედეგად ეგვიპტეს დიდი შემოსავალი ჰქონდა. XII საუკუნის ბოლოდან ეგვიპტის გამგებლებს მუსლიმურ სამყაროში წამყვანი ადგილი ეკავათ. მათი ტიტული „ისლამის სულთანი“ შერწყმული იყო „იმამსა“ და „ხალიფასთან“. ისინი ხელმძღვანელობდნენ ჰაჯს, მფარველობდნენ წმინდა ქალაქებს. მათ ჰქონდათ განსაკუთრებული ტიტულიც „ხადიმ ალ-ჰარამეინ“, ე. ი. ორივე წმინდა ქალაქის მსახური. აღსანიშნავია ისიც, რომ ბაღდადის სახალიფოს დაცემის შემდეგ ეგვიპტეს თავი შეაფარეს აბასელთა დინასტიის შთამომავლებმა. ერთი სიტყვით, ეგვიპტის სულთნებს ისლამის სამყაროში წამყვანი ადგილი ეკავათ.

ხანგრძლივი დროის განმავლობაში ეგვიპტესა და ოსმალეთს შორის არ იყო არც პოლიტიკურ-იდეოლოგიური და არც სავაჭრო-ეკონომიკური უთანხმოებანი. კონსტანტინოპოლის დაცემამდე ოსმალები ცნობდნენ მამლუქთა რელიგიურ-პოლიტიკურ პრიორიტეტს, ვითარცა მსოფლიო ისლამის ხელმძღვანელებისა და თვითონ მეორეხარისხოვანი როლით კმაყოფილდებოდნენ „სასაზღვრო ბეგებისა“ და საერთო საზღვრების დამცველებისა. თავის მხრივ, მამლუქებიც მათ უყურებდნენ როგორც საერთო

საქმის მონაწილეთ. ოსმალთა მიერ კონსტანტინოპოლის აღება კაიროში გაგებულ იქნა როგორც მთელი მუსლიმური ხალხების საერთო გამარჯვება. მაგრამ სწორედ ამ ფაქტმა – კონსტანტინოპოლის აღებამ – ძირფესვიანად შეცვალა მდგომარეობა. კაიროს გამგებლები მიხვდნენ, რომ მათ მეზობლად შეიქმნა ძლიერი მუსლიმური სახელმწიფო, რომელიც დასახული მიზნის მისაღწევად შეუდრეკელად მიიწევდა წინ და არავის ზოგავდა. მალე მამლუქებისათვის ნათელი გახდა, რომ ოსმალები ცდილობდნენ, მათი იმპერიის ახალი დედაქალაქი სტამბოლი გამხდარიყო მსოფლიო ისლამის წამყვანი ცენტრი. თუ აქამდე ოსმალთა სულთნები ატარებდნენ თავმდაბალ ტიტულს „დაზი“ (სჯულისათვის მებრძოლი) და მიმოწერაში მამლუქთა სულთნები მათ უწოდებდნენ „ემირს“ ან „ხონთქარს“, ახლა მეჰმედ II-მ, პირველმა ოსმალთა საგვარეულოდან, მიიღო „სულთნის“ ტიტული და მოისურვა გათანაბრებოდა ეგვიპტის სულთანს. ეს კი იმის მანიშნებელი იყო, რომ მეჰმედმა აიღო ახალი პოლიტიკური კურსი და დაისახა ამოცანა მსოფლიო ბატონობისა. იგი თავის თავს მიიჩნევდა რომის მემკვიდრედ.

ამიერიდან ურთიერთობა მამლუქებსა და ოსმალებს შორის მკვეთრად გაუარესდა და დაიძაბა. ბრძოლა მუსლიმურ სამყაროში პირველობისათვის იყო ძირითადი მიზეზი მათ შორის უკმაყოფილების ჩამოვარდნისა, რომლის პირველ გამოვლენად შეიძლება მივიჩნიოთ 1463 წლის დიპლომატიური კონფლიქტი, როდესაც ოსმალეთის ელჩმა არ მოისურვა პირქვე დამხობოდა ეგვიპტის მბრძანებლის წინაშე. ოსმალეთ-ეგვიპტის წინააღმდეგობა გამწვავდა მას შემდეგ, რაც მეჰმედ II ანატოლიის დაპყრობას შეუდგა. XV საუკუნის 70-იან წლებში ყარამანიის საამიროს ანექსიამ დიდად შეაშფოთა მამლუქთა სულთანი. ორივე დედაქალაქი – კაიროცა და სტამბოლიც სიამოვნებით აძლევენ თავშესაფარს მოწინააღმდეგე ქვეყნებიდან პოლიტიკურ ლტოლვილებს.

1482 წელს, ეგვიპტის სულთნის დახმარებით, ჯემი თავისი ლაშქრით ანატოლიაში შეიჭრა, მაგრამ კონიასთან ბრძოლაში დამარცხდა და კუნძულ როდოსს შეაფარა თავი.

ეგვიპტე სარგებლობს ოსმალეთში შექმნილი რთული მდგომარეობით და 1484 წელს იკავებს რამაზანოღლუს ბეილიქს ანატოლიაში; 1484 წელს ეგვიპტის ელჩმა მოითხოვა, რომ ბაიაზიდ II-ს ეცნო ანატოლია-სირიის მომიჯნავე მიწები მამლუქების გავლენის სფეროდ, რაც გახდა ეგვიპტე-ოსმალეთის ომის მიზეზი. 1485-1491 წლებში მიმდინარეობდა ეგვიპტე-ოსმალეთის ომი. ოსმალეთმა მოაწყო ლაშქრობა ქალაქების ალექსანდრეპოლისა და ალეპოს დაკავების მიზნით, მაგრამ ეგვიპტეს მხარი დაუჭირეს ვენეციამ და საფრანგეთმა, რომელთაც ეშინოდათ სირიასა და ეგვიპტეში მამლუქების მიერ ბოძებული სავაჭრო პრივილეგიების დაკარგვისა. ამის გამო ოსმალეთმა ვერ შეძლო რამაზანოღლუსა და ზულყადარის სამფლობელოების დამორჩილება. ოსმალეთმა არათუ არ დაუშვა ყარამანიისა და სხვა საემიროების აღდგენა ანატოლიაში, არამედ 1491 წლის ზავით, ფაქტობრივად, აღდგენილ იქნა ომამდელი მდგომარეობა.

როდოსზე მყოფი ჯემი გულხელდაკრეფილი არ იჯდა. იგი, როდოსელი რაინდების რჩევით, საფრანგეთში გაემგზავრა და თხოვა დახმარება საფრანგეთის მეფეს. 1489 წელს ჯემი საფრანგეთიდან იტალიაში ჩავიდა, მიაღწია რომს. ამ მოგზაურობის დროს ჯემი დახმარებას თხოვდა ხსენებული ქვეყნების გამგებლებს ბაიაზიდ II-ის წინააღმდეგ ბრძოლისათვის.

1495 წელს საფრანგეთის მეფემ კარლოს VIII-მ მოაწყო ლაშქრობა იტალიაში და დაიკავა რომი. აქ მან პალეოლოგების სახლის შთამომავლის ანდრეასაგან მიიღო ბიზანტიის იმპერატორის ტიტული. ეს აქტი მიმართული იყო ოსმალეთის წინააღმ-

დეგ, რადგან ბაიაზიდ II თავის თავს აცხადებდა „აზიისა და ევროპის იმპერატორად“. საფრანგეთის მეფეს სურდა იტალიაში ლაშქრობისათვის მიეცა ანტიოსმალური ელფერი და რომის აღების შემდეგ მან მოთხოვა რომის პაპს, გადაეცა მისთვის ჯემი. რომის პაპი და ნეაპოლის მეფე დიდად იყვნენ შეშფოთებული კარლოს VIII-ის წარმატებებით იტალიაში. გაერთიანდნენ საფრანგეთის მეფის წინააღმდეგ და დახმარება სთხოვეს ბაიაზიდ II-ს. ამან საბოლოოდ გადაწყვიტა ჯემის ბედიღბალი. რომის პაპმა ალექსანდრე VI-მ ბაიაზიდ II-ს ელჩი გაუგზავნა და შეუთვალა: ან ყოველწლიურად ჯემის შენახვისათვის მას უნდა გადაეხადა 40 ათასი ოქროს დუკატი, ანდა ერთდროულად – 300 ათასი დუკატი, რის სანაცვლოდაც სულთანს მიჰგვრიდნენ მეამბოხე უფლისწულის ცხედარს. სულთანმა მეორე წინადადება მიიღო. 1495 წლის 25 თებერვალს, რომის პაპის ბრძანებით, ჯემი მოწამლეს. 1499 წელს ჯემის ცხედარი ბურსაში ჩაასვენეს და სპეციალურად აგებულ მეჩეთში დაკრძალეს.

დინასტიურმა ბრძოლამ და შიდაპოლიტიკური მდგომარეობის გაუარესებამ შეასუსტა ოსმალთა დაპყობითი ომები ევროპასა და აზიაში. ამის გამო ბაიაზიდ II-მ „მშვიდობისმოყვარე“ სულთნის სახელი დაიმსახურა. მაკიაველმა მას „უწყინარი სულთანი“ უწოდა, რომლის მმართველობა ევროპისათვის „სანატრელი ხანა“ იყო. ამ პერიოდში ოსმალთა დაპყრობითი ომების მასშტაბები, წინარე ხანასთან შედარებით, უფრო შეზღუდული იყო. 1483 წელს ოსმალებმა საბოლოოდ დაიმორჩილეს ჰერცოგოვინა, 1484 წლის ზაფხულში დაიპყრეს ქალაქები კილია და აკერმანი (მონკასტრო) შავი ზღვის ჩრდილო-დასავლეთ სანაპიროზე. ამ დროისათვის მთელი შავი ზღვის სანაპირო რეგიონი, საქართველოს სანაპიროს გამოკლებით, ოსმალთა ხელთ იმყოფებოდა და შავი ზღვა გადაიქცა „ოსმალეთის ტბად“.

XV საუკუნის 90-იან წლებში უნგრეთი, ავსტრია, პოლონეთი და ევროპის სხვა ქვეყნები განუწყვეტლივ განიცდიდნენ ოსმალთა თავდასხმებს. ისინი ანადგურებდნენ და ცეცხლს უკიდებდნენ ქალაქებსა და სოფლებს, ხოლო მოსახლეობას მონებად ჰყიდდნენ.

ბაიაზიდის გააქტიურებას ისტორიკოსები ხსნიან ჯემის მოწამვლით (1495), რამაც სულთანს საშუალება მისცა გაეძლიერებინა შეტევა ევროპის ქვეყნების წინააღმდეგ.

1499 წელს ბაიაზიდ II-მ ომი გააჩაღა ვენეციის წინააღმდეგ. ამ ომში ოსმალეთმა მოიპოვა პირველი დიდი საზღვაო გამარჯვება ვენეციის ფლოტზე, ლეპანტოსთან - კორინთის ყურეში. მიუხედავად იმისა, რომ ვენეციას მხარი დაუჭირა უნგრეთმა, ხოლო საფრანგეთისა და ესპანეთის ხომალდები იბრძოდნენ ვენეციის მხარეზე, ვენეციამ მაინც ვერ სძლია ოსმალეთის სახმელეთო და საზღვაო ძალებს. მაგრამ ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ მიუხედავად მიღწეული წარმატებისა, ამ ომმა ოსმალეთს სასურველი შედეგი არ მოუტანა. 1502 წელს მათ შორის დაიდო ზავი, რომლითაც ოსმალეთმა ვერ მიიღო ტერიტორიული თუ სხვა სახის უპირატესობანი.

2. ურთიერთობების დამყარება სხვადასხვა სახელმწიფოებთან, პირველი დიპლომატიური კონტაქტები რუსეთთან

ოსმალეთის სახელმწიფოს სამხედრო პოტენციალის ზრდა აიძულებდა ევროპის სახელმწიფოებს მასთან დაემყარებინათ მშვიდობიანი ურთიერთობა. ამ მხრივ პირველობა გენუისა და ვენეციის რესპუბლიკებს ეკუთვნოდა. ეს გამოწვეული იყო იმით, რომ მათ ჰქონდათ დიდი სავაჭრო ინტერესები ოსმალეთის იმპერიაში. კონსტანტინოპოლის დაპყრობის შემდეგ ოსმალეთთან დადებული ხელსაყრელი ხელშეკრულების

ძალით მათ ვაჭრებს მიეცათ შეღავათები ოსმალეთის ტერიტორიაზე ვაჭრობის საქმეში. ოსმალეთს ევროპაში ურთიერთობა ჰქონდა უნგრეთთან, ავსტრიასთან, პოლონეთთან, იტალიის სახელმწიფოებთან და აგრეთვე რუსეთთან, ხოლო აღმოსავლეთში ირანსა და მამლუქთა ეგვიპტესთან. თავის მეზობელ სახელმწიფოებთან ოსმალეთი მტრულ ურთიერთობაში იმყოფებოდა, ხშირად აწყობდა მათზე თავდასხმებს და დიდ ზარალს აყენებდა. იმ სახელმწიფოებსაც კი, რომლებიც ოსმალეთისაგან შორს მდებარეობდნენ, ეშინოდათ მისი და ცდილობდნენ მასთან კარგი ურთიერთობა დაემყარებინათ. ამ მიზნით სტამბოლში ხშირად ჩადიოდნენ სხვადასხვა სახელმწიფოების ელჩები. თავის მხრივ, სულთნის მთავრობა ცდილობდა გამოეყენებინა ევროპის სახელმწიფოებს შორის არსებული წინააღმდეგობა თავისი ინტერესების სასარგებლოდ. ოსმალეთის მთავრობა კარგად იყო ინფორმირებული არა მარტო თავისი მეზობელი ქვეყნების, არამედ შორეული სახელმწიფოების მდგომარეობის შესახებ.


სასაზღვრო ქვეყნის გამგებლებს ევალებოდათ მიეწოდებინათ ინფორმაცია მეზობელი ქვეყნების შესახებ. ამავე დროს ოსმალეთს ჰყავდა ჯაშუშები საზღვარგარეთის თითქმის ყველა ქვეყანაში. ოსმალეთს ინფორმაციას აწვდიდნენ იქ მოქმედი მისი აგენტები.

სულთნის მთავრობა სლავურ სახელმწიფოებთან ურთიერთობისას იყენებდა სერბულ ენას, ზოგჯერ კი იმ სახელმწიფოს ენას, ვისთანაც ჰქონდა ურთიერთობა, ხოლო დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებთან – ბერძნულს, აზიის სახელმწიფოებთან – ოსმალურსა და სპარსულს.

ყირიმისა და მდინარე დონის შესართავის დაპყრობის შემდეგ ოსმალეთი აღმოჩნდა უშუალოდ რუსეთის მეზობლად. აწარმოებდა რა ომებს დასავლეთსა და აღმოსავლეთში, ოსმალეთი მიისწრაფოდა დაემყარებინა კეთილმეზობლური ურთიერთობა რუსეთთან.

პირველი დიპლომატიური კონტაქტები ოსმალეთსა და მოსკოვის სამეფოს შორის იწყება ჯერ კიდევ მეჰმედ ფათიჰის დროს, მაგრამ XV საუკუნის 90-იან წლებამდე ეს ურთიერთობა წარმოებდა ყირიმის ხანის შუამავლობით. XV საუკუნის დამლევს, ოსმალეთის ინიციატივით, დამყარდა დიპლომატიური ურთიერთობა რუსეთთან. ოსმალეთის სულთნები დაინტერესებულნი იყვნენ კარგი ურთიერთობა ჰქონოდათ მოსკოვის სახელმწიფოსთან, რადგან კონსტანტინოპოლის დაპყრობის შემდეგ ევროპის სახელმწიფოები ცდილობდნენ რუსეთი ჩაებათ ანტიოსმალურ კოალიციებში. თავის მხრივ, მოსკოვის სახელმწიფო დაინტერესებული იყო მშვიდობიანი ურთიერთობა ჰქონოდა ოსმალეთის სახელმწიფოსთან და მის ვასალ ყირიმის ხანთან. რუსეთი მიზნად ისახავდა და თავის მთავარ ამოცანად მიიჩნევდა რუსული მიწების დაბრუნებას, რომლებიც მიიტაცა პოლონეთ-ლიტვის სახელმწიფომ. ცხადია, უსაფრთხოებას სამხრეთ საზღვარზე მოსკოვისათვის მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. გარდა ამისა, კარგი ურთიერთობა საჭირო იყო ყირიმსა და შავი ზღვის რეგიონის ქვეყნებთან შეუფერხებელი ვაჭრობისათვის. ამის მიუხედავად, ოსმალები და ყირიმელები ავიწროებდნენ რუს ვაჭრებს და ამიტომ ივანე III-მ აუკრძალა მათ ჩასულიყვნენ აზოვში, კაფაში და სხვა ქალაქებში.

უნგრეთის მეფესთან მატიაშთან ვიზიტის შემდეგ, სამშობლოში მიმავალი რუსეთის ელჩი ფედორ კურიცინი ოსმალებმა ბელგრადში დააკავეს. ამ ელჩის განთავისუფლებისათვის შუამავლობა იკისრეს უნგრეთის მეფემ და ყირიმის ხანმა. კურიცინმა ივანე III-ს მოახსენა, რომ ყირიმის ხანის ინფორმაციით ოსმალეთის სულთანს სურვილი აქვს „მეგობრობა და ძმობა“ ჰქონდეს ივანე III-სთან და რუსი ვაჭრები იხილოს თავის სამფლობელოებში, კერძოდ, კაფასა და აზოვში. ივანე III-მ




ყავახანა

წერილი გაუგზავნა ყირიმის ხანს მენგლი გირეის და აცნობა, რომ სურვილი აქვს მეგობრული ურთიერთობა დაამყაროს სულთანთან. ივანე III-მ მიიღო პასუხი: „სულთანი არ იქნება წინააღმდეგი ასეთი ურთიერთობის დამყარებისა“.

მოსკოვის სახელმწიფოსა და ოსმალეთს შორის უშუალო დიპლომატიური კავშირის დამყარების თარიღად ითვლება 1492 წელი, როდესაც ივანე III-მ, ყირიმის ხანის მეშვეობით, სიგელი გაუგზავნა ოსმალეთის სულთან ბაიაზიდ II-ს. მასში გამოთქმული იყო უკმაყოფილება იმის გამო, რომ აზოვის ფაშა ავიწროებდა რუს ვაჭრებს და აიძულებდა მათ ჩამოტანილი საქონელი გაეყიდათ ნახევარ ფასად. ასეთ პირობებში, ნათქვამია სიგელში, მოსკოვი აღარ გაგზავნის თავის ვაჭრებს ოსმალეთის სულთნის სამფლობელოებში.

ამის საპასუხოდ ბაიაზიდ II-მ 1493 წელს ივანე III-სთან გაგზავნა ელჩობა, მაგრამ მან მოსკოვამდე ვერ მიაღწია, რადგან დაკავებულ იქნა ლიტვის მთავრის მიერ, რომელიც არ იყო დაინტერესებული რუსეთ-ოსმალეთის დაახლოებით.

პირველი კონტაქტი მოსკოვის სახელმწიფოსთან დამყარდა 1497 წელს მიხეილ პლეშჩევის სტამბოლში ელჩობის შედეგად. რუსეთის დიპლომატიის წინაშე დასმული იყო ამოცანა მიეღწიათ იმისათვის, რომ რუს ვაჭრებს მოეპოვებინათ ოსმალეთის ტერიტორიაზე, კერძოდ, აზოვსა და კაფაში თავისუფლად და შეუფერხებლად ვაჭრობის უფლება. პლეშჩევი ჩავიდა სტამბოლში, მას ამაყად ეჭირა თავი და უარი თქვა ვეზირის მიერ მის საპატივსაცემოდ გამართულ სადილზე, ტრადიციულ საჩუქრებზე (ხალათსა და საელჩოს ხარჯების ფულზე), რამაც სულთნის უკმაყოფილება გამოიწვია. მიუხედავად ამისა, ბაიაზიდ II-მ ორი წერილი გაუგზავნა ივანე III-ს, აცნობა თავისი სურვილი მასთან მეგობრული ურთიერთობის დამყარებისა და ელჩობის გაცვლისა. აგრეთვე



შვიდგუმბათიანი ციხე

სულთანი იძლეოდა დაპირებას, რომ შეწყდებოდა თავდასხმები ოსმალეთში ჩასულ რუს ვაჭრებზე.

1499 წელს სტამბოლში გაიგზავნა მეორე ელჩობა ალექსი გოლოხვასტოვის მეთაურობით, რომლის მთავარი მიზანი იყო რუსი ვაჭრებისათვის ხელსაყრელი პირობების მოპოვება. ერთი წლის შემდეგ გოლოხვასტოვი სამშობლოში დაბრუნდა. მან ჩამოიტანა ბაიაზად II-ის წერილი რუსეთის მეფისათვის გადასაცემად, რომელშიც სულთანი კვლავ იმეორებდა სურვილს, რომ მათ შორის დამყარებულიყო მშვიდობიანი და მეგობრული ურთიერთობა. ამავე დროს ჰპირდებოდა, რომ რუს ვაჭრებს თურქეთის ტერიტორიაზე მიანიჭებდა თავისუფლად ვაჭრობის უფლებას.

ამრიგად, ოსმალეთ-რუსეთის ურთიერთობის ჩამოყალიბების პერიოდში ორივე მხარე დაინტერესებული იყო ერთმანეთთან მეგობრული ურთიერთობის დამყარებით.

3. ბაიაზიდ II და სეფიანთა ირანი

XVI საუკუნის დამდეგს ირანში გარკვეული პოლიტიკური ცვლილება მოხდა. 1501 წელს შეიქმნა ირანის სეფიანთა სახელმწიფო. მისი დამაარსებელი იყო ისმაილ I (1501-1524), არდებილის შეიხის სეფი ედ-დინის (1252-1334) შთამომავალი. არდებილის ფეოდალური სამფლობელოს სათავეში შეიხები იდგნენ, რომლებიც თავიანთ ხელში აერთიანებდნენ როგორც საერო, ისე სასულიერო ხელისუფლებას. არდებილის ფეოდალური სამთავროს გაძლიერება XV საუკუნის მეორე ნახევრიდან დაიწყო. XV საუკუნის მიწურულს, შიდაფეოდალური ბრძოლის შედეგად, აყ-ყოინლუს სახელმ-

წიფო ორად გაიყო უზუნ ჰასანის შვილებს შორის. მიუხედავად ამისა, უფლისწულებს შორის ბრძოლა არ ცხრებოდა. ამან გაუადვილა ისმაილს აყ-ყოინლუს სახელმწიფოს განადგურება. ისმაილმა ბოლო მოუღო ანარქიას, თურქმანი უფლისწულები ამოხოცა და 1502 წელს თავი შაჰინშაჰად გამოაცხადა. სეფიანთა სახელმწიფოს შექმნაში აქტიურად მონაწილეობდა შვიდი ყიზილბაშური ტომი. ამიტომ სეფიანთა სახელმწიფოს ყიზილბაშების (წითელთავიანების) სახელმწიფოსაც უწოდებდნენ, რადგან ისმაილის მომხრე თურქმანული ტომები წითელზოლიან თავსაბურავებს ატარებდნენ. ყიზილბაშები შიიტები იყვნენ. შაჰ ისმაილმა შიიტობა სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადა. ყიზილბაშებისა და სხვა თურქული ტომების გავლენა ირანის სახელმწიფოს პოლიტიკურ ცხოვრებაზე პირველ ხანებში მეტად ძლიერი იყო. შაჰის ხელისუფლების დასაყრდენს ყიზილბაშთა ეს ტომები წარმოადგენდა. ხოლო საკუთრივ ირანელები კი, ფაქტობრივად, აღარ მონაწილეობდნენ ქვეყნის მართვა-გამგებლობაში.

ოსმალეთი თავდაპირველად მხარს უჭერდა შიიტ ყიზილბაშებს მხოლოდ იმის გამო, რომ ისინი თეთრბატკნიან თურქმანთა დამამარცხებელ ძალად მიაჩნდა.

1504 წელს ბაიაზიდ II-მ გაგზავნა ელჩობა შაჰ ისმაილთან, გამარჯვება მიულოცა აყ-ყოინლუს წინააღმდეგ ბრძოლაში და გამოთქვა სურვილი მასთან დაემყარებინა მეგობრული ურთიერთობა. მაგრამ ბაიაზიდის ამ ნაბიჯმა ვერ შეაფერხა ყიზილბაშების წინსვლა დასავლეთის მიმართულებით. არდებილის შეიხების მურიდები წარმოადგენდნენ იდეოლოგიურ დასაყრდენს – ორთოდოქსალური ისლამის (სუნიტობის) წინააღმდეგ ბრძოლაში. მათ დამყარებული ჰქონდათ მჭიდრო ურთიერთობა მცირე აზიაში ოსმალეთის ტერიტორიაზე მოსახლე ყიზილბაშებთან. მათმა რელიგიურმა პროპაგანდამ ხელი შეუწყო ყიზილბაშთა წარმატებებს დასავლეთის მიმართულებით. 1507 წელს ყიზილბაშებმა ხელთ იგდეს სომხეთი, ქურთისტანი, დიარბექირი, 1508 წელს დაიკავეს ბაღდადი და არაბეთის ერაყი. ამ ომების დროს ხორციელდებოდა მასობრივი რეპრესიები სუნიტებისა და ქრისტიანების წინააღმდეგ. ანადგურებდნენ და წვავდნენ მათ წმინდა სალოცავებს. მრავალი სუნიტური მეჩეთი გადაკეთებულ იქნა შიიტურად. სიკვდილით დასაჯეს მრავალი გამოჩენილი სუნიტი ულემი. ძალით ნერგავდნენ შიიზმს. ბაღდადსა და სხვა ქალაქებში ასახლებდნენ სპარსელებს. შაჰ ისმაილის ბრძანებით, დაიწყო მეშვიდე შიიტი იმამის მუსა ალ-ქაზემის მავზოლეუმის მშენებლობა, რომელიც ითვლებოდა სეფიანთა წინაპრად. ყიზილბაშებს ურიგებდნენ საუკეთესო მიწებსა და საძოვრებს. მათი ემირები გახდნენ ქვეყნის ბატონ-პატრონები. ირანის შაჰის ამგვარმა პოლიტიკამ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია ოსმალეთში. ამას დაემატა ის, რომ ბაიაზიდის სულთნობის ბოლო წლებში მცირე აზიაში დაიწყო გლეხებისა და მომთაბარე ტომების აჯანყება შიიზმისა და შაჰ ისმაილის მხარდაჭერის ლოზუნგით. აჯანყებას სათავეში ჩაუდგა ყიზილბაში ჰასან-ოღლუ, თექელუს ტომიდან, რომელმაც თავის თავს უწოდა შაჰ-ყულუ („შაჰის მონა“).

ბაიაზიდ II-მ აჯანყებულთა წინააღმდეგ საბრძოლველად გაგზავნა დიდი ვეზირი მურად ფაშა, რომელიც მათთან ბრძოლაში დაიღუპა. ამან ბაიაზიდის ავტორიტეტი ძალზე შეარყია.

ოსმალეთის სახელმწიფო მოღვაწეები ბაიაზიდ II-ს ბრალს სდებდნენ იმაში, რომ მან ყიზილბაშები წააქეზა, ხოლო აყ-ყოინლუს კი დახმარება არ აღმოუჩინა. ბაიაზიდის ვარაუდი, რომ ყიზილბაშები და აყ-ყოინლუს თურქმანები ერთმანეთთან ბრძოლაში დასუსტდებოდნენ და ამით ოსმალეთი ისარგებლებდა, არ გამართლდა. აღმოსავლეთში სეფიანთა ირანი ძლიერ სახელმწიფოდ იქცა. ამის გამო ბაიაზიდის მიმართ უკმაყოფილება კიდევ უფრო გაძლიერდა და ეს იყო მისი ტახტიდან ჩამოგდების ერთ-ერთი მიზეზი.

4. უფლისწულ სელიმის ბრძოლა ტახტისათვის

უფლისწული სელიმი ტრაპიზონის გამგებლობის დროს აქტიურ საქმიანობას ეწეოდა და ამზადებდა ნიადაგს ტახტის ხელში ჩაგდების მიზნით. მან იქ ყოფნისას მოაწყო რამდენიმე მარბიელი ლაშქრობა მეზობელი ქვეყნების წინააღმდეგ. ასე, მაგალითად, 1509 წელს მან ილაშქრა დასავლეთ საქართველოში, დაარბია, გაძარცვა ჭუთაისი და გელათი. მისმა ასეთმა პოლიტიკამ იენიჩარების მხრიდან მოწონება დაიმსახურა.

1510 წლის დამდეგისათვის უფლისწულმა სელიმმა გადაწყვიტა, რომ დრო მეტად ხელსაყრელია და დაიწყო ბრძოლა ტახტის ხელში ჩასაგდებად. ტახტი უფროს ძმას აჰმედს ეკუთვნოდა. მოხუცი ბაიაზიდი მის კანდიდატურას უჭერდა მხარს და იგი ამასიის გამგებლად დანიშნა, რომელიც სტამბოლთან ახლოს მდებარეობდა, ხოლო სელიმი – ტრაპიზონისა. ეს ქალაქი კი ძალზე დაშორებული იყო დედაქალაქიდან. სულთნის სიკვდილის შემთხვევაში სელიმი ვერ დაასწრებდა აჰმედს ტახტის დაკავებას. ამის გამო სელიმი დაჟინებით მოითხოვდა ბაიაზიდისაგან დაენიშნა იგი რუმელიის (ევროპული ნაწილი) რომელიმე პროვინციის გამგებლად, რაზედაც სულთანი არ თანხმდებოდა. კიდევ მეტი, აჰმედის რჩევით ბაიაზიდმა სელიმის შვილი სულეიმანი (შემდგომ სულეიმან I) დანიშნა კაფის (ყირიმში) სანჯაყბეგად და ჩამოაშორა დედაქალაქს.

1510 წელს სელიმი შეუდგა თავისი გეგმის განხორციელებას. სელიმს იმედი ჰქონდა, რომ ამ საქმეში მას დახმარებას აღმოუჩენდნენ ყირიმის ხანი და ბაიაზიდის პოლიტიკით უკმაყოფილო იენიჩარები. 1510 წლის გაზაფხულზე სელიმი, თავისი შვილის მონახულების საბაბით, კაფაში ჩავიდა. 1510 წლის დამლევს ბაიაზიდ II-მ ყირიმის ხანს გაუგზავნა წერილი, რომელშიც თხოვდა მას ეცნობებინა სელიმისათვის, რომ დაუყოვნებლივ დაბრუნებულიყო ტრაპიზონში. სელიმმა დაბრუნებაზე კატეგორიული უარი განაცხადა.



სელიმ I

1511 წელს სელიმი ლაშქრით ყირიმიდან რუმელიისაკენ გაემართა. მისი ჯარის ძირითადი ნაწილი ყირიმის ხანის მებრძოლებისაგან შედგებოდა. მაგრამ სელიმმა ვერ მიაღწია წარმატებას და იძულებული გახდა უკან დაბრუნებულიყო. ყირიმის ხანი ცდილობდა ბაიაზიდის შეცდომაში შეყვანას, რაც მეტად სასარგებლო იყო სელიმისათვის და არწმუნებდა მოხუც სულთანს, რომ სელიმის ჩასვლა რუმელიაში გამოწვეული იყო შიშით, რომ აჰმედს არ დაეკავებინა მთელი ანატოლია. 1512 წლის იანვარში ბაიაზიდი დათანხმდა, რომ სელიმს დაეკავებინა რუმელიის რომელიმე პროვინციის გამგებლობა. სელიმი 3 ათასიანი ლაშქრით რუმელიისაკენ დაიძრა. სტამბოლში იენიჩარებმა აჯანყება დაიწყეს. რუმელიიდან სელიმი დედაქალაქისაკენ გაემართა. 1512 წლის 25 აპრილს, იენიჩარების დახმარებით, სელიმმა ტახტიდან ჩამოაგდო ბაიაზიდ II და ხელთ იგდო ძალაუფლება. მან თავისი შვილი სულეიმანი კაფიდან სასწრაფოდ

სტამბოლში გამოიძახა და ჩააბარა სახელმწიფო საქმეები. თვითონ კი, ყირიმის ხანის დახმარებით, აჰმედის წინააღმდეგ საბრძოლველად გაემართა. აჰმედი დამარცხდა და ბრძოლაში დაიღუპა. სელიმის ბრძანებით, დახოცეს მისი სამი ძმა და ათი ძმისშვილი. ბაიაზიდი, რომელიც დედაქალაქიდან პროვინციაში მიემგზავრებოდა, გზაში მოწამლეს და სიცოცხლეს გამოასალმეს. ყოველივე ამის გამო სელიმ I-ს უწოდეს "მრისხანე" (იავუზი).

5. ოსმალეთ-ირანის ომის დაწყება

სელიმ I-ის (1512-1520) დროს განსაკუთრებით ძლიერდება ოსმალეთის შეტევა სეფიანთა ირანის, ამიერკავკასიისა და არაბული ქვეყნების წინააღმდეგ.

ამ დროიდან იწყება ოსმალეთსა და სეფიანთა ირანს შორის ხანგრძლივი ბრძოლა ახლო აღმოსავლეთში ბატონობისათვის. ოსმალეთი, ისევე როგორც ირანი, დაჟინებით ცდილობდა ამ ქვეყნებში გაბატონებას. ოსმალეთი განსაკუთრებით დაინტერესებული იყო ამიერკავკასიის მდიდარი ქვეყნების დაპყრობით და იმ სავაჭრო-სატრანზიტო გზების ხელში ჩაგდებით, რომლებიც ამ რეგიონზე გადიოდა. ოსმალეთის ამ მისწრაფებას, თავის მხრივ, წინ ეღობებოდა ირანი, რომელიც აგრეთვე ცდილობდა ამ ქვეყნებში გაბატონებას.

სელიმი ტახტზე ასვლისთანავე შეუდგა ირანის წინააღმდეგ ომის სამზადისს. ირანთან ომის დაწყებამდე სელიმ I-მა მთელი რიგი სამხედრო-პოლიტიკური ღონისძიებანი განახორციელა. უპირველეს ყოვლისა, მან ზავი და სამშვიდობო ხელშეკრულებები დადო ევროპის სახელმწიფოებთან: რუსეთთან, უნგრეთთან, მოლდავეთსა და ვალახეთთან. ამგვარად, ევროპის ზოგიერთ ქვეყანასთან დროებით შეწყვეტილ იქნა საომარი ოპერაციები, ზოგიერთთან კი პოლიტიკურ-დიპლომატიური ურთიერთობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა.

ირანთან ომში წარმატების თვალსაზრისით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება იყო, აგრეთვე, აღმოსავლეთ ანატოლიაში მცხოვრები შიიტების მასობრივი ქლეტა. 1513 წლის განმავლობაში გაწყვეტილ იქნა 40.000 კაცი. დახოცილთა ოჯახები და ყველა საეჭვო პირი გადასახლებულ იქნენ იმპერიის ევროპულ სამფლობელოებში. ამ ღონისძიებით სელიმ I-მა თავიდან აიცილა ყიზილბაშთა აჯანყების საფრთხე მცირე აზიაში.

1514 წლის გაზაფხულზე ედირნეში შეიკრიბა საგანგებო დივანი, რომელზედაც ყოველი მუსლიმის სადვთო მოვალეობად გამოცხადდა ომი ყიზილბაშებთან. ვეზირები, სელიმის უახლოესი მრჩევლები, ირანთან ომს თვლიდნენ მეტად საშიშ საქმედ. მათი აზრით, ეს გამოიწვევდა დიდ მსხვერპლსა და ზარალს. მაგრამ სულთანმა თავისი გაიტანა და გადაწყდა ირანთან ომის დაწყება.

1514 წლის 20 აპრილს სელიმ I-მა დატოვა სტამბოლი და ირანის წინააღმდეგ სალაშქროდ გაემგზავრა. ანატოლიაზე გავლით სულთანი სივასში ჩავიდა. მან თავისი ლაშქრის ერთი ნაწილი, 40.000 ჯარისკაცის რაოდენობით, მცირე აზიაში დატოვა იმ შემთხვევისათვის, თუ დაიწყებოდა შიიტების აჯანყება, ანდა ეგვიპტის ლაშქარი მოულოდნელად თავს დაესხმოდა ოსმალთა სამფლობელოებს ამ რეგიონში. სურსათ-სანოვაგე და საბრძოლო აღჭურვილობა უნდა გაეგზავნათ ოსმალეთის ევროპული ნაწილიდან და დასავლეთი ოლქებიდან ზღვით ტრაპიზონამდე, ხოლო შემდეგ საქარავნო გზით საომრად გამზადებულ ლაშქარში მიეტანათ.

ოსმალეთის ლაშქარი გაცილებით აღემატებოდა ყიზილბაშებისას არა მარტო რიცხობრივად, არამედ შეიარაღებითაც. ოსმალებს დიდი უპირატესობა ჰქონდათ

ზარბაზნების რაოდენობაში. შაჰ ისმაილ I ითვალისწინებდა ოსმალთა უპირატესობას და ომის თავდაცვით საშუალებებს იყენებდა. ყიზილბაშთა ლაშქარი, შაჰ ისმაილის მითითებით, ახორციელებდა უკანდახევის სტრატეგიულ მანევრს. უკან დახევისას ყიზილბაშები ანადგურებდნენ გზებს, ხიდებს, სპობდნენ სურსათ-სანოვაგის მარაგს და სხვა. შაჰ ისმაილი ატარებდა "გადაბუგული მიწის" ტაქტიკას, ცდილობდა შეეტყუებინა ოსმალეთის ლაშქარი ქვეყნის სიღრმეში, დაექსაქსა, დაესუსტებინა და გაენადგურებინა იგი.

ოსმალეთის ლაშქარი გზაში დიდ სიძნელეებს აწყდებოდა და ამიტომ წინ ძალიან ნელა მიიწევდა. იგრძნობოდა სურსათ-სანოვაგის ნაკლებობა. მართალია, სელიმის ლაშქარმა მიიღო ტრაპიზონიდან გამოგზავნილი სურსათ-სანოვაგე და მდგომარეობა ოდნავ გაუმჯობესდა, მაგრამ ეს არ იყო საკმარისი. ყიზილბაშთა ტაქტიკურმა ხერხმა ომი გაახანგრძლივა. მოჩვენებითი წარმატების მიუხედავად, ომს ბოლო არ უჩანდა. ამან ოსმალთა ლაშქრის საბრძოლო განწყობილებაზე უარყოფითი გავლენა მოახდინა. უკმაყოფილებამ თავი იჩინა იენიჩართა რიგებში. მით უფრო, რომ სურსათ-სანოვაგის მარაგი იწურებოდა. უკმაყოფილონი იყვნენ აგრეთვე სელიმ I-ის უახლოესი პირები - დიდი ვეზირი და მრჩევლები. ბოლოს მათ ყარამანიის ბეგლარბეგს ჰამად ფაშას, რომელიც სელიმ I-ის ბავშვობის მეგობარი იყო, დაავალეს ეთქვა სულთნისათვის, თუ რა მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა ოსმალთა ჯარი და ერჩია შეეწყვიტა ლაშქრობა. განრისხებულმა სელიმმა სიკვდილით დასაჯა ჰამად ფაშა და უბრძანა ლაშქარს გაეგრძელებინა გზა.

ასეთი იყო ოსმალეთის ლაშქრის მდგომარეობა, როდესაც სულთანთან გამოცხადდა სამცხე-საათაბაგოს წარმომადგენელი. სამცხე-საათაბაგო ოსმალეთის მოხარკე ქვეყანა იყო და მას ევალებოდა ომის დროს მოემარაგებინა ოსმალეთის ლაშქარი სურსათ-სანოვაგით.

1514 წლის 10 აგვისტოს სოგმენში სულთანმა მიიღო სამცხე-საათაბაგოს გამგებლის მზეჭაბუკის ელჩი, რომელმაც თან ჩაიტანა სურსათ-სანოვაგე: თაფლი, ერბო და ორი ათასი ცხვარი.

ზოგი ცნობის მიხედვით, ათაბაგმა სულთანს გაუგზავნა 800 ხარი და 4.000 ცხვარი.

მზეჭაბუკის ელჩმა სელიმს ჩააბარა აგრეთვე შაჰ ისმაილის ძმის ჰადის ოღლუს ორი შვილი. ეს ირანელი უფლისწულები შაჰს გაექცნენ და ახალციხის ათაბაგს შეაფარეს თავი. სელიმი მეტად ნასიამოვნები დარჩა ამ სამსახურით. მან თავისი ელჩი გაგზავნა მზეჭაბუკთან, მადლობა შეუთვალა და საპატიო ხალათი უბოძა.

სოგმენიდან სელიმ I ირანის დედაქალაქისაკენ გაემართა. როდესაც ოსმალთა ლაშქარმა შეიტყო, რომ სელიმი თავრიზისაკენ მიიწევს, ჯარში კვლავ უკმაყოფილება დაიწყო. იენიჩარებმა თოფები ძირს დაუშვეს და მათზე წაღები წამოაცვეს, რაც იმის ნიშანი იყო, რომ ისინი ერთ ნაბიჯსაც კი აღარ გადადგამდნენ. ლაშქარმა სულთანს წინადადება მისცა ირანთან ზავი დაედო და სამშობლოში დაბრუნებულიყო. სელიმმა დაპირებებითა და მუქარით აიძულა ლაშქარი გაეგრძელებინა გზა. ამ დროს სელიმს მოუვიდა ცნობა, რომ შაჰი მზად იყო მასთან საბრძოლველად. სულთანი ჩალდირანის ველისაკენ გაემართა.

1514 წლის 23 აგვისტოს ჩალდირანის ველზე მოხდა დიდი ბრძოლა ოსმალეთისა და ირანის ლაშქარს შორის. ბრძოლა ოსმალეთის გამარჯვებით დამთავრდა. ოსმალთა წარმატება განაპირობა ზარბაზნების აშკარა უპირატესობამ. ამ გამარჯვების შემდეგ სულთანი ირანის დედაქალაქისაკენ გაემართა. 1514 წლის 6 სექტემბერს ოსმალეთის ლაშქარი თავრიზში შევიდა და ქალაქი გაძარცვა. 15 სექტემბერს სელიმი იძულებული შეიქნა დაეტოვებინა თავრიზი და უკან გაბრუნებულიყო.



სტამბოლის დახურული ბაზარი

ირანის გადაბუგული მიწა-წყალზე ოსმალებს დიდხანს გაჩერება არ შეეძლოთ. ამასთან სელიმს ეშინოდა, რომ მისი ლაშქრის მძიმე მდგომარეობით ისარგებლებდა ეგვიპტის სულთანი და ოსმალეთს თავს დაესხმოდა. სელიმის ცდა, დაზავებოდა შაჰს, უშედეგო აღმოჩნდა. ასეთ ვითარებაში სელიმს სხვა არაფერი დარჩენოდა, გარდა იმისა, რომ ირანიდან უკან გამობრუნებულიყო. სელიმის ლაშქარი გზაში სურსათ-სანოვაგის დიდ ნაკლებობას განიცდიდა, რადგან მას უხდებოდა ყიზილბაშებისაგან გადაბუგული ადგილების გავლა. ოსმალთა ლაშქარს თავს ესხმოდნენ პარტიზანული რაზმები და დიდ ზარალს აყენებდნენ მას.

სექტემბრის ბოლოს ოსმალეთის ლაშქარი ერევანში ჩავიდა. სელიმმა წერილი მისწერა ათაბაგს და მოსთხოვა გაეგზავნა მისთვის სურსათ-სანოვაგე. მზეჭაბუკი აყოვნებდა სურსათ-სანოვაგის მიწოდებას. 4 ოქტომბერს სელიმი ყარსში ჩავიდა, მაგრამ მზეჭაბუკისაგან არავითარი ამბავი არ მოსვლია. სულთანმა სასწრაფოდ საგანგებო დივანი მოიწვია, სადაც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სამცხეში გაელაშქრათ და ქვეყანა სასტიკად აეოხრებინათ. ყარსიდან საათაბაგო ახლოს მდებარეობდა. სელიმის ლაშქარი საათაბაგოსაკენ გაემართა. სამი დღის მგზავრობის შემდეგ სელიმთან გამოცხადდა ათაბაგის ელჩი. მან აცნობა სულთანს, რომ სურსათ-სანოვაგეს ოსმალეთის არმიას მიაწვდიდნენ, როცა იგი ჩობანის ხიდთან ჩავიდოდა. ამასთანავე მზეჭაბუკის ელჩმა სელიმს გადასცა ისპირის ციხის გასაღები. ამით მზეჭაბუკს სურდა დაეშოშმინებია სელიმის რისხვა სურსათ-სანოვაგის დაგვიანებით მიწოდების გამო. ამ დროიდან მოყოლებული, ისპირი და მისი რაიონი ოსმალეთის იმპერიას შეუერთეს, ხოლო რაც შეეხება სურსათ-სანოვაგეს, 19 ოქტომბერს ჩობანის ხიდთან ოსმალეთის ბანაკში 3.000 ცხვარი ჩაიყვანეს.

შაჰ ისმაილმა გადაწყვიტა ოსმალეთის წინააღმდეგ საბრძოლველად ანტიოს-

მალური კოალიცია შეედგინა, სადაც საქართველოს გარდა, შევიდა ეგვიპტის სულთანი, ალბისტანის და მარაშის გამგებლები. მოკავშირეები შეთანხმდნენ დახმარება აღმოეჩინათ ერთმანეთისათვის, თუ მათ თავს დაესხმოდა სულთანი. ამ კოალიციის შედგენის საქმეში ქართველი პოლიტიკური მესვეურები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ.

ჩანს, სელიმ I-ისათვის ცნობილი გახდა ეს და მან გადაწყვიტა ზომები მიეღო ანტიოსმალური კოალიციის მონაწილეების წინააღმდეგ. 1515 წელს სელიმმა გაილაშქრა ალბისტანისა და მარაშის წინააღმდეგ, დაიპყრო ეს სამთავროები და ოსმალეთის იმპერიას შეუერთა. ამის შემდეგ სელიმმა დააპირა საქართველოს წინააღმდეგაც გაელაშქრა.

1515 წლის აგვისტოს ბოლოს, ოსმალეთის დივანის გადაწყვეტილებით, დიდვეზირ სინან ფაშას ზემო ქვეყნებში (მდ. მტკვრისა და არაქსის, ტიგროსისა და ევფრატის სათავეები) წასვლა და საქართველოს დაპყრობა ებრძანა. ამასთან დაკავშირებით, ალი ბეგის სახელზე სულთან სელიმის ბრძანებაც გამოვიდა, მაგრამ ეს ლაშქრობა არ შედგა სხვადასხვა მიზეზის გამო.

ოსმალების მიერ ირანელებზე მოპოვებული გამარჯვების შედეგად ბოლო მოეღო ყიზილბაშების გავრცელებას დასავლეთის მიმართულებით და შესაძლებელი გახდა აღმოსავლეთ ანატოლიის შეერთება ოსმალეთის იმპერიასთან, რის შედეგადაც სათავე დაედო ოსმალების მიერ არაბული ქვეყნების დაპყრობებს. ირანთან ომის შედეგად ოსმალეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში შევიდა დასავლეთ სომხეთის ნაწილი, დასავლეთ ქურთისტანი და მესოპოტამიის ჩრდილოეთი ნაწილი ქ. მოსულამდე. ოსმალთა მიერ დაპყრობილ იქნა ქალაქები დიარბექირი, ბაიბურთი, მარდინი, ერზინჯანი, ქემახა და სხვ. დაპყრობილ ტერიტორიაზე ოსმალებმა დაიწყეს სანჯაყების დაარსება და თავიანთი წესების შემოღება. ირანის წინააღმდეგ ომში მოპოვებულმა გამარჯვებებმა წაახალისა სელიმ I და მან გადაწყვიტა დაეწყო ომი მამლუქთა ეგვიპტის წინააღმდეგ.

6. სელიმ I-ის ლაშქრობა სირიასა და ეგვიპტეში

1516 წლის დამდეგიდან სელიმ I შეუდგა ეგვიპტის წინააღმდეგ ომის სამზადისს.

1514 წლის მაისში, როდესაც სელიმ I-მა გადაწყვიტა დაეწყო ლაშქრობა ირანის წინააღმდეგ, მან კაიროში გაგზავნა ელჩობა და შესთავაზა ეგვიპტის სულთანს კავშირი ისმაილის წინააღმდეგ საბრძოლველად. მამლუქებმა უარყვეს ეს წინადადება და დაელოდნენ მოვლენათა შემდგომ განვითარებას. 1514 წლის ივნისის თვეში მამლუქთა სამხედრო საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება ალეპოში გაეგზავნათ მეთვალყურეთა ლაშქარი, რომელსაც არაფერი გაუკეთებია, გარდა იმისა, რომ ორივე მხარეს აღიზიანებდა.

ეგვიპტის ორჭოფულმა პოლიტიკამ ხელსაყრელი პირობები შეუქმნა სელიმს თავისი გეგმების განხორციელების საქმეში.

სელიმის მიერ ჩალდირანის ველზე ყიზილბაშების განადგურება მოულოდნელი იყო მამლუქებისათვის. სეფიანთა დამარცხებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა კაიროში. ეგვიპტის გამგებლები არ მალავდნენ თავიანთ გულისწყრომას შიიტური ირანის დაცემის გამო.

1515 წლის გაზაფხულზე კაიროში მოვიდა პირველი ცნობა ოსმალთა სამხედრო სამზადისის შესახებ. ოსმალეთის არმია და ფლოტი ემზადებოდა ეგვიპტის წინააღმ-

დეგ სალაშქროდ. სტამბოლში სადვთო ომის განწყობილება სუფევდა. ეგვიპტის წინააღმდეგ ომი განიხილებოდა როგორც ყოველი მუსლიმის აუცილებელი მოვალეობა. ოსმალო ულემებმა გამოსცეს სამი ფეთვა, რომლებშიც ასაბუთებდნენ ომის რელიგიურ და განმათავისუფლებელ ხასიათს. ერთ-ერთ ფეთვაში მამლუქებს უწოდებდნენ ისლამის მოღალატეებს, რომლებმაც დახმარება აღმოუჩინეს ურჯულოებს (მხედველობაში ჰყავდათ ირანელები). „ვინც ეხმარება ურჯულოებს, თვითონაა ურჯული“, – განაცხადა სტამბოლის დიდმა მუფთიმ. ლაშქრობის მიზნად გამოცხადებულ იქნა დაჩაგრული ხალხების განთავისუფლება და, აგრეთვე, მუსლიმთა დაცვა გარეშე მტრებისაგან.

1515 წლის თებერვალში ოსმალები თავს დაესხნენ ალბისტანს. მაისისათვის მათ გაანადგურეს ზულყადარის გამგებლის ალა ად-დოულეს ჯარები, რომელიც მამლუქთა პროტექტორატის ქვეშ იმყოფებოდა, ხოლო მისი მოკვეთილი თავი კაიროში გაგზავნეს. ეს იყო აშკარა გამოწვევა და, ფაქტიურად, ომის გამოცხადება. მაგრამ მამლუქები ამას არ წამოეგენ და ყველაფერი გააკეთეს, რათა კონფლიქტი მოლაპარაკების გზით მოეგვარებინათ. მამლუქ ხელმძღვანელთა შორის უთანხმოება სუფევდა, რაც მძიმე გავლენას ახდენდა არმიასა და ქვეყნის მორალურ-პოლიტიკურ კლიმატზე.

მამლუქთა ბეგებს შორის ძლიერი იყო მთავრობის საწინააღმდეგო განწყობილება. არმია უკმაყოფილო იყო მოხუცი სულთან კანსუჰ ალ-ღურით. ჯარისკაცებს აშკარად არ სურდათ ომი. ისინი აცხადებდნენ, რომ მზად არიან ებრძოლონ ევროპელ გიაურებს, ვიდრე არაბ მუსლიმებს.

თავის მხრივ, სელიმ I-მა დიპლომატიური ნაბიჯი გადადგა ეგვიპტის სულთნის სიფხიზლის მოდუნების მიზნით. მან 1516 წელს კაიროში გაგზავნა ელჩობა, რომელსაც უნდა განეხილა ეგვიპტეში შაქრის შესყიდვის საკითხი.

სელიმმა ეგვიპტის წინააღმდეგ ეკონომიკური სანქციებიც მიიღო: მან აკრძალა ოსმალეთის ტერიტორიაზე გავლით ირანის საქონლის ტრანზიტი ეგვიპტესა და ევროპაში. ამის გამო განსაკუთრებით დიდად ზარალდებოდნენ ვაჭრები, რომელთაც ევროპაში გაჰქონდათ აბრეშუმი. 1515 წლის დასაწყისიდან სელიმმა კონტროლი დააწესა ეგვიპტიდან ირანში მიმავალ საქონელზე, კიდევ უფრო გაამკაცრა კონტროლი სატრანზიტო საქონელზედაც.

1515 წლის აპრილში ეგვიპტის სულთანმა კანსუჰ ალ-ღურიმ დაიწყო ომისათვის მზადება. 3 ოქტომბერს გამოცხადდა მობილიზაცია. ისევე როგორც ოსმალები, მამლუქებიც ცდილობდნენ ომისათვის რელიგიური ხასიათის მიცემას. ეგვიპტის სულთანი ყოველნაირად ცდილობდა გაეჭიანურებინა საომარი მოქმედების დაწყება. იგი სალაშქროდ გამოსვლის შემდეგაც არ კარგავდა იმედს, რომ მშვიდობიანად მოაგვარებდა კონფლიქტს. თავის მხრივ, ოსმალეთის დიპლომატია ყოველნაირად უწყობდა ხელს ამ იმედს. 1516 წლის გაზაფხულზე ეგვიპტის სულთანმა გადაწყვიტა მიეღო ზომები ოსმალეთის აგრესიისაგან თავდაცვის მიზნით. 1516 წლის 17 მაისს მან დატოვა კაირო და თავისი ლაშქრით სირიისაკენ გაემართა.

სელიმს კარგად ესმოდა, რომ ეგვიპტის მამლუქებთან ომი დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. მართალია, მამლუქთა არმიას დაკარგული ჰქონდა თავისი ოდინდელი ძლიერება, მაგრამ იგი ჯერ კიდევ საშიშ ძალას წარმოადგენდა. სელიმს განსაკუთრებით აფიქრებდა ის, რომ ეგვიპტის წინააღმდეგ ლაშქრობის დროს ირანი ზურგში არ დასხმოდა ოსმალეთის არმიას. იგი ცდილობდა დაერწმუნებია ეგვიპტის სულთანი მისდამი კეთილგანწყობილ ურთიერთობაში და აცხადებდა, რომ მისი ერთადერთი მიზანია „ურჯული შიიტების“ დამარცხება.

ალეპოში მყოფ ეგვიპტის სულთანთან სელიმმა ელჩები და წერილი გაგზავნა, რომელშიც წერდა: „შენ მამა ხარ ჩემი და მე გთხოვ ილოცო ჩემთვის, მაგრამ ნუ

ნადგები ჩემსა და შაჰ ისმაილს შორის". ელჩები არწმუნებდნენ კანსუჰ ალ-ღურის, რომ სელიმს მხოლოდ სპარსეთთან ჰქონდა განზრახული ომი და რომ იგი მზად იყო დაეთმო ეგვიპტისათვის ალა ად-დოულეს ყოფილი სამფლობელოები. სელიმის ელჩები ასეთმა მშვიდობისმოყვარულმა განწყობილებამ ეგვიპტის სულთანი გაათამამა და მან კატეგორიულად მოსთხოვა ოსმალეთს დაებრუნებინა ალა ად-დოულეს სამფლობელოები მისი შვილისათვის და შეეწყვიტა მტრული საქმიანობა ირანის წინააღმდეგ.

ლაპარაკი მშვიდობასა და მეგობრობაზე სელიმის მხრივ მხოლოდ თვალთმაქცობა იყო, ეგვიპტის სულთნის შეცდომაში შეყვანის მიზნით. წახალისებულმა კანსუჰ ალ-ღურიმ სელიმს ელჩობა გაუგზავნა და თავისი მოთხოვნები განუმეორა. განრისხებულმა სელიმმა მამლუქთა ელჩის ამალის წევრები სიკვდილით დასაჯა. ეს კი აშკარად ომის მაუწყებელი იყო.

1516 წლის 5 აგვისტოს ოსმალეთის ჯარებმა გადალახეს სირიის საზღვარი და იქ შეიჭრნენ.

სირია ამ დროს ეგვიპტის შემადგენლობაში შედიოდა. მისი დაპყრობის შემთხვევაში სელიმი არა მარტო დიდად გაიფართოებდა თავის სამფლობელოებს, არამედ ხელთ იგდებდა მეტად მნიშვნელოვან სავაჭრო-სატრანზიტო გზას, რომელიც სირიაზე გადიოდა. ამით კიდევ უფრო მეტად გაუარესდებოდა ირანის მდგომარეობა, რადგანაც, როგორც ზემოთ ითქვა, სულთანმა ირანს გადაუკეტა ევროპაში მიმავალი სავაჭრო გზა.

1516 წლის 24 აგვისტოს ალეპოს ჩრდილოეთით, დაბიკის ველზე მოხდა ბრძოლა ოსმალეთისა და ეგვიპტის ჯარებს შორის, რომელიც სელიმის გამარჯვებით დამთავრდა. 75 წლის მოხუცებულმა კანსუჰ ალ-ღურიმ ეს დამარცხება ვერ გადაიტანა და გარდაიცვალა. 1516 წლის 28 აგვისტოს სელიმ I თავისი ლაშქრით ალეპოში შევიდა, ხოლო 9 ოქტომბერს აღებულ იქნა დამასკო. სირიისა და პალესტინის მოსახლეობა, რომელიც შევიწროებული იყო მამლუქთა ბატონობით, ხშირ შემთხვევაში დახმარებას უწევდა ოსმალებს. დამასკოს აღების შემდეგ, სულ მალე, მთელი სირია და პალესტინა ოსმალთა ხელთ აღმოჩნდა.

სირიისა და პალესტინის მოსახლეობა სელიმ I-ს ხვდებოდა როგორც განმათავისუფლებელს მამლუქთა ბატონობისაგან და ამის გამო ოსმალებმა, ფაქტიურად, უბრძოლველად დაიკავეს ეს ქვეყნები. 1516 წლის ნოემბრის ბოლოს ოსმალეთის არმიამ დაამთავრა სირიისა და პალესტინის ოკუპაცია. ძალის გამოყენება ოსმალებს დასჭირდათ მხოლოდ ქალაქების ღაზისა და იერუსალიმის აღების დროს. დაკავებულ ქალაქებში თურქთა გარნიზონები იქნა ჩაყენებული. დამასკოში ყოფნის დროს სელიმი შეუდგა თიმარული სისტემისა და ოსმალური ადმინისტრაციის შემოღებას, რაზედაც უნდა დამყარებულიყო ოსმალთა ბატონობა. ადგილობრივი მოსახლეობა მალე მიხვდა, რომ ოსმალები ისეთივე დამპყრობლები იყვნენ, როგორც მამლუქები.

ეგვიპტის ახალმა სულთანმა თუმანბეიმ სცადა შეეჩერებინა ოსმალთა წინსვლა ეგვიპტის მიმართულებით. 1516 წლის 25 დეკემბერს ბეისანთან (პალესტინა) მოხდა ბრძოლა ოსმალეთისა და ეგვიპტის ლაშქარს შორის, რომელიც ოსმალთა გამარჯვებით დამთავრდა. ამის შემდეგ ოსმალები შეიჭრენ ეგვიპტეში და 26 იანვარს კაირო აიღეს. რამდენიმე დღის შემდეგ, ღამით, თუმანბეი თავისი მებრძოლებით შეიჭრა კაიროში. დაიწყო ქუჩებში ბრძოლა, რომელშიც დაიღუპა ქალაქის 50 ათასი მცხოვრები. სელიმმა სძლია მოწინააღმდეგეს. გამარჯვებულმა სელიმმა ბრძანა, რომ 800 მამლუქისათვის მოეკვეთათ თავი. თუმანბეი ორი კვირის განმავლობაში ცდილობდა წინააღმდეგობა გაეწია ოსმალთათვის, მაგრამ ამაოდ. ღალატის მეშვეობით თუმანბეი

დაატყვევეს და 13 აპრილს, სელიმის ბრძანებით, კაიროს კარიბჭის თაღზე ჩამოახრჩეს ეგვიპტის უკანასკნელი მამლუქი სულთანი.

ეგვიპტის დედაქალაქში, კაიროში, ცხოვრობდა ბაღდადის აბასელთა ხალიფების შთამომავალი, რომელიც 1258 წელს, მონღოლთა მიერ აბასელთა სახალიფოს დამხობის შემდეგ, ეგვიპტეში დამკვიდრდა. ისტორიოგრაფიაში გავრცელებულია შეხედულება, რომ თითქოს აბასელთა ხალიფების შთამომავალმა ნებაყოფლობით გადასცა სელიმს ხალიფობა და ამიერიდან მან სულთნის ტიტულს დაუმატა ხალიფას „ალაჰის ნაცვლის“ ანუ „დედამიწაზე ღმერთის ჩრდილის“ ტიტული. ეს მოსაზრება უარყოფილია რუსი ორიენტალისტების (ვ. ბარტოლდი, ვ. გორდლევსკი, ა. ტვერიტინოვა) მიერ.

კაიროში ყოფნის დროს სელიმ I-ს ეახლა ჰიჯაზის (დასავლეთ არაბეთის) ემირის ელჩობა. ჰიჯაზის შემადგენლობაში შედიოდა ყველა მუსლიმისათვის წმინდა ქალაქები – მედინა და მექა. ელჩმა დაარწმუნა სელიმი, რომ მას აღიარებენ ყველა მუსლიმთა ხალიფად. ჰიჯაზი შევიდოდა ოსმალეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში, მაგრამ შეინარჩუნებდა ავტონომიას საშინაო საქმეებში და მისი ემირი (ჰაშიმიტების დინასტიიდან) – მემკვიდრეობით უფლებას. ეგვიპტეს ევალებოდა ყოველწლიურად გაეგზავნა სურსათ-სანოვაგე წმინდა ქალაქებისათვის – მექასა და მედინასათვის.

ეგვიპტე შევიდა ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში. მას განაგებდა სულთნის მიერ დანიშნული ფაშა. მისი ერთ-ერთი მთავარი მოვალეობა იყო ყოველწლიურად 100 ათასი დინარის გადასახადის (ხარკის) აკრეფა და სტამბოლში გაგზავნა. მამლუქმა ბეგებმა შეინარჩუნეს ერთგვარი ავტონომია. ეგვიპტის ქალაქებში იენიჩართა გარნიზონები ჩააყენეს. ამრიგად, ეგვიპტეში თავიდანვე შეიქმნა ორხელისუფლებიანობა. ერთის მხრივ, ეგვიპტეს მართავდა სტამბოლიდან გამოგზავნილი ვალი (ფაშა), ხოლო, მეორეს მხრივ, არსებობდა ადგილობრივი წარმომადგენლობითი დივანი (მამლუქთა ბეგების საბჭო). ამით სულთნის მთავრობამ შექმნა თავისი დასაყრდენი ეგვიპტის ფეოდალურ წრეებში.

ამავე პერიოდში ოსმალებმა დაიმორჩილეს, აგრეთვე, სამფლობელოები ჩრდილოეთ აფრიკაში. 1516 წელს ხმელთაშუა ზღვაზე ოსმალო მეკობრეებმა ხელთ იგდეს მნიშვნელოვანი ნავსადგური ალჟირი და მიმდებარე ტერიტორია. 1518 წელს მათმა მეთაურმა ჰაირედინ ბარბაროსამ სცნო ოსმალეთის სულთნის უმაღლესი ხელისუფლება და სელიმ I-მა მას უბოძა ალჟირის ბეგლარბეგის ტიტული.

1517 წლის აგვისტოს დამლევს სელიმმა დატოვა კაირო. ოქრო-ვერცხლითა და სხვა განძეულობით დატვირთული აქლემები და სახედრები დედაქალაქში გაგზავნა, თან გააყოლა ათასობით შესანიშნავი ხელოსანი.

ეგვიპტიდან სელიმი სირიისაკენ გაემართა, 1517 წლის 7 ოქტომბერს ჩავიდა დამასკოში და საზამთროდ იქ დაბანაკდა. ჯერ კიდევ 1517 წლის სექტემბერში, კაიროდან გამგზავრებამდე, სელიმს განზრახული ჰქონდა მომავალი წლის გაზაფხულზე დაეწყო ლაშქრობა ირანის წინააღმდეგ.

1518 წლის თებერვალში დამასკოში ჩავიდა შაჰის ელჩი და სელიმს ზავი შესთავაზა. სულთანმა შაჰის წინადადება უარყო და ელჩი დააპატიმრა. 22 თებერვალს სელიმი დამასკოდან ალეპოში გაემგზავრა და 5 მარტს იქ ჩავიდა. ალეპოში სელიმი დარჩა ორ თვეს. სულთანს გადაწყვეტილი ჰქონდა მდ. ევფრატის ნაპირებიდან დაეწყო მეორე ლაშქრობა ირანის წინააღმდეგ და სათანადო მზადებას შეუდგა, მაგრამ იენიჩარები გამოვიდნენ ამის წინააღმდეგ და სელიმი იძულებული გახდა თავის

განზრახვაზე უარი ეთქვა. 6 მაისს სელიმმა დატოვა ალეპო და 25 ივნისს სტამბოლში დაბრუნდა.

სელიმ I-ის დაპყრობითი ომების შედეგად ოსმალეთს შეუერთდა დასავლეთ სომხეთი, ქურთისტანი, სირია, ლიბანი, პალესტინა, ეგვიპტე, ალჟირი. ოსმალეთს დაემორჩილა, აგრეთვე, მუსლიმთა წმინდა ქალაქები მექა და მედინა. სელიმის დროს ოსმალეთის იმპერიის ტერიტორია თითქმის ორჯერ გაიზარდა. ამიერიდან ოსმალეთი ფლობდა ტერიტორიებს არა მარტო ევროპასა და აზიაში, არამედ აფრიკაშიც. სელიმი შიშის ზარს სცემდა იმდროინდელ სახელმწიფოთა მეფე-გამგებლებს. მაგრამ სელიმი არ კმაყოფილდებოდა მიღწეულით და ახალი დიდი ომის სამზადისში იყო. არავინ იცოდა, თუ ვის წინააღმდეგ მიმართავდა მახვილს სელიმი. პოლიტიკური აგენტები ყურადღებით ადევნებდნენ თვალყურს სელიმის სამხედრო სამზადისს და სურდათ გამოეცნოთ მისი მომავალი საომარი გეგმები.

თავი VII

ოსმალეთის იმპერია ძლიერების ხანაში

1. უნგრეთის დაპყრობა

1520 წლის 21 სექტემბერს 50 წლის ასაკში მოულოდნელად გარდაიცვალა სელიმ I და ტახტზე ავიდა მისი შვილი სულეიმან I (1520-1566). მისი მეფობის წლებში ოსმალეთის იმპერიამ მიაღწია თავისი ძლევამოსილების ზენიტს. სულეიმანს თურქებმა კანონმდებელი უწოდეს, ხოლო ევროპელებმა – ბრწყინვალე.

XVI საუკუნის დამდეგისათვის ოსმალეთის სახელმწიფომ მტკიცედ მოიკიდა ფეხი ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, რომელიც გახდა პლაცდარმი ევროპაში ოსმალთა შემდგომი წინსვლისა. სელიმ I, ძირითადად, დაკავებული იყო ირანისა და ეგვიპტის წინააღმდეგ ლაშქრობებით და მან ერთგვარად შეასუსტა ყურადღება ევროპის მიმართ. სულეიმანმა განიზრახა განეახლებინა შეტევა ევროპის სახელმწიფოების წინააღმდეგ და გაეფართოვებინა იმპერიის სამფლობელოები.

სულეიმანმა, უპირველეს ყოვლისა, გადაწყვიტა დაეწყო ომი უნგრეთის წინააღმდეგ. უნგრეთის ხელში ჩაგდებით ოსმალებს გზა ეხსნებოდათ ცენტრალური ევროპისაკენ. ამას გარდა, უნგრეთის დაპყრობით ოსმალეთს შესაძლებლობა ეძლეოდა თავისი კონტროლი დაემყარებინა მდ. დუნაიზე, ევროპის ამ უმნიშვნელოვანეს სავაჭრო მაგისტრალზე. 1521 წელს ოსმალეთმა უნგრეთის წინააღმდეგ ომი დაიწყო. მან აიღო უნგრეთის სახელმწიფოში შემავალი ქალაქი ბელგრადი, მაგრამ უნგრეთზე საბოლოოდ გამარჯვების მისაღწევად მას ესაჭიროებოდა თავისი ზურგის უშიშროების უზრუნველყოფა. სახელდობრ, საჭირო იყო კუნძულ როდოსის და დოდეკანესის კუნძულების ხელში ჩაგდება, საიდანაც ოსმალეთის გემებს გამუდმებით თავს ესხმოდნენ და ძარცვავდნენ. ოსმალეთისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ინტენსიურ კონტაქტს ეგვიპტესა და სხვა არაბულ ქვეყნებთან, კუნძული როდოსი კი დიდ დაბრკოლებებს უქმნიდა ოსმალებს. ამ დროს როდოსი ეკუთვნოდა იოანიტ რაინდებს. როდოსის ორდენის დიდმა მაგისტრმა დახმარებისათვის მიმართა თავის მფარველს ფრანცისკო I-ს, მაგრამ საფრანგეთის მეფემ ყურად არ იღო როდოსელი რაინდების თხოვნა. საფრანგეთის მეფემ უპასუხოდ დატოვა აგრეთვე რომის პაპის მოწოდება როდოსისათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ.



სულეიმან I

ბელგრადის აღების შემდეგ სულეიმან I-მა დროებით შეაჩერა სამხედრო ოპერაციები უნგრეთში. 300 გემისაგან შემდგარი ოსმალეთის ფლოტი გაემართა როდოსისაკენ. 1522 წლის ივლისის ბოლოს ოსმალეთის 100 ათასიანი ლაშქარი გადასხეს კუნძულზე. როდოსელები მტერს მედგარ წინააღმდეგობას უწევდნენ. დიდი მსხვერპლის ფასად ოსმალებმა შეძლეს დე-

კუნძულის დაპყრობა. ამავე დროს ოსმალებმა ეგეოსის ზღვაზე ხელთ იგდეს დოდეკანესის კუნძულები. ამ აქციების შედეგად ოსმალეთმა მნიშვნელოვნად განიმტკიცა თავისი სავაჭრო ფლოტის უსაფრთხოება ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ რეგიონში.

1526 წლის გაზაფხულზე, საშინაო საქმეების მოგვარების შემდეგ, სულეიმანი გაემართა 100 ათასიანი ლაშქრით და 300 ზარბაზნით უნგრეთის წინააღმდეგ სალაშქროდ. გადამწყვეტი ბრძოლა უნგრეთისათვის მოხდა 1526 წლის 29 აგვისტოს ქალაქ მოხაჩთან, მდ. დუნაის მარცხენა ნაპირზე. უნგრეთის მეფე ლაიოშ II არ დაელოდა მის დასახმარებლად წამოსული მთავრის იანოშ ზაპოლიას ლაშქარს და ბრძოლა გაუმართა ოსმალებს. თითქმის მთელი უნგრეთის არმია განადგურებულ იქნა, დაიღუპა თვით უნგრეთის მეფე. მოხაჩი გაძარცულ-გადამწვარ იქნა. მოხაჩთან გამარჯვების შემდეგ უნგრეთის დედაქალაქისაკენ გზა გახსნილი იყო. ამ ბრძოლიდან ორი კვირის გასვლის შემდეგ ოსმალეთის ჯარმა დაიკავა ქალაქი ბუდა, რომელიც უბრძოლველად დანებდა მას. სულეიმანმა უნგრეთის მეფედ დასვა იანოშ ზაპოლია, რომელმაც თავისი თავი სულთნის ვასალად გამოაცხადა.

სულეიმანის უნგრეთიდან გამგზავრების შემდეგ იანოშ ზაპოლიასა და უნგრელი ფეოდალების იმ ნაწილს შორის, რომელიც ავსტრიის ორიენტაციის მომხრე იყო, დაიწყო ბრძოლა სამეფო გვირგვინისათვის. ავსტრიის ერც-ჰერცოგმა ფერდინანდ I-მა (იგი ავსტრიის იმპერატორის კარლოს V-ის უმცროსი ძმა იყო) ხელთ იგდო ქ. ბუდა. იანოშმა დახმარებისათვის მიმართა სულეიმანს. ამას მოჰყვა სულეიმანის ახალი ლაშქრობა უნგრეთში.

ამ დროს სულეიმანი დაკავებული იყო მცირე აზიის საქმეებით, სადაც ოსმალების წინააღმდეგ გამოსვლებს ჰქონდა ადგილი. მცირე აზიაში დამსჯელი ოპერაციების ჩატარების შემდეგ სულეიმანი შეუდგა ავსტრიის წინააღმდეგ ლაშქრობისათვის სამზადისს.


2. ომი ავსტრიასთან და ვენის პირველი გარემოცვა

ოსმალეთის ექსპანსია ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში კიდევ უფრო გაძლიერდა მოხაჩის კატასტროფის შემდეგ. ამას ხელს უწყობდა აგრეთვე ევროპის სახელმწიფოებს შორის არსებული წინააღმდეგობანი. მოიპოვეს რა გამარჯვება მოხაჩთან, ოსმალებმა სწრაფად წაიწიეს წინ და საფრთხე შეუქმნეს უშუალოდ ჰაბსბურგთა იმპერიის დედაქალაქს ვენას.

1528 წლის თებერვალში სულეიმან I-მა იანოშ ზაპოლიასთან დადო სამოკავშირეო ხელშეკრულება, რომლითაც იანოში აღიარებდა თავის თავს სულთნის ვასალად, ხოლო სულთანი ჰპირდებოდა მას დახმარებას ფერდინანდის წინააღმდეგ ბრძოლაში. ცხადია, ფერდინანდის ზურგს უკან იდგა იმპერატორი კარლოს V და იანოშ ზაპოლიას ხელისუფლების მხარდასაჭერად და ფერდინანდის დასამარცხებლად საჭირო იყო ავსტრიის წინააღმდეგ გალაშქრება.

1529 წლის მაისში სულეიმანმა დატოვა სტამბოლი და 200 ათასიანი არმიით ვენისაკენ გაემართა. სექტემბერში ოსმალეთის არმია ვენის კედლებს მიადგა.

28 სექტემბერს ოსმალებმა ვენას ალყა შემოარტყეს. ქალაქის დამცველები გმირულად იბრძოდნენ და ოსმალებმა მისი აღება ვერ შეძლეს. ზამთარი ახლოვდებოდა, ამიტომ 14 ოქტომბერს სულეიმანი იძულებული შეიქნა ვენისათვის ალყა მოეხსნა და უკან დაბრუნებულიყო. ეს იყო ოსმალების დიდი დამარცხება. ამრიგად, ვენა, ავსტრია



როდოსი


და მთელი ევროპა გადაურჩა ოსმალეთის საფრთხეს. ამ დროიდან სულ უფრო მეტად ძლიერდება ევროპის ქვეყნების წინააღმდეგობა ოსმალეთის მიმართ.

ვენასთან გამარჯვების მიუხედავად, ფერდინანდს არ გააჩნდა ძალები, რომ გაეგრძელებინა შეტევა და აეღო ბუდა. მას გარედან დახმარების იმედი არ ჰქონდა. ამიტომ ავსტრია ცდილობდა მოლაპარაკების გზით მოეგვარებინა კონფლიქტი ოსმალეთთან, მაგრამ სულეიმანი გადაჭრით წინააღმდეგი იყო ეცნო ფერდინანდი უნგრეთის მეფედ. ფერდინანდი ცდილობდა ძალით გამაგრებულიყო უნგრეთში. ამან აიძულა სულთანი ახალი ლაშქრობა მოეწყო უნგრეთში.


1532 წლის აპრილში ოსმალეთის არმია დაიძრა ვენისაკენ არა ბუდის გზით, არამედ დუნაისპირეთიდან. 5 აგვისტოს ოსმალეთის არმია მიადგა ციხე-სიმაგრე კესეგს. ორგზის იერიშის შემდეგ ოსმალებმა მაინც ვერ შეძლეს მისი აღება. ამჯერად სულთანმა ხელი აიღო ახალ ლაშქრობაზე ვენის წინააღმდეგ და სტამბოლში დაბრუნდა. ამის გარდა, 1532 წელს რომის საღვთო იმპერიისა და ესპანეთის ფლოტმა საგრძნობი ზარალი მიაყენა ოსმალეთის ფლოტს ხმელთაშუა ზღვაზე და ხელთ იგდო რამდენიმე ნავსადგური მორეაში. ასეთ ვითარებაში სულთანი წავიდა დათმობაზე და დათანხმდა დაედო ზავი ავსტრიასთან.

1533 წლის 22 ივნისს სტამბოლში ოსმალეთსა და ავსტრიას შორის დაიდო ზავი, რომლის მიხედვითაც ფერდინანდმა და იანოშ ზაპოლიამ შეინარჩუნეს თავ-თავისი ტერიტორიები, რომლებსაც ისინი ფლობდნენ ხელშეკრულების დადების დროისათვის. ხელშეკრულების მიხედვით, დასავლეთი და ჩრდილო-დასავლეთი უნგრეთი გადავიდა ავსტრიის ხელში. ავსტრია ვალდებული იყო ყოველწლიურად ეხადა ხარკი სულთნის სასარგებლოდ და არ დასხმოდა თავს აღმოსავლეთ უნგრეთს, რომლის მეფეც სულთნის ვასალი გახდა. ამ ხელშეკრულებით, ფაქტობრივად, მოხდა უნგრეთის დანაწილება ოსმალეთსა და ავსტრიას შორის. ზავი დაიდო გაურკვეველი ვადით. უნგრეთისათვის ბრძოლაში ვერც ერთმა მხარემ უპირატესობას ვერ მიაღწია. ამიტომ ახალი ომი უნგრეთის ხელში ჩაგდებისათვის დროის საკითხი იყო.


ვენის წარუმატებელი ალყის შემდეგ ოსმალეთი თანდათანობით იწყებს თავისი შეტევის მიმართულების შეცვლას. ვენა დარჩა ყველაზე უკიდურეს წერტილად ოსმალეთის წინსვლისა ევროპის მიმართულებით.



ბელგრადის ალყა



ბუდა (ბუდაპეშტი)



ვენის გარემოცვა

3. სულეიმანის პირველი ლაშქრობა ირანის წინააღმდეგ

ევროპაში ოსმალთა დაპყრობათა შესაძლებლობანი თანდათანობით მცირდებოდა. ავსტრიასთან ზავის დადების შემდეგ ოსმალეთი ირანის წინააღმდეგ ომის სამზადისს შეუდგა. ახლა ოსმალეთს საშუალება ეძლეოდა მთელი ძალები ირანის წინააღმდეგ მიემართა.

1533 წლის 21 სექტემბერს ოსმალეთის დიდმა ვეზირმა იბრაჰიმ ფაშამ სტამბოლი დატოვა და ირანის წინააღმდეგ სალაშქროდ გაემართა. ოსმალეთის ლაშქარი, კონიაზე გავლით, ალეპოს მივიდა და საზამთროდ იქ დაბანაკდა.

1534 წლის ზაფხულში ოსმალები იწყებენ შეტევას სომხეთის წინააღმდეგ, მთელ რიგ ქალაქებს იპყრობენ, მათ შორის ვანს, ავნიკს, ახლათს, არზრუმს, ყარსსა და სხვ. სომხეთზე გავლით, ოსმალეთის ლაშქარი ირანშიც შეიჭრა და 13 ივნისს თავრიზი დაიკავა, ხოლო შემდგომ კი – მთელი სამხრეთ აზერბაიჯანი.

ამ დროს ოსმალეთის ლაშქარს სათავეში ჩაუდგა სულეიმანი და მან ბაღდადის წინააღმდეგ გაილაშქრა.

1534 წლის 23 ნოემბერს ოსმალებმა ბაღდადი აიღეს, შემდეგ კი – ცენტრალური ერაყის სხვა ქალაქები. სულეიმან I რამდენიმე თვეს დარჩა ბაღდადში. ოსმალებმა დაპყრობილი ქვეყნები სანჯაყებად დაჰყვეს და იქ ოსმალური მართვა-გამგებლობა შემოიღეს. მათ აქ ოსმალური მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის წესები დანერგეს: თიმარები და ზეამეთები თურქ სიფაჰიებსა და ჯარისკაცებს დაურიგეს.

დაპყრობილ ციხე-ქალაქებში ოსმალთა ჯარის ნაწილები ჩააყენეს, მათ შორის იენიჩარები. ათასობით თურქი ჩაასახლეს იქ და დაიწყო მხარის კოლონიზაცია, ოსმალური წესების შემოღება.

ამ ომის დროს ოსმალებმა დაიპყრეს დასავლეთ სომხეთის ნაწილი და აქ დააარსეს არზრუმის საფაშო (საბეგლარბეგო), რომელიც გახდა ერთ-ერთი მთავარი ფორპოსტი ირანსა და საქართველოზე თავდასასხმელად.

სულეიმანი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მოპოვებულ გამარჯვებას, განსაკუთრებით კი ბაღდადის დაპყრობას, რომელიც იყო მუსლიმური სამყაროს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ქალაქი. სულეიმანმა ამ გამარჯვების შესახებ აცნობა ევროპის რიგ სახელმწიფოებს და მის ტიტულში იხსენიებოდა ბაღდადიც. ამიერიდან სულეიმანი იწოდებოდა: „ორი კონტინენტისა და ორი ზღვის მფლობელად, მექისა და მედინის მფარველად, სტამბოლის, ედირნეს, ბურსას, კაიროს, დამასკოს, ალეპოს, ბელგრადისა და ბაღდადის მფლობელად.“

სულთანი დიდად იყო დაინტერესებული არაბეთის ერაყით მისი უაღრესად დიდი სავაჭრო-სატრანზიტო მნიშვნელობის გამო. სატრანზიტო ვაჭრობის შედეგად გაიზარდა არაბეთის ერაყის მთავარი ქალაქის, ბაღდადის, მნიშვნელობა, რომელიც ამავე დროს იყო მთელი მუსლიმური სამყაროს მნიშვნელოვანი ცენტრი. ინდოეთიდან მომავალი საქონელი სპარსეთის ყურიდან, ბასრასა და ისფაჰანზე გავლით, ბაღდადში ჩაჰქონდათ, შემდეგ ალეპოს გავლით, ხმელთაშუა ზღვის სანაპიროსა და მცირე აზიაში გაჰქონდათ, შემდეგ კი – ევროპაში.

1538 წელს სტამბოლში ჩავიდა ბასრის ემირის ელჩობა სულთნისადმი თხოვნით, შესულიყო ბასრის საემირო ოსმალეთის მფარველობის ქვეშ. სულეიმანმა სიამოვნებით დააკმაყოფილა მისი თხოვნა. ამავე პერიოდში ოსმალეთის მფარველობის ქვეშ მოისურვეს გადასვლა აგრეთვე ლურისტანის, ხუზისტანის, ბაჰრეინის, ელკატიფისა და ქვემო ევფრატის ემირებმა. ყველა ისინი გახდნენ ოსმალეთის ვასალები. ყოველივე ამის შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა ოსმალეთის გავლენა მესოპოტამიასა და სპარსეთის ყურის რეგიონში.

4. ომის განახლება ევროპის სახელმწიფოებთან

XVI საუკუნის 30-იან წლებში, ირანთან ომში გარკვეული წარმატების მიღწევის შემდეგ, სულეიმანმა განაახლა სამხედრო ოპერაციები ევროპაში. ვენის პირველი გარემოცვიდან დაწყებული, ოსმალეთს უკვე აღარ შეეძლო ერთდროულად ორ ფრონტზე – აღმოსავლეთსა და დასავლეთში – ომის წარმოება. ირანთან ომის შეწყვეტა ნიშნავდა ევროპაში საომარი ოპერაციების განახლებას და პირუკუ.

1540-1547 წლებში ოსმალეთი ომს აწარმოებდა უნგრეთში. 1541 წელს ოსმალეთის ჯარმა დაიკავა ბუდინი, ხოლო 1543 წელს – ციხე-სიმაგრე ესტრეგომი. ბუდაში ჩააყენეს იენიჩართა გარნიზონი. ოსმალებმა დაკავებულ ტერიტორიაზე დააარსეს ბუდინის საფაშო და თავიანთი მმართველობა შემოიღეს. ოსმალო ფეოდალებს დაურიგეს თიმარები. ამ დროისათვის იანოშ ზაპოლია უკვე გარდაცვლილი იყო.

1547 წელს სტამბოლში დაიდო სამშვიდობო ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც უნგრეთის სამეფო დაიყო სამ ნაწილად: დასავლეთი და ჩრდილოეთი უნგრეთს დარჩა ჰაბსბურგების ხელისუფლების ქვეშ, ცენტრალური უნგრეთი (ბუდინის საფაშო) – ოსმალეთს, ხოლო აღმოსავლეთ უნგრეთი და ტრანსილვანია ოსმალეთის ვასალურ ქვეყნად გამოცხადდა. ამავე დროს ფერდინანდი ვალდებული იყო ყოველწლიურად ოსმალეთის სასარგებლოდ გადაეხადა ხარკი 30 ათასი ოქრო.

ტრანსილვანიისათვის ბრძოლა იყო ძირითადი მიზეზი ოსმალეთ-ავსტრიის ომებისა 1551-1562 და 1566-1568 წლებში. ამ დროს ოსმალებმა ხელთ იგდეს მნიშვნელოვანი ციხე-ქალაქები: 1552 წელს – თემიშვარი, 1556 წელს – ეგრი და 1566 წელს – სიგეტვარი. მედგარი წინააღმდეგობა დამპყრობლებს გაუწია ციხე-სიმაგრე ერლაუმ. 38 დღის ალყის შემდეგ, ოსმალებმა უარი თქვეს მის აღებაზე. ამ ომების შედეგად მნიშვნელოვნად შეიცვალა საზღვარი ოსმალეთის სამფლობელოსა და ჰაბსბურგებს შორის უნგრეთის მიწა-წყალზე. მართალია, მთელი XVII საუკუნის მანძილზე ბრძოლა ოსმალეთსა და ავსტრიას შორის გრძელდებოდა, მაგრამ უნგრეთის მდგომარეობა არსებითად არ შეცვლილა.

ოსმალეთის მიერ უნგრეთის მიწა-წყლის დაპყრობამ გარკვეული გავლენა მოახდინა რუმინეთზეც. 1538 წელს სულეიმანმა მოაწყო ლაშქრობა მოლდავეთში, მასში ოსმალეთის ჯართან ერთად ყირიმის ხანიც იღებდა მონაწილეობას. ერთობლივი ლაშქარი შეიჭრა მოლდავეთში. ქვეყანა გაძარცვეს და დაარბიეს. პეტრო რარეში გაიქცა ტრანსილვანიაში. მის ადგილზე სულთანმა დასვა მისი ძმა სტეფანე. მან ვალდებულება აიღო – გაეგზავნა ხარკი სტამბოლში. ოსმალთა აგრესია ამით არ დამთავრებულა. დუნაისა და დნესტრის შესართავებთან სულეიმანმა გაამაგრა ციხეები – კილია და აკერმანი და იქ დააარსა სანჯაყი, რომლის შემადგენლობაშიც შევიდნენ დნესტრსა და პრუტს შორის მდებარე ტერიტორიები, ე. წ. ბესარაბია. ამგვარად, ოსმალები აღმოჩნდნენ უკრაინის საზღვრებთან.

5. სულეიმანის მეორე ლაშქრობა ირანის წინააღმდეგ

1547 წელს ავსტრია-უნგრეთთან ზავის დადების შემდეგ სულთანი ირანის წინააღმდეგ ომის სამზადისს შეუდგა.

სულეიმანს კარგად ესმოდა, რომ ირანთან ომის განახლება გამოიწვევდა მისი მოკავშირის საფრანგეთის უკმაყოფილებას. ამიტომ თავისი მოკავშირის დამშვიდების მიზნით მან ირანთან ომის დაწყების წინ დაიბარა საფრანგეთის ელჩი სტამბოლში დ'არამონი და მას განუცხადა: 1547 წლის ზავი ჰაბსბურგების იმპერიასთან გულისხმობს, აგრეთვე, მშვიდობიანობის შენარჩუნებას იმპერატორსა და საფრანგეთს შორის და თუ კარლოს V დაარღვევს ზავს, მაშინ სულეიმანი გადასინჯავს თავის დამოკიდებულებას ჰაბსბურგების მიმართ.

საფრანგეთი არ იყო დაინტერესებული ოსმალეთ-ირანის ომის განახლებით, რადგან ამით ისარგებლებდა კარლოს V და მის წინააღმდეგ გამოვიდოდა. იმ ეპოქაში ოსმალეთი თავისი ძლიერების ზენიტში იმყოფებოდა და საფრანგეთს არ შეეძლო მასზე ზემოქმედება მოეხდინა. ასეთ სიტუაციაში საფრანგეთი ცდილობდა დახმარებოდა ოსმალეთს, რათა მას სწრაფად დაემთავრებინა ომი ირანთან. აღსანიშნავია, რომ საფრანგეთის მეფის თხოვნით მისი ელჩი სტამბოლში დ'არამონი თან ახლდა სულთანს ირანის წინააღმდეგ ლაშქრობაში და სამხედრო მრჩეველის როლს ასრულებდა.

1548 წელს სულეიმანმა ახალი დიდი ლაშქრობა დაიწყო ირანის წინააღმდეგ. ამ მიზნით 1548 წლის 29 მარტს სულეიმანმა დატოვა სტამბოლი და ირანის წინააღმდეგ საბრძოლველად გაემგზავრა. ოსმალთა ლაშქარი საკმაოდ მრავალრიცხოვანი იყო. საფრანგეთის ელჩის ცნობით, რომელიც სულთანს თან ახლდა ამ ლაშქრობაში, ოსმალეთის არმია 300.000 კაცსა და 300 ზარბაზანს ითვლიდა, ხოლო კონსტანტინოპოლში მყოფი რომის პაპის მისიონერის ცნობით კი, ოსმალეთის არმია 200.000 კაცისაგან შედგებოდა. რა თქმა უნდა, ოსმალთა ლაშქრის რიცხვი გადაჭარბებული ჩანს, მაგრამ, ცხადია, რომ იგი მტრისათვის საკმაოდ მრისხანე ძალას წარმოადგენდა.

სულეიმანის ლაშქარი კონიასა და სივასზე გავლით ამასიაში ჩავიდა, იქიდან კი არზრუმისაკენ გაემართა და 25 ივნისს იქ დაბანაკდა. ამ დროს არზრუმში სულთანთან ჩავიდა საფრანგეთის ელჩი დ'არამონი თავისი ამალით. 26 ივნისს ოსმალეთის ლაშქარი ჰასან-კალაში ჩავიდა.

ჰასან-კალადან ოსმალეთის ლაშქარმა გეზი აზერბაიჯანისაკენ აიღო. შაჰ თამაზი, ისევე როგორც წინათ, ოსმალეთთან ომის დროს, ახლაც ახორციელებდა უკან დახევის სტრატეგიულ მანევრს. სპარსელები უკან დახევისას აპარტახებდნენ და აუკაცრიელებდნენ ყველა იმ ქვეყანას, რომელიც ომის უშუალო ან შესაძლო ასპარეზი გახდებოდა. ოსმალთა სამხედრო უპირატესობა აიძულებდა ირანელებს ყველაფერი მოესპოთ იმ გზაზე, სადაც ოსმალებს უნდა გაევლოთ. პირადად შაჰს ომის წარმოების მხოლოდ ეს გზა – გაპარტახებული ზონის შექმნა – მიაჩნდა ეფექტურ საშუალებად, სხვა ყველაფერს იგი სისულელედ და უსაფუძვლოდ მიიჩნევდა. შაჰი ასე მსჯელობდა: მეტი საშუალება არ არსებობს გარდა იმისა, რომ სადაც კი ხონთქრის ოლქს ხელში მოვიგდებთ, ერთ დღეს ერთ ადგილზე არ გავჩერდეთ და ის ქვეყნები ისე გავაუდაბუროთ და გავავერანოთ, რომ ათი დღის სავალზე სიცოცხლის ნიშანწყალი არ ეტყობოდეს, რათა მათი მიმოსვლა აღიკვეთოს.

ასეთი პოლიტიკის წყალობით, ოსმალეთის ლაშქრის მდგომარეობა დღითიდღე უარესდებოდა. ოსმალეთის ლაშქარი რაც უფრო მეტად მიიწევდა წინ ირანის საზღვრებისაკენ, მათ უფრო მეტად განიცდიდა სურსათ-სანოვაგის ნაკლებობას.

27 ივლისს ოსმალეთის ლაშქარი უბრძოლველად ირანის დედაქალაქ თავრიზში შევიდა. ოსმალებს ქალაქი დაცარიელებული დახვდა. ქალაქიდან 100 მილის მანძილზე სიცოცხლის ნასახი არ ჩანდა. ოსმალეთის ლაშქრის მდგომარეობა მძიმე იყო. მას აკლდა სურსათ-სანოვაგე, ფურაჟი. ჯარისკაცებში ავადმყოფობა გავრცელდა. ასეთ ვითარებაში სულთანს არ შეეძლო მტერს დადევნებოდა, რომელმაც კასპიის სანაპიროზე მდებარე მთებს შეაფარა თავი. თავრიზში ხუთი დღის ყოფნის შემდეგ სულეიმანი იძულებული შეიქნა ქალაქი დაეტოვებინა და თავისი ლაშქრით უკან გამობრუნებულიყო.

14 აგვისტოს ოსმალეთის ლაშქარი ქ. ვანის მახლობლად დაბანაკდა. ვანი საკმაოდ კარგად გამაგრებული ციხე-ქალაქი იყო, რომელსაც 2.000 ყიზილბაში იცავდა. მეორე დღეს ოსმალებმა ქალაქს ალყა შემოარტყეს და მას ზარბაზნები დაუშინეს. საფრანგეთის ელჩის დ'არამონის რჩევით ოსმალებმა ცეცხლის მიმართულება შეცვალეს და მალე ციხის კედლის გარღვევა შეძლეს. 25 აგვისტოს ოსმალებმა ქ. ვანი აიღეს. დ'არამონის სამხედრო კონსულტაცია კიდევ ერთხელ ცხადყოფს საფრანგეთის დაინტერესებას ოსმალეთის გამარჯვებაში. ოსმალეთის ლაშქრის ერთი ნაწილი, რომელსაც ალკას მირზა (ოსმალეთის მხარეზე გადასული შაჰ თამაზის ძმა) სარდლობდა, ირანის სიღრმეში შეიჭრა და ქაშანამდე და ყუმამდე მიაღწია.

სექტემბერში შაჰ თამაზის ლაშქარი კონტრშეტევაზე გადავიდა, სომხეთში შეიჭრა და ზოგიერთი ადგილი – ადილჯაუზი მუში და ახლათი დაარბია. სულეიმანმა

ირანელების წინააღმდეგ გაგზავნა მეორე ვეზირი აჰმედ ფაშა, რომელმაც სპარსელები დაამარცხა და განდევნა.

ნოემბერში ოსმალეთის ლაშქარი საზამთროდ დიარბექირსა და ალეპოში დაბანაკდა. 26 ნოემბერს სულთანი ალეპოში ჩავიდა.

1549 წლის გაზაფხულიდან ოსმალებმა ახალი ძალით გააჩაღეს ომი სპარსელების წინააღმდეგ. სულეიმანმა უპირველეს ყოვლისა გადაწყვიტა სამცხე-საათაბაგოს წინააღმდეგ გაელაშქრა და დაეპყრო იგი.

1549 წლის 25 აგვისტოს ოსმალთა 40-ათასიანი ლაშქარი, რომელშიაც მონაწილეობდნენ იენიჩარები, საქართველოსაკენ დაიძრა. ამ ლაშქრობას სარდლობდა მეორე ვეზირი აჰმედ ფაშა. მასში მონაწილეობდნენ აგრეთვე არზრუმის, ყარამანიის, ზულყადრიისა და სივასიის ბეგლარბეგები.

სექტემბრის დასაწყისში ოსმალთა ლაშქარი აზრუმში ჩავიდა, აქ საჭირო სურსათ-სანოვაგით მომარაგდა და 10 სექტემბერს სამცხე-საათაბაგოსაკენ გაემართა.

ქართველები მედგარ წინააღმდეგობას უწევდნენ ოსმალებს, თუმცა ოსმალთა ლაშქარი რიცხობრივადაც ჭარბობდა ქართველებს და შეუდარებლად უკეთ იყო აღჭურვილი.

13 სექტემბერს ოსმალებმა ალყა შემოარტყეს თორთუმის ციხე-სიმაგრეს. თორთუმი ერთ-ერთი ყველაზე მაგარი ციხე-სიმაგრე იყო სამცხე-საათაბაგოში. ოსმალებმა მას ზარბაზნები დაუშინეს. დღე და ღამე ზარბაზნების ცეცხლი არ ცხრებოდა. 20 სექტემბერს „დიდი ბრძოლით აღებულ იქნა თორთუმის ციხე“.

ოსმალებმა ამ ლაშქრობის შედეგად, სამცხე-საათაბაგოში, გარდა თორთუმისა, შემდეგი ციხეები და ადგილები დაიპყრეს: ნიახახი, ახჩაყალა, ამირახორი, ფანასკერტი, მეორე ახჩაყალა, თალხისა, ლივანა, დადელის მხარე და სხვ. იბრაჰიმ ფეჩევის ცნობით: „ხსენებულ მხარეში დატოვებული იქნა თხუთმეტი ციხე, დანარჩენები მიწასთან იქნა გასწორებული. შემდეგ თორთუმი, თალხისი, ახჩაყალა და ლივანას ხევი განსაზღვრული იქნა როგორც ერთი სასანჯაყო ადგილი. იგი ებოძა ერთ-ერთ ბეგს“.

სულთან სულეიმანი საფრანგეთის მეფე ჰენრიხ II-სადმი გაგზავნილ წერილში ამ ლაშქრობასთან დაკავშირებით წერს: „მოკლედ, მტრისაგან დაპყრობილი 35 ციხიდან 14 მოთხრილ იქნა, დანარჩენ 21 ციხეში ჩაყენებულ იქნა გარნიზონი და სამხედრო მმართველი“. ქვეყანა ორგანიზებულ იქნა საბეგლარბეგოდ და დაიყო 4 სანჯაყად და მთლიანად იგი შეერთებულ იქნა იმპერიასთან.

1549 წლის 1 დეკემბერს სულეიმანმა ანალოგიური შინაარსის წერილი („ფეთჰნამე“ – „გამარჯვებათა წიგნი“) გაუგზავნა ფერდინანდსაც.

თუ სულთნის მიერ საფრანგეთის მეფისადმი გაგზავნილი წერილი გამოიწვევდა მის კმაყოფილებასა და სიხარულს, სრულიად საწინააღმდეგო რეაქცია ექნებოდა მასზე უნგრეთის მეფეს. ცხადია, ეს ნაბიჯი მიზნად ისახავდა ფერდინანდის დაშინებას.

აღმოსავლეთის ფრონტზე მოპოვებული გამარჯვების შემდეგ სულეიმანი კვლავ ევროპის საქმეებით დაინტერესდა.

საერთაშორისო ვითარება ევროპაში ოსმალეთის სასარგებლოდ ვითარდებოდა. 1551 წლის მიწურულისათვის კარლოს V იძულებული იყო გერმანიაში ებრძოლა პროტესტანტების წინააღმდეგ. სულთნის მოკავშირე საფრანგეთის მეფე ჰენრიხ II ელზასში შეიჭრა და სტრასბურგამდე მივიდა. სულეიმან I-მა პროტესტანტებს მანიფესტით მიმართა, რომელშიც იგი აუწყებდა, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა მის კავშირს საფრანგეთთან და მის განზრახვას დაეწყო ლაშქრობა ჰაბსბურგების წინააღმდეგ. 1549 წელს ირანთან ლაშქრობის დამთავრების შემდეგ კიდევ უფრო განმტკიცდა ოსმალეთ-საფრანგეთის ურთიერთობა, 1553 წლის 1 თებერვალს სულე-

იმან I-სა და ჰენრიხ II-ს შორის დაიდო სამოკავშირეო ხელშეკრულება კარლოს V წინააღმდეგ საზღვაო ომის შესახებ. ხელშეკრულებით სულთანი ვალდებულებას იღებდა გადაეცა საფრანგეთისათვის თავისი ფლოტი ორი წლით, რისთვისაც საფრანგეთის მეფეს უნდა გადაეხადა სულთნისათვის 300 ათასი ოქროს ლივრი.

1551 წლიდან ოსმალეთმა ომი განაახლა ავსტრიასთან. 1552 წლის ზაფხულში ოსმალეთის არმიამ დუნაი გადალახა. სულეიმანმა გადაწყვიტა გაეუქმებინა ჰაბსბურგების ხელისუფლება ტრანსილვანიაში და აღედგინა თავისი ძალაუფლება დუნაისპირეთის შუა წელში. ოსმალთა ლაშქრობაში მონაწილეობას იღებდა ყირიმის ხანი თავისი ლაშქრით.

6. სულეიმანის მესამე ლაშქრობა ირანის წინააღმდეგ

ირანისა და საქართველოს პოლიტიკურმა მესვეურებმა გადაწყვიტეს ესარგებლათ ოსმალების ევროპაში ბრძოლით და მის წინააღმდეგ ომი განეახლებინათ. თურქი ისტორიკოსი ი. უზუნჩარშილი წერს: „როცა ოსმალეთი ევროპისა და ხმელთაშუა ზღვის საქმეებით იყო დაკავებული, ისინი შეტევაზე გადმოვიდნენ".

ირანის შაჰმა ქართველებთან ერთად დაიწყო საომარი ოპერაციები ოსმალების წინააღმდეგ. 1553 წელს ირანელებმა გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს და ოსმალებს ბევრი ციხე-ქალაქი წაართვეს. ირანელთა წარმატებებმა საფრთხის წინაშე დააყენა ოსმალეთის გავლენა ქვეყნის ამ რეგიონში. სულეიმანი ადრიანოპოლში იმყოფებოდა, როდესაც მან იმპერიის აღმოსავლეთ საზღვარზე ქართველებისა და ირანელების თავდასხმის ამბავი შეიტყო. სულთანი სასწრაფოდ დედაქალაქში დაბრუნდა და საგანგებო ზომები მიიღო. სულეიმანმა გადაწყვიტა ირანის წინააღმდეგ ახალი ლაშქრობა მოეწყო და პირადად ჩასდგომოდა მას სათავეში.

1553 წლის 28 აგვისტოს სულეიმანმა სტამბოლი დატოვა და ირანის წინააღმდეგ სალაშქროდ გაემგზავრა. 8 ნოემბერს სულთანი ალეპოში ჩავიდა. ზამთრის მოახლოების გამო, მან ლაშქრობა მომავალი წლის გაზაფხულისათვის გადადო და ზამთარი იქ გაატარა.

ამავე დროს სულთანმა გადაწყვიტა ირანისათვის ჩრდილოეთიდანაც დაერტყა და ამ მიზნით ჩრდილოეთ კავკასიის გზა გამოეყენებინა. 1553 წელს სულთან სულეიმანმა კაზიმ-მირზა, შირვანის გამგებელთა გვარიდან, ოსმალთა ლაშქრითურთ, კაფასა და დარუბანდის გავლით, შირვანში გაგზავნა. კაზიმ-მირზას რაზმში იყვნენ იენიჩარები და მხედრები, ხოლო მისი რაზმის საერთო რაოდენობა, რომელიც მონაწილეობას ღებულობდა შირვანში გამართულ ბრძოლებში, ითვლიდა 10.000 თურქს, იენიჩარსა და შირვანელს.

ჩრილოეთ კავკასიის გზით სულთანი აგრეთვე უკავშირდება შუა აზიის გამგებლებს და ცდილობს გამოიყენოს ისინი ირანის წინააღმდეგ საბრძოლველად.

1554 წლის 9 აპრილს სულეიმანმა დატოვა ალეპო და დიარბექირისაკენ გაემართა, სადაც 12 მაისს ჩავიდა. 15 მაისს სულთანმა სამხედრო საბჭო მოიწვია, რომელზედაც განხილულ იქნა ირანთან ომის წარმოების გეგმა. 20 მაისს სულთანმა დიარბექირი დატოვა და ივლისის დამდეგს არზრუმში ჩავიდა, ხოლო იქიდან ოსმალეთის ლაშქარი ირანის საზღვრისაკენ გაემართა.

ოსმალეთის ლაშქარი სწრაფად მიიწევდა წინ. ირანელები, ფაქტობრივად, არავითარ წინააღმდეგობას არ უწევდნენ მტერს, უკან იხევდნენ და გზადაგზა ანადგურებდნენ ყველაფერს.

18 ივლისს ოსმალთა ლაშქარმა ერევანი აიღო. ერევანი და მისი მიდამოები ოსმალებმა საშინლად გაძარცვეს და მიწასთან გაასწორეს. 14 ივლისს ოსმალთა ლაშქარი მდ. არფაჩაისთან მივიდა, შემდგომ მან მდ. არაქსი გადალახა და ყარაბახში შეიჭრა, აქედან – ნახიჭევანში, რომელიც 28 ივლისს აიღო. როდესაც სულეიმანი ნახიჭევანში ჩავიდა, იგი მთლიანად დაცარიელებული იყო, ყველაფერი წაეღოთ და მხოლოდ სახლები დარჩენილიყო და ისიც უმეტესად დანგრეული. რისი წაღება და განადგურება ირანელებმა ვერ მოასწრეს, იმას ოსმალები მისდგნენ. ოსმალები კიდევ უფრო სასტიკად მოიქცნენ: ქალაქები თუ სოფლები სასტიკად ააოხრეს და მიწასთან გაასწორეს.

მართალია, სულეიმანმა ირანის წინააღმდეგ ომში გარკვეულ გამარჯვებებს მიაღწია და ხელთ იგდო ირანის სამფლობელოების დიდი ნაწილი, მაგრამ ეს მხოლოდ მისი ტაქტიკური წარმატება იყო, რადგან მან ვერ შეძლო ირანის მთავარი სამხედრო ძალების განადგურება.

ნახიჭევანში ყოფნისას, ოსმალეთის ლაშქრის რიგები დღითიდღე მცირდებოდა, რადგან ჯარისკაცებს შორის გაჩნდა ავადმყოფობა და მწვავედ იგრძნობოდა სურსათ-სანოვაგის, ფურაჟის და სხვათა ნაკლებობა, ზამთარი კი კარზე იყო მომდგარი. ასეთ ვითარებაში სულთანმა გადაწყვიტა უკან დაბრუნებულიყო თავის ქვეყანაში. სწორედ ამ დროს სულეიმანს აცნობეს, რომ შაჰ თამაზის შვილი, ისმაილი, ქართველების დიდი რაზმით თავს დაესხა ოსმალთა დამხმარე რაზმს, რომელსაც 3.000 აქლემზე დატვირთული სურსათ-სანოვაგე მოჰქონდა სულთნის ლაშქრისათვის, და გაანადგურა იგი. ეს იყო მეტად შემაშფოთებელი ცნობა ოსმალებისათვის, რადგან ისინი ველარ აღიდგენდნენ შიმშილისაგან გამოფიტულ ძალებს. ამ ამბის გაგებისას, სულთანი ისეთმა რისხვამ შეიპყრო, რომ მან დააპირა მიებრუნებინა უკან რაზმები და პირდაპირ წასულიყო ქართველთა ქვეყნისაკენ. სულეიმანს არაფერი აკავებდა, გარდა მოახლოებული ზამთრისა, რომელიც ამ მხარეში, ჩვეულებრივ, ძალიან მკაცრია. ასე, რომ მან უმჯობესად ჩათვალა გამოსაზამთრებლად ანატოლიაში დაბრუნება, ხოლო ქართველებზე შურისძიება მომავალი წლისათვის გადადო.

ნახიჭევანიდან სულთანმა ლაშქარი ლორესაკენ დაძრა, სადაც შაჰ თამაზი იყო გამაგრებული. ლორეს მიდამოებიც მან ცეცხლითა და მახვილით გაანადგურა. მიუხედავად ამისა, სულეიმანმა ვერ შეძლო შაჰის დამარცხება და უკან გაბრუნდა.

შაჰ თამაზი ლორეში გამაგრდა. შაჰმა არა მარტო თავდაცვის მიზნით მიაშურა ლორეს, არამედ იმიტომ, რომ სამხრეთიდან ქართლში შემოსავლელი გზა ჩაეკეტა. ქართლში შაჰის მოქმედება მჭიდროდ იყო დაკავშირებული სულთნის საბრძოლო ოპერაციებთან. მას შემდეგ, რაც სულეიმანმა დატოვა განჯა-ყარაბახი და სომხეთის გავლით არზრუმისაკენ გაემართა, შაჰ თამაზი კონტრშეტევაზე გადავიდა.

შაჰ თამაზმა შაჰვერდი ბასიანში გაგზავნა, რომელიც მან სულთნის მისვლამდე დაარბია. სპარსელებმა დალაშქრეს აგრეთვე დად ელის მხარე და დიდძალი ნადავლი იგდეს ხელთ. შაჰმა ლაშქარი გაგზავნა აგრეთვე ოლთისისაკენ. სპარსელები იქ შეებრძოლენ სინან-ბეგს. მრავალი თურქი მოკლეს, ხოლო სინან-ბეგი დაატყვევეს და შაჰ თამაზთან გაგზავნეს.

შაჰ თამაზი ლორედან დაიძრა და ლუარსაბის წინააღმდეგ საბრძოლველად საბარათიანოში შემოვიდა. იქიდან შაჰი ქართლში გადმოვიდა და გორი აიღო, შემდეგ ატენის ციხეს ალყა შემოარტყა და მოღალატე ქართველების დახმარებით იგი ხელთ იგდო. ატენის ციხის აღების შემდეგ შაჰმა ლუარსაბის დედა და მრავალი ქართველი აზნაური დაატყვევა. ლუარსაბ მეფემ იმერეთს შეაფარა თავი. იმერეთში შესვლა შაჰმა ვერ გაბედა და ლტოლვილი მეფე გადაურჩა შაჰის ძალადობას.

ყოველივე ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, თუ რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა შაჰი ქართლსა და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ოსმალებთან ბრძოლაში და როგორ ცდილობდა იგი საქართველოს ამ ნაწილში თავისი გავლენის გაძლიერებას ოსმალეთთან საზავო მოლაპარაკების წინ. შაჰს კარგად ესმოდა, რომ საზავო მოლაპარაკების დროს საქართველოს საკითხი უმნიშვნელოვანესთაგანი იქნებოდა და მისი გადაწყვეტა ხელს შეუწყობდა საზავო მოლაპარაკების წარმატებით დამთავრებას.

სექტემბრის დამდეგს სულთანი არზრუმში ჩავიდა. 3 სექტემბერს სულთანს აცნობეს საქართველოში შაჰის ლაშქრობის ამბავი. სულეიმანმა სასწრაფოდ შეკრიბა დიდძალი ჯარი; გამოიყო 4.000 იენიჩარი, რუმელიის, ანატოლიისა და ყარამანიის საბეგლარბეგოების ლაშქარი და მის სარდლად დაინიშნა დიდი ვეზირი აჰმედ ფაშა.

9 სექტემბერს, როდესაც ოსმალეთის ლაშქარმა ოლთისს მიაღწია, აჰმედ ფაშამ შეიტყო, რომ სპარსელებმა ოსმალებთან ბრძოლას თავი აარიდეს და უკან გაბრუნდნენ.

21 სექტემბერს აჰმედ ფაშას ლაშქარი არზრუმში დაბრუნდა და სულთნის ჯარს შეუერთდა.

ამ დროს სულეიმანთან შაჰ თამაზის ელჩი მივიდა და მას ზავი სთხოვა.

შაჰის ელჩმა შთააგონა სულთანს, როგორც მუსლიმს, არ ჩაედინა ბოროტება სხვა მუსლიმთა მიმართ, რადგან ეს მათი რჯულის საწინააღმდეგო იქნებოდა. მან ეს ისე მოხდენილად უთხრა სპარსულად, რომელიც სულთანმა შესანიშნავად იცოდა, რომ სულთანს ცრემლები მოადგა თვალებზე. თავისი სიტყვის ბოლოს იგი შეევედრა სულეიმანს დაედო ზავი შაჰ თამაზთან. ეს ვედრება იყო ისეთი მხურვალე, რომ სულეიმანი შეიპყრო სურვილმა იგი შეესრულებინა. მოხუცმა კაცმა (სპარსეთის ელჩმა) უთხრა, რომ აქ მოსვლამდე იგი იყო შაჰ თამაზთან და შეიტყო, რომ სპარსეთის მეფეს სურდა ზავის დადება, თუკი სპარსეთის ავტორიტეტი არ შეილახებოდა. მაგრამ სულთანს ოსმალეთის პრესტიჟის შენარჩუნებისათვის საჭიროდ მიაჩნდა ხელშეკრულებაში რამდენიმე მუხლის შეტანა, რომლითაც შაჰის ავტორიტეტი შელახული იქნებოდა. ბოლოს, შეთანხმდნენ, რომ ზავი დაიდებოდა იმ პირობით, რომ თითოეული მონარქი დაბრუნდებოდა იმ სამფლობელოებში, რომლებსაც ისინი ფლობდნენ ლაშქრობის დასაწყისში, ისე რომ ზავით დაქვემდებარებული და ხარკის გადამხდელი ქვეყანა ხელყოფილი არ იქნებოდა მეორის მიერ. ამრიგად, სულეიმანმა პირობა მისცა მოხუც სპარსელს, რომ არც ამჟამად და არც ზავის დადების შემდეგ ქართველებს არავითარ ზიანს არ მიაყენებდა.

ამ ცნობიდან ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა ის, რომ ირანის ელჩმა, სულეიმანთან საზავო მოლაპარაკებისას, მას პირობა ჩამორთვა, რომ იგი არავითარ ზიანს არ მიაყენებდა ქართველებს.

შაჰი საქართველოს განიხილავდა, როგორც სპარსეთის მოხარკე ქვეყანას და ოსმალეთის ჩარევას ამ ქვეყნის საქმეებში დაუშვებლად თვლიდა. ამრიგად, საქართველოს საკითხი ირან-ოსმალეთის ურთიერთობაში მეტად მწვავედ იყო დასმული. ერთის მხრივ, ირანი და ოსმალეთი შეიარაღებული ძალებით თავს ესხმიან მას და არბევენ საქართველოს ქალაქებსა და ციხეებს, ხოლო, მეორეს მხრივ, ორივე მებრძოლი ქვეყნის მეთაურები ცდილობენ დიპლომატიურ შესაძლებლობათა გამოყენებას საქართველოში თავისი გავლენის გასაძლიერებლად. „როდესაც სულეიმანმა და სპარსეთის ელჩმა საზავო მოლაპარაკებისას გარკვეულ შეთანხმებას მიაღწიეს, მოხუცი სპარსელი დაპირდა, რომ ერთი თვის შემდეგ შაჰ თამაზი გაგზავნიდა სულთანთან ელჩს, ზავის დადების რწმუნებით“.

28 სექტემბერს სულეიმანმა დატოვა არზრუმი და ქ. ამასიისაკენ გაემართა, სადაც 30 ოქტომბერს ჩავიდა და ზამთარი იქ გაატარა.

ამრიგად, სულეიმანსა და ირანის შაჰის ელჩს შორის მიღწეული იქნა ჯენტლმენური (ზეპირი) შეთანხმება, რომ ოსმალეთი არ განაახლებდა ომს ირანის წინააღმდეგ და შაჰი გაგზავნიდა სულთანთან თავის წარმომადგენელს საზავო ხელშეკრულების დადების მიზნით.

7. 1555 წლის ამასიის ზავი

სულთნის ამ ნაბიჯმა დააფიქრა სპარსელები, მათ დაებადათ ეჭვი, რომ ამასიაში დაბანაკებას მოყვებოდა საომარი მოქმედების განახლება გაზაფხულზე. ამ ეჭვს შემდეგი საფუძველი ჰქონდა: ჩვეულებრივ, როდესაც სულთანი საომარი მოქმედების შემდეგ დედაქალაქში არ ბრუნდებოდა და დასაზამთრებლად ანატოლიის რომელიმე ქალაქში რჩებოდა, ასეთ შემთხვევაში, მომავალი წლის გაზაფხულისათვის იგი აახლებდა საომარ მოქმედებას. ასე მოხდა, მაგალითად, 1534-1535 და 1548-1549 წლების ირანის წინააღმდეგ წარმოებულ ომებში.

ამავე დროს, შაჰ თამაზის ლაშქრობამ ქართლში ლუარსაბ მეფის წინააღმდეგ და სამცხე-საათაბაგოში მდგომ ოსმალთა გარნიზონებზე სპარსელთა თავდასხმამ კიდევ უფრო გაამწვავა ირან-ოსმალეთის ურთიერთობა. ამიტომ მოსალოდნელი იყო, რომ მომავალი წლის გაზაფხულისათვის სულთანი განაახლებდა საომარ ოპერაციებს ირანის წინააღმდეგ და ამ ომში მთავარი საკითხი, ისევე როგორც 1549 წელს, საქართველო იქნებოდა. ამას თუ დავუმატებთ იმასაც, რომ შაჰ თამაზისაგან ლტოლვილმა ქართლის მეფემ იმერეთს შეაფარა თავი და იმერეთის მეფემ ბაგრატ III-მ, ირანის შაჰის მუქარის გამო, დახმარებისათვის სულთან სულეიმანს მიმართა, მაშინ სპარსელებს ეს ეჭვი კიდევ უფრო რეალურად უნდა ჩვენებოდა. ამიტომ ირანის შაჰის კარზე არ ჩქარობდნენ სულეიმანთან ელჩის გაგზავნას და სცადეს არაოფიციალური მოლაპარაკების გზით (უფრო დაბალ დონეზე) წინასწარ მოესინჯათ ნიადაგი ამ საკითხის გამოსარკვევად.

ამასთან დაკავშირებით მოიპოვება მეტად საყურადღებო დოკუმენტი. ესაა შაჰ თამაზის დიდმოხელეების სევინდუქ ბეგისა და უსტაჯლუ შაჰ-ყულუ ბენ ჰამზას მიერ გავლენიანი თურქი მოხელის, არზრუმის ბეგლარბეგის აიას ფაშასადმი გაგზავნილი წერილი.

მართალია, ეს წერილი დათარიღებული არ არის, მაგრამ მისი შინაარსის მიხედვით ლ. ფეკეტე ვარაუდობს, რომ იგი დაწერილი უნდა იყოს 1554 წლის აგვისტოს შემდეგ.

ჩვენი დაკვირვებით, ეს წერილი შედგენილი უნდა იყოს ოდნავ უფრო გვიან, სულეიმანის ამასიაში ჩასვლის, ე. ი. 1554 წლის 30 ოქტომბრის, შემდეგ, რადგან წერილში საუბარია, რომ სულეიმანი ამასიაში დასაზამთრებლად ჩავიდა.

სევინდუქ ბეგისა და უსტაჯლუ შაჰ-ყულუ ბენ ჰამზას წერილი არ წარმოადგენს ამბების ჩვეულებრივ თხრობას ან თავაზიან მოკითხვას. ესაა სერიოზულ ტონში დაწერილი დიპლომატიური ნოტა, რომლის მიზანი იყო ომის (1554-1555) ერთ-ერთ გადამწყვეტ ეტაპზე შეექმნა სამშვიდობო განწყობილება ჯერ კიდევ გაურკვეველი საკითხების გადასაწყვეტად. წერილის ძირითად არსს შეადგენს საქართველოს საკითხი. ხოლო მეორეხარისხოვანი პრობლემა, ე. ი. გაქცეული თავადების საქმე, წარმოადგენს საქართველოს საკითხის დაქვემდებარებულ ნაწილს.

წერილში საუბარია 1554 წლის ზაფხულში შაჰ თამაზის ლაშქრობის შესახებ ქართლში ლუარსაბ მეფის წინააღმდეგ. წერილის ავტორები მოითხოვენ მოისპოს ისეთი ვითარება, რომელიც ქართლისა და იმერეთის მეფეებს საშუალებას აძლევს ისარგებლონ ორი მეტოქე მუსლიმური სახელმწიფოს უთანხმოებითა და წინააღმდეგობით და ჩამოაგდონ შუღლი მაჰმადიან სახელმწიფოთა შორის. ისინი უმტკიცებენ ოსმალებს, რომ ქართველები „ისლამის მტრები არიან“ და რომ მათ გამო მუსლიმმა ხალხებმა „არ უნდა დახოცონ ერთმანეთი“.

1555 წლის მარტში ამასიაში ჩავიდა ირანის შაჰის ელჩი ფერუჯ-ზადე ბეგი, რომელსაც შაჰისაგან მიცემული ჰქონდა ოსმალეთთან ზავის დადების რწმუნება. აქვე ჩამოვიდა საფრანგეთის ელჩი მ. კოდინიაკი. იგი აპირებდა ხელი შეეწყო ოსმალეთ-ირანის დაზავებისათვის, რადგან ამის შედეგად საფრანგეთი ოსმალეთისაგან მიიღებდა დახმარებას 1553 წლის ხელშეკრულების საფუძველზე.

სტამბოლში მყოფ უნგრელ დიპლომატებს კარგად ესმოდათ, რომ ოსმალეთ-ირანის სამშვიდობო ხელშეკრულების დადების შემთხვევაში კარგავდნენ შესაძლებლობას, დაზავებოდნენ ოსმალეთს. ამიტომ ისინი ურჩევდნენ ფერდინანდს, წასულიყო კომპრომისზე სულთნის მიმართ და ამ გზით ცდილობდნენ საგრძნობლად დაეჩქარებინათ ოსმალეთ-უნგრეთის დაზავება.

1555 წლის 20 იანვარს სტამბოლში ჩავიდა ა. ბუსბეკი, ფერდინანდის ელჩი. მან ჩაიტანა ახალი ინსტრუქციები, რომლებიც არ აკმაყოფილებდნენ არც ერთ მხარეს. მათი არსი იმაში მდგომარეობდა, რომ ყოველგვარი გზით შეენარჩუნებინათ ტრანსილვანია და დაედოთ ზავი ოსმალეთთან. ამასიაში სულთანს აცნობეს ფერდინანდის ახალი წინადადება. სულთანმა ბრძანა, რომ დაუყოვნებლივ გამოეგზავნათ მასთან უნგრეთის მეფის ელჩი.

7 აპრილს ა. ბუსბეკი, ა. ვარანჩიჩი და ფ. ზაი ამასიაში ჩავიდნენ. ამასიაში ჩასვლის უმალვე უნგრელი დიპლომატები მიიღო დიდმა ვეზირმა აჰმედ ფაშამ, შემდეგ სულთანმა. ბუსბეკის ცნობით, სულთანს ჰქონდა უკმაყოფილო და მკაცრი გამომეტყველება. მისასალმებელი სიტყვის შემდეგ, როდესაც ბუსბეკმა ჰკითხა სულთანს, ცნობს თუ არა ფერდინანდის უფლებას ტრანსილვანიაზე, სულთნის სახე კიდევ უფრო პირქუში შეიქნა და მან გესლიანი ტონით დასძინა: „კარგი“, „კარგი“. ამით დამთავრდა აუდიენცია.

უნგრელი დიპლომატები შეხვდნენ მრავალ გავლენიან პირს, რომელთაც დაპირდნენ გასამრჯელოს ოქროთი, თუ ისინი მოახდენდნენ გავლენას სულთანზე და მიაღწევდნენ საწადელს, მაგრამ ეს ცდები უშედეგოდ დამთავრდა.

ამასიაში უნგრელი დიპლომატები შეხვდნენ საქართველოს სამეფოს წარმომადგენელს, მაგრამ ისინი არ მიუთითებენ, თუ საქართველოს რომელი სამეფოდან იყო იგი და რა იყო მისი იქ ყოფნის მიზანი. ოსმალეთ-ირანის ზავის დადებასთან დაკავშირებით ამასიაში გაიმართა მწვავე დიპლომატიური ჭიდილი საფრანგეთისა და უნგრეთის წარმომადგენლებს შორის. საფრანგეთის ელჩი კოდინიაკი, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, დაინტერესებული იყო ოსმალეთისა და ირანის დაზავებით, ხოლო უნგრელი დიპლომატები, პირიქით. საფრანგეთის ელჩმა გარკვეული წვლილი შეიტანა ოსმალეთ-ირანის დაზავების საქმეში. ირანთან ომის ამ ეტაპზე სულთან სულეიმანს მობეზრდა ძნელი, წარუმატებელი ლაშქრობანი ირანის წინააღმდეგ, რომელიც მოითხოვდა დიდ მატერიალურ რესურსებს. იგი სიამოვნებით იხსენებდა ევროპაში მოპოვებულ გამარჯვებებს და მან გადაწყვიტა ბოლო მოეღო ამ ომისათვის. სულთნის კარზე აღმოსავლეთის პოლიტიკამ დაკარგა აქტუალობა და „გურჯისტანის საკითხი“ აღარ წარმოადგენდა მნიშვნელოვან „სახელმწიფო საკითხს“.

1555 წლის 29 მაისს ამასიაში ოსმალეთსა და ირანს შორის დაიდო ზავი.

ამასიის ზავით დამთავრდა ოსმალეთ-ირანის პირველი ომი, რომელიც თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში მიმდინარეობდა. ამ ზავში აისახა ომის პოლიტიკური და სამხედრო შედეგები ახლო აღმოსავლეთსა და ამიერკავკასიაში.

ამასიის საზავო ხელშეკრულებით ოსმალეთმა და ირანმა ახლო აღმოსავლეთისა და ამიერკავკასიის ქვეყნები ურთიერთ შორის გაინაწილეს. საქართველო და სომხეთი ორად იქნა გაყოფილი. დასავლეთ სომხეთი ერგო ოსმალეთს, ხოლო აღმოსავლეთ სომხეთი – ირანს. ასევე დასავლეთ საქართველო და სამცხე-საათაბაგოს დასავლეთი ნაწილი ერგო ოსმალეთს, ხოლო აღმოსავლეთ საქართველო (ქართლ-კახეთი) და აღმოსავლეთ მესხეთი, ახალციხის ჩათვლით, – ირანს. აზერბაიჯანი ირანს დარჩა, ხოლო არაბეთის ერაყი, ქალაქ ბაღდადითურთ, – ოსმალეთს.

ავსტრიისა და უნგრეთის წარმომადგენლები ბოლო წუთამდე ცდილობდნენ ჩაეშალათ მოლაპარაკება. ისინი არწმუნებდნენ დიდ და გავლენიან ოსმალო მოხელეებს, წარემართათ სულთანი იმ მიმართულებით, რომ დადებულიყო ოსმალეთ-უნგრეთის საზავო ხელშეკრულება. ეჭვს გარეშეა, რომ ფერდინანდის არაშორსმჭვრეტელი პოლიტიკა მისი ქვეყნისათვის საბედისწერო აღმოჩნდა და თავისი სიჯიუტით მან საწინააღმდეგო შედეგს მიაღწია. სულთანმა ამჯობინა ზავი დაედო ირანთან, რათა თავისუფალი მოქმედების საშუალება ჰქონოდა უნგრეთში. უნგრეთის წარმომადგენლებმა, მიუხედავად ყოველგვარი მცდელობისა და აგრეთვე ძვირფასი საჩუქრებისა და ხარკის მიცემისა, რომელსაც ტრანსილვანიის გამო იხდიდნენ, შეძლეს მიეღწიათ მხოლოდ ექვსთვიანი ზავისათვის.

ოსმალეთ-ირანის ომმა დროებით ჩამოაშორა სულეიმანის ყურადღება ევროპის საქმეებისაგან. ამასიის ზავის დადების შემდეგ კი ევროპაში კვლავ გაძლიერდა ოსმალეთის საფრთხე.

ზავის დადებისთანავე, 1555 წლის 31 მაისს, სულეიმანმა ფერდინანდს გაუგზავნა წერილი, რომლითაც მოითხოვდა იანოშ ჟიგმონდის აღდგენას მემკვიდრეობით უფლებებში. ფერდინანდი იძულებული გახდა დაეკმაყოფილებინა სულთნის მოთხოვნა და უარი ეთქვა ტრანსილვანიის სამთავროს გამგებლობაზე. 1556 წლის 22 ოქტომბერს იანოშ ჟიგმონდი საზეიმო ვითარებაში დაბრუნდა ტრანსილვანიაში.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ჯერ კიდევ 1553 წელს სულეიმანსა და საფრანგეთის მეფეს შორის დაიდო სამოკავშირეო ხელშეკრულება საზღვაო ომის შესახებ იმპერატორ კარლოს V-ის წინააღმდეგ. ხელშეკრულებით სულთანი იღებდა ვალდებულებას აღმოეჩინა დახმარება საფრანგეთისათვის თავისი ფლოტით კარლოს V-ის წინააღმდეგ საბრძოლველად, რისთვისაც საფრანგეთის მეფეს უნდა გადაეხადა 300 ათასი ოქროს ლიერი.

მაგრამ სულთანი ამ ვალდებულების შესრულებისაგან თავს იკავებდა ირანთან ომის გამო. ამასიის ზავის დადებისთანავე, 1555 წლის 26 ივნისს, სულეიმანმა ოსმალეთის ფლოტი გაგზავნა ხმელთაშუა ზღვაში საფრანგეთისათვის დახმარების აღმოჩენის მიზნით.

8. ოსმალთა დაპყრობები აფრიკაში

სელიმ I-ის დროს, ეგვიპტისა და ჰიჯაზის დაპყრობის შემდეგ, ოსმალეთის სახელმწიფო ხაზინამ მიიღო მნიშვნელოვანი შემოსავალი იმ სავაჭრო გზებიდან, რომლებიც გადიოდა ეგვიპტის ხმელთაშუა ზღვის ნავსადგურებიდან და სუეცის ყელის რეგიონიდან, წითელი ზღვით – ინდოეთისაკენ. 1529 წელს სულეიმანმა სცადა

გაუყვანა სუეცის არხი, რათა უშუალო უმოკლესი საზღვაო გზით დაკავშირებოდა ინდოეთს. არხი იმ ადგილას უნდა გაყვანილიყო, სადაც 785 წლამდე არსებული არხი მოქმედებდა, რომელიც ხალიფა ალ-მანსურის ბრძანებით მიწით ამოავსეს. სუეცის არხის სამუშაოები დაწყებული იყო, მაგრამ მალე შეჩერებულ იქნა. სულეიმანმა გადაწყვიტა მნიშვნელოვნად გაეზარდა წითელ ზღვაზე განლაგებული თავისი ფლოტი და ამით წინ აღდგომოდა პორტუგალიელებს.

პორტუგალიელები, რომლებმაც ფეხი მოიკიდეს ინდოეთის დასავლეთ სანაპიროს რიგ პუნქტებში, ყოველნაირად ხელს უშლიდნენ წითელი ზღვით ვაჭრობას, რის შედეგად ოსმალეთის სახელმწიფო განიცდიდა საგრძნობ ზარალს.

1535 წელს სულეიმანმა ისარგებლა გუჯარეთის სულთნის მიმართვით აღმოეჩინა მისთვის დახმარება პორტუგალიელების წინააღმდეგ ბრძოლაში. სულეიმანი შეუდგა მზადებას ინდოეთში ექსპედიციის გასაგზავნად. სასწრაფოდ დაიწყეს გემების მშენებლობა. ამ მიზნით გემთმშენებლობის სპეციალისტები მოწვეული იყვნენ იტალიიდან.

1538 წლის 13 ივნისს ოსმალეთის ფლოტი, შემდგარი 76 სამხედრო და 100 სატრანსპორტო გემისაგან და 20 ათასი ჯარისკაცისაგან, გავიდა სუეციდან და ადენისაკენ გაემართა. ოსმალებმა ხელთ იგდეს ადენი, იქიდან გაემართნენ ინდოეთისაკენ და ღუზა ჩაუშვეს კ. დიუზე. ამ დროისათვის გუჯარეთის სულთანი, რომელიც სულეიმანს დახმარებას თხოვდა, ცოცხალი აღარ იყო. იგი დაიღუპა პორტუგალიელებთან ბრძოლაში, ხოლო ახალი სულთანი კი პორტუგალიელების მიერ იყო დასმული. 20 დღის ალყის შემდეგ ოსმალებმა ვერ შეძლეს კ. დიუს აღება და უკან გაბრუნდნენ. გზაზე ოსმალთა ჯარები გადასხმულ იქნა ნავსადგურ მოკაში და შეუდგნენ იემენის დაპყრობას და 1539 წელს დაარსებულ იქნა იემენის ეიალეთი. ამგვარად, ინდოეთის ექსპედიციის ერთ-ერთი შედეგი იყო იემენის დაპყრობა.

ოსმალეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში ალჟირის შესვლის შემდეგ, მისმა გამგებელმა ჰაირედინ ბარბაროსამ კიდევ უფრო გააძლიერა თავდასხმები სავაჭრო გემებზე. თანდათანობით ჰაირედინ ბარბაროსა იმდენად გაძლიერდა, რომ აღარ კმაყოფილდებოდა მხოლოდ მეკობრეობით და შეუდგა ხმელთაშუა ზღვაზე მდებარე კუნძულების დაპყრობას.

1537-1539 წლებში ოსმალეთის ფლოტმა, ჰაირედინ ბარბაროსას სარდლობით, დაარბია და ხარკი დაადო ადრიატიკის ზღვაზე მდებარე 20-ზე მეტ კუნძულს, რომელიც ეკუთვნოდა ვენეციას. ოსმალებმა აგრეთვე დაარბიეს და გაძარცვეს დალმაციის ქალაქები და სოფლები. 1535-1540 წლების ომის შედეგად, ოსმალებმა ხელთ იგდეს დალმაციის ზოგიერთი ქალაქი და ვენეციელები იძულებული გახდნენ გადაეხადათ სულთნისათვის დიდი ფულადი კონტრიბუცია.

1547-1554 წლებში ოსმალებსა და პორტუგალიელების შორის ხშირად ხდებოდა შეტაკებები, ოსმალები თავს ესხმოდნენ არბევდნენ და ძარცვავდნენ პორტუგალიელების სავაჭრო ფაქტორიებს. 1552 წელს 30 გემისაგან შემდგარი ოსმალეთის ესკადრა გაემართა სუეციდან ომანის ნაპირებისაკენ. ორი კვირის ალყის შემდეგ ოსმალებმა ხელთ იგდეს მასკატი, პორტუგალიელების ერთ-ერთი მთავარი სიმაგრე. მაგრამ 1554 წლის აგვისტოში მასკატის მახლობლად პორტუგალიელებმა განაადგურეს ოსმალეთის ესკადრა. ამით დამთავრდა ამ რეგიონში ოსმალთა თარეში.

1555 წელს ოსმალები შეიჭრენ სუდანში და 1557 წლისათვის მათ შეძლეს ამ ქვეყნის დამორჩილება; შემდეგ ოსმალებმა მოახდინეს წითელი ზღვის აფრიკის სანაპიროს ოკუპაცია.

1558-1559 წლებში ოსმალებმა რამდენჯერმე მოაწყეს თავდასხმა ეთიოპიის მიწა-წყალზე და თავიანთი კონტროლი დაამყარეს ჩრდილოეთ ერიტრეაზე. 1572-1589 წლებში წარმოებდა ოსმალეთ-ეთიოპიის ომი, რომელიც გარდამავალი უპირატესო-

ბით მიმდინარეობდა და რომელმაც არ მოუტანა ოსმალეთს ახალი ტერიტორიული გაფართოება.

XVI საუკუნის 30-იანი წლებიდან იწყება ბრძოლა ტუნისის ხელში ჩაგდებისათვის. 1534 წლის ზაფხულში ოსმალეთის ესკადრა, რომელიც 80 გემისა და 8 ათასი მებრძოლისაგან შედგებოდა, ჰაირედინ ბარბაროსას სარდლობით მიადგა ქალაქ ტუნისს და მცირე შეტაკების შემდეგ ქალაქი აღებულ იქნა. ტუნისის სხვა ქალაქები უბრძოლველად დანებდნენ ოსმალებს. ოსმალებმა ტუნისის რიგ ქალაქებში თავიანთი გარნიზონები ჩააყენეს. ადგილობრივი მოსახლეობა თანდათანობით იწყებს ბრძოლას ოკუპანტების წინააღმდეგ. ამავე დროს მათ წინააღმდეგ გამოვიდნენ ბედუინთა ტომები, მაგრამ ოსმალებმა შეძლეს მათი დამორჩილება და მათაც აღიარეს ოსმალთა ხელისუფლება.

სწორედ ამ დროს ტუნისის საქმეებში ჩაერია კარლოს V. მან გაგზავნა ტუნისის ნაპირებისაკენ 400 გემი და 30-ათასიანი არმია. 1535 წლის ივლისში კარლოს V-მ დაამარცხა თურქები და 21 ივლისს დაიკავა ტუნისი. ესპანელებმა სასტიკად გაძარცვეს ქალაქი და ათასობით ტუნისელი მონობაში გაყიდეს. დედაქალაქის აღების შემდეგ ესპანელებმა დაიკავეს ჩრდილო-აღმოსავლეთ ტუნისი და მათ შორის ქალაქი ბიზერტა. კარლოს V-ის მიერ ტუნისის დაპყრობა იყო მისი სამხედრო დიდების ზენიტი. მას ადარებენ სციპიონ აფრიკელის სამხედრო წარმატებებს. მისმა გამარჯვებამ ტუნისში დიდი გამოძახილი ჰპოვა დასავლეთ ევროპაში. ჰაფსიდის სულთანმა აღიარა თავისი თავი ესპანეთის მეფის ვასალად და იკისრა ყოველწლიურად ეხადა 12 ათასი დუკატი. 1535 წლის 15 აგვისტოს კარლოს V-მ დატოვა ტუნისი, მაგრამ ესპანეთსა და ოსმალეთს შორის ბრძოლა გრძელდებოდა. 1550 წელს ოსმალებმა ხელთ იგდეს ქალაქი ტრიპოლი ლიბიაში, მალე მთელი ტრიპოლიტანია მათ ხელში გადავიდა და შეიქმნა საფრთხე ოსმალთა ბატონობის აღდგენისა ტუნისში.

9. 1536 წლის საფრანგეთ-ოსმალეთის პირველი კაპიტულაცია

სულეიმან I ევროპაში ჰეგემონობისათვის ომს აწარმოებდა საღვთო რომის იმპერატორის კარლოს V-ის წინააღმდეგ. იმპერატორს ებრძოდა აგრეთვე საფრანგეთი. საერთო მტერთან – კარლოს V-სთან ბრძოლის ნიადაგზე მოხდა საფრანგეთ-ოსმალეთის დაახლოება. მაგრამ საფრანგეთს სამხედრო მიზნების გარდა ამოძრავებდა სავაჭრო-ეკონომიკური ინტერესებიც. ოსმალეთის იმპერიის ბუნებრივი რესურსები და მისი ბაზრის ხელში ჩაგდება მეტად ხელსაყრელი იყო ფრანგი ვაჭრებისათვის.

საფრანგეთ-ოსმალეთის დაახლოება დაიწყო 1508 წლიდან, როდესაც ბაიზიად II-მ საფრანგეთის კომერსანტებს ოსმალეთის ტერიტორიაზე თავისუფლად ვაჭრობის ფირმანი უბოძა.

სელიმ I-მა 1517 წელს და სულეიმანმა 1528 წელს დაადასტურეს წინანდელი სულთნების მიერ ფრანგი ვაჭრებისათვის ბოძებული შეღავათები.

1525 წელს, როდესაც საფრანგეთის მეფე ფრანცისკო I კარლოს V-ის წინააღმდეგ ბრძოლაში დამარცხდა და იმპერატორს ტყვედ ჩაუვარდა, მან სულეიმანს ელჩი გაუგზავნა და დახმარება სთხოვა, მაგრამ ელჩმა სტამბოლში ჩასვლა ვერ შეძლო, ის დააკავეს.

1534 წელს საფრანგეთის მეფემ ფრანცისკო I-მა სულეიმანთან გაგზავნა ელჩი ჟან დე ლაფორე. მას დავალებული ჰქონდა დაედო კავშირი სულთანთან კარლოს V-ის წინააღმდეგ საბრძოლველად. ამავე დროს დე ლაფორეს უნდა ეთხოვა სულთნისათვის ფინანსური დახმარება – ერთი მილიონი ოქროს ლივრის ოდენობით, ხოლო

ფრანგი ვაჭრებისათვის მიენიჭებინათ გარკვეული პრივილეგიები და შეღავათები ოსმალეთის ტერიტორიაზე ვაჭრობის საქმეში. მოლაპარაკება წარმატებით დამთავრდა. დე ლაფორემ მიიღო ყველაფერი, რაც სურდა, გარდა ფულისა.

1536 წელს საფრანგეთსა და ოსმალეთს შორის დაიდო ხელშეკრულება „მშვიდობის, მეგობრობისა და ვაჭრობის“ შესახებ. ამ ხელშეკრულებამ შემდგომ მიიღო „კაპიტულაციის“ სახელწოდება (ლათინურად “capitula” ნიშნავს ხელშეკრულების მუხლს, პარაგრაფს, აქედან მომდინარეობს ფრანგული “capitulation”). ხელშეკრულება შედგებოდა მუხლებისაგან, ე. ი. კაპიტულაციებისაგან. საფრანგეთსა და ოსმალეთს შორის დადებული ხელშეკრულება (კაპიტულაცია) შემდგომში გახდა ნიმუში ამ ტიპის ხელშეკრულებისა, რომელსაც სულთანი უბოძებდა ევროპის სახელმწიფოებს.

ოსმალეთს, უპირველეს ყოვლისა, აინტერესებდა ამ ხელშეკრულების საიდუმლო ნაწილი, რომელსაც მისთვის უნდა უზრუნველეყო საფრანგეთის დახმარება კარლოს V-ის წინააღმდეგ ომში. საფრანგეთი, თავის მხრივ, უაღრესად იყო დაინტერესებული ოსმალეთის შეტევით ავსტრიაზე, რაც ავსტრიასა და ესპანეთს აიძულებდა შეესუსტებინათ თავიანთი ძალები საფრანგეთის წინააღმდეგ ბრძოლაში.

1536 წლის ხელშეკრულება საფრანგეთისათვის მეტად ხელსაყრელი იყო სავაჭრო-ეკონომიკური თვალსაზრისით. მან საფრანგეთს საშუალება მისცა ოსმალეთის მთელი ვაჭრობა ევროპის ქვეყნებთან თავის მონოპოლიად გაეხადა. ხელშეკრულებით ფრანგ ვაჭრებს ოსმალეთის ტერიტორიაზე ეძლეოდათ სხვადასხვა პრივილეგიები და სავაჭრო შეღავათები. მაგალითად, ფრანგი ვაჭრები გადაიხდიდნენ იმდენსავე საბაჟო გადასახადს, რამდენსაც იხდიდნენ თურქი ქვეშევრდომები. მეტად მნიშვნელოვანი იყო ის მუხლიც, რომ ფრანგი ვაჭრები არ დაექვემდებარებოდნენ მუსლიმურ სასამართლოს და მათ მიმართ სარჩელს საფრანგეთის კონსული განიხილავდა. კონსტანტინოპოლსა და კაიროში უნდა გახსნილიყო საფრანგეთის საკონსულოები, რომლებიც დაიცავდნენ ფრანგი ვაჭრების ინტერესებს. ევროპის ვაჭრებს უფლება მიეცათ საფრანგეთის დროშის ქვეშ ემოგზაურათ და ევაჭრათ ოსმალეთის ტერიტორიაზე.

პირველი კაპიტულაციის მნიშვნელობა განისაზღვრება არა მარტო ფრანგებისათვის შექმნილი განსაკუთრებული რეჟიმით, არამედ საზოგადოდ უცხო სახელმწიფოს პროტექტორატის იდეითაც, რომელსაც იგი შეიცავდა. იმ დროს კაპიტულაცია ჯერ კიდევ არ ატარებდა არათანასწორი ხელშეკრულების ხასიათს. იგი გამომდინარეობდა სულთნის სუვერენული ნება-სურვილისაგან და მას ნებისმიერ დროს შეეძლო მისი გაუქმება. არსებითად, სავაჭრო პრივილეგიები უცხოელებისათვის იმ პერიოდში, როდესაც არ არსებობდა საბაჟო პროტექციონიზმი, არ ეწინააღმდეგებოდა ოსმალეთის იმპერიის სახელმწიფო ინტერესებს. იმ დროს თურქები ვაჭრობას არაპრესტიჟულ პროფესიად თვლიდნენ. ოსმალეთში ვაჭართა უმრავლესობას შეადგენდნენ ბერძნები, ებრაელები, სომხები და სხვ.

დროთა განმავლობაში, როდესაც კაპიტულაციები გადაიქცა მუდმივ ვალდებულებად, ევროპელებმა ოსმალეთში შექმნეს მეტად აუტანელი და დამამცირებელი „კაპიტულაციების რეჟიმი“, რომელიც აბრკოლებდა ადგილობრივი სახალხო მეურნეობის განვითარებას, დაბალი საიმპორტო ბაჟებით, უცხოელთა პირადი ექსტერიტორიალობით, საკონსულო სასამართლოებითა და სხვ. ერთი სიტყვით, კაპიტულაციები დროთა განმავლობაში გადაიქცა ოსმალეთის ეკონომიკური დაკაბალების იარაღად.

გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოება: ევროპის სახელმწიფოებთან ხელშეკრულების დადების დროს ოსმალეთი გამოდიოდა როგორც თანასწორი მხარე, ზოგჯერ კი კარნახობდა თავის პირობებს. ოსმალო სულთნები, რომლებიც ევროპელებს კაპიტულაციებს უბოძებდნენ, ამას მიიჩნევდნენ უდიდეს წყალობად თავისი მეგობრული დამოკიდებულებისა ევროპის ამა თუ იმ მონარქისადმი. და, რა თქმა უნდა,

არც ერთ სულთანს და ოსმალეთის სახელმწიფო მოღვაწეს იმ დროს აზრადაც არ მოსდიოდა, რომ ეს მათი ქმედება, კაპიტულაციების ბოძება, დროთა განმავლობაში გადაიქცეოდა ოსმალეთის სახელმწიფოს დაკაბალების ერთ-ერთ მთავარ ბერკეტად.

10. სულეიმან I და მისი საკანონმდებლო საქმიანობა

1566 წელს უნგრეთში მორიგი ლაშქრობის დროს სულეიმანი 73 წლის ასაკში მოულოდნელად გარდაიცვალა. იგი იყო გამოჩენილი პიროვნება, დიდი მხედართმთავარი და პოლიტიკოსი. პირადად ხელმძღვანელობდა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკას და სათავეში ედგა მრავალრიცხოვან ლაშქრობებს. მისი უშუალო მონაწილეობით შემუშავებულ იქნა სხვადასხვა კანონმდებლობანი. მის დროს აღმავლობას მიაღწია ოსმალეთის კულტურამ. სულეიმანი მფარველობდა პოეტებს, მწერლებს, მხატვრებს, ხუროთმოძღვრებს, თვითონაც წერდა ლექსებს, იცოდა აღმოსავლური ენები. მისი მეფობის ხანაში ოსმალეთმა მიაღწია თავისი პოლიტიკური და ეკონომიკური ძლიერების ზენიტს. ამასთანავე სულეიმანს ჰქონდა დესპოტისათვის დამახასიათებელი ყველა თვისება: დაუყოვნებლივ სპობდა ყველას, ვისაც კი ეჭვის თვალით შეხედავდა. მისი ბრძანებით მოკლულ იქნა მისი შვილი ბაიაზიდი, მის თვალწინ მოკლეს მისი საყვარელი შვილი მუსტაფა, ორივენი სულეიმანის ცოლის როქსოლანას მსხვერპლნი შეიქნენ. როქსოლანა ცდილობდა გზიდან ჩამოცილებინა ყველა ის, ვინც ხელს შეუშლიდა მისი შვილის სელიმის გამეფებას. სულეიმანის ბრძანებით, სიკვდილით იქნა დასჯილი, აგრეთვე, დიდი ვეზირი იბრაჰიმ ფაშა, რომელსაც სულთანმა მიანიჭა დიდი უფლებები, ხოლო შემდგომ მასში დაინახა საშიში კონკურენტი. რაც დრო გადიოდა, სულეიმანი უფრო ნაკლებად ენდობოდა თავის ახლობლებს. პირადი დაცვის მიზნით მან შექმნა სასახლის ახალი დაცვა – ბოსტანჯიების სახით, რადგან აღარ ენდობოდა იენიჩარებს.

სულეიმანი ეწეოდა საკანონმდებლო საქმიანობას. 1566 წელს მის მიერ გამოცემული ყველა კანონი მუჰამედ ჩელებიმ შეკრიბა და ცალკე კრებულად გამოსცა „სულეიმანის კანონთა წიგნის“ სახელწოდებით. ეს იყო ოსმალეთის სამხედრო-ფეოდალური სახელმწიფოს კოდექსი. სულეიმანის მიერ შემუშავებულ კანონმდებლობებში დადგენილია ოსმალური მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის წესები, ფეოდალთა და გლეხთა უფლება-მოვალეობანი და სხვ. მაგალითად, სულეიმანის კოდექსში დადგენილია ჩიფთლიქის (საკომლოს) ფართობი, მიწის ხარისხის შესაბამისად. კანონი უკრძალავდა ლენის მფლობელ სიფაჰიებს თავისი ხასა ჩიფთლიქის ფართობი გაეზარდათ გლეხთა მიწის ხარჯზე. კოდექსის მიხედვით, ფეოდალის ხასა ჩიფთლიქის ფართობი არ უნდა ყოფილიყო გლეხის ჩიფთლიქზე მეტი.

1530 წლის სულთნის ბრძანების მიხედვით, ბეგლარბეგებს ჩამოერთვათ თიმარის გაცემის უფლება. ამიერიდან ბერათს სულთნის კარი იძლეოდა, გამონაკლისს შეადგენდა მხოლოდ მცირე თიმარები, რომელთა შემოსავალი 3.000 ახჩას არ აღემატებოდა. სულეიმანის მიერ გაუქმებულ იქნა ის კანონმდებლობები, რომელთა მიხედვითაც წინარე პერიოდში მოსახლეობის დიდი ნაწილი სარგებლობდა გარკვეული პრივილეგიებითა და შეღავათებით.

სულეიმანის დროს შემუშავებულ იქნა ცალკეული სანჯაყების (პროვინციების) კანუნ-ნამეები, მათში ძირითად კანონდებლობებთან ერთად შეტანილი იყო ცალკეული პროვინციებისათვის დამახასიათებელი ადგილობრივი თავისებურებანი.

სულეიმანის დროს ოსმალეთში ძალზე მომრავლდა მოიჯარე გლეხების – „ორთაჭიების" რაოდენობა, ე. ი. იმ გლეხებისა, რომელთაც არ გააჩნდათ საკუთარი მიწის ნაკვეთი და იჯარით იღებდნენ ფეოდალისაგან მიწას დასამუშავებლად. სულეიმანის კანონმდებლობით, ასეთი კატეგორიის გლეხებისათვის მიწათსარგებლობასთან დაკავშირებით სათანადო მუხლები იყო შემუშავებული.

ფეოდალების მიერ გლეხების მიმაგრება მიწაზე ასახულია სულეიმანის კოდექსში. ფეოდალებს უფლება ჰქონდათ ძალით დაებრუნებინათ გაქცეული გლეხები თავიანთ სამფლობელოებში. კერძოდ, სულეიმანის კანონმდებლობით, ფეოდალებს უფლება ჰქონდათ დაებრუნებინათ გაქცეული გლეხები, თუ ეს უკანასკნელნი ახალ ადგილზე ცხოვრობდნენ 15 წელზე ნაკლებს, ხოლო ქალაქში – 20 წელზე ნაკლებს. ეს დადგენილება არ ვრცელდებოდა სტამბოლში დამკვიდრებულ გლეხებზე.

სულეიმანის დროს დამყარდა მჭიდრო კავშირი სულთნის ხელისუფლებასა და სასულიერო წოდებას შორის. შეიხ ულ-ისლამ აბუსუდის მიერ გამოცემულ ფეთვაში, შარიათის ნორმების საფუძველზე დასაბუთებულია იმპერიის მთავარი ფეოდალური ინსტიტუტების არსებობის კანონიერება.

სულეიმანის მიერ შემუშავებული კანონმდებლობა მოქმედებდა საუკუნეთა განმავლობაში და მხოლოდ XIX საუკუნეში თანზიმათის რეფორმების დროს მოხდა მასში დამატებითი ცვლილებების შეტანა.

11. ოსმალეთის შეიარაღებული ძალები, იენიჩართა კორპუსი

ოსმალეთის შეირაღებული ძალები ორი ძირითადი ნაწილისაგან შედგებოდა:

1. ფეოდალური ლაშქარი, რომელიც მხოლოდ ომის შემთხვევაში იკრიბებოდა. მოლაშქრეებს ლენის მფლობელები ინახავდნენ, წვრთნიდნენ და მათვე გამოყავდათ სალაშქროდ. ლაშქარი ბეგლარბეგისა და სანჯაყბეგის დროშის ქვეშ იბრძოდა. მოლაშქრეები მხედრები, ცხენოსნები იყვნენ. სულეიმანის დროს ფეოდალური ლაშქრის რაოდენობამ მიაღწია 130 ათასს. აქედან 80 ათასი გამოჰყავდათ რუმელიიდან, ხოლო აზიის სამფლობელოებიდან – 50 ათასი.

2. სულთნის ჯამაგირზე მყოფი მუდმივი ჯარი. ეს ჯარი სულთნის კმაყოფაზე იმყოფებოდა, ამიტომ ჯარისკაცები სულთნის შვილებად, მის ყმებად ითვლებოდნენ და მათ ქაფიკულუს ანუ სულთნის კარის მონების ჯარს უწოდებდნენ. ქაფიკულუს შემადგენლობაში რამდენიმე სახეობის ჯარი იყო. ამ კატეგორიას განეკუთვნებოდა იენიჩართა კორპუსი, თოფჩუები, სილაჰდარები, ჯებეჯიები და სხვ.

თოფჩუ – მეზარბაზნე ორ მთავარ კატეგორიად იყოფოდა: 1. თოფჩიხანეში მომუშავე, ზარბაზნების ჩამომსხმელი თოფჩიები. 2. თოფჩიები, რომლებიც ზარბაზნებს ისროდნენ. სულეიმანის დროს 1.204 თოფჩუ მსახურობდა, ხოლო ოსმალეთის არმია 300 ზარბაზანს ითვლიდა.

სილაჰდარები – რეგულარული ცხენოსანი ჯარის ნაწილი (ბოლუქი) – აღლუმის დროს უშუალოდ სულთანს მიჰყვებოდა, ლაშქრობისას წინ მიუძღოდა მას და გზას უკაფავდა. ეს ბოლუქი 260 ნაწილად იყოფოდა და თითო ნაწილში 20-30 კაცი იყო. სილაჰდარების მეთაური სილაჰდარბაში სულთნის დიდი ნდობით სარგებლობდა.

რეგულარული ჯარის შემდეგ კატეგორიას შეადგენდნენ ჯებეჯიები-მეაბჯრეები, რომელნიც ძირითად სამეურნეო საქმიანობას ეწეოდნენ, ზოგი იარაღს ამზადებდა, სხვები იცავდნენ ამ იარაღს. მათვე ევალებოდა იარაღის მიტანა ლაშქარში და მისი განაწილება. XVII საუკუნეში ჯებეჯიების რიცხვი 78 ათას კაცს შეადგენდა.

სამხედრო საკარგავების (ლენების) ხარჯზე შედგენილი იყო ოსმალეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტის დიდი ნაწილი. ოსმალეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტის სარდალი იყო ქაფუდან ფაშა. მის გამგებლობაში იყო აგრეთვე სავაჭრო ფლოტი. ქაფუდან ფაშას გამგებლობაში იმყოფებოდა ეგეოსის ზღვის სანაპიროზე დაარსებული ეიალეთი. ქაფუდან ფაშას ევალებოდა ეიალეთის შემოსავლის ხარჯზე აეგო სამხედრო ფლოტი და დამხმარე ხომალდები და საზღვაო ბრძოლებში მიეღო მონაწილეობა. ხოლო ამ ეიალეთის მხედრებს გემებზე მეზღვაურებად უნდა ემსახურათ. ოსმალეთის ფლოტი 300-ზე მეტ სამხედრო გემს ითვლიდა.

სულეიმანი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა იენიჩართა კორპუსს. იენიჩართა კორპუსი იყო რეგულარული, კარგად გაწვრთნილი და მუსლიმური ფანატიზმის სულისკვეთებით გამსჭვალული ქვეითი ჯარი. იგი დაარსდა მურად I-ის დროს 1361 წელს. მისი დაკომპლექტება თავდაპირველად ხდებოდა ტყვედ წაყვანილი ახალგაზრდებისაგან. შემდეგ ჩამოყალიბდა „დევშირმეს" ინსტიტუტი და დაიწყეს დაპყრობილი ქვეყნების ქრისტიანი ბიჭების ძალდატანებით წაყვანა. მათ მიაღებინებდნენ ისლამს და ფანატიკური სულისკვეთებით ზრდიდნენ. იენიჩართა კორპუსი სამი ძირითადი ნაწილისაგან შედგებოდა: 1. აღა ბოლუქლერი – 61 ორთასაგან (ასეული) შედგებოდა, ისინი უშუალოდ იენიჩართა აღას განკარგულებაში იმყოფებოდნენ; 2. ჯემაათ ორთალარი – ყველაზე ძველი სახეობა იყო და 101 ორთასაგან შედგებოდა; 3. სეკბანები – მეჰმედ II-ის დროს შეიქმნა და 34 ორთასაგან შედგებოდა. იენიჩართა კორპუსი გახდა ძირითადი ძალა, რომელსაც ეყრდნობოდნენ სულთნები როგორც დაპყრობითი ომების დროს, ისე ქვეყნის შიგნით წესრიგის დასამყარებლად.

სულეიმანის დროს გამოიცა იენიჩართა კორპუსის წესდება. იენიჩართა რაოდენობა გაზრდილი იქნა 20 ათას ჯარისკაცამდე. იენიჩარები, დამოუკიდებლად იმისა, თუ რომელ რაზმს (ორთას) ეკუთვნოდნენ, დაჰყვეს სამ კატეგორიად (იენიჩართა კორპუსი შედგებოდა 196 ბოლუქისაგან). პირველ და ყველაზე მრავალრიცხოვან ჯგუფს ეკუთვნოდნენ იენიჩარები, რომლებიც იმყოფებოდნენ ნამდვილ სამხედრო სამსახურში. ისინი ღებულობდნენ 3-დან 7 ახჩამდე დღეში. მეორე კატეგორია შედგებოდა დამსახურებული ვეტერანებისაგან, რომლებიც დღეში ღებულობდნენ 9-დან 12 ახჩამდე. მესამე კატეგორია შედგებოდა ბრძოლაში დაჭრილი ინვალიდებისაგან (როგორც ჯარისკაცების, ისე მეთაურებისაგან), მათი ყოველდღიური ხელფასი უდრიდა 30-დან 20 ახჩამდე. მეორე და მესამე კატეგორიის იენიჩარებს უფლება ჰქონდათ ცოლი შეერთოთ და სამხედრო მოვალეობისაგან თავისუფალ დროს სხვადასხვა ხელობისათვის მოეკიდათ ხელი. სულეიმანამდე იენიჩარები, როგორც რელიგიური ძმობის „ბექთაშიების" წევრები, უქორწინობის პირობას იცავდნენ. იენიჩართა კარგმა მატერიალურმა მდგომარეობამ დიდად აამაღლა მათი ავტორიტეტი მოსახლეობის თვალში, ყველასათვის სასახელოდ გადაიქცა ამ პრივილეგირებულ და კარგ ხელფასიან კორპუსში მოხვედრა, ან მასთან დანათესავება. იენიჩარები, რომლებიც რაიმე ხელობას მისდევდნენ, გადასახადებისაგან თავისუფალი იყვნენ, მაგრამ ისინი ჰკარგავდნენ ომისადმი ხალისს. ამან დიდი როლი ითამაშა იენიჩარების ბრძოლისუნარიანობის დაქვეითებაში, რაც თანდათანობით ვლინდებოდა.

სულეიმან I-ის დროს ოსმალეთის შეიარაღებული ძალები 250 ათას კაცს ითვლიდა და ევროპაში სამხედრო თვალსაზრისით უძლიერესი იყო.

12. სახელმწიფოს მართვა-გამგებლობა. დივანი ჰუმაიუნი

ოსმალეთის სახელმწიფოს მართვა-გამგებლობა და მისი სათანადო ინსტიტუტები ძირითადად ჩამოყალიბდა მეჰმედ II ფათიჰის დროს.

ოსმალეთის სახელმწიფო იყო თვითმპყრობელური სამხედრო-დესპოტური აბსოლუტური მონარქია, რომლის სათავეშიც სულთანი იდგა. სულთნის (მისი სხვა ტიტულებია – ხანი, ხაკანი, ფადიშაჰი, ხონთქარი) ძალაუფლება სრულიად შეუზღუდველი იყო. მას შეეძლო თავისი სურვილისამებრ არა მარტო დაენიშნა და გადაეყენებინა ესა თუ ის დიდმოხელე, არამედ სიკვდილითაც კი დაესაჯა იგი. სულთანი იყო არა მარტო უმაღლესი საერო ხელისუფალი, არამედ სასულიეროც – სუნიტთა რელიგიური მეთაური „მართლმორწმუნეთა ემირი“, „ემირულ-მუმინინი“, შემდგომში მან მიითვისა ხალიფას ტიტულიც.

სულთანი იყო, აგრეთვე, ისლამური ლაშქრის მხედართმთავარი, რომელიც მოწოდებული იყო ეწარმოებინა „საღვთო ომი ურჯულოთა წინააღმდეგ“, დაემორჩილებინა ისინი და დაეპყრო მათი ქვეყნები. ამასთან დაკავშირებით ნიშანდობლივია წესი, რომელსაც ასრულებდა სულთანი ტახტზე ასვლისას კონსტანტინოპოლის დაპყრობის შემდეგ. ახალი სულთანი მიდიოდა ეიუბეს მეჩეთში, კონსტანტინოპოლის მახლობლად, ოქროს ყურის ნაპირზე და იქ სრულდებოდა წესი სულთნის წელზე „წმინდა მახვილის“ შემორტყმისა. შემდეგ სულთანი გაივლიდა იენიჩართა ყაზარმების წინ და ამ დროს მშვილდოსან იენიჩართა ერთ-ერთი მეთაური მიაწვდიდა სულთანს შერბეთით სავსე თასს, იგი შესვამდა შერბეთს, გაავსებდა ჯამს ოქროს მონეტებით და წარმოსთქვამდა ტრადიციულ ფრაზას: „ჩვენ კვლავ შევხვდებით ოქროს ვაშლის ქვეყანაში“. ოქროს ვაშლი წარმოადგენდა ალეგორიას ქრისტიანი



უავგუსტესის დივანის წევრები

ქვეყნებისა, ე. ი. სულთანი ჰპირდებოდა თავის ჯარს ახალ ლაშქრობებს ქრისტიანი სახელმწიფოების წინააღმდეგ.

ოსმალეთის სახელმწიფოს ხელისუფლების გამტკიცების საქმეში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა უავგუსტოესის დივანს ანუ დივანი ჰუმაიუნს. ოსმალეთის სახელმწიფოში უმაღლესი ძალაუფლება სულთნის ხელთ იყო. იურიდიული უფლებები, ისევე როგორც სხვა სახელმწიფოებრივი პრეროგატივები, სულთანს ეკუთვნოდა. დედაქალაქში ფადიშაჰის სახელით ეს უფლება დიდი ვეზირის, ხოლო პროვინციებში – ბეგლარბეგების მეშვეობით ხორციელდებოდა.

სახელმწიფოს მნიშვნელოვანი საქმეების გადასაწყვეტად სულთანთან შეიქმნა დივანი ჰუმაიუნი (სახელმწიფო საბჭო), რომელიც კონსტანტინოპოლის დაპყრობის შემდეგ იმყოფებოდა თოფკაფის სასახლეში.

დასაწყისში დივანი ჰუმაიუნი სულთნის თავმჯდომარეობით იკრიბებოდა, ხოლო სულთან მეჰმედ II-ის დროიდან, მისი თავმჯდომარეობა დიდ ვეზირს გადაეცა. მართალია, მეჰმედ ფათიჰის დროიდან დივანის სხდომებს სულთანი აღარ ესწრებოდა, მაგრამ მას ყოველთვის შეეძლო მოესმინა სხდომებისათვის. დივანი ჰუმაიუნის დარბაზს კედელზე სპეციალურად ჰქონდა გაკეთებული პატარა სარკმელი (ხვრელი), რომელიც სულთნის ოთახში გადიოდა და მას თავისუფლად შეეძლო, როცა კი მოისურვებდა, თვალყური ედევნებინა სხდომების მსვლელობისათვის. დიდი ვეზირის სახელისუფლო სახელმწიფოს მთელი საქმეების პირველ ინსტანციას წარმოადგენდა. ვეზირის თანამდებობა ოსმალებმა სელჩუკებისაგან გადაიღეს. დასაწყისში იყო მხოლოდ ერთი ვეზირი, რომელიც სამოქალაქო საქმეებს განაგებდა. დროთა განმავლობაში ვეზირების რიცხვი გაიზარდა, მურად I-ის დროს სამი ვეზირი იყო, ხოლო მეჰმედ I-ის დროს – ხუთი.

ოსმალეთის შეირაღებული ძალების მთავარსარდალი იყო სულთანი, მაგრამ მას შემდეგ, რაც სულთნები აღარ იღებდნენ მონაწილეობას ომში, ჯარების მთავარსარდლობა დიდი ვეზირის ხელში გადავიდა. რადგან ომის დროს დიდი ვეზირი, ჩვეულებრივ, ლაშქრის მთავარსარდალი იყო, მას ანიჭებდნენ სადრ-ი ექრემის, სადრ-ი აზამის ტიტულს. ომის დროს სადრ-ი აზამთან ერთად ფრონტზე მიემგზავრებოდა ყველა ვეზირი.

დიდი ვეზირის დედაქალაქიდან წასვლის შემდეგ მის მოვალეობას დროებით კაიმაკამი ასრულებდა. ოსმალეთისაგან განსხვავებით, სადაც ვეზირი იმავე დროს იყო ჯარის მთავარსარდალი, სეფიანთა სახელმწიფოში დიდი ვეზირის თანამდებობა წმინდა სამოქალაქო ხასიათისა იყო. ეს, უპირველეს ყოვლისა, აიხსნება იმით, რომ ოსმალეთის სახელმწიფო თავისი ბუნებით სამხედრო-ფეოდალურ სახელმწიფოს წარმოადგენდა. ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ოსმალეთის იმპერიაში სამოქალაქო და სამხედრო ადმინისტრაცია ერთი და იგივე პირის ხელთ იყო. პროვინციებში უმაღლესი ფუნქციების შემსრულებელნი, ე. ი. ბეგლარბეგი და სანჯაყბეგები, ერთნაირად იყოფდნენ ამ იერარქიას. დიდი ვეზირიც, ბუნებრივია, ითავსებდა ამ ფუნქციებს. ეს იერარქია იყო ძირითადი ბირთვი იმპერიისა.

მიუხედავად იმისა, რომ დიდი ვეზირი სარგებლობდა ფართო უფლებებითა და დიდი გავლენით, სულთანს, თავისი სურვილისამებრ, ყოველთვის შეეძლო მისი გადაყენება და სიკვდილით დასჯაც კი. ოსმალური წყაროების მიხედვით, სულთანი ექვს თუღას[5] ატარებდა. თუღათა რაოდენობა არ იყო დაკანონებული, მაგრამ არ შეიძლე-

[5] თუღი ოსმალეთში მაღალი თანამდებობის პირთათვის სახელმწიფოსაგან მინიჭებული ძალაუფლების ნიშანი იყო. იგი წარმოადგენდა კვერთხს, რომელსაც თავზე ეკეთა სპილენძის მოოქროვილი ბირთვი, ხანდახან ვერცხლის ნახევარმთვარე; იყო უბირთვო თუღებიც. თუღი ბოლოვდებოდა ცხენის ძუის კონით. კანონი ზუსტად განსაზღვრავდა, თუ რომელ თანამდებობას ეკუთვნოდა თუღი და რამდენი და როგორი, ბირთვიანი თუ უბირთვო.



იენიჩართა ადა, კაზიასკერი

ბოდა ფადიშაჰს შვიდ თუღაზე ნაკლები ჰქონოდა. დიდ ვეზირს ხუთი თუღა ჰქონდა ნაბოძები, ხოლო ვეზირებს კი სამი თუღა.

შეიხულ-ისლამი ოსმალეთის სახელმწიფო იერარქიაში დიდი ვეზირის შემდეგ მეორე პირს წარმოადგენდა. იგი იყო სულთნის მოადგილე სასულიერო დარგში და მისი მრჩეველი, რომლის აზრს ფადიშაჰი ანგარიშს უწევდა. ხონთქარი ფეხზე დგებოდა მხოლოდ შეიხულ-ისლამის მიღების დროს. შეიხულ-ისლამი სათავეში ედგა მუსლიმურ სამღვდელოებას. შეიხულ-ისლამის უშუალო ხელქვეითები იყვნენ პროვინციებში მომუშავე მუფთიები. შეიხულ-ისლამი იყო სტამბოლის დიდი მუფთი და მუფთიებს შორის უპირველესი. ის ნიშნავდა ეიალეთების მუფთიებს.

შეიხულ-ისლამი არ იყო დივანი ჰუმაიუნის წევრი და მას არ გააჩნდა სასამართლო ძალაუფლება. მის ფუნქციებში შედიოდა ფეთვის გამოცემის საშუალებით კანონის ძალაში შეყვანა და სულთნის ბრძანებულებების კანონიერების დამოწმება და კანონის ინტერპრეტაცია მუსლიმური რელიგიური დოგმების საფუძველზე.

სტამბოლის დიდი მუფთი იყო არა მარტო რელიგიური, არამედ სამოქალაქო სამართლის კარგი მცოდნეც. იგი იყო იმპერიის ყველა მსაჯულთა საპატიო უფროსი და ყურანის განმმარტებელი, დიდად დაფასებული და პატივცემული მთელს იმპერიაში.

დივანი ჰუმაიუნში დიდი ვეზირის შემდეგ თავისი მდგომარეობით მეორე პირი იყო კაზიასკერი (უმაღლესი სამხედრო მოსამართლე). ეს თანამდებობა შემოღებულ იქნა მურად I-ის დროს. კაზიასკერი არჩევდა სასამართლო საქმეებს ჯარში და ადგენდა კანონებს შარიათის მიხედვით. იგი პასუხისმგებელი იყო სწავლა-განათლებისათვის, ნიშნავდა და ხსნიდა ყადიებს (მოსამართლეებს). მართლმსაჯულებისა და შარიათის საქმეები კაზიასკერის კომპეტენციას შეადგენდა. ოსმალეთის სულთნები დიდ ყურადღებას უთმობდნენ არმიაში დისციპლინის საქმეს და ამიტომ ცდილობდნენ კაზიასკერებისათვის შეექმნათ ავტორიტეტი. კაზიასკერებად ნიშნავდნენ ულემებს.

დივანი ჰუმაიუნში დასაწყისში ერთი კაზიასკერი იყო, მეჰმედ ფათიჰის დროს კი, 1480 წლიდან, – ორი. კაზიასკერები უშუალოდ მთავარ მუფთის ანუ შეიხულ-ისლამს ექვემდებარებოდნენ. რუმელიის (ოსმალეთის ევროპული ნაწილი) სასამართლო საქმეებს რუმელიის კაზიასკერი არჩევდა, ანატოლიაში კი – ანატოლიის კაზიასკერი. თავისი თანამდებობით რუმელიის კაზიასკერი აღემატებოდა ანატოლიის კაზიასკერს. დივანი ჰუმაიუნში კაზიასკერები დიდი ვეზირის გვერდით ისხდნენ.

სახელმწიფოს იერარქიაში კაზიასკერის შემდეგ ბაშდეფთერდარი იდგა. იგი სახელმწიფოს მთელ საფინანსო საქმეებს განაგებდა. ოსმალეთის სახელმწიფოში ამ

უწყებას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან სახელმწიფოს შემოსავლის ძირითად წყაროს დაპყრობილი და საკუთარი ხალხების ძარცვა წარმოადგენდა. XVII საუკუნის დამდეგის ცნობილი თურქი მოღვაწის კოჩი ბეი გორიჯელის აზრით, „პირველი, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, – ეს სახელმწიფო ხაზინაა“.

დასაწყისში ერთი დეფთერდარი იყო, შემდგომში მათი რიცხვი სამამდე გაიზარდა. ესენი იყვნენ: ბაშდეფთერდარი (მთავარი დეფთერდარი), რუმელიისა და ანატოლიის დეფთერდარები. ბაშდეფთერდარი ხელმძღვანელობდა სახელმწიფოს მთელ ფინანსებს, აწესრიგებდა სახელმწიფო ხაზინის მთელ შემოსავალ-გასავალს, ამზადებდა სულთნის დადგენილებათა პროექტებს საფინანსო დარგში და სხვა.

დეფთერდარის თანამდებობა არსებობდა ყველა მუსლიმურ სახელმწიფოში, საიდანაც გადმოიღეს თურქ-ოსმალებმაც. ზოგიერთი მეცნიერი ფიქრობს, რომ დეფთერდარის თანამდებობა თურქეთში შემოღებული უნდა ყოფილიყო ორხანის დროს, როდესაც პირველად (1328 წ.) მოჭრილ იქნა ვერცხლის მონეტა (ახჩა).

ომის დროს დეფთერდარი ლაშქართან ერთად იმყოფებოდა და ადგილზე ხელმძღვანელობდა ახლად დაპყრობილი ქვეყნის აღწერასა და მის რეესტრებში (დავთრებში) გატარებას.

ყოველგვარი გადასახადის გაწერა ბაშდეფთერდარის ხელმძღვანელობით წარმოებდა. მისი ნებართვის გარეშე არავის ჰქონდა უფლება აეღო ან გაეცა ერთი ახჩაც კი. მას ემორჩილებოდა ყველა მოხელე, რომლებიც ფადიშაჰის სალაროს განაგებდნენ, და არავის ჰქონდა უფლება ჩარეულიყო მის კომპეტენციაში.

ბაშდეფთერდარს თავისი ადმინისტრაციული მდგომარეობით მოსდევდა ნიშანჯი, რომელიც ხელმძღვანელობდა სახელმწიფო კანცელარიას. ნიშანჯი ადგენდა ფადიშაჰის ყველა მნიშვნელოვან ბრძანებულებას, ფირმანს, ბარათსა და მისთ. მის მოვალეობაში შედიოდა ფადიშაჰის მიერ ხელმოწერილი საბუთებისთვის თუღრის (ბეჭდის) დასმა. ნიშანჯი პასუხისმგებელი იყო რეისულ ქუთაბის (რაც სიტყვასიტყვით ნიშნავს „მდივნების მეთაურს“) საქმიანობისათვის (რეისულ ქუთაბი იგივეა, რაც სელჩუკთა სახელმწიფოში „მელიქ ულ-ქუთაბი“, – მდივნების ემირი. ეს თანამდებობა ოსმალებმა სელჩუკთა სახელმწიფოდან გადაიღეს).

რეისულ ქუთაბი სათავეში ედგა დივანი ჰუმაიუნის მთელ საქმეთა წარმოებას. იგი უდრიდა თანამედროვე საქმეთა მმართველს. მას ემორჩილებოდა, აგრეთვე, დივანი ჰუმაიუნის თარჯიმანთა კორპუსი, ევალებოდა საგარეო საქმეებიც. მისი საშუალებით წარმოებდა უცხო სახელმწიფოების ელჩებთან ურთიერთობა. მიუხედავად იმისა, რომ იგი არ იყო დივანი ჰუმაიუნის წევრი, ოსმალეთის იმპერიაში რეისულ ქუთაბი იყო ერთ-ერთი ყველაზე უფრო გავლენიანი პირი.

დივანი ჰუმაიუნის წევრი იყო იენიჩართა აღა, იენიჩართა კორპუსის მეთაური. იგი დიდი გავლენით სარგებლობდა სახელმწიფოში და ითვლებოდა ერთ-ერთ უმაღლესი თანამდებობის პირად. ოსმალეთის სახელმწიფოს არსებობის პირველ პერიოდში იენიჩართა აღა თავისი მდგომარეობით უტოლდებოდა სანჯაყბეგს. იენიჩართა კორპუსის გავლენის ზრდასთან ერთად, იზრდებოდა მისი მნიშვნელობა და ავტორიტეტიც. იენიჩართა აღა ჯერ გაუთანაბრეს ბეგლარბეგს, ხოლო XVII საუკუნის შუა წლებიდან ვეზირობასაც აძლევდნენ.

დივანი ჰუმაიუნის წევრი იყო, აგრეთვე, ქაფუდან ფაშა (სამხედრო-საზღვაო ფლოტის სარდალი). მის გამგებლობაში იყო სავაჭრო ფლოტიც. თავდაპირველად ამ თანამდებობის პირს „დერია ბეი“ (ე. ი. „ზღვის გამგებელი“) ეწოდებოდა. რადგან პირველად გემთმშენებლობა ოსმალეთში გალიპოლის (გელიბოლუს) ნახევარკუნძულზე დაიწყეს, ამიტომ დერია ბეის წოდებაც პირველად გალიპოლიის მფლობელმა მიიღო. სამხედრო-საზღვაო ფლოტის გაზრდა-გაძლიერებასთან შესაბამისად ტერმინი



საზღვაო ფლოტის მეთაურები ქაფუდან ფაშა და სხვა წევრები

„ბეი“ იტალიურიდან ნასესხებმა ტერმინმა „კაპიტანმა“ შეცვალა და ხმარებაში „კაპიტან-ი დერია“ შემოვიდა. შემდეგში, როცა სამხედრო-საზღვაო ფლოტის სარდლის თანამდებობა ოსმალეთში ერთ-ერთი ვეზირის სახელო გახდა, „კაპიტანს“ „ფაშაც“ დაემატა და „დერია ბეის“ პარალელურად ხმარებაში „კაპიტან-ფაშა“, ანუ ქაფუდან-ფაშა შემოვიდა. XVI საუკუნის დასასრულიდან ქაფუდან ფაშები უკვე ვეზირები და დივანი ჰუმაიუნის წევრებია. მათი რეზიდენცია სტამბოლი იყო.

დივანი ჰუმაიუნის შემადგენლობაში შედიოდნენ, აგრეთვე, სანდალიესიზ – უსაქვარძლო ვეზირები. მათ ეწოდებოდათ კუბე ვეზირებიც – თაღის, გუმბათის ვეზირები; ასეთ ვეზირებს არავითარი გარკვეული სახელმწიფო თანამდებობა არ ეკავათ, მათი მდგომარეობა, დაახლოებით, დღევანდელი უპორთფელო მინისტრის თანამდებობას მოგვაგონებს. დასაწყისში დივანი ჰუმაიუნში დიდი ვეზირის გარდა შედიოდა სამი კუბე ვეზირი, ხოლო XVI საუკუნის მეორე ნახევრიდან მათი რიცხვი შვიდამდე გაიზარდა, მათი რაოდენობა ამ რიცხვს არასოდეს არ გასცილებია.

დივანის სხდომებში მონაწილეობას იღებდა, აგრეთვე, ჩაუშიბაში, რომელიც თავისი ხალხის დახმარებით ასრულებდა წმინდა პოლიციურ ფუნქციებს. ჩაუშებს ხელში ეჭირათ ვერცხლის კვერთხი, ხელისუფლების სიმბოლო. ჩაუშიბაში დივანის სხდომების დროს თვალყურს ადევნებდა წესრიგს, იძახებდა მომჩივანებს და სხვა. კანონით ჩაუში ითვლებოდა დივანის მოხელედ.

დასაწყისში დივანი ჰუმაიუნის სხდომები ყოველდღიურად ტარდებოდა, ხოლო XVI საუკუნიდან დაწყებული, კვირაში ოთხჯერ: შაბათს, კვირას, სამშაბათსა და ოთხშაბათს.

დივანი ჰუმაიუნის სხდომებზე ხშირად ცხარე კამათი იმართებოდა. დიდი ვეზირი დივანის სხდომის დამთავრების შემდეგ სულთანს მოახსენებდა მათ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს და ისინი ძალაში შედიოდა მხოლოდ მას შემდეგ, როცა სულთანი მოიწონებდა და დაამტკიცებდა ამ დადგენილებებს. ფაქტობრივად, დივანი ჰუმაიუნი მთავრობის ფუნქციებს ასრულებდა. დივანი ჰუმაიუნს არაბულად „ბაბი ალის“ („მაღალი კარი“) უწოდებდნენ[6]. ფრანგებმა ეს სახელწოდება თარგმნეს „la Porte“ – „კარი“, „la Porte Sublime“ – „ბრწყინვალე კარი“, აქედან რუსულში გავრცელდა “Порта”, “Блистательная Порта”. ამ სახელის ქვეშ იგულისხმება ოსმალეთის მთავრობა, ე. ი. „დივანი ჰუმაიუნი“. ზოგჯერ თურქები დივანი ჰუმაიუნს „ფაშა კაფისაც“ („ფაშას კარი“) უწოდებდნენ, ე. ი. „დიდი ვეზირის კარს“.

13. პროვინციების მართვა-გამგებლობა

ოსმალეთის იმპერიის ტერიტორია მსოფლიოს სამ მატერიკზე (ევროპა, აზია და აფრიკა) იყო გადაჭიმული. ამ უზარმაზარი ტერიტორიის მმართველობისათვის საჭირო იყო გარკვეული სისტემის შემუშავება. ოსმალეთის იმპერიის პროვინციების მმართველობის სისტემა შემუშავდა დროთა განმავლობაში და იგი საბოლოოდ ჩამოყალიბდა XVI საუკუნის მეორე ნახევარში.

ოსმალეთის იმპერიის პროვინციების მართვა-გამგებლობა და ადმინისტრაციული დაყოფა უშუალოდ დაკავშირებული იყო ოსმალეთის სამხედრო-ლენური ფეოდალური სახელმწიფოს ორგანიზაციასთან.

დასაწყისში ოსმალეთის მთავრობა დაპყრობილ ქვეყნებს, მათი მართვა-გამგებლობისა და ექსპლუატაციის მიზნით, როგორც წესი, სანჯაყებად (ლივებად) ყოფდა. მაგრამ, დროთა განმავლობაში, ევროპასა და აზიაში მრავალი ქვეყნის დაპყრობათა შედეგად, ოსმალეთის მთავრობამ გადაწყვიტა, დამორჩილებული ქვეყნების უკეთ მართვის მიზნით, მთელი ტერიტორია ორ ძირითად ნაწილად – რუმელიისა და ანატოლიის საბეგლარბეგოებად დაეყო. იმპერიის ორ საბეგლარბეგოდ (რუმელიისა და ანატოლიის) დაყოფა ოსმალებმა ბიზანტიელებისაგან გადაიღეს.

რუმელიის საბეგლარბეგო დაარსდა ედირნეს (ადრიანოპოლის) დაპყრობის (1362 წ.) შემდეგ. ამ დროისათვის ოსმალებმა ევროპაში შექმნეს შემდეგი სანჯაყები: გალიპოლია (გალიპოლისი), ჩერმენი, ვოზა, კირკილესი და ედირნე. ეს შეადგენდა რუმელიის საბეგლარბეგოს თავდაპირველ ტერიტორიას. რუმელიის საბეგლარბეგოს პირველი ბეგლარბეგი იყო ლალა-შაჰინ ფაშა.

რუმელიის ბეგლარბეგის რეზიდენცია თავდაპირველად ქალაქ ედირნეში იმყოფებოდა, შემდეგ კი – ქალაქ პლოვდივში, კონსტანტინოპოლის დაპყრობამდე. XV საუკუნის შუა წლებში კონსტანტინოპოლი იქცა ოსმალეთის იმპერიის დედაქალაქად, ხოლო ედირნე – რუმელიის ბეგლარბეგის რეზიდენციად. ასე გაგრძელდა XVI საუკუნემდე, ვიდრე რუმელიის ბეგლარბეგის რეზიდენციას ქალაქ სოფიაში გადაიტანდნენ.

ოსმალები დაპყრობით ომებს აწარმოებდნენ არა მარტო ევროპაში, არამედ აზიაშიც. ბაიაზიდ I-ის ზეობის დასაწყისში ანატოლიაში დასრულდა ოსმალური პროვინ-

[6] სელჩუკთა სულთნის აუდიენციის ადგილს ეწოდებოდა კაფუ (კარი, შესასვლელი). როგორც ჩანს, ეს იყო მომთაბარე ყოფის ანარეკლი, როდესაც ტომის წარჩინებულნი კარვის შესასვლელთან იკრიბებოდნენ და შემდეგ შედიოდნენ შიგ. ეს ტერმინი დამკვიდრდა ოსმალეთშიც, მაგრამ არაბულ-სპარსული ფორმით. ოსმალეთის მთავრობას ეწოდებოდა „ბაბ-ი ალი“ – „მაღალი კარი“.

ციების ცენტრალიზაცია და 1392 წელს დაარსდა ანატოლიის საბეგლარბეგო, რომლის ცენტრი ქუთაჰია იყო. უფრო გვიან იგი ანკარაში იქნა გადატანილი, მაგრამ 1451 წელს რეზიდენციად კვლავ ქუთაჰია აირჩიეს. ანატოლიის საბეგლარბეგოს პირველ ბეგლარბეგად დაინიშნა თემურთაშ ფაშა. იგი ამ თანამდებობაზე დარჩა ანგორის (1402) ბრძოლამდე.

XV საუკუნეში ოსმალური სანჯაყები დაარსდა როგორც რუმელიაში, ისე ანატოლიაში, ე. ი. ევროპასა და აზიაში. ამის შესაბამისად, ოსმალეთის იმპერია დაყოფილი იყო ორ უმაღლეს სამმართველო ერთეულად – რუმელიისა და ანატოლიის საბეგლარბეგოებად.

XV-XVI საუკუნეებში, ახალ დაპყრობათა შედეგად, ოსმალეთის სახელმწიფოს ტერიტორიულმა ზრდამ მოითხოვა, ორი მთავარი საბეგლარბეგოს გარდა, ახალი საბეგლარბეგოების შექმნა. ამიტომ, ახალი ადმინისტრაციული ერთეულის აღსანიშნავად გაჩნდა ახალი ტერმინი ეიალეთი (მხარე, ქვეყანა). ასეთი ახალი ადმინისტრაციული დანაწილება მურად III-ის (1574-1595) დროს მოხდა.

საბეგლარბეგო, ეიალეთი, ანუ საფაშო იყო უმაღლესი სამმართველო ერთეული ოსმალეთის იმპერიაში. ტერმინს საბეგლარბეგოსა და ეიალეთს ჰქონდა უმაღლესი სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეულის მნიშვნელობა. ამ სამმართველო ერთეულებად იყოფოდა ოსმალეთის სახელმწიფო XVI საუკუნიდან XIX საუკუნემდე (თანზიმათის რეფორმებამდე), როდესაც ეიალეთი გადაკეთდა ვილაიეთად.

ქვეყნის მართვა-გამგებლობის სისტემის მიხედვით ოსმალეთის იმპერიაში ეიალეთები ორი სახისა იყო: 1. სალიანეს არმქონე და 2. სალიანეს მქონე. სალიანეს არმქონედ ითვლებოდა ისეთი ეიალეთი, რომელსაც არ ჰქონდა შეწერილი „წლიური“ გადასახადი (ხარკი) და რომელშიც გავრცელებული იყო თიმარული სისტემა, ე. ი. ხასები, ზეამეთები და თიმარები იყვნენ წარმოდგენილი. სალიანეს არმქონე ეიალეთებში გაბატონებული იყო ოსმალეთის სოციალურ-პოლიტიკური სისტემა, მისთვის დამახასიათებელი შესაბამისი ინსტიტუტებით. ასეთი ეიალეთები საკუთრივ ოსმალეთის მიწა-წყალზე იყო შექმნილი და იმ დაპყრობილ ქვეყნებში, სადაც ოსმალებმა შედარებით მტკიცედ მოიკიდეს ფეხი და იქ თავიანთი სოციალურ-პოლიტიკური სისტემა დანერგეს.

XVII საუკუნის დამდეგს ოსმალეთის იმპერიაში 32 ეიალეთიდან 23 ეიალეთი სალიანეს არმქონე იყო. ეს ეიალეთები შემდეგია: რუმელია, ანატოლია, ყარამანი, ბუდინი, თემიშვარი, ბოსნია, კვიპროსი, მერაბი, ზულ-ყადრიე, დიარბექირი, რუმი, არზრუმი, შამი (დამასკო), ტრაბლუს შამი (ტრიპოლი სირიაში), ალეპო, რაკკა, ყარსი, ჩილდირი, ტრაპიზონი, კაფა, მოსული, ვანი და შეჰრიზორი.

სალიანეს მქონე ეიალეთებში თიმარული სისტემა არ იყო გავრცელებული, ტერიტორია არ იყო დანაწილებული ზეამეთებად და თიმარებად. ასეთი სახის ეიალეთები იმ დაპყრობილ ქვეყნებში იყო დაარსებული, რომელთა გამგებლები ნახევრად დამოუკიდებლად განაგებდნენ ქვეყანას, თვითონ კრეფდნენ გადასახადებს, ხოლო გადასახადის გარკვეულ ნაწილს ყოველწლიურად გზავნიდნენ ოსმალეთის სახელმწიფოს ხაზინაში. ამიტომ ასეთ ეიალეთებს „სალიანე“ ეწოდებოდა, რაც ყოველწლიურ გადასახადს ნიშნავს. „სალიანე“ ფაქტიურად ხარკს წარმოადგენდა. ეს გადასახადი ზოგიერთ ქვეყანაში ბეგლარბეგის ხაზინაში შედიოდა, ადგილობრივი გარნიზონების შესანახავად, ზოგიერთიდან კი იგი მთლიანად სტამბოლში იგზავნებოდა.

სალიანეს მქონე ეიალეთები, როგორც წესი, არ იყო დაყოფილი სანჯაყებად, გამგებლები მათ მულქის საფუძველზე ფლობდნენ. ეს ფაქტი კი იმის დამადასტურებელია, რომ სალიანეს მქონე ეიალეთები მფლობელების საკუთრებაში იმყოფებოდ-

ნენ და იქ ადგილობრივი სოციალურ-ეკონომიკური სისტემა, ძირითადად, ხელუხლებელი რჩებოდა. თუმცა ამ ეიალეთებზე მფლობელობის უფლება ოსმალეთის სულთნისაგან უნდა მიეღოთ. მაშასადამე, ეს ეიალეთები ფაქტობრივად ნახევრად დამოუკიდებელ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ.

ამრიგად, სალიანეს მქონე ეიალეთებში ადგილობრივი სოციალურ-პოლიტიკური სისტემა ძირითადად შენარჩუნებული იყო და ოსმალური წესები სუსტად იყო დანერგილი. სალიანეს მქონე ეიალეთების სტატუსი ისეთ დაპყრობილ ქვეყნებს ეძლეოდათ, რომლებშიაც ოსმალთა გავლენა სუსტი იყო და მათში პოლიტიკური დამოკიდებულების ფორმა უფრო მსუბუქი იყო. ასეთი ეიალეთები ნახევრად დამოუკიდებელი მდგომარეობით სარგებლობდნენ და შემოსავლის ნაწილს „სალიანეს“ სახით ოსმალეთის ხაზინაში გზავნიდნენ.

ასეთი ეიალეთების ბეგლარბეგები (ფაშები) დამოუკიდებლად განაგებდნენ ქვეყანას, თვითონ კრეფდნენ გადასახადებს, ხოლო გადასახადების გარკვეულ ნაწილს ყოველწლიურად გზავნიდნენ ოსმალეთის სახელმწიფო ხაზინაში. მსგავსი ეიალეთები, ჩვეულებრივ, ოსმალეთის იმპერიის განაპირა ქვეყნებში მდებარეობდა. სალიანეს მქონე ეიალეთები იყვნენ: ეგვიპტე, იემენი, ჰაბეში (აბისინია), ბაღდადი, ბასრა, ლაჰსა, ალჟირი, ტუნისი და დასავლეთ ტრიპოლი.

სანჯაყი (ლივა). უფრო მცირე სამმართველო ერთეული, რომელზედაც იყოფოდა ცალკეული ეიალეთი, სანჯაყი ანუ ლივა იყო. თურქული სახელწოდება სანჯაყი და არაბული ლივა სინონიმებია და თავდაპირველად დროშას აღნიშნავდნენ. ამ სამმართველო ტერმინით იწოდებოდა ის ტერიტორია (ოლქი), რომელსაც განაგებდა სანჯაყბეგი ანუ მირილივა. სანჯაყი ძირითადი სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეული იყო. ოსმალეთის სახელმწიფოს არსებობის პირველ ხანებში სანჯაყები ყველაზე უფრო მსხვილ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებს წარმოადგენდნენ. ცალკეული სანჯაყბეგები, XVI საუკუნის ბოლოდან და განსაკუთრებით XVII საუკუნეში, ცდილობდნენ ფაშას ტიტულის მიღებას, რაც დაკავშირებული იყო ცენტრიდანული ძალების გაძლიერებასა და ოსმალეთის სახელმწიფოს დასუსტებასთან. ცნობილია ისეთი სანჯაყებიც, რომლებიც უშუალოდ ცენტრალურ ხელისუფლებას, სტამბოლს ემორჩილებოდნენ. მაგალითად, კაფას სანჯაყი ყირიმში და სხვ.

ყაზა (ყადილუკი). სანჯაყი ყაზებად იყოფოდა. თითოეულ სანჯაყში რამდენიმე ყაზა იყო. არაბული სიტყვა ყაზა, როგორც სამმართველო ტერმინი, თურქული ადმინისტრაციული დაყოფის სისტემაში აღნიშნავდა ტერიტორიას, რომელიც ეკუთვნოდა ერთ ყადის. იმავე მნიშვნელობის გამომხატველი იყო ყადილუკი (არაბულ ყადისაგან – „ყადი“, „მსაჯული“, „მოსამართლე“ და თურქული სუფიქსი „-ლუკ“). ამ ტერმინით აღინიშნებოდა, აგრეთვე, თვით ყადის წოდებაც. თურქულ სახელმწიფოებრივ აპარატში ყადიები იყვნენ მართლმსაჯულების წარმომადგენლები, ამისდა მიხედვით ყაზა ანუ ყადილუკი შეადგენდა სასამართლო აპარატის ერთეულს. ხოლო, რადგანაც ოსმალეთში ყადიები ხშირად ფლობდნენ მმართველობის უფლებებსაც, ამიტომ ყაზა ანუ ყადილუკი, როგორც ტერიტორია განკუთვნილი ყადისადმი, წარმოადგენდა რიგით სამმართველო ერთეულს.

ნაჰიე. სანჯაყები ნაჰიებად ან ყადილუკებად იყოფოდა. ნაჰიე თურქულ ადმინისტრაციაში აღნიშნავდა უმცირეს თურქულ სამმართველო ერთეულს. ნაჰიე თავის სამმართველოში რამდენიმე სოფელს აერთიანებდა.

ოსმალეთის სახელმწიფოში, ჩვენს მიერ ზემოთ განხილული სამმართველო-ადმინისტრაციული ერთეულების გარდა, არსებობდა სხვა სამმართველო ერთეულებიც: თავისუფალი სამირმირანოები, იურთლუქისა და ოჯაქლიქის სანჯაყები, ჰუქუმათები,

ჯუჯოდალუკები, სუბაშლიკები და სხვა. მაგრამ ასეთი სამმართველო ერთეულები არ იყო ტიპიური და ისინი მრავალი თავისებურებით ხასიათდებოდნენ.

ოსმალეთის სახელმწიფოს ამგვარი ტერიტორიულ-ადმინისტრაციული დაყოფა შენარჩუნებულ იქნა თანზიმათის რეფორმებამდე (XIX ს.).

ეიალეთის მართვა-გამგებლობა ბეგლარბეგის ხელთ იმყოფებოდა. ბეგლარბეგს სულთანი ნიშნავდა და იგი უშუალოდ მას ემორჩილებოდა. ბეგლარბეგი განაგებდა სამოქალაქო, სამხედრო და ნაწილობრივ სასამართლო საქმეებს. ეიალეთის შემადგენლობაში შემავალი სანჯაყბეგები ეიალეთის ბეგლარბეგს ემორჩილებოდნენ. ბეგლარბეგი ეიალეთის ცენტრში იჯდა, მრავალრიცხოვანი ამალა ჰყავდა. ეიალეთის საქმეების განსახილველად ბეგლარბეგის თავმჯდომარეობით იკრიბებოდა დივანი, რომელსაც „ფაშა დივანსაც“ უწოდებდნენ. დივანის საქმეებს დივანის ეფენდი აწესრიგებდა. ეიალეთის გადასახადების, სახელმწიფოს შემოსავლის საქმეებს „დეფთერდარი“ ანუ „ხაზინე დეფთერდარი“ აწესრიგებდა. მის კომპეტენციაში შედიოდა სამონეტო საქმე, ნაღდი ფულის მიღება და გასტუმრება, ფეოდალური საკარგავების, ფინანსების მოწესრიგება, რამდენადაც საკარგავი გულისხმობდა ჯამაგირის მაგიერ სარჩოს (დირლიქის) გაცემას. ეიალეთის ზაიმების საქმეებს – „თიმარის ქეთხოდა“ და თიმარის საქმეებს კი – „თიმარის დეფთერდარი“ განაგებდა. ეიალეთის დივანში, თიმარ დეფთერდარის და თიმარ ქეთხოდას მსგავსი მოხელეების გარდა, შედიოდნენ აგრეთვე ყადი, სუბაში და ფაშის თეზქერეჯიებიც.

რელიგიისა და სასამართლოს საქმეებს ეიალეთის ცენტრში მჯდომი ყადი განაგებდა. იგი გასამართლებას შარიათის მიხედვით აწარმოებდა. მისი განაჩენი სისრულეში მოჰყავდათ სუბაშებს. მათ ევალებოდათ საპოლიციო სამსახური და წესრიგის დაცვა. გარდა ამისა, სუბაშები თვალყურს ადევნებდნენ ვაჭრობას და სხვა.

ეიალეთის დივანში მოსახლეობის საჩივრებსაც იხილავდნენ. თუ ეიალეთის დივანში მიღებული გადაწყვეტილება მომჩივანს არ აკმაყოფილებდა, მაშინ მას შეეძლო დივანი ჰუმაიუნისათვის მიემართა.

ოსმალეთის სახელმწიფოში, მცირე გამონაკლისის გარდა, დაუშვებელი იყო პროვინციების გამგებლების მემკვიდრეობითი წესი. მ. დ'ოსონის ცნობით, ბეგლარბეგობას მხოლოდ გარკვეული ვადით უბოძებდნენ ხოლმე, ჯერ სამი წლით, შემდეგ ორით და ბოლოს ერთი წლით. მიუხედავად ამისა, ამ გამგებელთა ძალაუფლება სულ უფრო მეტად ძლიერდებოდა, ამიტომ ოსმალეთის მთავრობა ერიდებოდა მის განმტკიცებასა და გახანგრძლივებას.

რწმუნების ვადის გასვლის შემდეგ, თუ არ მოხდებოდა ფირმანის განახლება, ფაშა ჰკარგავდა პროვინციის მმართველობის უფლებას. ამით, როგორც ზემოთ ითქვა, ოსმალეთის სულთანს სურდა მუდმივ მორჩილებაში ჰყოლოდა პროვინციის გამგებლები, არ დაეშვა მათი ძალაუფლების გაძლიერება. მაგრამ ამ ღონისძიების ცხოვრებაში გატარებას სულთნის მთავრობა ხშირად ვერ ახერხებდა.

ეიალეთის გამგებლობა, სულთან სულეიმან კანუნის სიკვდილამდე, ბეგლარბეგებს, ე. ი. ორთუღიან ფაშებს ეძლეოდათ, ხოლო უფრო გვიან, ეიალეთებში ვეზირის ხარისხით (სამთუღიანი) ბეგლარბეგის დანიშვნა დაწესდა. ამის გამო ოსმალეთში ვეზირები ორად გაიყო – საგარეო და საშინაო ვეზირებად. საგარეო ვეზირები ეიალეთებს განაგებდნენ. საშინაო ვეზირები კი იგივე უსავარძლო ვეზირებია (სანდალიესზ), რომლებიც დივანი ჰუმაიუნში იყვნენ.

„არსებობდა ფაშის სამი ხარისხი. ხარისხის განმასხვავებელი ნიშანი თუღების რაოდენობა იყო. იყო ერთი, ორი და სამთუღიანი ფაშები. ფაშის წოდებაც და ხარისხიც ენიჭებოდათ დაკავებული თანამდებობის მიხედვით. ფაშობა სამხედრო-ადმინისტრაციული სამსახურის მოხელეს ეკუთვნოდა სანჯაყბეგის თანამდებობიდან

დაწყებული. სანჯაყბეგი იყო ერთთუღიანი ფაშა, ბეგთაბეგი ორი, ხოლო ვეზირი სამი. თანამდებობაზე მოხელეები ინიშნებოდნენ გარკვეული ვადით. ფაშობა და თუღი ეძლეოდათ უვადოდ. იმ შემთხვევაში, თუ სანჯაყბეგს დანიშნავდნენ უფრო მაღალ თანამდებობაზე, მაშინ თუღების რაოდენობა მას მოემატებოდა, მაგრამ თუ გადააყენებდნენ უფრო დაბალ თანამდებობაზე სხვა თანამდებობის უქონლობის გამო, მას, როგორც წესი, რჩებოდა წოდებაც და ხარისხიც. თუ ვეზირს გადაიყვანდნენ ბეგთაბეგად, მას რჩებოდა წოდებაც და ხარისხიც... რაიმე დანაშაულის შემთხვევაში, რაც თანამდებობიდან მოხსნით მთავრდებოდა, მოხელე კარგავდა წოდებასა და ხარისხსაც“ (ო. გიგინეიშვილი).

როდესაც ბეგლარბეგი ომში სალაშქროდ მიდიოდა, მის თანამდებობაზე რწმუნებული რჩებოდა, რომელსაც მუთესალიმი ეწოდებოდა. ომში ეიალეთის ბეგლარბეგის მეთაურობით მონაწილეობას იღებდნენ ეიალეთში შემავალი სანჯაყბეგები, ზაიმები, თიმარიოტები თავიანთი ლაშქრით. სანჯაყის მართვა-გამგებლობა დაახლოებით იგივე იყო, როგორც ეიალეთისა, მხოლოდ უფრო მცირე მასშტაბით. ოსმალეთის პროვინციების მართვა-გამგებლობა მჭიდროდ იყო დაკავშირებული ოსმალური მიწისმფლობელობის წესებთან. ოსმალეთის სულთნის მიერ ბეგლარბეგებს და სანჯაყბეგებს სამხედრო-ადმინისტრაციული სამსახურისათვის ხელფასის (დირლიქის) ნაცვლად ხასი ეძლეოდათ. ბეგლარბეგის ხასის წლიური შემოსავალი 400.000 ახჩაზე ნაკლები არ უნდა ყოფილიყო, ხოლო სანჯაყბეგებისა – 200.000-დან 400.000 ახჩამდე.

ომის დროს სანჯაყბეგს თავისი სანჯაყის თიმარებისა და ზეამეთების მფლობელები უნდა შეეკრიბა და თავის ლაშქარს სათავეში უნდა ჩასდგომოდა. სანჯაყებში შეგროვებული ლაშქარი ბოლუქებად (ასეულებად) იყოფოდა. ბოლუქის მეთაური სუბაში იყო, ხოლო ყოველი ათი ბოლუქისა – ალიბეგი. სანჯაყის ლაშქარი თავს იყრიდა ეიალეთის ბეგლარბეგის სარდლობის ქვეშ. თიმარული სისტემის საფუძველზე, ლენის მფლობელებს XV საუკუნის პირველ ნახევარში 60.000 მხედარი უნდა გამოეყვანათ, ხოლო XVII საუკუნის დამდეგისათვის მათი რიცხვი 200.000-მდე გაიზარდა. ოსმალეთის სახელმწიფოს მართვა-გამგებლობა მჭიდროდ იყო დაკავშირებული ოსმალურ მიწისმფლობელობასთან და სამხედრო-ფეოდალური სახელმწიფოს ორგანიზაციასთან.

ოსმალეთის სახელმწიფოს მმართველობის დესპოტური რეჟიმი, ქვეყნის სამხედრო ძლიერების დასუსტებასთან ერთად, თანდათანობით გახრწნის გზას დაადგა და მექრთამეობა და კორუფცია თითქმის სახელმწიფო სისტემად იქცა.

14. არამუსლიმური მოსახლეობის მმართველობის მილეთური სისტემა

ოსმალეთის სახელმწიფო-ადმინისტრაციულ სისტემაში განსაკუთრებული ადგილი ეკავა არამუსლიმური მოსახლეობის – ქრისტიანებისა და ებრაელების მმართველობის მილეთურ სისტემას („millet“ ნიშნავს „ხალხს“, „ეთნოსს“, „ეროვნებას“). მილეთი იყო როგორც რელიგიური, ისე პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელიც არამუსლიმურ მოსახლეობას საშუალებას აძლევდა მოეგვარებინა საქმეები თავისი ერთობის შიგნით. ამავე დროს იგი იყო არამუსლიმურ ცალკეულ ეროვნებათა (ეთნოსის) მმართველობის ფორმაც.

დაპყრობითი ომების შედეგად ოსმალეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში აღმოჩნდა არამუსლიმური მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც უუფლებო

მდგომარეობაში იმყოფებოდა და განიცდიდა დისკრიმინაციასა და შევიწროებას. არამუსლიმებს არ შეეძლოთ ემსახურათ სახელმწიფოს ადმინისტრაციულ და სამხედრო უწყებებში, ეკრძალებოდათ იარაღის ტარება და შეკაზმული ცხენით სიარული, უნდა გაეკეთებინათ განმასხვავებელი ნიშანი თავიანთ სახლებზე, ჩაეცვათ განსხვავებული ტანსაცმელი და სხვ.

ასეთ ვითარებაში საჭირო იყო არამუსლიმი ხალხებისათვის ისეთი მმართველობის სისტემის შემუშავება, რომელიც, ერთის მხრივ, საშუალებას მისცემდა სულთნის ხელისუფლებას მორჩილებაში ჰყოლოდა ისინი, ხოლო, მეორეს მხრივ, სახელმწიფო ხაზინაში შეუფერხებლივ შესულიყო არამუსლიმებზე დაწესებული გადასახადები.

ასეთი მმართველობის შემოღება აუცილებელი გახდა კონსტანტინოპოლის დაპყრობისა და ბიზანტიის იმპერიის დაცემის შემდეგ. მილეთური სისტემის შემოღება იყო კომპრომისი სულთნის მხრიდან: იგი წავიდა გარკვეულ დათმობაზე კონსტანტინოპოლის პატრიარქთან, რომლის მფარველობა ვრცელდებოდა არა მარტო ბერძნებზე, არამედ სხვა ქრისტიან მართლმადიდებელ ხალხებზედაც – ბულგარელებზე, სერბებზე, ხორვატებზე, ალბანელებზე, ვალახებზე, მოლდაველებზე და სხვ. საყურადღებოა ისიც, რომ ამ დროს ოსმალეთის სახელმწიფოში მცხოვრები ქრისტიანული მოსახლეობა აღემატებოდა მუსლიმურს.

1454 წლის 6 იანვარს მეჰმედ II-მ დაამტკიცა გიორგი სქოლარი კონსტანტინოპოლის პატრიარქად. ამავე დროს დაიდო ხელშეკრულება სულთანსა და კონსტანტინოპოლის პატრიარქს შორის, რომლის მიხედვითაც იკრძალებოდა ეკლესიების გადაკეთება მეჩეთებად; მართლმადიდებლებს მიეცათ უფლება ელოცათ და შეესრულებინათ რელიგიური ადათ-წესები; სულთანმა დაუტოვა კონსტანტინოპოლის პატრიარქს სასულიერო ხელისუფლება და ნაწილობრივ მიანიჭა საერო უფლებებიც. პატრიარქის რეზიდენცია იმყოფებოდა სტამბოლის ბერძნული დასახლების ფანარის ერთ-ერთ მონასტერში. პატრიარქი თავის მოვალეობას უწმინდესი სინოდის მეშვეობით ასრულებდა. მნიშვნელოვანი სასულიერო საქმეების განხილვისათვის სტამბოლში იწვევდნენ სრულიად მართმადიდებლური ეკლესიის კრებებს. პატრიარქი ნიშნავდა ყველა თანამდებობის პირებს, ჰქონდა საკუთარი ხაზინა, საპყრობილე, პოლიცია. მისი დავალებით კრეფდნენ გადასახადებსა და სხვადასხვა სახის შეწირულობებს. მას ექვემდებარებოდა სასამართლო, სკოლა, რელიგიური საქველმოქმედო დაწესებულებები. სასამართლოში საქმეებს არჩევდნენ ქრისტიანული კანონებისა და წეს-ჩვეულებების მიხედვით.

კონსტანტინოპოლის პატრიარქი ითვლებოდა სულთნის კარზე მნიშვნელოვან მოხელედ და მას ჰქონდა ფაშის ტიტული. ფაქტობრივად, იგი იყო სულთნის ნაცვალი, განაგებდა ქრისტიანების სამოქალაქო და სასულიერო საქმეებს. კონსტანტინოპოლის პატრიარქისათვის ესოდენ დიდი პრეროგატივების მინიჭებით, სულთანმა იგი გაიხადა თავის საიმედო დასაყრდენად მართლმადიდებლური მოსახლეობის დამორჩილების საქმეში.

ამრიგად, სულთნის მთავრობა კონსტანტინოპოლის პატრიარქის მეშვეობითა და დახმარებით წარმართავდა თავის ურთიერთობას ოსმალეთში მცხოვრებ მართლმადიდებლურ მოსახლეობასთან.

მალე, ბერძნულ-მართლმადიდებლური მილეთის დაარსების შემდეგ, 1461 წელს შეიქმნა „ერმენი მილეთი“ – სომხური მილეთი. მას სათავეში ედგა კონსტანტინოპოლის სომეხთა პატრიარქი. სომხური მილეთი სარგებლობდა იმავე უფლებებით, რაც ჰქონდა ბიზანტიურს.

როგორც ცნობილია, ამ პერიოდში ევროპის რიგ ქვეყნებში მძვინვარებდა ინკვიზიცია, რომელიც სასტიკად სდევნიდა და უსწორდებოდა ებრაელებს. ამიტომ მრავალი

ებრაელი ოჯახი იძულებული გახდა მიეტოვებინა სახლ-კარი და სხვა ქვეყანაში გადასახლებულიყო. 1492 წელს ესპანელი ებრაელების დიდი ტალღა მივიდა და დასახლდა ოსმალეთის იმპერიის სხვადასხვა კუთხეში, ძირითადად კი სტამბოლში, ხოლო 1497 წელს ოსმალეთს მოაწყდა ებრაელ ემიგრანტთა დიდი რაოდენობა პორტუგალიიდან. XV საუკუნის დასასრულს ოსმალეთში შეიქმნა „ებრაელთა მილეთი".

ბერძნული ეკლესიისაგან განსხვავებით, ებრაელებს არ ჰქონდათ ორგანიზაციული ტიპის სუბორდინაცია. ცალკეული ქალაქებისა და ვილაიეთების ებრაელი თემები მნიშვნელოვანი დამოუკიდებლობით სარგებლობდნენ. ებრაელთა მილეთს ეწოდებოდა „იაჰუდი მილეთი", ხოლო მის მეთაურს „ხახამ-ბაში".

მილეთების რიცხვი დროთა განმავლობაში გაიზარდა და 13-ს მიაღწია. ოსმალეთის მთავრობასთან შეიქმნა მილეთების საქმეთა უწყება, რომელსაც განაგებდა რეისულ-ქუთაბი (საგარეო საქმეთა უწყება). ოსმალები არამუსლიმურ ხალხებს თვლიდნენ უცხოელებლად. ეს იმაზე მეტყველებს, რომ ისლამის ნორმები უშვებდა შემწყნარებლობას „ურჯულოების" მიმართ, მაგრამ არ თვლიდა მათ მუსლიმების თანასწორად.

ამრიგად, მილეთების შექმნის შედეგად სულეიმანის მთავრობამ იგი გამოიყენა როგორც დამხმარე საშუალება მორჩილებაში ჰყოლოდა დაპყრობილი არამუსლიმური ხალხები და მიეღო მათგან ფისკალური გადასახადები. ამავე დროს მილეთებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მათი რელიგიის, ენის და ადათ-წესების დაცვის საქმეში.

15. სახელმწიფო რეგლამენტაცია

ოსმალეთში სწრაფად იზრდებოდა მოსახლეობის რიცხვი, განსაკუთრებით სტამბოლში. მაგალითად, თუ XV საუკუნის დამლევისათვის სტამბოლის მოსახლეობა შეადგენდა 200 ათას მცხოვრებს, XVI საუკუნის შუა წლებისათვის მან მიაღწია 400-500 ათასს. ასეთი გიგანტური ქალაქის მომარაგება იმ პერიოდში არცთუ ადვილი საქმე იყო. პროდუქტების შეფერხებით მომარაგებას შეიძლება გამოეწვია ხალხის უკმაყოფილება და აჯანყებაც კი. ამიტომ მთავრობამ მიიღო ზომები ამის თავიდან ასაცილებლად.

საქალაქო ცხოვრებაში განსაკუთრებით საგრძნობი იყო სახელმწიფოს როლი სურსათ-სანოვაგის, სახელოსნო ნაწარმის რეგლამენტაციასა და ვაჭრობაში. ცენტრალიზებული იყო ყველაფერი, რაც შეეხებოდა ქალაქების მომარაგებას პროდუქტებით, განსაკუთრებით კი მსხვილი ადმინისტრაციული ცენტრებისა: პირველადი პროდუქტების უშუალოდ მწარმოებლისაგან შესყიდვა, ქალაქებში მათი გადატანა, გადამუშავება და ბაზრებში გაყიდვა. ამასთან ოსმალეთის მთავრობა დიდად იყო დაინტერესებული თავიდან აეცილებინა მდელვარება, გამოწვეული ქალაქებში პროდუქტებისა და ფართო მოხმარების საგნების ნაკლებობით. სულთნის ბრძანებულებით დადგენილი იყო პროდუქტების შესყიდვის და მათი ქალაქის ბაზრებში გაყიდვის ფასები და მათზე ადგილობრივი ხელისუფლების კონტროლი. ამის შედეგად იქმნებოდა ერთიანი სამეურნეო-ადმინისტრაციული სტრუქტურა, რომლითაც დედაქალაქი და პროვინციები მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული ერთიან ცენტრალიზებულ სისტემასთან.

ეს კავშირი განსაკუთრებით კარგად ჩანს მარცვლეულით ვაჭრობის დარგში. მართალია, მარცვლეულით ვაჭრობა სახელმწიფო მონოპოლიას არ შეადგენდა, მა-

გრამ იგი მკაცრად იყო რეგლამენტირებული. მარცვლეულის გატანა იმპერიის გარეთ შეიძლებოდა მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში, დიდი ვეზირის სანქციით. სახელმწიფო ადგენდა მარცვლეულით მომარაგების რაოდენობას, მის მოცულობას, აგრეთვე კონტროლს უწევდა ვაჭრების საქმიანობას. ამ დარგის მოხელეების მთავარი საზრუნავი იყო კონტროლი ფასებზე და მომარაგების პროცესის ორგანიზაცია. დედაქალაქში მარცვლეულის შესყიდვის ფასს ადგენდა დიდი ვეზირი, ადგილობრივ ყადისთან შეთანხმების შედეგად. ადგილობრივი პირობების შესაბამისად, ფასებს ადგენდნენ სხვა ქალაქების ყადიებიც.

ამგვარადვე ხდებოდა ხორცით ვაჭრობის რეგლამენტირება. იგი იყიდებოდა მკაცრად დადგენილ ფასებში, სეზონის შესაბამისად. მხოლოდ ფასები ბოსტნეულზე, ხილზე და რძის პროდუქტებზე არ იყო რეგლამენტირებული. მაგრამ ამ პროდუქტების გაყიდვიდან მოგება, ნებისმიერ შემთხვევაში, არ უნდა ყოფილიყო 10%-ზე მეტი.

განსაკუთრებით მკაცრი იყო სახელმწიფო რეგლამენტაცია სახელოსნო წარმოების საქონელზე. დეტალურად იყო შემუშავებული ფასები ფეხსაცმელზე, ტყავის სხვა ნაწარმზე, ქსოვილებზე, შალის ნაწარმზე, იარაღზე. დადგენილი იყო ზუსტი ფასები ნედლეულზე და იმ საქონელზე, რომლისგანაც აწარმოებდნენ პროდუქციას. ფართო მოხმარების ყველა სახის საქონელზე მოგება არ უნდა ყოფილიყო 10%-ზე მეტი. მხოლოდ განსაკუთრებით იშვიათ და ძნელად წარმოებულ, მზა სახელოსნო ნაწარმზე მოგება შეიძლება ყოფილიყო 20%-ის ფარგლებში.

ვითარდებოდა არა მარტო საშინაო, არამედ საგარეო ვაჭრობაც. შიდა ვაჭრობისაგან განსხვავებით, საგარეო ვაჭრობაში ჩაბმული ვაჭრები არ იყვნენ მკაცრად შეზღუდული. მათ თავისუფლად შეეძლოთ გაეტანათ საქონელი საექსპორტოდ, გარდა აკრძალულისა. ოსმალეთის მთავრობა კრძალავდა ისეთი პროდუქტების გატანას, როგორიცაა მარცვლეული, მარილი, ზეთი, ბამბა, შაბი. საიმპორტო ვაჭრობას უმთავრესად ეწეოდნენ უცხოელი ვაჭრები. სახელოსნო წარმოების მსხვილი ცენტრები იყო: სტამბოლი, ამასია, ანკარა, ბურსა, სალონიკი, კონია, ალეპო და სხვ.

ჯურ კიდევ მეჰმედ II-ის დროს სახელმწიფოს მიერ მონოპოლიზირებულ იქნა მარილით, საპნით, თაფლის სანთლით ვაჭრობა. ფართო მოხმარების სხვა საქონელზე შემოღებულ იქნა მკაცრი რეგლამენტაცია.

ყადი და მისი მოადგილეები – მუჰთასიბები ადგენდნენ ფასებს თითქმის ყველა სახის კვების პროდუქტებსა და ფართო მოხმარების საგნებზე. ამასთანავე, მხედველობაში იღებდნენ სეზონისა და სატრანსპორტო ხარჯებს. გაყიდული საქონლიდან მიღებული მოგება, როგორც წესი, შეადგენდა 10%-ს, ხოლო იშვიათ შემთხვევაში - 20%-ს. ზემოხსენებული ნორმები დგებოდა ფრიად ხანგრძლივი დროის მანძილზე და მოქმედებდა ასევე ხანგრძლივი დროის განმავლობაში.

მრავალრიცხოვანი სახელოსნოების საქმიანობა, ისევე როგორც ვაჭრობისა, რეგლამენტირებული იყო, ამასთან რეგლამენტაცია ეხებოდა წარმოების ყველა საფეხურს და აგრეთვე მზა პროდუქციის რეალიზაციის პროცესს. სახელოსნო ორგანიზაციების საქმიანობაზე კონტროლს ახორციელებდა ყადი.

სახელმწიფო რეგლამენტაცია და მისი საყოველთაო ხასიათი იყო ოსმალეთის სახელმწიფოს ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი. საყოველთაო რეგლამენტაცია და ცენტრალიზაცია განსაკუთრებით გაძლიერდა სულეიმან I-ის დროს.

ჰ. ინალჯიკს სავსებით სამართლიანად მიაჩნია, რომ ოსმალეთის სახელმწიფო წყობისათვის ყველაზე მეტად დამახასიათებელი იყო მკაცრი სახელმწიფოებრივი კონტროლი და რეგლამენტაცია ცხოვრების ყველა სფეროში.

16. სულთნის სამეფო კარი

კონსტანტინოპოლის დაპყრობის შემდეგ ოსმალეთის სულთნები სულ უფრო მეტ ყურადღებას აქცევდნენ სამეფო კარის ბრწყინვალებასა და მისი მოხელეების აღკაზმულობას, რითაც სურდათ ეჩვენებინათ უცხოელებისათვის თავისი სახელმწიფოს სიდიადე და ძლიერება. ბევრი რამ გადმოღებულ იქნა ბიზანტიის იმპერატორის სამეფო კარის წესებიდან. განსაზღვრული იყო მოხელეების რანგის შესაბამისად მათი ტანსაცმლის შეკერილობა და მისი ფერი. ასე, მაგალითად, დიდი ვეზირები იცვამდნენ თეთრი ფერის ტანისამოსს, ვეზირები – მწვანეს, ულემები – იისფერს. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა თავსაბურავს – დოლბანდს, რომლის ფორმაც დამოკიდებული იყო მისი მფლობელის თანამდებობაზე. დოლბანდს ატარებდნენ მხოლოდ მუსლიმები, არამუსლიმებს უნდა ეტარებინათ განსაზღვრული ფერის ქუდი (ჩაჩი).

სულთნის კარი ორი ნაწილისაგან შედგებოდა – საგარეოსა და საშინაოსი. საგარეო მოიცავდა სულთნის მოხელეებს, ხოლო საშინაო სულთნის ოჯახის ქალებისა და ბავშვების სამყოფელს, რომელსაც ეწოდებოდა ჰარამხანე (ჰარამხანა).

სულთნის საგარეო კარს განაგებდა თეთრი საჭურისების უფროსი კაფუ აღასი (კაფუჯი ბაში). ფაქტობრივად, იგი იყო შუამავალი სულთანსა და გარე სამყაროს შორის. იგი ღირსებითა და გავლენით თეთრ საჭურისთა შორის იყო პირველი და სულთნის სასახლის ერთ-ერთი წარჩინებულთაგანი. კაფუჯი ბაში კაფუჯიების, სასახლის მუდმივი მცველების, მეთაური იყო. იგი სულთნის სასახლის კარისა და დივანის სხდომების დაცვას ხელმძღვანელობდა. მისი მოვალეობა იყო, აგრეთვე, სულთნისათვის წარედგინა ელჩები და საპატიო სტუმრები. დიდ ვეზირსაც კი სულთანთან შეხვედრის ნებართვა მისგან უნდა მიეღო. კაფუ აღასი თან ახლდა სულთანს, სადაც არ უნდა ყოფილიყო იგი, გარდა ჰარამხანისა. მართალია, კაფუ აღას არცთუ ისეთი დიდი ხელფასი ჰქონდა (დღეში 100-150 ახჩა), მაგრამ თავისი თანამდებობის მეშვეობით, საჩუქრებისა და ქრთამების აღების გზით, სიკვდილის შემდეგ მას ორ მილიონამდე ღირებულების ქონება რჩებოდა, რომელიც სახელმწიფო ხაზინას უბრუნდებოდა.



სულეიმან I-ის ცოლი როკსოლანა

სასახლის ჰარამხანას შავი საჭურისების მეთაური კიზლარ აღასი (ქალიშვილების ბატონი) განაგებდა. მას უწოდებდნენ, აგრეთვე, „დარუს-საადეთ აღასის“ – „ბედ-



ჰარამხანის ბინადარნი

ნიერების კარის აღას". ის ხელმძღვანელობდა ჰარამხანის მსახურთა საქმიანობას, ახდენდა სულთნის მხევლების შერჩევას და სხვ. კიზლარ აღასი ხშირად ინიშნებოდა მექასა და მედინას ვაკუფებისა და სულთნის მიწების გამგებლად. ხშირად იგი ზღაპრული სიმდიდრის მფლობელი ხდებოდა. კიზლარ აღასის თუ გადააყენებდნენ ან მისი პირადი თხოვნით სამსახურიდან გაათავისუფლებდნენ, მას პენსიას უნიშნავდნენ და საცხოვრებლად ეგვიპტეში გზავნიდნენ.

რადგანაც შავი საჭურისები ჰარამხანის მცველები იყვნენ, ამიტომ ამ თანამდებობაზე არჩევდნენ ყველაზე უფრო მახინჯებსა და შემზარავი გარეგნობის პირებს. საჭურისებში ყველაზე მახინჯები ყველაზე უფრო ძვირად ფასობდნენ, რადგანაც მათში სიმახინჯე სილამაზედ ითვლებოდა.

მეჰმედ II-ის დროს ჰარამხანაში 300-ზე მეტი ქალი ცხოვრობდა. მათ ყოფა-ცხოვრებას თვალყურს ადევნებდა სულთნის დედა – ვალიდე, რომელიც დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. დროთა განმავლობაში მისი გავლენა კიდევ უფრო გაიზარდა და ხშირად იგი სახელმწიფო საქმეებშიც კი ერეოდა. ოფიციალურად სულთანს ოთხი ცოლის ყოლის უფლება ჰქონდა. განსაკუთრებული გავლენით ის ცოლი სარგებლობდა, რომლის ვაჟი ტახტის მემკვიდრე იყო. იგი სულთნის პირველ ქალად იწოდებოდა.


სულთნის სასახლის მსახურთა რიცხვი ხუთ ათასს აღწევდა. აქედან დიდი ნაწილი გამაჰმადიანებული ქრისტიანები იყვნენ. რადგან დიდმოხელეთა და მსახურთა დიდი ნაწილი წარმოშობით ქრისტიანები იყვნენ, ამიტომ სასახლის კარზე ხშირად ისმოდა სლავური და სხვა ქრისტიანი ხალხების მეტყველება; სერბული,

ხორვატული და სხვა ენები გამოყენებული იყო დიპლომატიური მოლაპარაკების დროს, რადგან მრავალი დიდმოხელე, ხშირად დიდი ვეზირიც, წარმოშობით სლავი ან კავკასიელი იყო. სლავებმა და სხვა ქრისტიანმა ხალხებმა გავლენა მოახდინეს ოსმალურ კულტურაზე.

17. უცხო სახელმწიფოების ელჩების მიღება

ოსმალეთის სახელმწიფოში საგარეო საქმეებს განაგებდა რეისულ ქუთაბი ანუ რეის ეფენდი. იგი ფაქტობრივად ასრულებდა საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობას (სამინისტროების გახსნა ოსმალეთში მხოლოდ XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან დაიწყო). ოფიციალურად იგი დივანი ჰუმაიუნის, კანცელარიის უფროსი იყო და სათავეში ედგა მისი მთელი საქმეების წარმოებას. რეისულ ეფენდის ემორჩილებოდა, აგრეთვე, დივანი ჰუმაიუნის თარჯიმანთა კორპუსი. რეისულ ეფენდის მოვალეობაში შედიოდა სტამბოლში აკრედიტებული ელჩების მიღება-გასტუმრება და სხვ.

სტამბოლში აკრედიტებული ევროპის სახელმწიფოების ელჩები ცდილობდნენ სულთნის კარზე მოეპოვებინათ გავლენა და მათ შორის ადგილი ჰქონდა ურთიერთდაპირისპირებას. იმ დროს, როდესაც ევროპის სახელმწიფოები მიისწრაფოდნენ დაემყარებინათ დიპლომატიური ურთიერთობა ოსმალეთთან, იგი არ თვლიდა საჭიროდ ანალოგიური ნაბიჯები გადაედგა. ოსმალეთი დარწმუნებული იყო თავის სამხედრო ძლიერებაში და ზედმეტად თვლიდა უცხოეთის ქვეყნებში თავისი საელჩოების გახსნას. ოსმალეთმა ევროპის წამყვან სახელმწიფოებთან საელჩოები გახსნა მხ-



სულთნის მიერ ელჩების მიღება

ოლოდ სელიმ III-ის (1789-1807) დროს. სულთნის მთავრობა მხოლოდ საგანგებო შემთხვევაში გზავნიდა უცხოეთის სახელმწიფოში თავის ელჩს.

ოსმალეთში უცხოეთის სახელმწიფოების ელჩების მიღება ხდებოდა საგანგებოდ შემუშავებული რეგლამენტის მიხედვით. უცხოეთის სახელმწიფოს წარმომადგენლის მიღების დროს იგი უნდა დარწმუნებულიყო ოსმალეთის სახელმწიფოსა და სულთნის ძლიერებაში. საპატიო სტუმარზე დიდი შთაბეჭდილება უნდა მოეხდინა არა მარტო სულთნის სასახლის ბრწყინვალებასა და სიმდიდრეს, არამედ იენიჩარებსაც თავიანთი იერითა და ჩაცმულობით, რომლებიც ჩამწკრივებული იყვნენ ელჩის მიღების დროს საპატიო ყარაულში. კულმინაცია იყო სულთნის მიერ ელჩისა და მისი ამალის მიღების ცერემონიალი. ფრანგი მოგზაური ჟან ბატისტ ტავერნიე ასე აგვიწერს სულთნის მიერ ელჩის მიღების ცერემონიალს: „როდესაც ელჩი დიდ ვეზირთან ერთად ლივანის დარბაზში ისადილებს, ხოლო მის ამალას გალერეაში მოემსახურებიან, დიდი სენიორი (სულთანი) მასა და მის ამალას უგზავნის ხალათებს, რომელთაც ყველას მაშინვე წამოახურავენ ტანსაცმლის ზემოდან. შემდეგ მათ წინ წაუძღვება კაფი-აღა – ცერემონიალთა უფროსი – და მიიყვანს აუდიენციის დარბაზამდე. როცა კაფი-აღა საჭურისთა თანხლებით ელჩსა და მის თანმხლებთ აუდიენციის დარბაზის კართან აცილებს, მათ შემოეგებება ორი ვეზირი, რომლებიც შუაში ჩაუდგებიან ელჩს და მიაცილებენ იმ ადგილამდე, სადაც უნდა დაიხაროს დიდი სენიორის კაბის სამთხვევად. ეზოს კარიდან აუდიენციის დარბაზის კარამდე ელჩი და მისი თანმხლებნი მხოლოდ აბრეშუმის ხალიჩებით მოფენილი გზით მიდიან. აუდიენციის დარბაზის იატაკი გახლავთ მარმარილოსი და მოფენილია ოქროებით ნაკერი ხალიჩებით, რომელიც სისქით ჩვენებური ჭილობის ოდენაა.

ტახტზე მჯდომი სულთანი ცდილობს, რაც შეიძლება მეტი სიდარბაისლე შეინარჩუნოს. ტახტის უკან ჩამწკრივებულნი დგანან: კიზლარ-აღასი – შავკანიანი საჭურისი, ქალთა აპარტამენტების გამგე, სილაჰდარ აღა – დიდი სენიორის მახვილის დამტარებელი, ჩიხადარ-აღა – სულთნის კაბის დამტარებელი, რიკაბდარი – უზანგის დამჭერი და ჰასოდაბაში – სულთნის ოთახის გამგე. ისინი ტახტის უკან დგანან მოკრძალებით, მუცელზე ხელებდაჭდობილნი. რაც შეეხება კაფუ-აღასის, იგი იმყოფება დარბაზის შუაგულში. ტახტის მარცხენა მხარეს დგას წითელი ხავერდით დაფარული პატარა მაგიდა, რომელსაც შემოუჯდებიან ელჩები, მას შემდეგ, რაც დიდი სენიორის კაბას ეამბორებიან, და თანმხლები პირნი, რომლებიც იგივე ცერემონიალს იმეორებენ. ამ დროს ფაშები და მცირე თათრების ხანი, როგორც წესი, ფეხზე დგანან. ყველაფერი ეს ხდება საოცრად წყნარად. შემდეგ ჩუმად მყოფი დიდი სენიორი ანიშნებს დიდ ვეზირს, ელჩები გაისტუმრეო. დიდი ვეზირიც წარმოსთქვამს რამდენიმე სათანადო სიტყვას, რის შემდეგაც ელჩები მიდიან მოწიწებითა და შემოუბრუნებლივ, ვიდრე დარბაზს არ დატოვებენ.”

სულთნისა და დიდი ვეზირისათვის მდიდარი საჩუქრების მირთმევა აუცილებელი იყო ყოველი ქვეყნის ელჩისათვის. ეს ტრადიცია იშვიათად ირღვეოდა, რასაც მოსდევდა სულთნის შესაფერისი რეაქცია. მაგალითად, 1572 წელს სელიმ II-მ არ მიიღო საფრანგეთის ელჩი იმის გამო, რომ არ ჩაუტანა მეფისაგან საჩუქრები. უფრო ცუდად მოექცნენ 1583 წელს უსაჩუქროდ მოსულ ავსტრიის ელჩს – იგი საპყრობილეში მოათავსეს.

თავის მხრივ, სულთანი ასაჩუქრებდა უცხოეთის ელჩებს ხალათებით. ჟან ბატისტ ტავერნიეს ცნობით, დიდი სენიორი განასხვავებს სახელმწიფოებს და მათ მეფეებს ელჩისადმი ნაბოძი ხალათების მიხედვით. რომელ მეფესაც მეტ პატივს სცემს, მის ელჩს მეტ ხალათებს აძლევს. საფრანგეთის ელჩს ოცდახუთი ხალათი ეკუთვნის, ინგლისისას – ცამეტი, ვენეციისას და ჰოლანდიისას - თორმეტ-თორმეტი.

XVI საუკუნის შუა წლებიდან ოსმალეთში ტრადიციად იქცა – უზრუნველეყოთ უცხოეთის ელჩები სურსათ-სანოვაგითა და ფულით მათი იქ ყოფნის განმავლობაში. მაგალითად, 1589 წელს ოსმალეთის ხელისუფლება ირანის ელჩობას ყოველდღიურად უგზავნიდა 100 ცხვარსა და 100 ნაზუქს და აგრეთვე მნიშვნელოვან თანხას. მუსლიმური სახელმწიფოების ელჩები გაცილებით უკეთ იყვნენ უზრუნველყოფილი, ვიდრე ქრისტიანული სახელმწიფოებისა.

კონსტანტინოპოლის დაცემის შემდეგ, 200 წლის განმავლობაში უცხოეთის საელჩოების რეზიდენცია იყო სტამბოლში, მათთვის სპეციალურად გამოყოფილ ბინაში, რომელსაც ეწოდებოდა "ელჩი-ხანე". XVII საუკუნის შუა წლებიდან მათი საცხოვრებელი გადაიტანეს გალათასა და პერაში, "ელჩი-ხანე" კი გადასცეს სულთნის ვასალური ქვეყნების წარმომადგენლებს.

თავი VIII

ოსმალეთის დასუსტების პირველი ნიშნები

1. 1569 წლის ასტრახანის ლაშქრობა

1566 წელს სულეიმანის სიკვდილის შემდეგ ტახტზე ავიდა მისი შვილი სელიმ II (1566-1574). იგი მამის ანტიპოდი იყო. მას სახელმწიფო საქმეები არ აინტერესებდა და დიდ დროს გართობასა და დვინის სმაში ატარებდა. ამიტომ მას ლოთი შეარქვეს. სახელმწიფო საქმეებს განაგებდა დიდი ვეზირი მეჰმედ სოკოლუ (წარმოშობით ბოსნიელი). ოსმალეთის ისტორიაში ერთადერთი შემთხვევაა, როდესაც ერთი სულთნის ზეობის წლებში დიდი ვეზირი არ შეცვლილა. კიდევ უფრო მეტი, იგი დიდი ვეზირი გახდა 1565 წელს სულეიმან I-ის დროს, ეს თანამდებობა ეკავა უცვლელად სელიმ II-ისა და მურად III-ის დროს, 1579 წლის ოქტომბრამდე. ე. ი. მეჰმედ სოკოლუს დიდი ვეზირის თანამდებობა ეკავა 15 წლის განმავლობაში! ეს უპრეცედენტო შემთხვევა იყო ოსმალეთის ისტორიაში. გავიხსენოთ, რომ იყო პერიოდი, როდესაც ერთი წლის განმავლობაში რამდენიმე დიდი ვეზირი შეიცვალა.

სელიმ II-ის დროიდან იწყება ოსმალეთის სამხედრო წარუმატებლობისა და საშინაო სიძნელეების პერიოდი.

სელიმ II-ის გამეფების შემდეგ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება იყო ზავის დადება ავსტრიასთან. 1568 წლის 17 თებერვალს ადრიანოპოლში ხანგრძლივი მოლაპარაკების შედეგად დაიდო ზავი ოსმალეთსა და ავსტრიას შორის. ამ ზავით დამთავრდა მთელი ციკლი ოსმალეთ-ავსტრია-უნგრეთის ომებისა. საზავო ხელშეკრულება შედგებოდა 25 მუხლისაგან. ზავის პირობებით ოსმალეთმა ავსტრიას დაუთმო უნგრეთის ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი. სანაცვლოდ მიიღო 30 ათასი დუკატი ყოველწლიური კონტრიბუცია. ავსტრიამ ოსმალეთის ვასალურ ქვეყნებად სცნო ტრანსილვანია, მოლდავეთი და ვალახეთი. ავსტრიას უნდა დაენიშნა თავისი ელჩი სტამბოლში. მართალია, ხელშეკრულება დაიდო 8 წლის ვადით, მაგრამ შემდგომ იგი ორჯერ იქნა გაგრძელებული 1576 და 1584 წლებში.

1568 წლის 16 თებერვალს, ავსტრიასთან ზავის დადების წინა დღეს, ადრიანოპოლში ჩავიდა ირანის ელჩობა 720 კაცის თანხლებით, შაჰ ყული ხანის მეთაურობით, რომელმაც სელიმ II-ს მიულოცა ტახტზე ასვლა და მიართვა ძვირფასი საჩუქრები. ირანის ელჩმა სულთანს მოახსენა, რომ შაჰი დაინტერესებულია ოსმალეთთან მეგობრული ურთიერთობით და 1555 წლის ზავის პირობების დაცვით.

ავსტრიასთან ზავის დადების შემდეგ ოსმალეთი აძლიერებს ექსპანსიას აღმოსავლეთის მიმართულებით. კერძოდ, მან მიზნად დაისახა ასტრახანის დაპყრობა. ასტრახანს დიდი სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. ამ დროს რუსეთი თანდათანობით სამხრეთისაკენ მოიწევდა. 1552 წელს რუსეთმა დაიპყრო ყაზანის, ხოლო 1556 წელს – ასტრახანის სახანოები და ურთიერთობა გააბა კავკასიის ქვეყნებთან. ასტრახანის დაპყრობით ოსმალეთს სურდა შეეჩერებინა რუსეთის წინსვლა კავკასია – შავი ზღვის მიმართულებით, აღედგინა ასტრახანისა და ყაზანის სახანოები და კავშირი დაემყარებინა შუა აზიის სახანოებთან. ასტრახანის ხელში ჩაგდებით ოსმალეთს საშუალება ეძლეოდა დაერტყა ირანისათვის ჩრდილოეთიდან, კასპიის ზღვის მხრიდან, საიდანაც იგი ყველაზე ნაკლებად ელოდებოდა დარტყმას.

ამ გეგმის განხორციელების შემთხვევაში ოსმალეთი არა მარტო მოსწყვეტდა რუსეთს კასპიის ზღვიდან და შეაჩერებდა მის წინსვლას სამხრეთის მიმართულებით, არამედ გახდებოდა მთელი კავკასიის ბატონ-პატრონიც.

ასტრახანს ჰქონდა აგრეთვე დიდი სავაჭრო-ეკონომიკური მნიშვნელობა. იგი იყო სავაჭრო-სატრანზიტო გზების კვანძი. აქ ჩამოდიოდნენ ვაჭრები ინდოეთიდან, შუა აზიიდან, რუსეთიდან, კავკასიიდან, დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპიდან. საკმარისია ითქვას, რომ ასტრახანის საბაჟოების ყოველწლიური შემოსავალი შეადგენდა 1.000 ოქროს. ამასთან ერთად დიდმა ვეზირმა მეჰმედ სოკოლუმ განიზრახა გაეყვანა ვოლგა-დონის არხი და ასტრახანის ვაჭრობა მიემართა შავი ზღვისაკენ, რის შედეგადაც მნიშვნელოვნად გაიზრდებოდა ვაჭრობიდან მიღებული შემოსავალი.

1568 წელს სელიმ II-მ უბრძანა ყირიმის ხანს დევლეთ გირეის მომზადებულიყო 1569 წლის გაზაფხულზე ასტრახანზე ლაშქრობისათვის. ყირიმის ხანი არ იყო დაინტერესებული ასტრახანზე ლაშქრობით, რადგან ეშინოდა ოსმალეთის გაბატონებისა ასტრახანსა და დონზე, რის შედეგადაც შესუსტდებოდა მისი გავლენა ამ რეგიონში.

1569 წელს ოსმალეთის ლაშქარი, რომელშიც მონაწილეობას იღებდა დაახლოებით 70 ათასი კაცი, კასიმ ბეის მეთაურობით და ყირიმის ხანის მონაწილეობით კაფიდან ასტრახანისაკენ გაემართა. ოსმალეთის არმია ორ კოლონად მიემართებოდა ასტრახანისაკენ. პირველი კოლონა, რომელსაც მეთაურობდა კასიმ ბეგი, კაფიდან აზოვში ჩავიდა და იქ დაელოდა საზღვაო ქარავანს. აზოვში გემებით ჩაიტანეს არა მარტო ზარბაზნები და სხვა სამხედრო ტექნიკა, არამედ ნიჩბები და თოხები გამიზნული არხის მშენებლობისათვის. თურქები აპირებდნენ ვოლგა-დონის არხის გათხრას. არხი უნდა გაყვანილიყო ამ ორი მდინარის ყველაზე დიდ სიახლოვეს, დაახლოებით იმ ადგილას, სადაც ამჟამად არის გაყვანილი არხი. მშენებლობის ადგილას თავი მოუყარეს ათასობით სამხედრო ტყვეებს, მონებს, მიმდებარე ტერიტორიის მოსახლეობას და შეუდგნენ არხის გათხრას. მშენებლებზე რუსთა თავდასხმებმა, კოკისპირულმა წვიმებმა, სურსათ-სანოვაგის ნაკლებობამ აიძულა ოსმალო ხელისუფალნი შეეწყვიტათ მშენებლობა. მაგრამ ამის გარეშეც ეს წამოწყება ავანტიურა იყო, რადგან იმ პერიოდში და იმ ტექნიკით არხის გაყვანა შეუძლებელი იყო ვოლგისა და დონის დონეთა მნიშვნელოვანი სხვაობის გამო. არხის მშენებლობის ჩაშლამ ვერ შეაჩერა ოსმალო ხელისუფალთა მისწრაფება ხელთ ეგდოთ ასტრახანი. ოსმალეთის ფლოტი დონის შესართავამდე მივიდა, რის შემდეგაც შეუძლებელი აღმოჩნდა გემებისა და საალყო ზარბაზნების გადატანა ვოლგამდე.

რუსეთის მთავრობამ გარკვეული ზომები მიიღო თავისი სამხრეთი საზღვრების გამაგრების მიზნით: შეაკეთეს და გაამაგრეს სამხრეთით მდებარე ციხე-ქალაქები, მათ შორის ასტრახანი; დონის კაზაკები მოამარაგეს ტყვია-წამლითა და სურსათ-სანოვაგით; თავად სერებრიანოვის მეთაურობით გაიგზავნა 15 ათასიანი ლაშქარი და სხვ.

ოსმალეთის ლაშქარს, რომელიც ასტრახანისაკენ მიემართებოდა, გზაში თავს ესხმოდნენ რუსი მეომრები თავად სერებრიანოვის მეთაურობით. ოსმალეთის სარდლობა იმედოვნებდა, რომ ასტრახანის ლაშქრობის დროს მას დახმარებას აღმოუჩენდა ადგილობრივი მოსახლეობა, მაგრამ ეს ვარაუდი არ გამართლდა.

ოსმალებმა, მძიმე მსხვერპლის ფასად, სექტემბრის შუა რიცხვებში ასტრახანს მიადწიეს და მის სამხრეთით 12 კილომეტრის დაშორებით ციხე ააგეს. ასტრახანი საკმაოდ კარგად იყო გამაგრებული და საალყო ზარბაზნების გარეშე მისი აღება შეუძლებელი იყო. ამიტომ კასიმ ბეიმ გადაწყვიტა იქ დაეზამთრებინა, ხოლო ყირიმის ხანს სურდა უკან გაბრუნებულიყო. როგორც კი გამოვლინდა კასიმის განზრახვა,

ჯარში მღელვარება დაიწყო. ოსმალები მწვავედ განიცდიდნენ წარუმატებლობას. ოსმალეთის არმია მოწყვეტილი იყო თავის ძირითად ბაზას – აზოვს. ჯარისკაცთა შორის გავრცელდა დაავადებები. გამწვავდა ურთიერთობა კასიმსა და დევლეთ გირეის შორის. იენიჩარები უკმაყოფილონი იყვნენ კასიმის გადაწყვეტილებით. მათ არ სურდათ ასტრახანთან გამოზამთრება. დიდი დანაკარგებისა და წარუმატებლობების შემდეგ კასიმმა 26 სექტემბერს გასცა ბრძანება, დაენგრიათ მათ მიერ აგებული ციხე-სიმაგრე და ყირიმის ხანთან ერთად დაეწყოთ უკან დაბრუნება. ასტრახანიდან 60 კილომეტრის დაშორებით მათ გზაში შეხვდათ სულთნის მიერ გამოგზავნილი ჩაუში, რომელმაც გადასცა სელიმ II-ის ბრძანება – აეგოთ ციხე-ქალაქი ასტრახანთან და იქ გამოეზამთრებინათ, გაზაფხულზე კი სულთანი გამოგზავნიდა დასახმარებლად ახალ ჯარს. მაგრამ სულთნის ეს ბრძანება არ შეასრულეს. უკან დახევისას ოსმალეთის ჯარი დიდ ზარალს განიცდიდა და დიდი მსხვერპლის ფასად მიაღწიეს აზოვს. ამ დროს აზოვში ხანძრის შედეგად აფეთქდა 2.000 ცენტნერი დენთი და დაიღუპა 1.000 კაცი. ოსმალეთში დაბრუნდა მხოლოდ 2.000 თურქი ჯარისკაცი, რადგან ლაშქრობის დროს გადარჩენილთა დიდი ნაწილი დაიღუპა შავ ზღვაზე ამოვარდნილი ძლიერი ქარიშხლის შედეგად.

ასტრახანთან დამარცხებისათვის სელიმმა ბრძანა, სიკვდილით დაესაჯათ კასიმი და ყირიმის ხანი დევლეთ გირეი, მაგრამ მათ ქრთამის საშუალებით შეძლეს თავის გადარჩენა. ამგვარად, ასტრახანის ლაშქრობა მარცხით დამთავრდა. ჩაიშალა ოსმალეთის დაპყრობითი გეგმები როგორც რუსეთის, ისე ირანისა და კავკასიის წინააღმდეგ. ასტრახანთან ოსმალეთმა განიცადა პირველი სერიოზული დამარცხება ხმელეთზე. მართალია, ამ დროს ოსმალეთი ჯერ კიდევ საკმაოდ ძლიერი სახელმწიფო იყო, მაგრამ უკვე გაჩნდა პირველი ბზარი.

2. კვიპროსის დაპყრობა და ომი „საღმრთო ლიგასთან“

იმ დროს, როდესაც ოსმალეთი დაკავებული იყო ასტრახანის ლაშქრობით, ვენეციამ გადაწყვიტა ესარგებლა ამით და შეუწყვიტა ოსმალეთს ხარკის გადახდა კუნძულ კვიპროსის ფლობისათვის. ასტრახანთან დამარცხების კომპენსაციის მიზნით, 1570 წელს ოსმალეთმა თავისი ჯარები გადასხა კვიპროსზე და შეუდგა მის დაპყრობას. ვენეცია კვიპროსისათვის ბრძოლას ყველა ქრისტიანის საქმედ თვლიდა, რადგან ეს კუნძული მნიშვნელოვან ბაზას წარმოადგენდა პალესტინისაკენ, "წმინდა ადგილებისაკენ" მიმავალ გზაზე. ამიტომ ვენეციამ დახმარებისათვის მიმართა რომის პაპს, ავსტრიის, საფრანგეთისა და ესპანეთის ხელმწიფეებს.

1570 წლის ბოლოსათვის ოსმალეთის ჯარმა ლალა მუსტაფა ფაშას სარდლობით შეძლო მთელი კვიპროსის დაპყრობა. ოსმალები სასტიკად გაუსწორდნენ ადგილობრივ მოსახლეობას. ათასობით მცხოვრები მონებად გაყიდეს, დაცარიელებულ ადგილებში თურქები ჩაასახლეს და დაიწყეს იქ თავიანთი წესების დანერგვა. მალე კვიპროსი აღწერეს და დავთრებში გაატარეს.

კვიპროსის დაცემამ დააჩქარა ოსმალეთის წინააღმდეგ კავშირის შექმნა. რომის პაპის ინიციატივით შეიქმნა "სადმრთო ლიგა", რომელშიც რომის პაპის გარდა შევიდნენ ესპანეთი, მალტა, ვენეცია, გენუა, სავოია და იტალიის სხვა სახელმწიფოები.

ომი გაგრძელდა სამ წელიწადს. ბრძოლები ცვალებადი უპირატესობით მიმდინარეობდა როგორც ზღვაზე, ისე ხმელეთზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია ლეპანტოს ყურესთან (საბერძნეთი) მომხდარი საზღვაო ბრძოლა. ოსმალეთის ფლოტი შედგებოდა 275 გემისაგან, ხოლო "საღმრთო ლიგა" 217 გემს ითვლიდა. "საღმრთო ლიგის"



ლეპანტოს ბრძოლა

ფლოტს სარდლობდა დონ ხუან ავსტრიელი. 1571 წლის 8 ოქტომბერს მოხდა ყველაზე მნიშვნელოვანი საზღვაო ბრძოლა, რომელშიც ოსმალეთის ფლოტი განადგურებულ იქნა. ოსმალებმა დაჰკარგეს 200-ზე მეტი გემი, მოკლულთა და დაჭრილთა სახით 30 ათასი კაცი, მოკავშირეებმა კი – 10 გემი და 7 ათასზე მეტი კაცი. გარდა ამისა, განთავისუფლებულ იქნა 12-15 ათასი ტყვე-მენიჩბე. ამ ბრძოლაში მონაწილეობა მიიღო და დაიჭრა დიდი ესპანელი მწერალი სერვანტესი, უკვდავი „დონ-კიხოტის“ ავტორი. სერვანტესის თქმით, „ლეპანტოს ბრძოლამ გააცამტვერა ზღვაზე ოსმალების უძლეველობის მითი“. ეს იყო ოსმალების პირველი დამარცხება ზღვაზე. ოსმალეთის დამარცხებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ევროპაზე. იტალიასა და ესპანეთში ეს გამარჯვება დიდი ზეიმით აღნიშნეს. ლეპანტოს გამარჯვებას ჰქონდა დიდი მორალურ-პოლიტიკური მნიშვნელობა. ევროპის სახელმწიფოების მესვეურები იმედოვნებდნენ, რომ შეძლებდნენ ოსმალების დამარცხებას. მაგრამ სინამდვილეში, ამ დამარცხებას გავლენა არ მოუხდენია ომის შემდგომ ბედზე. ოსმალეთმა უმოკლეს დროში შეძლო აღედგინა თავისი ფლოტის ბრძოლისუნარიანობა.

ოსმალეთი ამ დროს ჯერ კიდევ საკმაოდ მრისხანე ძალას წარმოადგენდა. მან ერთი წლის განმავლობაში ააგო 200 გემი და მზად იყო ახალი ბრძოლებისათვის. ყოველი გემის აგება ოსმალეთს დაუჯდა 6.000 დუკატი ოქრო, მთლიანად კი – 1 მილიონ 200 ათასი ოქროს დუკატი.

1571 წელს ოსმალებმა საბოლოოდ წაართვეს ვენეციას კვიპროსი და შეინარჩუნეს გაბატონებული მდგომარეობა ხმელთაშუა ზღვაზე.

ოსმალეთის დიდმა ვეზირმა მეჰმედ სოკოლუმ ვენეციის ელჩს განუცხადა: „ლეპანტოსთან ჩვენი ფლოტის განადგურებით შეგვაჭერით წვერი, ხოლო კვიპროსის დაპყრობით ჩვენ ხელები მოგკვეთეთ. წვერები გაიზრდება, ხელები კი – არასოდეს“.

1573 წლის 7 მარტს დაიდო ზავი ოსმალეთსა და ვენეციას შორის. ხელშეკრულებით ვენეციამ დაკარგა კვიპროსი და ზოგიერთი სხვა სამფლობელო, აგრეთვე მან იკისრა კომპენსაციის სახით გადაეხადა 300 ათასი დუკატი. ამავე დოკუმენტით ვენეციამ შეინარჩუნა თავისი სავაჭრო პრივილეგიები ალბანეთსა და დალმაციაში.

1574 წელს ოსმალეთმა განაახლა საომარი ოპერაციები ტუნისში. ზაფხულის დამდეგს ოსმალეთის 300 გემისაგან შემდგარი ესკადრა 40 ათასი ჯარისკაცით გაემართა ტუნისის სანაპიროსაკენ. 12 ივლისს ცხარე ბრძოლების შედეგად აიღეს ქალაქი ტუნისი, ხოლო აგვისტო-სექტემბერში სანაპიროზე განლაგებული სხვადასხვა ციხე-ქალაქები. ამის შედეგად ესპანელებმა, ფაქტობრივად, დაკარგეს თავიანთი სამფლობელოები ჩრდილოეთ აფრიკაში. 1581 წელს ესპანეთი მეფემ ფილიპე II-მ ზავი დადო ოსმალეთთან და სცნო ოსმალების მიერ ტუნისის დაპყრობა.

1576 წელს მაროკოს სულთანიც ოსმალეთის მფარველობის ქვეშ შევიდა. ამან გამოიწვია ომი პორტუგალიასთან. 1578 წელს ეს ომი პორტუგალიელების დამარცხებით დამთავრდა და მაროკო მთლიანად ოსმალეთის მფლობელობაში გადავიდა. ამგვარად, XVI საუკუნის ბოლოსათვის მთელი ხმელთაშუაზღვის აფრიკის სანაპირო – ეგვიპტიდან დაწყებული ატლანტის ოკეანემდე – ოსმალეთის მფლობელობაში გადავიდა.

3. გლეხთა აჯანყებები XVI საუკუნეში

XVI საუკუნის განმავლობაში გლეხების უკმაყოფილება, მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გამო, ხშირად მთავრდებოდა მთავრობის საწინააღმდეგო გამოსვლებით. გლეხთა აჯანყებები რელიგიურ საბურველში იყო გახვეული. ოსმალეთის იმპერიაში, სადაც ისლამში გაბატონებული იყო სუნიზმი, გლეხობისათვის იდეოლოგიური დასაყრდენი შიიზმი გახდა. კერძოდ, XVI საუკუნეში აღმოსავლეთ ანატოლიაში აჯანყებულთა შორის ძალზე პოპულარული იყო შიიტურ-სუფიური დოგმა მაჰდის მესიის შესახებ, რომლის მიხედვით ქვეყანას მოევლინებოდა მაჰდი, რომელიც გაანთავისუფლებდა გლეხობას ფეოდალთა ძალადობისაგან და ქვეყანაში დაამყარებდა სამართლიანობასა და წესრიგს. ყველაზე დიდი გავლენით სარგებლობდნენ შიიტური მიმართულების დერვიშები, რომელთა რელიგიური ცენტრი მდებარეობდა ქალაქ არდებილში (ირანში). ეს ქალაქი ანატოლიის შიიტებისათვის წმინდა იყო.

პირველი აჯანყება დაიწყო 1508 წელს, თოქათის რაიონში. მას სათავეში ჩაუდგა ნური ალი ხალიფა. ხალიფას ტიტული (არაბ. "მოადგილე") მან მიიღო თავისი არდებილელი სულიერი მოძღვრისაგან. ნური ალი ხალიფამ თავის ირგვლივ შემოიკრიბა 20 ათასზე მეტი კაცი. მან თავი მოუყარა უკმაყოფილო გლეხებს და სეპარატისტულად განწყობილ შიიტებს, რომლებიც ცდილობდნენ დაეღწიათ თავი ოსმალეთის სულთნის ხელისუფლებისაგან და გამხდარიყვნენ ირანის შაჰის ქვეშევრდომნი. აჯანყებულებმა აიღეს ქალაქი თოქათი. მათ რამდენჯერმე დაამარცხეს მთავრობის ჯარები. აჯანყება გაგრძელდა რამდენიმე წელიწადს, მაგრამ სელიმ I-მა შეძლო მისი ჩაქრობა და სასტიკად გაუსწორდა აჯანყებულებს.

1511 წელს, როდესაც ცენტრალურ ანატოლიაში გრძელდებოდა აჯანყება ნური ალი ხალიფას მეთაურობით, სამხრეთ-დასავლეთ ანატოლიაში, ანტალიის რაიონში, დაიწყო კიდევ უფრო დიდი აჯანყება შაჰ-ყულის მეთაურობით ("შაჰ-ყული" ნიშნავს ირანის შაჰის, ე. ი. შაჰ ისმაილ I-ის მონას). ოსმალებმა მას მეტსახელად შაითან-ყული (ანუ ეშმაკის მონა) უწოდეს.

ამ მოძრაობაში მონაწილეობდა 20 ათასამდე მებრძოლი. აჯანყებულები მოითხოვდნენ მძიმე გადასახადებისაგან განთავისუფლებას, მოხელეების ძალადობისა და განუკითხაობის მოსპობას. მოსახლეობას მოუწოდებდნენ, უარი ეთქვათ ხელისუფლების მიმართ მორჩილებაზე.

შაჰ-ყულის წინააღმდეგ საბრძოლველად სულთანმა ჯარი გაგზავნა ანატოლიის ბეგლარბეგის აჰმედ ფაშას სარდლობით. ყარაგოზთან ბრძოლაში აჰმედ ფაშა დამარცხდა და ტყვედ ჩაუვარდა აჯანყებულებს. შაჰ-ყულის ბრძანებით იგი სიკვდილით იქნა დასჯილი. თანდათანობით აჯანყების ხანძარი გავრცელდა მარმარილოს ზღვის სამხრეთის ნაპირებამდე და ქალაქ ბურსამდე. ამგვარად, აჯანყება მოედო დიდ ტერიტორიას – ანატოლიიდან ბურსამდე. სულთანმა დიდ ვეზირს ჰადიმ ალი ფაშას უბრძანა, წასულიყო ჯარით აჯანყების ჩასაქრობად. 1511 წლის ზაფხულში, 40 დღის უთანასწორო ბრძოლის შედეგად, დიდმა ვეზირმა შეძლო აჯანყების ჩაქრობა. შაჰ-ყული ბრძოლაში დაიღუპა.

1515 წელს დაიწყო გლეხთა ახალი აჯანყება შეიხ ჯელალის მეთაურობით. აჯანყებამ მოიცვა თოქათის და ყარამანიის რაიონები. შეიხ ჯელალი ქადაგებდა, რომ მალე მოვიდოდა მაჰდი, ხოლო ცოტა ხნის შემდეგ, მან გამოაცხადა, რომ იგი მაჰდია და სათავეში ჩაუდგა აჯანყებას. აჯანყებულთა რიცხვმა 20 ათასს მიაღწია. სულთანმა მათ წინააღმდეგ გაგზავნა ჯარი რუმელიის ბეგლარბეგის სარდლობით. შარკყარაჰისართან მოხდა გადამწყვეტი ბრძოლა, აჯანყებულები დამარცხდნენ, შეიხ ჯელალი ტყვედ ჩავარდა და მას თავი მოკვეთეს. აღსანიშნავია, რომ აჯანყების მონაწილეებს ჯელალიებს უწოდებდნენ. შემდგომში ჯელალიები აჯანყებულთა საზოგადო სახელად იქცა.

XVI საუკუნის პირველ მესამედში იფეთქა კიდევ რამდენიმე აჯანყებამ. 1526 წლის აგვისტოში – ყიზილბაშების სულუნ ხოჯა და ბაბა ზუნუნას მეთაურობით. გლეხთა ეს გამოსვლა გამოიწვია გადასახადების სიმძიმემ და სულთნის მოხელეთა მხრიდან აუტანელმა შევიწროებამ. აჯანყებულებმა დაამარცხეს ყარამანიის გამგებელი და დაიკავეს თოქათი და ყარაჰისარის ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი, მაგრამ სექტემბერში სივასის გამგებელმა შეძლო აჯანყების ჩაქრობა.

1526 წელს მალათიის რაიონში აგრეთვე დაიწყო გლეხთა აჯანყება, რომელსაც ხელმძღვანელობდა კალენდერ ჩელები, ბექთაშიების შიიტური სექტის დამაარსებლის ჰაჯი ბექთაშის საგვარეულოს წევრი.

აჯანყებაში მონაწილეობა მიიღეს თურქებმა, თურქმანებმა, ქურთებმა. კალენდერ ჩელების პირადი ინტერესები ამოძრავებდა – იგი აღმოსავლეთ ანატოლიაში შიიტობის გავრცელებას აპირებდა და თავის თავს უწოდებდა კალენდერ-შაჰს. ხოლო აჯანყების მონაწილეები ფეოდალების წინააღმდეგ იბრძოდნენ. გლეხობა მიწის დარიგებასა და მძიმე გადასახადების შემცირებას მოითხოვდა, მეჯოგე ქურთები და თურქმანები – იმ საძოვრების დაბრუნებას, რომელიც სულთანმა თავის მოხელეებს დაურიგა. 1527 წლის ზაფხულში კალენდერ ჩელებიმ სასტიკად დაამარცხა ანატოლიის ბეგლარბეგი. მაგრამ მალე გამარჯვებულთა შორის დაიწყო განხეთქილება. ამით ისარგებლა სულთანმა: აჯანყებულთა ნაწილი თავის მხარეზე გადაიბირა, აჯანყებულები ცალ-ცალკე დაამარცხა, კალენდერ ჩელები ტყვედ ჩაიგდო და სიკვდილით დასაჯა.

კალენდერ ჩელების აჯანყების გარდა ამ პერიოდში ადგილი ჰქონდა კიდევ ერთ გამოსვლას სულთნის ხელისუფლების წინააღმდეგ ადანას რაიონში, რომელშიც მონაწილეობდა 5 ათასი კაცი. მაგრამ ეს აჯანყება ადვილად იქნა ჩაქრობილი.

1573 წელს მცირე აზიაში აჯანყება დაიწყო შამს-ედდინის მეთაურობით. ეს აჯანყებაც ჩაქრობილ იქნა. საუკუნის მიწურულს კვლავ იფეთქა აჯანყებამ.

ეს აჯანყებები გამოწვეული იყო გლეხთა ფეოდალური ექსპლუატაციის გაძლიერებით და მიუხედავად იმისა, რომ მათი დასაყრდენი რელიგიური იდეოლოგია იყო, არსებითად ეს იყო ანტიფეოდალური, ე. ი. სოციალური მოძრაობა, მიმართული ქვეყნის ფეოდალიზაციის წინააღმდეგ. აჯანყებული გლეხები მოითხოვდნენ თემური მიწათმფლობელობის აღდგენას, ფეოდალების მიწებისა და ქონების გადანაწილებას გლეხებს შორის. აჯანყებულთა შორის იყვნენ მთავრობის პოლიტიკით უკმაყოფილო მომთაბარეებიც. აჯანყებულთა რიგებს ხშირ შემთხვევაში უერთდებოდნენ ადგილობრივი წვრილი ფეოდალებიც, რომლებმაც დაჰკარგეს თავიანთი. ლენები. აჯანყებულთა სოციალური დიფერენციაცია ხელს უშლიდა მათ წარმატებას და შეჰქონდა განხეთქილება აჯანყებულთა რიგებში, რაც უადვილებდა ოსმალეთის მთავრობას მათ წინააღმდეგ ბრძოლას.

ამრიგად, XVI საუკუნეში, ოსმალეთის ძლიერების ხანაში, ადგილი ჰქონდა სოციალურ გამოსვლებს, რაც მომასწავებელი იყო მისი დაქვეითების დაწყებისა.

თავი IX

1578-1590 წლების ოსმალეთ-ირანის ომი

1. ლალა მუსტაფა ფაშას ლაშქრობა ამიერკავკასიაში

1555 წლის ირან-ოსმალეთის ზავის დადების შემდეგ წინააღმდეგობა ამ ორ სახელმწიფოს შორის არ შენელებულა. მართალია, ოსმალეთმა ირანის წინააღმდეგ ომში გარკვეულ წარმატებებს მიაღწია, მაგრამ იგი არ იყო კმაყოფილი ზავის პირობებით და ხელსაყრელ დროს უცდიდა, რათა ირანის წინააღმდეგ ახალი ომი გაეჩაღებინა.

ოსმალეთს განსაკუთრებით აინტერესებდა ამიერკავკასიის დაპყრობა, რადგანაც მისი ხელში ჩაგდებით, ოსმალეთს საშუალება ეძლეოდა უშუალოდ დაეწყო შეტევა ჩრდილოეთ-დასავლეთიდან საკუთრივ ირანის წინააღმდეგ. კასპიის ზღვის სანაპიროს დაპყრობით ოსმალეთს შესაძლებლობა ეძლეოდა განემტკიცებინა ურთიერთობა შუა აზიის ხანებთან, რომლებიც აგრეთვე გამუდმებულ თავდასხმებს აწყობდნენ ირანზე. გარდა ამისა, ოსმალეთისათვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამიერკავკასიაზე გამავალი სავაჭრო გზების ხელში ჩაგდებას. ოსმალეთი მიისწრაფოდა, აგრეთვე, ხელთ ეგდო ვოლგა-ასტრახანის სავაჭრო მაგისტრალი, ევროპა-აზიის ეს ახალი სავაჭრო გზა.

ამიერკავკასიის დაპყრობით და ჩრდილოეთ კავკასიაში გაბატონებით ოსმალეთი უპირისპირდებოდა რუსეთს, რომელიც ამ დროს თანდათანობით სამხრეთისაკენ მოიწევდა და ოსმალეთის წინააღმდეგ მებრძოლ კავკასიის ხალხებს მფარველად ევლინებოდა.

ოსმალეთისათვის არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა ამიერკავკასიის დაპყრობას მისი ბუნებრივი რესურსებისა და სიმდიდრის ხელში ჩაგდების თვალსაზრისითაც.

ასეთ ვითარებაში შაჰ თამაზ I დაინტერესებული იყო ოსმალეთთან ამასიის ზავის პირობების შენარჩუნებით.

1576 წელს სტამბოლში ჩავიდა ირანის შაჰის ელჩი თოქმაქ ხანი და სულთანს ძვირფასი საჩუქრები მიართვა. თოქმაქ ხანის ელჩობის მიზანი იყო სულთან მურად III-სათვის ტახტზე ასვლის მილოცვა და 1555 წლის ირან-ოსმალეთის ზავის განახლება. სტამბოლში ირანის ელჩს ცივად შეხვდნენ და იგი მალე სამშობლოში დაბრუნდა.

1576 წელს გარდაიცვალა შაჰ თამაზ I. მისი გარდაცვალების შემდეგ ირანში დაიწყო ბრძოლა ყიზილბაშ ამირებს შორის, ტახტზე მათთვის სასურველი უფლისწულის ასაყვანად.

შაჰ თამაზ I-ის სიკვდილის შემდეგ ტახტზე ავიდა შაჰ ისმაილ II. მაგრამ მას დიდხანს არ უმეფია და 1577 წელს ტახტზე აყვანილ იქნა მუჰამედ ხუდაბანდე, ნახევრად ბრმა და სუსტი ნებისყოფის ადამიანი. ქვეყანაში შინაფეოდალური ბრძოლა გრძელდებოდა.

ირანში დაწყებული აშლილობა, ოსმალეთის მთავრობის თვალსაზრისით, ხელსაყრელი დრო იყო ირანის დასამარცხებლად და ამიერკავკასიის ქვეყნების დასაპყრობად. ოსმალეთის სულთანი ვარაუდობდა, რომ მას ყიზილბაშთა სახელმწიფო ეფექტურ წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა.

1577 წლის ბოლოს სულთანმა გადაწყვიტა ომი დაეწყო ირანის წინააღმდეგ.

1578 წლის 2 იანვარს სულთანმა ირანის წინააღმდეგ ომში ოსმალეთის ლაშქრის მთავარსარდლად დანიშნა ლალა მუსტაფა ფაშა.



ჩილდირის ბრძოლა

ირანთან ომის დაწყების წინ, 1577 წელს, სულთანმა ზავი დადო ავსტრიის იმპერატორთან, 1578 წელს – პოლონეთთან. ამასთანავე სულთანმა გადადგა ნაბიჯი რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესებისაკენ.

1578 წლის 5 აპრილს ლალა მუსტაფა ფაშამ სტამბოლი დატოვა და მრავალრიცხოვანი ლაშქრით ირანის წინააღმდეგ საომრად გაემართა. მას დავალებული ჰქონდა ამიერკავკასიის ქვეყნების დაპყრობა და მისი ოსმალეთისათვის დამორჩილება.

ოსმალეთის ლაშქარი მეტად მრავალრიცხოვანი იყო. დონ ხუან სპარსელის ცნობით, ოსმალეთის ლაშქარი 200.000 კაცისაგან შედგებოდა. აქედან 100.000 მეომარი იმ დროისათვის კარგად იყო შეიარაღებული. ლაშქარს თან ახლდა 500-მდე სხვადასხვა ყალიბის ქვემეხი.

ტ. მინადოის ცნობით, ოსმალთა ლაშქარი 300.000 კაცს შეადგენდა, ხოლო ისქანდერ მუნშის მიხედვით – 100.000-ს.

ოსმალეთის ლაშქრის მომარაგება სურსათ-სანოვაგითა და საჭურველით დაევალა არა მარტო ანატოლიის (ოსმალეთის აზიური ნაწილი), არამედ რუმელიის (ევროპული ნაწილი), ეგვიპტისა და კუნძულ კვიპროსის გამგებლებსაც. ევროპიდან ლაშქრისათვის გათვალისწინებული ტვირთი გემებით ტრაპიზონისა და ბათუმის ნავსადგურებში ჩაჰქონდათ, ხოლო იქიდან კი ხმელეთით – არზრუმში.

ლალა მუსტაფა ფაშამ დატოვა სტამბოლი და ლაშქრითურთ უსქუდარში გადავიდა, იქიდან კი გეზი აღმოსავლეთისაკენ აიღო. ოსმალეთის ლაშქარმა გაიარა

იზმირი, კონია, კაისერი, სივასი, ვანი და არზრუმში ჩავიდა. ლაშქრის ერთი ნაწილი ზღვით გაემგზავრა და ტრაპიზონში ჩავიდა.

გზადაგზა ლალა მუსტაფა ფაშას ლაშქარს უერთდებოდნენ სხვადასხვა პროვინციების გამგებლები თავისი ლაშქრითურთ.

3 ივლისს ლალა მუსტაფა ფაშა არზრუმში ჩავიდა და იქ 20 დღე დაჰყო.

არზრუმში ყოფნის დროს ლალა მუსტაფა ფაშამ წერილები გაუგზავნა ამიერკავკასიის მეფე-გამგებლებს, მათ შორის კახეთის მეფეს ალექსანდრეს, ლეკიანის ძეს, დაუდ ხანს, ლუარსაბის ძეს, გიორგი იმერეთის მეფეს, მანუჩარს, გურიელს და დადიანს. ლალა მუსტაფა ფაშა მათ მოუწოდებდა მორჩილნი ყოფილიყვნენ და ეომათ ირანის წინააღმდეგ.

ლალა მუსტაფა ფაშას წერილებიდან შეიძლებოდა ისეთი დასკვნის გამოტანა, რომ თითქოს თურქეთი კმაყოფილდებოდა მხოლოდ ვასალური დამოკიდებულებით. მაგრამ მოვლენათა მსვლელობამ მალე გამოამჟღავნა მისი ნამდვილი ზრახვები.

არზრუმიდან გამგზავრების წინ ლალა მუსტაფა ფაშამ სამხედრო საბჭო მოიწვია. მასზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, დაეკავებინათ ჯერ საქართველო, შემდეგ კი – შირვანი და დაღესტანი.

23 ივლისს ლალა მუსტაფა ფაშამ არზრუმი დატოვა და აღმოსავლეთისაკენ გაემართა. ცალკეულ სამეფო-სამთავროებად დანაწილებულმა საქართველომ ვერ შეძლო დამპყრობლის წინააღმდეგ თავისი ძალების გაერთიანება. საქართველოს მეფე-მთავრები თავისი პირადი ინტერესების შესაბამისად მოქმედებდნენ და თუ მათთვის ხელსაყრელი აღმოჩნდებოდა, ისინი ოსმალეთის სარდალს მორჩილებასაც კი უცხადებდნენ. ლალა მუსტაფა ფაშამ მოხერხებულად გამოიყენა საქართველოს პოლიტიკური დაშლილობა ოსმალეთის ინტერესების სასარგებლოდ. ყოველივე ამის გამო, დამპყრობელმა, მიუხედავად ქართველი ხალხის თავდადებული ბრძოლისა, შეძლო საქართველოში გარკვეული წარმატებების მოპოვება.

5 აგვისტოს ოსმალეთის ლაშქარი არტაანში ჩავიდა. არტაანის აღმოსავლეთიდან იწყებოდა საქართველოს (სამცხე-საათაბაგოს) საზღვარი. ამ დროს სამცხე-საათაბაგოში შიდაფეოდალური ბრძოლა მიმდინარეობდა, რის გამო ქვეყანა მტერს მოუმზადებელი შეხვდა.

1578 წლის 9 აგვისტოს ჩილდირის ველზე ოსმალებსა და ირანელებს შორის მოხდა დიდი ბრძოლა. ირანელთა ლაშქარი 30.000 კაცს შეადგენდა. წყაროებიდან ირკვევა, რომ ირანელთა მხარეზე ბრძოლაში ქართველებიც იღებდნენ მონაწილეობას. ბრძოლის დაწყების წინა ღამეს კოკისპირული წვიმა მოვიდა, რამაც გააძნელა ოსმალთა ზარბაზნებისა და ცეცხლმსროლელი იარაღის მოქმედება, რაშიაც ოსმალებს აშკარა უპირატესობა ჰქონდათ ირანელებზე. ჩილდირის ბრძოლა მეტად ცხარე ხასიათს ატარებდა და ოსმალთა გამარჯვებით დამთავრდა. ოსმალებმა 500 ტყვე და დიდძალი ნადავლი იგდეს ხელთ. 5.000 ყიზილბაში ბრძოლის ველზე დაიღუპა.

ჩილდირის ველზე გამარჯვების შემდეგ ოსმალებს გზა ქართლისაკენ გახსნილი ჰქონდათ და ლალა მუსტაფა ფაშას ლაშქარი თბილისისაკენ გაემართა. ამ დროს ქართლის გამგებლად გამაჰმადიანებული დაუდ ხანი იჯდა. ლალა ფაშამ დაუდ ხანს წერილი გაუგზავნა და მორჩილება მოსთხოვა. ლალა ფაშას წერილს დაუდ ხანმა პასუხი არ გასცა. მან სცადა ოსმალეთისათვის წინააღმდეგობის გაწევა, მაგრამ მალე დარწმუნდა, რომ ოსმალთა მრავალრიცხოვანი ლაშქრის წინააღმდეგ წარმატებით ბრძოლა არარეალური იყო. თბილისის მოსახლეობა ქალაქიდან გაიხიზნა, დაუდ ხანმა თბილისი გადაწვა და ლორეს წავიდა: „გაირეს, წავიდეს თბილისის ქალაქზე, ის დაუდხან დაწვა და გაეცალა, ლორეს ჩავიდა“.

24 აგვისტოს ოსმალთა ლაშქარმა თბილისი დაიკავა. ქალაქის აღების შემდეგ ოსმალები აქ თავისი წესების შემოღებას შეუდგნენ: ქართლის დაპყრობას კი თბილისის (ქართლის) საბეგლარბეგოს დაარსება მოჰყვა. მის გამგებლად ლალა მუსტაფა ფაშამ კასტამონიის სანჯაყბეგი სოლაქ ფერჰად ფაშას ძე მეჰმედ ბეგი დანიშნა. ოსმალებმა ქალაქში ორი ეკლესია მეჩეთად გადააკეთეს, ხოლო თბილისის დასაცავად 1.800 ჯარისკაცი ჩააყენეს.

29 აგვისტოს ლალა მუსტაფა ფაშამ თბილისი დატოვა და გეზი შირვანისაკენ აიღო. 1 სექტემბერს სართიჭალასთან ალექსანდრე კახეთის მეფე შეეგება ოსმალო სარდალს. დაიწყო მოლაპარაკება, რომელიც კახეთისათვის ხელსაყრელი პირობებით დამთავრდა. კახეთის მეფეს ყოველწლიურად ხარკი უნდა გადაეხადა ოსმალეთისათვის: 30 იუქი აბრეშუმი, 20 ქალ-ვაჟი, 10 ფრთა შევარდენი და 10 ფრთა მიმინო.



ლალა მუსტაფა ფაშას მოლაპარაკება ალექსანდრე კახთა მეფესთან

ამის შემდეგ ოსმალეთის ლაშქარი აღმოსავლეთ ამიერკავკასიისაკენ გაემართა. 12 სექტემბერს ოსმალებმა არეში აიღეს. ლალა მუსტაფა ფაშამ აქედან ოსმალთა ლაშქარი სხვადასხვა მიმართულებით გაგზავნა და მათ მთელი რიგი ქალაქები დაიპყრეს, მათ შორის: შემახა, კაბალა, ბაქო, შაბურანი (შაბრანი), დერბენდი, მაჰმუდაბადი და სალიანი.

შირვან-აზერბაიჯანის დაპყრობის შემდეგ ოსმალები აქაც თავისი წესების შემოღებას შეუდგნენ. მათ ქვეყანა აღწერეს და საბეგლარბეგო დააარსეს. შირვანის საბეგლარბეგო 14 სანჯაყად დაჰყვეს. შირვანის საბეგლარბეგოს გამგებლად ოსმან ფაშა დანიშნეს.

ადგილობრივი მოსახლეობა ოსმალთა ამ ღონისძიებას მტრულად შეხვდა და დამპყრობელთა წინააღმდეგ ბრძოლა დაიწყო. ოსმალთა ლაშქრის მდგომარეობა აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში თანდათან გართულდა.

8 ოქტომბერს ლალა მუსტაფა ფაშა იძულებული იყო შირვანიდან უკან გაბრუნებულიყო. კახეთზე გავლით ლალა ფაშა თბილისში ჩავიდა. ქალაქში საშინელი შიმშილი იყო, ამას თან დაემთხვა ეპიდემია. მრავალი ოსმალო მეცხოვნე ავადმყო-

ფობით გარდაიცვალა. მინადოის ცნობით, ეს იმის გამო მოხდა, რომ თბილისის გამგებელმა მჭმედ ფაშამ მეციხოვნეებს აუკრძალა სიმაგრიდან გასვლა სანოვაგის საშოვნელად. მტრის შიშით. ლალა ფაშამ მეციხოვნეები გაამხნევა, მათ სურსათ-სანოვაგის მარაგი დაუტოვა და თვითონ ორი დღის შემდეგ თბილისიდან გავიდა, ახლომახლო სოფლები დაარბია.

ლალა მუსტაფა ფაშა მუხრანზე გავლით გორში ჩავიდა და გორის ციხე გაამაგრა.

ქართლის საქმეების მოგვარების შემდეგ ლალა მუსტაფა ფაშამ ლაშქრის ერთი ნაწილი იმერეთისაკენ გაგზავნა. იმერეთისაკენ მიმავალ ოსმალებს ლიხის მთაზე დახვდა იმერეთის ლაშქარი, რომელმაც დაამარცხა და უკუაქცია ოსმალები.

ამგვარად, ოსმალთა ცდა, შესულიყვნენ იმერეთში, მარცხით დამთავრდა.

გორიდან ლალა მუსტაფა ფაშა სამცხისაკენ გაემართა და ალთუნ ყალაში ჩავიდა.

1578 წლის 21 ნოემბერს ლალა ფაშა არზრუმში ჩავიდა. ამის შემდეგ ოსმალეთის ლაშქარი საზამთროდ დაბანაკდა.

ლალა მუსტაფა ფაშას არზრუმში ჩასვლით დამთავრდა 1578 წლის ოსმალეთის სამხედრო ოპერაციები ამიერკავკასიაში.

ირან-ოსმალეთის ომის დაწყებისთანავე, ოსმალეთი შავი ზღვის ნავსადგურებს ტრაპიზონსა და ბათუმს იყენებდა ირანის წინააღმდეგ მოქმედი ლაშქრისათვის სამხედრო საჭურველისა და სურსათ-სანოვაგის მისაწოდებლად. ოსმალებს ტვირთი გემებით ტრაპიზონსა და ბათუმში ჩაჰქონდათ, იქიდან კი საქარავნო გზით ოსმალეთის ლაშქარს აწვდიდნენ.

ქართლისა და შირვანის დაპყრობის შემდეგ ამ ქვეყნებში განლაგებული ოსმალთა ჯარების მომარაგება სამხედრო საჭურველითა და სურსათ-სანოვაგით მეტად გაძნელდა. ეს აიხსნება არა მარტო იმით, რომ ოსმალთა საკომუნიკაციო გზები ასეული და ათასი კილომეტრებით იყო დაშორებული ოსმალეთის მთავარ ბაზებს, არამედ იმითაც, რომ დაპყრობილი მოსახლეობა საბოტაჟს უწევდა მტერს, თავს ესხმოდა და დიდ ზარალს აყენებდა ოსმალთა სამხედრო რაზმებს, რომლებსაც სამხედრო საჭურველი და სხვა საჭირო საგნები მიჰქონდათ ამ ქვეყნებში განლაგებული ოსმალთა გარნიზონებისათვის.

ასეთ პირობებში ოსმალეთმა მთელი რიგი ზომები მიიღო მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

სულთანმა ყირიმის ხანს მუჰამედ გირეის უბრძანა, თავისი ლაშქრით დახმარება აღმოეჩინა შირვანში მყოფი ოსმალთა ჯარებისათვის. 1578 წლის შემოდგომაზე ყირიმის ხანის ლაშქარი ჩრდ. კავკასიის გზით შირვანში ჩავიდა და ოსმან ფაშას დახმარება აღმოუჩინა.

სულთანს აგრეთვე განზრახული ჰქონდა ჩრდილოეთ კავკასია თავისი გავლენის ქვეშ მოექცია და აქ ვასალური სამფლობელოები შეექმნა.

ამავე დროს სულთანმა გადაწყვიტა საქართველოს შავი ზღვის სანაპიროსა და დასავლეთ საქართველოს დაპყრობაც.

1579 წელს, ლალა მუსტაფა ფაშას ბრძანებით, ადმირალი კილიჩ ალი ფაშა 60 ხომალდისაგან შემდგარი ფლოტით შავი ზღვიდან მდინარე ფაზისის (რიონის) შესართავში შევიდა და ქალაქ ფოთში ციხე ააშენა.

ფოთის დაპყრობის შემდეგ, როგორც ჩანს, ოსმალები მდინარე რიონით ქუთაისისაკენ გაემართნენ და მისი დაპყრობა სცადეს. მაგრამ ქართველებმა დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს ოსმალებს და აიძულეს ისინი უკან გაბრუნებულიყვნენ. ამრიგად, ოსმალთა ცდა, აეღოთ ქუთაისი, მარცხით დამთავრდა.

ამიერკავკასიის ქვეყნების დაპყრობის შემდეგ ოსმალეთის მთავრობამ შეცვალა თავისი დამოკიდებულება სამცხე-საათაბაგოსადმი. სულთანი მურად III აღარ კმაყოფილდებოდა მესხეთის მოხარკეობით და იგი დღის წესრიგში აყენებდა სამცხე-საათაბაგოს გაუქმებისა და აქ საბეგლარბეგოს (საფაშოს) დაარსების საკითხს.

სამცხე-საათაბაგოში ამ მიმართულებით ოსმალებს უკვე ჰქონდათ ჩატარებული სათანადო სამზადისი. სამცხე-საათაბაგოს დასავლეთ ნაწილში ოსმალები ჯერ კიდევ XVI საუკუნის პირველ ნახევარში შეუდგნენ ოსმალური მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის წესების შემოღებასა და ქვეყნის სანჯაყებად დაყოფას, ხოლო სამცხის აღმოსავლეთ ნაწილში კი, როგორც ზემოთ მივუთითეთ, ეს ცვლილებები მოხდა ლალა მუსტაფა ფაშას ლაშქრობის დროს. ამგვარად, სამცხე-საათაბაგოს როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ ნაწილში ოსმალური მიწათმფლობელობის ფორმები იყო შემოღებული და ქვეყანა სანჯაყებად იყო დანაწილებული. მაგრამ, სულთნის თვალსაზრისით, საჭირო იყო სამცხეში შექმნილი სანჯაყების გაერთიანება და ერთი საბეგლარბეგოს (საფაშოს) დაარსება.

1579 წლის 25 ივნისს სულთანმა დააარსა ჩილდირის (ახალციხის) საფაშო და მის პირველ ბეგლარბეგად (ფაშად) გამაჰმადიანებული მანუჩარი (მუსტაფა) დანიშნა. მაგრამ ოსმალთა ხელისუფლების აქ საბოლოოდ გაბატონებისათვის სულთნის მთავრობას დიდი დრო დასჭირდა. ჩილდირის (ახალციხის) საფაშოს დაარსებით იწყება ახალი ეტაპი ქვეყნის გაოსმალების საქმეში.

2. ქართველი ხალხის ბრძოლა ოსმალთა წინააღმდეგ


ოსმალთა წარმატებებმა ამიერკავკასიაში აიძულა შაჰის მთავრობა შეეცვალა თავისი დამოკიდებულება საქართველოს მიმართ და გარკვეულ კომპრომისზე წასულიყო. შაჰმა დაინახა, რომ დაუდ ხანი ოსმალეთის წინააღმდეგ საბრძოლველად არ გამოდგებოდა. იგი არ სარგებლობდა მოსახლეობის მხარდაჭერით და არც საერთოდ რაიმე სამხედრო ნიჭი გამოუჩენია ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლაში. ცხადია, ასეთ ვითარებაში, იგი არ გამოდგებოდა საქართველოში ოსმალთა წინააღმდეგ მებრძოლი ძალების გამაერთიანებლის როლში. ამიტომ ირანის შაჰი სტოვებს თავის "ერთგულ ყმას" დაუდ ხანს და სიმონ I-ს უახლოვდება. ირანის შაჰმა ხუდაბანდემ 9 წლის განმავლობაში ტყვეობაში მყოფი სიმონ ქართლის მეფე ალამუთის ციხიდან გაათავისუფლა და საქართველოში ოსმალთა წინააღმდეგ საბრძოლველად გამოგზავნა.

სიმონ I-ის ტყვეობიდან გათავისუფლება ირანის შაჰის დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური აქტი იყო. იგი ნიშნავდა საერთოდ შაჰის პოლიტიკის შეცვლას ქართლის სამეფოს მიმართ, მის მიმართ კომპრომისზე წასვლას.

სიმონ მეფე, ირანიდან დაბრუნების შემდეგ, სულ მალე გახდა ოსმალების წინააღმდეგ ბრძოლის მებაირაღედ არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ ამიერკავკასიაში.

ქართველების ბრძოლა ოსმალთა წინააღმდეგ ირანსაც უმსუბუქებდა მდგომარეობას. მაგრამ ქართველები, რა თქმა უნდა, საკუთარი ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის იბრძოდნენ, ოსმალეთთან ომში ჩაბმული ირანი კი თავის მოკავშირედ მიაჩნდათ (ირან-საქართველოს მოკავშირეობა აღნიშნულ ხანაში სათანადოდაა ასახული იმდროინდელ აღმოსავლურ და ევროპულ წყაროებში).


1578 წლის ოქტომბერში სიმონ მეფე ქართლში მოვიდა. ქართლში დაბრუნების შემდეგ აქ მას მეტად ხელსაყრელი ვითარება დახვდა ოსმალთა წინააღმდეგ საბრძოლველად. ოსმალთა მიმართ უკმაყოფილება დღითიდღე იზრდებოდა. "სიმონის ქართლში ჩამოსვლით იწყება ახალი პერიოდი ქართველი ხალხის ბრძოლის ისტორიაში თურქ დამპყრობთა წინააღმდეგ. სიმონის ირგვლივ დაირაზმა ქართლის მოწინავე საზოგადოება".



თბილისი



თმოგვის ციხე



გორის ციხე

როგორც აღინიშნა, ქართლის დაპყრობის შემდეგ ოსმალებმა თბილისის (ქართლის) საბეგლარბეგო დააარსეს და აქ „ოსმალობის“ შემოღებას შეუდგნენ. „ოსმალობის“ საფრთხემ ქართული ფეოდალური საზოგადოების უმრავლესობა ოსმალთა წინააღმდეგ განაწყო.

1579 წლის 30 მარტს სიმონ მეფემ ირანელებთან ერთად ალყა შემოარტყა თბილისს. თბილისის ბეგლარბეგი მეჰმედ ფაშა ოსმალეთის სარდალს წერილს წერილზე უგზავნიდა, თავის მძიმე მდგომარეობას აუწყებდა და დახმარებას ითხოვდა.

ყოველივე ამის გამო, 1579 წელს ოსმალთა სარდლის ლალა მუსტაფა ფაშას ერთერთი მთავარი საზრუნავი იყო ქართლში განლაგებული ოსმალთა გარნიზონებისათვის დახმარების აღმოჩენა და ქართველების მორჩილებაში მოყვანა.

ლალა მუსტაფა ფაშამ ალყაშემორტყმული თბილისის დასახმარებლად გაგზავნა 12-ათასიანი ლაშქარი ზულყადრიის ბეგლარბეგის მუსტაფა ფაშას მეთაურობით.

1579 წლის 26 ივლისს მუსტაფა ფაშას ლაშქარი ყარსიდან გამოემართა და 2 აგვისტოს თბილისში ჩამოვიდა. ამ დროს ქალაქში საშინელი შიმშილი მძვინვარებდა. „ციხეში ალყაშემორტყმულთა შორის ხორბლის ქილა ათას ახჩად იყიდებოდა, ქერისა კი – რვაასად და, ბოლოს, ისიც არ დარჩა. ერთი აქლემი ოცი ათას ახჩად გაიყიდა. ბოლოს ძაღლისა და კატის ხორციც ჭამეს. ისე რომ ერთი ძაღლი ორ-ორ ათასადაც გაიყიდა. ამ გაჭირვება-უბედურებაში მყოფ ალყაშემორტყმულ მეციხოვნეებში მხოლოდ შვიდასი კაცი გადარჩა“. მუსტაფა ფაშამ ოსმალთა გარნიზონს სურსათ-სანოვაგე, ტყვიაწამალი და ხაზინა გადასცა. ამავე დროს ოსმალთა გარნიზონი თბილისში განახლებულ იქნა და ჩერქეზ კასიმ ბეის მეთაურობით ქალაქში 500 ჯარისკაცი იქნა დატოვებული. 17 სექტემბერს მუსტაფა ფაშამ თბილისი დატოვა და ყარსისაკენ გაემართა.

ოსმალთა მაშველი ლაშქრის თბილისიდან გასვლის შემდეგ ქართველებმა ქალაქს კვლავ ალყა შემოარტყეს, ხოლო თბილისიდან ყარსისაკენ მიმავალ ოსმალთა ლაშქარს გზაში თავს დაესხნენ და დიდი ზარალი მიაყენეს. ალყაშემორტყმულ ქალაქში პანიკა დაიწყო. ოსმალო ჯარისკაცთა დიდმა ნაწილმა ქალაქი დატოვა და გაქცევით უშველა თავს. ლალა მუსტაფა ფაშა კვლავ იძულებული შეიქნა გაეგზავნა თბილისში ახალი დამხმარე ძალები და სურსათ-სანოვაგე. ამ ამოცანის შესრულება მან დიარბექირის ბეგლარბეგს ბეჰრემ ფაშასა და დიდი ვეზირის მეჰმედ სოკოლუს შვილს, მარაშის ბეგლარბეგს ჰასან ფაშას დაავალა.

18 სექტემბერს ოსმალთა ახალი დამხმარე ძალები ყარსიდან თბილისისაკენ გაემართნენ. ტ. მინადოისა და დონ ხუან სპარსელის ცნობით, როდესაც ოსმალთა 20-ათასიანი ლაშქარი თბილისისაკენ მიდიოდა, გზაში მათ თავს დაესხნენ სიმონ მეფე და ირანელთა სარდალი ალი ყული ხანი, ოსმალებს დიდი ზარალი მიაყენეს და ჰასან ფაშას ლაშქარმა ძლივს შეძლო თბილისში შესვლა.

თბილისის ბეგლარბეგი მეჰმედ ფაშა, რომელმაც ვერ შეძლო მასზე დაკისრებული მოვალეობის შესრულება, გადაყენებულ იქნა, ხოლო მის ნაცვლად თბილისის ბეგლარბეგად დაინიშნა ჰაჯი ბეგი ზადე აჰმედ ფაშა.

ჰასან ფაშამ ოსმალთა გარნიზონი გააძლიერა და დატოვა 3.000-იანი ლაშქარი, კარგად მომარაგებული და აღჭურვილი.

თბილისიდან ყარსისაკენ მიმავალ ოსმალთა ლაშქარს კვლავ თავს დაესხა სიმონ მეფე და ამჯერადაც დიდი ზარალი მიაყენა.

ჰასან ფაშას ლაშქარი დიდი დაბრკოლებებით ყარსში ჩავიდა და ლალა მუსტაფა ფაშას თბილისის ამბები მოახსენა.

იმავე წლის აგვისტო-სექტემბერში ოსმალებმა ყარსის ციხე გაამაგრეს.



სიმონ I-ის ბრძოლა არზრუმის ფაშასთან

22 ოქტომბერს ლალა მუსტაფა ფაშა საზამთროდ ყარსიდან არზრუმში ჩავიდა და იქ დაბანაკდა. არსებითად, 1579 წელს საომარი ოპერაციები ამით დამთავრდა. ოსმალებმა ვერ შეძლეს მათ მიერ დაპყრობილი ადგილების დამორჩილება.

სულთანი მურად III უკმაყოფილო იყო 1579 წლის შედეგებით და ამის გამო მან ლალა მუსტაფა ფაშა გადააყენა. ლალა მუსტაფა ფაშას გადაყენების ერთერთი მთავარი მიზეზი ის იყო, რომ მან ვერ შეძლო ქართველი ხალხისა წინააღმდეგობის დაძლევა და სიმონ მეფის დამორჩილება.

სულთანი დარწმუნდა, რომ ქართველების წინააღმდეგობის დაძლევა სამხედრო ღონისძიებებით შეუძლებელი იყო. ამიტომ მან გადაწყვიტა სიმონ მეფის მიმართ, რომელიც ქართველთა ბრძოლას მეთაურობდა, გარკვეულ კომპრომისზე წასულიყო. ამას ადასტურებს აღმოსავლეთის ლაშქრის მთავარსარდლის მოვალეობის დროებითი შემსრულებლის ხუსრევ ფაშას მიერ სიმონ მეფისადმი გაგზავნილი წერილი. ხუსრევ ფაშა სიმონ მეფეს წერდა: „შენი ქვეყნის სხვისთვის გადაცემა აშკარა უსამართლობაა, დღეიდან თუ შენ მოითხოვ „წყალობის ხელშეკრულებას“ და დახმარებას აღმოუჩენ თბილისში მყოფ (ოსმალთა – მ. ს.) ჯარს, მაშინ შენი ქვეყანა „საფადიშაჰო ლივას“ სახით შენ გადმოგეცემა“.

ეს წერილი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ მხრივ, რომ ოსმალეთის მთავრობა იძულებული შეიქნა ედიარებინა, რომ სიმონ მეფის სამფლობელოს სხვისთვის გადაცემა “აშკარა უსამართლობა” იყო. ამით იგი ფაქტობრივად სიმონ მეფეს ცნობდა თავისი ოლქის კანონიერ გამგებლად, მაგრამ ოსმალეთისათვის მისაღები წესით. სიმონ მეფეს თავისი სამფლობელო გადაეცემოდა “ფადიშაჰის ლივას” სტატუსით. ამგვარად, სიმონ მეფე უნდა ყოფილიყო არა ქართული სამეფოს გამგებელი (მეფე), არამედ ოსმალური პროვინციის (ლივა) მოხელე (ფაშა). ამასთანავე, თბილისში უნდა დარჩენილიყო ოსმალთა გარნიზონი. მაშასადამე, ოსმალეთის მთავრობა არ აპირებდა ქართლში ქართული სამეფო ხელისუფლების აღდგენას, რომელიც მან 1578 წელს გააუქმა, მაგრამ იგი მზად იყო სიმონი ეცნო მის გამგებლად ოსმალური წესისამებრ.

ოსმალეთის მთავრობის ეს წინადადება სიმონ მეფისათვის მიუღებელი იყო. იგი სულთნისაგან მოითხოვდა, რომ ოსმალეთსა და ქართლის სამეფოს შორის დამოკიდებულების პოლიტიკური ფორმა მოხარკეობის საფუძველზე დამყარებულიყო.

3. სინან ფაშას ლაშქრობა

1580 წლის გაზაფხულზე სულთანმა აღმოსავლეთის ლაშქრის მთავარსარდლად სინან ფაშა დანიშნა. არსებითად, სინან ფაშას წინაშე იგივე ამოცანა იდგა, რაც ლალა მუსტაფა ფაშას წინაშე – დაემორჩილებინა საქართველო და დაპყრობილ ამიერკავკასიის ქვეყნებში აეგო და გაემაგრებინა ციხე-სიმაგრეები.

1580 წლის 25 აპრილს სინან ფაშამ სტამბოლი დატოვა და აღმოსავლეთში სალაშქროდ გამოემართა.

ზაფხულის დასაწყისში სინან ფაშა არზრუმში ჩავიდა და იქ დაბანაკდა. მან გადაწყვიტა, პირველ რიგში ალყაშემორტყმული თბილისისათვის დახმარება აღმოეჩინა. 28 ივლისს სინან ფაშას ლაშქარი დმანისში ჩავიდა და იქ ერთი კვირა დაჰყო. სინან ფაშამ ბრძანება გასცა ციხის შეკეთებისა და აღდგენის შესახებ, მაგრამ ციხის მშენებლობას ხელი შეუშალა დიდმა წვიმებმა და ამ განზრახვაზე ოსმალებმა ხელი აიღეს.

სწორედ ამ დროს სტამბოლიდან სინან ფაშასთან ჩავიდა ქეთხუდა იემიშჯი ჰასან აღა, რომელმაც ვეზირობის ბეჭედი ჩამოიტანა და სინან ფაშას აცნობა, რომ იგი სულთანმა დიდ ვეზირად დანიშნა. ეს ამბავი ოსმალთა ბანაკში დიდი ზეიმით აღნიშნეს. ამის შემდეგ სინან ფაშა თბილისისაკენ გაემართა. გზაში სინან ფაშას ლაშქარს ქართველთა პარტიზანული რაზმები თავს დაესხნენ და დიდი ზარალი მიაყენეს. სინან ფაშამ დიდი ბრძოლებისა და განსაცდელის შედეგად შეძლო თბილისში ჩასვლა და ოსმალთა გარნიზონისათვის დახმარების აღმოჩენა. სარდალი ქალაქში წესრიგის დამყარებას შეუდგა.

სინან ფაშამ თბილისის ბეგლარბეგობიდან გადააყენა აჰმედ ფაშა ჰაჯი ბეგი ზადე და მის ადგილზე გიორგი ბეგი დანიშნა. ჩვენი დაკვირვებით, გიორგი ბეგი (გამაჰმადიანების შემდეგ იუსუფი) იმერეთის მეფის შვილია. ის, რომ ქართლის (თბილისის) ბეგლარბეგად დანიშნულ იქნა გამაჰმადიანებული, საქართველოს სამეფო გვარის წარმომადგენელი და არა თურქი მოხელე, ნიშნავს ოსმალეთის უკან დახევას და დათმობას. მაგრამ, მეორეს მხრივ, ამით სულთანი თიშავდა მის წინააღმდეგ მებრძოლ ძალებს, უპირისპირებდა რა ერთმანეთს სიმონ ქართლის მეფესა და იმერეთის მეფეს გიორგის.

თბილისის ციხის გამაგრებისა და ოსმალო მეციხოვნეებისათვის სურსათ-სანოვაგისა და ხაზინის დატოვების შემდეგ, სინან ფაშა დმანისის გზით უკან გაბრუნდა. გზაში მას სიმონ მეფისა და სპარსელთა ლაშქარი თავს დაესხა და დიდი ზიანი მიაყენა. დმანისზე გავლით სინან ფაშა სამცხეში ჩავიდა და ჩილდირის ველზე დაბანაკდა. სამცხეში ოსმალთა ლაშქარს ქართველები მოსვენებას არ აძლევდნენ. „აქ, – წერს ფეჩევი, – ქართველ ბოროტგანმზრახველ ქურდთა თვალებს ძილი არ მიეკარა და ამის გამო არც ერთ კაცს ერთი საათითაც არ დაუსვენია“.

სამცხიდან სინან ფაშას ლაშქარი ყარსში ჩავიდა, ხოლო იქიდან საზამთროდ არზრუმში დაბანაკდა. ამგვარად, ვერც ლალა მუსტაფა ფაშამ და ვერც სინან ფაშამ ვერ შეძლეს საქართველოს დამორჩილება.

4. ირან-ოსმალეთის საზავო მოლაპარაკება

ირანთან ომს ბოლო არ უჩანდა. ამასთანავე ოსმალთა წარმატებანი ამ ომში თანდათანობით მცირდებოდა. ოსმალებმა ვერ შეძლეს დაპყრობილი ქვეყნების დამორჩილება. პირიქით, ამიერკავკასიის ხალხები სულ უფრო მეტად აძლიერებდნენ ბრძოლას ოსმალთა წინააღმდეგ. ომის წარმოება კი ახალ-ახალ სახსრებს მოითხოვდა, ხოლო ოსმალეთის სახელმწიფოს ხაზინას აღარ შეეძლო დაეფარა ომის ხარჯები. ასეთ ვითარებაში ოსმალეთის სულთნის კარზე გამოჩნდნენ ირანთან ზავის დადების მომხრენი. მათ რიცხვში იყო დიდი ვეზირი და ირანთან ომში ოსმალეთის ლაშქრის მთავარსარდალი სინან ფაშა.

თავის მხრივ, ირანის შაჰი, რომელიც ოსმალეთთან ომისათვის მოუმზადებელი იყო და ამ ომში მარცხდებოდა, მზად იყო ოსმალეთთან ზავი დაედო, თუკი ზავის პირობები ირანისათვის მეტად მძიმე არ იქნებოდა.

ირანის შაჰმა სტამბოლში სულთანთან საზავო მოლაპარაკების მიზნით მაყსუდ ხანი გაგზავნა. საყურადღებოა, რომ ამ მოლაპარაკებაში შუამავლობა ალექსანდრე კახთა მეფეს უკისრია. შაჰმა კონსტანტინოპოლში თავისი ელჩი გაგზავნა, მას გააყოლა ალექსანდრე კახთა მეფის მოხუცი მღვდელი, როგორც საერთო მეგობარი და მშვიდობის დიდი მოსურვე.

არზრუმში ირანის ელჩი შეხვდა სინან ფაშას, რომელმაც დიდი პატივით მიიღო იგი და შემდეგ დედაქალაქში გაისტუმრა.

1580 წლის 4 აგვისტოს მაყსუდ ხანი სტამბოლში ჩავიდა. ოსმალეთის დედაქალაქში ირანის ელჩს დიდი პატივით შეხვდნენ. მან სულთანი მურად III ინახულა და ძვირფასი საჩუქრები მიართვა. ირანის ელჩმა სულთანს ზავი შესთავაზა იმ პირობით, თუ ოსმალეთი დასჯერდებოდა ყარსსა და თბილისს. თავის მხრივ, სულთანი მზად იყო ირანთან ზავის დადებაზე იმ პირობით, თუ შაჰი სულთანს დაუთმობდა იმ ტერიტორიას, რომელიც ოსმალეთმა ირანთან ომის შედეგად დაიპყრო. მოლაპარაკება უშედეგოდ დამთავრდა.

1580 წლის 21 სექტემბერს მაყსუდ ხანმა სტამბოლი დატოვა და სამშობლოში დაბრუნდა.

ირან-ოსმალეთის საზავო მოლაპარაკება ამით არ დამთავრებულა. 1581 წლის 7 იენისს, როდესაც სინან ფაშა საზამთროდ არზრუმში იმყოფებოდა, მასთან გამოცხადდა შაჰის ელჩი ნაბუთ აღა (იგი ოსმალურ წყაროებში შაჰ კულუ სულთნის სახელწოდებითაც გვხვდება), რომელიც სულთან სულეიმან ბრწყინვალეს დროს ელჩად იყო ოსმალეთში და მისი მონაწილეობით 1555 წელს ოსმალეთსა და ირანს შორის ზავი დაიდო.

განსაკუთრებით საყურადღებოა ის, რომ ირანის ელჩთან ერთად არზრუმში სინან ფაშასთან ჩავიდა სიმონ მეფის ელჩი.

ოსმალური წყაროებიდან ირკვევა, რომ სიმონ მეფე მზად იყო ოსმალეთთან ზავი დაედო, თუ მას გადაეცემოდა თბილისი მულქი მოურუსად და მისი დაცვის გარდა, ყოველწლიურად ხარაჯას სახით 100.000 ოქროს გადაიხდიდა და თავის შვილს მძევლად მისცემდა.

ამრიგად, სიმონ მეფე სულთნისაგან მოითხოვდა, რომ ოსმალეთსა და სიმონ მეფეს შორის დამოკიდებულების პოლიტიკური ფორმა მოხარკეობაზე დამყარებულიყო. სიმონ მეფე ოსმალეთს ყოველწლიურად ხარკის (ხარაჯას) სახით 100.000 ოქროს გადაუხდიდა, ხოლო ოსმალეთი სიმონ მეფეს სცნობდა თბილისის გამგებლად მემკვიდრეობითი უფლებებით. ერთი სიტყვით, სიმონ მეფე სულთნისაგან მოითხოვდა, რომ ქართლსა და ოსმალეთს შორის დამოკიდებულების დაახლოებით ისეთი პოლი-

ტიკური ფორმა დამყარებულიყო, როგორც ოსმალეთსა და კახეთის სამეფოს შორის იყო.

როგორც ჩანს, სიმონ მეფის ეს წინადადება იყო პასუხი ოსმალეთის მთავრობის მიერ უფრო ადრე მისდამი გაგზავნილ წერილზე, რომელშიც ოსმალეთის მთავრობა სიმონ მეფეს თავაზობდა სთბილისის (ქართლის) ბეგლარბეგობას.

5. ოსმალეთის ურთიერთობა უცხოეთის სახელმწიფოებთან, დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება ინგლისთან

სულთან მურად III-მ გადაწყვიტა თავისი ვაჟიშვილის მეჰმედის საზეიმო წინდაცვეთა მოეწყო, რომლის დროსაც იგი უნდა გამოცხადებულიყო ტახტის მემკვიდრედ. ეს დღესასწაული დაინიშნა 1582 წლის 7 ივლისისათვის, მაგრამ მისთვის მზადება დაიწყო ერთი წლით ადრე.

უფლისწულის წინდაცვეთის დღესასწაულში სულთანი დიდ პოლიტიკურ შინაარსს აქსოვდა. ამ ზეიმზე მან მოიწვია ევროპისა და აზიის მრავალი ქვეყნის წარმომადგენლები და სცადა მათთან, მშვიდობიან, სადღესასწაულო პირობებში, მოლაპარაკების წარმოება და ურთიერთობის გაუმჯობესება, რაც მეტად მნიშვნელოვანი იყო მისთვის, რადგანაც სულთანი არ აპირებდა ირანთან დაზავებას და ომის შეწყვეტას. ბუნებრივია, რომ ამ პირობებში იგი დაინტერესებული იყო მშვიდობიანი ურთიერთობით ევროპის სახელმწიფოებთან.

ამ დღესასწაულზე მონაწილეობის მისაღებად ჩავიდა ირანის შაჰის ელჩი იბრაჰიმ ხანი. მას დავალებული ჰქონდა, აგრეთვე, ოსმალეთის მთავრობასთან საზავო მოლაპარაკების წარმოება. 1582 წლის 29 მარტს იბრაჰიმ ხანი სტამბოლში ჩავიდა. 7 აპრილს იგი სულთანმა მიიღო და მან სულთანს შაჰის მიერ გაგზავნილი ძვირფასი საჩუქრები და წერილი გადასცა.

ამ დროს სტამბოლში ჩავიდნენ საქართველოს ელჩებიც. სელანიქის ცნობით: "საქართველოს მბრძანებელთაგან: კახთა ხანისაგან, სიმონ ხანისაგან, დადიან ხანისაგან, მოსკოვისა და უნგრეთის ხელმწიფეებისაგან, გერმანიის, ჩეხეთის, საფრანგეთის, ვენეციის, დუბროვნიკის, ვალახეთისა და მოლდავეთის კაცებისაგან კანონით გათვალისწინებული საჩუქრები აღებულ იქნა და მათ თავისი სამსახური შეასრულეს".

საქართველოს ელჩების ჩასვლას სტამბოლში ადასტურებენ, აგრეთვე, ევროპული წყაროებიც.

ევროპის სახელმწიფოთა შორის ოსმალეთში ყველაზე დიდი გავლენითა და ავტორიტეტით საფრანგეთი სარგებლობდა.

საფრანგეთის წარმომადგენელმა ჟაკ ჟერმინმა შეძლო თურქეთთან კაპიტულაციის განახლება და დიდი ქრთამით გალატაში (სტამბოლის ერთ-ერთი რაიონი) კათოლიკური ეკლესიის შენარჩუნება. ეს ეკლესია სულთანს მეჩეთად უნდა ექცია.

ესპანეთთან დაიდო ზავი. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ურთიერთობა ოსმალეთსა და ვენეციის რესპუბლიკას შორის. ავსტრიის ელჩმა შეძლო ოსმალეთთან ზავის გაგრძელება. მოგვარებულ იქნა აგრეთვე მთელი რიგი სადავო საკითხები პოლონეთთან.

1578 წელს კონსტანტინოპოლში ჩავიდა ინგლისელი დიპლომატი ჰერბორნი. მან ოსმალეთის დედაქალაქში აქტიური მოღვაწეობა დაიწყო. 1579 წლამდე ინგლისი ოსმალეთში ვაჭრობას აწარმოებდა საფრანგეთის დროშის ქვეშ და ინგლისელი კომერსანტები უნდა დამორჩილებოდნენ საფრანგეთის კონსულებს. მაგრამ 1579

წელს ინგლისის წარმომადგენელმა ჰერბორნმა, მიუხედავად საფრანგეთისა და ვენეციის ინტრიგებისა, შეძლო დაედო სავაჭრო ხელშეკრულება ოსმალეთთან, რომლითაც ინგლისელმა ვაჭრებმა მიიღეს უფლება, თავისი დროშის ქვეშ თავისუფლად ევაჭრათ ოსმალეთის სამფლობელოებში. ინგლისელმა ვაჭრებმა მიიღეს იგივე პრივილეგიები და შეღავათები, რომლებითაც ადრე სარგებლობდნენ ფრანგები და ვენეციელები. ინგლისში გამგზავრებისას მურად III-მ ჰერბორნს გაატანა წერილი ინგლისის დედოფალ ელისაბედის სახელზე. წერილში სულთანი გამოთქვამდა კეთილ განწყობილებას ინგლისის მიმართ და თანხმობას, ევაჭრათ ინგლისელ ვაჭრებს ოსმალეთის სამფლობელოებში. სულთნისადმი გაგზავნილ თავის საპასუხო წერილში ელისაბედი თხოვდა მას, გაევრცელებინა ყველა ინგლისელ ვაჭარზე ის პრივილეგიები და შეღავათები, რომელიც მიიღო ჰერბორნმა.

1580 წელს სულთანმა ინგლისელ ვაჭრებს უბოძა „კაპიტულაცია“, რომელიც 22 მუხლისაგან შედგებოდა. ხელშეკრულებით ინგლისელმა ვაჭრებმა მიიღეს უფლება ევაჭრათ ოსმალეთის ტერიტორიაზე, გადაეხადათ 5 %-იანი ბაჟი და განთავისუფლდნენ ყოველგვარი სხვა გადასახადებისაგან. ინგლისელებს აგრეთვე მიეცათ უფლება, გაეხსნათ თავიანთი საკონსულოები ოსმალეთის ქალაქებში.

1581 წელს ინგლისის დედოფალმა ელისაბედმა გამოსცა ქარტია, რომლის საფუძველზედაც დაარსდა ლევანტის სავაჭრო კომპანია. მან მოიპოვა მონოპოლიური უფლება ევაჭრა ოსმალეთის იმპერიის სამფლობელოებში. ამის შემდეგ ინგლისის მთავრობამ გადაწყვიტა დაემყარებინა მუდმივი დიპლომატიური ურთიერთობა ოსმალეთთან. ამ მიზნით ოსმალეთში გაიგზავნა ჰერბორნი. მას თან გაატანეს ინგლისის მეფის წერილი სულთნისადმი.

1583 წლის 26 მარტს ჰერბორნი კონსტანტინოპოლში ჩავიდა. მან ძვირფასი საჩუქრები მიართვა სულთან მურად III-ს. ამის შემდეგ ინგლისმა დაამყარა ოსმალეთთან მუდმივი დიპლომატიური ურთიერთობა. ინგლისის პირველი ელჩი იყო უილიამ ჰერბორნი.

ჰერბორნმა სცადა ოსმალეთი ჩაეთრია ესპანეთის წინააღმდეგ ომში, ხოლო ოსმალეთი კი მოითხოვდა ინგლისისაგან, რომ მას მხარი დაეჭირა მისთვის ირანის წინააღმდეგ ომში. მაგრამ ამ მცდელობებს შედეგი არ მოჰყოლია.

ოსმალეთთან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა ინგლისის ვაჭრობა ლევანტთან. ლევანტიდან ინგლისში შეჰქონდათ საღებავების მნიშვნელოვანი ნაწილი (ინდიგო და სხვ. საღებავები), რაც საჭირო იყო საფეიქრო მრეწველობისათვის. მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ნედლ აბრეშუმს, ბამბის ნართს, ბამბის ნედლეულს, ნელსაცხებლებს და სხვ. ინგლისიდან ლევანტში ყველაზე მნიშვნელოვანი საექსპორტო საქონელი იყო უმაღლესი ხარისხის თხელი მაუდი, კალა, ტყავი, ცივი იარაღი, კურდღლის ტყავი. ამას გარდა, ექსპორტზე გაჰქონდათ მავთული, შებოლილი თევზი, ხმელი თევზი და სხვ. XVI საუკუნის ბოლოს და XVII საუკუნის დამდეგს ინგლისს ლევანტში ყოველწლიურად შეჰქონდა შალის ქსოვილი. ლევანტის ვაჭრობა ინგლისისათვის მეტად ხელსაყრელი იყო და ინგლისელები დიდ მოგებას ნახულობდნენ.

ინგლისელებმა თავიანთი საკონსულოები და სავაჭრო ფაქტორიები გახსნეს კონსტანტინოპოლში, ალექსანდრიაში, კაიროში, სმირნაში, ალექსანდრიეტაში, ტრიპოლში და სხვ.

საფრანგეთი და ვენეცია დიდად იყვნენ შეშფოთებული ინგლისის პოზიციების მნიშვნელოვანი ზრდით ლევანტთან ვაჭრობაში. საფრანგეთის და ვენეციის ელჩებმა კონსტანტინოპოლში თავიანთი მთავრობებისაგან მიიღეს დავალება, რადაც არ უნდა დაჯდომოდათ, ხელი შეეშალათ ინგლისელი ვაჭრებისათვის ფეხის მოკიდება-

ში აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვის ბაზრებზე. საფრანგეთისა და ვენეციის ელჩები, აშკარად თუ ფარულად, იბრძოდნენ კონსტანტინოპოლში ინგლისის ელჩის წინააღმდეგ და მოითხოვდნენ პორტასაგან შეეწყვიტა ვაჭრობა და პოლიტიკური ურთიერთობა ინგლისთან. მაგრამ ყველა ეს ცდა უშედეგოდ დამთავრდა. პირიქით, ინგლისმა კიდევ უფრო განიმტკიცა თავისი პოზიციები ოსმალეთში.

6. ანტიოსმალური კოალიციის შექმნა ირანის, საქართველოსა და აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ქვეყნების მონაწილეობით

ირან-ოსმალეთის საზავო მოლაპარაკების დაწყების შემდეგ მცირე ხნით სიმშვიდე დამყარდა. ამით ისარგებლეს სპარსელებმა, რათა ალექსანდრე მეფე ისევ თავის მხარეს გადმოებირებინათ და სიმონ მეფეც უფრო შემოემტკიცებინათ. სპარსელებს არც მისი ერთგულების იმედი ჰქონდათ. ამიტომ მათ კახთ ბატონისა და ქართლის მეფის შერიგება სცადეს.

სიმონ მეფისა და ალექსანდრე კახთა მეფის შერიგებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ირანისათვის ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. სიმონ მეფესა და ალექსანდრე კახთა მეფეს შორის არსებული შუღლი და მტრობა ასუსტებდა ქართველი ხალხის ბრძოლის უნარს ოსმალთა წინააღმდეგ. ცხადია, როდესაც ირანის შაჰი სიმონ მეფესა და ალექსანდრეს შორის შემრიგებლად გამოდიოდა, მას თავისი საკუთარი ინტერესები ამოძრავებდა, მაგრამ ობიექტურად იგი ამით დადებით საქმეს აკეთებდა.

შაჰი სიმონ მეფის ერთგულებაში დარწმუნებული არ იყო. მან სიმონ მეფეს მისი ქალიშვილის ჰამზა-მირზაზე დაქორწინება შესთავაზა. ამასთან დაკავშირებით ივ. ჯავახიშვილი შენიშნავს: „ამ გზით მათ იმედი ჰქონდათ, რომ სიმონი მათ გადადგომას ვეღარ გაბედავდა. ქართლის მეფემ გარეგნულად თავისი თავი ბედნიერად მოაჩვენა, მაგრამ სხვადასხვა გარემოების მომიზეზებით სპარსელთა თხოვნას არ ასრულებდა. უეჭველია, სიმონს არ სურდა ერთგვარი მძევლის მიცემით თავისი მომავალი პოლიტიკური მოქმედების თავისუფლება შეეზღუდა, მაგრამ ქართველთა სარწმუნოებრივ შეხედულებასაც ამ შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა: სიმონს, მის სახლობასა და მმართველ წრეებს არ უნდოდათ ქრისტიანი ქართველი ქალი მაჰმადიანისათვის მიეთხოვებინათ“.

სიმონ მეფე აყოვნებდა სპარსელთა წინადადების მიღებას, ამიტომ მათ სამხედრო მუქარას მიმართეს და იძულებითი გზით თავის მიზანს მიაღწიეს. მაგრამ შაჰი ამითაც არ დაკმაყოფილდა და სიმონ მეფესა და ალექსანდრე კახთა მეფეს მძევლებად ვაჟიშვილების მიცემა მოსთხოვა. ისინიც იძულებული შეიქნენ შაჰის თხოვნა დაეკმაყოფილებინათ. სიმონ მეფემ ირანში თავისი შვილი ლუარსაბი გაგზავნა, ხოლო ალექსანდრე მეფემ – თავისი 12 წლის ვაჟი კონსტანტინე.

ალექსანდრე კახთა მეფეს ამის გარდა მოსთხოვეს 3.000 ერაყული შაჰური თუმნის გადახდა იმ წლების ხარკის ფასად, როდესაც ის სპარსელებს გადაუდგა და ოსმალებს მიემხრო, 1.000 თუმანი კიდევ ტახტის მემკვიდრისა და 1.000 თუმანი სპარსელი სარდლებისა და დიდებულებისათვის საჩუქრად უნდა გამოელო. კახთა ბატონი იძულებული იყო მთელი ეს მოთხოვნაც შეესრულებინა.

ამ დროს შამხალისა და დაღესტნის გამგებლებმაც კავშირი დაამყარეს ქართველებთან საერთო მტრის ოსმალეთის წინააღმდეგ საბრძოლველად და ამის შესახებ განჯის გამგებელს იმამ-ყული ხანს აცნობეს, ხოლო უკანასკნელმა ეს ამბავი ირანის შაჰს

აუწყა. ფეჩევის ცნობით: „შამხალის და დაღესტნის სხვა მელიქები და საქართველოს თავადები ერთმანეთს დაუკავშირდნენ. შემდეგ ყველა შეთანხმდა და განჯის ხანს – იმამ-ყული ხანს წერილი მისწერეს და აცნობეს. შემდეგ იმამ-ყული ხანმა შაჰს მისწერა მათი შეთანხმებისა და შეკავშირების შესახებ. როდესაც შაჰმა გაიგო (1582 წ.) მათი ამგვარი შეთანხმება და კავშირი, მან უყოყმანოდ თვითონ აიღო მთავარსარდლობა და თავისი სახასო კორუჯიებიდან სამი ათასი კორუჯი გაგზავნა მასთან, მთლიანად კი - ჯარი ორმოცდაათ ათასზე ნაკლები არ გაუყოლებია. გაირკვა, რომ როცა ამათ საქართველოსა და დაღესტნის ჯარები შეურთდებოდა, ძალიან დიდი ლაშქარი შედგებოდა“.

ამგვარად, ოსმალეთის წინააღმდეგ საბრძოლველად ფართო კავშირი შეიქმნა, რომელშიც ქართველებთან ერთად მონაწილეობდა შამხალის, დაღესტნის, შირვანის მოსახლეობა და ირანის შაჰის ლაშქარი. მათ გადაწყვიტეს, შეეტიათ ოსმალებისათვის გაერთიანებული ძალებით. ამიერკავკასიაში ოსმალეთის ძირითადი დასაყრდენი თბილისი იყო და მათ მთავარი იერიში მის წინააღმდეგ მიიტანეს.

სიმონ მეფისა და იმამ-ყული ხანის გაერთიანებული ლაშქარი თბილისს მიუახლოვდა და ქალაქს ზარბაზნები დაუშინა. ოსმალთა მდგომარეობა თბილისში იმდენად კრიტიკული შეიქნა, რომ იტალიაში ხმები გავრცელდა, თბილისი ქართველთა ხელში გადავიდაო.

არზრუმის და ყარსის ბეგლარბეგებმა ამის შესახებ სასწრაფოდ სულთანს აცნობეს.

წინდაცვეთის დღესასწაული დასასრულს უახლოვდებოდა, როდესაც სტამბოლში ეს ამბავი შეიტყვეს. სულთანმა სასწრაფო ზომები მიიღო. მან დიდი ვეზირი სინან ფაშა კვლავ დანიშნა აღმოსავლეთის ჯარების მთავარსარდლად.

ამასთანავე, გაიცა ბრძანება ირანის ელჩის იბრაჰიმ ხანის დაპატიმრების შესახებ.

სულთნის მთავრობას ეშინოდა, რომ მის წინააღმდეგ ახლად დაწყებული ბრძოლა მოედებოდა არა მარტო აღმოსავლეთ ამიერკავკასიას, არამედ გავრცელდებოდა ჩრდილოეთ კავკასიაშიც. ამიტომ გადაწყდა ოსმალეთის ლაშქრის ერთი ნაწილი სასწრაფოდ რუმელიიდან (ოსმალეთის ევროპული ნაწილი) კაფაში (ყირიმში) გაეგზავნათ, ხოლო იქიდან, ჩრდილოეთ კავკასიაზე გავლით, დერბენდსა და ბაქოში ჩასულიყვნენ და დახმარება აღმოეჩინათ იქ განლაგებული ოსმალთა გარნიზონებისათვის.

ლალა მუსტაფა ფაშამ შირვანის დაპყრობის შემდეგ (1578 წ.) აქ დააარსა საბეგლარბეგო და მის გამგებლად დანიშნა თურქი მოხელე ოსმან ფაშა. შირვანელ ფეოდალებს დიდი იმედი ჰქონდათ, რომ ოსმალები მათ დამოუკიდებლობას მიანიჭებდნენ, მაგრამ ეს იმედი გაუცრუვდათ. ადგილობრივი მოსახლეობის ნაწილი ირანის შაჰს დაუკავშირდა და ოსმალო დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლა გააჩაღა. მალე ოსმალთაგან მთელი რიგი ციხე-ქალაქები იქნა განთავისუფლებული. სულთანმა ოსმან ფაშას დასახმარებლად ყირიმის ხანის ლაშქარი გაგზავნა. ყირიმის ლაშქარი ჩრდ. კავკასიის გზით (1578-1581 წწ.) ოთხჯერ შეიჭრა აზერბაიჯანში და სასტიკად ააოხრა იგი, მაგრამ ოსმალებმა ვერ შეძლეს ქვეყნის დამორჩილება. ყირიმის ხანის ლაშქარი რიგ ბრძოლებში დამარცხდა და ოსმან ფაშამ შეძლო მხოლოდ დერბენდსა და ბაქოში გამაგრება.

ოსმალთა საექსპედიციო კორპუსი, რომელიც 6.000 ჯარისკაცს ითვლიდა, ამათგან 3.000 იენიჩარი გემებით კაფაში ჩავიდა. 1582 წლის 27 აგვისტოს ოსმალეთის ლაშქარმა, კაფას ბეგლარბეგის ჯაფარ ფაშას სარდლობით (ოფიციალურად ოსმალეთის ჯარების უმაღლესი მთავარსარდალი ჩრდილოეთ კავკასიაში როგორც ყირიმის,

ისე ოსმალთა ლაშქრისა იყო ყირიმის ხანი მუჰამედ გირეი. მაგრამ მას შემდეგ, რაც ყირიმის ხანის ლაშქარი შირვანში დამარცხდა, ხოლო ხანის ერთ-ერთი ძმა ტყვედ ჩაუვარდა ირანელებს, ყირიმის ხანმა მუჰამედ გირეიმ, მიუხედავად სულთნის დაჟინებითი მოთხოვნისა, 1582 წელს უარი განაცხადა მონაწილეობა მიეღო ოსმალთა ამ ლაშქრობაში) კაფა დატოვა და გემებით ჩრდ. კავკასიის სანაპიროს მიადგა და იქიდან გეზი დერბენდისაკენ აიღო.

სულთანმა მიიღო სასწრაფო გადაწყვეტილება ალყაშემორტყმული თბილისისათვის მაშველი ძალების გაგზავნის შესახებ. ამ ამოცანის შესრულება დაევალა დიარბექირის ბეგლარბეგს ჰადიმ ჰასან ფაშას. მისთვის დახმარება უნდა აღმოეჩინათ არზრუმის ბეგლარბეგს მეჰმედ ფაშასა და ჩილდირის ბეგლარბეგს მუსტაფა (მანუჩარი) ფაშას.

1582 წლის აგვისტოს ბოლოს ოსმალთა 20-ათასიანი ლაშქარი ჰადიმ მეჰმედ ფაშას მეთაურობით არზრუმიდან, ყარსზე გავლით, ახალქალაქში ჩავიდა. აქ ოსმალთა ლაშქარს მუსტაფა (მანუჩარი) შეუერთდა. მუსტაფა ფაშას დაევალა, აგრეთვე, ოსმალთა იმ ლაშქრის მეგზურობაც, რომელიც თბილისში უნდა ჩასულიყო. მუსტაფა ფაშას რჩევით, გადაწყდა, ოსმალთა ლაშქარი ბორჯომის ხეობაზე გავლით თბილისში ჩასულიყო (ადრე ოსმალები ალყაშემორტყმული თბილისის დასახმარებლად ლაშქარს დმანისის გზით გზავნიდნენ).

ამავე დროს, იმერეთის, სამეგრელოსა და გურიის მეფეებს გაეგზავნათ ბრძანება თავს დასხმოდნენ სიმონ მეფეს და დაერბიათ მისი ქვეყანა.

ოსმალეთის ლაშქარმა გაიარა ალთუნყალა, კარაკალკანი, გორი და მუხრანის ველზე დაბანაკდა.

მუხრანის ველზე სიმონ მეფე თავს დაესხა ოსმალთა ლაშქარს და სასტიკი დამარცხება აგემა მას. გადარჩენილმა ოსმალებმა ძლივს შეძლეს თბილისში ჩასვლა. ქართველებმა დიდძალი ნადავლი ჩაიგდეს ხელში, მათ შორის თბილისისათვის გათვალისწინებული ხაზინა.

1582 წლის აგვისტოში ჯაფარ ფაშას სარდლობით გაგზავნილი ოსმალეთის ლაშქარი, 80 დღის განმავლობაში, დაბრკოლებების გადალახვის შემდეგ, დერბენდში ჩავიდა და იქ ოსმან ფაშას ლაშქარს შეუერთდა.

ოსმალთა მაშველი ჯარების ჩასვლამ დერბენდში დიდი შეშფოთება გამოიწვია ირანის შაჰის კარზე, რადგან მოსალოდნელი იყო, რომ ოსმალები დერბენდიდან შეტევას დაიწყებდნენ შირვანის წინააღმდეგ.

1583 წლის გაზაფხულზე შაჰმა იმამ-ყული ხანის სარდლობით 50.000-იანი ლაშქარი ოსმან ფაშას წინააღმდეგ საბრძოლველად გაგზავნა. ამავე დროს იმამ-ყული ხანმა საქართველოს მეფეებს წერილები გაუგზავნა და ამ ლაშქრობაში მონაწილეობა მოსთხოვა.

1583 წლის 9 მაისს მდინარე სამურზე მოხდა დიდი ბრძოლა ოსმალებსა და ყიზილბაშებს შორის, რომელიც ირანელების დამარცხებით დამთავრდა. 3.000 ყიზილბაში ოსმალებს ჩაუვარდა ტყვედ. ამ გამარჯვების შემდეგ ოსმალებმა შემახა აიღეს და მთელი შირვანი დაიკავეს.

ყიზილბაშთა დასახმარებლად მოსულ ქართველებს ოსმალები სასტიკად გაუსწორდნენ: „ქართველების უმრავლესობა გაეწყვიტათ და, რაც მათ ებადათ, წაერთმიათ, ხოლო ორი მათი ბეგი და თხუთმეტამდე სახელოვანი „ძაღლი“ (სხვა თურქული წყაროების მიხედვით, 30-40 ახნაური – მ. ს.) ხელფეხშებორკილი მოიყვანეს. მაღალღირსეულმა სარდალმა მაშინვე გაუგზავნა ესენი ზაგემის მბრძანებლის ლევან ხანის შვილს. ბედნიერი ფადიშაჰის მოხარკეები რომ ხართ, ეს რას ნიშნავსო, – უსაყვედურა“.

როგორც ჩანს, ოსმალების წინააღმდეგ ბრძოლაში კახელებიც იღებდნენ მონაწილეობას, ამიტომ ოსმალო სარდალმა ალექსანდრეს მოკლულ ქართველ მეომართა თავები გაუგზავნა და შეახსენა, რომ იგი ოსმალეთის მოხარკე იყო და ყიზილბაშებთან ურთიერთობის შემთხვევაში მას იგივე ბედი ეწეოდა, რაც ამ ქართველებს. ი. ფეჩევი დასძენს, რომ "ამ მიდამოების მოსახლეობა მთლიანად მოჯანყე ხალხი იყო, მაგრამ ჩვენთან ხმლის შიშით ძალაუნებურად მეგობრობას იჩენენო".

რასაკვირველია, ოსმალეთს არ აკმაყოფილებდა კახეთის ასეთი პოლიტიკა, მაგრამ შექმნილ ვითარებაში ის სხვა გამოსავალს ვერ ხედავდა.

ამ დროს ოსმან ფაშამ სულთნისაგან ბრძანება მიიღო, სასწრაფოდ ჩასულიყო ყირიმში და დაესაჯა ყირიმის ხანი მუჰამედ გირეი, რომელმაც თვითნებურად დატოვა ჩრდილოეთ კავკასია და სამშობლოში დაბრუნდა.

1583 წლის 21 ოქტომბერს ოსმან ფაშამ შირვანი დატოვა და თავის მოადგილედ ჯაფარ ფაშა დანიშნა.

ოსმან ფაშა თავისი ლაშქრით, ჩრდ. კავკასიაზე გავლით, ყირიმში ჩავიდა, მუჰამედ გირეი ტახტიდან გადააყენა და მის ნაცვლად ყირიმის სახანოს ტახტზე აიყვანა ისლამ გირეი. ამის შემდეგ ოსმან ფაშა ტრიუმფით სტამბოლში დაბრუნდა.

7. ფერჰად ფაშასა და ოზდემირ ოღლუს ლაშქრობები

სულთანი უკმაყოფილო იყო აღმოსავლეთში შექმნილი მდგომარეობით და საომარი ოპერაციების შედეგებით. ამის გამო მან გადააყენა სინან ფაშა და 1582 წლის დეკემბერში დიდ ვეზირად დანიშნა სიაუშ ფაშა, ხოლო რუმელიის ბეგლარბეგი ფერჰად ფაშა კი – აღმოსავლეთის ლაშქრის მთავარსარდლად.

1583 წელს ოსმალეთის მთავარი სამხედრო ძალები ფერჰად ფაშას სარდლობით აღმოსავლეთ სომხეთისა და, კერძოდ, ერევნის ციხის დაპყრობით იქვნენ დაკავებული და არ შეეძლოთ საქართველოს საქმეებისათვის ჯეროვანი ყურადღება მიექციათ.

1583 წლის ზაფხულში ფერჰად ფაშა 60.000-იანი ლაშქრით აღმოსავლეთისაკენ გაემართა. არზრუმზე გავლით, ყარსში ჩავიდა, იქიდან კი ერევნის ციხის დასაპყრობად გაემართა. ოსმალთა ლაშქარმა ერევანი უბრძოლველად აიღო. ერევნისა და მისი მიდამოების დაპყრობის შემდეგ ფერჰად ფაშამ ერევნის საბეგლარბეგო დააარსა და მის გამგებლად ჯიგალ ზადე სინან ფაშა დანიშნა. ოსმალები შეუდგნენ ერევნის ციხის მშენებლობა-შეკეთებას და იქ თავისი მართვა-გამგებლობის დამყარებას.

ერევნის ციხის გამაგრებისა და ოსმალური მმართველობის ორგანიზაციის შემდეგ ფერჰად ფაშა არზრუმში დაბრუნდა და ზამთარი იქ გაატარა.

1584 წელს სულთანმა გადაწყვიტა, გაეტეხა ქართველი ხალხის წინააღმდეგობა და საქართველო დაემორჩილებინა. ამ ამოცანის განხორციელება სულთანმა ფერჰად ფაშას დააკალა.

1584 წლის ივლისის დასაწყისში ოსმალეთის ლაშქარმა ფერჰად ფაშას სარდლობით არზრუმი დატოვა და საქართველოსაკენ გამოემართა.

ფერჰად ფაშა ძირითადი ძალებით ქვემო ქართლისაკენ გაემართა და ლორეში ჩავიდა. ოსმალებმა ლორეს ციხე 12 დღეში შეაკეთეს, დამატებით სამხედრო საჭურველით მოამარაგეს და იქ მეციხოვნენი ჩააყენეს. ლორეს ბეგლარბეგად დაინიშნა მორეას სანჯაყბეგი ბოსნიელი ფითუხ ალი ბეგი. აქედან ოსმალთა ლაშქარი დმანისში ჩავიდა. ფერჰად ფაშამ ეს ციხეც გაამაგრა და სურსათ-სანოვაგითა და სამხედრო საჭურველით მოამარაგა, ხოლო დმანისის ბეგლარბეგად დანიშნა სემენდერ ფაშა.

დმანისიდან ფერჰად ფაშამ ალყაშემორტყმული თბილისის დასახმარებლად გაგზავნა 20.000-იანი ლაშქარი რიდვან ფაშას მეთაურობით. ოსმალებმა ალყაშემორტყმულ ქალაქს სურსათ-სანოვაგე და ხაზინა მიაწოდეს. თბილისის ბეგლარბეგად ახლახან გარდაცვლილი მირზა ალი ფაშას ნაცვლად დანიშნეს საფედის სანჯაყბეგი ბალთაჯი ჰასან ფაშა.

ამ დროს ფერჰად ფაშასთან გამოცხადდა სიმონ მეფის ძმა დაუდ ხანი. მან ოსმალო სარდალს განუცხადა: „საქართველოს გასაღები მე ვარ და მაღალი ღმერთის წყალობით (მისი) აღება და დაპყრობა ჩემით შეიძლებაო“. ფერჰად ფაშამ დაუდ ხანი დიდი პატივით მიიღო და გადაწყვიტა ხელსაყრელი შემთხვევა ხელიდან არ გაეშვა, რათა იგი სიმონ მეფის წინააღმდეგ საბრძოლველად გამოეყენებინა. ფერჰად ფაშამ დაუდ ხანი სტამბოლში გაგზავნა. იგი იქ დიდი პატივით მიიღეს.

სულთანი იმედოვნებდა, რომ დაუდ ხანის დახმარებით შეძლებდა სიმონ მეფის დამარცხებას. სულთანმა დაუდ ხანს საქართველოში სიმონ მეფის მამულები უბოძა. მაგრამ სულთნის იმედები არ გამართლდა და მალე სულთანმა დაუდ ხანი მცირე აზიაში გაგზავნა და მარაშის ბეგლარბეგად დანიშნა.

უკან დაბრუნებისას ფერჰად ფაშამ გადაწყვიტა დაეპყრო ახალციხე და მისი მოსახლეობა მორჩილებაში მოეყვანა. ფერჰად ფაშა ჯერ გაეშურა ჯავახეთისაკენ. ჯავახეთისა და, კერძოდ, ახალქალაქის მოსახლეობა მთებში გაიხიზნა. ფერჰად ფაშა გზაზე ყველაფერს წვავდა და ანადგურებდა. ოსმალები ახალქალაქში 4 დღეს გაჩერდნენ, იქიდან ახალციხისაკენ გაემართნენ, მათ ქალაქი დაცარიელებული დახვდა. ფერჰად ფაშამ განიზრახა ახალციხის აშენება-განახლება, მაგრამ თავისი გეგმა ვერ განახორციელა შემდეგი მიზეზების გამო: ერთის მხრივ, ქართველები გამუდმებით ესხმოდნენ თავს ოსმალებს, მეორეს მხრივ, ოსმალთა ლაშქარში უკმაყოფილება და შიმშილი დაიწყო. ფერჰად ფაშა იძულებული შეიქნა სასწრაფოდ ახალციხიდან უკან გაბრუნებულიყო. ოსმალთა ლაშქარს გზაზე ქართველები თავს ესხმოდნენ და დიდ ზარალს აყენებდნენ. „ურჯულო ქართველები, რომლებიც მანუჩარს ემორჩილებოდნენ, გზაზე დახვდნენ და მუსლიმთა ქონებას დიდი ზარალი მიაყენეს; ქართველებმა თვით ფერჰად ფაშას კუთვნილი პირადი ურემი გაძარცვეს და მის პირად ნივთებთან – მურასა ხმალთან, მუზარადთან, ფართან, სიასამურთან და ფოცხვერის ტყავებთან ერთად, რომელიც ურემზე ეწყო, ფერჰად ფაშას საყვარელი მხევალი ქალიც მოიტაცეს“.

სულთანი არც ფერჰად ფაშას მოღვაწეობით იყო კმაყოფილი, განსაკუთრებით აწუხებდა სულთანს სამცხეში შექმნილი მდგომარეობა, ამიტომ მან ფერჰად ფაშა გადააყენა და მის ნაცვლად დანიშნა ოზდემირ ოღლუ ოსმან ფაშა.

1585 წელს სულთანმა მიზნად დაისახა ხაკუთრივ ირანის დამარცხება, თავრიზის დაპყრობა და შემდგომ კი, მთელი ძალებით, საქართველოს დამორჩილება.

ამ მიზნით ოსმალეთის 200.000-იანი ლაშქარი, ოზდემირ ოღლუს სარდლობით, ირანის წინააღმდეგ საბრძოლველად გაემართა და 1585 წლის 1 აგვისტოს არზრუმში ჩავიდა, ხოლო შემდეგ თავრიზისაკენ გაემართა. დიდი ბრძოლის შედეგად, სექტემბერში, ოსმალთა ლაშქარმა თავრიზი აიღო. ოსმალებმა თავრიზის ციხე-ქალაქი გაამაგრეს და შიგ მეციხოვნენი ჩააყენეს. 1585 წლიდან მოყოლებული, თავრიზი 1603 წლამდე ოსმალთა ხელთ იმყოფებოდა. მიუხედავად ოსმალების მიერ თავრიზის დაპყრობისა, სპარსელები განაგრძობდნენ ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლას.

1586 წელს, ოზდემირ ოღლუ ოსმან ფაშას გარდაცვალების შემდეგ, აღმოსავლეთში მთავარსარდლად მეორედ დაინიშნა ფერჰად ფაშა.

ოსმალთა ძირითადი სამხედრო ძალების თავრიზიდან გამობრუნების შემდეგ ირანელებმა თავრიზს ალყა შემოარტყეს. ფერჰად ფაშა იძულებული შეიქნა ალ-

ფაშეშორტყმული თავრიზის დასახმარებლად წასულიყო. 1586 წელს ოსმალეთის მთავარი სამხედრო ძალები ირანის წინააღმდეგ ბრძოლით იყო დაკავებული.

ფერჰად ფაშამ შესთავაზა ჰამზა მირზას (შაჰ ხუდაბანდეს უფროსი ვაჟი და ტახტის მემკვიდრე) დაედოთ ზავი. ჰამზა მირზა თანახმა იყო ზავის დადებაზე შემდეგი პირობით: ოსმალთა ჯარი უნდა გასულიყო თავრიზიდან, ხოლო ოსმალებს დარჩებოდათ ამ ომის დროს დაპყრობილი ტერიტორიები. საბოლოოდ მიღებულ იქნა ფერჰად ფაშას მიერ შეთავაზებული კომპრომისული წინადადება. ჰამზა მირზას თავისი შვილი – ჰაიდარ მირზა – უნდა გაეგზავნა სტამბოლში სულთანთან, რათა ფადიშაჰს პირადად მისთვის გადაეცა თავრიზი. მაგრამ ჰამზა მირზას სიკვდილმა (1586 წელს) ხელი შეუშალა ამის განხორციელებას.

1587 წელს სულთანმა გადაწყვიტა გაეტეხა ქართველთა წანააღმდეგობა და საქართველო ერთხელ და სამუდამოდ დაემორჩილებინა. ოსმალთა მრავალრიცხოვანი ლაშქარი ფერჰად ფაშას სარდლობით საქართველოსაკენ დაიძრა. ფერჰად ფაშას განზრახული ჰქონდა მთავარი დარტყმა სიმონ I-ისა და მანუჩარ II ათაბაგის წინააღმდეგ მიემართა, რადგან ისინი იყვნენ ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლის მოთავენი.

1587 წლის 30 ივლისს ფერჰად ფაშა არზრუმიდან გაემგზავრა და ყარსში ჩავიდა. ოსმალო სარდალმა გადაწყვიტა, თავისი ძირითადი ლაშქრით, დმანისის გზით, თბილისში ჩასულიყო, ხოლო იქიდან კი – გორში. ლაშქრის მეორე ნაწილს, რომელსაც სარდლობდა ჩილდირის ბეგლარბეგი ისკანდერ ფაშას ძე ახმედ ფაშა და რომელშიც შედიოდნენ ყარსის ბეგლარბეგი, ყარამანიის სანჯაყის სხვადასხვა სამხედრო მოლაშქრეები, დაევალა გაელაშქრა ახალციხის წინააღმდეგ, სადაც გამაგრებული იყო რჯულიდან გადამდგარი მანუჩარი.

ამასთანავე, ყარსისა და ბათუმის ბეგლარბეგებს გაეგზავნათ ბრძანება, დახმარება აღმოეჩინათ ჩილდირის ბეგლარბეგისათვის ზემო აჭარის სანჯაყში მდებარე ციხეების დაპყრობის საქმეში.

მანუჩარის წინააღმდეგ ბრძოლა და აჭარის დაპყრობა დაევალა, აგრეთვე, ბათუმის ბეგლარბეგსა და გურიის მთავარს.

ამგვარად, ფერჰად ფაშამ ფართო შეტევითი გეგმა შეიმუშავა სიმონ მეფისა და მისი მოკავშირე მანუჩარ ათაბაგის დასამარცხებლად. ოსმალებს სიმონ მეფისა და მისი მოკავშირეების წინააღმდეგ შეტევა უნდა დაეწყოთ ყველა მიმართულებით, რკალში უნდა მოემწყვდიათ ოსმალთა წინააღმდეგ მებრძოლი ქართველები და გაენადგურებინათ ისინი.

ქართველების მდგომარეობას ისიც ართულებდა, რომ 1587 წელს ირანის ტახტზე ავიდა შაჰ აბას I. მან გადაწყვიტა ოსმალეთს დაზავებოდა და ამ მიზნით სტამბოლში ელჩი გაგზავნა. ასეთ ვითარებაში ქართველებს ირანის დახმარების იმედი აღარ ჰქონდათ.

ოსმალებმა შეტევა ჯერ აჭარის წინააღმდეგ დაიწყეს. ბათუმის ბეგლარბეგის ლაშქარი და გურიის მთავრის მიერ გაგზავნილი სამხედრო ძალები ჩილდირის ბეგლარბეგს შეუერთდნენ, მანუჩარის სოფლები დაარბიეს და აჭარა ხელმეორედ დაიპყრეს.

აჭარის დაპყრობის შემდეგ ოსმალებმა მთელი ძალებით მანუჩარ ათაბაგს შეუტიეს.

როდესაც მანუჩარმა შეიტყო, რომ მის წინააღმდეგ ყარსიდან გამოგზავნილ იქნა სამხედრო ძალები, მან თავის სიმამრს – სიმონ მეფეს მიმართა დახმარებისათვის.

სიმონ მეფე თავისი ლაშქრით მანუჩარის დასახმარებლად სამცხისაკენ გაემართა.

ოსმალებმა მიიღეს სასწრაფო ზომები, რომ არ მიეშვათ მანუჩართან მაშველი ლაშქარი.

როგორც აღვნიშნეთ, ფერჰად ფაშა მთავარი ძალებით დმანისისაკენ გაემართა. 27 აგვისტოს ოსმალთა ლაშქარი დმანისში ჩავიდა. 28 აგვისტოს სამხედრო საბჭოზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება – გორისაკენ წასულიყვნენ. საფიქრებელია, რომ ოსმალებმა შეიტყვეს სიმონ მეფის სამცხისაკენ გამგზავრების ამბავი და სასწრაფოდ გადაწყვიტეს მის წინააღმდეგ გალაშქრება.

ფერჰად ფაშას ლაშქარი, თბილისზე გაელით, პირდაპირ გორისაკენ გაემართა და 11 სექტემბერს ოსმალები გორში შევიდნენ.

ფერჰად ფაშას გორში ასე სწრაფად ჩასვლა, ჩვენი აზრით, იმით აიხსნება, რომ მას სურდა გორიდან პირდაპირ ტაშისკარისაკენ წასულიყო და სიმონ მეფე თავისი ლაშქრით ბორჯომის ხეობაში მოემწყვდია და გაენადგურებინა.

სიმონ მეფე, როგორც კი შეიტყო, რომ ოსმალთა ლაშქარი გორისაკენ გამოემართა, იძულებული შეიქნა სასწრაფოდ ქართლში დაბრუნებულიყო. ჩანს, სიმონ მეფე მიუხვდა ფერჰად ფაშას ზრახვებს და სასწრაფოდ სამცხიდან ქართლში დაბრუნდა.

ოსმალებმა ისარგებლეს სამცხიდან სიმონ მეფის წამოსვლით, შეუტიეს ახალციხეს, დაიპყრეს იგი და კვლავ ჩილდირის საბეგლარბეგოს შეუერთეს.

ოსმალების მიერ ახალციხის ხელახალი დაპყრობა სამცხეში ოსმალთა წინააღმდეგ მებრძოლი ძალების დიდი მარცხი იყო. ოსმალებმა, ფაქტობრივად, სამცხეში შეძლეს ძველი მდგომარეობის აღდგენა.

1588 წელს ფერჰად ფაშამ განჯა-ყარაბახსაც შეუტია და განჯა დაიპყრო. ოსმალებს მორჩილება გამოუცხადეს ყარაბახის ამირებმაც.

ყოველივე ამის გამო, ოსმალების ძალაუფლება ამიერკავკასიაში რამდენადმე განმტკიცდა.

1587 წელს ტახტზე ავიდა შაჰ აბას I (1587-1629). მან უპირველესად მიზნად დაისახა ოსმალეთთან დაზავება, რაც მას საშუალებას მისცემდა ქვეყნის შიგნით განემტკიცებინა თავისი ძალაუფლება და მხოლოდ ამის შემდეგ განეახლებინა ომი. 1588 წელს მან სტამბოლში გაგზავნა ელჩობა ზავის დადების მიზნით.

8. 1588 წელს სიმონ I-სა და ფერჰად ფაშას შორის დადებული ზავი

ოსმალეთთან ათი წლის სისხლისმღვრელი ომის შედეგად, საქართველოს სამეფოებს შორის, ქართლი ყველაზე მეტად აოხრებული და გაპარტახებული იყო. ქართლის მოსახლეობის მდგომარეობა ძალზე მძიმე იყო. საჭირო იყო შესვენება და ჭრილობების მოშუშება.

შექმნილ ვითარებაში სიმონ მეფეს ოსმალეთის წინააღმდეგ პირისპირ ომის გაგრძელება არახელსაყრელად მიაჩნდა და გადაწყვიტა ოსმალეთს დაზავებოდა.

ამასთან დაკავშირებით მოიპოვება სულთან მურად III-ის მიერ ქართლის მეფე სიმონ I-ისადმი გაცემული უთავგუსტოესი ხელშეკრულების პირი.

ამ დოკუმენტისა და სხვა წყაროების ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ 1588 წელს სიმონ I-სა და ფერჰად ფაშას შორის დაიდო ზავი.

ამიერკავკასიაში ოსმალეთის სამხედრო წარმატებების შედეგად და, აგრეთვე, ირანის მიერ ოსმალეთთან დაწყებული საზავო მოლაპარაკებისა და საქართველოში

შექმნილი მდგომარეობის გამო, სიმონ მეფე იძულებული შეიქნა ფერჰად ფაშასთვის მორჩილება გამოეცხადებინა და ოსმალეთს დაზავებოდა.

თავის მხრივ, ოსმალეთიც დაინტერესებული იყო ზავის დადებით. ოსმალეთის ეკონომიკური მდგომარეობა სულ უფრო მეტად რთულდებოდა, ირანთან ომის წარმოება დიდ სახსრებს მოითხოვდა. ოსმალეთის მთავრობა ახალ-ახალი გადასახადების შემოღებით ცდილობდა კრიზისისაგან თავის დაღწევას, მაგრამ ეს ღონისძიება კიდევ უფრო ამწვავებდა მწარმოებელი კლასის მდგომარეობას, რის გამო სულ მალე ოსმალეთში გლეხთა აჯანყებამ იფეთქა.

არც საგარეო მდგომარეობა იყო სახარბიელო. მართალია, ოსმალეთს ავსტრიის იმპერატორთან ზავი ჰქონდა დადებული, მაგრამ მასთან ურთიერთობა რთულდებოდა და ომის დაწყება გარდაუვალი ჩანდა. ამ პერიოდში თანდათანობით სამხრეთისაკენ მოიწევდა რუსეთი და მას სულ უფრო მეტად აინტერესებდა ამიერკავკასიის ქვეყნები. 1587 წელს ალექსანდრე კახეთის მეფემ რუსეთთან მფარველობითი ტრაქტატი დადო. ამიერიდან საქართველოს მეფეები ცდილობდნენ რუსეთის დახმარებით ოსმალეთისა და ირანის აგრესიისაგან თავი დაეცვათ.

რუსეთის გამოჩენა მახლობელი აღმოსავლეთის საერთაშორისო ასპარეზზე ოსმალეთს ძალზე აფიქრებდა.

ასეთ ვითარებაში მურად III დაინტერესებული იყო ირანთან ზავის დადებით. ოსმალეთის მთავარსარდალს ფერჰად ფაშას სულთნისაგან დავალებული ჰქონდა საბოლოოდ გაეტეხა ამიერკავკასიის ხალხების წინააღმდეგობა და აეძულებინა ისინი ოსმალეთისათვის მორჩილება გამოეცხადებინათ, რაც საწინდარი უნდა ყოფილიყო ირანთან ზავის დადების საქმეში. ამ მიზნის განხორციელებისათვის ფერჰად ფაშა, რიგ შემთხვევაში, იძულებული იყო კომპრომისის გზას დასდგომოდა. სიმონ მეფესთან დაზავების შემდეგ ირანთან ზავის დადებისათვის გზა, ფაქტობრივად, გახსნილი იყო.

უავგუსტოესი ხელშეკრულებიდან ირკვევა, რომ ფერჰად ფაშასთან დაზავების შემდეგ სიმონ მეფემ სტამბოლში სულთანთან ელჩები გაგზავნა, ფერჰად ფაშასთან დადებული ხელშეკრულების დამტკიცების (რატიფიკაციის) მიზნით. დელეგაციის შემადგენლობაში შედიოდნენ სიმონ მეფის ძმა, მისი ნათესავი, მოურავი და ნდობით აღჭურვილი რამდენიმე პირი.

საქართველოს წარგზავნილებს შეუსრულებიათ მათზე დაკისრებული მისია. ამის შესახებ მურად III სიმონ მეფეს წერდა: „შენი სურვილი და საწადელი კეთილად იქნება (ჩვენს მიერ) დაკმაყოფილებული... უწინ მიცემული ხელშეკრულების შესაბამისად“.

უავგუსტოესი ხელშეკრულება, ჩვენი აზრით, არის სიმონ მეფესა და ფერჰად ფაშას შორის დადებული საზავო ხელშეკრულების პირობების დამტკიცება-დადასტურება, თუმცა იგი მთელი რიგი თავისებურებებით ხასიათდება, რაც გამოწვეული იყო იმ დროს ქართლის სამეფოსა და ოსმალეთს შორის შექმნილი ურთიერთობით. საქმე ისაა, რომ როდესაც სულთანს უნდა დაემტკიცებინა სიმონ მეფესა და ფარჰად ფაშას შორის დადებული ზავი, მან ბეგლარბეგებისაგან მიიღო ცნობა, რომ სიმონ მეფე არღვევდა საზავო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს, ამიტომ სულთანი სიმონ მეფეს აფრთხილებდა და რჩევა-დარიგებას აძლევდა – დაეცვა ხელშეკრულებების პირობები.

მურად III-ის მიერ სიმონ მეფისადმი გაცემული უავგუსტოესი ხელშეკრულება დაწერილი უნდა იყოს სიმონ მეფის ელჩების სტამბოლში ჩასვლის შემდეგ და 1590 წლის ირან-ოსმალეთის ზავის დადებამდე, ე. ი. 1589-1590 წლებში.

მართალია, ჩვენ არ მოგვეპოვება სიმონ მეფესა და ფერჰად ფაშას შორის დადებული ხელშეკრულების ტექსტი, მაგრამ უავგუსტოესი ხელშეკრულების შინაარსიდან ცნობილი ხდება ამ საზავო ხელშეკრულების პირობები.

ამ ხელშეკრულებიდან ირკვევა, რომ ოსმალეთი ცნობდა სიმონ I-ს ქართლის მეფედ, აღიარებდა მის მემკვიდრეობით უფლებას და კისრულებდა არ ჩარეულიყო მის საქმეებში. ხსენებულ დოკუმენტში ვკითხულობთ: „შენს (სიმონ მეფის) უფლებაში მყოფი შენი ქვეყანა უწინდებურად შენს ხელში იყოს, შთამომავლობიდან შთამომავლობამდე იყავ მისი მფლობელი და სხვა ვინმეს ამაში ხელი არ ჰქონდეს და (ამ საქმეში) არ ჩაერიოს“.

საყურადღებოა, აგრეთვე, ის, რომ სულთანი სიმონ I-ს ქრისტიანობით უნარჩუნებდა მმართველობას. მურად III სიმონ I-ს შემდეგნაირად მიმართავდა: “იესოელთა დიდებული თავადების სიამაყევ, მესიელთა ხალხში წარჩინებულთა რჩეულო, ქრისტეს მადიარებელ გვარტომთა საქმეების კეთილად წარმმართველო, ქართლის ქვეყნის მფლობელო სიმონ ხან”.

ოსმალეთის მიერ სიმონ I-ის ქრისტიანობით ქართლის მეფედ ცნობა ქართველი ხალხის გამარჯვება იყო, რადგან ქრისტიანობის შენარჩუნება ქართველობასთან (ქართულ სოციალურ-პოლიტიკურ სისტემასთან) იყო დაკავშირებული.

ხელშეკრულების ანალიზიდან ირკვევა, რომ ქართლის სამეფოსა და ოსმალეთს შორის დადებული ზავი დაფუძნებული იყო Uti possidetis პრინციპზე, ე. ი. ოსმალეთი ინარჩუნებდა იმ ტერიტორიებს, რომელიც მას დაპყრობილი ჰქონდა ომის შედეგად. ვინაიდან ზავის დადების დროისათვის ოსმალებს, ფაქტობრივად, ქართლში მხოლოდ მთავარი ციხე-ქალაქები ეკავათ, ამიტომ ქართლის ციხეებში კვლავ ოსმალთა გარნიზონები რჩებოდნენ და სიმონ მეფის ხელისუფლება ქართლის დანარჩენ ტერიტორიაზე ვრცელდებოდა. ფარსადან გორგიჯანიძის სიტყვებით: „ბატონ სვიმონ ქართლში მეფობდა, მაგრამ ციხეები ურუმთ ეჭირათ“.

სიმონ მეფე იძულებული იყო დათანხმებულიყო ქართლის ციხე-ქალაქებში ოსმალთა გარნიზონების დატოვებაზე, რადგან შექმნილ ვითარებაში უკეთესი გამოსავალი არ არსებობდა. ოსმალეთთან დაზავებით, სიმონ მეფეს საშუალება ეძლეოდა ძალები მოეკრიბა, მოკავშირეები შეეძინა და ახალი შეტევა დაეწყო ოსმალთა წინააღმდეგ, მათი საქართველოდან საბოლოოდ განდევნისათვის.

სიმონ ქართლის მეფე, როგორც ხსენებული დოკუმენტიდან ირკვევა, ვალდებული იყო ოსმალეთის სასარგებლოდ ყოველწლიურად ხარაჯა (ხარკი) ეხადა. ამგვარად, ოსმალეთსა და ქართლის სამეფოს შორის დამოკიდებულების პოლიტიკური ფორმა მოხარკეობის საფუძველზე მყარდებოდა. ეს კი იმას მოწმობდა, რომ ოსმალეთის სულთანი იძულებული იყო მიეღო სიმონ მეფის მიერ ადრე შეთავაზებული ზავის პირობები, რომლის ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა იყო ოსმალეთთან ურთიერთობის ის პოლიტიკური ფორმა, რომელიც მოხარკეობას გულისხმობდა.

საზავო ხელშეკრულების მიხედვით, ქართლსა და ოსმალეთს შორის დამოკიდებულების პოლიტიკური ფორმა მოხარკეობის საფუძველზე დამყარდა. სიმონ მეფე ვალდებული იყო ოსმალეთის სასარგებლოდ ყოველწლიურად ხარკი ეხადა. ოსმალეთი ცნობდა სიმონ I-ს ქართლის მეფედ ქრისტიანობით, აღიარებდა მის მემკვიდრეობით უფლებას და ვალდებულებას იღებდა, არ ჩარეულიყო მის საშინაო საქმეებში.

ქართველმა ხალხმა სიმონ მეფის მეთაურობით, ათი წლის თავდადებული და გმირული ბრძოლის შედეგად, აიძულა სულთნის თურქეთი ხელი აეღო ქვეყნის ინკორპორაციაზე. ეს იყო ქართველი ხალხის დიდი გამარჯვება.

9. 1590 წლის 21 მარტის სტამბოლის საზავო ხელშეკრულება

სიმონ მეფესა და ფერჰად ფაშას შორის დაზავების შემდეგ ირანსა და ოსმალეთს შორის საზავო მოლაპარაკება განახლდა.

ამ დროს შაჰ აბას I-ის მდგომარეობა მეტად მძიმე იყო; ქვეყანაში ანარქია სუფევდა. ირანის აღმოსავლეთ საზღვრებს თავს ესხმოდნენ ოზბეგთა ხანები, ხოლო ოსმალთა წინააღმდეგ მებრძოლი ძალები დასუსტებული იყო.

ასეთ ვითარებაში შაჰ აბასი იძულებული იყო მიეღო ოსმალეთის მიერ შეთავაზებული ზავის პირობები: 1. ირანის შაჰს უნდა ეცნო ოსმალეთის ხელისუფლება მის მიერ დაპყრობილ ქვეყნებზე; 2. შაჰს უნდა გაეგზავნა მძევალი, სეფიანთა უფლისწული, სულთნის კარზე.

შაჰ აბასმა, ოსმალეთთან ზავის დადების მიზნით, სტამბოლში მეჰდი ყული ხანის მეთაურობით მრავალრიცხოვანი ელჩობა გაგზავნა და მას ძვირფასი საჩუქრები გაატანა. მასთან ერთად სტამბოლში გაგზავნეს სეფიანთა უფლისწული – შაჰ აბას I-ის უფროსი ძმის ჰამზა მირზას ვაჟიშვილი ჰაიდარ მირზა.

1590 წლის 21 მარტს, სტამბოლში ხანგრძლივი მოლაპარაკების შედეგად, ოსმალეთსა და ირანს შორის ზავი დაიდო. საზავო ხელშეკრულების მიხედვით, აღმოსავლეთ სომხეთი, მთელი ჩრდილოეთ და სამხრეთ აზერბაიჯანი (არდებილისა და ტალიშის გამოკლებით), ქურთისტანი და ლურისტანის ნაწილი ოსმალეთს დარჩა.

ხელშეკრულების პირობით, ყიზილბაშებს თავი უნდა შეეკავებინათ სამი პირველი ხალიფას (აბუ ბექრის, ომარის და ოსმანის) საჯარო წყევლა-კრულვისაგან.

მოლაპარაკების დროს განიხილეს ტყვეების საკითხი. მეჰდი ყული ხანის თხოვნით განთავისუფლებულ იქნა რამდენიმე ცნობილი ყიზილბაში. ამის საპასუხოდ შაჰის მთავრობამ გაათავისუფლა ტყვე თურქი ფაშები და ბეგები.

ამ ზავის შედეგად დამთავრდა ირანსა და ოსმალეთს შორის ერთ-ერთი ყველაზე დიდი და სისხლისმღვრელი ომი, რომელიც გრძელდებოდა 11 წელიწადს, 11 თვესა და 16 დღეს.

ომის შედეგად გაუარესდა ოსმალეთის ეკონომიკური მდგომარეობა, რამაც დააჩქარა სამხედრო-ლენური სისტემის კრიზისი.

თავი X

ოსმალეთი XVI საუკუნის მიწურულს

1. შავ და მარმარილოს ზღვებს შორის არხის გაყვანის მცდელობები

ირანთან ომის შედეგად ოსმალეთის იმპერიის ტერიტორიულმა ზრდამ უმაღლეს წერტილს მიაღწია. არასოდეს ოსმალეთის სამფლობელოები არ იყო ესოდენ ვრცელი. შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო ოსმალეთის უკანასკნელი დიდი ომი, რომელიც ოსმალეთის გამარჯვებით დამთავრდა.


ამ დროს ოსმალეთში კვლავ გაჩნდა არხის გაყვანის საჭიროება შავ ზღვასა და იზმითის ყურეს შორის.

XVI საუკუნეში ოსმალეთი იყო ერთ-ერთი უდიდესი საზღვაო სახელმწიფო და ჰყავდა მრავალრიცხოვანი ფლოტი. ოსმალეთის საზღვაო ქალაქებში აგებული იყო გემთმშენებლობის ვერფები. განსაკუთრებით დიდი მასშტაბით წარმოებდა გემთმშენებლობა სტამბოლში. რაც დრო გადიოდა, უფრო და უფრო ჩნდებოდა მოთხოვნილება გემთმშენებლობისათვის საჭირო ხე-ტყის მასალაზე. ამასთანავე სწრაფად იზრდებოდა სტამბოლის მოსახლეობაც, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა მოთხოვნილება ხე-ტყის მასალაზე საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის, ასევე შეშაზე. ყოველივე ამის შედეგად, სტამბოლი დროდადრო განიცდიდა შეფერხებას გემთმშენებლობისა და საცხოვრებელი სახლებისათვის საჭირო ხე-ტყის მასალითა და შეშით მომარაგების საქმეში.

მდინარე საქარიას რეგიონი, სადაც იგი ერთვის შავ ზღვას, ძალზე მდიდარი იყო ხე-ტყითა და, განსაკუთრებით, გამთმშენებლობისათვის საჭირო საშენი მასალით. აქ ულრანი, გაუვალი ხე-ტყის მასივები იყო და მას აღჩადენიზს (ხეების ზღვა) უწოდებდნენ. მდინარე საქარიადან დასავლეთით საფანჯას ტბამდე ორი საათის სავალი გზა იყო, ხოლო საფანჯას ტბიდან იზმითის ყურემდე – სამი საათის. თუ მდინარე საქარია არხით შეუერთდებოდა იზმითის ყურეს, მაშინ ქალაქი იზმითი უმოკლესი საზღვაო გზით დაუკავშირდებოდა სტამბოლს, ასევე შავი ზღვიდანაც და ამით მნიშვნელოვნად გაადვილდებოდა და გაიზრდებოდა სტამბოლის მომარაგება ხე-ტყის მასალითა და შეშით.

სტამბოლში, როდესაც მნიშვნელოვნად გაიზარდა მოთხოვნილება საშენ მასალასა და შეშაზე და ამ საქმეში გარკვეული დაბრკოლებები წარმოიშვა, დაიბადა იდეა შავ და მარმარილოს ზღვებს შორის არხის მშენებლობისა.

ოსმალური წყაროების მიხედვით, მდინარე საქარიას ველიდან, საფანჯას ტბის გავლით, იზმითის ყურეში ხე-ტყის ადვილად გადაზიდვის პრობლემა სულთან სულეიმან I-ის დროს განხილვის საგანი გახდა და ეს თემა არა თუ მხოლოდ სიტყვად დარჩა, არამედ ეს საქმე დაავალეს გამოჩენილ ხუროთმოძღვარს კოჯა სინანს (1492-1588). სინანი კარგად იცნობდა ქალაქ იზმითსა და საფანჯას ტბის მიდამოებს. ქალაქ იზმითში მას მრავალი ხუროთმოძღვრების ძეგლი ჰქონდა აგებული. სინანმა მოინახულა არხის მშენებლობისათვის ვარგისი ადგილები და ჩაატარა გარკვეული წინასწარი სამუშაოები, შეადგინა ხარჯთაღრიცხვა და სხვ. პროექტის მიხედვით, იზმითის ყურიდან უნდა გაჭრილიყო ერთი არხი საფანჯას ტბამდე, ხოლო საფანჯას ტბიდან



თოფკაფის სასახლე


აღმოსავლეთით მეორე არხი, მდინარე საქარიამდე. მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო პროექტი ვერ განხორციელდა და დაწყებული სამუშაოები შეაჩერეს.

არხის მშენებლობის საკითხი კვლავ წამოიჭრა მურად III-ის დროს. ამჯერად დიდმა ვეზირმა კოჯა სინან ფაშამ (იგი ხუთჯერ იყო დიდი ვეზირი) დაარწმუნა მურად III არხის აგების აუცილებლობაში.

1591 წლის 11 მარტს გამოიცა სულთნის ფირმანი „საქარია-საფანჯა-იზმითის ყურეს შორის არხის მშენებლობის შესახებ". ამ ფირმანით არხის მშენებლობის საერთო ხელმძღვანელად (მუბაშირი) დაინიშნა მეჰმედ სოკოლუს შვილი (მეჰმედ სოკოლუს 1565-1579 წწ. ეკავა დიდი ვეზირის თანამდებობა), ანატოლიის ბეგლარბეგი ჰასან ფაშა, ხოლო არხის მშენებლობის ემინად – ბუდინის (ბუდაპეშტის) ყოფილი დეფთერდარი – აჰმედი, ქიათიბების ხელმძღვანელად – მუსტაფა ეფენდი.

ტერიტორიის გაზომვის შედეგად გამოირკვა, რომ მანძილი მდინარე საქარიადან საფანჯას ტბამდე 6 ათასი ზირაა (ერთი ზირა – 70 სანტიმეტრია) და საფანჯას ტბიდან იზმითის ყურემდე – 22 ათასი ზირა. ამრიგად, სულ 28 ათასი ზირას სიგრძის (ეს უდრის დაახლოებით 20 კილომეტრს) არხი უნდა გაეყვანათ. არხის მშენებლობის სამუშაოების ჩატარების მიზნით შეკრებილ იქნა 30 ათასი მუშა, ხოლო მშენებლობისათვის საჭირო სხვადასხვა მასალა გაიგზავნა სტამბოლიდან. გადაწყვეტილი იყო, აგრეთვე, არხის მშენებლობის ადგილზე მდებარე სოფლების დაცლა და მოსახლეობის სხვადასხვა ადგილებში ჩასახლება.

არხის მშენებლობაზე დაკავებული მუშების მეთვალყურეობა და მათი საკვებით მომარაგება დაევალა ანატოლიის, ყარამანიის, სივასის, მარაშისა და არზრუმის ბეგლარბეგებს. სტამბოლის ყადიებს (მოსამართლეებს) ებრძანათ იმ რეგიონში ჩასვლა და მოსახლეობის აყრასთან დაკავშირებით საქმეების მოწესრიგება.



სულეიმანიე

არხის მშენებლობის დაწყების შემდეგ დიდი ვეზირი კოჯა სინან ფაშა, მეორე ვეზირი ფერჰად ფაშა, ანატოლიის კაზიასკერი ალი ეფენდი, ქაფუდან ფაშას ხელმძღვანელობით ქალაქ იზმითში ჩავიდნენ, სპეციალისტთა და ინჟინერთა თანხლებით. სამი დღის დათვალიერების, არხისათვის გამოყოფილი ტერიტორიის აზომვისა და შესწავლის შემდეგ ფადიშაჰს დაწვრილებითი არზა წარუდგინეს. არხის მშენებლობას ყველა როდი უჭერდა მხარს. დიდი ვეზირის მოწინააღმდეგეებმა დაარწმუნეს სულთანი, რომ ეს საქმე არ იყო ხელსაყრელი და პერსპექტიული.

1591 წლის 11 აპრილს გამოიცა მურად III-ის ფირმანი არხის მშენებლობის შეწყვეტის შესახებ. არხის მშენებელი მუშები თავიანთ ადგილებზე უნდა დაბრუნებულიყვნენ, ხოლო მშენებლობისათვის ჩატანილი საჭირო მასალა უკან უნდა გაეგზავნათ სტამბოლში.

დიდი ვეზირი კოჯა სინან ფაშა კვლავ შეეცადა დაერწმუნებინა ფადიშაჰი ამ პროექტის პერსპექტიულობაში, მაგრამ უშედეგოდ. მურად III-ს განუცხადებია: „უმჯობესია გემების აგება, ვიდრე ზარბაზნებისა. გააგრძელეთ სტამბოლის ხე-ტყის მასალით მომარაგება, როგორც ეს ყოველთვის ხდებოდა“. პასუხად სინან ფაშას უთქვამს: „ფადიშაჰის ყოველი სიტყვა ყველა სიტყვის დედოფალიაო“.

ამ არხის მშენებლობასთან დაკავშირებით დოკუმენტები თურქეთის პრემიერ-მინისტრის არქივში აღმოაჩინა გამოჩენილმა თურქმა ისტორიკოსმა ი. ჰ. უზუნჩარშილიმ და გამოაქვეყნა.

არხის მშენებლობის იდეა აქტუალობას არ კარგავდა მეჰმედ IV-ისა (1648-1687) და მუსტაფა III-ის (1757-1774) დროს. მაგრამ ამჯერადაც ამ ცდებს შედეგი არ მოჰყოლია.

არხის მშენებლობის ერთ-ერთი თავგამოდებული მომხრე იყო XVII საუკუნის გამოჩენილი თურქი მოგზაური ევლია ჩელები, რომელმაც ამ მხარეში ორჯერ (1640 და 1647 წლებში) იმოგზაურა. იგი წერს: „ცოტაოდენი მონდომებაა საჭირო იმის-

ათვის, რომ მდინარე საქარია საფანჯას ტბას შეუერთდეს... ეს ტბა კი – იზმითის ყურეს. შავი ზღვიდან საქარიას საშუალებით ვერასოდეს შემოვიდოდა მტერი. თანაც ქალაქი იზმითი საქარიაზე მოექცეოდა და თვით ქალაქი ბოლუმდე ხუთი დღის სავალი მიწები გაშენდებოდა. ბოლუს ნავსადგურს დაუახლოვდებოდა, სტამბოლის ხომალდები თვით ბოლუმდე მიაღწევდნენ და სტამბოლში ერთი ფიცარი სამი ახჩა გახდებოდა, ერთი კანთარი (უდრის 44 ოყას, დაახლოებით 56 კილოგრამს) შეშა – ხუთი ახჩა და სიკეთე გაიზრდებოდა – „ო, ალაჰო, გააადვილე იგი სიკეთით“.

რა იყო მიზეზი, რატომ არ განხორციელდა შავ და ეგეოსის ზღვებს შორის არხის მშენებლობა?

ჩვენი აზრით, ამ არხის მშენებლობის ჩაშლის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო ის, რომ იმ ტერიტორიაზე, სადაც უნდა ყოფილიყო გაყვანილი არხი, სოფლები იყო გაშენებული და საჭირო იყო ამ სოფლების აყრა და გლეხების სხვა ადგილებში დასახლება, რაც დიდ ხარჯებს მოითხოვდა.

ევლია ჩელების ცნობით, მარტო საფანჯას რეგიონში 76 სოფელი იყო, საკმაოდ კეთილმოწყობილი და უხვმოსავლიანი. „მოსავალი უხვია, – წერს ევლია ჩელები, – ბაღები აუარებელია. ამ ტბის ნაპირზე ისეთი ჯიშის ნესვი და საზამთრო მოდის, რომ ვირს მხოლოდ ორის წაღება შეუძლია... განთქმულია მისი თეთრი ბალი... საფანჯის მრგვალი პური ორმოცი დღეც რომ იდოს, არც გახმება, არც დაობდება და არც გემოს შეიცვლის. იმდენად განთქმულია, რომ ერთი ახლად გამომცხვარი პური ჭენებით წაუღიათ ირანის შაჰისათვისაც და მასაც კი მოსწონებია“.

ცხადია, რომ ადგილობრივი მოსახლეობა ძნელად შეურიგდებოდა აქედან გადასახლებას, თუნდაც დიდი გასამრჯელოს აღებით. ამას, შესაძლებელია, მოჰყოლოდა გლეხების დიდი უკმაყოფილება და გამოსვლებიც კი. ამიტომ მურად III-ის სიტყვები არხის მშენებლობის შეწყვეტასთან დაკავშირებით – „უმჯობესია ვაშენოთ გემები, ვიდრე – ზარბაზნები“, – გადატანითი მნიშვნელობით უნდა გავიგოთ.

2. ომი ავსტრიასთან

ოსმალეთს ჯერ კიდევ არ ჰქონდა მოშუშებული ირანთან ომის ჭრილობები, განიცდიდა მწვავე ფინანსურ კრიზისს, მაგრამ ის მაინც შეუდგა ომის სამზადისს და 1593 წელს დაიწყო ომი ავსტრიასთან. ოსმალეთის მთავრობა კრიზისიდან გამოსავალს ისევ ომში ხედავდა. მაგრამ ამ დროს მდგომარეობა შეიცვალა. ევროპის ქვეყნები მედგარ წინააღმდეგობას უწევდნენ ოსმალებს და ომის შედეგად ახალი ტერიტორიების დაპყრობა და მდიდარი ნადავლის ხელში ჩაგდება გამორიცხული იყო. სულთნის სამეფო კარის იმედი არ გამართლდა. ოსმალეთი ავსტრიასთან ომში მარცხდებოდა. მართალია, ოსმალეთმა ომის დასაწყისში გარკვეულ წარმატებას მიაღწია, მაგრამ ეს დროებითი მოვლენა იყო.

ამ დროს ოსმალეთის ვასალურმა სამთავროებმა მის წინააღმდეგ კავშირი შეკრეს. 1594 წელს სულთნის სამ ვასალს შორის: ტრანსილვანიის მთავარს სიგიზმუნდ ბატორს, მოლდავეთის გოსპოდარს არონ ვოევოდასა და ვალახეთის გოსპოდარ მიხეილ გულადს შორის დაიდო საბრძოლო კავშირი ოსმალთა ბატონობისაგან განთავისუფლების მიზნით. თავის მხრივ, მათ კავშირი შეკრეს ავსტრიის იმპერატორ რუდოლფ II-სთან.

მიხეილ გულადმა და არონ ვოევოდამ გაერთიანებული ძალებით რამდენიმე დამარცხება აგემეს ოსმალთა ჯარებს და 1594 წლის დამლევს ბალკანეთის მთებამდე მიაღწიეს.



ყავახანა

ამავე წელს სულთნის ბატონობის წინააღმდეგ აჯანყდა სერბიის მოსახლეობაც. აჯანყება წარმატებით მიმდინარეობდა, ოსმალები განდევნილ იქნენ რამდენიმე ქალაქიდან. აჯანყებულებს იმედი ჰქონდათ ავსტრიისა და ტრანსილვანიის ჯარების დახმარებისა. მაგრამ მათ დახმარება ვერ მიიღეს და აჯანყებულები დაამარცხა ოსმალეთის მრავალრიცხოვანმა ლაშქარმა.

სერბიაში აჯანყების ჩაქრობის შემდეგ ოსმალეთის ლაშქარი მიხეილ გულადის წინააღმდეგ გაემართა. მიუხედავად ოსმალთა მრავალრიცხოვანი ლაშქრისა, 1595 წელს მიხეილ გულადმა ოსმალებს სასტიკი დამარცხება აგემა და მთელი ვალახეთი ოსმალთაგან გაანთავისუფლა.

სულთნის მთავრობას, რომელიც დაკავებული იყო ავსტრიასთან ომით, არ შეეძლო ხანგრძლივი ომი ეწარმოებინა მიხეილ გულადთან და იძულებული გახდა დაედო მასთან დროებითი ზავი. ზავი რამდენიმე წლით დაიდო. ოსმალეთის სულთანმა არსებითად დაჰკარგა თავისი სუზერენიტეტი დუნაის სამთავროებზე.

ავსტრიასთან ომის დაწყების შემდეგ დასავლეთ ევროპა კვლავ ოსმალეთის საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. დასავლეთ ევროპის ქვეყნებმა გადაწყვიტეს ანტიოსმალური კოალიცია შეექმნათ. ინიციატორებად გამოვიდნენ ავსტრიის იმპერატორი რუდოლფ II და რომის პაპი კლიმენტ VIII.

1593 წლის 17 სექტემბერს მისკოვში ჩავიდა ავსტრიის იმპერატორის ელჩი ნიკოლოზ ვარკოჩი. მან რუსეთის მეფეს შესთავაზა, მონაწილეობა მიეღო ანტიოსმალურ კოალიციაში. ბორის გოდუნოვმა ვარკოჩს განუცხადა, რომ მას სურვილი აქვს გაერთიანდეს იმპერატორთან ოსმალეთის წინააღმდეგ იმ შემთხვევაში, თუ ამ კავშირში მონაწილეობას მიიღებენ რომის პაპი, ესპანეთისა და დანიის მეფეები, ვენეციის დოჟი, ლიტვის მთავარი და სხვანი.

ამავე დროს ვარკოჩმა თხოვა რუსეთის მთავრობას, ნება დაერთო შეხვედროდა მოსკოვში მყოფ ირანის ელჩს. ვარკოჩმა ირანის ელჩს გადასცა ავსტრიის იმპერა-



ქუჩის მწერალი

ტორის თხოვნა არ შერიგებოდა ოსმალეთს და იმპერატორთან ერთად ყოფილიყო ოსმალეთის მოწინააღმდეგე. ირანის ელჩმა უპასუხა, რომ თუ სამი დიდი ხელმწიფე (რუსეთი, ავსტრია, ირანი) შეერთებული ძალებით, ერთად თავს დაესხმებიან ოსმალეთს, მაშინ ოსმალთა საქმე გათავებულია.

ვარკოჩის მოსკოვში ჩასვლამდე რამდენიმე დღით ადრე იქ ჩავიდა ოსმალეთის ელჩი რეზვან ჩაუში. მან რუსეთის მეფეს გადასცა მურად III-ის წერილი. თავის წერილში სულთანი იმუქრებოდა, რომ გაგზავნიდა ლაშქარს დონის კაზაკების გასანადგურებლად, თუ ისინი არ შეწყვეტდნენ აზოვზე თავდასხმებს. ამასთანავე იგი შეშფოთებას გამოსთქვამდა რუსების გააქტიურების გამო კასპიის ზღვაზე, დერბენდის მახლობლად.

ჯერ კიდევ 1594 წლის შემოდგომაზე, მოლდავეთსა და პოლონეთში გაემგზავრნენ რომის პაპის საგანგებო ელჩები ალექსანდრე კომულევი და ერიხ ლიასოტა. მოლაპარაკება წარმატებით დამთავრდა. კაზაკებმა მოლდავეთში ოსმალთა ძალების დაბანდება ითავეს, ელჩებმა კი მათ რომის პაპის მიერ გაგზავნილი ფული გადასცეს.

ევროპის დიპლომატები დაინტერესებული იყვნენ, რომ ანტიოსმალურ კოალიციაში მონაწილეობა მიეღო არა მარტო ირანის შაჰს, არამედ ქართლ-კახეთის მეფეებსაც.

1595 წლის იანვარში გარდაიცვალა მურად III. იგი, მსგავსად სელიმ II-ისა, სახელმწიფო საქმეებით დიდად არ იყო დაინტერესებული. მისი ყურადღება სხვა საგანზე იყო გადატანილი. ზომიერზე მეტად სულთანი გატაცებული იყო მშვენიერი სქესით და საგრძნობლად „შეუწყო ხელი“ ოსმალეთის მოსახლეობის ზრდას. გადმოგვცემენ, რომ მას ჰყავდა 112 შვილი, ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ კიდევ 19 ქალი ელოდა ბავშვს.

მურადის სიკვდილის შემდეგ ტახტზე ავიდა მისი შვილი მეჰმედ III (1595-1603). მან მიიღო სათანადო ზომები არმიაში დისციპლინის განმტკიცების მიზნით და ავსტრიის წინააღმდეგ ლაშქრობას თვითონ ჩაუდგა სათავეში.

ამ დროს სტამბოლში ჩავიდნენ რუსეთისა და ირანის ელჩები, რათა მიელოცათ მეჰმედ III-სათვის ტახტზე ასვლა. შემდეგ ისინი უნდა გამგზავრებულიყვნენ საქართველოში, სადაც უნდა შეერიგებინათ ქვეყნის ორი მეფე – სიმონი და ალექსანდრე. მაგრამ ელჩები დააკავეს სტამბოლში, რადგანაც ოსმალეთს აშინებდა კავშირი მოსკოვს, ირანსა და საქართველოს შორის, მიმართული ოსმალეთის წინააღმდეგ.

1595 წელს სიმონ ქართლის მეფემ, ალექსანდრე კახეთის მეფემ და შაჰ აბასმა კავშირი შეკრეს, რომის პაპს, ავსტრიის იმპერატორს, ესპანეთის მეფეს, ვენეციის სენატს ელჩები გაუგზავნეს და მოუწოდეს ოსმალეთის წინააღმდეგ საბრძოლველად.

1596 წელს სოფელ კერეზტეშთან (ტრანსილვანია) ოსმალებმა სასტიკად დაამარცხეს ავსტრია-უნგრეთის ჯარები. მაგრამ ამ ბრძოლის დროს ოსმალეთის არმიაში ადგილი ჰქონდა მასობრივ დეზერტირობას. შემოწმების შედეგად გამოირკვა, რომ ზეამეთებისა და თიმარების 30 ათასამდე მფლობელმა აარიდა თავი ბრძოლას. ამის გამო გამოიცა სულთნის ბრძანებულება, რომლის მიხედვითაც, ყველას უნდა ჩამორთმეოდა საკარგავები და სიკვდილით დასჯილიყვნენ. „ფირარიებს“ (გაქცეულებს) ჩამოერთვათ მიწები-ლენები, საარსებო საშუალება, მათ სიკვდილით დასჯა ემუქრებოდა, ამიტომ ისინი გახდნენ ანატოლიაში მთავრობის წინააღმდეგ აჯანყებულთა მთავარი დასაყრდენი. ავსტრიასთან ომის დროს მომხდარმა ფაქტმა აშკარად დაადასტურა, რომ სიფაჰიები აღარ იყვნენ დაინტერესებული სამხედრო სამსახურით. მათ მასობრივად დაიწყეს სამხედრო სამსახურიდან თავის არიდება, რადგან ომში მონაწილეობა ძველებურად ხელსაყრელი აღარ იყო. ეს ფაქტი იმაზე მეტყველებს, რომ თიმარული სისტემა კრიზისს განიცდიდა.

ავსტრიასთან ომში ოსმალეთმა ვერავითარ წარმატებას ვერ მიაღწია. ამიტომ იძულებული გახდა მასთან ზავი დაედო. 1606 წლის 11 ნოემბერს სიტვატოროკში (უნგრეთი) ოსმალეთსა და ავსტრიას შორის ზავი დაიდო. საზავო ხელშეკრულებით ვერც ოსმალეთმა და ვერც ავსტრიამ ვერავითარი ტერიტორიული გაფართოება ვერ მიიღო. სულთანმა უარი თქვა ავსტრიისაგან ყოველწლიური 30 ათასი დუკატის აღებაზე. სამაგიეროდ, ავსტრიას ოსმალეთის სასარგებლოდ ერთდროულად უნდა გადაეხადა 200 ათასი დუკატი. ორივე მხარე აღიარებულ იქნა თანასწორუფლებიანად. პირველად ხელშეკრულებაში ავსტრიის კეისარი მოხსენიებულ იქნა იმპერატორად და არა „ვენის მთავრად“. ამ ხელშეკრულებაში აისახა ოსმალეთის საგარეო-პოლიტიკური ძლიერების დასუსტების დასაწყისი.

3. თიმარული სისტემის კრიზისი, გლეხთა აჯანყების დაწყება

მურად III-ის მეფობის ბოლო წლებიდან განსაკუთრებით გამწვავდა თიმარული სისტემის კრიზისი, რაც გამოწვეული იყო საშინაო და საგარეო ფაქტორებით. დაპყრობითი ომების წარმოება აღარ იძლეოდა შემოსავალს, პირიქით, ის კიდევ უფრო მეტად ართულებდა ქვეყნის ფინანსურ მდგომარეობას და იწვევდა ეკონომიკურ კრიზისს.

მართალია, ოსმალეთი კვლავ განაგრძობდა დაპყრობით ომებს, მაგრამ მეზობელი ხალხები, რომლებსაც ოსმალეთი დაპყრობით ემუქრებოდა, მას გადამწყვეტ წინააღმდეგობას უწევდნენ. დაპყრობითი ომები ოსმალეთს აღარ აძლევდა ახალ ვრცელ ტერიტორიებსა და ახალ მოხარკე ქვეყნებს. ხანგრძლივი ომების წარმოება კიდევ უფრო მეტად აუძლურებდა ოსმალეთს.

თიმარულმა სისტემამ – ოსმალეთის სახელმწიფოს სამხედრო ძლიერების საფუძველმა, თანდათანობით დაკარგა თავისი მნიშვნელობა. სამხედრო ლენებს ხელთ

ოდებდნენ ქრთამების, ინტრიგებისა და ნაცნობების საშუალებით ახლად დაწინაურებული პირები, რომლებიც მხოლოდ საკუთარი გამდიდრებით იყვნენ დაინტერესებული.

ამავე დროს იწყება ბრძოლა ლენური მიწების გადანაწილებისათვის. მსხვილი ფეოდალები თვითნებურად იტაცებდნენ წვრილი და საშუალო ფეოდალების მიწებს. ცნობილია შემთხვევები, როდესაც მსხვილი ფეოდალების ხელში თავს იყრიდა 40-50 ლენის ნაკვეთი. ასეთი ფეოდალები, ეკონომიკურად გაძლიერებულნი, იწყებენ თვითნებობასა და ურჩობას. ისინი უარს აცხადებენ ლაშქრობებში მონაწილეობაზე, ითვისებენ მთავრობის პრეროგატივებს, ავიწროებენ გლეხებს.

სიფაჰიები, რომლებიც თავის დროზე ცენტრალური ხელისუფლების დასაყრდენს წარმოადგენდნენ და მისი დამცველნი იყვნენ და აბრკოლებდნენ მსხვილი ფეოდალებისა და ფაშების ბრძოლას განკერძოებისათვის, ახალ ვითარებაში მთავრობის მიმართ ოპოზიციურად იყვნენ განწყობილი. სიფაჰიები გაურბოდნენ ლაშქრობაში მონაწილეობას, არ მალავდნენ თავიანთ უკმაყოფილებას მსხვილი ფეოდალების მიმართ და, საერთოდ, სულთნის ხელისუფლების მიმართაც. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ უკმაყოფილო სიფაჰიებს ხშირად აჯანყებული გლეხების მხარეზე ვხედავთ. სიფაჰიები გაურბოდნენ სამხედრო სამსახურს და უხალისოდ იღებდნენ მონაწილეობას ომებში. ავსტრიასთან ომის დროს თიმარიოტებისა და ზაიმების მიერ ბრძოლის ველის მიტოვება და მათი მასობრივი დეზერტირობა აშკარა დადასტურება იყო თიმარული სისტემის კრიზისისა.

ეს კრიზისი იმაშიც გამოვლინდა, რომ ფეოდალური ლაშქარი საგრძნობლად შემცირდა, რამაც გამოიწვია ოსმალეთის ფეოდალური ლაშქრის ძლიერების შესუსტება. ოსმალური წყაროები ადასტურებენ, რომ თიმარიოტებსა და ზაიმებს გამოჰყავდათ მხოლოდ 10-20 ათასი მოლაშქრე, მაშინ, როდესაც უწინ ფეოდალური ლაშქარი 120-150 ათას მეომარს ითვლიდა.

ასეთ პირობებში სულთნის მთავრობა იძულებული გახდა გაეზარდა დაქირავებული ჯარის რიცხვი. დაქირავებული ჯარის რიცხობრივი ზრდა ახალ დამატებით სახსრებს მოითხოვდა, რაც კიდევ უფრო აუარესებდა ფინანსურ მდგომარეობას. ოსმალო მემატიანის ქათიბ ჩელების მონაცემებით, დაქირავებული ჯარისკაცების რიცხვი და მათი შესანახი ხარჯები სწრაფად იზრდებოდა

ცხრ. 1.

თარიღი	ჯარის რაოდენობა (კაცი)	შესანახი ხარჯები (იუჭებში)*
970 წ. ჰიჯრით (1562-63 წ.)	40,470	1,223
974 წ. ჰიჯრით (1566-67 წ.)	47,316	1,264
1004 წ. ჰიჯრით (1595-96 წ.)	64,425	1,782
1018 წ. ჰიჯრით (1609-10 წ.)	91,209	3,108

*იუჭი 100.000 ახჩას უდრის

ამრიგად, 50 წლის განმავლობაში დაქირავებული ჯარის რიცხვი და მის შესანახად გამოყოფილი სახსრები ერთიორად გაიზარდა.

სახელმწიფო ხაზინის შემოსავალი ვეღარ ფარავდა სახელმწიფოს ხარჯებს. ოსმალეთის მთავრობა ამაოდ ცდილობდა ფინანსური კრიზისიდან თავის დაღწევას. ოსმალეთის მთავრობა უზომოდ ზრდიდა გადასახადებს, სისტემატურად მიმართავდა გადასახადების აკრეფის იჯარით გაცემას, მაგრამ სახელმწიფოს შემოსავალი სასახლისა და ჯარის შენახვასაც კი ვერ ართმევდა თავს. სულთანმა დაიწყო უხარისხო ფულის მოჭრა. ასე, მაგალითად, თუ ძველი ოსმალური კანონების მიხედვით, 100 დირჰემიდან ჭრიდნენ 400 ახჩას, ამ პირობებში იმავე რაოდენობიდან ჭრიდნენ 800 ახჩას.

ფულის კურსის დევალვაციასთან ერთად, სწრაფად იზრდებოდა ფასები სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებსა და ფართო მოხმარების საგნებზე. ეს დროებითი საშუალება კიდევ უფრო აძლიერებდა ფინანსურ ქაოსს. ოსმალეთის მთავრობა ცდილობდა გამოენახა აქედან თავის დაღწევის გზები. ამ მიზნით, ოსმალეთის მთავრობამ სახელმწიფო მიწების იჯარით გაცემა დაიწყო. „დიდმა ვეზირმა რუსთემ ფაშამ, – წერს კოჩი ბეი, – სახელმწიფო ხაზინის შემოსავლის ზრდის მიზნით, წმინდა კანონის წინააღმდეგ სალენო ნაკვეთების იჯარით გაცემა დაიწყო... ამან კი ლენებისა და საკუთრივ სულთნის სოფლების მოშლა და მათი გაპარტახება გამოიწვია“.


ოსმალეთის მთავრობის აღნიშნულ ღონისძიებას არ შეეძლო ეხსნა სახელმწიფო ფინანსური კრიზისისაგან, რადგან საჭირო გამოსასყიდი თანხის შემდეგ სულთნის მთავრობა, ფაქტობრივად, ჰკარგავდა შემოსავალს სახელმწიფო მიწებიდან. ამგვარი ღონისძიება მხოლოდ დროებით თუ შეამსუბუქებდა ქვეყნის ფინანსურ სიძნელეებს. ფაქტობრივად, იგი კიდევ უფრო აუარესებდა ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას. ოსმალეთის სახელმწიფოს შემოსავლისა და ხარჯების შესახებ ცნობას გვაწვდის ქათიბ ჩელები:

ცხრ. 2

თარიღი	სახელმწიფო შემოსავალი (იუქებში)	სახელმწიფო ხარჯები (იუქებში)
972 წ. ჰიჯრით (1564 წ.)	1,830	1,896
1000 წ. ჰიჯრით (1591-92 წ.)	2,934	3,634
1005 წ. ჰიჯრით (1596-97 წ.)	3,000	9,000

ამ მონაცემებიდან ჩანს, რომ 1597 წლისათვის ოსმალეთის სახელმწიფო ხარჯები ორჯერ აღემატებოდა მის შემოსავალს და სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი 6.000 იუქს შეადგენდა, ხოლო თუ ამას ახჩებზე გადავიტანთ, მაშინ გამოვა, რომ დეფიციტი 6 მილიონ ახჩას შეადგენდა.

ოსმალეთის სახელმწიფო ხაზინა დაცარიელებული იყო. დაქირავებულ ჯარისკაცებს მრავალი თვის განმავლობაში ჯამაგირი არ ეძლეოდა. ჯარისკაცები ხშირად უარს აცხადებდნენ ბრძოლის ველზე წასულიყვნენ, სანამ არ მიიღებდნენ ჯამაგირს. ოსმალეთის ჯარში უდისციპლინობა, მექრთამეობა და გახრწნილება სუფევდა. ჯარისკაცები აღარ ემორჩილებოდნენ თავიანთ უფროსებს და ამბოხების მუქარით მოითხოვდნენ მათთვის არასასურველი ამა თუ იმ პირის (და ზოგჯერ თვით დიდი ვეზირის) გადაყენებასა და სიკვდილით დასჯას. იენიჩართა კორპუსი, რომელმაც ძველად ოსმალეთის სულთნებს დიდ დაპყრობით ომებში არაერთი გამარჯვება მოუპოვა, ფეოდალური რეაქციის მტკიცე დასაყრდენად იქცა. იენიჩარები გადაგვარე-



ქუჩის გამყიდველი


ბისა და გახრწნის გზაზე იყვნენ დამდგარნი. ისინი წარამარა სახელმწიფოს საქმეებში ერეოდნენ.

ერთი სიტყვით, XVI საუკუნის მიწურულს ოსმალეთის ლაშქარი (როგორც ფეოდალური, ისე დაქირავებული) არ იყო სანდო ქვეყნის დაცვის საქმეში. კიდევ მეტი: ხშირად იგი ქვეყნის შიგნით მღელვარებისა და არეულობის ინიციატორი და აქტიური მონაწილე იყო.

ოსმალეთის სახელმწიფოს რღვევა-დაშლის პროცესს აჩქარებდა გამდიდრებულ-აღზევებული ფეოდალების დამოკიდებულება ცენტრალური ხელისუფლებისადმი. სწორედ ამ დროს განსაკუთრებით ძლიერდება მსხვილი ფეოდალების მიდრეკილება განკერძოებისადმი. ფეოდალთა სეპარატიზმს ხელს უწყობდა სულთნის ხელისუფლების დასუსტება. აღზევებული ფეოდალები დაინტერესებული არ იყვნენ სულთნის ხელისუფლების გაძლიერებით და თავიანთ საფაშოებში ხელმწიფობას ცდილობდნენ. სულთნის ხელისუფლების წინააღმდეგ ამბოხებებს აწყობდნენ პროვინციის ფაშები არა მარტო იმპერიის დაშორებულ რაიონებში, არამედ ქვეყნის შიგნითაც, საკუთრივ ანატოლიაში. ისინი უარს აცხადებდნენ ეცნოთ ცენტრალური მთავრობა და აღარ სურდათ გაეგზავნათ დედაქალაქში თავიანთ პროვინციებში აკრეფილი გადასახადები. ასე მოიქცნენ არზრუმის, სივასის, ყარამანიისა და სხვა პროვინციების ფაშები.

მსხვილი ფეოდალები სასახლის კარზეც თვითნებობდნენ. გაიხრწნა სახელმწიფო აპარატიც. სახელმწიფო მოხელეთა მექრთამეობამ და სასახლის კარის ინტრიგებმა უკიდურეს წერტილს მიაღწია. კარის დიდმოხელენი სახელმწიფოს ფაქტობრივი გამგებლები იყვნენ.

ოსმალეთის მთავრობა გართულებული მდგომარეობიდან თავის დაღწევას დაპყრობით ომებში ეძებდა. მაგრამ მისი საგარეო მდგომარეობა აღებული ხანისათვის არანაკლებ რთული იყო. ოსმალეთი დაცემა-დაქვეითების გზას დაადგა იმ დროს, როცა მისი მთავარი მეტოქე სახელმწიფოები გაძლიერდნენ. ევროპის სახელმწიფოე-



აბანო

ბი ბურჟუაზიული განვითარების გზას დაადგნენ. ევროპაში წარმოიქმნა ნაციონალური და ცენტრალიზებული სახელმწიფოები. ევროპის განვითარებული ხალხები ერებად ყალიბდებოდნენ, ჩამორჩენილ ოსმალეთში კი საამისო პირობები არ არსებობდა. ოსმალეთის იმპერიის ნაწილებს შორის არსებითად არავითარი ეკონომიკური კავშირი არ იყო. ოსმალეთი ეროვნებათა კონგლომერატს წარმოადგენდა. დასუსტებულ ოსმალეთს აღარ შეეძლო წარმატებით ეწარმოებინა დაპყრობითი ომები.

ოსმალეთში, რომელიც საზოგადოებრივი და ეკონომიკური განვითარების შედარებით დაბალ საფეხურზე იდგა, არ არსებობდა წარმოების განვითარებისათვის აუცილებელი საჭირო პირობები. წარმოების ძველი ფორმები აქ საუკუნეთა სიგრძეზე ხელუხლებელი რჩებოდა.

დაპყრობითი ომების შესაძლებლობათა ამოწურვის შემდეგ, სახელმწიფოს შემოსავლის ძირითად წყაროდ რჩებოდა საკუთარი მოსახლეობის ექსპლუატაცია, რამაც გლეხობა სრულ გაღატაკებამდე მიიყვანა. გლეხები არაადამიანურ ექსპლუატაციასა და ჩაგვრას განიცდიდნენ. ოსმალეთში გლეხობა ათასგვარი გადასახადებითა და გამოსაღებებით იყო დაბეგრილი. კოჩი ბეის ცნობით, ადრე რაიებისაგან (გლეხებისაგან) თითოეულ სულზე 40-50 ახჩა გადასახადს იღებდნენ, ხოლო მის დროს კი ამ გადასახადმა 300 ახჩამდე მიაღწია. „ერთი სიტყვით, – დაასკვნის კოჩი ბეი, – ასეთი შევიწროება და ჩაგვრა, როგორსაც ღარიბი მოსახლეობა განიცდის, არასოდეს, ქვეყნის არც ერთ მხარეში, არც ერთ სახელმწიფოში არ არსებულა“.

ფეოდალური ჩაგვრის გაძლიერებას გლეხობამ აჯანყებით უპასუხა. უკიდურესად გამწვავებული კლასობრივი ბრძოლის პირობებში, XVI საუკუნის მიწურულს ოსმალეთის ტერიტორიაზე არაერთგან დაინთო გლეხთა აჯანყების ცეცხლი.


1588 წლიდან მოყოლებული, ანატოლია მრავალრიცხოვან აჯანყებათა ასპარეზი გახდა. 1595 წელს დაიწყო გლეხთა მძლავრი მოძრაობა, რომელმაც ისტორიაში მიიღო „ჯელალიების“ სახელწოდება[7]. აჯანყება მოედო მცირე აზიის უდიდეს ნაწილს. 1599 წელს აჯანყებულ გლეხებს შეუერთდა ადგილობრივი ხელისუფლებით უკმაყოფილო საშუალო და წვრილი ფეოდალების – სიფაჰიების დიდი ნაწილი ყარა იაზიჯის მეთაურობით. ამ უკანასკნელთა უკმაყოფილება გამოწვეული იყო იმით, რომ მათ ჩამოართვეს საკარგავები იმის გამო, რომ თავი აარიდეს სამხედრო მოვალეობის შესრულებას ავსტრიასთან ომის დროს: ამ ფეოდალების – სიფაჰიების ერთი ნაწილი საერთოდ არ გამოცხადდა შეკრების ადგილზე, ხოლო მეორე ნაწილი, თავიანთი ჯარისკაცებითურთ, გაიქცა ბრძოლის ველიდან.

მართალია, ყარა იაზიჯის აჯანყება გლეხთა აჯანყება იყო, როგორც მონაწილეთა ძირითადი მასის შემადგენლობით, ისე აჯანყების წინაშე მდგარი ამოცანების მიხედვით, მაგრამ იგი ვიწრო კლასობრივი ინტერესებისათვის გამოიყენეს აჯანყების სათავეში მდგარმა წვრილმა ფეოდალებმა და მხედრობამ.

გლეხთა აჯანყებებმა მნიშვნელოვნად შეარყია სულთნის ხელისუფლება და ოსმალეთის სახელმწიფოს საფუძვლები და ობიექტურად ხელი შეუწყო ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას ოსმალთა ბატონობის წინააღმდეგ.

ოსმალეთის ხელისუფლებამ კიდევ უფრო გააძლიერა დაჩაგრობილი ხალხების ჩაგვრა-ექსპლუატაცია. ეს კი განსაკუთრებით მწვავე წინააღმდეგობას იწვევდა იმპერიის დაწინაურებულ ქვეყნებში, სახელდობრ – ბერძნებით, სლავებით, ქართველებით და სომხებით დასახლებულ ოლქებში, სადაც, როგორც მრავალსაუკუნოვანი ადგილობრივი კულტურულ-ისტორიული გამოცდილების წყალობით, ისე მეზობელი ევროპის სახელმწიფოებთან ტრადიციული მჭიდრო კულტურულ-ეკონომიკური კავშირის გავლენით, მოსახლეობის სამეურნეო და კულტურული დონე უფრო მაღალი იყო, ვიდრე ოსმალეთის იმპერიის სხვა რაიონებში.

[7] ჯელალი თავდაპირველად ეწოდებოდა აჯანყების მონაწილეს, რომელიც 1519 წელს მიმდინარეობდა ჯელალის ხელმძღვანელობით. შემდეგ ეს სიტყვა გახდა საზოგადოდ მეამბოხის, აჯანყებულის სინონიმი.


XV-XVI საუკუნეების თურქეთის რუკა
ირანი
სირია
ერაყი
1517
1551
1534-1574
1517-1534

თავი XI

ოსმალეთი XVII საუკუნის პირველ მეოთხედში

1. ჯელალიების აჯანყებები XVII საუკუნის დამდეგს

1603 წელს ტახტზე ავიდა 13 წლის აჰმედ I (1603-1617). ამ დროიდან დაწყებული ნახევარ საუკუნეზე მეტხანს გაგრძელდა „ქალთა მმართველობის ხანა“. ეს აიხსნება იმით, რომ ზოგიერთი სულთანი ტახტზე ასვლისას მცირეწლოვანი იყო და მათი დედები და სულთნის კართან დაახლოებული დიდმოხელეები აქტიურად ერეოდნენ სახელმწიფოს მმართველობაში.

XVII საუკუნის დამდეგიდან ანატოლიაში გრძელდებოდა გლეხთა აჯანყებები, რომელიც ისტორიაში ცნობილია ჯელალიების სახელწოდებით. ამ აჯანყების მეთაური გახდა ყარა იაზიჯი, რომელმაც ჯერ კიდევ 1596 წელს დაიწყო გამოსვლა სულთნის ხელისუფლების წინააღმდეგ, მაგრამ მთავრობამ მას ყურადღება მხოლოდ 1599 წლის დასაწყისში მიაქცია, როცა იგი დიდი აჯანყების მეთაური გახდა. ყარა იაზიჯის გარშემო 20-30 ათასი კაცი შეიკრიბა. ისინი უმთავრესად გაღატაკებული გლეხები იყვნენ. გლეხების გარდა აჯანყებულთა შორის იყვნენ ქურთი და თურქი მომთაბარეები (თურქმანები), ომის დეზერტირები – წვრილი და საშუალო ფეოდალები, სანჯაყბეგებიც კი. ამ გზით მათ სურდათ შეენარჩუნებინათ თავიანთი სამხედრო ლენები და ამასთანავე დაკარგული პრივილეგიები. ყარა იაზიჯის დაახლოებამ ამ ჯგუფთან თანდათანობით გამოიწვია წინააღმდეგობა აჯანყებულთა ძირითად მასასთან – გლეხობასთან, რამაც მალე გავლენა მოახდინა იაზიჯის არმიის ბრძოლის უნარიანობის დასუსტებასა და სიმტკიცეზე.

ყარა იაზიჯის აჯანყების ადგილი იყო ურფის რაიონი ანატოლიის სამხრეთ-აღმოსავლეთში. აჯანყება ფართოვდებოდა და მოიცვა სულ ახალ-ახალი ოლქები. იგი სულ უფრო მრისხანე ხასიათს იღებდა.

სულთნის მთავრობამ ანატოლიაში აჯანყების ჩასაქრობად გაგზავნა მესამე ვეზირი მეჰმედ ფაშა. მისთვის დახმარება უნდა აღმოეჩინათ დამასკოსა და ალეპოს ბეგლარბეგებს თავიანთი ლაშქრით. მეჰმედ ფაშამ ალყა შემოარტყა ურფას. ალყა სამ თვეს გაგრძელდა, მაგრამ მეჰმედ ფაშამ ვერ შეძლო წარმატების მიღწევა. მაშინ მან მოლაპარაკების გზით სცადა მიზნის მიღწევა. მან ყარა იაზიჯის ამასიის სანჯაყის მმართველობა შესთავაზა. ეს წინადადება ყარა იაზიჯიმ მიიღო, რადგან ალყაში მყოფი ქალაქის მდგომარეობა ძალზე მძიმე იყო. 1600 წლის აპრილში ყარა იაზიჯიმ დატოვა ურფა და თავისიანებთან ერთად ამასიისაკენ გაემართა. მეჰმედ ფაშამ დაარღვია შეთანხმება, თავს დაესხა ყარა იაზიჯის, მაგრამ მარცხი განიცადა. მაშინ მეჰმედ ფაშამ კვლავ მოაწყო ახალი თავდასხმა „ჯოჯოხეთის ველზე“, სივასის სამხრეთ-აღმოსავლეთით. ყარა იაზიჯი ამ ბრძოლაში დამარცხდა და მთებში გაიქცა. 1600 წლის შემოდგომაზე სულთანმა ყარა იაზიჯის წინააღმდეგ ახალი ლაშქარი გაგზავნა. 1600 წლის 23 სექტემბერს კაისერისთან ბრძოლაში ლაშქარმა სასტიკი დამარცხება განიცადა. ამ დროისათვის ყარა იაზიჯის კვლავ 20 ათასამდე კაცი მოუგროვდა.

ახალმა დიდმა გამარჯვებამ უჩვეულოდ აამაღლა ყარა იაზიჯის ავტორიტეტი, რომელიც კვლავ თავის თავს სულთნად განიხილავდა. მან დანიშნა დიდი ვეზირი, შეიხულ-ისლამი, გამოისცემდა ფირმანებს, ასაჩუქრებდა ხალხს, ბრძოლაში გამოჩენილი

მამაცობისათვის გადასახადებიდან ათავისუფლებდა, კრეფდა გადასახადებს მოსახლეობისაგან, თანამდებობიდან ხსნიდა სულთნის მოხელეებს, ხოლო თავისი ნდობით აღჭურვილებს ნიშნავდა მათ ადგილებზე და ა, შ. ამიტომაც გახშირდა მის მხარეს ფეოდალთა (მათ შორის თვით ცალკეულ სანჯაყბეგთა) გადასვლა, რომლებიც ამ გზით ცდილობდნენ შეენარჩუნებინათ თანამდებობები და ქონება, ან მიეღოთ ყოველივე ეს ყარა იაზიჯისაგან.



მურად ფაშა

სულთანმა ყარა იაზიჯის აჯანყების ჩასაქრობად გაგზავნა არაბულ პროვინციებში განლაგებული ჯარის ნაწილები ბაღდადის ფაშის ჰასანის მეთაურობით. 1601 წლის დასაწყისში დიარბექირის მახლობლად თავი მოიყარეს ბაღდადის, ალეპოს, დამასკოსა და სხვა საფაშოების ჯარებმა. 1601 წლის 15 აგვისტოს მარაშის მახლობლად მოხდა გადამწყვეტი ბრძოლა, ყარა იაზიჯი დამარცხდა, თუმცა მას 30 ათასი კაცი ჰყავდა. ჰასან ფაშას უპირატესობა ჰქონდა, როგორც ჯარისკაცების რიცხვში, ისე შეიარაღებაში. ყარა იაზიჯი ამ ბრძოლაში დაჭრეს. ჰასან ფაშამ ვერ შეძლო ყარა იაზიჯის შეპყრობა. მცირე რაზმით მან მოახერხა ჩრდილოეთით გაქცევა და თოქათისა და ტრაპიზონს შორის მდებარე ჯანიკის მთებში თავის შეფარება. 1601 წლის დეკემბერში ზოგიერთი ცნობის მიხედვით კი 1602 წლის ზამთარში ყარა იაზიჯი ჭრილობისაგან გარდაიცვალა.

ყარა იაზიჯის გარდაცვალების შემდეგ აჯანყების სათავეში ჩაუდგა მისი ძმა დელი ჰასანი. აჯანყებულები მოძლიერდნენ დამარცხების შემდეგ და შეავსეს თავიანთი რიგები, მათ შეუერთდნენ მცირე რაზმები და ცალკე მებრძოლები. აჯანყებულთა რიცხვმა 20 ათასს მიაღწია.

1602 წლის აპრილში დელი ჰასანი გამოვიდა თოქათის რაიონში მდებარე მთის საფარიდან და ჩაება ბრძოლაში ჰასან ფაშას ჯარებთან, რომლებიც დაამარცხა. ჰასან ფაშა იძულებული გახდა თოქათის ციხე-სიმაგრის კედლებს შეფარებოდა. ქალაქის მცხოვრებთა დახმარებით აჯანყებულებმა შეძლეს ჰასან ფაშას მოკვლა, ხოლო შემდგომ თვით ქალაქის დაკავება. მათ ხელში ჩაუვარდათ ჰასან ფაშას ხაზინა.

ახალმა დიდმა გამარჯვებამ ხელი შეუწყო აჯანყებულთა რიგების შემდგომ ზრდას და მათი საბრძოლო სულისკვეთების გაძლიერებას. გაუმჯობესდა მათი მომარაგება სურსათ-სანოვაგითა და სამხედრო საჭურველით. 1602 წლის დეკემბერში დელი ჰასანმა ალყა შემოარტყა ქუთაჰიას, მაგრამ სუსხიანი ზამთრის გამო ალყა მოხსნა და დასაზამთრებლად იძულებული გახდა აფიონ-ყარაჰისარში გადაბარგებულიყო.


სულთნის მთავრობა ემზადებოდა ახალი ლაშქრობისათვის დელი ჰასანის წინააღმდეგ. ამავე დროს იგი ცდილობდა, ერთის მხრივ, განხეთქილება ჩამოეგდო აჯანყებულთა შორის, მეორესმხრივ, გადაედგა ნაბიჯები დელი ჰასანთან შერიგების მიზნით. მთავრობა შეუდგა ნაცადი საშუალების გამოყენებას: აჯანყების ხელმძღვანელთა მოსყიდვას. ის იმედოვნებდა, რომ ამ გზით მოახერხებდა ფეოდალების – აჯანყების ხელმძღვანელების მოწყვეტას აჯანყებისაგან, აჯანყებისათვის „თავის მოკვეთას“. ანგარიშმა გაამართლა და შედეგი გამოიღო.

1603 წლის ზაფხულში დელი ჰასანმა სულთანს გაუგზავნა თხოვნა მისი და მისი თანამებრძოლების შეწყნარების შესახებ. სულთანმა დააკმაყოფილა მისი თხოვნა და დელი ჰასანი დანიშნა ბოსნიის სანჯაყბეგად, ხოლო მისი 400 თანამებრძოლი ჩაირიცხა ოსმალეთის რეგულარული ჯარის რიგებში. 1604 წლის დასაწყისში დელი ჰასანი და მისი ყოფილი თანამებრძოლების ნაწილი გაგზავნეს ავსტრიის წინააღმდეგ ომში.

ფეოდალთა დალატი საბოლოო ანგარიშით გარდუვალი იყო, რადგან აჯანყებულ გლეხთა და ფეოდალთა მიზნები დიამეტრალურად უპირისპირდებოდნენ ერთმანეთს. გლეხები იბრძოდნენ ფეოდალური ჩაგვრისაგან განთავისუფლებისათვის, ხოლო ფეოდალები, პირიქით, მისი შენარჩუნებისათვის.

ამრიგად, დელი ჰასანმა და მასთან დაახლოებულმა მეამბოხეებმა უღალატეს აჯანყებულ გლეხობას და ოსმალეთის მთავრობის სამსახურში ჩადგნენ. მაგრამ ამის შემდეგ აჯანყება კვლავ გრძელდებოდა.

1603 წელს დაიწყო გლეხთა გამოსვლების ახალი პერიოდი. იმავე წელს, როცა დელი ჰასანმა და მისმა თანამზრახველებმა უღალატეს აჯანყებას, დაიწყო მოძრაობა, რომელსაც ხალხში „ბუიუქ ქაჩგუნლუქი“ (დიდი გაქცევა) ეწოდა. იგი გამოწვეული იყო გლეხური მეურნეობის მასობრივი მოშლით და მათი მდგომარეობის მკვეთრი გაუარესებით. ანატოლიაში ასობით რაზმი მოქმედებდა. თითოეულ რაზმში რამდენიმე ათეულიდან რამდენიმე ათასამდე აჯანყებული იყო. აჯანყებულთა რაზმები მთელ



ჯელალიების დასჯა

მცირე აზიაში მოქმედებდნენ და მონაწილეთა რაოდენობა სულ მცირე 20 ათასს შეადგენდა.

ყველაზე მძლავრი და საშიში თურქი ფეოდალებისათვის იყო აჯანყება კალენდერ ოღლუს ხელმძღვანელობით. მან გამოიწვია ხელისუფალთა ბევრად უფრო დიდი შეშფოთება, ვიდრე ყარა იაზიჯისა და დელი ჰასანის აჯანყებამ. 1607 წელს ზაფხულში ხელისუფლება მას აჯანყებულთა ერთ-ერთ ყველაზე მთავარ მეთაურად თვლიდა. მისი დროშის ქვეშ 30 ათასი კაცი აღმოჩნდა. მან ხელთ იგდო არაერთი ქალაქი, მათ შორის ისეთი მნიშვნელოვანიც, როგორიც იყო ბურსა. გარკვეული დროისათვის კალენდერ ოღლუს ხელთ იმყოფებოდა საკმაოდ დიდი ტერიტორია ანკარიდან ეგეოსის და მარმარილოს ზღვის სანაპიროებამდე. აჯანყებულ გლეხთა არც ერთ ბელადს არ ჰქონდა ისეთი ძალა და გავლენა, როგორიც კალენდერ ოღლუს. მან მიზნად დაისახა სრულიად მოესპო ოსმანთა დინასტიის ბატონობა მცირე აზიაში, მაგრამ სათანადოდ ვერ შეაფასა მის დასასჯელად გამოგზავნილი ჯარის სარდლის მურად ფაშას სამხედრო ხელოვნება და საკუთარი შეცდომის მსხვერპლი გახდა.

1608 წლის 5 აგვისტოს ალაჯის ველზე მან სასტიკი დამარცხება განიცადა. ამ ბრძოლაში მან თავისი თანამებრძოლების ორი მესამედი დაკარგა. ბრძოლის წინ კალენდერ ოღლუს ლაშქარი 50 ათას მებრძოლს ითვლიდა და აღჭურვილი იყო 20 ზარბაზნით. კალენდერ ოღლუმ დამარცხების შემდეგ ორი ათასიანი რაზმით შეძლო თავის დაღწევა და ირანს შეაფარა თავი. შაჰ აბასმა სცადა მათი გამოყენება თავისი მიზნებისათვის.

ოსმალეთის მთავრობა სასტიკად გაუსწორდა აჯანყებულებს. მურად ფაშას დამსჯელ ნაწილებს კიდევ წელიწად-ნახევრის განმავლობაში უხდებოდათ აჯანყებულთა წინააღმდეგ ბრძოლის წარმოება.

1609 წლის დეკემბერში მურად ფაშა სტამბოლში დაბრუნდა სამწლიანი დამსჯელი ექსპედიციის შემდეგ, რომლის დროსაც მან 65 ათასი (ხოლო სხვა ცნობით, 100 ათასზე მეტი) ადამიანი მოსპო. იგი ზარ-ზეიმით შევიდა სატახტო ქალაქში, რომლის დროსაც ახდენდა აჯანყებულთათვის წართმეული 400 ბაირაღის დემონსტრირებას.

მიუხედავად გლეხთა აჯანყების ჩაქრობისა, ოსმალეთის ხელისუფლება იძულებული გახდა გლეხობის მიმართ გარკვეულ დათმობებზე წასულიყო და ერთგვარად გაეუმჯობესებინა მათი მდგომარეობა. 1609 წლის ოქტომბერში გამოიცა სულთნის ბრძანებულება „ადალეთ-ნამე“ ანუ „სამართლიანობის წიგნი“. მთავრობა ამით აღიარებდა, რომ აჯანყების მიზეზი იყო გლეხთა სავალალო მდგომარეობა. მთავრობა შეეცადა გლეხთა ფეოდალური ექსპლუატაცია მოექცია „სამართლიანობის“ ფარგლებში, გატარებული ღონისძიებების შედეგად ანატოლიაში ერთგვარად გაუმჯობესდა გლეხთა მდგომარეობა. 1610 წლიდან გლეხთა მოძრაობა თანდათან ქრება, გლეხები მიწას დაუბრუნდნენ, სხვა გამოსავალი მათ არ ჰქონდათ.

2. 1606 წლის სიტვატოროკის ზავი ავსტრიასთან და ოსმალეთის ურთიერთობა დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებთან

1593 წლიდან ოსმალეთი აწარმოებდა ომს ავსტრიასთან. დასაწყისში ავსტრიელებმა გარკვეულ წარმატებას მიაღწიეს ოსმალეთთან ომში, მაგრამ თანდათანობით ოსმალებმა შეძლეს მდგომარეობის გამოსწორება და ავსტრიის რიგი ციხეების დაკავება. მაგრამ ოსმალეთს ერთდროულად ომის წარმოება აღმოსავლეთში (ირანთან) და დასავლეთში (ავსტრიასთან) აღარ შეეძლო. ირანთან ომში ოსმალეთი დამარცხებას დამარცხებაზე

განიცდიდა და ამიტომ დაინტერესებული იყო ავსტრიასთან ზავი დაედო, რის შემდეგაც შესძლებდა მთელი ძალების გადასროლას ირანის წინააღმდეგ.

1606 წლის 11 ნოემბერს სიტვატოროკში (უნგრეთი) ოსმალეთსა და ავსტრიას შორის დაიდო ზავი. საზავო ხელშეკრულებით არც ოსმალეთსა და არც ავსტრიას არავითარი ტერიტორიალური გაფართოება არ მიუღია. სულთანმა უარი თქვა ავსტრიისაგან ყოველწლიური ხარკის (30 ათასი დუკატის ოდენობით) აღებაზე. სამაგიეროდ, ავსტრიას ოსმალეთის სასარგებლოდ ერთდროულად უნდა გადაეხადა 200 ათასი დუკატი. ორივე მხარე აღიარებულ იქნა თანასწორუფლებიანად. პირველად ხელშეკრულებაში ავსტრიის ხელმწიფე მოხსენიებულ იქნა იმპერატორად და არა „ვენის მთავრად". ამ ხელშეკრულებაში აისახა ოსმალეთის საგარეო-პოლიტიკური ძლიერების დასუსტება.

1615 და 1616 წლებში ვენაში ოსმალეთსა და ავსტრიას შორის ხელმოწერილ იქნა ახალი ხელშეკრულებები, რომლითაც ოსმალეთი წავიდა ახალ დათმობებზე. ავსტრიის ქვეშევრდომებს მიეცათ უფლება თავისუფლად ევაჭრათ ოსმალეთის იმპერიაში ბაჟის გადახდით სამი პროცენტის ფარგლებში. კათოლიკებს მიეცათ უფლება ოსმალეთში აეშენებინათ ეკლესიები. ამის საფუძველზე ავსტრიამ თავისი თავი წარმოადგინა იმპერიაში მცხოვრები კათოლიკების მფარველად, რამაც მას შემდგომში შესაძლებლობა მისცა ჩარეულიყო ოსმალეთის საშინაო საქმეებში.

1604 წელს სულთანმა საფრანგეთს უბოძა ახალი კაპიტულაცია. სამი წლის შემდეგ ინგლისმა აგრეთვე შეძლო მიეღო ახალი კაპიტულაცია, რის შედეგადაც გაფართოვდა მისი შეღავათები. კერძოდ, ინგლისის გემებს მიეცათ შავ ზღვაზე შესვლისა და იქ ვაჭრობის უფლება. ეს ინგლისელების დიდი წარმატება იყო, რადგანაც შავ ზღვაზე უცხოელების გემების შესვლა აკრძალული იყო და მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში, სპეციალური ნებართვით, უცხოელებს შეეძლოთ შავ ზღვაზე ვაჭრობა. მაგრამ ინგლისელთა ეს პრივილეგიები დიდხანს არ გაგრძელებულა. 1610 წელს ოსმალეთის მთავრობამ ისევ აუკრძალა ინგლისელებს ნაოსნობა შავ ზღვაზე. აქედან მოყოლებული, ორი საუკუნის მანძილზე, ინგლისური საქონელი ბოსფორზე გადაჰქონდათ ოსმალეთის გემებით.

1612 წელს სულთანმა ჰოლანდიის კომერსანტებს უბოძა კაპიტულაცია: ჰოლანდიელი ვაჭრები ისარგებლებდნენ იმავე პრივილეგიებით და შეღავათებით, რომლითაც სარგებლობდნენ ინგლისელი და ფრანგი ვაჭრები.

ამრიგად, ოსმალეთის დასუსტების შედეგად ევროპის სახელმწიფოები აფართოებდნენ თავიანთ სავაჭრო პრივილეგიებს და თანდათანობით ფეხს იკიდებდნენ ოსმალეთის ბაზარზე.

3. 1603-1612 წლების ოსმალეთ-ირანის ომი და 1612 წლის სტამბოლის ზავი

1603 წელს ირანმა საფუძვლიანი მომზადების შემდეგ დაარღვია 1590 წლის ზავი და ოსმალეთის წინააღმდეგ ომი განაახლა. 1603 წლის 21 ოქტომბერს ირანის ჯარებმა აიღეს თავრიზი, ოსმალებმა უბრძოლველად დატოვეს ნახიჭევანი, ირანელებმა დაიკავეს ჯულფა, ორდუბადი, შემდეგ ალყა შემოარტყეს ერევანს და 9 თვის ალყის შემდეგ, 1604 წლის 8 ივნისს ქალაქი აიღეს. აქედან ირანის ჯარი ყარსისაკენ გაემართა და აიღო იგი.

ამ დამარცხების შემდეგ ოსმალეთის ხელისუფლებამ გადაწყვიტა სასწრაფო ზომები მიეღო და ჯარის სარდლად დანიშნა სინან ფაშა ჯიღალოღლუ. 1605 წლის გაზაფხულზე ოსმალეთის ლაშქარი ირანის წინააღმდეგ საბრძოლველად გაემართა.

შაჰ-აბასმა საგანგებო ზომები მიიღო ოსმალთა წინააღმდეგ. მან გასცა ბრძანება, ჭარსის ოლქი და მის მახლობლად მდებარე სოფლები დაეწვათ და სურსათ-სანოვაგე გაენადგურებინათ. ამავე დროს შაჰის ბრძანებით დაიწყო ერევნის, ნახიჭევანის და და ჯულფის მოსახლეობის აყრა-გადასახლება. შაჰმა, თავისი წინაპრების მსგავსად, თითქმის მთელი აღმოსავლეთ სომხეთის ქალაქები და სოფლები უდაბნოდ აქცია.

ამასობაში ოსმალეთის ლაშქარი ჯიღალოღლუ სინან ფაშას სარდლობით ერევნისა და ნახიჭევანის ოლქებში შეიჭრა, სადაც მეტად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. ირანელების მიერ ამ მხარის წინასწარმა დაცარიელება-გაუკაცრიელებამ ოსმალებს დიდი სიძნელეები შეუქმნა. სუსხიანი ზამთარიც კარზე იყო მომდგარი. ყოველივე ამან გამოიწვია ოსმალეთის ლაშქარის არევ-დარევა და სინან ფაშა იძულებული შეიქნა გამოსაზამთრებლად ვანში დაბრუნებულიყო.

ამ ომში ქართლ-კახეთის მეფეები შაჰ-აბასის მოკავშირეები იყვნენ და ოსმალეთის წინააღმდეგ იბრძოდნენ. მათ თავიანთი ლაშქრით მონაწილეობა მიიღეს ერევნის ციხის აღებაში.

1606 წელს შაჰმა გაილაშქრა ამიერკავკასიის ქალაქებში განლაგებული ოსმალთა ჯარების წინააღმდეგ. ირანის ლაშქარმა განჯის აღების შემდეგ ლორე-დმანისი დაიკავა და თბილისისაკენ გამოემართა. თბილისში მყოფი ოსმალთა გარნიზონი უბრძოლველად დანებდა ირანელებს. თბილისიდან ოსმალთა განდევნის შემდეგ ქართლში დამთავრდა „პირველი ოსმალობა“ (1578-1606), რომელიც ერთ-ერთი ყველაზე მძიმე პერიოდი იყო ქართველი ხალხის ისტორიაში.

1607 წლის დამდეგიდან შაჰ-აბასმა ახალი ძალით შეუტია ოსმალებს. 1607 წლის იანვარს ირანის ჯარებმა ალყა შემოარტყეს ციხე-სიმაგრე შემახას და ხანგრძლივი ალყის შემდეგ 27 ივნისს დაიკავეს იგი. ამ დროს ბაქოში აჯანყება დაიწყო ოსმალთა წინააღმდეგ, შაჰმა აჯანყებულთა დასახმარებლად ჯარი გაგზავნა და ბაქო დაიკავა. ბაქოს მაგალითს დერბენდის მოსახლეობამაც მიბაძა და მალე ეს ქალაქიც განთავისუფლებულ იქნა ოსმალთაგან.

1607 წლის ზაფხულში, ქართველების დახმარებით, ირანელებმა ახალციხე აიღეს და იქიდან ოსმალები განდევნეს.

ახალციხის დაპყრობით შაჰ-აბასმა ფაქტობრივად დაიბრუნა 1555 წლის საზავო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქვეყნები. მაგრამ შაჰი მიღწეულით აღარ კმაყოფილდებოდა და უნდოდა სამცხე-საათაბაგოს დასავლეთი ნაწილის დაპყრობა და შავი ზღვის სანაპიროზე გასვლა, იქიდან კი დასავლეთ ევროპასთან დაკავშირება. 1608 წლის დასაწყისში შაჰ-აბასმა დასავლეთ ევროპაში, ანტიოსმალური კოალიციის მოწყობის მიზნით, ახალი ელჩობა გაგზავნა.

სულთნის მთავრობა დაჟინებით ცდილობდა ამიერკავკასიაში დაკარგული პოზიციების აღდგენას. ამიერკავკასიაში შესაჭრელად კი ახალციხეს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. 1608 წელს ოსმალებმა ახალციხე კვლავ აიღეს.

ანატოლიაში აჯანყების ჩაქრობის შემდეგ (1609 წ.) სულთნის ხელისუფლებამ გადაწყვიტა ირანის წინააღმდეგ შეტევაზე გადასვლა.

1610 წლის 29 აპრილს ოსმალეთის მრავალრიცხოვანი ლაშქარი, დიდი ვეზირის მურად ფაშას სარდლობით, ირანის წინააღმდეგ სალაშქროდ გაემართა. მას დავალებული ჰქონდა ხელთ ეგდო თავრიზი და მთელი აზერბაიჯანი. სწორედ ამ დროს დაიწყო

ოსმალთა სამხედრო ტყვეების ათვანყება ციხე-სიმაგრე კაჰკაში. მაგრამ ეს ათვანყება მალე იქნა ჩაქრობილი. დასაწყისში ოსმალთა ლაშქარმა გარკვეულ წარმატებას მიაღწია და აიღო თავრიზი, მაგრამ იქ გამაგრება ვერ მოახერხა და იძულებული შეიქნა დაეტოვებინა იგი.

1610 წელს, როდესაც ოსმალეთის ლაშქარმა, მურად ფაშას სარდლობით, ირანს ახალი ძალით შეუტია, შაჰ-აბასმა კვლავ დაიწყო საზავო მოლაპარაკება ოსმალეთთან. შაჰ-აბასმა, 1555 წლის ამასიის ზავის პირობებზე ოსმალეთის დაყოლიების მიზნით, ახალი წინადადება შეიტანა საზავო მოლაპარაკებაში: ის ყოველწლიურად ოსმალეთს გადაუხდიდა 200 იუქ აბრეშუმს, თუ ეს უკანასკნელი 1555 წლის ზავის პირობებზე დათანხმდებოდა.

ოსმალეთ-ირანის საზავო მოლაპარაკებაში მონაწილეობა მიიღო გულჩარამ, რომელიც, ჩვენი ვარაუდით, იყო სიმონ I ქართლის მეფის შვილიშვილი.

1612 წლის 27 სექტემბერს ირანის დელეგაცია, ყადი ხანის მეთაურობით და ქართველი დიპლომატი ქალის გულჩარას თანხლებით, სტამბოლში ჩავიდა ოსმალეთთან ზავის დადების მიზნით. „საქართველოს ელჩმა თავისი სილამაზით, ბრწყინვალებითა და მჭერმეტყველობით კონსტანტინოპოლი განაცვიფრა“ (ა. ლამარტინი). დაიწყო საზავო მოლაპარაკება.

1612 წლის 20 ნოემბერს სტამბოლში ოსმალეთსა და ირანს შორის დაიდო საზავო ხელშეკრულება. ამ ზავის დადებაში გარკვეული წვლილი მიუძღოდა ქართველ დიპლომატ ქალს გულჩარა ბაგრატიონს. „ქართველმა ქალმა შეათანხმა ზავი ირანსა და ოსმალეთს შორის“ (ი. ჰამერი). საზავო ხელშეკრულებით, ძირითადად აღდგა 1555 წლის ამასიის ზავის პირობები. ე. ი. აღმოსავლეთ საქართველო (ქართლ-კახეთი) და აღმოსავლეთ მესხეთი ირანს დარჩა, ხოლო დასავლეთ საქართველო და სამცხე-საათაბაგოს დასავლეთი ნაწილი – ოსმალეთს. მაგრამ აღსანიშნავია ის, რომ ახალციხე, სინამდვილეში, ოსმალეთის ხელთ იმყოფებოდა, თუმცა ამის შესახებ ხელშეკრულებაში არაფერი იყო ნათქვამი.

ხელშეკრულების მიხედვით, შამხალისა და დაღესტნის სხვა გამგებლები, რომლებიც ოსმალეთის მიმართ ერთგულებას იჩენდნენ, არ უნდა ყოფილიყვნენ ირანის მხრიდან შევიწროებული და დაზარალებული. იმ შემთხვევაში, თუ სულთნის ბრძანებით, რუსების მიერ აგებული ციხე მოთხრილი იქნებოდა, ირანელებს ამისათვის წინააღმდეგობა არ უნდა გაეწიათ.

ამრიგად, ირან-ოსმალეთის საზავო ხელშეკრულებაში პირველად დაისვა ჩრდილოეთ კავკასიისა და იქ რუსეთის ყოფნის საკითხი.

1612 წლის საზავო ხელშეკრულების მიხედვით, ოსმალეთის პოზიცია უფრო ხელსაყრელი იყო 1555 წლის ამასიის ხელშეკრულებასთან შედარებით.

4. 1615-1618 წლების ოსმალეთ-ირანის ომი და 1619 წლის სტამბოლის ზავი

ოსმალეთთან ზავის დადების შემდეგ შაჰ-აბასმა გადაწყვიტა „გურჯისტანის საკითხი“ ერთხელ და სამუდამოდ ირანის სასარგებლოდ გადაეჭრა, ქართლ-კახეთის სამეფოები გაეუქმებინა და საქართველო ირანის სახანოდ გადაექცია.

1613 წლის შემოდგომაზე შაჰ-აბასი მრავალრიცხოვანი ლაშქრით საქართველოსაკენ გამოემართა და თავისი გეგმის განხორციელებას შეუდგა.

ქართლ-კახეთი მტერს მოუმზადებელი შეხვდა. თეიმურაზი და ლუარსაბი იძულებული შეიქნენ იმერეთში გაქცეულიყვნენ. დასავლეთ საქართველოში ჩასულმა

ქართლ-კახეთის მეფეებმა დახმარებისათვის ოსმალეთის სულთანს მიმართეს და ამ მიზნით სტამბოლში ელჩები გაგზავნეს.

ოსმალეთის მთავრობამ ირანის მხრიდან 200 იუქი აბრეშუმის გადახდის დაყოვნება და საქართველოში შაჰ-აბასის ლაშქრობა ზავის პირობების დარღვევად ჩათვალა და 1614 წელს ირანს ომი გამოუცხადა.

1615 წლის 22 მაისს ოსმალეთის დიდმა ვეზირმა ოქუზ მეჰმედ ფაშამ სტამბოლი დატოვა და ირანის წინააღმდეგ სალაშქროდ გაემგზავრა, ხოლო დიდი ვეზირის მოვალეობის შესრულება დაევალა გურჯი მეჰმედ ფაშას.

26 აგვისტოს ოქუზ მეჰმედ ფაშა ჩავიდა ალეპოში. იგი მეტად ნელა მოქმედებდა, ამასობაში დაზამთრდა. ზამთრის მოახლოების გამო, ოსმალეთის ლაშქარი ალეპოს მახლობლად დაბანაკდა და ირანის წინააღმდეგ ლაშქრობა მომავალი წლის გაზაფხულისათვის გადაიტანა.

1616 წლის 18 აპრილს დიდი ვეზირი ოქუზ მეჰმედ ფაშა ალეპოდან ერზურუმისაკენ გაემართა. გზაში მას ახალ-ახალი სამხედრო ნაწილები უერთდებოდა. ერზურუმიდან დიდი ვეზირი ყარსში ჩავიდა, ციხე გაამაგრა და იქ 4300 მეციხოვნე ჩააყენა. ყარსიდან იგი ერევნისკენ გაემართა და ქალაქს ალყა შემოარტყა. ოსმალებმა ვერ შეძლეს ერევნის ციხის აღება, 5 ნოემბერს ოქუზ მეჰმედ ფაშამ ერევანს ალყა მოხსნა და ერზურუმში დაბრუნდა.

სულთანი უკმაყოფილო იყო ირანთან ომის შედეგებით, მან ოქუზ მეჰმედ ფაშა გადააყენა და დიდ ვეზირად 1616 წლის 17 ნოემბერს დანიშნა ჰალილ ფაშა. 1617 წლის 15 ივლისს ჰალილ ფაშამ დატოვა სტამბოლი, ირანის წინააღმდეგ სალაშქროდ გაემართა და აგვისტოში დიარბექირში ჩავიდა.

1618 წლის მაისში ოსმალეთის ლაშქარი ჰალილ ფაშას სარდლობით, რომელშიც 15 ათასიანი კავალერიით ყირიმის ხანიც შედიოდა, შეტევაზე გადავიდა.

ჰალილ ფაშას ევალებოდა აგრეთვე საქართველოსაკენ გაჭრა, თბილისის დაკავება და თეიმურაზის აღდგენა ტახტზე. ირანის წინააღმდეგ ომში თეიმურაზის მეთაურობით ქართველებიც იღებდნენ მონაწილეობას.

ჰალილ ფაშას ლაშქარი ბითლისისა და ვანის გავლით პირდაპირ თავრიზისაკენ გაემართა. ქალაქი უბრძოლველად დანებდა ოსმალებს. თავრიზიდან ოსმალეთის ლაშქარმა გეზი არდებილისაკენ აიღო. სექტემბრის დასაწყისში ოსმალეთის არმია არდებილს მიუახლოვდა. ოსმალეთმა, უნიჭო სარდლობის გამო, უპირატესობა ვერ გამოიყენა და ომი წააგო. სერაფის მახლობლად გამართულ ბრძოლაში ოსმალეთის ლაშქარი დამარცხდა და ირანი აშკარა განადგურების საფრთხეს გადაურჩა.

1618 წლის 26 დეკემბერს ოსმალეთსა და ირანს შორის სერაფში (სამხრეთ აზერბაიჯანი) ზავი დაიდო. ხელშეკრულებით განახლდა 1612 წლის ზავის პირობები, იმ განსხვავებით, რომ ირანი ოსმალეთს ყოველწლიურად გადაუხდიდა არა 200 იუქს, არამედ 100 იუქ აბრეშუმს.

სერაფის ზავის პირობები ოსმალეთისათვის მიუღებელი იყო. სულთანმა ეს ზავი არ დაამტკიცა და ჰალილ ფაშა გადააყენა დიდი ვეზირის თანამდებობიდან.

1619 წლის გაზაფხულზე შაჰ-აბასმა სულთანთან ძვირფასი საჩუქრებით ელჩობა გაგზავნა. 1619 წლის 29 სექტემბერს ოსმალეთსა და ირანს შორის ზავი განახლდა. ზავის პირობების მიხედვით, ოსმალეთსა და ირანს შორის ძირითადად დაკანონდა ის საზღვარი, რომელიც სულთან სულეიმან I-ის დროს იყო დადგენილი იმ ცვლილებით, რომ ახალციხის ეიალეთი ოსმალეთს დარჩებოდა, ხოლო ბაღდადის ეიალეთში მდებარე დერნესა და დერთენგის სანჯაყები ირანს გადაეცემოდა; ირანს ოსმალეთის სასარგებლოდ უნდა გადაეხადა ყოველწლიურად 100 იუქი აბრეშუმი.

ამ საზავო ხელშეკრულების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მუხლი ის იყო, რომ ამჯერად ირანი იძულებული შეიქნა ოფიციალურად ეცნო ახალციხის ეიალეთი ოსმალეთის სამფლობელოდ. ოსმალეთ-ირანის ეს ზავი არ დარღვეულა 1623 წლამდე.

5. ბრძოლა სხვადასხვა პოლიტიკურ დაჯგუფებებს შორის (1617-1623 წწ.)

ჯერ კიდევ აჰმედ I-ის დროს გამწვავდა წინააღმდეგობა სხვადასხვა დაჯგუფების შორის. სწორედ მათი მოთხოვნით, აჰმედ I-ის დროს მიღებულ იქნა ოსმალეთის დინასტიის მემკვიდრეობის ახალი წესი. ამიერიდან ტახტის მემკვიდრე შეიძლება ყოფილიყო არა მარტო სულთნის ვაჟი, არამედ დინასტიის რომელიმე წევრი, ასაკით უფროსი. მემკვიდრეობის ახალი წესი საშუალებას აძლევდა სხვადასხვა დაჯგუფებებს კიდევ უფრო გაეძლიერებინათ თავიანთი გავლენა ოსმალეთის სამეფო კარზე.

სულთან აჰმედ I-ის სიკვდილის შემდეგ 1617 წლის ნოემბერს ოსმალეთის სხვადასხვა პოლიტიკურ დაჯგუფებებს შორის დაიწყო ბრძოლა ტახტზე თავიანთი სასურველი კანდიდატის გამეფებისათვის. 1617-1623 წლებში რამდენჯერმე მოხდა გადატრიალება სასახლის კარზე. ამ ხნის განმავლობაში სულთანი ოთხჯერ შეიცვალა.

საშინაო და საგარეო მდგომარეობის გაუარესებამ გამოიწვია ცალკეულ ფეოდალურ ჯგუფებს შორის ბრძოლის გამწვავება. ოსმალეთის სოციალურ-პოლიტიკური კრიზისის ერთ-ერთი გამოხატულება იყო იენიჩართა კორპუსის ბრძოლისუნარიანობისა და დისციპლინის დაქვეითება. ძალაუფლებისათვის ბრძოლაში მოწინააღმდეგე დაჯგუფებანი რეგულარულად იყენებდნენ იენიჩართა მისწრაფებებს განემტკიცებინათ თავიანთი პრივილეგირებული მდგომარეობა. დაინტერესებული მოხელეები უბიძგებდნენ მათ ამბოხებისაკენ არასასურველი სულთნის დიდი ვეზირისა თუ ცალკეული დიდმოხელის ჩამოგდება-გადაყენების მიზნით.

1617 წელს, 27 წლის ასაკში, აჰმად I გარდაიცვალა. იგი იყო უკანასკნელი იმ სულთანთაგან, ვინც ხელისუფლებას იღებდა მემკვიდრეობით, მამიდან-შვილზე. ასე გრძელდებოდა 14 თაობის განმავლობაში.

ერთ-ერთმა დაჯგუფებამ, რომელსაც იენიჩარები უჭერდნენ მხარს, მოითხოვა, რომ ტახტი გადაეცათ აჰმედ I-ის ძმის მუსტაფასათვის. იგი 14 წლის განმავლობაში სერალის საკანში იყო გამომწყვდეული, იყო გონებასუსტი და არ შეეძლო სახელმწიფოს მართვა. მაგრამ მათ თავისი გაიტანეს და მუსტაფა I გაამეფეს. ამ დაჯგუფების პარპაში დიდხანს არ გაგრძელებულა. მუსტაფამ მხოლოდ სამი თვე და 10 დღე იმეფა. იგი ტახტიდან ჩამოაგდეს და 1618 წლის 26 თებერვალს აჰმედ I-ის შვილი ოსმან II გაამეფეს.

ოსმან II მიზანდასახული და ენერგიული პიროვნება იყო. მას სურდა მიებაძა თავისი სახელოვანი წინაპრებისათვის – მეჰმედ ფათიჰისა და სულეიმან ბრწყინვალესათვის.

მასზე დიდ იმედებს ამყარებდნენ. მიუხედავად სიჭაბუკისა (ტახტზე რომ ავიდა, 14 წლისა იყო), მან იმთავითვე დიდი ყურადღება გამოიჩინა სახელმწიფო საქმეებისადმი და ენერგიულად შეუდგა მმართველობას.

ოსმან II-ის მეფობის პირველ წლებში დაიდო ზავი ირანთან. ამან სულთანს საშუალება მისცა მთელი ყურადღება გადაეტანა ევროპაზე.

ამ დროს გახშირდა ზაპოროჟიელი კაზაკების თავდასხმები ოსმალეთის სამფლობელოებზე, მათ ზურგს უკან კი პოლონეთი იდგა.



ოსმან II

ოსმან II-მ გადაწყვიტა პოლონეთის წინააღმდეგ ომი დაეწყო, ომის წარმატებით დაგვირგვინების შემთხვევაში აემაღლებინა თავისი ავტორიტეტი და ოსმალეთის სახელმწიფოს ძლიერება. ამ დროს ოსმალეთსა პოლონეთს შორის ურთიერთობა მეტად გამწვავებული იყო. ზაპოროჟიელი კაზაკები, რომლებიც პოლონეთს ემორჩილებოდნენ, აწყობდნენ თავდასხმებს ხმელეთითა თუ ზღვით ოსმალეთის სამფლობელოებზე და დიდ ზარალს აყენებდნენ მას.

ოსმან II დარწმუნებული იყო, რომ პოლონეთთან ომში დიდ წარმატებას მიაღწევდა და ამიტომ თვითონ ჩაუდგა სათავეში ოსმალეთის ლაშქარს.

1621 წლის გაზაფხულზე ოსმალეთის ლაშქარი, ოსმან II-ის მეთაურობით, პოლონეთის წინააღმდეგ საომრად გაემართა. ოსმალეთის სამხედრო ნაწილები, ყირიმის ხანის ლაშქრითურთ, 100 ათას მეომარს ითვლიდნენ, ხოლო პოლონეთის არმია, ზაპოროჟიელი კაზაკების ჩათვლით, 60 ათასი ჯარისკაცისაგან შედგებოდა.

1621 წლის სექტემბრის დამდეგს ოსმალეთის ლაშქარი მდ. დნეპრის ნაპირებს მიადგა და ციხე-ქალაქ ხოტინის წინ დაბანაკდა. 3 სექტემბრიდან დაწყებული, თითქმის მთელი თვის განმავლობაში, ხოტინისათვის მიმდინარეობდა სისხლისმღვრელი ბრძოლები. მიუხედავად არაერთი იერიშისა, ოსმალეთმა ვერ შეძლო ხოტინის აღება. სულთანი იძულებული შეიქნა ალყა მოეხსნა და პოლონეთს დაზავებოდა. 1621 წლის 6 ოქტომბერს ოსმალეთსა და პოლონეთს შორის დაიდო ზავი. საზავო ხელშეკრულებით აღდგენილ იქნა სულეიმან კანუნის დროს არსებული საზღვარი. ხელშეკრულებით აგრეთვე გათვალისწინებული იყო, რომ ოსმალეთი და პოლონეთი არ მოაწყობდნენ ერთმანეთზე თავდასხმას. პოლონეთს ყირიმის ხანისათვის ყოველწლიურად უნდა გადაეხადა 40 ათასი ფლორინი.

1622 წლის 25 იანვარს ოსმან II სტამბოლში დაბრუნდა. სულთანი განსაკუთრებით უკმაყოფილო იყო იენიჩარებით და დაქირავებული სიფაჰიებით და დედაქალაქში ჩამოსვლისთანავე გასცა ბრძანება მრავალი მათგანისათვის ხელფასი დაეკავებინათ და რეესტრებიდან ამოერიცხათ, რადგან სწორედ მათი დაბალი ბრძოლისუნარიანობისა და უდისციპლინობის გამო ვერ შესძლო მან ერთი გამარჯვების მოპოვებაც კი.

პოლონეთთან ომში დამარცხებამ გააღრმავა ოსმალეთის საშინაო კრიზისი. ნადავლის გარეშე დარჩენილი იენიჩარები დაუპირისპირდნენ სულთანს.

პოლონეთთან წარუმატებელმა ომმა ოსმან II საბოლოოდ დაარწმუნა, რომ საჭირო იყო ქვეყანაში რეფორმების ჩატარება. ყველაზე მეტად ეს ესაჭიროებოდა ჯარს და განსაკუთრებით კი იენიჩარებს.

ოსმან II-მ გადაწყვიტა შეეცვალა იენიჩართა კორპუსი ახალი სამხედრო შენაერთით. ამ მიზნით ანატოლიაში გაღატაკებული გლეხების ოჯახებიდან უნდა ჩაერიცხათ ჯარში ახალგაზრდა ვაჟები და ამ გზით დაეკომპლექტებინათ ახალი სამხედრო

ჯარი. როგორც ჩანს, ამ გეგმას მხარს უჭერდა პროვინციების ზოგიერთი გამგებელი, კერძოდ, ერზრუმის გამგებელი აბაზა მეჰმედ ფაშა.

ოსმან II ემზადებოდა სტამბოლიდან აზიაში გასამგზავრებლად. მას უნდოდა დედაქალაქი დამასკოში ან ალეპოში გადაეტანა. მთელი სიმდიდრე, რომელიც სტამბოლში ინახებოდა – ოქრო-ვერცხლი, განძეულობა მან შეკრიბა და მოამზადა წასაღებად. ეს გეგმა რომ არ გახმაურებულიყო და არ გამხდარიყო ცნობილი, ოსმან II-მ გაავრცელა ხმა, თითქოს იგი მიემგზავრებოდა მექაში ჰაჯის შესასრულებლად. იენიჩარებთან დაკავშირებული საერო და სასულიერო ფეოდალთა ჯგუფები ვერ ითმენდნენ რაიმე სიახლეს სახელმწიფოში და სულთნის ცენტრალური ხელისუფლების მხრივ რეფორმების ჩატარების ყოველგვარ ცდას დაუყოვნებლივ ფუშავდნენ.

შეიტყვეს რა ოსმან II-ის გეგმები, ფაშებმა, მუფთიმ და სასულიერო წოდების პირებმა სთხოვეს სულთანს, ხელი აეღო თავის განზრახვაზე, მაგრამ ამაოდ. რეაქციულმა ძალებმა აამხედრეს იენიჩარები და დაქირავებული სიფაჰიები სულთნის წინააღმდეგ. აჯანყებულებმა მოსთხოვეს ოსმანს უარი ეთქვა ანატოლიაში გამგზავრებაზე და სიკვდილით დაესაჯა ექვსი კაცი, მათ შორის დიდი ვეზირი დილავერ ფაშა, რადგანაც ისინი სულთნის გეგმას არ იზიარებდნენ. 19 მაისს ამბოხებულებმა ოსმან II ტახტიდან ჩამოაგდეს, მოკლეს და მუსტაფა I გაამეფეს. ეს იყო პირველი შემთხვევა ოსმალეთის ისტორიაში, როდესაც სულთანი მოკლეს. ამ საქმეში აქტიურ მონაწილეობას იღებდა ახლად დანიშნული დიდი ვეზირი დაუდ ფაშა, რომელიც მუსტაფა I-ის დის ქმარი იყო.

მუსტაფა I-ის სულთნობის დროს ოსმალეთის მდგომარეობა მეტად რთული იყო. ქვეყანა განიცდიდა მწვავე პოლიტიკურ და ეკონომიკურ კრიზისს. სხვადასხვა პოლიტიკურ დაჯგუფებებს შორის მიმდინარეობდა ბრძოლა ხელისუფლებისათვის, რაც აისახა დიდი ვეზირების ხშირ ცვლაში.

დაუდ ფაშამ დიდ ვეზირად მხოლოდ 26 დღე დაჰყო. იენიჩარებმა გადააყენეს დაუდ ფაშა და მისი ადგილი დაიკავა ჰუსეინ ფაშამ. მან 35 დღე მართა ქვაყანა, შემდეგ ისიც გადააყენეს და დანიშნეს ლეფქელი მუსტაფა ფაშა, რომელმაც დიდი ვეზირის ბეჭედი 27 დღე ატარა. მალე ისიც აღარ მოისურვეს და 1622 წლის 21 სექტემბერს დიდ ვეზირად დანიშნეს გურჯი მეჰმედ ფაშა, რომელსაც ეს თანამდებობა ეკავა 1623 წლის 5 თებერვლამდე.

სულთან მუსტაფა I-ის მეფობის ხანაში დიდ ვეზირად დანიშნულ პირთაგან ყველაზე ძლიერი და გამოჩენილი პიროვნება იყო გურჯი მეჰმედ ფაშა. სანამ ამ თანამდებობაზე დანიშნავდნენ, მას სხვადასხვა საპასუხისმგებლო დიდი თანამდებობები ეკავა, სამჯერ იყო დიდი ვეზირის მოვალეობის შემსრულებელი და ამიტომ მან სახელმწიფო საქმეების წარმართვა მშვენივრად იცოდა. დიდ ვეზირად ყოფნისას მან ქვეყანაში არსებული კრიზისი დაძლია, რაც საწინდარი იყო ქვეყანაში მშვიდობიანობის დამყარებისა და მდგომარეობის სტაბილიზაციისა. ცენტრალური ხელისუფლება თავიდან ბოლომდე მოშლილი იყო, ღამღამობით ქურდობები და მკვლელობები ხდებოდა. გურჯი მეჰმედ ფაშამ ამ მდგომარეობის გამოსწორების მიზნით თანამდებობის პირები და ულემები შეკრიბა და ენერგიული ზომები მიიღო.

მუსტაფა I-ის გამეფების შემდეგ, არზურუმის გამგებელმა აბაზა მეჰმედ ფაშამ გამოაცხადა, რომ იგი არ სცნობდა ოსმალეთის ახალ მთავრობას, რადგან მას ბრალი მიუძღოდა კანონიერი სულთნის ოსმან II-ის მკვლელობაში. მას მხარი დაუჭირა



ჰოტინის ბრძოლა

ზოგიერთმა პროვინციის გამგებელმაც და მალე აღმოსავლეთ ანატოლიის დიდი ნაწილი აბაზა ფაშას ხელთ აღმოჩნდა. მდგომარეობა მეტად საშიშ ხასიათს იღებდა.

სწორედ გურჯი მეჰმედის დროს გამოიძიეს ოსმან II-ის მკვლელობა. გამოძიების შედეგად გამოირკვა, რომ მუსტაფა I-ს არ გაუცია ბრძანება ოსმან II-ის მოკვლის შესახებ და რომ მკვლელობა ჩაიდინა იენიჩართა ასეულმა (ორთა) დაუდ ფაშას მითითებით. იენიჩართა ეს ასეული დაშალეს და შემდგომ აღარ აღუდგენიათ, ხოლო დაუდ ფაშა 1623 წლის 5 იანვარს სიკვდილით დასაჯეს.

სულთან მუსტაფა I-ს გამეფებაში და ოსმან II-ის ტახტიდან ჩამოგდებასა და მის მკვლელობაში გარკვეული წვლილი მიუძღოდა დერვიშ აღას, რომელიც, მუსტაფას გამეფების შემდეგ, იენიჩართა აღად დანიშნეს. გურჯი მეჰმედ ფაშამ დერვიშ აღა გადააყენა თანამდებობიდან და მის ადგილზე, იენიჩართა უფროსად, დანიშნა მუსტაფა აღა.

გურჯი მეჰმედ ფაშამ აგრეთვე მიიღო ზომები ფულის კურსის განმტკიცებისათვის, მაგრამ მძიმე ეკონომიკური კრიზისის ვითარებაში შეუძლებელი იყო რაიმე წარმატების მიღწევა.

გურჯი მეჰმედ ფაშამ გადადგა ნაბიჯები დონისა და ზაპოროჟიელი კაზაკების თავდასხმების შესაჩერებლად.

ცნობილია, რომ XVI საუკუნის მეორე ნახევრიდან და განსაკუთრებით XVII საუკუნის პირველ ნახევარში მნიშვნელოვნად გაძლიერდა დონისა და ზაპოროჟიელი კაზაკების თავდასხმები. ისინი კარგი მეზღვაურები იყვნენ და თავიანთი ნავებით – „ჩაიკებით“ სერავდნენ შავ ზღვას და ძარცვავდნენ ოსმალთა სავაჭრო ხომალდებს,

ალარ კმაყოფილდებოდნენ ზღვაზე მოპოვებული ნადავლით და აწყობდნენ თავდასხმებს ოსმალეთის შავი ზღვის სანაპირო ქალაქებზეც – ტრაპიზონზე, სამსუნზე, სინოპზე, რიზესა და თვით სტამბოლზეც კი. ეს თავდასხმები იმდენად საშიში შეიქნა, რომ ბოსფორზე კაზაკების გამოჩენამ დიდად შეაშფოთა ოსმალეთის მთავრობა. სულთანმა ბრძანება გასცა ოქროს ყურეში რკინის ჯაჭვი გაებათ და ამით თავი დაეცვათ დედაქალაქზე კაზაკების თავდასხმებისაგან. გურჯი მეჰმედ ფაშამ მათ წინააღმდეგ საბრძოლველად ფლოტი გაგზავნა. შავი ზღვის ესკადრა გამარჯვებული დაბრუნდა სტამბოლში. გურჯი მეჰმედ ფაშას მიერ გატარებულმა ღონისძიებებმა გარკვეულწილად ხელი შეუწყო ხალხის სულიერი მდგომარეობის გაუმჯობესებასაც.

პოლონეთთან დადებული დროებითი ზავის პირობების თანახმად, კაზაკებს შავი ზღვის სანაპიროზე თავდასხმა აკრძალული ჰქონდათ. ოსმალეთის სასახლის კარზე მომხდარი ამბების გამო, მამაცმა კაზაკებმა თავისი ხასიათი კვლავ გამოამჟღავნეს. მათი თავდასხმების საპასუხოდ გურჯი მეჰმედ ფაშამ შავი ზღვის ფლოტის სარდლად დამად რეჯებ ფაშა გაგზავნა 600 ბარჟით. ბრძოლაში კაზაკ მეზღვაურთა „ჩაიკების“ უმეტესობა ჩაიძირა, თურქებმა 18 ბარჟა დაკარგეს და 1622 წლის 1 ოქტომბერს სტამბოლში დაბრუნდნენ.

გურჯი მეჰმედ ფაშას დიდი ვეზირობის დროს სტამბოლში ჩავიდნენ სხვადასხვა სახელმწიფოების ელჩები, რომლებთანაც მან აქტიური დიპლომატიური ურთიერთობა გააბა.

8 ოქტომბერს სტამბოლში ჩავიდა ირანის შაჰის ელჩი ადა რიზა ხანი, რომელმაც შაჰის სახელით ახალ ფადიშაჰს ტახტზე ასვლა მიულოცა და ძვირფასი საჩუქრები გადასცა. ოსმალო მემატიანე შენიშნავს, ასეთი ძვირფასი საჩუქრებით ოსმალეთის იმპერიაში ადრე არავინ ჩამოსულაო.

საფიქრებელია, რომ შაჰ-აბასის ელჩი სტამბოლში დაზვერვის მიზნით იყო ჩამოსული, რადგან ამ დროს შაჰი ოსმალეთის წინააღმდეგ ომისათვის ემზადებოდა. ცხადია, იგი ეცდებოდა გარკვეულიყო ოსმალეთის შინაპოლიტიკურ მდგომარეობაში.

დაახლოებით ამ დროს უნდა ჩასულიყო თეიმურაზ კახეთის მეფე სტამბოლში. ამ პერიოდში ოსმალეთის საშინაო და საგარეო მდგომარეობა მეტად მძიმე იყო. ოსმალეთისაგან რაიმე დახმარების მიღება გამორიცხული იყო. პირიქით, ამ დროს ოსმალეთი დაინტერესებული იყო ირანთან ზავის შენარჩუნებით. ყოველივე ამის გამო, თეიმურაზის ელჩობას რაიმე რეალური შედეგი არ ჰქონია.

1622 წლის ნოემბერში სტამბოლში ჩავიდა რუსეთის ელჩი. ამ დროს რუსეთსა და პოლონეთს შორის ურთიერთობა გამწვავებული იყო. საფიქრებელია, რომ რუსეთის ელჩის ერთ-ერთ მიზანს შეადგენდა აემხედრებინა ოსმალეთი პოლონეთის წინააღმდეგ და ჩაეშალა სტამბოლში დაწყებული ოსმალეთ-პოლონეთის მოლაპარაკება, მაგრამ ამას შედეგი არ მოჰყოლია.

1622-1623 წლებში სტამბოლში იმყოფებოდა პოლონეთის ელჩი კ. ზბარაჟევსკი. მას დავალებული ჰქონდა, რომ 1621 წელს პოლონეთსა და ოსმალეთს შორის დადებული დროებითი ზავის შემდეგ ხელმოწერილი ყოფილიყო საბოლოო ზავის ხელშეკრულება. სწორედ გურჯი მეჰმედ ფაშას დიდვეზირობის დროს შემუშავებულ იქნა ამ ხელშეკრულების ძირითადი მუხლები. მიუხედავად იმისა, რომ მოლაპარაკება მეტად დაძაბულ ვითარებაში მიმდინარეობდა, პოლონელი დიპლომატი ძალზე მაღალ შეფასებას აძლევს გურჯი მეჰმედ ფაშას. „საერთო აზრით – წერს კ. ზბარაჟევსკი, – იგი იყო არაჩვეულებრივი ჭკუის ადამიანი“.

როგორც ჩანს, გურჯი მეჰმედ ფაშას გარკვეული დიპლომატიური ნიჭი და ალღო გამოუჩენია უცხო სახელმწიფოების წარმომადგენლებთან ურთიერთობის დროს.

სასახლის დიდმოხელეების ერთ ნაწილსა და იენიჩარებს არ მოსწონდათ გურჯი მჰმედ ფაშას მოღვაწეობა, რომლის საქმიანობაც მიმართული იყო ქვეყანაში წესრიგის დამყარებისა და სახელმწიფო ხელისუფლების განმტკიცებისაკენ. მათი მოთხოვნით იგი გადააყენეს დიდი ვეზირის თანამდებობიდან და კუნძულ როდოსზე გაგზავნეს.

მუსტაფა I-ის გარშემო მოკალათებული დაჯგუფებისადმი ოპოზიციურად განწყობილი მეორე ჯგუფი, რომელშიც შედიოდნენ დიდი მოხელეები, უმაღლესი სასულიერო პირები, ზოგიერთი პროვინციის გამგებელი, დიდად იყო შეშფოთებული სულთნის სასახლის კარზე იენიჩართა გავლენის ზრდით. მართალია, მათ შეძლეს დაეშალათ იენიჩართა ასეული, რომელიც მონაწილეობდა ოსმან II-ის მკვლელობაში, მაგრამ ამ სასჯელმა იენიჩარებს წესრიგი ვერ შემატა. ამ დაჯგუფებას მიაჩნდა, რომ ქვეყანაში საჭირო იყო ძლიერი ხელისუფლების დამყარება, რომელსაც უნარი ექნებოდა მკაცრი და გადამჭრელი საშუალებებით შეეჩერებინა ოსმალეთის სახელმწიფოს დაცემა-დაქვეითების პროცესი. მათ რიცხვს ეკუთვნოდა გურჯი მჰმედ ფაშა.

ამ ჯგუფის ულემებმა მუსტაფა I-ის დედას აცნობეს, რომ მათ განზრახული აქვთ მუსტაფა I-ს, შარიათის წესის შესაბამისად, დაუსვან რამდენიმე შეკითხვა: რა ჰქვია მას? ვისი შვილია? დღეს რა დღეა? თუ ამ კითხვებზე პასუხს გასცემს, იგი ჩვენი ფადიშაჰი იქნებაო. სულთნის დედას უთქვამს: „ჩემი შვილი ვერ შეძლებს ამ კითხვებზე პასუხის გაცემას“.

მეორე დღეს მოიწვიეს დივანის სხდომა. დიდმა ვეზირმა და შეიხ-ულ-ისლამმა მუსტაფას დედას განუცხადეს, რომ შარიათის წესით, მუსტაფა ტახტიდან უნდა გადადგეს. დედამისმა განაცხადა, რომ მისთვის შარიათის წესი კანონია, მხოლოდ ითხოვს, მის შვილს შეუნარჩუნონ სიცოცხლე. ამის შემდეგ სასახლის იმ დაჯგუფებამ, რომელიც მუსტაფა I-ის წინააღმდეგ გამოდიოდა, აიძულა თავისი მოწინააღმდეგენი დათანხმებულიყვნენ, გადაეყენებინათ მუსტაფა I და ტახტზე დაესვათ აჰმედ I-ის 11 წლის შვილი მურად IV (1623 წლის 10 სექტემბერი).

თავი XII

ოსმალეთი მურად IV-ის დროს

1. ოსმალეთი 1623-1632 წლებში

მურად IV-ის (1623-1640) დავაჟკაცებამდე ქვეყანას, ფაქტობრივად, განაგებდნენ ის დიდმოხელეები, რომლებმაც 11 წლის მურადი გაახელმწიფეს. მმართველობაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა მურადის დედა ქოსემ სულთანი და პირველ წლებში დიდი ვეზირის მოვალეობის შემსრულებელი გურჯი მეჰმედ ფაშა.

მურად IV-ის გამეფების შემდეგ გურჯი მეჰმედ ფაშა სტამბოლში დააბრუნეს და იგი მეორე ვეზირად დანიშნეს.

ამ დროს ოსმალეთის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა იყო არზურუმის გამგებლის აბაზა მეჰმედ ფაშას დამორჩილება. აბაზა ფაშამ გამოაცხადა, რომ იგი არ ცნობს იმ მთავრობას, რომელმაც იენიჩარებთან ერთად კანონიერი სულთანი ოსმან II მოკლა. მან ოსმანის მკვლელობაზე შურისძიება ოფიციალურად თავს იდვა და დაიწყო აჯანყება ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ. აბაზა ფაშამ გაწყვიტა არზურუმში განლაგებული იენიჩარები. ამასთან მან წერილი გაუგზავნა იენიჩარებს და შეუთვალა, რომ „მათი მთლიანად მოსპობა სურს“. აბაზა ფაშამ სასწრაფოდ შეადგინა 30-40 ათასიანი ლაშქარი და ხელთ იგდო სივასი, ყარაჰისარი, ანკარა, ბურსა და სხვა ქალაქები, აჯანყება მოედო აღმოსავლეთი და ცენტრალური ანატოლიის დიდ ნაწილს; ფაქტობრივად მთელი ეს რეგიონი მან თავის კონტროლს დაუქვემდებარა. აღსანიშნავია, რომ აბაზა ფაშა წარმოშობით ქართველი იყო. ოსმალეთის ცდა, დაემარცხებინა აბაზა ფაშა, უშედეგოდ დამთავრდა.

როდესაც მურად IV გამეფდა, ჩანს, აბაზა ფაშას სურდა სულთნისთვის მორჩილება გამოეცხადებინა, მაგრამ არ იყო დარწმუნებული, რომ მას დანაშაულს აპატიებდნენ და ამიტომ განაგრძობდა წინააღმდეგობის გაწევას.

1624 წლის აპრილის დამდეგს ჩერქეზი მეჰმედ ფაშა დიდ ვეზირად დანიშნეს. მას დაევალა აბაზა მეჰმედ ფაშა მორჩილებაში მოეყვანა. 1624 წლის 28 მაისს მან დატოვა სტამბოლი და აბაზა ფაშას დასამორჩილებლად გაემგზავრა, ხოლო დიდი ვეზირის მოვალეობის შესრულება ამჯერადაც დაევალა გურჯი მეჰმედ ფაშას. ეს თანამდებობა მას ეკავა სიკვდილამდე – 1626 წლის 13 ივლისამდე.

1624 წლის ზაფხულში დონისა და უკრაინის კაზაკებმა კვლავ განაახლეს თავდასხმები ოსმალეთის შავი ზღვის სანაპიროზე. ასე მაგალითად, 20 ივლისს კაზაკები 150 „ჩაიკით“ თავს დაესხნენ ბოსფორის სრუტესთან მდებარე სოფელ იენი ქოის და სასტიკად დაარბიეს. სტამბოლიდან გაგზავნილი ფლოტის დახმარებით ოსმალებმა ძლივს მოახერხეს თავიდან აეცილებინათ კაზაკების თავდასხმა დედაქალაქზე.

საქმე ისაა, რომ სტამბოლი უმთავრესად მარაგდებოდა შავი ზღვის რეგიონიდან შემოტანილი სურსათ-სანოვაგით და კაზაკთა თარეში შავ ზღვაზე აფერხებდა დედაქალაქის პროდუქტებით მომარაგებას. ეს კი აუარესებდა მოსახლეობის მდგომარეობას და იწვევდა ხალხის მასების უკმაყოფილებას.

ყოველივე ამის გამო, გურჯი მეჰმედ ფაშამ ოსმალეთის ფლოტი კაფუდან ფაშა (ფლოტის ადმირალი) რეჯებ ფაშას სარდლობით გაგზავნა შავ ზღვაზე კაზაკების წინააღმდეგ საბრძოლველად. ოსმალეთის ფლოტი თავს დაესხა ჩრდილო-დასავლეთ

შავი ზღვის სახმელეთო ქალაქებსა და მდინარეების შესართავებს, სადაც თავს აფარებდნენ კაზაკები და დიდი ზარალი მიაყენა მათ.

შაჰ-აბას I-მა ისარგებლა ოსმალეთში შექმნილი მძიმე მდგომარეობით, დაარღვია მასთან ზავი და ომი განაახლა. 1623 წლის 28 ნოემბერს სპარსელებმა ბაღდადი დაიკავეს, ხოლო 1624 წელს – მთელი ერაყი და ქურთისტანის ნაწილი.

ამის შემდეგ შაჰ-აბასი „გურჯისტანის საკითხის" მოგვარებას შეუდგა. 1624 წელს ყიზილბაშებმა ახალციხე აიღეს და ოსმალებს ქართლში შემოსასვლელი გზა გადაუკეტეს. 1625 წლის დასაწყისში ყიზილბაშთა მრავალრიცხოვანი ლაშქარი ყარჩიღა ხანის სარდლობით საქართველოში მოვიდა. შაჰს გადაწყვეტილი ჰქონდა საქართველო ირანის სახანოდ ექცია, მაგრამ ქართველები მიუხვდნენ და აჯანყების გეგმა შეიმუშავეს.

1625 წლის 25 მარტს გიორგი სააკაძის მეთაურობით ქართველებმა აჯანყება დაიწყეს, ყიზილბაშთა ლაშქარი გაწყვიტეს და მათგან მშობლიური მიწა-წყლის განთავისუფლებას შეუდგნენ.

ამავე დროს გიორგი სააკაძემ ოსმალეთის დიდ ვეზირს ჰაფიზ ფაშას, რომელიც დიარბექირში იმყოფებოდა, ელჩები გაუგზავნა და დახმარება სთხოვა. ჰაფიზ ფაშამ დახმარებისაგან თავი შეიკავა, რადგან სულთნისაგან დავალებული ჰქონდა ბაღდადის დაპყრობა. ამის შემდეგ ქართველები სტამბოლში ჩავიდნენ და სულთანს სთხოვეს დახმარება. 1625 წელს სულთანმა გიორგი სააკაძეს სიგელი გაუგზავნა და ყიზილბაშების წინააღმდეგ ომში დახმარებას დაჰპირდა.

შაჰ-აბასი თეიმურაზ მეფის მიმართ კომპრომისზე წავიდა და იგი ქრისტიანობით ქართლ-კახეთის მეფედ დაამტკიცა. ამ ნაბიჯით შაჰმა თეიმურაზ მეფე გიორგი სააკაძეს დაუპირისპირა. ამ დროს საქართველო ორ ბანაკად გაიყო: გიორგი სააკაძეს მხარს უჭერდა ოსმალეთი, ხოლო თეიმურაზ მეფეს – ირანი.

1626 წლის გვიან შემოდგომაზე ბაზალეთთან მოხდა ომი თეიმურაზ მეფესა და გიორგი სააკაძის მომხრეებს შორის. ერთ მხარეს ზურგს უმაგრებდა ოსმალეთი – მეორეს ირანი. გიორგი სააკაძე ამ ბრძოლაში დამარცხდა. ამის შემდეგ იგი იძულებული გახდა საქართველო დაეტოვებინა, ოსმალეთში წასულიყო და სულთნის სამსახურში ჩამდგარიყო. ოსმალეთში იგი პატივით მიიღეს. მან მონაწილეობა მიიღო აბაზა ფაშას წინააღმდეგ მოწყობილ ბრძოლებში, სახელი გაითქვა როგორც გამოცდილმა მხედარმა, სულთანმა იგი კონიის გამგებლად დანიშნა. გიორგი სააკაძემ მონაწილეობა მიიღო ბაღდადის წინააღმდეგ ლაშქრობაში, მაგრამ დიდმა ვეზირმა ჰუსრევ ფაშამ მას ბრალი დასდო ღალატში და იგი სიკვდილით დასაჯეს.

სულთნის მთავრობის ცდები – დაებრუნებინა ომის შედეგად დაკარგული ბაღდადი, უშედეგოდ მთავრდებოდა. ამას ის გარემოებაც უშლიდა ხელს, რომ გრძელდებოდა აბაზა ფაშას აჯანყება. სულთანმა აბაზა ფაშას წინააღმდეგ სამი დამსჯელი ექსპედიცია გაგზავნა, მაგრამ ამაოდ.

ბოლოს აბაზა ფაშას წინააღმდეგ გაილაშქრა დიდმა ვეზირმა ჰუსრევ ფაშამ. 1628 წლის 4 სექტემბერს მან არზურუმს ალყა შემოარტყა. 18 სექტემბერს აბაზა ფაშა დანებდა და დატყვევებული სტამბოლში ჩაიყვანეს. სულთანმა შეიწყალა აბაზა ფაშა და იგი ბოსნიის ბეგლარბეგად დანიშნა. შემდეგ იგი იყო ოჩაკოვის გამგებელი. 1633 წელს აბაზა ფაშამ მონაწილეობა მიიღო პოლონეთის წინააღმდეგ ომში.

1629 წელს გარდაიცვალა შაჰ-აბას I და ტახტზე ავიდა მისი შვილიშვილი მცირეწლოვანი შაჰ-სეფი (1629-1640). მოსალოდნელი იყო, რომ ირანში დაიწყებოდა დინასტიური ომი.

სულთნის კარზე გადაწყვიტეს, რომ დრო მეტად ხელსაყრელი იყო ბაღდადის წინააღმდეგ შეტევის დასაწყებად.

1629 წლის მაისში ოსმალეთის დიდმა ვეზირმა დატოვა სტამბოლი და ირანის წინააღმდეგ გაემგზავრა სალაშქროდ. მაგრამ ლაშქარმა სწრაფად ვერ შეძლო ირანის საზღვართან მისვლა, რადგან ანატოლიაში თურქმანული ტომების დაშოშმინებას მოუნდა, ირანში სალაშქროდ დრო აღარ დარჩა მოახლოებული ზამთრის გამო და გამოსაზამთრებლად ქურთისტანში დაბანაკდა.

1630 წლის გაზაფხულზე ოსმალეთის ლაშქარი აღმოსავლეთისაკენ გაემართა. დაიკავა ჰამადანი, კასრი-შირინი და სექტემბერში ბაღდადს მიუახლოვდა. სექტემბრის დამდეგს ოსმალებმა იერიში მიიტანეს ბაღდადზე, მაგრამ ქალაქის აღება ვერ შეძლეს. ოსმალეთის ლაშქარი უკან გაბრუნდა და გამოსაზამთრებლად დიარბექირისა და დამასკოს მახლობლად დაბანაკდა.

1631 წლის გაზაფხული და ზაფხული დიდმა ვეზირმა ყირიმის ხანის ლოდინში გაატარა. ყირიმის ხანი მხოლოდ სექტემბერში ჩავიდა იქ. ცხადია, საომარი მოქმედებების დაწყება დაგვიანებული იყო და გადაწყვიტეს ლაშქრობა 1632 წლისათვის გადაედოთ.

სულთანი უკმაყოფილო იყო ჰუსრევ ფაშას მოქმედებით, 1631 წლის ნოემბერში იგი გადააყენა და მის ადგილზე დანიშნა ჰაფის მეჰმედ ფაშა. ჰუსრევ ფაშას გადაყენება ჯარმა ხელზე გადიხვია და აჯანყდა. დიდი ვეზირის რეაბილიტაციის საბაბით, ჯარი ბაზრებს დაერია და რბევას შეუდგა.

სულთანმა სტამბოლში გაიწვია ჯარი. ჯარის ნაწილები ქალაქისაკენ გაემართნენ იმ განზრახვით, რომ იქ ეშოვათ ის, რაც ვერ მოიპოვეს ომის შედეგად.

1632 წლის 10 თებერვალს იენიჩარები სულთანის სასახლეში შეიჭრნენ და მოითხოვეს, რომ მათთვის გადაეცათ დიდი ვეზირი, მუფთი, სახელმწიფო დივანის ყველა წევრი და სულთანთან დაახლოებული დიდმოხელეები, სულ 17 კაცი. მურად IV იძულებული იყო დაეკმაყოფილებინა მათი მოთხოვნა. ამბოხებულებმა დიდი ვეზირი აჩეხეს სულთნისა და დივანის წევრების თვალწინ. მურად IV-მ გადაწყვიტა მოეკლა ჰუსრევ ფაშა, რომელიც ანატოლიიდან ხელმძღვანელობდა აჯანყებულებს. 11 მარტს სულთნის ბრძანებით ჰუსრევ ფაშა სიკვდილით დასაჯეს. ამან კიდევ უფრო გაამწვავა მდგომარეობა. აჯანყებულებმა მოითხოვეს, რომ მათთვის ეჩვენებინათ სულთანის ოთხი ძმა, რომლებიც სასახლეში ჰყავდათ დამწყვდეული. სულთანმა შექმნილ სიტუაციაში ვერ გაბედა იმ კანონის გამოყენება, რომელიც მას უფლებას აძლევდა დაეხოცა თავისი ძმები. მურად IV-მ ოთხივე ძმა აივანზე გამოიყვანა და უჩვენა აჯანყებულებს. მდგომარეობა მეტად კრიტიკული იყო.

2. მურად IV-ის ღონისძიებანი ძველყანაში წესრიგის დასამყარებლად

სამხედრო-ლენური სისტემა მწვავე კრიზისს განიცდიდა. სიფაჰიები (თიმარიოტები) უხალისოდ იღებდნენ ომში მონაწილეობას. მათ მასობრივად იწყეს სამხედრო სამსახურისათვის თავის არიდება, რადგან ომში მონაწილეობა აღარ იძლეოდა მათი შემოსავლის ზრდის შესაძლებლობას (ერთი მხრივ, დაპყრობილი მოსახლეობის ძარცვა, მეორე მხრივ, მთავრობის მიერ დასაჩუქრება) და სასარგებლო აღარ იყო. ფეოდალური ლაშქრის შემცირების შედეგად სულთნის მთავრობა იძულებული გახდა გაეზარდა დაქირავებული ჯარის რიცხვი. იენიჩარები და კაფიკულუს (ჯამაგირის მქონე) ჯარისკაცებიც უხალისოდ იღებდნენ მონაწილეობას ომში, რადგან ნადავლის შოვნის შესაძლებლობა მნიშვნელოვნად შემცირდა. დაეცა მათი ბრძოლისუნარიანობა და დისციპლინა. დაპყრობითი ომების შენელებამ გამოიწვია სახელმწიფო ხაზინის შემოსავლის შემცირება, მთავრობა დროზე ვეღარ უხდიდა ჯამაგირს დაქირავებულ ჯარს. ეს იწვევდა მათ შორის უკმაყოფილების ზრდას. ასეთ ვითარებაში, სულთნის

მიმართ ოპოზიციურად განწყობილი დიდმოხელეები მოხერხებულად იყენებდნენ იენიჩარებსა და ყულის ჯარს მურად IV-ის წინააღმდეგ.

XVII საუკუნეში ოსმალეთი განაგრძობდა დაპყრობით ომებს, მაგრამ შექმნილ ვითარებაში, როდესაც ოსმალეთში კრიზისი მძვინვარებდა, ამ ომებს აღარ მოჰქონდა სასურველი შედეგი – დიდი ნადავლი, მიღებული დაპყრობილი ქვეყნების უმოწყალოდ ძარცვის შედეგად. სამხედრო წარმატებები საკმაოდ „მოკრძალებული" იყო.

ოსმალეთის სახელმწიფო კრიზისულ მდგომარეობაში იმყოფებოდა. ასეთ ვითარებაში ოსმალეთში ჩნდება მთელი რიგი პოლიტიკურ-ეკონომიკური ტრაქტატები, „რისალეები", რომელთა ძირითადი შინაარსი იმაში მდგომარეობდა, რომ მათში აღწერილი იყო სახელმწიფოს მართვის ძირითადი პრინციპები. დახასიათებული იყო ოსმალეთის იმპერიის პოლიტიკური, ადმინისტრაციული და სამხედრო სტრუქტურა, ჩამოთვლილი იყო ოსმალეთის სამფლობელოები და ხაზინის შემოსავალი. ამასთან ერთად ტრაქტატში მოცემული იყო ცდა სხვადასხვა არეულობების მიზეზების ახსნისა, რომლებიც საფუძველს უთხრიდა სახელმწიფოს სამხედრო ძლიერებას და ასუსტებდა სულთნის ხელისუფლებას. „რისალეების" ავტორები ცდილობდნენ გაეგოთ ოსმალეთის სახელმწიფოს დაქვეითების მიზეზები.

„რისალეები" მიზნად ისახავდა დახმარებოდა სულთანს და უმაღლეს მოხელეებს სახელმწიფოს მართვა-გამგებლობაში. ტრაქტატებში მოცემული იყო რჩევა-დარიგებანი, გამოთქმული ან პირდაპირ ან გადაკრულად, კანონთა განმარტებების, თუ რაიმე კაზუსის ახსნის საშუალებით.

ამ ნაწარმოებთა ავტორები საკმაოდ ზუსტად აღწერდნენ ოსმალეთის სახელმწიფოს დაცემა-დაქვეითების სურათს, მაგრამ მათ არ შეეძლოთ სწორედ გაეგოთ და აეხსნათ ოსმალეთის სახელმწიფოს დაცემის ობიექტური მიზეზები.

„რისალეების" ავტორები ქვეყნის კრიზისიდან გამოსავალს ხედავდნენ ჯარის ძლიერებაში, დაპყრობით ომებში და ქვეყანაში მტკიცე წესრიგის დამყარებაში.

ამ ხასიათის წყაროთა რიცხვს განეკუთვნება აინი ალის, კოჩი ბეი გორიჯელის, ქათიბ ჩელების (ჰაჯი ხალფა), ალი ჩაუშის, „რისალიები" და სხვა პოლიტიკურ-ეკონომიკური ტრაქტატები.

კოჩი ბეი გორიჯელი 1631 წელს მურად IV-ისადმი წარდგენილ „რისალეში" წერდა: „ლენის (თიმარის) მფლობელები თავს არიდებენ სამხედრო მოვალეობის შესრულებას, არ ცხადდებიან ომში დადგენილი რაოდენობის მხედრებით. ამის გამო სუსტდება „მუსლიმური ჯარი" და ინგრევა სახელმწიფო". კოჩი ბეი გორიჯელის აზრით, იენიჩარები არიან არეულობისა და აჯანყებათა მომწყობნი. ჯან-ღონით სავსე იენიჩარები ქრთამის საშუალებით ახერხებენ ინვალიდთა კატეგორიაში მოხვედრას და გადიდებული ჯამაგირის მიღებას. ასეთი იენიჩარები ინვალიდობის გამო ომში მონაწილეობას აღარ იღებენ. მათი რიცხვი 10000 კაცს შეადგენს. იენიჩართა მეთაურები გარდაცვლილი იენიჩარების ჯამაგირს თვითონ იღებენ, ან სხვადასხვა პირებზე ჰყიდიან ჯამაგირის აღების უფლებას. გახშირდა ქრთამების მიცემა იენიჩართა მეთაურების (ორთა) თანამდებობების დასაკავებლად".

ცხადია, ასეთი ჯარი სულთნის დასაყრდენი ვერ იქნებოდა და საჭირო იყო მისი გადახალისება, მის რიგებში წესრიგის დამყარება.

მურადმა მიიღო აღმოსავლეთში უფლისწულებისათვის დამახასიათებელი აღზრდა, რაც გამოიხატებოდა ფიზიკურ წვრთნასა და სამხედრო ვარჯიშში.

დავაჟკაცების შემდეგ იგი იყო ძლიერი, ენერგიული ახალგაზრდა, სახის მკაცრი გამომეტყველებით. ევლია ჩელები მას ასე ახასიათებს: „არასოდეს ყოფილა თურქი მბრძანებელი ასეთი ლამაზი, ათლეტური აღნაგობისა, ესოდენ დესპოტური და საშიში თავისი მოწინააღმდეგეებისათვის, ესოდენ თაყვანისცემული". მისი ფიზიკური



მურად IV

ძლიერების შესახებ ლეგენდები იყო შეთხზული. იგი იყო ისრის შესანიშნავი მტყორცნელი. გადმოცემით, მის მიერ მშვილდისგან ნასროლი ისარი უფრო შორს ხვდებოდა ვიდრე თოფიდან გასროლილი ტყვია; ამ ისარს შესწევდა უნარი გაეხვრიტა ლითონის ფურცელი; იგი მარჯვედ ისროდა მახვილს და ხერეტდა აქლემის ტყავის ათკეც ფარს. ახალგაზრდა სულთანი ყოველდღე ვარჯიშობდა ასპარეზზე და შეეძლო ერთი გაჭენებული ცხენიდან გადამხტარიყო მეორეზე. თავისი კუნთების სიძლიერით იგი იწვევდა აღფრთოვანებას და მას უწოდებდნენ „თვით მოციქულ მუჰამედის ფალავანს“. ევლია ჩელები წერს, რომ თვითონ იყო ასეთი სცენის მოწმე: სულთანმა აიტაცა თავისი ორი ძლიერი მცველი და ისროლა ერთი მარჯვნივ, მეორე – მარცხნივ.

იმპერიის კრიტიკული მდგომარეობა უაღრესად გამწვავდა 1632 წლის 10 თებერვალს, როდესაც როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, აჯანყებული იენიჩარები სასახლეში შეიჭრნენ და დიდი ვეზირი ჰაფიზ აჰმედ ფაშა სულთნის თვალწინ აჩეხეს. ჰაფიზ მეჰმედ ფაშა მურად IV-ის ნათესავი იყო და მასთან მეგობრული ურთიერთობაც აკავშირებდა. მურადი ფიქრობდა, რომ ჰაფიზ აჰმედ ფაშას დაღუპვაში დიდი წვლილი მიუძღოდა დიდ ვეზირ რეჯებ ფაშას და ამის გამო 1632 წლის 17 მაისს, სულთნის ბრძანებით, იგი სიკვდილით დასაჯეს.

სპეციალისტების აზრით, რეჯებ ფაშას დასჯის შემდეგ იწყება მურად IV ნამდვილი მმართველობა. იგი განთავისუფლდა დედისა და სასახლის კარის დიდმოხელეების მეურვეობისაგან და მთელი ძალაუფლება აიღო ხელში.

მურად IV-ს კარგად ესმოდა, რომ თუ სასწრაფოდ არ მიიღებდა საგანგებო გადამჭრელ ზომებს ურჩი დიდმოხელეების ასალაგმავად, იენიჩარებსა და ჯარში დისციპლინის აღსადგენად და, საერთოდ, ქვეყანაში წესრიგის დასამყარებლად, ოსმალეთი კატასტროფის წინაშე აღმოჩნდებოდა.

უპირველესად ყოვლისა, საჭირო იყო იენიჩარებისა და სამხედრო ნაწილების დამორჩილება. ამ მიზნით სულთანმა მოიწვია დივანის საჯარო სხდომა, რომელსაც დაესწრნენ იენიჩარებისა და შეიარაღებული ჯარების მეთაურები და სხვ. მურადმა დამსწრეთ მიმართა ყურანიდან მოტანილი სიტყვებით და მოუწოდა ბრმად დამორჩილებოდნენ თავიანთ ფადიშაჰს. მურადმა მოითხოვა, რომ მათ არ დაეცვათ აჯანყებული იენიჩარები და სიფაჰიები. ამის საპასუხოდ ისინი ყვირილით გამოხატავდნენ თავიანთ ერთგულებას: „ჩვენ ფადიშაჰის მონები ვართ, ჩვენ არ დავიცავთ აჯანყებულებს, მისი მტრები ჩვენი მტრებია“.

მურად IV-მ ჯარისკაცები ყურანზე დააფიცა, რომ ხელს აიღებდნენ უკანონო მოქმედებაზე. შედგენილ იქნა სპეციალური ოქმი, რომლითაც ისინი პირობას იძლეოდნენ, რომ დაიცავდნენ ქვეყანაში საზოგადოებრივ წესრიგს.

ამ დადგენილების შემდეგ მურად IV შეუდგა ქვეყანაში წესრიგის დამყარებას.

1632 წლის 16 სექტემბერს მურად IV-მ გამოსცა ბრძანება საზოგადოებრივ ადგილებში ყავახანეების, ჩაიხანეების და ღვინის დუქნების დახურვის შესახებ.

მთავრობას ეშინოდა იენიჩარების და მათი თანამზრახველების ერთად შეკრებისა. ამავე მიზეზით აიკრძალა თამბაქოს წევაც კი, რაც მთავრობის აზრით, ხელს უწყობდა ადამიანთა ერთად შეკრებას (თურქეთში ყავა შემოიტანეს 1555 წელს, ხოლო თამბაქო – 1605 წელს). ვინც არ დაემორჩილებოდა სულთნის ამ ბრძანებას, სიკვდილით უნდა დასჯილიყო, მათი გვამები კი გადაყრილიყო ქუჩებში, სხვების დასანახად.

მურადის ბრძანებით, თავის საქმეში გაწაფული ჯაშუშები აწყობდნენ სტამბოლში რეიდებს მეამბოხეთა მეთაურების გამოსავლენად, ადგილზევე ხოცავდნენ მათ და გვამებს ყრიდნენ ბოსფორში, შემდეგ წყალი რიყავდა მათ ნაპირზე და ყველას შეეძლო დაენახა, თუ რა ბედი ეწია სულთნის მტრებს. მეთაურებისა და მოკავშირეების გარეშე დარჩენილი ჯარი გაჩუმებული და შეშინებული იყო.

მურადმა მიმართა აღმოსავლეთში გავრცელებულ წესს, გადაცმული დადიოდა ქუჩებში, არბევდა უკანონოდ შეკრებილ ხალხს და ხშირად თავისივე ხელით სჯიდა დამნაშავეებს. ყოველ ღამე ბოსფორში ჰყრიდნენ დახოცილ აჯანყებულთა გვამებს. როგორც გადმოგვცემენ, იმ დროს „ხმალი და თოკი“ დღედაღამე მუშაობდა.

ამტკიცებენ, რომ ხუთი წლის განმავლობაში, მურად IV-ის ბრძანებით, დახოცილ იქნა 25 ათასი ადამიანი. ბევრმა მათგანმა სიკვდილი უშუალოდ მისი ხელიდან მიიღო.

მურადმა დაამყარა დესპოტური მმართველობა და ამით ბოლო მოუღო ანარქიას.

მურად IV-მ გადამჭრელი ზომები მიიღო იენიჩარებისა და კაფიკულუს ჯარის რიგების გასაწმენდად და მათ შორის დისციპლინის დასამყარებლად. ასობით ურჩი ჯარისკაცი და ოფიცერი სიკვდილით იქნა დასჯილი, ათასობით იენიჩარი და კაფიკულუს ჯარისკაცი ამოღებულ იქნა სიებიდან. სასტიკად დასაჯეს მექრთამეები და დისციპლინის დამრღვევნი.

განსაკუთრებული ზომები მიიღეს აღზევებული დიდმოხელეებისა და პროვინციების გამგებელთა მიმართ. ბევრი მათგანი სიკვდილით დასაჯეს, ზოგი კი თანამდებობებიდან გადააყენეს.

სიფაჰებს, რომლებმაც არ მიიღეს ომში მონაწილეობა, თიმარები ჩამოართვეს.

მურად IV-ის დროს სახელმწიფოს ხარჯზე მყოფი ჯარისკაცების რიცხვი შემცირდა 60 ათასამდე, ხოლო ყოველივე ამის შედეგად სახელმწიფოს შემოსავალი გაიზარდა დაახლოებით 300 მილიონ ახჩამდე.

3. მურად IV-ის ლაშქრობები ერევნისა და ბაღდადის წინააღმდეგ და 1639 წლის ზოჰაბის (კასრი შირინის) ზავი

1635 წლის გაზაფხულზე მურად IV-მ დატოვა სტამბოლი და ირანის წინააღმდეგ საბრძოლველად გაემართა. გზადაგზა იგი ჩერდებოდა, მეამბოხე მოხელეებს და დაუმორჩილებელ ტომის ბელადებს სასტიკად სჯიდა და წესრიგს ამყარებდა. ივლისის თვეში მურად IV არზურუმში ჩავიდა, შემდეგ ყარსში, იქიდან ერევნისაკენ გაემართა და ერთი კვირის ალყის შემდეგ აიღო ერევანი. ერევნის აღების შემდეგ სულთანი ანისისაკენ გაემართა, აიღო და იქიდან აზერბაიჯანში შეიჭრა, თავრიზი დაიკავა. ოსმალებმა ქვეყანა სასტიკად გაძარცვეს და დიდ ნადავლით უკან გამობრუნდნენ. ამავე დროს მათ დაიკავეს ახალციხე, გაამაგრეს და შიგ გარნიზონი ჩააყენეს.



მურად IV მიერ ბაღდადის აღება

საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში ლაშქრობის შემდეგ მურად IV სტამბოლში დაბრუნდა.

დედაქალაქში დაბრუნებამდე, მურადმა თავის მოხელეებს უბრძანა მოემზადებინათ სტამბოლში მისი საზეიმო დახვედრა. ასევე მან გასცა საიდუმლო ბრძანება – დაეხოცათ მისი ორი ძმა, რისი გაკეთებაც მან ადრე ვერ გაბედა იგი იმედოვნებდა, რომ ძმების შემზარავ კივილს ჩაახჩობდა ხალხის საზეიმო განწყობილება.

1636 წელს ირანელები შეტევაზე გადავიდნენ, აიღეს ერევანი და სცადეს ახალციხის დაკავება მაგრამ უშედეგოდ.

1638 წელს მურადმა ახალი ლაშქრობა მოაწყო ირანის წინააღმდეგ. გაზაფხულზე მან დატოვა სტამბოლი და ბაღდადისაკენ გაემართა და 15 ნოემბერს თავისი ლაშქრით ქალაქის ციხე გალავანს მიადგა ბაღდადისათვის ცხარე ბრძოლები გაიმართა და დეკემბერში ქალაქი აღებულ იქნა ამის შემდეგ მურად IV სტამბოლში დაბრუნდა, ხოლო დიდ ვეზირს ირანთან საზავო მოლაპარაკება დაავალა. 1939 წლის, მაისის თვეში ოსმალეთისა და ირანის წარმომადგენლებს შორის მოლაპარაკება დაიწყო სოფელ ზოჰაბის (კასრ შირინის მახლობლად). 18 მაისს დაიდო საზავო ხელშეკრულება, რომელიც ცნობილია ზოჰაბის ზავის სახელწოდებით.

ზოჰაბის ზავით დამთავრდა ოსმალეთ-ირანის ომები, რომლებიც მცირე შესვენებების და საზავო ხელშეკრულებებით 1514-1639 წლეში მიმდინარეობდა.

ამ ომების დროს ორ სახელმწიფოს შორის წარმოებდა ბრძოლა ხოლო აღმოსავლეთს და ამიერკავკასიაში ბატონობისათვის. ზოჰაბის ზავით საბოლოოდ დადგინდა საზღვარი ამ ორ ქვეყანას შორის. ოსმალეთ-ირანის საზღვარი გავიდა

ახალციხის, ყარსის, ვანის, შეჰრიზორის, ბაღდადისა და ბასრის აღმოსვლეთით. ოსმალეთმა და ირანმა გაინაწილეს საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი, ქურთისტანი და არაბული ქვეყნები. აზერბაიჯანი მთლიანად ირანს დარჩა. ხოლო არაბული ქვეყნები – ოსმალეთს. აღმოსავლეთი სომხეთი და აღმოსავლეთი ქურთისტანი – ირანს, ხოლო დასავლეთი სომხეთი და დასავლეთი ქურთისტანი – ოსმალეთს. ასევე აღმოსავლეთი საქართველო (ქართლ-კახეთი) ირანს დარჩა დასავლეთი საქართველო და სამცხე-საათაბაგო – ოსმალეთს. ზოჰაბის ზავი არ დარღვეულა 1723 წლამდე. ამიტომ მას საუკუნოვან ზავსაც უწოდებენ.

4. ოსმალეთის ურთიერთობა პოლონეთთან და კაზაკებთან

VII საუკუნის 30-იან წლებში ზაპოროჟიელმა კაზაკებმა განაახლეს თავდასხმები შავი ზღვის ოსმალეთის სანაპიროზე, რუმელიაში, რის გამოც გაუარესდა ოსმალეთის ურთიერთობა პოლონეთთან. ყირიმის ხანი აპირებდა კაზაკების წინააღმდეგ ლაშქრობას, მაგრამ სულთანმა მას დაავალა მონაწილეობა მიეღო ირანის წინააღმდეგ ლაშქრობაში. სულთანმა რუმელიაში განლაგებულ ოსმალეთის ჯარებს უბრძანა პოლონეთის წინააღმდეგ გაელაშქრათ, პოლონეთი ოსმალეთთან ომს მოერიდა და 1730 წელს ოსმალეთსა და პოლონეთს შორის დაიდო ხელშეკრულება, მაგრამ დაზავება დიდხანს არ გაგრძელებულა ორ ქვეყანას შორის არსებული დაძაბული მდგომარეობის გამო, 1634 წელს ოსმალეთის ლაშქარი პოლონეთისაკენ დაიძრა. პოლონეთის მთავრობამ, რათა თავიდან აეცილებინა ომი ოსმალეთთან, სულთანთან თავისი ელჩი გაგზავნა და ზავი შესთავაზა.

1634 წლის სექტემბარში ოსმალეთსა და პოლონეთს შორის ზავი დაიდო. ამ საზავო ხელშეკრულებით, პოლონეთს ყირიმის ხანისათვის ყოველწლიურად 41 ათასი ფლორინი უნდა გადაეხადა. იმავე დროს, პოლონეთი დათანხმდა ფადიშაჰისითვის ხარაჯა ეძლია, უნდა შეწყვეტილიყო ოსმალეთზე კაზაკთა თავდასხმები.

ზაპოროჟიელი კაზაკების ერთი ნაწილი უკმაყოფილო იყო მთავრობის პოლიტიკით. 4 ათასმა ზაპოროჟიელმა კაზაკმა მიატოვა თავისი საცხოვრებელი, დონზე მივიდა და დონის კაზაკებს შეუერთდა. მათ გადაწყვიტეს ერთობლივად ებრძოლათ ოსმალების წინააღმდეგ.

ოსმალეთ-ირანის ომით ისარგებლეს კაზაკებმა და 1637 წელს ხელთ იგდეს ქალაქი და ციხე-სიმაგრე აზოვი, ოსმალეთის ფორპოსტი მდ. დონის შესართავთან, რომელსაც დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. აზოვი იყო სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში ოსმალეთის ბატონობის ბურჯი. ამავე დროს, აზოვის მეშვეობით წარმოებდა არამარტო სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის, არამედ აგრეთვე რუსეთისა და შუა აზიის ვაჭრობა. ეს იყო მდიდარი, ძლიერ გამაგრებული ქალაქი.

1641 წელს, ირანთან ზავის დადების შემდეგ, სულთანმა აზოვის აღების მიზნით მრავალრიცხოვანი ჯარი და ფლოტი გაგზავნა, მაგრამ ვერ შეძლო მისი დაპყრობა. ალყა ოთხ თვეს გაგრძელდა. კაზაკებმა მოსკოვში დელეგაცია გაგზავნეს და რუსეთის მეფეს სთხოვეს აზოვი მის მფლობელობაში გადასულიყო.

რუსეთის მთავრობას არ სურდა ოსმალეთთან ურთიერთობის გამწვავება და ურჩია კაზაკებს, დაებრუნებინათ აზოვი თურქებისათვის. რუსეთის მეფის მიხეილის ბრძანებით, კაზაკები იძულებული გახდნენ 1642 წ. დაეტოვებინათ აზოვი.

1640 წლის დამლევს მურადს შეეყარა ციებ-ცხელება და ორი კვირის ავადმყოფობის შემდეგ იგი გარდაიცვალა 28 წლის ასაკში. სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე, როცა მიხვდა, რომ მისი მდგომარეობა უიმედოა, გადაწყვიტა დარჩენილიყო ოსმალეთის ისტორიაში დინასტიის უკანასკნელ მბრძანებლად. სულთანმა ბრძანა – სიკვდილით

დაესაჯათ მისი ერთადერთი გადარჩენილი ძმა იბრაჰიმი, ოსმალთა საგვარეულოს უშუალო მემკვიდრე. მაგრამ ეს არ შესრულდა მურადის დედის (ვალიდე) წყალობით. მან მურადი დაარწმუნა, რომ მისი ბრძანება შესრულებულია და იბრაჰიმი მკვდარია.

მურად IV-ის სულთნობის წლები ორ პერიოდად იყოფა: პირველი – გამეფებიდან (ე. ი. 1623 წლის 10 სექტემბრიდან) 1632 წლის 17 მაისამდე. მეორე – 1632 წლის 17 მაისიდან გარდაცვალებამდე.

პირველ პერიოდში, სულთნის მცირეწლოვანების გამო, მთელი სახელმწიფო საქმეები დედისა (ქოსემ სულთანი) და მისი ნდობით აღჭურვილი დიდმოხელეების ხელთ იმყოფებოდა და, ცხადია, დიდი იყო სასახლის ჰარამხანის გავლენა. ამ დროს სახელმწიფოს ხელისუფლება ძალზე დასუსტებული იყო.

მეორე პერიოდში მურად IV-მ ხელში აიღო მთელი ძალაუფლება. მან ჩააქრო აჯანყებული იენიჩარებისა და სიფაჰიების გამოსვლა და ჯარში მტკიცე წესრიგი დაამყარა. იგი სასტიკად გაუსწორდა აღზევებულ დიდმოხელეებს. ქვეყანაში ცეცხლითა და მახვილით დაამყარა წესრიგი. მურად IV-მ წარმატებით გაილაშქრა ირანის წინააღმდეგ და დაიპყრო ერევანი და ბაღდადი.

მურად IV-მ თავისი მოღვაწეობით შეძლო აღედგინა ქვეყნის სამხედრო და ეკონომიკური პოტენციალი. იგი ახალგაზრდა გარდაიცვალა და ვერ მოასწრო თავისი შესაძლებლობების სრულად რეალიზაცია. მურად IV იყო ჭკვიანი და ძლიერი პიროვნება.

ევლია ჩელების სიტყვებით, „მურად IV ოსმალეთის სულთნებს შორის იყო ყველაზე პირსისხლიანი და დესპოტი ფადიშაჰი“.

თავი XIII

ოსმალეთი XVII საუკუნის 40-80-იან წლებში

1. ოსმალეთის ეკონომიკური მდგომარეობა XVII საუკუნის 40-50-იან წლებში

XVII საუკუნის 40-იან წლებიდან ევროპის ქვეყნებში ფეოდალიზმის რღვევას თანდათანობით ცვლის კაპიტალისტური წყობილება, რაც იწვევს საწარმოო ძალების ზრდას და ეკონომიკურ განვითარებას. შესაბამისი ცვლილებები ხდება სამხედრო სისტემასა და ორგანიზაციაში. იზრდება ევროპის ქვეყნების სამხედრო პოტენციალი.

სულ სხვა ვითარება იყო ოსმალეთში. XVII საუკუნის დამდეგიდან ოსმალეთის იმპერიაში იწყება მწვავე ფინანსური კრიზისი. ამას გარკვეულად ხელი შეუწყო „ფასების რევოლუციამ“, რომლის მიზეზი იყო ამერიკიდან იაფი ოქროსა და ვერცხლის შემოტანა და რომელიც გავრცელდა ოსმალეთის იმპერიაშიც. „ფასების რევოლუციის“ შედეგად გაუფასურდა თურქული ვერცხლის მონეტა და ინფლაციამ მაღალ დონეს მიაღწია. თავის მხრივ ინფლაციამ გამოიწვია საქონელზე და განსაკუთრებით სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე, ფასების სწრაფი ზრდა და გადასახადების გადიდება. ყოველივე ამის შედეგად ხალხის მასების მდგომარეობა გაუარესდა.

ამავე დროს გეოგრაფიული აღმოჩენების შედეგად მოხდა სავაჭრო გზების გადანაცვლება და ოსმალეთი დაშორდა მთავარ სავაჭრო მაგისტრალებს, რის შედეგადაც სატრანზიტო გზებიდან სახელმწიფო შემოსავალი შემცირდა.

XVII საუკუნის 40-იანი წლების დამდეგისათვის ოსმალეთის იმპერიის ფინანსური და ეკონომიკური მდგომარეობა გაუარესდა. შემცირდა სახელმწიფო ხაზინის შემოსავალი, მაგრამ მურად IV-ის მიერ გატარებული ენერგიული ზომების წყალობით შესაძლებელი გახდა სახელმწიფო შემოსავლის გაზრდა 300 მილიონი ახჩიდან 1597 წელს – 550 მილიონ ახჩამდე 1643 წელს. მაგრამ 1648 წლისათვის შემოსავალი კვლავ შემცირდა 362 მილიონ ახჩამდე. სახელმწიფო შემოსავალი მცირდებოდა მომდევნო წლებშიც. ასე მაგალითად, 1650 წლიდან 60-იანი წლების დასაწყისამდე სახელმწიფო დეფიციტი გაიზარდა 154 მილიონიდან 175 მილიონ ახჩამდე. განსაკუთრებით ძვირი ჯდებოდა სახელმწიფოს კმაყოფაზე მყოფი ჯარის შენახვა. მურად IV-მ შეამცირა ამ სახის სამხედრო ნაწილების რიცხვი 60 ათასამდე. მაგრამ მისმა უახლოესმა მემკვიდრეებმა კვლავ გაზარდეს მათი რიცხვი 100 ათასამდე. სულთნის ხელისუფლებამ, რათა დაეფარა სახელმწიფოს ხარჯების დეფიციტი, დაიწყო უხარისხო ფულის მოჭრა, რაც კიდევ უფრო მეტად აუარესებდა ფინანსურ მდგომარეობას. 1651 წელს მოჭრილ იქნა ისეთი დაბალი ხარისხის მონეტები, რომ დუკატის ღირებულება გაიზარდა 51-დან 160 ახჩამდე. ამან გამოიწვია ფასების ზრდა, ვაჭრობის მოშლა, ხალხის მდგომარეობის გაუარესება და სოციალური გამოსვლები.

დაიწყო თანამდებობების გაყიდვა. მაგალითად, სულთან იბრაჰიმ I ყიდდა პროვინციის გამგებლებისა და ვეზირის თანამდებობებს, ხოლო დიდი ვეზირი კი – სხვა უფრო დაბალ სახელმწიფო თანამდებობებს. მაგალითად, ყადის თანამდებობა იყიდებოდა 3-დან 4 ათას ახჩამდე.

ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების შედეგად იწყება გამოსვლები მცირე აზიაში, არაბულ ქვეყნებში, ბოსნიაში, ტრანსილვანიაში და სხვ.

მრავალრიცხოვანმა გადასახადებმა და განსაკუთრებით კი მონეტის ფალსიფიკაციამ გამოიწვია სტამბოლის ხელოსნებისა და ვაჭრების მღელვარება.

1651 წლის 21 აგვისტოს ვაჭრები და ხელოსნები გაემართნენ დიდი ვეზირის რეზიდენციისაკენ და მოითხოვეს შეწყვეტილიყო ფულის გაყალბება. მაგრამ დიდმა ვეზირმა არ მოისურვა მათი მიღება. მაშინ მათ მიმართეს შეიხულ-ისლამს და სთხოვეს მას ზეგავლენა მოეხდინა დიდ ვეზირზე, თუმცა შეიხულ-ისლამი შეეცადა ამისათვის თავი აერიდებინა, მაგრამ იგი ძალით შესვეს ცხენზე და წაიყვანეს დიდი ვეზირის რეზიდენციაში. ამ მღელვარებაში მონაწილეობდა 50 ათასი ხელოსანი, ვაჭარი და ქალაქის ღარიბი მოსახლეობა. ისინი აღარ დაკმაყოფილდნენ დიდ ვეზირთან მოლაპარაკებით და მოითხოვეს შეხვედრა მჰმედ IV-თან. მათ შესჩივლეს სულთანს, რომ მიმდინარე წელს უნდა გადაეხადათ 14 სახის გადასახადი და მოითხოვეს შეწყვეტილიყო მონეტების გაყალბება. სულთანი იძულებული შეიქნა დაეკმაყოფილებინა მათი მოთხოვნა. ხელოსნებმა და ვაჭრებმა სულთანს ახალი მოტხოვნა წაუყენეს – დაესაჯათ 16 დიდმოხელე და მათ შორის დიდი ვეზირი მელიქ აჰმედ ფაშა. სულთანმა ეს მოთხოვნაც დააკმაყოფილა. დიდი ვეზირი და სხვა დიდმოხელეები თანამდებობებიდან გადააყენეს.

2. ოსმალეთის პოლიტიკური მდგომარეობა XVII საუკუნის 40-50-იან წლებში

მურად IV-ის გარდაცვალების შემდეგ ტახტზე ავიდა მისი ძმა იბრაჰიმ I (1640-1648). იგი განცხრომით ცხოვრებას იყო მიჩვეული, გატაცებული იყო სასახლეებისა და დღესასწაულების მოწყობით, რაზედაც დიდძალი ფული იხარჯებოდა. იბრაჰიმი იყო სუსტი ნებისყოფის ადამიანი, შესაძლებელია ეს განაპირობა სერალში კარჩაკეტილმა ცხოვრებამ. უპრინციპო სულთანი განსაკუთრებით დიდ მისწრაფებას იჩენდა ჰარამხანისადმი. მისი ჯაშუშები შედიოდნენ აბანოში ლამაზი ქალების აღმოსაჩენად, რათა დაეკმაყოფილებინათ სულთნის გატაცებანი. ფავორიტ ქალებს უფლება ეძლეოდათ ბაზრებში უფასოდ შეეძინათ ყველაფერი, ხოლო იმათთვის, ვისაც სურდა ნივთების შეძენა ღამით, სულთნის ბრძანებით, ღია იყო მაღაზიისა და დუქნების კარები. ერთის მოთხოვნით მან წვერი დაიმშვენა ძვირფასი ქვებით და ამით გამოიწვია საყოველთაო უკმაყოფილება, რადგანაც ამაში დაინახეს ფარაონების ტრადიციის გავრცელება.

მურად IV-ის მიერ ეკონომიის შედეგად დაგროვილი სახსრები თანდათანობით ამოიწურა და მთავრობამ დაიწყო უხარისხო ფულის მოჭრა, რაც კიდევ უფრო აუარესებდა მდგომარეობას.

ამ პერიოდში მოხდა მნიშვნელოვანი ამბავი. მთავრობამ გადაწყვიტა დაეპყრო კუნძული კრეტა (კანდია) და ამით გაეზარდა სახელმწიფო შემოსავალი. 1645 წელს ოსმალეთის ჯარები გადასხდნენ კუნძულზე და შეუდგნენ მის დაპყრობას. XIII საუკუნიდან კრეტა ვენეციელების მფლობელობაში იმყოფებოდა და მას ისინი უაღრესად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ, მეტადრე მას შემდეგ, რაც ოსმალებმა დაიპყრეს კუნძულები როდოსი და კვიპროსი. კრეტა იყო ვენეციელების მთავარი დასაყრდენი და მნიშვნელოვანი სავაჭრო პუნქტი ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ რეგიონში. ამ ომის დროს ინგლისმა მხარი დაუჭირა ოსმალეთს, რადგან დაინტერესებული იყო ამ რეგიონში ვენეციელების სავაჭრო პოზიციების დასუსტებით. ადგილობრივმა მოსახლეობამ მედგარი წინააღმდეგობა გაუწია თურქებს და კრეტას დაპყრობა ორ ათეულ წელზე მეტხანს გაგრძელდა. ვენეციამ მოახდინა ეგეოსის ზღვაზე მდებარე არქიპელაგის კუნძულებისა და დარდანელის სრუტის ბლოკირება.

ყოველივე ამის გამო, მნიშვნელოვნად შემცირდა სტამბოლის სავაჭრო ურთიერთობა ეგვიპტესა და იმპერიის სხვა პროვინციებთან. დედაქალაქში მწვავედ იგრძნობოდა სურსათ-სანოვაგის ნაკლებობა. ვაჭრობის შემცირების შედეგად შემცირდა სახელმწიფოს შემოსავალი.

ამ პერიოდში გაჩაღდა ბრძოლა ძალაუფლების მოსაპოვებლად სასახლის სხვადასხვა დაჯგუფებებს შორის. სახელმწიფო გადატრიალების შედეგად, რომელშიც აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ იენიჩარები, იბრაჰიმ I ტახტიდან ჩამოაგდეს და მოკლეს და 1648 წლის 8 აგვისტოს ტახტზე აიყვანეს მისი 7 წლის ვაჟიშვილი მეჰმედ IV (1648-1687). მეჰმედის მეფობის პირველ წლებში სახელმწიფოს საქმეებში აქტიურად ერეოდნენ მისი ბებია ქოსემ სულთანი და დედამისი თურჰან სულთანი. ორ ქალს შორის ქიშპობა დამთავრდა 1651 წლის 2 სექტემბერს ქოსემ სულთნის მკვლელობით.

ოსმალეთ-ვენეციის ომი კრეტასათვის გრძელდებოდა. ოსმალეთის ეკონომიკურმა დაქვეითებამ და ქვეყნის შიგნით არსებულმა არეულობამ გამოიწვია ქვეყნის სამხედრო ძალების შემდგომი დასუსტება. დაეცა ოსმალეთის არმიის საბრძოლო სულისკვეთება. ადგილი ჰქონდა იენიჩართა გამოსვლებს. ჯარში დისციპლინა იმდენად იყო დაცემული, რომ 1649 წელს კრეტას ერთ-ერთი ციხის ალყის დროს ჯარიკაცებმა თვითნებურად მიატოვეს ბრძოლის ველი.

ვენეციელებმა ზღვაზე ოსმალეთის წინააღმდეგ გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს. 1651 წლის ივნისში ოსმალეთის 100 გემისაგან შემდგარი ფლოტი დამარცხდა ვენეციის 60 გემთან ბრძოლაში. 1656 წლის ივლისში დარდანელთან ვენეციელებმა ოსმალეთის 76 გემისაგან შემდგარი ფლოტის ნაწილი ჩაძირეს და ნაწილი ხელთ იგდეს. ასეთი მარცხი ოსმალეთის ფლოტს არ განუცდია 1571 ლეპანტოსთან დამარცხების შემდეგ. ვენეციელებმა ხელთ იგდეს კუნძულები ტენედოსი, სამოთრაკია, ლემნოსი და მოახდინეს სრუტეების ბლოკირება, რამაც გამოიწვია სტამბოლის სურსათ-სანოვაგით მომარაგების შეფერხება, პროდუქტებზე ფასების ზრდა და მოსახლეობის დიდი უკმაყოფილება. არ წყდებოდა გამოსვლები მცირე აზიაში, სირიაში და იმპერიის სხვა პროვინციებში.

ასეთ ვითარებაში კვლავ გამწვავდა სულთნის კარზე ხელისუფლებისათვის ბრძოლა სხვადასხვა დაჯგუფებებ შორის. ერთმა ჯგუფმა, რომელსაც მეთაურობდა შეიხულ-ისლამი, მიზნად დაისახა, მცირეწლოვანი მეჰმედ IV-ის ტახტიდან ჩამოგდება. შეთქმულება გამჟღავნდა და მისი მეთაური 1656 წლის 2 სექტემბერს სიკვდილით დასაჯეს.

3. ქოფრულუები — ოსმალეთის დიდი ვეზირები

ასეთ რთულ ვითარებაში ოსმალეთის მმართველი წრეები გამოსავალს ხედავდნენ იმაში, რომ მოეძებნათ თავიანთ წრეში ისეთი პიროვნება, რომელიც დიდი ვეზირის თანამდებობაზე შესძლებდა რკინის ხელებით ქვეყანასა და არმიაში წესრიგის დამყარებას. მათ გამონახეს ასეთი პიროვნება. ეს იყო ქოფრულუ მეჰმედ ფაშა. იგი გამოსული იყო ღარიბი ოჯახიდან. მან დაიწყო სამსახური სულთნის სამხარეულოში, შემდეგ კი თავისი ბუნებრივი მონაცემების, ნებისყოფით, ვაჭკაცობითა და სიდინჯით შეძლო მიეღწია სახელმწიფოს უმაღლესი თანამდებობისათვის, თუმცა წერა-კითხვა არ იცოდა. მეჰმედ ქოფრულუ დათანხმდა დიდი ვეზირის თანამდებობის დაკავებას შემდეგი პირობით: ყველა მისი ღონისძიება მოწონებული იქნებოდა განხილვის გარეშე. მას უნდა ჰქონოდა უფლება დაენიშნა და გადაეყენებინა ნებისმიერი რანგის



დიდი ვეზირი ქოფრულუ მეჰმედ ფაშა

მოხელე; არცერთი ვეზირი, დიდმოხელე ან ფავორიტი არ შეეცილებოდა მას ხელისუფლებას; სასახლეში გაგზავნილი ყველა წერილი წინასწარ უნდა წაეკითხა; მას უნდა ჰქონოდა სულთნის განსაკუთრებული ნდობა. ერთი სიტყვით, იგი მოითხოვდა აბსოლუტურ ხელისუფლებას, რომლითაც მანამდე, სულთნის გარდა არავინ სარგებლობდა.

1656 წლის 15 სექტემბერს ქოფრულუ მეჰმედ ფაშა დაინიშნა დიდ ვეზირად 75 წლის ასაკში და ეს თანამდებობა მას სიკვდილამდე ეკავა (1661 წლის 30 ოქტომბრამდე). იგი წარმოშობით ალბანელი იყო.

მეჰმედ ქოფრულუ იყო ფრიად გამოცდილი კაცი, სახელმწიფო აპარატის კარგი მცოდნე, ენერგიული ადამიანი, რომელსაც სიტყვას საქმე ერჩია. დიდ ვეზირად ყოფნის დროს მან გამოამჟღავნა სახელმწიფო მოღვაწის დიდი უნარი, გონივრულობა და დესპოტური ხასიათი, დაუნდობლობა, ეშმაკობა, გულგრილობა და გამბედაობა. იგი რკინის ნებისყოფის ადამიანი იყო. ძალითა და ეშმაკობით იგი ახშობდა ფეოდალთა, ჯარისკაცთა და გლეხთა აჯანყებებს. მეჰმედ ქოფრულუმ თავისი ვეზირობის დროს სიკვდილით დასაჯა 35 ათასი კანონის დამრღვევი, მათ შორის თავისი ხელით – 4 ათასი. დასჯილთა თავები ჩამოჰქონდათ სტამბოლში და ალაგებდნენ პირამიდებად სასახლის წინ. ბრძანებას სიკვდილით დასჯის შესახებ იგი იძლეოდა დაბალი ხმით, ღიმილითაც კი. ეს ღიმილი ახდენდა მის მოწინააღმდეგეზე საშინელ შთაბეჭდილებას. მან თავისი მკაცრი და სასტიკი ღონისძიებებით განამტკიცა ცენტრალური ხელისუფლების ავტორიტეტი და რამდენადმე დაამყარა წესრიგი სახელმწიფოში.

მეჰმედ ქოფრულუმ ჩაატარა თიმარების ხელახალი რეგისტრაცია და ამის შედეგად განამტკიცა თიმარიოტებს შორის დისციპლინა და გაზარდა ფეოდალური ლაშქრის რიცხვი. იძულებითი მეთოდებით შეძლო სახელმწიფო ხაზინის შევსება. კერძოდ, მან მოახდინა ვაკუფების შემოსავლისა და სულთნის პირადი სალაროს შემოსავლის ნაწილის სახელმწიფო ხაზინაში ჩარიცხვა. ამან მას საშუალება მისცა გაეძლიერებინა არმია, განსაკუთრებით ფლოტი და წარმატება მოეპოვებინა ვენეციელების წინააღმდეგ ომში.

მეჰმედ ქოფრულუმ მკაცრი პოლიციურ-ადმინისტრაციული ღონისძიებებით კიდევ ერთხელ არსებობა გაუხანგრძლივა გახრწნის გზაზე მყოფ თიმარულ სისტემას, აამაღლა ცენტრალური ხელისუფლების ავტორიტეტი და რამდენადმე დაამყარა წესრიგი სახელმწიფოში.

მეჰმედ ქოფრულუს ერთ-ერთ მთავარ ამოცანას შეადგენდა არმიაში დისციპლინის აღდგენა, მეომართა შორის სიამაყის გრძნობის გაღვივება. მას სურდა არმიაში არსებული გაითიშვა-დაპირისპირება მოესპო და გაეგზავნა ისინი საზღვარგარეთ საბრძოლველად. ქოფრულუს ხელმძღვანელობით ვენეციელები სწრაფად განდევნეს დარდანელის სრუტიდან, ოსმალეთს დაუბრუნდა კუნძულები ტენედოსი და ეუმნოსი,

მისი ბრძანებით ააგეს სრუტის დასაცავად ორი ციხე-სიმაგრე. ყველაფერმა ამან დაარწმუნა სამხედრო ძალები ოსმალეთის ფლოტის სიძლიერის მოპოვების შესაძლებლობაში. ქოფრულუს მიერ მიღებული ზომების შედეგად პორტებში კვლავ აღდგა თურქების უფლებები, გაიხსნა კომუნიკაციები, რომლებიც უკავშირდებოდა კუნძულ კრეტას. მიუხედავად იმისა, რომ ოსმალეთის ფლოტმა ვერ შეძლო თავისი ბატონობის დამყარება ხმელთაშუა ზღვაზე, სიტუაცია მაინც შეიცვალა უკეთესობისაკენ.

იმ დროს, როდესაც მეჰმედ ქოფრულუ მთელ სახელმწიფო საქმეებს განაგებდა, ახალგაზრდა მეჰმედ IV ნადირობით იყო გართული.



დიდი ვეზირი ფაზილ ახმედ ფაშა

მეჰმედ IV ცხოვრების უმეტეს ნაწილს ნადირობაში ატარებდა. ნებისმიერი ნადირი იპყრობდა მის ყურადღებას. ამიტომ მას მეტსახელად შეარქვეს „დიდი მონადირე". სულთნის გატაცება ძვირად უჯდებოდა მის ქვეშევრდომებს. ერთხელ მისი ბრძანებით შეკრიბეს 30 თუ 40 ათასი გლეხი, რომელთაც ოთხი დღის მანძილზე უნდა ეკაკუნათ ხეებზე, რათა ალყაში მოექციათ გარეული ფრინველი და ნადირი, რომელთაც დიდი ნადირობის დღეს სულთანი ანადგურებდა, რასაც თან სდევდა დიდი ხმაური და აურზაური. ამგვარი ნადირობა დიდ ხარჯებთან იყო დაკავშირებული, ამიტომ გლეხებიდან იღებდნენ დამატებით გადასახადებს. ოსმალეთის მბრძანებლის ნადირობისადმი ტრფიალი უსაზღვრო იყო, მისი ბრძანებით ძალიან ხშირად საზღვარგარეთიდან, კერძოდ რუსეთიდან, ჩამოჰყავდათ ჯიშიანი მეძებრები და შევარდნები. თუ კარის პოეტები ხოტბასა და ქება-დიდებას ასხამდნენ მისი წინაპრების სამხედრო გამარჯვებებს, ამჯერად ხოტბის საგანი სულთნის ნადირობა იყო. თვითონ მეჰმედი აღწერდა თავის სანადირო გმირობას. აგრეთვე ზუსტად იყო აღრიცხული მის მიერ მოკლული ყველა ფრინველი და ნადირი.

მეჰმედ ქოფრულუმ სიკვდილის წინ მეჰმედ IV-ს უანდერძა, რომელიც იმ დროს 30 წლისა იყო, ემოქმედა ოთხი პრინციპით: არასოდეს მიეღო ქალის რჩევა; მუდამ ჰყოლოდა მზად შეკაზმული ცხენი; სახელმწიფო ხაზინა ჰქონოდა საავსე; არმია ყოველთვის მუდმივ მზადყოფნაში ყოფილიყო. აქედან სულთანი ასრულებდა მხოლოდ ერთ პირობას – მუდამ მზადყოფნაში ჰყავდა ცხენი და ისიც ნადირობისათვის.

მეჰმედ IV-ს ისე მოეწონა მეჰმედ ქოფრულუს მმართველობა, რომ გადაწყვიტა დიდი ვეზირის თანამდებობა მემკვიდრეობით გადაეცემოდა ქოფრულუების გვარს. სულთანმა სიკვდილის შემდეგ დიდი ვეზირის თანამდებობა უბოძა მის ვაჟს ფაზილ აჰმედ ფაშას, რომელსაც მიღებული ჰქონდა თავისი დროისათვის კარგი განათლება. ფაზილ აჰმედ ფაშას ეს თანამდებობა ეკავა 15 წლის განმავლობაში (1661-1676 წწ.). იგი ახალგაზრდა გარდაიცვალა 41 წლის ასაკში. მისი სიკვდილის შემდეგ ეს თანამდებობა კვლავ ქოფრულუების გვარის წარმომადგენელს ყარა მუსტაფა ფაშას გადაეცა (1676 წ). მანაც ბარკვეული ღონისძიებები გაატარა ქვეყნის მდგომარეობის

გაუმჯობესების მიზნით, მაგრამ 1683 წელს ვენასთან ოსმალეთის არმიის დამარცხების გამო განრისხებულმა სულთანმა იგი სიკვდილით დასაჯა. ამის შემდეგ დამთავრდა ჰოფრულეების გვარის წარმომადგენლების დანიშვნა დიდი ვეზირების თანამდებობაზე.

4. ურთიერთობა ევროპის ქვეყნებთან

მეჰმედ ქოფრულუმ შეძლო სხვადასხვა ღონისძიებებით გაეძლიერებინა არმია და განსაკუთრებით ფლოტი და დაებრუნებინა ვენეციელებისაგან მიტაცებული კუნძულები, მათ შორის კუნძული ლემნოსი.

ვენეციამ ფართო დიპლომატიური საქმიანობა გააჩაღა ანტიოსმალური კოალიციის შესაქმნელად. ამ მიზნით მან მიმართა რომის პაპს, აგრეთვე ესპანეთს, პოლონეთს და გერმანიის სამეფოებს.

ვენეციამ გადადგა აგრეთვე ნაბიჯები უკრაინის ჰეტმან ბოგდან ხმელნიცკისთან კავშირის დასამყარებლად, რაც მიზნად ისახავდა ზაპოროჟიელი კაზაკების ჩათრევას ოსმალეთის წინააღმდეგ ომში. 1650 წელს ვენეციის ელჩმა რომში საგრძნობლად უკრაინაში გაგზავნა ალბერტო ვიშინი. ბოგდან ხმელნიცკისთან საუბარში მან განაცხადა, რომ უკვე 22 თვეა, რაც ვენეციის ფლოტმა მოახდინა დარდანელის სრუტის ბლოკირება.

შექმნილ ვითარებაში ოსმალეთის მთავრობა დაინტერესებული იყო, მეგობრული ურთიერთობა დაემყარებინა უკრაინასთან და ამით ხელი შეეშალა მისი ჩაბმისათვის ანტიოსმალურ კოალიციაში.

ამასთან ერთად, ოსმალეთი ცდილობდა კაზაკების თავდასხმების შეწყვეტას შავ ზღვაზე და ამ რეგიონში ვაჭრობის გაფართოებას.

შავი ზღვის რეგიონის ქვეყნები სტამბოლს ამარაგებდნენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით, ნედლეულით, მონებით და სხვადასხვა საქონლით. შექმნილ ვითარებაში, შავიზღვისპირეთის ქვეყნებთან ვაჭრობასა და ეკონომიკურ ურთიერთობას ოსმალეთისათვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

1649 წლის თებერვალში, პერეიასლავლში, სადაც იმ დროს იმყოფებოდა ჰეტმანი ბოგდან ხმელნიცკი, ჩავიდა თურქეთის ელჩი ოსმან აღა. მან განაცხადა, რომ ოსმალეთი მზადაა აღმოუჩინოს კაზაკებს სამხედრო დახმარება პოლონეთთან ომში და ხელი მოაწეროს სავაჭრო ხელშეკრულებას. ელჩის სიტყვებით, სულთანმა უკვე უბრძანა ყირიმის ხანსა და სილისტრიის ფაშას მისულიყვნენ ჰეტმან ბოგდან ხმელნიცკისთან დახმარების აღმოსაჩენად.

დაიწყო მოლაპარაკება, რომლის შედეგადაც ოსმალეთსა და უკრაინას შორის დაიდო სავაჭრო ხელშეკრულება. მას ეწოდება: „ხელშეკრულება დადებული ოსმალეთის სულთნის მიერ ზაპოროჟიელ ჯართან და რუს ხალხთან შავ ზღვაზე ვაჭრობის შესახებ 1649 წელს“. ეს ხელშეკრულება მეტად მნიშვნელოვანია შავ ზღვაზე ვაჭრობისა და ნაოსნობის შესასწავლად. ხელშეკრულება შედგება მოკლე შესავლისა და ცამეტი მუხლისაგან. თავისი შინაარსით იგი მოგვაგონებს იმ კაპიტულაციებს, რომლითაც ოსმალეთის სულთანი თავისი ნებით ანიჭებდა პრივილეგიებსა და შეღავათებს ევროპელ ნეგოციანტებს ვაჭრობის საქმეში.

ხელშეკრულების პირველ ოთხ მუხლში საუბარია იმ უფლებებსა და პრივილეგიებზე, რომლებიც ენიჭებოდა უკრაინელ კომერსანტებს ოსმალეთთან ვაჭრობის დროს.

ოსმალეთის სულთანი უფლებას აძლევდა ზაპოროჟიელ სავაჭრო გემებს თავისუფლად ეცურათ შავ ზღვაზე, შესულიყვნენ ოსმალეთის სახელმწიფოს ნებისმიერ

პორტსა და ქალაქში, აგრეთვე გასულიყვნენ ხმელთაშუა ზღვაში და თავისუფლად ეწარმოებინა ვაჭრობა როგორც ოსმალეთთან, ასევე ქრისტიანულ ქვეყნებთან.

უკრაინელ ვაჭრებს ნება ეძლეოდათ შავი და ხმელთაშუა ზღვების პორტებსა და ქალაქებში ჰქონოდათ საწყობები და საცხოვრებელი სახლები, რომლებიც არ დაიბეგრებოდა გადასახადით.

ზაპოროჟიელი ჯარისა და ვაჭრების ინტერესების დასაცავად სტამბოლში უნდა გახსნილიყო მათი წარმომადგენლის – ნაცვლის რეზიდენცია, რომელიც უფლებამოსილი იქნებოდა ყოველგვარი პატივითა და იქნებოდა უსაფრთხოების გარანტია. მეორე მხრივ, ზაპოროჟიელ ჯარსაც ეყოლებოდა სულთნის ნაცვალი თავის სანავსადგურო ქალაქში. მის მოვალეობას შეადგენდა აგრეთვე საბუთების გაცემა გემებითა და გალერებით თავისუფალი ნაოსნობისათვის.

მომდევნო ოთხი მუხლი ეხებოდა შავ ზღვაზე ნაოსნობისა და ვაჭრობის უსაფრთხოებას და სიმშვიდის დამრღვევთა მიმართ სასჯელს. ამ მიზნით ზაპოროჟიელ ჯარს უნდა აეგო სანავსადგურო ქალაქი დნეპრსა და ბუგს შორის. ოსმალეთის სულთნის წყალობა ზაპოროჟიელი კაზაკებისა და უკრაინელი ვაჭრების მიმართ შემთხვევითი არ იყო. ეს გაპირობებული იყო შავ ზღვაზე შექმნილი მდგომარეობით. ეს ხელშეკრულება ორივე მხარისათვის ხელსაყრელი იყო.

1648 წელს ვესფალის ზავით დამთავრდა 30-წლიანი ომი ცენტრალურ ევროპაში. ამ ომში ავსტრიამ და ესპანეთის ჰაბსბურგებმა განიცადეს დიდი ტერიტორიალური დანაკლისი. ამის სანაცვლოდ ავსტრიამ გადაწყვიტა ხელთ ეგდო ოსმალეთის ბატონობის ქვეშ მყოფი უნგრეთი და ამით მოეხდინა დაკარგული ტერიტორიების ნაწილობრივი კომპენსაცია. ეს საფრთხე ოსმალეთისათვის საკმაოდ რეალური გახდა, რადგან მისი ყოფილი მოკავშირე საფრანგეთი დაუახლოვდა ავსტრიას. ლუი XIV-მ აშკარა დახმარება აღმოუჩინა ავსტრიას, რომელსაც მან დიდი ფულადი სახსრები და 30 ათასი ჯარისკაცისაგან შემდგარი არმია გაუგზავნა. ფრანგი მეფეები კვლავ ოცნებობდნენ ოსმალების ევროპიდან განდევნაზე. ამ გზით მათ უნდოდათ აგრეთვე შური ეძიათ ოსმალებზე ინგლისელებთან და პოლონელებთან დაახლოებისათვის.

ვენაცია კრეტაზე თითქმის 24 წლის განმავლობაში წინააღმდეგობას უწევდა ოსმალებს, მაგრამ მაინც იძულებული გახდა 1669 წელს კუნძული ოსმალეთისათვის დაეთმო.

უფრო წარმატებით აწარმოებდა ბრძოლას ავსტრია. 1664 წელს ოსმალები დამარცხდნენ სენ-გოტართან და იძულებული გახდნენ ზავი ეთხოვათ, იმავე წელს დაიდო ზავი 24 წლის ვადით.

ავსტრიასთან დაზავების შემდეგ, ოსმალეთი დაუყოვნებლივ ჩაება უკრაინისათვის ბრძოლაში და მის დაპატრონებას ლამობდა.

1654 წელს, რუსეთის მიერ უკრაინის შეერთების შემდეგ, რუსეთის საზღვარი მნიშვნელოვნად გადაიწია სამხრეთისაკენ და მიუახლოვდა შავი ზღვის ნაპირებს. რუსეთის ამ აქციამ დიდი შეშფოთება გამოიწვია პოლონეთსა და ოსმალეთში, რასაც მოჰყვა ომი ჯერ პოლონეთთან, ხოლო შემდეგ – ოსმალეთთან.

1654-1667 წლებში რუსეთს ომი ჰქონდა პოლონეთთან. პოლონეთს მხარი დაუჭირა ყირიმის ხანმა. ომის შედეგად ორივე მხარემ საგრძნობი დანაკლისი განიცადა. 1667 წელს ანდრუსოვში მათ შორის დაიდო ზავი. ხელშეკრულებით რუსეთს დარჩა უკრაინის მარცხენა სანაპირო, ხოლო უკრაინის მარჯვენა სანაპირო – პოლონეთს. კიევი, რომელიც თუმცა დნეპრის მარჯვენა სანაპიროზე მდებარეობს, რუსეთს გადაეცა ორი წლით.

1666 წელს ოსმალეთმა დაიწყო ომი პოლონეთთან უკრაინისათვის. ოსმალეთი აპირებდა აგრეთვე უკრაინის მარცხენა სანაპიროს დაპყრობასაც. საერთო საფრთხემ რუსეთი და პოლონეთი ერთმანეთს დაუკავშირა. 1672 წელს მათ შორის დაიდო ხელშეკრულება და რუსეთი დაპირდა დახმარებას, რის შესახებ მათ სულთანს აცნობეს და მოითხოვეს ომის შეწყვეტა. 1672 წელს ოსმალეთის ჯარები შეიჭრნენ პოლონეთსა და უკრაინის მარჯვენა სანაპიროზე, ამან აიძულა პოლონეთი დათმობაზე წასულიყო. ამავე წელს ხელმოწერილ იქნა ზავი. ამ ხელშეკრულების საფუძველზე ოსმალეთს გადაეცა მთელი პოდოლია და კამენეც-პოდოლსკი. პოლონეთი იძულებული გახდა დაეთმო უკრაინის სამხრეთი ნაწილიც და ოსმალეთისათვის ყოველწლიურად გადაეხადა 22 ათასი ჩერვონეცი კონტრიბუცია, მაგრამ პოლონეთის სეიმმა არ დაამტკიცა ეს ხელშეკრულება და ომი კვლავ განახლდა. 1673 წელს პოლონელებმა სასტიკად დაამარცხეს ოსმალები, მაგრამ ვერ გამოიყენეს ეს გამარჯვება.

1676 წელს ოსმალეთსა და პოლონეთს შორის დაიდო ზავი. ახალი ხელშეკრულებით, ოსმალეთმა პოლონეთს უკრაინაში დაპყრობილი ტერიტორიის ნაწილი – პოდოლია დაუთმო. ამის შემდეგ პორტა შეუდგა რუსეთის წინააღმდეგ ომის სამზადისს.

1677 წელს ოსმალეთის 100 ათასიანი არმია და ყირიმის ხანი თავისი ლაშქრით უკრაინაში შეიჭრა, კიევის ხელში ჩაგდების მიზნით. მაგრამ დნეპრზე გადასვლისას ოსმალეთის ჯარები დამარცხდნენ. შემდგომში მათ ცდებს წარმატება არ ჰქონია, მაგრამ არც რუსეთს გააჩნდა სათანადო ძალები, რათა ოსმალები განედევნა უკრაინის მიწა-წყლიდან. 1681 წლის 13 იანვარს ბახჩისარაიში დაიდო ზავი 20 წლის ვადით. რუსეთს დარჩა უკრაინის მარცხენა სანაპირო და კიევი, ხოლო უკრაინის მარჯვენა სანაპირო – ოსმალეთს. სულთანმა აიღო ვალდებულება, რომ ყირიმის ხანი შეწყვეტდა თავდასხმებს რუსეთის მიწა-წყალზე, მაგრამ ყირიმის ხანი არ ასრულებდა ამ შეთანხმებას.

თავი XIV

ოსმალეთის ომი საღმრთო ლიგასთან

1. საომარი ოპერაციები საღმრთო ლიგის სახელმწიფოებთან

სენ-გოტართან ავსტრიასთან დამარცხების შემდეგ ოსმალეთმა განიზრახა აეღო რევანში. ომის დაწყების საბაბი გახდა უნგრელი ფეოდალების ერთი ნაწილის მიმართვა სულთანისადმი – აღმოეჩინა დახმარება ჰაბსბურგების წინააღმდეგ ბრძოლაში. ოსმალეთის მოქმედების საპასუხოდ ავსტრიამ კავშირი შეკრა ბავარიის კურფიურსტთან და შვედეთის მეფესთან. პოლონეთთან დაიდო ხელშეკრულება ოსმალეთის წინააღმდეგ ერთობლივი მოქმედების შესახებ.

1683 წელს ოსმალეთის ჯარები შეიჭრნენ უნგრეთის ტერიტორიაზე და დაამარცხეს ავსტრიელები. მოპოვებული გამარჯვებით წახალისებულმა დიდმა ვეზირმა ყარა მუსტაფა ფაშამ გადაწყვიტა შეტევა დაეწყო ავსტრიის დედაქალაქის წინააღმდეგ და მის დასაპყრობად გაემართა. 14 ივლისს ოსმალეთის 100 ათასიანმა არმიამ 300 ზარბაზნით აღჭურვილმა, ვენას ალყა შემოარტყა. ვენის მდგომარეობა მეტად კრიტიკული იყო, ვინაიდან მისი გარნიზონი 20 ათას კაცს არ აღემატებოდა. არც ქალაქის ციხე-სიმაგრე იყო მომზადებული ხანგრძლივი ალყისათვის. ვენის მოსახლეობა თავგამოდებით იცავდა ქალაქს მტრის შემოტევისაგან. მიუხედავად



ვენის გარემოცვა



დიდი ვეზირი ყარა მუსტაფა ფაშა

ოსმალთა აშკარა უპირატესობისა, ვენის დამცველებმა ორი თვის განმავლობაში შეძლეს მოეგერიებინათ ოსმალთა რამდენიმე იერიში. ავსტრიელების დასახმარებლად გაემართა პოლონეთის მეფე იან სობესკი 25 ათასიანი ლაშქრით, რომელშიაც მონაწილეობდნენ უკრაინელი კაზაკები და გერმანელები. 14 სექტემბერს ვენის კედლებთან ოსმალები სასტიკად დამარცხდნენ. ოსმალებმა მარტო მოკლულთა სახით 20 ათასი ჯარისკაცი დაკარგეს. დიდმა ვეზირმა ყარა მუსტაფა ფაშამ გაქცევით უშველა თავს. სულთანმა დამარცხებაზე პასუხისმგებლობა დიდ ვეზირს დააკისრა და გასცა ბრძანება იგი სიკვდილით დაესაჯათ.

ვენასთან დამარცხებით საბოლოოდ შეჩერებულ იქნა ოსმალთა ექსპანსია ევროპაში. ამ დროიდან დაიწყო ოსმალეთის „უკან დახევის პერიოდი“. ოსმალეთის შეიარაღებული ძალების განადგურება ვენასთან არ იყო შემთხვევითი ეპიზოდი ოსმალეთის ისტორიაში. ეს იყო შედეგი ოსმალეთის სახელმწიფოს სამხედრო-ლენური სისტემის ხანგრძლივი და ღრმა კრიზისისა.

ვენასთან დამარცხების შედეგად ოსმალეთმა დაკარგა შეტევითი სულისკვეთება, მაგრამ იგი ჯერ კიდევ ძლიერი იყო თავდაცვაში. ამიტომ მისი წინააღმდეგობის დასაძლევად საჭირო იყო ევროპის სახელმწიფოების ძალების გაერთიანება. რომის პაპმა მოწოდებით მიმართა ევროპის ქვეყნებს – შეექმნათ საღვთო ლიგა ოსმალთა წინააღმდეგ საბრძოლველად და იგი ჰპირდებოდა მათ მორალურ და სულიერ დახმარებას.

1684 წელს შეიქმნა ანტიოსმალური კოალიცია „საღმრთო ლიგის“ სახელწოდებით. მის შემადგენლობაში შევიდა ავსტრია, პოლონეთი, ვენეცია და მალტა.

ლიგის წევრებმა მოუწოდეს სხვა ქრისტიანულ სახელმწიფოებს შესულიყვნენ მის შემადგენლობაში. რუსეთის დაინტერესების მიზნით, პოლონეთის მეფე იან სობესკი გარკვეულ დათმობაზეც კი წავიდა.

მოკავშირეები შეტევაზე გადავიდნენ: ავსტრიის ჯარები შეიჭრნენ აღმოსავლეთ უნგრეთში, პოლონეთის ჯარები – მდ. დნესტრის მიდამოებში, ვენეციელები – მორეასა და დალმაციაში. ოსმალეთის არმია დამარცხებას დამარცხებაზე განიცდიდა. 1686 წელს ავსტრიელებმა აიღეს უნგრეთის დედაქალაქი ბუდა. წარმატებით მოქმედებდა ვენეციაც, მისმა ფლოტმა დაიკავა ალბანეთის სანაპირო, მორეა და არქიპელაგის კუნძულები. პოლონეთის ჯარებმა გაილაშქრეს ყირიმის ხანის წინააღმდეგ, მაგრამ დამარცხდნენ.

1688 წელს ავსტრიელებმა ხელთ იგდეს ბელგრადი. მომდევნო წელს მდ. დუნაიზე გაანადგურეს ოსმალეთის ფლოტი და საშიშროება დაემუქრა თვით ოსმალეთის დედაქალაქს. ავსტრიის ჯარების ასეთმა წარმატებებმა შეაშფოთა საფრანგეთის მეფე ლუი XIV. მან ჯარები გაგზავნა რაინზე, რამაც აიძულა ავსტრიის მთავრობა თავისი ჯარის ნაწილი რაინზე გადაესროლა. ამ გარემოებამ ოსმალეთს

შესაძლებლობა მისცა შეეჩერებინა ავსტრიის ჯარების წინსვლა და ზოგ შემთხვევაში დაებრუნებინა დაკარგული ტერიტორიები.

დამარცხების შედეგად ოსმალეთის არმია მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა. ხანგრძლივი დროის განმავლობაში რეგულარული არმია და იენიჩარები არ იღებდნენ ხელფასს. იენიჩარებმა და ჯარის ნაწილებმა დაიწყეს ამბოხება და მიატოვეს ფრონტი, გაემართნენ სტამბოლისაკენ და გზადაგზა ყველაფერს ანადგურებდნენ. ქალაქის მოსახლეობამ მხარი დაუჭირა აჯანყებულებს. 1687 წლის ოქტომბერში მეჰმედ IV ტახტიდან ჩამოაგდეს და გაამეფეს მისი ძმა სულეიმან II (1687-1691), რომელიც 40 წლის განმავლობაში იმყოფებოდა იზოლაციაში.



პოლონეთის მეფე იან სობესკი

დიდმა ვეზირმა ფაზილ მუსტაფა ფაშამ მოკლე დროში გაატარა რეფორმები ადმინისტრაციული, ფინანსური და სამხედრო სფეროში, რის შედეგადაც ოსმალეთის მდგომარეობა ერთგვარად გაუმჯობესდა. მაგალითად, გამოავლინეს გადასახადების აკრეფის დროს დაშვებული ბოროტმოქმედებები და დამნაშავენი დასაჯეს; შემოწმდა თიმარიოტების სიები და ისინი, ვინც თავს არიდებდა სამხედრო სამსახურს, ამორიცხე სიიდან და ჩამოართვეს თიმარები. ამის ერთ-ერთი შედეგი იყო ის, რომ 1690 წელს ოსმალებმა დაიბრუნეს ბელგრადი და ნიში.

სულეიმანის გარდაცვალების შემდეგ გამეფდა აჰმედ II (1691-1695). 1693 წელს ავსტრიელებმა ბელგრადს ალყა შემოარტყეს და სცადეს მისი აღება, მაგრამ უშედეგოდ.

მუსტაფა II-ის (1695-1703) დროს ოსმალებმა სცადეს ომის შედეგად დაკარგული ტერიტორიების დაბრუნება. ამ მიზნით მათ სამი ლაშქრობა მოაწყეს, რასაც არსებითი შედეგი არ მოჰყოლია. მაგრამ მთავარი ის იყო, რომ ორივე მოწინააღმდეგე მხარეს გაუჩნდა ზავის დადების სურვილი.

ანტიოსმალური კოალიციის წევრები დიდად იყვნენ დაინტერესებული მასში რუსეთის მონაწილეობით. 1686 წლის მოსკოვის ხელშეკრულებით პოლონეთმა რუსეთს სამუდამოდ დაუთმო კიევი, სმოლენსკი, როსლავი და მთელი უკრაინა.

1686 და 1687 წლებში რუსეთის დედოფალ სოფიოს დროს გოლიცინის სარდლობით მოეწყო ორი ლაშქრობა ყირიმში, მაგრამ ორივე უშედეგოდ დამთავრდა.

პეტრე I-ის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა იყო შავი ზღვის სანაპიროზე გასვლა და შავ ზღვაზე ვაჭრობისა და ნაოსნობის უფლების მიღება. სწორედ ამ მიზნით ჩაება რუსეთი „სადვთო ლიგაში“. ოსმალეთთან ომის დროს პეტრე პირველის უპირველესი ამოცანა იყო აზოვის დაპყრობა. 1695 წელს პირველი დაშქრობა აზოვის წინააღმდეგ მარცხით დამთავრდა, რადგან რუსეთს არ ჰყავდა ფლოტი და ვერ შეძლო ზღვიდან ქალაქის ბლოკირება. 1696 წელს პეტრემ ააგო ფლოტილია, მოაწყო ახალი ლაშქრობა და ორი თვის ალყის შემდეგ აიღო აზოვი. აზოვის დაპყრობა რუსეთის დიდი გამარჯვება იყო, რადგან ის წარმოადგენდა ოსმალეთის მთავარ ციხე-ბურჯს ამ რეგიონში. აზოვის ზღვაზე პეტრემ დააარსა ნავსადგური ტაგანროგი. აზოვის აღების შემდეგ პეტრე შეუდგა საზღვაო ფლოტის მშენებლობას. აზოვის

დაპყრობა არ ნიშნავდა შავ ზღვაზე გასვლას, რადგან ოსმალები ფლობდნენ ქერჩს და ამით კუტავდნენ შავ ზღვაზე გასასვლელს.

როდესაც 1697 წელს პეტრე პირველის მეთაურობით ევროპაში გაემგზავრა „დიდი ელჩობა“, მისი ერთ-ერთი ამოცანა იყო ანტიოსმალური კოალიციის გაფართოება, მასში ახალი სახელმწიფოების ჩაბმა. მაგრამ ამ გეგმის განხორციელება ვერ მოხერხდა, რადგან ამ დროს „საღვთო ლიგის“ წევრები დაინტერესებული იყვნენ ომის შეწყვეტითა და ზავის დადებით.

2. კარლოვიცისა და კონსტანტინოპოლის საზავო ხელშეკრულებები

ოსმალეთში შექმნილმა მძიმე მდგომარეობამ აიძულა იგი ეთხოვა ზავი. დაზავებით დაინტერესებული იყო ავსტრიაც, რადგან ხანგრძლივმა ომმა იგი დაასუსტა, ხოლო ამით მოგებულ მდგომარეობაში აღმოჩნდა მისი მეტოქე საფრანგეთი. ინგლისი და ჰოლანდია, რომლებიც მტრობდნენ საფრანგეთს და მხარს უჭერდნენ ავსტრიას, ამავე მიზეზით დაინტერესებული იყვნენ ომის შეწყვეტით. ყოველივე ამის გამო, 1698 წლის 13 ნოემბერს კარლოვიცში (სლოვენია) მოწვეულ იქნა კონფერენცია, საზავო ხელშეკრულების შემუშავების მიზნით. მასში მონაწილეობა მიიღეს, ერთის მხრივ, ოსმალეთის, მეორეს მხრივ, „საღვთო ლიგის“ – ავსტრიის, პოლონეთის, ვენეციისა და რუსეთის წარმომადგენლებმა. კონფერენციის მუშაობაში აგრეთვე მონაწილეობა მიიღეს ინგლისისა და ჰოლანდიის წარმომადგენლებმა ოფიციალური შუამდგომლების სტატუსით.


1699 წლის 26 იანვარს კარლოვიცში დაიდო ზავი. ხელშეკრულებით ავსტრიამ მიიღო უნგრეთის თითქმის მთელი ტერიტორია, რომელიც ოსმალეთს ეკავა, ტრანსილვანია, ბაჩკა და თითქმის მთელი სლოვენია; პოლონეთმა – უკრაინის მარჯვენა სანაპიროს ნაწილი, რომელიც ოსმალეთს ეკავა და პოდოლია; ვენეციამ – მორეა, დალმაციის ნაწილი და არქიპელაგის რიგი კუნძულები.

ქვეყნებს, რომლებიც ადრე ოსმალეთს სხვადასხვა სახით უხდიდნენ გადასახადს (ხარაჯა), უნდა შეეწყვიტათ მისი გადახდა.

რუსეთმა კონფერენციაზე ვერ შეძლო სამშვიდობო საზავო ხელშეკრულების დადება. ამიტომ ოსმალეთთან დაიდო დროებითი ზავი, ორი წლით. საბოლოო საზავო ხელშეკრულების დადების მიზნით მოლაპარაკება უნდა განახლებულიყო სტამბოლში.

1699 წლის ზაფხულში ემელიან უკრაინცევის მეთაურობით სტამბოლში გაემგზავრა რუსეთის ელჩობა არა სახმელეთო გზით, როგორც ადრე იყო მიღებული, არამედ გემი „კრეპოსტით“. პეტრე პირველმა პირადად გააცილა ელჩობა ქერჩამდე 10 სამხედრო გემის თანხლებით. ოსმალეთის მთავრობა წინააღმდეგი იყო, რომ რუსეთის ელჩობა ზღვით ჩასულიყო სტამბოლში. ადრე რუსეთის ელჩები სტამბოლში ჩადიოდნენ ყირიმის ხანის შუამდგომლობით. რუსეთის ელჩის ჩასვლამ სამხედრო გემით სტამბოლში დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

1699 წლის ნოემბერში დაიწყო მოლაპარაკება. რუსეთმა მოითხოვა გადასცემოდა ქერჩი და მიეღო შავ ზღვაზე თავისუფლად ვაჭრობის უფლება. ოსმალეთი შავ ზღვას თვლიდა თავის „შიდა ტბად“ და ამ საკითხში არავითარ დათმობაზე არ მიდიოდა. დიდმა ვეზირმა ემელიან უკრაინცევს განუცხადა: „ბრწყინვალე პორტა ისე მფარველობს შავ ზღვას, თითქოს იგი არის წმინდა და უმანკო ასული, რომელსაც ვერავინ გაუბედავ ზიანი მიაყენოს; სულთანი უფრო ადვილად დართავს ვინმეს



საზავო მოლაპარაკება კარლოვიცში

ნებას თავის ჰარამხანაში შევიდეს, ვიდრე იმის უფლებას, რომ უცხოურმა გემებმა იმოგზაურონ შავი ზღვის წყლებში. ეს შესაძლებელია მოხდეს მხოლოდ მაშინ, როცა ოსმალეთის იმპერია დაინგრევა“.

1700 წლის 3 ივლისს, 30 წლით სტამბოლში დაიდო სამშვიდობო საზავო ხელშეკრულება ოსმალეთსა და რუსეთს შორის. ხელშეკრულებით რუსეთმა მიიღო აზოვი, შემოგარენი მიწებით. რუსეთმა შეუწყვიტა ხარკის გადახდა ყირიმის ხანს. ხელშეკრულების თანახმად რუსეთს დნეპრისპირა ქალაქები უნდა გადაეცა ოსმალეთისათვის. რუსეთმა ვალდებულება აიღო აღეკვეთა კაზაკების თავდასხმები ოსმალეთის ტერიტორიაზე, ხოლო ოსმალეთმა – აღეკვეთა თათრების თარეში რუსეთის ტერიტორიაზე. პირველად ოსმალეთ-რუსეთის ურთიერთობის ისტორიაში რუსეთმა მიიღო უფლება ჰყოლოდა თავისი ელჩი სტამბოლში. რუსეთმა ვერ მიიღო შავ ზღვაზე ვაჭრობის უფლება, თუმცა აღინიშნა, რომ რუსეთის ელჩთან ამ საკითხზე მოლაპარაკებები განახლდებოდა. 1702 წელს რუსეთის პირველი ელჩი პ. ა. ტოლსტოი სტამბოლში ჩავიდა.

კარლოვიცისა და სტამბოლის ხელშეკრულებებს ჰქონდა დიდი ისტორიული მნიშვნელობა. ამ ხელშეკრულებებით პირველად მოხდა ოსმალეთის მიერ დაპყრობილი ტერიტორიების განაწილება ევროპის სახელმწიფოების მიერ. ეს იყო ოსმალეთის პირველი საერთაშორისო დანაწილება. საბოლოოდ შეჩერდა ოსმალეთის წინსვლა ევროპაში და დაიწყო ოსმალეთის „უკან დახევის პერიოდი“, რომელიც 1921 წლამდე გაგრძელდა.

თავი XV

ოსმალეთი XVIII საუკუნის პირველ ნახევარში

1. ოსმალეთი XVIII საუკუნის დამდეგს

XVIII საუკუნის დამდეგს ოსმალეთის იმპერია განიცდიდა ეკონომიკურ და პოლიტიკურ კრიზისს. ამ დროს ოსმალეთს დაკარგული ჰქონდა ადრინდელი სამხედრო და ეკონომიკური ძლიერება და დაცემის გზაზე იყო დამდგარი. მისი დასუსტება დაკავშირებული იყო ფეოდალური ურთიერთობის თიმარული სისტემის კრიზისთან. კაპიტალისტური ელემენტების სისუსტის გამო, ოსმალეთში ფეოდალური სისტემის კრიზისმა არ გამოიწვია წარმოების წესის შეცვლა, არამედ დაიწყო ხანგრძლივი სტაგნაცია. მიუხედავად იმისა, რომ მთავრობამ მიიღო ზომები მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, ამას არსებითი შედეგი არ მოჰყოლია.

ქვეყანაში ყველაზე მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა მთავარი მწარმოებელი კლასი – გლეხობა. იგი დაბეგრილი იყო მრავალრიცხოვანი გადასახადებით, რომელთა რაოდენობა კიდევ უფრო გაიზარდა დაპყრობითი ომების დროს საგანგებო გადასახადების შემოღების შედეგად.

XVII-XVIII საუკუნეთა მიჯნაზე ოსმალეთში მოხდა სახალხო მღელვარებები, სეპარატისტული გამოსვლები. იმპერიის რიგ განაპირა პროვინციებში სულთნის ხელისუფლება, ფაქტობრივად, ნომინალური იყო. აღსანიშნავია გამოსვლები მოსულში, ერაყში, ლიბანში, ჰიჯაზში.

გაუთავებელი მღელვარებებისა და წარუმატებელი ომების შედეგად მნიშვნელოვნად შემცირდა სახელმწიფოს საგადასახადო შემოსავალი. მაგალითად, მანისას სანჯაყში (ანატოლია) საგადასახადო ერთეულთა რიცხვი (ავარიზ-ხანე) 1669 წლიდან 1702 წლამდე შემცირდა 4823,5-დან 2731,5-მდე, ე. ი. თითქმის ორჯერ. ოსმალეთის მთავრობა იძულებული გახდა კარლოვიცის ზავის დადების შემდეგ გამოეცა ბრძანებულება საგანგებო გადასახადებისა და ომის დროს გლეხებზე გაწერილი გადასახადების ნარჩენების გაუქმების შესახებ.

ოსმალეთის მთავრობამ შემოსავლის ახალი წყაროების გამონახვის მიზნით დაიწყო გადასახადების გადამხდელი მოსახლეობის რიცხვის ხელოვნურად გაზრდა. ასე მაგალითად, XVII საუკუნეში მომთაბარე იურუქთა და ქურთთა ზოგიერთი ტომი ძალით გადაიყვანეს ბინადარ ცხოვრებაზე და ჩაწერეს რეაიათებად, ე. ი. გადასახადების გადამხდელებლად. გაუქმდა რეაიათთა (გლეხთა) ერთი ჯგუფის საგადასახადო პრივილეგიები, რომლებიც ასრულებდნენ სხვადასხვა სპეციალურ დავალებებს (სახელდობრ, ვისაც ევალებოდა გზების, ხიდების, გადასასვლელების შეკეთება, დაცვა და სხვ.).

სახელმწიფო სახსრების ეკონომიის მიზნით შემცირდა რეგულარული არმიის მომსახურეთა რიცხვი, რომლებიც ხელფასს სახელმწიფოდან იღებდნენ. მაგალითად, 1701 წელს გამოიცა ფირმანი, რომლის საფუძველზე გაუქმდა იენიჩართა რაზმები (ორთები), დაკომპლექტებული ქალაქის მოსახლეობიდან, რომლებიც ომის დროს იენიჩართა კორპუსში იკრიბებოდნენ და სხვ. ამ დადგენილებების შედეგად იენიჩართა კორპუსის ჯარისკაცთა რაოდენობა 70 000-დან შემცირდა 34 000-მდე, მეზარბაზნეთა რიცხვი 6 000-დან 1 000-მდე.

ამან ჯარისკაცთა შორის გამოიწვია დიდი უკმაყოფილება, რასაც 1703 წელს მოჰყვა იენიჩართა აჯანყება სტამბოლში. ამის შედეგად ჩამოაგდეს სულთანი მუსტაფა II (1695-1703) და ტახტზე აიყვანეს აჰმედ III (1703-1730).

აჰმედ III გულგრილი იყო სახელმწიფო საქმეებისადმი. იგი არ იღებდა მონაწილეობას სახელმწიფო საქმეების გადაწყვეტაში. მთელი სახელმწიფო საქმეები დიდი ვეზირისა და იმ პირთა ხელთ იმყოფებოდა, რომლებმაც ხელი შეუწყვეს მის აღზევებას.

ოსმალეთის იმპერიაში იყო სამსახურის სამი ძირითადი სახე: სამხედრო (seferiye), ბიუროკრატიული (kalemiye) და სასულიერო (ilmiye). ეს დაყოფა პირობითი იყო, რადგან არ არსებობდა მკვეთრი ზღვარი სამხედრო, ადმინისტრაციულ-ბიუროკრატიულ და რელიგიურ ფუნქციებს შორის. ისინი მჭიდროდ იყვნენ გადახლართული ერთმანეთთან და ავსებდნენ ერთიმეორეს, მაგრამ „კალმის ხალხს“ ანუ პროფესიონალ ბიუროკრატებს XVIII საუკუნემდე იშვიათად ეკავათ პროვინციის გამგებლისა ან დიდი ვეზირის თანამდებობები, რაც სამხედროების – „მახვილის ხალხის“ მონოპოლია იყო. მიუხედავად ამისა, უკვე XVII საუკუნის მიწურულიდან პროფესიონალ-ბიუროკრატთა რიგებიდან გამოსული პირებიც გვხვდებიან ფაშების რანგში.

XVIII საუკუნეში მნიშვნელოვნად გაიზარდა სასახლის ბიუროკრატიის, ე. წ. „კალმის ხალხის“ როლი. ისინი ავიწროებდნენ სულთნის გარშემო შემოკრებილი სამხედროების წარმომადგენლებს, ე. წ. „მახვილის ხალხს“. ეს გამოიწვია თიმარული სამხედრო-ლენური სისტემის კრიზისმა. სახელმწიფო თანამდებობები ეძლეოდათ ისეთ პირებს, რომლებსაც არაფერი გაეგებოდათ სამხედრო საქმისა და არ იყვნენ დაკავშირებული „მახვილის ხალხთან“.

სახელმწიფო თანამდებობების პირების ხშირი ცვლა ხელს უწყობდა კორუფციის ზრდას. სახელმწიფო თანამდებობები გადაიქცა დიდი სიმდიდრის დაგროვების წყაროდ. კორუფციამ ფართო ხასიათი მიიღო.

ამასთან დაკავშირებით XVIII საუკუნის ფრანგი მოგზაური წერს: „ყოველი ფაშა ან სხვა თანამდებობის პირი, რომელიც სერალიდან გამოდის, ვიდრე თავისი მოვალეობის შესრულებას შეუდგებოდეს, ვალდებულია დიდ სენიორს (სულთანს – მ. ს.) მიართვას ძვირფასი საჩუქარი, სამსახურის ადგილის შესაბამისად. მაგალითად, კაიროს ფაშა, როგორც კი ეგვიპტის მმართველად დაინიშნება, ორი მილიონი ლივრის ღირებულების საჩუქრების გარეშე ვერ დატოვებს პორტას. საჩუქრები მან უნდა მიართვას როგორც სულთანს, ისე მის მთავარ ქალებს, აგრეთვე მუფთის, დიდ ვეზირს, კაიმაკამსა და სხვა გავლენიან პირებს, რომელთაც უნდა უმადლოდეს თავის თანამდებობას ან რომლებიც მას მომავალში გამოადგებიან. დიდი სენიორისადმი მირთმეული საჩუქარი ხუთასი ათასი ეკიუ უნდა ღირდეს, სხვების განსაზღვრული ძღვენი კი – არანაკლებ ორას-ორასი ათასი ეკიუ. ამას დავუმატოთ ხუთასი ათასი ეკიუ, რაც მას დაუჯდება თავისი ეკიპაჟის შედგენა, და ამას გარდა, ის კაიროში ვერ შევა, თუ თავისი ან მეგობრის ჯიბიდან სამი მილიონ ექვსას ათას ლივრს არ გაიღებს“.

იმ დროს ოსმალეთში ქრთამის აღება ცოდვად არ ითვლებოდა. მექრთამეობა იმდენად იყო ფეხმოკიდებული, რომ ფინანსთა სამინისტროსთან არსებობდა „ქრთამების ბუღალტერია“. მის ფუნქციას შეადგენდა თანამდებობის პირების მიერ აღებული ქრთამის აღნუსხვა, რათა გარკვეული წილი ჩაერიცხა სახელმწიფო ხაზინაში.

სულეიმან კანუკის შემდეგ ოსმალეთის სულთნები პირადად ძალზე იშვიათად იღებდნენ მონაწილეობას სამხედრო ლაშქრობებში. ამავე დროს ისინი გულგრილი ხდებიან სახელმწიფო საქმეების მიმართ, იშვიათად ერევიან სახელმწიფოს

მმართველობაში. ასეთ ვითარებაში დიდი ვეზირის გავლენა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაზე კიდევ უფრო მეტად გაიზარდა.

ოსმალეთის სახელმწიფოს უმაღლეს ადმინისტრაციაში დიდ ვეზირს ოფიციალურად, სულთნის შემდეგ მეორე ადგილი ეკავა. იგი ხელმძღვანელობდა ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკას და პრაქტიკულად იმპერიაში ფლობდა მთელ საერო ხელისუფლებას. მისი კომპეტენციის მიღმა რჩებოდა სულთნის სასახლის მმართველობა და კონტროლი სასულიერო პირებზე (ულემებზე). სახელმწიფო საქმეებისაგან სულთნის ჩამოშორებასთან ერთად, იზრდება დიდი ვეზირისა და მისდამი დაქვემდებარებული მოხელეების გავლენა. 1654 წელს სულთან მეჰმედ IV-ს (1648-1687) ბრძანებით, დიდი ვეზირის დივანის სხდომები თოფ კაფი სულთნის სასახლიდან გადაიტანეს სხვა შენობაში, რაც, ფაქტობრივად ნიშნავდა მისი სტატუსის შეცვლას. ამიერიდან საერო ხელისუფლების საკითხები წყდებოდა დიდი ვეზირის სამმართველოში (პორტა), ხოლო სულთნის დინასტიის – სულთნის სასახლეში.

დიდი ვეზირის გავლენის ზრდას ისიც ადასტურებს, რომ თანდათანობით შემცირდა დივანის სხდომების მონაწილე კუბე-ვეზირების რიცხვი. ასე მაგალითად, აჰმედ III-ის დროს შვიდი-ცხრა კუბე ვეზირის ნაცვლად დარჩა მხოლოდ ორი-სამი კუბე ვეზირი, ხოლო დიდი ვეზირის დამად ალი ფაშას (1713-1716) მოთხოვნით მთლიანად გაუქმებულ იქნა კუბე-ვეზირების თანამდებობა.

დივანში „ვეზირის" ტიტული შეინარჩუნა მხოლოდ ფლოტის სარდალმა ქაფუდან ფაშამ. შემცირდა დივანის სხვა მოხელეების (ნიშანჯი, ქიაჰია) ხვედრითი წონა, გაიზარდა დიდი ვეზირის სამდივნოს წევრების როლი. სულ უფრო იშვიათად იკრიბებოდა დივანი ჰუმაიუნის სხდომები და მთელი საქმეები წყდებოდა პორტაში – დიდი ვეზირის უწყებაში. ამგვარად, დაქვეითდა დივან ჰუმაიუნის როგორც სახელმწიფო საბჭოს მნიშვნელობა. მაგრამ ეს არ უნდა გავიგოთ ისე, რომ დიდმა ვეზირმა მოიპოვა აბსოლუტური ძალაუფლება. ისევე, როგორც წინათ, დიდი ვეზირი დამოკიდებული იყო არა მარტო სულთანზე, არამედ სასახლის დიდ მოხელეებზე და, უპირველეს ყოვლისა, სულთნის ჰარამხანას გამგებელზე კიზლარ-აღაზე, სასახლის ყველაზე უფრო გავლენიან პიროვნებაზე და აგრეთვე შეიხულ-ისლამზე, რომელიც დიდ როლს ასრულებდა დიდი ვეზირის დანიშვნა-გადაყენების საქმეში. დიდი ვეზირის ძლიერი კონკურენტი იყო იენიჩართა კორპუსის მეთაური – იენიჩართა აღა.

ცენტრალური სახელმწიფოს სტრუქტურამ თანდათანობით საგრძნობი ცვლილებები განიცადა. ინსტიტუტების ნაწილი სუსტდება, ჰკარგავს თავის მნიშვნელობას და მისი გავლენის სფერო ვიწროვდება, მეორეთა როლი კი მნიშვნელოვნად ფართოვდება, უფრო ქმედითი ხდება. პირველთა რიცხვს მიეკუთვნება სულთნის სასახლის სამოხელეო სამსახური და სასწავლებლები, რომლებიც ამზადებდნენ სულთნის სასახლისათვის, დედაქალაქის ბიუროკრატიის უმაღლესი ეშელონებისა და პროვინციის ადმინისტრაციისათვის. მეორე ჯგუფს განეკუთვნება დიდ ვეზირთან და ბაშ დევთერდართან (ფინანსთა უწყება) არსებული კანცელარიები. ფაქტობრივად, სტამბოლში შეიქმნა ხელისუფლების სამი ცენტრი: სულთნის სასახლე, პორტა და მუფთის რეზიდენცია. ამ სამი ცენტრალური ხელისუფლების ტრანსფორმაციის შედეგად შესუსტდა სულთნის სასახლის კარის გავლენა, ამაღლდა პორტას წამყვანი როლი და გაძლიერდა ულემების გავლენა. ეს სამი უწყება განაპირობებდა იმ ცხარე ბრძოლას, რომელიც მიმდინარეობდა მმართველ ელიტაში.

სულთნები უმაღლეს სახელმწიფო თანამდებობებზე დანიშვნისას ხელმძღვანელობდნენ თავიანთი პირადი შეხედულებებით და სიმპათიებით. დიდ ვეზირად ხშირად ინიშნებოდნენ სულთნის ფავორიტები, რომლებმაც მოახერხეს მოეპოვებინათ სულთნების ნდობა. როდესაც ეს უკანასკნელები ჯერ კიდევ ტახტის

პრეტენდენტები იყვნენ. აჰმედ I-ის (1603-1617) დროიდან სულთნის უფლისწულები და ტახტის პრეტენდენტები (სულთნის ძმისშვილები) აღარ მონაწილეობდნენ სახელმწიფოს მართვა-გამგებლობაში. ისინი სასახლეში ცხოვრობდნენ და მსახურთა მეთვალყურეობის ქვეშ მკაცრ იზოლაციაში იმყოფებოდნენ. ეს კი ხელს უშლიდა მომავალ სულთნებს გამოემუშავებინათ ჩვევები და უნარი სახელმწიფოს მმართველობის საქმეში.

აჰმედ III-ის 27 წლიანი სულთნობის დროს შეიცვალა 14 დიდი ვეზირი, ზოგიერთმა მათგანმა გარკვეული კვალი დატოვა ოსმალეთის ისტორიაში. მათ შორის აღსანიშნავია ჩორლულუ ალი ფაშა. მას ეს თანამდებობა ეკავა 1706-1710 წლებში. იგი საკმაოდ ენერგიულად შეუდგა სახელმწიფოს მმართველობას.

ალი ფაშა იყო ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა დიდი ვეზირი. მან თავის კონტროლს დაუქვემდებარა მთელი სახელმწიფოსა და მათ შორის სულთნის სასახლის სამზარეულოს უზარმაზარი ხარჯები. ფინანსების მოწესრიგების შედეგად მან შეძლო მიეღწია 12 მილიონ ყურუშის ეკონომიისათვის.

ამავე დროს ჩორულილი ალი ფაშა ცდილობდა გაეუმჯობესებინა თიმარების ბოძების წესი, რომლის დროსაც ადგილი ჰქონდა უხეშ დარღვევებს.

ალი ფაშა დიდ ყურადღებას უთმობდა აგრეთვე არმიისა და ფლოტის ბრძოლისუნარიანობის გაუმჯობესებას. მან ჩაატარა იენიჩართა რიგების წმენდა, განსაკუთრებით ჯებეჯიების შორის, რომლის ქვედანაყოფი იყო თითქმის ყველა აჯანყების დასაყრდენი. ჩატარებული ღონისძიებების შედეგად იენიჩართა კორპუსს გამოაკლდა რამდენიმე ათასი ჯარისკაცი. ამის გამო მნიშვნელოვნად შემცირდა სახელმწიფო ხარჯები. თოფხანაში მისი ხელშეწყობით ააშენეს ახალი ღუმელები ზარბაზნების ჩამოსასხმელად. გაუმჯობესდა ზარბაზნების ჭურვებით მომარაგება. გემთსაშენში ააგეს დიდი სამხედრო გემები მძიმე წონის ღუზებით, რომლებიც წინათ ინგლისიდან შემოჰქონდათ. ზღვაზე ნაოსნობის დროს მეკობრეებისაგან დაცვის მიზნით განხორციელდა რიგი ღონისძიებებისა. კერძოდ, ააგეს ციხე-სიმაგრე ეგეოსის ზღვის ერთ-ერთ კუნძულზე, გაამაგრეს და გააძლიერეს გარნიზონები იენიკალეში (ყირიმი) და ბენდერში (ბესარაბია). გაუმჯობესდა სულთნის სასახლის მომარაგება წყლით და სხვ. სტამბოლში ააგეს მეჩეთი, სხვადასხვა საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობები და მათ შორის ბიბლიოთეკა.

ჩორლულუ ალი ფაშა რუსეთთან ომის წინააღმდეგი იყო და ამიტომ იგი 1710 წელს გადააყენეს დიდი ვეზირის თანამდებობიდან.

2. ომი რუსეთთან, პრუტისა და ადრიანოპოლის საზავო ხელშეკრულებები

XVIII საუკუნის პირველ ათწლეულში ოსმალეთი არ აწარმოებდა დაპყრობით ომებს, თუმცა ამისათვის ევროპაში საერთაშორისო ვითარება მეტად ხელსაყრელი იყო; ომი ესპანეთის მემკვიდრეობისათვის (1701-1714), ჩრდილოეთის ომი (1701-1721).

ოსმალეთის სამშვიდობო პოლიტიკას განაპირობებდა წინა ომების დროს წარუმატებლობა და შინაგანი კრიზისი.

დიმიტრი კანტემირი, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში ცხოვრობდა სტამბოლში, წერდა ოსმალეთის დიდი ვეზირის ჩორლულუ ალი ფაშას (1706-1710) შესახებ: „იგი ოცნებობდა დაპყრობებზე, მაგრამ არ სურდა ქვეყანა საფრთხის წინაშე დაეყენებინა, დაეკარგა მეტი იმ იმედით, რომ შეიძენდა ნაკლებს. ამან იგი

გახადა ომის მოწინააღმდეგე. უკანასკნელი ომის გამოცდილებამ იგი დაარწმუნა კარგად დისციპლინირებული ქრისტიანი ჯარისკაცების ძალაში და მრავალრიცხოვანი მუსლიმური არმიის სისუსტეში".

XVIII საუკუნის პირველ ათწლეულში მშვიდობიანი პოლიტიკის გატარება სრულიადაც არ ნიშნავდა იმას, რომ ოსმალეთი საერთოდ უარს ამბობდა დაპყრობით ომებზე. XVIII საუკუნის მეორე ათწლეულიდან ოსმალეთმა კვლავ განაახლა ომი ევროპაში.

1696 წელს რუსეთმა ოსმალეთთან ომის შედეგად აიღო აზოვი და მოიპოვა გასასვლელი შავ ზღვაზე. შექმნილ ვითარებაში რუსეთმა ოსმალეთის წინაშე დასვა საკითხი: მიეღო შავ ზღვაზე ნაოსნობისა და ვაჭრობის უფლება. ოსმალეთი არავითარ დათმობაზე არ მიდიოდა და შავ ზღვას თვლიდა „ოსმალეთის ტბად".

მართალია, „საღვთო კავშირის" წინააღმდეგ ომში დამარცხების შემდეგ გაუარესდა მისი საერთაშორისო და საშინაო მდგომარეობა, მაგრამ ოსმალეთის გაბატონებული კლასის არაერთი წარმომადგენელი გამოსავალს ეძებდა რევანშისტულ ომებში და ახალ-ახალ დაპყრობებში. მათი აგრესიის პირველი ობიექტი რუსეთი გახდა.

ოსმალეთში რუსეთის წინააღმდეგ გამოსვლები განსაკუთრებით გაძლიერდა 1709 წლიდან, როდესაც სტამბოლს თავი შეაფარა პეტრე I-ის მიერ პოლტავასთან დამარცხებულმა შვედეთის მეფემ კარლოს XII-მ. მან სულთანს შესთავაზა შეექმნა კავშირი რუსეთთან საბრძოლველად. ამის წინააღმდეგ გამოვიდა დიდი ვეზირი ჩორლულუ ალი ფაშა. დიმიტრი კანტემირი წერდა: „მას (ალი ფაშას – მ. ს.) არ უყვარდა რუსეთი და არაერთხელ შეეცადა ცუდი გაეკეთებინა მისთვის, მაგრამ ამავე დროს მის მიმართ იყო თავაზიანი, რადგან ეშინოდა, არ ჩაეთრიათ ოსმალეთი რუსეთის წინააღმდეგ ომში, რომლისკენაც იღვწოდა კარლოს XII".

ომის მომხრე იყო აგრეთვე ყირიმის ხანი, რომელიც ამ დროს ჩავიდა სტამბოლში. რუსეთთან ომის მომხრეებმა გაიმარჯვეს და გადააყენეს დიდი ვეზირი ჩორლულუ ალი ფაშა. 1710 წლის 9 ნოემბერს ოსმალეთმა გამოუცხადა ომი რუსეთს. რუსეთის ელჩი პ. ტოლსტოი დააპატიმრეს და იედიკულეს ციხეში მოათავსეს.

ამ დროს რუსეთი დაკავებული იყო შვედეთთან ომით და არ იყო დაინტერესებული ოსმალეთთან ომის დაწყებით. პეტრე I-მა სცადა თავიდან აეცილებინა ეს ომი, მაგრამ უშედეგოდ. 1711 წლის 22 თებერვალს რუსეთმა გამოუცხადა ომი ოსმალეთს.

პეტრე პირველს, რომელიც დაკავებული იყო ბალტიისპირეთსა და პოლონეთში ომით, სასწრაფოდ მოუხდა გეგმების შეცვლა და ჯარების გადასროლა სამხრეთით ოსმალეთის საზღვრებთან, ხოლო გოლიცინს ებრძანა პოდოლიადან და გალიციიდან მოლდავეთის საზღვრისაკენ წასულიყო.

რუსეთის არმია, ფელდმარშალ ბ. შერემეტიევის სარდლობით ბალტიისპირეთიდან სამხრეთისაკენ გაემართა. მას დაევალა ჩასულიყო დუნაისპირეთში და ოსმალეთის ჯარისათვის მდ. დუნაის გადალახვაში ხელი შეეშალა. შერემეტიევმა ვერ შეძლო ამ ამოცანის შესრულება. ოსმალებმა დაასწრეს და გადალახეს დუნაი. რუსეთის არმია აღმოჩნდა არახელსაყრელ მდგომარეობაში. მან დაიხია მდინარე პრუტისაკენ. აქვე ჩამოვიდა თვით პეტრე I. რუსეთის არმია ითვლიდა 38 000 მეომარს. ოსმალეთის ჯარი მნიშვნელოვნად აღემატებოდა მას და შეადგენდა 100-120 ათასს. ოსმალეთის ჯარს სარდლობდა დიდი ვეზირი ბალთაჯი მეჰმედ ფაშა (1710-1711). ოსმალეთის არმიას შეუერთდა აგრეთვე ყირიმის ხანის 40-ათასიანი ცხენოსანი ლაშქარი. რუსეთის არმია აღმოჩნდა მეტად რთულ მდგომარეობაში: იგი დაღლილი იყო ხანგრძლივი და მომქანცველი გადასვლით (ბალტიისპირეთიდან მდინარე პრუტის ნაპირებამდე), აკლდა სურსათ-სანოვაგე.

8 ივლისს დამით ოსმალეთის არმის ძირთადმა ნაწილებმა დაიწყეს მდ. პრუტის გადალახვა. 9 ივლისს ოსმალეთის ჯარებმა რამდენიმე იერიში მიიტანეს რუსეთის პოზიციებზე. მდ. პრუტის მარჯვენა სანაპიროზე. რუსეთის არმია აღმოჩნდა გარშემორტყმული მტრის ლაშქრის მიერ.

10 ივლისს ღამით პეტრე I-მა სამხედრო საბჭო მოიწვია. მხედართმთავრებმა პეტრე I-ს შესთავაზეს ღამით მიეტანათ იერიში მტერზე და წარმატების შემთხვევაში დილით დაეწყოთ საერთო შეტევა. პეტრემ ეს წინადადება უარყო როგორც არარეალური. „ჯარისკაცებს და ცხენებს სამი დღის განმავლობაში არ დაუსვენიათ. საჭურველი და პროვიანტი არასაკმარისი აქვთ. ასეთ პირობებში შეტევაზე გადასვლა უაზროაო“ – განაცხადა პეტრე I-მა.

სამხედრო საბჭოზე მიიღეს გადაწყვეტილება ოსმალეთისათვის ზავი შეეთავაზებინათ, უარის შემთხვევაში კი მთელი არმიით შეტევაზე გადასულიყვნენ. ამ მიზნით ოსმალეთის ბანაკში დიდ ვეზირთან გაგზავნეს წარმომადგენლები. რუსეთის წინადადება სამშვიდობო მოლაპარაკების დაწყების შესახებ თურქებისათვის იმდენად მოულოდნელი იყო, რომ დასაწყისში არც კი დაიჯერეს და სამხედრო ეშმაკობად ჩათვალეს.

დაიწყო მოლაპარაკება. 1711 წლის 12 ივლისს დიდმა ვეზირმა ბალაჯათი მეჰმედ ფაშამ ხელი მოაწერა რუსეთთან საზავო ხელშეკრულებას. ხელშეკრულებით რუსეთს ოსმალეთისათვის უნდა დაებრუნებინა აზოვი, დაენგრია ტაგანროგი და სხვა ციხეები და გამაგრებული პუნქტები, პოლონეთიდან გაეყვანა ჯარი და არ ჩარეულიყო მის საშინაო საქმეებში, არ გაეწია მფარველობა დონისა და ზაპოროჟიელი კაზაკებისათვის. ეკრძალებოდა შავ ზღვაზე ვაჭრობა, ჩამოერთვა უფლება ჰყოლოდა თავისი წარმომადგენელი (ელჩი) კონსტანტინოპოლში. ოსმალეთის მთავრობა ვალდებულებას იღებდა კარლოს XII გაეძევებინა ოსმალეთიდან, ხოლო რუსეთი გაატარებდა კარლოს XII-ს თავის ტერიტორიაზე შვედეთში დასაბრუნებლად.

მართალია, ზავის პირობები მძიმე იყო, მაგრამ რუსეთისათვის მთავარი იყო ის, რომ მან შესძლო გადაერჩინა რუსეთის არმია ალყისაგან, ხოლო პეტრე I ოსმალთა ტყვეობისაგან.

ოსმალეთში რუსეთთან ზავის დადებას აღფრთოვანებით შეხვდნენ. ოსმალო ისტორიკოსის მეჰმედ რაშიდის ცნობით, სტამბოლში ზავის დადებასთან დაკავშირებით საყოველთაო ზეიმი გაიმართა.

სულთანმა ზავი სიხარულით მიიღო და შეაქო დიდი ვეზირი ბალთაჯი მეჰმედ ფაშა სახელმწიფოს წინაშე სამსახურისათვის. მდ. პრუტთან მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად გამოიცა სპეციალური ფირმანი, რომელშიც აჰმედ III მოხსენიებულია „ღაზის“ (გამარჯვებულის) ტიტულით.

ზავის დადებას მტრულად შეხვდნენ ყირიმის ხანი და შვედეთის მეფე კარლოს XII. გავრცელდა ხმები, რომ ხელშეკრულების შედარებით ხომიერი პირობები გამოწვეული იყო იმით, რომ რუსეთმა დიდ ვეზირს დიდი ქრთამი მისცა. ეს ხმები არ იყო საფუძველს მოკლებული. ქრთამის ბოძების ფაქტი რუსული წყაროებითაც დასტურდება.

ზავის დადების შემდეგ არც ოსმალეთი და არც რუსეთი არ ჩქარობდა პრუტის ხელშეკრულების პირობების შესრულებას: სულთანი აყოვნებდა ოსმალეთიდან კარლოს XII-ის გაძევებას, ხოლო პეტრე I სარგებლობდა ამით და ცდილობდა თავისი ჯარების დატოვებას პოლონეთში, აყოვნებდა ოსმალეთისათვის აზოვის გადაცემას და ტაგანროგის მოთხრას.

ამ დროს ოსმალეთში მდგომარეობა თანდათანობით იცვლება. პრუტთან გამარჯვების შემდეგ შეიცვლება დამოკიდებულება დიდი ვეზირის ბალთაჯი მეჰმედ

ფაშას მიმართ. მის წინააღმდეგ გამოვიდა სულთნის სიძე სილაჰდარი ალი ფაშა, შეიხულ-ისლამი სიდ ალი ეფენდი და კიზლარ-აღა სულეიმან აღა. დამახასიათებელია, რომ ეს პირები იყვნენ, რომლებიც თავის დროზე მხარს უჭერდნენ ბალთაჯი მეჰმედ ფაშას დიდ ვეზირად დანიშვნას. ახლა მათ შეეშინდათ, რომ მათი ყოფილი ხელდასმული მეტად საშიში კონკურენტი გახდებოდა. მის წინააღმდეგ გამოვიდა აგრეთვე ყირიმის ხანი. 1711 წლის 24 ივლისს სტამბოლში ყირიმის ხანისაგან მიღებულ იქნა არზა, რომელშიც ხანი აკრიტიკებდა დიდი ვეზირის პოზიციას რუსეთთან ზავის დადების დროს. რუსეთის მიერ პრუტის ხელშეკრულების პირობების შესრულების დაყოვნებამ გააძლიერა ბალთაჯი ფაშას მოწინააღმდეგეთა პოზიცია. ასეთ პირობებში დიდ ვეზირს ეშინოდა სტამბოლში დაბრუნება. ოსმალეთის არმია ძალზე ნელა მიემართებოდა დედაქალაქისაკენ. ბალთაჯი ფაშას მოწინააღმდეგეებმა გაავრცელეს ჭორი, თითქოს იგი აპირებდა სულთნის წინააღმდეგ შეთქმულების მოწყობას. ყოველივე ამის შედეგად, 1711 წლის 9 ნოემბერს, ბალთაჯი მეჰმედ ფაშა გადაყენებულ იქნა დიდი ვეზირის თანამდებობიდან. დიდი ვეზირი გახდა გურჯი იუსუფ ფაშა (წარმომავლობით ქართველი), რომელიც პრუტის ლაშქრობის დროს იყო იენიჩართა კორპუსის მეთაური და სახელი მოიხვეჭა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლის დროს.

1711 წლის 10 ნოემბერს ახალმა დიდმა ვეზირმა გურჯი იუსუფ ფაშამ მიიღო რუსეთის წარმომადგენლები ვ. შაფიროვი და ბ. შერემეტიევი და მათ განუცხადა, რომ დიდი ვეზირის შეცვლით ოსმალეთსა და რუსეთს შორის ურთიერთობა არ შეიცვლება.

დიდ ვეზირს იუსუფ ფაშას მიაჩნდა, რომ პრუტის ზავი ოსმალეთის სახელმწიფოს დიდი წარმატება იყო. იგი სულთანს აცნობებდა, რომ ზავი ღვთის წყალობა იყო და იგი მოპოვებულია რუსეთის მიერ დაშვებული შეცდომით და არა თურქების მამაცობით. მისი აზრით, ზავის პირობები ოსმალეთისათვის მეტად ხელსაყრელი იყო.

1711 წლის 20 ნოემბერს ოსმალეთის არმია, იუსუფ ფაშას მეთაურობით, სტამბოლში დაბრუნდა.

მალე მდგომარეობა შეიცვალა. 1711 წლის 27 ნოემბერს სტამბოლში აზოვიდან მიიღეს ცნობა, რომ რუსებმა არ ჩააბარეს ქალაქი იქ მისულ ოსმალეთის ჯარს. მეორე დღესვე დიდმა ვეზირმა გამოიძახა რუსეთის წარმომადგენლები და მათ განუცხადა, რომ რუსეთმა დაარღვია ზავის პირობები.

1711 წლის 9 დეკემბერს ოსმალეთმა რუსეთს ომი გამოუცხადა. პროვინციებში გაიგზავნა სულთნის ბრძანებულებები ჯარის ხელახალი მობილიზაციის შესახებ. დივანი ჰუმაიუნის სხდომაზე პრუტის საზავო ხელშეკრულება გააუქმეს, ხოლო ამ ხელშეკრულების დადების მთავარ ინიციატორებს – ბალთაჯი მეჰმედ ფაშას, ქეთხოდა ოსმან აღასა და მდივან ეფენდის სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს.

მიუხედავად ყოველივე ამისა, სულთნის მთავრობამ გააგრძელა მოლაპარაკება რუსეთის წარმომადგენლებთან. ოსმალეთის მთავრობამ გადასცა რუსეთის წარმომადგენლებს ახალი ხელშეკრულების პროექტი. განახლდა მოლაპარაკება. ოსმალეთმა ოთხი პირობა წამოაყენა: რუსეთის ჯარს სასწრაფოდ უნდა დაეტოვებინა პოლონეთის ტერიტორია; აზოვი დაუყოვნებლივ უნდა გადაცემოდა ოსმალეთს; შვედეთის მეფის გამგზავრების დრო და ადგილი ოსმალეთს უნდა დაედგინა; ბოლოს, რუსეთისათვის სრულიად მოულოდნელად აღმოჩნდა ოსმალეთის პრეტენზია მთელ უკრაინაზე.

რუსეთის წარმომადგენლები განსაკუთრებით კატეგორიულად აცხადებდნენ, რომ მათთვის სრულიად მოულოდნელია ხელშეკრულების ის მუხლი, რომლის მიხედვითაც უკრაინისა და დონის კაზაკები თავიანთი მიწებით უნდა გადასულიყვნენ ოსმალეთის პროტექტორატის ქვეშ.

მოლაპარაკებას ართულებდა ის, რომ ამ პროცესში სულ უფრო მეტ აქტიურობას იჩენდნენ ევროპის სახელმწიფოების წარმომადგენლები კერძოდ, საფრანგეთის ელჩს სტამბოლში აშკარად ანტირუსული პოზიცია ეკავა, იცავდა შვედეთის მეფის ინტერესებს და აქეზებდა სულთანს რუსეთის წინააღმდეგ.

1712 წლის 27 იანვარს მოწვეულ იქნა დივანის სხდომა. სულთანს განზრახული ჰქონდა დაეწყო საომარი მოქმედება რუსეთის წინააღმდეგ. გაიგზავნა ბრძანებები მობილიზაციის შესახებ. ჯარების საერთო თავშეყრა უნდა მომხდარიყო მაისში.

რუსეთ-ოსმალეთის საზავო ხელშეკრულებასთან დაკავშირებით სულთნის სასახლის კარზე არ იყო ერთსულოვნება. ასეთ ვითარებაში, დიდმა ვეზირმა გურჯი იუსუფ ფაშამ ვერ გაბედა თავის თავზე აეღო მთელი პასუხისმგებლობა. მან მოითხოვა, რომ ხელშეკრულებისათვის ხელი მოეწერა დივანის ყველა წევრს და ამის შემდეგ გადაეცათ იგი სულთნისათვის დასამტკიცებლად. გაირკვა, რომ დიდ ვეზირს, დივანის წევრების უმრავლესობას და სასულიერო პირებს არა სურთ ომი რუსეთთან. მათ ინახულეს სულთანი და თავისი აზრი მოახსენეს.

1712 წლის 5 აპრილს დაიდო რუსეთ-ოსმალეთის ახალი საზავო ხელშეკრულება. რუსეთის მთავრობამ 9 მაისს მიიღო ცნობა საზავო ხელშეკრულების დადების შესახებ. 20 მაისს რუსეთის მთავრობამ ოსმალეთის დიდ ვეზირს გურჯი იუსუფ ფაშას გაუგზავნა სამეფო სიგელი, რომლითაც რუსეთის მეფემ აუწყა ვეზირს, რომ ხელშეკრულება რატიფიცირებულია.

ხელშეკრულების დადების შემდეგ, კარლოს XII კვლავ აქეზებდა სულთანს რუსეთის წინააღმდეგ. დიდი ვეზირი გურჯი იუსუფ ფაშა კი მოითხოვდა ოსმალეთიდან კარლოს XII-ის დაუყოვნებლივ გაძევებას.

საფრანგეთისა და სხვა ქვეყნების წარმომადგენლები ავრცელებდნენ ხმებს, თითქოს რუსეთის ჯარები კვლავ რჩებიან პოლონეთში.

19 სექტემბერს ოსმალეთის მთავრობამ რუსეთის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ რუსეთმა დაარღვია საზავო ხელშეკრულების პირობები, თუმცა ამის დამადასტურებელი აშკარა საბუთი არ მოუტანია.

24 სექტემბერს რუსეთის წარმომადგენელი არწმუნებდა ოსმალეთის მთავრობას, რომ რუსეთის სამხედრო ნაწილები უკვე მთლიანად გამოყვანილია პოლონეთიდან. რუსეთის მხარე ყველაფერს აკეთებდა რუსეთ-ოსმალეთის ხელშეკრულების შენარჩუნებისათვის. თავის მხრივ დიდი ვეზირი გურჯი იუსუფ ფაშაც ასევე აცხადებდა, რომ არ სურდა ომი.

31 ოქტომბერს დივანმა მიიღო დადგენილება რუსეთისათვის ომის გამოცხადებისა და რუსეთის ელჩების დაპატიმრების შესახებ. იმავე დღეს დიდი ვეზირი გურჯი იუსუფ ფაშა გადააყენეს და მის ადგილზე დანიშნეს სულეიმან ფაშა. წყაროებიდან ირკვევა, რომ რუსეთისათვის ომის გამოცხადება მოხდა სულთნის დაჟინებითი მოთხოვნით, მაშინ როდესაც დიდი ვეზირი და სხვა სახელმწიფო მოღვაწეები ცდილობდნენ ომის თავიდან აცილებას.

ომის გამოცხადების შემდეგ საომარი მოქმედება არ განახლებულა.

ამ დროს რუსეთ-ოსმალეთის მოლაპარაკებაში სულ უფრო აქტიურად ერევიან ევროპის სახელმწიფოების წარმომადგენლები. ამასთან საფრანგეთის წარმომადგენელმა აშკარა ანტირუსული პოზიცია დაიკავა. ინგლის-ჰოლანდიის წარმომადგენელმა კი საწინააღმდეგო. საფრანგეთის მხარდაჭერით ოსმალეთი ახალ მოთხოვნას აყენებს. ჩრდილოეთის ომის პირობებში რუსეთს განსაკუთრებით არ აწყობდა ომი ოსმალეთთან. თავის მხრივ ოსმალეთისათვის არასასურველი აღმოჩნდა ახალი ომის წამოწყება. მიუხედავად ომის გამოცხადებისა, ოსმალეთი არ ჩქარობდა საომარი მოქმედებების დაწყებას. რუსეთს მოუხდა გარკვეულ დათმობებზე წასვლა. რუსებმა დატოვეს

აზოვი და დადეს პირობა პოლონეთიდან ჯარის გამოყვანის შესახებ. თავის მხრივ, ოსმალეთმა აღარ წამოაყენა პრეტენზია მთელ უკრაინაზე. გადაწყდა, რომ რუსეთი დათმობდა ტერიტორიას მდ. სამარიდან მდ. ორეოლის შუა დინებამდე. ასევე რუსეთს მიეცა აზოვში გემების გაყიდვის უფლება. სამაგიეროდ რუსებმა ითავეს აზოვში ადრე არსებული სპილენძის ზარბაზნების უკლებლივ დაბრუნება და ჩერკასკის ახალი სიმაგრის დანგრევა. პოლონეთის საკითხში მოხდა შეთანხმება, რომ რუსეთი აღარ ჩაერეოდა პოლონეთის საქმეებში, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ კარლოს XII ჯარით შეიჭრებოდა პოლონეთში და თავისი მოქმედებებით პოლონელთა უკმაყოფილებას გამოიწვევდა, მაშინ რუსეთს ეძლეოდა იქ ჯარის შეყვანის უფლება.

ამ საკითხის შეთანხმების შემდეგ, 1713 წლის 24 ივნისს, ადრიანოპოლში დაიდო საზავო ხელშეკრულება ოსმალეთსა და რუსეთს შორის. ხელშეკრულება 25 წლით დაიდო და 12 მუხლისაგან შედგებოდა. ადრიანოპოლის ზავის შედეგად დამთავრდა 1710-1713 წლების რუსეთ-თურქეთის ომი. ხელშეკრულება ძირითადად იმეორებდა პრუტის საზავო ხელშეკრულების პირობებს. მასში შეტანილ იქნა ის ზოგიერთი ცვლილება, რომლის შესახებაც ზემოთ იყო მსჯელობა.

3. ომი ვენეციასთან და ავსტრიასთან, პოჟარევაცის სამშვიდობო საზავო ხელშეკრულებები

რუსეთთან მოპოვებული წარმატებებით აღფრთოვანებულმა ოსმალეთის სულთანმა 1714 წელს ომი დაიწყო ვენეციის წინააღმდეგ, რათა დაებრუნებინა კარლოვიცის ზავით დაკარგული ტერიტორიები. ოსმალეთის ჯარები შეიჭრნენ მორეასა და არქიპელაგის კუნძულებზე და ადვილად შეძლეს ვენეციელების განდევნა. ოსმალთა წარმატებები ვენეციელების წინააღმდეგ ომში აიხსნება იმით, რომ ვენეციელები ავიწროებდნენ ბერძნულ მოსახლეობას, შეურაცხყოფდნენ მათ რელიგიურ წესებს, ძალით ნერგავდნენ კათოლიკობას, აფერხებდნენ მათ ვაჭრობას და სხვ. ყოველივე ამის გამო ბერძნებმა მხარი დაუჭირეს თურქებს ვენეციელების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ვენეციამ მიმართა დახმარებისათვის ავსტრიას და რომის პაპს. პაპმა მოუწოდა კათოლიკურ სახელმწიფოებს დახმარება აღმოეჩინა ვენეციისათვის. ავსტრიამ, ვენეციის მოკავშირემ „საღვთო ომში“ და კარლოვიცის 1699 წლის ხელშეკრულების გარანტმა, შესთავაზა ოსმალეთს თავისი შუამავლობა. ავსტრიამ მოთხოვა ოსმალეთს დაეცვა კარლოვიცის საზავო ხელშეკრულების პირობები, მაგრამ ოსმალეთმა ეს მოთხოვნა უარყო. ამის გამო, 1716 წელს ავსტრია ჩაება ოსმალეთის წინააღმდეგ ომში.

ავსტრიასთან ომში ოსმალეთი მარცხდებოდა. ავსტრიის ჯარების სარდალმა ევგენი სავოისკიმ მთელი რიგი დამარცხებები აგემა ოსმალეთის არმიას. ავსტრიელებმა დაიკავეს სერბიის ნაწილი ქ. ბელგრადით, ბანატი და სხვ. მოსალოდნელი იყო, რომ ავსტრია კიდევ უფრო მეტ წარმატებებს მოიპოვებდა. ეს კი ხელს არ აძლევდა ინგლისსა და ჰოლანდიას, ამიტომ ისინი გამოვიდნენ შუამავლის როლში და მიმართეს ავსტრიას წინადადებით – შეეწყვიტა ომი და დაედო სამშვიდობო საზავო ხელშეკრულება. საფრანგეთი კი არწმუნებდა ოსმალეთის სულთანს გაეგრძელებინა ომი, რადგანაც ამ შემთხვევაში ავსტრიის სამხედრო ნაწილები დაკავებული იქნებოდნენ აღმოსავლეთში, რითაც შესუსტდებოდა ავსტრიის ჯარის ზეწოლა საფრანგეთის საზღვარზე.

1718 წლის ივნისში სერბიის ქალაქ პოჟარევაცში დაიწყო საზავო მოლაპარაკება, რომელშიც მეომარი მხარეების გარდა მონაწილეობას იღებდნენ ჰოლანდიისა და ინგლისის წარმომადგენლები.

1718 წლის 21 ივლისს ვენეციასა და თურქეთს შორის ხელმოწერილ იქნა სამშვიდობო საზავო ხელშეკრულება. ზავის პირობებით, ვენეციამ დაკარგა მორეა, არქიპელაგის კუნძულები და კ. კრეტა, რომლებიც დაუბრუნდა ოსმალეთს. დაკარგული ტერიტორიების საზღაურად ოსმალეთმა შეამცირა ბაჟი ვენეციელი ვაჭრებისათვის 5-დან 3 პროცენტამდე.

1718 წლის 21 ივლისს დაიდო აგრეთვე ავსტრია-ოსმალეთის საზავო ხელშეკრულება. ზავის პირობებით, ავსტრისა გადაეცა ბანატი, სერბიის ნაწილი ქ. ბელგრადით, ჩრდილოეთ ბოსნია და ვალახეთის ნაწილი. კათოლიკურმა მოსახლეობამ მიიღო ოსმალეთის ტერიტორიაზე თავისუფალი წირვა-ლოცვის გარანტია.

27 ივლისს დაიდო ავსტრია-ოსმალეთის სავაჭრო ხელშეკრულება. ხელშეკრულებით ავსტრიამ მიიღო რიგი ეკონომიკური უპირატესობანი, რაც მას საშუალებას აძლევდა გაეფართოებინა თავისი ეკონომიკური გავლენა ბალკანეთსა და ახლო აღმოსავლეთში. ამ ხელშეკრულებით ავსტრიის ქვეშევრდომებმა მიიღეს უფლება თავისუფლად ევაჭრათ ოსმალეთის იმპერიის მთელ ტერიტორიაზე, კერძოდ, დუნაისპირეთსა და შავი ზღვის ნავსადგურებში. საექსპორტო და საიმპორტო ბაჟი განისაზღვრა 3 პროცენტით. ამას გარდა, ავსტრიელი ვაჭრები განთავისუფლდნენ ყოველგვარი გადასახადებისაგან, რითაც დაბეგრილი იყვნენ სხვა ქვეყნების ვაჭრები და, თვით თურქი ვაჭრებიც კი. ავსტრიას მიეცა უფლება დაენიშნა თავისი კონსულები და აგენტები ყველა ნავსადგურსა და სავაჭრო პუნქტში. ავსტრიელებმა მიიღეს აგრეთვე კაპიტულაციების უფლებები, რომლითაც სარგებლობდნენ ფრანგები და ინგლისელები.

ამრიგად, ოსმალეთმა ომის შედეგად განიცადა მარცხი, რამაც გამოიწვია მისი მდგომარეობის კიდევ უფრო გაუარესება.

4. „ტიტას ეპოქა“

1718 წლის მაისიდან ოსმალეთის დიდი ვეზირი გახდა ნევშეჰირელი დამად იბრაჰიმ ფაშა, რომელსაც ეს თანამდებობა ეკავა 1730 წლის 30 სექტემბრამდე. მის სახელთან არის დაკავშირებული ე. წ. „ტიტას“ ეპოქა (Lale devri). არსებითად იბრაჰიმ ფაშა იყო ოსმალეთის მთელი საშინაო და საგარეო პოლიტიკის ხელმძღვანელი, რადგან ამ დროს აჰმედ III პრაქტიკულად ჩამოშორდა სახელმწიფო საქმეებს.

1718 წელს ავსტრიასთან ზავის დადების შემდეგ ევროპასთან დამყარდა მშვიდობიანობა, რამაც ხელი შეუწყო მასთან ოსმალეთის დიპლომატიური და სამეცნიერო კონტაქტების დამყარებას.

XVII-XVIII საუკუნეთა მიჯნაზე ოსმალეთის მმართველი კლასის ერთმა ნაწილმა კარგად დაინახა ოსმალეთის იმპერიის ჩამორჩენილობა ეკონომიკურ, სამეცნიერო-ტექნიკურ და, განსაკუთრებით, სამხედრო დარგში.

ოსმალეთის საზოგადოება თავისი საშინაო ცხოვრების წესით იყო ტრადიციული, დახურული, რომელიც თავის თავს უფრო მაღლა აყენებდა ევროპელებთან შედარებით და არავითარ ინტერესს არ ამჟღავნებდა მათთან ურთიერთობისადმი. ეს იმ დროს, როდესაც ევროპის ქვეყნები, პირიქით, დაინტერესებულნი იყვნენ ოსმალეთთან ურთიერთობის დამყარებით.

სამხედრო საშიშროებამ აიძულა პორტა მიემართა თავისი ყურადღება ევროპელი მოწინააღმდეგეებისადმი. ყველაზე შორსმჭვრეტელ სახელმწიფო მოღვაწეებს სურდათ გაეგოთ უფრო მეტი, ვიდრე წინათ იცოდნენ ევროპის ქვეყნების ეკონომიკაზე, პოლიტიკურ წყობილებაზე, კულტურაზე, რათა შემდგომ მათი მიღწევები დაენერგათ თავის ქვეყანაში.

იბრაჰიმ ფაშას მმართველობის დროს უფრო მეტად, ვიდრე ადრე, შესაძლებელი გახდა ევროპელთაგან მიღწევების სესხება. იბრაჰიმ ფაშა დაინტერესებული იყო მეცნიერების, კულტურის, სამხედრო საქმის განვითარებით.

უკვე XVII საუკუნის დამდეგიდან, ოსმალეთის იმპერიისათვის დამახასიათებელ ტრადიციულ დიდაქტიკურ-ტრაქტატებთან ერთად, დაიწერა პამფლეტები, რომლებშიაც აღნიშნული იყო ევროპის სახელმწიფოების უპირატესობანი სამხედრო ორგანიზაციის საქმეში.

ერთ-ერთი ასეთი თხზულება 1718 წელს წარუდგინეს აჰმედ III-ს. მასში გადმოცემული იყო ქრისტიანისა და მუსლიმის საუბარი ოსმალეთის იმპერიის სამხედრო წარუმატებლობის მიზეზებზე. თანამედროვე თურქი ისტორიკოსები თვლიან, რომ ამ დოკუმენტში ჩანასახის სახით მოცემულია რეფორმების იდეა. ეს იყო ოსმალეთში რეფორმების პირველი პროექტი, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ვესტერნიზაციას და მოდერნიზაციას.

ქვეყნის გარდაქმნათა პირველი პროექტები, როგორც წესი, შედგენილი იყო ოსმალეთის სამსახურში მყოფი უცხოელების მიერ, მაგრამ მათ მიერ შეთავაზებული წინადადებები არ იყო მნიშვნელოვანი და არ მომხდარა მათი რეალიზაცია და მაინც, ამ პროექტების ირგვლივ დაწყებულმა დისკუსიამ ოსმალურ საზოგადოებაში წარმოშვა ახალი სოციალურ-ფსიქოლოგიური განწყობილება. იზრდებოდა ინტერესი ქვეყნის საზოგადოებრივი მოწყობის მიმართ და ევროპის სახელმწიფოების სამეცნიერო მიღწევებისადმი.

ამის საეტაპო მაჩვენებელია 1720 წელს საფრანგეთში ოსმალეთის ელჩობის გაგზავნა მეჰმედ ჩელები ირმი სექიზის მეთაურობით. საფრანგეთში იგი დიდი პატივით მიიღეს, დაათვალიერებინეს როგორც პარიზი, ისე სხვა ადგილების ღირსშესანიშნაობანი და ტექნიკისა და კულტურის მიღწევები. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ მეჰმედ ჩელებიმ შეადგინა დაწვრილებით ანგარიში თავისი მოგზაურობის შესახებ, რომელიც თურქი ისტორიკოსის პროფ. ზია კარალის შეფასებით „იყო დასავლეთისაკენ გახსნილი პირველი ფანჯარა“.

ოსმალეთის ევროპეიზაციის პროცესზე დიდი გავლენა იქონია საფრანგეთმა. ამ ქვეყნის განათლებული აბსოლუტიზმის იდეამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ოსმალეთის სახელმწიფო მოღვაწეების ნაწილზე. ამ იდეების გავლენით დაარსდა „სამეცნიერო საზოგადოება“ (თარგმანების კომისია), რომელსაც უნდა ეთარგმნა თურქულ ენაზე ევროპელი და აღმოსავლელი ავტორების თხზულებები. 1727 წელს სტამბოლში გაიხსნა სტამბა და დაიწყო თურქულ ენაზე წიგნების ბეჭდვა.

სულთნის კარი და გაბატონებული კლასის წარმომადგენლები გატაცებული იყვნენ ევროპული მოდით. ევროპის ნიმუშების მიხედვით აგებდნენ სასახლეებსა და ვილებს, აშენებდნენ ყვავილნარებს, აწყობდნენ კარნავალებს. განსაკუთრებით დიდი მოთხოვნილება იყო ტიტაზე.

აჰმედ III-ს ძალიან უყვარდა ყვავილები – ვარდები, მიხაკები და იასამანი. განსაკუთრებით კი – ტიტები. თურქულად ტიტა არის „ლალე“ და ამაში ჩაქსოვილი იყო ღვთაებრივი მნიშვნელობა, თურქულად იგი ულერადობით უახლოვდებოდა სიტყვას „ალაჰ“. ამიტომ აჰმედ III-ის მმართველობის ხანას ეწოდა „ლალე დევრი“, ანუ „ტიტების ეპოქა“.

ტიტა იყო აზიის სტეპების ველური ყვავილი, ტიტებით მოფენილი იყო თურქების მიგრაციის გზები აღმოსავლეთიდან – დასავლეთისაკენ. სწორედ ბუსბეკმა, ავსტრიის იმპერატორის ელჩმა სტამბოლში მე-16 საუკუნეში, პირველმა ჩაიტანა ფლანდრიაში ამ ყვავილის ბოლქვები. ყვავილის ევროპული ფორმა წარმოსდგება ტიტას თურქული მეტსახელისაგან (Dolban სპარ. დოლბანდ). მალე ტიტები ჩამოიტანეს ევროპელმა ვაჭრებმაც და დაიწყო მისი მოშენება ჰოლანდიაში. მე-17 საუკუნეში, მან ბიძგი მისცა „ტიტამანიას“, რომელიც ხშირად იყო მიზეზი დიდი სიმდიდრის შეძენისა ან დაკარგვისა და ტიტა გახდა ცნობილი, ვითარცა „ევროპის ოქრო“.



დიდი ვეზირი დამად იბრაჰიმ ფაშა

მეჰმედ IV, აჰმედის მამა, იყო პირველი, რომელმაც დააბრუნა ტიტა თურქეთში და სერალის ბაღებში მოაშენა ამ ყვავილის რამდენიმე სახეობა, ხოლო აჰმედმა პირველმა დაიწყო ტიტების იმპორტი არა მარტო ჰოლანდიიდან, არამედ სპარსეთიდანაც.

სერალის ბაღებში ჩატარებულმა აჰმედ III-ის გაზაფხულის დღესასწაულებმა, ე. წ. ტიტას დღესასწაულებმა, დროებით დაჩრდილა კიდეც მუსლიმების ტრადიციული რელიგიური დღესასწაულები. იგი ტარდებოდა აპრილში, ორი საღამოს განმავლობაში, უმეტესად სავსე მთვარის შუქზე.

აშენებდნენ ტიტას ბაღებს, საზღვარგარეთიდან ჩამოჰქონდათ მისი ბოლქვები. სტამბოლში კულტივირებული იყო ტიტას რამდენიმე ასეული ჯიში. ტიტა გახდა ხალხის საყვარელი ყვავილი. მას ხატავდნენ მხატვრები, აკეთებდნენ მის ორნამენტებს, პოეტები თხზავდნენ ლექსებს და სხვ.

ტიტა იქცა ერთ-ერთ წამყვან მოტივად ოსმალების დეკორატიულ ხელოვნებაში; ტიტა და მისი დღესასწაული გახდა პოეტების შთაგონების წყარო იმ პერიოდში, როდესაც ისინი ცდილობდნენ სპარსული პოეზიის გავლენის დაძლევას.

აჰმედ III-ის დროს წამყვანი პოეტი იყო ნედიმი – „კეთილი მეგობარი“, განცხრომის მომღერალი, სათანადო ფილოსოფიით გამსჭვალული: „მოდი, ვიცინოთ და ვითამაშოთ, დავტკბეთ ცხოვრების მშვენიერებით“.

„ტიტას ეპოქაში“ ოსმალეთში ეცნობიან ევროპას და ევროპული კულტურის გავლენა თანდათანობით საგრძნობი ხდება ოსმალეთის კულტურის ყველა დარგში. ასე მაგალითად, ტიტას ეპოქაში ოსმალეთის არქიტექტურაში ინერგება ბაროკოს სტილი და იწყება სინანისა და თურქული არქიტექტურის სხვა კლასიკოსების სტილის განდევნა.

თურქი და ევროპელი ისტორიკოსების ვარაუდით, დამად იბრაჰიმ ფაშას დიდი ვეზირობის დროიდან იწყება ოსმალეთის იმპერიის „ევროპეიზაცია“ („ვესტერნიზაცია“).

იბრაჰიმ ფაშამ გადადგა ნაბიჯები ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით.

თავისი მმართველობის პირველი სამი წლის განმავლობაში იგი დაკავებული იყო სახელმწიფო ხაზინის საქმიანობით. მას განზრახული ჰქონდა, უპირველეს ყოვლისა, შეემცირებინა სახელმწიფო ხარჯები. 1718 წელს იენიჩართა ესამების (ხელფასის აღების საბუთი) შემოწმების შედეგად მიღებულ იქნა ეკონომია 1500 ქისეს[1] ოდენობით. გაირკვა, რომ ყალბი დოკუმენტის წარდგენის შედეგად მრავლად იყო გაცემული უკანონო ხელფასი.

1720 წელს შედგენილი ბიუჯეტის მიხედვით, მთავრობამ ეკონომიას მიაღწია 2528 ქისეს ოდენობით. ეს შესაძლებელი გახდა კაფიკულუს ჯარისათვის და სულთნის ზოგიერთი კატეგორიის მოხელეებისათვის ხელფასის შემცირების გამო. ამის გარდა, იბრაჰიმ ფაშამ შემოიღო გადასახადი აბრეშუმზე, ყავაზე, ვრილფეხა საქონელზე და სხვ.

1721 წლის სახელმწიფოს ხაზინის შემოსავალი აღემატებოდა ხარჯებს 5675 ქისათი. ეს იყო იბრაჰიმ ფაშას ფინანსური საქმიანობის მწვერვალი.

იბრაჰიმ ფაშას მიერ ჩატარებულმა ღონისძიებებმა არ გააუმჯობესეს გლეხების მძიმე მდგომარეობა. გლეხები ტოვებდნენ თავის დასამუშავებელ მიწას, რადგან არ შეეძლოთ მრავალრიცხოვანი გადასახადების გადახდა, გარბოდნენ ქალაქებში და განსაკუთრებით სტამბოლში. მთავრობამ გამოსცა ბრძანებულებები, რომელითაც გლეხებს ეკრძალებოდათ სტამბოლსა და სხვა ქალაქებში ცხოვრება.

იბრაჰიმ ფაშას ჰქონდა გარკვეული გეგმა იენიჩართა კორპუსის რეორგანიზაციისა, მაგრამ ირანთან დაწყებულმა ომმა ხელი შეუშალა ამ გეგმის განხორციელებას.

1724 წლის თებერვალში, ირანთან ომის გამო, შემოღებულ იქნა დამატებითი „სამხედრო გადასახადი“, რის შედეგადაც კიდევ უფრო გაუარესდა გლეხებისა და ხელოსნების მდგომარეობა.

იბრაჰიმ ფაშას მთავრობამ არაერთხელ სცადა განემტკიცებინა ფულის კურსი და ამ მიმართულებით გარკვეული ღონისძიებები ჩაატარა. ამავე დროს პორტა ატარებდა მთელ რიგ ეკონომიკური ხასიათის ღონისძიებებს ევროპასთან ვაჭრობის გაფართოების მიზნით, ცდილობდა წინ აღდგომოდა ქვეყანაში კაპიტულაციების გავრცელებას. ყოველივე ამის შედეგად მდგომარეობა ოდნავ გამოსწორდა.

მიუხედავად იბრაჰიმ ფაშას მიერ ჩატარებული ღონისძიებებისა ქვეყანა ვერ გამოვიდა კრიზისიდან. ხალხის მდგომარეობა დღითიდღე უარესდებოდა. ხოლო სულთანი და გაბატონებული კლასის წარმომადგენლები უამრავ სახსრებს ხარჯავდნენ სასახლეების მშენებლობაზე და დღესასწაულების მოწყობაზე. ირანში ოსმალეთის ჯარის დამარცხება გახდა ის ნაპერწკალი, რომლის შედეგადაც 1730 წელს სტამბოლში დიდმა აჯანყებამ იფეთქა, რასაც შეეწირა როგორც სულთანი, ისე დიდი ვეზირი იბრაჰიმ ფაშა და სხვა დიდმოხელეები.

[1] ქისა (ქისე) – წარმოადგენდა ტყავის ტომარას, რომელსაც ფულის ჩასაწყობად იყენებდნენ. დროთა განმავლობაში მისი რაოდენობა იცვლებოდა: XVII საუკუნის შუა წლებში 40 000 ახჩას შეადგენდა, ხოლო XVIII საუკუნის შუა წლებში – 50 000 ახჩას.

5. ოსმალეთი და საერთაშორისო ვითარება ახლო აღმოსავლეთსა და ამიერკავკასიაში 1720-1722 წლებში

XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში სეფიანთა ირანი მწვავე ეკონომიკურ და სამხედრო-პოლიტიკურ კრიზისში იმყოფებოდა. ამ დროს დაიწყო ავღანელების შემოსევები ირანში, რომელიც კიდევ უფრო გაძლიერდა 20-იანი წლებიდან. 1722 წლის მარტში ავღანელებმა ალყა შემოარტყეს ირანის დედაქალაქ ისფაჰანს და სეფიანთა სახელმწიფოს დაცემა გარდაუვალი იყო.

ამ დროს ოსმალეთი და რუსეთი მიისწრაფოდნენ გამოეყენებინათ ირანში შექმნილი ხელსაყრელი მდგომარეობა და ხელთ ეგდოთ მისი სამფლობელოები. ოსმალეთისა და რუსეთის ხელისუფალთ კარგად ესმოდათ, რომ ირანთან ომის შემთხვევაში მეორე მხარე მაყურებლის როლში არ დარჩებოდა და შესაძლებელია ამას მათ შორის ომი გამოეწვია, რითაც არც რუსეთი და არც ოსმალეთი არ იყო დაინტერესებული. ურთიერთ შორის კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით, 1720 წლის 5 (16) ნოემბერს სტამბოლში ოსმალეთსა და რუსეთს შორის დაიდო „სამარადისო მშვიდობის“ ხელშეკრულება. ამ ხელშეკრულებით, ოსმალეთმა იკისრა მორალური პასუხისმგებლობა რუსეთთან მშვიდობიანი ურთიერთობის დარღვევის შემთხვევაში. ხელშეკრულებით, რუსეთს უნდა აღედგინა არა ელჩის, არამედ რეზიდენტის დონეზე მუდმივი დიპლომატიური ურთიერთობა ოსმალეთთან, რომელიც გაწყვეტილი იყო 1711 წლიდან.

1720 წელს რუსეთ-ოსმალეთს შორის დადებული ხელშეკრულება იყო რუსეთის გარკვეული წარმატება კასპიისპირეთში ლაშქრობის დიპლომატიური მომზადების თვალსაზრისით. 1721 წელს სტამბოლში რუსეთის რეზიდენტად დანიშნეს ი. ნეპლუევი, რომელიც სექტემბერში სტამბოლში ჩავიდა. მას ევალებოდა თვალყური ედევნებინა ოსმალეთთან დადებული ხელშეკრულების პირობების შესრულებისათვის. რუსეთი განსაკუთრებით დაინტერესებული იყო მიეღო ინფორმაცია ოსმალეთის მთავრობის რეაქციაზე პეტრე I-ის კასპიისპირეთში ლაშქრობის დროს.

რუსეთთან მშვიდობიანი ურთიერთობის შენარჩუნებით არანაკლებ დაინტერესებული იყო ოსმალეთიც, რადგან იგი ასევე ემზადებოდა ირანის წინააღმდეგ ომისათვის.

თუ ევროპაში ოსმალეთის ექსპანსიას არავითარი წარმატება არ ელოდებოდა და იგი იძულებული იყო ეზრუნა დაპყრობილი ქვეყნების შენარჩუნებისათვის, სულ სხვა ვითარება შეიქმნა XVIII საუკუნის 20-იანი წლების დამდეგს ირანსა და აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში, რაც საშუალებას აძლევდა ოსმალეთს განეხორციელებინა თავისი აგრესიული ზრახვები ამ ქვეყნების მიმართ.

ოსმალეთში, სულთნის კარზე, დიდი ყურადღებით ადევნებდნენ თვალყურს, თუ რა ხდებოდა ირანსა და აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში. სულთნის სასახლეში საკმაოდ დიდი ინფორმაცია დაგროვდა ამ ქვეყნებში არსებული პოლიტიკური ვითარების შესახებ.

ამ მიზნით, 1720 წლის ნოემბრის ბოლოს, ირანში გაიგზავნა დური ეფენდი. 1721 წლის იანვარში დური ეფენდი ისფაჰანში ჩავიდა. მისმა ჩასვლამ ირანში შაჰის კარზე დიდი შეშფოთება გამოიწვია. დური ეფენდიმ ირანის ხელისუფლება დაამშვიდა, რომ ოსმალეთი „მშვიდობის მომხრე იყო“ და გაამახვილა ყურადღება ოსმალეთ-ირანის საზღვარზე მომხდარ ინციდენტებზე.

1721 წლის აპრილში დური ეფენდიმ ისფაჰანი დატოვა და სამშობლოში გაემგზავრა. სტამბოლში დაბრუნებისთანავე მან სულთანს ვრცელი მოხსენებითი ბარათი

წარუდგინა, რომელშიც აღნიშნავდა, რომ სეფიანთა სახელმწიფოს დაცემა გარდაუვალი იყო.

1721 წლის დეკემბერში ირანის შაჰის ელჩი მურთაზა ყული ხანი სტამბოლში ჩავიდა და სულთანს დახმარება სთხოვა ავღანელების წინააღმდეგ საბრძოლველად. ოსმალეთმა არ მიიღო ეს წინადადება იმ მოტივით, რომ აჯანყებული ავღანელები ერთმორწმუნენი (ე. ი. სუნიტები) იყვნენ და ამიტომ ოსმალეთს არ შეეძლო მათ წინააღმდეგ ომი.

ამავე დროს ოსმალეთის მთავრობამ აჯანყებულ ავღანელებს წერილი გაუგზავნა და აცნობა, რომ ირანის შაჰი ოსმალეთისაგან არავითარ დახმარებას არ მიიღებდა.

ამგვარად, ოსმალეთი დაინტერესებული იყო ავღანელების მიერ სეფიანთა ირანის ხელისუფლების დამხობით, რაც საშუალებას მისცემდა მას განეხორციელებინა თავისი დაპყრობითი ზრახვები ირანის მიმართ.

ოსმალეთის სულთანი, რომელიც ირანის შაჰს უარს ეუბნებოდა დახმარებაზე მირ-მაჰმუდის წინააღმდეგ ბრძოლაში, ცდილობდა ეს უკანასკნელი თავის ქვეშევრდომად გაეხადა.

რუსეთის რეზიდენტი ი. ნეპლუევი სტამბოლიდან იუწყებოდა რომ პორტამ გადაწყვიტა დაკავშირებოდა მირ-მაჰმუდს, რათა მას ეცნო ოსმალეთის სულთანი უმაღლეს ხელისუფლად. თუ მირ-მაჰმუდის სამფლობელო ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში შევიდოდა, იგი ისარგებლებდა ისეთივე პრივილეგიებით, რომლებითაც სარგებლობდა ყირიმის ხანი ოსმალეთის სახელმწიფოში. ამ წინადადების მიღების შემთხვევაში, პორტა ხელს არ შეუშლიდა ავღანელებს დაეპყროთ ირანის ტერიტორია. თუ მირ-მაჰმუდი არ მიიღებდა პორტას წინადადებას, მაშინ სულთანი მას გამოაცხადებდა აჯანყებულად და მიიღებდა ზომებს ომის დაწყებისათვის.

1722 წლის აპრილის ბოლოს ირანის შაჰის ელჩი მურთაზა ყული ხანი, რომელიც რამდენიმე თვე სტამბოლში იმყოფებოდა და ცდილობდა დახმარება მიეღო ოსმალეთისაგან, ხელცარიელი გაემგზავრა ირანში.

ამგვარად, ირანში შექმნილი მდგომარეობა ოსმალეთისათვის ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა მისი მიზნების განხორციელებისათვის: ოსმალებს სურდათ აეღოთ ის, რაც დაკარგეს დასავლეთში.

1722 წლის 5 აპრილს დიდმა ვეზირმა ბრძანება გაუგზავნა ბაღდადისა და ბასრის ფაშებს, რათა მათ გაემაგრებინათ საზღვრები და მზად ყოფილიყვნენ საომარი მოქმედებისათვის.

მალე სტამბოლში მიიღეს ცნობა, რომ ავღანელებმა ისფაჰანს ალყა შემოარტყეს. ამ ფაქტს სულთნის კარზე დიდი კმაყოფილებით შეხვდნენ.

დიდმა ვეზირმა იბრაჰიმ ფაშამ ირანის საზღვრებთან მყოფ ფაშებს გაუგზავნა ბრძანება, რომ არ დაძრულიყვნენ ადგილიდან, სანამ ავღანელები ისფაჰანს არ დაიკავებდნენ.

1722 წლის 15 მაისს ოსმალეთის დივანმა მიიღო დადგენილება: „ვინაიდან ავღანელი აჯანყებულები ოსმალეთის საზღვრებს ემუქრებიან, მიღებულ იქნას ზომები ამ საზღვრების უშიშროების უზრუნველსაყოფად და ამასთან დაკავშირებით აღმოსავლეთის საზღვარზე მდებარე ერევანი, თავრიზი, განჯა, თბილისი და ზოგიერთი მათი მსგავსი ქალაქი და ციხე, რომლებიც წინათ ოსმალეთის გამგებლობაში იყვნენ და შემდეგ ირანს გადაეცა, კვლავ ოსმალეთის საზღვრებში შემოვიდეს“.

ამავე დროს დიდმა ვეზირმა დამად იბრაჰიმ ფაშამ გამოაცხადა, რომ ირანში სეფიანთა დინასტიის დაცემის გამო, ამ დინასტიასთან 1639 წელს დადებული ხელშეკრულება ძალას ჰკარგავს.

მართალია, ოსმალეთმა ოფიციალურად ირანს ომი გამოუცხადა, მაგრამ საომარი ოპერაციების დაწყებას აყოვნებდა. ოსმალეთში ირანის საკითხთან დაკავშირებით ორი დაჯგუფება ებრძოდა ერთმანეთს: ერთ მათგანს შეადგენდნენ მუფთიები და იენიჩარები, რომლებიც მოითხოვდნენ ირანის წინააღმდეგ საომარი მოქმედების დაუყოვნებლივ დაწყებას, მეორე დაჯგუფებას მეთაურობდა დიდი ვეზირი დამად იბრაჰიმ ფაშა, რომელიც დაჟინებით მოითხოვდა, რომ ემოქმედათ ფარულად და ხელსაყრელ მომენტს დაელოდებოდნენ.

ერთი სიტყვით, ოსმალეთმა ირანს ომი გამოუცხადა, მაგრამ საომარი ოპერაციების დაწყებას აყოვნებდა და ხელსაყრელ დროს უცდიდა.

1721 წელს შვედეთთან ომის დამთავრებისა და ზავის დადების შემდეგ, პეტრე პირველმა გადაწყვიტა ესარგებლა ირანში შექმნილი ხელსაყრელი მდგომარეობით და დაეწყო კასპიისპირეთში ლაშქრობა. პეტრე პირველი ჩქარობდა, ეშინოდა, რომ ოსმალეთს არ დაესწრო ირანში შეჭრა და ამის გამო 1723 წელს დაგეგმილი ლაშქრობა მან გადაიტანა 1722 წლისათვის.

პეტრე I-მა გადაწყვიტა ირანთან ლაშქრობის დაწყების წინ ამის შესახებ ეცნობებინა ოსმალეთის სულთნისთვის, რათა მას არ ჩაეთვალა ეს ოსმალეთთან დადებული „სამარადისო მშვიდობის“ ხელშეკრულების დარღვევად.

1722 წლის 13 მაისს, მოსკოვიდაქნ გასვლის წინ, პეტრე I-მა აცნობა ოსმალეთის ელჩს კასპიისპირეთში ლაშქრობის შესახებ.

1722 წლის ივნისში პეტრე I თავისი ჯარით ასტრახანიდან დერბენდში ჩავიდა და დაღესტნის სანაპირო ზოლი დაიკავა, ხოლო სამხრეთისაკენ, ბაქოსკენ ლაშქრობა მომავალი წლისათვის გადაიტანა.

როდესაც სტამბოლში ცნობილი გახდა პეტრე I-ის აქცია კასპიისპირეთში, სულთნის მთავრობამ გადაწყვიტა სასწრაფოდ დაეწყო ომი ირანის წინააღმდეგ. მაგრამ უკვე დაგვიანებული იყო: ომის მომზადებისათვის დრო იყო საჭირო, გვიან შემოდგომაზე ომის დაწყება კი არამიზანშეწონილი იყო და გადაწყდა ოპერაციები 1723 წლისათვის გადაეტანათ.

პეტრე I-ის კასპიისპირეთში ლაშქრობამ ძალზე გაამწვავა რუსეთ-ოსმალეთის ურთიერთობა. ოსმალეთს საკმაო ინფორმაცია ჰქონდა პეტრე I-ის ურთიერთობის შესახებ ქართლის მეფე ვახტანგ VI-ს-თან და ამიერკავკასიის სხვა მეფე-გამგებლებთან. ოსმალეთისათვის ცნობილი იყო პეტრეს გეგმები აღმოსავლეთ ამიერკავკასიის მიმართ.

1722 წლის 22 ოქტომბერს ავღანელებმა აიღეს ირანის დედაქალაქი ისფაჰანი, ტახტიდან ჩამოაგდეს შაჰ-ჰუსეინი და ავღანთა მეთაურმა მაჰმუდმა თავისი თავი გამოაცხადა ირანის შაჰად. ჰუსეინის შვილი თამაზი ჩრდილოეთ ირანში გაიქცა და თავი გამოაცხადა შაჰ თამაზ II-ედ.

6. ომის დაწყება ირანის წინააღმდეგ

ოსმალეთი შეუდგა ირანის წინააღმდეგ ომის სამზადისს. ირანთან ომის დროს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს. ოსმალეთი შიშობდა, რომ საქართველო არ შესულიყო რუსეთის მფარველობის ქვეშ და ცდილობდა ჩაეშალა რუსეთ-საქართველოს პოლიტიკური კავშირი და ვახტანგ VI გაეხადა თავის მოკავშირედ ირანის წინააღმდეგ ომში. სულთანი ვახტანგ მეფეს ჰპირდებოდა, რომ მთელი საქართველო მისი მფარველობის ქვეშ გადავიდოდა. ამით სულთანს სურდა ვახტანგ VI-ს კავშირი გაეწყვიტა რუსეთთან.

1723 წლის ზაფხულში ოსმალეთმა ირანის წინააღმდეგ ომი დაიწყო. ირანთან ომის დაწყებისთანავე შეიქმნა სამი ფრონტი: 1. თბილისის (კავკასიის) – მთავარსარდალი არზრუმის ფაშა იბრაჰიმი; 2. აზერბაიჯანის (თავრიზის) – მთავარსარდალი ვანის ვალი ქოფრულუ აბდულაჰ ფაშა; 3. ერაყის – ბაღდადის ვალი ჰასან ფაშას სარდლობით. ოსმალეთის არმიების სარდლობების წინაშე დაისვა ამოცანა: დაესწროთ მირ-მაჰმუდისათვის და ხელთ ეგდოთ დასავლეთ ირანი და ადმოსავლეთ ამიერკავკასია. რაც მთავარია, რუსებზე ადრე დაეკავებინათ ბაქო.

1723 წლის ივნისის დამდეგს ოსმალეთის ლაშქარი იბრაჰიმ ფაშას სარდლობით ამიერკავკასიის დასაპყრობად გამოემართა. ამ დროს საქართველოს მდგომარეობა ძალზე რთული იყო. ქართველებმა ვერ შეძლეს თავიანთი ძალების გაერთიანება ოსმალეთის წინააღმდეგ საბრძოლველად. ამ დროს ქართლ-კახეთს შორის მტრობა და შუღლი სუფევდა, რაც ასუსტებდა საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლას. მათ შორის შუღლის გაღვივებას გარკვეულად ხელი შეუწყო ირანმა და ოსმალეთმა. 1723 წლის 4 მაისს კონსტანტინე მეფემ (მაჰმუდ ყული ხანმა) თბილისი აიღო, ქართლის მეფე ვახტანგ VI იძულებული შეიქნა ცხინვალში გადასულიყო. ოსმალეთის ჯარის მთავარსარდალი იბრაჰიმ ფაშა სარგებლობს ქართლ-კახეთის მეფეებს შორის არსებული კონფლიქტით. იგი ორივე მხარეს ცალ-ცალკე ჰპირდება წყალობას, თუ ისინი ოსმალეთის მორჩილებას გამოუცხადებდნენ. იბრაჰიმ ფაშა ქართლის სამეფოს ერთდროულად დაჰპირდა კონსტანტინეს და ვახტანგ VI-ის ვაჟს ბაქარს.

1723 წლის 10 ივნისს კონსტანტინემ თბილისი უბრძოლველად ჩააბარა ოსმალებს. მაგრამ კონსტანტინეს იმედი არ გაუმართლდა. იბრაჰიმ ფაშამ არ დააკმაყოფილა მისი თხოვნა – დაენიშნა იგი ქართლის გამგებლად, კიდევ უფრო მეტი – ოსმალებმა კონსტანტინე დააპატიმრეს. იბრაჰიმ ფაშამ, რომელმაც ვახტანგისაგან დიდძალი ქრთამი აიღო, ბაქარი ქართლის გამგებლად დანიშნა, იგი გამაჰმადიანდა და მას იბრაჰიმი ეწოდა.

ქართლის დაპყრობის შემდეგ ოსმალებმა აქ თბილისის (ქართლის) საბეგლარბეგო დააარსეს და შეუდგნენ თავიანთი წესების შემოღებას.

ცოტა ხნის შემდეგ კონსტანტინემ მოახერხა ციხიდან გაქცევა, ჩავიდა კახეთში და დაიწყო ბრძოლა ოსმალთა წინააღმდეგ. სულ მალე იგი სათავეში ჩაუდგა ამიერკავკასიის ხალხების განმათავისუფლებელ ბრძოლას დამპყრობლების წინააღმდეგ.

მალე ბაქარმაც კონსტანტინეს მაგალითს მიბაძა, თბილისიდან გაიქცა და ალში (სურამის მახლობლად) ჩავიდა, სადაც ამ დროს ვახტანგ VI იმყოფებოდა. ვახტანგ VI-მ და ბაქარმა შეიმუშავეს ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლის გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა ფართო საბრძოლო კავშირის შექმნას. მასში გარდა ქართლის მეფისა შევიდნენ კონსტანტინე კახეთის მეფე და სომეხთა საბრძოლო გაერთიანებები.

თბილისის აღების შემდეგ იბრაჰიმ ფაშა არ ჩქარობდა შირვან-აზერბაიჯანის წინააღმდეგ გალაშქრებას. თბილისიდან გასვლის შემდეგ ოსმალებმა მარტყოფი დაარბიეს, კახეთში ციხეების ჩადგმა სცადეს, მაგრამ ამაოდ, იქიდან კი გეზი განჯისაკენ აიღეს. 9 ოქტომბერს ცხარე ბრძოლების შემდეგ ოსმალებმა განჯა აიღეს. ადგილობრივი მოსახლეობა მედგარ წინააღმდეგობას უწევდა დამპყრობლებს.

1723 წლის ზაფხულში რუსეთმა ახალი ლაშქრობა მოაწყო კასპიისპირეთში. რუსეთის ჯარმა ოსმალებს დაასწრო და 28 ივლისს დაიკავა ბაქო და მიმდებარე ტერიტორიები, რითაც არ მისცა შესაძლებლობა ოსმალეთის ჯარს გასულიყო კასპიის ზღვაზე.

თურქი ისტორიკოსის ი. დანიშმენდის ცნობით, აჰმედ III განრისხებული იყო იბრაჰიმ ფაშაზე, რომელმაც თბილისში 132 დღე უსაქმოდ გაატარა და ამასობაში რუსეთის ჯარმა ბაქო აიღო. სულთანმა იბრაჰიმ ფაშა სერასკერობიდან გადააყენა და მის ადგილზე დანიშნა არიფ აჰმედ ფაშა.

ოსმალეთი აგრეთვე შეუდგა ირანის ტერიტორიის დაპყრობას და გარკვეულ წარმატებას მიაღწია. ასეთ ვითარებაში შაჰ-თამაზ II-მ გაგზავნა პეტერბურგში ელჩი დახმარების სათხოვნელად. 1723 წლის 23 სექტემბერს პეტერბურგში ხელმოწერილ იქნა ხელშეკრულება რუსეთსა და ირანს შორის. პეტრე I დახმარებას ჰპირდებოდა შაჰ-თამაზს ავღანელების წინააღმდეგ ბრძოლაში და შაჰის ტახტის განმტკიცების საქმეში. შაჰ-თამაზი სცნობდა რუსეთის კუთვნილებად ბაქოსა და დერბენდს კასპიის სანაპიროზე მდებარე ტერიტორიებითურთ და უთმობდა მას ირანის კასპიის სანაპიროზე განლაგებულ პროვინციებს – გილანს, მაზანდსერანსა და ასტრაბადს.

რუსეთის მიერ ბაქოს დაკავებამ და 1723 წელს შაჰ-თამაზთან ხელშეკრულების დადებამ კიდევ უფრო გაამწვავა ოსმალეთ-რუსეთის ურთიერთობა. ოსმალეთი რუსეთს ომით დაემუქრა. პეტრე პირველი ოსმალეთთან ომის სამზადისს შეუდგა, მაგრამ არც ოსმალეთს და არც რუსეთს ომი არ სურდა.

7. 1724 წლის სტამბოლის ოსმალეთ-რუსეთის ხელშეკრულება და 1727 წლის ჰამადანის საზავო ხელშეკრულება ოსმალეთსა და აშრაფს შორის

ასეთ დაძაბულ ვითარებაში, 1724 წლის ზაფხულში, სტამბოლში განახლდა რუსეთ-თურქეთის მოლაპარაკება, რომელიც ჯერ კიდევ 1722 წელს დაიწყო სტამბოლში მყოფი საფრანგეთის ელჩის მარკიზ დე ბონაკის აქტიური შუამდგომლობით.

1724 წლის 24 ივნისს სტამბოლში ოსმალეთსა და რუსეთს შორის ხელმოწერილ იქნა ხელშეკრულება, რომელიც ისტორიოგრაფიაში ცნობილია, როგორც „დანაწილების ხელშეკრულება“. ამ ხელშეკრულებით მოხდა რუსეთსა და ოსმალეთს შორის ირანის სამფლობელოების დანაწილება. ოსმალეთი ცნობდა რუსეთის მიერ კასპიისპირა პროვინციების შეერთებას, რაც ასახული იყო 1723 წლის რუსეთ-ირანის ხელშეკრულებაში. სამაგიეროდ ოსმალეთს უნდა მიეღო ამიერკავკასიის ტერიტორიის დანარჩენი ნაწილი, აგრეთვე ირანის მთელი ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი – მთელი აზერბაიჯანი, ქურთისტანი, ქალაქებით ქერმანშაჰითა და ჰამადანით. ამასთან ერთად, ოსმალეთი ვალდებულებას იღებდა, ეცნო თამაზი ირანის კანონიერ შაჰად იმ შემთხვევაში, თუ უკანასკნელი აღიარებდა ოსმალეთის უფლებებს მის მიერ დაპყრობილ ტერიტორიებზე. ამ საკითხზე პეტრე I-მა აღუთქვა ოსმალეთს დახმარება, ხოლო შაჰმა მიიღო გარანტია ავღანელების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში, თანახმად 1723 წლის რუსეთ-ირანის ხელშეკრულებისა, თუკი ირანის მხარე უარს იტყოდა 1724 წლის რუსეთ-ოსმალეთის ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე, ორივე მონაწილე, რუსეთიც და ოსმალეთიც, ვალდებულებას იღებდა ერთობლივად გაელაშქრათ შაჰ-თამაზის წინააღმდეგ და ტახტზე დაესვათ სხვა კანონიერი ხელმწიფე. ამრიგად, ოსმალეთსა და რუსეთს შორის მოხდა ირანისა და აღმოსავლეთ ამიერკავკასიის გავლენის სფეროებად დანაწილება.

ოსმალები აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში თავისი ბატონობის გაძლიერების მიზნით, შეუდგნენ ქართლის, აზერბაიჯანისა და სომხეთის მიწების აღწერას და დავთრების შედგენას.

ოსმალები აღარ დაკმაყოფილდნენ ირანის იმ ტერიტორიებით, რომლებიც მათ გადაეცათ 1724 წლის სტამბოლის ხელშეკრულებით და შეუდგნენ ახალი ოლქების დაპყრობას.

1725 წელს ოსმალებმა ხელთ იგდეს ყაზვანი, რომელიც 1723 წლის რუსეთ-ირანის ხელშეკრულებით ირანს ეკუთვნოდა.

მაჰმუდ შაჰის დესპოტური და რეაქციული პოლიტიკის გამო მას აუჯანყდნენ ავღანელები, 1725 წლის აპრილში იგი მოკლეს და შაჰად გამოაცხადეს აშრაფი. აშრაფმა შესძლო თავისი ხელისუფლების განმტკიცება. 1726 წელს მან გაილაშქრა ოსმალების წინააღმდეგ და მათი წინსვლა შეაჩერა. დაიწყო მოლაპარაკება. 1727 წლის 23 ოქტომბერს ჰამადანში ოსმალეთსა და აშრაფს შორის დაიდო ხელშეკრულება: აშრაფი სცნობდა ოსმალეთის სულთანს აჰმედ III-ს მთელი მუსლიმი-სუნიტების ხალიფად, თავის თავს კი აღიარებდა სულთნის ვასალად. ამიერიდან მეჩეთებში სულთნის სახელი უნდა მოხსენიებული ყოფილიყო შაჰის წინ. იმ ოლქების გარდა, რომლებიც გადაეცა ოსმალეთს პეტრესთან დადებული ხელშეკრულებით, შაჰი მას დამატებით უთმობდა ტერიტორიებს, რომელთა ფართობი შეადგენდა ირანის მიწა-წყლის 2/3-ს.

8. პატრონა ჰალილის აჯანყება სტამბოლში

ირანთან ომმა გამოიწვია ხალხის ფართო მასების მდგომარეობის შემდგომი გაუარესება. ომთან დაკავშირებით გაიზარდა გადასახადები როგორც სოფლად, ისე ქალაქად. გაღატაკებული გლეხები გარბოდნენ სოფლებიდან და თავს აფარებდნენ ქალაქებს, განსაკუთრებით კი სტამბოლს.

დიდი უკმაყოფილება სუფევდა ხელოსნებსა და ვაჭრებს შორის. იგი გამოწვეული იყო მონეტის ფალსიფიკაციით, რაც მათ დიდ ზარალს აყენებდა და იწვევდა ვაჭრობის მოშლას. ამას გარდა, სოფლებიდან გლეხების გაქცევამ გამოიწვია კვების პროდუქტების წარმოების შემცირება და მათზე ფასების ზრდა. ხალხის მასების მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა.

ამავე დროს სასახლის კარის დიდმოხელეები ფუფუნებაში ცხოვრობდნენ და დროსტარებას არ იკლებდნენ. სულთნის კარზე ხშირად იმართებოდა წვეულებები. მიმდინარეობდა სასახლეების და ვილების მშენებლობა, ტიტას ბაღების გაშენება. ხალხის დასაშოშმინებლად გამოვიდა სულთნის ბრძანებულება შეეჩერებინათ სასახლეებისა და ვილების მშენებლობა. მაგრამ ამან ვერ შეაჩერა ხალხის უკმაყოფილება.

აჯანყებას ბიძგი მისცა ირანთან ომში წარუმატებლობამ. 1730 წლის სექტემბერში გავრცელდა ხმები, რომ თავრიზთან ოსმალეთის არმიამ დამარცხება განიცადა და ქალაქი ირანელებს ჩააბარა.

1730 წლის 28 სექტემბერს დაიწყო აჯანყება. მას სათავეში ჩაუდგა პატრონა ჰალილი, რომელიც ქალაქში ძველმანებით ვაჭრობდა. წარმოშობით იგი ალბანელი იყო. სანამ იენიჩარი გახდებოდა, საზღვაო ქვეით ჯარში მსახურობდა.

აჯანყებულებმა თავი მოიყარეს ათმეიდანზე. სულთანს მოთხოვეს მათთვის გადაეცა დიდი ვეზირი, მუფთი და რამდენიმე მაღალი თანამდებობის პირი, მათი სახალხოდ გასამართლებისათვის. აჯანყებულთა რიცხვი დღითი დღე იზრდებოდა და მეოთხე დღეს 80 ათასს მიაღწია.

სულთანმა, დიდი ვეზირის რჩევის მიუხედავად, ვერ გაბედა აჯანყებულთა წინააღმდეგ გამოეყენებინა სამხედრო ნაწილები. ამან აჯანყებულები გაათამამა.

მათ ხელთ იგდეს სამხედრო საჭურვლის საწყობები, რათა დაეჩქარებინათ სასახლის კაპიტულაცია, გადაუჭრეს წყლით მომარაგება და სხვ. სულთანი იძულებული გახდა დათმობაზე წასულიყო. მან ბრძანება გასცა სიკვდილით დაესაჯათ დიდი ვეზირი და ორი სხვა დიდმოხელე, რომლებიც ხალხს განსაკუთრებით სძულდა. განაჩენის სისრულეში მოყვანის შემდეგ მათი თავები გადაყარეს მოედანზე, მაგრამ აჯანყებულები ამით არ დაკმაყოფილდნენ. მათ მოითხოვეს, რომ სულთან აჰმედს ტახტი გადაეცა თავის ბიძაშვილ მაჰმუდისათვის, რაც დაუყოვნებლივ იქნა შესრულებული და აჯანყებულები დღესასწაულობდნენ გამარჯვებას. ტახტზე დასვეს მაჰმუდ I (1730-1754).



პატრონა ჰალილი

ახალმა სულთანმა ინება ენახა ის პიროვნება, ვისგანაც გვირგვინით იყო დავალებული. მასთან გამოცხადდა პატრონა ჰალილი უბრალო ტანსაცმელში გამოწყობილი, ფეხშიშველა. სულთანმა სთხოვა: გამოეთქვა თავისი სურვილი და დაიფიცა –შეასრულებდა მის ნებისმიერ მოთხოვნას. პატრონა ჰალილმა სულთანს სთხოვა გაეუქმებინა ვეზირების მიერ შემოღებული დამატებები ძველ გადასახადებზე და ახლად შემოღებული გადასახადები. ამ მოთხოვნიდან ნათლად ჩანს, თუ რა იყო აჯანყების მთავარი მიზეზი.

პატრონა ჰალილი და მისი თანამოაზრენი ფიქრობდნენ, რომ მთელი უბედურების მიზეზი იყო უხეირო მმართველობა, სულთნისა და მასთან დაახლებული პირების გაუმაძღრობა და საკმარისი იყო ამ თანამდებობებზე დაენიშნათ შესაფერისი პიროვნებები, რომ ძალადობა და თვითნებობა თავისთავად შეწყდებოდა.

თითქმის ორი თვის განმავლობაში სტამბოლი აჯანყებულთა ხელში იმყოფებოდა. ისინი კონტროლს უწევდნენ სულთნის ხელისუფლებას, რომელიც მათი მითითებებით იძულებული იყო ზოგიერთი ცვლილებები მოეხდინა ადმინისტრაციულ აპარატში და დაენიშნა აჯანყებულთა მიერ წარდგენილი პირები სხვადასხვა თანამდებობებზე.

თავი რომ დაეღწია აჯანყებულთა მეთაურებისაგან და განსაკუთრებით პატრონა ჰალილისაგან, სულთანმა მათ შესთავაზა მაღალი თანამდებობები პროვინციებში და ფულის დიდი თანხა. მაგრამ ამაოდ. უფრო ადვილად მოახერხეს იენიჩართა რიგებში განხეთქილების შეტანა. მთავრობამ შესძლო გადაებირებინა „ძველი და ჭკვიანი“ იენიჩარები. აჯანყების მონაწილეთა რიგები შეთხელდა.

ურთიერთობა სულთნის ხელისუფლებასა და აჯანყებულთა შორის იძაბებოდა. 2 ნოემბერს სულთანმა გამოსცა ბრძანებულება, რომლის მიხედვითაც აიკრძალა არეულობა და ყველა მეამბოხე სიკვდილით დაისჯებოდა. აჯანყების ყველა მონაწილეს, რომლებიც ატარებდნენ წითელ ჩალმას სხვებისაგან გამოსარჩევად, ებრძანათ დაეხურათ თეთრი ჩალმა, როგორსაც ატარებდნენ ჩვეულებრივი მუსლიმები.

ახალმა სულთანმა და მისმა ახლობლებმა აჯანყებულთა წინააღმდეგ შეიმუშავეს შეთქმულების გეგმა. 14 ნოემბერს პატრონა ჰალილი და მისი უახლოესი თანამებრძოლები მიიწვიეს სასახლეში სამხედრო საბჭოს სხდომაზე და იქ ყველანი

ამოწყვიტეს. ამის შემდეგ გასცეს განკარგულება – დაეხოცათ აჯანყებულთა მოთხოვნით თანამდებობებზე დანიშნული პირები. მხოლოდ ერთი დღის განმავლობაში მოკლულ იქნა 400 კაცი. სულთანმა სასწრაფოდ იენიჩარებს, მეზარბაზნეებსა და მეზღვაურებს დაურიგა ფული, რათა მათ მხარი არ დაეჭირათ აჯანყებულთათვის. ამავე დროს გაიცა ბრძანება: ისინი, ვინც იენიჩართა კორპუსში აჯანყების პერიოდში ჩაეწერენ, დაუყოვნებლივ დაბრუნებულიყვნენ სახლებში. ამან გამოიწვია უკმაყოფილება არა მარტო ახალ იენიჩარებს შორის, არამედ ძველებშიაც. 1731 წლის თებერვალში ხელფასი მისცეს მხოლოდ ძველ იენიჩარებს. ამის საპასუხოდ 25 მარტს ათმეიდანზე თავი მოიყარა 400-500-მა იენიჩარმა. 26 მარტს აჯანყებულებს შეუერთდა ქალაქის მოსახლეობა და მათი რიცხვი 3 ათასამდე გაიზარდა, მაგრამ აჯანყება ჩააქრეს და მონაწილეები სიკვდილით დასაჯეს.

სახალხო აჯანყება სტამბოლში მარცხით დამთავრდა, მაგრამ მას უკვალოდ არ ჩაუვლია, თუ ადრე ქალაქის აჯანყებაში მონაწილეობდნენ მხოლოდ იენიჩარები, ახლა აჯანყებას მხარი დაუჭირეს ხალხის ფართო ფენებმა.

9. ირანთან ომის დამთავრება

ავღანელების წინააღმდეგ ბრძოლაში წარმატებებს მიაღწია შაჰ-თამაზის ერთ-ერთმა სარდალმა ნადირმა. მან შაჰის ერთგულების ნიშნად თამაზ-ყული ხანი (თამაზის მონა-მორჩილი) დაირქვა. 1726 წლის ბოლოსათვის ნადირმა დაიკავა მეშჰედი, ხოლო მომდევნო ორი წლის განმავლობაში გაათავისუფლა მთელი ხორასანი, 1729 წლის გაზაფხულიდან კი შეუდგა ავღანელთა მიწა-წყლის დამორჩილება. იმავე წლის შუა რიცხვებში ნადირმა დაიკავა ჰერათი. 1729 წლის 29 სექტემბერს დამღანთან ბრძოლაში მან დაამარცხა აშრაფის ლაშქარი და გაანთავისუფლა ისფაჰანი ავღანელებისაგან. დეკემბერში ნადირმა დაიკავა ფარსის პროვინცია და იქიდან განდევნა ავღანელები. შირაზიდან აშრაფი გაიქცა ლარში, შემდეგ – ბელუჯისტანში, სადაც 1730 წლისათვის ავღანელები საბოლოოდ განდევნილ იქნენ ირანიდან.

ირანიდან ავღანელების განდევნის შემდეგ ნადირმა დაიწყო ბრძოლა ოსმალო დამპყრობლების წინააღმდეგ.

1730 წლისათვის ოსმალებს დაპყრობილი ჰქონდათ საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი, დაღესტნისა და შირვანის ნაწილი, ირანის ქურთისტანი, ჰამადანი, ქერმანშაჰი და ცენტრალური ირანის მნიშვნელოვანი ნაწილი. ნადირმა რამდენიმე დამარცხება მიაყენა ოსმალებს და გაანთავისუფლა ჰამადანი და ქერმანშაჰი. შემდეგ იგი შეიჭრა აზერბაიჯანში და 1730 წლის აგვისტოს დაიკავა თავრიზი და აზერბაიჯანის სხვა ქალაქები. თავრიზის დაკავების შემდეგ ნადირი აპირებდა გაეგრძელებინა წინსვლა, მაგრამ ამ დროს მან მიიღო ცნობა ჰერათში ავღანელების აჯანყების შესახებ და იგი სასწრაფოდ გაემართა ხორასანში. 1731-1732 წლებში ნადირი დაკავებული იყო ამბოხებული ავღანელების დამორჩილებით.

1731 წლის დასაწყისში შაჰ-თამაზმა დაიწყო საომარი მოქმედება თურქების წინააღმდეგ ერევნისა და ნახიჭევანის დაკავების მიზნით და კინაღამ ტყვედ ჩაუვარდა ოსმალებს. ოსმალებმა კვლავ დაიკავეს ჰამადანი, ქემანშაჰი, თავრიზი და სხვა ქალაქები. სამხრეთში ისინი შეიჭრნენ ხუზისტანში. ასეთ ვითარებაში შაჰმა ოსმალებს ზავი შესთავაზა. 1732 წლის 10 იანვარს შაჰ-თამაზსა და ოსმალეთს შორის დაიდო ზავი, რომლის მიხედვითაც შაჰ-თამაზი ოსმალეთს უბრუნებდა მდ. არაქსის ჩრდილოეთით მდებარე ტერიტორიებს. ნადირმა, როდესაც ამის შესახებ შეიტყო,

გამოსცა მოწოდება შაჰ-თამაზის წინააღმდეგ და განაცხადა, რომ არ სცნობდა ამ ხელშეკრულებას. ნადირმა სულთანს გაუგზავნა წერილი და მოითხოვა დაებრუნებინა დაპყრობილი ტერიტორიები, წინააღმდეგ შემთხვევაში ომის განახლებით დაემუქრა.

1732 წლის აგვისტოში ნადირი თავისი რაზმით ისფაჰანში ჩავიდა და შაჰ-თამაზი გადაყენებულად გამოაცხადა. შაჰად მან დასვა თამაზის 8 თვის შვილი აბასი, ხოლო თვითონ გახდა მისი რეგენტი.

1732 წლის ბოლოს ნადირმა განაახლა სამხედრო ოპერაციები ოსმალების წინააღმდეგ, დაიკავა ჰამადანი და ქერმანშაჰი და ირანის ჯარებმა ალყა შემოარტყეს ბაღდადს. 1733 წლის დეკემბერში ნადირსა და ოსმალეთის სარდალ აჰმედ ფაშას შორის დაიდო ხელშეკრულება საომარი ოპერაციების შეწყვეტის შესახებ. ამ ხელშეკრულებით ოსმალეთს ირანისათვის უნდა დაებრუნებინა ყველა ის ტერიტორია, რომელიც ოსმალეთმა დაიკავა უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში და ირან-ოსმალეთის საზღვარი უნდა აღდგენილიყო 1639 წლის ზავის მიხედვით. ოსმალეთის სულთანმა არ დაამტკიცა ეს ხელშეკრულება და 1734 წლის შუა რიცხვებში კვლავ განაახლა საომარი ოპერაციები. ამ ომში ნადირმა დაიკავა განჯა, თბილისი, მდ. არაქსის ჩრდილოეთით მდებარე მხარეები, შეიჭრა ოსმალეთის ტერიტორიაზე და ალყა შემოარტყა ციხე-სიმაგრე ყარსს, მაგრამ ვერ აიღო.

1735 წლის ბოლოს კვლავ განახლდა საზავო მოლაპარაკება და 1736 წლის 28 სექტემბერს სტამბოლში დაიდო საზავო ხელშეკრულება ოსმალეთსა და ირანს შორის. ხელშეკრულების მიხედვით უნდა აღდგენილიყო მურად IV-ის დროს არსებული (ე. ი. 1639 წლის ზოჰაბის ზავის) პირობები.

აღსანიშნავია, რომ ხელშეკრულების პირობების შემუშავებაში ორივე სახელმწიფოს მხრიდან დიდი ვეზირისა და ვეზირის გარდა მონაწილეობდა ორი მაღალი სასულიერო პირი: ოსმალეთის მხრიდან შეიხ-ულ-ისლამი და ედირნეს ყადი, ირანის მხრიდან – დიდმოხელეებთან ერთად მოლა ალი აქბარი.

საქმე ისაა, რომ საზავო მოლაპარაკების პერიოდში 1736 წლის 8 მარტს ნადირი ირანის შაჰად აკურთხეს და მას გაუჩნდა იდეა შეექმნა ერთიანი მუსლიმური სახელმწიფო წინა აზიაში. ამ სახელმწიფოს შექმნისათვის უნდა მოემზადებინა იდეოლოგიური ნიადაგი, შიიზმი შეეცვალა ახალი სუნიტური მიმდინარეობით – ჯაფარიდობით. ნადირ შაჰმა უარი თქვა შიიზმზე და ჯაფარიდობა გამოაცხადა სახელმწიფო რელიგიად.

1736 წლის ხელშეკრულებაში გატარებული იყო აზრი, რომ თუ ირანელები უარს იტყოდნენ შიიტობაზე, „უმსგავსო წესებზე“ და მიიღებდნენ სუნიტობას, ე. ი. ჯაფარიდობას, „ჭეშმარიტ სარწმუნოებას“, ასეთ შემთხვევაში ირანელები თავისუფლად იმოგზაურებდნენ წმინდა ადგილებში და ასეთივე უფლებებით ისარგებლებდნენ ირანელი ვაჭრებიც.

ხელშეკრულების მეორე მუხლით „ორ სახელმწიფოს შორის ურთიერთობისა და კავშირის დასამყარებლად, აგრეთვე სხვა მნიშვნელოვანი საკითხების განსახილველად“ ყოველ სამ წელიწადში მოხდებოდა ორივე სახელმწიფოს წარმომადგენლების გაცვლა. აღსანიშნავია, რომ ოსმალეთსა და ირანს შორის ადრე დადებულ ხელშეკრულებებში ანალოგიური მუხლი არ იყო, რადგან არც ოსმალეთი და არც ირანი არ იყო დაინტერესებული დიპლომატიური წარმომადგენლების გაცვლით, ორ სახელმწიფოს შორის შექმნილმა პოლიტიკურმა მდგომარეობამ აუცილებელი გახადა მათ შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება. ამით განსაკუთრებით დაინტერესებული იყო ნადირ-შაჰი, რომელიც ხელშეკრულების დადების შემდეგ აპირებდა ოსმალეთთან მოლაპარაკების გაგრძელებას, განსაკუთრებით რელიგიურ საკითხზე. ოსმალეთთან შემდგომი მოლაპარაკების დროს ნადირ-შაჰი

ცდილობდა ხელშეკრულებაში შეეტანა სპეციალური მუხლი, რომლითაც ოსმალეთი ოფიციალურად აღიარებდა შაჰის მიერ გამოცხადებულ რელიგიას – ჯაფარიდობას, მაგრამ ოსმალეთმა ამაზე უარი განაცხადა.

ოსმალეთში მეტად კრიტიკულად შეხვდნენ ირანში სახელმწიფო რელიგიად ჯაფარიდობის გამოცხადებას, ირანელების სუნიტობა – ჯაფარიდობა ოსმალეთში საეჭვოდ ჩათვალეს.

1739 წელს ინდოეთში წარმატებული ლაშქრობის შემდეგ, 1739-1741 წლებში ნადირ-შაჰმა მოაწყო კიდევ სამი დიდი ლაშქრობა სინდში, ბუხარასა და ხორეზმში, რომლის შედეგადაც ეს ქვეყნები ირანს დაემორჩილნენ.

ამ ლაშქრობის შემდეგ ნადირ-შაჰს სურდა შეექმნა ერთიანი მუსლიმური იმპერია და ცდილობდა შიიტებსა და სუნიტებს შორის არსებული მტრობის მოსპობას. როგორც ზემოთ ითქვა, ნადირს სურდა შიიზმი შეეცვალა ახალი სუნიტური დოგმით – ჯაფარიდობით. ოსმალეთთან მოლაპარაკების დროს იგი კვლავ დაჟინებით მოითხოვდა სულთნისაგან ამ მიმდინარეობის აღიარებას, მაგრამ ამაოდ. სწორედ ეს გახდა ოსმალეთთან ომის განახლების ერთ-ერთი მიზეზი.

1743 წლის დამდეგს ნადირ-შაჰმა განაახლა ომი ოსმალეთის წინააღმდეგ. ნადირი ლაშქრით შეიჭრა მესოპოტომიაში, ხელთ იგდო კირკუკი, ალყა შემოარტყა მოსულს, მაგრამ მისი აღება ვერ მოახერხა.

1744 წლის აგვისტოში ნადირმა დაამარცხა ოსმალეთის არმია ყარსის მახლობლად, მაგრამ ომის გაგრძელება მას აღარ შეეძლო, რადგან ამისათვის არ ჰყოფნიდა რესურსები. განახლდა საზავო მოლაპარაკება. ნადირ-შაჰი მოლაპარაკების დროს უკვე აღარ მოითხოვდა დაჟინებით ხელშეკრულებაში იმ მუხლის შეტანას, რომლითაც ოსმალეთი აღიარებდა სუნიტური მოძღვრების ჯაფარიდულ დოგმას.

1746 წლის 4 სექტემბერს დაიდო სამშვიდობო საზავო ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც აღდგენილ და დაფიქსირებულ იქნა ოსმალეთსა და ირანს შორის არსებული ძველი საზღვრები, დადგენილი 1639 წლის ზოჰაბის ხელშეკრულებით.

10. ომი რუსეთთან, ავსტრიასთან და ბელგრადის საზავო ხელშეკრულება

ამ დროს გამწვავდა რუსეთ-ოსმალეთის ურთიერთობა. პეტრე I-ის გარდაცვალების შემდეგ რუსეთი ნაკლებ ყურადღებას უთმობდა ირანს. ამ დროს რუსეთს დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა ოსმალეთთან, ამიტომ იგი დაინტერესებული იყო ირანთან კეთილმეზობლური ურთიერთობით. ამ მიზნით, ჯერ კიდევ 1732 წლის 1 თებერვალს, რეშთში ხელმოწერილი ხელშეკრულებით რუსეთმა ირანს დაუბრუნა გილანი, მაზანდერანი და ასტრაბადი, ხოლო 1735 წლის მარტის გილანის ხელშეკრულებით რუსეთმა ირანს გადასცა ბაქო და დერბენდი მიმდებარე რაიონებით.

1736 წლის აპრილში რუსეთმა ომი გამოუცხადა ოსმალეთს და მისი ჯარები შეიჭრნენ ყირიმში, დაიკავეს მისი დედაქალაქი ბაღჩისარაი და შემდეგ უკან დაბრუნდნენ. ამავე წლის ზაფხულში რუსეთის ჯარმა დაიკავა აზოვი.

1736 წელს ავსტრიამ რუსეთთან დადო თავდაცვითი ხელშეკრულება და ცდილობდა დაეყოლიებინა ოსმალეთი წასულიყო დათმობაზე, მაგრამ ამას შედეგი არ მოჰყოლია. 1737 წელს ავსტრიამ ომი გამოუცხადა ოსმალეთს. ავსტრიის ჯარები შეიჭრნენ ბოსნიაში, სერბიაში, ვლახეთში და დაიკავეს რიგი ქალაქებისა. 1737 წლის ზაფხულში რუსეთმა ახალ წარმატებას მიაღწია ყირიმში და დაიკავა ციხე-

სიმაგრე ოჩაკოვი, მნიშვნელოვანი დასაყრდენი პუნქტი და სავაჭრო ცენტრი შავი ზღვის სანაპიროზე და სიმაგრე კინბურნი. ოსმალეთმა მოითხოვა, რომ დაწყებულიყო საზავო მოლაპარაკება. ეს წინადადება მიღებულ იქნა.

1737 წლის 16 აგვისტოს უკრაინის დაბა ნემიროვოში გაიხსნა კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობდნენ მეომარი მხარეების და მეთვალყურეები ინგლისიდან და ჰოლანდიიდან. რუსეთმა თავდაპირველად მოითხოვა დაეთმოთ მისთვის ყუბანი, ყირიმი და მიწები დონსა და დუნაის შორის, მოლდავეთი და ვლახეთი გამხდარიყვნენ დამოუკიდებელი სამთავროები რუსეთის პროტექტორატის ქვეშ, რუსეთის სავაჭრო გემებს მისცემოდათ უფლება თავისუფლად ემგზავრათ შავ ზღვაზე და სხვ. ავსტრია თავის მხრივ, პრეტენზიას აცხადებდა მოლდავეთსა და ვლახეთზე, სერბიასა და ბოსნიაზე. ოსმალეთმა არ მიიღო რუსეთისა და ავსტრიის პრეტენზიები. რუსეთმა და ავსტრიამ ახალი მოთხოვნები წამოაყენეს: რუსეთი დაკმაყოფილდებოდა აზოვით, ოჩაკოვით და კინბურნით, მიმდებარე ტერიტორიებით, ხოლო ავსტრიამ უარი თქვა მოლდავეთსა და ვლახეთზე. ოსმალეთმა არც ეს ახალი წინადადებები მიიღო და 11 ნოემბერს შეწყდა კონფერენციის მუშაობა.

ომი განახლდა . 1739 წელს ოსმალეთის ჯარები შეტევაზე გადავიდნენ ავსტრიის ფრონტზე და აიძულეს ავსტრიელები დაეტოვებინათ დაკავებული ტერიტორიები ბულგარეთში, ვლახეთში, ბოსნიასა და სერბიაში, ბელგრადის გამოკლებით, რომელიც ოსმალებმა ალყაში მოაქციეს. რუსეთის ჯარებიც იძულებული გახდნენ დაეტოვებინათ ოჩაკოვი და კინბურნი. მაგრამ 1739 წლის აგვისტოში რუსეთის ჯარებმა დაიწყეს აქტიური მოქმედება: შევიდნენ ბესარაბიაში, გააგრძელეს წინსვლა და დაიკავეს იასი – მოლდავეთის ცენტრი. მაგრამ ავსტრიის მთავრობამ დაიწყო სეპარატული მოლაპარაკება ოსმალეთთან, საფრანგეთის შუამავლობით. 1739 წლის 1 სექტემბერს ბელგრადთან ავსტრიამ დადო სეპარატული სამშვიდობო საზავო ხელშეკრულება ოსმალეთთან. ამ ხელშეკრულებით ავსტრიამ ოსმალეთს დაუბრუნა არა მარტო ის ტერიტორიები, რომელიც მან დაკარგა ამ ომში, არამედ ასევე იმ მიწების ნაწილი, რომელიც მან მიიღო 1718 წლის პოჟარევაცკის ხელშეკრულებით, ბანატი, თემეშვარი, ბოსნიის ჩრდილოეთი ნაწილი, სერბია ბელგრადით და მცირე ვალახეთი.

მას შემდეგ, რაც ავსტრიამ ოსმალეთთან ხელი მოაწერა არახელსაყრელ საზავო ხელშეკრულებას, რუსეთი მეტად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. 1739 წლის 18 სექტემბერს ბელგრადთან, საფრანგეთის ელჩის შუამდგომლობით, რუსეთსა და ოსმალეთს შორის დაიდო სამშვიდობო საზავო ხელშეკრულება, რომელმაც გააქარწყლა 1739 წელს რუსეთის ჯარების მიერ მოპოვებული წარმატებები. ხელშეკრულებით რუსეთმა მიიღო მხოლოდ აზოვი (იმ პირობით, რომ უნდა მოეთხარა ციხე-სიმაგრე) და აგრეთვე მცირე ყაბარდო, რომლებიც ადრე რუსეთის მფარველობის ქვეშ იმყოფებოდნენ და მიიღეს დამოუკიდებლობა.

ასევე მარცხით დამთავრდა რუსეთის ცდა თავისუფალი ნაოსნობისა და ვაჭრობისა შავ და აზოვის ზღვებზე. რუსეთმა აიღო ვალდებულება ეწარმოებინა ვაჭრობა მხოლოდ ოსმალეთის გემებით.

აღნიშნული ხელშეკრულებით აღდგენილი იქნა რუსეთის საელჩო სტამბოლში, ამიერიდან რუსეთს იქ თავისი ელჩი ეყოლებოდა.

ოსმალეთის წარმატებები ამ ომში იყო შემთხვევითი, ხანმოკლე და არ იყო მნიშვნელოვანი.

11. 1740 წელს საფრანგეთთან დადებული „გენერალური კაპიტულაცია“

1739 წელს ავსტრიასთან და რუსეთთან მოლაპარაკების პროცესში საფრანგეთმა ოსმალეთს დიდი დახმარება აღმოუჩინა. ამ სამსახურისათვის 1740 წელს სულთანმა უბოძა საფრანგეთს „გენერალური კაპიტულაცია“, რომლითაც ფრანგ ქვეშევრდომებს ეძლეოდათ პრივილეგიები და შეღავათები ოსმალეთთან ვაჭრობაში მუდმივად, განუსაზღვრელი ვადით. ამ ხელშეკრულებით ფრანგი ქვეშევრდომები, საკონსულო იურისდიქციასთან (ექსტერიტორიალური უფლება) და შეღავათიან პირობებში ვაჭრობასთან ერთად, ღებულობდნენ ოსმალეთის ტერიტორიალური წყლებითა და სახმელეთო გზებით ვაჭრობის უფლებასაც. „გენერალური კაპიტულაციით“ განახლდა, კვლავ დამტკიცდა და შეივსო ყველა ძველი კაპიტულაცია. ეს „გენერალური კაპიტულაცია“ 100-ზე მეტი მუხლისაგან შედგებოდა და ყოველ მათგანში იყო მსჯელობა მხოლოდ ოსმალეთის იმპერიის ტერიტორიაზე ფრანგი ვაჭრების შეღავათებსა და პრივილეგიებზე.

თუ ადრე სულთნის მიერ გაცემული კაპიტულაცია ძალაში რჩებოდა მისი ზეობის წლებში და ახალი სულთნის ტახტზე ასვლისას, მისი სურვილისამებრ, უნდა მომხდარიყო კაპიტულაციის განახლება, ამიერიდან იგი ძალაში რჩებოდა მუდმივი დროის განმავლობაში და სულთანს აღარ შეეძლო მისი გაუქმება მეორე მხარის თანხმობის გარეშე, ამრიგად, კაპიტულაციამ ხელშეკრულების სახე მიიღო.

საფრანგეთის ვაჭრებისათვის დადგენილ იქნა საექსპორტო და საიმპორტო ბაჟები საქონლის ღირებულების 3 პროცენტის რაოდენობით. თურქი ვაჭრები კი იხდიდნენ 10 პროცენტს. ფრანგი ვაჭრები, საექსპორტო და საიმპორტო ბაჟების გადახდის შემდეგ, განთავისუფლებული იყვნენ ქვეყნის შიგნით დაწესებული გადასახადებისაგან. თურქი ვაჭრები კი არ სარგებლობდნენ ამ შეღავათებით.

დროთა განმავლობაში ინგლისმა, ჰოლანდიამ და ევროპის სხვა სახელმწიფოებმაც მიიღეს ფრანგების ანალოგიური უფლებები.

ამრიგად, ამ კაპიტულაციებით, თურქი ვაჭრები (და შესაბამისად, თურქეთის ვაჭრობა და მრეწველობა) თავის საკუთარ ქვეყანაში აღმოჩნდნენ გაცილებით უარეს პირობებში უცხოელებთან შედარებით. კაპიტულაციები გადაიქცა ოსმალეთის ეკონომიკური დაკაბალების ერთ-ერთ მძლავრ იარაღად. ხანგრძლივი ბრძოლა კაპიტულაციების რეჟიმის გაუქმებისათვის ოსმალეთმა დაიწყო 1856 წელს პარიზის საზავო კონფერენციის დროს და მხოლოდ 1923 წელს მოახერხა მისი გაუქმება.

თავი XVI

თურქეთ-რუსეთის ომები XVIII საუკუნის მეორე ნახევარში

1. 1768-1774 წლების თურქეთ-რუსეთის ომი

XVIII საუკუნის 60-იანი წლებიდან უარესდებოდა რუსეთ-ოსმალეთის ურთიერთობა. ეს აიხსნება რამდენიმე მიზეზით. ამ დროს გახშირდა ყირიმისა და ნოღაის ხანების თავდასხმები სამხრეთ რუსეთის მიწა-წყალზე. მოიერიშეთა ზურგს უკან იდგა ოსმალეთი. შემდგი მიზეზი რუსეთ-თურქეთის ურთიერთობის გაუარესებისა იყო რუსეთის გემებისათვის შავ ზღვაზე ნაოსნობის აკრძალვა. შავი ზღვის მნიშვნელობა განსაკუთრებით გაიზარდა XVIII სასუკუნის პირველ ნახევარში რუსეთის ეკონომიკური განვითარების შედეგად.

შავ ზღვაზე რუსეთის გემებისათვის ნაოსნობის აკრძალვამ (1711 წელს პრუტის ხელშეკრულებით) ხელი შეუშალა რუსეთის სახელმწიფოს ეკონომიკურ განვითარებას. ბოლოს, რუსეთ-ოსმალეთის ურთიერთობის გამწვავებას ხელს უწყობდა ის, რომ ოსმალეთის ბატონობის ქვეშ მყოფი ბალკანეთისა და კავკასიის ხალხები სულ უფრო მეტად მიმართავდნენ რუსეთს დახმარებისათვის ოსმალთა ბატონობისაგან განთავისუფლების საქმეში. ასეთი თხოვნით ეკატერინე II-ს მიმართეს ბერძნებმა, სერბებმა, ჩერნოგორიელებმა, ქართველებმა.

ყოველივე ეს ამწვავებდა რუსეთ-ოსმალეთის ურთიერთობას. რუსეთის მთავრობა ცდილობდა გაეხანგრძლივებინა და თავიდან აეცილებინა ოსმალეთის იმპერიასთან სამხედრო შეტაკება. სულთნის სასახლის კარზე იყო გავლენიანი დაჯგუფება, რომელიც რუსეთთან ომის დაწყების მომხრე იყო.

ასეთ ვითარებაში რუსეთთან ომის საბაბი გახდა უმნიშვნელო ინცინდენტი. 1768 წელს რუსეთის სამხედრო რაზმი დაედევნა კონფედერანტებს (პოლონეთში ანტირუსული პარტიის მომხრეებს), შეიჭრა ოსმალეთის ტერიტორიაზე, სადაც კონფედერანტებს სურდათ თავის შეფარება და დაარბია ყირიმის ხანის სამფლობელო. თუმცა რუსეთის მთავრობამ ადიარა, რომ დაუშვებელია საზღვრის დარღვევა და დასაჯა თავისი რაზმის მეთაური, პორტამ რუსეთის ელჩს სტამბოლში ა. ობრესკოვს მოსთხოვა, რომ რუსეთის ჯარები დაუყოვნებლივ გასულიყვნენ პოლონეთიდან. ობრესკოვმა განუცხადა, რომ იგი არ არის კომპეტენტური მიიღოს ასეთი გადაწყვეტილება და ამ მიზნით დაუკავშირდება თავის მთავრობას. ამის პასუხად ოსმალეთის მთავრობამ დააპატიმრა ობრესკოვი საელჩოს 14 თანამშრომელთან ერთად და ყველანი იედიკულეს ციხეში ჩასვეს.

1768 წლის 14 ოქტომბერს ოსმალეთმა ომი გამოუცხადა რუსეთს, თუმცა იგი არ იყო მზად ამ ომისათვის და სამხედრო ოპერაციები დაიწყო მხოლოდ 1769 წელს. 1769 წლის იანვრის ბოლოს ყირიმის ხანის ლაშქარი თავს დაესხა უკრაინის მიწა-წყალს და საშინლად აოხრა იგი. განსაკუთრებით დიდი ზარალი მიაყენა ზაპოროჟიეს.

1769 წლის აპრილში დუნაის ფრონტზე მოხდა პირველი ბრძოლები რუსეთისა და ოსმალეთის არმიებს შორის, მაგრამ მთავარი ბრძოლები დაიწყო შემოდგომაზე. ოსმალეთის ჯარები მარცხდებოდნენ და იხევდნენ სამხრეთისაკენ. სექტემბრის ბოლოს რუსეთის არმიამ დაიკავა ხოტინი.

1769 წლის ნოემბერში რუსეთის არმიამ გაანთავისუფლა მოლდავეთის ტერიტორია – იასა. შემდეგ ვალახეთის დედაქალაქი – ბუქარესტი. წარმატებას მიაღწია რუსეთის არმიამ ჩრდილოეთ კავკასიაში და დაიკავა ყაბარდო.


განსაკუთრებით დიდი სამხედრო ოპერაციები რუსეთის არმიამ ჩაატარა 1770-1771 წლებში. 1770 წელს ოსმალები სასტიკად დამარცხდნენ. რუსეთის არმიამ დაიკავა ბესარაბია, მოლდავეთი, ვალახეთი და გავიდა დუნაის ნაპირზე.

ამ ომის დროს რუსეთის ხელისუფლებამ გადაწყვიტა საქართველო მიემხრო ოსმალეთის წინააღმდეგ ომში. ქართლისა და იმერეთის მეფეებთან შეთანხმებით, 1769 წლის ზაფხულში რუსეთის ჯარი გენერალ ტოტლებენის სარდლობით საქართველოში შემოვიდა.

1770 წელს საქართველო-რუსეთის გაერთიანებული ჯარი ახალციხისაკენ გაემართა და აპრილის შუა რიცხვებში აწყურს ალყა შემოარტყა. მაგრამ ალყის დროს ტოტლებენი თავისი ჯარით უკან გაბრუნდა. ასპინძასთან მისულ ქართულ ჯარს ახალქალაქიდან წამოსული 1500 ოსმალო მებრძოლი შეეყარა, ქართველებმა უკუაგდეს ისინი. მალე ოსმალთა 4 000 კაციანი ლაშქარი გამოჩნდა. 1770 წლის 20 აპრილს ასპინძასთან მოხდა გადამწყვეტი ბრძოლა. ქართველებმა სასტიკად დაამარცხეს ოსმალთა ლაშქარი. მაგრამ ამ გამარჯვებით ერეკლე II-მ ვერ ისარგებლა და ქართლში დაბრუნდა.

ამასობაში ტოტლებენმა მიიღო დამხმარე ძალა და იმერეთში გადავიდა. სოლომონ მეფემ ცუცხვათისა და შოროპნის ციხეებიდან ოსმალები განდევნა. 1771 წლის 2 ივლისს ტოტლებენმა ბაღდადის ციხიდან განდევნა ოსმალები. 9 აგვისტოს ქართველთა და რუსთა შეერთებულმა ჯარმა ქუთაისი აიღო. ოქტომბრის ბოლოს ტოტლებენმა ფოთს ალყა შემოარტყა, მაგრამ ციხე ვერ აიღო. ამიერიდან ოსმალეთს რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლა ერთდროულად ორ ფრონტზე უნდა ეწარმოებინა – ბალკანეთსა და კავკასიაში, რამაც კიდევ უფრო გაართულა ოსმალეთის მდგომარეობა.

დიდ წარმატებას მიაღწია რუსეთის ფლოტმა. რუსეთის სამმა ესკადრამ გაიარა ბალტიის ზღვა, გიბრალტარის სრუტე, ხმელთაშუა ზღვა და გაემართა ოსმალეთის ნაპირებისაკენ. საფრანგეთის მთავრობამ აცნობა დიდ ვეზირს რუსეთის ფლოტის ამ მსვლელობის შესახებ. ვეზირმა ამას არავითარი მნიშვნელობა არ მიანიჭა. მაგრამ, როდესაც რუსეთის გემები ეგეოსის ზღვაზე გამოჩდნენ, სულთნის მთავრობა



ჩეშმენის საზღვაო ბრძოლა

გაკვირვებული დარჩა: როგორ აღმოჩნდა იქ რუსეთის ფლოტი? პორტა დარწმუნებული იყო, რომ ეს მოხდა ვენეციის მთავრობის ღალატით, რომელმაც ნება დართო რუსეთის ესკადრას გასულიყო ბალტიიდან ადრიატიკის ზღვაზე. ამასთან დაკავშირებით სულთანმა გაუგზავნა ვენეციის მთავრობას ოფიციალური პროტესტი!

1770 წლის გაზაფხულზე რუსეთის ესკადრა მიუახლოვდა მორეას სანაპიროს და გადასხა დესანტი. 1771 წლის მარტში დაიწყო აჯანყება ოსმალო დამპყრობლების წინააღმდეგ. ოსმალეთმა მიიღო ზომები, რომ აჯანყება არ გავრცელებულიყო მთელ ნახევარკუნძულზე. საერთო ძალებით ოსმალებმა შეძლეს აჯანყების ჩაქრობა.

1770 წლის 7 ივლისს რუსეთის ფლოტმა ჩეშმენის ყურეში გაანადგურა ოსმალეთის ფლოტი და ამის შემდეგ მოახდინა დარდანელის ბლოკირება.

1771 წელს რუსეთის ჯარებმა მოიპოვეს სამხედრო გამარჯვებები. აქედან ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ყირიმის დაკავება. ეს იყო ყველაზე უფრო მძიმე დარტყმა ოსმალეთის იმპერიისათვის, რომელიც შავ ზღვას თვლიდა თავის შიდა ზღვად.

რუსეთის გამარჯვებები ხმელეთსა და ზღვაზე მაუწყებელი იყო რუსეთის გამარჯვებისა ოსმალეთზე, მაგრამ ქვეყნის შინაგანი სიძნელეები და საგარეო-პოლიტიკური გართულებები უბიძგებდა რუსეთის მთავრობას მალე დაემთავრებინა ომი.

რუსეთის წარმატებებმა ოსმალეთის წინააღმდეგ გამოიწვია შეშფოთება საფრანგეთში, ავსტრიასა და ინგლისში, ავსტრიამ მოახდინა თავისი ჯარების კონცენტრაცია მოლდავეთსა და ვალახეთის საზღვრებთან. ამავე დროს საფრანგეთი აქეზებდა შვედეთს გამოსულიყო რუსეთის წინააღმდეგ.

რუსეთმა პორტას შესთავაზა ზავი შემდეგი პირობით: ყირიმი გამოყოფილიყო ოსმალეთისაგან, რუსეთს გადასცემოდა დიდი და მცირე ყაბარდო, რუსეთს მიეღო შავ ზღვაზე თავისუფლად ნაოსნობის უფლება, აგრეთვე მიეღო კაპიტულეციების ის უფლებები, რომლითაც სარგებლობდნენ სხვა სახელმწიფოები და სხვ.

ოსმალეთმა არ მიიღო ეს წინადადებები, სულთნის ასეთი პოზიცია აიხსნება იმით, რომ საფრანგეთი და ავსტრია ჰპირდებოდნენ მას დიპლომატიურ დახმარებას.

1770 წლის ბოლოს სტამბოლში დაიწყო მოლაპარაკება ოსმალეთსა და ავსტრიას შორის. რომელიც დამთავრდა 1771 წლის 6 ივლისს საიდუმლო ხელშეკრულების დადებით. ავსტრიამ აიღო ვალდებულება დიპლომატიური თუ სამხედრო მოქმედებებით აეძულებინა რუსეთი დაებრუნებინა ოსმალეთისათვის დაკარგული ტერიტორიები. ოსმალეთი, თავის მხრივ, ვალდებულებას იღებდა დაეთმო ავსტრიისათვის ვალახეთის ნაწილი, მიენიჭებინა მისი ქვეშევრდომებისათის სავაჭრო პრივილეგიები, რომლითაც სარგებლობდნენ სხვა სახელმწიფოები.

სანამ მიმდინარეობდა ავსტრიასა და ოსმალეთს შორის მოლაპარაკება, რუსეთის ჯარებმა მოიპოვეს ახალი დიდი გამარჯვებები: მათ დაიპყრეს ყირიმი და მდინარე დუნაის მარჯვენა სანაპირო და არქიპელაგის რიგი კუნძულები. ახალმა დამარცხებებმა იმდენად შეაშფოთა ოსმალეთი, რომ ავსტრიასთან დადებული საიდუმლო ხელშეკრულება უდრეური აღმოჩნდა და ოსმალეთმა უარი თქვა მის რატიფიკაციაზე.

ოსმალეთმა გადაწყვიტა დაეწყო მოლაპარაკება რუსეთთან. 1772 წლის 30 მაისს ჟურჟუში, დუნაის მარცხენა ნაპირზე, დაიდო დროებითი ზავი.

1772 წლის 27 ივლისს ქალაქ ფოქშანში დაიწყო სამშვიდობო საზავო კონფერენცია. მის მუშაობაში, გარდა რუსეთისა და ოსმალეთის წარმომადგენლებისა, ოსმალეთის მხარეზე, მრჩეველების სახით, რუსეთის თანხმობით მონაწილეობას იღებდნენ ავსტრია და პრუსიის წარმომადგენლები.

მოლაპარაკება დაიწყო რუსეთის მოთხოვნის პირველი პუნქტის განხილვით, რუსეთმა მოითხოვა ყირიმს მინიჭებოდა დამოუკიდებლობა, ოსმალეთმა უარი განაცხადა

ამ წინადადებაზე და მოლაპარაკება შეწყდა, მაგრამ, საომარი მოქმედება არ განახლებულა.

1772 წლის 29 ოქტომბერს ბუქარესტში დაიწყო ახალი სამშვიდობო მოლაპარაკება (ავსტრიისა და პრუსიის მრჩეველების გარეშე). დროებით ზავი გაგრძელებულ იქნა 1773 წლის 9 მარტამდე, მაგრამ ამჯერადაც შეთანხმების მიღწევა ვერ მოხერხდა. რუსეთის მოთხოვნები შემდეგი იყო: რუსეთის საზღვარი უნდა გასულიყო მდ. ბუგზე, ხოლო ოსმალეთისა – დნესტრზე. რუსეთს ეძლეოდა შავ ზღვაზე და სრუტეებზე თავისუფლად ნაოსნობის უფლება და ის პრივილიგიები, რომლითაც სარგებლობდნენ ევროპის სახელწიფოები კაპიტულაციებით, ოსმალეთმა უარი თქვა ეცნო ყირიმის სახანოს დამოუკიდებლობა. აღსანიშანავია, რომ 1772 წლის 1 ნოემბერს რუსეთსა და ყირიმის სახანოს შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლითაც რუსეთი იძლეოდა ყირიმის სახანოს დამოუკიდებლობის გარანტიას, ხოლო რუსეთს რჩება ქერჩი და იენიკალე.

9 მარტს ბუქარესტში შეწყდა მოლაპარაკება და აპრილში განახლდა სამხედრო ოპერაციები.

1774 წლის ზაფხულში რუსეთის ჯარებმა გადალახეს დუნაი. 2 მაისს მათ დაიკავეს ფაზარჯიკი. რუსეთის არმია ფერდმარშალ რუმიანცევის სარდლობით გაემართა შუმენისაკენ, სადაც ჩავიდა 9 ივნისს, რუსეთის კორპუსმა სუვოროვის სარდლობით სასტიკად დაამარცხა 40 ათასიანი ოსმალეთის ჯარი. რუსეთის ჯარი წარმატებით მიიწევდა წინ. ასეთ ვითარებაში პორტამ რუსეთს შესთავაზა ზავი.

2. 1774 წლის ქუჩუქ-კაინარჯის საზავო ხელშეკრულება

სამხედრო ასპარეზზე მოპოვებული გამარჯვება რუსეთმა დიპლომატიური გამარჯვებით დააგვირგვინა.

1774 წლის ივლისში სოფელ ქუჩუქ-კაინარჯში დაიწყო მოლაპარაკება და 10(21) ივლისს ხელი მოაწერეს საზავო ხელშეკრულებას.

ქუჩუქ-კაინარჯის ხელშეკრულება შედგებოდა შესავლის 28 მუხლისა და ორი დამატებისაგან. ორივე მხარე სცნობდა ყირიმის სახანოს დამოუკიდებლობას, რუსეთის ხელში გადადიოდა შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე ტერიტორიის ნაწილი, ქალაქები ქერჩი, იენიკალე და კინბურნი, ოჩაკოვი უბრუნდებოდა ოსმალეთს. რუსეთის ხელში გადადიოდა აგრეთვე დიდი და პატარა ყაბარდო და აზოვი. რუსეთს უბრუნდებოდა ბესარაბია, მოლდავეთი და ვალახეთი. რუსეთი წავიდა დათმობაზე და აღიარებდა სულთან-ხალიფას სასულიერო ხელისუფლებას მუსლიმ თათრებზე.

დიდი გამარჯვება იყო ის, რომ რუსეთმა მიიღო უფლება თავისუფლად ემოგზაურათ მის სავაჭრო გემებს ოსმალეთის ნაპირებთნ და ესარგებლათ სრუტეებით. ამრიგად, რუსეთის სავაჭრო გემებმა მოიპოვეს უფლება თავისუფლად გასულიყვნენ ხმელთაშუა ზღვაზე. მაგრამ ეს ეხებოდა მხოლოდ სავაჭრო გემებს.

ხელშეკრულება რუსეთის ქვეშევრდომებს ანიჭებდა ისეთივე შეღავათებს და პრივილიგიებს, რომლითაც სარგებლობდნენ ევროპის სახელმწიფოები კაპიტულაციებით. ოსმალებს აეკრძალათ დასახლებულიყვნენ მოლდავეთსა და ვალახეთში, რუსეთმა მიიღო უფლება მფარველობა აღმოეჩინა ოსმალეთში მცხოვრები მართლმადიდებლებისათვის და გაეხსნა საკონსულოები ოსმალეთის ქალაქებში.

კონტრიბუციის სახით ოსმალეთს სამი წლის განმავლობაში უნდა გადაეხადა რუსეთისათვის 7,5 მილიონი ყურუში, ე. ი. 4,5 მილიონი მანეთი.

ქუჩუქ-კაინარჯის ხელშეკრულება იყო შემობრუნების პუნქტი რუსეთ-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიაში, ქუჩუქ-კაინარჯის ზავის პირობები არ იყო შემთხვევითი. ომის შედეგებიც და ზავის პირობებიც ოსმალეთის სახელმწიფოს პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემის კრიზისის გამოხატულება იყო.

ქუჩუქ-კაინარჯის ხელშეკრულებამ გამოააშკარავა ოსმალეთის იმპერიის ჩამორჩენილობა და მისი სამხედრო სისუსტე. მიუხედავად ამისა ოსმალეთის მმართველი წრეები უარს არ ამბობდნენ ძალით დაებრუნებინათ დაკარგული ტერიტორიები.

1774 წლის 22 აგვისტოს ეკატერინე II-მ მოახდინა ქუჩუქ-კაინარჯის ხელშეკრულების რატიფიკაცია, ოსმალეთის სულთანი კი არ ჩქარობდა მის შესრულებას და დროს აყოვნებდა.

ოსმალეთის გავლენიანი წრეები გამოდიოდნენ ხელშეკრულების რატიფიკაციის წინააღმდეგ, მათ იმედი ჰქონდათ საფრანგეთის, ინგლისის და პრუსიის მხარდაჭერისა. ისინი ცდილობდნენ აეძულებინათ სულთანი მოეთხოვა რუსეთისაგან ხელშეკრულების პირობების შემსუბუქება.

ავსტრიასთან და ირანთან ურთიერთობის გართულებამ ბოლოს და ბოლოს აიძულა სულთანი 1775 წლის 24 იანვარს მოეხდინა ქუჩუქ-კაინარჯის ხელშეკრულების რატიფიკაცია.

ხელშეკრულების რატიფიკაციის შემდეგაც ოსმალეთმა სცადა დაებრუნებინა ყირიმი. 1775 წლის დამდეგს სულთნის ხელდებულმა ყირიმის ხანმა ოსმალეთის ჯარის დახმარებით სცადა ხელთ ეგდო ყირიმი. ოსმალეთმა შეაჩერა კონტრიბუციის გადახდა, მოითხოვა კინბურნის დაბრუნება და დაიწყო მზადება ქერჩისა და იენიკალეს ხელში ჩასაგდებად.

ოსმალეთის მიერ ხელშეკრულების დარღვევის საპასუხოდ 1776 წლის ნოემბერში რუსეთის ჯარებმა დაიკავეს პერეკოპი, შეიჭრნენ ყირიმის სიღრმეში და მალე დაიკავეს მთელი ყირიმი. ამ ოპერაციებს ხელმძღვანელობდა სუვოროვი. რუსეთის ჯარი განალაგეს დუნაის ნაპირებზე. ამ დროს ოსმალეთს ომი ჰქონდა ირანთან. ასეთ ვითარებაში 1779 წლის 21 მარტს რუსეთსა და ოსმალეთს შორის დაიდო კონვენცია, რომლითაც დადასტურებულ იქნა ქუჩუქ-კაინარჯის ხელშეკრულების პირობები. მაგრამ ამის შემდეგაც ოსმალეთი არ სცნობდა ყირიმის დამოუკიდებლობას.



ეკატერინე II

ეკატერინე II-ის კარზე, როდესაც მეორე შვილიშვილი გაჩნდა, მას კონსტანტინე დაარქვეს, კონსტანტინეს ძიძად და აღმზრდელად ბერძნები მიუჩინეს. ბერძნულის ცოდნა მისთვის მეტად საჭირო იყო, რადგან მას ამზადებდნენ კონსტანტინოპოლის ტახტისათვის.

ყირიმის შეერთებამდე ცოტა ხნით ადრე, ეკატერინე II-მ შესთავაზა ავსტრიის იმპერატორს იოსებ II-ს ოსმალეთის ევროპული ნაწილის მთლიანად დაყოფის გეგმა. ე. წ. „საბერძნეთის პროექტი“. იგი რუსეთისა და ავსტრიის მიერ ოსმალეთის სამფლობელოების უშუალოდ შეერთების გარდა, ითვალისწინებდა

დაარსებულიყო „საბერძნეთის იმპერია“, დედაქალაქით კონსტანტინოპოლში. ამასთანავე უნდა შექმნილიყო ბუფერული „დაკიის“ სამეფო, რომლის შემადგენლობაში შეეიდოდა მოლდავეთი, ვალახეთი და ბესარაბია. „საბერძნეთის იმპერიის“ ტახტი გადაეცემოდა ეკატერინე II-ის შვილიშვილს – კონსტანტინეს, ხოლო „დაკიის“ სამეფოს ტახტს დაიკავებდა ეკატერინეს ფავორიტი გრიგოლ პოტიომკინი. „ბერძნული პროექტი“ არ განხორციელებულა. ძნელი სათქმელია, თუ რამდენად შესაძლებელი იყო ეკატერინე II-ის ამ გეგმის პრაქტიკულად განხორციელება. მაგრამ თვით ამ პროექტის შემუშავება მეტად საყურადღებოა აღნიშნულ პერიოდში რუსეთის საგარეო პოლიტიკის შესასწავლად.

1783 წლის 19 აპრილს გამოიცა ეკატერინე II-ის მანიფესტი რუსეთთან ყირიმის შეერთების შესახებ, ამავე წელს დაიდო გეორგიევსკის ტრაქტატი ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის მფარველობის ქვეშ შესვლის თაობაზე. ამ აქტების შედეგად რუსეთმა დიდ პოლიტიკურ გამარჯვებას მიაღწია.

ყირიმის სახანოს შეერთება რუსეთთან ნიშნავდა რუსეთის შავ ზღვაზე არა მარტო გამოსვლას, არამედ გაბატონებასაც, რადგანაც რუსეთის სამხედრო და ეკონომიკური პოტენციალი ბევრად აღემატებოდა ოსმალეთისას.

საქართველოსა და რუსეთს შორის გეორგიევსკის ტრაქტატის დადების შემდეგ ოსმალეთმა კიდევ უფრო გააძლიერა ყურადღება საქართველოს მიმართ. ამიერიდან საქართველო-ოსმალეთის საზღვარი ოსმალეთ-რუსეთის საზღვარი გახდა. 1783 წლის შემდეგ ოსმალეთისა და რუსეთს შორის აღარ იყო ბუფერული ყირიმის სახანო, დაიწყო რუსეთ-ოსმალეთის ურთიერთობის ახალი ეტაპი.

3. ოსმალეთი 1774-1787 წლებში

1768-1774 წლების რუსეთთან ომმა გამოიწვია ოსმალეთის სახელმწიფოს ფინანსების მოშლა. ხაზინა დაცარიელებული იყო. დიდ სამხედრო ხარჯებთან ერთად, ეს გამოწვეული იყო იმითაც, რომ პროვინციის რიგი გამგებელი აღარ გზავნიდა დედაქალაქში მის მიერ აკრეფილ გადასახადებს, ამასთან ერთად სამღვდელოება, ვეზირები და სხვა დიდმოხელეები ფლობდნენ დიდ სიმდიდრეს. სულთნის მთავრობამ სცადა დაემყარებინა წესრიგი ფინანსებში. 1776 წელს გამოიცა ბრძანებულებები, რომლითაც აიკრძალა ძვირფასი სამკაულების, ქურქებისა და ტანსაცმლის ტარება. მაგრამ ამან ვერ გამოიღო შედეგი.

ხაზინის შემოსავლის გაზრდის მიზნით, მთავრობამ კიდევ უფრო მეტად, ვიდრე ადრე, დაიწყო გადასახადების აკრეფის იჯარით გაცემა. გადასახადების ამკრეფნი ხშირად იყვნენ პროვინციის გამგებლები. შემდეგ ისინი გადასახადების აკრეფის უფლებას გადასცემდნენ სხვებს, დიდი სარგებლის აღების შემდეგ. ასეთი სისტემა საშუალებას აძლევდა მთავრობას სწრაფად მიეღო მისთვის საჭირო ფული, მაგრამ, იგი აკოტრებდა გლეხობას და კიდევ მეტად აუარესებდა სახელმწიფოს ფინანსურ მდგომარეობას.

ფართოდ იყო აგრეთვე გავრცელებული სახელმწიფო თანამდებობების გაყიდვა. ასე მაგალითად, მოლდავეთის ან ვალახეთის გოსპოდარის თანამდებობა იყიდებოდა 5-6 მილიონ ყურუშად. ამასთან დაკავშირებით ძალზე გავრცელდა კორუფცია.

მძიმე ფინანსური მდგომარეობის გამოსწორების მიზნით, მთავრობა ხშირად მიმართავდა ფულის გაყალბებას, XVIII ხაუკუნის 30-50-იან წლებში ყურუში იწონიდა 5,5 დირჰემს და შეიცავდა ნარევის ერთ მესამედს. 1771 წელს ყურუშის წონა შეადგენდა 5 დირჰემს, ხოლო ნარევი გაიზარდა 50%-მდე. ომის შემდეგ ყურუშის წონა

შემცირდა 4,5 დირჰემამდე. ცხადია, ყურუშის ფალსიფიკაციამ გამოიწვია მისი კურსის დაცემა უცხოურ ვალუტებთან შედარებით. ასე მაგალითად, 1768 წელს ერთი ყურუში ღირდა 5 ფრანკი, ხოლო 1773 წელს 3 ყურუში – 1 ფრანკი. მიუხედავად ზემოთ ჩამოთვლილი საგანგებო ზომებისა, ვერ მოხერხდა მდგომარეობის გაუმჯობესება.

აბდულ ჰამიდ I გამოსავლის ძიებაში ხშირად ცვლიდა დიდ ვეზირებსა და დევთერდარებს (ფინანსთა მინისტრებს), მაგრამ ამ ღონისძიებებს არ შეეძლო გაეზარდა სახელმწიფოს შემოსავალი. მეორე პრობლემა, რომელიც აწუხებდა სულთანს, იყო არმიის მდგომარეობა. რუსეთთან წარუმატებელმა ომმა აშკარად დაანახა მთავრობას არმიის ბრძოლისუნარიანობის ძალიან დაბალი დონე. გადაიდგა პირველი ნაბიჯები საარტილერიო ქვედანაყოფების შესაქმნელად, ევროპულის მსგავსად. ბარონ დე ტოტის დახმარებით შეიქმნა ახალი საარტილერიო ნაწილები, ზარბაზნების სახელოსნოები, დაარსდა საინჟინრო სკოლა. რუსეთთან ომში დამარცხების შემდეგ საჭირო გახდა ოსმალეთის არმიის რეორგანიზაცია ევროპულ ყაიდაზე.

სულთანი აბდულ ჰამიდი, მისი ვეზირები, დიდმოხელეები ცდილობდნენ აღედგინათ სამხედრო-ლენური სისტემისათვის და სიფაჰიების ლაშქრისათვის დამახასიათებელი ოდინდელი ძლიერება. ამ მიზნით, 1777 წელს გამოვიდა სულთანის ბრძანებულება „ნიზამნამე ზეამეთებისა და თიმარების შესახებ“. ამ დადგენილებით სანჯაყბეგებს მიეცათ მკაცრი გაფრთხილება. არ გაეცათ ლენები იმ პირებისათვის, რომელთაც არ ჰქონდათ მისი მიღების უფლება. სიფაჰიებს აეკრძალათ გასულიყვნენ პენსიაზე, თუ მათ შეეძლოთ მონაწილეობა ბრძოლებში (ასეთი სიფაჰიები, არ ასრულებდნენ რა სამხედრო მოვალეობას, განაგრძობდნენ თავისი ლენის ფლობას და სარგებლობდნენ მისი შემოსავლით). სიფაჰიებს წინადადება მიეცათ ამ ბრძანებულების გამოცემიდან 20 დღის განმავლობაში დაბრუნებულიყვნენ თავიანთ ლენებში და იქ ეცხოვრათ. ამ დადგენილების დამრღვევნი კარგავდნენ ლენს. სიფაჰის გარდაცვალების შემდეგ მისი ლენი გადაეცემოდა მის ვაჟიშვილს, ხოლო მას თუ რამდენიმე ვაჟი ჰყავდა, მაშინ ლენი გადადიოდა კოლექტიურ მფლობელობაში – ეძლეოდა პირველ სამს, ასაკის მიხედვით, დანარჩენები არ მიიღებდნენ მემკვიდრეობას. სანჯაყბეგებს მიეცათ მითითება შეეგინათ კანდიდატურების სია ვაკანტური ლენის მისაღებად. სიაში შეჰყავდათ სიფაჰიების შვილები, რომლებმაც თავი გამოიჩინეს ომში. 1777 წლის „ნიზამნამემ“ არ მოიტანა არსებითი შედეგები. უკვე არავითარი ძალებით არ შეიძლებოდა აღდგენილი ყოფილიყო დრომოჭმული სამხედრო-ლენური სისტემა.

აბდილ ჰამიდის გარშემო მყოფ დიდმოხელეთა შორის იყვნენ ისეთები, რომელთაც პირველ ამოცანად მიაჩნდათ, არმიაში რეფორმების გატარების აუცილებლობა. თვით სულთანიც რეფორმების მომხრე იყო, მაგრამ დიდ ვეზირებს შორის ყველა როდი იყო რეფორმების მომხრე. ამიტომ რეფორმები არ იყო მნიშვნელოვანი და ძალზე ნელა ტარდებოდა. რუსეთ-ოსმალეთის ორ ომს შორის 13 წელი გავიდა და მხოლოდ ორი დიდი ვეზირი იყო მომხრე განეხორციელებინათ სამხედრო რეფორმები ჯარში. ესენი იყვნენ ყარა ვეზირი და ჰალილ გამიდ ფაშა. მათ მიერ დაწყებული რეფორმები წააწყდნენ კონსერვატორებისა და იენიჩარების წინააღმდეგობას.

ჰალილ ჰამიდ ფაშამ, გამოსცა ბრძანებულება თიმარების ცხენოსანთა ლაშქრის განმტკიცების შესახებ და დადგენილება იენიჩართა რიგების წმენდის შესახებ. ამ გზით მას სურდა შემცირებულიყო იენიჩართა რიგები და განმტკიცებულიყო დისციპლინა იენიჩართა შორის. ამასთან ერთად მან არმიაში შემოიღო ევროპული წესის ზოგიერთი სიახლე: ამ მიზნით მან საფრანგეთის მთავრობას მიმართა დახმარებისათვის. 1783-1784 წლებში საფრანგეთის მთავრობამ ოსმალეთში გაგზავნა მეზარბაზნეები, სამხედრო ინჟინრები.

აღდგენილი იქნა ბარონ დე ტოტის დროს დაარსებული მეზარბაზნეთა ნაწილები. მათი რიცხვი გაიზარდა 250 კაციდან ორ ათასამდე, გაიხსნა მესანგრეთა სასწავლებელი და გატარდა სხვა ღონისძიებანი.

ღაზი ჰასან ფაშა ალჟირელის (წარმოშობით ქართველი) ხელმძღვანელობით გატარდა გარდაქმნები ოსმალეთის ფლოტში, მან მიზნად დაისახა ოსმალეთის ფლოტის რეორგანიზაცია ევროპულ ყაიდაზე. იგი გამოდიოდა პრინციპიდან: ახალი ფლოტი – ახალი მეზღვაური. იგი დიდ ყურადღებას აქცევდა ოფიცერთა და მეზღვაურთა მომზადებას. მან მოახდინა გემთმშენებლობის რეორგანიზაცია. საფუძვლად აიღო თანამედროვე ინგლისისა და საფრანგეთის საბრძოლო გემები. ჰასან ფაშას სურდა აეგო 40 დიდი საბრძოლო გემი და დიდი რაოდენობით პატარა გემები. გემთმშენებლობისათვის მოწვეული იყვნენ ხელოსნები ინგლისიდან და საფრანგეთიდან. მაგრამ სახელმწიფოს არ გააჩნდა საკმაო რაოდენობის სახსრები ამ გეგმის განხორციელებისათვის და იგი ნაწილობრივ შეუსრულებელი დარჩა.

ჰასან ფაშამ განიზრახა შეეცვალა ოსმალეთი ფლოტში არსებული ტრადიციები, რომლის მიხედვითაც ოჯახის მქონე მეზღვაურები ზამთრობით ბრუნდებოდნენ თავიანთ სახლებში, ხოლო უცოლოები რჩებოდნენ სტამბოლის ყაზარმებში და ხშირად უწესრიგობას ჩადიოდნენ. თავისი საკუთარი ხარჯებით მან 1784 წელს სტამბოლში ააშენა ყაზარმა, სადაც ამზადებდნენ მეზღვაურებს. ამ გეგმის მოწინააღმდეგებმა ხელი შეუშალეს ჰასან ფაშას აეგო ასეთი ყაზარმები ეგეოსისა და შავი ზღვის სანაპიროებზე.

რეფორმები ტარდებოდა ნელა და ფრთხილად. რეფორმების გადაჭრით გატარების მომხრეებმა, დიდი ვეზირის ჰალილ ჰამიდ ფაშას მეთაურობით, გადაწყვიტეს ტახტიდან გადაეყენებინათ სამოცი წლის აბდულ ჰამიდი და მის ადგილზე დაესვათ ახალგაზრდა სელიმი, მისი ბიძაშვილი (შემდგომში სელიმ III) რომელიც რეფორმების მოხმრე იყო. ეს შეთქმულება გამოაშკარავდა და 1785 წელს ჰალილ ფაშა გადააყენეს და სიკვდილით დასაჯეს.

ამ დროს ძლიერდება პროვინციის გამგებლის (ეგვიპტე, სირია, ერაყი, ანატოლია) სეპარატიზმი, რაც კიდევ უფრო ასუსტებდა ცენტრალურ ხელისუფლებას. ზოგიერთი მათგანი ამყარებს კავშირს რუსეთთან და ცდილობს გამოიყენოს იგი თავისი ინტერესების სასარგებლოდ.

4. ომი რუსეთთან და ავსტრიასთან 1787-1791 წლებში, სისტოვისა და იასის საზავო ხელშეკრულებები

მიუხედავად იმისა, რომ ოსმალეთის შიდაპოლიტიკური მდგომარეობა ძალზე დაძაბული იყო, ოსმალეთის მმართველ წრეებს მაინც იმედი ჰქონდათ, რომ ძალით შეძლებდნენ 1768-1774 წლების შედეგად დაკარგული ტერიტორიების, განსაკუთრებით ყირიმის, დაბრუნებას.

ეკატერინე II ყირიმის შეერთებას რუსეთთან იმით ხსნიდა, რომ ოსმალეთი ხშირად არღვევდა ქუჩუქ-კაინარჯის ხელშეკრულების პირობებს. საერთაშორისო მდგომარეობა რუსეთისათვის იყო მეტად ხელსაყრელი. ინგლისი დაკავებული იყო ამერიკაში საფრანგეთთან ომით, პრუსია დასუსტებული იყო ავსტრიასთან ომით. გაითვალისწინა რა ყველაფერი ეს, სულთანმა ოფიციალურად 1784 წლის 8 იანვარს აღიარა რუსეთის მიერ ყირიმის შეერთება.

1784 წლის ივნისში რუსეთსა და ოსმალეთს შორის დაიდო პირველი სავაჭრო ხელშეკრულება, რომელიც წარმოადგენდა ქუჩუქ-კაინარჯის ხელშეკრულების

პირობების შემდგომ განვითარებას. ახალი ხელშეკრულება რუსეთის ვაჭრებს უფლებას აძლევდა თავისუფლად ევაჭრათ და გადაადგილებულიყვნენ ოსმალეთის იმპერიის ტერიტორიაზე. რუსეთსა და მის ქვეშევრდომებს ეძლეოდათ ნაცვალგების საფუძველზე ისეთივე უფლებები და პრივილეგიები, რომლითაც სარგებლობდნენ საფრანგეთისა და ინგლისის ქვეშევრდომები. საქონელი, რომელიც შეჰქონდათ რუს ვაჭრებს ოსმალეთის იმპერიაში, და იქიდან გაჰქონდათ, მხოლოდ ერთხელ უნდა ყოფილიყო დაბეგრილი ბაჟით, საქონლის ღირებულების სამი პროცენტით. ხელშეკრულება უზრუნველყოფდა რუსეთის მიმართულებით უკან სრუტეებზე გემების თავისუფალ გასვლას. რუსეთს უფლება ეძლეოდა გაეხსნა საკონსულოები ოსმალეთის იმპერიის ნებისმიერ ქალაქში და სხვ.

1783 წელს პატარა თათრულ სოფელ იჰთიართან რუსეთმა დაიწყო ახალი ნავსადგურის, სევასტოპოლის მშენებლობა, რომელიც უნდა გამხდარიყო შავ ზღვაზე რუსეთის მთავარი სამხედრო-საზღვაო ბაზა. ეკატერინე II-ის ბრძანებით, ქალაქის შესასვლელთან გააკეთეს წარწერა: „კონსტანტინოპოლის კარი“. ეკატერინე II-მ ყირიმის დაპყრობის აღსანიშნავად მოაჭრევინა სპეციალური ოქროს მედალი.

რუსეთის წინააღმდეგ ოსმალეთის საბრძოლო განწყობილებას კიდევ უფრო მეტად ამწვავებდნენ ინგლისის, პრუსიისა და ჰოლანდიის წარმომადგენლები. ოსმალებს იმედი ჰქონდათ მათი დახმარებისა და იმისა, რომ შვედეთი და პოლონეთიც რუსეთის წინააღმდეგ ჩაებმებოდა ომში.

რუსეთ-ოსმალეთის ურთიერთობა სულ უფრო და უფრო მეტად მწვავდებოდა. ოსმალეთი განსაკუთრებით ვერ ურიგდებოდა ყირიმისა და საქართველოს დაკარგვას. ოსმალეთის დიდი ვეზირი კოჯა იუსუფ ფაშა რუსეთის ელჩს სტამბოლში არწმუნებდა, რომ ყირიმი და საქართველო ოსმალეთს ეკუთვნოდა.

ოსმალეთში ანტირუსული განწყობილების განმუხტვის მიზნით, გრ. პოტიომკინმა 1786 წელს სტამბოლში გაგზავნა გამოცდილი დიპლომატი სერგი ლაშქაროვი (ბიბილური). იგი ადრე სტამბოლში რუსეთის საელჩოში მსახურობდა, შემდეგ სხვადასხვა დიპლომატიურ სამსახურს ასრულებდა, კერძოდ, იგი იყო რუსეთის რეზიდენტი ყირიმში და მისი აქტიური მონაწილეობით მოხდა ყირიმის შეერთება რუსეთთან.

ლაშქაროვს, ეროვნებით ქართველს, რუსეთის სამსახურში მყოფს, უნდა დაესაბუთებინა დიდი ვეზირისათვის კოჯა იუსუფისათვის (წარმოშობით ქართველისათვის), რომ საქართველო და ყირიმი ისტორიულად ოსმალეთს არ ეკუთვნოდა. მართალია, ლაშქაროვმა ვერ შეძლო თავიდან აეცილებინა ოსმალეთ-რუსეთის ომი, მაგრამ მის დიპლომატიურ მისიას გარკვეული შედეგი ჰქონდა.

1787 წლის 27 ივლისს ოსმალეთის დიდმა ვეზირმა კოჯა იუსუფ ფაშამ მიიწვია რუსეთის ელჩი კონსტანტინოპოლში ბულგაკოვი და გადასცა მას ულტიმატუმი, რომელიც შვიდი პუნქტისაგან შედგებოდა. აქედან მთავარი მოთხოვნები იყო: რუსეთს გაეყვანა თავის ჯარი თბილისიდან და გაეუქმებინა ერეკლე მეორესთან დადებული გეორგიევსკის ტრაქტატი. რუსეთს გადაეცა ოსმალეთისათვის მოლდავეთის გოსპოდარი ალექსანდრე II, რომელმაც რუსეთში ჰპოვა თავშესაფარი, მიეცათ უფლება ოსმალეთის რწმუნებული ყირიმში ჩასულიყო, დამყარებულიყო თანასწორუფლებიანობა ორივე ქვეყნის ვაჭრებისათვის. მიეცათ უფლება, სრუტეებში გასვლისას, გაესინჯათ რუსეთის სავაჭრო გემები.

ბულგაკოვი და მისი ცხრა თანამშრომელი დააპატიმრეს და მოათავსეს იედიკულეს ციხეში.

1787 წლის 27 აგვისტოს ოსმალეთმა გამოუცხადა ომი რუსეთს.

1787 წლის სექტემბრის დამდეგს ოსმალთა თავდასხმით კინსბურნზე სამხედრო ოპერაციები დაიწყო. ოსმალეთის სარდლობას განზრახული ჰქონდა რუსეთის წინააღმდეგ აემხედრებინა ნოღაელები და თათრები, ყუბანიდან დაწყებული ბესარაბიის ჩათვლით. მაგრამ ეს განზრახვა ჩაიშალა. რუსეთის ჯარმა, სუვოროვის სარდლობით, კინბურნთან გაანადგურა ოსმალეთის დესანტი. მომდევნო წელს დაიწყო დიდი ბრძოლები ბესარაბიაში და შავ ზღვაზე ოჩაკოვთან.

1788 წლის ივნისში ინგლისის წაქეზებით შვედეთმა გამოუცხადა ომი რუსეთს და ცდილობდა პოლონეთიც ჩაეთრია ომში. ამის გამო რუსეთი იძულებული იყო არმიის გარკვეული ნაწილი ამ ქვეყნის საზღვრებთან ჰყოლოდა.

1788 წელს რუსეთმა დიდი გამარჯვებები მოიპოვა ხმელეთსა და ზღვაზე. სექტემბერში რუსეთის ჯარმა აიღო ციხე-სიმაგრე ხოტინი, დეკემბერში – ოჩაკოვი. სექტემბერში რუსეთის ფლოტმა ადმირალ სენიავინის მეთაურობით დაამარცხა ოსმალეთის ფლოტი ოჩაკოვთან, ხოლო ოქტომბერში – სინოპთან.

1788 წლის თებერვალს ავსტრიამ გამოუცხადა ომი ოსმალეთს. სექტემბერში ავსტრიის 40 ათასიანი არმია, იმპერატორ იოსებ I-ის სარდლობით, განადგურებულ იქნა ლუდოშთან ბანატში დიდი ვეზირის კოჯა იუსუფის მიერ. ავსტრიის ჯარებმა განიცადეს დიდი დანაკლისი, თვით იმპერატორი ძლივს გადაურჩა ტყვეობას, მაგრამ ოსმალებმა არ ისარგებლეს გამარჯვებით და არ გააგრძელეს შეტევა.

ოსმალეთმა თავისი მთავარი ძალები გადაისროლა დუნაისპირეთში და აპირებდა, მოლდავეთზე გავლით, შეჭრილიყო ბესარაბიაში, რათა დაებრუნებინა ხოტინი და ოჩაკოვი. მაგრამ რუსეთის ჯარებთან შეტაკებისას ოსმალებმა დამარცხება განიცადეს. 22 სექტემბერს რიმნიკთან რუსეთ-ავსტრიის ჯარმა, სუვოროვის სარდლობით სასტიკად დაამარცხა ოსმალეთის არმია. ამ გამარჯვებისათვის სუვოროვს მიენიჭა გრაფის რიმნიკელის ტიტული.

1789 წლის ოქტომბერ-ნოემბერში რუსეთის ჯარებმა პოტიომკინის სარდლობით, დაამარცხეს ოსმალეთის ჯარი და აიღეს ციხე-სიმაგრეები აკერმანი და ბენდერი.

წარმატებას მიაღწია ავსტრიის ჯარმაც, 1789 წლის ოქტომბერში ავსტრიელებმა დაიკავეს ბელგრადი. ამის შემდეგ – სემენდარი და პოჟარევეცი.

1789 წლის საფრანგეთის ბურჟუაზიულმა რევოლუციამ გარკვეული გავლენა მოახდინა ევროპის სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკაზე.

1791 წლის 4 აგვისტოს ავსტრიამ სეპარატული ზავი დადო ოსმალეთთან. მიუხედავად ამისა, რუსეთის არმია განაგრძობდა შეტევას. 1791 წელს რუსეთის არმიამ, სუვოროვის სარდლობით, დუნაიზე აიღო ციხე-სიმაგრე იზმაილი.

რუსეთის წარმატებებმა ხმელეთსა და ზღვაზე აიძულა ოსმალეთი ზავის მომხრე გამხდარიყო. ამავე დროს ახალი სულთანი სელიმ III რეფორმების დაწყებას აპირებდა, ამისათვის კი ქვეყანაში მშვიდობა აუცილებელი იყო. თავის მხრივ, რუსეთი შეაშფოთა საფრანგეთის რევოლუციამ და მასში ხედავდა თავის საშიშ მტერს. ასეთ ვითარებაში ორივე მხარე დაინტერესებული იყო მშვიდობიანობის დამყარებით. 1791 წლის 11 აგვისტოს გალიციაში ოსმალეთის დიდ ვეზირ იუსუფ ფაშასა და რუსეთის ჯარის მთავარსარდალ ნ. რეპინს შორის დაიდო დროებითი ზავი.

1791 წლის ოქტომბერში იასაში დაიწყო სამშვიდობო საზავო კონფერენცია, რომელიც დამთავრდა 1792 წლის 9 იანვარს საზავო ხელშეკრულების ხელმოწერით. აღსანიშნავია, რომ ამ ხელშეკრულებას ოსმალეთის მხრიდან ხელი მოაწერა კოჯა იუსუფ ფაშამ, ხოლო რუსეთიდან ერთ-ერთი ხელისმომწერი იყო ს. ლაშქაროვი. ორივენი წარმოშობით ქართველები იყვნენ და ოსმალეთ-რუსეთს შორის მშვიდობის დამყარების საქმეში დიდი წვლილი შეიტანეს!

ხელშეკრულებით საზღვარი რუსეთსა და ოსმალეთს შორის უნდა გასულიყო მდ. დნესტრზე. ამრიგად, რუსეთს გადაეცა ტერიტორია დნესტრსა და ბუგს შორის, ოჩაკოვის ჩათვლით. რუსეთი ოსმალეთს უბრუნებდა ბესარაბიასა და მოლდავეთს, ამასთან ოსმალეთი ვალდებულებას იღებდა შეენარჩუნებინა ამ რეგიონის მოსახლეობისათვის ის შეღავათები, რომლებიც მათ მიიღეს ქუჩუკ-კაინარჯის ხელშეკრულებით. ოსმალეთმა უარი თქვა საქართველოს მიმართ რაიმე პრეტენზიებზე. იასის ხელშეკრულებამ ძალაში დატოვა ის ხელშეკრულებები, რომლითაც 1768-1774 წლების ომების შედეგად რუსეთმა მნიშვნელოვნად განიმტკიცა თავისი მდგომარეობა როგორც კავკასიაში, ისე ბალკანეთსა და შავი ზღვის რეგიონში.

ნაკვეთი მეორე

თურქეთის ახალი ისტორია 1789-1918 წლებში

თავი I

ოსმალეთი XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნაზე

1. სელიმ III-ის რეფორმები

XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნაზე ოსმალეთის იმპერია იმყოფებოდა უაღრესად მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ კრიზისში. ქვეყანას ესაჭიროებოდა ცვილებები, გარდაქმნები. ასეთ ვითარებაში 1789 წელს ტახტზე ავიდა სელიმ III (1789-1807). იგი ისტორიაში ცნობილია, როგორც სულთანი-რეფორმატორი. სელიმი ჭკვიანი და განათლებული პიროვნება იყო, მაგრამ აკლდა მტკიცე ნებისყოფა. სელიმმა გამეფებამდე, კაფესში (იზოლაციაში) ყოფნის დროს, კავშირი დაამყარა რეფორმების მომხრეებთან. მამის ექიმი ლორენცო მას ბევრს უამბობდა ევროპის შესახებ. ლორენცოს საშუალებით, თავის თანამოაზრე ისჰაკ ბეისა და საფრანგეთის ელჩის დახმარებით, სელიმმა მიმოწერა გააბა საფრანგეთის მეფე ლუი XVI-თან. თავის წერილებში საფრანგეთის მეფეს, იგი მოუთხრობდა ოსმალეთის მძიმე მდგომარეობაზე და თხოვდა ლუი XVI-ს რჩევას, როგორ გაეუმჯობესებინა ქვეყნის მდგომარეობა.



სელიმ III

ამავე დროს სელიმმა თავისი ერმობის მეგობარი ისჰაკ ბეი გაგზავნა ევროპაში და დაავალა გაცნობოდა ამ ქვეყნების მიღწევებს, რათა შემდგომ მათი გამოცდილება გამოეყენებინა თავისი ქვეყნის სასარგებლოდ. ერთი სიტყვით, სელიმი რეფორმების მომხრე იყო გაცილებით ადრე, ვიდრე იგი ტახტზე ავიდოდა.

სელიმ III-ის გამეფების წელს დაიწყო საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუცია, რომელმაც მძლავრი რეზონანსი ჰპოვა მსოფლიოში და გავლენა მოახდინა ოსმალეთის იმპერიაზეც. მაგრამ რევოლუციის გავლენა ოსმალეთზე არ ყოფილა ისეთი უშუალო ხასიათისა, როგორც

ევროპის ქვეყნებზე. ოსმალეთში, აღმოსავლეთის სხვა ქვეყნების მსგავსად, საფრანგეთის რევოლუციის გავლენამ თავი იჩინა სხვა პოლიტიკური ფაქტორების მეშვეობით. რევოლუციის იდეებმა გავლენა მოახდინეს ბალკანეთის ნახევარკუნძულისა და ეგეოსის ზღვის კუნძულების მოსახლეობაზე, სადაც უკვე არსებობდა ნიადაგი ასეთი იდეების გავრცელებისათვის. რევოლუციური იდეების გავლენით იწყება ბალკანეთის ხალხების განმათავისუფლებელი ბრძოლა ოსმალთა ბატონობის წინააღმდეგ.

რეფორმების დაწყება შეუძლებელი იყო ომის პირობებში. სელიმის მითითებით დაიწყო სამშვიდობო მოლაპარაკება ავსტრიასა და რუსეთთან.

1791 წლის 4 აგვისტოს ზავი დაიდო ავსტრიასთან, ხოლო 1792 წლის 9 იანვარს – რუსეთთან.


სელიმ III-ის მოთხოვნით, დიდმა ვეზირმა კოჯა იუსუფ ფაშამ წინადადებით მიმართა სახელმწიფოს დიდ მოხელეებს წერილობით გამოეთქვათ თავიანთი თვალსაზრისი სახელმწიფოს მდგომარეობასა და მისი კრიზისიდან გამოყვანასთან დაკავშირებით.

სულთანს წარუდგინეს 22 წერილი (ლაიჰა). მათი ავტორები იყვნენ 20 თურქი მოხელე და აგრეთვე ერთი სომეხი (დოსინი) და ერთი შვედი (ბრენატო). ავტორები ერთხმად გამოთქვამდნენ თავიანთ დამოკიდებულებას რეფორმების ჩატარებასთან დაკავშირებით.


ამასთან ერთად, ავსტრიასთან ზავის დადების შემდეგ, სელიმ III-მ ვენაში გაგზავნა საგანგებო ელჩობა რატიფ ეფენდის მეთაურობით. ოფიციალურ მისიასთან ერთად მას ევალებოდა საფუძვლიანად გასცნობოდა ავსტრიის იმპერიის ცხოვრებას, სახელმწიფო დაწესებულებებს, ფინანსებს, არმიის ორგანიზაციას და სხვ.

რატიფ ეფენდი ეკუთვნოდა იმ პროგრესულ მოღვაწეთა რიცხვს, რომლებიც მხარში ედგნენ სელიმ III-ს. რატიფ ეფენდი განათლებული პიროვნება იყო. მას ურთიერთობა ჰქონდა უცხოელებთან და მათი დახმარებით იგი გაეცნო დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა ცხოვრებას. მისთვის ცნობილი იყო ფრანგი განმანათლებლების რუსოს, ვოლტერის, მონტესკიეს თხზულებების ძირითადი შინაარსი.

რატიფ ეფენდის ელჩობა ვენაში 227 დღე გაგრძელდა. სტამბოლში დაბრუნების შემდეგ მან სულთანს წარუდგინა 500 გვერდისაგან შემდგარი „სეფარეთნამე“ („ელჩობის



სამხედრო-საინჟინრო სასწავლებელი ოქროს ყურის ნაპირზე. 1795.



სელიმ III და დიდი ვეზირი კოჯა იუსუფ ფაშა

წიგნი“). მასში აღწერილი იყო ავსტრიის, პრუსიის, რუსეთის არმიების მდგომარეობა, მათი საბრძოლო მომზადების სისტემა. ავსტრიის სახელმწიფო ორგანიზაცია, საგადასახადო სისტემა, ბანკები, საბაჟო, სამთო საქმე და სხვ. რატიფ ეფენდი უპირატესობას ანიჭებდა ევროპულ წესებს ოსმალურთან შედარებით და ამ წესების არსებობით ხსნიდა ევროპის სახელმწიფოების დაწინაურებას. „სეფარეთ-ნამე“ გახდა რეფორმების პროგრამის ერთ-ერთი წყარო.

სელიმ III-ისათვის ყველაზე მთავარი ამოცანა იყო აღედგინა არმიის ბრძოლისუნარიანობა და დაებრუნებინა ქვეყნისათვის ოდინდელი ძლიერება.


როგორც ცნობილია, ოსმალეთის არმია შედგებოდა ორი ძირითადი ნაწილისაგან: ფეოდალთა ცხენოსანი ლაშქარი, რომელიც ომის დროს გამოჰყავდათ თიმარიოტებსა და ზაიმებს, და დაქირავებული ჯარის ნაწილები – ქვეითი, ცხენოსანი, მეზარბაზნეთა და სხვა სახის სამხედრო ნაწილებისაგან შემდგარი. ქვეითი ჯარის ძირითად ნაწილს შეადგენდნენ იენიჩარები.

ფეოდალური ლაშქარი – სიფაჰიების კავალერია იმყოფებოდა დაცემის გზაზე, რაც გამოწვეული იყო სამხედრო-ლენური სისტემის ხანგრძლივი კრიზისით. ომის დროს სიფაჰიების კავალერიას უნდა გამოეყვანა 130 ათასი მხედარი. სინამდვილეში მისი ნახევარიც კი არ გამოჰყავდა. ამ საკითხის მოწესრიგებას სულთანმა დიდი ყურადღება მიაქცია და 1792 წლის სექტემბერში გამოსცა „ახალი კანონი თიმარეებისა და ზეამეთების შესახებ“. მასში აღნიშნული იყო, რომ სიფაჰიები არ იცავენ ძველ კანონებს და ამის გამო მათ რიგებში გახრწნამ იჩინა თავი. ზაიმები და თიმარიოტები თავს არიდებენ ომის დროს ლაშქრობაში მონაწილეობას: ალაი ბეგები ქრთამების გზით ლენებს ურიგებენ ისეთ პირებს, რომლებსაც მისი ფლობის არავითარი უფლება არა აქვთ. ამ ლენების მფლობელები არ ცხოვრობენ თავიანთ საკარგავებში და არ მონაწილეობენ ლაშქრობებში, რის შედეგადაც არმია გაიხრწ-

ნა. ამ დადგენილების დამრღვევი ალაი ბეგები განიხილებოდნენ როგორც მოღალატენი და უნდა ყოფილიყვნენ სიკვდილით დასჯილი, ხოლო მათ შვილებს ჩამორთმეოდათ უფლება ლენზე. ყოველი თიმარიოტი, რომელსაც შეუსრულდებოდა 15 წელი, ითვლებოდა სამხედრო ვალდებულად და უნდა ეცხოვრა თავის საკარგავში (ლენი).

კანონით ლენის მფლობელებს უფლება ეძლეოდათ თიმარები და ზეამეთები გადაექციათ მალიქანეებათ. ამისათვის მათ გარკვეული თანხა უნდა შეეტანათ სახელმწიფოს სალაროში. ამის შემდეგ მალიქანეს მფლობელი ფაქტიურად ხდებოდა მიწის მესაკუთრე და მას აღარ ევალებოდა სამხედრო სამსახური.

ეს კანონი მიზნად ისახავდა სახელმწიფო შემოსავლის გაზრდას და ძველი ოსმალური თიმარული სისტემისა და სიფაჰიების კავალერიის განმტკიცებას.



„ნიზამი ჯედიდის“ ჯარის აღლუმი

რეფორმატორებს შორის განსაკუთრებით დიდი დისკუსია გაიმართა იენიჩართა კორპუსთან დაკავშირებით, რადგანაც მისი ბრძოლისუნარიანობა და დისციპლინა ძალზე დაბალი იყო. ამ საკითხთან დაკავშირებით გამოითხვა სამი თვალსაზრისი: 1. დიდმოხელეთა ერთი ჯგუფი თვლიდა, რომ იენიჩართა კორპუსი უნდა შენარჩუნებულიყო და ამაღლებულიყო მისი ბრძოლისუნარიანობა და დისციპლინა. საჭირო იყო ცხოვრებაში გატარებულიყო ის კანონები, რომლებიც მიღებული იყო სულეიმან ბრწყინვალეს დროს, რადგანაც მათი აზრით, ოსმალეთის არმია სულეიმანის დროს გაცილებით უფრო ბრძოლისუნარიანი იყო, ვიდრე ევროპისა, ისინი წინააღმდეგი იყვნენ მოეწვიათ ევროპიდან „გიაურები“ სამხედრო ინსტრუქტორების სახით. 2. მეორენი მოითხოვდნენ, რათა იენიჩართა კორპუსის მოდერნიზაცია მომხდარიყო ევროპის ჯარის მსგავსად. 3. მესამე ჯგუფის წევრები, რადიკალები, მოითხოვდნენ შექმნილიყო ევროპულ წესებზე გაწვრთნილი ახალი სამხედრო შენაერთი 15 ათასიანი ჯარისკაცის ოდენობით. ამ მიზნით ევროპიდან უნდა მოეწვიათ სამხედრო ინსტრუქტორები, ხოლო ნიჭიერი ახალგაზრდები გაეგზავნათ ევროპაში სასწავლებლად, ეთარგმნათ და გამოეცათ თურქულ ენაზე სამხედრო ლიტერატურა. ამ თვალსაზრისისა იყო დიდი ვეზირი კოჯა იუსუფ ფაშა.



ჰასან ბეი

არმიის რეორგანიზაციის საქმეს საფუძვლად დაედო მესამე თვალსაზრისი. დაიწყო ახალი არმიის შექმნა. მისი რაოდენობა 12 ათასი ჯარისკაცით განისაზღვრა. ახალი არმიის ორგანიზაციის მიზნით, ევროპის ქვეყნებიდან მოიწვიეს სამხედრო ინსტრუქტორები. ახალი ჯარის დაკომპლექტება წარმოებდა ნებაყოფილობის პრინციპზე. იენიჩარებს უფლება ჰქონდათ ჩაწერილიყვნენ ახალ ჯარში. ახალი რეგულარული ჯარის დაარსებით შემდგომში განზრახული იყო იენიჩართა კორპუსის შეცვლა (გაუქმება), რა თქმა უნდა, თუ ამისათვის შეიქმნებოდა ხელსაყრელი პირობები.

სელიმ III-ის ინიციატივით დაარსდა სამხედრო საინჟინრო სასწავლებელი, რომელიც ამზადებდა სპეციალისტებს არმიისა და ფლოტისათვის. სელიმი დიდ ყურადღებას უთმობდა ამ სასწავლებელს, ასაჩუქრებდა მის მოსწავლეებს, ესწრებოდა გამოსაშვებ გამოცდებს. ამ სასწავლებელს ჰქონდა მდიდარი ლიტერატურა არა მარტო აღმოსავლურ, არამედ ევროპულ ენებზეც.

დიდი ყურადღება მიექცა არტილერიის რეორგანიზაციას. 1794 წელს გაიხსნა საარტილერიო სკოლა. მეზარბაზნეთა კორპუსი 800 კაცს ითვლიდა. დაიწყო ფრანგული და რუსული ყალიბის ზარბაზნების ჩამოსხმა.

სელიმის ზრუნვის საგანი იყო სამხედრო ფლოტი, რომლის მეთაური იყო ჭუჩუკ ჰუსეინი – სელიმის ძუძუმტე, წარმოშობით ქართველი. 1792 წელს გამოიცა სპეციალური კანონი ფლოტის შესახებ. გემის კაპიტნისათვის აუცილებელი გახდა ხელახალი მომზადება და გამოცდების ჩაბარება. ამაღლებულ იქნა მეზღვაურთა დისციპლინა. მოიწვიეს სპეციალისტები ინგლისიდან, საფრანგეთიდან, შვედეთიდან. აღადგინეს 15 ვერფი. სელიმის დროს ააგეს 23 სახაზო გემი, 20 ფრეგატი და 60 სხვადასხვა ტიპის პატარა გემი. მნიშვნელოვნად ამაღლდა საზღვაო ფლოტის ბრძოლისუნარიანობა. ფლოტის მშენებლობასთან ერთად გაიზარდა წიაღისეული სიმდიდრის ამოღება-დამუშავება.

გაიხსნა საზღვაო-საინჟინრო სკოლა, სადაც ასწავლიდნენ გემთმშენებლობის საქმეს. სამხედრო სასწავლებელში ფრანგული ენის ცოდნა სავალდებულო იყო. ამავე დროს ევროპული ენებიდან ითარგმნა სპეციალური სამხედრო ლიტერატურა, ამისათვის 1798 წელს გაიხსნა ტიპოგრაფია. 1792 წელს განაახლა მუშაობა თურქულმა სტამბამ, რომელიც დაარსდა ჯერ კიდევ 1729 წელს, მაგრამ დიდხანს უმოქმედოდ იყო.

სამხედრო ტანსაცმლით უზრუნველსაყოფად გაიხსნა ტანისამოსის დასამზადებელი მანუფაქტურები.

ერთ-ერთი ახალი ღონისძიება იყო მუდმივი საელჩოების გახსნა საზღვარგარეთ. გაიხსნა საელჩო ლონდონში (1793 წ.), ბერლინში (1795 წ.) და პარიზში (1796 წ.).

სელიმმა გადადგა ნაბიჯები ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცების მიზნით. გამოიცა ადმინისტრაციული კანონი, რომლითაც პროვინციის გამგებელი (ვალი) ინიშნებოდა სამი წლით, ან მაქსიმუმ ხუთი წლით, თუმცა ამ კანონის ცხოვრებაში

გატარება ხშირად ვერ ხერხდებოდა. ფინანსების ეკონომიის მიზნით, სასახლის კარზე შეამცირეს ხარჯები და სამოხელეო თანამდებობები.

სელიმის მიერ გატარებულმა ზემოთ აღნიშნულმა სამხედრო და სხვა ღონისძიებებმა მიიღო „ახალი სისტემის“ (“ნიზამ-ი ჯედიდის“) სახელწოდება.

ახალი რეგულარული არმიის დაარსება, საზღვაო ფლოტის მშენებლობა და სხვა სამხედრო ხასიათის ღონისძიებები დიდ სახსრებს მოითხოვდა. სახელმწიფოს შემოსავალი ვეღარ ფარავდა ამ თანხას. ამიტომ გადაწყდა მოსახლეობა დაებეგრათ ახალი გადასახადებით. ახალი გადასახადების აკრეფის მიზნით შეიქმნა „ახალი შემოსავლის ხაზინა“.

რეფორმები მძიმე ტვირთად დააწვა ხალხის მასებს და, უპირველესად ყოვლისა, გლეხობას.

ფეოდალური კლასის უმრავლესობამ და მუსლიმურმა სამღვდელოებამ გადაჭრით დაგმეს რეფორმები და ბრძოლა გააჩაღეს მის წინააღმდეგ. რეფორმებს არაფერი მიუცია გლეხების, ხელოსნების, წვრილი ვაჭრებისა და ქალაქის ღარიბებისათვის. პირიქით, ამას მოჰყვა საგადასახადო ტვირთის დამძიმება. ყოველივე ამის გამო ხალხის მასებმა მხარი არ დაუჭირეს რეფორმებს.

განსაკუთრებით მტრულად შეხვდნენ რეფორმებს იენიჩარები, რომლებიც რეფორმების საწინააღმდეგო გამოსვლების მოთავენი იყვნენ. მათთვის ნათელი იყო, რომ ახალი ჯარის შექმნა მოასწავებდა არა მარტო მათი პრივილეგიების შეკვეცას, არამედ თვით იენიჩართა კორპუსის ლიკვიდაციის დასაწყისსაც.

სელიმ III აღმოჩნდა გადაულახავი წინააღმდეგობის წინაშე. ამასთანავე გართულდა საგარეო პოლიტიკური ვითარება, რამაც კიდევ უფრო დაასუსტა რეფორმების მომხრეთა გავლენა.

2. 1798-1800 წლების საფრანგეთ-ოსმალეთის ომი

საფრანგეთის ბურჟუაზია დიდად იყო დაინტერესებული კოლონიების ხელში ჩაგდებით და კოლონიალური იმპერიის შექმნით. იგი დაინტერესდა ოსმალეთის იმპერიის ვრცელი სამფლობელოებით და განსაკუთრებით ეგვიპტით, რომელსაც ჰქონდა დიდი ეკონომიკური და სტატეგიული მნიშვნელობა. ახალგაზრდა გენერალმა ნაპოლეონმა გადაწყვიტა გამოეყენებინა მათი მისწრაფებები, მოეწყო ლაშქრობა ეგვიპტეში და იქ მოპოვებული გამარჯვების შედეგად კიდევ უფრო მეტად აემაღლებინა თავისი ავტორიტეტი.

1798 წლის 19 მაისის ნაპოლეონის მეთაურობით 39 ათასი ჯარისკაცისაგან შემდგარი საექსპედიციო კორპუსი ტულონიდან გავიდა და 30 ივნისს ალექსანდრიაში ჩავიდა. ნაპოლეონი ეგვიპტის მოსახლეობისადმი გაგზავნილ პროკლამაციაში წერდა, რომ იგი იქ ჩავიდა, რათა გაანთავისუფლოს ქვეყანა მამლუქთა ტირანიისაგან და რომ მამლუქები და არა თურქები არიან ქვეყნის ნამდვილი მტრები.

ნაპოლეონი შეუდგა ქვეყნის დაპყრობას. ალექსანდრიის აღების შემდეგ საფრანგეთის არმია კაიროსაკენ გაემართა. 21 ივლისს კაიროს მახლობლად პირამიდებთან ბრძოლის შედეგად ნაპოლეონმა სასტიკად დაამარცხა მამლუქთა ლაშქარი და კაირო დაიკავა.

1798 წლის 1 აგვისტოს ადმირალმა ნელსონმა აბუკირის ყურეში, ალექსანდრიის მახლობლად, გაანადგურა საფრანგეთის ფლოტი.


კაიროს დაკავების შემდეგ ფრანგები შეუდგნენ ქვეყნის ძარცვას, რამაც გამოიწვია დიდი უკმაყოფილება და მალე ფრანგების წინააღმდეგ დიდი აჯანყება დაიწყო.

ეგვიპტეში ყოფნის დროს ნაპოლეონმა წერილი გაუგზავნა მაისორის გამგებელს (ინდოეთი) ტიპუს სულთანს. ნაპოლეონი მას მოუწოდებდა გაეგრძელებინა ბრძოლა ინგლისელების წინააღმდეგ და ჰპირდებოდა დახმარებას.

ნაპოლეონს ჰქონდა შორს მიმავალი გეგმები. მან გადაწყვიტა ინდოეთისაკენ მიმავალი სახმელეთო გზა მოესინჯა. ამ მიზნით მან 1799 წლის დასაწყისში მოაწყო ლაშქრობა სირიაში, რამდენიმე ქალაქი დაიკავა და მიადგა ქალაქ აკრას, ალყა შემოარტყა, მაგრამ მისი აღება ვერ შეძლო. სწორედ ამ დროს ნაპოლეონის წინააღმდეგ ბრძოლაში პირველად ჩაება ოსმალეთის ახლად ჩამოყალიბებული სამხედრო ნაწილები (ნიზამი ჯედიდი) და მათ გამოავლინეს მაღალი ბრძოლისუნარიანობა. ნაპოლეონი იძულებული გახდა მოეხსნა ალყა და ეგვიპტეში დაბრუნებულიყო.

ოსმალეთის სულთანმა სელიმ III-მ დახმარებისათვის მიმართა რუსეთის იმპერატორ პაველ I-ს. პაველ დადებითად გამოეხმაურა სულთნის თხოვნას და რუსეთის ესკადრა, ვიცე-ადმირალ უშაკოვის სარდლობით, 1798 წლის 5 სექტემბერს ბოსფორის სრუტეში შევიდა. რუსეთის ესკადრის ჩასვლის შემდეგ, 1798 წლის 12 სექტემბერს, ოსმალეთმა ომი გამოუცხადა საფრანგეთს.

რუსეთ-ოსმალეთის ესკადრა გაერთიანდა ვიცე-ადმირალ უშაკოვის სარდლობით და ერთიანი ძალებით განთავისუფლებულ იქნა ფრანგებისაგან იონიის კუნძულები და მათ შორის კუნძული კორფუ. 1799 წლის 3 იანვარს რუსეთსა და ოსმალეთს შორის, ხოლო 5 იანვარს ინგლისსა და ოსმალეთს შორის დაიდო სამოკავშირეო ხელშეკრულებები და ამ ხელშეკრულებებით რუსეთი და ინგლისი ვალდებულებას იღებდნენ, რომ შეუნარჩუნებდნენ ოსმალეთის სახელმწიფოს ტერიტორიულ



ალექსანდრიასთან ნაპოლეონის ჯარის გადასხმა

მთლიანობას და აღმოუჩენდნენ სამხედრო დახმარებას საფრანგეთის წინააღმდეგ ომში.

საფრანგეთში შექმნილი კრიტიკული მდგომარეობის გამო 1799 წლის 23 აგვისტოს, ნაპოლეონმა დატოვა ეგვიპტე და საფრანგეთში გაემგზავრა, ხოლო სარდლობა გენერალ კლებერს ჩააბარა.

ნაპოლეონის ეგვიპტიდან წასვლის შემდეგ სელიმ III-მ უბრძანა დიდ ვეზირ ზია იუსუფ ფაშას შეჭრილიყო ეგვიპტეში. გენერალი კლებერი არ იყო დაინტერესებული ომის გაგრძელებით და 1800 წლის 24 იანვარს ხელი მოაწერა ოსმალეთთან დროებით ზავს, რომლის მიხედვით უნდა მომხდარიყო ეგვიპტიდან საფრანგეთის ჯარის ევაკუაცია საპატიო პირობებით, მაგრამ ინგლისის მთავრობამ არ სცნო ეს ხელშეკრულება. საომარი მოქმედება განახლდა.

1800 წლის 20 მარტს გენერალმა კლებერმა ჰელიოპოლისთან დაამარცხა ოსმალეთის არმია და განდევნა ეგვიპტიდან.

ეგვიპტეში დაიწყო ახალი აჯანყება ფრანგი დამპყრობლების წინააღმდეგ, რომელსაც მხარი დაუჭირეს მამლუქებმა და თურქებმა. ცხარე ბრძოლების შედეგად კლებერმა მოახერხა ამ აჯანყების ჩაქრობა.

1800 წლის 14 ივნისის გენერალი კლებერი დაიღუპა ოსმალეთის მიერ მიგზავნილი მკვლელის ხელით. მისი შემცვლელი გენერალი მენუ, რიგი წარუმატებელი ბრძოლების შედეგად იძულებული გახდა 1801 წლის გაზაფხულზე ხელი მოეწერა კაპიტულაციის ხელშეკრულებისათვის და 1801 წლის სექტემბერში საფრანგეთის დარჩენილმა სამხედრო ნაწილებმა იძულებით დატოვეს ეგვიპტე.

ეგვიპტიდან ფრანგების განდევნისა და ფრანგებზე მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად სულთან სელიმ III-ს მიენიჭა „ღაზის“ (გამარჯვებულის) წოდება. იგი აღიარებულ იქნა ეგვიპტის მეორე დამპყრობლად (პირველი იყო სელიმ I, 1517 წ.).

1802 წლის 25 ივნისს ამიენში დაიდო ზავი საფრანგეთსა და ოსმალეთს შორის. ამ ხელშეკრულებით, ოსმალეთმა აღიდგინა თავისი სუზერენიტეტი ეგვიპტეზე. მიუხედავად ამისა, ოსმალეთმა ვეღარ შეძლო იქ თავისი რეალური ძალაუფლების დამყარება.

3. ბალკანეთის ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა

სელიმ III-ის დროს ოსმალეთის იმპერიის დაპყრობილი ხალხები სხვადასხვა ფორმით აწარმოებდნენ ბრძოლას თავიანთი მჩაგვრელების წინააღმდეგ. მართალია, საბერძნეთში, 1770 წელს თურქმა დამპყრობლებმა სასტიკად ჩაახშეს აჯანყება, მაგრამ ბრძოლა გრძელდებოდა. მას აგრძელებდნენ პარტიზანები – კლეფტები. XVIII საუკუნის ბოლოს და XIX საუკუნის დამდეგს განმათავისუფლებელი მოძრაობა გაძლიერდა. ამ მოძრაობის ეკონომიკური საფუძველი იყო საბერძნეთის ვაჭრობისა და ნაოსნობის განვითარება. ბერძენმა ვაჭრებმა დაიწყეს აღმოსავლეთიდან ფრანგი ვაჭრების განდევნა.

ბერძნული ბურჟუაზიის რიგებში დიდი გამოხმაურება ჰპოვა საფრანგეთის დიდი რევოლუციის იდეებმა. წარმოიქმნა საიდუმლო პოლიტიკური კავშირი – ეტერია, რომელშიც შედიოდნენ მდიდარი ვაჭრები, გემთფლობელები, ინტელიგენციისა და სამღვდელოების წარმომადგენლები და სხვ.

1795 წელს დაარსდა პირველი ეტერია. მისი დამაარსებელი იყო პოეტი და დამოუკიდებლობისათვის თავგამოდებული მებრძოლი კონსტანტინე რიგასი (ველესტინლისი). მისი ნამდვილი სახელი იყო ანტონიოს კირიაზისი, იგი იყო ბერძნული მარსელიოზას ავტორი. 1770 წელს რიგასი, თურქეთის ხელისუფლების დევნის გამო, გაიქცა ჯერ ბუქარესტში, შემდეგ ვენაში. 1797 წელს, როდესაც რიგასმა სცადა ჩასულიყო საბერძნეთში და მონაწილეობა მიეღო ანტითურქულ გამოსვლებში. იგი დააკავა ავსტრიის პოლიციამ და გადასცა თურქეთის ხელისუფლებას, რომელმაც სხვა ემიგრანტებთან ერთად 1798 წელს იგი სიკვდილით დასაჯა.

ამ პერიოდში ძლიერდება ბულგარელი ხალხის განმათავისუფლებელი მოძრაობა. აქაც განმათავისუფლებელი მოძრაობის საფუძველი ეკონომიკური ფაქტორი იყო. მოძრაობას სათავეში უდგება ბულგარეთის ეროვნული ბურჟუაზია და პატრიოტები რომელთაც აერთიანებდა საერთო ეროვნული ინტერესები.

გმირულ განმათავისუფლებელ ბრძოლას ეწეოდნენ ჩერნოგორიელებიც. ქვეყნის მთაგორიანი რელიეფი მათ საშუალებას აძლევდა ეწარმოებინათ ბრძოლა თურქთა ჯარების წინააღმდეგ. 1792-1796 წლებში ჩერნოგორიელებმა რამდენიმე სასტიკი დამარცხება აგემეს თურქეთის ჯარებს და სელიმ III იძულებული გახდა ეცნო ჩერნოგორიის დამოუკიდებლობა.

განსაკუთრებით ეფექტური იყო სერბების აჯანყება, რომელიც 11 წლის განმავლობაში გრძელდებოდა. აჯანყება დაიწყო 1804 წლის იანვარში ბელგრადის საფაშოში მას სათავეში ჩაუდგა ყარა-გიორგი. აჯანყებულთა რიცხვმა 28 ათას კაცს მიაღწია. 1804 წელს აჯანყებულებმა რამდენიმე გამარჯვება მოიპოვეს, გაანთავისუფლეს რიგი ქალაქები და დასახლებული პუნქტები და ემზადებოდნენ ბელგრადის წინააღმდეგ ლაშქრობისათვის.

1805 წლის მაისში აჯანყებულმა სერბებმა მოითხოვეს მათთვის მიეცათ ფართო საშინაო ავტონომია, აღარ დაენიშნათ ფაშა. გაეყვანათ საფაშოდან ჯარები, გაეუქმებინათ თურქული ადმინისტრაცია, მიეცათ სერბებისათვის უფლება თვითონვე აერჩიათ გამგებელი და მოხელეები. დადგენილიყო ყოველწლიური გადასახადის ერთიანი თანხა და მისი შეგროვება სერბების ხელთ ყოფილიყო.

სულთანმა უარყო აჯანყებულთა მოთხოვნა და სცადა ჩაეხშო აჯანყება. მათ წინააღმდეგ 70 ათასიანი ლაშქარი დაიძრა. მაგრამ თურქებმა ვერ შეძლეს აჯანყების ჩაქრობა და 1806 წლის ზაფხულში სულთანი იძულებული შეიქნა დაეწყო მოლაპარაკება. დაიდო შეთანხმება. სერბია დარჩა ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში და მიიღო საშინაო ავტონომია. სერბია ვალდებული იყო ყოველწლიურად ოსმალეთისათვის გადაეხადა 1800 ქისა. პორტას უფლება ჰქონდა ბელგრადში ჰყოლოდა გადასახადების ამკრეფნი და 150 ჯარისკაცი. მაგრამ ეს შეთანხმება ჩაშალეს ფრანგებმა, რომლებმაც დაარწმუნეს ოსმალეთის მთავრობა, რომ ასეთივე ავტონომიას მოითხოვდა მორეა.

განახლდა საომარი მოქმედებები და 1806 წლის დეკემბერში აჯანყებულებმა დაიკავეს ბელგრადი. ამ დროს დაიწყო რუსეთ-თურქეთის 1806-1812 წლების ომი და რუსეთმა მხარი დაუჭირა სერბების განმათავისუფლებელ ბრძოლას. 1812 წლის ბუქარესტის ზავით, სერბებმა მიიღეს საშინაო ავტონომიის უფლება.

1813 წელს სულთანმა დაარღვია ხელშეკრულება და გაგზავნა სერბიაში დამსჯელი ექსპედიცია. სერბებმა კვლავ მოკიდეს ხელი იარაღს და ახალი ძალით გააჩაღეს ომი. სულთანი იძულებული გახდა დათმობაზე წასულიყო და 1815 წელს დადო ხელშეკრულება. სერბიას უფლება ეძლეოდა ჰყოლოდა თავისი არმია და თვითმმართველობის ორგანოები. სერბია რჩებოდა ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში, ემორჩილებოდა სულთანს და იხდიდა ხარკს. ბელგრადსა და სხვა

მნიშვნელოვან ქალაქებში რჩებოდა თურქეთის გარნიზონები. ეს შეთანხმება კომპრომისული იყო და არ მოასწავებდა სერბი ხალხის სრულ გამარჯვებას, მაგრამ წარმოადგენდა წინ გადადგმულ ნაბიჯს დამოუკიდებლობის მოპოვების გზაზე.

4. რეფორმების გატარების ახალი ცდა და მისი მარცხი

სელიმმა ვერ შეძლო ქვეყნის შიგნით რეაქციული ძალების ალაგმვა. ამას ხელი შეუშალა რეაქციულ-კლერიკალური ძალების სიძლიერემ და სერბი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებლმა აჯანყებამ, რომელიც 1804 წელს დაიწყო.

რეაქციული ძალების წინააღმდეგ ენერგიული ბრძოლის ნაცვლად სელიმმა ძირითადი ძალები მიმართა სერბიის აჯანყების ჩასაქრობად. ამით მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა რეფორმებს და გააძლიერა რეფორმების წინააღმდეგ მებრძოლი ძალები.

სელიმ III დარწმუნდა, რომ ქვეყნის შიგნით წესრიგის გასამტკიცებლად ერთადერთი ძალა ნიზამი ჯედიდის ჯარი იყო და გადაწყვიტა გაეზარდა მისი რიცხვი. მაგრამ სელიმის ცდამ არ გამოიღო სათანადო ნაყოფი. მთავარი მიზეზი იყო ის, რომ თურქ ახალგაზრდებს არ სურდათ ახალ ჯარში სამსახური, რომელიც კომპლექტდებოდა ნებაყოფლობით პრინციპზე. ისინი მიჩვეულნი იყვნენ, რომ არმიაში იმსახურებდნენ ომის დროს. ამიტომ სულთანმა გადაწყვიტა ახალი სამხედრო ნაწილები შეექმნა იძულებითი გაწვევის გზით. მუსლიმების მიმართ ასეთი მეთოდის გამოყენება და ისიც მშვიდობიანობის დროს ეწინააღმდეგებოდა საღვთო ომის პრინციპებს და მიუღებლად ითვლებოდა.

სელიმმა უგულებელჰყო ძველი წესები და 1805 წელს გამოსცა ჰატი შერიფი-რუმელიის ქალაქებსა და სოფლებში ძალდატანებით გაეწვიათ 20-25 წლის ახალგაზრდები, მათ შორის იენიჩარებიც კი. მაგრამ ამ წამოწყების შედეგები მეტად სავალალო აღმოჩნდა. ერთ-ერთ შესაკრებ პუნქტში ყადი და მისი მოადგილე მოკლულ იქნენ იენიჩარებისა და მათთან გაერთიანებული მოსახლეობის მიერ, ხოლო ნიზამი ჯედიდის ჯარისკაცები განდევნილ იქნენ ქალაქიდან. რუმელიის ქალაქების მმართველებმა ამის შემდეგ ვეღარ გაბედეს სელიმის ბრძანებულების გამოქვეყნება. ამრიგად, სელიმის პირველი ცდა – შეექმნა ახალი ჯარის ნაწილები ძალდატანების გზით, მარცხით დამთავრდა. მაგრამ სელიმმა ხელი არ აიღო თავის განზრახვაზე.

1806 წელს თეკირდაღში, სადაც მოხდა ეს გამოსვლა, გაიგზავნა 10 ათასი ჯარისკაცისაგან შემდგარი შენაერთი. რეფორმების მოწინააღმდეგეები მოემზადნენ საბრძოლველად. მთელ რიგ ქალაქებში დაიწყო იენიჩარებისა და მოსახლეობის აჯანყება. აქედან ყველაზე დიდი აჯანყება მოხდა 1806 წლის აგვისტოში ქალაქ ადრიანოპოლში. აჯანყება დაიწყეს იენიჩარებმა, რომლებსაც ქალაქის მოსახლეობაც შეუერთდა. ანალოგიური აჯანყებები დაიწყო რუმელიის სხვა ქალაქებშიც. რიგი ჯარისკაცებისა შეუერთდნენ აჯანყებულებს. სულთანი იძულებული შეიქნა დათმობაზე წასულიყო. ჯარის ნაწილები უკან გაიწვიეს. დიდ ვეზირად დაინიშნა ჰალიმ იბრაჰიმ ფაშა, იენიჩართა აღა. რეფორმების მომხრე შეიხულ-ისლამიც გადააყენეს და მის ადგილზე დანიშნეს რეაქციონერი ატაულა ეფენდი.

სელიმის უკან დახევამ კიდევ უფრო მეტად გაამხნევა რეფორმების მოწინააღმდეგენი. ინგლისისა და რუსეთის მთავრობები არ იყვნენ დაინტერესებული სელიმ III-ის ძალაუფლების განმტკიცებით. მისი სამხედრო პოტენციალის გაზრდით. 1806 წელს დაიწყო რუსეთ-ოსმალეთის ომი და ისინი აქეზებდნენ რეფორმების მოწინააღმდეგეებს. ამავე დროს ხალხის მასები უკმაყოფილო იყვნენ გადასახადების



სელიმ III-ის სასახლის ქალები


გადიდებითა და სურსათ-სანოვაგეზე ფასების ზრდით და მხარს უჭერდნენ რეფორმების მოწინააღმდეგეებს.

სელიმ III-ის წინააღმდეგ შეიქმნა საიდუმლო დაჯგუფება, რომელშიაც შევიდა შეისულ-ისლამი, კაიმაკამი მუსტაფა ფაშა და სულთნის ბიძაშვილი უფლისწული მუსტაფა, რომელსაც სურდა ტახტის ხელში ჩაგდება. მათ შეიმუშავეს გეგმა. მათი მიზანი იყო სულთნის ტახტიდან ჩამოგდება, მუსტაფას გამეფება, სელიმის მომხრეების განადგურება და რეფორმების გაუქმება.

შეთქმულების ძირითად ძალად გამოიყენეს იამაკები, იენიჩარების დამხმარე ჯარის ნაწილები, რომლებიც განლაგებული იყვნენ ზღვის სანაპიროს გასწვრივ. ისინი აგრეთვე წინააღმდეგნი იყვნენ ნიზამი ჯედიდის ჯარისა.

1807 წლის მაისში მუსტაფა ატაულა ეფენდიმ და უფლისწულმა მუსტაფამ თავიანთი აგენტების მეშვეობით დაიწყეს აგიტაცია იამაკთა შორის, რომელთაც აშინებდნენ, რომ მალე მათაც ჩააცვამდნენ ნიზამი ჯედიდის ჯარისკაცის ტანსაცმელს და აიძულებდნენ რეგულარულად ჩაეტარებინათ სამხედრო წვრთნა. ამ აგიტაციამ გარკვეული შედეგი გამოიღო. „ჩვენ ოდითგანვე იენიჩარები ვართ“, „მე მოსკოველი (რუსი) გავხდები – ნიზამი ჯედიდის ჯარისკაცი არ ვიქნები“.

25 მაისს მათ დაიწყეს აჯანყება ჯერ ბოსფორის ევროპულ სანაპიროზე, ხოლო შემდგომ – აზიურზე. 27 მაისს აჯანყებულები სტამბოლისაკენ გაემართნენ, მათ შეუერთდნენ იენიჩარები, მეზარბაზნეები და მეზღვაურები. აჯანყებულები სტამბოლში



სელიმ III-ის დის მიერ გამართული წვეულება

შევიდნენ და ათმოედანზე მოიყარეს თავი, მეამბოხეთა რიცხვმა 20 ათასს მიაღწია, ხოლო 28 მაისს მათი რაოდენობა 50 ათასამდე გაიზარდა.

სელიმ III შეშინდა. მან განაცხადა, რომ თუ აჯანყების მიზეზი ნიზამი ჯედიდის ჯარია, იგი ახლავე გააუქმებს მას. აგრეთვე სულთანმა განაცხადა, რომ იგი მზადაა დააკმაყოფილოს აჯანყებულთა სხვა მოთხოვნები. ამ დროს სტამბოლში იმყოფებოდა 6 ათასიანი ნიზამის ჯარი. სელიმის ბრძანებით იგი დაშალეს, მაგრამ აჯანყებულები ამით არ დაკმაყოფილდნენ. მათ მოითხოვეს სიკვდილით დაესაჯათ რეფორმების მომხრე 11 დიდი მოხელე. სელიმმა დააკმაყოფილა ეს მოთხოვნაც, მაგრამ აჯანყებულები არ ცხრებოდნენ. მათ განაცხადეს, რომ არ ენდობოდნენ სელიმ III-ს და მოითოვეს მისი გადადგომა და მუსტაფას გამეფება.

1807 წლის 29 მაისს შეიზულ-ისლამმა გამოსცა ფეთვა და სელიმი ტახტიდან გადააყენეს, ხოლო მის მაგივრად მუსტაფა IV გაამეფეს. სელიმის ტახტიდან ჩამოგდების შემდეგ მის მიერ დაწყებული რეფორმები გაუქმებულ იქნა.

5. მუსტაფა ფაშა ბაირაღთარი

სელიმ III-ის ტახტიდან ჩამოგდების შემდეგ რეფორმების მომხრეებმა თავი მოიყარეს მუსტაფა ფაშა ბაირაღთარის გარშემო. მუსტაფა ფაშა იენიჩარის შვილი და თვითონაც იენიჩარი იყო. 1789-1792 წლების რუსეთთან ომის დროს იგი იენიჩართა ორთას (რაზმი) მებაირაღე გახდა, რის გამოც მას ზედმეტსახელად უწოდეს „ბაირაღთარი“, თავისი ნიჭისა და ვაჟკაცობის წყალობით იგი მალე დაწინაურდა. მან განსაკუთრებით სახელი გაითქვა 1806 წლის რუსეთთან დაწყებული ომის დროს. იგი გახდა დუნაის არმიის მთავარსარდალი. თავის დროზე მუსტაფა ფაშა ბაირაღთარი სელიმის

რეფორმების მოწინააღმდეგე იყო. მაგრამ რუსეთთან ომმა იგი დაარწმუნა, რომ იენიჩართა კორპუსი დაცემის გზაზე იდგა და მისი ბრძოლისუნარიანობა ძალზე დაბალი იყო, ამიტომ მან მხარი დაუჭირა სელიმის რეფორმებს და უარყოფითად შეხვდა სელიმის ტახტიდან ჩამოგდებას. ამ დროს იგი ქ. რუსში იმყოფებოდა და აქ თანდათანობით მის გარშემო თავს იყრიან რეფორმების მომხრეები. ბაირაღთარის უშუალო ხელმძღვანელობით რეფორმების მომხრეებმა დააარსეს ფარული პოლიტიკური ორგანიზაცია „რუშჩუკების მეგობართა“ სახელწოდებით. ამ საზოგადოებამ მიზნად დაისახა სელიმის კვლავ ტახტზე აყვანა და შეწყვეტილი რეფორმების განახლება.

1808 წლის ივლისში მუსტაფა ფაშა ბაირაღთარმა ისარგებლა რუსეთ-თურქეთს შორის დადებული დროებითი ზავით და თავისი ჯარები დაძრა სტამბოლისაკენ. დედაქალაქის დაკავების შემდეგ ბაირაღთარმა დააპირა სელიმის გამეფება, მაგრამ მუსტაფა IV-ის ბრძანებით სელიმი მოკლეს. ამის საპასუხოდ ბაირაღთარის მომხრეებმა 28 ივლისს მუსტაფა IV ტახტიდან ჩამოაგდეს და ტახტზე აიყვანეს გაბატონებული დინასტიის ერთადერთი წარმომადგენელი მაჰმუდ II (1808-1839).

ახალმა სულთანმა პირობა დადო, რომ განაახლებდა შეწყვეტილ რეფორმებს და საჭირო ცვლილებებს მოახდენდა სახელმწიფოში. მან დანიშნა მუსტაფა ფაშა ბაირაღთარი დიდ ვეზირად. ამის შემდეგ მუსტაფა ფაშა ბაირაღთარმა მთელი ძალაუფლება თავის ხელში აიღო და „რუშჩუკელ მეგობრებს“ მნიშვნელოვანი თანამდებობები დაურიგა სახელმწიფოს აპარატში. მან პირველ დღესვე 300 კაცი სიკვდილით დასაჯა, რომელთა შორის იყვნენ სელიმ III-ის უბოროტესი მტრები, ბაირაღთარმა თავის მომხრეებთან ერთად ენერგიულად მოკიდა ხელი რეფორმების გატარებას.

რეფორმების გატარებისა და სახელმწიფო საქმეების მოწესრიგების მიზნით, მან მოიწვია უაეგუსტოესის დივანის გაერთიანებული სხდომა, რომელზედაც მოწვეულ იქნენ დიდი აიანები, დიდებულები, ულმები, დიდი სახელმწიფო მოხელეები. თათბირის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს შეიხულ-ისლამმა, რუმელიისა და ანატოლიის ყადიასკერებმა, იენიჩართა აღამ და სხვ.

ფაშები და აიანები სტამბოლში თავიანთი ლაშქრითა და რაზმებით ჩავიდნენ და სტამბოლის მახლობლად დაბანაკდნენ. მათი საერთო რიცხვი 70 ათას კაცს აღემატებოდა.

სულთანმა პატივით მიიღო გაფართოებული დივანის მონაწილენი.

1808 წლის 29 სექტემბერს გაიხსნა გაფართოებული დივანის სხდომა. შესავალი სიტყვა მუსტაფა ბაირაღთარმა წარმოთქვა. მან შეკრებილებს შეახსენა სელიმის ცდა – შეექმნა ახალი გაწვრთნილი ჯარი, რომელიც ჩაშალეს იენიჩარებმა (მათ შორის თვითონაც). მისი სიტყვებით: „ომის გამოცდილებამ დაგვანახა, რომ სელიმ III მართალი იყო. სელიმის დამხობისა და ძველი წესების აღდგენის შედეგად არმიის მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა. ჩვენ აქ შევიკრიბეთ იმ მიზნით, რომ გავაერთიანოთ ძალები, მივიღოთ ზომები იმპერიის გადასარჩენად და მოსალოდნელი კატასტროფისაგან თავის დასაღწევად.

თათბირის მონაწილეებმა აიღეს ვალდებულება შეეწყვიტათ ურთიერთშორის ქიშპი და მტრობა, დაეცვათ სულთანი და მისი მთავრობა, არ დაეშვათ მოსახლეობის შეიწროება და ბოროტმოქმედებები გადასახადების აკრეფის დროს. თუკი იენიჩარები წინააღმდეგობას გაუწევდნენ „სეკბანი ჯედიდის“ შექმნას, მაშინ ისინი განადგურებული უნდა ყოფილიყვნენ.

აიანებმა და ფაშებმა ვალდებულება აიღეს თავიანთ დაქვემდებარებულ პროვინციებში შეექმნათ, რეგულარული რეკრუტის წესით, 1) სამხედრო ნაწილები. ეს უნდა

ყოფილიყო სახელმწიფო ჯარი, იენიჩარები, რომლებიც წინააღმდეგობას გაუწევდნენ მის შექმნას, სასტიკად დაისჯებოდნენ.

„სამოკავშირეო აქტს“ ხელი მოაწერა ყველა დამსწრემ. სულთანმა იგი დაამტკიცა სპეციალური დადგენილებით.

ეს პაქტი მიმართული იყო იენიჩარების წინააღმდეგ. თუმცა, მუსტაფა ბაირაღთარმა შეიტანა წინადადება მისი გაუქმების შესახებ, მაგრამ თათბირზე არ იყო მიღებული დადგენილება იენიჩართა კორპუსის გაუქმების შესახებ.

სულთნის კარზე „სამოკავშირეო პაქტს“ ცივად შეხვდნენ, რადგან ჩათვალეს, რომ ეს ნიშნავდა სულთნის სუვერენიტეტის ხელყოფას. მაგრამ შექმნილ ვითარებაში უკმაყოფილებას აშკარად არ გამოხატავდნენ.

ბაირაღთარი ენერგიულად შეუდგა „სეკბანი ჯედიდის“ დაკომპლექტებას. თავდაპირველად მისი რიცხვი 5 ათას არ უნდა ასცილებოდა. მათ, იენიჩარებთან შედარებით, დაენიშნათ უფრო მაღალი ხელფასი. ამით სურდათ ახალგაზრდა იენიჩარები თავიანთ რიგებში მიეზიდათ. ნება დართეს ამ ჯარში ჩაერიცხათ ქრისტიანებიც.



მუსტაფა ფაშა ბაირაღთარი

ახალი ჯარის შესანახავად, რომ არ გადიდებულიყო გადასახადები, გადაწყვიტეს შეემცირებინათ იენიჩარებისათვის ჯამაგირი 50 პროცენტით. ამის შედეგად მთავრობამ დამატებით მიიღო ყოველდღიურად 100 000 ახჩა შემოსავალი.

მუსტაფა ფაშა ბაირაღთარი კეთილგანწყობილი იყო ოსმალეთის იმპერიაში მცხოვრები ქრისტიანების მიმართ. მან ჩამოართვა მოიჯარადეებს ხარაჯის გადასახადის აკრეფის უფლება და იგი გადასცა ბერძენ და სომეხ პატრიარქებს. აიკრძალა სიტყვა „გიაურის“ ხმარება და სხვ.

მუსტაფა ფაშა ბაირაღთარისა და მისი მომხმარეების სარეფორმო ღონისძიებები სულ 3 თვეს გაგრძელდა. ვერც მათ შესძლეს იმ სოციალური ბაზის გაფართოება, რომელიც დაინტერესებული იყო რეფორმებით. ბაირაღთარმა ვერ დაამყარა კავშირი ხალხის მასებთან და ვერ შეძლო რეაქციული ძალების დამარცხება. ბაირაღთარის წინააღმდეგ შეთქმულება მზადდებოდა. ამის შესახებ იგი გააფრთხილეს. მაგრამ მან არ მიიღო არავითარი ზომები.

1808 წლის 14 ნოემბერს დამით მეამბოხეებმა ალყა შემოარტყეს მუსტაფა ბაირაღთარის სახლს, რომელიც ქალაქის განაპირას მდებარეობდა. უთანასწორო ბრძოლაში იგი ვაჟკაცურად დაიღუპა.

15 ნოემბერს აჯანყებულებმა გადაწყვიტეს მაჰმუდის ტახტიდან ჩამოგდება და კვლავ მუსტაფა IV-ის გამეფება, მაგრამ მაჰმუდის ბრძანებით, მუსტაფა IV მოკლულ იქნა. მაჰმუდი რჩებოდა ერთადერთ მემკვიდრედ და მან შეინარჩუნა ხელმწიფობა.

რეაქციული ძალების გამარჯვება მნიშვნელოვანწილად განპირობებული იყო ხალხის მასების უკმაყოფილებით, რომლებსაც რეფორმების შედეგად არაფერი მიუღიათ, გარდა დამატებითი გადასახადებისა და მაინც, რეფორმების გატარების აუცილებლობა კვლავ დღის წესრიგში დადგა.

6. 1806-1812 წლების ოსმალეთ-რუსეთის ომი და ბუქარესტის ზავი

1802 წელს საფრანგეთთან დაზავების შემდეგ, ოსმალეთში პოლიტიკური მდგომარეობა სტაბილური გახდა. ინგლისი და რუსეთი ნაპოლეონის შეტევითი პოლიტიკის გამო, დაინტერესებული იყვნენ ოსმალეთთან მშვიდობიანი ურთიერთობით. მართალია, ინგლისმა სცადა ეგვიპტიდან საფრანგეთის ჯარის გაყვანის შემდეგ იქ დარჩენილიყო, მაგრამ 1803 წელს იძულებული გახდა ეგვიპტიდან ჯარი გაეყვანა. რაც შეეხება რუსეთთან ურთიერთობას, იგი კიდევ უფრო გაუმჯობესდა. 1802 წლის 24 სექტემბერს რუსეთსა და ოსმალეთს შორის მოხდა შეთანხმება დუნაისპირა სამთავროების პოლიტიკური რეჟიმის საკითხზე. ამის შედეგად, ძირითადად, რუსეთის მოთხოვნილებანი დაკმაყოფილებულ იქნა.

1805 წლის 23 სექტემბერს რუსეთსა და ოსმალეთს შორის დაიდო ახალი ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებდა ორივე მხარის ინტერესებს. „ამიერიდან მათ ეყოლებოდათ საერთო მტრები და საერთო მეგობრები“. თუ რომელიმე მხარე განიცდიდა თავდასხმას, მას აღმოუჩენდნენ დახმარებას. ამ ხელშეკრულებით რუსეთის შავი ზღვის სამხედრო ფლოტს კვლავ ეძლეოდა ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებში გასვლის უფლება. რუსეთ-ოსმალეთის მეგობრული ურთიერთობა ორივე ქვეყნის ინტერესებს და ხელს უწყობდა მშვიდობის შენარჩუნებას ამ რეგიონში. მაგრამ ეს ხელს არ აძლევდა საფრანგეთს, რომელიც კვლავ ცდილობდა ოსმალეთი თავის გავკლენის ქვეშ მოექცია და აემხედრებინა იგი რუსეთისა და ინგლისის წინააღმდეგ.

ამ მისიის შესრულება ნაპოლეონმა დაავალა გენერალ სებასტიანს, რომელიც 1806 წელს კვლავ დაინიშნა საფრანგეთის ელჩად სტამბოლში. საფრანგეთის გავლენა ოსმალეთზე განსაკუთრებით გაძლიერდა 1805 წლის 3 დეკემბერს აუსტერლიცთან ნაპოლეონის მიერ ავსტრიასა და რუსეთზე გამარჯვების შემდეგ. სულთანმა ნაპოლეონი იცნო იმპერატორად: „არ შემიძლია არ ვაღიარო იმპერატორად ის პიროვნება, რომელმაც დაამარცხა ორი იმპერატორი“, – განაცხადა სელიმ III-მ

აუსტერლიცთან ნაპოლეონის გამარჯვებამ რუსეთ-ავსტრიის ჯარებზე ბოლო მოუღო რუსეთ-ოსმალეთის კავშირს და ყოფილ მოკავშირეებს შორის ისევ საომარი ვითარება შეიქმნა. 1806 წლის 20 აპრილს, საფრანგეთის ზეწოლის შედეგად, პორტამ დაარღვია რუსეთთან 1805 წელს დადებული ხელშეკრულება და რუსეთის ელჩს განუცხადა, რომ „სულთანს აღარ სურს, რომ რუსეთის სამხედრო გემებმა ისარგებლონ სრუტეებით“. რუსეთთან ომის უშუალო საბაბი გახდა ოსმალეთის სულთნის მიერ მოლდავეთისა და ვალახეთის გოსპოდართა გადაყენება რუსეთის იმპერატორის თანხმობის გარეშე. ამის პასუხად 1806 წლის 28 ოქტომბერს რუსეთის ჯარებმა გადალახეს მდ. დნესტრი და შეიჭრნენ მოლდავეთის სამთავროში.

ნაპოლეონი ურჩევდა სელიმს ომი დაეწყო რუსეთის წინააღმდეგ და ჰპირდებოდა დახმარებას ყირიმისა და საქართველოს დაბრუნების საქმეში. ნაპოლეონის მიერ ევროპაში მოპოვებული გამარჯვებებით გაბრუებულმა სელიმმა ირწმუნა და ყურად იღო მისი რჩევა. 1807 წლის 5 იანვარს ოსმალეთმა ომი გამოუცხადა რუსეთს. აღსანიშნავია, რომ სულთანი ომის გამოცხადების მანიფესტში რუსეთს ბრალს სდებდა, რომ მან დაიპყრო ოსმალეთის სამფლობელოები – ყირიმი და საქართველო, აგრეთვე სერბებს, ვალახებსა და მოლდაველებს აჯანყებისაკენ მოუწოდებდა.

საომარი ოპერაციები მიმდინარეობდა ორ ფრონტზე: ბალკანეთსა და კავკასიაში. 1807 წლის აპრილში სტამბოლში გენერალ სებასტიანის ხელმძღვანელობით

შეიმუშავეს რუსეთის წინააღმდეგ საომარი ოპერაციების გეგმა. ამ გეგმის მიხედვით, ოსმალეთის არმიას უნდა გადაელახა დუნაი და ხელთ ეგდო დუნაის გადაღმა ტერიტორიები, გასულიყო მდ. დნესტრზე და შეერთებოდა საფრანგეთის ჯარებს პოლონეთში. მაგრამ ოსმალებმა ვერ შეძლეს დასახული გეგმის განხორციელება.

ამ დროს კავკასიაში მდგომარეობა რთული იყო. 1804 წლიდან გრძელდებოდა ომი ირანთან. ამავე დროს რუსეთის ჯარის ერთი ნაწილი დაკავებული იყო ჩრდ. კავკასიაში ბრძოლით. 1804 წელს თიანეთში დაიწყო აჯანყება რუსეთის ბატონობის წინააღმდეგ. საქართველოს მოსახლეობის ერთი ნაწილი წინააღმდეგი იყო საქართველოს რუსეთთან შეერთებისა და ამ აქტს მტრულად შეხვდა.

1807 წლის გაზაფხულზე კავკასიაში განლაგებული რუსეთის არმია გენერალ გუდოვიჩის სარდლობით შეტევაზე გადავიდა ყარსისა და ახალქალაქის მიმართულებით, მაგრამ წარმატებას ვერ მიაღწია. იმავე ზაფხულში ოსმალეთის არმია, არზურუმის გამგებლის იუსუფ ზია ფაშას სარდლობით, კონტრშეტევაზე გადავიდა. მას დავალებული ჰქონდა შეჭრილიყო ქართლში და დაეკავებინა თბილისი. 1807 წლის 19 ივნისს მდ. არფა-ჩაისთან ოსმალეთის არმია დამარცხებულ და უკუგდებულ იქნა.

ოსმალეთის დიდი იმედი ჰქონდა, რომ საფრანგეთი მას დახმარებას აღმოუჩენდა. ამ მიზნით, 1807 წლის მარტის დასაწყისში ვარშავაში ჩავიდა ოსმალეთის ელჩი ვაჰიდ ეფენდი. მას დავალებული ჰქონდა დაედო საფრანგეთთან სამოკავშირეო ხელშეკრულება, მიმართული რუსეთის წინააღმდეგ. ამ დროს საფრანგეთის ჯარმა დაიკავა ვარშავა და რუსეთის საზღვარს მიადგა. ნაპოლეონი აღარ იყო დაინტერესებული რუსეთთან კონფრონტაციით, პირიქით, მას სურდა რუსეთი ჩაება კონტინენტალურ ბლოკადაში, რომელიც მიმართული იყო ინგლისის წინააღმდეგ. მართალია, ნაპოლეონმა დიდი პატივით მიიღო ოსმალეთის ელჩი და აღუთქვა მას დახმარება, მაგრამ ნაპოლეონი არ აპირებდა ოსმალეთთან სამოკავშირეო ხელშეკრულების დადებას.

1807 წლის 7 ივლისს ტილზიტში დაიდო ზავი ნაპოლეონსა და ალექსანდრე I-ს შორის. რუსეთი შეუერთდა კონტინენტალურ ბლოკადას. ტილზიტის ხელშეკრულების რიგი მუხლები, მათ შორის საიდუმლო, ეხებოდა ოსმალეთს. საიდუმლო შეთანხმებით მოლაპარაკება უნდა დაწყებულიყო პარიზში საფრანგეთისა და რუსეთის წარმომადგენლებს შორის ოსმალეთის ტერიტორიის დაყოფასთან დაკავშირებით. ოსმალეთის „მეგობარმა“ ნაპოლეონმა რუსეთს შესთავაზა ოსმალეთის დაყოფის გეგმა. 1808 წლის აგვისტოში, საფრანგეთის შუამავლობით, რუსეთსა და ოსმალეთს შორის დაიდო დროებითი ზავი, რომელიც 1809 წლის გაზაფხულამდე გაგრძელდა. ამ დროებით ზავს რუსეთის მხრიდან ხელი მოაწერა სერგი ლაშქაროვმა.

1809 წელს, ფრანგი დიპლომატების შუამავლობით, ოსმალეთსა და ირანს შორის დაიდო შეთანხმება საქართველოზე ერთობლივი ლაშქრობის მოწყობის შესახებ. გამარჯვების შემთხვევაში, ქართლ-კახეთი, თბილისი უნდა გადასულიყო ირანის ხელში, ხოლო დასავლეთ საქართველო – ოსმალეთის ხელში. კავკასიაში რუსეთის აქტიური მოქმედების შედეგად, ეს დაპყრობითი გეგმა ჩაიშალა.

1809 წელს რუსეთის ჯარები გადავიდნენ შეტევაზე და დაიკავეს ფოთი, შემდეგ – ახალქალაქი.

1811 წლის ივნის-ოქტომბერში რუსეთის ჯარმა, კუტუზოვის სარდლობით, დაამარცხა ოსმალეთის არმია, რითაც ჩაიშალა ნაპოლეონის გეგმები შემდგომშიაც გამოეყენებინა ოსმალეთი რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ოსმალეთის იმპერიის მდგომარეობას ართულებდა ისიც, რომ აჯანყებულმა სერბებმა მთელი რიგი დამარცხებები აგემეს ოსმალო დამპყრობლებს.

ასეთ ვითარებაში ოსმალეთი იძულებული გახდა შეეწყვიტა წინააღმდეგობა და დაეწყო საზავო მოლაპარაკება. ოსმალეთთან საზავო მოლაპარაკებას სათავეში უშუალოდ კუტუზოვი ჩაუდგა. მისთვის ცნობილი იყო, რომ ნაპოლეონის ჯარმა დაიწყო ოდერზე გადასვლა, ხოლო ავანგარდი ვისლაზე გამოჩნდა. კუტუზოვმა გამოამჟღავნა უბადლო დიპლომატიური ნიჭი და უმოკლეს დროში დაიყოლია ოსმალეთის წარმომადგენელი დაზავებაზე.

1812 წლის 28 მაისს ბუქარესტში დაიდო საზავო ხელშეკრულება ოსმალეთსა და რუსეთს შორის. ზავით რუსეთმა მიიღო ბესარაბია და რუსეთ-ოსმალეთის საზღვარი ევროპაში გადაიწია მდინარე პრუტამდე; რუსეთმა შეინარჩუნა მფარველობის უფლება დუნაის სამთავროებზე – მოლდავეთსა და ვალახეთზე; ოსმალეთი ვალდებული იყო ამინისტია გამოეცხადებინა სერბებისათვის და მიეცა სერბიისათვის საშინაო ავტონომია; რუსეთ-ოსმალეთის საზღვარი კავკასიაში ომამდელი სახით დარჩა (რუსეთმა ოსმალეთს დაუბრუნა ფოთი და ახალქალაქი).

ბუქარესტის ზავი რუსეთის დიპლომატიის დიდი გამარჯვება იყო. დაზავების შედეგად, რუსეთს საშუალება ეძლეოდა მთელი ძალები გადაესროლა ნაპოლეონის წინააღმდეგ, რომელიც უკვე კარზე იყო მომდგარი. ნაპოლეონმა, როდესაც შეიტყო რუსეთ-ოსმალეთის დაზავების ამბავი, ძალზე განრისხდა და მან პორტა „ძვირფასი“ ეპითეტებით შეამკო.

თავი II

ოსმალეთი XIX საუკუნის 20-იან წლებში

1. ბერძენი ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის

ოსმალეთის ბატონობის უღლის ქვეშ მყოფ ხალხებს შორის ბერძნები თავიანთი ეროვნული, ეკონომიკური და კულტურული განვითარების დონით მაღლა იდგნენ, ვიდრე ბალკანეთის სხვა ხალხები, რომ არაფერი ვთქვათ თურქებზე. ბერძნულმა კულტურამ დიდი გავლენა მოახდინა ევროპის ხალხებზე.

ოსმალეთის იმპერიაში XIX საუკუნის დასაწყისში ბერძნული მოსახლეობა 3,5 მილიონს ითვლიდა. მორეაში, მაკედონიასა და არქიპელაგის კუნძულებზე ბერძნული მოსახლეობა უმრავლესობას შეადგენდა. დაპყრობილი ბერძნული ტერიტორია დაყოფილი იყო ექვს საფაშოდ. აქეედან ყველაზე დიდი მორეას საფაშო იყო.

ოსმალეთში ვაჭრობის მნიშვნელოვანი ნაწილი ბერძენ ვაჭართა ხელში იმყოფებოდა. განსაკუთრებით დიდი იყო ბერძენთა წვლილი საერთაშორისო ვაჭრობაში, დიდ წარმატებას მიაღწიეს ბერძნებმა ნაოსნობაში. 1816 წლისათვის ბერძნებს ეკუთვნოდათ 600 სავაჭრო გემი. ბერძნები იყვნენ მსხვილი ვაჭრები, გემთმშენებლები, ბანკირები, აგრეთვე მსხვილი მიწათმფლობელებიც. ბერძენი ბურჟუაზია ვერ ურიგდებოდა ოსმალთა ბატონობას, რადგანაც იგი პოლიტიკურად იმყოფებოდა უუფლებო მდგომარეობაში. ახალგაზრდა ბერძნები მიემგზავრებოდნენ ევროპაში განათლების მისაღებად. ბერძნულ ინტელიგენციაში ჩამოყალიბდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეები. ყველაზე მძიმე მდგომარეობაში ბერძენი გლეხები იმყოფებოდნენ.

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში რუსეთ-თურქეთის ომების დროს ბერძნული მოსახლეობა აღფრთოვანებით ხვდებოდა რუს მეზღვაურებს. მათ ოსმალთა ბატონობისაგან განთავისუფლების საქმეში იმედი გაუჩნდათ.

1789 წლის საფრანგეთის ბურჟუაზიულმა რევოლუციამ კიდევ უფრო მეტად გააღვივა ბერძენი ხალხის მისწრაფება ეროვნული დამოუკიდებლობისაკენ.

ბერძნებს განსაკუთრებით დიდი იმედი გაუჩნდათ ნაპოლეონის ეგვიპტეში ლაშქრობისა და საფრანგეთის ჯარების მიერ იონიის კუნძულების დაკავების შემდეგ. ნაპოლეონი ბერძნებს აქეზებდა ოსმალების წინააღმდეგ ამხედრებისაკენ.

ბერძენი ხალხის აჯანყება ოსმალთა ბატონობის წინააღმდეგ მზადდებოდა როგორც საბერძნეთში, ისე საზღვარგარეთ. 1814 წელს ბერძენმა ვაჭარმა ოდესაში დააარსა ფარული საზოგადოება „გეტერია“ (მეგობართა კავშირი). დროთა განმავლობაში იგი გახდა ცენტრი ოსმალთა ბატონობის წინააღმდეგ ბერძენთა აჯანყების მომზადების საქმეში. შემდგომ წლებში ამ ფარული საზოგადოების ორგანიზაციები დაარსდა ოსმალეთის იმპერიის სხვადასხვა ადგილებში. 1820 წელს ამ ორგანიზაციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი გახდა ახალგაზრდა ფანარიოტი, რუსეთის არმიის გენერალ-მაიორი, ალექსანდრე I-ის ადიუტანტი ალექსანდრე იპსილანტი.

1821 წლის 6 აპრილს მორეაში დაიწყო აჯანყება ოსმალთა ბატონობის წინააღმდეგ. მალე აჯანყება მთელ ნახევარკუნძულზე გავრცელდა, იქიდან კი ეგეოსის კუნძულებზეც. ოსმალეთის სულთანმა მაჰმუდ II-მ აჯანყებულ ბერძნებს „საღვთო ომი“ გამოუცხადა. დაიწყო ბერძნებისა და საერთოდ ქრისტიანების მასობრივი ჟლეტა როგორც სტამბოლში, ისე სხვა ქალაქებსა და სოფლებში. მოკლულ იქნა 10 ათასი კაცი, მათ

შორის კონსტანტინოპოლის პატრიარქი გრიგორი, რომელიც ჩამოახჩეს საკათედრო ტაძრის კარიბჭესთან.

მორეაში, ბერძენთა აჯანყების დროს, მიმდინარეობდა ევროპის „საღვთო კავშირის“ მონაწილეთა სხდომა. საღვთო კავშირის წევრები – რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე I და ავსტრიის იმპერატორი ფრანც იოსები და მისი კანცლერი მეტერნიხი – ევროპაში ატარებდნენ ე. წ. „საღვთო პოლიტიკას“, დაინტერესებული იყვნენ არსებული მონარქიების ლეგიტიმისტური უფლების დაცვით და ილაშქრებდნენ რევოლუციური გამოსვლების წინააღმდეგ. ამ თვალსაზრისით, საბერძნეთში დაწყებული განმათავისუფლებელი მოძრაობა რევოლუციური ხასიათისა იყო და მიმართული იყო ოსმალეთის კანონიერი სულთანის ხელისუფლების წინააღმდეგ. ამიტომ „საღვთო კავშირის“ წევრებმა დაგმეს ბერძნების აჯანყება. განსაკუთრებით უარყოფითად შეხვდა ამას ავსტრია. მეტერნიხმა საღვთო კავშირის წევრებს მოუწოდა ჩარეულიყვნენ სულთნის სასარგებლოდ. მეტერნიხს ეშინოდა, რომ ბერძნების მაგალითს მიბაძავდნენ ავსტრიის იმპერიაში შემავალი ბალკანეთის ხალხები.

თუმცა ალექსანდრე I-მა დაგმო ააჯანყება, მაგრამ რუსეთი დიდი ხნის განმავლობაში ვერ დარჩებოდა პასიური მეთვალყურეობის როლში, რადგანაც ამას შეეძლო გამოეწვია ბალკანეთის ქრისტიან ხალხებზე მისი გავლენის დაკარგვა.

1822 წლის 13 იანვარს მოწვეულ იქნა საბერძნეთის ეროვნული კრება, რომელმაც გამოაცხადა საბერძნეთის დამოუკიდებლობა.

ევროპის იმდროინდელმა მოწინავე საზოგადოებამ მხარი დაუჭირა ბერძენი ხალხის ბრძოლას დაქმოუკიდებლობისათვის. პუშკინმა ლექსი მიუძღვნა ბერძნებს და ქება-დიდება შეასხა მათ ბრძოლას. მეამბოხეებს მიესალმნენ დეკაბრისტებიც. ასევე აღტაცებით შეეგება ბერძნების ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის ფრანგი მწერალი ვიქტორ ჰიუგო. დიდი ინგლისელი პოეტი ჯორჯ ბაირონი საბერძნეთში ჩავიდა, აჯანყებულებთან ერთად იბრძოდა და იქ დაიღუპა. იტალიელი კარბონარიები, ევროპის მოწინავე წრეები აჯანყებული ბერძნებისათვის აგროვებდნენ იარაღს, სურსათს, ტანსაცმელსა და სხვ.

ასეთ ვითარებაში რუსეთმა შეცვალა თავისი პოლიტიკა საბერძნეთის საკითხის მიმართ. 1824 წლის იანვარში ალექსანდრე I-მა წამოაყენა პროექტი: საბერძნეთის ტერიტორიაზე შექმნილიყო სამი ავტონომიური სამთავრო ოსმალეთის სულთნის სუზერენიტეტის ქვეშ და მათ უნდა გადაეხადათ ყოველწლიური ხარკი სულთნის სასარგებლოდ. ალექსანდრე I-ის ეს პროექტი უარყო სულთანმა და საბერძნეთის დროებითმა მთავრობამ.

სულთანმა საკუთარი ძალებით ვერ შეძლო საბერძნეთში აჯანყების ჩაქრობა და დახმარებისათვის მიმართა ეგვიპტის გამგებელს მუჰამედ ალის. უკანასკნელი დაჰპირდა არმიითა და ფლოტით დახმარებას და აჯანყების ჩახშობას, თუ სულთანი დანიშნავდა მის შვილს იბრაჰიმ ფაშას მორეის გამგებლად. 1824 წელს ეგვიპტის არმია, იბრაჰიმ ფაშას სარდლობით, შეიჭრა მორეაში და გაუგონარი სისასტიკით გაუსწორდა აჯანყებულ ბერძნებს. ბერძნები გმირულად ებრძოდნენ მტერს, მაგრამ მოწინააღმდეგის აშკარა უპირატესობის შედეგად ისინი დამარცხდნენ და დაკარგეს ტერიტორიის უდიდესი ნაწილი.

2. ᲘᲔᲜᲘᲩᲐᲠᲗᲐ ᲙᲝᲠᲞᲣᲡᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲓᲒᲣᲠᲔᲑᲐ

მაჰმუდ II ბერძენთა წინააღმდეგ ბრძოლის დროს საბოლოოდ დარწმუნდა, რომ იენიჩართა კორპუსის ბრძოლისუნარიანობა ძალზე დაბალია, საჭიროა მისი

ლიკვიდაცია და მის ნაცვლად ახალი რეგულარული, ბრძოლისუნარიანი, ევროპულ ყაიდაზე გაწვრთნილი არმიის შექმნა. ამ გეგმის განხორციელებისათვის მეტად ხელსაყრელი დრო იყო. იენიჩარების წინააღმდეგ განწყობილი აღმოჩნდნენ როგორც დიდი მოხელეები, ისე ხალხის მასებიც. რომლებმაც აშკარად დაინახეს იენიჩარების არა მარტო საბრძოლო სისუსტე, არამედ მათი სრული გახრწნილობაც.

1826 წლის 29 მაისს გამოიცა სულთნის ბრძანებულება – ახალი რეგულარული ჯარის შექმნის პროექტი. ამის მიხედვით იქმნებოდა ახალი რეგულარული ქვეითი ჯარის კორპუსი. „იშქენჯის“ სახელწოდებით. იშქენჯის კორპუსის საერთო რაოდენობა განისაზღვრა 7650 ჯარისკაცით. არმიის გასაწვრთნელად მოწვეულ იქნენ ევროპელი ინსტრუქტორები და ეგვიპტელი ოფიცრები. ჯარისკაცებსა და ოფიცრებს უნდა ეცხოვრათ ყაზარმებში და ყოველწლიურად უნდა გაევლოთ სამხედრო წვრთნა. ახლად ფორმირებული არმიის ჯარისკაცებს ეძლეოდათ კარგი ხელფასი, ტანისამოსი და კვება. მათი ხელფასი რვაჯერ აღემატებოდა იენიჩარებისას. იენიჩართა ყოველი ქვეგანაყოფი (ორთა) ვალდებული იყო ახალ არმიაში გაეგზავნა 150 ყველაზე საიმედო ჯარისკაცი.

იშქენჯიების კორპუსის შექმნის პროექტი სპეციალური დადგენილებით მოწონებულ იქნა შეიხულ-ისლამის მიერ.

სულთანსა და მის მთავრობას შექმნილ ვითარებაში (საბერძნეთში აჯანყება გრძელდებოდა. მოსალოდნელი იყო ომი რუსეთთან) არ სურდა მაშინვე გაეუქმებინა იენიჩართა კორპუსი, მაგრამ არ იყო გამორიცხული, რომ იენიჩარები აჯანყდებოდნენ, ამიტომ სულთანი მზად იყო ამისათვის. მართალია, იენიჩართა მეთაურებმა პირობა დადეს, რომ დაემორჩილებოდნენ სულთნის გადაწყვეტილებას და არ აჯანყდებოდნენ, მაგრამ ბევრი მათგანი ვერ ურიგდებოდა ახალი ჯარის შექმნას. მათ კარგად ესმოდათ, რომ ეს იყო დასაწყისი იენიჩართა კორპუსის დასასრულისა და გადაწყვიტეს გაეწიათ წინააღმდეგობა.

1826 წლის 15 ივნისს იენიჩარებმა დაიწყეს აჯანყება. ისინი შეიკრიბნენ ათმოედანზე. იენიჩარები დადიოდნენ სტამბოლის ქუჩებში და მოუწოდებდნენ მოსახლეობას აჯანყებულიყვნენ, მაგრამ მოსახლეობა მათ არ აჰყვა. აჯანყებულმა იენიჩარებმა სულთანს მოთხოვეს გაეუქმებინა იშქენჯის ჯარი და მათთვის გადაეცათ ის პირები, რომლებსაც ისინი თვლიდნენ მთავარ მოწინააღმდეგეებად.

დიდმა ვეზირმა უარყო აჯანყებულების მოთხოვნა და განუცხადა, რომ ახალი ჯარის შექმნა შეესაბამება შარიათის ნორმებს და თუ ისინი არ დაემორჩილებიან, განადგურებული იქნებიან. ამავე დროს გამოიცა შეისულ-ისლამის ფეთვა იენიჩარების განადგურების შესახებ. 17 ივნისს გამოიცა სულთნის ბრძანებულება იენიჩართა კორპუსის გაუქმების შესახებ.

იენიჩარებს იმედი ჰქონდათ, რომ აიძულებნენ სულთანს დათმობაზე წასულიყო, მაგრამ მოტყუვდნენ. მოსახლეობის უდიდესმა ნაწილმა მხარი დაუჭირა მთავრობას იენიჩარების წინააღმდეგ ბრძოლაში. სულთანი მომზადებული შეხვდა იენიჩარების გამოსვლას. აჯანყებულ იენიჩარებს ალყა შემოარტყეს, ზარბაზნები დაუშინეს და სასტიკად გაუსწორდნენ. სულთანი არც ამით დაკმაყოფილდა. მისი ბრძანებით, ცეცხლი წაუკიდეს იენიჩართა ყაზარმებს და ყაზარმებთან ერთად ამობუგეს იქ შეფარებული იენიჩარები. ათასობით იენიჩარი შეუბრალებლად დახოცეს და მათი გვამები ბოსფორში გადაყარეს. იენიჩარების ბედი გაიზიარეს მათი ოჯახის წევრებმა, ნათესავებმა და ახლობლებმა. დაწყებული იენიჩართა ულეტა პროვინციის ქალაქებშიც გავრცელდა. იმ დღეებში სტამბოლისა და იმპერიის სხვა ადგილებში გაუქმდა

სხვადასხვა რელიგიური ორდენი, მათ შორის ბექთაშიების ორდენი, რომლებიც მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული იენიჩართა კორპუსთან.

იენიჩართა კორპუსის გაუქმებისთანავე შეიქმნა რეგულარული ქვეითი ჯარი – „გამარჯვებული მუსლიმთა ჯარი". მათი სამსახურის ვადა იყო 12 წელი. ახალი ჯარის დასაფინანსებლად შეიქმნა სპეციალური ხაზინა. სულ მალე ახალი ჯარის რაოდენობამ მიაღწია 12 ათას კაცს. ჯარისკაცთა ასაკი 15-20 წელი იყო.

იენიჩართა კორპუსის ლიკვიდაცია მათი ფიზიკურად მოსპობის გზით ისტორიულად გამართლებული ღონისძიება იყო. ქვეყანა განთავისუფლდა რეაქციული ძალების მთავარი ბურჯისაგან და შინა შფოთის მოთავეებისაგან. შეიქმნა პირობები ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცებისათვის. მაჰმუდ II-მ ბარბაროსული საშუალებით პროგრესული ღონისძიება განახორციელა.

3. საბერძნეთის აჯანყება და ევროპის სახელმწიფოები

ოსმალეთის სულთანს იმედი ჰქონდა, რომ ეგვიპტის ჯარის დახმარებით საბოლოოდ დაამარცხებდა ბერძენი ხალხის აჯანყებას და აღადგენდა ბატონობას საბერძნეთზე. მაგრამ მისი იმედი არ გამართლდა.

1825 წელს ავიდა რა ტახტზე ნიკოლოზ I, ენერგიულად შეუდგა საბერძნეთის საკითხის მოგვარებას. რუსეთის ახალმა იმპერატორმა ნიკოლოზმა გადაწყვიტა საღვთო კავშირის ლეგიტიმურ პრინციპებზე უარი ეთქვა და აქტიურად ჩარეოდა ბერძენ-ოსმალთა ომში აჯანყებულ ბერძენთა სასარგებლოდ. ამ გადაწყვეტილების განხორციელება ორმა გარემოებამ დააჩქარა: ეგვიპტის ჯარების მიერ აჯანყებული ბერძნებისადმი სისხლიანმა ანგარიშსწორებამ უდიდესი აღშფოთება გამოიწვია მთელ ევროპაში და მათ შორის რუსეთშიც. რუსეთის იმპერატორმა გადაწყვიტა ესარგებლა ამ განწყობილებით და იგი საბერძნეთის საქმეებში ჩარევის საბაბად გამოეყენებინა. დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებშიაც, საზოგადოებრივი აზრის მზარდი ზეგავლენით, ხელი აიღეს ჩაურევლობის პოლიტიკაზე და საჭიროდ სცნეს გამოქომაგებოდნენ აჯანყებულ ბერძნებს. ამავე დროს ნიკოლოზს სურდა საბერძნეთის საკითხი გამოეყენებინა თავისი ინტერესების სასარგებლოდ და თუ საჭირო გახდებოდა დაეწყო ომი ოსმალეთთან თავისი დაპყრობითი მიზნების განსახორციელებლად.

ინგლისი არ იყო დაინტერესებული, რომ რუსეთს ომი დაეწყო ოსმალეთთან, ვინაიდან ომის შემთხვევაში ოსმალეთი დამარცხდებოდა. ინგლისი დაინტერესებული იყო საბერძნეთის საკითხი მშვიდობიანი გზით მოგვარებულიყო. ამ მიზნით 1826 წლის იანვარში პეტერბურგში ჩამოვიდა ლორდი ველინგტონი, ვატერლოოს გმირი. 1826 წლის 4 აპრილს პეტერბურგში ხელი მოაწერეს ოქმს, რომლის მიხედვითაც რუსეთმა და ინგლისმა მოთხოვეს სულთანს შეეწყვიტა საომარი მოქმედება აჯანყებული ბერძნების წინააღმდეგ და მიეცა ავტონომია საბერძნეთისათვის.

ამავე დროს რუსეთის მთავრობამ ნოტა გაუგზავნა ოსმალეთის მთავრობას და მოითხოვა ბუქარესტის ზავის პირობების ცხოვრებაში გატარება, კერძოდ, აღდგენილიყო სერბიის ავტონომია და განთავისუფლებულიყვნენ სერბიის დელეგატები, რომლებიც დააპატიმრეს 1821 წელს, და აღდგენილიყო რუსეთის სრუტეებზე ნაოსნობის უფლება. ოსმალეთის მთავრობა, რომელსაც ძალზე ეშინოდა რუსეთთან ახალი ომისა, იძულებული გახდა მიეღო ეს მოთხოვნები.

ოსმალეთის მთავრობამ კატეგორიულად უარყო რუსეთ-ინგლისის მოთხოვნა საბერძნეთისათვის ავტონომიის მინიჭების შესახებ და იგი ოსმალეთის საშინაო

საქმეებში ჩარევად მიიჩნია. მაჰმუდ II-ის ეს პასუხი შეაგულიანა ავსტრიის მთავრობის აშკარა მხარდაჭერამ და ოსმალეთ-ეგვიპტის ჯარების მორიგმა გამარჯვებამ ბერძნებზე. კერძოდ, 1827 წლის ივნისში იბრაჰიმ ფაშას ჯარმა აიღო აჯანყებულთა უკანასკნელი საყრდენი – ათინა. ბერძენ პატრიოტთა ხელში დარჩა მხოლოდ ევბეა და ეგეოსის კუნძულები.

ბერძენ აჯანყებულთა კატასტროფულმა მდგომარეობამ კიდევ უფრო აამოძრავა პროგრესული ძალები, გაიზარდა მისი ზემოქმედება მთავრობებზე.

1826 წლის 8 დეკემბერს პეტერბურგის პაქტს შეუერთდა საფრანგეთი, ხოლო ავსტრიამ და პრუსიამ უარი განაცხადეს. საფრანგეთის შეერთებით გაფორმდა სამთა კავშირი, რომელსაც განმეორებით ულტიმატუმით მიმართა ოსმალეთს. სულთანმა ხელმეორედ უარყო სამი სახელმწიფოს მოთხოვნა და განაგრძო აჯანყებული ბერძნების ჩახშობა.

1827 წლის 16 აგვისტოს ინგლისის, საფრანგეთისა და რუსეთის წარმომადგენლებმა პორტას გადასცეს ნოტა საბერძნეთის საკითხთან დაკავშირებით. პასუხისათვის პორტას მიეცა 15 დღე. თუ იგი უარყოფდა მათ მოთხოვნას ისინი მიიღებდნენ საჭირო ზომებს. პორტამ არა მარტო არ მოისურვა პასუხის გაცემა, არამედ ნოტის მიღებაც კი. პორტას ასეთი პოზიცია აიხსნება იმით, რომ ავსტრიის მთავრობა აქეზებდა სულთანს არ წასულიყო დათმობაზე სამთა კავშირის მოთხოვნაზე.

1827 წლის ოქტომბერში ინგლისის, საფრანგეთისა და რუსეთის გაერთიანებული ესკადრა გაემართა საბერძნეთისაკენ.

1827 წლის 20 ოქტომბერს ნავარინის ყურეში მოხდა საზღვაო ბრძოლა, სადაც ოსმალეთ-ეგვიპტის ფლოტი განადგურებულ იქნა.

1827 წლის 8 ნოემბერს პორტამ სამი სახელმწიფოს ელჩებს გადასცა შემდეგი მოთხოვნა: შეეწყვიტათ ბერძნებისათვის ყოველგვარი დახმარება, აენაზღაურებინათ ის ზარალი, რომელიც განიცადა ფლოტის განადგურების შედეგად. მოკავშირეებმა უარყვეს პორტას ეს მოთხოვნა. 1827 წლის 8 დეკემბერს მათ დატოვეს ოსმალეთის დედაქალაქი.

4. 1828-1829 წლების რუსეთ-თურქეთის ომი და ადრიანოპოლის ზავი

1828 წლის 22 თებერვალს, ირანთან ზავის დადების შემდეგ, რუსეთი შეუდგა ოსმალეთის წინააღმდეგ ომის სამზადისს.

1828 წლის 26 აპრილს რუსეთმა ომი გამოუცხადა ოსმალეთს. საბრძოლო ოპერაციები ერთდროულად დაიწყო როგორც ბალკანეთში, ისე კავკასიაში. ოსმალეთი არ იყო მზად ომისათვის. ახალი ჯარის ნაწილები ჯერ კიდევ მრავალრიცხოვანი არ იყო, ხოლო სამხედრო ფლოტი, ფაქტობრივად, განადგურებულ იქნა ნავარინის ყურეში საზღვაო ბრძოლის დროს.

1828 წლის 7 მაისს რუსეთის ჯარებმა გადალახეს მდ. პრუტი, შევიდნენ მოლდავეთში, დაიკავეს იასი, შემდეგ გალიცია და ბუქარესტი.

1828 წლის 20 მაისს ოსმალეთმა ომი გამოუცხადა რუსეთს. რუსეთის მთავარსარდლობა იმედოვნებდა, რომ ომი კონსტანტინოპოლთან დამთავრდებოდა დაზამთრებამდე. ნიკოლოზი ჩავიდა დუნაისპირეთის არმიაში, რათა პირადად ედევნებინა თვალყური საომარი ოპერაციებისათვის. მაგრამ არმიის მთავარსარდალი ვიტგენშტეინი ცუდად ერკვეოდა სამხედრო სიტუაციაში. იმპერატორი ერეოდა არმიის საქმეებში და

კიდევ უფრო მეტი არევ-დარევა შეჰქონდა. რუსეთის ჯარებმა, რომლებმაც დუნაი გადალახეს, მედგარ წინააღმდეგობის გამო მხოლოდ 1828 წლის ბოლოსათვის შესძლეს შავი ზღვისპირა ქალაქის შუმენისა და სილისტრიის აღება, მოხსნეს ალყა და საზამთროდ დუნაისპირეთში დაბანაკდნენ.

გაცილებით უკეთ მიმდინარეობდა საომარი ოპერაციები კავკასიის ფრონტზე. შავი ზღვის სანაპიროზე 1828 წლის 12-13 ივნისს აღებულ იქნა ფოთი და ანაპა.

14 ივნისს რუსეთის ჯარები, გენერალ პასკევიჩის სარდლობით, კავკასიის ფრონტზე გადავიდნენ შეტევაზე და 23 ივნისს აიღეს მნიშვნელოვანი ციხე-სიმაგრე ყარსი. ამის შემდეგ გაჩაღდა ბრძოლა ახალციხის მიმართულებით.

15 ივლისს რუსეთის ჯარებმა დაიკავეს ახალქალაქი და ცხარე ბრძოლების შედეგად ხერთვისისა და ასპინძის ციხეები, ხოლო 16 აგვისტოს – ახალციხე. ახალციხესთან მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად პასკევიჩს მიენიჭა ფელდმარშლობა და ებოძა გიორგის პირველი ხარისხის ჯვარი.

17 აგვისტოს რუსეთის ჯარებმა დაიკავეს აწყური და არტაანი.

ახალციხის განთავისუფლებას ოსმალთა ბატონობისაგან უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მისი აღებით ფაქტობრივად გაუქმდა ახალციხის საფაშო, რომელიც ოსმალეთის მთავარი ციხე-ბურჯი იყო. დაიწყო სულთნის მიერ მიტაცებული ტერიტორიების განთავისუფლება.

რუსებთან ერთად ქართველებიც იბრძოდნენ ოსმალეთის წინააღმდეგ ომში და გარკვეული წვლილი შეიტანეს თავისი მიწა-წყლის დაბრუნების საქმეში.

1829 წლის 17 ივლისს პასკევიჩმა დაიკავა მნიშვნელოვანი ქალაქი და ციხე-სიმაგრე არზურუმი და ემზადებოდა ბათუმისა და ტრაპიზონის წინააღმდეგ გასალაშქრებლად.

1829 წელს დუნაისპირეთში დაინიშნა რუსეთის ახალი მთავარსარდალი გენერალი დიბიჩი. რუსეთის ჯარმა ალყა შემოარტყა ციხე-სიმაგრე სილისტრიას და ცხარე ბრძოლების შედეგად 1829 წლის 30 მაისს აიღო იგი. სილისტრიის მხარის დაკავების შემდეგ რუსეთის არმიამ გადალახა ბალკანეთის მთები და დაიკავა ქ. ბურგასი, ხოლო 20 აგვისტოს – ადრიანოპოლი. ამის შემდეგ გზა კონსტანტინოპოლისაკენ გახსნილი იყო. დედაქალაქის დასაცავად სულთანმა 12-20 წლის ახალგაზრდების მობილიზაცია გამოაცხადა. ინგლისი და საფრანგეთი დიდად იყვნენ შეშფოთებული რუსეთის წარმატებებით. ავსტრია იარაღდებოდა და მოსალოდნელი იყო მისი შეჭრა დუნაისპირა ქვეყნებში. ნიკოლოზ I ჩქარობდა, რათა არ აღმოჩენილიყო ახალი მოწინააღმდეგის პირისპირ.

28 აგვისტოს ადრიანოპოლში დაიწყო საზავო მოლაპარაკება. 14 სექტემბერს ხელი მოაწერეს საზავო ხელშეკრულებას. ზავის პირობებით რუსეთის საზღვარი ევროპაში უნდა გასულიყო მდინარე პრუტზე. დუნაის შესართავამდე. რუსეთს უნდა გამოეყვანა თავისი ჯარი მოლდავეთსა და ვალახეთიდან. ამ მხარეებს ენიჭებოდათ ავტონომია. შავი ზღვის სანაპირო – მდინარე ყუბანის შესართავიდან ნიკოლოზის ნავსადგურამდე, შემდეგ ანაპა და ფოთი რუსეთის მფლობელობაში გადავიდა.

კავკასიაში რუსეთის ხელთ აღმოჩნდა ახალციხის საფაშოს 10 სანჯაყი (რაიონი): ახალციხე, ახალქალაქი, ასპინძა, აწყური, ხერთვისი, ქვაბლიანი, აბასთუმანი, ჭაჭარაქი, ფოცხოვი და ჩილდირი.

სამწუხაროდ, მესხეთის ქართველი მოსახლეობის ერთმა ნაწილმა, მოლებისა და ხოჯების აგიტაციის შედეგად, მიატოვა სამშობლო და ოსმალეთში გადასახლდა, ხოლო მიტოვებულ ადგილებში მეფის რუსეთის მთავრობამ არზურუმის საფაშოდან გადმოსახლებული სომხები დაასახლა.

ხელშეკრულებით ოსმალეთი ცნობდა რუსეთის სამფლობელოებად იმერეთს, გურიასა და სამეგრელოს.

ოსმალეთმა აიღო ვალდებულება ხელი არ შეეშალა რუსეთისა და სხვა ქვეყნების ვაჭრებისათვის შავ ზღვასა და სრუტეებზე თავისუფალ მიმოსვლაში.

ოსმალეთს რუსეთისათვის უნდა გადაეხადა მილიონ ნახევარი ჰოლანდიური დუკატი იმ ზარალის ასანაზღაურებლად, რომელიც განიცადეს რუსმა ვაჭრებმა ოსმალეთ-საბერძნეთის ომის დროს. ამასთანავე ოსმალეთს უნდა აენაზღაურებინა რუსეთისათვის სამხედრო ხარჯები, კონტრიბუციის სახით, 10 მილიონი ჰოლანდიური დუკატის ოდენობით. მხოლოდ ამის შემდეგ დატოვებდა რუსეთის ჯარი ოსმალეთის ტერიტორიას.

სერბიას მიენიჭა ავტონომია და დაუბრუნდა ოსმალეთის მიერ მიტაცებული რაიონები.

ამრიგად, 1828-1829 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის შედეგად რუსეთმა კიდევ უფრო განიმტკიცა თავისი პოზიციები ბალკანეთში, კავკასიასა და შავ ზღვაზე.

ამ ომის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შედეგი იყო საბერძნეთის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვება. ომის დაწყების შემდეგაც არ შეწყვეტილა მოლაპარაკება საბერძნეთის საკითხთან დაკავშირებით. 1828 წლის 19 ივლისს ლონდონში მოიწვიეს სამი სახელმწიფოს (ინგლისი, რუსეთი და საფრანგეთი) კონფერენცია, რომელზედაც მიიღეს დადგენილება საბერძნეთიდან ოსმალეთ-ეგვიპტის ჯარების ევაკუაციის შესახებ.

1828 წლის 9 აგვისტოს ალექსანდრიაში ხელი მოაწერეს ოქმს საბერძნეთიდან ეგვიპტის ჯარის გაყვანის შესახებ.

1829 წლის 22 მარტს ლონდონში კვლავ მოიწვიეს კონფერენცია, რომელზედაც დაადგინეს საბერძნეთის სახელმწიფოს საზღვრები. საბერძნეთის სახელმწიფო ოსმალეთის პროტექტორატის ქვეშ უნდა დარჩენილიყო და ოსმალეთისათვის ყოველწლიურად უნდა გადაეხადა ხარკი – მილიონ ნახევარი პიასტრი, ქვეყნის შიგნით კი სრული დამოუკიდებლობით ისარგებლებდა. სახელმწიფოს მეთაურს ექნებოდა მემკვიდრეობითი უფლება, იგი უნდა ყოფილიყო მართლმადიდებლური სარწმუნოებისა და არ უნდა ყოფილიყო ინგლისის, საფრანგეთისა და რუსეთის სამეფოს დინასტიის შთამომავალი. ახალი სახელმწიფოს მეთაურის კანდიდატურას სულთანი ამტკიცებდა. ოსმალეთისა და საბერძნეთის მთავრობებს უნდა გამოეცხადებინათ საყოველთაო ამნისტია.

სულთანმა უარყო სამი სახელმწიფოს პროექტი საბერძნეთთან დაკავშირებით. მაგრამ ადრიანოპოლის ხელშეკრულებით, ოსმალეთი ვალდებული იყო მიეღო სამი სახელმწიფოს წინადადებანი საბერძნეთის საკითხზე.

1830 წლის 3 თებერვალს ლონდონში ინგლისის, რუსეთისა და საფრანგეთის წარმომადგენლებმა მიიღეს გადაწყვეტილება საბერძნეთისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ. საბერძნეთის მთავრობას ეძლეოდა წინადადება ქვეყანაში მონარქიული წყობილება დაემყარებინა, მიუხედავად იმისა, რომ იქ უკვე რესპუბლიკური მმართველობა იყო შემოღებული. სამი სხელმწიფოს გადაწყვეტილებით, საბერძნეთის მონარქი უნდა გამხდარიყო ბავარიის უფლისწული (პროტესტანტი) და არა მართლმადიდებელი. ამ გადაწყვეტილებამ ბერძნების გულისწყრომა გამოიწვია. მიუხედავად ყოველივე ამისა, ბერძენმა ხალხმა მოიპოვა დამოუკიდებლობა და დაადგა დამოუკიდებელი განვითარების გზას.

თავი III

ოსმალეთი XIX საუკუნის 30-იან წლებში

1. ოსმალეთ-ეგვიპტის კონფლიქტი

საბერძნეთის აჯანყებისა და რუსეთ-ოსმალეთის ომის შედეგად ოსმალეთის იმპერია კიდევ უფრო დასუსტდა როგორც სამხედრო, ისე პოლიტიკური თვალსაზრისით.

1830 წელს საფრანგეთმა ისარგებლა ოსმალეთის დასუსტებით, თავისი ჯარი შეიყვანა ალჟირში და დაიპყრო იგი. ამის შემდეგ საფრანგეთი შეეცადა ტუნისისა და ტრიპოლიტანიის ხელში ჩაგდებას, მაგრამ წააწყდა ინგლის-ავსტრიის წინააღმდეგობას და უკან დაიხია.

ოსმალეთის დასუსტების შედეგად სულთნის ხელისუფლების წინააღმდეგ გამოსვლებს ადგილი ჰქონდა როგორც ბალკანეთში, ისე ანატოლიაში.

1830 წელს ბაღდადის გამგებელმა დაუდ ფაშამ (მანველიშვილი) უარი განაცხადა შეეტანა ოსმალეთის სახელმწიფოს სალაროში მასზე დაკისრებული ყოველწლიური გადასახადი და დაიწყო კონფლიქტი სულთანსა და დაუდ ფაშას შორის. დაუდ ფაშას ჰყავდა ევროპულ ყაიდაზე გაწვრთნილი არმია, მაგრამ ამ დროს ქვეყანაში გაჩნდა შავი ჭირი, რომელიც არმიასაც მოედო და ამის გამო სულთანთან ბრძოლაში დაუდ ფაშა დამარცხდა. ერაყმა დაკარგა თავისი ნახევრად დამოუკიდებელი მდგომარეობა, რომლითაც იგი 1702 წლიდან სარგებლობდა. სულთანმა შეიწყალა „ბაბილონიის ხელმწიფე“ და იგი ბალკანეთის ერთ-ერთი საფაშოს გამგებლად დანიშნა.

ამ დროს ყველაზე მწვავე კონფლიქტი წარმოიშვა ეგვიპტის გამგებელ მუჰამედ ჰლისა და ოსმალეთის სულთანს შორის.

ეგვიპტიდან საფრანგეთის ჯარის გაყვანის შემდეგ სულთანმა მის გამგებლად 1805 წელს დანიშნა მუჰამედ ალი (წარმოშობით ალბანელი). მუჰამედ ალიმ, საკუთარი ინიციატივით, ეგვიპტეში ჩაატარა რეფორმები, რის შედეგადაც ქვეყანა სწრაფად დაწინაურდა. მან მოსპო მამლუქთა კორპუსი და მის ნაცვლად, ევროპელების დახმარებით, შექმნა რეგულარული არმია. მან აგრეთვე მეტად მნიშვნელოვანი რეფორმები ჩაატარა ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. მუჰამედ ალი დიდ ყურადღებას უთმობდა ვაჭრობა-ხელოსნობის განვითარებას და სხვ.

მუჰამედ ალი ოცნებობდა მთელი არაბული ქვეყნები თავისი ბატონობისათვის დაექვემდებარებინა და დიდი არაბული მონარქია შეექმნა. მას ზურგს საფრანგეთი უმაგრებდა. მუჰამედ ალიმ ეგვიპტეს დაუმორჩილა სუდანი, წმინდა ქალაქები – მექა და მედინა. მაგრამ იგი ამით არ დაკმაყოფილდა და მიისწრაფოდა სრული დამოუკიდებლობისაკენ.

როდესაც სულთანს გაუჭირდა საბერძნეთში დაწყებული აჯანყების ჩაქრობა, მან დახმარებისათვის მიმართა მუჰამედ ალის და ლაშქარი სთხოვა. სულთანი ამის საფასურად დაჰპირდა, რომ სამმართველოდ გადასცემდა მორეას და კრეტას. მაგრამ მდგომარეობა მუჰამედ ალისათვის არასახარბიელო შეიქმნა. მორეამ მოიპოვა დამოუკიდებლობა, კუნძული კრეტა იყო იმდენად აოხრებული და გაპარტახებული, რომ მუჰამედ ალი იქიდან ვერავითარ შემოსავალს ვერ მიიღებდა. ამის გამო მუჰამედ ალი სულთანისაგან მოითხოვდა სამაგიეროდ მისთვის გადაეცა სირია. ამის საფა-

სურად მუჰამედ ალი თანახმა იყო რუსეთისათვის გადაეხადა ის კონტრიბუცია, რომელიც ოსმალეთს ჰქონდა შეწერილი ადრიანოპოლის ხელშეკრულებით. სულთანი ამაზე არ თანხმდებოდა და პირიქით ეგვიპტისაგან მოითხოვდა კუთვნილი ხარკის გადახდას.



ეგვიპტის გამგებლის მუჰამედ ალის ვაჟი იბრაჰიმ ფაშა

1831 წლის ოქტომბერში ეგვიპტის ჯარმა, იბრაჰიმ ფაშას (მუჰამედ ალის შვილი) სარდლობით, დაიკავა პალესტინა, სირია, ლიბანი და კილიკია. გადალახა თავრის მთები და 1832 წელს შეიჭრა ანატოლიაში. იბრაჰიმ ფაშას არაბული მოსახლეობა ხვდებოდა, როგორც განმათავისუფლებელს ოსმალთა ბატონობისაგან. 1832 წლის 21 დეკემბერს კონიასთან მოხდა დიდი ბრძოლა, სადაც ოსმალებმა სასტიკი დამარცხება განიცადეს. დიდი ვეზირი, ოსმალეთის ჯარის მთავარსარდალი, ტყვედ ჩავარდა, 60-ათასიანი არმია განადგურებულ იქნა. გზა კონსტანტინოპოლისაკენ გახსნილი იყო.

ანატოლიაში დაიწყო სულთნის საწინააღმდეგო გამოსვლები. იბრაჰიმ ფაშას არმია, რომელიც 200 ათას ჯარისკაცს ითვლიდა, ემზადებოდა დაეწყო წინსვლა კონსტანტინოპოლისაკენ. სულთნის ხელისუფლება და საერთოდ ოსმალეთის იმპერიის არსებობის საკითხი საფრთხის ქვეშ იმყოფებოდა.

2. ოსმალეთ-ეგვიპტის კონფლიქტი და ევროპის სახელმწიფოები

კონიასთან გამარჯვების შემდეგ მუჰამედ ალიმ აშკარად გამოამჟღავნა თავისი ნამდვილი ზრახვები ოსმალეთის მიმართ: ტახტიდან ჩამოეგდო მაჰმუდ II და დაემყარებინა თავისი ხელისუფლება ოსმალეთის იმპერიაზე. მუჰამედ ალის უნდოდა ტახტზე აეყვანა მაჰმუდ II-ის 10 წლის ვაჟი აბდულ მეჯიდი და მისი სახელით ემართა იმპერია. ერთხელ, საუბრის დროს მან განაცხადა: „აბდულ მეჯიდი ჯერ კიდევ ბავშვია და არა აქვს უნარი მართოს სახელმწიფო". ამგვარად, საფრთხის ქვეშ იდგა ოსმალეთის სახელმწიფოს არსებობის ბედ-იღბალი.

1832 წლის 4 მაისს მაჰმუდ II-მ ევროპის სახელმწიფოებს აცნობა მუჰამედ ალის მიერ მის წინააღმდეგ გამოსვლის შესახებ და სთხოვა მათ დახმარება. ევროპის სახელმწიფოებმა დაგმეს მუჰამედ ალის მოქმედება, მაგრამ დახმარების აღმოჩენას არ ჩქარობდნენ. ევროპის სახელმწიფოების პოზიციები განხვავებული იყო. საფრანგეთმა, რომელიც მუჰამედ ალის ზურგს უკან იდგა და მისი მეშვეობით ცდილობდა გაეფართოვებინა თავისი გავლენა ეგვიპტესა და ოსმალეთზე, უარით უპასუხა სულთნის თხოვნას. ინგლისი არ იყო კმაყოფილი მუჰამედ ალის პოლიტიკით, რადგან მას საფრანგეთის ხელდებულად თვლიდა და დაინტერესებული იყო მისი დამარცხებით, მაგრამ სულთნისათვის რეალური დახმარების აღმოჩენას არ აპირებდა. ავსტრია ოფიციალურად გმობდა მუჰამედ ალის გამოსვლას, რადგან იგი ეწინააღმდეგებოდა



ეგვიპტის გამგებელი მუჰამედ ალი

საღვთო კავშირის პრინციპებს, მაგრამ მის წინააღმდეგ აშკარა გამოსვლისაგან თავს იკავებდა.

რუსეთის მთავრობამ აშკარად დაგმო მუჰამედ ალის მოქმედება და პროტესტის ნიშნად გამოიწვია თავისი კონსული ალექსანდრიიდან. ნიკოლოზ I მზად იყო დაუყოვნებლივ აღმოეჩინა დახმარება სულთნისათვის, მაგრამ ამისაგან თავი შეიკავა, რათა არ გამოეწვია ინგლისისა და საფრანგეთის უარყოფითი რეაქცია. გარდა ამისა, ნიკოლოზ I არ იყო დარწმუნებული, მიიღებდა თუ არა სულთანი მის დახმარებას. იმპერატორმა გადაწყვიტა პირადი წარმომადგენელი გენერალი მურავიოვი გაეგზავნა კონსტანტინოპოლსა და ალექსანდრიაში, რათა მოეგვარებინა კონფლიქტი ოსმალეთსა და ეგვიპტეს შორის. ამავე დროს გენერალ მურავიოვს უნდა მიეღწია იმისათვის, რომ თვითონ სულთანს მიემართა ნიკოლოზ I-თვის აღმოეჩინა მისთვის დახმარება. რუსეთი არ იყო დაინტერესებული სუსტი მაჰმუდ II-ის ნაცვლად გაბატონებულიყო მუჰამედ ალი და საფრთხე შეექმნა რუსეთის სამხრეთი საზღვრებისათვის. ამით რუსეთი დაკარგავდა იმ ხელსაყრელ პოზიციებს, რომელიც მან მოიპოვა ადრიანოპოლის ზავით.

1832 წლის 21 დეკემბერს მურავიოვი ჩავიდა კონსტანტინოპოლში, ამ დღეს ოსმალეთის არმია განადგურებულ იქნა კონიასთან, მაგრამ სულთანმა მაინც არ მიმართა რუსეთს დახმარებისათვის.

ინგლისმა, საფრანგეთმა, ავსტრიამ და პრუსიამ მიმართეს რუსეთს ერთობლივად გამოსულიყვნენ მუჰამედ ალის წინააღმდეგ, მაგრამ ნიკოლოზ I-მა უარყო ეს წინადადება.

1833 წლის 1 იანვარს სულთანმა ლონდონიდან მიიღო ცნობა, რომ ინგლისი არ აპირებდა აღმოეჩინა მისთვის დახმარება.

ამასობაში ეგვიპტის ლაშქარი ბურსას მიუახლოვდა. ოსმალეთის დედაქალაქი რეალური საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. ასეთ ვითარებაში სულთანს მეტი არაფერი დარჩენოდა და 30 მარტს მან დახმარებისათვის მიმართა ნიკოლოზ I-ს, „როდესაც იხრჩობი, მაშინ გველსაც კი ეკიდებიო“, განუცხადებია სულთანს ამ თხოვნასთან დაკავშირებით.

რუსეთის იმპერატორმა დააკმაყოფილა სულთნის თხოვნა. 1833 წლის აპრილში რუსეთის ესკადრა ბოსფორის სრუტეში შევიდა და 14 ათასი რუსი ჯარისკაცი გადასხმულ იქნა ბოსფორის აზიურ ნაწილზე, უნქიარ-ისქელესის ველზე.

რუსეთის ჩარევამ და მის მიერ მიღებულმა გადამწყვეტმა ზომებმა აიძულა მუჰამედ ალი შეეჩერებინა ოსმალეთის დედაქალაქისკენ შემდგომი წინსვლა.

ევროპის სახელმწიფოები არ მოელოდნენ რუსეთის ჯარის გამოჩენას ბოსფორზე. მათ სასწრაფო ზომები მიიღეს, რათა მომხდარიყო ოსმალეთ-ეგვიპტის დაზავება, რაც

შეაჩერებდა რუსეთის ჩარევას ოსმალეთის საქმეებში და უზრუნველყოფდა მისი არმიის უკან გაწვევას.

1833 წლის მაისში ქუთაჰიაში ხელი მოაწერეს ოსმალეთ-ეგვიპტის შეთანხმებას, რომლის მიხედვითაც მუჰამედ ალის მმართველობაში, გარდა ეგვიპტისა, უნდა გადასულიყო სირია, ლიბანი, პალესტინა და კილიკია. ამის სანაცვლოდ ეგვიპტის მბრძანებელი ვალდებულებას იღებდა თავისი ჯარები გაეყვანა ანატოლიიდან და ფორმალურად ეცნო სულთნის სუზერენიტეტი.

1833 წლის ოსმალეთ-ეგვიპტის შეთანხმება კომპრომისული ხასიათისა იყო და მან ვერ დააკმაყოფილა ვერც ერთი მხარე. მან ვერ მოსპო მათ შორის არსებული კონფლიქტის საფუძველი. ორივე მხარე ძალებს იკრებდა ახალი ომისათვის.

3. უნქიარ-ისქესელის ხელშეკრულება

1833 წლის 5 მაისს იმპერატორმა ნიკოლოზმა საგანგებო დავალებით კონსტანტინოპოლში გაგზავნა გრაფი ა. ორლოვი. რუსეთის ჯარები არ ჩქარობდნენ ოსმალეთის ტერიტორიის დატოვებას. რუსეთმა განაცხადა, რომ სანამ ეგვიპტის ჯარები არ დატოვებდნენ ოსმალეთის ტერიტორიას, ისინი იქ დარჩებოდნენ.

1833 წლის 8 ივლისს უნქიარ-ისქელესში ხელი მოაწერეს რუსეთ-ოსმალეთის სამოკავშირეო ხელშეკრულებას. მას ჰქონდა საიდუმლო მუხლები. ხელშეკრულებას რუსეთის მხრიდან ხელი მოაწერა ა. ორლოვმა. ხელშეკრულებით რუსეთი ვალდებულებას იღებდა აღმოეჩინა ოსმალეთისათვის დახმარება საზღვაო და სახმელეთო ძალებით, თუ შეიქმნებოდა კრიტიკული სიტუაცია და პორტა მას მიმართავდა დახმარებისათვის. ხელშეკრულება ბოლოს უღებდა მესამე სახელმწიფოს ჩარევას ამ ორი ქვეყნის ურთიერთობაში. რუსეთი და ოსმალეთი მეგობრობას აღუთქვამდნენ ერთმანეთს. რუსეთი ვალდებულებას იღებდა დაეცვა ოსმალეთის იმპერიის მთლიანობა.

საიდუმლო მუხლით, რუსეთის მოთხოვნით, ოსმალეთს უნდა დაეკეტა შავი ზღვის სრუტეები უცხოეთი სამხედრო გემებისათვის. სრუტეები ღია უნდა ყოფილიყო რუსეთის სამხედრო გემებისათვის, რომლებსაც შეეძლო სრუტეებში თავისუფლად მიმოსვლა ორივე მიმართულებით.

ხელშეკრულება დაიდო 8 წლის ვადით. ორი დღის შემდეგ რუსეთის ჯარმა დატოვა ოსმალეთის ტერიტორია. ეს ხელშეკრულება რუსეთის დიპლომატიის დიდი გამარჯვება იყო. მან მნიშვნელოვნად გააძლიერა რუსეთის პოზიცია ოსმალეთზე და შეასუსტა დასავლეთ ევროპის ქვეყნების გავლენა, რამაც დასავლეთში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია.

4. მაჰმუდ II-ის რეფორმები

მაჰმუდ II-ს ჩაფიქრებული ჰქონდა რეფორმების ფართო პროგრამა, მაგრამ ქვეყანაში შექმნილი რთული მდგომარეობა ამის საშუალებას არ იძლეოდა. 1826 წელს იანიჩართა კორპუსის გაუქმება პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო რეფორმების განხორციელების საქმეში, მაგრამ რუსეთ-თურქეთის ომმა და მუჰამედ ალისთან კონფლიქტმა იგი აიძულა, რომ დროებით შეეჩერებინა რეფორმები.

იენიჩარების კორპუსის გაუქმების შემდეგ, მაჰმუდ II-ის ძირითადი ამოცანა იყო სამხედრო რეფორმა. სულთანი მიისწრაფოდა შეექმნა ახალი არმია. იენიჩართა ადას თანამდებობის ნაცვლად მან დააწესა სერასკერის თანამდებობა. ახალ ვითარებაში, სერასკერის თანამდებობა ითავსებდა მთავარსარდლისა და სამხედრო მინისტრის ფუნქციებს. სერასკერს აგრეთვე ევალებოდა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, განსაკუთრებით სტამბოლში.

ისევე, როგორც წინათ, მთავარი ყურადღება მიექცა არმიისა და ფლოტის მშენებლობის საქმეს. ამისათვის საჭირო იყო ხალხი და ფულადი სახსრები. ჯარისკაცები მუსლიმები უნდა ყოფილიყვნენ, ხოლო სახსრები უნდა მიეცათ გადასახადების გადამხდელებს, მათი რელიგიური მრწამსის განურჩევლად. ჯარისკაცთა რიცხვისა და გადასახადების განსაზღვრისათვის სახელმწიფო დაინტერესებული იყო სცოდნოდა მათი საერთო ოდენობა. ამ მიზნით 1831 წელს ჩატარდა ანატოლიასა და რუმელიაში მცხოვრებ მამაკაცთა აღწერა. არაბული პროვინციები არ აღწერეს, რადგან ამ ქვეყნებიდან არ გაჰყავდათ არმიაში ჯარისკაცები. აღწერის მონაცემებით, ანატოლიასა და რუმელიაში 4 მილიონი მამაკაცი ცხოვრობდა, აქედან – 1,5 მილ. რუმელიაში და 2,5 მილ. მეტი – ანატოლიაში. რუმელიის მოსახლეობიდან 800 ათასი ქრისტიანი იყო და 500 ათასი მუსლიმი; ანატოლიაში 2 მილ. მუსლიმი და 450 ათასი ქრისტიანი. მოსახლეობის აღწერასთან ერთად, ფისკალური მიზნით, ჩატარდა მიწის საკადასტრო აღწერა. აღწერა კომლობრივი იყო და საშუალოდ ერთ კომლზე ხუთ მამაკაცს ანგარიშობდნენ. ამ აღწერის მიხედვით ოსმალეთში ცხოვრობდა 20 მილიონი კაცი, აქედან ანატოლიაში – 12 მილ. 500 ათასი და რუმელიაში 7 მილ. 500 ათასი კაცი.

აღწერის ჩატარების შემდეგ მაჰმუდ II-მ გააგრძელა არმიის დაკომპლექტება, მაგრამ ამ საქმეში დიდ დაბრკოლებას წააწყდა. მას არ ჰქონდა სახსრები შეიარაღებისათვის და ტანსაცმლის შესაძენად, სურსათ-სანოვაგის უზრუნველსაყოფად, არ ჰყავდა ოფიცერთა საკმარისი კადრები და სხვ.

ჯარში იწვევდნენ 15-40 წლამდე მამაკაცებს, სამსახურის ვადა 12 წელი იყო. არმიის დისციპლინა და ბრძოლისუნარიანობა, ევროპის ქვეყნებთან შედარებით, დაბალი იყო.

1834 წელს გამოიცა სულთნის დადგენილება ტერიტორიალური მილიციის შექმნის შესახებ. მილიციის სამხედრო ნაწილი უნდა ყოფილიყო ყოველ სანჯაყში ადგილობრივი მოსახლეობის მონაწილეობით, 1400 ჯარისკაცის ოდენობით. ამ სამსახურისათვის იწვევდნენ 23-32 წლის მამაკაცებს.

ტერიტორიალური მილიციის შექმნით მაჰმუდ II-ს სურდა გაეზარდა არმიის საერთო რიცხვი.

ახალი არმიის გაწვრთნის მიზნით მოწვეული იყვნენ ევროპის სამხედრო ინსტრუქტორები. მათ შორის იყო ახალგაზრდა პრუსიელი კაპიტანი მოლტკე, შემდგომში ცნობილი გერმანელი მხედართმთავარი. მოლტკეს ცნობით, 1837 წელს ოსმალეთის რეგულარული არმია 70 ათას ჯარისკაცს ითვლიდა.

მაჰმუდ II აგრეთვე ცდილობდა შეექმნა ბრძოლისუნარიანი სამხედრო-საზღვაო ფლოტი, რადგანაც, ნავარინის ყურეში განადგურების შემდეგ, მას ფაქტობრივად, სამხედრო ფლოტი არ ჰყავდა.

ოსმალეთს თავიდან უნდა შეექმნა ფლოტი, მაგრამ ამისათვის არც მშენებელთა კადრები იყო, არც გემთსაშენი ვერფები და არც საზღვაო ოფიცრები. ის რამდენიმე კაცი, რომელიც სამხედრო საქმის შესასწავლად წავიდა საზღვარგარეთ, არ გამოდგებოდა ამ საქმისათვის. გემთმშენებლობის მიზნით, მაჰმუდ II-ს სურდა ინგლისელების მოწვევა, მაგრამ რუსეთი წინ აღუდგა ამ საქმეს.

ოსმალეთში სამხედრო რეფორმას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. იგი ხელს უწყობდა ფეოდალური წესების რღვევას, ფეოდალური გათიშულობის ლიკვიდაციას, კავშირს ევროპის სახელმწიფოებთან და ქვეყნის კულტურულ წინსვლას.



მაჰმუდ II

მაჰმუდ II-ის მიერ ჩატარებულ რეფორმებს შორის მნიშვნელოვანი იყო ლენური (თიმარული) სისტემის ლიკვიდაცია.

იენიჩართა კორპუსის გაუქმება და რეგულარული არმიის დაარსება იმის დამადასტურებელი იყო, რომ ფეოდალთა ცხენოსანი ლაშქარი, დაფუძნებული ლენურ სისტემაზე, რომელიც თავის დროზე ოსმალეთის არმიის ერთ-ერთი მთავარი ძალა იყო აღარ პასუხობდა დროის მოთხოვნილებებს.

1831 წლიდან ოსმალეთში დაიწყო ლენური (თიმარული) სისტემის ლიკვიდაცია. ფეოდალები დიდ წინააღმდეგობას უწევდნენ მთავრობის ამ ღონისძიებას და ამიტომ თიმარული სისტემის საბოლოო ლიკვიდაცია თითქმის 30 წელიწადს გაგრძელდა.

სამხედრო-ლენური (თიმარული) სისტემის მოსპობა არ იყო უბრალო საქმე, რადგანაც სიფაჰიები ასრულებდნენ მნიშვნელოვან ფუნქციებს: სამხედროს, გადასახადების აკრეფას და ადმინისტრაციულს. თიმარიოტების სამხედრო ფუნქციების გაუქმება არ იყო ძნელი საქმე, მაგრამ საჭირო იყო ლენების (მიწების) ჩამორთმევა, მათი სახელმწიფოსათვის გადაცემა, გადასახადების აკრეფის ახალი სისტემის შემოღება. აგრეთვე საჭირო იყო ახალი ადმინისტრაციული მმართველობის შემოღება, ე. ი. საჭირო იყო ძველი აპარატის გაუქმება და ახალის შექმნა.

თიმარული სისტემის ლიკვიდაცია განხორციელდა სამ ეტაპად: პირველ ეტაპზე ლენის მფლობელებს სახელმწიფოსათვის უნდა გადაეცათ ლენის მართვისა და გადასახადების აკრეფის უფლება. თავიანთ შემოსავალს ლენიდან (თიმარიდან) ისინი მიიღებდნენ სახელმწიფოსაგან. ეს აქტი გაფორმებული იყო სპეციალური დოკუმენტით (ზაბთ-ნამე) ერთი წლით. ამ ვადის გასვლის შემდეგ დოკუმენტი უნდა განახლებულიყო. ამასთან სიფაჰი (ფეოდალი) რჩებოდა თავისი თიმარის (ან ზეამეთის) იურიდიულ მფლობელად. ზაბათ-ნამეში (შარტ-ნამეში) ჩაწერილი იყო გადასახადების თანხა, რომელიც ეძლეოდა ლენის მფლობელს ბარათით. სინამდვილეში ეს თანხა გაცილებით მცირე იყო, ვიდრე მათ ეკუთვნოდათ (ახალი დოკუმენტის მიღებამდე).

1838-1839 წლებიდან სიფაჰიებმა საბოლოოდ დაკარგეს თავიანთი ლენები. კომპენსაციის სახით ისინი იღებდნენ რეალური შემოსავლის ნაწილს. ასეთი იყო მდგომარეობა ლენური სისტემის გაუქმების მეორე ეტაპზე.

მალე ეს წესი შეიცვალა, ლენების მფლობელებს შეუმცირეს შემოსავალი 50%-ით. ამას გარდა ლენის მფლობელს დოკუმენტით უნდა დაესაბუთებინა თავისი უფლება ლენზე და ამის საფუძველზე მას სახელმწიფოსაგან მიეცემოდა

ყოველწლიური პენსია. წინააღმდეგ შემთხვევაში ლენი ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე გადადიოდა სახელმწიფოს ხელში. ეს იყო ლენის გაუქმების მესამე ეტაპი.

სამხედრო-ლენური სისტემის გაუქმების შედეგად თიმარები და ზეამეთები ჩვეულებრივ კერძო სამფლობელოდ იქცა. ამიერიდან მისი მფლობელი არ იყო დაკავშირებული სამხედრო სამსახურთან. ლენის მფლობელს უფლება ჰქონდა ლენი (თიმარი) შეესყიდა, რისთვისაც მას სახელმწიფოს სალაროში გარკვეული თანხა უნდა გადაეხადა. ამის შემდეგ ეს მიწის ნაკვეთი მის კერძო საკუთრებაში გადადიოდა.

პენსიები ზოგს მხოლოდ მისი სიცოცხლის განმავლობაში დაენიშნა, ზოგს კი მემკვიდრეობით (მათ, ვინც მიწას იურთლუქისა და ოჯაკლიქის წესით ფლობდა).

სამხედრო-ლენური სისტემის გაუქმებამდე გლეხები გადასახადებს ფეოდალებს უხდიდნენ, ხოლო გაუქმების შემდეგ – სახელმწიფოს.

აგრარული რეფორმა არ გავრცელდა ფეოდალური მიწისმფლობელობის ყველა ფორმაზე: ვაკუფებზე, ხასებზე, სულთნის მიწებზე.

მაჰმუდ II-ს განზრახული ჰქონდა ვაკუფების გაუქმება, მაგრამ ვერ გაბედა მისი განხორციელება.

ლენური სისტემის გაუქმების შედეგად, მიწაზე მყარდება კერძო საკუთრება, რამაც ხელი შეუწყო სოფლად კაპიტალისტური ურთიერთობის ჩასახვა-განვითარებას.

მაჰმუდ II-მ განახორციელა ოსმალეთის იმპერიის ადმინისტრაციული სისტემის, მმართველობის სრული რეორგანიზაცია. 1834 წელს შეიქმნა პროვინციების ახალი ადმინისტრაციული ერთეულები. მოწესრიგდა ურთიერთობა ცენტრსა და პროვინციების მმართველებს შორის.

მაჰმუდ II არანაკლებ ინტერესს იჩენდა სამოქალაქო რეფორმებისადმი. რეფორმების გატარების დროს სულთნის წინაშე დაისვა კადრების საკითხი. ქვეყანას ესაჭიროებოდა ახლებურად მომზადებული ოფიცრები, სამხედრო ინჟინრები, სამოქალაქო მოხელეები, ექიმები, პედაგოგები.

სპეციალისტების მოსამზადებლად საჭირო იყო სწავლა-განათლების დარგში გარკვეული ღონისძიებების გატარება. სულთანი, პირველ ყოვლისა, დაინტერესებული იყო გაეხსნა სამხედრო საქმესთან დაკავშირებული სასწავლებლები, რომლებიც ორგანიზებული იქნებოდა ევროპულ ყაიდაზე.

ქვეყანაში არ იყო საერო დაწყებითი სკოლები, განათლების საქმე სამღვდელოების მონოპოლიას შეადგენდა. ქვეყანაში იყო რელიგიური სკოლები მუსლიმებისათვის: დაწყებითი და მედრესე ორი საფეხურისა – საშუალო და უმაღლესი. მედრესე ამზადებდა კულტის მსახურებს და სახელმწიფო მოხელეებს. ამ სკოლებში უმთავრესად რელიგიის საგნებს ასწავლიდნენ. სწავლების ძირითადი ენა არაბული იყო. არ ასწავლიდნენ ზუსტ და ჰუმანიტარულ დისციპლინებს: ისტორიას, გეოგრაფიას, მათემატიკას. სულთნის კარზე გახსნილი იყო უმაღლესი სკოლა – ენდერუნ მექთები. აქ იღებდნენ მედრესეს კურსდამთავრებულებს.

მაჰმუდ II-მ გადაწყვიტა 1824 წელს სტამბოლში გაეხსნა დაწყებითი და საშუალო სკოლა. მაგრამ ამ ღონისძიებას სასულიერო წოდება მტრულად შეხვდა და მან ვერ განახორციელა ჩანაფიქრი. 1831 წელს სტამბოლში გაიხსნა ევროპული ტიპის პირველი საშუალო სკოლა ბერძენი და სომეხი ვაჟებისათვის. ერთი წლის შემდეგ კი – გოგონებისათვის. მაგრამ ბერძენი და სომეხი პატრიარქების მოთხოვნით ეს სკოლები 1834 წელს დაიხურა.

1832 წელს სტამბოლში და 1834 წელს სკუტარში თურქი ოფიცრების მოთხოვნით და სულთნის მხარდაჭერით გაიხსნა ევროპული ტიპის ორი დაწყებითი სკოლა.

1827 წელს გაიხსნა სამხედრო-სამედიცინო სასწავლებელი, ხოლო 1829 წელს – ქირურგიული სკოლა. 1839 წელს ეს ორი სამედიცინო სასწავლებელი გადაკეთდა

და დაარსდა სულთნის უმაღლესი სამედიცინო სასწავლებელი. 1831 წელს გაიხსნა საიმპერატორო სამხედრო-მუსიკალური სკოლა, სადაც ასწავლიდა დონიცეტი ფაშა, დიდი იტალიელი კომპოზიტორის ძმა.

მაჰმუდ II-ის დროს კულტურის დარგში მნიშვნელოვანი სიახლე იყო მთავრობის ინიციატივით პირველი გაზეთების გამოცემა. 1831 წელს სტამბოლში გამოვიდა გაზეთი „Takvim-i vekayi" „ამბების კალენდარი" თურქულ ენაზე და „Le Moniteur Ottoman" ფრანგულ ენაზე. მნიშვნელოვნად გაიზარდა თურქულ ენაზე წიგნების ბეჭდვა.

1834 წელს გამოიცა სულთნის დადგენილება მოხელეთა თანამდებობების კლასიფიკაციის შესახებ. ამის მიხედვით, დადგინდა მოხელეთა ოთხი კატეგორია.

ერთდროულად მაჰმუდ II-მ ცვლილებები ჩაატარა სასახლის კარზე. გაუქმდა სასახლეში რამდენიმე მაღალი თანამდებობა, შემცირდა მოსამსახურეთა რიცხვი. ამით ნაწილობრივ შემცირდა სასახლის ხარჯები.

მაჰმუდ II-მ გადადგა ნაბიჯები, მიმართული ოსმალეთის იმპერიის ცენტრალური ხელისუფლების სტრუქტურის ევროპულთან დაახლოებისაკენ.

1838 წელს მაჰმუდ II-მ გააუქმა დიდი ვეზირის სამმართველო (დივანი ჰუმაიუნი). დიდი ვეზირის პრეროგატივები გადანაწილდა ორ სამინისტროს შორის – საგარეო საქმეთა და სამოქალაქო (შემდგომ საშინაო საქმეთა სამინისტრო), დევთერდარის (ხაზინის) უწყება გადაკეთდა ფინანსთა სამინისტროდ. ამ სამინისტროების სამართავად შეიქმნა მინისტრთა საბჭო (Başvekâlet) და დიდ ვეზირს უწოდეს პრემიერ-მინისტრი (Başvekil). შემდგომში მას დიდი ვეზირის ტიტული კვლავ აღუდგინეს, თუმცა მისი ფუნქციები შეზღუდული იყო. შემდგომ პერიოდში დიდი ვეზირები ცდილობდნენ თავიანთი უფლებების გაზრდას.

წინათ სახელმწიფოს წინაშე დამსახურებისათვის სულთანი აჯილდოვებდა ძვირფასი ტანსაცმლით. ეს წესი გაუქმდა და შემოიღეს „დიდების ორდენი", რომლის ბოძების უფლება სულთანს ჰქონდა.

ძველი ფეოდალური მმართველობის სისტემა იცვლებოდა ევროპულ ყაიდაზე.

მაჰმუდ II-მ გარკვეული ცვლილებები შეიტანა ყოფა-ცხოვრების სფეროში, კერძოდ, ტანსაცმლის ტარებაში. გაუქმდა განსხვავება ტანსაცმლის ტარებაში მუსლიმებს, ქრისტიანებსა და ებრაელებს შორის, წინათ არამუსლიმებს ამ წესის დარღვევის შემთხვევაში სასტიკად სჯიდნენ.

მოხელეებისა და ინტელიგენციისათვის სავალდებულოდ იქცა ევროპული ტანისამოსი და ჩალმის ნაცვლად ფესკეს ტარება.

სულთნის საამებლად სასახლის მოხელეები თავიანთ სახლებს ევროპულ სტილზე აწყობდნენ სკამებით, მაგიდით. სულთანი ჩაცმა-დახურვასაც აქცევდა ყურადღებას, თვითონაც ევროპულად გამოეწყო. 1837 წელს ებრძანა ყველა მოხელეს დაემოკლებინათ წვერ-ულვაშები, წარჩინებულნი აწყობდნენ ბალ-მასკარადებს, უცხოელ ქალებთან ისხდნენ, რაც ადრე შეუძლებელი იყო, რა თქმა უნდა, ყოველივე ეს ნაწილობრივ მოჩვენებითი იყო, პროვინციებში თითქმის არაფერი შეცვლილა. ცხადია, საუკუნოვანი ტრადიციების რღვევა ადვილი არ იყო.

მაჰმუდ II-ის რეფორმები იყო ახალი მნიშვნელოვანი ეტაპი ოსმალეთის იმპერიის ეკონომიკური და კულტურული განვითარების გზაზე, ქვეყნის ევროპეიზაციის პროცესში.

მაჰმუდ II-მ გააგრძელა სელიმ III-ის მიერ დაწყებული რეფორმები და განახორციელა ის, რისი გაკეთებაც მან ვერ შეძლო. გააუქმა იენიჩართა კორპუსი და დააარსა ახალი რეგულარული ჯარი. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სამხედრო-ლენური (თიმარული) სისტემის ლიკვიდაციას და სხვ. 1838 წელს, მაჰმუდ

II-ის მითითებით, შეიქმნა სპეციალური კომისია რეფორმების შემდგომი ეტაპის ჩასატარებლად. მის თავმჯდომარედ დაინიშნა მუსტაფა რეშიდ ფაშა. მაგრამ ახალმა კონფლიქტმა ეგვიპტის გამგებელ მუჰამედ ალისთან სულთნის ყურადღება ჩამოაშორა რეფორმებს.

5. ოსმალეთ-ეგვიპტის მეორე კონფლიქტი

1833 წელს ქუთაჰიაში ზავის დადების შემდეგ ოსმალეთ-ეგვიპტის კონფლიქტი დროებით შეწყდა, მაგრამ ორივე მხარე უკმაყოფილო იყო შედეგებით და ხელსაყრელ დროს ელოდებოდა.

მაჰმუდ II-ს კარგად ესმოდა, რომ აღზევებული ვასალის დამორჩილება შესაძლებელი იყო მხოლოდ ძლიერი არმიის საშუალებით. დაზავების შემდეგ იგი შეუდგა არმიაში რეფორმების გატარებას ევროპელი ინსტრუქტორების დახმარებით და 1838 წლისათვის მას უკვე ჰყავდა რეგულარული 70 ათასიანი არმია და სამხედრო-საზღვაო ფლოტი.

სულთანს სურდა დაესაჯა თავისი ურჩი ვასალი და დაებრუნებინა დაკარგული ტერიტორიები. ხოლო მუჰამედ ალი დაინტერესებული იყო მემკვიდრეობით შეენარჩუნებინა ის სამფლობელოები, რომლებიც ხელში ჩაიგდო ოსმალეთთან ომის შედეგად.

ახალი კონფლიქტის საბაბი გახდა ის, რომ მუჰამედ ალიმ უარი უთხრა ეცნო სახელმწიფო მონოპოლია მარცვლეულსა და მატყლზე. 1838 წელს ინგლისთან დადებული სავაჭრო ხელშეკრულების შესაბამისად. ამასთანავე მუჰამედ ალიმ მოითხოვა ეცნოთ მისი მემკვიდრეობითი უფლება მის ხელთ მყოფ ტერიტორიაზე და უარი თქვა გადაეხადა სულთნისათვის მორიგი ყოველწლიური ხარკი. მუჰამედ ალი სულთანს ყოველწლიურად უხდიდა 32 ათას ქისეს (6 მილ. ფრანკი). სულთნის მთავრობა თვლიდა, რომ 1833 წლიდან ეს თანხა აღარ იყო საკმარისი, რადგან მუჰამედ ალის სამფლობელოები გაიზარდა 35-40 პროცენტით და, ამის შესაბამისად, მოითხოვდა მუჰამედ ალის გადაეხადა 30 ათასი ქისე (13 მილ. ფრანკი). თავის მხრივ, მუჰამედ ალი მოითხოვდა, რომ ევროპის სახელმწიფოებს გაეხსნათ საელჩოები კაიროში. იგი აპირებდა კაირო გამოეცხადებინა სახალიფოს დედაქალაქად. ერთი სიტყვით, მუჰამედ ალის სურდა ევროპის სახელმწიფოებს ეცნოთ ეგვიპტე დამოუკიდებელ სახელმწიფოდ. უკვე 1833 წლიდან მუჰამედ ალი სულთნისაგან მოითხოვდა ეცნოთ მისი მემკვიდრეობითი უფლება მის გამგებლობაში შემავალ სამფლობელოებზე. მაჰმუდ II-ს არა თუ არ სურდა დაემტკიცებინა მუჰამედ ალისთვის მემკვიდრეობითი უფლება, არამედ არ სურდა ეცნო იგი ეგვიპტის ფაშად.

1839 წლის 14 აპრილს ოსმალეთის ჯარმა გადალახა სირიის საზღვარი. სულთანი დარწმუნებული იყო, რომ ევროპელი ინსტრუქტორების მიერ გაწვრთნილი არმია იოლ გამარჯვებას მოიპოვებდა, მაგრამ სულთანი შეცდა. 24 ივნისს ნიზიბთან (ჩრდილოეთ სირია) მომხდარ შეტაკებაში ოსმალეთის არმიამ სრული კატასტროფა განიცადა. ამ ბრძოლიდან რამდენიმე დღის შემდეგ მაჰმუდ II გარდაიცვალა ისე, რომ არც გაუგია თავისი არმიის განადგურების ამბავი. ოსმალეთის სულთანი გახდა აბდულ მეჯიდი (1839-1861). მუჰამედ ალიმ ვერ ისარგებლა გამარჯვების ნაყოფით. ოსმალეთის ფლოტი, მისი მთავარსარდლის ღალატის შედეგად, უბრძოლველად ჩაბარდა მუჰამედ ალის.

შექმნილ ვითარებაში, ინგლისმა დაასწრო რუსეთს და გამოვიდა ოსმალეთის მფარველის როლში. მან შესთავაზა ევროპის დაინტერესებულ სახელმწიფოებს

ერთობლივად გამოსულიყვნენ ოსმალეთის დასაცავად. ევროპის დიდმა სახელმწიფოებმა, გარდა საფრანგეთისა, მოიწონეს ინგლისის მთავრობის ინიციატივა, ნიკოლოზ I არ იყო კმაყოფილი ინგლისის ამ ინიციატივით, მაგრამ მაინც დათანხმდა.

1840 წლის 15 ივლისს ლონდონში ინგლისმა, რუსეთმა, ავსტრიამ და პრუსიამ, ერთის მხრივ, და ოსმალეთმა, მეორეს მხრივ, ხელი მოაწერეს კონვენციას, რომელიც ითვალისწინებდა ოსმალეთისათვის კოლექტიურ დახმარებას მუჰამედ ალის წინააღმდეგ და ოსმალეთის იმპერიის მთლიანობისა და დამოუკიდებლობის დაცვას. მუჰამედ ალისათვის უნდა წარედგინათ ულტიმატუმი და მოეთხოვათ: დაუყოვნებლივ დაებრუნებინა ოსმალეთისაგან დაპყრობილი ტერიტორიები, გაენთავისუფლებინა მისი ფლოტი და ეცნო სულთნის ხელისუფლება. ამ ულტიმატუმის უარყოფის შემთხვევაში მის წინააღმდეგ უნდა ჩატარებულიყო სამხედრო აქციები. მუჰამედ ალიმ უარყო ულტიმატუმი. 1840 წელს ინგლისმა მოახდინა ალექსანდრიის ბლოკადა, შემდეგ კი დაბომბა ქალაქი. ასევე ზღვიდან დაბომბილ იქნა სირიის ქალაქები. სირიაში დაიწყო აჯანყება დამპყრობელთა წინააღმდეგ. ყოველივე ამან აიძულა მუჰამედ ალი წასულიყო კაპიტულაციაზე.

1841 წლის დასაწყისში, სულთნის ფირმანით, მუჰამედ ალიმ მიიღო მემკვიდრეობითი მფლობელობა ეგვიპტესა და სუდანზე, მაგრამ დაკარგა სხვა სამფლობელოები და იძულებული გახდა დაებრუნებინა სულთნისათვის ფლოტი, შეემცირებინა არმია 18 ათას ჯარისკაცამდე, მოეშალა ვერფები. ეგვიპტეზე გავრცელდა 1838 წელს ინგლისთან დადებული სავაჭრო ხელშეკრულება. სულთანი ინარჩუნებდა სუზერენიტეტს ეგვიპტეზე.

ამგვარად, ევროპის სახელმწიფოების ჩარევის შედეგად, მუჰამედ ალი დამარცხდა და ხელი აიღო დამოუკიდებელი არაბული სახელმწიფოს შექმნაზე.

1841 წლის 13 ივლისს ლონდონში დაიდო ახალი კონვენცია შავი ზღვის სრუტეების შესახებ, რომლითაც ძალა დაეკარგა 1833 წლის უნქიარ-ისქელესის ხელშეკრულებამ და სრუტეები მშვიდობიანობის დროს დაიხურა ყველა ქვეყნის სამხედრო გემებისათვის. ეს წესი ვრცელდებოდა როგორც რუსეთზე, ისე დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებზე. ოსმალეთის სულთანს უფლება ეძლეოდა დროგამოშვებით გაეტარებინა სრუტეებში მეგობრულ სახელმწიფოთა მსუბუქი სამხედრო გემები. კონვენცია ღიად ტოვებდა ომის დროს სრუტეების რეჟიმის საკითხს.

თავი IV

თანზიმათის რეფორმები

1. რეფორმების მომზადება

მაჰმუდ II-ის მიერ ჩატარებული რეფორმების მიუხედავად ოსმალეთის იმპერია კვლავ კრიტიკულ მდგომარეობაში იმყოფებოდა. ეს დადასტურდა მუჰამედ ალისთან მეორე კონფლიქტის დროს.

ასეთ პირობებში ოსმალეთის გაბატონებული წრეების ერთ ნაწილში ისევ მოიკიდა ფეხი ტენდენციამ ახალი რეფორმების ჩატარების სასარგებლოდ. ასეთი რეფორმების ინიციატორად გამოვიდა მცირერიცხოვანი, ევროპულად აღზრდილი, განათლებული სამოხელეო ინტელიგენცია, რომელიც აშკარად ხედავდა ოსმალეთის მაშინდელ უსუსურ მდგომარეობას.

ამ რეფორმატორული ჯგუფის სულისჩამდგმელი იყო მუსტაფა რეშიდ ფაშა იგი დაიბადა 1800 წელს მოხელის ოჯახში. გაიზარდა ობლობაში. სიღარიბის გამო მან მედრესეც კი ვერ დაამთავრა. მისი სიძის, დიდი მოხელის დახმარებით მან მუშაობა დაიწყო დიდი ვეზირის კანცელარიაში. თავისი ნიჭისა და უნარის წყალობით მალე დაწინაურდა და მიიღო ბეგის წოდება. მან კონტაქტები დაამყარა უცხოეთის სახელმწიფოების წარმომადგენლებთან. 1834 წელს იგი დანიშნეს ელჩად პარიზში, ხოლო 1836 წელს – ლონდონში. საფრანგეთსა და ინგლისში ყოფნისას იგი გაეცნო ამ ქვეყნების სახელმწიფო წყობილებას, პოლიტიკურ ცხოვრებას და სხვ.



მუსტაფა რეშიდ ფაშა

მუსტაფა რეშიდ ფაშა კარგად ხედავდა იმ სხვაობასა და ზღვარს, რაც ჰყოფდა ევროპის ქვეყნებს ოსმალეთისაგან და უფრო კარგად გრძნობდა თავისი ქვეყნის ჩამორჩენილობას. მის ყურადღებას განსაკუთრებით იქცევდა საფრანგეთსა და ინგლისში არსებული კონსტიტუციური მონარქიები. სწორედ მასში ხედავდა იგი მისაბაძ მაგალითს.

1837 წელს მუსტაფა რეშიდ ბეგი დაინიშნა საგარეო საქმეთა მინისტრად და მიიღო ფაშის ტიტული.

მუსტაფა რეშიდ ფაშას იზიდავდა ევროპის სახელმწიფოების არა მარტო პოლიტიკური, არამედ ეკონომიკური წყობაც. იგი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ოსმალეთის კრიზისიდან გამოყვანა შესაძლებელია მხოლოდ ახალ პოლიტიკურ პრინციპებზე დამყარებული რეფორმებით. მუსტაფა რეშიდ ფაშა ღრმად იყო დარწმუნებული, რომ სწორედ ახალი პოლიტიკური რეფორმები გამოიყვანდა ოსმალეთს კრიზისიდან, ასწ-

ევდა მის ავტორიტეტს ევროპის, კერძოდ, საფრანგეთის თვალში, რომელიც დიდად აფასებდა მუჰამედ ალის, როგორც რეფორმატორს, და უზრუნველყოფდა ქვეყნის ყოველმხრივ განვითარებას.

მუსტაფა რეშიდ ფაშამ სულთანს წარუდგინა მოხსენებითი ბარათი, რომელშიც გადმოცემული იყო მისი საფრანგეთსა და ინგლისში ყოფნის დროს მიღებული შთაბეჭდილებები და მისი მოსაზრებანი ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ. მან მოახერხა დაერწმუნებინა სულთანი რეფორმების გატარების აუცილებლობაში.

1838 წელს სულთანმა დანიშნა მუსტაფა რეშიდ ფაშა ახალი რეფორმების მომზადების კომისიის თავმჯდომარედ. რეშიდ ფაშამ წარადგინა რეფორმების პროექტი და ამ პროექტის შესწავლა სულთანმა დააკალა უმაღლესი პორტას საბჭოს, რომელსაც სათავეში ედგა რეშიდ ფაშას მტერი ჰუსრევ ფაშა, რომელსაც მხარს უჭერდა შინაგან საქმეთა მინისტრი აქიფ ფაშა. მათ ისარგებლეს მაჰმუდ II-ის ავადმყოფობით და შეაფერხეს სულთნის ბრძანებების გამოქვეყნება რეფორმების შესახებ. მათ მიიღეს გადაწყვეტილება, რომ ექსპერიმენტის სახით რეფორმა გაეტარებინათ ორ სანჯაყში: ერთი აზიაში და მეორე – ევროპაში. თვით რეშიდ ფაშა კი გაგზავნეს ელჩად ლონდონში (ის ფორმალურად ითვლებოდა საგარეო საქმეთა მინისტრად), რათა ინგლისისაგან მიეღო დახმარება მუჰამედ ალისთან კონფლიქტში.

მუჰამედ II-ის სიკვდილის შემდეგ (1839 წლის ივნისი), როცა ტახტი დაიკავა აბდულ მეჯიდმა, პორტას სათავეში ჩაუდგა ჰუსრევ ფაშა. იგი ასრულებდა პრემიერ-



1839 წლის 3 ნოემბერი. მუსტაფა რეშიდ ფაშა კითხულობს სულთნის ჰატი-შერიფს.

მინისტრის (დიდი ვეზირის) მოვალეობას. სწორედ მისი მცდელობით საცდელი რეფორმები ორ სანჯაყში არ ჩატარებულა.

ამ დროს ლონდონში მყოფი რეშიდ ფაშა ცდილობს, რომ მოკავშირე ნახოს ინგლისის სახით რეფორმების განხორციელების საქმეში. მან სთხოვა ინგლისის პრემიერ-მინისტრს პალმერსტონს, რომ გავლენა მოეხდინა ახალგაზრდა სულთანზე და დაეყოლიებინა რეფორმების გატარებაზე. მაგრამ ინგლისის პრემიერს ნაკლებად აღელვებდა ეს საკითხი.

2. 1839 წლის გიულჰანეს ჰატი-შერიფი

რეშიდ ფაშა მალე დაბრუნდა სტამბოლში, აბდულ მეჯიდმა იგი თბილად მიიღო და თანხმობა მისცა რეფორმების გატარებაზე. რეშიდ ფაშა ენერგიულად შეუდგა ახალი პროექტის მომზადებას და ოთხ თვეში „ჰატი-შერიფის“ პროექტი მზად იყო.

ჰუსრევ ფაშა და სხვა კონსერვატორები ხელს უშლიდნენ და წინააღმდეგობას უწევდნენ „ჰატი-შერიფის“ გამოქვეყნებას.

მიუხედავად კონსერვატორთა დათმობისა, მუსტაფა რეშიდ ფაშა მაინც ფრთხილობდა, რომ მის მტრებს არ გამოეყენებინათ მუსლიმი ფანატიკოსები და ბოლო მომენტში არ ჩაეშალათ რეფორმების გამოცხადება. აგრეთვე ეშინოდა ამავე მიზნით საქმეში არ ჩარეულიყო რუსეთი. ამიტომ „ჰატის“ მზადება რამდენიმე კვირას გრძელდებოდა და მკაცრად იყო გასაიდუმლებული.

1839 წლის 3 ნოემბერს, კვირა დღეს, გამოიცა სულთნის „ჰატი-შერიფი“, უმაღლესი ბრძანებულება, რასაც თან ახლდა დიდი ცერემონიალი. დღესასწაულის ადგილად აირჩიეს სულთნის საზაფხულო სასახლის წინ მდებარე გულჰანეს მოედანი. ამ საზეიმო აქტს ესწრებოდნენ მინისტრები, ულემები, შეიხები, ბერძნულ-მართლადიდებლური და სომხურ-გრიგორიანული ეკლესიების მეთაურები, უცხო სახელმწიფოების ელჩები და სხვ.

მიუხედავად იმისა, რომ მუსტაფა რეშიდ ფაშა ამ რეფორმებით გამოხატავდა მისწრაფებას, რომ ოსმალეთი დაადგებოდა ევროპული განვითარების გზას, მან მაინც დაიცვა ძველი ოსმალური ტრადიცია: ცერემონიალი დაიწყო მაშინ, როცა ასტროლოგმა აუწყა, რომ დადგა ბედნიერი წუთი; სულთანმა რეშიდ ფაშას გადასცა წითელი ატლასით შემკული ყუთი, სადაც ინახებოდა სულთნის ბრძანებულება, რომელიც ისტორიაში შევიდა „გულჰანეს ჰატი-შერიფის“ სახელწოდებით.

რეშიდ ფაშამ წაიკითხა ეს ბრძანებულება, შემდეგ მისი ადგილი დაიკავა იმამმა, რომელმაც ლოცვა წაიკითხა და შეევედრა ალლაჰს დახმარებოდა „გულჰანეს ჰატი-შერიფის“ განხორციელებაში. ლოცვის შემდეგ მსხვერპლად ცხვრები დაკლეს. ამ დროს გაისმა ზარბაზნის 101 ზალპი ამ დისშესანიშნავი ღონისძიების აღსანიშნავად.

„გულჰანეს ჰატი-შერიფს“ წინ უძღოდა პრეამბულა, სადაც ნათქვამი იყო, რომ ძველ დროში, როცა ოსმალეთის იმპერიაში იცავდნენ ყურანის კანონებს და წესებს, სახელმწიფო უფრო ძლიერი იყო, ახლა კი მთელი 150 წლის მანძილზე ყურანმა დაკარგა ის ძალა, ამიტომ ღმერთის დახმარებით და წინასწარმეტყველის შუამდგომლობით მათ სურთ აღადგინონ ყურანის ძალა და ქვეყნის ძლიერება, ეს კი შესაძლებელია მხოლოდ ახალი რეფორმების საშუალებით.

პრეამბულაში მოყვანილი სიტყვები ძირითადად მიმართული იყო სასულიერო წოდებისა და მუსლიმებისადმი, ვინც უნდობლად უყურებდა ამ რეფორმების საქმეს. სწორედ მათ უნდა გამოეხატათ თავიანთი ნდობა სულთნისა და მაღალი პორტას

მტკიცე გადაწყვეტილებისათვის, რომ იხელმძღვანელებდნენ ისლამის ნორმებითა და კანონებით.

პრეამბულაში გამოთქმული იყო აზრი ხელმძღვანელი წრეებისა და თვით რეფორმატორებისა, რომ მათი მისწრაფება იყო ყურანს დაყრდნობოდნენ.

შესავლის შემდეგ ჩამოთვლილი იყო სამი ძირითადი საკითხი, რასაც შეესაბამებოდა ახალი რეფორმები. ესენია: 1. სულთნის ყველა ქვეშევრდომის სიცოცხლის, პატივისა და ქონების ხელშეუვალობის გარანტია. 2. გადასახადების ზუსტად განაწილება და აკრეფა. 3. სამხედრო სამსახურის ვადის შემცირება და რეკრუტში გაწვევის მოწესრიგება.

თანზიმათის რეფორმები იყოფა ორ პერიოდად: პირველი პერიოდი 1839 წლიდან ყირიმის ომამდე – 1853 წლამდე, და მეორე პერიოდი 1856 წლიდან რუსეთ-ოსმალეთის ომის დაწყებამდე (1877 წ.).

სულთნის ბრძანებულება რეფორმების შესახებ ითვალისწინებდა ახალი წესებისა და კარგი მმართველობის შემოღებას. საჭირო იყო „გულჰანეს ჰატი-შერიფის“ ცხოვრებაში გატარება, მათი იდეების რეალიზაცია კანონებსა და სახელმწიფოს საქმეებში, რომელიც ქვეყნის ცხოვრების ყველა სფეროს მოიცავდა – პოლიტიკურს, ეკონომიკურს, კულტურულს და იდეოლოგიურს. ამის განხორციელება მეტად რთული საქმე იყო, რადგან ოსმალეთი ამ დროს იყო ნახევრადფეოდალური ქვეყანა და დიდი იყო პოლიტიკასა და იდეოლოგიაზე მუსლიმური სასულიერო წოდების გავლენა, განსაკუთრებით ულემებისა. სასულიერო წოდება წარმოადგენდა ძლიერ ეკონომიკურ ძალას. იგი ფლობდა დიდძალ მიწებს და სიმდიდრეს, მას ეკუთვნოდა სკოლებიც. მიუხედავად იმისა, რომ ჰატი-შერიფში არ იყო შელახული სასულიერო წოდების ინტერესები, ისინი მიხვდნენ, რომ ამ აქტით ნელ-ნელა ძირი ეთხრებოდა ყურანსა და შარიათს, როგორც ოსმალეთის სამართლის წყაროებს. ამიტომ სამღვდელოება აქეზებდა ფანატიკოს მუსლიმებს რეფორმების წინააღმდეგ.

3. რეფორმები ცხოვრების სხვადასხვა სფეროში

მუსტაფა რეშიდ ფაშა და მისი თანამოაზრენი არ იყვნენ რევოლუციონერები. ისინი არ ფიქრობდნენ სახელმწიფო წყობილების რადიკალურად შეცვლას. რეშიდ ფაშას კარგად ესმოდა, რომ ოსმალეთს არ ესაჭიროებოდა კონსტიტუციურ-მონარქიული პარლამენტური წყობილება, მაგრამ იგი თვლიდა, რომ აუცილებელი იყო უმაღლესი სათათბირო ორგანო, რომელიც განიხილავდა სახელმწიფოს მნიშვნელოვან საქმეებს. რამდენადმე ასეთი ფუნქცია დაეკისრა იურიდიულ დადგენილებათა უმაღლეს საბჭოს, რომელიც შეიქმნა მაჰმუდ II-ის დროს.

1840 წლის მარტში გამოვიდა სულთნის ბრძანება ამ საბჭოს შესახებ. გაიზარდა მისი შემადგენლობა 5-დან 9 კაცამდე. ისინი უნდა გაცნობოდნენ ახალ კანონპროექტებს, საბჭოს თათბირებზე უნდა განეხილათ მინისტრთა ახსნა-განმარტებები, სულთანი იმ შემთხვევაში მიიღებდა რაიმე გადაწყვეტილებას, თუ ხმის უმრავლესობა დაუჭერდა მხარს და სხვ. იურიდიული საბჭო განიხილავდა ისეთ საკითხებს, რომელიც შეეხებოდა სამოქალაქო საქმეებს. სამხედრო საკითხები შევიდა სპეციალურ სამხედრო საბჭოს კომპეტენციაში. საბჭოს ფუნქციებში რეფორმებისა და ახალი კანონების მომზადების გარდა შედიოდა აგრეთვე ადმინისტრაციული საკითხები. საბჭო იხილავდა საქმეებს, მიმართულს სახელმწიფოსა და დიდ მოხელეების წინააღმდეგ. სასიკვდილო განაჩენი აღსრულებაში მოჰყავდათ მხოლოდ სულთნის ბრძანების შემდეგ, რაც ეყრდნობოდა საბჭოს თანხმობას. დაადგინეს, რომ სულთანი წელიწადში ერთხელ უნდა მისულიყო

საბჭოში, რათა გასცნობოდა მის მუშაობას ერთი წლის განმავლობაში და ახალი წლის გეგმებს. აგრეთვე უნდა შეეფასებინა მისი მუშაობა. უმაღლესმა იურიდიულმა საბჭომ თანზიმათის პერიოდში მოიპოვა დიდი გავლენა.

უმაღლესმა იურიდიულმა საბჭომ რეშიდ ფაშას გადადგომამდე (1839-1841) შეიმუშავა მთელი რიგი მნიშვნელოვანი დადგენილებანი.

1840 წელს გამოქვეყნდა სისხლის სამართლის კოდექსი. ამ კანონით სულთანი არ დასჯიდა დამნაშავეს სიკვდილით, თუ მას არ დაუმტკიცდებოდა სასამართლოს გზით დანაშაული. არავის ჰქონდა კანონის დარღვევის უფლება დიდი ვეზირიც რომ ყოფილიყო. ყველა პასუხს აგებდა სასამართლოს წინაშე.

ერთ-ერთ მუხლში ნათქვამი იყო, რომ სულთანი თავს შეიკავებდა და არ მიითვისებდა რომელიმე პირის ქონებას და არავის ჰქონდა სხვისი ქონების მიტაცების უფლება.

აჯანყების მოწყობისათვის პიროვნება ისჯებოდა სიკვდილით ან სამუდამო კატორღით. აიკრძალა მექრთამეობა და მისი ჩამდენი 5 წლამდე პატიმრობით ისჯებოდა. აიკრძალა აგრეთვე თანამდებობების გაყიდვა და სხვ.

1844 წელს გამოვიდა დადგენილება, რომლითაც გაუქმდა სიკვდილით დასჯა მუსლიმობის უარყოფის შემთხვევაში.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ახალ ადმინისტრაციულ კანონს, რაც ხელს უწყობდა სახელმწიფო ძალაუფლების ცენტრალიზაციას და ცალკეული პროვინციების დაქვემდებარებას ცენტრალური ხელისუფლებისადმი.

გარკვეული ცვლილებები მოხდა პროვინციულ მმართველობაში. ვილაიეთებსა და სანჯაყებთან შეიქმნა სათათბირო ორგანო – მეჯლისი, რომელშიც შედიოდნენ მუსლიმებთან ერთად ქრისტიანთა თემების წარმომადგენლები. შეიზღუდა პროვინციის გამგებელთა ძალაუფლება. მათ ჩამოერთვათ გადასახადების აკრეფის უფლება. პროვინციის გამგებელს (ვალი) დაენიშნა ყოველწლიური ხელფასი.

დიდი ყურადღება მიეცა საგადასახადო რეფორმას. უნიფიცირებულ იქნა აშარის გადასახადი. სხვადასხვა პროვინციაში აშარის გადასახადს იხდიდნენ სხვადასხვა ოდენობით. ამიერიდან ყველას ერთნაირად უნდა გადაეხადათ აშარი გადასახადი 1/10-ის ოდენობით. გაუქმდა საგანგებო გადასახადები. შეიცვალა ჯიზიეს (ხარაჯა) აღების წესი. იგი ამიერიდან აღებული უნდა ყოფილიყო ქონებრივი ცენზის შესაბამისად. წელიწადში 15-30-60 ყურუში.

გლეხები განსაკუთრებით უკმაყოფილო იყვნენ გადასახადების ილთიზამის წესით. მაგრამ ამის წინააღმდეგ გამოვიდნენ რეფორმების მოწინააღმდეგეები, მათ მუსტაფა რეშიდ ფაშა საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობიდან გადააყენეს და პარიზში ელჩად დანიშნეს.

მთავრობას სათავეში ჩაუდგნენ კონსერვატორები და რეაქციონერები. მათ იერიში მიიტანეს რეფორმებზე: არ დაამტკიცეს ახალი კომერციული კოდექსი, არ განახორციელეს სამოქალაქო და ადმინისტრაციული რეფორმები, არ შექმნეს პროვინციებში მეჯლისები არამუსლიმთა მონაწილეობით, დამნაშავეთა დასჯა უნდა მომხდარიყო ძველებურად, ყოველი თურქი, ვინც იცოდა ევროპული ენა, უნდა გაეთავისუფლებინათ სახელმწიფო თანამდებობიდან.

1842 წელს აღდგენილ იქნა ილთიზამის წესი. დაიწყო ძველი რეაქციული წესების აღდგენა, მხოლოდ სამხედრო რეფორმა დატოვეს ხელუხლებლად. ამ პერიოდში მთავრობის ძირითადი ყურადღება მიმართული იყო არმის რეორგანიზაციაზე. შემუშავდა ახალი სამხედრო კანონდებლობა, რომელიც 1843 წელს მიიღეს. შეიმუშავეს რეკრუტში გაწვევის ახალი წესი. შემცირდა სამხედრო სამსახურის ვადა, დადგინდა არმიის

ახალი სტრუქტურა. დიდი ყურადღება მიექცა სამხედრო კადრების მომზადებას. ამიერიდან არმიის რეორგანიზაცია ევროპული წესის მიხედვით ხორციელდებოდა.

1843 წელს გამოვიდა სულთნის დადგენილება ჯარში გაწვევასთან დაკავშირებით. ჯარში სამსახურის ვადა 5 წელი იყო, ხოლო სათადარიგოში – 7 წელი. ყოველწლიურად არმია უნდა განახლებულიყო 1/5-ით. ჯარში იწვევდნენ 20 წლის ასაკიდან. მიჰყავდათ აგრეთვე მოხალისეები. ყოველი ოჯახიდან ჯარში უნდა გაეწვიათ ერთი მამაკაცი. ერთადერთი ვაჟიშვილი ჯარში არ გაჰყავდათ. ქვეყანა დაიყო სამხედრო ოლქებად და ყოველი მათგანისათვის დადგენილი იყო ჯარის რაოდენობა. ოსმალეთის არმია შედგებოდა 5 კორპუსისაგან – ორი დივიზიით თითოეულში.

რეაქციულმა პოლიტიკამ გააუარესა ოსმალეთის საშინაო და საგარეო მდგომარეობა. თითოეული მოხელე მიისწრაფოდა საკუთარი კეთილდღეობისაკენ.

ევროპის სახელმწიფოები უკმაყოფილოები იყვნენ ოსმალეთის ასეთი პოლიტიკური კურსით, სულთანი იძულებული გახდა ზურგი შეექცია რეაქციული ძალებისათვის.

1845 წელს რეშიდ ფაშა კვლავ დანიშნეს საგარეო საქმეთა მინისტრად, ხოლო ერთი წლის შემდეგ – პრემიერ-მინისტრად (დიდ ვეზირად).

კვლავ განახლდა რეფორმები. სულთანმა განაცხადა, რომ თვითონ იღებდა თავის თავზე ვალდებულებას რეფორმების განხორციელების საქმეში.

რეფორმატორებმა დიდი ყურადღება მიაქციეს განათლების საქმეს. მაგრამ აქაც დიდ წინააღმდეგობას წააწყდნენ სასულიერო წრეების მხრიდან, რომელიც სასტიკად ებრძოდა საერო განათლებას.

სწავლა-განათლების დარგში მოსამზადებელი მუშაობა დაიწყო ჯერ კიდევ „გულჰანეს ჰატი-შერიფის“ გამოქვეყნებიდან. 1845 წელს შეიქმნა დროებითი კომისია განათლების დარგში რეფორმების ჩასატარებლად. 1846 წელს მიიღეს კანონი დაწყებითი და საშუალო განათლების შესახებ. აგრეთვე, მიიღეს გადაწყვეტილება უნივერსიტეტის გახსნის შესახებ.

დაწყებითი განათლება სავალდებულო და უფასო იყო. ოჯახის უფროსი ვალდებული იყო თავისი შვილები გაეგზავნა სკოლაში სასწავლებლად 6 წლის ასაკიდან. დაწყებით სკოლაში სწავლების ვადა 4-5 წელი იყო.

საშუალო სკოლა – რუშთიე (სიმწიფის სკოლა) ფინანსდებოდა სახელმწიფოს ხარჯზე. სწავლება და სკოლის სახელმძღვანელოები უფასო იყო. რელიგიურ დისციპლინებთან ერთად ასწავლიდნენ არითმეტიკას, ისტორიას, გეოგრაფიას. სწავლების ვადა 6 წელი იყო, აქედან 4 წელი დაწყებითად ითვლებოდა. მექთებებიდან ვინც გამოცდებს წარმატებით ჩააბარებდა, მას უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხავდნენ.

სკლებისათვის არ ჰყავდათ საკმარისი რაოდენობით პედაგოგები, აკლდათ სახელმძღვანელოები და სხვ. XIX საუკუნის 50-იან წლებში სტამბოლში იყო 396 დაწყებითი სკოლა 23 ათასამდე მოსწავლით. შედარებით ძნელი იყო რუშთიეს სკოლების გახსნა, რადგან პედაგოგების ნაკლებობა იყო. 50-იანი წლებისათვის მხოლოდ 6 სკოლა ფუნქციონირებდა 870 მოსწავლით. ამ სკოლებში მხოლოდ ვაჟები სწავლობდნენ, ქალთა რუშთიეს სკოლა გაიხსნა 1858 წელს.

1849 წელს გაიხსნა „განათლების სახლი“, რომელიც იყო უფრო მაღალი დონის სასწავლებელი, ვიდრე რუშთიე.

1857 წლისათვის ოსმალეთში იყო უკვე 39 რუშთიე 3371 მოსწავლით.

მეტად ნელა მიმდინარეობდა უნივერსიტეტის გახსნის საქმე. დაიწყო უნივერსიტეტის შენობის მშენებლობა, მაგრამ არ გააჩნდათ საკმარისი სახსრები. არ ჰყავდათ საკმარისი პედაგოგთა კადრები, მათი ნაწილი გაგზავნეს საზღვარგარეთ გამოცდილებისა და ცოდნის მისაღებად.

1847 წელს სტამბოლში გაიხსნა სამწლიანი პედაგოგიური სასწავლებელი. დიიდ ყურადღება მიექცა სპეციალიზირებულ სკოლებს. უმეტესი მათგანი სამხედრო დანიშნულებისა იყო. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა სამხედრო-საინჟინრო და სამხედრო-სამედიცინო სკოლებს. ამ სკოლებიდან გამოდიოდნენ არა მარტო სამხედროები, არამედ სამოქალაქო დაწესებულებების მოსამსახურეებიც. სტუდენტების მომზადება სახელმწიფოს ხარჯზე ხდებოდა. 1842 წელს სამხედრო-სამედიცინო სკოლასთან გაიხსნა სამეანო განყოფილება, სადაც ქალებსაც იღებდნენ.

1850 წელს გაიხსნა საშუალო სპეციალური სასწავლებელი სახელმწიფო მოხელეების მოსამზადებლად. მათ ამზადებდნენ აგრეთვე უნივერსიტეტში მისაღებადაც. მათ შორის იყვნენ არამუსლიმებიც.

განათლების სფეროს უკეთესად წარმართვის მიზნით შეიქმნა სამეცნიერო ცენტრი, რომელიც შეისწავლიდა თურქულ ენას, გრამატიკას, ლექსიკას, მოამზადებდა სახელმძღვანელოებს, თარგმნიდა ევროპული ენებიდან სამეცნიერო წიგნებს. ამ ცენტრის შექმნის ინიციატორი იყო ცნობილი განმანათლებელი და ისტორიკოსი აჰმედ ჯევდეთ ფაშა.

განათლების საბჭომ მიიღო დადგენილება შექმნილიყო ე. წ. „ენჯუმენ-ი დანიშ“ („საკონსულტაციო საბჭო“). მაგალითისათვის აღებულ იქნა საფრანგეთის აკადემია. შემუშავდა ამ დაწესებულების რეგლამენტი (წესდება). იგი შედგებოდა 40 არჩევითი ნამდვილი წევრისაგან და წევრ-კორესპონდენტებისაგან განუსაზღვრელი რიცხვით. მათ შორის შეიძლება არჩეული ყოფილიყვნენ უცხოელებიც. აკადემიის ყველა წევრს უნდა სცოდნოდა უცხოური ენები.

1850 წლის 28 ივლისს საზეიმო ვითარებაში გაიხსნა აკადემია. მის გახსნას დაესწრო სულთანი. შესავალი სიტყვა წარმოთქვა დიდმა ვეზირმა მუსტაფა რეშიდ ფაშამ. აკადემიის პირველ ნამდვილ წევრად აირჩიეს მუსტაფა რეშიდ ფაშა. უცხოელ წევრ-კორესპონდენტებს შორის აირჩიეს ცნობილი მეცნიერი ჟ. ჰამერი და სხვ.

პირველი სამუშაოები მიეძღვნა თურქულ ენასა და ისტორიას. გამოიცა თურქული ენის გრამატიკა, შედგენილი ჯევდეთ ფაშას მიერ. დაიწყო თურქული ენის ლექსიკონის მომზადება. ჯევდეთ ფაშამ გამოსცა „ოსმალეთის ისტორიის“ მრავალტომეული და სხვ.

უნივერსიტეტის გახსნა გადაიდო, რადგან არ ჰყავდათ სათანადო კადრები.

დიდი წარმატება ხვდა წილად ჯიზიეს გადასახადის რეფორმას. 1850 წელს გამოვიდა ბრძანება, რომ ეს გადასახადი უნდა აეკრიფათ არა სახელმწიფო მოხელეებს, არამედ არამუსლიმთა გაერთიანებების უფროსებს – ქოჯაბაშებს, როგორც ადრე რეფორმების პირველ ეტაპზე იყო დადგენილი. აღებული თანხა შედიოდა სახელმწიფოს სალაროში. ამიერიდან ჯიზიემ დაკარგა გადასახადის სახე, როდესაც არამუსლიმები უხდიდნენ მუსლიმებს, იგი გახდა როგორც კომპენსაცია სამხედროვალდებულებისაგან გათავისუფლებისათვის. ბოლომდე მაინც ვერ შეცვალეს ილთიზამის წესი, რომ კვლავ არ გაემწვავებინათ ურთიერთობა რეაქციულ ძალებთან.

რეფორმატორები კვლავ დაუბრუნდნენ სასამართლოს პრობლემას. ეს სფერო სასულიერო წოდების მონოპოლიას შეადგენდა. ამიტომ რეფორმების ყველა ცდა – შეესუსტებინათ ეს მონოპოლია – დიდ წინააღმდეგობას წააწყდა. ამასთან ევროპის სახელმწიფოები დაჟინებით მოითხოვდნენ ისეთ სასამართლო უფლებებს, რომლითაც უნდა ესარგებლათ მათ ქვეშევრდომებს, ძირითადად ვაჭრებს, ეს იყო ძირითადი კომერციული და სისხლის სამართლის კანონები.

1847 წელს გაიხსნა სისხლის სამართლის სამმართველო, რომელიც დაფუძნებული იყო ახალი სისხლის სამართლის კოდექსზე. 1848 წლიდან დაიწყო კომერციული სასამართლოს ფუნქციონირება.

1854 წელს მთავრობამ გახსნა შერეული სასამართლოები სისხლის სამართლის საქმეების გასარჩევად მუსლიმებსა და არამუსლიმებს შორის. სასამართლო რეფორმის გატარება იყო პროგრესული ნაბიჯი, მაგრამ ამას სასტიკად ეწინააღმდეგებოდა სასულიერო წოდება.

რეფორმისტებს ფაქტობრივად არაფერი გაუკეთებიათ ეროვნული და სოციალური მდგომარეობის შესამსუბუქებლად არამუსლიმურ მოსახლეობას შორის.

მართალია, 1851 წელს მიიღეს კანონი არამუსლიმების არმიაში გაწვევის შესახებ, მაგრამ იგი ქაღალდზე დარჩა, რადგან ეს კანონი არ აკმაყოფილდება არც მუსლიმებს და არც ქრისტიანებს.

თანზიმათი უძლური აღმოჩნდა რეფორმების იმ ნაწილში, რომელიც მიზნად ისახავდა შემოერიგებინა არამუსლიმი ხალხები.

მუსტაფა რეშიდ ფაშამ და მისმა მომხრეებმა განახორციელეს გარკვეული ღონისძიებანი ეკონომიკის სფეროში. გამოიცა რიგი აგრარული კანონებისა, რომლებიც ეხებოდა მიწისმფლობელობისა და მემკვიდრეობის საკითხს. ახალი დადგენილებით, ქალები ისეთივე სრულუფლებიანი მემკვიდრეები გახდნენ მიწებისა, როგორც მამაკაცები. ადრე ეს ხდებოდა მხოლოდ მაშინ, როდესაც გვარში არ იყო დარჩენილი მამაკაცი მემკვიდრე.

მსურველებს შეეძლოთ აეღოთ დასამუშავებლად ყამირი მიწები. ასეთი მიწები ერთი წლით თავისუფლდებოდნენ აშარის გადასახადიდან, ხოლო ქვიანი მიწები – 2 წლით.

მიწები, რომელთა პატრონებსაც არ ჰყავდათ შვილები და ახლო ნათესავი, გადაეცემოდა იმ სოფლის უმიწაწყლო მოსახლეობას. ეს აგრარული კანონები მიმართული იყო სოფლის მეურნეობის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

შეიქმნა კომისია სოფლის მეურნეობის განვითარების მიზნით. მთავრობამ მიწათმოქმედებს მისცა კრედიტები, რამაც ხელი შეუწყო ერთხანს სოფლის მეურნეობის აღმავლობას. რეფორმატორებმა ხელი შეუწყვეს მსხვილი მეურნეობის შექმნას, რომელსაც მართავდნენ ევროპელი სპეციალისტები. მიიღეს ზომები მრეწველობის განვითარებისათვის. კერძოდ, გადაწყდა გაეფართოებინათ და მოეხდინათ მოდერნიზაცია ევროპული ტექნიკის საფუძველზე რამდენიმე საწარმოსი სტამბოლში, იზმითში, იზმირში და ბურსაში. მაგრამ ამ ღონისძიებამ არსებითად ვერ შეცვალა ოსმალეთის მრეწველობის საერთო დაბალი დონე.

მუსტაფა რეშიდ ფაშამ განიზრახა გაეხსნა ევროპული ყაიდის სახელმწიფო ბანკი და მისი დახმარებით მოეხდინა ოსმალეთის ფულის ერთეულის – ყურუშის სტაბილიზაცია.

მუსტაფა რეშიდ ფაშას ინიციატივით, 1848 წელს სტამბოლში გაიხსნა საიმპერიო ბანკი, მაგრამ მან დიდხანს ვერ იარსება. მართალია, მის ადგილზე მალე დაარსდა ოტომანთა ბანკი, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში სახელმწიფო ბანკის ფუნქციას ასრულებდა, მაგრამ იგი მეტწილად ემსახურებოდა გალათას ბანკირ-მევახშეებს, რომლებიც ტრადიციულად დაკავშირებული იყვნენ ლონდონისა და პარიზის ბანკებთან.

რეფორმატორებს მუდმივ წინააღმდეგობას უწევდნენ ფეოდალურ-კლერიკალური რეაქციული ძალები. მუსტაფა რეშიდ ფაშა იძულებული გახდა ორჯერ დროებით გადამდგარიყო თავისი თანამდებობიდან. რეფორმატორებმა ვერ შესძლეს გაეუქმებინათ გადასახადის აკრეფის ილთიმაზის წესი. მათ მხოლოდ მიიღეს დადგენილებები, რომლითაც შესაძლებელი იყო ადგილობრივი ადმინისტრაციის თვითნებობის ალაგმვა გადასახადების აკრეფის დროს და სხვ.

თანზიმათის რეფორმებს ევროპის სახელმწიფოები მტრულად შეხვდნენ, მიუხედავად მათ შორის არსებული წინააღმდეგობისა, რადგან ისინი დაინტერესებული იყვნენ ოსმალეთის იმპერიის შემდგომი დასუსტებით.

თანზიმათის პირველი პერიოდის რეფორმებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ოსმალეთის იმპერიის ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული განვითარების საქმეში.

თანზიმათის რეფორმები იყო მნიშვნელოვანი ეტაპი ქვეყნის „ევროპეიზაციის“ პროცესის გზაზე.

რეფორმების შემდგომი განვითარება შეაჩერა 1853-1856 წლების ყირიმის ომმა.

თავი V

ყირიმის ომი

1. საერთაშორისო ვითარება ომის წინ

1853 წლის დამდეგს ნიკოლოზ I-მა გადაწყვიტა ოსმალეთის წინააღმდეგ დაეწყო ომი და ერთხელ და სამუდამოდ გადაეჭრა „აღმოსავლეთის საკითხი“ რუსეთის სასარგებლოდ.

ნიკოლოზ I ამ დროს თავისი ძლიერების ზენიტში იმყოფებოდა. იგი იყო 1848-1849 წლების ევროპის რევოლუციების ჩახშობის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე, არბიტრის როლში გამოდიოდა გერმანიის სახელმწიფოების მომავლის გადაწყვეტილების საქმეში, ასევე დიდ გავლენით სარგებლობდა ბალკანეთის ქვეყნებში.

რუსეთის მეფემ გადაწყვიტა ესარგებლა ევროპაში რევოლუციების დამარცხებით და განეხორციელებინა ოსმალეთის დაყოფის გეგმა. ამ მიზნით ნიკოლოზ I-მა მოლაპარაკება დაიწყო ინგლისთან.

1853 წლის იანვარში ნიკოლოზმა პეტერბურგში ინგლისის ელჩს ლორდ სეიმურს განუცხადა: ავადმყოფი ადამიანი (ოსმალეთი) მალე გარდაიცვლება და საჭიროა ვიზრუნოთ მისი მემკვიდრეობის დანაწილებაზე“. ამ შემთხვევაში რუსეთი მოითხოვდა პროტექტორატს მოლდავეთზე, ვალახეთზე, სერბიაზე, ბულგარეთზე, სრუტეებსა და კონსტანტინოპოლზე. ხოლო ინგლისს კომპენსაციის სახით სთავაზობდა ეგვიპტესა და კუნძულ კრეტას.

ნიკოლოზ I-მა ინგლისის ელჩს განუცხადა, თუ ამ საკითხზე შეუთანხმდებოდა ინგლისს, მაშინ მისთვის სხვა სახელმწიფოების პოზიციას მნიშვნელობა არ ექნებოდა. სეიმურს უნდა ეცნობებინა ეს წინადადება ინგლისის მთავრობისათვის. ნიკოლოზი დარწმუნებული იყო, თუ ინგლისი და რუსეთი შეთანხმდებოდნენ, მაშინ საფრანგეთი და ავსტრია ამ ძლიერი სახელმწიფოების კავშირის წინააღმდეგ გამოსვლას ვერ გაბედავდნენ.

9 თებერვალს ნიკოლოზ I-მა მიიღო ინგლისის მთავრობის უარყოფითი პასუხი. ინგლისმა რუსეთის მთავრობის წინადადება საშიშად ჩათვალა.

ასეთ ვითარებაში ნიკოლოზის წინაშე ორი გზა იყო; ან უკან დახევა და უარი ეთქვა თავის გეგმებზე, ანდა წასულიყო გარღვევაზე. ნიკოლოზმა მეორე გზა აირჩია. ნიკოლოზი იმდენად იყო დარწმუნებული თავის ძლიერებაში, რომ მან ანგარიში არ გაუწია ევროპის სახელმწიფოების პოზიციას. ნიკოლოზ I-მა შეცდომა დაუშვა და არ გაითვალისწინა, თუ რა პოზიციას დაიკავებდა ავსტრია. ნიკოლოზ I დარწმუნებული იყო, რომ ავსტრიის იმპერატორი მას წინააღმდეგობას არ გაუწევდა, რადგან რუსეთმა მას დახმარება აღმოუჩინა რევოლუციის ჩახშობაში.

სწორედ ამ დროს სტამბოლში მიმდინარეობდა დავა რუსეთისა და საფრანგეთის წარმომადგენლებს შორის „წმინდა ადგილებთან“ დაკავშირებით.

ნიკოლოზ I-სათვის ნათელი გახდა, რომ იგი ვერ მიიღებდა მხარდაჭერას ინგლისისა და საფრანგეთის მხრიდან და მან გადაწყვიტა უშუალო ზემოქმედება მოეხდინა სულთანსა და მის მთავრობაზე. ამ მიზნით იმპერატორმა სტამბოლში გაგზავნა თავადი მენშიკოვი. მას დაავალა გადაჭრით ემოქმედა და „წმინდა ადგილების“ საკითხი რუსეთის სასარგებლოდ მოეწესრიგებინა. ამავე დროს – და ეს იყო ყველაზე მნიშვნელოვანი – რუსეთს უნდა მიეღო უფლება მფარველობა გაეწია ოსმალეთის იმპერიაში მცხოვრები მართლმადიდებელი ქვეშევრდომებისათვის. ამ

მოთხოვნის მიღება, ფაქტიურად, ნიშნავდა რუსეთის პროტექტორატის დამყარებას სულთანის მრავალმილიონიან ქვეშევრდომებზე. ამავე დროს მენშიკოვს მიეცა მითითება, რომ თუ მისი დიპლომატური საქმიანობა გამოიწვევდა ომს, უკან არ დაეხია და ამისათვის მას არავინ გაჰკიცხავდა.

სტამბოლში მენშიკოვს საზეიმო მიღება გაუმართეს. მას მეტად გამომწვევად ეჭირა თავი. მან გამოაცხადა, რომ არ სურს საქმე იქონიოს ოსმალეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან ფუად ფაშასთან, რომელიც საფრანგეთს უჭერდა მხარს „წმინდა ადგილების" საკითხში. ამის გამო სულთანმა მინისტრი გადააყენა და მის ნაცვლად დანიშნა რატიფ ფაშა. მენშიკოვმა დიდ ვეზირთან შეხვედრის დროს არ გაიხადა ქურქი, ხოლო სულთან აბდულ მეჯიდს აუდიენციის დროს უხეშად ელაპარაკებოდა.

სტამბოლში მყოფი ინგლისისა და საფრანგეთის ელჩები არწმუნებდნენ სულთანს რუსეთის მიმართ წასულიყო დათმობაზე „წმინდა ადგილების" საკითხში. მათ კარგად იცოდნენ, რომ მენშიკოვი ამით არ დაკმაყოფილდებოდა და წარუდგენდა ახალ მოთხოვნებს, რითაც აშკარა გახდებოდა რუსეთის აგრესიული ზრახვები ოსმალეთის მიმართ.

4 მაისს სულთანი დათმობაზე წავიდა „წმინდა ადგილების" საკითხში. მაშინ მენშიკოვმა ახალი წინადადება წამოაყენა: რუსეთს მიეღო წერილობითი უფლება მფარველობა გაეწია ოსმალეთში მცხოვრები მართლმადიდებლებისათვის.

სულთანმა, ინგლისისა და საფრანგეთის ელჩების მხარდაჭერით, უარყო რუსეთის ეს წინადადება. 1853 წლის 21 მაისს მენშიკოვმა მთელი საელჩოს შემადგენლობით დატოვა სტამბოლი და სამშობლოში გაემგზავრა. შეიქმნა სამხედრო კონფლიქტის აშკარა საფრთხე.

ინგლისის ელჩის რჩევით, სულთანმა 4 ივნისს გამოსცა ფირმანი, რომლითაც იგი საზეიმოდ იძლეოდა დაპირებას, რომ კათოლიკურ და განსაკუთრებით მართლმადიდებლურ ეკლესიებს უბოძებდა პრივილეგიებს, მაგრამ ვერაფერმა უშველა, ომი გარდუვალი იყო.

2. საომარი მოქმედებების დაწყება

1853 წლის 21 ივნისს რუსეთის არმიებმა გადალახეს მდინარე პრუტი და შეიჭნენ მოლდავეთში, არც რუსეთსდა არც ოსმალეთს ერთმანეთისათვის ომი არ გამოუცხადებიათ.

ნაპოლეონ III-მ, როდესაც გაიგო სტამბოლში მენშიკოვის მისიის გამგზავრების შესახებ, გასცა ბრძანება საფრანგეთის ფლოტი დაუყოვნებლივ წასულიყო ეგეოსის ზღვისაკენ და საბრძოლო მდგომარეობაში ყოფილიყო. ნაპოლეონ III-მ გადაწყვიტა ეომა რუსეთის წინააღმდეგ. საფრანგეთის იმპერატორი, რუსეთთან ომში ხედავდა შესაძლებლობას არა მარტო დიდებით შეემოსა თავისი ტახტი, არამედ ერთგვარად დაეკმაყოფილებინა ოპოზიციის (რესპუბლიკელების) სურვილიც, ისინი ნიკოლოზს უწოდებდნენ ევროპის რევოლუციის ჯალათს, უანდარმს და მის წინააღმდეგ ომი პოპულარული იყო.

გარკვეული დროის მანძილზე იყო იმედი, რომ კონფლიქტი მოგვარდებოდა მშვიდობიანი გზით. 1853 წლის სექტემბერში ვენაში მოიწვიეს კონფერენცია ინგლისის, საფრანგეთის, ავსტრიისა და პრუსიის წარმომადგენლების მონაწილეობით. მათ შეიმუშავეს ე. წ. „ვენის ნოტა", რომელიც მიზნად ისახავდა მშვიდობიანი გზით რუსეთ-ოსმალეთის კონფლიქტის მოგვარებას. რუსეთი დათანხმდა მიეღო „ვენის ნოტის" პროექტი, მაგრამ სულთანმა უარყო იგი.

სულთანმა, ინგლისისა და საფრანგეთის ელჩების ზემოქმედებით, მოსთხოვა რუსეთს 18 დღის განმავლობაში გაეთავისუფლებინა ოსმალეთის ოკუპირებული ტერიტორია, რაზედაც რუსეთი არ დათანხმდა. 1 ოქტომბერს ოსმალეთმა ომი გამოუცხადა რუსეთს, ხოლო 20 ოქტომბერს რუსეთმა – ოსმალეთს.

თავდაპირველად საომარი ოპერაციები გაიმართა დუნაისპირეთსა და კავკასიაში.

დიდი ბრძოლები გაიმართა მდინარე დუნაის მარცხენა სანაპიროზე, რომელმაც არცერთ მხარეს არ მოუტანა წარმატება. ოსმალებმა სცადეს გადაელახათ დუნაი ჟურჟევთან, მაგრამ უშედეგოდ. შემდეგში წარმოებდა ადგილობრივი ხასიათის ბრძოლები.

უფრო წარმატებით ბრძოლები ჩატარდა კავკასიაში. 16 ოქტომბერს თურქებმა დაიკავეს წმინდა ნიკოლოზის ნავსადგური და 31 ოქტომბერს დაიწყეს შეტევა ალექსანდროპოლის მიმართულებით. რუსეთის ჯარმა შეაჩერა ეს შეტევა და 19 ნოემბერს ყარსის მახლობლად სასტიკად დაამარცხა მოწინააღმდეგე. ყველაზე დიდი ბრძოლა შავ ზღვაზე გაიმართა. 18 ნოემბერს ადმირალ ნახიმოვის ესკადრამ სინოპის ყურეში სასტიკად გაანადგურა ოსმალეთის ფლოტი. ოსმალეთის სარდალი ოსმან ფაშა ტყვედ ჩაუვარდა რუსებს.

სულთანი, სინოპთან ოსმალეთის ფლოტის განადგურების შემდეგ, დაჟინებით მოითხოვდა დასავლეთის სახელმწიფოებისაგან ჩარეულიყვნენ კონფლიქტში. რუსეთის სამხედრო წარმატებებმა გააააქტიურეს ინგლისი და საფრანგეთი. 27 ოქტომბერს ინგლის-საფრანგეთის ფლოტი შევიდა ბოსფორში.

22 ნოემბერს ოთხი სახელმწიფოს წარმომადგენლებმა – ინგლისის, საფრანგეთის, ავსტრიისა და პრუსიის – შესთავაზეს მეომარ ქვეყნებს თავიანთი დახმარება კონფლიქტის მოგვარებაში. რუსეთის მიერ ჯარის გაყვანა დუნაისპირა სამფლობელოებიდან იყო წინასწარი პირობა ზავის დადების საქმეში. ნიკოლოზ I-მა უარყო მათი შუამავლობა. ამასობაში რუსეთის ფლოტის გამარჯვებამ დიდი შეშფოთება გამოიწვია მთელ ევროპაში. ინგლისის მთავრობამ გამოაქვეყნა ნიკოლოზის საიდუმლო მოლაპარაკება 1853 წლის იანვარში ოსმალეთის დაყოფასთან დაკავშირებით.

23 დეკემბერს ინგლის-საფრანგეთის ესკადრები შევიდნენ შავ ზღვაში.

1854 წლის 1 მარტს ინგლისს, საფრანგეთსა და ოსმალეთს შორის დაიდო სამხედრო თავდაცვითი კავშირი და მათ რუსეთს წარუდგინეს ულტიმატუმი – დაეტოვებინა დუნაისპირა სამთავროები. ნიკოლოზ I-მა პასუხი არ გასცა ულტიმატუმს.

3. ინგლისის, საფრანგეთისა და სარდინიის ჩაბმა ომში

27 და 28 მარტს ინგლისმა და საფრანგეთმა ომი გამოუცხადა რუსეთს. ასეთ ვითარებაში ნიკოლოზ I-მა მიმართა თავის ტრადიციულ მოკავშირეებს ავსტრიასა და პრუსიას დახმარებისათვის, მაგრამ მათგან უარი მიიღო.

1 აპრილს მოკავშირეებმა დაბომბეს ოდესა. ამავე დროს ინგლისის ფლოტმა ფინეთის სანაპიროს მახლობლად დაიკავა აალანდის კუნძულები. 7 ივლისს ინგლისის ესკადრამ დაბომბა რუსეთის სანაპირო თეთრ ზღვაზე. 18 აგვისტოს ინგლისის გემებმა შორეულ აღმოსავლეთში დაბომბეს პეტროპავლოვსკი-კამჩატკაზე. ოდესასთან, პეტროპავლოვსკთან ინგლისელებმა გადასხეს დესანტები, მაგრამ მალე ისინი განდევნილ იქნენ. ამ მოქმედებებით ინგლისს სურდა დეზორგანიზაცია შეეტანა მტრის ზურგში.

ინგლის-საფრანგეთის სამხედრო სარდლობამ სერიოზული სამხედრო ოპერაციები დაგეგმა ბალკანეთსა და ყირიმის ნახევარკუნძულზე.

ივლისის შუა რიცხვებში ვარნასთან კონცენტრირებული იყო მოკავშირეთა 50 ათასიანი არმია. დაგეგმილი იყო ჯერ წასულიყვნენ დუნაისაკენ და აეძულებინათ რუსეთი დაეტოვებინა მოლდავეთი და ვალახეთი, ხოლო შემდეგ გადასულიყვნენ ყირიმის ნახევარკუნძულზე, რათა ხელთ ეგდოთ რუსეთის შავი ზღვის გამაგრებული პუნქტები.

რუსეთის 50 ათასიანი არმია განლაგებული იყო დუნაისპირეთში. რუსეთის არმიამ გადალახა დუნაი და ალყა შემოარტყა სილისტრიას, მაგრამ მისი აღება ვერ შეძლო. რუსეთის მთელ არმიებს ბალკანეთში ფელდმარშალი პასკევიჩი სარდლობდა, მაგრამ იგი მოხუცებული იყო და ძალზე ნელა მოქმედებდა. ამავე დროს მოსალოდნელი იყო ავსტრიის არმიის გამოსვლა რუსეთის წინააღმდეგ, რომელმაც აღმოსავლეთის საზღვართან თავი მოუყარა 80 000 არმიას. 4 ივლისს ავსტრიამ მოსთხოვა რუსეთს დაეტოვებინა მოლდავეთი და ვალახეთი. პრუსიამ მხარი დაუჭირა ავსტრიის მოთხოვნას. რუსეთის არმიამ მოხსნა ალყა სილისტრიას და დაიწყო უკან დახევა და ოსმალეთის ტერიტორიის განთავისუფლება. მაგრამ მოკავშირეები აღარ დაკმაყოფილდნენ რუსეთის ჯარების წასვლით ბალკანეთიდან და გადაწყვიტეს საომარი მოქმედება რუსეთის ტერიტორიაზე გადაეტანათ.

პარიზში შემუშავებული გეგმით, მოკავშირეებს ჯარები უნდა გადაესხათ პერეკოპთან და მოეწყვიტათ ყირიმი რუსეთისაგან. განზრახული იყო, აგრეთვე, დესანტები გადაესხათ ანაპასა და ფოთში. ამის შედეგად რუსეთი მოწყვეტილი იქნებოდა შავი ზღვის სანაპიროებისაგან. ინგლისმა და საფრანგეთმა თავიანთი აგენტები გაგზავნეს შამილთან და მოუწოდეს შამილს გაეძლიერებინა ბრძოლა კავკასიაში რუსეთის წინააღმდეგ.



მოკავშირეთა არმიის ყირიმში გადასხმა

16 თებერვალს ინგლისისა და საფრანგეთის სამხედრო საბჭოზე იხილებოდა პროექტი, რომლის მიხედვითაც რუსეთს უნდა ჩამოცილებოდა ფინეთი, პოლონეთი, ლიტვა, ბელორუსია, სამხრეთ-დასავლეთი უკრაინა, კავკასია და ყირიმი.

1 სექტემბერს მოკავშირეთა არმიები ყირიმში გადასხდნენ. საფრანგეთის საექსპედიციო კორპუსი ითვლიდა 28 ათას ჯარისკაცს, ინგლისის – 27 ათასს, თურქეთისა – 7 ათასს.

9 სექტემბერს მოკავშირეთა 62 ათასიანი არმია დაიძრა სევასტოპოლისაკენ. ამ დროს ყირიმში განლაგებული იყო რუსეთის 35 ათასიანი არმია მენშიკოვის სარდლობით. მალე მოკავშირეები სევასტოპოლს მიუახლოვდნენ და დაიწყო მისი 11 თვიანი გმირული დაცვა. მას ხელმძღვანელობდნენ; ადმირალი კორნილოვი, ვიცე-ადმირალი ნახიმოვი, გენერლები ისტომინი, ტოტლებენი.

15 ივნისს მოკავშირეებს შეუერთდა სარდინიის სამეფოც. იტალიელებმა ყირიმში 15 ათასიანი საექსპედიციო კორპუსი გაგზავნეს. 1855 წელს იანვრის ბოლოს მოკავშირეთა არმია 120 ათას ჯარისკაცს ითვლიდა. ყირიმში სევასტოპოლისათვის განსაკუთრებით ცხარე ბრძოლები გაიმართა.

კავკასიის ფრონტს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ორივე მეომარი მხარისათვის, თუმცა მას არ შეეძლო გადამწყვეტი გავლენა მოეხდინა ომის საბოლოო ბედ-იღბალზე.

ოსმალეთი და მოკავშირეები, განსაკუთრებით ინგლისი, დაინტერესებული იყვნენ ჩამოეშორებინათ კავკასია რუსეთისაგან. ოსმალეთმა კავკასიაში თავი მოუყარა 120 ათასიან ჯარს. მისი მიზანი იყო გაერღვია რუსეთის საზღვარი, შეჭრილიყო ქართლში, აეღო თბილისი და კავშირი დაემყარებინა შამილთან.

1853 წლის ნოემბრის დასაწყისში ოსმალეთის არმია გადავიდა შეტევაზე ახალციხის მიმართულებით. მისი მიზანი იყო ბორჯომის ხეობით შესულიყო ქართლში და დაეკავებინა თბილისი. მაგრამ აწყურთან ოსმალეთის ჯარმა დამარცხება განიცადა.

1853 წლის 15 ოქტომბერს ოსმალთა სამხედრო შენაერთი თავს დაესხა გურიის საგუშაგოს შეკვეთილთან, მისი განადგურების შემდეგ თურქები გურიაში შეიჭრნენ და ქვეყნის დარბევას შეუდგნენ.

წარუმატებელი იყო თურქების საომარი ოპერაციები ალექსანდროპოლის მიმართულებითაც, რუსეთის ჯარებმა თურქებს დიდი ზარალი მიაყენეს.

1854 წელს თურქებმა საზღვაო დესანტები გადმოსხეს ბათუმში, ქობულეთში, ანაკლიასა და სოხუმში. ოსმალთა არმიამ სელიმ ფაშას სარდლობით ოზურგეთი დაიკავა. ქართველებმა მათ წინააღმდეგ პარტიზანული ომი გააჩაღეს. თურქების წინააღმდეგ საბრძოლველად შეიქმნა ქართული მილიცია, მოლაშქრეთა რაზმები. ქართველმა მოლაშქრეებმა რუსეთის ჯართან ერთად შეუტიეს სელიმ ფაშას არმიას, ივნისში ჩოლოქთან სელიმ ფაშას კორპუსი განადგურებულ იქნა.

1854 წლის ივლისში შამილის 12 ათასიანი ლაშქარი შეიჭრა კახეთში, დაიკავა სოფ. შილდა. ერთ-ერთმა რაზმმა დაარბია ალაზნის ნაპირები, შემდეგ წინანდალისაკენ გაემართა, გაძარცვეს თავად ჭავჭავაძის სახლი, დაატყვევეს ქალები და ბავშვები, მაგრამ მალე ისინი დამარცხებული და უკუგდებული იქნენ.

შამილი საინგილოში შეიჭრა და ზაქათალასა და ბელაქანის ციხეების აღებას ლამობდა, მაგრამ ქართველთა და რუსთა რაზმებმა ალაზანზე მოსული მტერი უკუაგდეს. შამილის ამ თავდასხმას არავითარი გავლენა არ მოუხდენია ომის საერთო მსვლელობაზე.

1855 წელს ოსმალებმა დასავლეთ საქართველოში, ომერ ფაშას მეთაურობით, დესანტები გადასხეს. მათ განზრახული ჰქონდათ დასავლეთ საქართველოდან

გადასულიყვნენ ქართლში, დაეკავებინათ თბილისი და დაკავშირებოდნენ შამილს, რომელიც კავკასიაში რუსეთის წინააღმდეგ იბრძოდა.

აფხაზეთის ტერიტორიის დაკავების შემდეგ, ომერ ფაშას ძირითადი ნაწილები სამეგრელოსაკენ დაიძრნენ. მდინარე ენგურთან მათ გზა გადაუღობა რუსებისა და ქართველების ლაშქარმა, გამარჯვება ოსმალებს დარჩათ და ისინი სამეგრელოში შეიჭრნენ. მოსახლეობამ მედგარი წინააღმდეგობა გაუწია დამპყრობლებს. შეიქმნა პარტიზანული რაზმები, რომლებიც დიდ ზიანს აყენებდნენ მტერს. ომერ ფაშა სამეგრელოს მთავარს ეკატერინე დადიანს წერილს წერილზე უგზავნიდა და დამოუკიდებლობას ჰპირდებოდა, მაგრამ უშედეგოდ. სამეგრელოდან ომერ ფაშა ქუთაისისაკენ გაემართა, მაგრამ ცხენისწყლის გადალახვა ვერ გაბედა, რადგან იქითა ნაპირზე რუს-ქართველთა ჯარი იმყოფებოდა.

რუსეთის ჯარმა დიდ წარმატებას მიაღწია სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით. რუსეთის ჯარი შეტევაზე გადავიდა და ცხარე ბრძოლების შედეგად 15 ნოემბერს აიღო მნიშვნელოვანი ციხე-სიმაგრე ყარსი. ეს კავკასიის ფრონტზე მეტად მნიშვნელოვანი გამარჯვება იყო.

ყარსიდან რუსეთის ჯარის ერთი ნაწილი ომერ ფაშას წინააღმდეგ საბრძოლველად გადავიდა დასავლეთ საქართველოში. ომერ ფაშას სამხედრო ნაწილებმა უკან დახევა დაიწყეს, გზაზე ყველაფერს წვავდნენ და ანადგურებდნენ. მათ გაძარცვეს და დაწვეს სამეგრელოს მთავრის დადიანის სასახლე. 1856 წლის თებერვალში ომერ ფაშას სამხედრო ნაწილებმა მთლიანად დატოვეს დასავლეთ საქართველოს ტერიტორია.

4. პარიზის ტრაქტატი


1855 წლის 9 სექტემბერს მოკავშირეებმა ცხარე ბრძოლების შედეგად დაიკავეს სევასტოპოლი. 1855 წლის ბოლოსათვის პრაქტიკულად შეწყდა საომარი მოქმედებები, ხოლო 1856 წლის 18 თებერვალს დაიდო დროებითი ზავი.

ჯერ კიდევ 1854 წლის 18 ივლისს ნაპოლეონ III-მ წამოაყენა ოთხი პუნქტი კონფლიქტის მოგვარების მიზნით: 1. დუნაისპირა სამთავროები უნდა შესულიყვნენ ევროპის (საფრანგეთი, ინგლისი, ავსტრია, რუსეთი და პრუსია) სახელმწიფოების პროტექტორატის ქვეშ. 2. ეს ხუთი სახელმწიფო იქნებოდა ოსმალეთის იმპერიაში მცხოვრები ქრისტიანების მფარველი. 3. დუნაის შესართავზე უნდა დამყარებულიყო ამ ხუთი სახელმწიფოს კონტროლი. 4. 1841 წლის კონვენცია ბოსფორისა და დარდანელის სრუტეების შესახებ უნდა შეცვლილიყო რადიკალურად.

ეს დოკუმენტი მცირეოდენი შესწორებების შედეგად საფუძვლად დაედო პარიზის კონფერენციის მუშაობას.

1856 წლის 25 თებერვალს გაიხსნა პარიზის კონგრესი. მის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საფრანგეთის, ინგლისის, ავსტრიის, რუსეთის, სარდინიისა და ოსმალეთის წარმომადგენლებმა. 18 მარტიდან პრუსიის წარმომადგენელს ნება დაერთო მონაწილეობა მიეღო კონგრესის მუშაობაში. კონგრესის თავმჯდომარე იყო საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი გრაფი ვალიევსკი, ნაპოლეონ I-ის შვილი. რუსეთის დელეგაციას მეთაურობდა გრაფი ა. ორლოვი, თურქეთისას – დიდი ვეზირი ალი ფაშა.

აღსანიშნავია, რომ პარიზის კონგრესის მსვლელობის დროს ოსმალეთის დელეგაციის მეთაურმა ალი ფაშამ პირველად დასვა საკითხი კაპიტულაციების რეჟიმის გაუქმების შესახებ. ამ დროს კაპიტულაციების რეჟიმი იყო მნიშვნელოვანი ბარიერი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების საქმეში. ეს საკითხი არ შეუტანიათ



პარიზის კონგრესი

დღის წესრიგში, რადგან ევროპის არც ერთი სახელმწიფო არ იყო დაინტერესებული მისი განხილვით. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ კონგრესის მსვლელობის დროს დასავლეთ ევროპის წარმომადგენლებმა მოახდინეს ოსმალეთის ინტერესების სრული იგნორირება.

30 მარტს ხელი მოაწერეს პარიზის ტრაქტატს. ხელშეკრულებით რუსეთს დაუბრუნდა სევასტოპოლი, ხოლო სამაგიეროდ ყარსი გადაეცა ოსმალეთს. დუნაისპირა სახელმწიფოებზე – მოლდავეთზე, ვალახეთსა და სერბიაზე დამყარდა დიდი სახელმწიფოების პროტექტორატი, ფორმალურად კი ისინი დარჩნენ სულთნის სუზერენიტეტის ქვეშ. რუსეთმა დაკარგა სამხრეთ ბესარაბია და დუნაის შესართავზე თავისი კონტროლი.

პარიზის ტრაქტატის მე-11, 12, 13 მუხლების ძალით შავი ზღვა გამოცხადდა ნეიტრალურ და დემილიტარიზებულ ზონად. იგი გახსნილი იყო ყველა ქვეყნის სავაჭრო გემებისათვის და დაკეტილი სამხედრო გემებისათვის. ეს აკრძალვა ვრცელდებოდა რუსეთზეც და ოსმალეთზეც, რომელთაც უფლება ეძლეოდათ ჰყოლოდათ შავ ზღვაზე მხოლოდ უმნიშვნელო რაოდენობის, მცირე ტონაჟის პატარა სამხედრო გემები. რუსეთსა და ოსმალეთს ეკრძალებოდათ შავი ზღვის ნავსადგურებში სამხედრო ბაზებისა და არსენალების აგება. პარიზის ტრაქტატის ეს მუხლები უპირველეს ყოვლისა მიმართული იყო რუსეთის ინტერესების წინააღმდეგ, იგი მკვეთრად ლახავდა რუსეთის სუვერენიტეტს (1871 წლის 14 მარტის ლონდონის კონფერენციის დადგენილებით მოხდა შავი ზღვის რემილიტარიზაცია და რუსეთმა მიიღო შავ ზღვაზე სამხედრო გემების მშენებლობის უფლება).

პარიზის ტრაქტატით ევროპის სახელმწიფოებს, რომლებმაც ხელი მოაწერეს ტრაქტატს, უფლება მიეცათ მფარველობა გაეწიათ ოსმალეთის იმპერიაში მცხოვრები ქრისტიანებისათვის.

ოსმალეთთან დაკავშირებით აღიარეს, რომ იგი დაადგა ევროპეიზაციის გზას და რომ ოსმალეთი ღირსი გახდა მიეღოთ „ევროპის სახელმწიფოების კონცერტში“.

მართალია, ოსმალეთი იმყოფებოდა გამარჯვებულ სახელმწიფოთა რიგებში და სულთან აბდულ მეჯიდს უბოძეს საპატიო ტიტული „ღაზი“ (გამარჯვებული), მაგრამ ომის შედეგები ოსმალეთისათვის მეტად მძიმე იყო. ომმა ოსმალეთს მიაყენა დიდი მატერიალური ზარალი. 1854 და 1855 წლებში ოსმალეთი იძულებული იყო აეღო პირველი კაბალური სესხები ინგლისისა და საფრანგეთის ბანკირებისაგან. სწორედ ამ დროიდან დაიწყო ოსმალეთის ფინანსური დაკაბალება.

პარიზის ტრაქტატის ხელმოწერის წინ, 1856 წლის 18 თებერვალს, გამოიცა სულთნის ჰატი-ჰუმაიუნი, რომლითაც სულთანი აძლევდა იმპერიის ყველა ქვეშევრდომს რელიგიური აღმსარებლობის თავისუფლებისა და კანონის წინაშე თანასწორობის გარანტიას. ეს ჰატი-ჰუმაიუნი შეტანილ იქნა პარიზის ტრაქტატის ერთ-ერთ მუხლად. ამით მან მიიღო საერთაშორისო ვალდებულების ხასიათი და დიდ სახელმწიფოებს უფლება მიეცათ ჩარეულიყვნენ ოსმალეთის საშინაო საქმეებში ქრისტიანების უფლებების დაცვის საბაბით.

ერთი სიტყვით, 1853-1856 წლების ომის შედეგები ოსმალეთისათვის ძალზე არასახარბიელო იყო.

თავი VI

ოსმალეთი ყირიმის ომის შემდეგ

1. 1856 წლის ჰატი ჰუმაიუნი

პარიზის კონგრესის გახსნამდე ერთი კვირით ადრე, 1856 წლის 18 თებერვალს, დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების მოთხოვნით სულთანმა გამოსცა ჰატი ჰუმაიუნი, რომლის საფუძველზედაც დაიწყო თანზიმათის რეფორმების მეორე პერიოდი.

ყირიმი ომის შედეგად ოსმალეთი მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში იმყოფებოდა და აქედან გამოსასვლელად საჭირო იყო რეფორმების გაგრძელება. რეფორმების ჩატარებას მოითხოვდნენ დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებიც, რადგანაც ამ გზით ისინი კიდევ უფრო მეტად განიმტკიცებდნენ თავიანთ პოზიციებს ოსმალეთში. სწორედ მათი მოთხოვნით, 1854 წლის 7 თებერვალს შეიქმნა რეფორმების უმაღლესი საბჭო.

1856 წლის ჰატი ჰუმაიუნის შემუშავებაში დიდი მონაწილეობა მიიღეს ალი ფაშამ და ფუად ფაშამ. პირველი იყო რეფორმების უმაღლესი საბჭოს თანათავმჯდომარე, ხოლო მეორე – ამ საბჭოს წევრი. მათ ორივეს არაერთხელ ეკავათ დიდი ვეზირისა და საგარეო საქმეთა მინისტრების თანამდებობები.

რა განსხვავება იყო 1856 წლის ჰატი შერიფსა და 1839 წლის გულჰანეს ჰატი შერიფს შორის? ისინი ხომ ერთი და იმავე სულთნის – აბდულ-მეჯიდის მიერ იყო გამოცემული? 1856 წლის აქტი მკვეთრად განსხვავდებოდა წინამორბედისაგან. იგი სხვა ვითარებაში გამოქვეყნდა და სხვა მიზანსაც ისახავდა, ვიდრე პირველი. 1839 წლის გულჰანეს ჰატი შერიფი თურქულ ნიადაგზე აღმოცენდა. მეორე კი დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების ჩარევის შედეგი იყო და იურიდიულად ამტკიცებდა უცხო სახელმწიფოთა მეურვეობას ამ ქვეყანაზე. აღნიშნული რესკრიპტი შეტანილი იყო პარიზის ტრაქტატის მე-9 მუხლში, რითაც ოსმალეთი საერთაშორისო ვალდებულებას იღებდა ევროპის წინაშე და ამ საბუთზე დაყრდნობით ევროპის სახელმწიფოებს საშუალება ეძლეოდათ ჩარეულიყვნენ ოსმალეთის საშინაო საქმეებში.



აბდულ-მეჯიდი

აღსანიშნავია, რომ გულჰანეს ჰატი შერიფი რეფორმების გატარებისას ეყრდნობოდა ყურანს და ამის შესახებ პირდაპირ იყო აღნიშნული პრეამბულაში, მაშინ როდესაც 1856 წლის ჰატი შერიფში ყურანი სრულიად არ იყო ნახსენები.

თურქი ისტორიკოსის ზია კარალის დაკვირვებით, 1856 წლის ჰატი ჰუმაიუნი იყო რეფორმების პროგრამა, შემუშავებული უცხო სახელმწიფოების მიერ და თავსმოხვეული

ოსმალეთისათვის. მეორე მხრივ, ჰატის თურქი ავტორები მასში ხედავდნენ საშუალებას გაეუმჯობესებინათ ოსმალეთის ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობა.

ოსმალეთის იმდროინდელ სახელმწიფო მოღვაწეთა მეტად მცირე ნაწილმა დაუჭირა მხარი ჰატი ჰუმაიუნს, ხოლო უმრავლესობა მის წინააღმდეგ გამოვიდა. ასე მაგალითად, 1839-1853 წლების რეფორმების სულისჩამდგმელი მუსტაფა რეშიდ ფაშა, რომელიც 1856-1857 წლებში ორჯერ იყო დიდი ვეზირი, არ იღებდა მონაწილეობას 1856 წლის ჰატი ჰუმაიუნის შემუშავებაში. მუსტაფა რეშიდ ფაშა 1856 ჰატი ჰუმაიუნს თვლიდა გულჰანეს ჰატი შერიფიდან უკანდახევად და მისი აზრით, ახალი ჰატი იყო ნგრევის იარაღი, რომელიც მოღალატეებს ევროპელებმა უბოძეს. რეშიდ ფაშა მოღალატეებად აცხადებდა თავის მოწაფეებს ალი ფაშასა და ფუად ფაშას.

მუსტაფა რეშიდ ფაშა დიდ შეცდომად მიიჩნევდა ჰატი ჰუმაიუნის შეტანას პარიზის ტრაქტატის ცალკე მუხლად და შიშობდა, რომ ევროპის სახელმწიფოები ამას გამოიყენებდნენ ოსმალეთის საზიანოდ. მუსტაფა რეშიდ ფაშას ამ თვალსაზრისს იზიარებდა დიდ მოხელეთა ნაწილი.

ჰატი ჰუმაიუნის წინააღმდეგ გამოვიდნენ ულემები. ისინი აცხადებდნენ, რომ ეს აქტი ეწინააღმდეგებოდა ყურანის დოგმებს.

მუსლიმური მოსახლეობის დიდი ნაწილი უკმაყოფილო იყო იმით, რომ ჰატი ჰუმაიუნი ათანასწორებდა უფლებებში მუსლიმებსა და არამუსლიმებს და ქრისტიანებს უფლება მიეცათ დაეკავებინათ სახელმწიფო თანამდებობები და ემსახურათ ჯარში.

სულთნის ახალი ბრძანებულება ადასტურებდა და ამტკიცებდა ოსმალეთის ვალდებულებებს, რომელსაც შეიცავდა 1839 წლის გულჰანეს ჰატი შერიფი: „ყველა ქვეშევრდომის პიროვნების სიცოცხლის, ღირსების, ქონებისა და ხელშეუვალობის დაცვას განურჩევლად რელიგიური კუთვნილებისა“.

ბრძანებულება მოსახლეობას ჰპირდებოდა ყველა იმ შეღავათებისა და პრივილეგიების შენარჩუნებას, რომლებიც სულთანმა უბოძა არამუსლიმ ხალხებს.

დადგენილებით იმპერიის ყველა ქვეშევრდომს, ეროვნების განურჩევლად, ეძლეოდა უფლება დაეკავებინა სახელმწიფოს სამოქალაქო და სამხედრო თანამდებობები. ამის გარდა, ყოველ თემს შეეძლო გაეხსნა თავიანთი სკოლები, მეცნიერების, ხელოვნებისა და მრეწველობის დარგში იმ პირობით, რომ ისინი იმუშავებდნენ უმაღლესი ხელისუფლების მფარველობის ქვეშ.

სასამართლოში ცხადდებოდა თანასწორუფლებიანობა კომერციული, სისხლის სამართლისა და სამოქალაქო საქმეების განხილვის დროს. დაცული იქნებოდა მოწმეების თანასწორუფლებიანობა და შერეული სასამართლოების დროს საქმის განხილვა მოხდებოდა ღია სხდომებზე.

ბრძანებულება აღიარებდა ყველა გადასახადის გადამხდელის თანასწორობას. ჰატი ჰუმაიუნის მიხედვით, ყველა არამუსლიმი ქვეშევრდომი, ისევე როგორც მუსლიმი, ჩარიცხული იქნებოდა სამხედრო სამსახურში, მაგრამ არამუსლიმებს შეეძლოთ სამხედრო სამსახურის ნაცვლად გადაეხადათ გადასახადი.

ბრძანებულება იძლეოდა გარანტიას, რომ აღმოიფხვრებოდა ბოროტმოქმედებები გადასახადების აკრეფის დროს, გადასახადების რაოდენობა იმ ზომამდე შემცირდებოდა, რომ იგი არ შეუშლიდა ხელს სოფლის მეურნეობის წარმატებას. რაც შეიძლება მალე გაუქმდებოდა გადასახადების აკრეფის ილთიზამის წესი. გათვალისწინებული იყო აგრეთვე მექრთამეობის მოსპობაც. ჰატი ჰუმაიუნის გამოცემის შემდეგ ქვეყანაში აგრეთვე ჩატარდებოდა ეკონომიკური ხასიათის რეფორმები.

ჰატი ჰუმაიუნის გამოცემამ საშუალება მისცა რუსეთის მოწინააღმდეგეებს, რათა რუსეთს არ დაესვა პარიზის კონფერენციაზე ოსმალეთის იმპერიაში მცხოვრები

ქრისტიანების მდგომარეობის საკითხი. ამ დადგენილების გამოცემით ცხადდებოდა, რომ ოსმალეთი ღირსია მიღებულ იქნას „ევროპის სახელმწიფოების კონცერტში“.

ახალი ბრძანებულებებით გათვალისწინებული რეფორმები არ იყო სასურველი ოსმალეთისათვის. იგი მკვიდრ საფუძველს უქმნიდა უცხოურ კაპიტალს, აფართოებდა მისი საქმიანობის არეალს და აძლიერებდა დასავლეთის სახელმწიფოებისადმი ოსმალეთის ეკონომიკურ და პოლიტიკურ დამოკიდებულებას.

2. თანზიმათის რეფორმების მეორე პერიოდი

თანზიმათის რეფორმების მეორე პერიოდში გატარებული ღონისძიებები, უმეტესად, შეეხო საკანონდებლო სფეროს.

მიღებულ კანონმდებლობათა შორის მნიშვნელოვანი იყო 1858 წლის კანონი მიწისმფლობელობისა და მიწათსარგებლობის შესახებ. XIX საუკუნის 30-იან წლებში, სამხედრო-ლენური სისტემის გაუქმების შემდეგ, მიწათმფლობელობის რიგი საკითხი მოითხოვდა შემდგომ დაზუსტებასა და განმარტებას. ამ ახალი კანონით ყველა სადავო საკითხი მოწესრიგდა. 1858 წლის კანონი მიწისმფლობელობის შესახებ შედგებოდა შესავლის, სამი განყოფილებისა და 132 მუხლისაგან. კანონით დადგინდა მიწისმფლობელობის ხუთი კატეგორია: 1. მულქი, კერძო საკუთრებაში მყოფი მიწები. 2. მირიე, სახელმწიფო საკუთრების მიწები. 3. ვაკუფები, მეჩეთებისა და რელიგიურ დაწესებულებათა ხელთ მყოფი მიწები. 4. მეთრუკე, საზოგადოებრივ საკუთრებაში მყოფი მიწები. 5. მევათი, მკვდარი მიწები.

1859 წელს გამოიცა კანონი თაფუს შესახებ. ამ კანონის მიღებამ ხელი შეუწყო თიმარული სისტემის საბოლოოდ ლიკვიდაციას და ბურჟუაზიული სამართალწესების შემოღებას მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის სისტემაში. ამასვე ემსახურებოდა პორტას მიერ 60-იან წლებში ჩატარებული ღონისძიებები მიწისმფლობელობის უფლებების გაფართოების მიზნით.

1871 წელს გამოვიდა ბრძანებულება აშარის (მეათედი) გადასახადის აკრეფის წესის შესახებ.

ჩატარდა რეფორმა სისხლის სამართლის სფეროში. 1840 წელს ოსმალეთში მიიღეს სისხლის სამართლის კოდექსი. შემდგომ წლებში მასში შეიტანეს ზოგიერთი დამატებანი, მაგრამ ეს არ აღმოჩნდა საკმარისი. 1858 წელს მიიღეს სისხლის სამართლის ახალი კოდექსი, რომელიც შედგენილი იყო 1810 წლის საფრანგეთის ანალოგიური კოდექსის საფუძველზე, ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით. კოდექსში ჩაწერილი იყო, რომ კანონის წინაშე ყველა ქვეშევრდომი სარგებლობს თანასწორი უფლებით. კოდექსში დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი კერძო საკუთრების დაცვის უფლებებს.

1861 წელს პირველად ოსმალეთის ისტორიაში, მიიღეს პროცესუალური კოდექსი. 1860 წელს ოსმალეთის იმპერიის დედაქალაქში და ზოგიერთი პროვინციის ცენტრში გაიხსნა სპეციალური კომერციული სასამართლოები, რომლებიც არ ექვემდებარებოდნენ მუსლიმური სამართლის იურისდიქციას.

რეფორმები შეეხო ცენტრალური ხელისუფლების ორგანოებსაც. 1868 წელს შეიქმნა სახელმწიფო საბჭო. მას დაევალა მოემზადებინა სახელმწიფო კანონები და მთავრობის მნიშვნელოვანი დადგენილებები. მის შემადგენლობაში შეიყვანეს არამუსლიმი მოსახლეობის წარმომადგენლებიც. ამ საბჭოში მომზადდა მნიშვნელოვანი კანონპროექტები, რომლებიც ეხებოდა ქვეყნის ადმინისტრაციულ და სასამართლო სისტემას.

60-იან წლებში შეიქმნა ახალი სამინისტროები – იუსტიციის, გაანთლების, საზოგადოებრივი სამუშაოების, სავაკუფო საქმეების.

ყირიმის ომის შემდეგ გატარდა ახალი რეფორმები არმიაში. 1869 წელს გამოვიდა დადგენილება არმიის ფრანგულ ყაიდაზე მოწყობის შესახებ.

თანზიმათის რეფორმების დროს დიდი ყურადღება დაეთმო პროვინციული მმართველობის საკითხს. 1864 წელს გამოვიდა კანონი ვილაიეთების შესახებ, რომელიც შემდგომ შეივსო 1867 და 1871 წლების აქტებით. 1864 წლის კანონი აწესებდა ახალ ადმინისტრაციულ დაყოფას. ოსმალეთის იმპერია დაიყო ვილაიეთებად, სანჯაყებად, კაზებად და ნაჰიეებად. ყოველი ადმისტრაციული ერთეულის სათავეში იდგა: ვალი, მუტასარიფი, კაიმაკამი, მუდირი. სოფლებში ხელისუფლების წარმომადგენელი იყო მამასახლისი – მუხთარი.

1864 წლის კანონი ითვალისწინებდა ცენტრალური ხელისუფლების მკაცრ კონტროლს პროვინციების ადმინისტრაციულ საქმიანობაზე. კვლავ შეიქმნა სათათბირო ორგანო პროვინციის გუბერნატორთან – მეჯლისი, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ არა მარტო ოფიციალური თანამდებობის პირები, არამედ არჩეული წარმომადგენლებიც – მუსლიმური და არამუსლიმური მოსახლეობიდან. 60-70-იან წლებში დიდ ქალაქებში შეიქმნა მუნიციპალიტეტები.

1856 წლის ჰატი ჰუმაიუნმა დაადასტურა ის უფლება და შეღავათები, რომლითაც არამუსლიმური რელიგიური თემები სარგებლობდნენ. იმავე დროს შეტანილ იქნა სერიოზული ცვლილებები მათ სტრუქტურაში. თემის ხელმძღვანელობა, პატრიარქის ხელმძღვანელობით (ხოლო ებრაელთა თემში – რავინი) თავისუფლდებოდა სამოქალაქო მმართველობის ფუნქციისაგან. იგი დაკავებული უნდა ყოფილიყო მხოლოდ საეკლესიო საქმეებით. გათვალისწინებული იყო, რომ უმაღლესი სასულიერო პირები მიიღებდნენ ჯამაგირს სახელმწიფოსაგან, მათი თანამდებობისა და მდგომარეობის შესაბამისად. სამოქალაქო საქმეების მოსაგვარებლად ჰატი ჰუმაიუნი ითვალისწინებდა განსაკუთრებული საბჭოების შექმნას, რომლის წევრები არჩეული იქნებოდნენ თემის სასულიერო და სამოქალაქო პირებიდან. საბჭოები მოწოდებული იყვნენ არა მარტო განეხილათ ადმინისტრაციული საქმეები (სკოლა, საავადმყოფო, ბიბლიოთეკა და სხვ.), არამედ შეესრულებინათ სასამართლო ორგანოს ფუნქციებიც.

სულთნის ბრძანებულებით, შემუშავებულ იქნა სპეციალური რეგლამენტები, რომლითაც განისაზღვა არამუსლიმური რელიგიური თემების სტატუტი – ბერძნულ მართლმადიდებლური (1862 წ.), ბერძენ გრიგორიანთა თემისა (1860 წ.) და ებრაელთა თემისა (1864 წ.). ამიერიდან თემის სამოქალაქო საქმეებისათვის უნდა ეხელმძღვანელა თემის სამოქალაქო საბჭოს, თემის მეთაურთან ერთად. მაგრამ საბჭოები, ფაქტიურად, მოექცნენ სულთნის ადმინისტრაციის კონტროლის ქვეშ.

1856 წელს დაარსდა ოტომანის ბანკი, რომელიც 1863 წელს ოსმალეთის საიმპერიო ბანკად გადაკეთდა. მან მიიღო ბანკნოტების გამოცემის უფლება და სახელმწიფო ბანკის სხვა დამახასიათებელი ატრიბუტები. 1864 წლიდან სხვა ბანკებიც დაარსდა, უცხოური ფინანსური კაპიტალის მონაწილეობით.

რეფორმისტები დიდ ყურადღებას უთმობდნენ სწავლა-განათლების საქმეს, რაც, მათი აზრით, ოსმალეთის პროგრესის საწინდარი იქნებოდა. ჯერ კიდევ თანზიმათის რეფორმების პირველ პერიოდში ამ მიმართულებით გარკვეული ღონისძიებები განხორციელდა.

ყირიმის ომის შემდეგ, 1846 წელს მიღებული კანონი განაგრძობდა მოქმედებას, მაგრამ ნაკლებად ეფექტური იყო. ოფიციალური მონაცემებით, 1864 წელს ოსმალეთში იყო 15071 დაწყებითი და საშუალო სკოლა, მათგან დედაქალაქში – 289, რომლებშიც სწავლობდა 660 ათასი მოწაფე. აქედან დაწყებითი სკოლა იყო – 12509, მოსწავლეთა

რიცხვი შეადგენდა 524771. 1867 წელს იყო 11008 დაწყებითი სკოლა, აქედან მოსწავლე ვაჟები – 242017, გოგონები – 126455.

სწავლისადმი განსაკუთრებით აქტიურობას იჩენდნენ არამუსლიმები.

რეფორმატორები დაინტერესებული იყვნენ გაეხსნათ სპეციალური სასწავლებლები მოსახლეობის მომსახურების მიზნით.

1862-1874 წლებში გაიხსნა სკოლა, რომელიც ამზადებდა საკანცელარიო მოხელეებს (1862 წ), უცხო ენების სკოლა, თარჯიმანთა მოსამზადებლად (1864 წ.), სამოქალაქო სამედიცინო სასწავლებელი (1867 წ.), გემის კაპიტნებისა და მექანიკოსთა მოსამზადებელი სკოლა (1870 წ.), ქალთა პედაგოგიური სკოლა (1871 წ.), სამოქალაქო ინჟინრების მოსამზადებელი (1874 წ.). ეს სკოლები იყო გარდამავალი საფეხური – საშუალო და უმაღლეს სკოლებს შორის.

60-იან წლებიდან დაიწყო პროფესიონალური სკოლების გახსნა ღარიბი ბავშვებისათვის, რომელშიაც ასწავლიდნენ სხვადასხვა ხელობას.

1867 წელს აბდულ-მეჯიდმა იმოგზაურა პარიზსა და ევროპის სხვა ქალაქებში და გადაწყვიტა ევროპული ტიპის ლიცეუმი გაეხსნა თავის ქვეყანაში.

1868 წელს სტამბოლში გალათას რაიონში გაიხსნა სულთნის ლიცეუმი – ფრანგული ტიპისა. შემუშავდა მისი რეგლამენტი: 1. ლიცეუმში მიიღებდნენ ოსმალეთის ყველა ქვეშევრდომს, განურჩევლად რელიგიური კუთვნილებისა. 2. სწავლება ფრანგულ ენაზე იქნებოდა. 3. ლიცეუმის მმართველობასა და სწავლების პროცესს უხელმძღვანელებდნენ ფრანგები. სწავლების ვადა ხუთი წელი იყო. ლიცეუმში მიიღებდნენ 9-13 წლის ბავშვებს. ფრანგული ენის უცოდინართათვის გაიხსნა სამწლიანი მოსამზადებელი კურსები.

პირველ წელს ამ ლიცეუმში ჩარიცხეს 341 მოსწავლე, აქედან 147 მუსლიმი, 48 სომეხი, 36 – ბერძენი, 34 – ებრაელი, 34 – ბულგარელი, 23 – კათოლიკე-ლუთერანი და სხვ. მოსწავლეთა უმრავლესობას შეადგენდნენ არათურქები.

1870 წელს გაიხსნა უნივერსიტეტი, რომელშიც მიიღეს 450 სტუდენტი. უნივერსიტეტს არ ჰყავდა პედაგოგები, არ ჰქონდა სახელმძღვანელოები და ერთი წლის ბოლოს იგი დაიხურა. 1874 წელს უნივერსიტეტმა განაახლა თავისი მუშაობა, მაგრამ შეზღუდული მასშტაბით. ამ დროს უნივერსიტეტში იყო მხოლოდ ერთი ფაკულტეტი – იურიდიული.

1851 წელს გაიხსნა ენჯუმენ დანიში, რომელიც მეცნიერებათა აკადემიის ფუნქციას ასრულებდა, მაგრამ 11 წლის შემდეგ მან შეწყვიტა თავისი საქმიანობა.

უფრო წარმატებით მუშაობდნენ სხვადასხვა სამეცნიერო საზოგადოებები, ინგლისის სამეფო საზოგადოებების მსგავსი. ამ საზოგადოებამ მიზნად დაისახა მეცნიერებისა და ცოდნის გავრცელება, სამეცნიერო შრომების პუბლიკაცია, უცხო ენებიდან სამეცნიერო შრომების თარგმნა, საჯარო ლექციების წაკითხვა.

1862 წლიდან დაიწყო ყოველწლიური სამეცნიერო ჟურნალის გამოცემა. იგი აქვეყნებდა წერილებს ევროპის ქვეყნებში მეცნიერების მიღწევების შესახებ.

1861 წელს შეიქმნა „ნატიფი ლიტერატურის მოყვარულთა საზოგადოება“, რომელიც აგრეთვე გამოსცემდა თავის ჟურნალს.

1865 წელს დაარსდა „ოსმალეთის სამედიცინო საზოგადოება“. მან დიდად შეუწყო ხელი ოსმალეთში სამედიცინო ცოდნის გავრცელებას. მასაც ჰქონდა თავისი ჟურნალი. დაარსდა სხვა სამეცნიერო საზოგადოებები, რომლებსაც ჰქონდათ თავიანთი ბეჭდვითი ორგანოები.

დიდად გავრცელდა ორიგინალური და ნათარგმნი ლიტერატურის გამოცემა ოსმალეთისა და მსოფლიო ისტორიის დარგში.

1865 წელს განათლების სამინისტროსთან შეიქმნა სპეციალური კომიტეტი, სამეცნიერო წიგნების და მხატვრული ლიტერატურის პუბლიკაციის მიზნით, როგორც თურქული, ასევე უცხო ენებიდან.

ამ ღონისძიებამ ხელი შეუწყო განათლების გავრცელებას, მეცნიერებისა და საგამომცემლო საქმის წინსვლას.

60-იანი წლებიდან თურქულ ენაზე ითარგმნა და დაიბეჭდა ევროპელ კლასიკოს მწერალთა ნაწარმოებები.

1860 წლიდან დაიწყო გამოსვლა გაზეთმა „თერჯუმან-ი აჰვალ“ („ამბების განმარტება“). ეს გაზეთი გახდა ცენტრი, რომლის გარშემო იკრიბებოდნენ ყველაზე მოწინავე ადამიანები, საზოგადო მოღვაწეები, მწერლები. ამ გაზეთში აქტიურად მოღვაწეობდა გამოჩენილი რეფორმატორი, პუბლიცისტი და მწერალი იბრაჰიმ შინასი და სხვ.

თანდათანობით ოსმალეთში იზრდებოდა გაზეთების რიცხვი. 70-იანი წლების დამდეგს სტამბოლში გამოდიოდა 47 გაზეთი, აქედან 13 თურქულ ენაზე, დანარჩენი არაბულ, სპარსულ, ბერძნულ, სომხურ და ევროპულ ენებზე. დიდ პროვინციულ ცენტრებში გამოდიოდა გაზეთები თურქულ და სხვა ენებზე.

რეფორმატორებს კარგად ესმოდათ ბიბლიოთეკების მნიშვნელობა ხალხის მასებში განათლების გავრცელების საქმეში. ისინი ყოველნაირად უწყობდნენ ხელს ბიბლიოთეკების გახსნას.

განმანათლებლურ მოძრაობაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა 1858 წელს სტამბოლში დაარსებულმა თურქულმა ეროვნულმა თეატრმა.

1840 წლიდან სტამბოლში კონცერტები იმართებოდა ევროპელი მსახიობების მონაწილეობით. 1840 წლიდან დაიწყო ოპერეტებისა და ოპერების დადგმა, უცხოელი მსახიობების მონაწილეობით.

თანზიმათის რეფორმების შედეგად მოხდა გარკვეული დადებითი ძვრები ქვეყნის პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ, ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. მაგრამ მიღებული შედეგები არ შეესაბამებოდა ქვეყნის მოთხოვნებს. ამიტომ უკმაყოფილება სულთნისა და მთავრობის მიმართ იზრდებოდა სხვადასხვა სოციალურ ფენაში.

თავი VII

ოპოზიციური მოძრაობა ოსმალეთში

1. 1859 წლის „კულელის შეთქმულება“[1]

ოსმალეთის მუსლიმური საზოგადოება მეტად უკმაყოფილო იყო თანზიმათის რეფორმებით. საქმე იქამდე მივიდა, რომ ხოჯები ზოგჯერ მეჩეთებშიც კი აშკარად აკრიტიკებდნენ სულთანსა და მის მთავრობას. საულიერო პირები უკმაყოფილოები იყვნენ 1856 წელს სულთნის მიერ გამოცემული ჰატი ჰუმაიუნით.

სულთანი თავისი მოქმედებით კიდევ უფრო მეტად აღიზიანებდა ოსმალეთის მოსახლეობის სხვადასხვა ფენებს. დიდი თანხები იხარჯებოდა სულთნის სასახლის, ჰარამხანის შესანახავად და სხვადასხვა გასართობის მოსაწყობად. ასე მაგალითად, სულთანმა ყირიმის ომის დროს თავისი ქალიშვილი მიათხოვა მუსტაფა რეშიდ ფაშას ვაჟს. მათი ქორწილი დაჯდა 2 მილიონი ოქროს ლირა.

ოსმალეთის სასულიერო წრეებში, ოფიცერთა ნაწილში, მოხელეთა სასულიერო წრეებში, მოხელეთა შორის მწიფდებოდა აზრი, რომ საჭირო იყო გადაეყენებინათ სულთანი აბდულ-მეჯიდი და მისი მთავრობა და ტახტზე აეყვანათ სულთნის ძმა აბდულ-აზიზი. ამ მიზნით 1859 წელს შეიქმნა საიდუმლო ორგანიზაცია, რომელმაც მიზნად დაისახა სულთნისა და მთავრობის შეცვლა. ამავე დროს ამ ორაგნიზაციის წევრებს სურდათ გაეუქმებინათ ის ახალი წესები და რეფორმები, რომელიც გატარდა ქვეყანაში 1839 და 1856 წლების ჰატი ჰუმაიუნის საფუძველზე.

სასულიერო წოდების წარმომადგენლები განსაკუთრებით აღშფოთებული იყვნენ იმით, რომ მუსლიმები და არამუსლიმები გათანასწორებული იყვნენ უფლებებში, რაც, მათი აზრით, ეწინააღმდეგებოდა შარიათის პრინციპებს.

საიდუმლო ორგანიზაციის შექმნის ინიციატორი იყო ხოჯა შეიხ ჰამედ ეფენდი. მან თავისი აზრები გაუზიარა ჰუსეინ დამად ფაშას, რომელმაც სახელი გაითქვა ყირიმის ომის დროს და იყო რუმელიის არმიის ერთ-ერთი დივიზიის გენერალი, წარმოშობით ჩეჩენი. იგი დიდი გავლენით სარგებლობდა არმიაში. ორივენი სათავეში ჩაუდგნენ ამ საიდუმლო ორგანიზაციას. ჰუსეინ ფაშა ცდილობდა ამ ორგანიზაციაში სხვების ჩაბმასაც. შეთქმულების მონაწილენი ფიქრობდნენ, რომ ჰუსეინ ფაშა თავის რიგებში მიიმხრობდა მოხალისე ჩერქეზებს, რომლებიც ამ დროს რუსეთიდან დიდი რაოდენობით ჩავიდნენ ოსმალეთში.

ამ ორგანიზაციის აქტიური წევრი იყო არიფ ბეი, არტილერიის არსენალის მეთაური. აქტიური და გამოჩენილი წევრი იყო, აგრეთვე, გენერალი ჯაფარ ფაშა ალბანელი. მან თურქული წერა-კითხვა არ იცოდა და ბერძნულად აწერდა ხელს, მას მხარს უჭერდნენ ალბანელები.

აღსანიშნავია, რომ ამ საიდუმლო ორგანიზაციის ხელმძღვანელ წევრებზე გავლენა მოახდინა შამილის ბრძოლამ, რომელსაც იგი ამ დროს მეფის რუსეთის წინააღმდეგ ეწეოდა.

ნახევარი წლის განმავლობაში ამ ორგანიზაციის წევრები აწარმოებდნენ მუშაობას ახალი წევრების მიღების მიზნით. ძირითადად ამ ორგანიზაციის წევრები იყვნენ

[1] კულელი – ყაზარმაა, სადაც იმყოფებოდნენ შეთქმულების მონაწილეები და იქ ჩატარდა მათი დაკითხვა და გასამართლება.

სასულიერო პირები, ოფიცრები, ჯარისკაცები, მედრესეს მოსწავლეები, წვრილი მოხელეები. შეთქმულებს არ ჰქონდათ სერიოზული დასაყრდენი ხალხის მასებში, ამის გამო მთავრობამ ადვილად შეძლო მათი ლიკვიდაცია.

საიდუმლო ორგანიზაციამ იარსება 4-5 თვე. იგი გასცა ჰასან ფაშამ. ამ ორგანიზაციის წევრები, 41 კაცი, 1859 წლის 14 სექტემბერს დააპატიმრეს. შემდეგ ისინი გაასამართლეს და 4 ხელმძღვანელს სიკვდილის განაჩენი გამოუტანეს, დანარჩენებს კი სხვადასხვა წლით პატიმრობა.

კულელის შეთქმულება, უპირველესად ყოვლისა, მიმართული იყო თანზიმათის რეფორმების წინააღმდეგ და თავისი ხასიათით რეაქციული იყო.

2. „ახალგაზრდა ოსმალთა საზოგადოება“

XIX საუკუნის 60-70-იან წლებში ოსმალეთში თანდათანობით ძლიერდებოდა უკმაყოფილება თანზიმათის რეფორმებითა და ქვეყანაში შექმნილი მძიმე მდგომარეობით. საზოგადოების მოწინავე ნაწილი ცდილობდა გამოენახა ამ მდგომარეობიდან გამოსვლის გზები. ამ იდეების გამომხატველი გახდა ახალგაზრდა ინტელიგენცია, წარმოშობით ფეოდალურ-ბიუროკრატიული, ხოლო თავიის მრწამსით – უკვე ბურჟუაზიული. ეროვნული ინტელიგენციის წრიდან გამოვიდნენ ის მოწინავე ადამიანები, რომლებსაც წილად ხვდათ ყოფილიყვნენ თურქი განმანათლებლები, კონსტიტუციური მოძრაობის დამწყებნი და ორგანიზატორები. 60-იან წლებში ბევრმა მათგანმა ოსმალეთსა და ევროპაში მიიღო განათლება, გაეცნო დასავლეთის კულტურას, მის პოლიტიკურ და იდეოლოგიურ ცხოვრებას, სახელმწიფოს მმართველობას, ეკონომიკურ მდგომარეობას.

ამ მოძრაობის გამოჩენილი წარმომადგენლები იყვნენ ლიტერატორები, პუბლიცისტები და მეცნიერები: საფრანგეთის 1848 წლის რევოლუციის მონაწილე იბრაჰიმ შინასი, პოეტი, დრამატურგი, მწერალი და პუბლიცისტი, ახალი თურქული ლიტერატურის ერთ-ერთი ფუძემდებელი – ნამიქ ქემალი, ზია ფაშა, ალი სუვარი და სხვ.



ზია ბეი

ამ ჯგუფის წარმომაგდენელმა იბრაჰიმ შინასიმ 1860 წელს დააარსა პირველი თურქული არაოფიციალური გაზეთი „თერჯუმან-ი აჰვალ“ („ამბების განმარტება“), ხოლო 1862 წელს კი – „თასვერ-ი ეფქიარ“ („აზრების გამოხატვა“), რომელითაც საფუძველი ჩაეყარა თურქულ პრესას. 1865 წელს შინასის პარიზში გამგზავრების შემდეგ ამ გაზეთის ხელმძღვანელი გახდა ნამიქ ქემალი.

„ახალგაზრდა ოსმალების“ მთავარი ორგანიზატორი და საზოგადოების მისწრაფებების გამომხატველი იყო ნამიქ ქემალი. წარმოშობით არისტოკრატი. იგი აგრეთვე დიდ ყურადღებას უთმობდა მწერლობას, იყო თურქული დრამატურგიის ფუძემდებელი და ენის რეფორმატორი.

1865 წელს მათ დააარსეს „ახალგაზრდა ოსმალთა საზოგადოება“. ეს იყო ფარული

პოლიტიკური ორგანიზაცია, რომლის წესდებას საფუძვლად დაედო იტალიის საიდუმლო რევოლუციური ორგანიზაციის კარბონარიების წესდება. ორგანიზაციის წევრები დაყოფილი იყვნენ ჯგუფებად. თითოეული ჯგუფი შედგებოდა 7 წევრისაგან, რომლის სათავეში იდგა რეისი. ამ უკანასკნელს კავშირი ჰქონდა დანარჩენ სხვა რეისებთან, მაგრამ არ იცნობდა „შვიდეულის“ არცერთ წევრს. რეისებზე საერთო ხელმძღვანელობას ახორციელებდა ომერ ფაშა.

ამ საზოგადოების წევრთა საერთო რიცხვი 250 კაცს შეადგენდა. საზოგადოების ორგანიზატორთა შორის იყვნენ იბრაჰიმ შინასი, ნამიქ ქემალი, ზია ბეი, ალი სუვარი, ომერ ფაშა (ყირიმის ომის დროს ოსმალეთის ჯარების მთავარსარდალი ევროპაში) და სხვ.



იბრაჰიმ შინასი

საზოგადოების ორგანიზატორთა შორის უმთავრესად 20-30 წლის ახალგაზრდები იყვნენ. იმ დროს ნამიქ ქემალი 23 წლის იყო, ალი სუვარი – 37 წლის. ხოლო ყველაზე ასაკოვანი ზია ბეი – 40 წლისა.

აქედან მომდინარეობს ორგანიზაციის სახელწოდება („Genç Osmanllar Cemiyeti“) „ახალგაზრდა ოსმალთა საზოგადოება“. რუსულ საისტორიო ლიტერატურაში ამ საზოგადოებას, რატომღაც, „ახალ ოსმალებს“ უწოდებენ.

„ახალგაზრდა ოსმალთა საზოგადოებამ“ დაახლოებით 7 წელი იარსება – 1865 წლის ივნისიდან 1873 წლის გაზაფხულამდე. მათი მოღვაწეობა სამ ეტაპად იყოფა: 1. საზოგადოების დაარსებიდან (1865 წ), ემიგრაციამდე (1867 წ.). ამ ეტაპზე მათ არ ჰქონდათ ჩამოყალიბებული პროგრამა და მიზნის მისადწევად შეთქმულებას მიმართავდნენ. 2. 1867-1870 წლები. ახალგაზრდა ოსმალთა საქმიანობა მიმდინარეობდა ემიგრაციაში. ამ პერიოდში ჩამოყალიბდა მათი პოლიტიკური პროგრამა. ისინი მოითხოვდნენ აბსოლუტიზმის შეზღუდვას კონსტიტუციური მონარქიის დამყარებით. ამ წლებში მათ დაიწყეს კონსტიტუციური იდეების პროპაგანდა პრესის საშუალებით. 3. 1870 წლის ბოლოდან – 1873 წლის დასაწყისამდე. ემიგრაციიდან სამშობლოში დაბრუნება და თავიანთი იდეების პოპულარიზაცია საკუთრივ ოსმალეთის პრესისა და ლიტერატურული ნაწარმოებების მეშვეობით.

„ახალგაზრდა ოსმალთა საზოგადოების“ წევრებმა შეიმუშავეს შეთქმულების გეგმა: უნდა გადაეყენებინათ ალი ფაშას მთავრობა და სულთნისაგან მოეთხოვათ განეხორციელებინა მთელი რიგი ღონისძიებები ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით. თუ სულთანი უარს იტყოდა, მაშინ ისინი აიძულებდნენ აბდულ-აზიზს გადამდგარიყო და გაამეფებდნენ უფლისწულ მურადს, რომელიც მასებსა და ახალგაზრდა ოსმანებს შორის დიდი პოპულარობით სარგებლობდა. მაგრამ ახალგაზრდა ოსმალებმა ვერ განახორციელეს თავიანთი გეგმა, რადგან ისინი გასცეს. ამას მოჰყვა მასობრივი დაპატიმრებები. სულთნის მთავრობამ დახურა მათი გაზეთები, ხოლო ნამიქ ქემალი, ზია ბეი და სხვები იძულებული გახდნენ საზღვარგარეთ ემიგრაციაში წასულიყვნენ.

ახალგაზრდა ოსმალთა მოღვაწეობის მეორე ეტაპი ყველაზე ნაყოფიერი იყო. მათ განსაკუთრებით აქტიური საქმიანობა გაშალეს პარიზში. 1867 წელს პარიზში თურქულ ენაზე გამოვიდა გაზეთი „ჰურიეთი“ („თავისუფლება“), რომლის დამაარსებელი და რედაქტორი იყო ნამიქ ქემალი. მალე მათ თავიანთი მოღვაწეობა გაშალეს აგრეთვე ლონდონსა და ჟენევაში.

ახალგაზრდა თურქებს დიდ ფინანსურ დახმარებას უწევდა მუსტაფა ფაზილ ფაშა, ეგვიპტის ხედივის ძმა, რომელიც პარიზში ცხოვრობდა და მეტად მდიდარი პიროვნება იყო.

ემიგრაციაში ცხოვრებამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ახალგაზრდა ოსმალთა იდეურ-პოლიტიკური შეხედულებების ჩამოყალიბებაში. ისინი გაეცნენ საფრანგეთის მოწინავე მწერლების რუსოს, ვოლტერის, მონტესკიეს, ჰიუგოს და სხვათა ნაწარმოებებს. ნამიქ ქემალმა და ზია ბეიმ თარგმნეს მათი თხზულებები თურქულად და გააცნეს ოსმალეთის ინტელიგენციას.



ახალგაზრდა ოსმალების მიერ ევროპაში გამოცემული გაზეთები

გაზეთი „ჰურეითი“ გახდა ახალგაზრდა ოსმალების საზოგადოების ორგანო. სწორედ ამ გაზეთის ფურცლებზე ჩამოყალიბდა შემდეგი პოლიტიკური მოთხოვნები: ოსმალეთის იმპერია გამხდარიყო კონსტიტუციურ-მონარქიული სახელმწიფო, სულთნის უფლებები შეზღუდულიყო კონსტიტუციითა და პარლამენტით, ერთმანეთისაგან გამიჯნულიყო საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება. ამ მოძრაობის წევრები ამავე დროს ცდილობდნენ თეორიულად დაესაბუთებინათ, რომ კონსტიტუციის თანაარსებობა სავსებით შეესაბამება მუსლიმური სამართლის ნორმებს.

ახალგაზრდა ოსმალების აზრით, საჭირო იყო ბრძოლა ოსმალეთში კონსტიტუციური მონარქიის შემოღებისათვის, რადგანაც ამ გზით გაკეთდებოდა ის, რისი გაკეთებაც ვერ შეძლეს რეფორმების მეშვეობით.

ნამიქ ქემალი აგრეთვე აკრიტიკებდა მთავრობის პოლიტიკას სოფლის მეურნეობისა და ეკონომიკის დარგში. იგი აღნიშნავდა, რომ სოფლის მეურნეობის დაცემა გამოწვეულია მთავრობის არამართებული საგადასახადო პოლიტიკითა და გლეხების უზომო ექსპლუატაციით. უკანასკნელი 20-30 წლის განმავლობაში ხელოსნური მრეწველობა მოიშალა. ამის მიზეზია ის, წერს ნამიქ ქემალი, რომ ევროპის სახელმწიფოებს მიეცათ უფლება თავისუფლად შემოიტანონ თავიანთი საქონელი ოსმალეთის ტერიტორიაზე და ამით მოშალონ ადგილობრივი წარმოება.

ამგვარ კრიტიკულ წერილებს ბეჭდავდნენ ალი სუვარი, ზია ბეი და სხვ.

ახალგაზრდა ოსმალები განსაკუთრებით მკაცრად აკრიტიკებდნენ პორტას ფინანსურ პოლიტიკას და პირადად ალი ფაშასა და ფუად ფაშას, რომლებიც კრიზისიდან გამოსავალს აპირებდნენ დასავლეთის ქვეყნებიდან ახალი სესხების აღების გზით.

ახალგაზრდა ოსმალების მიერ გაზეთებში დაბეჭდილი კრიტიკული წერილები არალეგარულად ვრცელდებოდა ოსმალეთში.

სულთნის მთავრობამ ნათლად დაინახა, რომ ახალგაზრდა ოსმალების საქმიანობა ოსმალეთის მთავრობას სახელს უტეხდა არა მარტო ქვეყნის შიგნით, არამედ ევროპაშიც. ამიტომ პორტამ ახალგაზრდა ოსმალებს წინადადება შესთავაზა დაბრუნებულიყვნენ სამშობლოში და იქ გაეგრძელებინათ თავიანთი საქმიანობა, პორტა ჰპირდებოდა, რომ მათ მიმართ არ მიმართავდა რეპრესიებს.



ნამი ქემალი

1870 წლის ბოლოდან ახალგაზრდა ოსმალები დაბრუნდნენ ემიგრაციიდან სამშობლოში და სტამბოლში განაახლეს თავიანთი მოღვაწეობა. უკვე 1872 წლის იანვრიდან ნამიქ ქემალმა დაიწყო გაზეთ „იბრეთის“ („დარიგება“) გამოცემა, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა ახალგაზრდა ოსმალების კონსტიტუციური იდეების გავრცელების საქმეში. გაზეთი ბეჭდავდა მთავრობის მიმართ კრიტიკულ წერილებს, ეწეოდა თავისუფლებისა და კონსტიტუციური იდეების პროპაგანდას. გაზეთის პოპულარობა დღითიდღე იზრდებოდა, რამაც შეაშფოთა მთავრობა. 1873 წლის მარტის ბოლოს პორტამ აკრძალა გაზეთის გამოცემა და ნამიქ ქემალი კუნძულ კვიპროსზე გადაასახლა. აიკრძალა მისი პიესებიც. მასთან ერთად სტამბოლიდან გაასახლეს სხვა ჟურნალისტები და პუბლიცისტები, ახალგაზრდა ოსმალების მომხრეები და 1873 წლის გაზაფხულიდან მათი საქმიანობა შეწყდა.

ახალგაზრდა ოსმალების მოღვაწეობას უქმად არ ჩაუვლია. 1876 წლიდან, როდესაც ოსმალეთში ახალი ძალით კვლავ დაიწყო გამოსვლები, მათი ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა იყო ქვეყანაში კონსტიტუციური მონარქიის დამყარება.

3. ბრძოლა კონსტიტუციის შემოღებისათვის

1875 წლის დამდეგისათვის ოსმალეთის ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა. ამ დროისათვის ოსმალეთის სახელმწიფო ვალმა 5,3 მილიარდ ფრანკს მიაღწია. ამ თანხიდან მას, ფაქტიურად, აღებული ჰქონდა ნახევარზე ცოტა მეტი – 3 მილიარდი ფრანკი. დანარჩენი თანხა შეადგენდა პროცენტებს. ოსმალეთს არ შეეძლო ვალის გადახდა და ნაწილობრივი ბანკროტობა გამოაცხადა.

ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებამ გამოიწვია ხალხის მასების გამოსვლა ხელისუფლების წინააღმდეგ.

1875 წლის მაისში ჰერცოგოვინაში და ცოტათი უფრო გვიან ბოსნიაში იფეთქა საყოველთაო აჯანყებამ ოსმალთა ბატონობის წინააღმდეგ. 1876 წლის აპრილში ანტიოსმალური გამოსვლები დაიწყო აგრეთვე ბულგარეთში, სერბიასა და მაკედონიაში.

მაკედონიაში გამოსვლების დროს სალონიკში მოკლეს საფრანგეთისა და გერმანიის კონსულები. 13 მაისს რუსეთის, ავსტრიისა და გერმანიის წარმომადგენლებმა ოსმალეთის მთავრობას გაუგზავნეს „მემორანდუმი“ და მოითხოვეს შეეწყვიტა აჯანყებულთა წინააღმდეგ ომი, დაზავებოდა მათ და ჩაეტარებინა რეფორმები.

ოსმალეთის იმპერია აღმოჩნდა ევროპის სახელმწიფოების მხრიდან მის საშინაო საქმეებში ჩარევის საფრთხის წინაშე.

ასეთ ვითარებაში ოსმალეთში ძლიერდება კონსტიტუციური მოძრაობა, რომელსაც სათავეში ჩაუდგა მითჰათ ფაშა. მითჰათ ფაშა დაიბადა 1822 წელს, სტამბოლში, განათლება მიიღო სტამბოლსა და პარიზში. იცოდა არაბული, სპარსული, ფრანგული ენები. იგი ახლო ურთიერთობაში იყო მუსტაფა რეშიდ ფაშასთან. 1861-1865 წლებში იყო ნიშის ვილაიეთის გუბერნატორი, ხოლო 1865-1868 წლებში – ტუნას (რუმელიაში). 1868-1869 წლებში იყო სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე, შემდეგ ბაღდადის ვილაიეთის გამგებელი. 1872 წელს მითჰად ფაშა დანიშნეს დიდ ვეზირად, მაგრამ სულთან აბდულ-აზიზთან უთანხმოების გამო სამი თვის შემდეგ განთავისუფლებულ იქნა.

ამ პოსტებზე ყოფნისას მან თავი გამოიჩინა ენერგიული საქმიანობით. მითჰათ ფაშა იცავდა ლიბერალი მემამულეებისა და ახლად ჩამოყალიბებული ეროვნული ბურჟუაზიის ინტერესებს. მითჰათ ფაშა მომხრე იყო კონსტიტუციის შემოღებისა და რეფორმების გატარებისა, რათა ამ გზით შეეჩერებინა იმპერიის დაშლის პროცესი.

სულთანი მზად იყო დაეკმაყოფილებინა ევროპის სახელმწიფოების მოთხოვნები იქ რეფორმების ჩატარების შესახებ, მაგრამ აჯანყებულებმა მოითხოვეს ოსმალეთის ჯარების გაყვანა და თავიანთი მმართველობის შემოღება.

ევროპის დიდი სახელმწიფოების ოსმალეთის საშინაო საქმეებში ჩარევამ და სულთნის ხელისუფლების უუნარობამ გააძლიერა სტამბოლში თურქული მოსახლეობის უკმაყოფილება.

კონსტიტუციის მომხრეები მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლაში დაუკავშირდნენ ფეოდალურ-კლერიკალურ წრეებს, სტამბოლის მედრესეების მოსწავლეებს – სოფტებს.

1876 წლის 9 მაისს ბაიაზის მოედანზე თავი მოიყარა 5 ათასმა სოფტმა, მათმა მასწავლებლებმა და სტამბოლის სხვადასხვა მეჩეთის ხოჯებმა. მათ მოითხოვეს გადაეყენებინათ დიდი ვეზირი მაჰმუდ ნედიმ ფაშა, შეიხულ-ისლამი ჰასან ფეჰმიდ ეფენდი და სხვა დიდმოხელეები. ისინი აგრეთვე მოითხოვდნენ დიდ ვეზირად დაენიშნათ მითჰათ ფაშა. სულთანი იძულებული გახდა დაეკმაყოფილებინა მათი მოთხოვნა, მაგრამ დიდ ვეზირად დანიშნა მეჰმედ რუშთუ ფაშა, ხოლო მითჰათ ფაშამ ახალ მთავრობაში დაიკავა უპორტფელო მინისტრის თანამდებობა. ქალაქში მღელვარება გრძელდებოდა და დემონსტრანტები მოითხოვდნენ კონსტიტუციის შემოღებას. აჯანყებულებმა ალყა შემოარტყეს სულთნის სასახლეს.

1876 წლის 30 მაისს შეიხულ-ისლამის სანქციით სულთანი აბდულ-აზიზი გადააყენეს და გაამეფეს მურად V, ხოლო რამდენიმე დღის შემდეგ აბდულ-აზიზი მოკლეს.

ახალი სულთანი, რომელიც აბდულ-აზიზის დროს წლების განმავლობაში სასტიკ იზოლაციაში იმყოფებოდა, დიდ იმედებს აძლევდა მითჰათ ფაშასა და მის მომხრეებს. შეთქმულებაში მონაწილე ახალგაზრდა ოსმალების მომხრეებს და მის ლიდერს მითჰათ ფაშას იმედი ჰქონდათ, რომ ისინი შესძლებდნენ დაეყოლიებინათ სულთანი შემოეღო კონსტიტუცია. მაგრამ ეს არ მოხდა. ახალი სულთანი დაკმაყოფილდა ახალგაზრდა ოსმალების ამნისტიით. ნამიქ ქემალი და სხვა გამოჩენილი კონსტიტუციის მომხრეები პატიმრობიდან გაანთავისუფლეს და დედაქალაქში დააბრუნეს.

1876 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე ბრძოლა კონსტიტუციის შემოღებისათვის გრძელდებოდა. მითჰათ ფაშა კვლავ დანიშნეს სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარედ. მან შეიმუშავა ახალი კონსტიტუციის პროექტი. მალე ახალ სულთანს მურად V-ს აღმოაჩნდა სულით ავადმყოფობის ნიშნები, რის გამოც მან ვეღარ

შეძლო თავისი მოვალეობის შესრულება. საჭირო გახდა მისი გადაყენება და ტახტზე ახალი სულთნის აყვანა კონსტიტუციის მომხრეებმა არჩევანი შეაჩერეს მურად V-ის ძმაზე აბდულ-ჰამიდზე, რომელიც თავს ასაღებდა რეფორმებისა და კონსტიტუციის მომხრედ.

1876 წლის 31 აგვისტოს, უმაღლესი სამღვდელოების თანხმობით, მურად V-ე გადააყენეს და ტახტზე აიყვანეს აბდულ-ჰამიდ II (1876-1909), რომელმაც საზეიმოდ პირობა დადო, რომ შემოიღებდა კონსტიტუციას. ახალმა სულთანმა ტახტის შენარჩუნების მიზნით თავი გაასაღა კონსტიტუციის მომხრედ.



მითჰად ფაშა

1876 წლის 12 ოქტომბერს, ხანგრძლივი ბრძოლის შედეგად, სულთანი დათანხმდა შექმნა კომისია კონსტიტუციის პროექტის შესამუშავებლად. კომისია შედგებოდა 28 წევრისაგან. მის თავმჯდომარედ დანიშნეს მითჰად ფაშა. მისი მოთხოვნით, კომისიის შემადგენლობაში შეიყვანეს ნამიქ ქემალი და ზია ბეი.

ნოემბერში კომისიამ დაამთავრაქ მუშაობა და კონსტიტუციის პროექტი წარუდგინა სულთანს. ეს პროექტი ითვალისწინებდა ორ პალატიანი პარლამენტის შემოღებას. აბდულ-ჰამიდმა ჩათვალა, რომ კონსტიტუცია საკმარისად არ უზრუნველჰყოფს სუზერენის უფლებებს და მოითხოვა პროექტის გადასინჯვა სულთნის პრეროგატივების გაფართოების მიზნით.

ამ დროს კიდევ უფრო გამწვავდა ოსმალეთის პოლიტიკური მდგომარეობა. 1876 წლის ივნისის ბოლოსა და ივლისის დასაწყისში სერბიამ და ჩერნოგორიამ მხარი დაუჭირეს აჯანყებულ ბოსნიელებსა და ჰერცოგოვინელებს. თუმცა ოსმალებმა აჯანყებულების წინააღმდეგ გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს, მაგრამ მდგომარეობა ძალზე გართულდა. რუსეთის წინადადებით, ევროპის წამყვანმა სახელმწიფოებმა გადაწყვიტეს სტამბოლში მოეწვიათ კონფერენცია ბალკანეთში შექმნილი მდგომარეობის განსახილველად. 11 დეკემბერს სტამბოლში დაიწყო წინასწარი მოლაპარაკებები ინგლისის, საფრანგეთის, გერმანიის, ავსტრია-უნგრეთის, იტალიისა და რუსეთის წარმომადგენლების მონაწილეობით. ბოსნიას, ჰერცოგოვინასა და ბულგარეთს უნდა მიეღოთ ავტონომია კონფერენციაში მონაწილე სახელმწიფოების ზედამხედველობის ქვეშ. კონფერენციის ოფიციალური გახსნა უნდა მომხდარიყო 23 დეკემბერს.

ასეთ ვითარებაში აბდულ-ჰამიდ II-მ ნება დართო შემოეღოთ კონსტიტუცია. 19 დეკემბერს მითჰათ ფაშა დაინიშნა დიდ ვეზირად. ამასთანავე სულთანმა მიაღწია იმას, რომ კონსტიტუციის 113-ე მუხლით მას მიეცა უფლება მისთვის არასასურველი პიროვნება გაეძევებინა იმპერიის ფარგლებიდან.

4. 1876 წლის ოსმალეთის პირველი კონსტიტუცია

1876 წლის 23 დეკემბერს, როდესაც მიმდინარეობდა ევროპის სახელმწიფოების წარმომადგენლების პლენარული სხდომა, საარტილერიო სალუტის ხმამ კონფერენციის მონაწილეებს და იმპერიის ქვეშევრდომებს აუწყა კონსტიტუციის მიღება. კონსტიტუციის საზეიმო გამოქვეყნებას კონფერენციის მსვლელობის დროს უნდა მოჰყოლოდა კონფერენციის ჩაშლა. ეს საარტილერიო სალუტი, განუცხადა ოსმალეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა კონფერენციის მონაწილეებს, მოასწავებს სულთნის წყალობას, კონსტიტუციის ბოძებას იმპერიის ქვეშევრდომებისათვის. ამ აქტით ოსმალეთის ისტორიაში იწყება ახალი ერა ოსმალეთის იმპერიის ხალხებისათვის, იცვლება არსებული მმართველობის ფორმა. ამ მნიშვნელოვანი აქტის მიღებით აღარ არის აუცილებელი განვიხილოთ რეფორმების პროექტი და კონფერენციის საქმიანობა ზედმეტი ხდებაო. მაგრამ ამ დიპლომატიურ ნაბიჯს არ ჰქონდა წარმატება. კონფერენციის მონაწილეებმა ცივად მოისმინეს ცნობა კონსტიტუციის მიღების შესახებ და გააგრძელეს მუშაობა.

ოსმალეთის ისტორიაში კონსტიტუციის მიღება მნიშვნელოვანი მოვლენა იყო, რომლის მთავარი შემდგენელი იყო მითჰათ ფაშა. ამიტომ მას უწოდეს მითჰათ ფაშას კონსტიტუცია.

1876 წლის ოსმალეთის კონსტიტუციას საფუძვლად დაედო 1850 წლის პრუსიისა და 1831 წლის ბელგიის კონსტიტუციები. აგრეთვე გათვალისწინებული იყო მუსლიმური სახელმწიფოს სპეციფიკა. კონსტიტუცია შედგებოდა 12 თავისაგან და შეიცავდა 119 მუხლს.

კონსტიტუციის მე-3 მუხლით სულთან აბდულ-ჰამიდ II-ს აცხადებდა მუსლიმური რელიგიის მფარველად. სულთნის ხელისუფლება ოდნავ იყო შეზღუდული, მე4, 5 და 7 მუხლები არეგულირებდა სულთნის უფლებებს, მისი პიროვნება ცხადდებოდა როგორც „საღვთო და ხელშეუვალი“. კონსტიტუცია აღიარებდა სულთანს „ყველა მუსლიმის ხალიფად“, ხოლო ისლამს – სახელმწიფო რელიგიად.

საერო ხელისუფლებას სულთნის სახელით განაგებდა დიდი ვეზირი, ხოლო რელიგიურს – შეიხულ-ისლამი.

კონსტიტუციით ოსმალეთში მყარდებოდა კონსტიტუციური მონარქია და პარლამენტარული წყობილება. პარლამენტი (მეჯლისი) შედგებოდა ორი პალატისაგან – სენატის და დეპუტატთა პალატისაგან. სენატის წევრებს სულთანი ნიშნავდა სიკვდილამდე, ხოლო დეპუტატთა პალატის წევრებს მოსახლეობა ირჩევდა 5 წლით მაღალი ქონებრივი და ასაკობრივი ცენზის საფუძველზე. 50 ათასი ამომრჩეველი ირჩევდა ერთ დეპუტატს. დეპუტატი შეიძლება გამხდარიყო ოსმალეთის სახელმწიფოს ქვეშევრდომი, თურქული ენის მცოდნე, 30 წლის ასაკიდან. დეპუტატთა პალატის თავმჯდომარესა და მის მოადგილეებს სულთანი ნიშნავდა. კონსტიტუციით დეპუტატთა პალატას უფლება ჰქონდა მიეღო კანონპროექტები, რომლებიც ეხებოდა ფინანსებს, სახელმწიფო ბიუჯეტსა და კონსტიტუციას. ამასთან, დეპუტატთა პალატის გადაწყვეტილება სენატს უნდა დაემტკიცებინა. სენატს უნდა ჰქონოდა დეპუტატთა პალატის მიერ მიღებული კანონპროექტის მიღება-უარყოფის უფლება. კონსტიტუცია აცხადებდა იმპერიის ყველა ქვეშევრდომის, რელიგიური და ეროვნული კუთვნილების განურჩევლად, თანასწორუფლებიანობას კანონის წინაშე. ფორმალურად იგი აცხადებდა ბურჟუაზიული კონსტიტუციით გათვალისწინებულ თავისუფლებას პრესის, მიტინგების, შეკრებებისა და სხვ. კონსტიტუცია თურქულ ენას აცხადებდა სახელმწიფო ენად, ისლამს კი – სახელმწიფო რელიგიად.

სულთნის პრეროგატივა იყო მინისტრების მოხსნა-დანიშვნა, ხარისხების, ორდენების დარიგება, დიდმოხელეთა და ელჩების დანიშვნა, ზავის დადება, არმიისა და ფლოტის სარდლობა, პარლამენტის დათხოვნა, ახალი არჩევნების ჩატარება, სამოქალაქო კანონების შეჩერება და სამხედრო წესების შემოღება. მას ეძლეოდა განსაკუთრებული უფლება გაეძევებინა იმპერიის ფარგლებიდან საშიში პირები და სხვ.

კონსტიტუციურ-მონარქიული და პარლამენტარული წყობილების შემოღება იყო მნიშვნელოვანი მოვლენა ოსმალეთის ისტორიის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

5. პარლამენტის საქმიანობა და მისი დათხოვნა

ევროპის სახელმწიფოების კონფერენციის დამთავრების შემდეგ სულთანმა დაიწყო ბრძოლა კონსტიტუციის მომხრეების წინააღმდეგ. მან მკაცრი რეპრესიული ზომები მიიღო გაზეთების მიმართ, ხოლო კონსტიტუციის მომხრეებს დაუწყო შევიწროება. თანდათან გამწვავდა ურთიერთობა აბდულ-ჰამიდსა და მითჰათ ფაშას შორის. მითჰათ ფაშა ხშირად ეკამათებოდა სულთანს მნიშვნელოვან სახელმწიფო საკითხებზე. კერძოდ, მან გამოთქვა უარყოფითი დამოკიდებულება დედაქალაქის გაზეთების წინააღმდეგ გატარებულ ღონისძიებებთან დაკავშირებით. მან აგრეთვე მოითხოვა ზოგიერთი მინისტრის გადაყენება. მაგრამ აბდულ-ჰამიდმა უგულებელყო მისი მოთხოვნები. 30 იანვარს მითჰათ ფაშამ სულთანს გაუგზავნა წერილი, რომელშიაც შეახსენა მინისტრებისა და ქვეშევრდომების კონსტიტუციური უფლებები. იგი უსაყვედურებდა სულთანს, რომ იგი არ უჭერდა მხარს მთავრობის მოთხოვნებს და ხელს უშლიდა სახელმწიფოს განმტკიცებას.

1877 წლის 5 თებერვალს მითჰათ ფაშა დააპატიმრეს და გააძევეს ქვეყნიდან. მას სულთანის წინააღმდეგ შეთქმულების მოწყობაში დადეს ბრალი.

1877 წლის 8 თებერვალს მითჰათ ფაშას გაძევებასთან დაკავშირებით ახალგაზრდა ოსმალებმა სტამბოლში მოაწყვეს დემონსტრაცია, მიჰქონდათ მითჰათ ფაშას სურათები, მოითხოვდნენ მის დაბრუნებას და იმ პირების დასჯას, რომლებმაც სულთანი შეცდომაში შეიყვანეს. სულთანმა მიიღო მათი მოთხოვნა იმ პირობით, რომ დემონსტრანტები დაიშლებოდნენ და სახლებში დაბრუნდებოდნენ.


ამის შემდეგ დაიწყო მკაცრი რეპრესიები ახალგაზრდა ოსმალებისა და კონსტიტუციის მომხრეების წინააღმდეგ.

1877 წლის იანვარში ჩატარდა არჩევნები პარლამენტში, ხოლო 19 მარტს მოწვეულ იქნა პირველი სესია. პარლამენტი შედგებოდა 115 დეპუტატისაგან. აქედან 69 მუსლიმი იყო და 46 არამუსლიმი. 18 მარტს შეიქმნა 32 პირისაგან შემდგარი სენატი.

მართალია, პარლამენტი სულთნის მონამორჩილი გამოდგა და მას ზედმეტსახელად „დიახ ბატონო“ („Evet efendim“) შეარქვეს, მაგრამ ზოგიერთმა დეპუტატმა მაინც გამოთქვა თავისი კრიტიკული დამოკიდებულება სახელმწიფო ბიუჯეტისა და ადმინისტრაციის მიმართ, გამოააშკარავა სულთნის მოხელეების მიერ ჩადენილი ბოროტმოქმედებანი და სხვ.

1877 წლის მაისში პარლამენტმა მთავრობას მოთხოვა აეხსნა, თუ რა იყო მიზეზი რუსეთთან ომში ოსმალეთის არმიის დამარცხებისა.

აბდულ-ჰამიდს არ მოეწონა პარლამენტის ასეთი „საქმიანობა“, 1877 წლის ზაფხულში დაითხოვა პარლამენტი და დანიშნა ახალი არჩევნები.



პირველი პარლამენტის გახსნა

პარლამენტის მეორე სესია გაიხსნა 1877 წლის 13 დეკემბერს. პარლამენტის მეორე სესიაზე დეპუტატებმა კიდევ უფრო მკვეთრად დასვეს საკითხი დიდი ვეზირისა და რიგი მინისტრების პასუხისმგებლობის შესახებ. პარლამენტის ტრიბუნიდან გაისმა მკაცრი შეძახილები სულთნის სასახლისა და მთავრობის მისამართით. დეპუტატები გამოვიდნენ კრიტიკით და მთელი პასუხისმგებლობა შექმნილ მძიმე მდგომარეობასთან დაკავშირებით მთავრობას დააკისრეს. პარლამენტმა იმასაც კი მიაღწია, რომ აიძულა სულთანი გადაეყენებინა მინისტრთა კაბინეტი და მოთხოვა ზოგიერთი მინისტრი მიეცათ პასუხისგებაში.

ცხადია, სულთანს არ მოსწონდა პარლამენტის საქმიანობა, მაგრამ იგი ძალებს იკრებდა და ხელსაყრელ დროს ელოდებოდა, რათა გასწორებოდა მას. როდესაც ოსმალეთის ჯარების კატასტროფა აშკარა გახდა და რუსეთის არმიის წინაშე გზა სტამბოლისაკენ გახსნილი იყო, სულთანმა 1878 წლის 14 თებერვალს დაითხოვა პარლამენტი განუსაზღვრელი ვადით. ამის შემდეგ, 30 წლის განმავლობაში, პარლამენტი აღარ მოწვეულა, თუმცა ოფიციალურად კონსტიტუცია არ ყოფილა გაუქმებული.

ამრიგად, ოსმალეთში კონსტიტუციურ-მონარქისტული წყობილების დამყარება ხანმოკლე აღმოჩნდა. ოსმალეთის გარდაქმნა ბურჟუაზიული განვითარების გზით მარცხით დამთავრდა. ამის მიზეზი იმაში უნდა ვეძიოთ, რომ ოსმალეთის ეროვნული ბურჟუაზია ჯერ კიდევ ძალზე სუსტი იყო და მან ვერ შეძლო თავის გარშემო გაეერთიანებინა მოწინავე პროგრესული ძალები და ხალხის მასები.

კონსტიტუციური მოძრაობის დამარცხებას ჰქონდა მეტად მნიშვნელოვანი შედეგები ოსმალეთის ისტორიისათვის, რეაქციულ ფეოდალურ ძალებს მიეცათ შესაძლებლობა კიდევ რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში დაეკონსერვებინათ ფეოდალურ-რეაქციული ფენების სოციალური და კულტურული ინტერესები.

თავი VIII

1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომი

1. საომარი მოქმედებები

კონსტანტინოპოლის კონფერენციის უშედეგოდ დამთავრების შემდეგ რუსეთმა სხვა საშუალებებით სცადა მოეგვარებინა ოსმალეთის იმპერიაში მცხოვრები ბალკანელი ხალხების პრობლემა. მისი ინიციატივით, 1877 წლის მარტში ლონდონში მოწვეულ იქნა ექვსი სახელმწიფოს – ინგლისის, საფრანგეთის, ავსტრია-უნგრეთის, პრუსიის და რუსეთის წარმომადგენლების კონფერენცია. მასზე მიიღეს დადგენილება, რომ სულთანს უნდა გაეტარებინა გადამწყვეტი ზომები ოსმალეთის იმპერიაში მცხოვრები ქრისტიანული მოსახლეობის მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით. მაგრამ ოსმალეთის მთავრობამ უკუაგდო ეს წინადადება იმ იმედით, რომ ისინი ვერ შესძლებდნენ ოსმალეთის წინააღმდეგ ერთად გამოსვლას. ამან გამოიწვია რუსეთის სასტიკი პროტესტი.

ოსმალეთთან ომის დაწყების წინ რუსეთის დიპლომატიამ გაითვალისწინა ყირიმის ომის გაკვეთილი და გარკვეული ნაბიჯები გადადგა თავისი პოზიციების გაუმჯობესების მიზნით. 1870 წელს გორჩაკოვმა ისარგებლა ევროპაში შექმნილი ხელსაყრელი საერთაშორისო მდგომარეობით და პარიზის კონგრესის (1856 წ.) მონაწილეებს გაუგზავნა ცირკულარი მოთხოვნით – აღდგენილიყო შავ ზღვაზე რუსეთის სუვერენული უფლებები. ამ მიზნით, 1871 წელს ლონდონში მოიწვიეს კონფერენცია. 1871 წლის 1/13/ მარტის ლონდონის კონფერენციამ გააუქმა შავი ზღვის ნეიტრალიზაცია და რუსეთსა და ოსმალეთს მიეცათ უფლება შავ ზღვაზე ჰყოლოდათ განუსაზღვრელი რაოდენობით სამხედრო ხომალდები. შავ ზღვაზე აღდგენილ იქნა რუსეთის სუვერენული უფლებები. შავი ზღვის სრუტეები ღია იყო სავაჭრო, ხოლო დაიხურა უცხოეთის სამხედრო გემებისათვის.

რუსეთმა რაც მთავარია, შეძლო უზრუნველეყო ომის დროს ინგლისისა და ავსტრია-უნგრეთის ნეიტრალიტეტი. რუსეთმა ინგლისს აღუთქვა მისი ინტერესების პატივისცემა სუეცის არხის ზონაში და სტატუს ქვოს შენარჩუნება შავი ზღვის სრუტეებსა და კონსტანტინოპოლში. 1877 წლის 15 იანვარს რუსეთსა და ავსტრია-უნგრეთს შორის დაიდო საიდუმლო ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც ავსტრია-უნგრეთს უფლება ეძლეოდა მოეხდინა ბოსნიისა და ჰერცოგოვინის ოკუპაცია. სამაგიეროდ, იგი დაიცავდა ნეიტრალიტეტს რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს.

1877 წლის 12 აპრილს რუსეთმა ომი გამოუცხადა ოსმალეთს. საომარი მოქმედება დაიწყო როგორც ბალკანეთში, ისე კავკასიაში.

რუსეთის ჯარებმა გადალახეს დუნაი და დაიწყეს საომარი ოპერაციები ბულგარეთის ტერიტორიაზე. 1877 წლის ივნისის თვეში მათ დაიკავეს მნიშვნელოვანი გამაგრებული პუნქტი შიპკა. მისი არების შემდეგაც ფრონტის ამ უბანზე გრძელდებოდა ბრძოლები, რუსეთის ჯარმა რამდენჯერმე მიიტანა იერიში პლევნაზე და 1877 წლის დეკემბრის დასაწყისში ცხარე ბრძოლების შედეგად აიღო იგი. ამ გამარჯვებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ომის შემდგომი მსვლელობისათვის.

ასევე წარმატებით მოქმედებდნენ რუსეთის არმიები კავკასიაში. ოსმალეთის წინააღმდეგ ომში რუსეთის ჯართან ერთად მონაწილეობას იღებდა ქართველ მეომართა (მილიციის) რაზმები. 1877 წლის გაზაფხულზე რუსეთის არმია შეტევაზე

გადავიდა კავკასიის ფრონტზე. 30 აპრილს რუსეთის არმიამ დაიკავა ბაიაზიდი, შემდეგ არტაანი.

ამავე დროს რუსეთის ჯარებმა დააპირეს ბათუმის აღება. მათ შეტევა დაიწყეს ციხისძირის მიმართულებით, მაგრამ ვერ შეძლეს ფრონტის გარღვევა. ბათუმზე შეტევა ოზურგეთის მხრიდან მიმდინარეობდა, აღებულ იქნა მუხაესტატე და ხუცუბანი.

1877 წლის 6 ნოემბერს, ცხარე ბრძოლების შედეგად, რუსეთის ჯარებმა დაიკავეს ციხე-სიმაგრე ყარსი. ამის შემდეგ რუსეთის ჯარებმა შეტევა დაიწყეს ერზურუმის მიმართულებით. ოსმალებმა ამ დროს დესანტი გადასხეს გუდაუთაში და აქედან სოხუმს შეუტიეს. ოქუმთან მოხდა გადამწყვეტი ბრძოლა, სადაც ოსმალები დამარცხდნენ. რუსულ-ქართულმა ჯარმა მთლიანად გაანთავისუფლა აფხაზეთის ტერიტორია დამპყრობელთაგან.

ბათუმისათვის სამხედრო ოპერაციები ცვალებადი წარმატებით მიმდინარეობდა. დეკემბერში რუსეთის ჯარები შეიჭრნენ შავშეთში, 16 დეკემბერს არტანუჯი დაიკავეს და საფრთხე შეუქმნეს ბათუმს სამხრეთიდან, მაგრამ ომის საბოლოო ბედი ბაკლანეთის ფრონტზე გადაწყდა.

1878 წელს რუსეთის არმიამ გააგრძელა შეტევა ბალკანეთში, 4 იანვარს რუსეთის არმიამ გაანთავისუფლა სოფია. რუსეთის ჯარს აქტიურ დახმარებას უწევდა ადგილობრივი მოსახლეობა. 20 იანვარს რუსეთის ჯარმა დაიკავა ადრიანოპოლი (ედრინე) და ამის შემდეგ სტამბოლისაკენ გზა გახსნილი იყო.

რუსეთის მიერ ოსმალეთის დამარცხებას დიდად შეუწყო ხელი იმ გარემოებამ, რომ რუსეთის არმიას ბალკანეთსა და ამიერკავკასიაში აქტიურად ხელს უწყობდა და ეხმარებოდა ადგილობრივი მოსახლეობა.

რუსეთის სამხედრო წარმატებებმა მკვეთრად გააუარესა ოსმალეთის მდგომარეობა. სტამბოლში პანიკა სუფევდა. დღედღეზე ელოდნენ რუსეთის ჯარის გამოჩენას. ასეთ ვითარებაში ინგლისის სამხედრო ესკადრა შევიდა მარმარილოს ზღვაში. რუსეთი მოერიდა ინგლისთან ურთიერთობის გამწვავებას და დაიწყო სახავო მოლაპარაკება ოსმალეთის სარდლობასთან.

2. სან სტეფანოს ზავი და ბერლინის ტრაქტატი

31 იანვარს ადრიანოპოლში დაიდო დროებითი ზავი რუსეთსა და ოსმალეთს შორის. ევროპის სახელმწიფოები დიდად იყვნენ შეშფოთებულნი რუსეთის წარმატებებით, შეეცადნენ ზემოქმედება მოეხდიანთ რუსეთ-ოსმალეთის მოლაპარაკების მსვლელობაზე და გადაეტანათ ეს საერთო ევროპულ კონფერენციაზე, მაგრამ ამ ცდას წარმატება არ ჰქონდა.

1878 წლის 3 მარტს, რუსეთის არმიის მთავარ ბანაკში, მარმარილოს ზღვის ევროპულ ნაწილში, სტამბოლის მახლობლად სან-სტეფანოში ხელმოწერილ იქნა საზავო ხელშეკრულება ოსმალეთსა და რუსეთს შორის, რის შედეგადაც დამთავრდა 1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომი. საზავო ხელშეკრულებით ცხადდებოდა სერბიის, ჩერნოგორიისა და რუმინეთის სრული დამოუკიდებლობა და მნიშვნელოვნად ფართოვდებოდა მათი საზღვრები. ხელშეკრულება ითვალისწინებდა ბულგარეთის დიდი დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნას. მის ფარგლებში შევიდოდა საკუთრივ ბულგარეთი, აღმოსავლეთ რუმელია და მაკედონიის მნიშვნელოვანი ნაწილი. ფორმალურად იგი რჩებოდა ოსმალეთის სუვერენიტეტის ქვეშ და ავტონომიური სამთავროს სტატუსს ღებულობდა. მაგრამ ოსმალეთმა თავისი ჯარი გამოიყვანა იქიდან და მისი ოკუპაციის უფლება რუსეთს გადაეცა. იმავე ხელშეკრულებით, ბოსნიასა და ჰერ-



სან-სტეფანოში საზავო ხელშეკრულების ხელმოწერის ცერემონია


ცოგოვინასაც, ეძლეოდა ავტონომია და იქ უნდა ჩატარებულიყო რეფერენდუმი. რუსეთის მფლობელობაში გადადიოდა სამხრეთ ბესარაბია, აგრეთვე არტაანი, ყარსი და ბათუმი. ბოლოს ოსმალეთი ვალდებულებას იღებდა რუსეთის სასარგებლოდ გადაეხადა კონტრიბუცია.

მაგრამ რუსეთმა ვერ შეინარჩუნა მისთვის ხელსაყრელი ზავის პირობები. რუსეთის სამხედრო და დიპლომატიურმა წარმატებებმა დიდი შეშფოთება გამოიწვია ევროპის ქვეყნებში. მათ ეშინოდათ რუსეთის გავლენის ზრდისა ბალკანეთსა და ახლო აღმოსავლეთში. განსკუთრებით აქტიურად გამოვიდნენ ინგლისი და ავსტრია-უნგრეთი. ინგლისმა კავშირი დადო ოსმალეთთან და შეპირდა მას დახმარებას რუსეთის წინააღმდეგ. მაგრამ ამის საფასურად ოსმალეთს ინგლისისათვის უნდა „დაეთმო“ კუნძული კვიპროსი. რუსეთი, რომელიც წააწყდა დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების ერთიან ფრონტს, იძულებული გახდა უკან დაეხია და მიეღო ევროპის სახელმწიფოების წინადადება კონფერენციის მოწვევის შესახებ, რომელზედაც უნდა გადაესინჯათ სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულების პირობები.

1878 წლის 13 ივნისიდან 13 ივლისამდე ბერლინში, გერმანიის კანცლერ ბისმარკის თავმჯდომარეობით, ჩატარდა კონგრესი. მის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს გერმანიის, ინგლისის, საფრანგეთისა და სხვა ქვეყნების წარმომადგენლებმა. კონგრესის მუშაობაში რუსეთის მხრიდან მონაწილეობა მიიღო საგარეო საქმეთა მინისტრმა გორჩაკოვმა, ინგლისიდან პრემიერ-მინისტრმა დიზრაელიმ (ლორდი ბიკონსფილდი), საგარეო საქმეთა მინისტრმა სოლსბერიმ. სულ კონგრესის მუშაობაში მონაწილეობდა შვიდი სახელმწიფოს 20 წარმომადგენელი.

კონგრესზე ბათუმის საკითხთან დაკავშირებით ცხარე დისკუსია გაიმართა და შესაძლებელი იყო კონგრესის მუშაობა ჩაშლილიყო. ინგლისის დელეგაცია დაჟინებით მოითხოვდა, რომ ბათუმი ოსმალეთის მფლობელობაში დარჩენილიყო. დისკუსიის ბოლოს დიზრაელიმ დაინახა, რომ რუსეთი ბათუმს არ დათმობდა და დათანხმდა ბათუმი გადასულიყო რუსეთის ხელთ, მაგრამ მხოლოდ როგორც საერთაშორისო სავაჭრო ქალაქი, პორტო-ფრანკო, რომელიც არ იქნებოდა გამაგრებული. მისი წინადადება მიღებულ იქნა. ამის შემდეგ საბოლოოდ დაზუსტდა რუსეთ-ოსმალეთის ახალი საზღვარი ამიერკავკასიაში.

კონგრესის მონაწილეებმა, ცხარე დისკუსიის შემდეგ, ხელი მოაწერეს ბერლინის ტრაქტატს, რომლის ძალითაც რუსეთი იძულებული გახდა გარკვეულ კომპრომისზე წასულიყო სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულების პირობებთან შედარებით. ასე მაგალითად, ბერლინის ტრაქტატით, სან-სტეფანოს ზავით შექმნილი დიდი ბულგარეთი სამ ნაწილად იქნა დაყოფილი. მაკედონია ოსმალეთს დაუბრუნდა, აღმოსავლეთ რუმელია აგრეთვე დარჩა ოსმალეთის ხელისუფლების ქვეშ და მხოლოდ



ბერლინის კონგრესი

ადმინისტრაციული ავტონომია მიიღო. მისი გუბერნატორი ქრისტიანი უნდა ყოფილიყო, რომელსაც დანიშნავდა სულთანი დიდ სახელმწიფოებთან შეთანხმებით. ერთი სამად შემცირებული ბალკანეთის ქედსა და დუნაის შორის მდებარე ჩრდილო ბულგარეთი ცხადდებოდა ავტონომიურ სამთავროდ. დადასტურდა რუმინეთის, სერბიის, ჩერნოგორიის დამოუკიდებლობა, ოღონდ ჩერნოგორიის საზღვრები შეიკვეცა. ავსტრია-უნგრეთმა მიიღო უფლება მოეხდინა ბოსნიისა და ჰერცოგოვინის ოკუპაცია. რუმინეთი რუსეთს უბრუნებდა ბესარაბიას, რის ნაცვლად ოსმალეთიდან ღებულობდა დობრუჯას.

კავკასიაში რუსეთის მფლობელობაში გადადიოდა არტაანის, ყარსის და ბათუმის ოლქები. ბათუმი დარჩა რუსეთის მფლობელობაში, მაგრამ ქალაქი ბათუმი ცხადდებოდა თავისუფალ სავაჭრო ქალაქად (პორტო-ფრანკო). ბაიაზედი დარჩა ოსმალეთის მფლობელობაში. ოსმალეთს რუსეთის სასარგებლოდ უნდა გადაეხადა 800 მილიონი ფრანკი კონტრიბუცია.

ამ ომის შედეგად რუსეთმა შემოიერთა ოსმალეთის მიერ წინათ მიტაცებული ისტორიული სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს მიწა-წყალი, სახელდობრ: აჭარა, ქობულეთი, შავშეთი, კლარჯეთი, კოლა, არტაანი და ტაოს ჩრდილო ნაწილი – ოლთისი. ეს ქართული მიწები კვლავ დაუბრუნდა დედა-სამშობლოს საქართველოს.

სამწუხაროდ, ამ ომის შედეგად ქართული მოსახლეობის ერთმა ნაწილმა მიატოვა თავისი სამშობლო და ოსმალეთში გადასახლდა. ეს მოხდა ხოჯა-მოლების აგიტაციისა და მეფის რუსეთის კოლონიალური პოლიტიკის შედეგად.

ქართველი ხალხი აღფრთოვანებით შეეგება თავისი ძმების დაბრუნებას.

1878 წლის ნოემბერში თბილისს ეწვია თურქეთის ბატონობისაგან განთავისუფლებულ თანამოძმეთა დელეგაცია, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ შერიფ ბეგი და ნური ბეგი ხიმშიაშვილები და ჰასან ბეგ აბაშიძე. საქართველოს დედაქალაქი მათ ზეიმით შეხვდა. ქართველმა ხალხმა დახმარება გაუწია ოსმალეთისაგან განთავისუფლებულ თავის თანამოძმეებს მათი ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების გაუმჯობესების საქმეში.

თავი IX

ოსმალეთის გადაქცევა იმპერიალისტური სახელმწიფოების ნახევარკოლონიად

1. ოსმალეთის ეკონომიკური დაკაბალება დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების მიერ

1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ ევროპის სახელმწიფოებმა მოხერხებულად გამოიყენეს ოსმალეთში შექმნილი რთული მდგომარეობა, გააგრძელეს მისი ტერიტორიების მიტაცება და ეკონომიკური დაკაბალება.

1881 წელს საფრანგეთმა დაიპყრო ტუნისი და იგი თავის კოლონიად აქცია. ხოლო 1882 წელს ინგლისმა მოახდინა ეგვიპტის ოკუპაცია. 1885 წელს აღმოსავლეთ რუმელიაში იფეთქა აჯანყებამ, რის შედეგად ეს ოლქი შეუერთდა ჩრდილოეთ ბულგარეთს და შეიქმნა ერთიანი ბულგარეთის სახელმწიფო. ოსმალეთი იძულებული გახდა ხელი აეღო თესალიაზე, ეპირის ნაწილზე, ეს ტერიტორიები საბერძნეთმა შეიერთა. 1896 წელს კუნძულ კრეტაზე მოხდა ბერძნული მოსახლეობის აჯანყება, რის შედეგადაც კრეტა ოსმალეთს გამოეყო.

ამის პარალელურად გრძელდებოდა ოსმალეთის ეკონომიკური და ფინანსური დაკაბალების პროცესი.

1854 წელს, ჯერ კიდევ ყირიმის ომის დროს, ოსმალეთმა აიღო პირველი უცხოური სესხი. აქედან მოყოლებული, ოსმალეთი განუწყვეტლივ იღებდა უცხოურ სესხებს. 1863 წლისათვის მას აღებული ჰქონდა ათი სესხი ერთი მილიარდი ფრანკის რაოდენობით. მარტო სესხის პროცენტებმა ისეთ დიდ თანხას მიაღწია, რომ ოსმალეთის მთავრობა იძულებული გახდა ახალი სესხი აეღო მიღებული სესხის პროცენტების გადასახდელად.

1875 წლისათვის ოსმალეთის მთავრობას აღარ შეეძლო აღებული სესხის გადახდა და ნაწილობრივი ბანკროტობა გამოაცხადა.

1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის შედეგად, ოსმალეთის ფინანსური მდგომარეობა კატასტროფული იყო. 1879 წელს ფინანსური კატასტროფის გამო კრედიტორმა სახელმწიფოებმა ოსმალეთზე სრული ფინანსური კონტროლი დააწესეს. 1881 წელს უცხოელ კრედიტორებსა და ოსმალეთის მთავრობას შორის წარმოებული მოლაპარაკების შედეგად მიღწეულ იქნა შეთანხმება. ამის საფუძველზე ოსმალეთის სულთანმა აბდულ-ჰამიდმა 1881 წლის დეკემბერში გამოაქვეყნა მუჰარემის დეკრეტი (მუჰარემი მუსლიმური მთვარის კალენდრის პირველი თვეა), რომლის ძალით შეიქმნა „ოსმალეთის სახელმწიფო ვალის სამმართველო“. ამ სამმართველოს ევალებოდა ვალების რესტრუქტურიზაციის პირობების შემუშავება.

მუჰარემის დეკრეტით, კრედიტორებმა ოსმალეთზე სრული ფინანსური კონტროლი დააწესეს. ამ სამმართველოს შექმნით უცხოელმა კრედიტორებმა ხელთ იგდეს ოსმალეთის სახელმწიფო შემოსავლის წყაროები და იგი ვალის დაფარვისათვის გამოიყენეს.

„ოსმალეთის სახელმწიფო ვალის სამმართველოს“ განსაკუთრებული უფლებები და პრივილეგიები ეძლეოდა. მის ხელში გადადიოდა თამბაქოსა და მარილის მონოპოლიები, სპირტის გადასახადი, საღებრო გამოსაღებები, მარმარილოს ზღვისა და ბოსფორის თევზჭერის შემოსავალი, აშარის (მეათედი) გადასახადი დაწესებული სტამბოლში, ედრინეში, ბურსასა და სხვა ადგილებში და სხვ. ამ წყაროების შემოსავლის

4/5 უცხოური სესხების პროცენტების გადახდას უნდა მოხმარებოდა, მეორე ნაწილი კი – ბიუჯეტის მოწესრიგებას. აღნიშნულ გადასახადებს სამმართველო კრეფდა საკუთარი აგენტებისა და მოხელეების მეშვეობით, რომელთა რიცხვი 5 ათას აღწევდა. ოსმალეთის ხელისუფლება ვალდებული იყო პოლიცია სამმართველოს განკარგულებაში გადაეცა, რათა მისი დახმარებით აეკრიფათ დადგენილი გადასახადები. სამმართველოს სათავეში იდგა 7 კაცისაგან შემდგარი საბჭო, რომლის წევრებსაც ირჩევდნენ 5 წლის ვადით. იგი შედგებოდა ინგლისის, საფრანგეთის, გერმანიის, ავსტრია-უნგრეთისა და იტალიის წარმომადგენლებისაგან. ფორმარულად ოსმალეთსაც ჰყავდა თავისი წარმომადგენელი, მაგრამ იგი მხოლოდ სათათბირო უფლებებით სარგებლობდა. საბჭოს მორიგეობით, ერთი წლის ვადით, თავმჯდომარეობდნენ ხან ფრანგი, ხანაც ინგლისელი წარმომადგენლები. სამმართველოს რეზიდენცია ლონდონში იმყოფებოდა.

სამმართველოს შემოსავლის ზოგიერთი წყარო იჯარით გაიცემოდა. მაგალითად, თამბაქოს მონოპოლია იჯარით გადაეცა ფრანგულ კომპანია „რეჟის“. საიჯარო ხელშეკრულების ძალით, ოსმალეთის თამბაქოს მთელი შემოსავალი „რეჟის“ კომპანიის საწყობებს უნდა ჩაბარებოდა. „რეჟის“ ეკუთვნოდა ოსმალეთის იმპერიაში თამბაქოს შემოსავლის, გადამუშავებისა და გაყიდვის მონოპოლიური უფლება. „რეჟის“ მონოპოლია მძიმე ტვირთად დააწვა ოსმალეთის მოსახლეობასა და ეკონომიკას. მისი მოქმედების შედეგად ოსმალეთში 450 თამბაქოს კერძო ფაბრიკა დაიხურა.

„ოსმალეთის სახელმწიფო ვალის სამმართველომ“ არათუ უშველა ოსმალეთის ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებას, არამედ გაიზარდა დავალიანება უცხოური კრედიტორებისადმი ოსმალეთის მთავრობა კვლავ იღებდა სესხებს უცხოური ვალების გასასტუმრებლად, ამის გამო სახელმწიფოს ვალი ყოველწლიურად იზრდებოდა და 1914 წლისათვის ოსმალეთის საგარეო ვალი 143 მილიონ ოსმალურ ოქროს ლირას შეადგენდა, აქედან 80% ფრანგებს ეკუთვნოდა.

ამრიგად, „ოსმალეთის სახელმწიფო ვალის სამმართველოს“ დაარსების შედეგად ქვეყნის ეკონომიკა კიდევ უფრო მძიმე დაწოლას განიცდიდა ევროპის სახელმწიფოებისაგან, გაძლიერდა მისი დაკაბალება.

ოსმალეთის ფინანსურ დაკაბალებაში დიდ როლს ასრულებდნენ უცხოეთის ფინანსური დაწესებულებანი. აქედან აღსანიშნავია „ოსმალეთის საიმპერიო ბანკი“, რომელიც 1864 წელს დაარსდა. 90-იანი წლებიდან დაარსდა რამდენიმე ახალი ბანკი. მათ შორის აღსანიშნავია მსხვილი ფრანგული ბანკის „ლიონ კრედიტის“ ფილიალი სტამბოლში. 1889 წელს დაარსდა „სალონიკის ბანკი“ ფრანგული, ავსტრიული და უნგრული კაპიტალით. XIX საუკუნის დასასრულიდან დაიწყო გერმანიის ფინანსური ექსპანსიაც, 1899 წელს დაარსდა „პალესტინის გერმანული ბანკი“, 1906 წელს „გერმანიის აღმოსავლეთის ბანკი“, რომელსაც ფილიალები ჰქონდა ოსმალეთის სხვადასხვა ქალაქში. გერმანიის შემდეგ ოსმალეთში გამოჩნდნენ იტალიელებიც. 1907 წელს დაარსდა „იტალიის კომერციული ბანკის“ ფილიალი. იტალიელებს არც რუსები ჩამორჩნენ და იმავე წელს გაიხსნა „რუსეთის საგარეო ვაჭრობის ბანკი“. თურქმა კაპიტალისტებმა თავისი კაპიტალით შეძლეს მხოლოდ ერთი ბანკის დაარსება, რომლის მიზანი იყო ვაჭრობისა და მრეწველობის წახალისება.

უცხოეთის ფინანსური კაპიტალი ოსმალეთში დიდ ინტერესს იჩენდა რკინიგზების მშენებლობისადმი. რკინიგზების კონცესიები გადაიქცა ოსმალეთის ეკონომიკური და პოლიტიკური დამონების საშუალებად. რკინიგზების მეშვეობით ოსმალეთის შინაგანი ბაზარი მჭიდროდ დაუკავშირდა მსოფლიო ბაზარს, დაჩქარდა სამრეწველო საქონლის შეზიდვა ოსმალეთში და გაიზარდა ადგილობრივი ნედლეულის გატანა საზღვარგარეთ.

ოსმალეთში რკინიგზის მშენებლობას ევროპის ქვეყნებისათვის დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა ახლო და შუა აღმოსავლეთისათვის ბრძოლაში. ისინი ცდილობდნენ ხელთ ეგდოთ ოსმალეთის მთავარი სარკინიგზო ხაზები და ამით განემტკიცებინათ თავიანთი სტრატეგიული პოზიციები. ოსმალეთში გზები გაჰყავდათ სტრატეგიული მოსაზრებებით ისეთ ადგილებში, რომლებიც იმ დროს რკინიგზებს არ საჭიროებდნენ, ან რადიალური მიმართულებით, რათა ოსმალეთის სანავსადგურო ქალაქები დაეკავშირებინათ ქვეყნის შიდა რაიონებთან.

1878 და 1888 წლებში ინგლისელმა ფინანსისტებმა მიიღეს კონცესია რკინიგზების მშენებლობაზე იზმირის რაიონში. ინგლისელებს არც ფრანგები ჩამორჩნენ. მათ მიიღეს რკინიგზების მშენებლობის უფლება სირიის ტერიტორიაზე. ბალკანეთში რკინიგზების მშენებლობის უფლება მიიღეს ავსტრიელებმა.

რკინიგზების მშენებლობის საქმეში დიდ წარმატებებს მიაღწიეს გერმანელებმა. მათ 1888 წელს მიიღეს კონცესია იმ სარკინიგზო ხაზის მშენებლობაზე, რომელიც შემდგომში ცნობილი გახდა ბაღდადის რკინიგზის სახელწოდებით. 1901-1903 წლებში, ვილჰელმ II-ის აქტიური მხარდაჭერით, გერმანელებმა მიიღეს ამ დიდი მაგისტრალური ხაზის მშენებლობის უფლებაც და იგი ცნობილია სამი ბ-ს სახელწოდებით: ბერლინი – ბიზანტიუმი (კონსტანტინოპოლი) – ბაღდადი. ბაღდადის რკინიგზა უნდა დაწყებულიყო სტამბოლიდან, გადაესერა მცირე აზია, მესოპოტამია და გასულიყო სპარსეთის ყურემდე. იგი უნდა გამხდარიყო საერთაშორისო მაგისტრალი, რომელიც უმოკლესი გზით, ბალკანეთზე გავლით, გერმანიას დაუკავშირებდა მესოპოტამიას და გავიდოდა სპარსეთის ყურეში. ამ რკინიგზის მშენებლობას გერმანიისათვის ჰქონდა აგრეთვე დიდი სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობა, რადგან სპარსეთის ყურეში გასვლით იგი საფრთხეს შეუქმნიდა ინდოეთს, ინგლისის ყველაზე მდიდარ კოლონიას. ბაღდადიდან გერმანელები აპირებდნენ რკინიგზის ერთი შტოს გაყვანას რუსეთის მიმართულებით, მაგრამ რუსეთის ჩარევის შედეგად ეს წამოწყება ჩაიშალა. ბაღდადის რკინიგზის მშენებლობამ ძალზე გაამწვავა ევროპის დიდ სახელმწიფოებს შორის წინააღმდეგობა.

პირველი მსოფლიო ომის წინ უცხოური კაპიტალის დიდი ნაწილი ოსმალეთის სარკინიგზო ტრანსპორტში იყო დაბანდებული. საფრანგეთს დაბანდებული ჰქონდა 530 მილიონი ფრანკი (48%0), გერმანიას – 466,1 მილიონი ფრანკი (41,4%) და ინგლისს – 114,7 მილონი ფრანკი (11,6%). ოსმალეთში მოქმედი რკინიგზებიდან – 2565 კილომეტრი (ანუ 49%) ეკუთვნოდა გერმანიას, 1077 კილომეტრი (ანუ 39,6%) – საფრანგეთს და 610 კილომეტრი (ანუ 11,4%) – ინგლისს.

პირველი მსოფლიო ომის წინ საფრანგეთის კაპიტალდაბანდებები ოსმალეთში შეადგენდა 2240 მილიონ ფრანკს, გერმანიის – 1280 მილიონ ფრანკს, ინგლისის – 750 მილიონ ფრანკს.

საგრანგეთის ფინანსური კაპიტალისტების წილი ოსმალეთის იმპერიის ბანკებში შეადგენდა 59%-ს, გერმანიის – 22%-ს და ინგლისისა – 6,8%-ს.

ოსმალეთის მოპოვებით მრეწველობაში საფრანგეთის კაპიტალს ეკუთვნოდა ინვესტიციების 76,5%, ინგლისის – 6,6%, გერმანიის – 4,4%, სხვა ქვეყნებისა – 12,5%.

ოსმალეთის იმპერიაში შესაჭრელად მნიშვნელოვანი არხი იყო ვაჭრობა. ამ დარგში უპირატესი მდგომარეობა ინგლისელებს ეკავათ. უცხოელი ვაჭრები დიდი პრივილეგიებითა და შეღავათებით სარგებლობდნენ კაპიტულაციების საფუძველზე. მსოფლიო ომის წინა წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა გერმანიის ხვედრითი წილი ოსმალეთის ვაჭრობაში.

ოსმალეთის იმპერია იყო გამუდმებული ბრძოლის ასპარეზი ევროპის წამყვან სახელმწიფოებს შორის თავიანთი პოლიტიკური და ეკონომიკური გავლენის გაფართოებისათვის, რაც კიდევ უფრო გაძლიერდა პირველი მსოფლიო ომის წინ.

2. ქვეყანაში ზულუმის რეჟიმის დამყარება

აბდულ-ჰამიდ II-მ პარლამენტის დათხოვნის შემდეგ გადაწყვიტა საბოლოოდ გაენადგურებინა კონსტიტუციის მომხრეები და ქვეყანაში დაემყარებინა ერთპიროვნული დიქტატურა. აბდულ-ჰამიდი იყო სასტიკი, ვერაგი, ეშმაკი და მშიშარა ადამიანი. თავისი მიზნის მისაღწევად იგი არ ერიდებოდა არავითარ საშუალებას. თუ იგი რამეს აფასებდა, ეს იყო მხოლოდ სიმტკიცე და ძალა. მისი სულთნობის ხანა ოსმალეთის ისტორიაში ცნობილია ტირანიის, ძალადობის, დესპოტიისა და შავბნელი რეაქციის „ზულუმის“ (zülüm) ხანად. ოსმალეთის მოწინავე საზოგადოების წარმომადგენლები „სისხლიან სულთანსა“ და „წითელ სულთანსაც“ უწოდებდნენ.

აბდულ-ჰამიდმა თავისი მახვილი, უპირველესად ყოველისა, ახალგაზრდა ოსმალებისა და კონსტიტუციის მომხრეების წინააღმდეგ მიმართა.

1878 წლის ზაფხულში ახალგაზრდა ოსმალთა ერთ-ერთმა ლიდერმა ალი სუვარიმ განიზრახა მოეწყო ამბოხება, ტახტიდან ჩამოეგდო აბდულ-ჰამიდ II და მის ნაცვლად გაემეფებინა კონსტიტუციის მომხრე რომელიმე უფლისწული. მაგრამ ეს ცდა მარცხით დამთავრდა. ალი სუვარი აჯანყების დროს დაიღუპა. სულთანი შეთქმულებს სასტიკად გაუსწორდა. აჯანყებულთა ნაწილი სიკვდილით დასაჯეს, ნაწილი კი დააპატიმრეს, გაასამართლეს და კატორღაზე გაგზავნეს. ეს გამოსვლა სულთანმა გამოიყენა, რათა საბოლოოდ გაენადგურებინა კონსტიტუციის მომხრეები. მან ამ გეგმის განხორციელება მითჰათ ფაშით დაიწყო. სულთანმა საზღვარგარეთ გაძევებული მითჰათ ფაშა, მადალი თანამდებობებისა და პატიების დაპირებით სამშობლოში დააბრუნა და იგი იზმირის გუბერნატორად დანიშნა. 1881 წელს, სულთნის ბრძანებით, იგი დააპატიმრეს, სახელდახელოდ გაასამართლეს და ბრალი დასდეს აბდულ-აზიზის მკვლელობაში. მას სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს და არაბეთის ნახევარკუნძულის ერთ-ერთ უდაბურ ადგილას გადაასახლეს. 1883 წელს, აბდულ ჰამიდის მითითებით, იგი მოკლეს და მისი მოკვეთილი თავი სულთანს გაუგზავნეს.



აბდულ ჰამიდ II

სულთანმა ახალგაზრდა ოსმალთა ერთ-ერთი ლიდერი ნამიქ ქემალი გადაასახლა კუნძულ მიტილენზე, სადაც იგი 1888 წელს გარდაიცვალა.

კონსტიტუციის მომხრეები, რომლებიც გადაურჩნენ სიკვდილსა და პატიმრობას, იძულებული გახდნენ ემიგრაციაში წასულიყვნენ.

აბდულ-ჰამიდ II-მ თავისი რეაქციული რეჟიმის დასაცავად შექმნა სპეციალური, პრივილეგირებული ცხენოსანთა რაზმი – „ჰამიდე“, რომელიც ამავე დროს გვარდიის როლსაც ასრულებდა. ამ სამხედრო შენაერთის დახმარებით სულთანი სასტიკად უსწორდებოდა და ახშობდა ყოველგვარ გამოსვლებს.

აბდულ-ჰამიდი სასტიკად ებრძოდა დემოკრატიული აზრის ყველა გამოვლინებას. ჟურნალ-გაზეთებსა და წიგნებზე სასტიკი ცენზურა იყო დაწესებული.

მნიშვნელოვნად შემცირდა გაზეთების რიცხვი: დატოვეს ის გაზეთები და გამოცემები, რომლებიც ბეჭდავდნენ სულთნისა და მთავრობისათვის სასურველ წერილებს. აიკრძალა ისეთი სიტყვების ხმარება, როგორიცაა „რევოლუცია“, „ტირანია“, „დესპოტია“, „თავისუფლება“, „თანასწორობა“, „კონსტიტუცია“, „სამართლიანობა“ და სხვ.

აიკრძალა ისეთი გამოჩენილი მწერლების თხზულებების გამოცემა, როგორიც იყვნენ რუსო, ვოლტერი, შექსპირი, შილერი, ჰიუგო, ზოლა, ტოლსტოი, ბაირონი და სხვ. ცხადია, ასეთ ვითარებაში მკაცრად აიკრძალა ნამიქ ქემალის, იბრაჰიმ შინასის, ზია ბეისა და სხვა პროგრესული თურქი მწერლების ნაწარმოებებიც.

ასევე მკაცრ კონტროლს დაექვემდებარა საერო განათლება. სტამბოლის თეატრის სცენაზე აიკრძალა „ჰამლეტის“ დადგმა მხოლოდ იმის გამო, რომ იქ მეფის მკვლელობის სცენა იყო და სხვ.

აბდულ-ჰამიდმა ჯაშუშთა და დამბეზღებელთა მთელი არმია შეიქმნა, რომლის მეშვეობით მას მუდმივი კონტროლი ჰქონდა არა მარტო საზოგადოებრივ აზრზე. არამედ სახელმწიფო მოხელეებისა და მთავრობის მინისტრების საქმიანობაზეც.

სულთანი ყოველდღიურად ეცნობოდა მათგან მიღებულ დასმენებს და სათანადო ზომებს იღებდა.

აბდულ-ჰამიდი თავისი ხელისუფლების გასამაგრებლად იყენებდა პანისლამიზმის რეაქციულ იდეოლოგიას. იგი აღვივებდა შუღლს მუსლიმთა და არამუსლიმთა შორის. სულთანი სისტემატიურად მიმართავდა ქრისტიანთა და მუსლიმთა ურთიერთ წაქეზებას, ნერგავდა არათურქული მოსახლეობის პერიოდულ დარბევებს ხან მაკედონიაში, ხან ალბანეთში, არაბულ ქვეყნებში და ბერძნებითა და სომხებით დასახლებულ ოლქებში.

განსაკუთრებით მძიმე და აუტანელი იყო არათურქი მოსახლეობის მდგომარეობა.

1894 წლის ზაფხულში სასუნსა და ზოგიერთ სხვა რაიონში იფეთქა სომხური მოსახლეობის აჯანყებამ ოსმალთა ბატონობის წინააღმდეგ. სულთანმა აჯანყების ჩასაქრობად გამოიყენა „ჰამიდიეს“ გვარდია, რომელიც სასტიკად გაუსწორდა აჯანყებულებს. 1895-1896 წლებში ადგილი ჰქონდა გამოსვლებს არზურუმში, ტრაპიზონში, ბითლისში, დიარბექირში, ხარფუთსა და სხვა ადგილებში, 1896 წელს – სტამბოლში. ამ დროს „ბაშიბუზუკთა“ ბანდებმა გადაწვეს 3 ათასამდე სოფელი და დახოცეს 300 ათასზე მეტი კაცი. სულთნის ამ ბარბაროსულმა ქმედებებმა მთელი მოწინავე საზოგადოების აღშფოთება გამოიწვია.

თავი X

ახალგაზრდა თურქთა რევოლუცია

1. „ერთობისა და პროგრესის“ საზოგადოების დაარსება

1889 წელს სტამბოლის სამხედრო-სამედიცინო სკოლის რამდენიმე სტუდენტმა დააარსა ფარული პოლიტიკური საზოგადოება, დაფუძნებული კარბონარიების ორგანიზაციის პრინციპებზე „ერთობა და პროგრესის“ („Ittihat ve Terakki Cemiyeti“) სახელწოდებით. საიდუმლო ჯგუფი სამედიცინო სკოლის კედლებში ითვლიდა 20-25 წევრს. მისი დამაარსებლები იყვნენ მუსლიმები, მაგრამ სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები: თურქი შერეფედინი, ალბანელი იბრაჰიმ თემო, ქურთი ისჰაქ სუქუთი, ალბანელი ჯევდეთი, ბოსნიელი ალი რუშთუ და სხვ. მათ მიზანს შეადგენდა ბრძოლა აბდულ-ჰამიდ II-ის რეაქციული რეჟიმისა და მითჰათ ფაშას კონსტიტუციის აღდგენისათვის.

ამ საზოგადოების ხელმძღვანელებმა დაიწყეს კონტაქტების დამყარება სტამბოლის სხვა სასწავლებლების სტუდენტებთან და ხანმოკლე დროის განმავლობაში იქ შეიქმნა ახალი ჯგუფები. ამ ჯგუფების პირველ მონაწილეთა თვალსაზრისი ჩამოყალიბდა იბრაჰიმ შინასის, ნამიქ ქემალის, მითჰათისა და ზიას ლიტერატურული და პუბლიცისტური ნაწარმოებების გავლენით.

აღსანიშნავია, რომ „ახალგაზრდა თურქების“ პირველი ჯგუფები სწორედ სამხედრო და სპეციალურ სამოქალაქო სასწავლებლებში შეიქმნა. აბდულ-ჰამიდის დროს ეს სასწავლებლები იყვნენ თურქი ინტელიგენციის ფორმირების ყველაზე მნიშვნელოვანი ცენტრები. ახალგაზრდობას სწორედ იქ შეეძლო მიეღო შედარებით კარგი განათლება, შეესწავლა უცხო ენები, იქ მას ჰქონდა თუნდაც მინიმალური შესაძლებლობანი ევროპული სახელმწიფოების ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრების გასაცნობად.

ჯერ კიდევ 1870-იან წლებში დევნის გამო გაიზარდა პატრიოტული ძალების ემიგრაცია ევროპაში. თურქული ემიგრაციის ცენტრი გახდა პარიზი. იქ 1891 წელს შეიქმნა საზღვარგარეთული ცენტრი „ოსმალთა საზოგადოება ერთობა და პროგრესი“, რომელმაც მრავალრიცხოვანი ფილიალები გაიჩინა ჟენევაში, კაიროში, ლონდონში, ნეაპოლში და სხვაგან, სადაც ოპოზიციურ პრესას გამოსცემდნენ. მათი გაზეთები იყო: „მეშვერეთ“, „შურაი უმით“, „ოსმანლი“, „კანუნუ ესასი“, „მიზანი“, „ისთიქლალ“ და სხვ.

დასავლეთში, შემდეგ კი თვით ოსმალეთში რეაქციული რეჟიმის წინააღმდეგ ყველა მებრძოლს „ახალგაზრდა თურქებს“ უწოდებდნენ. შემდგომში, როდესაც რევოლუცია დაიწყო, „ახალგაზრდა თურქებს“ მხოლოდ „ერთობისა და პროგრესის“ საზოგადოების წევრებს უწოდებდნენ. „ახალგაზრდა თურქების“ პირველი ორგანიზაცია, როგორც ზემოთ მივუთითეთ, შეიქმნა 1889 წელს.

1892 წელს ოსმალეთის მთავრობამ შეიტყო, რომ სტამბოლის სამხედრო-სამედიცინო სკოლაში არსებობდა ფარული საზოგადოება. ამ ორგანიზაციის რიგი წევრი დააპატიმრეს, მაგრამ რამდენიმე თვის პატიმრობის შემდეგ, სულთნის ბრძანებით, ამინისტიით შეიწყალეს. აბდულ-ჰამიდმა გადაწყვიტა ვითარება არ გაემწვავებინა და იგი „ახალგაზრდულ გამოხტომად“ ჩათვლილიყო. მაგრამ სულთანი შეცდა, რადგან საზოგადოების საქმიანობა ფართოვდებოდა.

1894 წელს სამხედრო-სამედიცინო სკოლის კურსანტებმა „ერთობისა და პროგრესის“ ორგანიზაციის სახელით დაბეჭდეს წერილი, რომელშიც მოუწოდებდნენ

ოსმალეთის იმპერიის ხალხებს ერთობლივი ბრძოლისაკენ დესპოტური რეჟიმის წინააღმდეგ. მთავრობის მიმართ ოპოზიციურად განწყობილმა ჯგუფებმა ეს მოწოდება გაავრცელეს სტამბოლის მოსახლეობაში, არმიისა, ფლოტის ოფიცრებსა და სამხედრო-სასწავლებელთა კურსანტებს შორის.

დაიწყო დაპატიმრებები. ამ აქციის ბევრი მონაწილე დააპატიმრეს და გადაასახლეს იმპერიის სხვადასხვა რაიონში. 1894-1895 წლებში ოსმალეთიდან ემიგრაციაში წავიდა ახალგაზრდა თურქთა დიდი ნაწილი. ემიგრანტთა დიდი ჯგუფი პარიზში დასახლდა.

ახალგაზრდა თურქებმა შეიმუშავეს თავისი წესდება. მასში ნათქვამი იყო, რომ „ერთობისა და პროგრესის" მიზანია უზრუნველყოს სამართლიანობა, თანასწორობა, თავისუფლება, ქვეყნის პროგრესი და განთავისუფლება უცხოეთის კაბალისაგან. მასში პირდაპირ იყო ნათქვამი, რომ მისი მნიშვნელოვანი ამოცანაა ბრძოლა კონსტიტუციის აღდგენისათვის.

ქვეყანაში ფარულად ვრცელდებოდა საზღვარგარეთ დაბეჭდილი გაზეთები და პამფლეტები, ისინი შეიცავდნენ აბდულ-ჰამიდის რეაქციული რეჟიმის აშკარა კრიტიკას.

ახალგაზრდა თურქების ძირითად კადრს შეადგენდნენ ლიბერალი მოხელეები, მოწინავე ოფიცრები და სამხედრო სასწავლებლების კურსანტები, რომლებიც ევროპულად იყვნენ აღზრდილნი და კარგად ხედავდნენ ქვეყნის მძიმე პოლიტიკურ და ეკონომიკურ მდგომარეობას.

ახალგაზრდა თურქები არსებული რეჟიმის წინააღმდეგ იყენებდნენ ბრძოლის ყველა საშუალებებს, მათ შორის პრესასაც.

სტამბოლში დაარსდა არალეგალური სტამბა, სადაც იბეჭდებოდა სულთნის საწინააღმდეგო პამფლეტები, მოწოდებები და სხვ.

ქვეყანაში არსებულმა საშინელმა ტერორმა აიძულა „ითიჰათისტები" საზღვარგარეთ, ემიგრაციაში წასულიყვნენ. პარიზი გახდა მათი საორგანიზაციო პროპაგანდისტული მუშაობის ცენტრი. გაზეთმა „მეშვერეთმა", რომელსაც გამოსცემდა აჰმედ რეზა ბეი, თავის გარშემო შემოიკრიბა ემიგრანტთა ძირითადი ჯგუფები. საზოგადოების ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობაში გარდა აჰმედ რიზა ბეისა, შედიოდნენ უფლისწული მეჰმეთ ალი ფაშა, სატირული გაზეთის „ყარაგიოზის" გამომცემელი, მწერალი სამი ფაშა ზადე სეზაი, რეჯეფ ბეი და სხვ.

1896 წლის 21 თებერვალს ჟენევაში დაარსდა „ოსმალეთის რევოლუციური კომიტეტი" ჰილმი თუნალის მეთაურობით. მან თავის ამოცანად დაისახა შეთქმულების მოწყობის გზით სულთნის ხელისუფლების დამხობა.

1896 წლის 12 აპრილს თურქეთის ელჩის თხოვნით საფრანგეთის მთავრობამ აკრძალა გაზეთ „მეშვერეთის" გამოცემა, რამაც აიძულა აჰმედ რიზა ბეი გადასახლებულიყო ჟენევაში, ხოლო შემდეგ – ბრიუსელში. მაგრამ პარიზში „მეშვერეთი" გამოდიოდა ფრანგულ ენაზე, შემდეგ მისი გამოცემა გაგრძელდა ბრიუსელში.

თურქი მეცნიერების მონაცემებით XIX საუკუნის 90-იანი წლების ბოლოდან საზღვარგარეთ გამოცემული ოპოზიციური გაზეთების რიცხვმა 118 შეადგინა.

1896 წლის ზაფხულში სტამბოლში ახალგაზრდა თურქთა ჯგუფმა სცადა მოეწყო სახელმწიფო გადატრიალება. შეთქმულებაში მონაწილეობას იღებდა სტამბოლის ერთ-ერთი დივიზიის მეთაური. მაგრამ ერთ-ერთმა მონაწილემ ისინი გასცა. შეთქმულები დააპატიმრეს და გადაასახლეს. ზოგიერთმა მათგანმა შეძლო გაქცევა და პარიზში ჩასვლა.

1897 წელს ახალგაზრდა თურქებმა სცადეს გამოსულიყვნენ და დემონსტრაცია მოეწყოთ სულთნის სასახლის წინ და თავიანთი მოთხოვნები წამოეყენებინათ. პროვოკატორმა გასცა დემონსტრაციის მომწყობნი. მთავრობა სასტიკად გაუსწორდა მათ. 80 კაცი გაასამართლეს და ტრიპოლში გადაასახლეს.

აბდულ-ჰამიდი დევნიდა და უსწორდებოდა ახალგაზრდა თურქებს. 1900 წლისათვის ახალგაზრდა თურქთა ერთადერთი ორგანიზაცია სტამბოლში, რომელიც გადაურჩა დევნას, იყო „თავისუფლების კომიტეტი“. იგი იყო დამაკავშირებელი რგოლი ადგილობრივ ბირთვსა და საზღვარგარეთ მყოფ „ითიჰათისტებს“ შორის.

1902 წლის 4-9 თებერვალს პარიზში ჩატარდა ახალგაზრდა თურქთა პირველი კონგრესი. მასში მონაწილეობა მიიღო 70-მდე კაცმა. დელეგატთა შორის იყვნენ თურქები, ბერძნები, სომხები, არაბები, ალბანელები, ჩერქეზები, ებრაელები. კონგრესის თავმჯდომარედ აირჩიეს საბაჰედინი.

კონგრესზე თავი იჩინა სერიოზულმა უთანხმოებამ, რომელიც დამთავრდა გათიშვით. ერთმა ჯგუფმა, რომელიც თურქი მემამულეებისა და არათურქი, უპირატესად ბერძნულ-სომხური, კომპრადორული ბურჟუაზიის ინტერესებს გამოხატავდა, დააარსა ცალკე ორგანიზაცია – „დეცენტრალიზაციისა და კერძო ინიციატივის ლიგა“. ამ ჯგუფს სათავეში ჩაუდგა საბაჰედინი, სულთნის სამეფო კარის ოპოზიციის ერთ-ერთი წარმომადგენელი. 1903 წლიდან საბაჰედინის მომხრეებმა დაიწყეს საკუთარი ორგანოს „თერაქის“ გამოცემა.

უთანხმოება ამჟამად რიზას ახალგაზრდა თურქთა დაჯგუფებასა და საბაჰედინის „დეცენტრალიზაციის“ მომხრეებს შორის მოხდა, როგორც ძირითადი საპროგრამო, ისე ტაქტიკური საკითხების გამო. ამჟამად რიზას მომხრეები ავდულ-ჰამიდის რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლაში ეყრდნობოდნენ შინაგან ძალებს და მოითხოვდნენ უფრო ენერგიულ მოქმედებას. მეორენი კი მომხრენი იყვნენ ევროპის დიდი სახელმწიფოების აქტიური ჩარევისა და უარყოფდნენ რევოლუციურ ბრძოლას. ამჟამად რეზას დაჯგუფება მხარს უჭერდა ერთიანი, განუყოფელი, ცენტრალიზებული იმპერიის შენარჩუნებას და მის ფარგლებში ნაციონალური უფლებების დაცვას, არათურქი ხალხების ეროვნული მისწრაფებებისათვის ანგარიშის გაწევას. „დეცენტრალიზაციის“ მომხრეები მოითხოვდნენ იმპერიის ფართო დეცენტრალიზაციას და მის მოწყობას ფედერაციულ საწყისებზე. მეორე მიმდინარეობა გამოხატავდა არათურქული კომპრადორული ბურჟუაზიისა და თურქი მემამულეების ერთი ნაწილის ინტერესებს. ეს ორი დაჯგუფება ვითარდებოდა პარალელურად და ერთმანეთისაგან იზოლირებულად, რაც სულთნის ხელისუფლებას უადვილდებოდა მათ წინააღმდეგ ბრძოლას.

1905-1907 წლების რუსეთის რევოლუციამ ბიძგი მისცა და დააჩქარა რევოლუციური კრიზისის გამწვავება ოსმალეთში. გაძლიერდა ბალკანეთის ხალხების განმათავისუფლებელი მოძრაობა. მაკედონიასა და ალბანეთში ადგილი ჰქონდა სახალხო გამოსვლებს. ასევე ოსმალეთის იმპერიის აღმოსავლეთ ვილაიეთებში – არზურუმში,სამსუნში, ბითლისსა და სხვა პროვინციებში მოსახლეობა გამოვიდა ადგილობრივი ხელისუფლების წინააღმდეგ. გლეხები მოითხოვდნენ გადასახადების შემცირებას, უარს ამბობდნენ მათ გადახდაზე. გამოსვლებს ადგილი ჰქონდა არაბულ ქვეყნებშიც.

რევოლუციურმა სიტუაციამ ბიძგი მისცა ახალგაზრდა თურქების საქმიანობის გაძლიერებას. მის გარშემო დაირაზმნენ მოწინავე ოფიცრები, მოხელეები და თავისუფალი პროფესიის წარმომადგენლები.

1906 წლის ივლისში სალონიკში შეიქმნა ახალი საიდუმლო ორგანიზაცია „ოსმალეთის თავისუფალი საზოგადოება“, რომელმაც მიზნად დაისახა ბრძოლა დესპოტური რეჟიმისა და უცხოელების ჩარევის წინააღმდეგ. ეს საზოგადოება დიდ ყურადღებას უთმობდა არმიაში თავისი იდეების პროპაგანდას და სამხედროების ჩაბმას თავის რიგებში. 1906 წელს დამასკოში შეიქმნა თურქ ოფიცერთა წრე, რომელსაც ხელმძღვანელობდა ქემალ ბეი (შემდგომში ათათურქი) და რომელსაც

ეწოდა „სამშობლოსა და თავისუფლებისათვის“. 1907 წელს იგი სალონიკში გადადის, სადაც „ერთობისა და პროგრესის“ კომიტეტს ემხრობა.

1907 წლის 27 სექტემბერს მოხდა „ერთობისა და პროგრესის“ საზოგადოების „ოსმალეთის თავისუფლების საზოგადოებასთან“ გაერთიანება. მათ რიგებში დიდი რაოდენობით იყვნენ არმიის ოფიცრები. ახალმა ორგანიზაციამ მიიღო ოსმალეთის „ერთობისა და პროგრესის საზოგადოების“ სახელწოდება. მისი მთავარი მიზანი იყო მითჰათ ფაშას კონსტიტუციის აღდგენა და მისი დაცვა. მათ მიზანშეწონილად დაინახეს ყოფილიყო ორი ცენტრი: საზღვარგარეთის – პარიზში და საშინაო – სალონიკში. სალონიკის კომიტეტმა განსაკუთრებით გააძლიერა თავის რიგებში არმიის ოფიცრების ჩაბმა.

1907 წლის 27-29 დეკემბერს პარიზში ჩატარდა აბდულ-ჰამიდის რეჟიმის წინააღმდეგ მებრძოლი ბურჟუაზიული პარტიებისა და ორგანიზაციების კონგრესი. გარდა „ერთობისა და პროგრესის“ წარმომადგენლებისა, მის მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ „დეცენტრალიზაციის“ ლიგის მიმდევრები, მათ შორის სომხური ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ორგანიზაციის „დაშნაკცუტუნის“, მაკედონელ ჩეთნიკთა, ებრაელთა და ეგვიპტის ორგანიზაციის წარმომადგენლები. ყრილობა ჩატარდა ახალგაზრდა თურქთა ინიციატივითა და მათი ხელმძღვანელობით. ახალგაზრდა თურქებმა ბლოკი შეკრეს კონგრესის მონაწილე სხვა ორგანიზაციებთან და მათთან შეთანხმებით ერთობლივი დეკლარაცია მიიღეს, რომელშიაც შემუშავებული იყო სულთნის ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლის პროგრამა: 1. არსებული რეჟიმის შეცვლა, 1876 წლის კონსტიტუციის აღდგენა და სულთან აბდულ-ჰამიდის ტახტიდან გადაყენება. 2. აბდულ-ჰამიდის დესპოტური რეჟიმის შეცვლა შეიარაღებული აჯანყების გზით. 3. ფართოდ უნდა ყოფილიყო გამოყენებული აგრეთვე ბრძოლის მშვიდობიანი ფორმები: უარის თქმა გადასახადების გადახდაზე, არმიაში გაწვევაზე, მოსამსახურეებისა და სახელმწიფო მოხელეების გაფიცვების მოწყობა სახელმწიფო აპარატის მოშლის მიზნით. 4. ფართო აგიტაციის გაშლა მთავრობის წინააღმდეგ, როგორც ხალხის მასებში, ისე განსაკუთრებით არმიაში. 5. სხვა საშუალებების გამოყენებაც, იმისდა მიხედვით, თუ როგორ განვითარდებოდა მოვლენები. აჯანყება უნდა დაწყებულიყო 1909 წლის აგვისტოში.

2. ახალგაზრდა თურქთა რევოლუცია

1908 წლის პირველ ნახევარში მაკედონიაში დაიწყო გამოსვლები მთავრობის წინააღმდეგ, რომელიც თანდათანობით ფართოვდებოდა და საშიშ ხასიათს იღებდა.

1908 წლის ივნისში რეველში (ფინეთი) მოხდა რუსეთის მეფის ნიკოლოზ II-ის შეხვედრა ინგლისის მეფე ედუარდ VI-სთან. ამ შეხვედრის დროს მიაღწიეს შეთანხმებას მაკედონიაში უცხოეთის ჯარების შეყვანისა და იქ რეფორმების ჩატარებაზე. შეიქმნა რეალური საფრთხე არათუ უცხო ქვეყნების მაკედონიის საშინაო საქმეებში ჩარევისა, არამედ ამ რეგიონის ოსმალეთისაგან ჩამოშორებისა. ასეთ ვითარებაში ახალგაზრდა თურქებმა გადაწყვიტეს ვადამდე ადრე დაეწყოთ შეიარაღებული აჯანყება კონსტიტუციის აღდგენისათვის და ხელი შეეშალათ ქვეყნის საშინაო საქმეებში უცხოელების ჩარევისათვის

მოახლოებულმა საშიშროებამ დააჩქარა ახალგაზრდა თურქების გამოსვლა. მათი სალონიკის ფარული ორგანიზაცია შეუდგა შეიარაღებული აჯანყებისათვის



აჰმედ ნიაზ ბეი

მზადებას. 1908 წლის ზაფხულისათვის ახალგაზრდა თურქებს, სამხედროების ჩათვლით, თავიანთ რიგებში ჰყავდათ 15 ათასი კაცი.

1908 წლის 3 ივლისს ქალაქ რესნაში (მაკედონია) აჯანყება დაიწყო ერთ-ერთმა სამხედრო ნაწილმა ლეიტენანტ ნიაზ ბეის მეთაურობით. მისი რაზმი 200 კაცისაგან შედგებოდა. მას მალე მაიორ ენვერ ბეის რაზმი შეუერთდა. აჯანყებულებს სხვა სამხედრო გარნიზონების ნაწილებიც შეუერთდნენ. მეამბოხეთა რიცხვი დღითიდღე იზრდებოდა. ივლისის მეორე ნახევარში მთელი მაკედონია და ალბანეთი აჯანყების ცეცხლში იყო გახვეული. აჯანყებულთა მხარეზე გადავიდნენ მესამე კორპუსის ბატალიონები და პოლკები.

13 ივლისს ახალგაზრდა თურქთა კომიტეტმა ქალაქ მონასტერში მყოფ უცხოეთის სახელმწიფოების კონსულებს აცნობა: „ორგანიზაციის მთავარი და საბოლოო მიზანია 1876 წლის კონსტიტუციის აღდგენა. ორგანიზაცია აცხადებს, რომ არ არის მტრულად განწყობილი ქრისტიანების მიმართ. პირიქით, კონსტიტუციური რეჟიმის დამყარება სიკეთის მომტანი იქნება ყველასათვის განურჩევლად რასისა და რელიგიისა. ორგანიზაცია შეეცდება არ დაუშვას ტყუილუბრალოდ სისხლისღვრა“.

სულთანმა აჯანყების ჩასაქრობად სასწრაფო ზომები მიიღო, მაგრამ ყველა ცდა აჯანყებულთა ჯარების განადგურებისა მარცხით დამთავრდა. სამხედრო ნაწილები ერთმანეთის მიყოლებით აჯანყებულთა მხარეზე გადადიოდნენ. აბდულ-ჰამიდმა სცადა ანატოლიიდან გადაესროლა სამხედრო ნაწილები, მაგრამ მათაც უარი განაცხადეს აჯანყებული ჯარის წინააღმდეგ ბრძოლაზე.

22 ივნისს ნიაზ ბეის ნაწილებმა ხელთ იგდეს მონასტერი, მეორე დღეს – სალონიკი და სხვა ქალაქები. მიტინგების დროს ისინი მოითხოვდნენ კონსტიტუციის აღდგენასა და პარლამენტის მოწვევას.

23 ივლისს ქალაქ ედირნეში ახალგაზრდა თურქთა კომიტეტმა მოაწყო მიტინგი, სულთანს გაუგზავნა ულტიმატუმი და მოთხოვა მას კონსტიტუციის აღდგენა, უარის შემთხვევაში დაიწყებდნენ ლაშქრობას დედაქალაქის წინააღმდეგ.

24 ივლისს სულთანმა გამოაქვეყნა ბრძანებულება 1876 წლის კონსტიტუციის აღდგენის შესახებ. ამავე დროს სულთანი ჰპირდებოდა ხალხს პარლამენტის მოწვევას.

ოსმალეთის ქალაქებსა და სოფლებში ეწყობოდა მიტინგები და დემონსტრაციები. ხალხის მასები დიდი სიხარულით შეხვდნენ კონსტიტუციის აღდგენას. 25 ივნისს გამოვიდა სულთნის ბრძანებულება ამნისტიის შესახებ. ათასობით პოლიტიკური პატიმარი განთავისუფლებულ იქნა ციხეებიდან, მრავალი დაბრუნდა გადასახლებიდან და ემიგრაციიდან.



1908 წლის მეჯლისის სხდომა

რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ქვეყანაში თავისებური სიტუაცია შეიქმნა. თუმცა ამ დროს რეალური ხელისუფლება ახალგაზრდა თურქთა ხელში იყო, მაგრამ ერთობისა და პროგრესის კომიტეტს ერჩია არ აეღო თავის ხელში ქვეყნის მმართველობა. ახალგაზრდა თურქთა ერთ-ერთმა მოღვაწემ ნიაზი ბეიმ განაცხადა, რომ იგი და მისი კოლეგები არ ესწრაფვიან თვითონ მართონ ქვეყანა, არამედ მათ განზრახული აქვთ შეინარჩუნონ თავიანთი კონტროლი მთავრობაზე".

ახალგაზრდა თურქების მოთხოვნით, სულთანმა ქამილ ფაშა დანიშნა პრემიერ-მინისტრად, ხოლო ზოგიერთი კორუმპირებული მინისტრი გამოიყვანეს მთავრობის შემადგენლობიდან.

ახალგაზრდა თურქების ზეწოლის შედეგად მკვეთრად შემცირდა სულთნის კარის ხარჯები და მომსახურე პერსონალი. სულთანს ჩამოაცილეს 270 ადიუტანტი (300-დან) 750 მზარეული (800-დან) და სხვ.

1908 წლის 5-25 ოქტომბერს ჩატარდა ახალგაზრდა თურქთა კონგრესი, რომელზედაც მიღებული იქნა დადგენილება „ერთობისა და პროგრესის ორგანიზაციის" გარდაქმნის შესახებ პოლიტიკურ პარტიად. კონგრესმა მიიღო პარტიის პროგრამა. მისი ძირითადი პუნქტები იყო: სულთნის ხელისუფლების შეზღუდვა და პარლამენტის უფლებამოსილების გაფართოება, მინისტრების პასუხისმგებლობა პარლამენტის წინაშე, დეპუტატებს მიცემოდათ უფლება შეეტანათ კანონპროექტები, შემცირებულიყო ამომრჩეველთა ასაკობრივი ცენზი 21 წლამდე, კონსტიტუციის 113-ე მუხლის ამოღება, რომელიც სულთანს უფლებას აძლევდა გაეძევებინა ქვეყნიდან მისთვის არასასურველი პიროვნება. პროგრამა აცხადებდა სიტყვის, ბეჭდვისა და კრებების თავისუფლებას. თურქული ენა სახელმწიფო ენად ცხადდებოდა. კონსტიტუცია ითვალისწინებდა ყველა ეროვნებისა და ხალხის თანასწორობას, სახელმწიფო თან-



აბდულ ხამიდ II-ის შეხვედრა ახალგაზრდა თურქთა რევოლუციის ხელმძღვანელებთან

ამდებობებზე სხვა ეროვნების წარმომადგენლის დანიშვნისა და არმიაში გაწვევას, სწავლა-განათლების თავისუფლებას, არმიაში არამუსლიმანთა სამსახურს, ქვეყნის ეკონომიკური პროგრესისა და სოფლის მეურნეობის განვითარების მიზნით გარკვეული ღონისძიებების გატარებას.

1908 წლის ოქტომბერში მომხდარმა საგარეო პოლიტიკურმა ამბებმა, გაართულა ახალგაზრდა თურქების მდგომარეობა. ავსტრია-უნგრეთმა მოახდინა ბოსნიისა და ჰერცოგოვინას ანექსია. ბულგარეთმაც არ დააყოვნა დამოუკიდებლობის გამოცხადება. ახალგაზრდა თურქების ხელმძღვანელები გამოვიდნენ ავსტრია-უნგრეთის აგრესიის წინააღმდეგ, გამოუცხადეს ბოიკოტი ავსტრიის საქონელს და დაიწყეს თურქეთის ევროპულ ნაწილში განლაგებული სამხედრო ნაწილების მოსალოდნელი ომისათვის მზადება. ქალაქებში ტარდებოდა საპროტესტო მიტინგები, მიმართული ავსტრია-უნგრეთისა და ბულგარეთის წინააღმდეგ.

ისარგებლეს რა ხელსაყრელი მომენტით, რეაქციულმა ძალებმა ბრალი დასდეს ახალგაზრდა თურქებს, რომ მათ შექმნეს ავსტრია-უნგრეთისა და ბულგარეთისათვის ხელსაყრელი სიტუაცია. 1908 წლის 7 ოქტომბერს მრავალრიცხოვანი ბრბო, მოლების ხელმძღვანელობით გაემართა სულთნის სასახლისაკენ და მოითხოვდა კონსტიტუციის გაუქმებასა და „შარიათის აღდგენას“. „ერთობისა და პროგრესის“ პარტიის ხელმძღვანელებმა შესძლეს ამ მანიფესტაციის ხელმძღვანელების დაპატიმრება. ოქტომბრის ბოლოს მოხდა გვარდიის ჯარისკაცების ამბოხება, მაგრამ ახალგაზრდა თურქებმა მათი დაშოშმინებაც მოახერხეს.

ასეთ ვითარებაში ჩატარდა პარლამენტის არჩევნები, 2 ნოემბერს იგი შეუდგა თავის მუშაობას. პარლამენტში არჩეულ იქნა 230 დეპუტატი, აქედან 150 დეპუტატი ახალგაზრდა თურქი იყო. პარლამენტის თავმჯდომარედ აირჩიეს ჰამედ რიზა ბეი, რომელიც ემიგრაციიდან დაბრუნდა. პარლამენტის არჩევნებში მოპოვებული გამარჯვების მიუხედავად, ახალგაზრდა თურქებმა არ მოისურვეს მონაწილეობა მიეღოთ მთავრობის შედგენაში და ისინი მხოლოდ პარლამენტის საქმიანობის კონტროლით დაკმაყოფილდნენ.

ხანმოკლე აღმოჩნდა ოსმალეთის პირველი რევოლუციის „გაზაფხული“ და ამით გამოწვეული საყოველთაო სიხარული. მალე თავი იჩინა ახალგაზრდა თურქთა კლასობრივმა შეზღუდულობამ. ხალხის მასები რევოლუციისაგან მოითხოვდნენ

თავისი მძიმე მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას, გადასახადების შემსუბუქებას და სხვ. ახალგაზრდა თურქებმა კონსტიტუციის აღდგენის შემდეგ თავიანთი მისია დამთავრებულად ჩათვალეს და რევოლუციის გაღრმავება ზედმეტად მიიჩნიეს. მათ შეზღუდეს რევოლუცია, მიღწეულით დაკმაყოფილდნენ, სულთანი ტახტზე დატოვეს და ხელი არ ახლეს მმართველობის სისტემას. მათ ახალგაზრდა თურქების სამხედრო რაზმები მაკედონიაში დააბრუნეს.

ახალგაზრდა თურქები არ ისახავდნენ მიზნად რევოლუციის შემდეგ რაიმე არსებითი ხასიათის სოციალური რეფორმების ჩატარებას. თანდათანობით მათ დაკარგეს პოპულარობა ხალხის მასებში და კიდევ უფრო მეტად კი – მხარდაჭერა არათურქი მოსახლეობისა, რადგანაც ეროვნული საკითხის გადაჭრა მათ სურდათ ოსმანიზმის დოქტრინის საფუძველზე. ახალგაზრდა ოსმანიზმს მისცეს სრულიად ახალი შინაარსი. „მე უპირველეს ყოვლისა ოსმალო ვარ, მაგრამ მე არ მავიწყდება, რომ მე თურქი ვარ“ – წერდა ჯემალ ფაშა „ერთობისა და პროგრესის“ ერთ-ერთი ლიდერი.

1908 წლის ბოლოს დაარსდა ფეოდალურ-კომპრადორული პარტია „აჰრარი“ (ლიბერალური). ამ პარტიის პროგრამა ითვალისწინებდა პროვინციებისათვის ადგილობრივი ავტონომიის მინიჭებას, ე. ი. იზიარებდა „დეცენტრალიზაციის“ პრინციპს. ეს პარტია შეიქმნა უფლისწულ საბაჰედინის მიმდევართა მიერ და იყო დასავლური ორიენტაციისა. თურქი ავტორები მას რეაქციულ პარტიად თვლიან.

გლეხებმა როგორც თურქებმა, ისე არათურქებმა, ნათლად დაინახეს, რომ რევოლუციამ მათ არაფერი მოუტანა. გლეხების მდგომარეობა ძალზე სავალალო იყო. 1908/9 წლის ზამთარში აღმოსავლეთ ანატოლიაში დაიწყო შიმშილი.

3. 1909 წლის კონტრრევოლუციური ამბოხება

ასეთ ვითარებაში შეიქმნა ხელსაყრელი პირობები რეაქციული ძალებისათვის, გამოსულიყვნენ ახალგაზრდა თურქების წინააღმდეგ.

1909 წლის 6 აპრილს სტამბოლში ოფიცრის ფორმაში გამოწყობილმა უცნობმა მოკლა ახალგაზრდა თურქების პოლიტიკური მოწინააღმდეგე ჰასან ფეჰმი ბეი, გაზეთ „სერბესტის“ („თავისუფლება“) რედაქტორი, რომელიც იყო „აჰრარის“ პარტიის ორგანო. ქალაქში გავრცელდა ხმები, რომ მკვლელობა მოეწყო ახალგაზრდა თურქების მითითებით. 10 აპრილს ფეჰმი ბეის დასაფლავება გადაიქცა 100-ათასიან საპროტესტო დემონსტრაციად ახალგაზრდა თურქების წინააღმდეგ.

1909 წლის 13 აპრილს სტამბოლის გარნიზონის სამხედრო ნაწილებმა დაიწყეს ამბოხება. ყველაფერი წინასწარ იყო დაგეგმილი. ისინი გაემართნენ აია სოფიას მეჩეთისაკენ. თანდათანობით აჯანყებულთა რიცხვმა 30 ათასს მიაღწია. აჯანყებულთა შორის გამოჩდნენ ულემები ხელში ყურანითა და ისლამის მწვანე ბაირაღებით. ისინი ჯარს და ხალხს მოუწოდებდნენ ხალიფათისა და შარიათის დაცვას. აჯანყებულები ყვიროდნენ: „ძირს კონსტიტუცია! ძირს მთავრობა! დაე, შარიათის კანონი აღდგეს! ჩვენ გვსურს სულთანი, რომელიც თავსაბურავს ატარებს!“

ამბოხებულები გაემართნენ პარლამენტისაკენ. გზაში მოხდა შეტაკებები ახალგაზრდა თურქების ერთგულ ჯარის ნაწილებთან.

დაიწყო ახალგაზრდა თურქთა რბევა, მაგრამ მათმა ლიდერებმა მოახერხეს სალონიკში გაქცევა. აჯანყებულებმა დაარბიეს „ერთობისა და პროგრესის“ პარტიის ცენტრი და მათი გაზეთების რედაქციები. აჯანყებულებმა დაიკავეს მთავრობის ყველა შენობა.

აჯანყებულებმა მოითხოვეს შარიათის ნორმების განუხრელად დაცვა, დიდი ვეზირისა და სამხედრო მინისტრის გადაყენება, ქვეყნიდან პარლამენტის თავმჯდომარის აჰმედ რიზასა და სხვა გამოჩენილი ახალგაზრდა თურქების გაძევება და სხვ. 14 აპრილს სულთანმა დაუყოვნებლივ დანიშნა ახალი დიდი ვეზირი და დააკმაყოფილა მათი სხვა მოთხოვნები.

1909 წლის 13 აპრილის კონტრრევოლუციური ამბოხება კარგად იყო მომზადებული და განხორციელებული ულტრამონარქისტული, რეაქციული მუსლიმური სამღვდელოებისა და ოპოზიციური რეაქციული პარტიის „აჰრარის" მიერ. მაგრამ რეაქციონერების ზეიმი ხანმოკლე აღმოჩნდა.

ახალგაზრდა თურქებმა, რომლებმაც თავი შეაფარეს სალონიკს, დაიწყეს მზადება კონტრრევოლუციონერების წინააღმდეგ საბრძოლველად. მათ მოწოდებით მიმართეს მოსახლეობას და სამხედრო ნაწილებს მხარი დაეჭირათ რეაქციონერების წინააღმდეგ ბრძოლაში.

15 აპრილს სალონიკში მოეწყო მრავალათასიანი მიტინგი. მისმა მონაწილეებმა განაცხადეს, რომ არ სცნობენ ახალ მთავრობას და გაგზავნიან მოხალისეებს კონსტიტუციის დასაცავად. ანალოგიური მიტინგები ჩატარდა სხვა ქალაქებშიც. დაიწყო მოხალისეთა რაზმების დაკომპლექტება. შეიქმნა 100-ათასიანი „მოქმედების არმია", რომლის მეთაურად დანიშნეს გენერალი მაჰმუდ შევქეთ ფაშა, ხოლო შტაბის უფროსად – მუსტაფა ქემალი.

23 აპრილს „მოქმედების არმია" გაემართა სტამბოლისაკენ. 24 აპრილს ცხარე ბრძოლების შედეგად ამბოხებულები დამარცხდნენ. 26 აპრილისათვის მთელი სტამბოლი გადავიდა „მოქმედი არმიის" ხელთ. 10 ათასი ამბოხებული ქალაქიდან გაასახლეს, ხოლო მათი ლიდერები სიკვდილით დასაჯეს. ქალაქში შემოიღეს სამხედრო მდგომარეობა.

27 აპრილს სენატისა და დეპუტატთა პალატის გაერთიანებულ სხდომაზე წაიკითხეს შეიხულ-ისლამის ფეტვა აბდულ-ჰამიდ II-ის ტახტიდან გადაყენებისა და ტახტზე მეჰმედ V-ის (1909-1916) აყვანის შესახებ.

დაიწყო ოსმალეთის ისტორიის ახალი პერიოდი. ახალგაზრდა თურქებმა ხელში აიღეს ქვეყნის მმართველობა. „ერთობისა და პროგრესის" პარტიის ცენტრალური კომიტეტი წარმართავდა მთავრობის მთელ საქმიანობას.

ამით დამთავრდა ახალგაზრდა თურქთა რევოლუცია. იგი აღარ გაღრმავებულა და საწყის ეტაპზე დამთავრდა. იგი არ გადაიზრდებოდა ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ, ანტიიმპერიალისტურ, ანტიფეოდალურ რევოლუციაში.

აღსანიშნავია, რომ ახალგაზრდა თურქთა მოძრაობაში ქართველი მაჰმადიანებიც იღებდნენ მონაწილეობას და რევოლუციის შემდეგ ოთხი მათგანი მეჯლისის დეპუტატად აირჩიეს, ზოგი კი მთავრობის წევრი გახდა.

ამის შესახებ ცნობები მოიპოვება იმდროინდელ ქართულ პრესაში. რევოლუციის შემდეგ მთავრობის შემადგენლობის შესახებ გაზეთი „სავაჭრო გზა" წერდა: „მინისტრებად საიმედო და თან დამსახურებული და ცნობილი პირები მოიწვიეს. სამინისტრო ისე ხელოვნურად არის შედგენილი, რომ მასში გამოჩენილ და ნიჭიერ პირებთან ერთად, ოსმალეთში მცხოვრები სხვადასხვა ხალხის წარმომადგენლებიც შედიან. მაგალითად, მინისტრ-პრეზიდენტი ქიამილ ფაშა, ტომით ურიაა, სამხედრო მინისტრი რიზა ფაშა, ტომით ქართველია, გვარად ღლონტი".

6 ნოემბრის გაზეთი „დროება" იუწყებოდა, რომ „მოხუცებულ ქიამილ ფაშას ნაცვლად მათ დაუნიშნავთ უფრო ახალგაზრდა, განათლებული და გულწრფელი პროგრესისტი ჰასან ფერიმ ფაშა... გავახსენებ მკითხველს, რომ ოსმალეთის ახალი პირველი მინისტრი ჩამომავლობით ქართველია, ბათუმში დაბადებული".

ოსმალეთის პარლამენტის დეპუტატი იყო აგრეთვე აჰმედ ბეგ თავდგირიძე.

ახალგაზრდა თურქების რევოლუციის თვითმხილველი იყო მწერალი იასე რაჭველი (მეხუზლა), რომელიც იმ დროს სტამბოლში ცხოვრობდა. მან საყურადღებო წერილები უძღვნა სტამბოლში მომხდარ მნიშვნელოვან ამბებს. სამწუხაროდ, მისი წერილების ნაწილი დაკარგულია. იასე რაჭველი მიესალმა ახალგაზრდა თურქთა რევოლუციას და ასე აგვიწერა სტამბოლის მოსახლეობის განწყობილება : „მთელმა კონსტანტინოპოლის მცხოვრებლებმა თავისუფლად ამოისუნთქეს. ყველა განურჩევლად რჯულისა და რწმენისა, სიხარულს მიეცა, სწუხან და ტირიან მხოლოდ ხოჯა-მოლები და ყოფილი სულთნის მუქთახორები... მშვიდობიანობაა, ყველა დაწესებულებაში ახალგაზრდა თურქებია, მმართველობა ჯერ კიდევ ჯარისკაცების ხელშია, ქალაქი მთლად რევოლუციონერებს უჭირავთ... ქუჩები ბაირაღებით არის მორთული, დუქნები, მაღაზიები ყველა გაღებულია, ყველაფერი წესრიგში ჩადგა“ (1909 წლის 15 აპრილი).

თავი XI

ოსმალეთი პირველი მსოფლიო ომის წინ

1. ახალგაზრდა თურქები ხელისუფლების სათავეში

1909 წლის მეორე ნახევრიდან ოსმალეთში მთელი ძალაუფლება ახალგაზრდა თურქების ხელში გადავიდა. მათ 1876 წლის კონსტიტუციაში შეიტანეს რიგი მნიშვნელოვანი ცვლილებებისა: სულთანს ჩამოერთვა უფლება დაენიშნა და გადაეყენებინა მინისტრები, მოეწვია და დაეთხოვა პარლამენტი, გაეძევებინა ქვეყნიდან მისთვის არასასურველი პირები. ამასთან ერთად, პარლამენტმა მიიღო კანონი პრესის შესახებ, რომლის მიხედვითაც, ფაქტიურად, მთელი პრესა მთავრობის კონტროლს დაექვემდებარა. ახალგაზრდა თურქები გამოხატავდნენ ეროვნული ბურჟუაზიისა და მემამულეების ინტერესებს.

ახალგაზრდა თურქები როდესაც ებრძოდნენ აბდულ-ჰამიდის დესპოტურ რეჟიმს, გლეხებს მდგომარეობის გაუმჯობესებას ჰპირდებოდნენ, ისინი აცხადებდნენ, რომ გააუქმებდნენ აშარს, გადასახადების აკრეფის იჯარის სისტემას და სხვ. მაგრამ რევოლუციის გამარჯვების შემდეგ მათ არ შეასრულეს თავიანთი დანაპირები. მთლიანად შენარჩუნებულ იქნა მსხვილი ფეოდალურ-მემამულური მიწათმოქმედება და გლეხების მწვავე ექსპლოატაცია. მათ ხელუხლებლად დატოვეს ფეოდალური მიწათმფლობელობა, ფეოდალურ-მემამულური კაბალა. 1913 წელს გამოცემული აგრარული კანონი ამტკიცებდა მსხვილ მემამულურ კერძო საკუთრებას მიწაზე, ბიძგს აძლევდა მიწათმფლობელობის შემდგომ განვითარებას და უცვლელად ტოვებდა სოფლად არსებულ მდგომარეობას. ქვეყანაში რჩებოდა დიდი რაოდენობით მცირე მიწის მქონე და უმიწაწყლო გლეხები.

1909 წლის 9 აგვისტოს პარლამენტმა მიიღო კანონი გაფიცვების შესახებ, რომლის მიხედვითაც, ნებართვის გარეშე იკრძალებოდა გაფიცვები, პიკეტები. მიუხედავად ამისა, ადგილი ჰქონდა გამოსვლებს. 1900 წლის დასაწყისში დიდი გაფიცვა მოეწყო სტამბოლში, სალონიკში. 1912 წელს სტამბოლში დაარსდა რამდენიმე პროფკავშირი, მუშათა კლუბი.

1910 წელს სტამბოლში დაარსდა ოსმალეთის სოციალისტური პარტია. ამ პარტიის ორგანიზაციის საქმეში დიდი დახმარება გაუწია ფრანგმა რევოლუციონერ-დემოკრატმა ჟან ჟორესმა და მეორე ინტერნაციონალის ლიდერმა პარკუსმა. თურქეთის სოციალისტური პარტია გამოდიოდა რიგი ეკონომიკური და პოლიტიკური მოთხოვნებით, გამოსცემდა თავის გაზეთსა და ჟურნალს. 1910 წლის დეკემბერში პარტიამ განიცადა რეპრესიები, ზოგიერთი მისი ხელმძღვანელი გადაასახლეს, სხვები წავიდნენ ემიგრაციაში.

ოსმალეთში, როგორც მრავალეროვან სახელმწიფოში, მწვავედ იდგა ეროვნული საკითხი. რევოლუციის წინ ახალგაზრდა თურქები ჰპირდებოდნენ ხალხს ეროვნულ თანასწორობას, მაგრამ მათი მოწოდებები იმპერიის ხალხებისადმი „ერთიანობისა“ და „ძმობისაკენ“ რევოლუციის შემდეგ დავიწყებულ იქნა. მათ დაიწყეს ეროვნულ-განმათავისუფლებელი გამოსვლების ჩახშობა. ახალგაზრდა თურქების იდეოლოგებმა თურქიზმის ნაცვლად მხარი დაუჭირეს პანთურქიზმსა და პანისლამიზმის დოქტრინას.

პანთურქიზმი ახალგაზრდა თურქებმა თავიანთ სახელმწიფოს ოფიციალურ დოქტრინად გამოაცხადეს და დაიწყეს არათურქი ხალხების ძალით გათურქება. მათ

აკრძალეს არათურქი ხალხების ნაციონალური ორგანიზაციები და ავიწროებდნენ მათ მიმდევრებს.

ახალგაზრდა თურქები რევოლუციის წინ გამოდიოდნენ დაპირებებით, რომ შეზღუდავდნენ უცხოეთის სახელმწიფოების ეკონომიკურ გავლენას და ხელს შეუწყობდნენ ეროვნული მრეწველობის განვითარებას. 1908-1914 წლებში არ იყო მიღებული არც ერთი ისეთი დადგენილება, რომელიც შეზღუდავდა უცხოეთის სახელმწიფოების ჩარევას ქვეყნის ეკონომიკის საქმეებში. პირიქით, მათ აიღეს კაბალური სესხები, გასცეს უცხოელებისათვის ხელსაყრელი ახალი კონცესიები და კიდევ უფრო მეტად შეუწყვეს ხელი მათი პოზიციების განმტკიცებას.

ახალგაზრდა თურქებმა საშინაო და საგარეო პოლიტიკაში კურსი აიღეს გერმანიასთან მჭიდრო თანამშრომლობისაკენ, გერმანიის დახმარებით მოხდა ოსმალეთის არმიის რეორგანიზაცია. კერძოდ, სამხედრო რეფორმა განხორციელდა გენერალ ფონ დერ გოლცისა და გერმანიის სამხედრო მისიის მეთვალყურეობის ქვეშ.

ოსმალეთის არმიის რეფორმების მთავარი პრინციპი იყო გერმანიის სამხედრო სისტემის შემოღება. სამხედრო სამინისტროს ბრძანებით, ქვეითი ჯარის ნაწილებში შემოიღეს გერმანული სამხედრო წესები. ოსმალეთის არმიის ახალი სამხედრო ტექნიკით მომარაგებას ახორციელებდნენ გერმანიის ფირმები. ოსმალეთის სამხედრო ბიუჯეტი მნიშვნელოვნად გაიზარდა და წელიწადში 37%-ს შეადგენდა.

ახალგაზრდა თურქებმა ჩაატარეს ჟანდარმერიისა და პოლიციის რეორგანიზაცია. უმოკლეს დროში არმია, ჟანდარმერია და პოლიცია გახდა საფუძველი ახალგაზრდა თურქთა დიქტატურისა.

2. ტრიპოლიტანიისა და ბალკანეთის ომები

იტალია, რომელიც სხვა იმპერიალისტურ სახელმწიფოთა შორის ყველაზე სუსტი იყო, ოცნებობდა კოლონიების ხელში ჩაგდებაზე. მან თავისი ყურადღება მის სამხრეთით მდებარე ტრიპოლიტანიას მიაპყრო, რომელსაც ხმელთაშუა ზღვა აშორებდა და რომელიც ოსმალეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში შედიოდა. დასუსტებულ ოსმალეთს ძალზე გაუჭირდა ტრიპოლიტანიის დაცვა, თუ მას არ დაეხმარებოდნენ დიდი სახელმწიფოები. ამ დროს ევროპაში ორი ერთმანეთის საწინააღმდეგო ბლოკი (ანტანტა და სამთა კავშირი) იყო შექმნილი და არც ერთ მათგანს არ სურდა, რომ იტალია მის მოწინააღმდეგე ბლოკში შესულიყო.

იტალიამ გადაწყვიტა ესარგებლა ხელსაყრელი საერთაშორისო მდგომარეობით და ოსმალეთის შიდაპოლიტიკური სირთულეებით და ხელთ ეგდო ტრიპოლიტანია და კიერენაიკა. 1911 წლის 28 სექტემბერს იტალიამ გაუგზავნა ულტიმატუმი ოსმალეთს და მოთხოვა ამ ტერიტორიების ოკუპაციაზე თანხმობა. იტალიამ ოსმალეთის პასუხი არადამაკმაყოფილებლად ჩათვალა და 29 სექტემბერს ოსმალეთს ომი გამოუცხადა.

ორივე ბლოკის სახელმწიფოებმა გამოაცხადეს ნეიტრალიტეტი. ინგლისმა, ფაქტიურად, დახმარება გაუწია იტალიას, რადგან ნება არ დართო ოსმალეთის ჯარებს ხმელეთით, ეგვიპტეზე გავლით, დახმარება აღმოეჩინათ ტრიპოლიტანიაში განლაგებული ოსმალეთის ჯარებისათვის.

ოსმალეთი მოუმზადებელი შეხვდა ამ ომს. 5 ოქტომბერს იტალიის სადესანტო ნაწილები გადასხმულ იქნა ტრიპოლიტანიაში და მათ დაიკავეს საზღვაო სანაპიროზე მდებარე გამაგრებული ციხე-ქალაქები: ტრიპოლი, ხომსი, დერნუ, ბენგაზი. ნოემბერში

იტალიის 50-ათასიანმა საექსპედიციო კორპუსმა დაიწყო წინსვლა ქვეყნის სიღრმეში და წააწყდა ადგილობრივი არაბების მედგარ წინააღმდეგობას.

1912 წლის აპრილში იტალიის ფლოტმა დაბომბა დარდანელი, მაისში იტალიის ჯარებმა დაიკავეს დოდეკანეზის კუნძულები.

ასეთ ვითარებაში ახალგაზრდა თურქების პოლიტიკურმა მოწინააღმდეგეებმა 1912 წლის ივლისში მოაწყვეს გადატრიალება. მას ხელმძღვანელობდა 1911 წლის ნოემბერში შექმნილი „თავისუფლებისა და თანხმობის“ პარტია. ახალ ოპოზიციურ პარტიაში გაერთიანდნენ ყოფილი „ლიბერალები“ („აჰრარის“ წევრები), „ერთობისა და პროგრესის“ პარტიის რიგებიდან გამოსული მემარჯვენე ელემენტები და სხვა წვრილი მემარჯვენე წრეების მიმდევრები. ამ პარტიამ ბლოკი შეკრა არათურქი ხალხების ნაციონალისტურ ორგანიზაციებთან და სომხების, არაბების, ალბანელების, ქურთების ფეოდალურ-კლერიკალურ წრეებთან. ივლისში, სამხედრო გადატრიალების შედეგად, დაემხო ახალგაზრდა თურქთა ხელისუფლება. მთავრობას სათავეში ჩაუდგნენ „თავისუფლებისა და თანხმობის“ ხელმძღვანელები. ახალმა მთავრობამ სამხედრო წესები გამოაცხადა და დევნა დაუწყო ახალგაზრდა თურქებს. 1912 წლის აგვისტოში მათ პარლამენტიც დაითხოვეს, რომელშიც უმრავლესობას ახალგაზრდა თურქები შეადგენდნენ.

1912 წლის აგვისტოში ახალგაზრდა თურქებმა სტამბოლში ჩაატარეს პარტიის მორიგი ყრილობა, ხოლო შემდეგ მისი ცენტრალური კომიტეტი კვლავ გადავიდა სალონიკში.

ოსმალეთში შექმნილმა რთულმა საშინაო მდგომარეობამ და განსაკუთრებით ბალკანეთის ქვეყნებთან ომის დაწყების საშიშროებამ, აიძულა ოსმალეთის მთავრობა დაეწყო მოლაპარაკება იტალიასთან ზავის დადების მიზნით.

1912 წლის 18 ოქტომბერს ლოზანაში დაიდო სამშვიდობო-საზავო ხელშეკრულება ოსმალეთსა და იტალიას შორის. ხელშეკრულებით ოსმალეთის სულთანი ვალდებული იყო „ეჩუქებინა“ ავტონომია ტრიპოლიტანიისა და კირენაიკისათვის, შეეწყვიტა ომი და გამოეყვანა თავისი ჯარები ამ ოლქებიდან, ხოლო იტალიას დოდეკანეზის კუნძულებიდან (ეს ვალდებულება იტალიამ არ შეასრულა და ეს კუნძულები დარჩა იტალიის მფლობელობაში მეორე მსოფლიო ომის დამთავრებამდე). მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულებაში არ იყო აღნიშნული იტალიის მიერ ტრიპოლიტანიისა და კირენაიკის ანექსია, ფაქტიურად, ეს ტერიტორიები იტალიის კოლონიად იქცა და მიიღო ლიბიის სახელწოდება. ოსმალეთმა საბოლოოდ ამ ტერიტორიაზე უარი თქვა 1923 წლის ლოზანის ხელშეკრულებით.

იტალიასთან ომის დამთავრებამ ვერ მოუტანა მშვიდობა ოსმალეთს. იმავე დღეს 1912 წლის 18 ოქტომბერს, როდესაც ოსმალეთსა და იტალიას შორის დაიდო ზავი, ოსმალეთი იძულებული გახდა ახალი ომი ეწარმოებინა ბალკანეთის ქვეყნებთან. ოსმალეთის იმპერიის წინააღმდეგ შეიქმნა ბალკანეთის სახელმწიფოების კოალიცია – ბულგარეთი, საბერძნეთი, სერბია და ჩერნოგორია. ამის მიზეზი გახდა ოსმალეთის უარი ავტონომია მიეცა მაკედონიისა და თრაკიისათვის. ეს ომი იყო ბალკანეთის მოსახლეობის ბრძოლა ამ რეგიონის ხალხების განთავისუფლებისათვის ოსმალთა ბატონობისაგან. ისინი სარგებლობდნენ ანტანტის ქვეყნების ფინანსური და დიპლომატიური მხარდაჭერით.

18 ოქტომბერს სტამბოლში მოხდა დიდი ცვლილებები. მინისტრთა კაბინეტი გადადგა და ახალი მთავრობა შეადგინა ითილიაფისტთა („ლიბერალთა“ პარტ.) ხელდებულმა ქამილ ფაშამ. ლიბერალებმა ისარგებლეს სამხედრო სიტუაციით, რათა დაეწყოთ რეპრესიები თავიანთი პოლიტიკური მოწინააღმდეგეების მიმართ. დაპატიმრებულ იქნენ „ერთობისა და პროგრესის“ პარტიის აქტიური მოღვაწეები.

ერთდროულად ქამილ ფაშამ მიმართა ევროპის სახელმწიფოებს დახმარება აღმოეჩინათ ბალკანეთის სახელმწიფოების წინააღმდეგ ომში. ამ თხოვნით მან მიმართა ინგლისს. მაგრამ უარი მიიღო. ინგლისის მთავრობამ განაცხადა, რომ ურჩევნია შეინარჩუნოს ნეიტრალიტეტი. არ მიიღო დახმარება პორტამ ბერლინიდანაც. კაიზერი დაპირდა დახმარებას საპატიო ზავის დადების შემთხვევაში, თუ ოსმალეთი ერთ გამარჯვებას მაინც მიაღწევდა თავის მოწინააღმდეგეებზე. ამასობაში ოსმალთა ჯარებმა განიცადეს რიგი მნიშვნელოვანი დამარცხებებისა.

მოკავშირეთა ჯარები მიიწევდნენ სტამბოლის მიმართულებით. ბულგარეთის სამხედრო ნაწილები შეაჩერეს ჩატალჯისთან. სიტუაცია მეტად კრიტიკული იყო. პორტამ წინადადებით მიმართა დიდ სახელმწიფოებს გამოსულიყვნენ შუამავლის როლში ზავის დადების საქმეში.

1912 წლის დეკემბრის შუა რიცხვებში ლონდონში მოწვეულ იქნა დიდი სახელმწიფოების (ინგლისი, გერმანია, საფრანგეთი, იტალია, რუსეთი და ავსტრია-უნგრეთი) ელჩების კონფერენცია. მოლაპარაკებები გრძელდებოდა დიდხანს და მისი რეკომენდაციები მეტად მძიმე იყო ოსმალეთისათვის. დიდი სახელმწიფოები და გამარჯვებული ბალკანეთის სახელმწიფოები მოითხოვდნენ ალბანეთისათვის ავტონომიის მინიჭებასა და ეგეოსის ზღვის კუნძულებზე ოსმალეთის ბატონობის ლიკვიდაციას. ოსმალეთის დელეგაციამ არ მიიღო ეს წინადადება.

1913 წლის 17 იანვარს ექვსი დიდი სახელმწიფოს წარმომადგენლებმა ნოტა გაუგზავნეს ოსმალეთის მთავრობას და „ურჩიეს“ დაეთმო ბულგარეთისათვის ადრიანოპოლი. 1913 წლის 22 იანვარს ქამილ ფაშას მთავრობა დათმობაზე წავიდა დიდი სახელმწიფოების ზემოქმედების შედეგად და ბულგარეთს გადაეცა ედირნე (ადრიანოპოლი). ამან გამოიწვია პროტესტები დედაქალაქსა და პროვინციებში. შექმნილი მდგომარეობით გადაწყვიტა ესარგებლა „ერთობისა და პროგრესის“ პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და მოაწყო სამხედრო გადატრიალება.

1913 წლის 23 იანვარს 200-მდე ოფიცერმა, ენვერ ფაშას მეთაურობით, ალყა შემოარტყეს მთავრობის შენობას, შეიჭრნენ დარბაზში, სადაც მიმდინარეობდა მთავრობის სხდომა და მოკლეს სამხედრო მინისტრი ნაზიმ ფაშა და მისი ადიუტანტი, დააპატიმრეს დიდი ვეზირი, შეიხულ-ისლამი, შინაგან საქმეთა მინისტრი და ფინანსთა მინისტრი. ავჯანყებულთა მოთხოვნით, ქამილ ფაშა დაუყოვნებლივ გადადგა თავისი



ენვერ ფაშა



ჯემალ ფაშა



თალაათ ფაშა

თანამდებობიდან და შეიქმნა ახალი მთავრობა, რომელიც მთლიანად შედგებოდა ახალგაზრდა თურქებისაგან. დიდი ვეზირი გახდა მაჰმუდ შევქეთ ფაშა.

აიღეს რა ძალაუფლება ხელში, ახალგაზრდა თურქებმა სცადეს გამოესწორებინათ მდგომარეობა ფრონტზე, მაგრამ ვერაფერი შეძლეს. ამის შედეგად პორტა იძულებული გახდა დაედო ზავი.

1913 წლის 30 მაისს ლონდონში დაიდო ზავი ოსმალეთსა და ბალკანეთის სახელმწიფოებს შორის, რომლის მიხედვითაც ოსმალეთი იძულებული იყო დაეთმო ევროპული ტერიტორიები გამარჯვებული სახელმწიფოებისათვის. 1912 წლის 28 ნოემბერს ალბანეთმა დამოუკიდებლობა გამოაცხადა, მაგრამ მისი საზღვრები და შინაგანი მოწყობა ევროპის სახელმწიფოებს უნდა დაედგინათ. ეგეოსის ზღვაზე მდებარე ოსმალეთის კუნძულების საკითხი განსახილველად უნდა გადაეცათ ევროპის სახელმწიფოებისათვის.

მაგრამ ზავის დადების შემდეგ, მშვიდობიანობა არ დამყარდა, რადგან ბალკანეთის ყოფილ მოკავშირეებს შორის დაიწყო მეორე ბალკანეთის ომი წართმეული ტერიტორიების გაყოფისათვის.

მათ შემდეგი ტერიტორიული პრეტენზიები ჰქონდათ: საბერძნეთმა არ მიიღო გასასვლელი ადრიატიკის ზღვაზე და მოითხოვდა კომპენსაციას მაკედონიაში. საბერძნეთი პრეტენზიას აცხადებდა სამხრეთ მაკედონიასა და დასავლეთ თრაკიაზე. ბერძნებისა და სერბების პრეტენზიების დაკმაყოფილება უნდა მომხდარიყო ბულგარეთის ხარჯზე.

1 ივნისს საბერძნეთმა და სერბიამ დადეს საიდუმლო კავშირი, მიმართული ბულგარეთის წინააღმდეგ, რომელსაც შეუერთდა რუმინეთი. იგი ნეიტრალიტეტის საფასურად მოითხოვდა დობრუჯას, რომელიც ბულგარეთს ეკუთვნოდა.

30 ივნისს ბულგარეთის ჯარები მოულოდნელად თავს დაესხნენ საბერძნეთის და სერბიის ჯარებს მაკედონიაში. სერბებს მხარი დაუჭირა ჩერნოგორიამ. 10 ივლისს ბულგარეთის წინააღმდეგ გამოვიდა რუმინეთი, რომელმაც ჯარები დაძრა სოფიის წინააღმდეგ. ბულგარეთის ასეთი მძიმე მდგომარეობით ისარგებლა ოსმალეთმა და 19 ივლისს დაიკავა ადრიანოპოლი. 1913 წლის 29 ივლისს ბულგარეთმა გამოაცხადა კაპიტულაცია.

1913 წლის 10 აგვისტოს ბუქარესტში დაიდო სამშვიდობო საზავო ხელშეკრულება, ერთის მხრივ, ბულგარეთსა და, მეორეს მხრივ, საბერძნეთს, სერბიას, რუმინეთსა და ჩერნოგორიას შორის. ხელშეკრულებით ბულგარეთმა დაკარგა არა მარტო პირველი ბალკანეთის ომის შედეგად შეძენილი ტერიტორიები მაკედონიასა და თრაკიაში, არამედ დობრუჯიც. ამას გარდა, 1913 წელს ოსმალეთსა და ბულგარეთს შორის დადებული კონსტანტინოპოლის ხელშეკრულებით იგი იძულებული გახდა უარი ეთქვა ადრიანოპოლზე, ოსმალეთის სასარგებლოდ. ბალკანეთის ომის შედეგად რუმინეთი ჩამოშორდა სამთა კავშირს და დაუახლოვდა ანტანტის სახელმწიფოებს, ხოლო ბულგარეთი მიემხრო გერმანია-ავსტრია-უნგრეთის ბლოკს.

1913 წლის 13 ივნისს მოკლულ იქნა დიდი ვეზირი მაჰმუდ ფაშა. ამ მკვლელობამ ახალგაზრდა თურქებს შესაძლებლობა მისცა დაეწყოთ სისხლიანი ტერორი მოწინააღმდეგეების მიმართ. მათ კანონგარეშე გამოაცხადეს ყველა პოლიტიკური პარტია. 300-მდე ოპოზიციონერი მოათავსეს სინოპის ციხეში. აქედან დაწყებული, ოსმალეთის იმპერიის პირველ მსოფლიო ომში დამარცხებამდე, „ერთობისა და პროგრესის“ პარტია რჩებოდა ერთადერთ ლეგალურ პარტიად ქვეყანაში.

1913 წლის ბოლოსათვის ოსმალეთის იმპერიაში დამყარდა ახალგაზრდა თურქების დიქტატურა. ქვეყანას მართავდა „ერთობისა და პროგრესის“პარტიის სამი ცნობილი ლიდერი: ენვერ ფაშა, თალაათ ფაშა და ჯემალ ფაშა. ენვერ ფაშა იყო სამხედრო

მინისტრი და ოსმალეთის არმიის გენერალური შტაბის უფროსი. თალაათ ფაშა იყო შინაგან საქმეთა მინისტრი და „ერთობისა და პროგრესის“ პარტიის თავმჯდომარე. ჯემალ ფაშას კი ეკავა საზღვაო მინისტრისა და სტამბოლის გუბერნატორის თანამდებობები. საშინაო პოლიტიკაში მათ შორის სრული თანხმობა სუფევდა. ტრიუმვირატის ორი წევრი, ენვერ ფაშა და თალაათ ფაშა, გერმანიის ორიენტაციის მომხრენი იყვნენ, ხოლო ჯემალ ფაშას ორიენტაცია ინგლისსა და საფრანგეთზე ჰქონდა აღებული. საბოლოო ჯამში პროგერმანულმა პოლიტიკამ მოიპოვა უპირატესობა.

თავი XII

ოსმალეთი პირველი მსოფლიო ომის დროს

1. ოსმალეთის ჩაბმა მსოფლიო ომში

პირველი მსოფლიო ომის წინ შეიქმნა ორი ერთმანეთის საწინააღმდეგო ბლოკი – ანტანტა და სამთა კავშირი. ორივე დაჯგუფება დაინტერესებული იყო ოსმალეთის იმპერია თავის მხარეზე მიემხრო, რადგანაც მას ჰქონდა დიდი სამხედრო-სტრატეგიული და ეკონომიკური მნიშვნელობა. ინგლისისა და საფრანგეთის ეკონომიკური პოზიციები ოსმალეთში მეტად მნიშვნელოვანი იყო. ახლა ისინი უფრო მეტად დაინტერესებული იყვნენ ხელში ჩაეგდოთ ოსმალეთის სამფლობელოები: მესოპოტამია, სირია, პალესტინა, არაბული ქვეყნები და სხვ. ხოლო რუსეთი მიისწრაფოდა ხელთ ეგდო კონსტანტინოპოლი, სრუტეები და თურქეთის აღმოსავლეთი პროვინციები. ასეთ ვითარებაში, ოსმალეთის მონაწილეობა ანტანტის მხარეზე ნაკლებად ხელსაყრელი იყო. რუსეთი უფრო მეტად დაინტერესებული იყო ოსმალეთის ნეიტრალიტეტით, რადგან ომის შემთხვევაში მას მოუხდებოდა ომის წარმოება კავკასიასა და შავ ზღვაზე.

ოსმალეთის ეკონომიკური რესურსებით და სამხედრო-სტრატეგიული მდებარეობით განსაკუთრებით დაინტერესებული იყო გერმანია. ოსმალეთზე დაყრდნობით, გერმანია სერიოზულ საფრთხეს შეუქმნიდა რუსეთსა და ინგლისს. გერმანია მსოფლიო ბატონობისათვის იბრძოდა და გამარჯვების შემთხვევაში ოსმალეთი გახდებოდა მისი დანამატი. ყველაზე სწორი გზა იყო ოსმალეთს გამოეცხადებინა ნეიტრალიტეტი.

ახალგაზრდა თურქების ლიდერებმა თავიანთი მომავალი ბედიღბალი გერმანიას დაუკავშირეს. ისინი იმედოვნებდნენ, რომ გერმანიასთან კავშირში განახორციელებდნენ თავიანთ ფართო დაპყრობით გეგმებს. ისინი ოცნებობდნენ არა მარტო კავკასიის, ვოლგისპირეთის, ყირიმის და შუა აზიის დაპყრობაზე და თურანის შექმნაზე, არამედ იმედოვნებდნენ აღედგინათ ოსმალთა ბატონობა აფრიკის დაკარგულ სამფლობელოებზე.

ტრიუმვირატის წევრებს შორის არ იყო სრული თანხმობა იმის შესახებ, თუ მომავალ მსოფლიო ომში რომელ ბლოკს დაუჭერდნენ მხარს: ენვერი და თალაათი გერმანია-ავსტრიის მომხრეები იყვნენ, ხოლო ჯემალ ფაშა – ინგლის-საფრანგეთისა, აღსანიშნავია, რომ მუსტაფა ქემალი გერმანიასთან კავშირის წინააღმდეგი იყო, რადგან მისი აზრით, გერმანიის გამარჯვების შემთხვევაში იგი თურქეთს თავის სატელიტად გაიხდიდა, ხოლო დამარცხების შემთხვევაში – თურქეთი ყველაფერს დაკარგავდა.

1914 წლის ივნისში სარაევოს „ინციდენტის“ დროს, როდესაც მსოფლიო ომი კარზე იყო მომდგარი, ოსმალეთის ინიციატივით დაიწყო გერმანია-ოსმალეთის საიდუმლო მოლაპარაკება. ოსმალეთი გერმანიის მხარეზე გამოსვლის პირობად მოითხოვდა კაპიტულაციების გაუქმებას, მისთვის დასავლეთ თრაკიის დაბრუნებას, აგრეთვე კუნძულ როდოსსა და დოდეკანეზის კუნძულებს. ამ მოთხოვნების დაკმაყოფილება გერმანიას არ შეეძლო, რადგანაც ეს მოასწავებდა ბულგარეთის, საბერძნეთისა და იტალიის გადასვლას ანტანტის მხარეზე, რაც გერმანიას სულაც არ აძლევდა ხელს. მოლაპარაკების დროს გერმანია აშინებდა ოსმალეთს რუსეთის საფრთხით. გერმანია ცდილობდა ოსმალეთი გამოეყენებინა „საღვთო ომის“ მიზნებისათვის, ანტანტის სახელმწიფოების წინააღმდეგ.

1914 წლის 2 აგვისტოს სტამბოლში გერმანიასა და ოსმალეთს შორის დაიდო საიდუმლო ხელშეკრულება. მას ხელი მოაწერა გერმანიის ელჩმა ვაჰენჰაიმმა და დიდმა ვეზირმა საიდ ჰალილმა. ხელშეკრულება მიმართული იყო რუსეთის წინააღმდეგ. რუსეთ-გერმანიის ომის დაწყების შემთხვევაში, ოსმალეთი ვალდებულებას იღებდა ჩაბმულიყო ომში გერმანიის მხარეზე.

1 სექტემბერს გერმანია თავს დაესხა რუსეთს, მაგრამ ოსმალეთი მაშინვე არ ჩაება ომში. მან ნეიტრალიტეტი გამოაცხადა. ოსმალეთს სურდა დრო მოეგო და დაემთავრებინა არმიის მობილიზაცია. ასევე მას სურდა მიეღო გერმანიისაგან ფინანსიური დახმარება და თანხმობა კაპიტულაციების გაუქმებაზე.

ოსმალეთი არ იყო მზად ომისათვის. ორმა სამხედრო დამარცხებამ იტალიასა და ბალკანეთის ქვეყნებიდან ომში კიდევ უფრო მეტად დაასუსტა არმიის ბრძოლიუნარიანობა. ოსმალეთი არ იყო მზად დიდმასშტაბიანი ომისათვის. ქვეყნის ეკონომიკა დაცემული იყო, ფინანსები ამოწურული. ოსმალეთის არმიას აკლდა არა მარტო საბრძოლო წვრთნა და დისციპლინა, არამედ შეიარაღება და ტანსაცმელიც კი.

6 აგვისტოს გერმანიის ორი სამხედრო გემი „ბრესლაუ“ და „გებენი“ „გაუსხლტა“ ინგლისის ფლოტს და გეზი დარდანელისაკენ აიღო. გერმანიის მთავრობამ მიმართა ოსმალეთს, რომ ამ გემებისათვის მიეცა თავშესაფარი. ოსმალეთი ამაზე დათანხმდა გარკვეული პირობით. გერმანიის ელჩმა სტამბოლში გაუგზავნა წერილი დიდ ვეზირს, რომელშიაც აღნიშნული იყო: 1. გერმანია დახმარებას აღმოუჩენს ოსმალეთს კაპიტულაციების გაუქმების საქმეში. 2. გერმანია დაეხმარება ოსმალეთს რუმინეთთან და ბულგარეთთან მოლაპარაკებაში. 3. გერმანია არ დადებს ზავს მასთან შეთანხმების გარეშე. 4. თუ საბერძნეთი ომში დამარცხდება, გერმანია მხარს დაუჭერს ოსმალეთს დაუბრუნოს დაკარგული კუნძულები ეგეოსის ზღვაზე. 5. გერმანია ვალდებულებას იღებს გამოასწოროს ოსმალეთის აღმოსავლეთის საზღვარი ისე, რომ ამით საშუალება მიეცეს ოსმალეთს დაამყაროს უშუალო კონტაქტები რუსეთის მუსლიმურ მოსახლეობასთან. 6. გერმანია მხარს დაუჭერს ოსმალეთისათვის კონტრიბუციის მიღებას.

ამ მოლაპარაკების შემდეგ 10 აგვისტოს „გებენი“ და „ბრესლაუ“ დარდანელში შევიდნენ. 11 აგვისტოს ოსმალეთის მთავრობამ ოფიციალურად გამოაცხადა, რომ გერმანიისაგან იყიდა ეს გემები. ამ გემების ოსმალეთის საკუთრებაში გადასვლა გამოიხატა იმაში, რომ მათზე აღმართეს ოსმალეთის დროშა, „გებენს“ დაარქვეს „იავუზი“, ხოლო „ბრესლაუს“ – „მიდილია“. გერმანიის მეზღვაურებმა ქუდების ნაცვლად ფესკები დაიხურეს. ეს გემები დარჩნენ გერმანიის სამხედრო-საზღვაო ფლოტის შემადგენლობაში, ხოლო ამ გემების სარდალი ვიცე-ადმირალი სუშონი დაინიშნა ოსმალეთის სამხედრო-საზღვაო ძალების ადმირალად.

ინგლისმა გარკვეულად ხელი შეუწყო ამ ორი გერმანული გემის შესვლას ოსმალეთის ტერიტორიულ წყლებში. მსოფლიო ომის დაწყებისას ორივე გერმანული გემი ხმელთაშუა ზღვაში ჩაკეტილი აღმოჩნდა და მათი განადგურება სიძნელეს არ წარმოადგენდა. ინგლისის საზღვაო მინისტრის უ. ჩერჩილის განკარგულებით, თუ ეს გემები ოსმალეთის ტერიტორიული წყლებისაკენ აიღებდნენ გეზს, ისინი არ უნდა ჩაეძირათ. ამავე დროს ცნობილი გახდა, რომ ინგლისმა უარი განაცხადა გადაეცა ოსმალეთისათვის ინგლისში ნაყიდი ორი სახაზო გემი და ორი ნაღმოსანი, რომლის ფულიც ოსმალეთს უკვე გადახდილი ჰქონდა. საქმე ისაა, რომ ინგლისს ეშინოდა, რომ ოსმალეთის შავი ზღვის ფლოტი წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა რუსეთისას და სტამბოლს საფრთხე დაემუქრებოდა. ეს კი ინგლისის გეგმებში არ შედიოდა.

შავ ზღვაზე გერმანიის გემების გამოჩენამ შეცვვალა ძალთა თანაფარდობა ოსმალეთის სასარგებლოდ და გაიზარდა გერმანიის ორიენტაციის მომხრეთა რიცხვი.

9 სექტემბერს ოსმალეთის მთავრობამ გამოსცა დადგენილება კაპიტულაციების რეჟიმის გაუქმების შესახებ. ანტანტის სახელმწიფოები ამ გადაწყვეტილებას პროტესტით შეხვდნენ.

9 ოქტომბერს ოსმალეთმა არსებითად დაამთავრა თავისი ჯარების მობილიზაცია, მაგრამ არ ჩქარობდა ომში ჩაბმას.

10 ოქტომბერს მოხდა საიდუმლო ვითარებაში ტრიუმვირატის წევრების შეხვედრა გერმანიის ელჩთან. ამ შეხვედრის დროს გადაწყდა, რომ როგორც კი ოსმალეთი მიიღებდა გერმანიის სესხიდან პირველ კრედიტს, იგი ჩაებმებოდა ომში.

21 ოქტომბერს ენვერ ფაშა დაინიშნა ვიცე-გენერალისიმუსად და ფაქტიურად – მთავარსარდლად (გენერალისიმუსად სულთანი ითვლებოდა).

24 ოქტომბერს ოსმალეთის ფლოტის მთავარსარდალი გახდა ადმირალი სუშონი.

26 ოქტომბერს გერმანიამ ოსმალეთის ბანკში შეიტანა 5 მილიონი ოქროს ლირა იმ სესხიდან, რომელიც გერმანიის მთავრობას უნდა მიეცა ოსმალეთისათვის სამხედრო დახმარების სახით.

27 ოქტომბერს ოსმალეთის ფლოტი მოულოდნელად თავს დაესხა შავ ზღვაზე მყოფ რუსეთის გემებს და ჩაძირა ისინი, ხოლო 29 ოქტომბერს ოსმალეთის ფლოტმა დაბომბა ოდესა, 30 ოქტომბერს – სევასტოპოლი, ფეოდოსია, ნოვოროსიისკი და ბათუმი.

28 ოქტომბერს ოსმალეთის სამხედრო ნაწილებმა მოახდინეს თავდასხმა სუეცის არხის ზონაში.

2 ნოემბერს რუსეთმა გამოუცხადა ომი ოსმალეთს, 5 ნოემბერს – ინგლისმა, ხოლო 6 ნოემბერს – საფრანგეთმა.

11 ნოემბერს ოსმალეთმა ომი გამოუცხადა ანტანტის სახელმწიფოებს, სულთანმა კი მოუწოდა ყველა მუსლიმს „საღვთო ომისაკენ" ინგლისის, საფრანგეთის და რუსეთის წინააღმდეგ. საღვთო ომის გამოცხადების შემდეგ, თურქეთსა და გერმანიას იმედი ჰქონდათ, რომ ანტანტის სახელმწიფოების ბატონობის ქვეშ მცხოვრები მუსლიმური ხალხები დაიწყებდნენ ბრძოლას კოლონიალური ბატონობის წინააღმდეგ. მაგრამ მათი იმედები არ გამართლდა. ასე მაგალითად, მუსლიმი ინდოელი ჯარისკაცები იღებდნენ მონაწილეობას თურქეთის წინააღმდეგ ომში, ხოლო იემენის, ჰიჯაზის, სირიის არაბებმა მხარი დაუჭირეს ინგლისელებს და იბრძოდნენ თურქთა ბატონობისაგან განთავისუფლებისათვის. არც რუსეთში მცხოვრები მუსლიმები არ გამოეხმაურნენ სულთნის ამ მოწოდებას.

2. ოსმალეთის მონაწილეობა მსოფლიო ომში

ახალგაზრდა თურქებს დიდი იმედი ჰქონდათ, რომ თავისი ექსპანსიონისტური გეგმების განხორციელებას შესძლებდნენ გერმანიის დახმარებით.

1913 წელს ოსმალეთის მთავრობამ ქვეყანაში მოიწვია გერმანიის სამხედრო მისია გენერალ ლიმან ფონ სანდერსის მეთაურობით. გერმანიის სამხედრო მისიის შემადგენლობა განუწყვეტლივ იზრდებოდა და ომის ბოლოსათვის 800 ოფიცერს ითვლიდა.

უკვე პირველი მსოფლიო ომის დაწყებისას ოსმალეთის არმიაში გაბატონებული მდგომარეობა გერმანელებმა დაიკავეს. ოსმალეთის არმიაში თითქმის ყველა მნიშვნელოვანი თანამდებობა გერმანელ ოფიცრებს ეკავათ. გენერალი ლიმან ფონ

სანდერსი, გერმანიის სამხედრო მისიის ხელმძღვანელი, შეთავსებით დაინიშნა ოსმალეთის პირველი არმიის სარდლად, ხოლო ოსმალეთის საზღვაო ფლოტის სარდალი გახდა ადმირალი სუშონი. ოსმალეთის არმიების სათავეში თურქი სარდლები დატოვეს, მაგრამ მრჩეველებად ან შტაბის უფროსებად გერმანელები დანიშნეს. გერმანელები მეთაურობდნენ სამხედრო შენაერთებსაც.

ომის დაწყებისას რამდენიმე არმია ჩამოყალიბდა: პირველ არმიას, როგორც ითქვა, სარდლობდა ლიმან ფონ სანდერსი. მეორე არმიის სარდალი იყო საზღვაო მინისტრი ჯემალ ფაშა. ამ არმიაში შედიოდა აზიის სანაპიროზე განლაგებული ორი კორპუსი. პირველი და მეორე არმიების შტაბი იმყოფებოდა სტამბოლში. მესამე არმია განლაგებული იყო კავკასიის საზღვართან, შტაბი კი – არზურუმში.

პირველი მსოფლიო ომის დაწყებისას ოსმალეთის არმია ითვლიდა 400 ათას კაცს და 38 დივიზიას შეადგენდა.

ოსმალეთს ომი უნდა ეწარმოებინა სამი ძირითადი მიმართულებით: ეგვიპტე, ბალკანეთი და კავკასია. ამ სამი მიმართულებით გერმანია ყველაზე დიდ მნიშვნელობას ეგვიპტეს ანიჭებდა. გერმანელები ვარაუდობდნენ, რომ ეგვიპტისა და სუეცის არხის წინააღმდეგ შეტევა აიძულებდა ინგლისს გადაესროლა მნიშვნელოვანი ძალები, რაც საგრძნობლად დაასუსტებდა მოკავშირეთა ფრონტს დასავლეთ ევროპაში. ამასთანავე, სუეცის არხის დაკავებით გადაჭრიდნენ მნიშვნელოვან საზღვაო არტერიას, რომლითაც ინგლისი და საფრანგეთი უმოკლესი საზღვაო გზით უკავშირდებოდნენ თავიანთ კოლონიურ სამფლობელოებს.

გერმანელებისაგან განსხვავებით, ახალგაზრდა თურქები განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ კავკასიის ფრონტს, რაც გერმანიის მთავარსარდლობისათვის მეორეხარისხოვანი იყო. აქ განლაგებული იყო მე-3 არმია, რომელიც 190 ათას ჯარისკაცს ითვლიდა. ენვერ ფაშას აზრით, კავკასიის არმიას უნდა გადაეწყვიტა ოსმალეთის ძირითადი ამოცანა ამ ომში: დაეპყრო კავკასია, შუა აზია, ვოლგისპირეთი, შორეული აღმოსავლეთი, ირანი, ავღანეთი.

ენვერ ფაშას დიდი იმედი ჰქონდა, რომ ოსმალები ადვილად შესძლებდნენ რუსეთის არმიის დამარცხებასა და კავკასიის ხელში ჩაგდებას. კავკასიის წინააღმდეგ მოქმედი არმიის სარდლობა ენვერ ფაშამ აიღო ხელთ. მას იმედი ჰქონდა, რომ რიცხობრივ სიჭარბეს უზრუნველჰყოფდა რუსეთის არმიაზე და გამარჯვებას მიაღწევდა. 1914 წლის ნოემბერში ოსმალეთის არმიამ შეტევა დაიწყო არზურუმის, ოლთისა და ერევნის მიმართულებით და დასაწყისში გარკვეულ წარმატებებს მიაღწია. რუსეთის ჯარი იძულებული იყო უკან დაეხია.

ამავე დროს ოსმალეთის ჯარები ემზადებოდნენ უფრო მასშტაბის ოპერაციების დაწყებისათვის. მათ განზრახული ჰქონდათ აეღოთ სარიყამიში და ყარსი. ამ ოპერაციის განსახორციელებლად ოსმალეთის სარდლობამ თავი მოუყარა 90 ათას ჯარისკაცს რუსეთის 60-ათასიან არმიასთან საბრძოლველად.

19 დეკემბერს ოსმალეთის არმია შეტევაზე გადავიდა სარიყამიშის ასაღებად. შემდეგ – ყარსის, ელიზავეტპოლისა და ბათუმის. დასაწყისში ოსმალეთის არმიამ დაიკავა სარიყამიში და საფრთხე შეუქმნა ყარსსა და ელიზავეტპოლს, მაგრამ მოკლე დროში დეკემბრის ბოლოსა და იანვრის დასაწყისში რუსეთის არმია კონტრშეტევაზე გადავიდა და მტერი სასტიკად დაამარცხა. სარიყამიშის ოპერაციის დროს ოსმალებმა დაკარგეს 70 ათასი ჯარისკაცი, მათ შორის 30 ათასი გაიყინა. რუსეთის არმიამ ამ ბრძოლებში დაკარგა 20 ათასი ჯარისკაცი.

ოსმალეთის არმია, ფაქტიურად, განადგურებულ იქნა. ენვერ ფაშა სასწრაფოდ სტამბოლში დაბრუნდა და სარდლობა დამად ჰაფიზ ფაშას გადასცა.

ერთდროულად რუსეთის არმია შეტევაზე გადავიდა და დაიკავა ხოფა, 18 იანვარს – არტანუჯი.

მე-3 არმიის განადგურების შემდეგ საჭირო გახდა კავკასიის ფრონტის სასწრაფო შევსება. ამ მიზნით ოსმალეთის სარდლობამ კავკასიაში გადმოიყვანა მე-5 არმიის კორპუსი, რომელიც ბოსფორის სანაპიროზე იყო განლაგებული.

1915 წლის მაისში, რუსეთის ჯარის მიერ ვანის დაკავების შემდეგ, ოსმალეთის მთავრობამ გამოსცა დადგენილება ფრონტის ზონიდან სომეხთა დეპორტაციის შესახებ. ეს ღონისძიება თითქოს ჯაშუშური მოქმედების აღკვეთას ისახავდა მიზნად. გადასახლების ნაცვლად ოსმალეთის მთავრობამ განახორციელა სომეხი მოსახლეობის ფიზიკური განადგურება, სოფლებიდან და ქალაქებიდან აყარეს მილიონ ნახევარზე მეტი სომეხი და იძულებით გადაასახლეს სირიასა და მესოპოტამიაში. გადასახლების დროს, გზაში ხოცვა-ულეტის შედეგად დაიღუპა მილიონზე მეტი სომეხი.

1915-1916 წლებში ოსმალეთის მთავრობამ აგრეთვე თავისი საცხოვრებელი ადგილებიდან აყარა ასირიელები, სირიელი არაბები და სხვ. ამ ხალხებმაც მძიმე მორალური, მატერიალური და ფიზიკური ზარალი განიცადეს.

სარიყამიშთან სასტიკი დამარცხების შემდეგ ოსმალეთმა ვერ შეძლო კავკასიის ფრონტზე მდგომარეობის სტაბილიზაცია და უკან იხევდა, რუსეთის ჯარის შეტევის შედეგად. 1916 წელს ჯარებმა დაიკავეს მნიშვნელოვანი ციხე-სიმაგრე არზურუმი, ერზინჯანი, ხოლო საზღვაო და სახმელეთო კომბინირებული ოპერაციების შედეგად აიღეს ტრაპიზონი.

ინგლისისა და საფრანგეთის სარდლობამ გადაწყვიტა გადაესხათ დესანტები გალიპოლის ნახევარკუნძულზე და მოეხდინათ ბოსფორის სრუტისა და კონსტანტინოპოლის ბლოკირება, აეძულებინათ ოსმალეთი გამოსულიყო ომიდან.

1915 წლის 18 მარტს ინგლის-საფრანგეთის ჯარები გადასხმულ იქნა გალიპოლის ნახევარკუნძულზე, ინგლისელთა საექსპედიციო კორპუსის სარდალი იყო გენერალი ჰამილტონი, ფრანგებისა – გენერალი დ'ამადა. ოსმალეთის ჯარებს სარდლობდა გენერალი ლიმან ფონ სანდერსი. ანტანტის სახელმწიფოების მხრიდან ოპერაცია ცუდად იყო მომზადებული. მოკავშირეთა ჯარებმა ვერ შეძლეს რაიმე არსებითი წარმატების მიღწევა, ოსმალეთის ჯარები მათ მედგარ წინააღმდეგობას უწევდნენ. გალიპოლის დაცვაში მონაწილეობას იღებდა პოლკოვნიკი მუსტაფა ქემალ ფაშა. 1916 წლის 9 იანვარს ინგლის-საფრანგეთის ჯარებმა დატოვეს გალიპოლის ნახევარკუნძული. ამ ოპერაციის დროს ინგლის-საფრანგეთის კორპუსმა დაკარგა 145 ათასი კაცი, ოსმალეთმა – 186 ათასი. ოსმალების წარმატება განაპირობა არა გერმანელი გენერლის ხელმძღვანელობამ, არამედ გაბედულმა სამხედრო გეგმამ, რომელიც შეიმუშავა და განახორციელა დივიზიის მეთაურმა მუსტაფა ფაშამ.

აღსანიშნავია, რომ გალიპოლის ოპერაციის ინიციატორი და ორგანიზატორი იყო ინგლისის საზღვაო მინისტრი უინსტონ ჩერჩილი. ამ ოპერაციის კრახის გამო ინგლისის მთავრობამ გადააყენა ჩერჩილი თავისი თანამდებობიდან.

ოსმალეთი დაინტერესებული იყო ხელთ ეგდო სუეცის არხი და აღედგინა თავისი ბატონობა ეგვიპტეში. ამ გეგმას მხარს უჭერდა გერმანია.

სუეცის არხის გადალახვა და ეგვიპტის დაპყრობა დაევალა ტრიუმვირატის ერთ-ერთ წევრს ჯემალ ფაშას, მის განკარგულებაში იყო 100-ათასიანი არმია.

1914 წლის 10 ნოემბერს ოსმალეთის ჯარები შეტევაზე გადავიდნენ და სუეცის არხისაკენ გაემართნენ. 1915 წლის 29 იანვარს სუეცის არხთან მოხდა პირველი ბრძოლა ოსმალეთისა და ინგლისის ჯარებს შორის. 1916 წლის თებერვლის დასაწყისში ოსმალეთის ჯარები გავიდნენ ისმაილის რაიონში, მაგრამ სუეცის არხის გადალახვისაგან თავი შეიკავეს, თუმცა ინგლისელებს ამ დროს იქ სუსტი დაცვა

ჰყავდათ. ინგლისმა სასწრაფო ზომები მიიღო და სუეცის არხის ზონაში გადაისროლა ახალი სამხედრო ნაწილები. ინგლისელებმა მოახდინეს მთელი ეგვიპტის მოსახლეობის მობილიზაცია სუეცის არხის ზონის გამაგრების მიზნით.

1915 წლის განმავლობაში ოსმალეთის ჯარებს ეკეთათ სინაის ნახევარკუნძული და სუეცის არხის ზონის აღმოსავლეთ სანაპიროს ნაწილი. ოსმალეთის სარდლობამ ვერ გაბედა სუეცის არხის გადალახვა და ეგვიპტეში შეჭრა, თუმცა ამისათვის ხელსაყრელი პირობები იყო.

1916 წელს გალიპოლის ოპერაციის ჩაშლის შემდეგ ინგლისელებმა თავიანთი ჯარები ეგვიპტეში გადაიყვანეს და იქ მათმა რაოდენობამ 250 ათასს მიაღწია. ოსმალეთის სარდლობამ 1916 წლის აგვისტოში სცადა სუეცის დაპყრობა. 1916 წლის ბოლოსათვის ინგლისელები კონტრშეტევაზე გადავიდნენ და ოსმალეთის ჯარები პორტ-საიდიდან 80 კილომეტრით აღმოსავლეთით უკუაგდეს. ამავე დროს ინგლისელებმა დაიკავეს სინაის ნახევარკუნძული და საომარი ოპერაციები პალაეტინაში გადაიტანეს.

ამრიგად, სუეცის არხისა და ეგვიპტის დაპყრობის ცდა მარცხით დამთავრდა

ოსმალეთ-გერმანიის სამხედრო-სტრატეგიულ გეგმებში ირანს მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. ირანში გაბატონების შემთხვევაში, მათ საშუალება ეძლეოდათ საფრთხე შეექმნათ ინდოეთისა და შუა აზიის ქვეყნებისათვის.

ირანმა ომის დაწყებისთანავე ნეიტრალიტეტი გამოაცხადა, მაგრამ იგი მაინც იქცა საომარი მოქმედების ასპარეზად. ოსმალეთის ჯარები, რომლებშიაც გერმანელი ოფიცრებიც მონაწილეობდნენ, შეიჭრნენ ირანის ტერიტორიის ჩრდილოეთ ნაწილში, ასევე სამხრეთით – სპარსეთის ყურის რაიონში.

ამის საპასუხოდ რუსეთმა და ინგლისმა, 1907 წლის პეტერბურგის ხელშეკრულების საფუძველზე, ირანში თავიანთი ჯარები შეიყვანეს: რუსეთმა ჩრდილოეთ ირანში, ხოლო ინგლისმა – სამხრეთ ირანში. რუსეთის ჯარები შევიდნენ ირანის აზერბაიჯანში და განდევნეს იქიდან ოსმალეთის ჯარები. თავის მხრივ, ინგლისმა ინდოეთიდან გადაისროლა სამხრეთ ირანში საექსპედიციო კორპუსი და განდევნა თურქები ნავთობით მდიდარი აბადანის რაიონიდან.

ასევე მარცხით დამთავრდა გერმანელების ცდა მოეწყოთ სახელმწიფო გადატრიალება ირანში და იქ პროგერმანული მთავრობა დაესვათ. ჩაიშალა ე. წ. „ციმერვალის გეგმა“, რომელიც ითვალისწინებდა ირანიდან ავღანეთსა და ინდოეთში შეჭრას.

1916 წლის ზაფხულიდან ცენტრალური სახელმწიფოების მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუარესდა, რაც განპირობებული იყო გერმანიის დამარცხებით დასავლეთის ფრონტზე ვერდენთან, რუსეთის მიერ სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის გარღვევა და მისი წინსვლა 400 კილომეტრით ავსტრია-უნგრეთის მიმართულებით.

1916 წლის სექტემბერსა და დეკემბერში გერმანიამ და მისმა მოკავშირეებმა მიმართეს აშშ-ს თხოვნით შუამავლობა გაეწია ანტანტის სახელმწიფოებთან ომის შეწყვეტისა და ზავის დადების მიზნით, მაგრამ უარი მიიღეს.

1917 წლის დასაწყისში ინგლისის 160-ათასიანი არმია შეტევაზე გადავიდა მესოპოტამიის ფრონტზე და ოსმალეთის ჯარები იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ. 17 მარტს ინგლისელებმა დაიკავეს ბაღდადი. ბაღდადის დაკარგვა ოსმალეთისათვის მეტად მძიმე იყო, რადგან ამის შედეგად ოსმალეთმა დაკარგა გავლენა არაბეთზე და ამავე დროს გაიზარდა ინგლისელების გავლენა. არაბულ ქვეყნებში ძლიერდება განმათავისუფლებელი მოძრაობა ოსმალეთის წინააღმდეგ.

ბაღდადის დაცემის შემდეგ, 1917 წლის 31 მარტს, მოწვეულ იქნა მეჯლისის სპეციალური დახურული სხდომა, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ ენვერ ფაშა,

თალაათ ფაშა, ყველა მინისტრი და აგრეთვე ლიმან ფონ სანდერსი. სხდომაზე აღიარეს, რომ „ბაღდადის კატასტროფა მოახდენს მძიმე გავლენას ყველა მუსლიმზე". 36 დეპუტატმა გააკრიტიკა მთავრობა და თავისი უარყოფითი დამოკიდებულება გამოხატა მთავრობის პოლიტიკის მიმართ. ოსმალეთ-გერმანიის სარდლობამ მიიღო გადაწყვეტილება, შეექმნათ სამხედრო შენაერთი „ილდირიმი" („ელვა"). იგი მთავარ მიზნად ისახავდა ბაღდადის დაბრუნებას. „ილდირიმის" შენაერთის სარდლად დაინიშნა ფელდმარშალი ფალკენჰაინი და მისი ხელმძღვანელობა მთლიანად იმყოფებოდა 65 გერმანელი ოფიცრის ხელში. „ილდირიმის" სამხედრო შენაერთი 38 ათას ჯარისკაცს თვლიდა, მაგრამ ამ ცდამაც შედეგი ვერ გამოიღო და ვერ იხსნა ოსმალეთი სამხედრო დამარცხებისაგან.

ინგლისელებმა გააძლიერეს შეტევა და 1917 წლის ნოემბერ-დეკემბერში ხელთ იგდეს ქალაქები – გაზი, იაფა და იერუსალიმი. ამ ბრძოლებში „ილდირიმის" არმიამ განიცადა დიდი დანაკლისი.

ამ დროისათვის ოსმალეთის იმპერიას ჩამოსცილდა ჰიჯაზი, სამხრეთ პალესტინა, ერაყის მნიშვნელოვანი ნაწილი. ოსმალეთის არმიის საერთო დანაკარგმა 600 ათასს მიაღწია, მათ შორის მოკლულთა სახით 400 ათასს.

3. ოსმალეთის ეკონომიკური მდგომარეობა ომის დროს

სამხედრო წარუმატებლობების პარალელურად იზრდებოდა ოსმალეთის საშინაო სიძნელეები და ქვეყანა იმყოფებოდა სრული ეკონომიკური და ფინანსური კატასტროფის წინაშე.

ომის შედეგად ოსმალეთმა დაკარგა დიდი ტერიტორია და მოსახლეობის ნაწილი. არაბული ქვეყნები ინგლისელებმა იგდეს ხელთ, აღმოსავლეთ ანატოლია – რუსეთის ჯარებმა, ხოლო ოსმალეთის ევროპული ნაწილი ბერძნებმა დაიკავეს.

ოთხი წლის განმავლობაში ოსმალეთმა მოახდინა ოთხი მილიონი კაცის მობილიზაცია, აქედან 1,5 მილიონი უშუალოდ ფრონტზე იმყოფებოდა. მოსახლეობის საერთო დანაკარგი სამ მილიონ კაცს შეადგენდა. აქედან მოკლულთა და ჭრილობის შედეგად გარდაცვილთა რიცხვი ნახევარ მილიონს აღემატებოდა. ორ მილიონზე მეტი ინვალიდი გახდა. უგზო-უკვლოდ დაიკარგა 100 ათასზე მეტი, ტყვეების რიცხვი 130 ათას კაცს შეადგენდა.

ოსმალეთს დააკლდა დიდი რაოდენობით მუშახელი, რამაც უარყოფითი გავლენა მოახდინა ქვეყნის ეკონომიკაზე, პირველ რიგში სოფლის მეურნეობაზე. ნახევარზე მეტად შემცირდა სათესი ფართობი, თითქმის ამდენად შემცირდა მუშა საქონლის რიცხვი, თამბაქოს ფართობი – ორი მესამედით, ბამბის წარმოება 6-7-ჯერ შემცირდა და სხვა. იგივე ითქმის მრეწველობის შესახებ, ისიც საგრძნობლად დაზარალდა. ქვანახშირის ამოღება შემცირდა სამჯერ, ნახევარზე მეტად – მარილის, მატყლის დამუშავება – 4-5-ჯერ, ნედლი აბრეშუმისა – სამჯერ. მკვეთრად შემცირდა აგრეთვე ხალიჩების წარმოება და სხვ.

ამასთან ერთად კაპიტულაციების გაუქმებისა და ომის წლებში უცხოური კონკურენციის შემცირების შედეგად ერთგვარად განვითარდა სამთო მრეწველობა და მსუბუქი მრეწველობის ის დარგები, რომლებიც დაკავშირებული იყვნენ სამხედრო მოთხოვნილებებთან.

1915-1917 წლებში მთავრობამ გაატარა რიგი ღონისძიებებისა ადგილობრივი მრეწველობის წახალისების მიზნით, მაგრამ ამან არ მოუტანა რაიმე არსებითი შედეგი. ამავე დროს ომის გამო თითქმის მთლიანად შეწყდა საგარეო ვაჭრობა.

ქვეყნის ფინანსური მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა, ბიუჯეტის დეფიციტი ყოველწლიურად იზრდებოდა და ომის წლებში 15-ჯერ გაიზარდა, 2 მილიონიდან 29 მილიონ ლირამდე. შექმნილი მდგომარეობიდან გამოსვლის მიზნით, მთავრობა კვლავ იღებდა სესხს, მაგალითად, გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთის ბანკირებისაგან. ამ სესხის დიდი ნაწილი მოხმარდა გერმანიისაგან სამხედრო ტექნიკის შეძენას.

ფინანსური სიძნელეების გამო მთავრობამ დაიწყო ქაღალდის ფულის გამოშვება. ამან გამოიწვია ინფლაცია და თურქული ლირის გაუფასურება. ფასები პროდუქტებზე კატასტროფულად იზრდებოდა: პური გაძვირდა 37-ჯერ, ყავა – 70-ჯერ, ბრინჯი – 30-ჯერ, კარტოფილი – 27-ჯერ.

1917 წლისათვის საარსებო მინიმუმი 20-ჯერ გაიზარდა ომამდელ წლებთან შედარებით.

ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების შედეგად ხალხის მასების მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა. ფაქტიურად ხალხი შიმშილობდა. მიუხედავად საალყო მდგომარეობისა, რიგ ქალაქებში და მათ შორის სტამბოლში დაიწყო მოშიმშილეთა ბუნტები. ანალოგიური მდგომარეობა შეიქმნა არმიაშიც.

1914-1916 წლებში ლიბანსა და სირიაში ავადმყოფობისა და შიმშილობის შედეგად გარდაიცვალა მოსახლეობის 40 პროცენტი.

ომის წლებში ოსმალეთი თანდათანობით გერმანიაზე დამოკიდებული გახდა და მის ნახევარკოლონიად გადაიქცა. ქვეყნის პოლიტიკური მდგომარეობა მთლიანად დაემორჩილა გერმანიის ინტერესებს. გერმანელებმა თავიანთი კონტროლი დააწესეს არა მარტო ოსმალეთის შეიარაღებულ ძალებზე, არამედ ისეთ მნიშვნელოვან დარგზე, როგორიც იყო: ტრანსპორტი, ფინანსები, საბანკო საქმე და სხვ.

„ოსმალეთის სახელმწიფო ვალის სამმართველოს“ საბჭოს სათავეში ავსტრიელი ჩაუდგა, ოსმალეთის საიმპერიო ბანკის მმართველობაში ფრანგები გერმანელებმა შეცვალეს. გერმანელთა ხელთ გადავიდა ანტანტის ქვეყნების კუთვნილი კონცესიების უმრავლესობა. მათ მფლობელობაში მოექცა ოსმალეთის წიაღისეული საბადოები, ერეგლი-ზონგულდაკის ქვანახშირი და ერგანის სპილენძის მადანი.

გერმანელები არ დაკმაყოფილდნენ თურქეთის სტრატეგიული ნედლეულის გაზიდვით და დაიწყეს აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გატანაც.

მსოფლიო ომმა და გერმანელთა პარპაშმა ქვეყანა სრულ სამეურნეო კატასტროფამდე მიიყვანა.

ახალგაზრდა თურქების ხელმძღვანელთა ერთმა ნაწილმა, რევოლუციური აფეთქების შიშით, სცადა მოეწყო გადატრიალება ენვერ ფაშას დამხობის მიზნით, მაგრამ იგი მარცხით დამთავრდა. მისი ორგანიზატორი იაკუბ ჯემალი სიკვდილით დასაჯეს.

ომის შედეგად შეწყდა ანტანტის სახელმწიფოებიდან სამრეწველო საქონლის შემოტანა. ამიტომ ოსმალეთი იძულებული იყო მოსახლეობისა და არმიისათვის აუცილებელი საგნები თვითონ ეწარმოებინა. ამის გამო ოსმალეთის მრეწველობა ერთგვარად განვითარდა და ეროვნული ბურჟუაზია ერთგვარად გაძლიერდა, მაგრამ იგი ჯერ კიდევ სუსტი იყო.

1917 წლისთვის, როდესაც აშკარა გახდა ოსმალეთის დამარცხება ომში, ეროვნული ბურჟუაზია თანდათან ჩამოსცილდა ენვერს. დაიწყო ოპოზიციური ჯგუფის შექმნა. ისინი აშკარად ხედავდნენ, რომ გერმანიის გამარჯვების შემთხვევაში ოსმალეთი გერმანიის კოლონია გახდებოდა. ამიტომ მთავრობის მიმართ ოპოზიციურად განწყობილი წრეები ომიდან გამოსვლას ცდილობდნენ ანტანტის სახელმწიფოებთან სეპარატული ზავის დადების გზით. მაგრამ ამას რეალური შედეგი არ მოჰყოლია.

4. ანტანტის სახელმწიფოების საიდუმლო ხელშეკრულებები ოსმალეთის დანაწილების შესახებ

ანტანტის სახელმწიფოების წინააღმდეგ ომში ჩაბმამ მეტად დაძაბა ოსმალეთის მდგომარეობა და, ფაქტიურად, მისი როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს არსებობის ბედი ბეწვზე ეკიდა. „აღმოსავლეთის საკითხის“ აღმოცენებიდან დაწყებული, არ ყოფილა ისეთი შემთხვევა, როდესაც ინგლისი, საფრანგეთი და რუსეთი ერთდროულად ყოფილიყვნენ ერთ სამხედრო ბანაკში. საუკუნეთა განმავლობაში მათ შორის მიმდინარეობდა ბრძოლა ოსმალეთში ბატონობისათვის და თუ ოსმალეთმა შეინარჩუნა თავისი დამოუკიდებლობა, ეს, უპირველეს ყოვლისა, აიხსნება იმით, რომ ევროპის წამყვან სახელმწიფოებს შორის ამ საკითხში არსებობდა დიდი წინააღმდეგობა.

ჩაება რა ანტანტის სახელმწიფოების წინააღმდეგ ომში, ამით ოსმალეთმა სინამდვილეში საფრთხის წინაშე დააყენა თავისი დამოუკიდებლობა.

მსოფლიო ომში ოსმალეთის ჩაბმის შემდეგ ინგლის-რუსეთსა და საფრანგეთს შორის დაიწყო დიპლომატიური მოლაპარაკება ოსმალეთის ტერიტორიების დანაწილების თაობაზე და მათ ძალზე უმტკივნეულოდ მიაღწიეს შეთანხმებას. 1915 წლის მარტ-აპრილში პეტერბურგში მოხდა რუსეთ-საფრანგეთ-ინგლისს შორის ვერბალური ნოტებისა და სამახსოვრო ბარათების გაცვლა, რის შედეგადაც მიაღწიეს შეთანხმებას ძირითად საკითხებში:

1. რუსეთს ეძლეოდა უფლება მოეხდინა შემდეგი ტერიტორიის ანექსია: სტამბოლის, ბოსფორის სანაპიროს, მარმარილოს ზღვისა და დარდანელის, სამხრეთ თრაკიის, მარმარილოს ზღვის კუნძულების, კუნძულ იმროზის, ტენედოსისა და თურქეთის აზიურ სანაპიროზე – ბოსფორისა და მდ. საკარიას შორის – მდებარე მხარეებისა.

2. რუსეთი ვალდებულებას იღებდა დაეცვა ამ რეგიონში ინგლისისა და საფრანგეთის განსაკუთრებული ინტერესები.

3. რუსეთი თანახმა იყო სრუტეებზე დაეწესებინა საქონლის ტრანზიტისა და სავაჭრო გემების თავისუფალი მიმოსვლა.

4. რუსეთი თანახმა იყო ირანის ნეიტრალური ზონა გადასულიყო ინგლისის გავლენის სფეროში და დაზუსტებულიყო საზღვარი ინგლისისა და რუსეთის გავლენის სფეროებს შორის.

5. ინგლისი და საფრანგეთი რუსეთისაგან ითხოვდნენ პირობას, რომლის შესრულება აუცილებელი იყო ამ ტერიტორიების ანექსიისათვის – ომი მიყვანილი ყოფილიყო საბოლოო გამარჯვებამდე. აგრეთვე, აღნიშნული იყო, რომ ინგლისი და საფრანგეთი განახორციელებდნენ თავიანთ გეგმებს აღმოსავლეთში, ისევე როგორც სხვა ადგილებში.

ამრიგად, რუსეთს უნდა გადასცემოდა კონსტანტინოპოლი და სრუტეები. ამით კი მეფის რუსეთის საუკუნოვანი ოცნების განხორციელებას, თითქოს ბევრი არაფერი აკლდა, მაგრამ ეს განუხორციელებელი დარჩა.

ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობები განსაკუთრებით დაინტერესებულ იყვნენ ოსმალეთის აზიური ტერიტორიების დანაწილებით და ამიტომ მოლაპარაკება კვლავ გაგრძელდა. 1915 წლის შემოდგომაზე ინგლისსა და საფრანგეთს შორის ამ საკითხზე მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომელიც ცნობილია „საიქსპიკოს“ სახელწოდებით. 1916 წლის 1 სექტემბერს რუსეთის მთავრობამ დაადასტურა ინგლისსა და საფრანგეთს შორის დადებული ხელშეკრულებები ოსმალეთის იმპერიის სამფლობელოების დანაწილების შესახებ. საიქს-პიკოს პაქტით: 1. რუსეთის მფლობელობაში უნდა გადასულიყო არზურუმის, ტრაპიზონის, ვანისა და ბითლისის

ოლქები. შემდგომში აგრეთვე უნდა დაზუსტებულიყო ზოგიერთი სხვა ტერიტორიული პრეტენზიები.

2. ინგლისისა და საფრანგეთის გავლენის სფეროებში უნდა გადასულიყო ანატოლიის სამხრეთ-აღმოსავლეთის ოლქები და მცირე აზიის არაბული ქვეყნები. პალესტინა უნდა გამოყოფილიყო სპეციალურ „ყავისფერ ზონად". აქ დაწესდებოდა საერთაშორისო ადმინისტრაცია, მექის შერიფის წარმომადგენლობით. 3. მოკავშირე სახელმწიფოებს შორის მომზადდებოდა შეთანხმება სარკინიგზო კონცესიების, ფინანსური, სავაჭრო და სხვა უფლებების თაობაზე.

4. რაც შეეხება არაბეთის ნახევარკუნძულს, აქ ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობები „არაბული ქვეყნების ინტერესების დაცვის" მიზნით ვალდებულებას იღებდნენ დაეცვათ ამ რეგიონის ტერიტორიული მთლიანობა.

ამრიგად, საიქს-პიკოს ხელშეკრულებით მოხდა ოსმალეთის აზიური ტერიტორიის დანაწილება. ფაქტიურად, გაუნაწილებელი რჩებოდა მხოლოდ ცენტრალური ანატოლია.

იტალიის მთავრობამ, როდესაც შეიტყო საიქს-პიკოს ხელშეკრულების შესახებ, წამოაყენა გარკვეული ტერიტორიული პრეტენზიები. 1916 წლის 19 ნოემბერს იტალია შეუერთდა ამ ხელშეკრულებას. 1917 წლის აპრილში, რუსეთის თებერვლის რევოლუციის შედეგად, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობები დათანხმდნენ იტალიისათვის გამოეყოთ მცირე აზიაში დამატებითი ზონა. ეს შეთანხმება იტალიასთან გაფორმებულ იქნა 1917 წლის 19 აპრილს სენ-ჟან დე მორიენის კონფერენციაზე. ამ შეთანხმებით, იტალიას უნდა გადასცემოდა ე. წ. „მწვანე ზონა", რომელიც შეიცავდა იზმირს, აიდინის ვილაიეთითა და მიმდებარე ტერიტორიით, საფრანგეთის ზონამდე.

ამის შემდეგ ოსმალეთის მიმართ თავისი ტერიტორიული პრეტენზიები წამოაყენა საბერძნეთის მთავრობამაც.

ერთი სიტყვით, პირველი მსოფლიო ომის დამთავრებისას დადგა ოსმალეთის სახელმწიფოს ყოფნა-არყოფნის საკითხი.

ასეთ მდგომარეობაში იმყოფებოდა ოსმალეთი, როდესაც რუსეთში მოხდა სახელმწიფო გადატრიალება და ბოლშევიკებმა ხელში აიღეს ძალაუფლება.

1917 წლის 8 ნოემბერს საბჭოთა რუსეთის მთავრობამ მიიღო დეკრეტი ზავის შესახებ და მიმართა მეომარ სახელმწიფოებს დაუყოვნებლივ დაეწყოთ მოლაპარაკება ომის შეწყვეტისა და ზავის დადების მიზნით.

ოსმალეთისათვის რუსეთში მომხდარი ამბები იყო მეტად ხელსაყრელი შექმნილი მძიმე მდგომარეობიდან გამოსვლისათვის.

ოსმალეთმა ძალზე კარგად გამოიყენა რუსეთსა და ამიერკავკასიაში მომხდარი ამბები თავისი ინტერესების სასარგებლოდ.

5. ბრესტ-ლიტოვსკის კონფერენცია და თურქეთი

1917 წლის 8 ნოემბერს საბჭოთა რუსეთის მთავრობამ გამოაქვეყნა დეკრეტი ზავის შესახებ და მიმართა მეომარ ქვეყნებს შეეწყვიტათ ომი და დაეწყოთ მოლაპარაკება ზავის დადების მიზნით. ანტანტის სახელმწიფოებმა უარყვეს ეს წინადადება, ხოლო გერმანიამ და მისმა მოკავშირეებმა მიიღეს იგი. გერმანია ფიქრობდა, რომ რუსეთთან ზავის დადების შემთხვევაში მას საშუალება მიეცემოდა დამატებით გადაესროლა აღმოსავლეთიდან დასავლეთის ფრონტზე სამხედრო ნაწილები და საბოლოოდ გაენადგურებინა ინგლის-საფრანგეთის ჯარები და დაემთავრებინა ომი.

1917 წლის 20 ნოემბერს (3 დეკემბერი) ბრესტ-ლიტოვსკში დაიწყო მოლაპარაკება საბჭოთა რუსეთს, გერმანიასა და მის მოკავშირეებს შორის.

სულთნის მთავრობა ბრესტ-ლიტოვსკის მოლაპარაკებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა და ამიტომ დელეგაციის მეთაურად დანიშნა ტრიუმვირატის წევრი თალაათ ფაშა, ერთობისა და პროგრესის პარტიის თავმჯდომარე და შინაგან საქმეთა მინისტრი, რომელიც 1917 წლის 5 ოქტომბრიდან პრემიერ-მინისტრი (დიდი ვეზირი) იყო.

2 დეკემბერს (15 დეკემბერი) ხელი მოაწერეს შეთანხმებას სამხედრო მოქმედებების შეწყვეტის შესახებ.

კონფერენციის გახსნის მეორე დღეს თურქეთის დელეგაციის მეთაურმა თალაათ ფაშამ მოითხოვა, რომ რუსეთის ჯარებს დაუყოვნებლივ დაეტოვებინათ ამიერკავკასია. ასეთი მოთხოვნა მიუღებელი იყო გერმანიისათვის, რადგან ამ შემთხვევაში გერმანელებსაც უნდა გაეთავისუფლებინათ პოლონეთი, ლიტვა, კურლანდია (ფინეთი). დიდი ძალისხმევის შედეგად თურქები დაარწმუნეს, უარი ეთქვათ თავიანთ მოთხოვნაზე.

თურქეთი, უპირველეს ყოვლისა, დაინტერესებული იყო რუსეთის ჯარების გაყვანით პირველი მსოფლიო ომის დროს – თურქეთის დაპყრობილი ტერიტორიებიდან. მაგრამ ამ საკითხის მოგვარება დროებით ყოვნდებოდა გერმანიის გამო. ამ შემთხვევაში გერმანელებსაც უნდა გაეყვანათ ჯარები რუსეთის ოკუპირებული ტერიტორიებიდან, რაც, ბუნებრივია, გერმანიის გეგმებში არ შედიოდა.


თურქეთი განსაკუთრებით დაინტერესებული იყო დაებრუნებინა 1877-1878 წლებში რუსეთთან ომის დროს დაკარგული ტერიტორიები, კერძოდ კი, ყარსის, არტაანისა და ბათუმის ოლქები. ცხადია, რუსეთი არ აპირებდა თურქეთისათვის წინა ომში დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებას.

1917 წლის 29 დეკემბერს საბჭოთა რუსეთის მთავრობამ გამოაქვეყნა გაზეთ „იზვესტიაში“ დეკრეტი „თურქეთის სომხეთის შესახებ“. დეკრეტი მხარს უჭერდა „თურქეთის სომხეთის“ თავისუფალი თვითგამორკვევის უფლებას სრული დამოუკიდებლობის მოპოვებაზე. ამასთან რუსეთის მთავრობა მოითხოვდა თურქეთის ჯარის გამოყვანას „თურქეთის სომხეთიდან“ და იქ სომხური მილიციის შექმნას, სხვადასხვა ქვეყნებში გადასახლებული სომხების დაბრუნებას „თურქეთის სომხეთში“, ომის დროს იქიდან გადასახლებული სომხების რეპატრიაციას, – ამ რეგიონში თურქეთის სომხეთისათვის დროებითი სახალხო მმართველობის შემოღებას, სომეხი ხალხის დეპუტატების საბჭოს სახით, რომელიც არჩეული იქნებოდა დემოკრატიულ საწყისებზე.

თურქეთის მთავრობამ გადაწყვიტა რუსეთის მთავრობის მიერ გამოცხადებული თვითგამორკვევის პრინციპი გამოექვეყნებინა თავისი მიზნის განსახორციელებლად. თურქეთის დელეგაციამ მოითხოვა 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად დაკარგული ტერიტორიებიდან გამოყვანილიყო რუსეთის ჯარები და ამ რეგიონში, რეფერენდუმის ჩატარების გზით, გარკვეულიყო მისი სტატუსი. საბჭოთა რუსეთმა, ერთა თვითგამორკვევის პრინციპის აღიარებით, ოსმალეთს მისცა იარაღი მისივე წინააღმდეგ სამოქმედოდ.

1918 წლის 28 იანვარს (9 თებერვალი) გერმანიამ საბჭოთა რუსეთის დელეგაციას წაუყენა ულტიმატუმი: მიეღო ზავის მათ მიერ შეთავაზებული პირობები, რომელიც რუსეთისათვის ძალზე მძიმე იყო. საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა ლ. ტროცკიმ განაცხადა: „საბჭოთა მხარე სამხედრო მოქმედებას წყვეტს, დემობილიზაციას აცხადებს, ხოლო ზავს კი ხელს არ მოაწერს“. გერმანიამ დაიწყო სამხედრო ოპერაციები. 23 თებერვალს გერმანიის მთავრობამ რუსეთს ახალი ულტიმატუმი გაუგზავნა, რომელიც კიდევ უფრო მძიმე იყო. იგი 10 პუნქტისაგან შედგებოდა. მე-5 მუხლით რუსეთს თურქეთისათვის უნდა დაებრუნებინათ აღმოსავლეთ ანატოლიის პროვინციები და

ეცნო თურქეთის მიერ კაპიტულაციის რეჟიმის გაუქმება. ეს პუნქტი არ იყო წინა ულტიმატუმში, მაგრამ თურქეთის დელეგაცია არ დაკმაყოფილდა და მოითხოვა გერმანიისაგან დახმარება 1877-1878 წლებში რუსეთთან ომის შედეგად დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებისათვის.



ბრესტ-ლიტოვსკის კონფერენცია

გერმანია არ იყო დაინტერესებული თურქეთის ყველა მოთხოვნა დაეკმაყოფილებინა და ეს მუხლი არ შეიტანა საბოლოო ულტიმატუმის ტექსტში. გამოირკვა, რომ გერმანელებმა „გულმავიწყობა“ გამოიჩინეს და ბოლო ულტიმატუმის მე-5 მუხლში ცვლილებები არ შეიტანეს. თურქეთის დაჟინებითი მოთხოვნით ეს „გულმავიწყობა“ გამოსწორდა. ხელშეკრულების საბოლოო ტექსტის მიხედვით, რუსეთს დაუყოვნებლივ უნდა გამოეყვანა თავისი ჯარები არტაანის, ყარსისა და ბათუმი ოლქებიდან და ადგილობრივ მოსახლეობას, თურქეთისა და მეზობელი ქვეყნების შუამავლობით უნდა გადაეწყვიტა თავისი მომავალი.

რუსეთში შექმნილი მძიმე მდგომარეობის გამო რუსეთის ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტი იძულებული იყო მიეღო გერმანიის ულტიმატუმი და 1918 წლის 3 მარტს საბჭოთა რუსეთის დელეგაციამ ხელი მოაწერა ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულებას.

თურქ ისტორიკოსებს მიაჩნიათ, რომ თურქეთის დელეგაციამ ბრესტ-ლიტოვსკის კონფერენციაზე დიპლომატიურ გამარჯვებას მიაღწია. ტ. დულანი წერს: „ბრესტ-ლიტოვსკში თურქეთის დელეგაციამ დიდ გამარჯვებას მიაღწია. ოსმალეთის იმპერიამ უკანასკნელი ასი წლის მანძილზე რუსეთთან დიპლომატიურ ურთიერთობაში პირველად შესძლო წარმატების მოპოვება და დაიბრუნა ყარსი, არტაანის და ბათუმის ოლქები, მიუხედავად იმისა, რომ თურქეთი დამარცხდა რუსეთთან ომში, ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებით ის გამარჯვებული სახელმწიფოების მდგომარეობაში აღმოჩნდა“.

6. ტრაპიზონისა და ბათუმის კონფერენციები

1917 წლის 7 ნოემბერს რუსეთში ბოლშევიკების მიერ ძალაუფლების ხელში აღების შემდეგ ამიერკავკასიის ბურჟუაზიული პარტიები და ორგანიზაციები ბოლშევიკებს გაემიჯნენ და 15 ნოემბერს დააარსეს ამიერკავკასიის კომისარიატი, რომელიც ასრულებდა ამ მხარის დროებითი მთავრობის ფუნქციებს. კომისარიატის თავმჯდომარედ და საგარეო საქმეთა კომისრად დაინიშნა ე. გეგეჭკორი.

ამ დროს რუსეთსა და ამიერკავკასიაში შექმნილმა მდგომარეობამ ახალგაზრდა თურქთა ლიდერებს გაუღვიძა იმედი, რომ შესძლებდნენ თავიანთი დაპყრობითი გეგმების განხორციელებას. ამ მიზნით მათ შეიმუშავეს საკმაოდ შენიღბული

მოქმედების ტაქტიკა, რამაც მათ შესაძლებლობა მისცა გარკვეული წარმატებისათვის მიეღწიათ.

30 ნოემბერს კავკასიის ფრონტის ოსმალეთის ჯარის სარდალმა გენერალმა ვეჰიბ ფაშამ წინადადებით მიმართა ამიერკავკასიის ფრონტის რუსეთის ჯარების მთავარსარდალს გენერალ პრჟევალსკის დაწყებულიყო მოლაპარაკება ომის შეწყვეტისა და დროებითი ზავის დადების მიზნით.

ეს წინადადება განიხილეს ამიერკავკასიის კომისარიატის სხდომაზე და გადაწყვიტეს დაეწყოთ მოლაპარაკება დროებითი ზავის დადების მიზნით. 15-18 დეკემბერს ერზინჯანში მიმდინარეობდა მოლაპარაკება და 18 დეკემბერს დაიდო დროებითი ზავი ამიერკავკასიის დელეგაციასა და ოსმალეთის სარდლობას შორის. ხელშეკრულებით შეწყდა საომარი ოპერაციები კავკასიის ფრონტზე და იგი ძალაში დარჩებოდა სამშვიდობო საზავო ხელშეკრულების დადებამდე.

1918 წლის 14 იანვარს გენერალმა ვეჰიბ ფაშამ, ენვერ ფაშას სახელით, წინადადებით მიმართა კავკასიის არმიის სარდალს გენერალ ოდიშელიძეს დაწყებულიყო მოლაპარაკება სამშვიდობო საზავო ხელშეკრულების დადების მიზნით. ეს წინადადება განიხილა ამიერკავკასიის კომისარიატმა და ზოგიერთი შენიშვნით მოიწონა იგი. კომისარიატის წინადადებით, ასეთი კონფერენცია უნდა ჩატარებულიყო მარტში, ტრაპიზონში.

2 მარტს ამიერკავკასიის დელეგაცია აკ. ჩხენკელის მეთაურობით აპირებდა თბილისიდან ტრაპიზონში გამგზავრებას, როდესაც კომისარიატის თავმჯდომარემ ევგენი გეგეჭკორმა მიიღო ბრესტ-ლიტოვსკიდან საბჭოთა რუსეთის საზავო დელეგაციის მდივნის კარახანის დეპეშა, რომელშიაც ეწერა „თვითგამორკვევის გზით რუსეთს უნდა ჩამოშორდეს არტაანის, ყარსისა და ბათუმის ოლქები“.

ამასთან დაკავშირებით ამიერკავკასიის მთავრობამ პროტესტი განაცხადა და აცნობა ევროპის სახელმწიფოების მთავრობებს, რომ იგი არ ცნობდა საბჭოთა რუსეთის მთავრობის მიერ ბრესტ-ლიტოვსკში დადებულ ხელშეკრულებას, ამიერკავკასიის დელეგაცია მიემგზავრება ტრაპიზონში და ოსმალეთთან უშუალო მოლაპარაკების შედეგად დადებს მასთან სამშვიდობო საზავო ხელშეკრულებას.

1918 წლის დამდეგიდან რუსეთის სარდლობამ დაიწყო თავისი ჯარების გამოყვანა ომის დროს დაკავებული ოსმალეთის ტერიტორიიდან. ოსმალეთმა დაარღვია ერზინჯანის დროებითი ზავის პირობები და თებერვლიდან შეუდგა ქართული და სომხური ტერიტორიების დაკავებას. გენერალი ვეჰიბ ფაშა აცხადებდა, რომ „რუსეთის ჯარის უკან დაბრუნებით“ ერზინჯანის ხელშეკრულებამ დაკარგა თავისი ძალა, რომ ოსმალეთის ჯარები წინ მიიწევდნენ მუსლიმური მოსახლეობის „დაცვის“ მიზნით. 12 თებერვალს ოსმალეთის ჯარებმა დაიკავეს ერზინჯანი, 17 თებერვალს – ბაიბურთი, 21 თებერვალს – მამახათუნი, 9 მარტს – ტრაპიზონი, ხოლო 12 მარტს არზურუმი. ამის შემდეგ ოსმალეთის ჯარი გაემართა ყარსისაკენ.

14 მარტს გაიხსნა ტრაპიზონის კონფერენცია. ოსმალეთის დელეგაციის მეთაურმა რაუფ ბეიმ მოთხოვა ამიერკავკასიის დელეგაციას: 1. გამოეცხადებინა დამოუკიდებლობა. 2. ეცნო ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულება და ოსმალეთისათვის გადაეცა არტაანის, ყარსისა და ბათუმის ოლქები.

ამიერკავკასიის დელეგაცია ტრაპიზონში მოუმზადებელი ჩავიდა. ამიერკავკასიას არ ჰქონდა გამოცხადებული დამოუკიდებლობა და იურიდიულად ითვლებოდა რუსეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში. ამავე დროს, ამიერკავკასიის დელეგაციამ აშკარა შეცდომა დაუშვა და არ მოთხოვა ოსმალეთის დელეგაციას ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების ტექსტი, რაც მას საშუალებას მისცემდა დაედგინა, თუ რამდენად შეესაბამებოდა ოსმალეთის ტერიტორიული პრეტენზიები ხელშეკრულების პირობებს.

ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების პირობების გაცნობის შემთხვევაში, შესაძლებელია მოლაპარაკება სულ სხვა გზით წარმართულიყო, რადგან ხელშეკრულების მე-4 მუხლში ჩაწერილია: „არტაანის, ყარსისა და ბათუმის ოლქებიდან დაუყოვნებლივ უნდა გავიდეს რუსეთის ჯარი. რუსეთი არ უნდა ჩაერიოს ამ ოლქების ახალ სახელმწიფო-სამართლებრივ და საერთაშორისო-სამეურნეო ორგანიზაციაში და უნდა მიეცეს შესაძლებლობა ამ ოლქების მოსახლეობას, დაამყაროს ახალი წყობილება მეზობელ სახელმწიფოებთან, განსაკუთრებით კი ოსმალეთთან შეთანხმებით“.

ამრიგად, არაფერია ნათქვამი, რომ ყარსის, არტაანისა და ბათუმის ოლქები ოსმალეთს უნდა გადაცემოდა. იქ მხოლოდ აღნიშნულია, რომ ამ ტერიტორიებიდან რუსეთის ჯარის გასვლის შემდეგ, მისმა მოსახლეობამ თვითონ უნდა გადაწყვიტოს თავისი ქვეყნის მომავალი, მეზობელ სახელმწიფოების მონაწილეობითა და დახმარებით. ცხადია, მეზობელ სახელმწიფოებში იგულისხმება ოსმალეთთან ერთად საქართველო და სომხეთი.

15 მარტიდან 15 აპრილამდე ტრაპიზონის კონფერენციაზე მიმდინარეობდა დისკუსია და ამიერკავკასიის დელეგაცია უარს ამბობდა მიეღო ოსმალეთის მოთხოვნები. ბოლოს, ოსმალეთის დელეგაციამ ულტიმატუმი წარუდგინა ამიერკავკასიის დელეგაციას.

ამავე დროს ტრაპიზონში მიმდინარე მოლაპარაკების საკითხი განიხილა ამიერკავკასიის სეიმმა და მიიღო დადგენილება – გამოწვეულ იქნას ტრაპიზონიდან დელეგაცია.

ასეთ ვითარებაში ამიერკავკასიის მთავრობამ გამოაცხადა მობილიზაცია. ამ განსაცდელის ჟამს ვერ მოხერხდა ძალების კონსოლიდაცია. მიუხედავად ქართველებისა და სომხების თავგანწირული ბრძოლისა, მათი საბრძოლო რაზმები ვერ უძლებდნენ ოსმალეთის რეგულარული ჯარის შეტევას და თანდათანობით უკან იხევდნენ.

სანამ ტრაპიზონში მიმდინარეობდა მოლაპარაკება, ოსმალეთის ჯარებმა დაიკავეს იმ ტერიტორიის დიდი ნაწილი, რომელსაც ისინი მოითხოვდნენ ბრესტის ზავით. 15 აპრილს ოსმალებმა ბათუმი დაიკავეს, 17 აპრილს – ოზურგეთი. შემდეგ გაიმართა ბრძოლა მდ. ჩოლოქთან, სადაც ოსმალები სასტიკად დამარცხდნენ. მიუხედავად ამისა, მათ შეძლეს უფრო ვრცელი ტერიტორიის დაკავება, ვიდრე ეს იყო დადგენილი ბრესტ-ლიტოვსკის ზავით.

ასეთ ვითარებაში ომის გაგრძელებას აზრი არ ჰქონდა. 22 აპრილს ამიერკავკასიის კომისარიატი დაიშალა. სეიმმა დამოუკიდებლობა გამოაცხადა და შეიქმნა ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკა. ევ. გეგეჭკორის მთავრობა გადადგა და ახალი მთავრობის თავმჯდომარედ და საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშნეს აკ. ჩხენკელი.

აკ. ჩხენკელს დაევალა განეახლებინა მოლაპარაკება ოსმალეთთან საზავო ხელშეკრულების დადების მიზნით. ოსმალეთთან მოლაპარაკების შედეგად გადაწყდა, რომ კონფერენცია გაიმართებოდა ბათუმში.

11 მაისს ბათუმში გაიხსნა სამშვიდობო საზავო მოლაპარაკება. ოსმალეთის დელეგაცია აღარ დაკმაყოფილდა ბრესტის ზავით და ახალი მოთხოვნები წამოაყენა. განსაკუთრებით მძიმე იყო ტერიტორიული პრეტენზიები: ყარსის, არტაანისა და ბათუმის ოლქების გარდა ოსმალეთი დამატებით მოითხოვდა ახალციხეს, ახალქალაქს, ალექსანდროპოლს, ეჩმიაძინს და სურმალინის მხარეების შეერთებას. ოსმალეთს სურდა აღედგინა კავკასიაში 1828-1829 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომამდე არსებული საზღვარი. ამიერკავკასიის დელეგაციამ არ დააკმაყოფილა ოსმალეთის ეს მოთხოვნები.

15 მაისს ოსმალეთმა კვლავ განაახლა სამხედრო ოპერაციები და შეუდგა საქართველოსა და სომხეთის ტერიტორიების დაკავებას.

გერმანია არ იყო დაინტერესებული ოსმალეთის ამიერკავკასიაში გაბატონებით. ამიტომ გერმანიის წარმომადგენელი ბათუმის კონფერენციაზე გამოვიდა შუამავლის როლში. გერმანია თანახმა იყო ოსმალეთს მიეღო ბრესტ-ლიტოვსკის ზავით გათვალისწინებული ტერიტორია, მაგრამ წინააღმდეგი იყო და ცდილობდა შეეზღუდა ოსმალეთის პრეტენზიები ამიერკავკასიის სხვა ტერიტორიების მიმართ.

25 მაისს გერმანიის დელეგაციის მეთაურმა ფონ ლოსოვმა აცნობა აკ. ჩხენკელს, რომ იგი უარს აცხადებს ოსმალეთთან შუამდგომლობაზე. არ იყო ერთსულოვნება თვით ამიერკავკასიის დელეგატებს შორისაც.

ბათუმის კონფერენციაზე შექმნილმა რთულმა პოლიტიკურმა მდგომარეობამ დააჩქარა ამიერკავკასიის ფედერაციის დაშლა.

1918 წლის 26 მაისს ამიერკავკასიის სეიმი დაიშალა და იმავე დღეს საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა, ხოლო 28 მაისს – სომხეთმა და აზერბაიჯანმა.

26 მაისს ოსმალეთმა ულტიმატუმით მოითხოვა ბათუმის კონფერენციაზე დასმული პირობების მიღება. ულტიმატუმი გადაეცა უკვე დაშლილი ამიერკავკასიის დელეგატებს. მოლაპარაკება კვლავ განახლდა.

1918 წლის 4 ივნისს ბათუმში ოსმალეთსა და ცალ-ცალკე ამიერკავკასიის ქვეყნებს (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი) შორის დაიდო ხელშეკრულება „მშვიდობისა და მეგობრობის“ შესახებ. ოსმალეთის მიერ ბათუმში ამიერკავკასიის რესპუბლიკებთან დადებული ხელშეკრულებები მეტად მძიმე იყო ამ ქვეყნებისათვის. ოსმალეთს გადაეცა ბათუმისა და ყარსის ოლქები, ახალქალაქისა და ახალციხის მაზრები, სურმალინის მაზრა, ალექსანდროპოლისა და ეჩმიაძინის მაზრების სამი მეოთხედი, შარურ-დარალალეზის მაზრის ერთი მეხუთედი და სხვ.

ოსმალეთსა და საქართველოს შორის დაიდო აგრეთვე დამატებითი ხელშეკრულება, რომლის თანახმად საქართველო ვალდებული იყო დაუყოვნებლივ მოეხდინა ჯარების დემობილიზაცია, განედევნა ყველა სამხედრო და სამოქალაქო პირი იმ ქვეყნებისა, რომლებიც ოსმალეთს და მის მოკავშირეებს ეომებოდნენ. გარდა ამისა, ოსმალეთმა მიიღო უფლება კონტროლი დაეწესებინა საქართველოს სტრატეგიულ რკინიგზებზე, გამოეყენებინა ისინი თავისი და მოკავშირეების სამხედრო ინტერესებისათვის. ბათუმის ხელშეკრულების რატიფიკაცია არ მოხდა და იგი ძალაში არ შესულა.

7. ოსმალეთის ჯარების ლაშქრობა აღმოსავლეთ კავკასიაში

ბათუმის კონფერენციის დამთავრების შემდეგ ოსმალეთი აღარ დაკმაყოფილდება მიღწეულით და განაგრძობს წინსვლას აღმოსავლეთის მიმართულებით. ენვერ ფაშას კვლავ აღეძრა დიდი თურანის შექმნის სურვილი.

შეტევის შემდგომი გაძლიერების მიზნით, 9 ივნისს ენვერ ფაშამ გამოსცა ბრძანება, რომლის საფუძველზეც კავკასიის ფრონტზე ორი არმია შეიქმნა.

1. მე-3 არმია, რომელშიც გაერთიანებული იყო რამდენიმე დივიზია და მას დამატებით შეუერთდნენ ევროპიდან გადმოყვანილი სამხედრო ნაწილები; სარდალი იყო ვეჰიბ ფაშა, შემდეგ იგი შეცვალა ესად ფაშამ, ენვერ ფაშას ძმამ. მე-3 არმიას ევალებოდა მთელი საქართველოსა და სომხეთის ოკუპაცია.

2. მე-9 არმია, რომელსაც სარდლობდა იაქუბ შევქეთ ფაშა. მას უნდა დაეპყრო ბაქო, ებრძოლა ბოლშევიკების წინააღმდეგ და ირანიდან ინგლისელების შეტევის შემთხვევაში მოეხდინა მათი შეჩერება. ამ დროს მუსავატების „მოწვევით“ განჯაში ჩავიდა ნური ფაშა, ენვერ ფაშას უმცროსი ძმა. მას განჯის რაიონში უნდა შეექმნა

„ისლამის არმია“ და დაევალა, ბაქოსა და მახაჩყალას გავლით, დაეპყრო ჩრდილოეთ კავკასია და შემდგომ – ვოლგისპირეთი და შუა აზია.

ბაქოს მდიდარი ნავთობის საბადოების ხელში ჩაგდებას გერმანიაც აპირებდა. ამ მიზნით, ლუდენდორფის ბრძანებით, გერმანიის ჯარები სასწრაფოდ უკრაინიდან ზღვით გადაიყვანეს შავი ზღვის კავკასიის სანაპიროზე. სექტემბრის შუა რიცხვებში ამ შენაერთების დიდი ნაწილი უკვე საქართველოში იმყოფებოდა. გერმანელებმა დაიწყეს მზადება ბაქოს წინააღმდეგ ლაშქრობისათვის, მაგრამ ოსმალებმა დაასწრეს და 15 სექტემბერს დაიკავეს ბაქო.

ბაქოს აღების შემდეგ თურქებს თურანის შექმნის გეგმა ნაწილობრივ უკვე შესრულებულად მიაჩნდათ და მათ დღის წესრიგში დასვეს ჩრდილოეთ კავკასიის, ვოლგისპირეთისა და შუა აზიის დაპყრობის საკითხი.

23 სექტემბერს ოსმალეთსა და გერმანიას შორის დაიდო საიდუმლო ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც თურქეთი იბრძოლებდა ჩრდილოეთ კავკასიასა და შუა აზიაში დამოუკიდებელი სახელმწიფოების შექმნისა და მათთან მჭიდრო კავშირის დამყარებისათვის.

1918 წლის შემოდგომაზე ოსმალეთს შუა აზიის დასაპყრობად შეეძლო გამოეყვანა ერთი დივიზია. მისმა 2000-კაციანმა ავანგარდმა მახაჩყალა დაიკავა და აპირებდა ვოლგისა და ურალისაკენ წინსვლას. გზაში ისინი დიდ წინააღმდეგობას წააწყდნენ და შემდგომი წინსვლისათვის ძალა აღარ შესწევდათ. ოსმალეთის მეორე სამხედრო შენაერთი ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიაში შეიჭრა და მის დაპყრობას შეუდგა. მოსახლეობა მედგარ წინააღმდეგობას უწევდა მტერს.

8. სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის (ყარსის) მთავროგის შექმნა

1918 წლის ივლისში ოსმალებმა ჩაატარეს რეფერენდუმი ყარსის, არტაანისა და ბათუმის ოლქებში, საოკუპაციო სამხედრო რეჟიმის პირობებში. იგი ჩატარდა საერთაშორისო ნორმებისა და წესების უხეში დარღვევით. ამის გამო საქართველოს მთავრობამ 1 აგვისტოს პროტესტის ნოტა გაუგზავნა ოსმალეთის მთავრობას. მასში დაწვრილებით იყო ჩამოთვლილი ის დარღვევები, რომლებიც დაშვებული იყო რეფერენდუმის ჩატარების დროს.

12 აგვისტოს თავის საპასუხო ნოტაში ოსმალეთის მთავრობა უარყოფდა საარჩევნო წესების დარღვევას რეფერენდუმის ჩატარებისას. ამავე დროს მიუთითებდა, რომ ეს ტერიტორიები ოსმალეთის ხელში გადავიდა „დაპყრობის სრული უფლების“ საფუძველზე. ამრიგად, ოსმალეთის მთავრობა უკვე აღარ მალავდა, რომ ეს ტერიტორია მან ჩაიგდო არა ნებაყოფილობით, არამედ იარაღით, „დაპყრობის უფლებით“.

1918 წლის 20 სექტემბერს საბჭოთა რუსეთის მთავრობამ ნოტა გაუგზავნა ოსმალეთის მთავრობას, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ ყარსის, არტაანისა და ბათუმის ოლქებში ჩატარებული რეფერენდუმი არ გამოხატავს ამ ოლქების მოსახლეობის ნება-სურვილს, რადგან იგი ჩატარდა საოკუპაციო რეჟიმის პირობებში და ადგილი ჰქონდა პლებისციტის აშკარა ფალსიფიკაციას. საბჭოთა რუსეთის მთავრობამ გაუქმებულად გამოაცხადა ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების ის ნაწილი, რომელიც კავკასიას შეეხებოდა.

თავის საპასუხო ნოტაში ოსმალეთის მთავრობა ყოველნაირად ცდილობდა გაემართლებინა თავისი მოქმედება, რაზედაც რუსეთის მთავრობამ 10 ოქტომბერს

ახალ ნოტაში კვლავ მიუთითა, რომ ყარსის, არტაანისა და ბათუმის ოლქები უკანონოდ არის მითვისებული, რაც ეწინააღმდეგება ბრესტის ზავის მე-4 მუხლს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ ოსმალეთის მოკავშირე გერმანიამ არაკანონიერად სცნო ჩატარებული რეფერენდუმი. გერმანიის მთავრობამ თავის ელჩს სტამბოლში დაავალა ოსმალეთის მთავრობისათვის ეცნობებინა: ოსმალეთის მთავრობის მიერ ჩატარებული პლებისციტი არ შეესაბამება ბრესტის ხელშეკრულების მე-4 მუხლს, ვინაიდან იგი ჩატარდა მეზობელ სახელმწიფოებთან შეთანხმების გარეშე და არ ეყრდნობა კანონიერ საფუძველს.

1918 წლის 15 აგვისტოს გამოიცა სულთან მეჰმედ VI-ის რესკრიპტი, რომლის საფუძველზედაც ცხადდებოდა სამი სანჯაყის (არტაანის, ყარსისა და ბათუმის ოლქები) ოსმალეთის სახელმწიფოსთან შეერთება.

სულთნის ამ დადგენილებით ოსმალეთმა მოახდინა სამი სანჯაყის სრული ანექსია, რაც ეწინააღმდეგებოდა ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულების პირობებს.

მსოფლიო ომში დამარცხების შემდეგ (მუდროსის ზავით) ოსმალეთმა, თანახმად აღებული ვალდებულებებისა, გამოიყვანა ჯარი დაპყრობილი ტერიტორიებიდან. ამის შემდეგ ინგლისელებმა დაიწყეს ჯარების შეყვანა ამიერკავკასიაში, კერძოდ, ბათუმსა და ბათუმის ოლქში. თავის მხრივ, ოსმალეთისაგან განთავისუფლებულ საქართველოს ტერიტორიაზე ჯარი შეიყვანა საქართველომ. 1918 წლის დეკემბრის შუა რიცხვებში საქართველოს ჯარებმა დაიკავეს მესხეთი და მის გენერალ-გუბერნატორად დაინიშნა გენერალი მაყაშვილი.

1918 წლის 25 დეკემბერს საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტმა და მთავრობამ მიმართა სამუსულმანო საქართველოს მოსახლეობას: „მოსყიდული პირები თქვენ ჩაგაგონებენ, თითქოს და საქრისტიანო საქართველო თქვენს რჯულს ემუქრებოდეს. არ დაუჯეროთ ცილისმწამებელთ, დამოუკიდებელ და თავისუფალ საქართველოში ყველა სარწმუნოება თანასწორია, ყველას უფლება აქვს თავისი რჯულისამებრ ილოცოს და თავისი სარწმუნოება დაიცვას. თქვენი ორგულნი იტყვიან საქრისტიანო საქართველო მუსულმანთა ადათებს უარყოფს და მათ ბრძოლას გამოუცხადებსო. ზურგი აქციეთ თქვენს ორგულთ და მტრებს.

თანახმად მთელი საქართველოს მოქალაქეთა სურვილისა და პარლამენტის დადგენილებისა, ყოველივე გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა საყოველთაოდ და გადაჭრით აცხადებს, რომ სამუსულმანო საქართველოს ენიჭება ავტონომია!

თვით მუსულმანი ქართველების წარმომადგენელნი გამოსცემენ კანონებს, რომლითაც ისინი სამუსულმანო საქართველოში თავის გემოზე და თავის სინდისისამებრ მოაწყობენ თავის ცხოვრებას, მტკიცე კანონებით უზრუნველყოფენ თავისი სარწმუნოების უფლებებს, მოაწყობენ ადგილობრივ საქმეებს“.

მესხეთში მცხოვრებმა გამაჰმადიანებული ქართველების ერთმა ნაწილმა – ბეგებმა, ხოჯებმა, მოლებმა და სხვ., რომელთაც სათავეში ჩაუდგა სერვერ ბეგ ათაბაგი, სამცხე-საათაბაგოს უკანასკნელი შთამომავალი, ქობლიანელი პრინცი, არ მოისურვეს საქართველოს შემადგენლობაში დარჩენა და დაიწყეს ბრძოლა საქართველოსაგან გამოყოფისათვის. მათი მომხრეები დადიოდნენ ქვეყნის სხვადასხვა ადგილებში, ამხედრებდნენ მოსახლეობას, აწყობდნენ შეთქმულებებსა და თავდასხმებს, ამზადებდნენ ნიადაგს საქართველოსაგან გამოყოფისათვის.

ოსმალო აგენტების წაქეზებით, ახალციხისა და ახალქალაქის ქართველი მუსლიმების 40-კაციანმა ჯგუფმა, ოსმალო ემისრების კარნახით შეადგინა პეტიცია და მოითხოვა, რომ მესხეთი ავტონომიის უფლებით შესულიყო ოსმალეთის შემადგენლობაში. სეპარატისტები კიდევ უფრო შორს წავიდნენ.

1792-1918 წლების თურქეთის რუკა

1919 წლის 18 იანვარს ყოფილი ყარსის, არტაანისა და ბათუმის სანჯაყების ტერიტორიაზე დააარსეს ე. წ. „სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის (ყარსის) მთავრობა“. ამ „სახელმწიფოს“ შემადგენლობაში უნდა შესულიყო ყარსის, არტაანისა და ბათუმის ოლქები და ახალციხის, ახალქალაქის, ეჩმიაძინისა და სურმალინის მაზრები.

შექმნისთანავე ყარსის მთავრობამ დახმარებისათვის მიმართა სტამბოლს და ამ მიზნით იქ გაგზავნა დელეგაცია.

სერვერ ბეგ ათაბაგმა პარიზის კონფერენციას გაუგზავნა მემორანდუმი ყარსის მთავრობის შექმნასთან დაკავშირებით.

სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის მთავრობა არ გამოხატავდა ამ რეგიონის მოსახლეობის უმრავლესობის სურვილს და ეწინააღმდეგებოდა მუდროსის ზავის პირობებს.

1919 წლის 13 აპრილს ინგლისელებმა დააპატიმრეს ყარსის მთავრობის წევრები, სტამბოლში გაგზავნეს და 28 მაისს იქიდან კუნძულ მალტაზე გადაასახლეს.

ქართველი მაჰმადიანების უმრავლესობა მომხრე იყო დარჩენილიყო საქართველოს შემადგენლობაში ავტონომიის სტატუსით. მათი ლიდერი იყო მემედ აბაშიძე.

1919 წლის 31 აგვისტოს ბათუმში მემედ აბაშიძის თავმჯდომარეობით გამართულ ქართველ მაჰმადიანთა ყრილობამ მიიღო გადაწყვეტილება: „გამოვთქვამთ შეურყეველ ნებისყოფას და მტკიცე გადაწყვეტილებას, ამიერიდან სამარადისოდ ბათუმი და მისი ოლქი შეუერთდება თავის ბუნებრივ სამშობლო საქართველოს ფართო ავტონომიის ფარგლებში“.

1921 წლის 21 თებერვალს საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციით, სამუსლიმანო საქართველოს დაუმტკიცდა ავტონომია (თავი მე-11, მუხლი 107).

ნაკვეთი მესამე

თურქეთის უახლესი ისტორია (1918-2000)

თავი I

ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა თურქეთში 1918-1922 წლებში

I. მუდროსის დროებითი ზავი და თურქეთის ტერიტორიის ოკუპაცია ანტანტის ჯარების მიერ

ოსმალეთი ჩაება მსოფლიო ომში გერმანიის მხარეზე. ახალგაზრდა თურქეთის ლიდერები იმედოვნებდნენ, რომ გერმანიის დახმარებით განახორციელებდნენ თავიანთ ამბიციურ გეგმებს: ხელთ იგდებდნენ არა მარტო კავკასიას, ყირიმს, ვოლგისპირეთსა და შუა აზიას, არამედ აღადგენდნენ თავიანთ ბატონობას აფრიკის დაკარგულ სამფლობელოებზე.

ომში ჩაბმისთანავე ოსმალეთმა სასტიკი დამარცხება განიცადა კავკასიის ფრონტზე, სარიყამიშთან და ამის შემდეგ თურქეთის ჯარები უკან იხევდნენ რუსეთის დარტყმების შედეგად.

მარცხით დამთავრდა ოსმალეთის ცდა, ხელთ ეგდო სუეცის არხი და დაეკავებინა ეგვიპტე და აღედგინა აქ თავისი ბატონობა.

ასეთივე კრახით დამთავრდა ოსმალეთის ჯარების შეჭრა როგორც ჩრდილოეთ, ისე სამხრეთ ირანში და სხვა.

ომის დაწყებისთანავე ანტანტის სახელმწიფოებმა დაიწყეს მოლაპარაკება ოსმალეთის სამფლობელოების ურთიერთდანაწილების შესახებ.

1915 წელს რუსეთ-საფრანგეთ-ინგლისს შორის მოხდა შეთანხმება კონსტანტინოპოლისა და სრუტეების დანაწილების შესახებ, ხოლო 1916 წელს ოსმალეთის აზიური ტერიტორიების – თაობაზე და სხვა.

ერთი სიტყვით, ანტანტის სახელმწიფოების გამარჯვების შემთხვევაში ოსმალეთის იმპერიის კრახი გარდაუვალი იყო.

1917 წლის 4 აპრილს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ომი გამოუცხადა გერმანიას, ხოლო 13 აპრილს დიპლომატიური ურთიერთობა გაწყვიტა ოსმალეთთან. ამან საგრძნობლად შეცვალა ძალთა თანაფარდობა ანტანტის სასარგებლოდ. 1918 წლის სექტემბრის შუა რიცხვებში უკვე არავის ეჭვი არ ეპარებოდა, რომ გერმანია და მისი მოკავშირეები დამარცხდებოდნენ. 15 სექტემბერს მოკავშირეთა ჯარებმა გაარღვიეს თურქეთ-ბულგარეთის ფრონტი მაკედონიაში. 19 სექტემბერს პალესტინაში ინგლისის ჯარებმა გენერალ ალენბის სარდლობით გაარღვიეს ფრონტი და დაიწყეს წარმატებით წინსვლა. 25 სექტემბერს „ილდირიმის“ არმიამ, გენერალ ლიმან ფონ სანდერსის სარდლობით განიცადა დამარცხება, 1 ოქტომბერს ინგლისელებმა ხელთ იგდეს დამასკო. შემდეგ – ალეპო. ოქტომბრის შუა რიცხვებში ინგლისის არმია მიუახლოვდა მოსულს და 3-8 ნოემბერს დაიკავა მოსული და მოსულის რაიონი.



თურქეთის დელეგაცია მუდროსის მოლაპარაკებისას. მარცხნიდან პირველი რაუფ ბეი.

29 სექტემბერს ბულგარეთმა თავი დამარცხებულად გამოაცხადა, ინგლისის ჯარები პალესტინაში განაგრძობდნენ შეტევას, შეიჭრნენ სირიაში და 1 სექტემბერს დაიკავეს დამასკო, ხოლო 8 ოქტომბერს – ბეირუთი.

ოქტომბრის ბოლოსათვის ინგლისის ჯარებმა მთლიანად დაიკავეს პალესტინა, იორდანია, სირია და ერაყი.

1918 წლის 15 სექტემბერს მოკავშირეთა ჯარებმა მაკედონიაში გაარღვიეს ფრონტის ხაზი და უშუალოდ საფრთხე შეუქმნეს სტამბოლს. ახალგაზრდა თურქთა ლიდერებმა დაინახეს რა, რომ გამოუვალ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ, 4 ოქტომბერს მოკავშირეებს ზავი შესთავაზეს, მაგრამ მოკავშირეებმა არ ისურვეს მათთან მოლაპარაკება.

7 ოქტომბერს ენვერ ფაშა, თალაათ ფაშა და ჯემალ ფაშა გადადგნენ და გერმანიაში წავიდნენ ემიგრაციაში[1], თურქეთის ახალ მთავრობას სათავეში მარშალი ახმედ იზეთ ფაშა ჩაუდგა, ახალმა მთავრობამ ანტანტას ზავი სთხოვა.

1918 წლის 30 ოქტომბერს მუდროსის ყურეში, ინგლისის სამხედრო გემზე „აგამემნონზე“ თურქეთის დელეგაციამ ხელი მოაწერა კაპიტულაციის აქტს და დანებდა გამარჯვებულ ანტანტის სახელმწიფოებს.

გერმანია თურქეთს განიხილავდა, როგორც თავის სატელიტს და ცდილობდა მისგან რაც შეიძლება მეტი რესურსები ამოექაჩა, ხოლო თურქი ჯარისკაცები გამოეყენებინა საზარბაზნე ხორცად.

კიდევ უფრო მეტი: მიუხედავად იმისა, რომ თურქეთი თავის ფრონტზე განიცდიდა ჯარისკაცების ნაკლებობას, გერმანიის სარდლობამ მოითხოვა, რომ თურქი ჯარისკაცები გაეგზავნათ ევროპაში საბრძოლველად. 1916 წელს, ენვერ ფაშასთან საიდუმლო მოლაპარაკების შედეგად, 120 ათასი რჩეული თურქი ჯარისკაცი გაგზავნილი იქნა გერმანიისა და ავსტრიის ფრონტებზე.

თურქეთში იზრდებოდა უკმაყოფილება გერმანელების მიმართ. 1917 წლის ზაფხულში თურქეთის სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწეების დიდი ნაწილი

[1] ტრიუმვირატის წევრებმა ტრაგიკულად დაასრულეს თავიანთი ცხოვრება, დაშნაკი ტერორისტების მიერ თალეთ ფაშა მოკლულ იქნა 1921 წელს ბერლინში, ხოლო ჯემალ ფაშა – თბილისში, 1922 წელს. ენვერ ფაშა კი 1922 წელს დაიღუპა ბურახარაში.

დარწმუნდნა, რომ გერმანიასთან კავშირი ქვეყანას მიიყვანდა სრულ კატასტროფამდე.

გერმანელებმა კარგად დაინახეს, რომ თურქეთი შესაძლებელია მათ ჩამოაშორეს. ამიტომ გადაწყვიტეს გამოეცოცხლებინათ თურქეთთან კავშირი. ამ მიზნით 1917 წლის ოქტომბერში სტამბოლში მეგობრული ვიზიტით ჩავიდა ვილჰემ II. ამ ნაბიჯს დადებითი შედეგი არ მოჰყოლია. 1917-1918 წლის ზამთარში გერმანიაში საპასუხო ვიზიტით ჩავიდა თურქეთის უფლისწული ვაჰიდ-ედინი. მის ამალაში იმყოფებოდა მუსტაფა ქემალ ფაშა. მან დაათვალიერა სამხედრო ობიექტები, იყო ფრონტის ხაზზე და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ გერმანიამ ომი წააგო და რომ თურქეთი უნდა ჩამოსცილდეს გერმანიას.

მუდროსის ზავი თურქეთისათვის მეტად მძიმე იყო. საზავო პირობების მიხედვით, ოსმალეთი მთლიანად გამარჯვებული სახელმწიფოების გავლენის ქვეშ მოექცა.

მუდროსის ხელშეკრულება შედგებოდა 25 მუხლისაგან. პირველი მუხლი ითვალისწინებდა სრუტეების გახსნას მოკავშირეთა ფლოტისათვის და მათ მიერ შავი და მარმარილოს ზღვებისა და სრუტეების ფორტების ოკუპაციას.

მე-2-3 მუხლებით ოსმალეთს უნდა ეჩვენებინა მოკავშირეებისათვის თურქეთის ტერიტორიული წყლებში ნაღმების ადგილმდებარეობა.

მე-5 მუხლით ოსმალეთი ვალდებული იყო დაუყოვნებლივ მოეხდინა არმიის დემობილიზაცია.

მე-7 მუხლით ანტანტის სახელმწიფოებს, საჭიროების შემთხვევაში, უფლება ეძლეოდათ მოეხდინათ თურქეთის ნებისმიერი ტერიტორიის ოკუპაცია.

მე-8-9 მუხლები ითვალისწინებდა ანტანტის სახელმწიფოებისათვის თურქეთისა და გერმანიის გემების ჩაბარებას.

მე-10 და მე-12 მუხლებით მოკავშირეებს ეძლეოდათ უფლება მოეხდინათ ოკუპაცია და დაეცვათ ტავრის გვირაბები, აგრეთვე სატელეგრაფო სადგურები და მიწისზედა გამავალი კაბელები.

მე-13 მუხლით ოსმალეთის ხელისუფლებას ეკრძალებოდა გაეფუჭებინა ან გაენადგურებინა თურქეთის ნავსადგურებში მდებარე სამხედრო ან სავაჭრო ობიექტები.

მე-16 მუხლი ავალდებულებდა პორტას ჩაებარებინა თავისი გარნიზონები ჰიჯაზში, იემენში და სხვა არაბულ ქვეყნებში, მოეხდინა ოსმალეთის ჯარების ევაკუაცია კილიკიიდან.

მე-19 მუხლით პორტას ევალებოდა ერთი თვის განმავლობაში თავისი ტერიტორიიდან მოეხდინა გერმანიისა და ავსტრიის სამხედრო და სამოქალაქო ქვეშევრდომების ევაკუაცია და შეეწყვიტა ყოველგვარი ურთიერთობა ცენტრალურ სახელმწიფოებთან.

მე-20 მუხლი პორტას ავალდებულებდა ჩაებარებინა მოკავშირეებისათვის მთელი სამხედრო შეიარაღება და სამხედრო აღჭურვილობა.

22-ე მუხლით პორტას უნდა გადაეცა მოკავშირეებისათვის სამხედრო ტყვეები, ხოლო თურქი ტყვეები უნდა დარჩენილიყვნენ მოკავშირეთა განკარგულებაში.

23-ე მუხლი ითვალისწინებდა საომარი მოქმედების შეწყვეტას. 1918 წლის 31 ოქტომბერის ნაშუადღევს ადგილობრივი დროით.

მუდროსის ხელშეკრულების რიგი მუხლები ეხებოდა ამიერკავკასიას: ასე, მაგალითად თანახმად მე-11 მუხლისა, თურქეთის ჯარებს უნდა დაეტოვებინა დაღესტანი, აზერბაიჯანი, სომხეთი და საქართველო. ეს ტერიტორიები ოკუპირებული იქნებოდა ინგლისის ჯარების მიერ.

მე-15 მუხლის მიხედვით, ინგლისის ჯარებს უფლება ეძლეოდა მოეხდინა ბათუმის, ბაქოსა და ამიერკავკასიის სხვა ქალაქების ოკუპაცია, ხოლო პორტას ამ საქმეში მისთვის ყოველგვარი დახმარება უნდა აღმოეჩინა.

ასეთი იყო, ძირითადად, მუდროსის საზავო ხელშეკრულების პირობები.

მუდროსის ზავის დადების მეორე დღეს ინგლისმა, ვითომდა კომუნიკაციების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, მოახდინა მოსულის რაიონისა და ალექსანდრიეტას ოკუპაცია.

1918 წლის 13 ნოემბერს მოკავშირეთა სამხედრო-საზღვაო ესკადრები (ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის, საბერძნეთისა და უფრო გვიან აშშ-ის) ოქროს ყურეში შევიდნენ და ღუზა თურქეთის სულთნის სასახლის წინ ჩაუშვეს.

ანტანტის სახელმწიფოები ვარაუდობდნენ, რომ ისინი შეძლებდნენ საბოლოოდ მოეხდინათ ოსმალეთის მთლიანი დანაწილება. დრო მათთვის მეტად ხელსაყრელი იყო, რადგან ოსმალეთის ერთ-ერთი თავგამოდებული მოსარჩლე მეფის რუსეთი მწყობრიდან იყო გამოსული.

ამ დროს ახლო და შუა აღმოსავლეთის რეგიონში მთავარ როლს ინგლისი ასრულებდა. ინგლისი მსოფლიო ომის ბოლოს გახდა ახლო აღმოსავლეთის ფაქტიური ბატონ-პატრონი.

მალე ინგლისის კონტროლის ქვეშ აღმოჩნდა მთელი ანატოლია: სამხრეთ-აღმოსავლეთი, სამხრეთ ანატოლია და კილიკია. ინგლისის ჯარები კონტროლს უწევდნენ აგრეთვე ერაყსა და სირიას; აღმოსავლეთი ანატოლია ემორჩილებოდა კავკასიაში მყოფ ინგლისის საოკუპაციო ჯარებს, ხოლო ცენტრალური და დასავლეთი ანატოლია – ინგლისის ჯარის მთავარსარდალს თურქეთსა და კავკასიაში გენერალ მილნას. ამის გარდა, ინგლისმა დაამყარა თავისი ხელისუფლება ბაღდადის რკინიგზაზე.

შავი და ხმელთაშუა ზღვების ნავსადგურზე კონტროლს ახორციელებდა ინგლისის ფლოტი. ტრაპიზონსა და სამსუნში გადასხმულ იქნა ინგლისის სამხედრო რაზმები.

საფრანგეთის ჯარებმა დაიკავეს ადანის ოლქი და აღმოსავლეთ თრაკიის დიდი ნაწილი.

სულთანი და მისი მთავრობა ინგლისისა და საფრანგეთის მონა-მორჩილი იყო.

1918 წლის 21 დეკემბერს გამოვიდა სულთნის ბრძანებულება ოსმალეთის დეპუტატთა პალატის (მეჯლისი) დათხოვნის შესახებ.

1919 წლის მარტის დასაწყისში ოსმალეთის მთავრობის მეთაური გახდა „თავისუფლებისა და თანხმობის“ პარტიის ლიდერი, სულთნის სიძე ფერიდ ფაშა.

1919 წლის იანვარში პარიზში გაიხსნა სამშვიდობო საზავო კონფერენცია, რომელსაც უნდა შეემუშავებინა სამშვიდობო საზავო ხელშეკრულებები დამარცხებულ სახელმწიფოებთან და მათ შორის ოსმალეთთან.

1919 წლის 30 იანვარს საბერძნეთის მთავრობამ პარიზის კონფერენციას გაუგზავნა მემორანდუმი, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ ანატოლიაში ცხოვრობს 2,5 მილიონი ბერძენი, რომლებიც ოცნებობენ საბერძნეთთან გაეთიანებაზე, ხოლო შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ რაიონში მცხოვრებ ბერძნებს სურთ შექმნან პონტოს სახელმწიფო, საბერძნეთის პროტექტორატის ქვეშ. საბერძნეთი მოითხოვდა, აგრეთვე გადაეცათ მისთვის იზმირი და კონსტანტინოპოლზე დაეწესებინა ერთა ლიგის კონტროლი.

პარიზის კონფერენციაზე იტალიის წარმომადგენელმა ორლანდომ პროტესტი განაცხადა და აღნიშნა, რომ ლონდონის ხელშეკრულებით იზმირი იტალიას უნდა გადასცემოდა.

იტალიელებმა, როდესაც გაიგეს, რომ საბერძნეთს უნდა გადასცემოდა იზმირი, გადაწყვიტეს დაესწროთ ბერძნებისათვის და 1919 წლის 4 მაისს იტალიის ჯარები

გადასხეს კუშადასიში იზმირიდან 60 კილომეტრის დაშორებით. მალე მათ დაიკავეს იზმირის ახლომახლო მდებარე ადგილები.

იტალიელებს არც ბერძნები ჩამორჩნენ. 15 მაისს დაიწყო საბერძნეთის არმიის გადასხმა იზმირში. 15 დღის განმავლობაში ოკუპირებული იქნა მთელი იზმირის ვილაიეთი.

1919 წლის 22 მაისს მოხდა ინგლის-საფრანგეთის შეთანხმება საიქს-პიკოს ხელშეკრულების დაზუსტების მიზნით, რომლის მიხედვითაც, პალესტინა და მოსულის ვილაიეთი გადადიოდა ინგლისის გავლენის სფეროში, თავის მხრივ, ინგლისი ვალდებულებას იღებდა გაეყვანა ჯარები სირიიდან და კილიკიიდან და ამ ტერიტორიაზე შეყვანილი იქნებოდა საფრანგეთის ჯარი. ინგლისმა აგრეთვე იცნო ფრანგების მიერ ზონგულდაქის ქვანახშირის მდიდარი რაიონის ოკუპაცია.

29 ივლისს ინგლისის მონაწილეობით მიაღწიეს შეთანხმებას იტალიასა და საბერძნეთს შორის – ანატოლიასა და ბალკანეთში გავლენის სფეროების განაწილების შესახებ.

ანტანტის სახელმწიფოების მიერ, ფაქტიურად, ოსმალეთის ბედ-იღბალი გადაწყვეტილი იყო. ანტანტის სახელწიფოებს თავიანთი გეგმების რეალიზაციის მიზნით თურქეთის ტერიტორიაზე ჰყავდათ 100-ათასიანი არმია.

2. ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის დაწყება, არზრუმისა და სივასის კონგრესები

ოსმალეთის კაპიტულაციის შემდეგ ქვეყნის სხვადასხვა რაიონებში დაიწყო (ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად) სხვადასხვა პოლიტიკური ორგანიზაციების დაარსება. ისინი იქმნებოდნენ ქვეყნის ცალკეული რაიონების ტერიტორიების დაცვის მიზნით. 1918 წლის ბოლოს უფლებათა დაცვის საზოგადოება შეიქმნა თრაკიაში, იზმირსა და კილიკიაში. აგრეთვე დაარსდა აღმოსავლეთის ვილაიეთების ეროვნული უფლებების დაცვის საზოგადოება. ტრაპიზონის ვილაიეთის დეცენტრალიზაციის საზოგადოება, ეროვნული კონგრესი და სხვ. სტამბოლში განახლდა პოლიტიკური პარტიების საქმიანობა, რომლებიც ცდილობდნენ შეექმნათ ეროვნული ბლოკი თურქეთის ერთიანობის დაცვისათვის.

1919 წლის დამდეგამდე ამ საზოგადოებებისა და ორგანიზაციების უმრავლესობა განიცდიდა პაციფისტურ გავლენას. ისინი იმედოვნებდნენ „სამართლიანი“ სამშვიდობო ხელშეკრულების დადებას, რომელიც დამყარებული იქნებოდა აშშ-ის პრეზიდენტ ვილსონის დეკლარაციის თოთხმეტ პუნქტზე. ამიტომ მათი საქმიანობა არ იყო მიმართული შეიარაღებული ბრძოლისაკენ ოკუპანტების წინააღმდეგ. არამედ, კმაყოფილდებოდა მიტინგების ჩატარებითა და პოლიტიკური პამფლეტების გამოცემით, მაგრამ მათი ილუზიები მალე დაიმსხვრა ვითარების გაუარესების გამო. საჭირო იყო დაწყებულიყო ანტიიმპერიალისტური სახალხო მოძრაობა. მაგრამ ამ დროს თურქეთის ბურჟუაზიას არ ჰყავდა ჯერ კიდევ ერთიანი ორგანიზაცია, რომელიც შეიძლება სათავეში ჩადგომოდა ამ მოძრაობას.

ასეთი ორგანიზაციის შექმნა მიზნად დაისახა მუსტაფა ქემალ ფაშამ.

მუსტაფა ქემალ ფაშა (ათათურქი) დაიბადა 1881 წელს სალონიკში, მოსამსახურის ოჯახში. 1893 წელს მუსტაფა ქემალი შევიდა სამხედრო სასწავლებელში. შემდეგ სწავლა განაგრძო გენერალური შტაბის სამხედრო აკადემიაში (სტამბოლში), რომელიც დაამთავრა 1905 წელს, მიიღო კაპიტნის ჩინი და ჩაირიცხა სამხედრო



მუსტაფა ქემალ ფაშა, ისმეთ ფაშა და არალოვი

ნაწილში. მალე იგი დააპატიმრეს საიდუმლო პატრიოტულ წრეში მონაწილეობის გამო, მას ბრალად ედებოდა ნამიქ ქემალის აკრძალული პიესის „სამშობლოს“ წაკითხვა.

სამი თვის პატიმრობის შემდეგ მუსტაფა ქემალი დანიშნეს დამასკოში საკავალერიო ნაწილში. დამასკოში ახალგაზრდა ოფიცერთა მიერ დაარსებულ იქნა „სამშობლოსა და თავისუფლების“ წრე, რომელშიც აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა მუსტაფა ქემალი. ეს წრე ეწეოდა პროპაგანდას აბდულ-ჰამიდის რეაქციული რეჟიმის დასამხობად. დამასკოდან მუსტაფა ქემალი საიდუმლოდ მაკედონიაში გაემგზავრა, სადაც ამ დროს იმყოფებოდა ახალგაზრდა თურქების შტაბი. აქ მან კონტაქტი დაამყარა ახალგაზრდა თურქების ლიდერებთან. 1907 წელს მუსტაფა ქემალი გადაიყვანეს მაკედონიაში. 1908 წელს მან მონაწილეობა მიიღო ახალგაზრდა თურქთა რევოლუციაში. მაგრამ ახალგაზრდა თურქთა ლიდერებთან უთანხმოების გამო იგი გამოვიდა პარტიის რიგებიდან და ჩამოსცილდა პოლიტიკურ მოძრაობას. 1911-1912 წლებში მუსტაფა ქემალი მონაწილეობდა ტრიპოლიტანიის ომში, ხოლო 1912-1913 წლებში – ბალკანეთის ომში.

1911 წელს მუსტაფა ქემალი მაიორი გახდა, ხოლო 1914 წელს, როდესაც იგი იყო სამხედრო ატაშე ბელგრადში, მიიღო პოდპოლკოვნიკის ჩინი.

პირველი მსოფლიო ომის დროს იგი იყო ერთ-ერთი გამოჩენილი მხედართმთავარი.

მსოფლიო ომში ჩაბმის შემდეგ მუსტაფა ქემალი დაინიშნა მე-19 ქვეითი დივიზიის მეთაურად. იგი მონაწილეობდა დარდანელის დაცვაში მიიღო პოლკოვნიკის ჩინი და სახელიც გაითქვა ამ ბრძოლებში.

1916 წლის აგვისტოში იგი მეთაურობდა ოპერაციებს ბითლისსა და მუშში.

1916 წლის აპრილში კავკასიის ფრონტზე მუსტაფა ქემალს ებოძა ბრიგადის გენერლის ჩინი და ფაშის ტიტული.

1917 წლის ზაფხულში იგი სარდლობდა მე-7 არმიას, რომელიც ბადდადსა და მესოპოტამიის რაიონში იყო განლაგებული.

1917 წლის 20 სექტემბერს მას კონფლიქტი მოუვიდა გერმანელ გენერალ ფალკენჰეინთან.

1917 წლის 15 დეკემბრიდან 1918 წლის 5 იანვრამდე მუსტაფა ქემალი ბერლინში თან ახლდა უფლისწულ ვაჰიდედინს.

1918 წლის აგვისტოში მუსტაფა ქემალი კვლავ დანიშნეს მე-7 არმიის სარდლად, აქ მას მოუსწრო დაზავებამ. მუდროსის ზავის შემდეგ მან მოახდინა ჯარების ევაკუაცია კილიკიაში და ცდილობდა გაეწია წინააღმდეგობა ინგლისის ჯარებისათვის, რომლებმაც მოსული დაიკავეს, მაგრამ არ მიიღო მხარდაჭერა მთავრობისაგან და გადადგა, 1918 წლის 10 ნოემბერს იგი სტამბოლში დაბრუნდა.



მუსტაფა ქემალ ფაშა

სტამბოლში ყოფნის დროს მუსტაფა ქემალმა დაიწყო თავის გარშემო იმ პირების შემოკრება, რომლებიც უკმაყოფილო იყვნენ ოკუპანტების საქმიანობით. სულთნის მთავრობის შემრიგებლური პოლიტიკით. იმ დროს მუსტაფა ქემალს იმედი ჰქონდა, რომ ოსმალეთის კრიტიკული მდგომარეობიდან გამოსვლა შესაძლებელი იქნებოდა, თუ შეიქმნებოდა ახალი ქმედითი მთავრობა და მას უნარი ექნებოდა გადამწყვეტი ზომები მიეღო ქვეყნის ეროვნული ინტერესების დასაცავად. მაგრამ სულთნის გარშემო მოკალათებულმა დიდმოხელეებმა ყურად არ იღეს მუსტაფა ქემალის პატრიოტული მოწოდებანი.

მუსტაფა ქემალმა მიიღო სწორი გადაწვეტილება, რომ ინტერვენტების წინააღმდეგ საბრძოლველად ძალების გაერთიანება და დარაზმვა უნდა დაწყებულიყო ანატოლიდან, სადაც საამისოდ მეტად ხელსაყრელი პირობები იყო.

1919 წლის მაისში, თავისი მეგობრებისა და დაახლოებული პირების დახმარებით, მუსტაფა ქემალ ფაშა დაინიშნა ანატოლიაში მე-9 არმიის ინსპექტორად.

1919 წლის 19 მაისს ქემალი ჩავიდა სამსუნში. თურქულ ისტორიოგრაფიაში 19 მაისი ითვლება ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის დაწყების თარიღად. ხოლო მუსტაფა ქემალს როდესაც ეკითხებოდნენ, თუ რომელ დღეს დაიბადა იგი ხუმრობით ამბობდა: „19 მაისს“.

იმ დროს მუსტაფა ქემალს მიაჩნდა, რომ განმათავისუფლებელი ბრძოლა უნდა დაწყებულიყო „ფადიშაჰის წმიდა დროშით“, სულთან მეჰმედ VI-ის მეთაურობით.

თურქეთში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მთავარი მამოძრავებელი ძალა იყო გლეხობა, მას შეუერთდა მუშათა კლასი, მაგრამ, იგი ამ დროს მეტად მცირერიცხოვანი და სუსტი იყო. ასეთ ვითარებაში ანტიიმპერიალისტური მოძრაობის ხელმძღვანელობა გადავიდა ეროვნულ ბურჟუაზიის, უმთავრესად ანატოლიის სამრეწველო და სავაჭრო ბურჟუაზიის ხელში. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მთავარი ცენტრი ანატოლია იყო. იქ ცხოვრობდნენ თურქი გლეხობის

ძირითადი მასა. წვრილი მემამულეები, სამრეწველო და სავაჭრო ბურჟუაზიის უმრავლესობა.

ანატოლიაში ჩასვლის შემდეგ მუსტაფა ქემალი ენერგიულად შეუდგა განმათავისუფლებელი მოძრაობის ორგანიზაციას. მან მიზნად დაისახა გაეერთიანებინა იმ დროს თურქეთში არსებული სხვადასხვა ბურჟუაზიული პარტიები და ორგანიზაციები, რათა შეექმნა ანატოლიისა და თრაკიის უფლებათა დაცვის ორგანიზაციის ერთიანი ხელმძღვანელი ორგანო.

მუსტაფა ქემალი მოუწოდებდა: „სამშობლოს ხელშეუვალობა და დამოუკიდებლობა საფრთხეშია, ცენტრალური მთავრობა ვერ ასრულებს თავის მოვალეობას, ამის გამო საჭიროა მოვიწვიოთ ეროვნული ყრილობა, რომელიც დამოუკიდებელი იქნება ყოველგვარი გავლენისა და კონტროლისაგან“.

დივიზიებისა და კორპუსების შტაბების წარმომადგენლებისა და ზოგიერთი გუბერნატორის დახმარებით იგი დაუკავშირდა ყველა ორგანიზაციასა და საზოგადოებას, აგრეთვე სასულიერო პირებს, გავლენიან მემამულებსა და ვაჭრებს. თავის მოწოდებებში ქემალი მიისწრაფვოდა დაემტკიცებინა, რომ თურქეთის პოლიტიკური და ეროვნული არსებობა არ შეწყვეტილა და რომ ხალხი მზადაა დაიცვას თავისუფლება და დამოუკიდებლობა.

1919 წლი 20 ივნისს ამასიაში შედგა საიდუმლო თათბირი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მუსტაფა ქემალმა, ყოფილმა საზღვაო მინისტრმა ჰუსეინ რაუფ ბეიმ, მე-20 კორპუსის მეთაურმა ალი ფუად ფაშამ და პოლკოვნიკმა ქიაზიმ ბეიმ, სამშობლოს დაცვის მიზნით თათბირის მონაწილეებმა გადაწყვიტეს მოეწვიათ სივასში სრულიად თურქეთის კონგრესი, სადაც წარმოდგენელი იქნებოდა ყველა პარტია და საზოგადოება. ამ კონგრესზე უნდა შემუშავებულიყო მოქმედების პროგრამა. თათბირმა მხარი დაუჭირა აღმოსავლეთის ვილაიეთების უფლებათა დაცვის ორგანიზაციების ინიციატივას – ჩაეტარებინათ არზურუმის კონგრესი. თათბირის ოქმს ხელი მოაწერა მე-3 კორპუსის მეთაურმა რეფეტ ბეიმ, მე-15 კორპუსის მეთაურმა ქიაზიმ ყარაბექირ ფაშამ, და მე-13 კორპუსის მეთაურმა ჯემალ ფაშამ.

ამრიგად, ამასიაში თათბირის დროს შეიქმნა საინიციატივო ჯგუფი, რომელმაც თავის თავზე აიღო პატრიოტული ძალების გაერთიანება და ერთიანი ფრონტის შექმნა თურქეთის დამოუკიდებლობის დასაცავად.

1919 წლის 22 ივნისს მუსტაფა ქემალმა ამ ჯგუფის სახელით გაუგზავნა მიწვევა არმიის კორპუსების მეთაურებს, გუბერნატორებს სხვადასხვა საზოგადოებებს, პოლიტიკურ და რელიგიურ მოღვაწეებს, ქალაქის გამგებლებს მონაწილეობა მიეღოთ სივასის კონგრესის მუშაობაში.

მუსტაფა ქემალის საქმიანობა ცნობილი გახდა სტამბოლში და მოკავშირეთა მთავარსარდალმა ინგლისელმა გენერალმა მილნმა მოსთხოვა თურქეთის სამხედრო მინისტრს დაუყოვნებლივ დაებრუნებინა მუსტაფა ქემალი დედაქალაქში, რაზედაც მან უარი მიიღო მუსტაფა ქემალისაგან.

1919 წლის 8 ივლისს მუსტაფა ქემალი გადადგა თავისი თანამდებობიდან და სულთნის მთავრობამ იგი „მეამბოხე გენერალად“ გამოაცხადა.

1919 წლის 23 ივლისიდან 7 აგვისტომდე არზურუმში ჩატარდა აღმოსავლეთის ვილაიეთების კონგრესი. მას 35 დელეგატი დაესწრო, კონგრესმა ერთსულოვნად მიიღო დადგენილება დაეცვათ აღმოსავლეთის ვილაიეთების დამოუკიდებლობა. ამასთანავე კონგრესის მონაწილეებმა აღიარეს თავიანთი ერთგულება თურქეთის სულთნისა და ხალიფათისადმი.

არზურუმის კონგრესმა მოამზადა ნიადაგი ერთიანი ცენტრის შესაქმნელად განმათავისუფლებელი ბრძოლის პროცესში. კომიტეტის თავმჯდომარედ აირჩიეს მუსტაფა ქემალი.

სტამბოლის ნაციონალისტების საწინააღმდეგოდ, რომლებიც იბრძოდნენ თურქეთზე ამერიკის მანდატის შემოღებისათვის, არზრუმის კონგრესმა უარი თქვა აღმოსავლეთ ანატოლიაზე ყოველგვარი მანდატის დაწესებაზე.

1919 წლის 4-12 სექტემბერს სივასში ჩატარდა სრულიად თურქეთის კონგრესი, მასში მონაწილეობა მიიღეს მსხვილმა მიწისმფლობელებმა, ვაჭრებმა, შეიხებმა, მოლებმა, ოფიცრებმა. მოხელეებმა, ექიმებმა, იურისტებმა, ჟურნალისტებმა, მასწავლებლებმა და აგრეთვე სტამბოლის სავაჭრო ბურჟუაზიის წარმომადგენლებმა.

სივასის კონგრესის მუშაობა მეტად დაძაბულ ვითარებაში ჩატარდა.

დასავლეთ ანატოლიაში ბერძენთა არმია უფრო მეტად მიიწევდა წინ ქვეყნის სიღრმეში. მერსინში გადასხმულ იქნენ საფრანგეთის ჯარები, შავი ზღვის ანატოლიის სანაპიროზე ინგლისისა და საფრანგეთის ფლოტი ბატონობდა, საბერძნეთის ფლოტი აწვდიდა იარაღს „პონტოს სახელმწიფოს“ დაარსების მომხრეებს.

30 ივლისს გამოქვეყნდა სულთნის ბრძანება მუსტაფა ქემალის სამხედრო ტრიბუნალში გადაცემის შესახებ, 9 აგვისტოს სამხედრო ტრიბუნალმა იგი „მეამბოხედ“ გამოაცხადა, გარიცხა არმიის რიგებიდან და ჩამოართვა ყოველგვარი ტიტული და ჩინი. სტამბოლიდან სივასში გაიგზავნა სპეციალური რაზმი მის დასაპატიმრებლად.

ხარფუტის გუბერნატორს დაევალა მოეწყო ქურთების შეიარაღებული გამოსვლა სივასის კონგრესის მონაწილეების წინააღმდეგ.

ინგლისელები, რომლებიც შეშფოთებული იყვნენ განმათავისუფლებელი მოძრაობის გაფართოებით, ცდილობდნენ არ დაეშვათ სივასის კონგრესის გახსნა.

არც ფრანგები იყვნენ გულხელდაკრეფილნი. მათ სივასში გაგზავნეს სპეციალური მისია, რომელიც შედგებოდა კილიკიაში მყოფი ფრანგი ოფიცრებისაგან, ფრანგებმა გააგრცელეს ხმები, რომ ისინი აპირებდნენ სივასის ოკუპაციას.

სივასში ჩავიდნენ აგრეთვე იტალიის წარმომადგენლები, მაგრამ, ისინი უკან გააბრუნეს სახალხო რაზმელებმა.

მიუხედავად ყოველივე ამისა, სივასის კონგრესი მაინც ჩატარდა, სწორედ ამ დროს თურქეთში დიდი გამოხმაურება გამოიწვია იმან, რომ აშშ-ისათვის უნდა გადაეცათ თურქეთი, როგორც სამანდატო ტერიტორია.

თურქეთის პოლიტიკური მოღვაწეების დიდი ნაწილი მომხრე იყო თურქეთზე გავრცელებულიყო აშშ-ის მანდატი. ისინი ამას იმით ასაბუთებდნენ, რომ უმჯობესია თურქეთზე დამყარებულიყო ამერიკის მანდატი, ვიდრე მომხდარიყო თურქეთის დანაწილება ანტანტის სახელმწიფოების მიერ. აშშ-ის მანდატის მომხრეები სივასის კონგრესის მონაწილეებს შორისაც იყვნენ. სივასის კონგრესზე ჩავიდნენ აშშ-ის წარმომადგენლები, რომლებიც მანდატის სასარგებლოდ აგიტაციას ეწეოდნენ. მუსტაფა ქემალი აშკარად არ გამოვიდა აშშ-ის მანდატის წინააღმდეგ, რადგან ამას შეეძლო გამოეწვია გათიშვა კონგრესის მონაწილეებს შორის.

სივასის კონგრესი, ისევე როგორც არზრუმისა, ჩატარდა უცხოელებისაგან ქვეყნის გადარჩენის ლოზუნგით. კონგრესმა შეიმუშავა ბრძოლის ძირითადი პრინციპები და მიიღო გაფართოებული პროგრამა. გამოაცხადა, რომ თურქეთის ტერიტორია 1918 წლის მუდროსის ზავის ტერიტორიულ ფარგლებში უნდა დარჩენილიყო.

კონგრესმა მოთხოვა სულთანს დაუყოვნებლივ მოეწვია ეროვნული მეჯლისი და გადაეყენებინა დამად ფერიდ ფაშას მთავრობა.



სივასის კონგრესის მონაწილეები

კონგრესმა აირჩია წარმომადგენლობითი კომიტეტი 13 კაცის შემადგენლობით, მუსტაფა ქემალი თავმჯდომარედ, წევრებად ჰუსეინ რაუფ ბეი, რეფეტ ბეი, ბექირ სამი ბეი და სხვა.

სივასის კონგრესმა გამოხატა თავისი ერთგულება სულთნის მიმართ და გაუგზავნა მას სპეციალური მიმართვა.

აგრეთვე მიმართვა გაუგზავნა დიდი სახელმწიფოების დიპლომატიურ და პოლიტიკურ წარმომადგენლებს სტამბოლში. ამ დოკუმენტში დასაბუთებული იყო ანატოლიაში ეროვნული მოძრაობის კანონიერი ხასიათი.

3. სტამბოლში მეჯლისის (პარლამენტის) მოწვევა

სივასის კონგრესის გადაწყვეტილების შესაბამისად, წარმომადგენლობითმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება: 1919 წლის 12 სექტემბერს გაეწყვიტა ყოველგვარი ურთიერთობა დამად ფერიდ ფაშას მთავრობასთან. ერთდროულად კომიტეტმა მიმართა სულთანს, მოკავშირეთა უმაღლეს კომისარს, გადაეყენებინათ დამად ფირიდ ფაშას მთავრობა და მოეწვიათ პარლამენტი.

სულთანმა უარი განაცხადა დაეკმაყოფილებინა მათი მოთხოვნა. თურქეთში დღითიდღე იზრდებოდა მთავრობის საწინააღმდეგო გამოსვლები. ასეთ ვითარებაში სულთანი იძულებული გახდა წასულიყო დათმობაზე და გადაეყენებინა დამად ფერიდ ფაშას მთავრობა, რომელმაც სახელი გაიტეხა ხალხის თვალში, და კონტაქტი დაემყარებინა ქემალისტებთან.

1919 წლის 2 ოქტომბერს დამად ფერიდ ფაშას მთავრობა გადადგა და შეიქმნა ახალი მთავრობა ალი რიზა ფაშას მეთაურობით.

სულთნის ვარაუდით, ალი რიზა ფაშას უნდა გაეუქმებინა უფლებათა დაცვის ორგანიზაციები, დაეშალა პარტიზანული რაზმები, ჩაეტარებინა არჩევნები პარლა-

მენტში და ხელი მოეწერა მოკავშირეთა მიერ შემუშავებულ საზავო ხელშეკრულებაზე.

1919 წლის 20-დან 22 ოქტომბრამდე ამასიაში მიმდინარეობდა მოლაპარაკება სულთნის მთავრობის დელეგაციასა და წარმომადგენლობითი კომიტეტის ხელმძღვანელებს შორის, მოლაპარაკებაში მონაწილეობას ღებულობდნენ მუსტაფა ქემალი, რაუფ ბეი და ბექირ სამი ბეი. მოლაპარაკების შედეგად მიღწეულ იქნა შეთანხმება, შედგენილი იქნა ხუთი ოქმი. აქედან სამს ხელი მოაწერეს ორივე მხარის წარმომადგენლებმა, ხოლო ორს – სულთნის მთავრობის დელეგაციამ.

ამ ოქმების შესაბამისად, ქემალისტებმა უარი თქვეს აქტიურ საომარ ოპერაციებზე ოკუპანტების წინააღმდეგ, სანამ დეპუტატთა პალატა ხელში არ აიღებდა ქვეყნის ხელისუფლებას, ხოლო სულთნის მთავრობა ვალდებულებას იღებდა დაეცვა თურქეთის საზღვრები მუდროსის ხელშეკრულების შესაბამისად.

საკამათო გახდა თურქეთის პარლამენტის მოწვევის ადგილი. მუსტაფა ქემალი მოითხოვდა, რომ პარლამენტი მოწვეული ყოფილიყო ანატოლიის რომელიმე ქალაქში, სულთნის წარმომადგენლები კი სტამბოლს ასახელებდნენ. სულთნის მთავრობის დაჟინებული მოთხოვნით ქემალი დათმობაზე წავიდა.

სულთნის მთავრობასთან კავშირის დამყარების მიზნით სტამბოლში გაიგზავნა წარმომადგენლობითი კომიტეტის დელეგაცია რაუფ ბეის, ყარა ვასიფ ბეისა და ბექირ სამი ბეის შემადგენლობით.

1919 წლის ნოემბერ-დეკემბერში ჩატარდა არჩევნები პარლამენტში (მეჯლისი). 175 დეპუტატიდან 116 დეპუტატი მუსტაფა ქემალის მომხრე იყო.

სტამბოლში გამგზავრებამდე ქემალისტი დეპუტატები 27 დეკემბერს შეიკრიბნენ ანკარაში საერთო პროგრამის შემუშავების მიზნით. მათ შეიმუშავეს მოქმედების გეგმა და გადაწყვიტეს პარლამენტში შეექმნათ უფლებათა დაცვის ფრაქცია. მუსტაფა ქემალმა სტამბოლში პარლამენტის მუშაობაში არ მიიღო მონაწილეობა.

1920 წლის 12 იანვარს გაიხსნა პარლამენტის პირველი სხდომა. 28 იანვარს ქემალისტმა დეპუტატებმა წარადგინეს თავიანთი „ეროვნული აღთქმა“, რომელიც წარმოადგენდა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის პროგრამას. იგი ითვალისწინებდა თურქეთის ტერიტორიულ მთლიანობას თურქული ტერიტორიების ფარგლებში (ანატოლია, სრუტეების ზონა, აღმოსავლეთი თრაკია) ამ გეგმამ მოიპოვა პარლამენტის ერთსულოვანი მხარდაჭერა, ხოლო მოკავშირე სახელმწიფოების წარმომადგენლები მას უარყოფითად შეხვდნენ.

1920 წლის თებერვალში ლონდონში მიმდინარეობდა მოლაპარაკება მოკავშირე სახელმწიფოებს შორის თურქეთის საკითხთან დაკავშირებით. მიღებულ იქნა შემდეგი გადაწყვეტილება: 1. სტამბოლი დარჩებოდა სულთნის ხელისუფლების ქვეშ. 2. მოხდებოდა სრუტეების ინტერნაციონალიზაცია და ნეიტრალიზაცია. 3. თურქეთს არ ჰქონდა უფლება განეხორციელებინა მმართველობა არათურქ მოსახლეობაზე. ამავე დროს ანტანტის წარმომადგენლებმა შეათანხმეს თურქეთთან საზავო ხელშეკრულებების ძირითადი პირობები.

მოკავშირე სახელმწიფოებს და განსაკუთრებით ინგლისს არ მოსწონდათ პარლამენტის მიერ მიღებული დადგენილებები და გადაწყვიტეს იარაღის ძალით ჩაეშალათ მისი საქმიანობა. თებერვალსა და მარტის განმავლობაში ანატოლიაში გადასროლილ იქნა საბერძნეთის რეგულარული სამხედრო ნაწილები.

1920 წლის 16 მარტს სტამბოლში გადასხმულ იქნენ ინგლისის ჯარები, რომლებმაც დაიკავეს მთავრობის დაწესებულებები. ინგლისელებმა დაარბიეს პარლამენტი, დეპუტატების ნაწილი დააპატიმრეს, ნაწილმა გაქცევით უშველა თავს. დაპატიმრებული დეპუტატები კუნძულ მალტაზე გადაასახლეს.

5 აპრილს, ინგლისელების მოთხოვნით, შეიქმნა ახალი მთავრობა დამამ ფერიდ ფაშას მეთაურობით. სტამბოლში საოკუპაციო რეჟიმი დამყარდა. დაიწყო ძალების გადანაწილება, ანატოლიაში წავიდნენ ისინი, ვინც დაინტერესებული იყო თურქეთის დამოუკიდებლობით, ხოლო სტამბოლში თავს იყრიდნენ რეაქციული ძალები. სტამბოლში, აგრეთვე სხვა ქალაქებსა და სოფლებში დაიწყო გამოსვლები ოკუპანტების წინააღმდეგ.

4. ანკარაში თურქეთის დიდი ეროვნული კრების მოწვევა

1920 წლის 19 მარტს წარმომადგენლობითმა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება ახალი მეჯლისის მოწვევის შესახებ. ეს გამოწვეული იყო შემდეგი მიზეზებით: 1. დეპუტატთა პალატა სტამბოლში დათხოვნილ იყო და საკანონმდებლო ხელისუფლება აღარ არსებობდა. 2. აღმასრულებელი ხელისუფლება იმყოფებოდა ანტანტის კონტროლის ქვეშ. ამიტომ დამამ ფერიდ ფაშას მთავრობა ცხადდებოდა ხალხის მოღალატედ და ამ დღიდან კომიტეტი წყვეტდა მასთან ყოველგვარ ურთიერთობას. 3. სასამართლო ხელისუფლება აღარ სარგებლობდა არავითარი დამოუკიდებლობით, ამის დამადასტურებელი იყო ის, რომ სტამბოლში უმიზეზოდ დააპატიმრეს ასობით მოქალაქე ყოველგვარი დასაბუთების გარეშე.

ამრიგად, ანტანტის მიერ სტამბოლის ოკუპაციამ დააჩქარა სახელმწიფო ხელისუფლების გადასვლა ეროვნული ბურჟუაზიის ხელში.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მტრები ცდილობდნენ, რომ ოკუპანტების დახმარებით ჩაეშალათ ახალი მეჯლისის მოწვევა. სულთნის აგენტების აგიტაციის გავლენის შედეგად ზოგიერთმა ვილაიეთმა არ მოისურვა თავისი დეპუტატების გაგზავნა მეჯლისში იმ საბაბით, რომ მათ თითქმის არ ჰქონდათ მიღებული სულთნისაგან ნებართვა ანკარაში მეჯლისის მუშაობაში მონაწილეობაზე.

სულთანმა გამოსცა მანიფესტი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლის განახლების შესახებ. სულთნის მთავრობა შეუდგა „ხალიფათის არმიის“ დაკომპლექტებას და მათ წინააღმდეგ ომის სამზადისს.

ახალი მეჯლისი, რომელმაც მიიღო თურქეთის დიდი ეროვნული კრების სახელწოდება, ძველისაგან განსხვავებით, შედგებოდა ერთი პალატისაგან. არჩევნები ჩატარდა ორსაფეხურიანი სისტემით, ძველი საარჩევნო კანონის საფუძველზე. ყოველი სანჯაყი (ლივა) ხუთ დეპუტატს ირჩევდა.

1920 წლის 23 აპრილს ანკარაში გაიხსნა თურქეთის დიდი ეროვნული კრება, პირველი მოწვევის მეჯლისი შედგებოდა 338 დეპუტატისაგან, აქედან 105 დეპუტატი სტამბოლიდან ჩავიდა. პარლამენტის დეპუტატთა შორის იყვნენ მემამულეები, ვაჭრები, სასულიერო პირები, ოფიცრები, ინტელიგენციის წარმომადგენლები (ექიმები, იურისტები, ჟურნალისტები, მწერლები, მასწავლებლები). მეჯლისის შემადგენლობაში არ იყვნენ მუშათა და გლეხთა წარმომადგენლები.

ფიცის მიღების შემდეგ თურქეთის დიდმა ეროვნულმა კრებამ აირჩია პრეზიდიუმი, რომლის პირველი თავმჯდომარე გახდა მუსტაფა ქემალ ფაშა.

3 მაისს შეიქმნა მინისტრთა საბჭო, მის თავმჯდომარედ აირჩიეს მუსტაფა ქემალი, საგარეო საქმეთა მინისტრად – ბეჭირ სამი ბეი, შინაგან საქმეთა მინისტრად – ჯავიდ ბეი, გენერალური შტაბის უფროსად დაინიშნა პოლკოვნიკი ისმეთ ბეი.

თურქეთის დიდმა ეროვნულმა კრებამ გამოაცხადა დამოუკიდებლობა და თურქეთის ტერიტორიული მთლიანობა, მან თავისი თავი გამოაცხადა ქვეყნის ერთადერთ კანონიერ ხელისუფლებად.

1920 წლის 7 ივნისის კანონით თურქეთის დიდმა ეროვნულმა კრებამ გააუქმა ყველა ხელშეკრულება, კონვენცია და სხვა სახის აქტები, რომლებიც სულთნის მთავრობამ დადო უცხოეთის სახელმწიფოებთან. სულთნის მთავრობა კანონგარეშედ იქნა გამოცხადებული, ხოლო სულთანი „ურჯულოების ტყვედ“.

ფაქტობრივად, თურქეთში შეიქმნა ორხელისუფლებიანობა: სტამბოლში სულთნის მთავრობა – ანტანტის სახელმწიფოების მონა-მორჩილი და ანკარაში – ქემალისტების მთავრობა.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მტრები ყოველნაირად ცდილობდნენ ჩაეშალათ თურქეთის დიდი ეროვნული კრების საქმიანობა.



1920 წლის 23 აპრილს ანკარაში გაიხსნა თურქეთის დიდი ეროვნული კრების პირველი სხდომა

1920 წლის აპრილში დაიწყო რეაქციული აჯანყება ანკარის მთავრობის წინააღმდეგ. 9 აპრილს ინგლისის სამხედრო გემიდან ბანდირმაში გადასხმულ იქნა 1000-ზე მეტი კაცი ამ რეგიონში ხელისუფლების აღსადგენად. გაერთიანებული პარტიზანული ჯგუფების მოქმედების შედეგად ეს რაზმი განადგურებულ იქნა.

13 აპრილს ბოლუსა და დუზდეჯეში დაიწყო ჩერქეზებისა და აბაზინების ფეოდალთა აჯანყება. ისინი სულთნის სამსახურში იმყოფებოდნენ და რიგი პრივილეგიებით სარგებლობდნენ. აჯანყებულთა რიცხვმა 4 ათასს მიაღწია, აჯანყებულებს ადარფაზარის რაიონში შეუერთდნენ „ხალიფათის არმიის“ ნაწილები და მათ ხელში აღმოჩნდა ჩრდილო-დასავლეთ ანატოლის დიდი ნაწილი. კონტრრევოლუციური აჯანყების ჩახშობის მიზნით, მობილიზებულ იქნა ერთდროულად ძალები, რომლებიც ბერძნების წინააღმდეგ იბრძოდნენ. ივნისის ბოლოს მათ შეძლეს „ხალიფათის არმიის“ განადგურება და კონტრრევოლუციური აჯანყების ჩაქრობა.

1920 წლის პირველ ნახევარში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმატებებმა საფრთხის ქვეშ დააყენა ინგლისისა და საფრანგეთის ბატონობა ამ ქვეყანაში. მოკავშირეებმა გადაწყვიტეს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ გამოეყენებინათ საბერძნეთის არმია, რომელიც შეიარაღეს თანამედროვე სამხედრო ტექნიკით.

1920 წლის 22 ივნისს საბერძნეთის არმია შეტევაზე გადავიდა მთელი ფრონტით. შეტევა დაიწყო სამი მიმართულებით, სამი ბერძნული დივიზია გადასროლილ იქნა აკჰისარ-სომას მიმართულებით, ორი დივიზია – აიდინის წინააღმდეგ. პარტიზანებმა და რეგულარული ჯარის ნაწილებმა ვერ გაუძლეს საბერძნეთის არმიის მოულოდნელ შეტევას და დაიწყეს ყველა მიმართულებით უკან დახევა. საბერძნეთის არმიის წარმატება განპირობებული იყო ჯარის რიცხობრივი უპირატესობითა და კარგი ტექნიკით. პარტიზანული რაზმები ცუდად იყვნენ შეიარაღებული და მოქანცული „ხალიფათის არმიის“ წინააღმდეგ ომით.

ჩრდილოეთის ჯგუფმა 10 დღის ბრძოლის შედეგად, 30 ივნისს დაიკავა ბალიქესირი, ხოლო 2 ივლისს – კერმატა და ყარაჯაბეი, ბურსის მახლობლად. 25 ივნისს

ინგლისელებმა დესანტები გადასხეს მუდანიაში, ხოლო 2 ივლისს – ბანდირმაში. მათ დახმარება აღმოუჩინეს საბერძნეთის ჯარებს მარმარილოს ზღვის სანაპიროდან სამხედრო გემებიდან შორსმსროლელი არტილერიის მეშვეობით, ამის შედგად ინგლის-საფრანგეთის ხელთ აღმოჩნდა ტერიტორია ქუდარიდან დარდანელამდე. 1920 წლის ივლისის დასაწყისისათვის ინგლისის ჯარებმა გაწმინდეს იზმირის ნახევარკუნძული პარტიზანებისაგან. 8 ივლისს ოკუპანტებმა დაიკავეს ბურსა და ალაშეჰირი. ბურსას დატოვების შემდეგ თურქეთის ჯარებმა დაიხიეს ესქიშეჰირისაკენ და შეძლეს ფრონტის სტაბილიზაცია.

სალიჰლის მიმართულებით ოკუპანტები მიისწრაფოდნენ ხელთ ეგდოთ აფიონყარაჰისარი და ქუთაჰია, მაგრამ ამის განხორციელება ვერ შეძლეს. სამი თვის ცხარე ბრძოლების შედეგად მათ დაიკავეს უშაქი, გედიზი და მივიდნენ დოლმუ-ფინარამდე.

აიდინის მიმართულებით საბერძნეთის ჯარებმა დაიკავეს ნაზილი, მაგრამ მათი შემდგომი წინსვლა შეჩერებული იქნა.

შეტევითი ოპერაციების შედეგად ინგლის-საბერძნეთის ჯარებმა დაიკავეს დასავლეთ ანატოლიის მნიშვნელოვანი ნაწილი,

ივლისში განახლდა საომარი ოპერაციები კილიკიაში. 1920 წლის ზაფხულში სულთნის აგენტების მიერ პროვოცირებულ იქნა გამოსვლები ანატოლიაში ანკარის მთავრობის წინააღმდეგ. ამის გამო მთავრობა იძულებული შეიქმნა ფრონტიდან მოეხსნა ჯარის ნაწილები აჯანყების ჩასაქრობად.


მოკავშირეთა შეტევის შედეგად მძიმე მდგომარეობა შეიქმნა თრაკიაში, რომელიც ფაქტობრივად ინგლის-საფრანგეთის ოკუპაციის ქვეშ იმყოფებოდა. იქ საფრანგეთის საოკუპაციო ჯარებს სარდლობდა ფრანგი გენერალი დ'ესპერე.

თრაკიაზე პრეტენზიას აცხადებდა საბერძნეთი. 1920 წლის 20 ივლისს თექინდაღში გადასხმულ იქნა საბერძნეთის ერთი დივიზია და ბერძნებმა დაიწყეს შეტევა ედირნეს (ანდრიანოპოლის) მიმართულებით, მეორე ბერძნული არმია შეტევაზე გადავიდა დასავლეთ თრაკიიდან, გადალახა მდ. მარიცა. ივლისის დამდეგისათვის საბერძნეთის არმიამ დაიკავა მთელი აღმოსავლეთ თრაკია.

ამრიგად, საბერძნეთის ჯარების შეტევითი ოპერაციების შედეგად აღმოსავლეთ თრაკია და დასავლეთ ანატოლიის მნიშვნელოვანი ნაწილი ინგლის-საბერძნეთის ხელთ აღმოჩნდა.

5. სევრის საზავო ხელშეკრულება

1919 წლის 17 ივნისს პარიზში ჩავიდა თურქეთის დელეგაცია, დიდი ვეზირის დამად ფერიდ ფაშას მეთაურობით. მან პარიზის კონფერენციის მეთაურების სხდომაზე განაცხადა, რომ 1913 წლიდან, ენვერ ფაშას გადატრიალების შემდეგ, თურქეთის პოლიტიკას წარმართავდნენ ითიჰთისტები (ახალგაზრდა თურქები), ამიტომ სულთნის მთავრობას არ შეუძლია მთლიანად აიღოს პასუხისმგებლობა ამ პოლიტიკაზე. მოკავშირეებმა არ უნდა დააკისრონ თურქეთს ზავის მკაცრი პირობები. ფერიდ ფაშამ ხაზი გაუსვა იმას, რომ იგი გამოდის არა მარტო თურქების, არამედ მთელი 300 მილიონი მუსლიმური სამყაროს სახელით და რომ თურქებზე მძიმე პასუხისმგებლობის დაკისრებით, ისინი ამით კონფლიქტურ მდგომარეობაში აღმოჩნდებიან მთელ მუსლიმანურ სამყაროსთან. ასეთი მოწოდებები, რომლებიც მოკავშირეებს სულგრძელობისაკენ მოუწოდებდნენ, მკვეთრად იქნა დაგმობილი.



1920 წლის 10 აგვისტო. თურქეთის დელეგაცია ხელს აწერს სევრის საზავო ხელშეკრულებას.

მოკავშირეებმა განაცხადეს, რომ ისინი თვითონ განიხილავდნენ თურქეთის საკითხს და რომ თურქეთის დელეგაციის ყოფნა კონფერენციაზე უსარგებლოა და წინადადება მისცეს დაეტოვებინა პარიზი.

1919 წლის ივლისის შუა რიცხვებში თურქეთის დელეგაცია სტამბოლში დაბრუნდა.

1920 წლის 26 აპრილს სულთნის მთავრობამ შეადგინა ახალი დელეგაცია თევფიქ ფაშას მეთაურობით. 11 მაისს საფრანგეთის პრემიერ-მინისტრმა მილერანმა თურქეთის დელეგაციას გადასცა მოკავშირეთა მიერ შემუშავებული საზავო ხელშეკრულების პროექტი (თურქეთთან საზავო ხელშეკრულების საბოლოო პირობები შეთანხმებულ იქნა სანრემოში 1920 წლის 20 აპრილს) და სულთნის დელეგაციას პასუხის ვადად დაენიშნა 11 ივნისი.

ანტანტის სახელმწიფოებმა ისარგებლეს 1920 წელს საბერძნეთის არმიის წარმატებით თურქეთის ტერიტორიის ოკუპაციის საქმეში და ოსმალეთს თავს მოახვიეს კაბალური საზავო ხელშეკრულება, რომლითაც ოფიციალურად გააფორმეს ოსმალეთის იმპერიის დანაწილება გამარჯვებულ სახელმწიფოებს შორის.

1920 წლის 10 აგვისტოს ქ. სევრში, პარიზის მახლობლად, ოსმალეთთან ხელმოწერილ იქნა სამშვიდობო საზავო ხელშეკრულება. სევრის ხელშეკრულება წარმოადგენს ვერსალის ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილს.

სევრის ხელშეკრულება შედგებოდა 13 ნაწილისა და 433 მუხლისაგან. პირველი ნაწილი შეიცავდა ერთა ლიგის წესდებას. მე-2 ნაწილში დადგენილი იყო თურქეთის ახალი საზღვრები: ევროპაში აღმოსავლეთი თრაკია, სტამბოლისა და მიმდებარე რაიონების გამოკლებით, საბერძნეთს გადაეცა.

ანატოლიაში საბერძნეთის ხელისუფლების ხელში გადადიოდა იზმირი, მიმდებარე რაიონებით.

კილიკია და მარაშის, ურფას, ანთეფეს ვილაიეთების ნაწილი გადადიოდა საფრანგეთის მფლობელობაში. მოსულის ვილაიეთი, დიარბექირისა და ჰაქიარის ვილაიეთების ნაწილი გადადიოდა ინგლისის ხელში, სამხრეთ-დასავლეთ ანატოლია იტალიის გავლენის სფეროდ ცხადდებოდა.

აღმოსავლეთ ანატოლიის ნაწილი დაშნაკური სომხეთის ხელში გადადიოდა. საზღვარი თურქეთსა და სომხეთს შორის დადგენილ იქნა 1920 წლის ნოემბერში აშშ-ის პრეზიდენტის ვილსონის მიერ. საზღვარი გადიოდა შავი ზღვის სანაპიროზე ქ. გირესუნტიდან ერზინჯანი-მუში-ბითლისი-ვანის ტბა. სამხრეთ-აღმოსავლეთი ანატოლია, ძირითადად ქურთებით დასახლებული, ვანის ტბიდან მოყოლებული – ელიაზიგი-მალათია-მარაში მიიღებდა ავტონომიას, ხოლო შემდგომ დამოუკიდებლობას ინგლისის პროტექტორატის ქვეშ.

თურქეთი კარგავდა მთელ თავის კუნძულებს: იმროზი, ტენედოსი გადადიოდა საბერძნეთის ხელში, დოდეკანეზის კუნძულები – იტალიის ხელში, კვიპროსი – ინგლისს რჩებოდა.

სრუტეების ზონა გადადიოდა საერთაშორისო კომისიის ხელში, რომლის წევრებიც დიპლომატიური იმუნიტეტით სარგებლობდნენ, სრუტეების კომისიას ჰქონდა თავისი დროშა, ჰყავდა მომსახურე აპარატი, პოლიცია და ერთგვარად წარმოადგენდა სახელმწიფოს სახელმწიფოში. უნდა მომხდარიყო სრუტეების დემილიტარიზაცია. სრუტეებით სარგებლობა თავისუფალი იქნებოდა ყველასათვის (როგორც სამხედრო ისე სავაჭრო გემებისათვის) ომისა და მშვიდობიანობის დროს.

სევრის ხელშეკრულებით თურქეთს რჩებოდა ცენტრალური ანატოლია. დედაქალაქად რჩებოდა სტამბოლი.

თურქეთი ცნობდა მანდატს სირიაზე, ერაყსა და პალესტინაზე, აღიარებდა ჰიჯაზს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ, ცნობდა ინგლისის პროტექტორატს ეგვიპტეზე, ინგლის-ეგვიპტის სუდანზე, საფრანგეთის პროტექტორატს მაროკოსა და ტუნისზე, აგრეთვე უარს ამბობდა ლიბიაზე.

თურქეთის შეიარაღებული ძალების რაოდენობა განისაზღვრა 50700 კაცით. თურქეთი ვალდებული იყო ექვსი თვის განმავლობაში მოეხდინა თავისი არმიის დემობილიზაცია.

თურქეთზე ფინანსური კონტროლის დაწესების მიზნით იქმნებოდა სპეციალური კომისია ინგლისის, საფრანგეთისა და იტალიის წარმომადგენლების მონაწილეობით, ხოლო თურქეთის დელეგატებს ჰქონდათ სათათბირო უფლება. კომისია განაგებდა თურქეთის შემოსავალსა და გასავალს. იგი აკმაყოფილებდა მოკავშირე სახელმწიფოთა ფინანსურ პრეტენზიებს და იხდიდა თურქეთის ვალებს, ამტკიცებდა საოკუპაციო ჯარების ხარჯებს.

სევრის ზავით მთლიანად აღდგენილ იქნა კაპიტულაციების რეჟიმი. საბაჟო ტარიფები 8 პროცენტს შეადგენდა. აღდგენილ იქნა საკონსულო სასამართლოები.

თურქეთს ეკრძალებოდა რაიმე კონცესის გაცემა მოკავშირეთა ფინანსური კომისიის ნებართვის გარეშე. აღდგენილ იქნა მოკავშირე სახელმწიფოების მოქალაქეთა საკონცესიო უფლებები და უქმდებოდა გერმანიასა და ავსტრიისათვის ბოძებული კონცესიები.

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, დადებულ ხელშეკრულებებს შორის, სევრის საზავო ხელშეკრულება იყო ყველაზე უფრო მეტად კაბალური და მტაცებლური. ამის გამო თურქეთში უფრო მეტად გაძლიერდა ეროვნულ-გამანთავისუფლებელი ბრძოლა ანტანტის სახელმწიფოების წინააღმდეგ.

სევრის ზავის პირობებმა დიდი უკმაყოფილება გამოიწვია მთელ თურქეთში და სულთნის მთავრობამ ვერ გაბედა მისი რატიფიკაცია.

6. დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება საბჭოთა რუსეთთან

თურქეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაზე გარკვეული გავლენა მოახდინა საბჭოთა რუსეთის წარმატებებმა ანტანტის სახელმწიფოების წინააღმდეგ ომში. ანკარის მთავრობა დიდად კმაყოფილი იყო იმით, რომ საბჭოთა რუსეთის მთავრობამ გამოაცხადა, რომ მეფის რუსეთის საიდუმლო ხელშეკრულებები კონსტანტინოპოლისა და სრუტეების დანაწილების შესახებ გაუქმებულია.

საბჭოთა რუსეთის მთავრობამ გამოაცხადა, რომ იგი ცნობს ანკარის მთავრობას და მზადაა დაამყაროს მასთან დიპლომატიური ურთიერთობა. ყოველივე ამან ხელი შეუწყო ორ ქვეყანას შორის დაახლოებასა და მეგობრული ურთიერთობის დამყარებას.

1920 წლის 26 აპრილს მუსტაფა ქემალმა ოფიციალური წერილი გაუგზავნა ლენინს, რომელშიაც იგი გამოთქვამდა სურვილს დაემყარებინა დიპლომატიური ურთიერთობა საბჭოთა რუსეთთან და სთხოვდა მას აღმოეჩინა თურქეთისათვის დახმარება ინტერვენტების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.

ჯერ კიდევ 1919 წლის ოქტომბერში საბჭოთა რუსეთთან არაოფიციალური კავშირის დამყარების მიზნით მოსკოვში გამოგზავნილ იქნა ჰალილ ფაშა, რომელმაც რუსეთის დედაქალაქში ჩასვლა შესძლო მხოლოდ 1920 გაზაფხულზე. მან საბჭოთა რუსეთის მთავრობას გააცნო თურქეთის მძიმე მდგომარეობა, რომელიც შეიქმნა ანტანტის სახელმწიფოების აგრესიის შედეგად. მან აგრეთვე განაცხადა, რომ უახლოეს დროში ანატოლიაში შეიქმნებოდა ეროვნული მთავრობა, რომელიც მზადაა ხელი მოაწეროს საბჭოთა რუსეთთან ხელშეკრულებას „მეგობრობისა და კავშირის“ შესახებ.

სწორედ ამის გამო იყო, რომ 1920 წლის 26 აპრილს მუსტაფა ქემალმა გაუგზავნა წერილი ლენინს, რომელშიაც იგი გამოთქვამდა სურვილს გაეერთიანებინათ ბრძოლა საბჭოთა რუსეთთან ერთად ანტანტის სახელმწიფოების წინააღმდეგ. წერილში აგრეთვე ჩამოყალიბებული იყო თურქეთის ახალი მთავრობის საგარეო პოლიტიკის პრინციპები.

მუსტაფა ქემალის მიმართვა მოსკოვში 1 ივნისს მიიღეს და ბოლშევიკური მთავრობა ამ მიმართვას დადებითად შეხვდა, გადაწყდა დამყარებულიყო დიპლომატიური ურთიერთობა ორ ქვეყანას შორის.

თურქეთის დელეგაცია ანკარიდან გამოემგზავრა და 1920 წლის 13 ივლისს მოსკოვში ჩავიდა. თურქეთის დელეგაციის შემადგენლობაში შედიოდნენ საგარეო საქმეთა მინისტრი ბექირ სამი ბეი, ეკონომიკის მინისტრი იუსუფ ქემალ ბეი და დეპუტატი ოსმან ბეი.

24 ივლისს თურქეთის დელეგაცია მიიღო რუსეთის საგარეო საქმეთა კომისარმა გ. ჩიჩერინმა, ხოლო 14 აგვისტოს – ლენინმა.

დაიწყო მოლაპარაკება. 1920 წლის 24 აგვისტოს საბჭოთა და თურქეთის დელეგაციებმა შეიმუშავეს საბჭოთა კავშირ თურქეთის ხელშეკრულება მეგობრობის შესახებ, რომელიც შვიდი მუხლისაგან შედგებოდა. ხელშეკრულების აქტი პარაფირებულ იქნა ორივე დელეგაციის მიერ და ყველა ეს მუხლი შევიდა 1921 წლის 16 მარტის საბჭოთა კავშირ თურქეთის ხელშეკრულებაში. ამავე დროს მოსკოვში გაიხსნა თურქეთის საელჩო.

მოლაპარაკების დროს აგრეთვე მიღწეულ იქნა შეთანხმება საბჭოთა რუსეთის მიერ თურქეთისათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ იარაღით, სამხედრო აღჭუ-



საბჭოთა რუსეთის ელჩი ანკარაში ბუდუ მდივანი

რვილობით და ოქროთი. მართალია, იმ დროს საბჭოთა რუსეთს არ შეეძლო მთლიანად დაეკმაყოფილებინა თურქეთის მოთხოვნები, მაგრამ მან თურქეთს მიაწოდა სამხედრო ტექნიკის დიდი ნაწილი. 1920 წლის ზაფხულში საბჭოთა რუსეთის მთავრობამ გაუგზავნა თურქეთს იარაღის პირველი პარტია: 6000 შაშხანა, 5 მილიონზე მეტი ვაზნა, 18 ათასამდე საარტილერიო ჭურვი. მაშინვე აღმოუჩინა საბჭოთა რუსეთმა თურქეთს დახმარება – 5 მილიონი მანეთი ოქროთი. 1921 წლის სექტემბერში საბჭოთა რუსეთის მთავრობამ თურქეთის წარმომადგენლებს არზრუმში გადასცა 200,6 კგ. ოქრო ზოდებით.

1920 წლის ოქტომბრის დამდეგს ანკარაში ჩავიდა საბჭოთა რუსეთის დიპლომატიური მისია. ოქტომბრის რევოლუციის სამი წლის თავზე ანკარაში, საზეიმო ვითარებაში, გაიხსნა საბჭოთა რუსეთის საელჩო. ეს იყო პირველი დიპლომატიური წარმომადგენლობა ანკარაში. რუსეთის სრულუფლებიანი წარმომადგენლის შალვა ელიავას ავადმყოფობის გამო დროებით მის მოვალეობას ასრულებდა საელჩოს მდივანი უმპალი. 1920 წლის ბოლოს ანკარაში ჩავიდა რუსეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ბუდუ მდივანი.



ანკარაში საბჭოთა რუსეთის საელჩოს თანამშრომლები

7. ომი სომხეთთან

1920 წლის ზაფხულში გამწვავდა ურთიერთობა ანკარის მთავრობასა და სომხეთის მთავრობას შორის.

1920 წლის 9 ივნისს შეიქმნა აღმოსავლეთის ფრონტი და გამოცხადდა აღმოსავლეთის ვილაიეთების მოსახლეობის მობილიზაცია. აღმოსავლეთის ფრონტის მთავარსარდლად დაინიშნა მე-15 კორპუსის მეთაური გენერალი ქიაზიმ ყარაბექირ ფაშა. აღმოსავლეთის ფრონტის განკარგულებაში იმყოფებოდა 69 ზარბაზანი და 200 ტყვიამფრქვევი, არმია შედგებოდა 4 ქვეითი დივიზიისაგან, რომლებიც დისლოცირებულნი იყვნენ არზრუმში, ბაიაზიდსა და ტრაპიზონში.

ამ დროს თურქეთის მთავრობა პოლიტიკური და სამხედრო მოსაზრებებით უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებდა აღმოსავლეთის ფრონტს, ვიდრე დასავლეთისას. ამიტომაც მან მთელი თავისი ყურადღება მიაპყრო აღმოსავლეთის ფრონტს, თუმცა მისი არსებობის საკითხი წყდებოდა დასავლეთის ფრონტზე.

მუსლიმანური მოსახლეობის დაცვის საბაბით, 1920 წლის 7 ივლისს, თურქეთის მთავრობამ სომხეთის მთავრობას გაუგზავნა ნოტა, რომელშიაც ბრესტისა და ბათუმის ხელშეკრულებებზე დაყრდნობით მოითხოვდა სომხეთის ჯარების გაყვანას ამ ხელშეკრულებით დადგენილ საზღვრებს იქით.

საბჭოთა რუსეთის მთავრობა არ იყო დაინტერესებული მათ შორის საომარი მოქმედების დაწყებით და ურჩია თურქეთის მთავრობას, რომ მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით დაედგინათ საზღვარი სომხეთსა და თურქეთს შორის. მაგრამ ანტანტის სახელმწიფოების ჩარევის შედეგად მათ შორის ურთიერთობა კიდევ უფრო დაიძაბა.

1920 წლის 24 სექტემბერს დაიწყო ომი სომხეთსა და თურქეთს შორის. სომხეთის ჯარები მიისწრაფოდნენ ხელთ ეგდოთ ის ტერიტორია, რომელიც სევრის ზავით სომხეთს გადაეცა. მაგრამ ორი დღის შეტევის შემდეგ მათ ვერ შეძლეს წარმატების მიღწევა. თურქებმა უკუაგდეს სომხეთის იერიშები, თვითონ გადავიდნენ შეტევაზე და 28 სექტემბერს დაიკავეს სარიყამიში და მერდენიქი.

საომარი ოპერაციების დაწყების შემდეგ საბჭოთა რუსეთის მთავრობამ კვლავ მიმართა შუამავლობის წინადადებით მეომარ მხარეებს. საბჭოთა რუსეთის მთავრობამ წამოაყენა ძველი თურქეთის საზღვრის რეკტიფიკაციის პრინციპი, რომლის მიხედვითაც, ის ტერიტორია, რომელზედაც უმრავლესობას მუსლიმები შეადგენდნენ, უნდა გადასცემოდა თურქეთს, ხოლო ტერიტორია, სადაც 1914 წლამდე მეტწილად სომხები ცხოვრობდნენ – სომხებს. მაგრამ საბჭოთა რუსეთის ამ კომპრომისულ წინადადებას მათ მხარი არ დაუჭირეს და მოლაპარაკება უშედეგოდ დამთავრდა.

19 ოქტომბერს საბჭოთა რუსეთის მთავრობამ ნოტა გაუგზავნა სომხეთს, რომელშიაც აღნიშნული იყო: 1. სომხეთმა უნდა გაატაროს თავის ტერიტორიაზე საბჭოთა რუსეთის ჯარი მუსტაფა ქემალ ფაშას ოსმალთა ჯართან შესახვედრად ანტანტასთან ბრძოლის მიზნით. 2. სომხეთმა ხელი უნდა აიღოს სევრის ხელშეკრულებაზე.

ამავე დროს საბჭოთა რუსეთის ჯარები აზერბაიჯანიდან შეიჭრნენ სომხეთში და დაიწყეს შეტევა. სომხეთის მთავრობა ორ ცეცხლს შორის აღმოჩნდა.

თურქეთის ჯარები ოქტომბრის ბოლოს შეტევაზე გადავიდა და 30 ოქტომბერს დაიკავეს ყარსი, ხოლო 7 ნოემბერს – ალექსანდროპოლი. ამავე დროს აღმოსავლეთიდან საბჭოთა რუსეთის ჯარმა შეუტია დაშნაკებს.

ასეთ ვითარებაში დაშნაკების სომხეთი იძულებული გახდა ეთხოვა ზავი, მაგრამ თურქებმა ზავის მეტად მძიმე პირობები წამოაყენეს.

26 ნოემბერს სომხეთის მთავრობამ ხელი მოაწერა დეკლარაციას, რომლითაც უარს აცხადებდა სევრის ხელშეკრულებაზე, ხოლო 2 დეკემბერს ალექსანდროპოლში (გუმრი) დაიდო ზავი თურქეთსა და სომხეთის დაშნაკურ მთავრობას შორის. ხელშეკრულებით სომხეთის ტერიტორია იფარგლებოდა ერევნის რაიონითა და გოგჩის ტბით, ნახიჭევანი, შარური და შაჰთახთი კი ოსმალეთის მფარველობის ქვეშ გადადიოდა. ოსმალეთი კისრულობდა დახმარება გაეწია დაშნაკებისათვის, როცა ამას მოითხოვდა საგარეო ან საშინაო ვითარება, ან როცა სომხეთის რესპუბლიკა სთხოვდა.

29 ნოემბერს რუსეთის წითელი არმიის დახმარებით სომხეთში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა.

1920 წლის 10 დეკემბერს საბჭოთა სომხეთის მთავრობამ მიმართა თურქეთის მთავრობას წინადადებით – გაეუქმებინა ალექსანდროპოლის ხელშეკრულება და დაედო ახალი ხელშეკრულება. ეს წინადადება თურქეთმა არ მიიღო.

8. დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება საქართველოსა და ანკარის მთავრობებს შორის

1920 წლის 24 სექტემბერს ოსმალეთსა და სომხეთს შორის დაიწყო ომი. ეს ომი ოსმალეთის უპირატესობით მიმდინარეობდა.

სომხეთზე მოპოვებული სამხედრო გამარჯვების შედეგად თურქეთის ჯარები მოადგნენ საქართველოს საზღვრებს. შეიქმნა თურქეთის ჯარების საქართველოში შემოჭრის საშიშროება. საქართველომ მობილიზაცია გამოაცხადა.

14 ნოემბერს ბათუმში გამართულ მიტინგზე ნ. რამიშვილმა განაცხადა: „ქემალ ფაშას ჯერაც არ უთქვამს უარი ბრესტის ზავის საზღვრებზე და, კერძოდ, ბათუმის ოლქზე, ამიტომ რესპუბლიკის მთავრობამ მიიღო ზომები სახელმწიფოს საზღვართა დასაცავად“.

22 ნოემბერს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე კონსტანტინე საბახტარაშვილი საქართველოს წარმომადგენლებს საზღვარგარეთ აცნობებდა: „ქემალ ფაშას ჯარის სომხეთში შემოჭრამ ჩვენს საზღვრებს უშუალოდ დაუახლოვა გარეშე საფრთხე და ამ საფრთხის თავიდან ასაცილებლად ამოძრავდა მთელი ენერგია ჩვენი ქვეყნისა... ვინაიდან ჩვენთვის არ არის საბოლოოდ გარკვეული ქემალისტების განზრახვები. ჩვენ ვღებულობთ თადარიგს ჩვენი საზღვრების დასაცავად“.

ამრიგად, საქართველოს ოსმალეთის მხრიდან საფრთხე დაემუქრა. ასეთ ვითარებაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, თუ როგორ პოზიციას დაიკავებდა რუსეთი. საქართველოს ელჩი რუსეთში გ. მახარაძე შეხვდა საბჭოთა რუსეთის საგარეო საქმეთა კომისარ გ. ჩიჩერინს, რომელმაც განაცხადა, რომ რუსეთს არავითარი აგრესიული ზრახვები არა აქვს საქართველოს მიმართ. ამასთან ერთად რუსეთის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება სტალინი საგანგებო რწმუნებით ბაქოში გაეგზავნა, ამიერკავკასიაში მდგომარეობის გასარკვევად. ბაქოში მყოფი სტალინი ამზადებდა გეგმას რუსეთის ჯარის საქართველოში შესაჭრელად. ნოემბრის შუა რიცხვებში სტალინს აცნობეს, რომ გადაწყვეტილების მიღება საქართვე-

ლოს საზღვრებში შესვლის შესახებ ნაადრევია". ნოემბრის ბოლოს სტალინი მოსკოვში დაბრუნდა.

მართალია, საქართველოს წინააღმდეგ შეტევის დაწყება გადაიდო, მაგრამ რუსეთი არ აპირებდა, როგორც ეს 1918 წელს მოხდა, დაეთმო ამიერკავკასია ოსმალეთისათვის. 1920 წლის აპრილის ბოლოს რუსეთის ჯარის დახმარებით აზერბაიჯანში დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება. ამის შემდეგ იმავე მიზნით რუსეთის ჯარი სომხეთში შეიჭრა. ცხადია, ასეთ ვითარებაში რუსეთი არ დაუშვებდა ოსმალეთის მიერ ბათუმის დაკავებას. ოსმალეთის ჯარი საქართველოს საზღვარზე იყო მომდგარი. ანკარის მთავრობამ დაინახა, რომ საქართველოში შეჭრის შემთხვევაში მოსალოდნელი იყო რუსეთის ჯართან შეტაკება. ეს კი მის გეგმაში არ შედიოდა. ქემალის მთავრობამ საქართველოს წინააღმდეგ ომის დაწყება არამიზანშეწონილად ჩათვალა და თბილისში თავისი წარმომადგენელი გამოგზავნა.

13 ნოემბერს თბილისში ჩამოვიდა ანკარის მთავრობის ოფიციალური წარმომადგენელი პოლკოვნიკი ქიაზიმ ბეი. მის ჩამოსვლას საქართველოში დადებითად შეხვდნენ. კორესპონდენტებთან შეხვედრისას ქიაზიმ ბეიმ თავისი მისიის შესახებ განაცხადა: „საქართველოს მთავრობასთან კეთილი განწყობილებისა და მეგობრული კავშირის მიზნით, ჩემმა მთავრობამ დამავალა საქართველოს მთავრობასთან სრულუფლებიანი წარმომადგენლობა.

ანგორის მთავრობის ერთ-ერთი ძირითადი ინტერესია, ნახოს საქართველო დამოუკიდებელი და ძლიერი. დამოკიდებულება საქართველოსა და ანგორას მთავრობას შორის უმთავრესად ამ ძირითადი ინტერესებით განისაზღვრება".

საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობასთან დაკავშირებით მან თქვა: „ანატოლიის მთავრობა აფასებს საქართველოს მთავრობის შორსმჭვრეტელურ პოლიტიკას. ოსმალეთმა უკვე დაიწყო ოფიციალური ურთიერთობა საქართველოს მთავრობასთან, რომლის პირდაპირი და მტკიცე პოლიტიკა ეთანხმება მის ძირითად პრინციპებს.

საქართველოში მცხოვრები მუსულმანები საუკუნეებით განმტკიცებულ პატივისცემას იზიარებდნენ. ჩვენ ძალიან კმაყოფილი ვართ საქართველოში მცხოვრებ მუსლიმანთა მშვიდობიანი ცხოვრებით. ეს გონიერი პოლიტიკა დააახლოებს საქართველოსა და ოსმალეთის მთავრობებს და უფრო განამტკიცებს მათ მეგობრულ კავშირს".

შემდეგ ქიაზიმ ბეი შეეხო საზღვრების პრობლემას. „რაც შეეხება საზღვრების საკითხს, – განაცხადა მან, ამ შემთხვევაში მე ჩემს მთავრობასთან ვაწარმოებ მოლაპარაკებას. ჩვენ და საქართველოს გვაქვს საერთო ინტერესები, რომელნიც მიუხედავად პროპაგანდისტების კიუინისა და მტრების ცდისა, გადაწყდება მშვიდობიანად და ადგილი არ ექნება არავითარ ექსცესებს.

მე ამაში დარწმუნებული ვარ, მითუმეტეს, რომ საქართველოსა და ჩვენ შორის არ არსებობს არავითარი ფრონტი, რამაც შეუძლია შექმნას გაუგებრობა და შუღლი. საქართველომ ბევრი რამით დაიმსახურა ჩვენი სიმპათია...".

დასასრულს ქიაზიმ ბეიმ აღნიშნა: „მე იმედი მაქვს, ჩვენს გულწრფელობაზე საქართველოს მთავრობაც გულწრფელობითვე გვიპასუხებს და სამართლიანად გადაწყდება ყოველი საკითხი ამ ორ სახელმწიფოს შორის, რასაც ხელს შეუწყობს პოლიტიკური რჩევა და მოლაპარაკებებიც".

საქართველოში კეთილგანწყობილად შეხვდნენ თურქეთის მთავრობის წარმომადგენლის ჩამოსვლას და მის განცხადებას. გაზეთმა „საქართველომ" მოათავსა მოწინავე წერილი – „ჩვენ და ოსმალეთი", რომელშიც წერდა: „ჩვენ დიდის კმაყოფილებით შევიტყვეთ ანგორის მთავრობის წარმომადგენლის გამოსვლები მისი საქართველოსთან დამოკიდებულების შესახებ.



ბექირ სამი ბეი – ანკარის მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრი

არ გამოვუდგებით, თავისთავად ცხადია, იმას, თუ რა განწყობილება სუფევდა ისტორიულად საქართველოსა და ოსმალეთს შორის. ავი იყო, თუ კარგი ჩვენი ისტორიული მეზობლობა, ეს ისტორიას ჩაბარდა და წარსული მოტივებით დღევანდელს ურთიერთობას ვერ დავასაბუთებთ. საქართველოს ესაჭიროება მცირე რამ კეთილგანწყობილების დასამყარებლად მეზობელ სახელმწიფოსთან: მას უნდა გარანტიები ხელშეუვალობისა.

მუსტაფა ქემალ ფაშას რწმუნებულის აღთქმანი მნიშვნელობას არ არის მოკლებული! ანგორა მეგობრული კილოთი გველაპარაკება და, ცხადია, ამ მეგობრობის განზრახვებს ჩვენის მხრით მხოლოდ გულწრფელობა შეეგებება. ქიაზიმ ბეიმ კარგად უწყის, რა აუტანელ პირობებში იწყებს საქართველო თავის სახელმწიფოებრიობას. ცხადია, მობილიზაცია საქართველოს ლაშქრისა, ერისა და სახელმწიფოს მყუდროების მოტივით არის გამოწვეული განსაკუთრებით. ამ ზომების აუცილებლობაში ვერავინ შემოგვედავება.

ანგორის დაპირებანი გვჯერა. მეგობრულად გამოწვდილი ხელი მუსტაფა ქემალ ფაშისა ჰაერში არ დაეკიდება...“.

შემდეგ გაზეთში აღძრულია საქართველოსათვის მეტად მტკივნეული საკითხი: „ანგორის მთავრობა ოფიციალურად უარყოფს ლონდონის გაზეთ „ტაიმსის“ ცნობას, თითქოს ოსმალეთს განუზრახავს საქართველოზე თავდასხმა და ბათუმის და სამუსლიმანო საქართველოს მიერთება. გვახარებს ოსმალეთის განცხადება, მხოლოდ ჩვენ იმის მოლოდინშიც ვართ, რომ იმავე ანგორის მთავრობა ოფიციალურად დაგმობს ოსმალო ემისრების პროვოკაციულ მოქმედებას აჭარაში და საჯაროდ განაცხადებს, რომ საქართველოზე წამქეზებლებთან ანგორის ხელისუფლებას არაფერი აერთიანებს“.

შემდეგ საუბარია იმაზე, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ანკარასთან კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარებას: „მუსტაფა ქემალ ფაშას მთავრობის მნიშვნელობა დღითიდღე იზრდება ოსმალეთში. ანგორის სახით დღეს საქართველოსთან მოლაპარაკებას იწყებს ოსმალეთის იმპერია. ეს მოვლენა დიდი ყურადღების ღირსია და ჩვენ დაგვრჩენია მხოლოდ ვისურვოთ, რომ გაუგებრობა ჩვენს შორის დროზე გაიფანტოს კეთილმეზობლური განწყობილების დამყარებით ოსმალეთთან. ამას ობიექტური პირობები გვიკარნახებენ“.

უფრო ზომიერი, თავშეკავებული და პრაგმატული იყო საქართველოს პარლამენტის სხდომაზე კონსტანტინე საბახტარაშვილის გამოსვლა: „თბილისში ჩამოვიდა ანგორის მთავრობის წარმომადგენელი ქიაზიმ ბეი, რომელსაც აქვს მინდობილი საქართველოს მთავრობასთან მეგობრული ურთიერთობის დასამყარებლად მოლაპარაკების გამართვა. სიტყვიერად და გაზეთებში დაბეჭდილი განცხადებებით ანგორის მთავრობის წარმომადგენელი გვპირდება კეთილმეზობლობას, მაგრამ ჩვენ ეს სიტყვები ნაკლებად გვჯერა, რადგანაც არა გვაქვს არავითარი გარანტია, რომ ქემალის ჯარი როცა სომხეთში თავის განზრახვას სისრულეში მოიყვანს, ჩვენს საზღვარსაც არ გადმოლახავს, რამდენადაც გულწრფელი იქნება ანგორის მთავრობასთან გადადგმული მეგობრული ნაბიჯი, ჩვენ ამას სიხარულით მივიღებთ, მაგრამ ყოველგვარი მოლაპარაკების აუცილებელ საფუძვლად ჩვენ მოვითხოვთ

მისგან ყოველი პირობის გარეშე საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებას იმ საზღვრებში, რომელიც ცნობილია რუსეთთან 1920 წლის 7 მაისს დადებული სამშვიდობო ხელშეკრულებით".

ბოლოს კ. საბახტარაშვილმა განაცხადა, რომ ქიაზიმ ბეის მოლაპარაკებიდან რამდენადმე ჩანს, რომ ანგორის მთავრობას აქვს პრეტენზიები ბათუმის ოლქზე.

ამრიგად, ოსმალეთის მთავრობამ თავისი ინიციატივით დაამყარა დიპლომატიური ურთიერთობა საქართველოსთან, რასაც ჩვენი ქვეყნისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

თბილისში ქიაზიმ ბეის ჩამოსვლის შემდეგ მოიხსნა საქართველოში ოსმალეთის ჯარის შემოჭრის საფრთხე. მაგრამ, სამწუხაროდ, საქართველოს ვერ ელირსა სანატრელ სიმშვიდეს. მალე მდგომარეობა კვლავ გამწვავდა.

29 ნოემბერს საბჭოთა რუსეთის ჯარის დახმარებით სომხეთში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა, რის შემდეგაც საქართველო ბოლშევიკური რუსეთის რკალში აღმოჩნდა. ბოლშევიკები შეუდგნენ საქართველოს დაპყრობის გეგმის შემუშავებას.

ამ დროს რუსეთისა და ანკარის მთავრობები ომს აწარმოებდნენ ანტანტის სახელმწიფოების წინააღმდეგ და დაინტერესებული იყვნენ ურთიერთშორის თანამშრომლობითა და მეგობრული ურთიერთობის დამყარებით.

1920 წლის ოქტომბრის დამლევს ანკარაში ჩავიდა საბჭოთა რუსეთის დიპლომატიური მისია, ხოლო 7 ნოემბერს გაიხსნა რუსეთის საელჩო. აღსანიშნავია, რომ რუსეთის წარმომადგენლად დაინიშნა შალვა ელიავა, მაგრამ ავადმყოფობის გამო მან ვერ შეძლო ანკარაში ჩასვლა და დეკემბრის ბოლოს რუსეთის ელჩად დაინიშნა ბუდუ მდივანი. ჩვენი აზრით, ანკარაში რუსეთის ელჩებად მათი დანიშვნა ი. სტალინის რეკომენდაციით უნდა მომხდარიყო, რაც აიხსნება იმით, რომ ამ დროს თურქეთთან ურთიერთობაში მწვავედ იდგა ამიერკავკასიისა, განსაკუთრებით კი, საქართველოს საკითხი და ამ პრობლემის მოგვარებაში უფრო მეტად კომპეტენტური იქნებოდნენ. ასე, მაგალითად, ბ. მდივანი კავბიუროს და რევკომის წევრი იყო.

საქართველოს მთავრობისათვის კარგად იყო ცნობილი ბოლშევიკების ზრახვები საქართველოს მიმართ, ამიტომ შექმნილ ვითარებაში საქართველოს მთავრობა დაინტერესებული იყო თურქეთთან კარგი ურთიერთობის დამყარებით.

დეკემბრის შუა რიცხვებში თბილისში ჩამოვიდა ანკარის მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრი ბექირ სამი ბეი. იგი, მოსკოვიდან მომავალი, ჩრდილოეთ კავკასიასა და ბაქოზე გავლით, თბილისში შეჩერდა. აქ მას შეხვედრა ჰქონდა საქართველოს მთავრობასთან, რის შემდეგაც გადაწყდა საქართველოს თავისი საელჩო გაეხსნა ანკარაში.

საქართველოს სრულუფლებიან წარმომადგენლად ანკარაში დაინიშნა სვიმონ მდივანი, საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის მოადგილე. აქ საჭიროა შევნიშნოთ, რომ სვიმონ მდივანი ბუდუ მდივნის ძმა იყო. მსგავსი პრეცედენტი დიპლომატიის ისტორიაში უცნობია, როდესაც ორი ძმა დაახლოებით ერთდროულად, ერთსა და იმავე სახელმწიფოში სხვადასხვა სახელმწიფოს ელჩებად დაინიშნენ.

საქართველოს საელჩოს შემადგენლობაში შევიდნენ: გენერალ-მაიორი ალექსანდრე ერისთავი სამხედრო მრჩეველი, არისტო ჭუმბაძე საელჩოს საქმეთა მწარმოებელი, სამხედრო ატაშე მელიტონ ქარცივაძე, საგანგებო დავალებათა ოფიცრები ემუხვარი და ლეიტენანტი დიმიტრი შალიკაშვილი, აგრეთვე ორი ჯარისკაცი შიკრიკებად. ბათუმში მათ უნდა შეერთებოდა ზია ბეგ აბაშიძე, რომელსაც თარჯიმნობა ევალებოდა, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო, იგი თურქეთში ვერ გაემგზავრა.

საქართველოს მისიას ანკარაში ჩასვლამდე მთელი მოგზაურობის დროს თან ახლდა ანკარის მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრი ბექირ სამი ბეი.

27 დეკემბერს საქართველოს დიპლომატიური მისია თბილისიდან გაემგზავრა, ბათუმში ჩავიდა, იქიდან კი – ოსმალეთში, სადაც მას პატივით შეხვდნენ. ტრაპიზონში ადგილობრივმა ხელისუფლებამ მიიწვია ჩვენი დელეგაცია, რომელიც იქ დაესწრო ოსმალეთის დამოუკიდებლობის დღესასწაულს, შემდეგ მის პატივსაცემად გამართულ სადილს. ასევე დიდი პატივით მიიღეს ქართველები სამსუნში. მეორე დღეს მუნიციპალიტეტში გაიმართა სადილი, რომელსაც ადგილობრივი ხელისუფლება და ინტელიგენცია დაესწრო. სვიმონ მდივანი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის სახელზე გაგზავნილ წერილში მოგვითხრობს: „საზოგადოდ, უნდა აღინიშნოს, ყველგან, სადაც კი შემთხვევა გვქონდა, ოსმალნი ჩვენდამი დიდს პატივისცემასა და სტუმართმოყვარეობას იჩენდნენ, თანაც ოფიციალურსა და კერძო საუბარში ხაზგასმით აღნიშნავდნენ ოსმალეთ-საქართველოს კეთილმეზობლობისა და მეგობრობის საჭიროებას. ამ გეზს განსაკუთრებით უჩვენებს თვით ბექირ სამი ბეი“.

შემდეგ სვიმონ მდივანი, თავის საკუთარ შთაბეჭდილებებზე დაყრდნობით, აკეთებს მართებულ დასკვნას ქემალის მთავრობის წარმატების თაობაზე ქვეყნის გაერთიანების საქმეში. „ჩემი საერთო შთაბეჭდილება, – წერდა იგი, – ისეთია, რომ ანგორის მთავრობა ეხლა იწყებს ნაციონალური ცხოვრების აღორძინებას. ამ მხარეში... აშკარად ვხედავთ და ვგრძნობთ თუ რამდენად უძლურ-უმნიშვნელო ყოფილა კონსტანტინოპოლის მთავრობა, რომელსაც მხოლოდ ქალაქი (სტამბოლი – მ. ს.) ემორჩილება. დიდიან-პატარიანად აქ ყველა დარწმუნებულია, რომ სულ მოკლე ხნის განმავლობაში ანგორის მთავრობა სამშობლოს გაათავისუფლებს და გაამთელებს...“.

1921 წლის 31 იანვარს ღამით საქართველოს ელჩობა ანკარაში ჩავიდა. 2 თებერვალს სვიმონ მდივანმა ინახულა თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი. მან აცნობა სვიმონ მდივანს, რომ პირველი ოფიციალური შეხვედრა და რწმუნების სიგელის გადაცემა მოხდება 8 თებერვალს.

ანკარაში ჩასვლის შემდეგ, საქართველოს მისიამ შეიტყო სასიხარულო ცნობა: წამყვანმა სახელმწიფოებმა – ინგლისმა, საფრანგეთმა, აშშ-მა, გერმანიამ, იტალიამ, ესპანეთმა და სხვებმა იცნეს საქართველო დე-იურედ და გამოთქვეს სურვილი, დაემყარებინათ მასთან დიპლომატიური ურთიერთობა.

8 თებერვალს 15 საათზე დაინიშნა მუსტაფა ქემალ ფაშასთან ოფიციალური აუდიენცია. ამ ვიზიტის შესახებ ოფიციალურ მასალასთან ერთად, მეტად საყურადღებო ცნობებს გვაწვდის ამ შეხვედრის მონაწილე დიმიტრი შალიკაშვილი (მისი ვაჟები ამჟამად აშშ-ში ცხოვრობენ – ოთარი პოლკოვნიკის წოდებით გავიდა თადარიგში, ხოლო ჯონი გენერალია).

ორ საათზე საქართველოს საელჩოში მოვიდნენ იქმეთ ბეი და ქემალ ფაშას ადიუტანტი. ეს უკანასკნელი აღმოჩნდა ანჩაბაძე, რომლის მამა დიდი ხანია თურქეთში გადასახლებულა. სამის ნახევარზე გაემგზავრნენ მისიის შენობიდან და სამი საათისათვის მივიდნენ მთავრობის სასახლეში. შეხვედრა მოხდა მუსტაფა ქემალის კაბინეტში. მისი ოთახი ანკარას კვალობაზე ძვირფასად იყო მოწყობილი. ამ შეხვედრას საქართველოს წარმომადგენლობის მთელი შემადგენლობა დაესწრო. იგი საათ-ნახევარს გაგრძელდა.

ოფიციალური სიტყვების შემდეგ გაიმართა მოლაპარაკება. ქემალ ფაშა ლაპარაკობდა თურქულად და თარგმნიდა იქმეტ ბეი. სვიმონ მდივანი ლაპარაკობდა ქართულად და ფრანგულად თარგმნიდა არისტო ჭუმბაძე, შემდეგ იქმეთ ბეი ფრანგულიდან თურქულად (როგორც ზემოთ ითქვა ჩვენს წარმომადგენლობას არ ჰყავდა

თურქული ენის თარჯიმანი, რაც გარკვეულ სირთულეს იწვევდა), თარგმნისას იქმეტ ბეის ზოგჯერ აჩერებდა მუსტაფა ქემალი და აზუსტებდა აზრს. საერთოდ, ჩანს, რომ ქემალი ამ საუბარს სერიოზულ მნიშვნელობას ანიჭებდა.

დიმიტრი შალიკაშვილი თურქეთის მთავრობის მეთაურს შემდეგნაირად ახასიათებს: „ქემალ ფაშა საშუალო ტანის კაცია. გამხდარი სახისა, ნაზი და საინტერესო ნაკვთებით. შეჭრილი ულვაშები, ჭკვიანი სახე, ნებისყოფის მაჩვენებელი“.

სვიმონ მდივანმა მუსტაფა ქემალს გადასცა რწმუნების სიგელი და მისალმების შემდეგ გაიმართა საუბარი. სვიმონ მდივანმა თქვა: „დიპლომატი არა ვარ, ამ სიტყვის ძველი მნიშვნელობით, არ ვიცი წესები საიდუმლო დიპლომატიისა და გამოგზავნილი ვარ აქ, რადგან ყველაფერი აქაურ მოლაპარაკებაში გულწრფელობაზე იქნება დაფუძნებული“.



სვიმონ მდივანი – საქართველოს ელჩი ანკარაში.

მუსტაფა ქემალმა ასეთი გულწრფელობისათვის მადლობა მოახსენა და, თავის მხრივ, დასძინა, რომ მისთვის ძალზე სასიამოვნოა, აწარმოოს მოლაპარაკება ასეთ გულწრფელ ვითარებაში. თავდაპირველად მან მიულოცა სვიმონ მდივანს საქართველოს დამოუკიდებლობის იურიდიული აღიარება და აღნიშნა, რომ ეს სასიამოვნოა თურქეთისათვის, „ჩვენ, თქვა ქემალმა, გვაერთიანებს საქართველოსთან არამცთუ მარტო სიმპათია, არამედ მიზანთა ერთობაც. ჩვენ გვყავს ძლიერი მტერი დასავლეთით და გვესაჭიროება ძლიერი აღმოსავლეთი. განსაკუთრებით გვჭირდება ძლიერი კავკასია და კავკასიაში კი – ყველაზე მნიშვნელოვანი ერი, ჩვენ გვჭირდება საქართველო, ძლიერი და დამოუკიდებელი. საქართველომ და თურქეთმა იმაზე უნდა იზრუნონ, რომ კავკასიის სხვა სახელმწიფოებიც გახდნენ თავისუფალნი“.

თავის საპასუხო სიტყვაში სვიმონ მდივანმა განაცხადა: „აღმოსავლეთში გვჭირდება ძლიერი თურქეთი და საქართველო. საქართველომ კარგად იცის, რაა უცხოელთა ბატონობა, ვინაიდან იგი 117 წლის განმავლობაში ცარიზმის უღლის ქვეშ იყო, იბრძოდა დამოუკიდებლობისათვის, და აი, ანტანტის იურიდიულად აღიარებასთან დაკავშირებით, მისი ღვაწლი წარმატებით დაგვირგვინდა. საქართველოს მარტო არ შეუძლია გააკეთოს რამე კავკასიაში. ამ საქმეში მას თურქეთი უნდა დაეხმაროს. 1918 წელს საქართველომ ვერ მოახერხა მოეწყო კავკასია თავისი გეგმის მიხედვით. მას სურდა გაეერთიანებინა კავკასიური სახელმწიფონი კონფედერაციით; მაგრამ ზოგ შინაგან და გარეგან ძალთა წყალობით, იგი დაირღვა“.

შემდეგ საუბარში მუსტაფა ქემალმა შენიშნა, რომ „საქართველოში სოციალ-დემოკრატიული პარტიაა, რომლის პროგრამა და მოღვაწეობა ჰგავს თურქეთის ეროვნული ყრილობის პროგრამას და ამას შეუძლია დაკავშირებაში სამსახურის გაწევა“. სვიმონ მდივანმა თავის მხრივ აღნიშნა, რომ საქართველოში სოციალ-დემოკრატიული პარტიის გარდა სხვებიც არსებობს, მაგრამ დამოუკიდებლობის საკითხში ყველა მასთან თანახმა არის“.

ქემალ ფაშა მიესალმა გენერალ ერისთავს და მისი სახელით ქართულ ჯარს. გენერალმა ამისათვის მადლობა გადაუხადა ქემალს. საუბრის დროს განიხილეს

სხვა საკითხებიც. მაგალითად, კავკასიის საკითხი. შეხვედრა მეგობრულ ვითარებაში ჩატარდა, გაუმასპინძლდნენ ყავით. გამოთხოვებისას ქემალმა ფრანგულად უთხრა ს. მდივანს გამოსამშვიდობებელი სიტყვა. როგორც ვხედავთ, მუსტაფა ქემალი დაინტერესებული იყო ამიერკავკასიაში დამოუკიდებელი და ძლიერი საქართველოს არსებობით და მასთან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებით. ორ მეზობელ სახელმწიფოს შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, მათ შორის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობის განვითარების საქმეში.

ამრიგად 1921 წლის 8 თებერვალს ანკარის მთავრობამ ცნო საქართველო დეიურედ და დაამყარა მასთან დიპლომატიური ურთიერთობა.

9. საქართველოს საკითხი მოსკოვის რუსეთ-თურქეთის მოლაპარაკების დროს

მოსკოვში საბჭოთა რუსეთსა და ანკარის დელეგაციებს შორის მოლაპარაკების შედეგად შემუშავებულ იქნა ხელშეკრულება მეგობრობის შესახებ, რომელიც 1920 წლის 24 აგვისტოს პარაფირებულ იქნა ორივე მხარის მიერ. ხელშეკრულების საბოლოო ტექსტი არ იქნა გაფორმებული იმის გამო, რომ ამ დროს არ იყო დადგენილი ამიერკავკასიაში რუსეთ-თურქეთის საზღვარი და ანკარის დელეგაცია სამშობლოში გაემგზავრა.

1921 წლის იანვარის დამდეგს საბჭოთა რუსეთის მთავრობამ შესთავაზა ანკარის მთავრობას განახლებულიყო მოლაპარაკება. 1921 წლის 14 იანვარს ანკარის დელეგაცია თურქეთიდან გამოემგზავრა ყარსის, თბილისის, ბაქოსა და ხარკოვზე გავლით 18 თებერვალს მოსკოვში ჩავიდა. ორივე მხარე არ ჩქარობდა მოლაპარაკების დაწყებას.

რაში იყო საქმე, რატომ აჭიანურებდნენ მოლაპარაკების დაწყებას?

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ხელშეკრულების ძირითადი ტექსტი მომზადებული იყო ჯერ კიდევ 1920 წლის 24 აგვისტოს. დასადგენი იყო ორ ქვეყანას შორის საზღვარი. 1920 წლის 29 ნოემბერს სომხეთში, წითელი არმიის დახმარებით, საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა. მაგრამ სომხეთის საბჭოთა მთავრობამ არ იცნო 1920 წლის 2 დეკემბერს გუმბრის (ალექსანდროპოლის) ხელშეკრულება, რომელიც დაიდო ანკარის მთავრობასა და დაშნაკურ სომხეთს შორის. ახალი მთავრობა მოითხოვდა მის გადასინჯვას. საბჭოთა რუსეთის მთავრობამ მხარი დაუჭირა სომხეთის ამ მოთხოვნას. მოსკოვში მიიწვია საბჭოთა სომხეთის დელეგაცია, რომელსაც მონაწილეობა უნდა მიეღო თურქეთთან მოლაპარაკებაში.

ერთ-ერთი მთავარი პრობლემა საქართველოს საკითხი იყო. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ მიმართა რუსეთის მთავრობას წინადადებით მონაწილეობა მიეღო მოსკოვის მოლაპარაკებაში, მაგრამ ეს წინადადება უარყოფილი იქნა. საქართველოს საკითხი მოსკოვის მოლაპარაკების დროს წყდებოდა საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენლის გარეშე.

ამ დროს საბჭოთა რუსეთს გადაწყვეტილი ჰქონდა საქართველოს ოკუპაცია მოეხდინა. თავის მხრივ, ანკარის მთავრობასაც ტერიტორიული პრეტენზიები ჰქონდა საქართველოს მიმართ...

ასეთ ვითარებაში რუსეთმა და თურქეთმა, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, გადაწყვიტეს მოლაპარაკების დაწყებამდე ხელთ ეგდოთ საქართველოს ტერიტორია და შედეგები გაეფორმებინათ ხელშეკრულებით.

ორივე მხარე შეუდგა თავისი გეგმების რეალიზაციას:

ჯერ კიდევ 1920 წლის 18 დეკემბერს მე-11 არმიის სარდალმა ა. ჰეკერმა შეადგინა საქართველოზე თავდასხმის საიდუმლო გეგმა და ბოლშევიკები მისი განხორციელებისათვის ხელსაყრელ დროს ელოდნენ. აზერბაიჯანსა და სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, ბოლშევიკები შეუდგნენ საქართველოს წინააღმდეგ ომის სამზადისს.

საქართველოს წინააღმდეგ ომის დროს უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა თუ როგორ პოზიციას დაიკავებდა ანკარის მთავრობა. ჰეკერის მიერ შემუშავებულ გეგმაში ვკითხულობთ: „საქართველოს წინააღმდეგ ოპერაციები შესაძლებელია მხოლოდ იმ პირობებში, თუ ქიაზიმ ყარაბექირის ჯარები (თურქი სარდალი) დაიცავენ გარკვეულ მეგობრულ ნეიტრალიტეტს. ამ ოპერაციისათვის დაინიშნებიან მეთერთმეტე არმიის გარდა, მთლიანად მეცხრე არმია და მეორე არმიის კავალერია...

ჩემი ღრმა რწმენაა, რასაც წერილობით მოგახსენებთ, რომ თურქეთთან ჩვენი ურთიერთობის წინასწარი მოგვარების გარეშე საშიში იქნება საქართველოს წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციების დაწყება“.

1921 წლის 11 თებერვალს ლორეს რაიონში ე. ი. „ნეიტრალურ ზონაში“ მოწყობილი ინცინდენტის შედეგად მე-11 არმია სომხეთიდან შემოიჭრა საქართველოს საზღვრებში და შეუდგა საქართველოს ოკუპაციას. ამით რუსეთმა დაარღვია 1920 წლის 7 მაისის საქართველოსთან დადებული ხელშეკრულება. 15 თებერვალს რუსეთის ჯარებმა შეტევა დაიწყეს აზერბაიჯანიდანაც. 15 თებერვალს სტალინმა ორჯონიკიძეს გაუგზავნა დეპეშა „ახლავე შეუტიე დასტურია, აიღე ქალაქი“.

ქართველები მედგარ წინააღმდეგობას უწევდნენ შემოსეულ მტერს, მაგრამ მტრის აშკარა უპირატესობის გამო ნელ-ნელა უკან იხევდნენ.

16 თებერვალს ნოე ჟორდანიამ, საბჭოთა რუსეთის ჯარის საქართველოში შემოჭრასთან დაკავშირებით მიმართა მოსკოვს, მაგრამ საგარეო საქმეთა კომისრის მოადგილემ ლ. კარახანმა უარი განაცხადა მასთან მოლაპარაკებაზე.

რუსეთის არმიის საქართველოში შემოჭრის მეორე დღეს ნოე ჟორდანია ინახულა ანკარის მთავრობის ელჩმა ქიაზიმ ბეიმ და განუცხადა სრულიად კატეგორიულად: „ჩვენი ინტერესებია საქართველოს დამოუკიდებლობა და ამ მიზნის მისაღწევად არ დავერიდებით ომსაც ბოლშევიკების წინააღმდეგ. ასეთია ჩვენი მთავრობის აზრიო“.

ნოე ჟორდანია ფრიად კმაყოფილი დარჩა თურქეთის ელჩის განცხადებით: „ეს იყო პირდაპირ ჩვენი გაკეთება, – წერს ჟორდანია, – ვინაიდან ვიცოდით რა დიდ მნიშვნელობას აძლევს მოსკოვი ოსმალეთის ნეიტრალიტეტს“. მაგრამ ჟორდანიას სიხარული ნაადრევი აღმოჩნდა. ჟორდანიას გაუჩნდა იმედი, რომ თურქეთი სამხედრო დახმარებას აღმოუჩენდა საქართველოს რუსეთის წინააღმდეგ ომში. მან სასწრაფოდ აცნობა ანკარაში სვიმონ მდივანს, დაეწყო ამ საკითხზე მოლაპარაკება ანკარის მთავრობასთან.

ანკარის მთავრობამ სამხედრო დახმარების საფასურად მოითხოვა არტაანისა და ართვინის ოლქები.

1921 წლის 18 თებერვალს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი კ. საბახტარაშვილი აცნობებდა ს. მდივანს: „ჩვენია ბათუმი და მისი ოლქი. ანგორისა არდაგანის და ოლთისის ოლქები... ყველა ამაზე თანახმა

ვართ, ხელი მოაწერეთ ახლავე იმ პირობით, რომ ახლავე აღმოგვიჩინონ სამხედრო დახმარება ომში აქტიურად ჩვენს სასარგებლოდ ჩარევით".

იმავე დღეს კ. საბახტარაშვილი უგზავნის დეპეშას ს. მდივანს: „საქმე გაათავე რაც შეიძლება მალე. ექვსი საათი გვიანია, რადგან ჩვენ შეიძლება იძულებული შევიქმნეთ თბილისი უფრო ადრე დავტოვოთ. ამიტომ, დაუყოვნებლივ გაათავე საქმე და შედეგი მაცნობე".

იმავე დღეს ს. მდივანი აცნობებდა კ. საბახტარაშვილს: „დღეს ძალიან გაართულეს საქმე, ახალი განმარტებები მომცეს. მათი აზრით, არდაგანის ოლქში შედის ართვინის ოლქიც. ბათუმის ოლქში პლებისციტის ნომინალურად ჩატარებას მოითხოვენ. არის კიდევ წვრილმანი საკითხები".

ამრიგად, თურქებმა მოლაპარაკებისას ახალი მოთხოვნები წამოაყენეს: ბათუმის ოლქში ჩატარებულიყო „ნომინალური" პლებისციტი და კიდევ გადასცემოდა ართვინის ოლქიც. საქართველოს მთავრობა მერყეობდა.

22 თებერვალს ანკარის მთავრობამ საქართველოს მთავრობას გადასცა ულტიმატუმი და დაუყოვნებლივ მოითხოვდა ჯარის გაყვანას არტაანიდან და ართვინიდან. წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში ძალით მოახდენდა მათ ოკუპაციას. საქართველომ გამოიყვანა ჯარი ამ რეგიონებიდან. 23 თებერვალს თურქეთის ჯარებმა დაიკავეს ართვინი და არტაანი.

ამრიგად, ანკარამ აიძულა საქართველოს მთავრობა, დაეტოვებინა აღნიშნული ოლქები. „ამის შემდეგ, წერს ჟორდანია, მითვლიდა ქიაზიმი, რომ ამით ამოიწურება ყველა დავა ჩვენს შორისო, თქვენთან ვიქნებიო".

სინამდვილეში, ქიაზიმ ბეი არ აპირებდა საქართველოსათვის არავითარი სამხედრო დახმარების აღმოჩენას. ამავე დროს, იგი არწმუნებდა ჟორდანიას, როგორც კი ანკარაში შეიტყობენ აქ შექმნილ მდგომარეობას, მაშინვე აღმოუჩენენ დახმარებას. ამისათვის მან სთხოვა ჟორდანიას, ნება დაერთო, ტელეფონით დაკავშირებოდა ანკარას, რაზეც თანხმობა მიიღო. ტელეფონით საუბრის შემდეგ ქიაზიმ ბეიმ განაცხადა, რომ დღეს პარასკევია, მუსლიმების დასვენების დღე და ამიტომ მან ვერ შეძლო თანამდებობების პირებთან დაკავშირება. ლაპარაკი განახლდა მეორე დღესაც, მაგრამ ამჯერად უშედეგოდ. სინამდვილეში ყველა ადგილზე იმყოფებოდა და ქიაზიმ ბეიმ შეატყობინა თურქეთის მთავრობას საქართველოში შექმნილი უიმედო მდგომარეობა.

ქიაზიმ ბეი შემდგომშიც საქართველოს მთავრობის ტელეფონით ხშირად ელაპარაკებოდა ანკარასა და მოსკოვში მყოფ თურქეთის დელეგაციას და აწვდიდა მათ მეტად საყურადღებო ინფორმაციას.

25 თებერვალს წითელი არმიის მიერ თბილისის დაკავების შემდეგ, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა. ამის შემდეგ საბჭოთა რუსეთის მთავრობამ ჩათვალა, რომ ვითარება ამიერკავკასიაში ხელსაყრელია და გადაწყვიტა თურქეთთან დაეწყო მოლაპარაკება.

26 თებერვალს მოსკოვში ოფიციალურად გაიხსნა რუსეთ-თურქეთის კონფერენცია. მოლაპარაკების დროს ყველაზე დაძაბულად მიმდინარეობდა დისკუსია ამიერკავკასიის საზღვრის დადგენასთან დაკავშირებით.

თურქეთის დელეგაცია თვლიდა, რომ საზღვარი თურქეთსა და სომხეთს შორის დადგინდა 1920 წლის 2 დეკემბერს გუმრის (ალექსანდროპოლის) ხელშეკრულებით და არ აპირებდა მის გადასინჯვას. რაც შეეხება საქართველოსთან საზღვარს, იგი მოითხოვდა აღდგენილიყო 1918 წლის 4 ივნისის ბათუმის თურქეთ-საქართველოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საზღვარი, ხოლო საბჭოთა რუსეთის დელეგაცია მოითხოვდა, რომ საქართველო-თურქეთის საზღვარი დადგენილიყო 1920 წლის

7 მაისის მოსკოვის რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულების საფუძველზე, ე. ი. საქართველოს ხელში დარჩენილიყო ახალციხისა და ახალქალაქის მაზრები, ბათუმი და ბათუმის ოლქი. თურქეთი ამაზე არ თანხმდებოდა და ომის გზით აპირებდა ამ საკითხის გადაწყვეტას.

წითელი არმიის მიერ თბილისის აღების შემდეგ ჟორდანიას მთავრობამ და უცხოეთის სახელმწიფოების დიპლომატიურმა წარმომადგენლებმა დატოვეს ქალაქი. მათ შორის იყო ქიაზიმ ბეიც. მაგრამ სხვა დიპლომატებისაგან განსხვავებით, იგი განუშორებლად ჟორდანიას ვაგონში იმყოფებოდა და დაჟინებით არწმუნებდა მას, რომ ჯერ ყველაფერი არ არის დაკარგული და რომ საჭიროა რომელიმე ზღუდესთან შეჩერდეს წითელი არმიის შემდგომი წინსვლა.

წითელი არმიის წინსვლის შეჩერების შედეგად კი თურქები საქართველოში უფრო მეტი ტერიტორიის ხელში ჩაგდებას შეძლებდნენ.

ქიაზიმ ბეიმ, წითელი არმიის მიერ თბილისის აღების შემდეგ, თურქეთის აღმოსავლეთის ფრონტის მთავარსარდალს ქიაზიმ ყარაბექირ ფაშას მიმართა წინადადებით, დაეკავებინა ბათუმი.

1921 წლის 2 მარტს შედგა თურქეთის გენერალური შტაბის სხდომა, 3 მარტს კი – მინისტრთა საბჭოსი, რომლებზედაც განიხილეს ბათუმის, ახალციხისა და ახალქალაქის ოკუპაციის საკითხი.

მე-9 დივიზიას დაევალა განეხორციელებინა შეტევა ახალციხისა და ახალქალაქის დაკავების მიზნით, ხოლო ბათუმზე შეტევისათვის შეიქმნა ჭოროხის დაჯგუფება, რომელიც დაემორჩილა მე-7 ლეგიონს.

ამავე დროს, თურქეთის მთავრობამ გადადგა ნაბიჯი დიპლომატიური გზით საქართველოში რუსეთთან სამხედრო კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით.

4 მარტს თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა აჰმედ მუჰტარ ბეიმ რუსეთის საგარეო კომისარ ჩიჩერინს გაუგზავნა დეპეშა თხოვნით, რომ საბჭოთა მთავრობამ გაუგზავნოს მითითება საქართველოში წითელი არმიის მთავარსარდალს, არ შევიდეს „იმ ოლქებში, რომლებიც მდებარეობენ თურქეთის მეზობლად“, ასევე ახალციხესა და ახალქალაქში“.

ამრიგად, თურქეთის მთავრობამ გააფრთხილა საბჭოთა რუსეთის მთავრობა, არ შეეცვანა თავისი ჯარები იმ ადგილებში, რომლებზეც თურქეთი აცხადებდა პრეტენზიას.

საქართველოს მთავრობის იმედი, რომ თურქეთი აღმოუჩენდა საქართველოს დახმარებას რუსეთის წინააღმდეგ ომში, ილუზია იყო. თურქეთის მთავრობას არასოდეს არ განუხილავს რეალურად საქართველოსათვის სამხედრო დახმარების საკითხი. პირიქით, თურქეთის სამხედრო სარდლობამ წითელი არმიის სარდლობას მიმართა წინადადებით, ერთად დაეწყოთ ბრძოლა მენშევიკების წინააღმდეგ (ამაზე ქვემოთ გვექნება მსჯელობა).

მიუხედავად იმისა, რომ ანკარის მთავრობამ არ შეასრულა დაპირება და არ აღმოუჩინა სამხედრო დახმარება, საქართველოს მთავრობა მაინც იმედს არ კარგავდა და კვლავ მიმართა მას დახმარებისათვის.

4 მარტს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ე. გეგეჭკორი აცნობებდა ს. მდივანს: „უნდა მიიღო ზომები ანგორის ჩასარევად. მარტო საკუთარი ძალებით საქართველო ვერ შეძლებს მოსკოვის გამკლავებას. დაარწმუნეთ ანგორა, რომ დაცდის პოლიტიკა შეუძლებელია.

საქართველოს მთავრობა აძლევს ანგორის მთავრობას შემდეგ წინადადებას: დაუყოვნებლივ მოახდინოს სამხედრო ოკუპაცია ბათუმის ოლქის და ახალციხისა

და ზაქათალას მაზრებისა შემდეგი პირობით: ამ ოლქების მთელი სამოქალაქო მმართველობა და სუვერენული უფლება იქნება საქართველოს მთავრობისა".

ჟორდანიამ დაახლოებით ამავე შინაარსის დეპეშა გაუგზავნა ს. მდივანს: „საქართველოს მთავრობა აძლევს ანგორის მთავრობას წინადადებას, დაუყოვნებლივ მოახდინონ სამხედრო ოკუპაცია ბათუმის ოლქისა და ახალქალაქის მაზრისა შემდეგი პირობით: ამ ოლქებში მთელი სამოქალაქო მმართველობა და სუვერენული უფლება იქნება საქართველოს მთავრობისა.

ქართული ჯარი დაეხმარება ოსმალეთის ჯარს ოკუპაციის მოხდენაში".

ნ. ჟორდანიასა და ე. გეგეჭკორის დეპეშებს შორის ის განსხვავებაა, რომ ჟორდანია თურქეთს სთავაზობს, გარდა ბათუმის ოლქისა, დაიკავოს ახალციხის მაზრა, გეგეჭკორი კი – ახალციხისა და ზაქათალის მაზრები. აღსანიშნავია ისიც, რომ ჟორდანია აღარ მოითხოვს სამხედრო დახმარებას რუსეთის წინააღმდეგ ომში, პირიქით, იგი სთავაზობს, რომ „ქართული ჯარი დაეხმარება ოსმალეთის ჯარს ოკუპაციის მოხდენაში". ჟორდანიას წინადადება, რომ ქართველები დაეხმარებოდნენ ოსმალეთის ჯარს საქართველოს ოკუპაციაში, შეიძლება ავხსნათ მხოლოდ იმით, რომ ჟორდანია დარწმუნებული იყო თურქეთის ჯარის საქართველოში შემოსვლის შედეგად აუცილებლად დაიწყებოდა რუსეთ-თურქეთის ომი.

თურქეთის მთავრობასთან მოლაპარაკების შედეგად მიაღწიეს ამგვარ შეთანხმებას: 1. ქართული სამოქალაქო ხელისუფლება თავის ადგილზე რჩება და საქართველოს მთავრობის უზენაესობა ვრცელდება თურქეთის ჯარის მიერ დაკავებულ ოლქებში. ქართული ჯარი საჭიროების შემთხვევაში დაეხმარება თურქულს ოკუპაციის საქმეში. ეს სამხედრო ოკუპაცია გავრცელდება სანამ პოლიტიკური მდგომარეობა საქართველოსი და ამიერკავკასიისა საბოლოოდ გამოირკვეოდეს. 2. ორივე (თურქეთი და საქართველო) იმოქმედებს ერთად. ამიერკავკასიის ხალხთა და სახელმწიფოთა კონფედერაციის დაარსებამდე. 3. ესაა მთავარი პირობა, რომელზე დაყრდნობით ახლო მომავალში წვრილმანიც უნდა გამომუშავდეს. თურქეთის მთავრობის პასუხი: 1. თურქულ ჯარს ოკუპაციის საქმეში არ დასჭირდება ქართული ჯარის დახმარება. 2. თურქული ოკუპაციური ჯარი აგზავნის თავის წარმომადგენელთ ქართულ სამოქალაქო ხელისუფლებასთან. 3. ამ ოლქებში ორივე მთავრობის თანახმობით მოხდება პლებისციტი. ეს უკანასკნელი პირობა მხოლოდ მოჩვენებითია, თორემ სინამდვილეში არავითარი პლებისციტი არ იქნება, რის გარანტიას იძლევიან მინისტრები: საგარეო საქმეთა, განათლებისა და მეურნეობისა.

ამ შეთანხმების შემდეგ საქართველოს მთავრობამ ნება დართო ანკარის მთავრობას, შეეყვანა ჯარები ბათუმის ოლქში და სხვაგანაც. ანკარის მთავრობამ არ დააყოვნა და დაიწყო თავისი ჯარების შეყვანა ბათუმის ოლქში.

1921 წლის 6 მარტს ქიაზიმ ბეი ქუთაისიდან ანკარის მთავრობისადმი გაგზავნილ დეპეშაში აცნობებდა, რომ საქართველოს მთავრობა თანახმაა, თურქეთის ჯარმა დაიკავოს ბათუმის ლივა, ახალციხე და ახალქალაქი.

ბათუმის ყოფილი კომენდანტი ი. ფურცელაძე იგონებს: „4 თუ 5 მარტს, ზუსტად არ მახსოვს, მე მიმიწვიეს გენერალ გუბერნატორ გ. გიორგაძესთან, რომელმაც გამომიცხადა, რომ ანგორის მთავრობის წარმომადგენელ ქიაზიმ ბეისა და ჩვენი მთავრობის შეთანხმების თანახმად, ქემალ ფაშას ჯარები უნდა შემოვიდნენ ბათუმის ოლქში და დაიკავონ ბათუმის ოლქის საზღვრები ოზურგეთისა და ახალციხის მაზრებისაკენ, მაგრამ თვით ქალაქი ბათუმი ოსმალების მიერ დაკავებული არ იქნება. ძალაუფლება რჩება ჩვენს ხელში. ოსმალური ნაწილები ბათუმში არ შეჩერდებიან, ხოლო აქ თავს მოიყრიან, მოეწყობიან და წავლენ წინ საზღვრისაკენო. პირველი ეშელონი ოსმალთა ჯარებისა, ორი როტა ტყვიისმფრქვეველებით, სულ დაახ-

ლოებით 500 კაცამდე მოვიდა 11 საათზე 11 მარტს. ბათუმში ოსმალური რაზმის შემოსვლას ადგილობრივი მუსლიმანები დიდი ენთუზიაზმით შეხვდა... აჭარისწყალზე ოსმალური რაზმი, რომელიც შესდგებოდა ორი როტისაგან ტყვიისმფრქვეველებითურთ, მოვიდა ბორჩხიდან 10 მარტს, და გაგზავნა პატარა ნაწილები ხულოში და ქედაში. ოსმალთა ჯარის შემდეგი ეშელონი ბატალიონისა შემოვიდა ბათუმში 12 მარტს საღამოს. და მესამე, აგრეთვე დაახლოებით 500 კაცით, ღამე 15-დან 16 მარტს... სულ ბათუმის ოლქში ოსმალური ჯარების რიცხვი იყო დაახლოებით სამი ათას ნახევარი...“

9 მარტს თურქეთის გენერალურმა შტაბმა უბრძანა აღმოსავლეთის ფრონტის სარდალს ქიაზიმ ყარაბექირ ფაშას, დაეკავებინა ბათუმი, ახალციხე და ახალქალაქი და ხელი შეეშალა ბათუმში წითელი არმიის შესვლისათვის.

9 მარტს, მოსკოვში საბჭოთა რუსეთსა და თურქეთს შორის მოლაპარაკების დროს, ლენინმა ჩიჩერინს აცნობა: „ამხ. ჩიჩერინ, მეტად შეშფოთებული ვარ იმით, რომ თურქები აჭიანურებენ ბათუმის შესახებ შეთანხმების ხელმოწერას, დროს იგებენ, სანამ მათი ჯარები ბათუმისაკენ მიდიან. ასეთი გაჭიანურების საშუალება არ უნდა მივცეთ. განიხილეთ ასეთი ღონისძიება: თქვენ ნახევარი საათით შეწყვიტეთ თქვენი კონფერენია ჩემთან ლაპარაკისათვის, ხოლო სტალინი ამ დროს გულახდილად მოელაპარაკება თურქეთის დელეგაციას, რათა გაირკვეს საქმე და დღესავე მიყვანილ იქნეს ბოლომდე“.

სტალინის მოლაპარკებამ თურქეთის დელეგაციასთან სასურველი შედეგი გამოიღო, 10 მარტს სტალინმა გაუგზავნა დეპეშა ორჯონიკიძეს: „ჩვენ თურქებთან სრული შეთანხმების გზაზე ვდგუვართ. ჩვენ დაგვრჩება ბათუმი, ახალციხე, ახალქალაქი. თურქებთან, შეტაკებას თავი აარიდეთ“.

იმავე დღეს ორჯონიკიძე ქიაზიმ ყარაბექირს ატყობინებდა: „მოსკოვში თურქეთის დელეგაციასთან მოლაპარაკების შედეგად ახალქალაქი, ახალციხე და ბათუმი საქართველოს დარჩა“.

მიუხედავად ამისა, თურქები აგრძელებდნენ წინსვლას და 11 მარტს დაიკავეს ბათუმი.

10 მარტს ორჯონიკიძე დეპეშას უგზავნის მე-18 ცხენოსანთა დივიზიის მეთაურს დ. ულობას: ფორსირებული მარშით, როგორი დაბრკოლებაც არ უნდა შეგვხვდეს, ბათუმისაკენ გაემართეთ და სამ დღეში იყავით ბათუმში. მოსკოვში რუსეთ-თურქეთის კონფერენციაზე მიღწეულია შეთანხმება, რომლითაც ბათუმი, ახალციხე და ახალქალაქი რჩება საბჭოთა საქართველოს.

გზაში დ. ულობამ მე-11 წითელი არმიის დივიზიის მეთაურის ა. ჰეკერისაგან მიიღო მითითება: „თურქებთან უნდა დაამყარო კარგი ურთიერთობა და არ დაუშვა არავითარი შეტაკება“.

ბათუმისაკენ მიმავალ ულობას დივიზიას ქედასთან შეხვდა თურქეთის რაზმი, პოლკოვნიკის მეთაურობით, მან რუსეთის კომისარს განუცხადა, რომ იგი აპროტესტებს რუსეთის ჯარის წინსვლას ბათუმისაკენ, რადგანაც „ჩვენ შეთანხმება გვაქვს საქართველოს მთავრობასთან“.

ულობას განცხადებით, რუსეთის ჯარი მიდიოდა ბათუმში იქ მყოფი ქართველი კონტრრევოლუციონერების დასასჯელად და არა თურქებთან საბრძოლველად, მისივე თქმით, პირველად მას წითელ მეთაურს, არავითარი მტრული ზრახვები არა აქვს თურქეთის მიმართ.

12 მარტს ქიზიამ ყარაბექირ ფაშამ მე-11 წითელი დივიზიის სარდალს ჰეკერს გაუგზავნა დეპეშა საქართველოში რევოლუციის გამარჯვების აღსანიშნავად მოწყობილ ზეიმზე. თურქი გენერალი არწუნებდა ჰეკერს, რომ არ არის არავითარი

საჭიროება ბათუმში წითელი არმიის გაგზავნისა, როდესაც მათი წარმატებით გამოყენება შეიძლება დარჩენილი საქართველოს ჯარის წინააღმდეგ, ხოლო ბათუმის განთავისუფლებას მენშევიკების ჯარისაგან თურქები თავის თავზე იღებდნენ.

ერთი სიტყვით, ქიაზიმ ყარაბექირი დახმარებას სთავაზობდა წითელ არმიას მენშევიკების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. ცხადია, გამორიცხული იყო, თურქეთს რაიმე დახმარება აღმოეჩინა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისათვის.

14 მარტს ჩიჩერინი აცნობებდა ორჯონიკიძეს: „ბათუმის ოლქი აღიარებულია საქართველოს ნაწილად. თურქეთს დაეთმო არდაჰანი, ართვინი და ყარსი... მიმართეთ ყარაბექირს, რომ არ არსებობს არავითარი ხელშეკრულება, რომლის ძალითაც მათ შეეძლოთ ბათუმის დაკავება.

ჟლობას სამხედრო ნაწილმა, მკაცრი კლიმატური პირობების მიუხედავად, წარმატებით გადალახეს გოდერძის უღელტეხილი, ჩავიდნენ ხულოში, იქიდან ქედაში და გაემართნენ ბათუმისაკენ, ყარაბექირ ფაშამ, როდესაც შეიტყო ჟლობას წარმატებითი მარში ბათუმისაკენ, სცადა, ხელი შეეშალა მისთვის.

13 მარტს ქიაზიმ ყარაბექირ ფაშამ გაუგზავნა დეპეშა ჰეკერს: მიუხედავად იმისა, რომ რუსეთთან დადებული ხელშეკრულებებით ახალციხისა და ახალქალაქის მაზრები და ბათუმის გუბერნია თურქეთს გადაეცა, როგორც ჩვენი სამშობლოს კანონიერი ნაწილი, მაგრამ ანტანტასთან დაზავების შედეგად, ყოველგვარი საფუძვლის გარეშე, ეს ტერიტორია საქართველოს გადაეცა. ახლა შეიქმნა ხელსაყრელი პირობები, რომ ეს ტერიტორია დაუბრუნდეს თურქეთს. ამ ადგილებიდან გამოყვანილი და განიარაღებულ უნდა იქნეს საქართველოს ჯარები.

ბათუმი და ბათუმის ოლქი უნდა გადაეცეს თურქეთს. თურქი სარდალი სთხოვდა ჰეკერს, გაეცა ბრძანება აღნიშნული მხარეებიდან წითელი არმიის გაყვანის შესახებ.

ფაქტობრივად, ეს იყო თურქეთის სარდლის ულტიმატუმი. წითელი არმიის სარდლობა არავითარ დათმობაზე წასვლას არ აპირებდა. თურქეთის სარდლობა შეეცადა, შეეჩერებინა კომისარ ჟლობას სამხედრო ნაწილების წინსვლა ბათუმის მიმართულებით, ართვინში დისლოცირებული თურქეთის სამხედრო ნაწილები ბათუმისაკენ დაიძრნენ.

ჟორდანია საბოლოოდ დარწმუნდა, რომ თურქებმა იგი მოატყუეს და არ აპირებდნენ რუსეთის წინააღმდეგ ომში ჩაბმას.

ასეთ ვითარებაში მან გადაწყვიტა, დაეწყო მოლაპარაკება საბჭოთა რუსეთის წარმომადგენლებთან და მათი დახმარებით განედევნა თურქები ბათუმიდან.

17 მარტს ქუთაისში ჩატარდა მოლაპარაკება. საბჭოთა მხრიდან მონაწილეობდნენ ა. ენუქიძე, მ. ორახელაშვილი, ა. სვანიძე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მხრიდან მოლაპარაკებაში მონაწილეობდა სამხედრო მინისტრი გრ. ლორთქიფანიძე. მოლაპარაკების შედეგად შეთანხმდნენ, რომ დაუყოვნებლივ შეწყვეტდნენ საომარ მოქმედებას. დემოკრატიული მთავრობა საბჭოთა რუსეთის ჯარს ნებას რთავდა, ბათუმის ოლქში შესულიყო და განედევნა იქიდან თურქეთს სამხედრო ნაწილები. დემოკრატიული მთავრობა, რომელიც ამ დროს ბათუმში იმყოფებოდა, დაპირებას იძლეოდა, რომ მისცემდა ვაგონებს ბათუმში წითელი არმიის ნაწილების სასწრაფოდ შეყვანისათვის.

ამრიგად, საქართველოს დემოკრატიულმა მთავრობამ საშუალება მისცა წითელ არმიას, საჯავახოდან პირდაპირ წასულიყო ბათუმისაკენ თურქეთის იქიდან განდევნის მიზნით.

ჟორდანიას განკარგულებით, ბათუმის ციხიდან გაათავისუფლეს ბოლშევიკები და მათ შორის ს. ქავთარაძე, რომელიც სათავეში ჩაუდგა ბათუმიდან თურქების განდევნის ორგანიზაციას.

ჟორდანია იგონებს: „ბათუმში დაპატიმრებული გავანთავისუფლეთ, მოვიდნენ ჩემთან ვაგონში მოსალაპარაკებლად, საუბარი იყო მოკლე: ჩვენი საერთო ინტერესია მხოლოდ ერთი – ბათუმის და მისი ოლქის საქართველოს საზღვრებში დარჩენა. რაგინდ წყობილება იყოს აქ. თუ შეგიძლიათ ამ ხაზზე იმოქმედეთ, დაეხმარეთ ჩვენს ჯარებს ოსმალოს ბათუმიდან გასარეკად.

1921 წლის 17 მარტს საღამოს ჟორდანიამ და მისმა მთავრობის წევრებმა დატოვეს საქართველო და გემით წავიდნენ ემიგრაციაში.

იმავე საღამოს, 10 საათზე თურქებმა დაიკავეს ფოსტა-ტელეგრაფი, მილიციის სამმართველოს შენობა და შეუდნენ სხვა ობიექტების დაკავებას. ქალაქში გამოჩნდნენ თურქი პატრულები, საღამოსვე შეიქმნა დროებითი რევკომი, ს. ქავთარაძის მეთაურობით, რომელმაც მიიღო ზომები ოკუპანტების წინააღმდეგ საბრძოლველად.

ღამის 12 საათზე გამოიცა ქიაზიმ ბეის ბრძანებულება, რომელშიც ეწერა: „უკანასკნელ დროს, საქართველოს მთვრობის თანხმობით ბათუმის ოლქი, ახალქალაქისა და ახალციხის მხარეები ჩვენი ჯარების მიერ იქმნენ ოკუპირებული, ოსმალეთის დიდი ეროვნული კრების დადგენილებით, რომელიც ემყარება სხვადასხვა დროის ხელშეკრულებებით მრავალჯერ დადასტურებულ ეროვნულ უფლებებს; ეს მხარეები დღეიდან უბრუნდებიან თავის დედა სამშობლოს და პოლიტიკურადაც და ადმინისტრაციულადაც ექვემდებარებიან ოსმალეთის ეროვნულ მთავრობას“.

ბრძანებულება 10 მუხლისაგან შედგებოდა და ერთ-ერთი მუხლით საქართველოს ჯარებს წინადადება ეძლეოდათ 24 საათის განმავლობაში დაეტოვებინათ საზღვრები და ჩაებარებინათ იარაღი.

ქიაზიმ ბეიმ თავისი თავი გამოაცხადა ბათუმის გენერალ-გუბერნატორად.

18 მარტს ქალაქის ქუჩებში გაიმართა ცხარე ბრძოლები ოსმალეთის ჯარებსა და საქართველოს ჯარის ნაწილებს შორის, რომელსაც გენერალი მაზნიაშვილი ხელმძღვანელობდა, ბრძოლაში მონაწილეობდა ქალაქის მოსახლეობაც. ქიაზიმ ყარაბექირ ფაშა განაგრძობდა წინააღმდეგობის გაწევას.

18 მარტს დამით ორჯონიკიძემ ყარაბექირ ფაშას დეპეშა გაუგზავნა და მოსთხოვა თურქეთის ჯარებს, დაუყოვნებლივ დაეტოვებინათ ბათუმი.

19 მარტს კომისარ ჟლობას სამხედრო ნაწილები შეიჭრნენ ქალაქში და დაიკავეს ბათუმი.

1921 წლის 19 მარტს ბათუმში საბჭოთა ხელისუფლება გამოცხადდა.

19 მარტს საღამოს რევკომსა და ქიაზიმ ბეის შორის დაიდო დროებითი ზავი, რომლის მიხედვითაც ორივე მხარე რჩებოდა თავიანთ პოზიციებზე, მოსკოვის ხელისუფლების მიღებამდე, ქიაზიმ ბეიმ განაცხადა, რომ იგი დაუყოვნებლივ გაიყვანს თურქეთის ჯარებს ბათუმის ოლქიდან, როგორც კი გაეცნობა მოსკოვის ხელშეკრულებას და დარწმუნდება მის სისწორეში, მაგრამ იქვე გააკეთა შენიშვნა, რომ ეს უნდა იყოს ანკარის მთავრობის გადაწყვეტილებაც.

20 მარტს ანკარაში მიიღეს დეპეშა მოსკოვიდან თურქეთის დელეგაციის მოლაპარაკების დამთავრების შესახებ, მასში აგრეთვე ნათქვამი იყო, რომ ბათუმი საქართველოს დარჩა.

მიუხედავად იმისა, ქიაზიმ ბეი ყოველნაირად აჭიანურებდა ქალაქის დაცლას. 20 მარტს განახლდა ბრძოლა. მოხდა შეტაკება საქართველოსა და თურქეთის სამხედრო ნაწილებს შორის, რომლებიც ქართველების გამარჯვებით დამთავრდა.

22 მარტს ჟლობამ გამოსცა ბრძანება – თურქეთის ჯარებს 48 საათში დაეტოვებინათ ბათუმის ტერიტორია.

24 მარტს თურქეთის სამხედრო ნაწილები ჩასხდნენ გემში და დატოვეს ბათუმი.

24 მარტს ჩიჩერინი ორჯონიკიძეს სწერდა: „სასწრაფოდ გვაცნობეთ საბოლოოდ დატოვეს თუ არა თურქებმა ბათუმი, რადგან ჩვენი ზოგი ვალდებულების შესრულება დამოკიდებულია ამ ტერიტორიიდან ოსმალეთის წინასწარ გასვლაზე.

28 მარტს თურქეთის სამხედრო ნაწილებმა დატოვეს ბათუმის ოლქის მთელი ტერიტორია, ბათუმის ოლქის ე. წ. გენერალ-გუბერნატორმა ქიაზიმ ბეიმ დატოვა საქართველო და ტრაპიზონში გაემგზავრა, ხოლო 30 მარტს წითელი არმიის ნაწილები საზღვარზე მივიდნენ და დაიკავეს ს. სარფი.

ამგვარად, ცხარე დიპლომატიური ჭიდილისა თუ სამხედრო ბრძოლების შედეგად ახალციხე, ახალქალაქი, ბათუმი და აჭარა დაუბრუნდნენ თავის სამშობლოს.

10. 1921 წლის 16 მარტის მოსკოვის რუსეთ-თურქეთის ხელშეკრულება მეგობრობისა და ძმობის შესახებ

26 თებერვალს მოსკოვში დაიწყო ოფიციალური მოლაპარაკება რუსეთსა და თურქეთს შორის. საბჭოთა რუსეთის დელეგაციას ხელმძღვანელობდა საგარეო საქმეთა კომისარი გ. ჩიჩერინი, ხოლო თურქეთისას – იუსუფ ქემალ ბეი.

თურქეთის მთავრობის მეთაური მუსტაფა ქემალი კმაყოფილი იყო მოსკოვში თურქეთ-რუსეთის მოლაპარაკების მიმდინარეობით, მან 1 მარტს თურქეთის დიდი ეროვნული კრების სესიაზე განაცხადა:

„ძმური დამოკიდებულებანი, რომელნიც არსებობენ ჩვენსა და რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკას შორის, ძალიან კარგ გზაზე არიან, ჩვენ ვცდილობთ განვამტკიცოთ ეს დამოკიდებულებანი უფრო სერიოზული პრინციპებით იმ კონფერენციაზე, რომელიც ამჟამად შეკრებილია მოსკოვში. ჩვენი დელეგაციის თანამონაწილეობით, უეჭველია, ეს ცდა ჩვენი ხალხის სურვილებს საესებით შეეთანხმება“.

1921 წლის 16 მარტს საბჭოთა რუსეთსა და თურქეთს შორის დაიდო ხელშეკრულება მეგობრობისა და ძმობის შესახებ. იგი შედგებოდა პრეამბულის, 16 მუხლისა და სამი დამატებისაგან. ხელშეკრულებით მყარდებოდა მეგობრული და ძმური ურთიერთობა საბჭოთა რუსეთსა და თურქეთს შორის, მხარეები აცხადებდნენ, რომ მათ შორის არსებობს სოლიდარობა იმპერიალისტების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. ისინი ვალდებულებას იღებენ, რომ არ სცნობდნენ ძალადობაზე დამყარებულ ხელშეკრულებებს და საერთაშორისო აქტებს. ამასთან საბჭოთა რუსეთის მთავრობა სპეციალურად შენიშნავდა, რომ იგი არ სცნობდა იმ საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და აქტებს, რომლებიც თურქეთს ეხება, თუ ისინი არ არის მოწონებული თურქეთის დიდი ეროვნული კრების მიერ, საბჭოთა მთავრობამ კანონიერად აღიარა 1920 წლის 28 იანვარს სტამბულის მეჯლისის მიერ მიღებული ეროვნული აღთქმის პაქტი.

საბჭოთა რუსეთის მთავრობა აუქმებდა მეფის რუსეთსა და სულთნის მთავრობებს შორის დადებულ ყველა იმ ხელშეკრულებას, რომელიც არ შეესაბამებოდა ორივე ქვეყნის ინტერესებს. აგრეთვე უარს აცხადებდა ყველა იმ პრივილეგიებზე, რომლითაც მეფის რუსეთი სარგებლობდა თურქეთში, იგი აგრეთვე ათავისუფლებდა თურქეთს ფულადი და სხვა ვალდებულებებისაგან.

საბჭოთა მთავრობა კაპიტულაციების რეჟიმს თვლიდა შეუთავსებლად ყოველი ქვეყნის ეროვნულ ინტერესებთან და აცხადებდა მას ძალადაკარგულად.

მეტად მნიშვნელოვანი იყო ხელშეკრულების ის მუხლი, რომელიც ეხებოდა შავი ზღვის სრუტეების საკითხს. ხელშეკრულების მიხედვით სრუტეების სტატუსი უნდა განხილულიყო შავიზღვისპირა ქვეყნების მონაწილეობით.

ხელშეკრულებით მხარეები აგრეთვე ვალდებულებას იღებდნენ, რომ არ დაუშვებდნენ თავიანთ ტერიტორიაზე მეორე მხარისადმი მტრულად განწყობილი ორგანიზაციებისა და დაჯგუფებების არსებობას.



1921 წლის 16 მარტი. საბჭოთა რუსეთ-თურქეთის მოლაპარაკება.

ხელშეკრულების მიხედვით ბათუმი და ბათუმის ოლქი საქართველოს გადაეცა, ხოლო თურქეთის შემადგენლობაში დარჩა ყარსის, არტაანისა და ართვინის მაზრები, რომლებიც 1914 წლამდე შედიოდა რუსეთის შემადგენლობაში. იმ ტერიტორიის საერთო ფართობი, რომელიც გადაეცა თურქეთს შეადგენდა 19,915 კვ კმ, ხოლო მოსახლეობა – 492 ათას კაცს.

ხელშეკრულების მე 15-მუხლით საბჭოთა რუსეთის მთავრობა იღებდა ვალდებულებას, რომ საბჭოთა მთავრობა გადადგამდა ნაბიჯებს რათა ამიერკავკასიის რესპუბლიკებს ეცნოთ ხელშეკრულების ის მუხლები, რომლებიც უშუალოდ მათ ეხებოდათ.

უნდა მომხდარიყო ამ ხელშეკრულების რატიფიკაცია. 1921 წლის 20 მარტს რუსეთმა მოახდინა მისი რატიფიკაცია. ხოლო თურქეთმა – 1921 წლის 22 ივლისს.

რუსეთ-თურქეთის ხელშეკრულების დადებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ორ ქვეყანას შორის მეგობრული ურთიერთობის განმტკიცების საქმეში.

რუსეთ-თურქეთის ხელშეკრულების ხელმოწერასთან ერთად, მხარეები შეთანხმდნენ, რომ საბჭოთა რუსეთი თურქეთს საჩუქრად გადასცემდა 10 მილიონ მანეთს (ოქროთი) და გაუზრდიდა მას საჭურვლით დახმარებას. ამ მოლაპარაკების თანახმად, საბჭოთა რუსეთმა 1921 წელს თურქეთს გადასცა 6,5 მილიონი მანეთი (ოქროთი), 33275 შაშხანა, 327 ტყვიამფრქვევი, 58 ათასამდე ვაზნა, 1921 წლის 3 ოქტომბერს თურქეთს გადაეცა ორი სამხედრო საზღვაო გემი „ყივოი“ და „ჟუტკი“ და სხვ.

11. ყარსისა და ანკარის მეგობრობისა და ძმობის ხელშეკრულებები თურქეთსა და ამიერკავკასიის და უკრაინის რესპუბლიკებთან

მოსკოვის ხელშეკრულების მე-15 მუხლის შესაბამისად, ყარსში 26 სექტემბრიდან 13 ოქტომბრამდე ჩატარდა კონფერენცია ამიერკავკასიის რესპუბლიკებსა და თურქე-





შ. ელიავამ და ა. სვანიძემ ხელი მოაწერეს ყარსის ხელშეკრულებას

თის წარმომადგენლებს შორის, საბჭოთა რუსეთის წარმომადგენლის მონაწილეობით.

კონფერენციაზე თურქეთის დელეგატმა წამოაყენა წინადადება – თითოეული ამიერკავკასიის რესპუბლიკასთან ცალ-ცალკე სეპარატისტული ხელშეკრულების დადების შესახებ. ეს წინადადება არ იქნა მიღებული.

ყველაზე დიდი კამათი გამოიწვია საზღვრის საკითხმა. ამიერკავკასიის დელეგაციამ მოითხოვა თურქეთს საქართველოსათვის დაეთმო სოფელ სარფის სამხრეთ ნაწილი, ხოლო სომხეთისათვის – ისტორიული ქალაქის ანის ნანგრევები. მაგრამ თურქეთი არავითარ დათმობაზე არ წავიდა. თურქეთის დელეგაცია უარს აცხადებდა მოსკოვში დადგენილი საზღვრის შეცვლაზე. თურქეთს სურდა მიეღო ფართო შეღავათები ბათუმის ნავსადგურზე კონტროლის დაწესების მიზნით, მაგრამ უშედეგოდ.

13 ოქტომბერს ყარსში ამიერკავკასიის რესპუბლიკებსა და თურქეთს შორის დაიდო ხელშეკრულება. ყარსის ხელშეკრულება იმეორებდა მოსკოვის ხელშეკრულების დებულებას და შედგებოდა 20 მუხლისა და სამი დამატებისააგან. ხელშეკრულების პირველი მუხლით ოფიციალურად გაუქმდა 1918-1920 წლებში ხელმოწერილი ხელშეკრულებები ამიერკავკასიის მთავრობებსა და ოსმალეთის მთავრობას შორის.

ყარსის ხელშეკრულება აფართოებდა და ამტკიცებდა ამ ქვეყნებს შორის ეკონომიკურ და კულტურულ კავშირებს.

თურქეთისათვის ყარსის ხელშეკრულებას დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა, მან მოხსნა ომის საშიშროება კავკასიაში და უზრუნველყო თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთის საზღვრების ხელუხლებლობა.

1921 წლის აგვისტოში საბჭოთა უკრაინის მთავრობამ მ. ფრუნზე დანიშნა თურქეთში სრულუფლებიან და საგანგებო ელჩად.

13 დეკემბერს უკრაინის მისია, ფრუნზეს მეთაურობით, ჩავიდა ანკარაში. გზაში მას მოსახლეობა დიდი პატივით ხვდებოდა.

2 დეკემბერს ფრუნზემ გადასცა რწმუნების სიგელი მუსტაფა ქემალს, ფრუნზე ვრცელი მოხსენებით გამოვიდა თურქეთის მეჯლისის სხდომაზე. მან დაწვრილებით მოუთხრო საბჭოთა რუსეთის საბრძოლო საქმიანობაზე ანტანტის წინააღმდეგ ბრძოლაში. მ. ფრუნზემ დაათვალიერა ფრონტის ხაზი, თურქეთის არმიის სამხედრო ნაწილები და თავისი სამხედრო გამოცდილება გაუზიარა თურქეთის არმიის ოფიცრებს.

25 დეკემბერს – 2 იანვარს მიმდინარეობდა უკრაინა-თურქეთის კონფერენცია, ხელმოწერილ იქნა უკრაინასა და თურქეთს შორის მეგობრობისა და ძმობის ხელშეკრულება, რომელიც 16 მარტის მოსკოვის ხელშეკრულების ანალოგიური იყო. ამ ხელშეკრულებას ჰქონდა დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა.

5 იანვარს ფრუნზე ანკარიდან სამშობლოში გაემგზავრა.

12. ანატოლიის განთავისუფლება ოკუპანტებისაგან და მუდანიის დროებითი ზავი

1921 წლის დასაწყისში თურქებმა მიადწიეს პირველ წარმატებას დასავლეთის ფრონტზე ინტერვენტების წინააღმდეგ ბრძოლაში. 1921 წლის 10 იანვარს სოფელ ინონუსთან ბერძენთა შეტევა შეჩერებული იქნა. ეს ჯერ კიდევ არ იყო ნამდვილი გამარჯვება. თურქებმა ვერ შეძლეს წინ წაწევა, მაგრამ ამ მცირე გამარჯვებამ განამტკიცა ანკარის მთავრობის მდგომარეობა.

საფრანგეთისა და იტალიის წარმომადგენლებმა მოითხვეს კონფერენციის მოწვევა რათა დიპლომატიური გზით მოეგვარებინათ საბერძნეთ-თურქეთის კონფლიქტი.

1921 წლის თებერვალში ლონდონში მოიწვიეს კონფერენცია, რომლის მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ ოსმალეთის როგორც „კანონიერი" სტამბოლის მთავრობის, ასევე ანკარის მთავრობის წარმომადგენლებიც. კონფერენციას რაიმე არსებითი შედეგი არ მოუტანია, მაგრამ თვით ეს ფაქტი, რომ კონფერენციაზე მიწვეულ იქნენ ანაკარის მთავრობის წარმომადგენლები, ქემალისტების გამარჯვების მომასწავებელი იყო.

ლონდონის კონფერენციის ჩაშლის შემდეგ ბერძნებმა განაახლეს შეტევა. 1921 წლის 31 მარტს ბერძნებმა ხელმეორედ განიცადეს დამარცხება სოფელ ინონუსთან, მაგრამ 1921 წლის ზაფხულში მათ ახალი შეტევა დაიწყეს.

ინგლისელები მთელ იმედებს კვლავ საბერძნეთის არმიაზე ამყარებდნენ, რომელიც მათ აღჭურვეს თანამედროვე სამხედრო ტექნიკით: ტანკებით, ზარბაზნებით და სხვ. არმიას სათავეში ჩაუდგა პირადად საბერძნეთის მეფე კონსტანტინე, ბიზანტიის იმპერატორის გვირგვინზე მეოცნებე.

საბერძნეთის არმია 100 ათას ჯარისკაცს ითვლიდა, ხოლო თურქებისა – 50 ათასს. ბერძენთა შეტევის შედეგად თურქეთის ჯარები უკან იხევდნენ. აგვისტოს დასაწყისში ფრონტის ხაზი ანკარას უახლოვდებოდა. თურქეთი კრიტიკულ მდგომარეობაში აღმოჩნდა თურქეთის სასულიერო პირებმა დაიწყეს ქემალის წინააღმდეგ გამოსვლები.

15 აგვისტოს საბერძნეთის მეფემ, კონსტანტინემ გამოსცა ბრძანება ანკარის წინააღმდეგ შეტევის დაწყების შესახებ.

ასეთ ვითარებაში თურქეთის დიდმა ეროვნულმა კრებამ მუსტაფა ქემალი განუსაზღვრელი უფლებებით დანიშნა ჯარების უმაღლეს მთავარსარდლად. მან გაატარა მთელი რიგი ღონისძიებები ქვეყნის თავდაცვის განმტკიცების მიზნით.

მუსტაფა ქემალ ფაშამ გამოამჟღავნა დიდი მხედართმთავრული და სამხედრო-ორგანიზატორული ნიჭი, მთელი მოსახლეობა დაირაზმა სამშობლოს დასაცავად: რეგულარული ჯარის ნაწილებთან ერთად ათასობით მოხალისე იბრძოდა, ქალები, მოხუცები, ჭაბუკები, თხრიდნენ სანგრებს, აგებდნენ გამაგრებულ პუნქტებს. მოჰქონდათ ფრონტის ხაზზე საჭმელ-სასმელი, უვლიდნენ დაჭრილებს, ხელოსნები და მუშები დღე და ღამე ამზადებდნენ საბრძოლო იარაღს.

1921 წლის 23 აგვისტოს მდინარე საკარიას მარცხენა ნაპირზე დაიწყო ცხარე ბრძოლა. საკარიასთან ბრძოლები 22 დღე გაგრძელდა და თურქეთის გამარჯვებით დამთავრდა.

13 სექტემბერს მდ. საკარიას აღმოსავლეთით აღარ დარჩენილა არც ერთი ბერძენი ჯარისკაცი. ამ გამარჯვების აღსანიშნავად თურქეთის დიდმა ეროვნულმა კრებამ მუსტაფა ქემალ ფაშას მარშლის ჩინი და ღაზის (გამარჯვებულის) ტიტული უბოძა.



მუსტაფა ქემალი

საკარიასთან ბრძოლის შემდეგ ერთიანი ანტითურქული ფრონტი საბოლოოდ დაიშალა. 1921 წლის 20 ოქტომბერს საფრანგეთის მთავრობამ, დარწმუნდა რა თურქეთის სიძლიერეში, ხელი მოაწერა სეპარატულ ხელშეკრულებას, რომლითაც სცნო თურქეთის დიდი ეროვნული კრება თურქეთის ხელისუფლების უმაღლეს ორგანოდ და უარი განაცხადა მის წინააღმდეგ ბრძოლაზე. საფრანგეთის არმიამ დატოვა კილიკია. ევაკუაციის დროს საფრანგეთის მთავრობამ, თურქეთს მიჰყიდა 200 მილიონი ფრანკის სამხედრო საჭურველი. საფრანგეთთან დაზავებამ საშუალება მისცა თურქეთს კილიკიიდან ჯარები გადაესროლა დასავლეთის ფრონტზე.

ცოტა ხნით ადრე იტალიამ თავისი არმია გამოიყვანა ანატოლიიდან მხოლოდ ინგლისი აქეზებდა საბერძნეთს გაეგრძელებინა ომი თურქეთის წინააღმდეგ.

საკარიასთან ბრძოლის შემდეგ დასავლეთის ფრონტზე ხანგრძლივი დროის განმავლობაში შეწყდა საომარი ოპერაციები, რამაც თურქეთს საშუალება მისცა მომზადებულიყო გადამწვეტი ბრძოლისათვის.


1922 წლის მეორე ნახევრისათვის თურქეთის არმია ორგანიზებული იქნა და მზად იყო გენერალური შეტევისათვის, დასავლეთის ფრონტზე ქემალისტებმა ორი არმია შეადგინეს, რომელთა საერთო რაოდენობა 110 ათას კაცს შეადგენდა. საბერძნეთის არმია გაცილებით უკეთ იყო შეიარაღებული.

1922 წლის 26 იანვარს ანკარაში ჩავიდა საბჭოთა რუსეთის ახალი ელჩი ს. არალოვი. მას ჰქონდა დიდი საბრძოლო გამოცდილება, მიღებული სამოქალაქო ომის დროს. მან დიდი როლი ითამაშა რუსეთ-თურქეთის მეგობრული ურთიერთობის განმტკიცების საქმეში. არალოვმა მეგობრული ურთიერთობა დაამყარა მუსტაფა ქემალთან და იყო მისი ხშირი სტუმარი. არალოვი მუსტაფა ფაშასთან ერთად ესწრებოდა სამხედრო ნაწილების წვრთნას და უზიარებდა მას თავის საბრძოლო გამოცდილებას.

1922 წლის 26 აგვისტოს თურქეთის არმია შეტევაზე გადავიდა, გაარღვია ფრონტის ხაზი და, ორი დღის ბრძოლის შედეგად, 50 კმ-ით წინ წაიწია: თურქეთის არმიამ დომლუპინართან ბრძოლაში სასტიკად დაამარცხა საბერძნეთის არმიის მნიშვნელოვანი დაჯგუფება, ხელში ჩაიგდო მისი შტაბი და დაატყვევა გენერალი ტრიკუპისი 5 ათასი ჯარისკაცითურთ.

1 სექტემბერს საბერძნეთის მეფემ გადააყენა ჯარების მთავარსარდალი და მის ადგილზე დანიშნა გენერალი ტრიკუპისი, რომელმაც ეს ამბავი გაიგო თურქებთან ტყვედ ყოფნის დროს.

შვიდი დღის სამხედრო ოპერაციების შედეგად თურქებმა ხელთ იგდეს 200 ქვემეხი, 2 ათასი ტყვიამფრქვევი, 950 ავტომანქანა, რამდენიმე თვითმფრინავი, 12 ათასი ჯარისკაცი, 500 ოფიცერი და 2 გენერალი.



იზმირი (სმირნა) განთავისუფლებულია ინტერვენტებისაგან

6 სექტემბერს თურქებმა დაიკავეს ბურსა, 9 სექტემბერს – იზმირი. 18 სექტემბრისათვის მთელი თურქეთის ტერიტორია განთავისუფლებულ იქნა საბერძნეთის ჯარებისაგან.

23 სექტემბერს მოკავშირეებმა წინადადება შესთავაზეს თურქეთს მოწვეულიყო სამშვიდობო კონფერენცია ზავის დადების მიზნით.

3 ოქტომბერს მუდანიაში გაიხსნა კონფერენცია დროებითი ზავის დადების მიზნით. თურქეთის დელეგაციას მეთაურობდა დასავლეთის ფრონტის მთავარსარდალი ისმეთ ფაშა (ინონუ). კონფერენციას ესწრებოდნენ ინგლისის, საფრანგეთის, იტალიისა და საბერძნეთის წარმომადგენლები. თურქეთის წარმომადგენელმა მოითხოვა, რომ საბერძნეთის არმიას გაეთავისუფლებინა აღმოსავლეთ თრაკია. ბერძნები იძულებულნი გახდნენ, გარკვეული წინააღმდეგობის შემდეგ, დაეტოვებინათ აღმოსავლეთ თრაკია.

1922 წლის 11 ოქტომბერს მუდანიაში ხელმოწერილ იქნა დროებითი ზავი თურქეთსა და ანტანტის სახელმწიფოებს შორის.

მუდანიის ზავი იყო კომპრომისული შეთანხმება თურქეთსა და ანტანტას შორის. თურქეთმა, საომარი ოპერაციების გარეშე, დაიბრუნა აღმოსავლეთ თრაკია, ხოლო ანტანტის სახელმწიფოებმა მიიღეს უფლება, რომ სამშვიდობო საზავო კონფერენციის მოწვევამდე თავისი ჯარები დაეტოვებინათ სტამბოლსა და სრუტეების ზონაში.

თავი II

ლოზანის კონფერენცია


1. ლოზანის კონფერენციის გახსნა

ლოზანის კონფერენციაზე თურქეთის დელეგაცია გამარჯვებული ჩავიდა. სევრის კაბალური ხელშეკრულება, ქემალისტების მიერ მოპოვებული გამარჯვების შედეგად, გაუქმებულ იქნა. მაგრამ ლოზანის კონფერენციაზე ანტანტის სახელმწიფოები არ აპირებდნენ თავიანთი პოზიციების დათმობას. მართალია, ინტერვენციის დროს ანტანტის სახელმწიფოებს შორის გარკვეულმა უთანხმოებამ იჩინა თავი, მაგრამ ლოზანის კონფერენციის გახსნის პერიოდში ისინი კვლავ ერთობლივად მოქმედებდნენ. მათ იმედი ჰქონდათ, რასაც ვერ მიაღწიეს ომის შედეგად, იმის მოპოვებას შესძლებდნენ დიპლომატიური გზით.

ანტანტის სახელმწიფოებმა გადაწყვიტეს კონფერენციაზე მიეწვიათ როგორც სულთნის მთავრობის, ისე ქემალისტების დელეგაცია და ამათ შორის განხეთქილება კიდევ უფრო გაემწვავებინათ. ეს კი ხელსაყრელი იქნებოდა ანტანტის დიპლომატებისათვის. მუსტაფა ქემალმა ჩაშალა ანტანტის ეს განზრახვა. 1920 წლის 1 ნოემბერს თურქეთის დიდმა ეროვნულმა კრებამ გააუქმა სულთნის საერო ხელისუფლება და ამის შედეგად არსებობა შეწყვიტა სულთნის სტამბოლის მთავრობამ.

ანტანტამ აგრეთვე სცადა თურქეთის პარლამენტში ქემალისტების წინააღმდეგ არსებული ოპოზიცია თავისი მიზნების ინტერესების სასარგებლოდ გამოეყენებინა.

თურქეთის პარლამენტში არსებულმა ოპოზიციამ მოითხოვა, რომ ლოზანის კონფერენციაზე დელეგაციის მეთაურად დაენიშნათ პრემიერ-მინისტრი რაუფ ბეი, რომელიც დასავლეთის ქვეყნებთან დაახლოების მომხრე იყო. მაგრამ მუსტაფა



ისმეთ ინონუ ლოზანის კონფერენციაზე, მარცხნიდან მეორე

ქემალმა დელეგაციის მეთაურად დანიშნა ისმეთ ფაშა, თავისი უახლოესი თანამებრძოლი, რომელიც იყო დასავლეთის ფრონტის მთავარსარდალი და შემდეგ – საგარეო საქმეთა მინისტრი.

ქვეყნიდან ინტერვენტების განდევნის შემდეგ საჭირო იყო სამშვიდობო საზავო კონფერენციის მოწვევა, რომელზედაც საბოლოოდ დადგენილი იქნებოდა თურქეთის სახელმწიფო საზღვრები და დამყარდებოდა მშვიდობიანი ურთიერთობა ანტანტის სახელმწიფოებთან. ასეთი კონფერენცია მოიწვიეს 1922 წლის 20 ნოემბერს ლოზანაში (შვეიცარია), რომელიც მიმდინარეობდა მეტად დაძაბულ ვითარებაში.

ლოზანის კონფერენცია იყო თურქეთის ეროვნულ-გამანთავისუფლებელი ბრძოლის შემაჯამებელი, დასკვნითი ეტაპი. მას უნდა მოეწესრიგებინა თურქეთსა და დასავლეთის სახელმწიფოებს შორის ფინანსურ-ეკონომიკური საკითხები, კაპიტულაციების რეჟიმი, დაედგინა სახმელეთო და საზღვაო საზღვრები, აგრეთვე უნდა გადაეწყვიტა ანტანტის სახელმწიფოების მიერ თურქეთის დამოუკიდებლობის ცნობის საკითხი და სხვ.

ლოზანის კონფერენციას ესწრებოდნენ თურქეთის, ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის, იაპონიის, საბერძნეთის, იუგოსლავიისა და რუმინეთის წარმომადგენლები. აშშ-მა კონფერენციაზე გამოგზავნა თავისი მეთვალყურე.

ანტანტის სახელმწიფოებმა საბჭოთა რუსეთი არ მიიწვიეს კონფერენციაზე იმ მოტივით, რომ იგი არ იღებდა მონაწილეობას თურქეთის წინააღმდეგ ომში. ანტანტის დიპლომატები თვლიდნენ, რომ რუსეთის კონფერენციაზე მონაწილეობის შემთხვევაში, იგი ბევრ საკითხში, თურქეთს დაუჭერდა მხარს. ეს კი მათ ინტერესებში არ შედიოდა.

კონფერენციის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა იყო შეემუშავებინა შავი ზღვის სრუტეების ახალი სტატუსი. სრუტეების საკითხის განხილვისას. კონფერენციაზე მიწვეული იყვნენ საბჭოთა რუსეთის, უკრაინის, საქართველოსა და ბულგარეთის წარმომადგენლები.

თურქეთის დელეგაციას მეთაურობდა საგარეო საქმეთა მინისტრი ისმეთ ფაშა (ინონუ). კონფერენციის თავმჯდომარედ აირჩიეს ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრი ლორდი კერზონი.

კონფერენციაზე დასმული საკითხების განსახილველად შეიქმნა სამი კომისია: 1 ტერიტორიული და პოლიტიკური. ეს კომისია განიხილავდა აგრეთვე სრუტეების საკითხსაც. მისი თავმჯდომარე იყო კერზონი (ინგლისი). 2. თურქეთში უცხოელების მდგომარეობის კომისია (თავმჯდომარე იყო იტალიის წარმომადგენელი) და 3. ფინანსურ-ეკონომიკური კომისია (თავმჯდომარე იყო საფრანგეთის წარმომადგენელი).

ლოზანის კონფერენციის სხდომები მიმდინარეობდა დაძაბულ ატმოსფეროში როგორც თვით მოკავშირეებს, ასევე თურქებსა და მოკავშირეთა შორის, კონფერენციის მსვლელობის დროს წარმოიქმნა მნიშვნელოვანი უთანხმოებანი მრავალ საკითხთან დაკავშირებით, რთული იყო თურქეთის საზღვრის დადგენა. განსაკუთრებით წინააღმდეგობას წააწყდნენ მოსულთან დაკავშირებით, აგრეთვე კაპიტულაციებისა და სახელმწიფო ვალის გადახდის საკითხში. ვერ მოხერხდა სრუტეების ისეთი სტატუსის შემუშავება, რომელიც მისაღები იქნებოდა შავიზღვისპირა სახელმწიფოებისათვის. ყოველივე ამის გამო მოლაპარაკება დროებით შეწყდა.

2. თურქეთის საზღვრების საკითხი

თურქეთის ევროპული საზღვრების საკითხი ფაქტიურად გადაწყდა ბრძოლის ველზე. 1922 წლის 24 სექტემბრის ნოტით ანტანტის სახელმწიფოები დათანხმდნენ თურქეთისათვის დაებრუნებინათ აღმოსავლეთ თრაკია მდ. მარიცამდე, რაზედაც საფრანგეთმა თანხმობა განაცხადა. თურქეთის დელეგაცია ლოზანის კონფერენციაზე მოითხოვდა 1913 წლის კონსტანტინოპოლის ხელშეკრულებით დადგენილ საზღვრების აღდგენას და მისთვის ადრიანოპოლისა და ყარააღაჩის გადაცემას, აგრეთვე დასავლეთ თრაკიაში პლებისციტის ჩატარებას. ამის წინააღმდეგ გამოვიდნენ საბერძნეთი და მოკავშირეთა სახელმწიფოები და თურქეთის მოთხოვნა უარყოფილი იქნა.

საზღვარი თურქეთსა და სირიას შორის დადგენილ იქნა 1921 წლის 20 ოქტომბერს, საფრანგეთსა და თურქეთს შორის დადგენილი ხელშეკრულებით. თურქეთის დელეგაციამ მოითხოვა საზღვრის გადასინჯვა ალექსანდრიეტას რაიონში, მაგრამ, ფრანგებმა ამაზე კატეგორიული უარი განაცხადეს.

ძალზე გაძნელდა საზღვრის დადგენა თურქეთსა და ერაყს შორის. განსაკუთრებით მწვავედ იდგა ნავთობით მდიდარი მოსულის რაიონის საკითხი, თურქეთის დელეგაციამ წარმოადგინა იმის დამამტკიცებელი დოკუმენტი, რომ მოსულის რაიონი თურქეთს ეკუთვნოდა. ინგლისმა უარყო თურქეთის პრეტენზიები და მოითხოვა მოსულის რაიონი გადაცემოდა ერაყს. ერაყზე მანდატს კი ინგლისი ფლობდა. დისკუსია მოსულის საკითხზე გაჭიანურდა და ინგლისმა მოითხოვა ეს საკითხი გადაცემოდა ერთა ლიგის საარბიტრაჟო კომისიას, თურქეთის დელეგაცია კი ითხოვდა პლებისციტის ჩატარებას მოსულის რაიონში, ეს საკითხი ღიად დარჩა და ამოღებულ იქნა კონფერენციის პროგრამიდან.

თურქეთს გადაეცა ეგეოსის ზღვაზე მდებარე კუნძულები იმბროსი (იმროზი), ტენედოსი (ბოზდაადა) და სხვა პატარ-პატარა კუნძულები, რომლებიც მდებარეობდა სამი მილის დაშორებით აზიური სანაპიროდან.

თურქეთის აღმოსავლეთის საზღვრის საკითხი კონფერენციაზე არ განხილულა, რადგანაც იგი მოგვარებული იყო საბჭოთა რუსეთსა და ამიერკავკასიის რესპუბლიკებთან დადებული ხელშეკრულებების საფუძველზე.

3. შავი ზღვის სრუტეების საკითხი

განსაკუთრებით დიდხანს გაგრძელდა სრუტეების სტატუსის განხილვა, კონფერენციაზე წარმოდგენილი იქნა სრუტეების კონვენციის სამი პროექტი: ინგლისის, თურქეთისა და საბჭოთა რუსეთის. ლოზანას კონფერენციის დაწყებამდე 1922 წლის 24 სექტემბერს რუსეთის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატმა ნოტით მიმართა საფრანგეთის პრემიერს და საგარეო საქმეთა მინისტრს პუანკარეს, დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრს კერზონს და იტალიის, იუგოსლავიის, ბულგარეთის, რუმინეთის, საბერძნეთისა და ეგვიპტის საგარეო საქმეთა სამინისტროებს. ნოტაში ნათქვამი იყო, რომ „არავითარი გადაწყვეტილება სრუტეების შესახებ, მიღებული რუსეთის მონაწილეობის გარეშე, არ იქნება საბოლოო და ხანგრძლივი. ის მხოლოდ ახალი კონფლიქტებისათვის შექმნის ნიადაგს". კონფერენციის მოწვევასთან დაკავშირებით ვ. ი. ლენინს ესაუბრა ინგლისური გაზეთების „ობსერვერის" და „მანჩესტერ გარდიენ"-ის კორესპოდენტს მოსკოვში ფარბმანს. კორესპოდენტების შეკითხ-

ვაზე: „როგორია რუსეთის პროგრამა სრუტეების გადაწყვეტის საკითხში?“ ვ. ი. ლენინმა უპასუხა: ჩვენი პროგრამა სრუტეების შესახებ (ჯერ კიდევ დაახლოებით, რასაკვირველია) შესდგება სხვათა შორის: პირველი, თურქეთის ნაციონალურ მისწრაფებათა დაკმაყოფილება; მეორე, ჩვენი პროგრამა მოიხოვს სრუტეების დახურვას ყველა სამხედრო გემისათვის, როგორც მშვიდობიანი, ისე ომის დროს. ეს არის – უშუალოდ უახლესი სავაჭრო ინტერესები ყველა სახელმწიფოსი, არა მხოლოდ მათი, რომელთა ტერიტორია უშუალოდ ეხება სრუტეებს, არამედ ყველა დანარჩენისა.... მესამე, ჩვენი პროგრამა სრუტეების შესახებ ითვალისწინებს სავაჭრო ნაოსნობის სრულ თავისუფლებას“.

1922 წლის 4 დეკემბერს საბჭოთა რუსეთის დელეგაციის მეთაურმა ჩიჩერინმა ჩამოაყალიბა საბჭოთა რუსეთის პოზიცია სრუტეების საკითხთან დაკავშირებით, შავი ზღვის სრუტეები უნდა დახურული ყოფილიყო ყველა სამხედრო გემისათვის მშვიდობიანობისა და ომის დროს, ხოლო მშვიდობიანობის დროს სრუტეების ზონა უნდა გამოცხადებულიყო ნეიტრალურად და იქ მყოფი სამხედრო ნაგებობები დაქვემდებარებოდა დანგრევასა და დემონტაჟს.

თურქეთს უფლება უნდა ჰქონოდა გაემაგრებინა და შეეიარაღებინა სრუტეები, სტამბოლსა და სრუტეებზე თავდასხმის შემთხვევაში. სრუტეებზე ნაოსნობის რეგულირების მიზნით უნდა შექმნილიყო საერთაშორისო კომისია თურქეთის წარმომადგენელის თავმჯდომარეობით.

სრულიად საწინააღმდეგო იყო ინგლისის პროექტი სრუტეების რეჟიმის სტატუსის შესახებ. ინგლისის პროექტის მიხედვით, სრუტეებით სარგებლობა შეეძლო ყველა ქვეყნის სამხედრო გემებს როგორც მშვიდობიანი, ისე ომის დროს, უნდა მომხდარიყო სრუტეების დემილიტარიზაცია.

ინგლისი მოითხოვდა სტამბოლის გარნიზონის შემცირებას 10 ათას ჯარისკაცამდე და სრუტეებზე თავისუფალ ნაოსნობას ყველა ქვეყნის სავაჭრო გემებისათვის.

ინგლისის მიერ შედგენილი სრუტეების სტატუსის პროექტი მიმართული იყო საბჭოთა რუსეთისა და შავიზღვისპირა სახელმწიფოების წინააღმდეგ, რადგან იგი შესაძლებლობას იძლეოდა გამოეყენებინათ სრუტეები ანტისაბჭოთა მიზნით. მიუხედავად იმისა, რომ ინგლისის პროექტმა შელახა თურქეთისა და შავიზღვისპირა ქვეყნების ინტერესები, მას მხარი დაუჭირეს საფრანგეთის, იტალიის, იაპონიის და სხვა სახელმწიფოების დელეგატებმა.

თურქეთის სრუტეების პროექტი აღიარებდა სრუტეებზე თავისუფალ მიმოსვლას ყველა ქვეყნის სავაჭრო გემებისათვის და თურქეთის სუვერენიტეტის დაცვას სრუტეებსა და სტამბოლზე. აკრძალული იყო შავ ზღვაზე უცხოეთის სამხედრო გემების ყოფნა. დისკუსიის მსვლელობის დროს თურქეთის დელეგაციამ მიანიშნა, რომ იგი დათმობაზე წავიდოდა იმ შემთხვევაში, თუ მიიღებდა გარკვეულ შეღავათს ფინანსურ-ეკონომიკურ საკითხში. ამის გამო მოხდა მათ შორის შეთანხმება და თურქეთის დელეგაციამ მხარი დაუჭირა ინგლისის პროექტს.

სრუტეების ახალი კონვენციით, ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებზე მმართველობა გადაეცა „სრუტეების საერთაშორისო კომისიის სამმართველოს“, რაც ფაქტიურად მოასწავებდა მასზე ანტანტის სახელმწიფოების კონტროლის დაწესებას.

კონვენციის მიხედვით უცხოურ სამხედრო გემებს, განურჩევლად ტონაჟისა, ყოველ დროს, თურქეთის მთავრობისათვის წინასწარი გაფრთხილების გარეშე, შეეძლოთ სრუტეებით სარგებლობა. ხდებოდა სრუტეების ზონის დემილიტარიზაცია, თურქეთს ეკრძალებოდა იქ ჯარების ყოლა და სიმაგრეების აგება.

კონვენციის რიგი პუნქტები ლახავდა თურქეთის სუვერენიტეტს და ამავე დროს მიმართული იყო საბჭოთა რუსეთისა და შავიზღვისპირა ქვეყნების წინააღმდეგ. საბჭოთა რუსეთის მთავრობამ არ მოახდინა შავი ზღვის სრუტეების კონვენციის რატიფიკაცია, რადგან იგი არ პასუხობდა საბჭოთა რუსეთის ინტერესებს.

4. კაპიტულაციების რეჟიმის გაუქმება

კაპიტულაციების რეჟიმი იყო ერთ-ერთი იარაღი თურქეთის საშინაო საქმეებში ჩარევისა და მისი ეკონომიკური დაკაბალებისა. თავდაპირველად კაპიტულაციები გულისხმობდა გარკვეულ შეღავათებსა და პრივილეგიებს, რომელსაც ოსმალეთის სულთანი თავისი ნება-სურვილით აძლევდა უცხოელ კომერსანტებს ოსმალეთის სახელმწიფოს ტერიტორიაზე ვაჭრობის დროს. იმ პერიოდში, როდესაც ოსმალეთის იმპერია იმყოფებოდა თავისი ძლიერების ზენიტში, სულთანს შეეძლო, საჭიროების შემთხვევაში, მის მიერ ბოძებული შეღავათებისა და პრივილეგიების გაუქმება. მაგრამ თანდათანობით, ოსმალეთის იმპერიის დასუსტების შედეგად, დიდმა სახელმწიფოებმა კაპიტულაციები გადააქციეს სახელშეკრულებო ვალდებულებებად და დაამყარეს პრივილეგიების განსაკუთრებული რეჟიმი თავისი ქვეშევრდომებისათვის.

დიდი სახელმწიფოები საუკუნეთა განმავლობაში თავგამოდებით იცავდნენ და აფართოებდნენ ამ პრივილეგიებს და ყოველთვის, როცა თურქები აყენებდნენ საკითხს კაპიტულაციების რეჟიმის გაუქმების შესახებ, ისინი ერთიანი ფრონტით გამოდიოდნენ ამის წინააღმდეგ.

1914 წლის სექტემბერში ოსმალეთმა გამოაცხადა კაპიტულაციების რეჟიმი გაუქმებულად. დიდმა სახელმწიფოებმა უარი თქვეს ეცნოთ ოსმალეთის მთავრობის ეს გადაწყვეტილება. 1918 წელს, ოსმალეთის ომიდან გამოსვლის შემდეგ, მათ დაუყოვნებლივ აღიდგინეს თავისი პრივილეგიები. ინტერვენტების დამარცხების შემდეგ ქემალისტებმა განაცხადეს, რომ კაპიტულაციები შეუთავსებელია თურქეთის სუვერენული სახელმწიფოს სტატუსთან.

ლოზანის კონფერენციაზე მოკავშირეებმა დასვეს კაპიტულაციების რეჟიმის აღგენის საკითხი. ამან გამოიწვია მწვავე დისკუსია და გახდა ერთ-ერთი მიზეზი კონფერენციის მსვლელობის შეწყვეტისა.

მოკავშირეთა სახელმწიფოები ბოლოს დათანხმდნენ კაპიტულაციების გაუქმებას, მაგრამ მოითხოვეს გარანტიები გარდამავალი პერიოდისათვის, რასაც თურქეთის დელეგაცია არ დათანხმდა და მოითხოვა კაპიტულაციების გაუქმება, საბჭოთა რუსეთი პირველი სახელმწიფო იყო, რომელმაც მხარი დაუჭირა კაპიტულაციების რეჟიმის გაუქმებას. ასეთ ვითარებაში ანტანტის სახელმწიფოები იძულებული შეიქნენ დათანხმებულიყვნენ კაპიტულაციების რეჟიმის გაუქმებას.

5. ფინანსურ-ეკონომიკური საკითხები

ლოზანის კონფერენციაზე ანტანტის სახელმწიფოები ცდილობდნენ შეენარჩუნებინათ თურქეთზე თავიანთი ფინანსური და ეკონომიკური კონტროლი.

ფინანსურ-ეკონომიკური საკითხების დეტალური შესწავლის მიზნით შეიქმნა ხუთი ქვეკომისია: პირველი – საგარეო სახელმწიფო ვალისა და რეპარაციების,

მეორე – კავშირგაბმულობისა და ტრანსპორტის, მესამე – საბაჟოებისა და სავაჭრო რეჟიმის, მეოთხე – ომის წლებსა და ოკუპაციის პერიოდში ეკონომიკური საკითხებისა და მეხუთე – სანიტარული საკითხების განსახილველად.

ჯერ კიდევ 1920 წელს თურქეთის მთავრობამ აღიარა, რომ გადაიხდიდა სულთნის მთავრობის ვალს. 1920 წლის ბიუჯეტში თურქეთის მთავრობამ დაგეგმა, რომ გადაიხდიდა სახელმწიფო ვალის პროცენტს, რაც შეადგენდა 7680 ათას ქაღალდის ლირას. 1921 წლის აპრილში გადაიხადეს პირველი შენატანი, 1922 წლის ივლისში – მეორე. ამის გამო ლოზანის კონფერენციაზე მოლაპარაკება ეხებოდა საერთო თანხის დადგენასა და მის განაწილებას იმ სახელმწიფოებზე, რომლებიც გამოეყვნენ ოსმალეთის 1912-1913 წლების ბალკანეთისა და 1914-1918 წლების მსოფლიო ომის შედეგად.

ფინანსური ექსპერტების გამოანგარიშებით, თურქეთის საგარეო ვალი 1914 წლის 1 ნოემბრისათვის შეადგენდა 143 მილიონ თურქულ ოქროს ლირას.

სერიოზული კამათი გამოიწვია ომის დროინდელი ვალების გადახდის საკითხმა, რომლის საერთო თანხა შეადგენდა 289 მილიონ ოქროს ლირას. მოკავშირეები მოითხოვდნენ, რომ მთელი ეს თანხა უნდა გადაეხადა თურქეთს, ხოლო თურქები მოითხოვდნენ ომის წლების ხარჯები განაწილებულიყო მთელი ოსმალეთის იმპერიის ტერიტორიაზე 1914 წლის საზღვრებში.

კიდევ უფრო დიდი კამათი გამოიწვია მოკავშირეთა საოკუპაციო ჯარების შენახვის ხარჯებმა, დაწყებული 1918 წლის 30 ოქტომბრიდან. ამ ვალის საერთო რაოდენობა, ანტანტის ქვეყნების გამოანგარიშებით, შეადგენდა 50 მილიონ ოქროს ლირას. თურქეთმა უარი განაცხადა გადაეხადა საოკუპაციო ჯარის ხარჯები და მოითხოვა აენაზღაურებინა ის ზარალი, რომელიც განიცადა თურქეთის მოსახლეობამ, ოკუპაციის შედეგად.

ასევე სერიოზული წინააღმდეგობა გამოიწვია ზარალის ანაზღაურების საკითხმა, რომელიც განიცადეს მოკავშირე ქვეყნების ქვეშევრდომებმა და სხვადასხვა კომპანიებმა პირველი მსოფლიო ომის დროს, რომლის საერთო თანხა შეადგენდა 65 მილიონ ოქროს ლირას.

თავის მხრივ, თურქეთმა მოითხოვა საბერძნეთის რეპარაციების გადახდა 4 მილიონ ოქროს ლირას ოდენობით; ხოლო მოკავშირეებს – აენაზღაურებინათ მიყენებული ზარალი 2 მილიარდი ოქროს ფრანკის ოდენობით.

ფინანსურ საკითხებზე წარმოქმნილმა უთანხმოებებმა გამოიწვია ლოზანის კონფერენციის ჩაშლა, წინააღმდეგობას იწვევდა აგრეთვე კაპიტულაციების საკითხი და თურქეთში ეროვნულ უმცირესობათა მდგომარეობა.

1923 წლის 23 იანვარს მოკავშირეებმა თურქეთს წარუდგინეს საზავო ხელშეკრულების პროექტი. იგი შედგებოდა 9 განყოფილებისა და 160 მუხლისაგან, ფაქტიურად ეს იყო სევრის ხელშეკრულების ახალი ვარიანტი, რომელიც საგრძნობლად ბღალავდა თურქეთის ეროვნულ ინტერესებსა და დამოუკიდებლობას. თურქეთმა უარი განაცხადა მიეღო მოკავშირეთა ხელშეკრულების პროექტი.

1923 წლის 4 თებერვალს კონფერენციამ შეწყვიტა მუშაობა. მიუხედავად ამისა, მოკავშირეებმა ვერ გაბედეს განეახლებინათ საომარი ოპერაციები თურქეთის წინააღმდეგ.

6. კონფერენციის მუშაობის განახლება და შედეგები

კონფერენციის ჩაშლის შემდეგ თურქეთში გაძლიერდა მუსტაფა ქემალის წინააღმდეგ გამოსვლები, თავი წამოყო ოპოზიციამ.

ფეოდალურ-კლერიკალური და კომპრადორული ბურჟუაზიის ოპოზიციის დეპუტატებმა გადაწყვიტეს ესარგებლათ დაძაბული მდგომარეობით და მიეყენებინათ დარტყმა ბურჟუაზიულ გარდაქმნათა მომხრეებზე, მუსტაფა ქემალის მეთაურობით, ისინი კვლავ მოითხოვდნენ, რომ გადაეცათ ხელისუფლება სულთნისათვის და წასულიყვნენ დათმობაზე მოკავშირეთა მიმართ, მაგრამ უშედეგოდ.

7 მარტს პარლამენტის სხდომაზე დეპუტატების უმრავლესობამ უარყო მოკავშირეთა მიერ შემოთავაზებული საზავო ხელშეკრულების პროექტი, გამოუცხადა ნდობა თურქეთის დელეგაციას და დაავალა მას გაეგრძელებინა მოლაპარაკება, რომელიც შეესაბამებოდა თურქეთის პოლიტიკურ ეკონომიკურ დამოუკიდებლობას.


თურქეთის მთავრობამ შეიმუშავა სამშვიდობო ხელშეკრულების პროექტი, მასში მოკავშირეთა პროექტის 126 მუხლიდან უცვლელად დატოვეს 17, 22 ამოიღეს, დანარჩენ მუხლებში შეიტანეს არსებითი ცვლილებები.

1923 წლის 1 მარტს მოკავშირეთა დელეგაციების მეთაურები შეიკრიბნენ ლონდონში თურქეთის კონტრპროექტის განსახილველად. 27 მარტს მოკავშირეები დათანხმდნენ განეახლებინათ მოლაპარაკება.

23 აპრილს გაიხსნა ლოზანის კონფერენციის მეორე სესია. პირველი სესიისაგან განსხვავებით, იგი მიმდინარეობდა უფრო მშვიდობის ატმოსფეროში, მხარეები ცდილობდნენ მიეღწიათ შეთანხმებისათვის.

1923 წლის 24 ივლისს ხელი მოაწერეს სამშვიდობო საზავო ხელშეკრულებას.

ლოზანის ხელშეკრულებით, თურქეთმა უარი თქვა თავის უფლებებზე ერაყზე, სირიაზე, ლიბანზე, პალესტინაზე, იორდანიაზე, ეგვიპტეზე, სუდანზე, ლიბიაზე და აღიარა ინგლისის მიერ კუნძულ კვიპროსის დაპყრობა.



1923 წლის 24 ივლისი. ისმეთ ინონუ ხელს აწერს ლოზანის საზავო ხელშეკრულებას.

თურქეთმა აღიარა შავი ზღვის სრუტეებით სარგებლობის უფლება სავაჭრო და სამხედრო გემებისათვის როგორც მშვიდობის, ისე ომის დროს.

ლოზანის ხელშეკრულებით, თურქეთი თვითონ განაგებდა თავის ფინანსებს, გაუქმდა დიდი სახელმწიფოების ფინანსური კონტროლი, მთლიანად გაუქმდა კაპიტულაციების რეჟიმი, თურქეთში მცხოვრები უცხოელები უნდა დამორჩილებოდნენ თურქეთის კანონმდებლობას.

ლოზანის ხელშეკრულება ითვალისწინებდა სახელმწიფო ვალის განაწილებას თურქეთსა და იმ სახელმწიფოებს შორის, რომლებიც წარმოიქმნენ პირველი მსოფლიო ომის შედეგად ბალკანეთსა და ოსმალეთის იმპერიის ტერიტორიაზე.

ლოზანაში ხელმოწერილ იქნა აგრეთვე კონვენცია თურქეთსა და საბერძნეთს შორის მოსახლეობის გაცვლის შესახებ. ამ კონვენციის საფუძველზე მილიონნახევარი ბერძენი გადასახლდა თურქეთიდან საბერძნეთში, ხოლო 500 ათასი თურქი საბერძნეთიდან თურქეთში დაბრუნდა.

ლოზანის კონფერენციაზე თურქეთის ყველაზე დიდი მონაპოვარი იყო ყველა სახელმწიფოს მიერ მისი დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის ცნობა.

მიუხედავად რიგი კომპრომისისა და დათმობისა, მთლიანობაში ლოზანის ხელშეკრულება წარმოადგენდა თურქეთის სერიოზულ გამარჯვებას.

ფრანგი ისტორიკოსი ბენუა მეშენი ასე აფასებს ლოზანის კონფერენციის შედეგებს: „ლოზანის კონფერენცია იყო თურქეთის დიდი დიპლომატიური გამარჯვება, საერთაშორისო თვალსაზრისით ისმეთ ფაშამ შეძლო მიეღო ყოველივე ის, რისთვისაც იბრძოდნენ მუსტაფა ქემალი და მისი ჯარისკაცები ოთხი წლის განმავლობაში.“

თავი III

ქემალისტური რევოლუცია

1. სასულთნოს გაუქმება

მუსტაფა ქემალმა თურქეთის დიდი ეროვნული კრების მოწვევის (1920 წ. 23 აპრილი) შემდეგ მიზნად დაისახა სასულთნოს გაუქმება და რესპუბლიკური წყობილების დამყარება. მას კარგად ესმოდა, რომ ეროვნული კრების დეპუტატები ამ საქმეში მხარს არ დაუჭერდნენ, რადგან დეპუტატების უმრავლესობა სულთნისადმი ლოიალურად იყვნენ განწყობილი, მეჯლისის შემადგენლობაში არ იყვნენ მუშები, გლეხები, ხელოსნები. არ ჩანდა ის ძალა, რომელიც გახდებოდა დასაყრდენი რევოლუციური გარდაქმნების დროს.

ასეთ ვითარებაში მუსტაფა ქემალმა გადაწვიტა თავისი საბოლოო მიზანი აშკარად არ გამოემჟღვანებინა და შენიღბულად წარმოეჩინა და ეტაპობრივად განეხორციელებინა. „მე მსურდა, წერს მუსტაფა ქემალი, ჩამომეყალებებინა სრულიად სხვა ხასიათის მეჯლისი და სხვა უფლებებით აღჭურვილი, რათა ერთად თანამიმდევრობით გაგვევლო რევოლუციის ეტაპები. „რევოლუციის ეტაპებში“ კი, მუსტაფა ქემალი გულისხმობდა სასულთნოს გაუქმებასა და რესპუბლიკის გამოცხადებას.

მუსტაფა ქემალი ცდილობდა დეპუტატები დაერწმუნებინა, რომ ის რეფორმები, რომლებიც წინათ თურქეთში ჩატარდა, არ შეიძლება გამხდარიყო ახალი თურქეთის პოლიტიკური მოწყობის საფუძველი, ამისათვის კი საჭირო იყო რადიკალური, რევოლუციური გარდაქმნები.

მუსტაფა ქემალი წერს: „ცნობილია, რომ წინარე რეჟიმების დროს პრაქტიკულად ანხორციელებდნენ სხვადასხვა პოლიტიკურ დოქტრინებს, მე კი მივედი იმ დასკვნამდე რომ არცერთი დოქტრინათაგანი არ შეიძლება გამხდარიყო საფუძველი თურქეთის ახალი პოლიტიკური მოწყობისათვის. მე ვცდილობდი მეჯლისი ამაში დამერწმუნებინა.

ახალი სახელმწიფო წყობილების დასამყარებლად საჭირო იყო სახელმწიფო ძირითადი მმართველობის ფუნქციების განსაზღვრა, საკონსტიტუციო უფლება-მოვალეობების დადგენა და სხვ. ეროვნულ კრებამ ყველა ეს საკითხი წარმატებით გადაწყვიტა. მაგრამ, გადაუჭრელი რჩებოდა სულთნის უფლებამოსილების საკითხი. ეროვნული კრების ფეოდალურ-კლერიკალური და რეაქციული დეპუტატები მოითხოვდნენ, რომ კანონში სულთნის პრეპოგატივებთან დაკავშირებით პირდაპირ ყოფილიყო განსაზღვრული მისი უფლებები ან მითითებული ყოფილიყო: „დიდი ეროვნული კრების ხელისუფლება დროებითია და მისი უფლებამოსილება სულთან-ხალიფას განთავისუფლებამდე გაგრძელდება“.

ამრიგად, ოპოზიციის აზრით, სულთანი დროებით იმყოფებოდა ინგლისელთა „ტყვეობაში“, რომ მალე აღდგენილი იქნებოდა სულთნის ხელისუფლება და ამის შემდეგ დიდი ეროვნული კრება შეწყვეტდა თავისი მოვალეობის შესრულებას.

მუსტაფა ქემალი არ იზიარებდა ოპოზიციის ამ თვალსაზრისს. მაგრამ აშკარად არ გამოდიოდა ოპოზიციის წინააღმდეგ, რადგანაც ამას შეიძლება გამოეწვია ანტიიმპერიალისტური ბლოკის დაშლა.

მუსტაფა ქემალი ამ ეტაპზე არ აპირებდა სასულთნოს გაუქმებას, არამედ ცდილობდა სულთნის ავტორიტეტის შელახვას, მის პოზიციების დასუტებას, რათა მოემზადებინა ნიადაგი შემდგომში მისი დამხობისათვის. მუსტაფა ქემალი ამბობდა

რომ მეჰმედ VI მოღალატეა სამშობლოსა და ერის წინაშე. იგი არის იარაღი მტრის ხელში, ამასთანავე არ შეიძლება სულთან-ხალიფა იყოს ის პიროვნება, რომელიც მოღალატეა. და არ შეიძლება ეროვნულმა კრებამ მის წინაშე ფიცი დადოს. მუსტაფა ქემალის აზრით, ასევე არ შეიძლება მიღებული ყოფილიყო დადგენილება მეჰმედ VI-ის ტახტიდან ჩამოგდების შესახებ და მისი შეცვლა სხვა სულთნით, რადგან იგი იმყოფებოდა სტამბოლში, არ დაემორჩილებოდა ეროვნული კრების გადაწყვეტილებას და ამას შეიძლება გამოეწვია მათ შორის დაპირისპირება და დინასტიური ომი. მუსტაფა ქემალი მოითხოვდა, რომ ახალ კანონში არ ყოფილიყო შეტანილი მუხლი სულთან-ხალიფას შესახებ. ამ საკითხებს გვერდი უნდა ავუაროთ, ამბობდა იგი, რათა შემდეგ, გვქონდეს მოქმედების თავისუფლება.

დისკუსია მეჯლისში ცხრა თვეს გაგრძელდა, ოპოზიცია წავიდა დათმობაზე მხოლოდ მას შემდეგ როცა 1921 წლის 10 იანვარს ქემალისტებმა სოფელ ინონუსთან ბერძნებზე მოიპოვეს პირველი გამარჯვება.

1921 წლის 20 იანვარს თურქეთის დიდმა ეროვნულმა კრებამ მიიღო კანონი „ძირითადი ორგანიზაციების შესახებ". ფაქტობრივად, ეს იყო თურქეთის დროებით კონსტიტუცია, მან დაადასტურა, რომ თურქეთის დიდი ეროვნული კრება არის თურქეთის ერთადერთი კანონიერი ხელისუფლება, რომელსაც ეკუთვნის როგორც საკანონმდებლო, ისე აღმასრულებელი ხელისუფლება. კანონი განსაზღვრავდა ეროვნული კრების თავმჯდომარის, დეპუტატების, მთავრობისა და ადგილობრივი ადმინისტრაციის ფუნქციებს. ხოლო სულთან-ხალიფას შესახებ არაფერი იყო ნათქვამი. ფორმალურად „კანონი ძირითადი ორგანიზაციების შესახებ" კი არ აუქმებდა 1876 წლის კონსტიტუციას, არამედ ავსებდა ძველ კონსტიტუციას, ფორმალურად სულთანი ინარჩუნებდა თავის ხელისუფლებას.

1921-1922 წლებში მუსტაფა ქემალ ფაშას ხელმძღვანელობით ქემალისტებმა დიდ გამარჯვებებს მიაღწიეს ინტერვენტების წინააღმდეგ ომში, ქვეყნიდან ბერძენი ინტერვენტების განდევნის შემდეგ (1922 წ. სექტემბერი) ერთიანი ეროვნული ფრონტი დაიშალა. ეროვნული საფრთხის მოშლამ დააჩქარა ქემალისტების ბანაკში უთანხმოებების გამოაშკარავება. კვლავ გამოცოცხლდნენ რეაქციული ძალები. ისინი გამოხატავდნენ ფეოდალურ-კლერიკალური, კომპრადორული ძალების ინტერესებს. ოპოზიციური დეპუტატები გამოდიოდნენ ეროვნული სახელმწიფოს შექმნის წინააღმდეგ. ისინი ამტკიცებდნენ, რომ თურქეთში შეუძლებელია რომელიმე მმართველობის ფორმის არსებობა გარდა სასულთნოსა და სახალიფოსი. მათი მიზანი იყო სულთან-ხალიფას ხელისუფლების აღდგენა.

ოპოზიციას სურდა დაეთხოვა თურქეთის ეროვნული კრება და გადაეცა ხელისუფლება „კანონიერი" მფლობელის – სულთნისათვის.

მუდანიის დროებითი ზავის შემდეგ, მუსტაფა ქემალმა გადაწყვიტა გაეუქმებინა სულთნის ხელისუფლება. მაგრამ მას კარგად ახსოვდა ეროვნულ კრებაში დროებითი კონსტიტუციის მიღების დროს, ოპოზიცია როგორ თავდადებით იცავდა სულთანს და მხოლოდ ცხრა თვის კამათის შემდეგ მიღებულ იქნა კომპრომისული წინადადება.

ანტანტის სახელმწიფოებმა გადაწყვიტეს კიდევ უფრო მეტად გაემწვავებინათ ურთიერთობა ქემალისტებსა და სულთნის ხელისუფლებას შორის და ამ მიზნით გამოეყენებინათ თურქეთში არსებული ორხელისულფლებიანობა. ანტანტამ, ლოზანის კონფერენციაზე მონაწილეობის მიზნით მიწვევა გაუგზავნა როგორც ანკარის, ისე სტამბოლის მთავრობებს (კონფერენცია ლოზანაში უნდა დაწყებულიყო 20 ნოემბერს).

ბერძნებზე მოპოვებული დიდი გამარჯვების შემდეგ, მუსტაფა ქემალის ავტორიტეტი მნიშვნელოვნად გაიზარდა და განმტკიცდა. თუ სულთნის დელეგაცია მონაწილეობას მიიღებდა სამშვიდობო საზავო კონფერენციაში, მისი შერყეული ავტორიტეტი ამაღლდებოდა დ მისი ტახტიდან გადაყენების საკითხი, შესაძლებელია, დღის წესრიგიდან მოხსნილიყო. საჭირო იყო სასწრაფო ზომების მიღება. მუსტაფა ქემალს კარგად ესმოდა, რომ ერთდროულად სულთნის საერო და სასულიერო ხელისუფლების გაუქმება დიდ წინააღმდეგობას გამოიწვევდა.

მიუხედავად იმისა, რომ ეროვნულ-განმანთავისუფლებელი ომის დროს სულთანმა დაკარგა რეალური ძალაუფლება, სახელი გაიტეხა ანტანტის სახელმწიფოებთან თანამშრომლობით და ანტიხალხური პოლიტიკის გატარებით, რამაც მისი ავტორიტეტი ძალზე შეარყია, იგი ფეოდალურ-კლერიკული წრეებში ჯერ კიდევ დიდი გავლენით სარგებლობდა. მუსტაფა ქემალმა გადაწყვიტა სულთნის ხელისუფლება ორად გაეყო და ეტაპობრივად გაეუქმებინა, რათა არ გამოეწვია სულთნის მომხრეების გამოსვლები. ეს იყო მუსტაფა ქემალის სწორი და ბრძნული გადაწყვეტილება.

აღსანიშნავია ის, რომ სულთან-ხალიფას თანამდებობაზე დატოვებას მხარს უჭერდნენ თვით მუსტაფა ქემალის უახლესი თანამებრძოლები.

1922 წლის პირველ ნოემბრამდე ცოტა ხნით ადრე, რაუფ ბეის თხოვნით მოხდა ქემალ ფაშასთან შეხვედრა, რომელსაც აგრეთვე ესწრებოდნენ რეფეთ ფაშა და ფუად ფაშა რაუფ ბეიმ შეშფოთება გამოთქვა: გავრცელდა ხმა, რომ აპირებენ ტახტისა და შესაძლებელია თვით სახალიფოს გაუქმებას. ამის გამო რაუფ ბეიმ განაცხადა: „მე სულითა და გულით სულთნის და ხალიფას ერთგული ვარ, რომ ჩემი ვალია ბოლომდე დავრჩე ფადიშაჰის ერთგული". რაუფ ბეის განცხადების შემდეგ, მუსტაფა ქემალმა ჰკითხა რეფეთ ფაშას, თუ რას იტყვის იგი ამის შესახებ. რეფეთ ფაშამ უპასუხა, რომ იგი სავსებით იზიარებს რაუფ ბეის აზრს. სინამდვილეში მათ არ წარმოუდგენიათ მმართველობის სხვა ფორმა გარდა სასულთნოსა და სახალიფოსი.

შემდეგ მუსტაფა ქემალი დაინტერესდა ფუად ფაშას თვალსაზრისით. ფუად ფაშამ განაცხადა, რომ იგი დიდი ხანი არაა, რაც მოსკოვიდან დაბრუნდა და მან ვერ მოასწრო ამ ფაქტების გააზრება საფუძვლიან შესწავლამდე და მას არ შეუძლია გამოთქვას თავისი შეხედულება ამ საკითხზე.

მუსტაფა ქემალმა დაამშვიდა ორივენი და განაცხადა, რომ ეს საკითხი დღის წესრიგში არ დგას და რომ სულთანს არაფერი არ ემუქრებოდა.

ამ შეხვედრის შემდეგ, როდესაც ეროვნულ კრებაზე იხილებოდა სულთან ხალიფას საკითხი, მუსტაფა ქემალმა გამოიძახა რაუფ ბეი თავის კაბინეტში და თხოვნით მიმართა: „ჩვენ სახალიფოს გამოვაცალკევებთ სასულთნოსაგან და გავაუქმებთ ამ უკანასკნელის ხელისუფლებას", თქვენ გამოხვალთ ეროვნულ კრებაზე და მოიწონებთ ამ ღონისძიებას. ასეთივე წინადადებით მიმართა მუსტაფა ქემალმა ყარაბექირ ფაშას. მათ ეს დავალება უსიტყოდ შეასრულეს. კიდევ უფრო მეტი, რაუფ ბეიმ სხდომაზე წინადადება შეიტანა სასულთნოს გაუქმების დღე გამოცხადებულიყო უქმე დღედ.

1922 წლის 30 ოქტომბერს თურქეთის დიდი ეროვნული კრების სხდომაზე შეტანილ იქნა წინადადება სულთნის მიერ ქვეყნის ინტერესების დალატის გამო მისთვის საერო ხელისუფლების ჩამორთმევისა და მხოლოდ სასულიერო პრეროგატივის შენარჩუნების შესახებ. ცხარე დისკუსიის შემდეგ, 1 ნოემბერს დილის სხდომაზე ეს წინადადება ხმების უმრავლესობით არ იქნა მიღებული. კლერიკალები ამტკიცებდნენ, რომ საერო ხელისუფლების გამოყოფა სასულთნოსაგან წარმოადგენს რელიგიურ საწყისებზე თავდასხმას, რომ ფადიშაჰის პრეროგატივები წმინდაა და განასახიერებს ამ ქვეყნად ღმერთის ხელისუფლებას.

მუსტაფა ქემალი იძულებული შეიქმნა გაეკეთებინა ვრცელი მოხსენება ისლამის, სახალიფოსა და ოსმალეთის ისტორიის შესახებ. რათა უკუეგდო კლერიკალი დეპუტატების არგუმენტები, მაგრამ კლერიკალები განაგრძობდნენ წინააღმდეგობის გაწევას და ასაბუთებდნენ სულთნის ხელისულფებისაგან გამოყოფის შეუძლებლობას. ქემალმა აშკარად ვერ გაბედა გამოსულიყო სასულიერო პირების წინააღმდეგ, მაგრამ მოიყვანა დამაჯერებელი არგუმენტები მათი უსაფუძვლო დებატების წინააღმდეგ. „ბატონებო, განაცხადა მუსტაფა ქემალმა, სუვერენიტეტი და ძალაუფლება არავის გადაცემია აკადემიური დისკუსიის შედეგად. სუვერენიტეტი მოიპოვება ძალის საშუალებით, ძალის ზემოქმედების შედეგად. ძალის გამოყენების გზით ოსმალო სულთნებმა მოიპოვეს ძალაუფლება თურქებზე, რომლებზედაც ისინი ბატონობდნენ ექვსი საუკუნის განმავლობაში, ახლა ეს ხალხი აღსდგა უზურპატორების წინააღმდეგ და უკუაგდებს მათ და ხელში აიღებს სუვერენიტეტს, რომელიც მას ეკუთვნის კანონის საფუძველზე, ეს მომხდარი ფაქტია. ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ ვაღიაროთ მომხდარი ფაქტი. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლებელია რამდენიმე თავი გაგორდეს-ო“.



სულთანი მეჰმედ VI (ვაჰიდედინი)

ერთ-ერთმა დეპუტატმა რეპლიკა ესროლა: „ბოდიში, ჩვენ საკითხს სრულიად სხვა კუთხით ვიხილავდით. ახლა ჩვენ საქმის კურსში ვართო“.

მუსტაფა ქემალმა რკინისებური ლოგიკისა და ზემოქმედების ძალით დაარწმუნა მოწინააღმდეგენი მხარი დაეჭირათ მისი წინადადებისათვის, ამის შემდეგ საკითხი მარტივად გადაწყდა.: საღამოს სხდომაზე ერთხმად მიიღეს კანონი სულთანის საერო ხელისუფლების გაუქმების შესახებ თუ არ ჩავთვლით, ერთი ხოჯას პროტესტს.

ამგვარად 1922 წლის 1 ნოემბერს ეროვნულმა კრებამ დაადგინა გაუქმებულიყო სულთნის საერო ხელისუფლება.

სულთნის საერო ხელისფლების გაუქმებასთან ერთად, არსებობა შეწყვიტა სულთნის მარიონეტულმა მთავრობამ, ხელისუფლება სტამბოლში ეროვნული კრების ხელში გადავიდა. ოსმალეთის იმპერიის უკანასკნელი სულთანი მეჰმედ VI (ვაჰიდედინი) იმის გამო, რომ მის წინააღმდეგ თურქეთის ეროვნულმა კრებამ აღძრა საქმე ღალატის შესახებ, 1922 წლის 17 ნოემბერს, ინგლისელების დამხარებით, გაიქცა თურქეთიდან მეორე დღეს, 18 ნოემბერს, უფლისწული აბდულ-მეჯიდი არჩეულ იქნა „ყველა მუსლიმთა ხალიფად“.

2. რესპუბლიკის გამოცხადება

ეროვნულმა კრებამ გააუქმა სულთნის საერო ხელისუფლება და დაუტოვა მას სასულიერო ხელისუფლება (ხალიფობა). საკითხის ასე ნახევრად გადაწყვეტა იყო დათმობა ფეოდალურ-კლერიკული წრეების მიმართ, მაგრამ მუსტაფა ქემალი არ აპირებდა ნახევარ გზაზე გაჩერებას. ახლა მისი მიზანი იყო რესპუბლიკის გამოცხადება.

გადაუწყვეტელი რჩებოდა მთავარი საკითხი: როგორი უნდა ყოფილიყო ახალი თურქეთის სახელმწიფო წყობილება. მეჯლისის შიგნით გამწვავდა ბრძოლა ქვეყნის შემდგომი განვითარების გზაზე და სახელმწიფოს მმართველობის ფორმაზე. სასულთნოს გაუქმების შემდეგ თურქეთის სახელმწიფოს მმართველობის ფორმა იურიდიულად არ იყო დადგენილი.

ქემალისტებს ჰქონდათ წინააღმდეგობრივი შეხედულება ამ საკითხზე. უმრავლესობა თვლიდა, რომ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა გაუქმებულიყო ნახევრად თეოკრატიული რეჟიმი. ეროვნულ კრებაში შეიქმნა რამდენიმე ჯგუფი თურქეთის მომავალ პოლიტიკურ რეჟიმთან დაკავშირებით.

პარლამენტის ერთ-ერთმა მთავარმა ჯგუფმა წამოაყენა წინადადება – თურქეთი გამოეცხადებინათ კონსტიტუციურ მონარქიად. რაუფ ბეი, ქემალისტების ერთ-ერთი ლიდერი უპირატესობას ანიჭებდა სასულთნოს. ამის გამო მუსტაფა ქემალსა და მათ შორის შეიქმნა სერიოზული უთანხმოება. რაუფ ბეიმ კონტაქტი დაამყარა ქემალის მოწინააღმდეგე ჯგუფთან. რაუფ ბეი საყვედურობდა მუსტაფა ქემალს, რომ იგი სათანადოდ არ აფასებდა განმათავისუფლებულ ომში ქიაზიმ ყარაბექირის, ალი ფუად ფაშისა და რაუფ ბეის ღვაწლს. რაუფ ბეი აშკარად გამოვიდა ქემალის წინააღმდეგ და აცხადებდა, რომ ქემალმა თავის ხელში ჩაიგდო მთელი ხელისუფლება, სხვა გენერლებმაც ამ საკითხში მხარი დაუჭირეს რაუფ ბეის. ქემალისტებს შორის წარმოიშვა პირველი სერიოზული განხეთქილება, პარლამენტში შეიქმნა ოპოზიციური გენერლების ჯგუფი რაუფ ბეის მეთაურობით.

ოპოზიციამ გადაწყვიტა ესარგებლა ლოზანის კონფერენციაზე თურქეთის დელეგაციის რთული მდგომარეობით და მეჯლისში გააძლიერა გამოსვლები მუსტაფა ქემალ ფაშას წინააღმდეგ. ოპოზიციონერები მოითხოვდნენ, რომ გადაეცათ



სტამბოლი განთავისუფლებულია

ხელისუფლება სულთნისათვის და წასულიყვნენ დათმობაზე ანტანტის სახელმწიფოების მიმართ.

6 მარტს ოპოზიციის დეპუტატებმა მოითხოვეს შეეტანათ ცვლილება საარჩევნო კანონში. მათი კანონპროექტის მიხედვით, მეჯლისის დეპუტატი შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ ის პირი, რომელიც დაბადებული იყო ანატოლიაში და აღმოსავლეთ თრაკიაში, ან რომელიც მუდმივად ცხოვროვდა საარჩევნო ოლქში არანაკლებ 5 წლისა. ეს კანონპროექტი უშუალოდ მიმართული იყო მუსტაფა ქემალის წინააღმდეგ, რადგან იგი დაიბადა სალონიკში, რომელიც იმ დროს აღარ შედიოდა თურქეთის შემადგენლობაში და არ უცხოვრია ერთსა და იმავე ადგილას ხუთი წლის განმავლობაში. ოპოზიციის ეს მოთხოვნა უარყოფილ იქნა.



მუსტაფა ქემალი. თურქეთის რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტი.

მუსტაფა ქემალმა გადაწყვიტა ოპოზიციის საბოოლოდ წინააღმდეგობის დაძლევის მიზნით დაეარსებინა პოლიტიკური პარტია და ვადამდე ადრე ჩაეტარებინა პარლამენტში არჩევნები.

1923 წლის 1 აპრილს გამოქვეყნდა დადგენილება პარლამენტში ვადამდე ადრე არჩევნების ჩატარების შესახებ.

8 აპრილს, არჩევნების წინ, მუსტაფა ქემალმა გამოაქვეყნდა ცხრა პრინციპისაგან შემდგარი სახალხო პარტიის თეზისები, რომელიც ამავე დროს იყო წინასაარჩევნო პროგრამა. „მე მოვუწოდე, წერდა მუსტაფა ქემალი, ყველა პატრიოტს, მეცნიერსა და ხელოვნების მოღვაწეს დასახმარებლად, მიეღოთ მონაწილეობა პარტიის პროგრამის შედგენაში“.

ამ ცხრა პრინციპის მიხედვით, თურქეთის სუვერენიტეტი ეკუთვნის ერს, რომლის ნების გამომხატველია ერთადერთი ორგანო – თურქეთის დიდი ეროვნული კრება. ყველა კანონი მიღებული უნდა იყოს ამ პრინციპის გათვალისწინებით.

ქემალისტებმა დიდი წინასაარჩევნო კამპანია ჩაატარეს. აღსანიშნავია ის, რომ მუსტაფა ქემალმა წინასაარჩევნო სიები პირადად შეადგინა.

1923 წლის 23 ივლისს ჩატარდა მეორე მოწვევის პარლამენტის რიგგარეშე არჩევნები. ქემალისტებმა არჩევნებში მოიპოვეს შთამბეჭდავი გამარჯვება. 286 დეპუტატიდან 263 დეპუტატი დემოკრატიული პარტიის წევრი იყო, ამავე დროს პარლამენტში ოც პროცენტამდე გაიზარდა სამხედროების რაოდენობა, „ოპოზიციის მეორე ჯგუფმა“ პარლამენტში დეპუტატის ვერცერთი მანდატი ვერ მიიღო.

ყოველივე ამის შედეგად მუსტაფა ქემალმა კიდევ უფრო მეტად განიმტკიცა პოზიციები პარლამენტში და ხალხის მასების მხარდაჭერა მოიპოვა.

23 აგვისტოს გაიხსნა მეორე მოწვევის თურქეთის დიდი ეროვნული კრება. ეროვნულმა კრებამ მუსტაფა ქემალი აირჩია მის თავმჯდომარედ, ეროვნულმა კრებამ მოახდინა ლოზანის ხელშეკრულების რატიფიკაცია.

1923 წლის 9 სექტემბერს მოწვეულ იქნა სახალხო პარტიის დამფუძნებელი კრება და 11 სექტემბერს ოფიციალურად გამოცხადდა სახალხო პარტიის დაარსება (1924 წლის ნოემბრიდან სახალხო პარტიას ეწოდება სახალხო-რესპუბლიკური პარტია). სახალხო-რესპუბლიკური პარტია დაარსდა „უფლებათა დაცვის პირველი ჯგუფის“ ბაზაზე. პარტიის თავმჯდომარედ აირჩიეს მუსტაფა ქემალი, რომელსაც ეს თანამდებობა ეკავა გარდაცვალებამდე (1938 წ. 10 ნოემბერი).

6 ოქტომბერს თურქეთის ჯარები შევიდნენ სტამბოლში, დამთავრდა ქვეყნის განთავისუფლება ოკუპანტებისაგან. 13 ოქტომბერს ანკარა გამოცხადდა თურქეთის დედაქალაქად, რომელიც 1919 წლიდან იყო თურქეთის ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის ცენტრი.

მიუხედავად იმისა, რომ პარლამენტის ოპოზიციის წინააღმდეგობა დაძლეული იყო, საქმე მაინც არ დამთავრდა პატარა წინააღმდეგობის გარეშე. როდესაც გავრცელდა ხმები, რომ მუსტაფა ქემალი აპირებდა რესპუბლიკის გამოცხადებას მემარჯვენეთა ლიდერებმა კულისებში დაიწყეს ლაპარაკი, რომ ეს ნაბიჯი ნაადრევია და ამავდროულად იწყებენ აგიტაციას ხალიფათის სასარგებლოდ.

რესპუბლიკის გამოცხადების რამდენიმე დღით ადრე ადგილი ჰქონდა შემდეგ ინციდენტს: რაუფ ბეი, რომელსაც უნდა დაეტოვებინა მთავრობის თავმჯდომარის თანამდებობა, შეხვდა მუსტაფა ქემალს და განუცხადა: „ვტოვებ რა მთავრობის თავმჯდომარის თანამდებობას, მე თქვენ დაბეჯითებით გთხოვთ გააძლიეროთ და განამტკიცოთ სახელმწიფოში უმაღლესი თანამდებობა“. რაუფ ბეი რა თქმა უნდა სახელმწიფოს უმაღლეს თანამდებობად გულისხმობდა ხალიფობას. ხოლო ამ დროს ქემალს უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა რესპუბლიკის გამოცხადება და რომ მას აირჩევდნენ რესპუბლიკის პრეზიდენტად „სახელმწიფოს უმაღლეს თანამდებობაზე“. მან რაუფ ბეის უპასუხა: „მე შევასრულებ იმას რასაც თქვენ მთხოვთ“.

მთელი ქვეყანა ზეიმობდა ინტერვენტებზე გამარჯვებას. ოპოზიცია დათრგუნული იყო, ასეთ ვითარებაში მუსტაფა ქემალმა გადაწყვიტა განეხორციელებინა თავისი მიზანი – გამოეცხადებინა რესპუბლიკა.

1923 წლის 29 ოქტომბერს მუსტაფა ქემალმა სახალხო პარტიასა და მეჯლისს წარუდგინა ისმეთ ფაშასთან ერთად შემუშავებული პროექტი, რომელიც შედგებოდა სამი პუნქტისაგან: 1. თურქეთის სახელმწიფოს მმართველობის ფორმაა – რესპუბლიკა; 2. თურქეთის სახელმწიფოს მეთაურობს თურქეთის დიდი ეროვნული კრება; 3. თურქეთის სახელმწიფოს შინაგანაწესს მართავს მინისტრთა საბჭო.

1923 წლის 29 ოქტომბერს საღამოს 8 საათსა და 30 წუთზე თურქეთის დიდმა ეროვნულმა კრებამ ერთხმად მიიღო დადგენილება თურქეთი გამოცხადებულიყო რესპუბლიკად. 15 წუთის შემდეგ მუსტაფა ქემალი, ასევე ერთხმად აირჩიეს რესპუბლიკის პირველ პრეზიდენტად. ეს ამბავი იმავე დამეს აცნობეს ქვეყანას 101 საარტილერიო სალუტით. 30 ოქტომბერს მთავრობის პირველი თავმჯდომარე გახდა ისმეთ ფაშა.

3. სახალიფოს გაუქმება

რესპუბლიკის გამოცხადების შემდეგ გასაუქმებელი რჩებოდა ოსმალეთის იმპერიის სახელმწიფო წყობილების უკანასკნელი ბურჯი – სახალიფო.

ხალიფას გარშემო იკრიბებოდნენ ქვეყნის რეაქციული ძალები, მათ სურდათ დაემხოთ რესპუბლიკური რეჟიმი და აღედგინათ სასულთნო.

უკანასკნელმა ხალიფამ აბდულ მეჯიდმა დაიწყო კავშირის დამყარება ქემალისტების რეჟიმით უკმაყოფილო ელემენტებთან როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საზღვარგარეთ ისლამური ორგანიზაციების სახელით ინდოეთში, ეგვიპტეში და სხვა ქვეყნებში ქვეყნდებოდა მოწოდებები „ხალიფას“ დასაცავად.

ეროვნულ კრებაში მემარჯვენე ლიდერები ასაბუთებდნენ, რომ თუ თურქეთში გაუქმდება სახალიფო, იგი დაჰკარგავს ისლამურ ქვეყნებს შორის წამყვანი სახელმწიფოს მნიშვნელობას და მკვეთრად დაეცემა თურქეთის საერთაშორისო ავტორიტეტი. ზოგიერთ დეპუტატს (რაუფ ბეი, რეშეთ ფაშა) ურთიერთობა ჰქონდათ ხალიფასთან, რამაც შეშფოთება გამოიწვია ქემალისტებს შორის, ამასთან დაკავშირებით ეროვნულ კრებაში პრემიერ-მინისტრმა ისმეთ ფაშამ შემდეგი განცხადა: „არასოდეს არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ხალიფას არმიებმა ჩვენი ქვეყანა ნანგრევებად აქციეს... უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ არსებობს საფრთხე ხალიფათის ახალი არმიის შექმნისა... ქვეყანა ამას ვეღარ მოითმენს. ჩვენ არასოდეს არ დაგვავიწყდება, რომ ხალიფას ფეტვამ თავზე დაგვატეხა მსოფლიო ომის საშინელებები. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, როდესაც ერმა გადაწყვიტა აჯანყების მოწყობა, ხალიფას ფეტვამ გამოიწვია მის წინააღმდეგ ცილისმწამებლური გამოსვლები, უფრო შემზარავი, ვიდრე მოწინააღმდეგის მხრიდან“. მათ მოახდინეს გავლენა ჩვენი ქვეყნის ბედიღბალზე და დანამდვილებით შემიძლია ვთქვა, ჩვენ მას თავს მოვკვეთავთ“.

1924 წლის 15 თებერვალს სამხედრო წვრთნის ჩასატარებლად იზმირში ჩავიდნენ პრემიერ-მინისტრი ისმეთ ფაშა; ეროვნული თავდაცვის მინისტრი ქიაზიმ ფაშა და გენერალური შტაბის უფროსი ფევზი ფაშა. არმიის მეთაურებთან ერთად ჩატარდა, შეკრება, რომელზედაც გადაწყდა სახალიფოს გაუქმება.

სამხედრო წვრთნის დამთავრების შემდეგ 3 მარტს ანკარაში გაიხსნა თურქეთის დიდი ეროვნული კრების სესია, რომელმაც მიიღო დადგენილება სახალიფოს გაუქმების შესახებ. უკანასკნელმა ხალიფამ აბდულ-მეჯიდმა თურქეთი დატოვა. ამასთან ერთად ქვეყნიდან გააძევეს ოსმალეთის დინასტიის ყველა წევრი და მოახდინეს მათი ქონების კონფისკაცია.

საბოლოოდ გაუქმდა ოსმალეთის სულთნის როგორც საერო ისე სასულიერო ხელისუფლება და თურქეთში რესპუბლიკური წყობილება დამყარდა, დაიწყო ახალი ერა თურქეთის ისტორიაში.

ამრიგად, ანატოლიაში დაწყებული ანტიიმპერიალისტური ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა რევოლუციაში გადაიზარდა, რის შედეგადაც ქემალისტებმა მოკლე დროში განახორციელეს სამი მნიშვნელოვანი აქტი: მოსპეს სასულთნო, გამოაცხადეს რესპუბლიკა, გააუქმეს სახალიფო და შეუდგნენ რადიკალური რეფორმების გატარებას, რომელიც თავის მნიშვნელობით კულტურული რევოლუციის ტოლფასი იყო.

ქემალისტური რევოლუციის სპეციფიკური თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ რევოლუცია მოხდა არა ქვემოდან, ხალხის აჯანყების შედეგად, არამედ ზემოდან პარლამენტის გზით, მუსტაფა ქემალის ხელმძღვანელობით.

ქემალისტური რევოლუცია თავისებურებებით ხასიათდებოდა. ეს იყო, მშვიდობიანი გზით, თურქეთის რევოლუციური გარდაქმნა – ხავერდოვანი რევოლუცია. მსოფლიოს ისტორიაში ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც რევოლუცია მოხდა სისხლის დაღვრის გარეშე.

ამ რევოლუციის ხელმძღვანელი და სულის ჩამდგმელი მუსტაფა ქემალი დიდი მხედართმთავარი იყო და მას მრავალი გამარჯვება ჰქონდა მოპოვებული, მაგრამ კონფლიქტის მოსაგვარებლად ჯერ მშვიდობიან გზას ირჩევდა, შემდეგ ზეწოლასაც მიმართავდა და იარაღს უკიდურეს შემთხვევაში იყენებდა.

სულთნის ხელისუფლების დამხობისა და რესპუბლიკის გამოცხადების პერიოდში მან დიდი ორგანიზატორული და დიპლომატიური ნიჭი და პოლიტიკური ალღო გამოამჟღავნა და ეტაპობრივად განახორციელა დასახული მიზანი. მართალია, რევოლუციური გარდაქმნების დროს მუსტაფა ქემალი მოლაპარაკებასთან ერთად, ზოგჯერ მიმართავდა ზემოქმედებას და მუქარას, მაგრამ ეს იყო უკიდურესი ზომა. თურქეთის რევოლუცია იყო უსისხლო, ხავერდოვანი რევოლუცია და ამაში უდიდესი წვლილი მუსტაფა ქემალს მიუძღვის და ამიტომ მას ისტორიაში ქემალისტურ რევოლუციას უწოდებენ, მუსტაფა ქემალი იყო რევოლუციონერი-რეფორმატორი.

ქემალისტური რევოლუცია შეიძლება დავყოთ სამ პერიოდად:

პირველი – 1919 წლის 19 მაისი – 1922 წლის 11 ოქტომბერი. ინტერვენტების წინააღმდეგ ეროვნულ-განმანთავისუფლებელი ბრძოლის პერიოდი.

მეორე – 1922 წლის 1 ნოემბერი – 1924 წლის 3 მარტი, სასულთნოს გაუქმება, რესპუბლიკის გამოცხადება და სახალიფოს ლიკვიდაცია, რევოლუციის პერიოდი.

მესამე – 1924 წლის 20 აპრილი – 1935 წელი. 1924 წლის რესპუბლიკის პირველი კონსტიტუციის მიღებიდან, 1935 წლის ჩათვლით. კულტურული რევოლუციის პერიოდი.

დიდია ქემალისტური რევოლუციის ისტორიული მნიშვნელობა აღმოსავლეთის ხალხებისათვის, იგი საუკეთესო მაგალითია აღმოსავლეთის მუსლიმური ქვეყნებისათვის, თუ როგორ შეიძლება მშვიდობიანი გზით რევოლუციის განხორციელება.

თავი IV

თურქეთის პირველი რესპუბლიკა თურქეთი 1923-1929 წლებში

1. თურქეთის რესპუბლიკის პირველი კონსტიტუცია

თურქეთის სულთნის ხელისუფლების გაუქმებისა და რესპუბლიკის გამოცხადების შემდეგ, ქემალისტები შეუდგნენ რადიკალური რეფორმების გატარებას პოლიტიკური წყობილების განმტკიცებას, ეკონომიკის განვითარებას, ხალხის მასების კულტურული და ყოფა-ცხოვრების დონის გაუმჯობესებას. მაგრამ, რეფორმების გატარებას ყველა არ უჭერდა მხარს. მეჯლისის შიგნით გამწვავდა ბრძოლა ქემალისტებსა და რეფორმების მოწინააღმდეგეებს შორის, რეაქციული ძალები ცდილობდნენ ძველი წყობილების შენარჩუნებას.

ხალიფათის გაუქმების შემდეგ, პოლიტიკური წყობილების განტკიცების მიზნით ყველაზე მნიშვნელოვანი ღონისძიება იყო პარლამენტის მიერ 1924 წლის 20 აპრილის თურქეთის რესპუბლიკის პირველი კონსტიტუციის მიღება. კონსტიტუციის მიღებით მოხდა ფეოდალური წყობილების ნაშთების ლიკვიდაცია და ბურჟუაზიული წყობილების დამყარება.

კონსტიტუციით სახელმწიფოს ხელისუფლების უმაღლესი ორგანო იყო ერთპარტიული პარლამენტი – თურქეთის დიდი ეროვნული კრება (მეჯლისი). მეჯლისის დეპუტატებს ირჩევდნენ ოთხი წლით, პარლამენტში არჩევნები იყო ორსაფეხურიანი. არჩევნებში მონაწილეობის უფლება ჰქონდათ 22 წელს მიღწეულ მამაკაცებს. ქალებს არ ჰქონდათ საარჩევნო ხმის უფლება.

სახელმწიფოს მეთაური იყო პრეზიდენტი, რომელსაც ირჩევდნენ დიდი ეროვნული კრების დეპუტატები თავისი რიგებიდან ოთხი წლით, დასაშვები იყო მისი მრავალჯერ არჩევა.

პრეზიდენტი დეპუტატების რიგებიდან ნიშნავდა პრემიერ-მინისტრს და ამტკიცებდა მას შეედგინა მთავრობა. პრეზიდენტი ამტკიცებდა მთავრობის შემადგენლობას. მთავრობა პასუხისმგებელი იყო მეჯლისის წინაშე.

პრეზიდენტი იყო რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი. პრეზიდენტს უფლება ჰქონდა შემოეღო საგანგებო მდგომარეობა. პრეზიდენტი ნიშნავდა ელჩებს და სხვა მაღალი თანამდებობის მოხელეებს.

კონსტიტუციით, თურქეთის რესპუბლიკის სახელმწიფო რელიგიად ოფიციალურად გამოცხადდა ისლამი. მუსტაფა ქემალს განზრახული ჰქონდა ისლამი გამოეყო სახელმწიფოსაგან, მაგრამ დეპუტატებმა მას მხარი არ დაუჭირეს, ამის განხორციელება მან შეძლო 1928 წელს.

კონსტიტუცია აცხადებდა პიროვნების ხელშეუვალობას, სიტყვის, ბეჭდვისა და კრებების მოწყობის თავისუფლებას და სხვ.

თურქეთის ახალი კონსტიტუცია წინ გადადგმული ნაბიჯი იყო ქვეყნის დემოკრატიის გზაზე.

2. იზმირის ეკონომიკური კონგრესი

თურქეთი ნახევრად კოლონიალური, ჩამორჩენილი აგრარული ქვეყანა იყო.

თურქეთის სახალხო მეურნეობის წამყვანი დარგები უცხოეთის კაპიტალისტებს ეკუთვნოდათ. მათ ხელში იყო რკინიგზები, სპილენძის და ქვანახშირის მადაროები, ნავსადგურების ნაგებობები, ქალაქის მუნიციპალიტეტის საწარმოების ნაწილი, სოფლის მეურნეობის ისეთი მნიშვნელოვანი დარგები, როგორიცაა მეაბრეშუმეობა, ბამბის, თამბაქოს წარმოება ასევე უცხოეთის კონტროლის ქვეშ იმყოფებოდა.

1924 წელს თურქეთში მოქმედებდა 94 უცხოური კომპანია: მათ შორის 7 რკინიგზის, 23 – ბანკი, 35 კომერციული, 12 სამრეწველო და სამთამადნო კომპანიები. უცხოეთის კაპიტალი ყოველნაირად უშლიდა ხელს ადგილობრივი წარმოების განვითარებას.

თურქეთში უცხოეთის ინვესტიციები შეადგენდა 63,4 მილ. გირვანქა სტერლინგს, აქედან მრეწველობაში დაბანდებული იყო 5,6 მილ. გირვანქა სტერლინგი, რაც მთელი უცხოეთის კაპიტალის 8,5% შეადგენდა.

ქვეყნის ეკონომიკაში თურქეთის პოზიციები ძალზე სუსტი იყო. ახალგაზრდა თურქეთის ბურჟუაზიამ მოიპოვა რა პოლიტიკური სუვერენიტეტი, მიისწრაფვოდა მოეპოვებინა ეკონომიკური დამოუკიდებლობა და შეესუსტებინა ქვეყანაში უცხო მონოპოლიების გავლენა.

1923 წლის თებერვალში, მუსტაფა ქემალის ინიციატივით, ქ. იზმირში მოიწვიეს ეკონომიკური კონგრესი. 17 თებერვალს კონგრესზე ვრცელი სიტყვით გამოვიდა მუსტაფა ქემალი, მან განაცხადა: „არცერთ ერს არ შეუძლია უგულებელყოს თავისი ქვეყნის ეკონომიკა, რომელიც არის მისი არსებობის ღერძი, მისი ბედნიერება და კეთილდღეობა.

რაგინდ მნიშვნელოვანი არ უნდა იყოს ჩვენი პოლიტიკური და სამხედრო გამარჯვებები, ისინი არ იქნებიან მყარი, ხანგრძლივი და მოკლე დროში დასუსტდებიან, დაკარგავენ თავიანთ მნიშვნელობას, თუ მათ არ დავაგვირგვინებთ ეკონომიკური გამარჯვებებით... ამიტომ მიღწეული წარმატებების შესანარჩუნებლად საჭიროა ჩვენი ეკონომიკის განვითარება და განმტკიცება, ეკონომიკური დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა“.

იზმირის კონგრესმა შეიმუშავა ე. წ. „ეკონომიკური აღთქმა“ (პაქტი), რომელიც გამოხატავდა მთავრობის პოზიციას ეკონომიკური პოლიტიკის სფეროში.

ეს იყო ერთ-ერთი პირველი დოკუმენტი, რომელიც გამოხატავდა თურქეთის ეროვნული ბურჟუაზიის ინტერესებს, მასში დასახულია თურქეთის ბურჟუაზიისათვის ეკონომიკური ხელის შემწყობი ღონისძიებები მისი პოზიციების განმტკიცებისა და უცხოური მონოპოლიების საქმიანობის შეზღუდვის მიზნით. იზმირის კონგრესმა შეიმუშავა მრეწველობის მშენებლობის ეკონომიკური პროგრამა და მიზნად დაისახა ეროვნული მრეწველობისა და ტრანსპორტის განვითარება.

კონგრესმა მიიღო დადგენილება სახელმწიფო ბანკის დაფუძნების შესახებ, რომელიც დააფინანსებდა სამრეწველო ობიექტების მშენებლობას და სხვა სახის სამუშაოების ჩატარებას.

ისევე როგორც „ეროვნული აღთქმა“ იყო დროშა თურქეთის პოლიტიკური დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში, ასევე „ეკონომიკური აღთქმა“ მოწოდებული იყო გაეერთიანებინათ თავიანთი ძალები ეროვნული ეკონომიკის განსავითარებლად.

იზმირის კონგრესის გადაწვეტილებები საფუძვლად დაედო მთავრობის ეკონომიკურ პოლიტიკას.

იზმირის ეკონომიკური კონგრესის შემდეგ ხუთი-ექვსი წლის განმავლობაში აგებულ იქნა სახელმწიფო საწარმოები: ხალიჩებისა და ძაფსაქსოვი ფაბრიკები ისპარტაში, კაისერიში, კირშეჰირში, შაქრის ქარხნები უშაქში და ალიაგაში, ბამბის გამწმენდი ქარხნები ადანაში, შეიქმნა სააქციო კომპანიები ქვანახშირის ამოსაღებად კოზლუსა და ქილიმლიში. ამუშავდა წისქვილების მნიშვნელოვანი ნაწილი, კარაქის, საპნის, ტყავის დამუშავების საწარმოები, ხე-ტყის დამამუშავებელი ქარხნები.

მრეწველობის მშენებლობის დროს ძირითადი ყურადღება ეთმობოდა იმ დარგების განვითარებას, რომელიც უზრუნველყოფილი იყო ადგილობრივი ნედლეულით და მოწოდებული იყო დაეკმაყოფილებინა შიდა ბაზრის მოთხოვნილებები.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი რევოლუციის გამარჯვების შემდეგ, უცხოეთის კომპანიებსა და საქმოსნებს არ სურდათ თავისი კაპიტალის დაბანდება თურქეთის მრეწველობაში. კაპიტულაციების გაუქმების შემდეგ, უცხოელმა კაპიტალისტებმა დაკარგეს პრივილეგიები და ახალ ვითარებაში ისინი იურიდიულად ისეთივე უფლებებით სარგებლობდნენ, როგორც თურქები. ამიტომ უცხოელ კაპიტალისტებს არ სურდათ კაპიტალის დაბანდება თურქეთის ეკონომიკაში, ისინი წიანააღმდეგობას უწევდნენ თურქეთის მრეწველობის განვითარებას, რადგან ეს გამოიწვევდა მათთვის თურქეთის ბაზრის დაკარგვას.

1926 წლის მარტში თურქეთის პარალამენტმა მიიღო სპეციალური კანონი, რომლითაც დამყარდა სახელმწიფო მონოპოლია ყველა სახის საძიებელ სამუშაოებზე და ნავთობის ექსპლოატაციაზე. ეს ღონისძიება მიმართული იყო დასავლეთის კაპიტალიტების წინააღმეგ, რომლებიც უარს ამბობდნენ დაებანდებინათ კაპიტალი თურქეთის მთავრობის მიერ შეთავაზებულ პირობებზე.

ქემალისტური მთავრობის მიერ, ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, გატარებულ ღონისძიებათა შორის გარკვეული მნიშვნელობა ენიჭებოდა სოფლის მეურნეობას.

3. ცვლილებები სოფლად

თურქეთის ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რგოლი უნდა გამხდარიყო სოფლის მეურნეობა. სამეურნეო აღორძინების ინტერესები მოითხოვდა აგრარული საკითხის რადიკალურ გადაჭრას. მიწების გადაცემას იმათთვის, ვინც მას დაამუშავებდა. ასევე აუცილებელი იყო ფეოდალური და ნახევრადფეოდალური ექსპლუატაციის ფორმების გაუქმება, აგრარული საკითხების დემოკრატიულად გადაჭრა დააკმაყოფილებდა თურქი გლეხების მოთხოვნილებას, რომლებმაც თავიანთ მხრებზე გადაიტანეს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ომის მთელი სიმძიმე. „გლეხი თურქეთის ნამდვილი და სრულუფლებიანი ბატონ-პატრონია, განაცხადა მუსტაფა ქემალმა მეჯლისის სხდომაზე 1922 წლის 1 მარტს, ამიტომ გლეხებს სხვებზე მეტი უფლება აქვს ბედნიერებას და კეთილდღეობაზე. ამ საფუძველზე თურქეთის დიდი ეროვნული კრების მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა ამ ძირითადი ამოცანის მიღწევისაკენ უნდა იყოს მიმართული“.

მაგრამ ეროვნული ბურჟუაზია, რომელიც მჭიდროდ იყო დაკავშირებული მემამულეებთან, არ აპირებდა სერიოზულად გადაეწყვიტა აგრარული საკითხი და დაადგა

რეფორმების შეზღუდვის გზას, რაც ითვალისწინებდა მემამულეების, ნახევრად ფეოდალების ტრანსფორმაციას კაპიტალისტურ ფერმერებად.

ქემალისტურმა რევოლუციამ მიწის საკითხი გადაუჭრელი დატოვა. მრავალმილიონიანი გლეხობა კვლავ უმიწაწყალო დარჩა.

20-იანი წლების დასაწყისში გამოქვეყნდა კანონი უპატრონოდ დარჩენილი მიწების შესახებ. ისინი ეკუთვნოდათ ბერძნებსა და სომხებს, რომლებმაც მიატოვეს თავიანთი კარმიდამო. ფაქტიურად, ეს მიტოვებული მიწები ხელთ იგდეს მემამულეებმა და გლეხებს არაფერი არ შეხვდა. გლეხები კვლავ მემამულეებისაგან იღებდნენ იჯარით მიწას.

1924 წელს მეჯლისმა მიიღო კანონი სოფლის შესახებ. კანონის მიხედვით, სოფელზე დაწესდა სახელმწიფო კონტროლი, რომელსაც ანხორციელებდა მამასახლისი. ამავე კანონით სოფლად ითვლებოდა ისეთი დასახლებული პუნქტი, რომელშიც 2 ათასამდე მოსახლე ცხოვრობდა და დაბად კი – პუნქტი, 2-20 ათასამდე მცხოვრებით. უცხო ქვეყნების მოქალაქეებს კანონით არ შეეძლოთ შეეძინათ სოფელში მიწის ნაკვეთი. ან სხვა უძრავი ქონება. უცხოელებს შეეძლოთ სოფლად ცხოვრება გარკვეული წლების განმავლობაში, შინაგან საქმეთა სამინისტროს ნებართვით.

1924 წლის აპრილში მეჯლისმა მიიღო კანონი სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო კოპერატივების დაარსების შესახებ. მათ საკრედიტო ოპერაციებთან ერთად უნდა ეწარმოებინათ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ყიდვა-გაყიდვა.

მთავრობის ყველაზე მნიშვნელოვანი ღონისძიება იყო 1925 წლის 13 თებერვალს აშარის გადასახადის გაუქმება, რამაც ხელი შეუწყო სოფლად ფულად-სასაქონლო ურთიერთობების განვითარებას. აშარის ნაცვლად შემოიღეს მიწის გადასახადი და გადასახადი გასაყიდად გატანილ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე, აშარის გაუქმება იყო პროგრესული ღონისძიება და მიზნად ისახავდა სოფლის მეურნეობაში ფეოდალური ნაშთების ლიკვიდაციას.

ერთდროულად მთავრობამ გააუქმა თამბაქოს ფრანგული კონცესია „რეჟი“, რომლის საქმიანობაც დიდ ზარალს აყენებდა თურქეთის ინტერესებს.

სოფლად ქემალისტების მიერ გატარებული ღონისძიებების შედეგად ერთგვარად გაუმჯობესდა გლეხთა მდგომარეობა.

4. პროგრესულ-რესპუბლიკური პარტიის დაარსება და ოპოზიციური ძალების გამოსვლები

თურქეთის რესპუბლიკაში სამოქალაქო საზოგადოების გარდაქმნამ რადიკალური საშუალებით (რელიგიური დაწესებულებების ლიკვიდაციამ და სამოქალაქო უფლებების შემოღებამ) გამოიწვია რეაქციული ძალების წინააღმდეგობის გაძლიერება ქემალისტური მთავრობის მიმართ.

რეფორმების გატარებას ხელმძღვანელობდა 1924 წლის 8 ნოემბერს შედგენილი მთავრობის ახალი კაბინეტი, პრემიერ-მინისტრ ისმეთ ფაშას მეთაურობით.

რეაქციული ძალები თავიანთ პოზიციებს არ თმობდნენ უბრძოლველად. მათი გავლენა ჯერ კიდევ საკმარისი იყო, ამის დამადასტურებელია ის, რომ 1924 წლის კონსტიტუციაში მათი მოთხოვნით შეიტანეს დებულება: „ისლამი-თურქეთის სახელმწიფო რელიგიაა“.

1924 წლის განმავლობაში, განათლების სამინისტროსადმი დაქვემდებარებული 479 მედრესე და ნაწილობრივ იმამ-ჰათიბის სკოლები დაიხურა, ხოლო 1930 წლისათვის კი ყველა იმამ-ჰათიბეის სკოლა.

1924 წლის ნოემბერში ქემალისტების მიმართ ოპოზიციურად განწყობილმა გენერლებმა და დიდმოხელეებმა, გენერალ ქიაზიმ ყარაბექირის მეთაურობით, დაარსეს ოპოზიციური პოლიტიკური პარტია – პროგრესულ-რესპუბლიკური პარტიის სახელწოდებით. მასში შევიდნენ ჰუსეინ ბეი, ალი ფუად ფაშა და სხვ.

პროგრესულ-რესპუბლიკური პარტიის წევრები მოითხოვდნენ ქვეყანაში ფართოდ მოეზიდათ უცხოეთის კაპიტალი, უცხოელი ბიზნესმენებისათვის შეღავათების მინიჭებას, სახელმწიფო მონოპოლიის სისტემების გაუქმებას, უარის თქმას ეროვნული მრეწველობის შექმნაზე და რკინიგზელების ქსელის განვითარებაზე, აგრეთვე ოპოზიციონერები მოითხოვდნენ დედაქალაქის სტამბოლში გადატანას, ხალიფათისა და სასულთნოს აღდგენას.

პროგრესულ-რესპუბლიკური პარტია თავისი სოციალური შემადგენლობით და პოლიტიკური პროგრამით რეაქციული იყო. ხელისუფლებისათვის ბრძოლაში პროგრესისტები იყენებდნენ რელიგიას, აღვივებდნენ მოსახლეობაში რელიგიურ ფანატიზმს და უბიძგებდნენ ხალხის მასებს კანონსაწინააღმდეგო გამოსვლებისაკენ.

პროგრესისტების ზურგს უკან მოქმედებდნენ „ერთობისა და პროგრესის“ კომიტეტის ყოფილი ლიდერები, რომლებიც იმედოვნებდნენ ხელისუფლებაში დაბრუნებას.

1924 წლის 20 ნოემბერს პროგრესულ-რესპუბლიკურმა პარტიამ სხვადასხვა საშუალებით შეძლო ისმეთ ფაშას მთავრობის გადაყენება. ახალი პრემიერი გახდა ალი ფეთჰი, ასევე სახალხო პარტიის წევრი, მაგრამ იგი გამოირჩეოდა „ზომიერებით“ და თავისი სიმპათიით დასავლეთის კაპიტალის მიმართ. ახალმა პრემიერმა რეაქციულ ძალებს მისცა მოქმედების თავისუფლება, მათ გააჩაღეს ანტიქემალისტური აგიტაცია, განსაკუთრებით სტამბოლში და ჩამორჩენილ აღმოსავლურ პროვინციებში.

1925 წლის თებერვალში აღმოსავლეთის ვილაიეთებში დაიწყო ქურთი ტომების აჯანყება, შეიხ საიდის მეთაურობით, აჯანყებულებმა მოითხოვეს შარიათის აღდგენა და ქემალისტების მიერ შემოღებულ სიახლეებზე უარის თქმა. აგრეთვე გეგმავდნენ სასულთნოსა და სახალიფოს აღდგენას.

ამასთან ერთად, ამ რეგიონში მოქმედებდა ინგლისის აგენტურა. ინგლისი ცდილობდა აემხედრებინა ქურთები ქემალისტების წინააღმდეგ, რადგან ამ დროს გამწვავდა ინგლის-თურქეთის კონფლიქტი მოსულის გამო.

ინგლისის მთავრობა აცხადებდა, რომ ქურთები უკმაყოფილონი არიან ანკარის მთავრობით, ამიტომ არ შეიძლება მოსულის რაიონი გადაეცეს ანკარის მთავრობას, რადგან ამ რეგიონის მოსახლეობის დიდ ნაწილს ქურთები შეადგენდნენ.

ინგლისელებმა საიდუმლო კავშირი დაამყარეს ქურთთა აჯანყების მეთაურთან საიდთან და ეხმარებოდნენ მას იარაღითა და ფულით.

ქურთულ რეგიონებში აჯანყებამ ფართო ხასიათი მიიღო, შეიხ საიდმა დაიკავა ქალაქი ხარფურტი და ალყაში მოაქცია ქალაქი დაირბექირი.

შეიხ საიდის აჯანყება გახდა საბაბი ალი ფეთჰი ბეის მთავრობის გადადგომისა. მას ბრალი დასდეს, რომ მან არ მიიღო ენერგიული ზომები აჯანყებულთა წინააღმდეგ.

1925 წლის 3 მარტს მთავრობის თავმჯდომარე კვლავ გახდა ისმეთ ფაშა. 1925 წლის 4 მარტს თურქეთის ეროვნულმა კრებამ აღადგინა საგანგებო ტრიბუნალები, რომელიც გაუქმებული იყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დამთავრების შემდეგ. მიღებული დადგენილება მთავრობას აძლევდა საგანგებო უფლებას მიეღო გადამწყვეტი ზომები ოპოზიციონერების წინააღმდეგ. სტამბოლსა და სხვა

ქალაქებში ჩატარდა სასამართლო პროცესები რეაქციონერების წინააღმდეგ. აჯანყებულ ქურთების წინააღმდეგ გაგზავნილ იქნა რეგულარული ჯარის ნაწილები. 1925 წლის აპრილში ქურთების აჯანყება ჩაქრობილ იქნა, შეიხ საიდი და მისი უახლესი თანამებრძოლები გაასამართლეს და სიკვდილით დასაჯეს.

აჯანყების ჩახშობის შემდეგ ქურთ ხალხს არ შეუწყვეტია ბრძოლა. გამოსვლებს ადგილი ჰქონდა 1926, 1927, 1930 და 1932 წლებში. თურქეთის მთავრობა სასტიკად უსწორდებოდა აჯანყებულ ქურთებს, მიუხედავად ამისა ისინი კვლავ განაგრძობდნენ ბრძოლას ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ.

პროგრესული პარტიის წევრები რეაქციულ ძალებთან ერთად აწყობდნენ მიტინგებსა და დემონსტრაციებს ისლამის დაცვის ლოზუნგით.

შეიხ საიდის სასამართლო პროცესზე გამოაშკარავდა, რომ „პროგრესისტებს“ კავშირი ჰქონდათ აჯანყებულ ქურთებთან. 1925 წლის ივნისში მთავრობამ მიიღო დადგენილება პროგრესულ-რესპუბლიკური პარტიის საქმიანობის აკრძალვის შესახებ და პარტია დაშლილად გამოაცხადა. სტამბოლის რიგი გაზეთები, რომლებიც მხარს უჭერდნენ პროგრესისტებს დაიხურა.

1926 წლის ზაფხულში იზმირში მოეწყო შეთქმულება ქემალის წინააღმდეგ. შეთქმულებას ხელმძღვანელობდნენ „ერთობისა და პროგრესის“ და „პროგრესულ-რესპუბლიკური“ პარტიის ყოფილი წევრები, შეთქმულება გამომჟღავნდა. სასამართლომ რამდენიმე მონაწილეს სიკვდილის განაჩენი გამოუტანა, დანარჩენებს კი სხვადასხვა წლის პატიმრობა. გასამართლებულთა შორის იყვნენ ქიაზიმ ყარაბექირი, ფუად ფაშა, რეფეთ ფაშა და სხვები.

ამრიგად, რეაქციულმა ძალებმა და ოპოზიციამ დამარცხება განიცადეს. ამან ქემალისტებს საშუალება მისცა უფრო გაბედულად განეხორციელებინათ რეფორმები.

მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ თურქეთში იქმნება პირველი კომუნისტური ჯგუფები, მაგრამ მათი გავლენა მუშებსა და გლეხებზე სუსტი იყო. 1920 წლის სექტემბერში ბაქოში ჩატარდა თურქეთის კომუნისტური პარტიის პირველი ყრილობა, პარტიის დამაარსებელი იყო მუსტაფა სუფჰი. 1921 წლის იანვარში ტრაპიზონში მუსტაფა სუფჰი და მისი 15 თანამებრძოლი ვერაგულად იქნენ მოკლულნი. თურქეთის კომუნისტურ პარტიას მეტად რთულ პირობებში უხდებოდა მოღვაწეობა, 1925 წლიდან აიკრძალა კომუნისტური პარტიის საქმიანობა და იგი არალეგარულ საქმიანობაზე გადავიდა. 1925 წლიდან თურქეთში სახალხო-რესპუბლიკური პარტიის ერთპარტიული მმართველობა დამყარდა და ასე გაგრძელდა 1946 წლამდე, მრავალპარტიული სისტემის შემოღებამდე.

5. ქემალისტების რეფორმები

კაპიტალისტური განვითარების გზაზე თურქეთისათვის სერიოზულ დაბრკოლებას წარმოადგენდა ქვეყნის საუკუნოვანი ჩამორჩენილობა მეცნიერების, განათლების, კულტურისა და ყოფაცხოვრების სფეროში. ეროვნული ბურჟუაზია დაინტერესებული იყო ევროპული კულტურის დანერგვით, რაც ხელს შეუწყობდა ხალხის განათლების დონის ამაღლებას და ქვეყნის კაპიტალისტური გზით წინსვლას.

1924 წლის 3 მარტს პარლამენტმა მიიღო კანონი შარიათისა და ვაკუფების სამინისტროს გაუქმების შესახებ და მის ნაცვლად დაარსდა კულტურის სამინის-

ტრო. მის ხელთ გადავიდა მეჩეთებისა და თექეების ხელმძღვანელობა. მას ჰქონდა უფლება დაენიშნა და გადაეყენებინა იმამები, შეიხები და სხვა სასულიერო პირები. დაიწყო სამზადისი ევროპული ტიპის ახალი სამოქალაქო კოდექსის შემუშავებისათვის.

1922 წელს მუსტაფა ქემალი წერდა: „ამ ბრძოლის (ეროვნულ-განმათავისუფლებელი – მ. ს.) შემდეგ ჩვენ გავაგრძელებთ ბრძოლას მეცნიერების, განათლებისა და ეკონომიკის სფეროში, და მე დარწმუნებული ვარ, რომ ამ სარბიელზედაც ჩვენ მივაღწევთ გამარჯვებას“.

საწყის ეტაპზე, საზოგადოების დეისლამიზაციის მიზნით, მნიშვნელოვანი ღონისძიება იყო ევროპული ტანსაცმლის იძულებით შემოღება.

1925 წლის 25 ნოემბერს პარლამენტმა მიიღო კანონი ფესკების აკრძალვისა და აუცილებლად ევროპული ქუდების ტარების შესახებ. აიკრძალა, ოსმალებისათვის დამახასიათებელი ქუდების, ფაფახებისა და ფესკების ტარება და მათ ნაცვლად უნდა დაეხურათ ევროპული ქუდები. სახელმწიფო მოხელეები ვალდებული იყვნენ საზოგადოებრივ ადგილებში ყოფილიყვნენ ევროპულად ჩაცმული, ერთმანეთს მისალმებოდნენ ევროპული წესით და სხვა.

დადგენილება აგრეთვე უკრძალავდა სასულიერო ტანსაცმლის ტარებას იმ პირებს, რომლებიც აღარ იყვნენ ოფიციალურად კულტის მსახურნი.

მთელ თურქეთში დაიწყეს ევროპული ტანსაცმლისა და ქუდების ტარება. საჯაროდ წვავდნენ ფესკებსა და აღმოსავლურ თავსაბურავებს, ქალაქების მოედნებზე ამ მიზნებისათვის გამოყოფილი იყო სპეციალური ადგილი.

მუსტაფა ქემალი ქვეყნის რაიონებში მოგზაურობის დროს ევროპულად იყო ჩაცმული და ამით სხვებს აძლევდა მაგალითს.

1925 წლის 30 ნოემბერს პარლამენტმა მიიღო კანონი, რომლითაც გაუქმდა დერვიშული ორდენები და მათი მონასტრები (თექე). ადრე ეს რელიგიური ორდენები დიდ როლს თამაშობდნენ თურქეთის საშინაო ცხოვრებაში. მათი რიცხვი მნიშვნელოვანი იყო, ყოველი სექტის სათავეში შეიხი იდგა. მას ბრმად ემორჩილებოდა დერვიშთა მასა. სარგებლობდნენ რა ცალკეული პირების ფანატიზმით შეიხებმა მოიპოვეს დიდი გავლენა, განსაკუთრებით შორეულ რაიონებში, სადაც ცენტრალური ხელისუფლების გავლენა სუსტი იყო. ამასთან ერთად, ლიკვიდირებულ იქნა დერვიშების თავშეყრისა და თაყვანისცემის ადგილები.

1925 წლის 26 დეკემბერს პარლამენტმა მიიღო კანონი ევროპული წელთაღრიცხვის შემოღების შესახებ, დასვენების დღე პარასკევიდან გადაიტანეს კვირაზე.

მეტად მნიშვნელოვანი იყო 1926 წელს ახალი სამოქალაქო კოდექსის მიღება. მის შედგენაში მონაწილეობა მიიღეს ცნობილმა თურქმა იურისტებმა. იგი შემუშავებული იქნა შვეიცარული კოდექსის საფუძველზე. სამოქალაქო კოდექსის მიღებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა თურქეთში შუა საუკუნეობრივი ნორმების ლიკვიდაციის საქმეში.

აგრეთვე მნიშვნელოვანი იყო 1926 წელს ევროპულ ყაიდაზე შედგენილი ახალი სისხლის სამართლის კოდექსი, რომელსაც საფუძვლად დაედო იტალიური კოდექსი. გაუქმდა ადრე არსებული მუსლიმური სამართლის ნორმები. კერძოდ, აიკრძალა მუსლიმური წესით დაშვებული მრავალცოლიანობა, საეკლესიო ქორწინების ნაცვლად დაწესდა სამოქალაქო ქორწინება და სხვ.

1928 წელს თურქეთის დიდმა ეროვნულმა კრებამ კონსტიტუციიდან ამოიღო ფრაზა: „თურქეთის სახელმწიფო რელიგია ისლამია“. ამგვარად, რელიგია საბოლოოდ გამოეყო სახელმწიფოს, ამ ფაქტს უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა აქვს,

რადგანაც თურქეთი დღემდე ერთადერთი მუსლიმური სახელმწიფოა, სადაც რელიგია გამოყოფილია სახელმწიფოსაგან.

რელიგიის გამოყოფა სახელმწიფოსაგან არ ნიშნავდა იმას, რომ ქემალისტებმა დაიწყეს ბრძოლა რელიგიის წინააღმდეგ. თურქეთის მთავრობა ცდილობდა რელიგიის გამოყენებას ახალი სახელმწიფოს ინტერესებისათვის. ყურანი არაბულიდან ითარგმნა თურქულ ენაზე, მინარეთებიდან ისმოდა მოეძინის მოწოდება არა „წინასწარმეტყველის ენაზე“ არამედ ჩვეულებრივ თურქულზე.

1934 წელს მთავრობამ აუკრძალა რელიგიური კულტის მსახურებს, საეკლესიო სამსახურის გარეთ, საეკლესიო ტანსაცმელის ტარება.

1929 წლიდან თურქეთში ძალაში შევიდა კანონი „თურქეთის მოქალაქეობის შესახებ“, რომელმაც საბოლოოდ ბოლო მოუღო კაპიტულაციების ნორმებს თურქეთის კანონმდებლობაში.

ქემალისტებმა განსაკუთრებით დიდი ყურადღება დაუთმეს სახალხო განათლების გარდაქმნას. პირველი ნაბიჯები ამ მიმართულებით იყო სასკოლო განათლების სისტემის უნიფიკაცია. ამ დარგში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა შარიათისა და ვაკუფების სამინისტროს გაუქმებას. 1924 წლის მარტში თურქეთის დიდმა ეროვნულმა კრებამ მიიღო კანონი ერთიანი სწავლების შემოღების შესახებ. ამ დადგენილებით, მთელი სკოლები და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები გადაეცა განათლების სამინისტროს, მედრესეები და სხვა სასულიერო სკოლები სტამბოლის ღვთისმეტყველების ფაკულტეტის გამოკლებით, დაიხურა. ამ ღონიძიებით საგრძნობლად შემცირდა რელიგიის გავლენა კულტურულ ცხოვრებაზე.

უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ანბანის რეფორმას. არაბული ანბანი დიდად აფერხებდა მოსახლეობაში წერა-კითხვისა და სწავლა-განათლების გავრცელებას. თურქეთში რესპუბლიკის გამოცხადებამდე წერა-კითხვის მცოდნეთა რიცხვი 4 პროცენტს შეადგენდა. სასულიერო პირები დიდ წინააღმდეგობას უწევდნენ ლათინური ანბანის შემოღებას.

1928 წლის 1 ნოემბერს თურქეთის დიდმა ეროვნულმა კრებამ მიიღო კანონი ანბანის რეფორმის შესახებ, რომლის საფუძველზედაც არაბული ანბანი შეიცვალა ლათინურით. ეს იყო მეტად მნიშვნელოვანი ღონისძიება მოსახლეობის სწავლა-განათლებისა და საერთოდ, ქვეყნის კულტურისა და მეცნიერების განვითარების საქმეში.

ახალი ანბანის სწრაფად ათვისების მიზნით, 1928 წლის დეკემბერში გაიხსნა პირველი ეროვნული სკოლები, 1929 წლის დამდეგს უკვე ფუნქციონირებდა ათასზე მეტი ასეთი სკოლა, რომლებშიც 1928-1929 წლებში წერა-კითხვა შეისწავლა 500 ათასზე მეტმა კაცმა. ამან ხელი შეუწყო წერა-კითხვის მცოდნეთა რიცხვის ზრდას და მოსახლეობის კულტურული დონის ამაღლებას.

განათლების შემდგომი სრულყოფისათვის თურქეთის მთავრობამ მოიწვია სახღვარგარეთიდან სპეციალიტები, რომელთა დახმარებითაც შემუშავებულ იქნა ახალი სასწავლო პროგრამა. ამ გეგმის მიხედვით მთელ დაწყებით სკოლებს, რომელთაც არ ჰქონდათ ერთიანი სახელწოდება, უწოდეს „ორთა ოკულ“ („დაწყებითი სკოლა“). დაწყებით სკოლაში სწავლების ვადა ხუთი წელი იყო. სკოლის პროგრამაში შეტანილი იყო ახალი საგნები – ხატვა, ფიზკულტურა, თურქული ენის გრამატიკა და სხვ. დაწყებით სკოლაში მთავარი ყურადღება ექცეოდა მშობლიური ენის შესწავლას, აგრეთვე არითმეტიკას, გეოგრაფიასა და ისტორიას.

ცვლილებები შეტანილი იქნა განათლების სწავლებაში. საშუალო სკოლა ორად გაიყო. „ორთა ოკულ“ („დაწყებითი სკოლა“) და „ლიცეუმი“. ყოველი მათგანი სამწლიანი იყო, დაწყებითი სკოლა იძლეოდა არასრულ საშუალო განათლებას,

ხოლო ლიცეუმი იყო სრული საშუალო სკოლა. ერთდროულად მიღებულ იქნა ზომები პედაგოგიური კადრების მოსამზადებლად. 1926 წელს ანკარასა და იზმირში გაიხსნა პედაგოგიური ინსტიტუტები, გაიზარდა პედაგოგ-მასწავლებლების ხელფასი, რამაც დადებითი გავლენა მოახდინა მათი პროფესიული დონის ამაღლებისა და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე.

ოთხი წლის განმავლობაში (1926-1929) გაიხსნა ასობით ახალი სკოლა. მოსწავლეთა რიცხვი 382 ათასიდან გაიზარდა 517 ათასამდე.

20-იან წლებში მთავრობამ მოახდინა უცხოეთის სასწავლებლების რეორგანიზაცია (ლიცეუმები, კოლეჯები), რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი დაიხურა, ხოლო დანარჩენები სახელმწიფო კონტროლს დაექვემდებარა.

ისევე როგორც აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, თურქეთშიც ქალი ყოველგვარ უფლებებს მოკლებული იყო. თურქეთში ქალთა ემანსიპაციას სათავე მუსტაფა ქემალმა დაუდო.



მუსტაფა ქემალი თავის მეუღლესთან

1922 წელს ბერძნებისაგან იზმირის განთავისუფლების შემდეგ, მუსტაფა ქემალმა ცოლად შეირთო მდიდარი ვაჭრის ქალიშვილი ლატიფე ხანუმი. იგი საკმაოდ განათლებული იყო. დამთავრებული ჰქონდა პარიზის უნივერსიტეტი. იცოდა რამდენიმე ევროპული ენა, კარგად ერკვეოდა მუსიკაში, უკრავდა კლასიკოსების ნაწარმოებებს (ბეთხოვენი, მოცარტი, შუმანი, ჩაიკოვსკი და სხვ).

ქორწილი ქემალმა ძველი ადათ-წესების მიხედვით არ გადაიხადა. საქორწინო ცერემონიალი ჩატარდა კაცებისა და ქალების მონაწილეობით. ლატიფე ხანუმი უჩადროდ იყო. ქორწილი ჩატარდა ფულადი გამოსასყიდებისა და საჩუქრების გარეშე.

მეორე დღეს მუსტაფა ქემალი, მეუღლესთან ერთად ეწვია იზმირის თეატრს, ლატიფე უჩადროდ იყო, ყოველივე ამან რელიგიურ წრეებში აღშფოთება გამოიწვია, ოპოზიციამ მეჯლისში შეიტანა შეკითხვა მუსტაფა ქემალის ქორწინებასთან დაკავშირებით.

მუსტაფა ქემალის რჩევით, ლატიფე ხანუმი დიდ მუშაობას ეწეოდა ქალთა შორის, მათი ძველი ტრადიციული გადმონაშთების ლიკვიდაციის მიზნით. ყველგან, მათ შორის მეჯლისშიც, იგი ჩადრის გარეშე დადიოდა, ეს მეტად აღიზიანებდა ფანატიკოსებს, ისლამის წესების დამცველებს. მაგრამ იგი არ აქცევდა ამას ყურადღებას და აქტიურად იბრძოდა ქალთა ემანსიპაციისათვის.

მუსტაფა ქემალი დიდად აფასებდა იმ წვლილს, რომელიც ქალებმა შეიტანეს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში და რესპუბლიკის გამოცხადების შემდეგ ხელს უწყობდა მათი უფლებების გათანასწორებას მამაკაცებთან.

1926 წელს გამოცემული კანონით ქალებმა პირველად თურქეთის ისტორიაში მამაკაცებთან ერთად მიიღეს პოლიტიკური უფლებები, საარჩევნო ხმის უფლების გამოკლებით. ეს იყო პირველი ნაბიჯი ქალების ემანსიპაციის გზაზე. აიკრძალა მრავალცოლიანობა, ჩადრის ტარება, 18 წლამდე გოგონების გათხოვება. 1927 წლის კანონით, ქალებს მიეცათ უფლება ემსახურათ სახელმწიფო დაწესებულებებში.

სტამბოლსა და ანკარაში გაიხსნა ქალთა უმაღლესი პედაგოგიური ინსტიტუტები, სასწავლებლები და ლიცეუმები. 1928 წელს გაიხსნა პირველი ქალთა სკოლები, მუსიკალური და ფიზიკური აღზრდის პედაგოგების მოსამზადებლად.

1930-1934 წლებში კონსტიტუციაში შეიტანეს ცვლილებები, რომლითაც ქალებს მიენიჭათ უფლება 1933 წლიდან მონაწილეობა მიეღოთ მუნიციპალურ არჩევნებში, ერთი წლის შემდეგ ეს უფლება გავრცელდა მეჯლისის არჩევნებზედაც. ამრიგად ქალებმა მიიღეს მამაკაცებთან თანასწორად მონაწილეობის უფლება ქვეყნის საზოგადოებრივ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, „ქემალისტები აღმოჩნდნენ ევროპელებზე პროგრესულები ქალებისათვის უფლებების მინიჭების საქმეში“.


1935 წლის არჩევნების დროს თურქეთის დიდ ეროვნულ კრებაში აირჩიეს 18 დეპუტატი ქალი.

1934 წელს თურქეთის პარლამენტმა მიიღო გვარის კანონმდებლობა. (წინათ თურქები ატარებდნენ მხოლოდ სახელსა და მამის სახელს ან ზედმეტსახელს). გვარის კანონით გაუქმდა ტიტულები და მიმართვის ძველი ფორმები: ფაშა, ბეი, ეფენდი და სხვ. მუსტაფა ქემალმა გვარად მიიღო ათათურქი („თურქების მამა“). ისმეთ ფაშამ გვარად მიიღო ინონოუ (ინონუ სოფლის სახელწოდებაა, სადაც მან მოიპოვა გამარჯვება ბერძნებზე). გვარის კანონმდებლობას ჰქონდა ნაკლიც. მაგალითად, ქართველებს არა ჰქონდათ უფლება თავიანთი ქართული გვარი დაეტოვებინათ და უნდა მიეღოთ თურქული გვარი.

მუსტაფა ქემალის ინიციატივითა და ფინანსური დამხარებით 1931-1932 წლებში დაარსდა თურქეთის საისტორიო და ლინგვისტური საზოგადოებები. ამ საზოგადოებებმა დიდი როლი შეასრულეს და ასრულებენ კიდეც ქვეყნის კულტურისა და ჰუმანიტარული მეცნიერებების განვითარების საქმეში.



მუსტაფა ქემალი მოხსენებით გამოდის სახალხო რესპუბლიკური პარტიის II ყრილობაზე.



თურქეთის საისტორიო საზოგადოების სხდომა

ქვეყნის კულტურის პროპაგანდის საქმეში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს მუზეუმებმა, რომლებიც გაიხსნა სახელმწიფოს დახმარებით. 30-იან წლების დასაწყისში გაიხსნა 15 მუზეუმი.

გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა საბიბლიოთეკო საქმის გაუმჯობესების მიზნით, აგრეთვე მუსიკალური და თეატრალური ხელოვნების განვითარებისათვის. ანკარაში, სტამბოლსა და იზმირში გაიხსნა სახელმწიფო თეატრალური, მხატვრული და მუსიკალური სკოლები.

მთავრობამ მიიღო გარკვეული ზომები სპორტის ცენტრალიზაციის მიზნით. დაარსდა სპორტული საზოგადოებები, კლუბები. 1924 წელს თურქეთმა პირველად მონაწილეობა მიიღო ოლიმპიურ თამაშობებში.

მოსპეს რა ძველი საზოგადოების საფუძველი, შარიათის ნორმები, არაბული ანბანი, რელიგიური სკოლები, ძველი განათლების სისტემა, ქემალისტებმა მოახდინეს გადატრიალება თურქეთის საზოგადოებრივ და კულტურულ ცხოვრებაში. ეს რადიკალური გარდაქმნები შეიძლება შეფასდეს, როგორც კულტურული რევოლუცია.

1927 წლის 15-20 ოქტომბერს ჩატარდა სახალხო-რესპუბლიკური პარტიის II ყრილობა, რომელზედაც 37 საათიანი სიტყვით გამოვიდა მუსტაფა ქემალი. მან შეაჯამა 1919-1927 წლებში ქვეყანაში მომხდარი ისტორიული მნიშვნელობის მოვლენები და დასახა ქვეყნის შემდგომი განვითარების გზები.

ყრილობაზე მიღებული იქნა პარტიის ოთხი პრინციპი: რესპუბლიკანიზმი, ნაციონალიზმი, ხალხურობა და ლაიციზმი.

6. თურქეთის საგარეო პოლიტიკა

ეროვნულ-განმათავისუფლებელი ომის შემდგომ პერიოდში თურქეთის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი ამოცანა იყო იმ საკითხების მოგვარება, რომლებიც არ იყო გადაწყვეტილი ლოზანის კონფერენციაზე. აქედან ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მოსულის საკითხი.

თურქეთის მთავრობა აცხადებდა, რომ მოსულის რაიონი ინგლისელებმა დაიკავეს 1918 წლის 30 ოქტომბრის, ე. ი. მუდროსის დაზავების შემდეგ, რაც უკანონოა და მოითხოვდა მის დაბრუნებას. ლოზანის კონფერენციაზე ეს საკითხი არ გადაწყდა, მაგრამ მოლაპარაკება გაგრძელდა.

1924 წელს სტამბოლში ამ საკითხზე მიმდინარეობდა ინგლის-თურქეთის მოლაპარაკება, რომელიც უშედეგოდ დამთავრდა. შემდეგ მოსულის საკითხი განიხილა ერთა ლიგამ, მან მიიღო დადგენილება – მოსულის რაიონი ერაყს შეერთებოდა, ხოლო ერაყი კი, ერთა ლიგის გადაწყვეტილებით, ინგლისის სამანდატო ტერიტორია იყო. თურქეთმა უარი თქვა ეცნო ეს დადგენილება. მაშინ ერთა ლიგამ ეს სადავო საკითხი განსახილველად გადასცა ჰააგის საერთაშორისო სასამართლოს.

კონფლიქტი დამთავრდა 1926 წლის 5 ივნისს ინგლის-თურქეთის ხელშეკრულების ხელისმოწერით, რომლის მიხედვითაც, მოსულის რაიონი რჩებოდა ერაყის შემადგენლობაში, თურქეთს ეძლეოდა უფლება მიეღო 20 წლის განმავლობაში მოსულის ნავთობის შემოსავლის 10%, ან დათანხმებულიყო ერთდროულად მიეღო კონპენსაცია 500 ათასი გირვანქა სტერლინგის ოდენობით.

მოსულის საკითხის მოგვარების შემდეგ, დაიწყო ახალი ეტაპი თურქეთის ურთიერთობისა სხვა სახელმწიფოებთან.

1924-1927 წლებში თურქეთმა დაამყარა დიპლომატიური ურთიერთობა პოლონეთთან, ალბანეთთან, უნგრეთთან, შვედეთთან, ნიდერლანდებთან, ესპანეთთან, ჩეხოსლოვაკიასთან, ბულგარეთთან, შვეიცარიასთან, ავსტრალიასთან, ჩილესთან, არგენტინასთან, მექსიკასთან, ბრაზილიასთან.

1927 წელს თურქეთმა გერმანიასათან დადო ხელშეკრულება ვაჭრობისა და ნაოსნობის შესახებ. ანალოგიური სავაჭრო ხელშეკრულებები დაიდო ფინეთთან, უნგრეთთან, ჩეხოსლოვაკიასთან, იტალიასთან, საფრანგეთთან, ბულგარეთთან.

თურქეთის მთავრობა დიდ ყურადღებას უთმობდა საბჭოთა კავშირთან კეთილმეზობლური ურთიერთობის გაფართოებას, 1926 წლის 31 მარტს ხელი მოაწერეს გენერალურ ოქმს ორ სახელმწიფოს შორის საზღვრების დადგენის შესახებ, რომელსაც საფუძვლად დაედო 1921 წლის 16 მარტს მოსკოვსა და 1921 წლის 13 ოქტომბერს ყარსის ხელშეკრულებები.

1925 წლის 17 დეკემბერს პარიზში საბჭოთა კავშირსა და თურქეთის რესპუბლიკებს შორის ხელმოწერილ იქნა ხელშეკრულება მეგობრობის, თავდაუსხმელობისა და ნეიტრალიტეტის შესახებ. ორივე მხარე ვალდებულებას იღებდა თავი შეეკავებინა ერთმანეთზე თავდასხმებისაგან და ყველა სადავო საკითხი მოეგვარებინა ურთიერთმოლაპარაკების გზით ან ერთა ლიგის შუამდგომლობით.

1925 წლის ხელშეკრულებამ უზრუნველყო მტკიცე მშვიდობიანობა საბჭოთა კავშირსა და თურქეთს შორის, ამ ხელშეკრულებამ ხელი შეუწყო კრიტიკულ ვითარებაში თურქეთის საერთაშორისო მდგომარეობის განმტკიცებას, როდესაც მისი ურთიერთობა ინგლისთან გამწვავებული იყო მოსულის საკითხის გამო.

ანკარაში შემდგომ ხელმოწერილ იქნა რამდენიმე ოქმი. 1925 წელს ხელშეკრულების ვადის გაგრძელების და მისი გაფართოების შესახებ. 1929 წლის 17

დეკემბერს ხელშეკრულება გაგრძელებული იქნა 2 წლით, ამავე დროს თურქეთმა და საბჭოთა კავშირმა აიღეს ვალდებულება არ დაეწყოთ მოლაპარაკება რომელიმე ქვეყანასთან ერთმანეთთან წინასწარი შეთანხმების გარეშე.

მეგობრული ურთიერთობის გაფართოებასთან ერთად ვითარდებოდა ეკონომიკური თანამშრომლობაც.

1923 წლიდან თურქეთსა და საბჭოთა კავშირს შორის დამყარდა რეგულარული სავაჭრო ურთიერთობა, თურქ ვაჭრებს მიეცათ უფლება შეეტანათ თურქული საქონელი საბჭოთა კავშირში და გაეტანათ საბჭოთა საქონელი.

1927 წლის 11 მარტს დაიდო თურქეთსა და საბჭოთა კავშირს შორის ხელშეკრულება ვაჭრობისა და ზღვაოსნობის შესახებ, რომელიც მნიშვნელოვან შეღავათებს ანიჭებდა თურქეთს საბჭოთა კავშირში საქონლის ექსპორტზე. იმავე წელს დაიდო ხელშეკრულება საძოვრების, საზღვარზე გადასვლისა და ვეტერინალური სამსახურის თაობაზე.

თავი V

თურქეთი 1929-1938 წლებში

1. თურქეთი 1929-1933 წლების მსოფლიოს ეკონომიკური კრიზისის დროს

მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა თურქეთის ეკონომიკას დიდი ზიანი მიაყენა. აგრარულ თურქეთში ეს პირველ რიგში შეეტყო სოფლის მეურნეობას. კრიზისის შედეგად დიდად დაზარალდა მარცვლეულისა და იმ სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოება – (თამბაქო, ბამბა, ხმელი ხილი), რომლებიც საექსპორტოდ გაჰქონდათ. სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნათესი ფართობი საგრძნობლად შემცირდა. ფასები სამ-ოთხჯერ დაეცა წამყვან სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე. კიდევ უფრო მეტად ხუთ-ექვსჯერ დაეცა ფასები სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე. უფრო მეტად ხუთ-ექვსჯერ დაეცა ფასები სოფლის მეურნეობის საექსპორტო საქონელზე, ხოლო ფასები სამრეწველო საქონელზე გაცილებით ნაკლებად შემცირდა.

განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა მეთამბაქოება. თამბაქო თურქეთის ექსპორტის მნიშვნელოვანი დარგი იყო, თამბაქოს ნათესი ფართობი შემცირდა 32,5 პროცენტი, ხოლო მისი მოსავალი 69,6 ათასი ტონიდან 18 ათას ტონამდე. ეკონომიკურმა კრიზისმა საგრძნობლად დააზარალა აგრეთვე მებამბეობა. მისი მოსავალი შემცირდა 70 ათასი ტონიდან 45 ათას ტონამდე. არანაკლები ზარალი განიცადა მესაქონლეობამ. კრიზისის გავლენის შედეგად თურქეთის სოფლის მეურნეობა დაქვეითების გზას დაადგა.

კრიზისმა დააზარალა სუსტად განვითარებული ეროვნული მრეწველობა, სახელოსნოების დიდი ნაწილი გაკოტრდა, წვრილი და საშუალო საწარმოების ნაწილი დაიხურა, დაიწყო მასობრივი უმუშევრობა.

კრიზისის შედეგად მკვეთრად შემცირდა საგარეო ვაჭრობის ტვირთბრუნვა. 1928 წელს ექსპორტი შეადგინა 173,5 მილ. ლირას, 1933 წლისათვის კი – 96 ლირას, ხოლო იმპორტი 223,5 ლირადან შემცირდა 75 მილ. ლირამდე.

ეკონომიკურმა კრიზისმა გამოიწვია თურქეთის ლირას კურსის დაცემა, რასაც მოჰყვა ფინანსური კრიზისი.

ასეთ ვითარებაში მთავრობამ ვერ შეძლო გადაეხადა საგარეო ვალების მორიგი შესატანი და იძულებული გახდა მორატორიუმი გამოეცხადებინა. მკვეთრად გაიზარდა სახელმწიფო ვალი, რომელმაც 443 მილ ლირა შეადგინა.

კრიზისის გავლენის შესამცირებლად მთავრობამ მიიღო გარკვეული ზომები, ქვეყნის ეკონომიკის დაცვის მიზნით, მთავრობამ გაატარა რიგი პროტექციონისტური ღონისძიებებისა, რომლებიც პრაქტიკულად შეეხო წარმოების ყველა სფეროს. ასე, მაგალითად, 1929 წელს მთავრობამ შემოიღო საბაჟო ტარიფი, რის შედეგადაც მნიშვნელოვანად გაიზარდა გადასახადი იმპორტულ საქონელზე, რასაც ხელი უნდა შეეწყო ადგილობრივი წარმოების ზრდისათვის. 1931 წლიდან მთავრობამ დაიწყო იმპორტული საქონლის შეზღუდვა. ბოლოს, 1933 წლიდან მთავრობამ კვლავ გაზარდა ბაჟები რიგ იმპორტულ საქონელზე, კერძოდ, ბამბეულის ნაწარმზე. იმპორტის შემცირების ხარჯზე 1930 წლისათვის მთავრობამ შეძლო რამდენადმე გაეზარდა ექსპორტი

იმპორტზე, რამაც ხელი შეუწყო ლირას სტაბილიზაციას. 1931 წელს დაარსდა თურქეთის რესპუბლიკის ცენტრალური ბანკი, ემისიის უფლებით.

ამავე დროს მთავრობამ შემოიღო სახელმწიფო მონოპოლია შაქარზე, სპირტზე, სპირტის ნაწარმზე და სხვ. უმთავრესად სავაჭრო სახის საქონელზე. მონოპოლიების შემოღებით, მთავრობა ისახავდა ფისკალურ მიზანს – გამოენახა სახსრები სახელმწიფო ბიუჯეტის შესავსებად.

თურქეთის მთავრობის მიერ გატარებულმა ღონისძიებებმა რამდენადმე შეანელა კრიზისის გავლენა და დაიწყო მეურნეობის გამოცოცხლება.

კრიზისის წლებში ადგილი ჰქონდა მუშათა გაფიცვებსა და გლეხთა გამოსვლებს. მთავრობამ შეძლო საპროტესტო გამოსვლების ლიკვიდაცია.

მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის შედეგად შექნილმა მდგომარეობამ ახალი ბიძგი მისცა ფეოდალური კლერიკალური ჯგუფების გააქტიურებას. პოლიტიკური მდგომარეობის განმუხტვის მიზნით, მთავრობამ შესაძლებლად ჩათვალა ახალი მემარჯვენე ოპოზიციური პარტიის დაარსება. 1930 წლის აგვისტოში შეიქმნა „ლიბერალურ-რესპუბლიკური“ პარტია. მისი დამაარსებელი იყო ალი ფეთჰი (ოქიარი). ალი ფეთჰი ბევი წლების განმავლობაში იყო თურქეთის ელჩი პარიზსა და ლონდონში. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, მან მუსტაფა ქემალის მხარდაჭერით, დააარსა თავისი პარტია.

9 აგვისტოს ალი ფეთჰი ბეიმ გამოაქვეყნა წერილი პრეზიდენტ მუსტაფა ქემალისადმი, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ თურქეთი უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში იმყოფება მძიმე მდგომარეობაში, რაც გამოწვეული იყო მთავრობის არადამაკმაყოფილებელი პოლიტიკით და რომ მას მეჯლისში უკავია მონოპოლიური მდგომარეობა. „ვარ რა რესპუბლიკის მომხრე, წერდა იგი, გადავწყვიტე ჩავება პოლიტიკურ ბრძოლაში... მე გავაკრიტიკებ სახალხო რესპუბლიკური პარტიის ფინანსურ, ეკონომიკურ და შიდაპოლიტიკურ ხარვეზებს“.

მუსტაფა ქემალმა თავის საპასუხო წერილში განაცხადა, რომ მეჯლისში თავისუფალი კრიტიკა კეთილგანწყობილი პირისაგან ერის უმაღლესი პრინციპების დაცვის მიზნით სავსებით მისაღებია, და იგი ყოველთვის ამის მომხრე იყო.

რამდენიმე დღის შემდეგ გამოქვეყნდა ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის პროგრამა. ამ პროგრამით პარტია აპირებდა განემტკიცებინა რესპუბლიკანიზმის, ნაციონალიზმისა და ლაიციზმის პრინციპები; შეემცირებინა გადასახადები, რათა არ შეეშალა ხელი მოსახლეობის ინიციატივისათვის, დაემყარებინა მტკიცე წესრიგი საგადასახადო სისტემაში; მიღებულიყო ზომები ფულის სისტემის მოსაწესრიგებლად, გაეხსნათ გზა თურქეთის ეკონომიკაში უცხოეთის კაპიტალის მოზიდვის მიზნით; აეკრძალა მთავრობას კერძო მეწარმეთა ფინანსურ და ეკონომიკურ საქმიანობაში ჩარევა; გლეხები დაეხსნათ მევახშეებისაგან და მიეცათ მათთვის იაფი კრედიტები; გამოეცხადებინათ სასტიკი ბრძოლა მექრთამეობისა და ბოროტმოქმედებების წინააღმდეგ; დაემყარებინათ წესრიგი სასამართლო საქმეში; გაეტარებინათ მეგობრული პოლიტიკა მეზობელ ქვეყნებთან და საერთოდ ყველა სახელმწიფოსთან, მჭიდროდ ეთანამშრომლათ ერთა ლიგასთან; შემოღებულიყო ერთსაფეხურიანი არჩევნები და ქალებს მისცემოდათ პოლიტიკური უფლებები.

ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის დაარსებამ და მისმა საქმიანობამ გამოიწვია ხალხის მასების პოლიტიკური აქტივობა. 1930 წლის აგვისტოს ბოლოს ედირნეში დაარსდა თურქეთის რესპუბლიკური მუშათა და გლეხთა პარტია. მაგრამ მალე იგი აკრძალულ იქნა. მის ხელმძღვანელებს ბრალი დასდეს „კომუნიზმისადმი სიმპათიაში“.


ალი ფეთჰი ბეი და პარტიის სხვა ლიდერები გამოდიოდნენ მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკის კრიტიკით. ისინი მოითხოვდნენ დასავლეთის სახელმწიფოებთან დაახლოებას და ეკონომიკურ ცხოვრებაში სახელმწიფოს ჩარევის შეწყვეტას. ისინი არ ილაშქრებდნენ პირადად მუსტაფა ქემალის წინააღმდეგ, მაგრამ გმობდნენ სახალხო-რესპუბლიკური პარტიის დიქტატურას. ალი ფეთჰი ბეის და სხვა ლიდერების საჯარო კრიტიკული გამოსვლები ხალხის მასებში იწვევდა დიდ აღელვებას და ზოგჯერ შეტაკებითაც მთავრდებოდა. ამიტომ მუსტაფა ქემალმა ოპოზიციის ლიდერებს ურჩია „ნებაყოფილებით“ დაეთხოვა თავისი პარტია (1930 წ. ნოემბერი). ამრიგად, პარტიამ მხოლოდ სამი თვე იარსება.

1931 წლის აპრილში ჩატარდა მეჯლისის IV მოწვევის არჩევნები. 5 მაისს თურქეთის პრეზიდენტად მესამეჯერ აირჩიეს მუსტაფა ქემალი, პრემიერ მინისტრად კვლავ დაინიშნა ისმეთ ფაშა.

1931 წლის 10 მაისს მოიწვიეს სახალხო-რესპუბლიკური პარტიის III ყრილობა.

ყრილობაზე მოხსენებით გამოვიდა სახალხო-რესპუბლიკური პარტიის გენერალური თავმჯდომარის მოადგილე ისმეთ ფაშა.

ყრილობამ პირველად პარტიის ისტორიაში განიხილა და მიიღო პარტიის პროგრამა და წესდება, პარტიის პროგრამაში შეტანილი იყო დებულება, რომლის



1933 წლის 29 ოქტომბერს საზეიმოდ ჩატარდა თურქეთის რესპუბლიკის დაარსების 10 წლისთავი. მუსტაფა ქემალი და დელეგატები.

მიხედვითაც თურქეთში არ არსებობდა კლასები და კლასთა ბრძოლა, ახალი წესდება ითვალისწინებდა პარტიის აპარატის შერწყმას სახელმწიფო აპარატთან. წესდების მიხედვით, პარტიის თავმჯდომარე ხდებოდა რესპუბლიკის პრეზიდენტი, ხოლო მისი მოადგილე – პრემიერ-მინისტრი.

პარტიის ემბლემა გახდა ექვსი ისარი, რომელიც გამოხატავს პროგრამის ძირითად პრინციპებს: პირველი – რესპუბლიკანიზმი – არის თურქეთის სახელმწიფოს მმართველობის ერთადერთი ფორმა და ეფუძნება 1924 წლის კონსტიტუციას. მეორე – ნაციონალიზმი – აღიარებს ეროვნულ დამოუკიდებლობას და თურქი ერის ერთიანობის დაცვას. მუსტაფა ქემალი ამბობდა: „ჩვენი ნაციონალიზმი არავითარ შემთხვევაში არ არის ეგოისტური და ამპარტავნული ნაციონალიზმი“. მესამე – ხალხოსნობა გამოხატავს სახალხო სუვერენიტეტსა და, ამასთან ერთად, უარყოფს თურქეთში კლასებსა და კლასობრივ ბრძოლას, მუსტაფა ქემალი აცხადებდა, რომ „იგი არ სცნობდა პიროვნებების პრივილეგიებს და არ იზიარებდა კლასობრივ ბრძოლას“. მეოთხე – ეტატიზმი (დევლეთჩილიქი) – ეროვნული ეკონომიკის შექმნა სახელმწიფოს ხელისშეწყობით. სახელმწიფოს წარმმართველი როლი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში. მეხუთე – ლაიციზმი – ნიშნავს რელიგიის გამოყოფას სახელმწიფოსაგან.

მუსტაფა ქემალი წერდა: „ჩვენ პატივს ვცემთ რელიგიას, არ ვეწინააღმდეგებით მის შეხედულებებსა და აზროვნების წესებს, ჩვენ მხოლოდ ვცდილობთ, რომ რელიგიური და სახელმწიფოებრივი საქმეები არ აირიოს ერთმანეთში“. მეექვსე – რევოლუციონიზმი – გულისხმობს ქემალისტური რევოლუციის იდეებისადმი ერთგულებას.

სწორედ ეს ექვსი პრინციპი გახდა ქემალისტების იდეოლოგიური საფუძველი. მოსახლეობაში, პარტიისა და მთავრობის პოლიტიკის პროპაგანდის მიზნით, ყრილობამ მიიღო გადაწყვეტილება 1932 წლის თებერვლიდან გაეხსნათ „სახალხო სახლები“, რომელთა მიზანი იყო მასებში სახალხო-რესპუბლიკური პარტიის ექვსი პრინციპის პროპაგანდა.

მოსახლეობაზე იდეოლოგიური ზეგავლენის გაძლიერებისა და მთავრობის საჯარო კრიტიკისაგან დასაცავად, 1931 წლის ივლისში მიღებული იქნა კანონი ბეჭდვის შესახებ. ამ კანონით მთავრობას ეძლეოდა ფართო უფლება ბეჭდვითი ორგანოების საქმიანობის შეზღუდვის მიზნით. მთავრობას შეეძლო მისთვის არასასურველი გაზეთისა და ჟურნალის დახურვა.


ქემალიზმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრინციპი იყო ეტატიზმი ანუ დევლეთჩილიქი, რომელიც საბოლოოდ ჩამოყალიბდა თურქეთში ეკონომიკური კრიზისის დროს, ეტა (L'état) ფრანგული სიტყვაა და ნიშნავს სახელმწიფოს, ისევე როგორც მისი თურქული შესატყვისი სიტყვა დევლეთ-ი. (devlet), აქედან წარმოდგება სიტყვა დევლეთჩილიქი, დევლეთჩილიქი (ეტატიზმი) ნიშნავს ეროვნული ეკონომიკის შექმნას სახელმწიფოს დამხარებითა და მისი კონტროლის ქვეშ.

თურქეთმა, როდესაც მოიპოვა დამოუკიდებლობა, იყო ჩამორჩენილი ქვეყანა და მისი ეკონომიკა უმთავრესად ან უცხოეთის კაპიტალზე იყო დამოკიდებული ან თურქეთის ქვეშევრდომ, მაგრამ ეთნიკურად არათურქი ბურჟუაზიის ხელში იყო.

თურქეთში პირველი მსოფლიოს ომის წინ სამრეწველო კაპიტალის 50% ბერძნებს ეკუთვნოდა, 20% – სომხებს, 5% – ებრაელებს, 10% – ევროპელებს.

მუსტაფა ქემალმა მიზნად დაისახა ეროვნული ეკონომიკის შექმნა და ამ საქმეში დაყრდნობოდა ეთნიკურად თურქული წარმოშობის ბურჟუაზიას.

მუსტაფა ქემალი წერდა: „ჩვენი ეკონომიკური პოლიტიკის მთავარი მიზანია საკუთარი ფინანსური და ტექნიკური შესაძლებლობებით მოვახდინოთ იმ საწარმოე-



კაისერიის საფეიქრო კომბინატი, აგებული საბჭოთა კავშირის დახმარებით

ბებისა და დაწესებულებების განსახელმწიფოებრიობა, რომლებიც უშუალოდ საზოგადოებრივ ინტერესების საგანს წარმოადგენს. მხოლოდ ამ სისტემის დამარცხებით, მცირე დროში ჩვენ შევძლებთ თურქეთის წიაღისეული სიმდიდრის გამოყენებას და მის მიმართვას ხალხის საკეთილდღეოდ. ამის გარდა ჩვენი ხელისუფლება მზადაა შეღავათები მიანიჭოს იმ კაპიტალისტებს, რომელთაც სურთ, კომერციული ინტერესებიდან გამომდინარე, ჩადონ თავისი კაპიტალი, როგორც სამთო მრეწველობაში, ასევე სხვადასხვა ეკონომიკურ და საზოგადოებრივ საქმიანობაში".

ეტატიზმის პრინციპებიდან გამომდინარე მთავრობის წინაშე დაისვა პრაქტიკული ამოცანა: კერძო კაპიტალის წახალისებასთან ერთად, დაწყებულიყო სახელმწიფოს ხარჯზე სამრეწველო საწარმოების მშენებლობა ან სახელმწიფო ორგანიზაციების ხელმძღვანელობით მშენებარე ობიექტებზე მომხდარიყო კერძო კაპიტალის მიზიდვა.

თურქეთის ბურჟუაზია ძალზე სუსტი იყო და მას არ ჰქონდა სათანადო კაპიტალი ეროვნული მრეწველობის შექმნისათვის, ამისათვის მას სახელმწიფო უნდა დახმარებოდა, საჭირო იყო სახელმწიფო ეკონომიკური სექტორის შექმნა. ამდენად ეტატიზმი თავიდანვე გულისხმობდა შერეული ეკონომიკის შექმნას. ეს პრინციპი ერთბაშად არ ჩამოყალიბებულა, ამას საკმაო დრო დასჭირდა. საბოლოო სახე მხოლოდ 30-იანი წლების დასაწყისში მიიღო (ი. გიგინეიშვილი). ზოგიერთი მეცნიერის აზრით, ეტატიზმის საწყის წერტილად შეიძლება ჩაითვალოს თურქეთის მთავრობის მიერ პროტექციონისტური პოლიტიკის გატარება.

1931 წლის სახალხო-რესპუბლიკური პარტიის მიერ მიღებული პროგრამის შესაბამისად ეტატიზმი ერთ-ერთი მთავარი პრინციპი იყო. მთავრობის წინაშე პრაქტიკულად დაისვა ამოცანა კერძო მწარმოებლის წახალისებასთან ერთად, დაეწყოთ სამრეწველო საწარმოების მშენებლობები, სახელმწიფოს ხარჯზე ან სახელმ-

წიფო ორგანიზაციების ხელმძღვანელობით კერძო სახსრების მიზიდვით. თურქეთის ეკონომიკის მინისტრი ჯელალ ბაიარი მიმართავდა თურქ კაპიტალისტებს: „სახელმწიფო აშენებს საწარმოებს იმის გამო, რომ თქვენ არა გაქვთ საკმარისი კაპიტალი. სახელმწიფოს საწარმოები, რომლებიც აშენებულია ჩვენი კაპიტალის დახმარებით, გამსხვილების შემდეგ თანდათანობით თქვენ გადმოგეცემათ". ამრიგად, სახელმწიფო ეხმარებოდა თურქ ბიზნესმენებს მრეწველობის განვითარებაში, ამის საფუძველზე თურქეთში აგებულ იქნა მთელი რიგი საწარმოები.

ყრილობამ მიიღო გადაწყვეტილება 1932 წლის თებერვლიდან „თურქული ოჯახების" ნაცვლად გაეხსნათ „სახალხო სახლები".

სახალხო-რესპუბლიკური პარტიის გენერალურმა მდივანმა და შინაგან საქმეთა მინისტრმა თავის გამოსვლაში განაცხადა: „სახალხო სახლები" გაიხსნა ხალხის მასებში რევოლუციური პრინციპების (მხედველობაში ჰქონდა პარტიის ექვსი პრინციპი) პროპაგანდის მიზნით, რომელიც განახორციელა ათათურქმა".

ქემალისტებმა დაიწყეს უცხოური საწარმოებისა და ვაჭრობის ნაციონალიზაცია. მათ მოახდინეს ისეთ კომპანიათა ნაციონალიზაცია, როგორიცაა რკინიგზა, გზები, ნავსადგურები, ელექტროენერგეტიკა და სხვ.

1931 წელს მთავრობამ შეისყიდა ფრანგი კონცესიონერებისაგან რკინიგზის ხაზი მუდანია-ბურსა, ხოლო 1932 წელს მოახდინა ბაღდადის რკინიგზის ხაზის იენიჯიე-ფევზიფაშას ნაციონალიზაცია, ამასთანავე შესძლო სახსრების მობილიზაცია რკინიგზის მშენებლობისათვის – აფონი-ანტალია.

1932 წელს თურქეთში ფუნქციონირებდა 47 ეროვნული ბანკი, 83 მილ. ლირას კაპიტალით. აქედან სამი ბანკის ეროვნული კაპიტალი შეადგენდა 65 მილ. ლირას.

მთავრობა დაინტერესებული იყო მსხვილი მრეწველების, კომერსანტებისა და მიწათმფლობელების რიგების ზრდით.

1932 წელს მოსკოვში ჩამოვიდა თურქეთის დელეგაცია პრემიერ-მინისტრის ისმეთ ინონუს მეთაურობით. მოლაპარაკების დროს მიღწეულ იქნა შეთანხმება თურქეთისათვის 8 მილ. დოლარის კრედიტის მიცემის შესახებ, 20 წლის ვადით. ეს კრედიტი უპროცენტო, შეღავათიანი იყო. ამასთანავე თურქეთის მთავრობის დელეგაცია გაეცნო საბჭოთა კავშირის ეკონომიკური მშენებლობის მიღწევებს, დაფუძნებულს გეგმიურ მეურნეობაზე.

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, თურქეთის მთავრობა შეუდგა ხუთწლიანი გეგმის შედგენას და 1934 წლის იანვრიდან დაიწყო მისი განხორციელება.

თურქეთში ხუთწლიანი გეგმა საბჭოთა კავშირის მიბაძვით შემოიღეს. „იმ წლებში, როდესაც კაპიტალისტური სამყარო ეკონომიკური კრიზისის მარწუხებში იმყოფებოდა, საბჭოთა კავშირი თავისი ეკონომიკური პოლიტიკისა და გეგმიანი მეურნეობის შედეგად ახალ ეკონომიკურ აღმავლობას განიცდიდა. ამ მოვლენამ მიიქცია თურქი ეკონომისტებისა და სახელმწიფო მოღვაწეების ყურადღება და სწორედ ამან გამოიწვია ის, რომ თურქეთშიც დაიწყეს „სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმის შედგენა" (ო. გიგინეიშვილი).

1932 წლის ბოლოს ხუთწლიანი გეგმის შემუშავებისას, ეკონომიკის მინისტრმა ჯელალ ბეიმ ჩაატარა თათბირები ანკარის, სტამბოლის, იზმირისა და სხვა ქალაქების საქმიან წარმომადგენლებთან. ამ თათბირების დროს, კერძო კაპიტალის წარმომადგენლები, მოითხოვდნენ უფრო ფართო მონაწილეობას ეკონომიკის განვითარებაში. ჯელალ ბეი და მისი მომხრეები თვლიდნენ, რომ სახელმწიფომ უნდა განავითაროს მხოლოდ მრეწველობის ის დარგები, რომლებიც არ არის ხელსაყრელი კერძო კაპიტალისათვის. გარდა ამისა მეწარმეებს უნდა მიეზიდათ უცხოური კაპიტალი.

ამ პერიოდში მუსტაფა ქემალმა წამოაყენა ლოზუნგი „მრეწველობის გარეშე შეუძლებელია დამოუკიდებლობა“.

1935-1938 წლებში საბჭოთა კავშირის მიერ თურქეთისათვის მიცემული კრედიტებითა და საბჭოთა სპეციალისტების მონაწილეობით კაისერიასა და ნიზალიში აგებულ იქნა საფეიქრო კომბინატები. ასევე აშენდა საფეიქრო ქარხნები ენზელსა და მალათიაში, ექსპლოატაციაში შევიდა რამდენიმე კერძო საწარმო.

ამ ორი საფეიქრო კომბინატის პროდუქციამ თურქეთს საშუალება მისცა მკვეთრად შეემცირებინა ბამბის ნაწარმის იმპორტი, რომელიც შთანთქავდა უცხოეთის ვალუტის დიდ ნაწილს. საბჭოთა კავშირის დახმარება ეროვნული მრეწველობის განვითარებაში იყო ახალი ეტაპი თურქეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობაში.

1933 წლისათვის თურქეთის მთავრობის მიერ მიღებული ზომების შედეგად, შენელდა კრიზისის გავლენა და დაიწყო ქვეყნის სამეურნეო ცხოვრების გამოცოცხლება, აღმავლობა. კრიზისის შემდეგ თურქეთის მრეწველობამ უფრო სწრაფი ტემპით დაიწყო განვითარება. ეტატიზმის პოლიტიკამ თავისი ნაყოფი გამოიღო.

2. თურქეთის საგარეო პოლიტიკა

ამ პერიოდში თურქეთის საგარეო პოლიტიკის ამოცანა იყო დაემყარებინა ნორმალური ურთიერთობა ყველა ქვეყანასთან და უპირველესად ყოვლისა, დასავლეთის სახელმწიფოებთან. მუსტაფა ქემალმა წამოაყენა ლოზუნგი: „მშვიდობა ქვეყნის შიგნით, მშვიდობა მთელ მსოფლიოში“.

მოსულის კრიზისის მოგვარების შემდეგ, თურქეთი დაინტერესებული იყო გაეუმჯობესებინა ურთიერთობა ინგლისთან. სწორედ ამ მიზანს ისახავდა 1929 წელს ადმირალ ფილდის მეთაურობით ინგლისის სამხედრო ესკადრის ვიზიტი სტამბოლში. ინგლისელი ადმირალი ჩავიდა ანკარაში და ინახულა მუსტაფა ქემალი. იმავე წელს ხელი მოაწერეს ინგლის-თურქეთის სავაჭრო ხელშეკრულებას.

1929 წლის ივნისში თურქეთმა ნაწილობრივ მიაღწია შეთანხმებას საფრანგეთთან თურქეთ-სირიის საზღვართან დაკავშირებით. ამ შეთანხმებით სირიას გადაეცა ტერიტორია ჯეზირეს რაიონში. ამავე წლის აგვისტოში თურქეთმა საფრანგეთთან დადო სავაჭრო ხელშეკრულება.

ამავე პერიოდში სწრაფად მიმდინარეობდა თურქეთ-გერმანიის დაახლოება. 1930 წლის მაისში დაიდო სავაჭრო ხელშეკრულება გერმანიასთან. გერმანიამ პირველი ადგილი დაიკავა თურქეთთან ვაჭრობაში. გახშირდა გერმანელების ჩასვლა თურქეთში მრჩეველების სახით და აგრეთვე ინსტრუქტორებისა არმიასა და ფლოტში.

თურქეთი დაინტერესებული იყო კარგი ურთიერთობა დაემყარებინა ამერიკის შეერთებულ შტატებთან. 1929 წელს დაიდო თურქეთ-ამერიკის ხელშეკრულება ვაჭრობისა და ნაოსნობის შესახებ. 1930 წელს შეიქმნა თურქეთ-ამერიკის ნავთობის კომპანია თურქეთში ნავთობის ძიებისა და ექსპლუატაციის მიზნით.

თურქეთს მოუგვარებელი ჰქონდა საბერძნეთთან მოსახლეობის გაცვლის საკითხი. 1929 წელს მათ შორის ისე გამწვავდა ურთიერთობა, გაჩნდა სამხედრო კონფლიქტის საფრთხე, ინგლის-საფრანგეთის ჩარევის შედეგად კონფლიქტი მოგვარდა. 1930 წელს ანკარაში ხელმოწერილი იქნა შეთანხმება, რომლის შედეგადაც მოხდა საბერძნეთ-თურქეთის ურთიერთობის ნორმალიზაცია. კერძოდ, მოგვარდა ბერძნული და თურქული მოსახლეობის გაცვლის საკითხი, რასაც ვერ მიაღწიეს 1923 წლის ლოზანის კონფერენციაზე. 1930 წლის ოქტომბერში თურქეთმა საბერძნეთ-

თან ხელი მოაწერა მეგობრობისა და ნეიტრალიტეტის ხელშეკრულებას და აგრეთვე კონვენციას ვაჭრობისა და ზღვაოსნობის შესახებ.

თურქეთ-საბერძნეთის უთანხმოების მოგვარების შედეგად, გზა გაიხსნა ბალკანეთის კავშირის შესაქმნელად, რომლის ორგანიზაციის საქმეში დიდი წვლილი შეიტანა თურქეთმა.



ავღანეთის მეფე ემანულა ხანი თურქეთში. 1928.

1930 წლის ოქტომბერში ათენში ჩატარდა ბალკანეთის პირველი კონფერენცია, მასში მონაწილობა მიიღო თურქეთმა, საბერძნეთმა, ბულგარეთმა, რუმინეთმა, იუგოსლავიამ და ალბანეთმა. ამ კონფერენციაზე გაფორმდა ბალკანეთის სახელმწიფოების კავშირი, შემდგომ ბალკანეთის კონფერენციები ჩატარდა სტამბოლსა და ანკარაში (1931 წლის ნოებერში), ბუქარესტში (1932 წლის ოქტომბერში) და სალონიკში (1933 წლის ნოემბერში). მალე ბალკანეთის კავშირი დაიშალა და მის ნაცლად 1933 წელს შეიქმნა ბალკანეთის ანტანტა: თურქეთის, რუმინეთისა და იუგოსლავიის მონაწილეობით.

1932 წელს თურქეთი მიიღეს ერთა ლიგის წევრად. თურქეთის მიღება ერთა ლიგის შემადგენლობაში მოწმობდა მის საერთაშორისო ავტორიტეტის ზრდას.

1933 წელს, კრიზისის მძიმე შედეგების მიუხედავად, თურქეთმა განაახლა სულთნის ვალების გადახდა.

20-იან წლებში თურქმა ვაჭრებმა მონაწილეობა მიიღეს ყოველწლიურ ბაზრობებზე, რომლებიც იმართებოდა გორკში და ბაქოში, რამაც ხელი შეუწყო ორ ქვეყანას შორის ვაჭრობის გაფართოებას.

1927 წლის 11 მარტს დაიდო პირველი ხელშეკრულება ვაჭრობისა და ნაოსნობის შესახებ. ამან ხელი შეუწყო ორ ქვეყანას შორის სავაჭრო ურთიერთობების გაფართოებას.



პრეზიდენტი ათათურქი და ირანის შაჰი რეზა ფეჰლევი.

საბჭოთა კავშირთან და ევროპის სახელმწიფოებთან დიპლომატიური და ეკონომიკურ სავაჭრო ურთიერთობების დამყარებასთან ერთად, თურქეთი განაგრძობდა ურთიერთობის გაუმჯობესებას აღმოსავლეთის ქვეყნებთან – ირანთან და ავღანეთთან.

1926 წელს თეირანში თურქეთსა და ირანს შორის დაიდო ხელშეკრულება მეგობრობისა და უსაფრთხოების შესახებ.


1928 წლის 19 მაისს ავღანეთის მეფე ემანულა ხანი სტამბოლში ჩავიდა, ხოლო 20 მაისს – ანკარაში. ავღანეთის მეფე თურქეთში დიდი პატივით მიიღეს. მას შეხვდა თურქეთის პრეზიდენტი ათათურქი. ემანულა ხანისათვის კარგად იყო ცნობილი ათათურქის რეფორმები, თვითონაც ატარებდა თავის ქვეყანაში რეფორმებს და მისთვის თურქეთის გამოცდილების გათვალისწინებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ამანულა ხანი დიდად აფასებდა ათათურქს, მის პოლიტიკურ მოღვაწეობას, მის რეფორმებს. ამანულა ხანს მოუწყვეს სამხედრო აღლუმი, მან სტამბოლში ინახულა გენერალური შტაბის აკადემია, დაათვალიერა სამხედრო ობიექტები და სხვა მნიშვნელოვანი ადგილები.

ამ დროს თურქეთის სამხედრო სასწავლებელში 50 ავღანელი ოფიცერი სწავლობდა. ავღანეთის მეფემ პრეზიდენტს შესთავაზა თურქეთში გახსნილიყო ორენოვანი თურქულ-ავღანური კოლეჯი, რომელიც მოამზადებდა ავღანელ ოფიცრებს, აგრეთვე მეფემ გამოსთქვა სურვილი ავღანეთში ჩასულიყო თურქეთის სამხედრო მისია.

ამავე დროს მიმდინარეობდა მოლაპარაკება და 25 მაისს ხელი მოაწერეს თურქეთ-ავღანეთის ხელშეკრულებას მეგობრობისა და თანამშრომლობის შესახებ.

1929 წელს ემანულა ხანი რეაქციულმა ძალებმა ტახტიდან ჩამოაგდეს. ათათურქმა დაკარგა ერთგული მოკავშირე, მიუხედავად ამისა, მან შეინარჩუნა მეგობრული ურთიერთობა ავღანეთთან.


1928 წლის ივნისში თეირანში ხელმოწერილ იქნა ორი ოქმი – ირან-თურქეთ და ირან-ავღანეთს შორის. ეს შეთანხმება ითვალისწინებდა ამ სახელმწიფოებს შორის პოლიტიკური და ეკონომიკური თანამშრომლობის გაფართოებას. ყოველივე ამან განაპირობა ამ სამ სახელმწიფოს შორის შემდგომი დაახლოება. ამ პერიოდში გრძელდებოდა თურქეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის შემდგომი გაფართოება. 1931 წლის 30 ოქტომბერს ხელი მოაწერეს ოქმს, რომლითაც 5 წლით გაგრძელდა თურქეთ-საბჭოთა კავშირის 1925 წლის ხელშეკრულება.



ინგლისის მეფის ედუარდ VIII-ის ვიზიტი სტამბოლში. 1936.

1927 წლის 11 მარტს დაიდო პირველი ხელშეკრულება ვაჭრობის და ნაოსნობის შესახებ, რამაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ვაჭრობის გაფართოებას. 1931 წელს დაიდო ახალი სავაჭრო ხელშეკრულება.

თურქეთსა და საბჭოთა კავშირს შორის დამყარდა აგრეთვე მეცნიერული კონტაქტები. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა თურქეთში ცნობილი საბჭოთა მეცნიერების ჩასვლას: ვ. ბარტოლდი, ნ. მარი, ვ. ჟუკოვსკი, ვავილოვი, ვ. გორდლევსკი, რომლებმაც აქტიური მონაწილეობა მიიღეს კონგრესებისა და სიმ-



1932 წ. ისმეთ ინონუ, მ. კალინინი და ლ. კარახანი

პოზიციების მუშაობაში. ისინი გამოვიდნენ მოხსენებებით, კითხულობდნენ ლექციებს უნივერსიტეტებსა და სამეცნიერო დაწესებულებებში.

თურქეთისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო მოღვაწეები ხშირად ოფიციალური ვიზიტებით იმყოფებოდნენ მოსკოვსა და ანკარაში. ასე მაგალითად, თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი თევფიქ რუშთუ არასი იყო საბჭოთა კავშირში 1926, 1920, 1932, 1935 და 1937 წლებში, 1932 წელს მოსკოვში ჩამოვიდა თურქეთის პრემიერ-მინისტრი ისმეთ ინონუ.

ამავე პერიოდში თურქეთში ვიზიტით იმყოფებოდნენ საბჭოთა კავშირის სახელმწიფო მოღვაწეები. 1931 წლის ოქტომბერში თურქეთში იმყოფებოდა საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ლიტვინოვი, 1933 წლის ოქტომბერში თურქეთში ჩავიდა საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაცია, ვოროშილოვის მეთაურობით, თურქეთის რესპუბლიკის 10 წლისთავის აღსანიშნავად გამართულ დღესასწაულზე.

ამავე პერიოდში კიდევ უფრო გაუმჯობესდა ურთიერთობა თურქეთსა და ირანს შორის. 1932 წლის 23 იანვარს თურქეთსა და ირანს შორის დაიდო სასაზღვრო ხელშეკრულება, ხოლო 1932 წლის 5 ნოემბერს – ახალი ხელშეკრულება მეგობრობის შესახებ. ყოველივე ეს დაგვირგვინდა 1934 წლის ივნისში თურქეთში ირანის შაჰის ვიზიტით. რეზა შაჰი თურქეთში დიდი პატივით მიიღეს, მან დაათვალიერა თურქეთის ღირსშესანიშნავი ადგილები და მათ შორის სამხედრო ობიექტები. შაჰი აღფრთოვანებული იყო თურქეთში გატარებული რეფორმებით (შაჰი თვითონაც ატარებდა ირანში რეფორმებს) და მიღწეული წარმატებებით. ამ ვიზიტს ორი ქვეყნის ურთიერთობაში დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ათათურქი, რეზა შაჰი და ამანულა ხანი, მიუხედავად მათი პოლიტიკური შეხედულებების განსხვავებისა, ერთმანეთის მიმართ მეგობრულად იყვნენ განწყობილნი. მათი საერთო მიზანი იყო თავიანთ ქვეყანაში ჩაეტარებინათ რეფორმები და თავი დაეღწიათ ჩამორჩენისაგან.

3. 1936 წლის მონტრეს კონფერენცია შავი ზღვის სრუტეების შესახებ

1933 წლიდან თურქეთის მთავრობამ არაერთხელ დასვა საკითხი ლოზანის კონფერენციის მონაწილე სახელმწიფოების წინაშე შავი ზღვის სრუტეების სტატუსის გადასინჯვის მიზნით. მაგრამ ევროპის სახელმწიფოებისა და განსაკუთრებით ინგლისის მთავრობის ნეგატიური პოზიციის გამო, ეს საკითხი ღიად რჩებოდა.

1935 წელს ფაშისტური იტალიის აბისინიაზე თავდასხმამ გააძლიერა აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვის რეგიონში ომის წარმოქმნის საშიშროება. იტალია აშკარად ამაგრებდა თავის სამხედრო-საზღვაო ბაზებს დოდეკანეზის კუნძულზე, რომ-

ლებიც უშუალოდ ესაზღვრებოდნენ სამხრეთ-დასავლეთ ანატოლიას. ამან თურქეთში გამოიწვია დიდი შეშფოთება. თურქეთ-იტალიის ურთიერთობა იმანაც გაამწვავა, რომ თურქეთმა მონაწილეობა მიიღო იტალიის წინააღმდეგ მიმართულ სანქციებში.

ლოზანის ხელშეკრულებით, შავი ზღვის სრუტეები იყო დემილიტარიზებული და სტამბოლი სრულიად დაუცველი. ნებისმიერ დროს სტამბოლი შეიძლება გამხდარიყო თავდასხმის ობიექტი.

1936 წელს ევროპაში მდგომარეობა კიდევ უფრო დაიძაბა. 11 აპრილს თურქეთის მთავრობამ მიმართა ლოზანის კონფერენციის მონაწილე სახელმწიფოებს (საბჭოთა კავშირი, ინგლისი, საფრანგეთი, იტალია, საბერძნეთი, იუგოსლავია, ბულგარეთი, რუმინეთი) მოთხოვნით დაეწყოთ მოლაპარაკება სრუტეების რეჟიმის ახალი კონვენციის შემუშავების მიზნით. თურქეთის ნოტაში აღნიშნულია: „1923 წელს თურქეთი დათანხმდა ხელი მოეწერა ლოზანის კონფერენციაზე სრუტეების რეჟიმის შეთანხმებაზე, რომლითაც დადგენილ იქნა სრუტეების დემილიტარიზაცია და იქ თავისუფალი გავლა. მაშინ საერთო ვითარებას ევროპაში პოლიტიკური და სამხედრო თვალსაზრისით სულ სხვა სახე ჰქონდა, ვიდრე ახლა. ევროპა გაერთიანებისაკენ მიდიოდა და მისი პოლიტიკური ორგანიზაცია დამყარებული უნდა ყოფილიყო სამართლის დაურღვეველ პრინციპებზე, გამაგრებული საერთაშორისო ვალდებულებებით. სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო ძალები ნაკლებად საშიში და ისინიც განმტკიცების ტენდენციას იჩენდნენ. იმ დროიდან შავ ზღვაზე არსებულმა ვითარებამ მიიღო შეთანხმების ხასიათი, დამშვიდებული ყოველმხრივ, იმ დროს როდესაც ხმელთაშუა ზღვაზე თანდათანობით უნდობლობა მყარდებოდა. საზღვაო კონფერენციებმა ახალი შეიარაღებისაკენ მიდრეკილება აჩვენეს და რომ ახლო მომავალში საზღვაო ნავსაშენები ჩაუშვებენ წყალში ჯერ არნახული სიმძლავრის გემებს.



თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი რ. არასი სიტყვით გამოდის მონტრეს კონფერენციაზე

თურქეთის მთავრობა აცხადებდა, რომ ის მზად არის დაიწყოს მოლაპარაკება სრუტეების ისეთი რეჟიმის გამომუშავებისათვის, რომელიც უზრუნველყოფდა თურქეთის უშიშროებას შავი ზღვის რეგიონში.

საბჭოთა კავშირის მთავრობამ 16 აპრილის ნოტაში შავი ზღვის სრუტეების საკითხის მოწესრიგებასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ის „სავსებით დასაბუთებულად თვლის თურქეთის მთავრობის შიშს მასში, რაც შეეხება ამჟამად საერთაშორისო მშვიდობიანობის არაუზრუნველყოფას და რომ არსებობს ომის წარმოშობის სერიოზული საფრთხე და ამიტომ ბუნებრივად თვლის ახლანდელ ვითარებაში თურქეთის რესპუბლიკის მისწრაფებას უზრუნველყოს თავისი ტერიტორიის უშიშროება სრუტეების რეჟიმის სათანადოდ შეცვლის საშუალებით."

ერთი სიტყვით, საბჭოთა მთავრობამ პირველმა დაუჭირა მხარი თურქეთის მთავრობის ამ წინადადებას და დათანხმდა ლოზანის კონვენციის გადასინჯვაზე.

1936 წლის 22 ივნისს მონტრეში (შვეიცარია) გაიხსნა საერთაშორისო კონფერენცია შავი ზღვის სრუტეების ახალი კონვენციის შემუშავების მიზნით. მხოლოდ იტალიამ არ გაგზავნა მონტრეში თავისი წარმომადგენლები. მონტრეს კონფერენცია ჩატარდა მეტად დაძაბულ ვითარებაში.

თურქეთის დელეგაციამ პლენარულ სხდომაზე წარმოადგინა ახალი კონვენციის პროექტი, რომლის მიხედვითაც სრუტეებით სარგებლობა შეეძლოთ, როგორც შავიზღვისპირა, ისე არა შავიზღვისპირა სახელმწიფოების სამხედრო გემებს, მაგრამ უნდა შეზღუდულიყო მათი ტონაჟი და გემების ტიპები. ამასთანავე წინასწარ უნდა ეცნობებინათ სრუტეებზე გასვლის დრო. მაგრამ მალე თურქეთმა უარი თქვა თავის წინადადებაზე და მხარი დაუჭირა ინგლისის პროექტს, რომელიც ლახავდა საბჭოთა კავშირისა და შავიზღვისპირა ქვეყნების ინტერესებს. ინგლისის დელეგაცია მზად იყო დაეკმაყოფილებინა თურქეთის მოთხოვნა სრუტეების დემილიტარიზაციის შესახებ, მაგრამ არ იყო დაინტერესებული ანგარიში გაეწია საბჭოთა კავშირისა და შავიზღვისპირა სახელმწიფოების კანონიერი ინტერესებისათვის. ინგლისის დელეგაციამ მოითხოვა შავი ზღვა გამოცხადებულიყო საერთაშორისო ზღვად. ამის გამო იგი წინააღმდეგი იყო შეზღუდულიყო შავ ზღვაში არაშავიზღვისპირა სახელმწიფოების სამხედრო გემების შესვლა. ინგლისი აცხადებდა, რომ როგორც შავიზღვისპირა, ისე არაშავიზღვისპირა სახელმწიფოები თანაბრად უნდა შეზღუდულიყვნენ სრუტეებში სამხედრო გემებით სარგებლობის დროს. ინგლისის წინადადებას მხარი დაუჭირა იაპონიის დელეგაციამ. იაპონელებმა განაცხადეს, რომ ისინი თანახმანი არიან მხარი დაუჭირონ სრუტეებში არაშავიზღვისპირა ქვეყნების სამხედრო გემების შეზღუდვას, თუ იგივე პირობა გავრცელდებოდა შავიზღვისპირა სახელმწიფოებზე.

ინგლისის მთავრობის პოზიცია გააკრიტიკა საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა. მ. ლიტვინოვმა განაცხადა, რომ შავი ზღვა არასოდეს არ ყოფილა აღიარებული საერთაშორისო ზღვად. საბჭოთა დელეგაციის მტკიცე პოზიციის შედეგად ინგლისი და მისი მოკავშირეები წავიდნენ კომპრომისზე და მიაღწიეს შეთანხმებას.

1936 წლის 20 ივნისს მონტრეში ხელი მოაწერეს შავი ზღვის სრუტეების კონვენციას (იტალია ამ კონვენციას შეუერთდა 1938 წლის მაისში). კონვენციით გაუქმდა სრუტეების საერთაშორისო კომისია და აღდგა თურქეთის სუვერენიტეტი სრუტეებსა და მის სანაპიროებზე. თურქეთს მიეცა სრუტეების სრული დემილიტარიზაციის უფლება. აგრეთვე მან მიიღო უფლება თვალყური ედევნებინა სრუტეებში ყველა ტიპის გემის მიმოსვლაზე და დაეწესებინა აქ თავისი კონტროლი. სრუტეე-

ბზე თავისუფალი ნაოსნობის უფლება ჰქონდათ ყველა ქვეყნის სავაჭრო გემებს, როგორც მშვიდობიანობის, ისე ომის დროს. რაც შეეხება სამხედრო გემების გასვლას სრუტეებში, სხვადასხვა რეჟიმი დაწესდა შავიზღვისპირა და არაშავიზღვისპირა სახელმწიფოებისათვის. სრუტეებში გასვლის დროს სამხედრო გემები ემორჩილებოდნენ შემდეგ პირობებს: მშვიდობიანობის დროს არაშავიზღვისპირა ქვეყნების სამხედრო გემებისათვის წესდებოდა შემდეგი შეზღუდვა: სრუტეებით სარგებლობა შეეძლოთ მხოლოდ მსუბუქ სამხედრო გემებს (კრეისერი, ნაღმოსანი) და აგრეთვე დამხმარე ხომალდებს, არა უმეტესი 15 ათასი ტონაჟისა, ამასთან მათი საერთო წყალწვა არ უნდა აღემატებოდეს 30 ათას ტონას და შავ ზღვაში ყოფნის ვადა განისაზღვრებოდა 21 დღით. შავ ზღვაში ერთდროულად მყოფი უცხო ქვეყნების სამხედრო ხომალდების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ცხრას. შავიზღვისპირა სახელმწიფოებს უფლება ჰქონდათ შეეყვანათ როგორც მსუბუქი, ისე დიდი სამხედრო ხომალდები, ნაღმოსანი გემებისა და წყალქვეშა ნავების ჩათვლით. ომის დროს, როდესაც თურქეთი არ იღებდა მონაწილეობას ომში, სრუტეები უნდა ყოფილიყო დახურული ყველა მეომარი ქვეყნის სამხედრო გემებისათვის. ხოლო სავაჭრო გემებს თავისუფლად შეეძლოთ სრუტეებით სარგებლობა. თუ თურქეთი მონაწილეობდა ომში, მაშინ სრუტეებით სარგებლობა თურქეთის მთავრობის ნება-სურვილზე იყო დამოკიდებული. ამავე უფლებით თურქეთს შეეძლო ესარგებლა, თუ შეიქმნებოდა სამხედრო საშიშროება.

კონვენცია აგრეთვე აწესებდა სრუტეების თავზე საჰაერო ხომალდების გასვლის წესს. ნებადართული იყო, გარკვეული პირობით, სამხედრო და სამოქალაქო თვითმფრინავების გადაფრენა შავი ზღვიდან ხმელთაშუა ზღვისაკენ და პირუკუ.

სრუტეების შესახებ მონტრეში დადებული კონვეციის ხელისმოწერის შემდეგ მთელმა რიგმა დელეგატებმა წარმოთქვეს სიტყვები მონტრეს კონვენციის წარმატებითი დამთავრების მნიშვნელობის შესახებ.

თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა თევფიკ რუშთუ არასმა განაცხადა, რომ თურქეთი სავსებით დაკმაყოფილებულია კონფერენციის შედეგებით, და მადლობა გამოუცხადა როგორც ბრიტანეთის დელეგაციას დათმობაზე წასვლისათვის, ისე საბჭოთა კავშირსაც იმ „15 წლის მეგობრობისათვის, რომელიც ყოველგვარ ვითარებაში იჩენს თავს“.

ინგლისის დელეგაციის მეთაურმა ლორდ სტენლიმ, თავის გამოსვლაში განაცხადა: „კონფერენციის მთელი მსვლელობიდან დაუმტკიცეთ, რომ შესაძლებელია დამაკმაყოფილებელი შედეგების მიღწევა საერთაშორისო ურთიერთობათა ჩვეულებრივი ნორმების დაცვის გზით.“

სტენლის შემდეგ გამოვიდა საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი მ. ლიტვინოვი, რომელმაც შემდეგი განაცხადა: „მონტრეს კონფერენციამ, მოწვეულმა საერთაშორისო ხელშეკრულების გადასასინჯავად და მის შესაგუებლად, შეცვლილ ვითარებასთან ღირსეულად შეასრულა თავისი ამოცანა. სავსებით გაითვალისწინა რა შეცვლილი გარემოებანი, კონფერენციამ აღიარა, რომ სრუტეების უშიშროების გარანტიებს, რომლებსაც ლოზანის კონვენცია ითვალისწინებს, არ შეუძლიათ ჩაუნერგონ თურქეთს ნამდვილი უშიშროების გრძნობა...

საბჭოთა დელეგაცია სრულებითაც არ ილაშქრებს შავ ზღვაზე კომერციული მიზნებისათვის ნავიგაციასთან განსაზღვრული თავისუფლების წინააღმდეგ და იმის წინააღმდეგ, რომ უზრუნველყოფილ იქნეს მიმოსვლა შავ ზღვაზე მდებარე ნავსადგურებისა და სხვა საზღვაო ბასეინების ნავსადგურებს შორის. იგი ცდილობდა მხოლოდ იმას, რომ შეზღუდულიყო არა შავი ზღვის სახელმწიფოთა სამხედრო ფლოტის თავისუფლება როგორც მშვიდობიანობის, ისე განსაკუთრებით, ომის დროს....

საბჭოთა დელეგაცია უდიდესი კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ მან თუმცა არა მთლიანად, ძალიან მნიშვნელოვანი ოდენობით მიაღწია ამ თავის მიზნებს და მე მადლობას ვუძღვნი ყველა ჩემს კოლეგას, იმისათვის, რომ მათ ხელი შეუწყვეს ურთიერთ გაგებასა და შერიგების ატმოსფეროს შექმნას, რითაც განსაკუთრებით აღსანიშნავია კონფერენციის უკანასკნელი პერიოდი...

კონფერენციის მნიშვნელობა შორს სცილდება იმ თემის საზღვრებს, რომლის გარშემოც იგი დისკუსიას ეწეოდა...

ამ კონფერენციის შედეგები საშუალებას გვაძლევენ იმედი ვიქონიოთ, რომ საერთაშორისო ცხოვრება მალე საბოლოოდ გამოვა უნაყოფო დისკუსიებისა და დავის ვიწრო სრუტეებიდან ჭეშმარიტი საერთაშორისო თანამშრომლობის ფართო ზღვაზე და ბოლოს, მიაღწევს იმ ნავსაყუდელს, რომელზედაც წარწერილია: „საყოველთაო მშვიდობიანობა და ყველა ხალხთა უშიშროება“.

შავი ზღვის კონვენციით სრულად არ იყო დაცული საბჭოთა კავშირისა და ამ რეგიონის ინტერესები. ასე მაგალითად, კონვენციის ერთ-ერთი დიდი ნაკლი იყო ის, რომ თურქეთის მთავრობა იყო სრუტეების მთლიანი პატრონი და ერთადერთი მცველი. ეს ნაკლი გამომჟღავნდა მეორე მსოფლიო ომის დროს, როდესაც თურქეთმა ვერ შეძლო უზრუნველეყო საბჭოთა კავშირისა და მოკავშირე სახელმწიფოების ინტერესები.

მონტრეს კონვენცია დაიდო 20 წლის ვადით, იგი ძალაში შევიდა 1936 წლის 15 აგვისტოს. გათვალისწინებული იყო, რომ მისი ცალკეული მუხლების გადასინჯვა შეიძლებოდა ყოველი ხუთი წლის შემდეგ.

მონტრეს კონვენცია მნიშვნელოვანი საერთაშორისო აქტი იყო ამ რეგიონის უსაფრთხოების გარანტიის საქმეში.

4. თურქეთის საშინაო პოლიტიკა

30-იან წლებში თურქეთის მთავრობა განაგრძობდა ზომების მიღებას ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და დასავლეთის ქვეყნებთან შემდგომი დაახლოებისათვის. ამავე დროს რესპუბლიკური პარტიის ხელმძღვანელობა მიისწრაფოდა კიდევ უფრო მეტად გაეძლიერებინა პარტიის გავლენა სახელმწიფოს მართვა-გამგებლობასა და ხალხის მასებზე.

1935 წლის მაისში ანკარაში ჩატარდა სახალხო რესპუბლიკური პარტიის IV ყრილობა. ყრილობამ მიიღო პარტიის ახალი პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავდა ნაციონალური ბურჟუაზიის დიქტატურის გაძლიერებას. ყრილობამ დაადგინა – პარტიული აპარატი შერწყმულიყო სახელმწიფო აპარატთან. სახალხო რესპუბლიკური პარტიის გენერალური მდივანი უნდა ყოფილიყო შინაგან საქმეთა მინისტრი, ხოლო ვილაიეთის პარტიული ორგანიზაციების თავმჯდომარეები – ვილაიეთის გუბერნატორები. ამავე დროს პარტიის რეკომენდაციით დიდმა ეროვნულმა კრებამ მიიღო კანონები, რომლებმაც ხელი შეუწყო ხელისუფლების ცენტრალიზაციას და ადგილებზე კონტროლის გაძლიერებას.

1937 წლის იანვარში თურქეთის დიდმა ეროვნულმა კრებამ შეიტანა კონსტრუქციული შესწორება, რომლის მიხედვითაც პარტიული პროგრამის პრინციპები აისახა კონსტიტუციაში. კონსტიტუციის მეორე მუხლი აცხადებდა, რომ თურქეთის სახელმწიფო დაფუძნებულია შემდეგ პრინციპებზე: რესპუბლიკანიზმი, ნაციონალიზმი, ხალხურობა, ეტატიზმი, ლაიციზმი და რევოლუციონერობა. ამ ცვლილებების შეტანამ



მუსტაფა ათათურქი

კონსტიტუციაში კიდევ ერთხელ დაადასტურა პარტიული აპარატის შერწყმა სახელმწიფოს აპარატთან.

ქემალიზმის იდეების პროპაგანდას აქტიურად ავრცელებდნენ „სახალხო სახლები“, რომელთა ხელმძღვანელები იყვნენ სახალხო-რესპუბლიკური პარტიის აქტიური წევრები. 1934 წელს თურქეთში 80 „სახალხო სახლი“ იყო, შემდგომში მათი რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა.

ქემალიზმის პროპაგანდასთან ერთად ფართოდ წარმოებდა ნაციონალური იდეების პროპაგანდა. გამოდიოდა ათასობით ნაციონალისტური ბროშურა. ასე, მაგალითად, ერთ-ერთ ბროშურაში ვკითხულობთ: „თურქი ერი წამოვიდა ოთხ ნაკადად თავისი ისტორიული წინარე სამშობლოდან – აზიიდან, სულ ცოტა ათეული ათასი წლების წინ და ასწავლა მთელ კაცობრიობას გადასვლა ქვის ხანიდან ბრინჯაოს ხანაზე. პირველი ქალაქი დაარსეს თურქებმა, დამწერლობა შემოღებულია თურქების მიერ... თანამედროვე სამყაროს საფუძველი ჩაუყარა თურქმა ერმა. მსოფლიოს რომელ კუთხეში არ უნდა ჩახვიდეთ, იქ იპოვნით თურქი ერის კვალს.“


ქემალისტები აცხადებდნენ, რომ ისინი გამოხატავენ ყველა ფენის ინტერესებს, რომ თურქეთში არ არის კლასობრივი საზოგადოება, არ არის კლასები, არ არსებობს კლასობრივი ბრძოლა, ამიტომ საჭირო არ არის კლასობრივი პარტიების არსებობა. 1925 წლიდან თურქეთში ერთპარტიული დიქტატურა დამყარდა. თურქეთის სახალხო-რესპუბლიკური პარტიის ლიდერები აცხადებდნენ, რომ მათი პარტია მთელი ერის სასიცოცხლო ინტერესებს გამოხატავს.

მიუხედავად ასეთი განცხადებებისა, თურქეთში ადგილი ჰქონდა მუშათა და გლეხთა გამოსვლებს.

ასეთ ვითარებაში მთავრობა იძულებული გახდა გარკვეულ დათმობებზე წასულიყო, 1936 წლის 8 ივნისს მეჯლისმა მიიღო „შრომის კანონი“. იგი ითვალისწინებდა 48 საათიანი სამუშაო კვირას, ე. ი. 8 საათიან სამუშაო დღეს, ყოველკვირეული დასვენების დღით და ყოველწლიური შვებულების ანაზღაურებით. მოხდა ქალთა და ბავშვთა შრომის გარკვეული რეგლამენტაცია. კანონი ითვალისწინებდა შრომის პირობების დაცვას და სოციალური დაზღვევის პირობებს. კანონი ვრცელდებოდა იმ საწარმოებზე, სადაც მუშათა რიცხვი არ იყო 10 კაცზე ნაკლები.

კანონში არაფერი იყო ნათქვამი თავისუფალი პროფკავშირების შექმნაზე. კანონი კრძალავდა გაფიცვებსა და გაფიცვებში მონაწილეობისათვის ითვალისწინებდა ჯარიმასა და პატიმრობას.

1938 წლის ივლისში გამოვიდა „კანონი, ორგანიზაციების შესახებ“, რომელიც აწესებდა მკაცრ კონტროლს ქვეყნის პროგრესულ ორგანიზაციებზე. კანონი კრძალავდა ორგანიზაციების შექმნას „ოჯახის, თემის, რასისა და კლასის“ საფუძველზე. კანონი აგრეთვე კრძალავდა იმ ორგანიზაციების საქმიანობას, რომლებიც მიისწრაფოდნენ დაერღვიათ სახელმწიფოს ერთიანობა, უშიშროება და წესრიგი და „პოლიტიკური და ეროვნული ერთიანობა“, ასევე ყოველი საზოგადოება ემორჩილებოდა სახელმწიფო კონტროლს, კანონის დამრღვევები მიეცემოდნენ პასუხისმგებლობაში.



ათათურქის მავზოლეუმი

იმავე წელს მეჯლისმა მიიღო „კანონი პრესის შესახებ". ამ კანონით მთავრობამ მიიღო უფლება დაეწესებინა პრესაზე კონტროლი.

მიუხედავად მთავრობის მიერ მიღებული ანტიდემოკრატიული კანონებისა, მშრომელი მასები განაგრძობდნენ ბრძოლას თავიანთი უფლებების დაცვისა და დემოკრატიისათვის.

მეორე მსოფლიო ომის წინ მთავრობაში გაჩნდა გარკვეული ბზარი საშინაო და საგარეო პოლიტიკის განხორციელების საქმეში. რეაქციული ძალების გავლენით პრემიერ-მინისტრი ისმეთ ინონუ თანდათანობით ცილდებოდა იმ პრინციპებს, რომლებიც მუსტაფა ქემალის მიერ იყო წამოყენებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დასაწყისში. ამ ნიადაგზე, თუ სხვა მიზეზით, ინონუსა და ათათურქს შორის დაიწყო დაშორება. შესაძლებელია, ამაში გარკვეული როლი ითამაშა კულისებს იქით არსებულმა ინტრიგებმა, რომლებიც ვრცელდებოდა პრეზიდენტის გარშემო და მთავრობის წრეებში. ამბობდნენ, რომ ინონუმ პრეზიდენტს დაუტოვა მხოლოდ პატივი, ხოლო თავის ხელში აიღო მთელი ძალაუფლება. ამაში გარკვეული სიმართლე იყო. ბოლო წლებში ათათურქი ავადმყოფობის გამო, თანდათანობით შორდებოდა სახელმწიფოს საქმეებს, ღვიძლისა და თირკმელების ავადმყოფობა თანდათანობით ძლიერდებოდა და იყო ხანგრძლივი პერიოდი, როდესაც პრეზიდენტი არ იყო დაკავებული სახელმწიფო საქმეებით. ასე რომ ხმები, თითქოს პრემიერი პრეზიდენტთან შეუთანხმებლად, დამოუკიდებელ პოლიტიკას ატარებდა არ იყო მოკლებული სიმართლეს. ამასთან 1937 წლის შემოდგომაზე ისმეთ ინონუსა და საგარეო საქმეთა მინისტრს არასს შორის წარმოიქმნა უთანხმოება, ათათურქი ჩაება დავაში და მოთხოვა ინონუს აეღო შვებულება, ხოლო 1937 წლის 25 ოქტომბერს გადააყენა იგი და პრემიერ-მინისტრად მის ადგილზე დანიშნა ჯელალ ბაიარი, რომელსაც ეკავა სახალხო მეურნეობის მინისტრის თანამდებობა.

1938 წლის 10 ნოემბერს გარდაიცვალა ათათურქი, მან უდიდესი კვალი დატოვა თურქეთის ისტორიაში. მისი ხელმძღვანელობით ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის შედეგად თურქეთის ხალხმა დაამარცხა ინტერვენტები, მოიპოვა გამარჯვება და დაიცვა ეროვნული სუვერენიტეტი. ათათურქს უდიდესი წვლილი მიუძღვის მშვიდობიანი გზით, სულთნის ხელისუფლების გაუქმებაში და რესპუბლიკური წყობილების დამყარებაში, რაც რევოლუციის ტოლფასი იყო. იგი იყო რევოლუციონერი-რეფორმატორი. მის მიერ ქვეყანაში ჩატარებული რეფორმების შედეგად თურქეთმა თავი დააღწია ეკონომიკურ ჩამორჩენილობას და კულტურის სფეროში განხორციელებული რეფორმების შედეგად ქვეყანა დაადგა ევროპიზაციის გზას.



ისმეთ ინონუ – თურქეთის პრეზიდენტი

თურქეთის დიდმა ეროვნულმა კრებამ ათათურქს სიკვდილის შემდეგ მიანიჭა „სახელმწიფოს მუდმივი მეთაურის“ წოდება. თურქეთის მთავრობამ ათათურქს ერის წინაშე უდიდესი დამსახურებისათვის აუგო დიდებული მავზოლეუმი.

11 ნოემბერს ჩატარდა პრეზიდენტის არჩევნები და პრეზიდენტად აირჩიეს ისმეთ ინონუ. იგი დაიბადა 1884 წელს, იზმირში, სივასში დაწყებითი და საშუალო განათლების მიღების შემდეგ, დაამთავრა სამხედრო-საინჟინრო ლიცეუმი, 1903 წელს (სახმელეთო) ქვეითი სამხედრო სკოლის დამთავრების შემდეგ, 1906 წლიდან სწავლობდა სამხედრო აკადემიაში, არმიაში ეკავა სხვადასხვა თანამდებობები:

1910-1913 წლებში მონაწილეობა მიიღო იემენის აჯანყების ჩაქრობაში.

პირველი მსოფლიო ომის დროს იმყოფებოდა კავკასიის ფრონტზე და იყო კორპუსის მეთაური. აქ იგი იბრძოდა მუსტაფა ქემალის სარდლობით, მას დაუმეგობრდა, ეს მეგობრობა წლების განმავლობაში გრძელდებოდა. ინონუ სირიის ფრონტზედაც იღებდა მონაწილეობას. მან ათათურქთან ერთად აქტიური მონაწილეობა მიიღო ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში. პოლკოვნიკი ისმეთი იბრძოდა დასავლეთის ფრონტზე ბერძნების წინააღმდეგ, ორჯერ დაამარცხა ბერძნები სოფელ ინონუსთან და მას ბრიგადის გენერლის წოდება უბოძეს. ინონუმ აქტიური მონაწილეობა მიიღო საკარიას ბრძოლებში, ბერძნებზე მოპოვებული გამარჯვების შემდეგ მონაწილეობა მიიღო მუდანის დროებითი ზავის დადებაში, შემდეგ იგი დაინიშნა საგარეო საქმეთა მინისტრად და მეთაურობდა თურქეთის დელეგაციას ლოზანის კონფერენციაზე. 1923 წლის 24 ივნისს ხელი მოაწერა ლოზანის საზავო ხელშეკრულებას.

1923 წლის 29 ოქტომბერს, თურქეთის რესპუბლიკის გამოცხადების მეორე დღეს ისმეთ ინონუ დაინიშნა პრემიერ-მინისტრად. 1924-1937 წლებში იყო პრემიერ-მინისტრი. ისმეთ ინონუ იყო მუსტაფა ქემალის უახლოესი ერთგული თანამოაზრე ყველა მის წამოწყებაში.

1938 წლის დეკემბერში ჩატარდა სახალხო-რესპუბლიკური პარტიის საგანგებო ყრილობა, რომელმაც ისმეთ ინონუ აირჩია პარტიის მუდმივ თავმჯდომარედ, ხოლო პარტიის წესდებაში შეიტანეს დებულება, რომ „ათათურქი არის პარტიის დამაარსებელი და მისი მუდმივი პრეზიდენტი“.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ისმეთ ინონუმ აქტიურ პოლიტიკურ მოღვაწეობაში დააბრუნა ათათურქის მიმართ ოპოზიციურად განწყობილი ცნობილი მოღვაწეები: გენერლები ქიაზიმ ყარაბექირი, ალი ფუად ჯებესოი (ათათურქის ყრმობის მეგობარი). რეფეტ ბელე და ფეთჰი ოქიარი. 1938 წლის დეკემბერში მეჯლისში ჩატარდა ნაწილობრივი არჩევნები და ისინი შეიტანეს საარჩევნო სიებში და კვლავ გახდნენ დეპუტატები. 1939 წელს ალი ფუად ჯებესოი აირჩიეს თურქეთის დიდი ეროვნული კრების თავმჯდომარედ, ხოლო მისი სიკვდილის შემდეგ – ქიაზიმ ყარაბექირი. აღსანიშნავია, ის, რომ ეს ძველი ქემალისტები აღარასოდეს გამოსულან ათათურქის კრიტიკით.

5. თურქეთის საგარეო პოლიტიკა მეორე მსოფლიო ომის წინ

მეორე მსოფლიო ომის წინ თურქეთი აგრძელებდა პოლიტიკური და ეკონომიკური კავშირების გაფართოებას დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქვეყნებთან.

თურქეთის დიპლომატებმა გადადგეს ნაბიჯები ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან უფრო მეტად დაახლოების მიზნით. 1938 წლის იანვარ-აპრილში თეირანში ხელი მოაწერეს თურქეთ-ირანის რამდენიმე ხელშეკრულებას, რომელთაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ორივე სახელმწიფოსათვის. მათ შორის სატელეფონო კავშირებზე დამყარების, საჰაერო მიმოსვლის, ვაჭრობის, ნაოსნობის, ტრაპიზონ-თავრიზის რკინიგზის მშენებლობის, საბაჟო შეთანხმების შესახებ და სხვ.

1937 წლის 7 აპრილს ანკარაში დაიდო თურქეთსა და ეგვიპტეს შორის მეგობრობის ხელშეკრულება.

გაუმჯობესდა ურთიერთობა ირანთან. 1938 წლის აპრილში ნოტების გაცვლის შედეგად, ორი წლით გაგრძელდა 1926 წელს ერაყსა და თურქეთს შორის დადებული ხელშეკრულება. 1937 წლის გაზაფხულზე ანკარაში ჩავიდა ერაყის საგარეო საქმეთა მინისტრი, ხოლო 1937 წლის ზაფხულში საპასუხო ვიზიტით ერაყში იმყოფებოდა თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი და ეკონომიკის მინისტრი.

1937 წლის 8 ივლისს საადაბადში, რეზა-შაჰის სასახლეში, ხელი მოეწერა „ოთხთა პაქტს“ (თურქეთი, ირანი, ავღანეთი და ერაყი), რომელიც ცნობილია საადაბადის პაქტის სახელწოდებით. ოთხივე ქვეყანამ უარი თქვა ჩარეულიყო ერთმანეთის საშინაო საქმეებში, „ხელმომწერი მხარეები შეთანხმდნენ დაეცვათ თავიანთი საზღვრების ხელშეუხებლობა“. არ დაიწყებდნენ აგრესიულ მოქმედებას პაქტის მონაწილე სახელმწიფოების წინააღმდეგ. ყველა უთანხმოებას მოაგვარებდნენ ერთა ლიგის შუამავლობით. საადაბადის პაქტი დაიდო 5 წლით, მაგრამ თუ ხელშეკრულების ვადის გასვლამდე ექვსი თვით ადრე არ განაცხადებდნენ, რომ პაქტი გაუქმებულია, მაშინ იგი ავტომატურად გაგრძელდებოდა კიდევ ხუთი წელი.

თურქეთმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საადაბადის პაქტის დადების საქმეში.

აქტიურდება თურქეთის ურთიერთობა დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებთან, გერმანია მიისწრაფოდა გაეფართოვებინა თურქეთთან თავისი ეკონომიკური და პოლიტიკური კავშირი.

თურქეთს განსაკუთრებით ესაჭიროებოდა კრედიტები თავისი ხუთწლიანი გეგმის დასაფინანსებლად, ხოლო გერმანია დაინტერესებული იყო თურქეთის ბაზრითა და მისი სტრატეგიული მდგომარეობით.

გერმანიამ სწრაფად გაზარდა თავისი სავაჭრო ოპერაციები თურქეთთან. 1936 წელს გერმანიაზე მოდიოდა მთელი ექსპორტის 51% და იმპორტის – 45,9%.

გერმანია თურქეთს აფინანსებდა კრედიტებით. 1938 წლისათვის გერმანიის კრედიტები თურქეთში შეადგენდა 87 მილ ლირას, მთელი საგარეო ვალის 48%-ს. გაძლიერდა თურქეთზე იდეოლოგიური ზეწოლა, მიუხედავად ამისა, გერმანიამ მაინც ვერ შეძლო ჩაეთრია თურქეთი თავის ორბიტაში.

თურქეთის გავლენიანი წრეები ორიენტაციას იღებდნენ ინგლისსა და საფრანგეთზე, 1938 წელს ინგლისის კაპიტალდაბანდებები თურქეთში, შეადგენდა 167,5 მილ. დოლარს, ხოლო საფრანგეთისა – 250 მილიონს.

1938 წლის მაისში ინგლისმა თურქეთს მისცა მორიგი სესხი 16 მილ. გირვანქა სტერლინგი.

საბჭოთა კავშირი განაგრძობდა თურქეთთან ეკონომიკურ და პოლიტიკურ თანამშრომლობას. 1935 წლის მარტში სახალხო-რესპუბლიკური პარტიის IV ყრილობაზე ათათურქმა განაცხადა: „თურქეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობას დღევანდლამდე მოჰქონდა მთელი მსოფლიოსათვის მხოლოდ სარგებლობა და შემდგომშიაც იქნება ძალზე სასარგებლო“.

1935 წელს ანკარაში ხელი მოაწერეს ოქმს, რომლითაც გაგრძელდა ათი წლით 1925 წლის საბჭოთა კავშირ-თურქეთის ხელშეკრულება მეგობრობისა და ნეიტრალიტეტის შესახებ.

საბჭოთა კავშირ-თურქეთის ურთიერთობას ბზარი გაუჩნდა მაშინ, როდესაც თურქეთის პრემიერ-მინისტრი გახდა ჯელალ ბაიარი.

1938 წლის თებერვალში საბჭოთა მთავრობა დათანხმდა საკონსულოების ქსელის ურთიერთშემცირებაზე. ამ შეთანხმებების შესაბამისად თურქეთმა დახურა საკონსულოები ოდესაში, ბაქოში, ერევანსა და ლენინგრადში, ხოლო საბჭოთა კავშირმა – იზმირსა და ყარსში. ორივე მხარემ შეინარჩუნა მხოლოდ თითო საკონსულო: საბჭოთა კავშირმა – სტამბოლში და თურქეთმა – ბათუმში.

1938 წლის ნოემბერში, როდესაც თურქეთის პრეზიდენტი გახდა ისმეთ ინონუ, პრემიერ-მინისტრი რ. საიდამი და საგარეო საქმეთა მინისტრი შუქრუ სარაჯოლუ, ახალმა მთავრობამ საჯაროდ განაცხადა, რომ მას განზრახული აქვს გაატაროს საბჭოთა კავშირთან მეგობრული ურთიერთობის განმტკიცების პოლიტიკა, საქმით ამის საწინააღმდეგო პოლიტიკას ანხორციელებდნენ.

6. ალექსანდრეტას სანჯაყის საკითხი და თურქეთის დაახლოება საფრანგეთ-ინგლისთან

მეორე მსოფლიო ომის დაწყების წინ, თურქეთსა და საფრანგეთს შორის დაიძაბა ურთიერთობა ალექსანდრეტას სანჯაყთან დაკავშირებით. ეს აისახება შემდეგი გარემოებით.

1918 წელს მუდროსის დაზავების შემდეგ, ინგლისის ჯარებმა მოახდინეს ალექსანდრეტას სანჯაყის ოკუპაცია, შემდგომში ინგლისმა ეს რაიონი და აგრეთვე კილიკია გადასცა საოკუპაციოდ საფრანგეთს. 1921 წელს საფრანგეთთან დადებული ხელშეკრულებით თურქეთმა კილიკია უკან დაუბრუნა, ხოლო ალექსანდრეტას სანჯაყი კი საფრანგეთს დარჩა. საფრანგეთმა ვალდებულება აიღო სანჯაყში შემოეღო „სპეციალური ადმინისტრაციული რეჟიმი“, თურქულ ენას სცნობდა, როგორც ოფიციალურს, უმეტესად თურქულ მოხელეებს დანიშნავდა და უფლებას მისცემდა სანჯაყს ჰქონოდა თავისი დროშა თურქული დროშის მსგავსი. 1926 წლის საფრანგეთ-თურქეთის ხელშეკრულებამ დაადასტურა 1921 წლისა და 1923 წლის საფრანგეთ-თურქეთის ხელშეკრულების ის მუხლები, რომლებიც ამ საკითხს ეხებოდა.

1936 წლამდე მდგომარეობა არ შეცვლილა, როდესაც ალექსანდრეტას სანჯაყის პრობლემა კვლავ აქტუალური შეიქმნა.

1936 წლის 9 სექტემბერს მოხდა საფრანგეთ-სირიის ხელშეკრულების პარაფირება, რომლის მიხედვითაც სამი წლის შემდეგ უნდა გაუქმებულიყო საფრანგეთის მანდატი სირიაზე და სირია უნდა შესულიყო ერთ ლიგაში. 1936 წლის 13 ნოემბერს ანალოგიური ხელშეკრულება დაიდო ლიბანთან, ერთი სიტყვით, სირიასა და ლიბანს უნდა მიეღოთ დამოუკიდებლობა. საფრანგეთ-სირიის ხელშეკრულების მიხედვით ალექსანდრეტას სანჯაყი უნდა შესულიყო სირიის შემადგენლობაში და სირ-

იას უნდა შეესრულებინა ის ვალდებულებები, რომელიც საფრანგეთმა ადრე აიღო თურქეთთან დადებული ხელშეკრულებებით.

საფრანგეთ-სირიის ხელშეკრულების დადების შემდეგ, თურქეთის პრესამ და თურქეთის ხელმძღვანელობამ დაიწყეს კამპანია საფრანგეთის წინააღმდეგ და მას ბრალს სდებენ, რომ ალექსანდრეტას სანჯაყი აღიარა სირიის მანდატად. თურქები მოითხოვდნენ, რომ სანჯაყი ისეთივე დამოუკიდებელი უნდა გამხდარიყო, როგორც სირია და ლიბანია და რომ საფრანგეთს ანალოგიური ხელშეკრულება უნდა დაედო ალექსანდრეტას სანჯაყთან.

1936 წლის ოქტომბერში დაიწყო ოფიციალური მოლაპარაკება საფრანგეთსა და თურქეთს შორის. თურქეთმა თავისი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად შემდეგი არგუმენტები წამოაყენა: 1. 1921 წლის ხელშეკრულება თურქეთმა დადო არა სირიასთან, რომელიც ამ დროს არ არსებობდა, არამედ საფრანგეთთან, ამასთან სანჯაყი დაუთმო არა უპირობოდ, არამედ პირიქით; 2. თუ ახლა საფრანგეთი უარს ამბობს თავის ხელშეკრულებაზე, ამ რეგიონის სუვერენიტეტი უნდა გადაეცეს სანჯაყის მოსახლეობას; 3. საფრანგეთს არა აქვს უფლება თურქეთთან შეუთანხმებლად გადასცეს იგი მესამე მხარეს. 4. საფრანგეთმა დაარღვია 1921 და 1926 წლების ხელშეკრულებები, რომლითაც დადგენილი იყო თურქეთ-სირიის საზღვრები.

საფრანგეთმა თავის საპასუხო ნოტაში განაცხადა, რომ მას არ შეუძლია დათანხმდეს სანჯაყის დამოუკიდებლობაზე, რადგან: 1. დადო რა 1921 წელს ხელშეკრულება, იგი გამოდიოდა მანდატის მფლობელის როლში სირიის ინტერესების სასარგებლოდ; 2. ერთა ლიგისაგან მანდატი მიიღო პირობით. გათვალისწინებული იყო მხოლოდ ორი სახელმწიფოს სირიისა და ლიბანის დამოუკიდებლობა, ამიტომ მესამე სახელმწიფოს ალექსანდრეტას დაარსება მოასწავებდა მანდატის პირობის დარღვევას; 3. 1921 წლის ხელშეკრულება ითვალისწინებდა სანჯაყისათვის ავტონომიურ-ადმინისტრაციულ რეჟიმს და არა განსაკუთრებულ პოლიტიკურ სტატუტს, და რომ სპეციალური ადმინისტრაციული რეჟიმი შენარჩუნებული იქნება, სირიაზე საფრანგეთის მანდატის გაუქმების შემდეგაც.

ამ დროს თურქეთის მმართველი წრეები მიისწრაფოდნენ ალექსანდრეტას სანჯაყისათვის დამოუკიდებლობის მინიჭებას, რათა შემდგომში მოეხდინათ მისი ანექსია.

საფრანგეთი არ იყო დაინტერესებული თურქეთთან კონფლიქტის გაღვივებით, არამედ ცდილობდა შეენარჩუნებინა მასთან მეგობრული ურთიერთობა, რასაც შეიძლება გამოეწვია ურთიერთობის გამწვავება არაბულ ქვეყნებთან.

მესამე სახელმწიფოები თავიანთი ინტერესებიდან გამომდინარე აქეზებდნენ მოდავე მხარეებს არ დაეთმოთ ერთმანეთისათვის. ასე, მაგალითად, ინგლისის პრესა არწმუნებდა ფრანგებს თურქების არგუმენტების უსუსურობაში, ხოლო გერმანია და იტალია აქეზებდნენ თურქებს ემოქმედათ უფრო გაბედულად და ენერგიულად.

კონფლიქტი გამწვავდა იმასთან დაკავშირებით, რომ თვით სანჯაყში დაიწყო მღელვარებები. თურქული მოსახლეობა უარს აცხადებდა მონაწილეობა მიეღო სირიის პარლამენტში. შეტაკებები მოხდა ადგილობრივ ხელისუფლებასთან. იყო მსხვერპლი.

თურქეთისა და საფრანგეთის მთავრობები დათანხმდნენ საკითხი გადაეტანათ ერთა ლიგაში განსახილველად.

1936 წლის დეკემბერში ერთა ლიგის საბჭოს გადაწყვეტილებებით სანჯაყში გაგზავნილ იქნენ ნეიტრალური ზედამხედველები. ამავე დროს ერთა ლიგის საბჭომ ურჩია საფრანგეთისა და თურქეთის წარმომადგენლებს გაეგრძელებინათ მოლაპარაკება შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრის შუამდგომლობით.

ამავე დროს თურქეთის პრესაში გრძელდებოდა თავდასხმები საფრანგეთზე. თურქეთის გაზეთები იმუქრებოდნენ, თუ თურქეთის მოთხოვნა არ იქნებოდა დაკმაყოფილებული, თურქები დატოვებდნენ ერთა ლიგას.

1937 წლის იანვრის დასაწყისში დაიწყო საფრანგეთ-თურქეთის მოლაპარაკება, მაგრამ მალე შეწყდა. თურქეთში მდგომარეობა ძალზე დაიძაბა. თურქეთის პრეზიდენტმა ათათურქმა მოიწვია გენერალური შტაბის სხდომა, ხოლო შემდგომ მან მოაწყო დემონსტრაციული მოგზაურობა სამხრეთში. გავრცელდა ხმები, რომ სირიის საზღვართან დაიწყო თურქეთის ჯარის თავმოყრა. გაზეთები ავრცელებდნენ ხმებს, რომ მოსალოდნელი იყო საზღვრისპირა მოსახლეობას დახმარება აღმოეჩინა ალექსანდრეტას სანჯაყის თურქებისათვის.

1937 წლის იანვრის ბოლოს მოლაპარაკება განახლდა და ერთა ლიგის სესიის საბჭოს სხდომაზე მიაღწიეს კომპრომისულ შეთანხმებას. ამ გადაწყვეტილების მიხედვით ალექსანდრეტას სანჯაყი დაკავშირებული იქნებოდა სირიასთან საგარეო პოლიტიკის, ფულის სისტემისა და საბაჟოს საკითხებში, ხოლო საშინაო საქმეებში იგი იქნებოდა ერთა ლიგის კონტროლის ქვეშ. ერთა ლიგაში გაგზავნიდა თავის წარმომადგენლებს ეროვნებით ფრანგს; უნდა მომხდარიყო სანჯაყის დემილიტარიზაცია; საფრანგეთი და თურქეთი ერთობლივად უზრუნველყოფდნენ მის ტერიტორიულ მთლიანობას; სანჯაყის სტატუსსა და კონსტიტუციას დაამტკიცებდა ერთა ლიგის საბჭო. თურქებს მიენიჭებოდა სპეციალური პირივილეგიები თავისი ტვირთის ალექსანდრეტას ნავსადგურით ტრანზიტის დროს.

1937 წლის მაისში ერთა ლიგის საბჭომ დაამტკიცა ალექსანდრეტას სტატუსი და კონსტიტუცია.

1937-1938 წლებში კონფლიქტი ახალი ძალით კვლავ განახლდა. გამოირკვა, რომ სანჯაყის პარლამენტში თურქეთმა ვერ მოიპოვეს უმრავლესობა, რის იმედიც მათ ჰქონდათ. თურქეთის მთავრობა ამაში ფრანგ ხელისუფალთ დებდა ბრალს, და რომ სანჯაყის თურქული მოსახლეობა მათგან განიცდიდა შევიწროებასა და დევნას და აიძულებდა უარი ეთქვა თურქულ ეროვნებაზე და სხვ.

თავის მხრივ ფრანგები ბრალს სდებდნენ თურქებს, რომ ისინი შეგნებულად ამწვავებდნენ მდგომარეობას და აწყობდნენ თავდასხმებს სხვა ეროვნებების წარმომადგენლებზე. დიდ უკმაყოფილებას გამოხატავდნენ აგრეთვე სირიელი არაბები, სირიისაგან სანჯაყის ჩამოცილება დიდ უკმაყოფილებას იწვევდა არაბებს შორის. 1938 წლის გაზაფხულისათვის, შეტაკებები სანჯაყში გაძლიერდა და სამოქალაქო ომს დაემსგავსა.

ასეთ ვითარებაში საფრანგეთის მთავრობა კვლავ დათმობაზე წავიდა თურქეთის მიმართ. იგი თვლიდა, რომ უკეთესია დაკარგოს სანჯაყი, ვიდრე თურქეთის მხარდაჭერა ხმელთაშუა ზღვაზე ომის შემთხვევაში. ამასვე ურჩევდა ფრანგებს ინგლისი. თუ თურქეთი მიიღებდა ალექსანდრეტას სანჯაყს, მაშინ იგი მიემხრობოდა ინგლის-საფრანგეთის ბლოკს და თურქეთი კიდევ უფრო მეტად გახდებოდა დამოკიდებული ინგლისსა და საფრანგეთზე.

1938 წლის 3 ივლისს ანტაკიაში (ანტიოქია) ხელმოწერილ იქნა შეთანხმება საფრანგეთსა და თურქეთს შორის. შეთანხმება ითვალისწინებდა სანჯაყში 2500 თურქი ჯარისკაცის შეყვანას, იმდენივეს რაც საფრანგეთს ყავდა ამ რეგიონში.

1938 წლის 4 ივლისს ანკარაში პარაფირებულ იქნა საფრანგეთ-თურქეთის ხელშეკრულება მეგობრობის შესახებ: საფრანგეთი და თურქეთი ვალდებულებას იღებდნენ არ შესულიყვნენ პოლიტიკურ ან ეკონომიკურ კომბინაციებში, რომელიც მიმართული იქნებოდა ერთი მათგანის წინააღმდეგ, არ აღმოუჩენდნენ დახმარებას მესამე მხარეს იმ შემთხვევაში, თუ ის თავს დაესხმოდა ერთ-ერთ ხელმომწერ მხარეს,

ერთმანეთს გაუწევდნენ კონსულტაციას, თუ დაირღვეოდა მშვიდობა აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვის რეგიონში.

საფრანგეთთან ხელშეკრულების დადების შემდეგ თურქეთის ჯარი შეყვანილ იქნა ალექსანდრეტას სანჯაყში. ამის შემდეგ ჩატარდა არჩევნები სანჯაყის პარლამენტში. ცხადია, თურქეთის ჯარის ყოფნის პირობებში არჩევნები თურქების სრული გამარჯვებით დამთავრდა. სანჯაყის პრეზიდენტად არჩეულ იქნა თურქეთის დიდი ეროვნული კრების დეპუტატი. მთავრობის შემადგენლობაში შევიდნენ მხოლოდ თურქები. ახალმა სახელმწიფომ თავის დროშად დაამტკიცა თურქული დროშა, მიიღო თურქული სახელწოდება „ჰატაი“, თავის ჰიმნად – მიიღო თურქული. ჰატაის პარლამენტისა და პრეზიდენტის პირველი აქტი იყო თურქეთის პრეზიდენტისა და თურქეთის პარლამენტისათვის მადლობის დეპეშის გაგზავნა.

ამ დროიდან სანჯაყი ფაქტობრივად გახდა თურქული. თურქები მიისწრაფოდნენ საბოლოოდ მოეხდინათ მისი ანექსია. ამას დასჭირდა კიდევ ერთი წელი.

ამასობაში ვითარება ევროპაში კიდევ უფრო დაიძაბა. ფაშისტური გერმანია და იტალია გადავიდნენ შეიარაღებულ ანექსიაზე, გერმანიამ ხელთ იგდო ავსტრია და ჩეხოსლოვაკია, ხოლო 1939 წლის აპრილში იტალიის ჯარები შეიჭრნენ ალბანეთში. ფაშისტური იტალიის მიახლოებამ თურქეთის საზღვრებთან თურქეთის მმართველი წრეები ძალზე შეაშფოთა, ამან კი დაარწმუნა თურქეთის მთავრობა, რომ საჭიროა დაუკავშირდეს ინგლის-საფრანგეთის ბლოკს. თავის მხრივ ინგლის-საფრანგეთი დიდად იყვნენ დაინტერესებულნი თურქეთი მათი მოკავშირე გამხდარიყო, ინგლისი მზად იყო მხარი დაეჭირა თურქეთის მიერ ალექსანდრეტას სანჯაყის ანექსიისათვის იმ პირობით, თუ თურქეთი ინგლის-საფრანგეთის კავშირს შეუერთდებოდა.

1939 წლის 12 მაისს ერთდროულად ანკარასა და ლონდონში გამოქვეყნდა ინგლის-თურქეთის დეკლარაცია. მასში აღნიშნული იყო, რომ ინგლისისა და თურქეთის მთავრობები ჩაერთვნენ „მჭიდრო კონსულტაციებში“ და მოლაპარაკებებში, რომლებიც ამჟამად ჯერ კიდევ გრძელდებოდა; არ ელოდებიან რა საბოლოო ხელშეკრულების დადებას, ორივე მხარე აცხადებს, რომ აგრესიის აქტის შემთხვევაში, რასაც შეიძლება მოჰყვეს ომი ხმელთაშუა ზღვის რეგიონში, ესინი მზად იქნებიან ეფექტურად ითანამშრომლონ და აღმოუჩინონ ერთმანეთს ყოველგვარი დახმარება“. ამის შემდეგ თურქეთის მთავრობამ გააუქმა გერმანიასთან დადებული სხვადასხვა შეთანხმებები.

ამავე დროს მოლაპარაკება დაიწყო ინგლისის მთავრობასთან მისთვის ახალი კრედიტების გაცემის თაობაზე. თურქეთის სამხედრო დელეგაცია ლონდონში გაემგზავრა.

1939 წლის 23 ივნისს დამთავრდა საფრანგეთ-თურქეთის მოლაპარაკებები. ანკარასა და პარიზში ერთდროულად ხელი მოაწერეს ორ დოკუმენტს. ანკარის შეთანხმებაში აღნიშნული იყო, რომ ჰატაი (ალექსანდრეტას სანჯაყი) საბოლოოდ გადადის თურქეთის შემადგენლობაში, ხოლო პარიზის შეთანხმებით ცხადდებოდა დეკლარაცია ურთიერთდახმარების შესახებ. იგი ინგლისთან ადრე დადებული შეთანხმების მსგავსი იყო.

ჰატაი გახდა თურქეთის ჩვეულებრივი ვილაიეთი.

თავი VI

თურქეთი მეორე მსოფლიო ომის დროს 1939-1945 წლებში

1. მეორე მსოფლიო ომის დაწყება და თურქეთი 1939-1941 წლებში

1939 წლის გაზაფხულიდან გერმანია გამალებით ემზადებოდა ევროპაში ომის დაწყებისათვის. ინგლისი და საფრანგეთი ცდილობდნენ გერმანიის აგრესია მიემართა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. თურქეთს მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა როგორც გერმანიის, ისე ინგლის-საფრანგეთის გეგმებში.

ათათურქი დარწმუნებული იყო, რომ დაიწყებოდა მსოფლიო ომი და აფრთხილებდა თურქეთის მთავრობას გამოეჩინა წინდახედულობა, იგი წერდა: „კაცობრიობა მალე აღმოჩნდება ჩათრეული მსოფლიო ომში. რამდენიმე ავანტურისტი, როგორებიც არიან მუსოლინი და ჰიტლერი, ამ ქვეყანაზე გამოიწვევენ ცეცხლსა და სისხლის ღვრას. ამ ომში ძალთა ბალანსი შეიცვლება, თურქეთმა არ უნდა დაუშვას არავითარი შეცდომა“.

1939 წლის აპრილში ანკარაში ჩავიდა გერმანიის ელჩი ფონ პაპენი. აღსანიშნავია, რომ ჰიტლერს უნდოდა ფონ პაპენი ჯერ კიდევ 1938 წელს გაეგზავნა თურქეთში. მაგრამ ათათურქისათვის ცნობილი იყო პირველი მსოფლიო ომის დროს პაპენის ჯაშუშური საქმიანობა და ამის გამო არ მისცა აგერმანი. ათათურქის სიკვდილის შემდეგ თურქეთის მთავრობამ მოხსნა თავისი აცილება. ანკარაში ჩასვლის შემდეგ, ფონ პაპენს განზრახული ჰქონდა ჩაეთრია თურქეთი ღერძის (გერმანია, იტალია, იაპონია) სახელმწიფოების ბლოკში. ამ მიზნით ფონ პაპენი ურჩევდა იტალიის მთავრობას დაეთმო თურქეთისათვის ოთხი პატარა კუნძული (დოდეკანეზის კუნძულებიდან), მაგრამ იტალიამ ეს არ მოისურვა და პროექტი ჩაიშალა.

თავის მხრივ, ინგლისი და საფრანგეთი დაინტერესებული იყვნენ თურქეთით, მისი სამხედრო-სტრატეგიული მდებარეობით, მისი რესურსებით და დაიწყეს მასთან მოლაპარაკება.



სარაჯოღლუ, თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი, შემდეგ პრემიერ-მინისტრი.

ომის დაწყების წინ თურქეთის მმართველ წრეებში ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული კამათი საგარეო ორიენტაციის არჩევის საკითხში, გამარჯვებული გამოვიდნენ ისინი, რომლებიც მომხრენი იყვნენ მხარი დაეჭირათ ინგლის-საფრანგეთის ბლოკისათვის.

1939 წლის 12 მაისს ინგლისმა და თურქეთმა ხელი მოაწერეს წინასწარ შეთანხმებას, რომლითაც ინგლისისა და თურქეთის მთავრობები აცხადებდნენ, რომ ხმელთაშუა ზღვის რეგიონში ომის შემთხვევაში ისინი აქტიურად და ეფექტურად ითანამშრომლებდნენ და აღმოუჩენდნენ ერთმანეთს ყოველგვარ დახმარებას.

ინგლის-თურქეთის შეთანხმება არ იქნებოდა ეფექტური და ნაყოფიერი ხმელთაშუაზღვის რეგიონში საფრანგეთის მონაწილეობის გარეშე.

ინგლისის მთავრობის რჩევით, საფრანგეთი წავიდა თურქეთის წინაშე დათმობზე. ამ დროს თურქეთი და-

უინებით მოითხოვდა ალექსანდრეტას (ჰატაი) სანჯაყის მისთვის გადაცემას.

1939 წლის მაისის დასაწყისში საბჭოთა მთავრობამ გაგზავნა ანკარაში საგარეო საქმეთა კომისრის მოადგილე ვ. პატიომკინი. მან თურქეთის მთავრობას შესთავაზა დადებულიყო საბჭოთა კავშირ-თურქეთის ხელშეკრულება ურთიერთდახმარების შესახებ. ფაშისტური აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთო ფრონტის ჩარჩოებში, თურქეთის მთავრობამ საბჭოთა კავშირის ამ წინადადებას არ გასცა გარკვეული პასუხი.

1939 წლის 1 სექტემბერს ფაშისტური გერმანია თავს დაესხა პოლონეთს. ორი დღის შემდეგ ინგლისმა და საფრანგეთმა ომი გამოუცხადეს გერმანიას, დაიწყო მეორე მსოფლიო ომი.

1939 წლის სექტემბერის ბოლოს მოსკოვში ჩავიდა თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სარაჯოღლუ. მოლაპარაკების დროს მან საბჭოთა კავშირს შესთავაზა დადებულიყო ურთიერთდახმარების პაქტი, რომელიც გავცრელდებოდა სრუტეებსა და ბალკანეთზე. მალე გაირკვა, რომ თურქეთი ანალოგიურ მოლაპარაკებას აწარმოებდა ინგლისთან და საფრანგეთთან. თუ საბჭოთა კავშირი დადებდა შეთავაზებულ პაქტს, მაშინ იგი შესაძლებელია ჩათრეულიყო გერმანიის წინააღმდეგ ომში. ამიტომ საბჭოთა კავშირმა უარყო სარაჯოღლუს მიერ შემოთავაზებული წინადადება.

1939 წლის 19 ოქტომბერს ანკარაში თურქეთმა, ინგლისმა და საფრანგეთმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას, რომლითაც ისინი ვალდებულებას იღებდნენ ხმელთაშუა ზღვის რეგიონში აგრესიის შემთხვევაში ეფექტური თანამშრომლობა და დახმარება აღმოეჩინათ ერთმანეთისთვის.

ამრიგად, თურქეთი მიემხრო ინგლის-საფრანგეთის ბლოკს.

მიუხედავად ინგლის-საფრანგეთთან დადებული ხელშეკრულებისა, თურქეთი არ აპირებდა მონაწილეობა მიეღო ფაშისტური აგრესიის წინააღმდეგ ომში. ამ ხელშეკრულებით თურქეთი მიზნად ისახავდა ინგლის-საფრანგეთისაგან მიეღო მატერიალური სარგებლობა. მართლაც, თურქეთმა მიიღო ინგლის-საფრანგეთისაგან სესხები და კრედიტები 4395 მილ. გირვანქა სტერლინგის ოდენობით.

1939 წლის ბოლოსათვის ინგლისმა პირველი ადგილი დაიკავა თურქეთთან ვაჭრობაში. თურქეთში შეტანილი პროდუქციის საერთო მოცულობა შეადგენდა 118, 2 მილ. გირვანქა სტერლინგს, ექსპორტი – 1127, 4 მლნ. გირვანქა სტერლინგს. აქედან ინგლისის წილი შეადგენდა 16, 3 პროცენტს, ხოლო გერმანიისა – 10, 4 პროცენტს.

1940 წლის 8 იანვარს თურქეთსა და ინგლის-საფრანგეთს შორის დაიდო ხელშეკრულება თურქეთიდან ქრომის შესყიდვის შესახებ. ორი წლის განმავლობაში ამოღებული ქრომი და ქრომის ის მარაგი, რომელიც საწყობებში ინახებოდა, უნდა მიეყიდათ ინგლის-საფრანგეთისათვის. მესამე მხარისათვის ქრომის შესყიდვა შეიძლებოდა მხოლოდ ინგლის-საფრანგეთის თანხმობით.

გერმანიის მიერ პოლონეთის დამარცხების შემდეგ 1939 წლის სექტემბრიდან 1940 წლის აპრილამდე, საომარი მოქმედება აღნიშნულ სახელმწიფოებს შორის არ მიმდინარეობდა. შექმნილ სიტუაციას „უცნაური ომი“ უწოდეს.

1940 წლის გაზაფხულიდან ფაშისტური გერმანია შეტევაზე გადავიდა დასავლეთ ევროპაში. 9 აპრილს გერმანელთა ჯარები დანიაში შეიჭრნენ და მოახდინეს მისი ოკუპაცია, იმავდროულად გერმანელებმა დესანტები გადასხეს ნორვეგიაში და იქნისის ბოლოს მთელი ნორვეგია დაიკავეს.

დანიისა და ნორვეგიის დაკავების შემდეგ გერმანელები შეიჭრნენ ბელგიასა და ჰოლანდიაში, შემდეგ გაარღვიეს საფრანგეთის გამაგრებული ხაზი და შეუდგნენ მის ოკუპაციას.

1940 წლის 10 ივნისს იტალიამ ომი გამოუცხადა საფრანგეთს. 1939 წლის ინგლის-საფრანგეთთან დადებული ხელშეკრულებით, თურქეთს დახმარება უნდა აღმოეჩინა მოკავშირეებისათვის იტალიის წინააღმდეგ ომში, მაგრამ მან თავი შეიკავა ომში მონაწილეობისაგან. მან გამოაცხადა, რომ ხელშეკრულების თანახმად, იგი სარგებლობს „არამეომარი სახელმწიფოს“ სტატუსით.

საფრანგეთის კაპიტულაციის (1940 წ. 22 ივლისი) შემდეგ თურქეთი სულ უფრო მეტად იხრება გერმანიისაკენ, ინგლის-საფრანგეთთან მჭიდრო თანამშრომლობის დროსაც კი თურქეთი არ წყვეტდა გერმანიასთან სავაჭრო-ეკონომიკურ თანამშრომლობას.

გერმანია ემზადებოდა საბჭოთა კავშირზე თავდასასხმელად, 1940 წლის მეორე ნახევარსა და 1941 წლის პირველ ნახევარში გაატარა ღონისძიებანი სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპასა და ბალკანეთში თავის ბატონობის დასამყარებლად.

1940 წელს ჰიტლერმა თავის გავლენას დაუმორჩილა რუმინეთი, ბულგარეთი, უნგრეთი და სლოვაკია. 1940 წლის სექტემბერში რუმინეთში გენერალ ანტონესკუს ფაშისტური დიქტატურა დამყარდა. იმავე წლის ოქტომბერში გერმანიამ, თავისი ჯარები შეიყვანა რუმინეთში. 23 ნოემბერს ანტონესკუმ ხელი მოაწერა ბერლინის პაქტს*, რომლითაც რუმინეთი ფაშისტურ ბლოკში გაერთიანდა. ბერლინის პაქტს შეუერთდა აგრეთვე უნგრეთი და სლოვაკია. 1941 წლის 1 მარტს ბერლინის პაქტს შეუერთდა ბულგარეთი, ხოლო 2 მარტს გერმანიის ჯარები შევიდნენ ბულგარეთში. ბულგარეთში გერმანიის გამოჩენამ მკვეთრად გააძლიერა ფაშისტური გერმანიის საფრთხე თურქეთის მიმართ. თურქეთის მთავრობამ გასცა ბრძანება აეფეთქებინა ხიდი მდინარე მარიცაზე. თურქეთმა გაზარდა ჯარისა და არტილერიის რაოდენობა სრუტეების ზონაში. თურქეთი შეუდგა სრუტეების დანაღმვას.

გერმანიამ გადაწყვიტა დაემორჩილებინა ბალკანეთის დამოუკიდებელი სახელმწიფოები. 1941 წლის 6 აპრილს გერმანიის ჯარები შეიჭრნენ იუგოსლავიაში და 12 დღეში მოახდინეს მისი ოკუპაცია. გერმანიის ჯარებმა იმავე დროს საბერძნეთის ტერიტორიის ოკუპაცია მოახდინეს. იუგოსლავიის მთავრობამ მიმართა თურქეთს – აღმოეჩინა მისთვის დახმარება, ხოლო ინგლისის მთავრობამ ოფიციალურად გაუცხადა თურქეთს გაეწყვიტა დიპლომატიური ურთიერთობა ღერძის სახელმწიფოებთან. ინგლისმა მიმართა თურქეთის მთავრობას წინადადებით ერთობლივი ზომები მიეღოთ ფაშისტური აგრესიის წინააღმდეგ.

თურქეთმა არავითარი დახმარება არ აღმოუჩინა იუგოსლავიას, თუმცა მას როგორც ბალკანეთის ანტანტის მონაწილე სახელმწიფოს ევალებოდა დახმარება აღმოეჩინა აგრესიის მსხვერპლი ქვეყნებისათვის.

თურქეთმა კვლავ პასიური პოზიცია დაიკავა, როდესაც იტალია, შემდეგ კი გერმანია თავს დაესხა საბერძნეთს, არ აღმოუჩინა მას დახმარება. თურქეთის პრემიერ-მინისტრმა სადამმა განაცხადა „თურქეთი მშვიდობის კუნძულია“ და ჩვენი იარაღია „ერთობა და დამოუკიდებლობისადმი სიყვარული“.

1941 წლის იანვარში ინგლისის პრემიერ-მინისტრმა ჩერჩილმა წერილი გაუგზავნა თურქეთის პრეზიდენტს ისმეთ ინონუს, რომელშიც ითხოვდა თურქეთის ტერიტორიაზე მოწყობილიყო ინგლისის საჰაერო და საზღვაო სამხედრო ბაზები. ამ მიზნით ანკარაში ჩავიდა ინგლისის სამხედრო მისია. თურქეთმა უარი განაცხადა

* 1940 წლის 27 სექტემბერს ბერლინში გერმანიას, იტალიასა და იაპონიას შორის დაიდო სამთა პაქტი (სამხედრო პოლიტიკური კავშირი). ამ პაქტის მონაწილეებმა აშკარად განაცხადეს, რომ მათი მიზანია მსოფლიოზე ბატონობის მოპოვება ევროპაში და აზიაში „ახალი წესრიგის“ დამყარება.

თავის ტერიტორიაზე განლაგებინა ინგლისის სამხედრო ბაზები. 1941 წლის თებერვლის ბოლოს ანკარაში ჩავიდა ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრი იდენი და ინგლისის გენერალური შტაბის უფროსი გენერალი დილი. იდენმა მოლაპარაკება აწარმოა თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრ სარაჯოღლუსთან, მაგრამ ამ მოლაპარაკებასაც არავითარი შედეგი არ მოჰყოლია.

1941 წლის გაზაფხულზე არსებობდა მეტად რეალური საფრთხე, რომ გერმანია თავს დაესხმოდა თურქეთს. გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი რიბენტროპი მოითხოვდა, რომ იუგოსლავიისა და საბერძნეთის ოკუპაციის შემდეგ, საომარი ოპერაციები გადაეტანათ თურქეთის ტერიტორიაზე.

თურქეთში გერმანიის საელჩოს თანამშრომელი მოიზიში წერს, რომ „იმ დროს გერმანიის ჯარების შეჭრის საფრთხე თურქეთში საკმაოდ რეალური იყო". გერმანიაში დაიბეჭდა „თურქეთის გზამკვლევები" გერმანელი ჯარისკაცებისათვის და სხვ.

ამ დროს თურქეთის მდგომარეობა ძალზე კრიტიკული იყო. ბულგარეთსა და საბერძნეთში გერმანიის ჯარები იდგნენ. სრუტეებისაკენ გზა გერმანელების ხელში გადავიდა. კიდევ უფრო უარესი მდგომარეობა შეიქმნა ახლო აღმოსავლეთში. 1941 წლის 3 აპრილს ერაყში ფაშისტებმა მოაწყვეს ანტიინგლისური სახელმწიფო გადატრიალება და ხელისუფლების სათავეში მოვიდა რაშიდ ალი გაილანის პროგერმანული მთავრობა, სირიასა და ლიბანში ვიშის ფრანგული მთავრობა თანამშრომლობდა გერმანიასთან.

ამ დროს გერმანია-იტალიის მთავრობებმა მიიდეს ზომები ჩრდილოეთ აფრიკასა და ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ რეგიონებში გაეძლიერებინათ თავიანთი გავლენა. ამ წამოწყებაში განსაკუთრებით აქტიურობას იჩენდა იტალია.

1940 წლის ზაფხულიდან, გერმანია-იტალიის მთავარსარდლობამ სცადა ხელთ ჩაეგდოთ ჩრდილოეთ აფრიკა, ხოლო ხმელთაშუა ზღვაში – სტრატეგიული პუნქტები. იტალიის ჯარებმა ხელთ იგდეს ბრიტანეთის სომალი, სუდანი და დაიწყეს ლიბიიდან ეგვიპტეზე შეტევა, მაგრამ მალე მათი შეტევა შეჩერებულ იქნა.

1940 წლის დეკემბერში ინგლისის ჯარები შეტევაზე გადავიდნენ და განდევნეს იტალიელები კირენაიიდან, სუდანიდან, კენიიდან, ბრიტანეთისა და იტალიის სომალიდან, ხოლო 1941 წლის აპრილში შევიდნენ იტალიელების მიერ ჯერ კიდევ 1935 წელს დაპყრობილ ეთიოპიის დედაქალაქ ადის-აბებაში.

1941 წლის დასაწყისში გერმანელებმა იტალიელთა დასახმარებლად ლიბიაში გაგზავნეს რამდენიმე დივიზია და გერმანია იტალიის ჯარებმა გენერალ რომელის სარდლობით 31 მარტს დაიწყეს ახალი დიდი შეტევა ეგვიპტის წინააღმდეგ, რის შედეგადაც ინგლისელები იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ. ეგვიპტის დაპყრობის შემთხვევაში გერმანელები გეგმავდნენ ერაყისაკენ გაჭრას.

ამრიგად, გერმანიის ჯარები აღმოჩდნენ თურქეთის უშუალო მეზობლად არა მარტო ევროპულ საზღვრებთან, არამედ – აზიაშიც. თურქეთი გარშემორტყმული აღმოჩნდა სამი მხრიდან.

ფონ პაპენმა ბერლინიდან მიიღო ინსტრუქცია თურქეთის მთავრობას მიეცა ნებართვა თურქეთის ტერიტორიაზე ტრანზიტით გაეტარებინა გერმანიის ტექნიკა და სამხედრო ნაწილები. კომპენსაციის სახით გერმანია თურქეთს სთავაზობდა შეეცვალა საზღვარი ედირნეს რაიონში და აგრეთვე ჰპირდებოდა, რომ გადასცემდა რომელიმე კუნძულს ეგეოსის ზღვაში.

თურქეთის მთავრობამ არ მიიღო გერმანიის წინადადება წასულიყო ამგვარ დათმობაზე. ეს ნიშნავდა გერმანიის დამკვიდრებას ერაყში და საკუთარი ქვეყნისათვის გერმანიის მხრიდან საფრთხის გაძლიერებას. თურქეთმა ამის შესახებ

აცნობა ინგლისის მთავრობას და ინგლისმა უარყოფითი პოზიცია დაიკავა. მაისის ბოლოს საკითხი თავისთავად მოიხსნა, ინგლისელებმა ზაფხულში მოახდინეს ერაყში პროგერმანული მთავრობის დამხობა და სირია-ლიბანიდან ფაშისტების განდევნა.

ამრიგად, თურქეთზე გერმანიის თავდასხმის პროექტი დღის წესრიგიდან მოიხსნა, მაგრამ ჰიტლერმა საბოლოოდ უარი არ თქვა თავს დასხმოდა თურქეთს, მან მხოლოდ გადაიტანა ეს გარკვეული დროით საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომის დამთავრებამდე.

2. ფაშისტური გერმანიის თავდასხმა საბჭოთა კავშირზე და თურქეთი 1941-1945 წლებში

ემზადებოდა რა ფაშისტური გერმანია დაეწყო ომი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, მან გადაწყვიტა თურქეთის სახით, ჰყოლოდა საიმედო მოკავშირე სამხრეთის ფლანგზე.

ბერლინიდან მითითებით, ფონ პაპენმა დაიწყო საიდუმლო მოლაპარაკება თურქეთის მთავრობასთან, ხანმოკლე მოლაპარაკების შედეგად 1941 წლის 18 ივნისს, ოთხი დღით ადრე, ვიდრე გერმანია, თავს დაესხმებოდა საბჭოთა კავშირს, თურქეთსა და გერმანიას შორის დაიდო ხელშეკრულება „მეგობრობისა და თავდაუსხმელობის შესახებ".

თურქეთის მთავრობამ წინასწარ არ შეატყობინა საბჭოთა კავშირს გერმანიასთან მოლაპარაკების შესახებ და ამით დაარღვია 1929 წლის 17 სექტემბერს საბჭოთა კავშირ-თურქეთს შორის დადებული ხელშეკრულება.

გერმანია-თურქეთის ხელშეკრულებით, ორივე მხარე ვალდებულებას იღებდა თავი შეეკავებინა ერთმანეთზე თავდასხმისაგან და ერთმანეთის მიმართ გაეტარებინა მეგობრული პოლიტიკა. ხელშეკრულების დადებით თურქეთმა საბოლოოდ აიღო კურსი გერმანიაზე. ამ პაქტის შედეგად გერმანიამ უზრუნველყო სამხრეთის ფლანგი. 22 ივნისს გერმანია ომის გამოუცხადებლად თავს დაესხა საბჭოთა კავშირს.

25 ივნისს თურქეთის მთვრობამ ოფიციალურად გამოაცხადა ნეიტრალიტეტი, მაგრამ ფაქტობრივად, ეხმარებოდა ფაშისტურ გერმანიას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომში.

1941 წლის ზაფხულიდან მნიშვნელოვნად გაიზარდა თურქეთ-გერმანიის პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო თანამშრომლობა.

1941 წლის სექტემბერში ანკარაში ჩავიდა გერმანიის ეკონომიკის მინისტრის მოადგილე კლოდიუსი, მან მოითხოვა გაუქმებულიყო 1940 წლის თურქეთ-ინგლისის შეთანხმება ქრომის შესახებ და გერმანიას გადაეცემოდა მთელი ამოღებული ქრომი. ამის სანაცვლოდ გერმანია პირდებოდა დახმარებას კრედიტების მიცემაში და თურქეთის ტერიტორიაზე სხვადასხვა ობიექტების მშენებლობაში.

1941 წლის ოქტომბერში დაიდო თურქეთ-გერმანიის ახალი სავაჭრო ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც 1943 წლის 31 მარტამდე უნდა გაზრდილიყო ექსპორტი 96 მლნ. ლირამდე და იმპორტი – 96 მილ. ლირამდე. გერმანიისთვის მიწოდებული ნედლეულის სანაცვლოდ, გერმანია მოამარაგებდა თურქეთს შეიარაღებითა და სამხედრო მასალით. ამ ხელშეკრულებების დადების შემდეგ გერმანიამ დაიკავა პირველი ადგილი თურქეთთან ვაჭრობაში.



ი. სტალინი, ფ. რუზველტი და უ. ჩერჩილი

1942 წლის 31 დეკემბერს გერმანიამ მისცა თურქეთს სპეციალური კრედიტი სამხედრო ტექნიკის შესაძენად.

1942 წლის შემოდგომაზე თურქეთსა და გერმანიას შორის დაიდო სპეციალური ხელშეკრულება, რომლითაც გერმანიამ მიიღო უფლება 1943-1944 წლებში შეესყიდა 180 ათასი ტონა ქრომის მადანი.

გერმანიასთან სავაჭრო ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ, 1943 წლის აპრილში დაიდო ახალი ხელშეკრულება, რომლითაც ორივე მხარე ერთმანეთს მიაწვდიდა 60 მილ. ლირის ღირებულების საქონელს. ამაში არ შედიოდა ქრომის მადნის ღირებულება.


თურქეთის მმართველი წრეები ამარაგებდნენ რა გერმანიას ქრომით, სპილენძით, ბამბით და სხვა სტრატეგიული ნედლეულითა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით, ხელს უწყობდნენ და ახანგრძლივებდნენ გერმანიის დამარცხებას.

1944 წლის გაზაფხულზე, როდესაც მკვეთრად გაუარესდა გერმანიის სამხედრო მდგომარეობა, 21 აპრილიდან თურქეთის მთავრობამ ოფიციალურად გამოაცხადა გერმანიისათვის ქრომის მიწოდების შეწყვეტა.

ეკონომიკური გავლენის გაფართოებასთან ერთად, ჰიტლერული გერმანია მიისწრაფვოდა გაეძლიერებინა თავისი პოლიტიკური გავლენა და ხელს უწყობდა და აფინანსებდა პანთურქისტულ ორგანიზაციებს.

პანთურქისტული გაზეთები და ჟურნალები ეწეოდნენ ანტისაბჭოთა პროპაგანდას და აშკარად მოუწოდებდნენ თავის მთავრობას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომისაკენ და ქება-დიდებას ასხამდნენ ფაშისტურ გერმანიას.

მართალია, თურქეთმა ნეიტრალიტეტი გამოაცხადა, მაგრამ მოახდინა ჯარის მობილიზაცია და მისი რაოდენობა ერთ მილიონ ჯარისკაცს შეადგენდა. არმიის დიდი ნაწილი განლაგებული იყო კავკასიის საზღვრებთან, ამის გამო საბჭოთა



ისმეთ ინონუს შეხვედრა ფ. რუზველტთან და უ. ჩერჩილთან. კაირო, 1943 წლის დეკემბერი.

კავშირი იძულებული იყო აქ ყოლოდა დიდი სამხედრო ძალები და ამით თურქეთმა არაპირდაპირი დახმარება აღმოუჩინა გერმანიას.

თურქეთი ომის დროს არღვევდა 1936 წლის მონტრეს კონვენციას შავი ზღვის სრუტეების შესახებ და ატარებდა სრუტეებზე გერმანიის და იტალიის სამხედრო გემებს.

თურქეთის რეაქციული ძალები იმედოვნებდნენ, რომ გერმანელების მიერ სტალინგრადის აღების შემდეგ. განახორციელებდნენ თავიანთ აგრესიულ ზრახვებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, მაგრამ სტალინგრადთან გერმანიის ჯარების განადგურებამ ჩაშალა მათი გეგმები.

გერმანიის დაზვერვა თურქეთში მეტად აქტიურად მოქმედებდა, გერმანიის საელჩო, თავისი აგენტების დახმარებით იღებდა სრულიად საიდუმლო დოკუმენტებს ინგლისის საელჩოდან. ამ დოკუმენტებიდან გერმანელებმა იცოდნენ, რომ თეირანში უნდა ჩატარებულიყო სამი დიდი სახელმწიფოს მეთაურთა შეხვედრა, დასავლეთ ევროპაში მეორე ფრონტის გახსნის თარიღი და სხვ. („ციცერონის ოპერაცია“).

ინგლისის პრემიერ-მინისტრმა ჩერჩილმა ომის დროს წამოაყენა გეგმა, რომლის მიხედვითაც მეორე ფრონტი უნდა გახსნილიყო არა დასავლეთ ევროპაში (საფრანგეთში), არამედ ბალკანეთში. ამ მიზნით, ჩერჩილს 1942 წლის ნოემბრიდან განზრახული ჰქონდა ჩაება თურქეთი ომში. ეს გეგმა ჩერჩილმა გაუზიარა ამერიკის შეერთებულ შტატების პრეზიდენტს რუზველტს და მიიღო მისი მხარდაჭერა. ჩერჩილი და რუზველტი დაინტერესებული იყვნენ დაჩქარებულიყო თურქეთის ჩაბმა ომში, ამისათვის საჭირო იყო თურქეთი მოემარაგებინათ სამხედრო ტექნიკით, 1943 წლიდან ინგლისმა და აშშ-მა დაიწყეს თურქეთის შეიარაღება.

სტალინგრადთან გერმანიის ჯარების განადგურების შემდეგ კიდევ უფრო მეტად გაიზარდა საბჭოთა კავშირის საერთაშორისო ავტორიტეტი.

1943 წლის 28 ნოემბერ-1 დეკემბერს თეირანში ჩატარდა სამი დიდი სახელმწიფოს მეთაურების შეხვედრა. კონფერენციაზე მიიღეს მნიშვნელოვანი დადგენილება დასავლეთ ევროპაში მეორე ფრონტის გახსნის შესახებ, ამავე დროს გადაწყვიტეს წინადადებით მიემართათ თურქეთისათვის ჩაბმულიყო ომში არა უგვიანეს 1944 წლის 15 თებერვლისა.

1943 წლის 4-6 დეკემბერს, თეირანის კონფერენციის დამთავრების შემდეგ, კაიროში რუზველტი და ჩერჩილი შეხვდნენ თურქეთის პრეზიდენტს ინონუს. მათ შეახსენეს თურქეთის პრეზიდენტს მისი ვალდებულების შესახებ ჩამდგარიყო ანტიგერმანული კოალაციის რიგებში. ინონუმ ომში მონაწილეობის საფასურად მოითხოვა

თვითმფრინავების, ტანკებისა და სამხედრო აღჭურვილობის ისეთი რაოდენობა, რომ მისი დაკმაყოფილება შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ 2-3 წლის განმავლობაში.

ინგლისი განსაკუთრებით დაინტერესებული იყო იმით, რომ თურქეთს მონაწილეობა მიეღო ბალკანეთში მეორე ფრონტის გახსნაში, და განაგრძობდა თურქეთის შეიარაღებას. ჩერჩილი და რუზველტი თვლიდნენ, რომ თურქეთის ომში ჩაბმის საუკეთესო საშუალება იყო მისი შეიარაღება.

1944 წლის იანვარში ანკარაში ჩავიდა ინგლისის სპეციალური სამხედრო მისია, რომელსაც უნდა დაედგინა სამხედრო ტექნიკის რაოდენობა, რომელიც აუცილებელი იქნებოდა თურქეთის ომში ჩაბმისათვის, ამავე დროს თურქეთში იმყოფებოდა 2 ათასამდე ინგლისელი სამხედრო ინსტრუქტორი თურქეთის არმიის გაწვრთნის მიზნით.

უნდა აღინიშნოს, რომ თურქეთი იყო პირველი ნეიტრალური სახელმწიფო აღმოსავლეთ ნახევარსფეროში, რომელზედაც 1941 წლის დეკემბრიდან ამერიკელებმა გაავრცელეს კანონი ლენდლიზის შესახებ (კანონი შეიარაღებისა და სამხედრო საჭურველის მიწოდება იჯარით, თუ სესხის აღების გზით).

კაიროს შეხვედრის შემდეგ, თურქეთის მთავრობა ძალიან ნელა და ფრთხილად მოქმედებდა და არ აპირებდა გერმანიასთან კავშირის გაწყვეტას, ამიტომ ინგლის-თურქეთის მოლაპარაკება 1944 წლის თებერვალში შეწყდა, ხოლო თურქეთის სამხედრო ტექნიკით მომარაგება დროებით შეჩერდა.

მიუხედავად თურქეთის ასეთი პოზიციისა ჩერჩილი არ კარგავდა იმედს „აელორძინებინა“ მეორე ფრონტის ბალკანური ვარიანტი, მას სურდა შეჭრილიყო ევროპაში სამხრეთ-აღმოსავლეთიდან და არ დაეშვა საბჭოთა ჯარების შესვლა ბალკანეთში.

საბჭოთა ჯარების სწრაფად წინსვლამ და ბალკანეთის ქვეყნების განთავისუფლებამ ფაშისტური გერმანიის უღლისაგან ჩაშალა ჩერჩილის გეგმები.

მთელი ომის განმავლობაში, თურქეთის არმია იმყოფებოდა მზადყოფნის მდგომარეობაში. ქვეყნის მილიტარიზაციამ ასახვა ჰპოვა სამხედრო ხარჯების მკვეთრ ზრდაში. ოფიციალური მონაცემებით 1938/9 საფინანსო წელს პირდაპირი ასიგნება შეადგენდა 94,4 მილ. ლირას (მთელი ხარჯებით ბიუჯეტის 30%, 1938/40 წელს – 169 მილ. ლირას, ხოლო 1944/45 წელს – 554,2 მილ. ლირას. ამრიგად, პირდაპირი სამხედრო ხარჯები გაიზარდა ომამდელთან შედარებით 5-ჯერ.

თურქეთის საერთო ხარჯები ომის პერიოდში შეადგენდა ინგლისის, საფრანგეთის, გერმანიისა და აშშ-ის სამხედრო დახმარების ჩათვლით, 4 მილიარდ ლირას.

მეურნეობის სამხედრო რელსებზე გადაყვანამ, მკვეთრად გააუარესა ქვეყნის ისედაც მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა. მილიონიანი არმიის შენახვამ დიდად გაზარდა ქვეყნის სამხედრო ხარჯები. არმიის მომსახურების მიზნით ჩართული იყო ქვეყნის ეკონომიკის მნიშვნელოვანი ნაწილი, ამან გამოიწვია ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრების მოშლა.

1940 წლის 24 იანვარს მთავრობამ გამოსცა კანონი ეროვნული თავდაცვის შესახებ. ამ კანონით მთავრობას უფლება ეძლეოდა ჩარეულიყო ეკონომიკის ნებისმიერ დარგში, კანონი ავალდებულებდა მუშებსა და გლეხებს იძულებით სავალდებულო შრომას მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში.

ეს კანონი მთავრობას აგრეთვე აძლევდა უფლებას გლეხებისაგან იძულებითი წესით, დაბალ, მტკიცე ფასებში შეესყიდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები, შემოეღო საგანგებო გადასახადები და სხვ.

რიგი მიზეზების გამო, შემცირდა მარცვლეულის ნათესების ფართობი. 1940 წელს მარცვლეულის ნათესების ფართობი შეადგენდა 8200 ათას ჰექტარს, ხოლო

1945 წელს – 6894 ათას ჰექტარს, შემცირდა მარცვლეულის მოსავლიანობა. ამან გამოიწვია სასურსათო კრიზისი, მკვეთრად გაიზარდა ფასები მარცვლეულზე და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე, მთავრობა იძულებული შეიქმნა დიდ ქალაქებში შემოედო პურზე საბარათო სისტემა.

1942 წელს მთავრობამ მოახდინა გლეხების მარცვლეულის მარაგის რეკვიზიცია და სავალდებულო გადახდა სახელმწიფოს სასარგებლოდ, დაბალ ფასებში, მარცვლეულის ჩაბარება, ყოველივე ამის შედეგად, ათასობით გლეხი გაკოტრდა, ხოლო მათი მიწები გადავიდა სპეკულანტების ხელში.

ომის წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა ეკონომიკური სიძნელეები, მკვეთრად გაიზარდა ფასები პირველ მოთხოვნილების საგნებზე, მუშათა სამუშაო დღემ 14-16 საათს მიაღწია. ამას თან მოჰყვა მასობრივი უმუშევრობა, მუშათა რეალური ხელფასი მკვეთრად შემცირდა და სხვ.

1940 წლის აპრილში მეჯლისმა მიიღო კანონი „ბეჭდის შესახებ“: ამით მთავრობამ მიიღო უფლება დაეხურა გაზეთი, რომელიც გაბედავდა გაეკრიტიკებინა მთავრობის პოლიტიკა.

1940 წლის ნოემბერში თურქეთის მთავრობამ შემოიდო საგანგებო მდგომარეობა სტამბოლის, ედირნეს, თეკირდაღის, ჩანაკალესა და კოჯაელის ვილაიეთებში. ასეთი მდგომარეობა შენარჩუნებული იქნა ომის განმავლობაში.

თურქეთის მთავრობამ გაატარა რიგი რეპრესიული ხასიათის ღონისძიებანი, მიმართული დემოკრატიული მოძრაობის წინააღმდეგ, დაპატიმრებულნი იყვნენ პატრიოტები და პროგრესული მოღვაწეები.

1944 წელს საბჭოთა კავშირმა მოიპოვა ფაშისტურ გერმანიაზე გადამწყვეტი გამარჯვებები და იგი დააყენა საბოლოო კატასტროფის წინაშე. ამან თურქეთის მმართველ წრეებში გადამწყვეტი გავლენა მოახდინა. ისინი საბოლოდ დარწმუნდნენ, რომ გერმანიის კრახი გარდაუვალია. 1944 წლის 2 აგვისტოს თურქეთის მთავრობამ ოფიციალურად განაცხადა, რომ იგი წყვეტს დიპლომატიურ და ეკონომიკურ ურთიერთობას გერმანიასთან, თურქეთის ეს ნაბიჯი, უპირველესად ყოვლისა, ნაკარნახევი იყო იმით, რომ ეშინოდა ომის შემდეგ პოლიტიკურ იზოლაციაში არ აღმოჩენილიყო. თუმცა ამის შემდეგაც თურქეთი არ წყვეტდა გერმანიასთან დიპლომატიურ და ეკონომიკურ თანამშრომლობას. მხოლოდ ექვსი თვის გავლის შემდეგ, 1945 წლის 23 თებერვალს თურქეთის მთავრობამ ფორმალურად ომი გამოუცხადა გერმანიასა და იაპონიას.

1944 წლის თებერვალში, იალტის სამი დიდი სახელმწიფოს მეთაურების კონფერენციაზე, მიიღეს დადგენილება, რომ გაერთიანებული საერთაშორისო ორგანიზაციის დამფუძნებელი წევრები გახდებოდნენ ის სახელმწიფოები, რომლებიც 1945 წლის 1 მარტამდე ომს გამოუცხადებდნენ გერმანიასა და მის მოკავშირეებს. ამრიგად, თურქეთის მიერ ომის გამოცხადება გერმანიისა და იაპონიისათვის, მხოლოდ ფორმალური იყო, რათა, როგორც მეომარ სახელმწიფოს, მონაწილეობა მიეღო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მუშაობაში.

ამრიგად, მეორე მსოფლიო ომის დროს თურქეთმა, ბალანსირების პოლიტიკის გატარების შედეგად, ნეიტრალიტეტი დაიცვა და მხოლოდ ომის დასასრულს, ფორმალურად ომი გამოუცხადა გერმანიას და იაპონიას.

თავი VII

თურქეთი 1945-1950 წლებში

1. თურქეთის საშინაო პოლიტიკა, მრავალპარტიული სისტემის შემოღება

მეორე მსოფლიო ომის შედეგად ძირეულად შეიცვალა საერთაშორისო ვითარება. შეიქმნა სოციალისტური ბანაკი, აზიისა და აფრიკის ქვეყნებში დაიწყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, გაძლიერდა კოლონიალური სისტემის დაშლა.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისთვის თურქეთის მთავრობის პოლიტიკა ჩიხში მოექცა. მიუხედავად იმისა, რომ თურქეთს არავითარი მონაწილეობა არ მიუღია ამ ომში, მას ერთი მილიონი ჯარისკაცი ჰყავდა მობილიზებული, რამაც დამღუპველი გავლენა მოახდინა სახელმწიფო ბიუჯეტზე და სოფლის მეურნეობაზე. მისი ეკონომიკა და ფინანსები მოიშალა.

განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა გლეხობა და სოფლის მეურნეობა. სასოფლო სავარგულების უდიდესი ნაწილი მემამულეების ხელში იმყოფებოდა. გლეხების დიდი ნაწილი უმიწაწყლო იყო.

გლეხების ფართო მასების უკმაყოფილების შენელების მიზნით, მთავრობა იძულებული შეიქნა გარკვეულ დათმობაზე წასულიყო და რეფორმები ჩაეტარებინა. გლეხების დასაშოშმინებლად მეჯლისმა გააუქმა ნატურალური გადასახადი და 1945 წლის 11 ივნისს მიიღო კანონი მიწის რეფორმის შესახებ. იგი მიზნად ისახავდა „მიეღწიათ იმისათვის, რომ ქვეყნის მთელი მიწები მუდმივ დამუშავებაში ყოფილიყო. ამ კანონით გათვალისწინებული იყო უმიწაწყლო და მცირემიწიანი გლეხებისათვის მიწის ნაკვეთის გამოყოფა სახელმწიფო მიწების ფონდიდან, მუნიციპალური, სავაკუფო ნაკვეთებიდან და მემამულეების მიწების ხარჯზე. გლეხებს მიწები უნდა შეესყიდათ 20 წლის განმავლობაში. კანონი მთავრობას უფლებას აძლევდა, გარკვეული ანაზღაურებით, მემამულეებისათვის ჩამოერთვათ ზედმეტი მიწა. მიწის მაქსიმალურ ნორმად დაწესდა 500 ჰექტარი, იქ სადაც ვარგისი მიწა იყო, მინიმალური ნორმა შეადგენდა 200 ჰექტარს. კანონს მიწის მაქსიმალური მფლობელობის შესახებ ჰქონდა შენიშვნა: ეს არ ვრცელდებოდა იმ მიწებზე, რომლებიც კაპიტალისტური წესით, დაქირავებული შრომითა და მანქანა-იარაღებით მუშავდებოდა. ეს შეზღუდული აგრარული კანონი ცხოვრებაში ძალზე ნელა ხორციელდებოდა, რადგან მას საბოტაჟს უწევდნენ რეაქციული ძალები. ამ კანონით ისარგებლეს სპეკულანტებმა და მევახშეებმა, გლეხები კვლავ მიწის გარეშე დარჩნენ.

სახალხო-რესპუბლიკურმა პარტიამ, რომელიც მონოპოლიურად მართავდა ქვეყანას, დაკარგა ხალხის მასების ნდობა. თურქეთის პროგრესული ძალები მოითხოვდნენ ანტიხალხური კანონების გაუქმებასა და ქვეყანაში დემოკრატიული რეფორმების ჩატარებას.

უკმაყოფილობამ მმართველ პარტიაზედაც მოახდინა გავლენა. სახალხო-რესპუბლიკური პარტიის წევრთა ნაწილი გმობდა მთავრობის პოლიტიკას და მოითხოვდა რეფორმების გატარებას.

1945 წლის 7 ივნისს ოთხმა დეპუტატმა პარლამენტში შეიტანა წინადადებათა პაკეტი ქვეყანაში დემოკრატიული გარდაქმნების შესახებ. ამ პაკეტის ავტორები



ათათურქი და ისმეთ ინონუ

იყვნენ რესპუბლიკური პარტიის ცნობილი წარმომადგენლები ჯელალ ბაიარი, ადნან მენდერესი, ფუად ქოფრულუ და რეფიკ ქორალთანი. ისინი მოითხოვდნენ გატარებულიყო შემდეგი ღონისძიებანი: 1. მეჯლისზე კონტროლი უნდა გულისხმობდეს არა მარტო ფორმას, არამედ საქმესაც. 2. მოქალაქეებს უნდა მისცემოდათ საშუალება თავისუფლად ესარგებლათ კონსტიტუციაში ჩაწერილი თავისუფლებითა და პოლიტიკური უფლებებით. 3. პარტიის მთელი საქმიანობა უნდა გარდაქმნილიყო აღნიშნული პირობების შესაბამისად.

სახალხო-რესპუბლიკური პარტიის პარლამენტის ფრაქციამ უარყო ოპოზიციის ეს წინადადება, იმ საბაბით, რომ პარტიის წესდებაში ცვლილებების შეტანა უნდა განხილულიყო პარტიის ყრილობაზე.

ამის შემდეგ ადნან მენდერესმა და ფუად ქოფრულუმ გაზეთ „ვატან“-ში გამოაქვეყნეს წერილები, რომელშიაც ისინი აკრიტიკებდნენ მთავრობის პოლიტიკას და აცხადებდნენ, რომ ქვეყანაში არ არსებობს თავისუფლების გარანტია და მოითხოვდნენ უარის თქმას ერთპარტიულ სისტემაზე.

სახალხო-რესპუბლიკური პარტიის ხელმძღვანელობამ ჩათვალა, რომ მათ დაარღვიეს პარტიის წესდება და 1945 წლის 21 სექტემბერს ადნან მენდერესი და ფუად ქოფრულუ გარიცხეს პარტიიდან. მალე პარტიიდან გარიცხეს აგრეთვე რ. ქორალთანი. პარტიიდან ცნობილი ოპოზიციონერი ლიდერების გარიცხვის შემდეგ ფრაქციის გამოჩენილმა ლიდერმა ჯელალ ბაიარმა უარი თქვა დეპუტატის მანდატზე და დაიწყო მზადება ახალი პოლიტიკური პარტიის შესაქმნელად.

ასეთ ვითარებაში მმართველი პარტია იძულებული გახდა წასულიყო დათმობაზე და ნება დაერთო დაარსებულიყო სხვა ბურჟუაზიული პარტიები. 1945 წლის 1 ნოემბერს მეჯლისში გამოსვლისას პრეზიდენტმა ისმეთ ინონუმ განაცხადა: „ჩვენი ერთადერთი ნაკლია ოპოზიციური პარტიების არარსებობა“.

სახალხო-რესპუბლიკური პარტიის ხელმძღვანელები ვარაუდობდნენ, რომ თურქეთში მრავალპარტიული სისტემა უნდა მოწყობილიყო აშშ-ის მსგავსად, მაგრამ ხელისუფლებისათვის ბრძოლა უნდა გამართულიყო ორ მთავარ პარტიას შორის.

1946 წლის დასაწყისიდან ქვეყანაში დაიწყო პოლიტიკური პარტიების დაარსება. 7 იანვარს დაარსდა თურქეთის დემოკრატიული პარტია. მისი დამაარსებელი იყო ჯელალ ბაიარი. დამფუძნებელმა ყრილობამ მიიღო პარტიის პროგრამა. თავდაპირველად ამ პარტიის წევრები იყვნენ სახალხო-რესპუბლიკური პარტიის რიგებიდან გამოსული პირები. დემოკრატიული პარტია გამოხატავდა მსხვილი ბურჟუაზიისა და მიწათმფლობელების ინტერესებს. მალე ამ პარტიამ დაიკავა მნიშვნელოვანი ადგილი თურქეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

დემოკრატიული პარტიის დაარსებამ დასაბამი მისცა თურქეთის პოლიტიკური ისტორიის ახალ პერიოდს – მრავალპარტიული სისტემის შემოღებას. ამან საშუალება მისცა გაბატონებულ კლასებს სხვადასხვა საზოგადოებრივი ფენების წარმო-

მადგენლებს გამოეხატათ და დაეცვათ თავიანთი ინტერესები. მრავალპარტიული სისტემის შემოღება თურქეთში ნიშნავდა ბურჟუაზიული დემოკრატიის გაფართოვებას.

დემოკრატიული პარტიის პროგრამა თითქმის არ განსხვავდებოდა რესპუბლიკური პარტიის პროგრამისაგან. მისი პარტიის წევრები აცხადებდნენ, რომ იყვნენ ქემალ ათათურქის იდეებისა და პრინციპების მიმდევრები. პარტია გამოხატავდა მსხვილი ბურჟუაზიისა და მემამულეების ინტერესებს და მჭიდროდ იყო დაკავშირებული უცხოეთის კაპიტალთან. დემოკრატიული პარტიის პროგრამა იზიარებდა ეტატიზმის პრინციპებს, მაგრამ საჭიროდ მიიჩნევდა კერძო კაპიტალისათვის თავისუფალი მოქმედების გაფართოებას და აგრეთვე ხელის შეწყობას ქვეყანაში უცხოური კაპიტალის მოზიდვისათვის, ინიციატივის სრულ თავისუფლებას.

თურქეთის ბურჟუზია, რომელიც ომის წლებში გამდიდრდა, მიისწრაფოდა ხელთ ეგდო სახელმწიფოს ყველაზე რენტაბელური საწარმოები და ამით უფრო მეტად გაეზარდა თავისი კაპიტალი.

დემოკრატიული პარტიის დაარსების შემდეგ, სწრაფად დაიწყო წვრილბურჟუაზიული პარტიების შექმნა.

1946 წლის მარტში დაარსდა ლიბერალურ-დემოკრატიული პარტია, აპრილში – ფერმერებისა და გლეხების, ივნისში – მუშათა და გლეხთა პარტია, სამშობლოს რელიგიური პარტია, ივლისში – ისლამის დაცვის პარტია, 1948 წლის აგვისტოში – თავისუფალი-დემოკრატიული პარტია.

დაარსდა მემარცხენე პარტიები: 1946 წლის თებერვალში – სოციალისტური სამართლიანობის პარტია, აპრილში – თურქეთის სოციალ-დემოკრატიული პარტია, მაისში – მუშათა პარტია, თურქეთის სოციალისტური პარტია, ივნისში – თურქეთის მუშურ-გლეხური პარტია, თურქეთის სოციალისტური მუშურ-გლეხური პარტია.

ქვეყანაში ძლიერდებოდა სახალხო-რესპუბლიკური პარტიის მიმართ კრიტიკა და იზრდებოდა ხალხის მასებში ოპოზიციური პარტიების გავლენა. ასეთ ვითარებაში სახალხო-რესპუბლიკური პარტიის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა ვადაზე ადრე ჩაეტარებინა არჩევნები და ამ გზით შეენარჩუნებინა ხელისუფლება.

1946 წლის ივლისში პარლამენტში ჩატარდა ვადაზე ადრინდელი არჩევნები. ამ არჩევნების განმასხვავებელი თავისებურება იმაში მდგომარეობდა, რომ პირველად არჩევნებში მონაწილეობა მიიღეს ოპოზიციურმა პარტიებმა. არჩევნების შედეგად სახალხო-რესპუბლიკურმა პარტიამ მიიღო 391 ადგილი, დემოკრატიულმა – 62, „დამოუკიდებლებმა“ – 12. სხვა ბურჟუაზიულმა პარტიებმა, არ მიიღეს არცერთი ადგილი. არჩევნების დროს იზმირში, ბურსაში, ბალიქესირში, კონიასა და სხვა ქალაქებში მხილებულ იქნა არჩევნების გაყალბების მრავალი ფაქტი. მართალია, არჩევნებში გაიმარჯვა სახალხო-რესპუბლიკურმა პარტიამ, მაგრამ ქვეყანაში შეიქმნა სერიოზული ოპოზიცია მმართველი პარტიის წინააღმდეგ.

1946 წლის 5 აგვისტოს გაიხსნა ახლად არჩეული მეჯლისის პირველი სესია. მეჯლისმა პრეზიდენტად კვლავ აირჩია ისმეთ ინონუ, მეჯლისის თავმჯდომარედ – გადამდგარი გენერალი ქიაზიმ ყარაბექირი. მთავრობის პრემიერ-მინისტრი გახდა რეჯეფ ფექერი. ახალი მთავრობა თავისი შემადგენლობით რეაქციული იყო. მან კურსი აიღო ქვეყანაში სამხედრო-პოლიტიკური რეჟიმის განმტკიცებისა და დემოკრატიული მოძრაობის ჩახშობისაკენ.

1946 წლის სექტემბერში მთავრობამ მოახდინა თურქული ლირას დევალვაცია. თურქული ლირას კურსი შემცირდა დოლართან შედარებით ორჯერ. სათანადოდ შეიცვალა ლირას კურსი სხვა უცხოეთის ვალუტებთან შედარებით.



სტამბოლი

1946 წლის დეკემბერში თურქეთის მეჯლისმა გააგრძელა კიდევ ექვსი თვით საგანგებო მდგომარეობა სტამბოლის, ედირნეს, კირკკალელის, თეკირდაღის, ჩანაკალესა და კოჯაელის ვილაიეთებში.

1946 წლის დეკემბერში ამ ვილაიეთების სამხედრო ხელისუფლებამ აკრძალა თურქეთის სოციალისტური მუშათა-გლეხთა და სოციალისტური პარტიების საქმიანობა. დაიხურა დემოკრატიული გაზეთები და დააპატიმრეს დემოკრატიული მოძრაობის აქტივისტები.

1947 წლის თებერვალში მეჯლისმა მიიღო კანონი პროფკავშირების შესახებ, რომლითაც პროფკავშირებს ეკრძალებოდა პოლიტიკური საქმიანობა და, ფაქტიურად, პროფკავშირებზე დაწესდა სახელმწიფო კონტროლი. პროფკავშირებს კატეგორიულად ეკრძალებოდა პოლიტიკური საქმიანობა, გაფიცვების მოწყობა და სხვ.

1947 წლის აგვისტოში გადადგა რეჯეფ ფეკერის მთავრობა და ახალი პრემიერ-მინისტრი გახდა ჰასან საკა.

1947 წლის ნოემბერ-დეკემბერში ჩატარდა თურქეთის სახალხო-რესპუბლიკური პარტიის VII ყრილობა. ყრილობაზე სიტყვით გამოვიდა ინონუ. მან განაცხადა, რომ საჭიროა ბურჟუაზიულ პარტიებთან საერთო ენის გამონახვა დემოკრატიული ძალების წინააღმდეგ საბრძოლველად. ყრილობაზე შეიტანეს წინადადება „კომუნისტური საფრთხის წინააღმდეგ საბრძოლველად მიეღოთ განსაკუთრებული ზომები“. ამ მიზნით შეიქმნა კომისია ათი დეპუტატის მონაწილეობით, რომელსაც სათავეში ჩაუდგა იალჩინი.

„იალჩინის კომისიის“ რჩევით, მთავრობამ სტამბოლში დაითხოვა უმაღლესი სკოლების დემოკრატიული საზოგადოება. ამავე დროს მთავრობა ხელს უწყობდა ახალგაზრდა რეაქციული საზოგადოების საქმიანობას.

ახალგაზრდათა შორის პროგრესული იდეებისა და განწყობილებების ზრდა, როგორც ამას რეაქციული ძალები ფიქრობდნენ, გამოწვეული იყო იმით, რომ ახალგაზრდობას არ ჰქონდა შიში „ალაჰის წინაშე“. ამასთან დაკავშირებით 1948 წელს მთავრობამ აღადგინა სკოლებში შარიათის სწავლება, როგორც ფაკულტეტური საგნისა. ეს იყო ლაიციზმის პრინციპებიდან უკან დახევის პირველი ნაბიჯი.

1948 წლის გაზაფხულზე თურქეთის რეაქციული ძალების მიერ მოკლულ იქნა პროგრესული მწერალი, დიდი პატრიოტი, საბაჰათინ ალი.

1948 წლის ზაფხულში დაიწყო სასამართლო პროცესი ანკარის უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტების წინააღმდეგ. პროფ. ბორატავს, დოც. ნიაზი ბერკეს და ბეჰიჯე ბორანს და აგრეთვე რამდენიმე სტუდენტს ბრალი დასდეს „კომუნისტური იდეების პროპაგანდაში“. როგორც სასამართლო პროცესზე გამოირკვა, მათი „დანაშაული“ იმაში მდგომარეობდა, რომ ისინი იზიარებდნენ მეცნიერებაში პროგრესულ იდეებს.

1948 წლის ზაფხულში მეჯლისის დეპუტატების ერთი ნაწილი, მარშალ ჩაკმაკის მეთაურობით, გამოეყო დემოკრატიულ პარტიას და ივლისში დააარსა ე. წ. „ნაციონალური პარტია“, რომელიც მჭიდროდ იყო დაკავშირებული კლერიკალურ ჯგუფებთან, იგი თავის პარტიას „ქემალისტურად“ თვლიდა და აპირებდა ბურჟუაზიული პარტიის ძირითადი პრინციპების გატარებას. მეჯლისში მას 23 მანდატი ჰქონდა.

2. თურქეთის ეკონომიკური მდგომარეობა

ომის შემდგომი პერიოდის თურქეთის მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა მიზნად ისახავდა განემტკიცებინა ბურჟუაზიულ-მემამულური კლასების ეკონომიკური პოზიციები, შეეზღუდა სახელმწიფოს ჩარევა ეკონომიკაში და ქვეყანაში მიეზიდა უცხოეთის კაპიტალი. მთავრობამ შეძლო ომის დროინდელი ეკონომიკური კრიზისის დაძლევა და ერთგვარად გააუმჯობესა ომის წინადროინდელი მაჩვენებლები. ასე, მაგალითად, 1950 წელს ეროვნული შემოსავალი, 1938 წელთან შედარებით, გაიზარდა 21 %-ით, მაგრამ ერთ სულ მოსახლეზე იგი შეადგენდა მხოლოდ 1 %-ს.

აგრარული კანონის მიღების (1945 წ). შემდეგ, მიწის განაწილება პრაქტიკულად დაიწყო მხოლოდ 1947 წლიდან და 1950 წლის მაისისათვის 20208 ოჯახმა მიიღო, გამოსყიდვის პირობით, 91 ათასი ჰექტარი მიწა და ოჯახზე საშუალოდ მოდიოდა 4,5 ჰექტარი. მიუხედავად ამისა, გლეხების დიდი ნაწილი კვლავ უმიწაწყლოდ რჩებოდა.

ომამდელ წლებთან შედარებით 1950 წლისათვის მიწის ნათესი ფართობი გაიზარდა 10,5%-ით. ომის შემდგომ წლებში გაიზარდა მარცვლეული კულტურების წარმოება, მაგრამ 1950 წლამდე მარცვლეულის წარმოება ერთ სულ მოსახლეზე ომამდელთან შედარებით, იყო უფრო ნაკლები. 1938-1950 წლებში შემცირდა მარცვლეულის მოსავლიანობა.

ომის შემდგომ წლებში მცირეოდენი ცვლილება მოხდა მრეწველობაში 1950 წელს სამრეწველო წარმოება 1945 წელთან შედარებით გაიზარდა 22,6 %-ით. ყოველწლიური მატება შეადგენდა 4 %-ს. მაგრამ მრეწველობის საერთო დონე კვლავ დაბალი იყო. მრეწველობის ხვედრითი წონა შეადგენდა საერთო მოცულობის 16 %-

ს. მრეწველობაში წამყვანი ადგილი კვლავ სახელმწიფო სექტორს ეკავა. ომის შემდგომ პირველ წლებში მრეწველობაში მთელი კაპიტალდაბანდების 90 %-ს სახელმწიფო გამოყოფდა, მაგრამ 40-იანი წლების ბოლოს კერძო სექტორის ხვედრითი წონა შესამჩნევად გაიზარდა. მაგრამ თურქეთის მრეწველობა განიცდიდა სიძნელეებს მას შემდეგ, რაც „მარშალის გეგმის“ შესაბამისად თურქეთში დიდი რაოდენობით შემოდის აშშ-ის სამრეწველო საქონელი.

თურქეთს ძირითადად გაჰქონდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები და წიაღისეული ნედლეული. ამავე დროს თურქეთში დიდი რაოდენობით შემოდის უცხოეთის საქონელი. განსხვავება ექსპორტსა და იმპორტს შორის სწრაფად იზრდება. 1947 წელს უარყოფითმა სალდომ შეადგინა 119 მილ. ლირა. 1947-1950 წლებში თურქეთის პასიური ბალანსი შეადგენდა 519 მილ. ლირას. თურქეთი იძულებული იყო ეს განსხვავება ოქროთი დაეფარა. 1946 წელს თურქეთის ოქროს მარაგი შეადგენდა 233 ტონას, ხოლო 1950 წლის ბოლოსათვის – მხოლოდ 69,2 ტონას.

თურქეთის ექსპორტის მნიშვნელოვან საგანს შეადგენდა თამბაქო, მაგრამ ამერიკის კონკურენციის შედეგად თურქეთის მეთამბაქოეობა მეტად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. 1948-1950 წლებში თურქეთის თამბაქოს გასაყიდი მარაგი შეადგენდა 70 ათას ტონას. კონკურენციის შედეგად თურქეთის წილი 1949 წელს მსოფლიო ბაზარზე შემცირდა 0,47 %-მდე.

ქვეყნის ფინანსური მდგომარეობა არახელსაყრელი იყო. 1946 წელს სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი შეადგენდა 44 მლ. ლირას, ხოლო 1950 წელს – 156 მილ. ლირას.

სახელმწიფო ხარჯების თითქმის ნახევარი ხმარდებოდა სამხედრო მიზნებს, ამის გამო თურქებმა ვერ შეძლეს თავისი ეროვნული მრეწველობის ძირითადი დარგების ეკონომიკური აღმავლობა.

ხალხის მასების ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების შედეგად, ქვეყანაში იზრდება საპროტესტო გამოსვლები. სტამბოლში, ბურსაში, ადანაში, ზონგულდაკში და სხვა ქალაქებში მუშები მოითხოვენ 8 საათიანი სამუშაო დღის შემოღებას, ხელფასის მომატებას და სხვ.



სტამბოლი. ხიდი ბოსფორზე.

იმის გამო, რომ 1945 წლის აგრარულმა კანონმა ვერ მოაგვარა გლეხთა საკითხი და უმიწაწყლო გლეხების რაოდენობა საგრძნობი იყო, გახშირდა გლეხების მიერ მემამულეების მიწების მიტაცება. 1949 წელს ქვეყნის 22 ვილაიეთში რეგისტრირებულ იქნა 323 შემთხვევა მემამულეების მიწების მიტაცებისა, საქონლის გატაცებისა და სხვ. 1949 წელს ბალიკესირში, სამსუნსა და სხვა ვილაიეთებში მოხდა შეტაკებები გლეხებსა და ჟანდარმერიას შორის.

3. თურქეთის საგარეო პოლიტიკა

მეორე მსოფლიო ომში გერმანიის დამარცხების შემდეგ, თურქეთის მთავრობის ძალისხმევა მიმართული იყო ინგლისთან დაახლოებისაკენ. თურქეთი ინგლისთან დაკავშირებული იყო 1939 წლის ხელშეკრულებით და ინგლისი, თავის მხრივ, არ აპირებდა თავისი პოზიციების დათმობას, არამედ ცდილობდა მის განმტკიცებას. მაგრამ მალე დარწმუნდა, რომ მას აღარ შეეძლო საკუთარი ძალებით ამის განხორციელება. ინგლისი თანდათან ტოვებს თავის პოზიციებს.

1947 წლის თებერვალში ვაშინგტონში ინგლისის ელჩმა აცნობა აშშ-ის მთავრობას, რომ ინგლისს აღარ შეუძლია აღმოუჩინოს თურქეთს სამხედრო და ფინანსური დახმარება, რომელიც გათვალისწინებული იყო 1939 წლის 18 ოქტომბრის ინგლის-თურქეთის ხელშეკრულებით. ეს იყო ინგლისის იძულებითი უარი, თავის პოზიციებზე, რომელიც მას ეკავა თურქეთში მეორე მსოფლიო ომის დროსა და ომის დამთავრების პირველ წლებში.

თურქეთში, „ტრუმენის დოქტრინის“ გამოცხადებამდე, გადამწყვეტი პოზიციები ინგლისელების ხელში იმყოფებოდა.

აშშ-მა გადაწყვიტა „შეევსო ვაკუუმი“ და თურქეთში ინგლისის ადგილი დაეკავებინა. აშშ-ის გავლენა თურქეთზე განსაკუთრებით გაძლიერდა „ტრუმენის დოქტრინის“ შემდეგ, მაგრამ ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის დასრულებისას ამერიკელებმა გარკვეული ინტერესი გამოიჩინეს მის მიმართ. აშშ-მა მიაწოდა თურქეთს ლენდლიზის სახით საომარი ტექნიკა, რომლის ღირებულება შეადგენდა 95 მილ. დოლარს. 1946 წელს ამერიკამ ახალი სამხედრო კრედიტი მისცა 38,6 მილ. დოლარის ოდენობით. 1946 წელს თურქეთში ჩავიდა ამერიკის პრეზიდენტ ტრუმენის პირადი წარმომადგენელი.

1947 წლის მარტში თურქეთის მთავრობამ მიმართა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტს თხოვნით, აღმოეჩინა მისთვის ფინანსური დახმარება. აშშ დადებითად შეხვდა ამ წინადადებას.



აშშ-ს პრეზიდენტი ჰარი ტრუმენი

1947 წლის 12 მარტს აშშ-ის პრეზიდენტმა ტრუმენმა სპეციალური მიმართვა გაუგზავნა კონგრესს („ტრუმენის დოქტრინა“), რომლითაც ითხოვდა გამოეყოთ 400 მილ. დოლარი თურქეთისა და საბერძნეთისათვის დახმარების აღმოჩენის მიზნით.

1947 წლის მაისში ამერიკის კონგრესმა მოიწონა ტრუმენის ეს წინადადება და მან კანონის სახე მიიღო.

ამგვარად, აშშ-მა თურქეთს აღმოუჩინა დახმარება, რომელსაც მეორე მსოფლიო ომში არ მიუღია მონაწილეობა და არავითარი ზარალი არ განუცდია, მაშინ,



აშშ-ს სახელმწიფო მდივანი ჯორჯ მარშალი

როდესაც ევროპის სხვა სახელმწიფოები ომის შედეგად დიდად დაზარალდნენ და საჭიროებდნენ დახმარებას.

1947 12 ივლისს ხელი მოაწერეს ამერიკა-თურქეთის შეთანხმებას, რომლის საფუძველზედაც თურქეთს მიეცა დახმარება, 100 მილ. დოლარის ოდენობით. „ტრუმენის დოქტორინის“ საფუძველზე. აქედან კრედიტის დიდი ნაწილი უნდა მოხმარებოდა თურქეთის არმიის რეორგანიზაციას, დანარჩენი – მრეწველობის რეკონსტრუქციას, გზებისა და ხიდების მშენებლობასა და სხვ. ამავე დროს ამერიკელებმა მიიღეს უფლება თურქეთის ტერიტორიაზე დაეწყოთ სამხედრო ობიექტების მშენებლობა.

„ტრუმენის დოქტრინის“ პრაქტიკული რეალიზაცია დაიწყო აშშ-ის სახელმწიფო მდივნის „მარშალის გეგმის“ საფუძველზე.

„მარშალის გეგმის“ მოქმედების პერიოდში (1948-1953 წწ.), თურქეთმა ერთ მილიარდზე მეტი სესხი მიიღო. აქედან უდიდესი ნაწილი სამხედრო მიზნებს მოახმარა.

1949 წლის დეკემბერში აშშ-სა და თურქეთს შორის ხელი მოეწერა შეთანხმებას კულტურული თანამშრომლობის შესახებ, რამაც ხელი შეუწყო ამ ქვეყნებს შორის კულტურული ურთიერთობის გაფართოებას.

მეორე მსოფლიო ომის დროს თურქეთს საბჭოთა კავშირის მიმართ არაკეთილმეზობლური პოზიცია ეკავა: არღვევდა შავი ზღვის სრუტეების მონტრეს კონვენციას, ეწეოდა ანტისაბჭოთა და პანთურქისტულ პროპაგანდას, კავკასიის საზღვართან თავი მოუყარა ერთმილიონიან არმიას და სხვ.

1945 წლის 19 მარტს საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვ. მ. მოლოტოვმა მოსკოვში თურქეთის ელჩს განუცხადა, რომ საბჭოთა კავშირს სურვილი აქვს მოახდინოს 1925 წლის 17 დეკემბრის ხელშეკრულების დენონსაცია მეგობრობისა და ნეიტრალიტეტის შესახებ.

ამავე დროს საბჭოთა კავშირმა საქართველოსა და სომხეთის რესპუბლიკების სახელით თურქეთს ტერიტორიული პრეტენზიები წაუყენა.

ამან კიდევ უფრო მეტად დააჩქარა თურქეთის დაახლოება დასავლეთის სახელმწიფოებთან და განსაკუთრებით კი – ამერიკის შეერთებულ შტატებთან.

4. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შავი ზღვის სრუტეების საკითხი

მეორე მსოფლიო ომის დროს თურქეთი არღვევდა მონტრეს კონვენციას და ვერ უზრუნველყოფდა შავ ზღვაზე საბჭოთა კავშირის უსაფრთხოებას.

1945 წლის ივლის-აგვისტოში პოტსდამის კონფერენციაზე სამი სახელმწიფოს მეთაურებმა მიიღეს დადგენილება, რომ მონტრეს კონვენცია სრუტეების რეჟიმის შესახებ დაძველდა, თანამედროვე ვითარებას არ შეეფერება და უნდა იქნეს გადასინჯული. ამ შეთანხმების საფუძველზე საბჭოთა კავშირის მთავრობამ 1946 წლის 7 აგვისტოს გაუგზავნა ნოტა თურქეთის მთავრობას შავი ზღვის სრუტეების გამო. მასში აღნიშნული იყო, რომ 1936 წლის მონტრეს კონვენცია არ უზრუნველყოფდა იმ პირობებს, რომელთა დროსაც თავიდან აცილებული იქნებოდა ამ სრუტეების გამოყენება შავი ზღვის სახელმწიფოთათვის მტრული მიზნებით. ნოტაში მოყვანილია

მთელი რიგი შემთხვევები ამ ომის დროს, როდესაც ღერძის სახელმწიფოებს სრუტეებით შავ ზღვაში შეჰყავდათ და შავი ზღვიდან გაჰყავდათ თავიანთი სამხედრო და დამხმარე სამხედრო გემები, რამაც თავის დროზე გამოიწვია სათანადო დემარშები და პროტესტები, რომლებიც საბჭოთა მთავრობამ თურქეთის მთავრობას განუცხადა. მოტანილია კონვენციის დარღვევის კონკრეტული ფაქტები. შემდეგ აღნიშნულია, რომ კონვენციამ ხელი ვერ შეუშალა მტრულ სახელმწიფოებს სრუტეები გამოეყენებინათ სამხედრო მიზნით საბჭოთა კავშირისა და სხვა მოკავშირე სახელმწიფოთა წინააღმდეგ. ამასთან თურქეთის მთავრობას არ შეუძლია პასუხი არ აგოს ასეთი მდგომარეობისათვის.

საბჭოთა მთავრობა წინადადებას იძლეოდა სრუტეებისათვის დაწესდეს ახალი რეჟიმი, გამომდინარე შემდეგი პრინციპებიდან:

1. სრუტეები მუდამ ღია უნდა იყოს ყველა ქვეყნის სავაჭრო გემების გასასვლელად.

2. სრუტეები მუდამ ღია უნდა იყოს შავი ზღვის სახელმწიფოების სამხედრო გემების გასასვლელად.

3. სრუტეებით გავლა არა შავი ზღვის სახელმწიფოთა სამხედრო გემებისათვის დაუშვებელია, საგანგებოდ გათვალისწინებულ შემთხვევათა გარდა.

4. სრუტეების, როგორც შავი ზღვიდან მიმავალი და შავ ზღვაში შემავალი ერთადერთი საზღვაო გზის რეჟიმის დაწესება უნდა იქნას თურქეთსა და შავი ზღვის სხვა სახელმწიფოთა კომპეტენცია.

5. თურქეთი და საბჭოთა კავშირი, როგორც ყველაზე უფრო დაინტერესებული სახელმწიფოები და რომელთაც უნარი აქვთ უზრუნველყონ სავაჭრო ნაოსნობის თავისუფლება და სრუტეების უშიშროება, ერთობლივი საშუალებებით აწყობენ სრუტეების დაცვას სხვა სახელმწიფოების მიერ შავი ზღვის სახელმწიფოებისათვის მტრული მიზნებით სრუტეების თავიდან ასაცილებლად.

ამგვარად, საბჭოთა კავშირის წინადადებას საფუძვლად უნდა დადებოდა პრინციპები, რომლებიც აღნიშნავდნენ ბუნებრივ განსხვავებას სრუტეებით სარგებლობაში შავი ზღვისა და არა შავი ზღვის სახელმწიფოებს შორის.


საბჭოთა მთავრობა წინადადებას იძლეოდა, რათა სრუტეები მუდამ ღია ყოფილიყო ყველა ქვეყნის სავაჭრო გემების გასასვლელად. პირიქით, სრუტეებით არა შავი ზღვის სახელმწიფოთა სამხედრო გემების გასვლა, საგანგებოდ გათვალისწინებულ შემთხვევათა გარდა, არ უნდა ყოფილიყო დაშვებული.

თურქეთის მთავრობის 22 აგვისტოს საპასუხო ნოტაში აღნიშნული იყო ზოგიერთი გარემოება, რომლებიც მისი აზრით აძნელებდნენ კონტროლს სრუტეებში.

თურქეთის მთავრობის ნოტაში აღნიშნული იყო აგრეთვე, რომ კონვენციის თანახმად სრუტეებში გამავალი გემებისადმი კონტროლის ერთადერთ სახეს წარმოადგენდა სანიტარული კონტროლი.

თურქეთის მთავრობა თავის საპასუხო ნოტაში დათანხმდა პირველი სამი მუხლის მიღებაზე, მაგრამ წინააღმდეგი წავიდა ორი მომდევნო მუხლის მიღებაზე, რომელთაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ შავიზღვისპირა სახელმწიფოების ინტერესებისათვის.

მიუხედავად თურქეთის ნოტაში გამოთქმული თვალსაზრისისა, საბჭოთა მთავრობა იმ აზრისა იყო, რომ მხოლოდ თურქეთი და საბჭოთა კავშირი ერთობლივი საშუალებებით შესძლებენ უზრუნველყონ როგორც სავაჭრო ნაოსნობის თავისუფლება, ისე უშიშროება სრუტეებში. ამასთან საბჭოთა მთავრობას მიაჩნია, რომ საბჭოთა აღნიშნული წინადადების განხორციელებამ სრულებითაც არ უნდა შებღალოს თურქეთის



შავ ზღვასა და მარმარილოს ზღვებს შორის არხის გაყვანის პროექტი

სუვერენიტეტი. შავი ზღვის სრუტეების საკითხთან დაკავშირებით ახალი კონფერენციის მოწვევა ვერ მოხერხდა.

1982 წელს თურქეთის მთავრობამ, მონტრეს კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებთან შეუთანხმებლად, შეიმუშავა სტამბოლის რეგლამენტი, რომელიც ვრცელდება სრუტეების მთელ ზონაზე, ხოლო 1994 წელს – სრუტეებზე ნაოსნობის ცალმხრივი რეგლამენტი.

შავიზღვისპირა სახელმწიფოებმა და საერთაშორისო ორგანიზაციებმა თურქეთის მთავრობას მიუთითეს, რომ „რეგლამენტის“ ზოგიერთი მუხლი ეწინააღმდეგება მონტრეს კონვენციას და მოითხოვეს შეცვლა-შესწორება.

1998 წლის ნოემბერში თურქეთის მთავრობამ გამოაქვეყნა სრუტეებში ნაოსნობის თურქული რეგლამენტის ახალი რედაქცია, სადაც ნაწილობრივ გათვალისწინებულია ის შენიშვნები, რომლებიც გამოთქვეს შავიზღვისპირა ქვეყნებმა, მონტრეს კონვენციის სხვა მონაწილეებმა და საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციებმა. ამჟამად სრუტეებით სარგებლობა სწარმოებს საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ რეკომენდირებული შენიშვნების გათვალისწინებით.

ამ რეგლამენტით თურქეთის მთავრობას შეუძლია შეაჩეროს ნაოსნობა სრუტეებში დიდი ავარიის შემთხვევაში, ეს ეხება აგრეთვე სამშენებლო საქმიანობას, სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებს და სხვ.

რეგლამენტი აგრეთვე ითვალისწინებს დიდი ტონაჟიანი გემების გასვლის შეზღუდვას, ზოგ შემთხვევაში კი გასვლის აკრძალვას, ატომურძრავიანი ან ისეთი არასამხედრო გემებისათვის, რომელთაც გადააქვთ რადიაქტიური ნივთიერებები ან ნარჩენები, მათთვის აუცილებელია წინასწარი ნებართვის აღება და სხვა.

ბოსფორი 750-3500 მეტრი სიგანის და 31 კილომეტრი სიგრძის ვიწრო სრუტეა. აქ მოძრაობა შეუძლიათ დიდ გემებს, თუმცა ხანდახან, ნისლის გამო, მთლიანად იხურება ნავიგაციისათვის.

ბოსფორის სრუტით სწარმოებს მგზავრობა და ტვირთნაკადების გაცხოველებული მოძრაობა. ყოველწლიურად მასში ტრანსპორტით გადის 20-30 ათასი მსხვილი

ხომალდი, დამატებით, ყოველწლიურად 2000 საბორნე რეისი სრულდება მილიონნახევრამდე მგზავრის გადასაყვანად. ამიტომ ნავთობის ტანკერებს მისი მთლიანი პოტენციალის მხოლოდ 20 პროცენტის დაჯავშნა შეუძლიათ. ამასთან, ნავთობის დიდი ტანკერების გატარებისათვის, უსაფრთხოების თვალსაზრისით, აუცილებელია სრუტის რამდენიმე საათით დაკეტვა (80-130 ათასი ტონა ტვირთამწეობის ტანკერების გასვლისას სამხრეთის მიმართულებით, 2 საათით, ხოლო ჩრდილოეთით 2, 5 საათი სჭირდება (რაც დამატებით სიძნელეებს უქმნის ნავიგაციის გრაფიკის დაცვას).

ბოსფორი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე რთული ტრასაა და აქ უამრავი საზღვაო ავარიაა, ხალხის დიდძალი მსხვერპლი, მძიმე ვითარებაა გარემოს დაბინძურების მხრივაც.

ბოსფორის ტექნიკური უსაფრთხოებისა და ეკოლოგიის მოთხოვნების, აგრეთვე ტვირთნაკადების განაწილების კომერციული მიზანშეწონილების გათვალისწინებით, ბოსფორის სრუტის მაქსიმალური ტვირთგამტარიანობა დღე-დამეში 2 მილიონ ბარელს შეადგენს. ამიტომ 2010 წლისათვის გათვალისწინებული კასპიის ნავთობის ნამატის გასატარებლად აუცილებელი ხდება ალტერნატიული მარშრუტების დაგეგმვა, რომელთა შორის განსაკუთრებით გამოირჩევა ნავთობსადენი კავკასიის ქვეყნების გავლით, საქართველოს შავი ზღვის პორტამდე და თურქეთის პორტ ჯეიჰანამდე.

სტამბოლის უნივერსიტეტის პროფესორმა ენგინ მერიჩმა წამოაყენა „იზმითის არხის“ მშენებლობის მეტად საინტერესო იდეა, რომელიც შავ ზღვას მარმარილოს ზღვასთან დააკავშირებს და ამგვარად, შეიძლება გახდეს ბოსფორის სრუტის ალტერნატიული გზა. მისმა გამოკვლევებმა ნიადაგი შეუმზადეს გიგანტურ პროექტს, რომელიც მოწოდებულია გადაარჩინოს ბოსფორის სრუტე და მარმარილოს ზღვა დაბინძურებისაგან. პროექტის განხორციელებას დიდი ეკონომიკური და ეკოლოგიური მნიშვნელობა ექნება.

ცნობილი რუსი მეცნიერი ნ. ი. ანდრუსოვი (1861-1924) ასაბუთებდა, რომ მარმარილოსა და შავ ზღვებს შორის ბოსფორის წარმოქმნამდე სხვა სრუტე არსებობდა. პროფ. მერიჩმა გაიზიარა ეს დებულება და ახალი მასალით განამტკიცა.

პროფ. ე. მერიჩის აზრით, ბოსფორის სრუტე შედარებით გვიანდელი წარმოშობისაა, იგი დაახლოებით შვიდი ათასი წლისაა. მანამდე არსებობდა სხვა სრუტე, რომელიც აკავშირებდა ერთმანეთთან შავ და მარმარილოს ზღვებს. იზმითის ყურეში მკვლევარმა აღმოაჩინა ხმელთაშუა და შავიზღვისეული მიკრო და მაკროორგანიზმები, რომელთა ასაკი ორ მილიონ წელს უდრის, რაც ამტკიცებს იმას, რომ შავი ზღვა უძველესი დროიდან სრუტეებით იყო დაკავშირებული ხმელთაშუა ზღვასთან. სრუტე შავ ზღვასა და მარმარილოს ზღვას შორის დროთა განმავლობაში ჩაიკეტა და მისგან დარჩა მხოლოდ საფანჯას ტბა და იზმითის ყურე.

აღსანიშნავია, რომ შუა საუკუნეებში თურქეთში შეიქმნა არხის გაყვანის საჭიროება შავ ზღვასა და იზმითის ყურეს შორის. მეტად საყურადღებოა ის, რომ შემუშავებული პროექტის მიხედვით არხი უნდა გაეყვანათ, სწორედ, იმ ადგილზე, სადაც უძველეს დროს სრუტე არსებობდა. საფიქრებელია, რომ ეს ფაქტი უცნობი იყო იმდროინდელი სპეციალისტებისათვის. ამრიგად, პროექტი, რომლის მიხედვით, არხი უნდა გაეყვანათ ძველად არსებული ადგილზე სავსებით სწორად იყო შედგენილი.

ბოსფორის სრუტეში მოძრაობა სულ უფრო ინტენსიური ხდება, ხოლო სრუტის შესაძლებლობანი შეზღუდულია. მოძრაობა კი მაინც იზრდება. ამ მოძრაობის აღკვეთა უკვე შეუძლებელია. თუ იზმითის არხის გაყვანა შესაძლებელი გახდება, საზღვაო მოძრაობა ახლებურად მოწესრიგდება.

ერთმა თურქმა ინჟინერმა შეიმუშავა შავ და მარმარილოს ზღვებს შორის არხის გაყვანის პროექტი. იგი გვთავაზობს 45 კილომეტრის სიგრძის, 150 მეტრი სიგანისა და 20 მეტრი სიღრმის არხის გაყვანას. ეს არხი შავი ზღვიდან მარმარილოს ზღვისაკენ პირდაპირ დაეშვება.

ამ არხის პროექტი გააკრიტიკა პროფ. ე. მერიჩმა. მისი აზრით, ის ადგილები, სადაც არხმა უნდა გაიაროს, ძალიან ძველია, და ამიტომ აქ არხის გაყვანა დიდ სიძნელეებს წააწყდება.

პროფ. ე. მერიჩმა არხის მშენებლობის შემდეგი პროექტი შეადგინა: იზმითის ყურიდან საფანჯას ტბამდე ერთი ახრი და კიდევ ერთი არხი საფანჯის ტბიდან მდ. საქარიამდე. ეს ზუსტად სუეცის არხის ანალოგიური იქნება. სუეცის არხი ორ ტბაზე გადის, არხის სიგრძე 195 კილომეტრია, სიღრმე – 20 მეტრი, სიგანე – 190 მეტრი. ე. მერიჩის პროექტით იზმით-საფანჯა-საქარიას ხაზზე უნდა გაყვანილ იქნეს ანალოგიური არხი. ეს, თავის მხრივ, აუცილებლად წამოჭრის გარემოს დაცვისა და მოსახლეობის გადასახლების პრობლემას. ე. მერიჩის გაანგარიშებით რეგიონის გეოლოგიური სტრუქტურა ახალგაზრდაა. იმ არხის გარდა, რომელიც უნდა გაიჭრას იზმითის ყურიდან ტბამდე და ტბიდან მდ. საქარიამდე, არსებობს კიდევ ბუნებრივი სრუტე, რომელიც ბუნებამ ჩაკეტა და სწორედ ამ ადგილზე უნდა გაყვანილ იქნეს არხი. დღეს, ტექნოლოგიური თვალსაზრისით, ამ არხის გაყვანა არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს.

თავი VIII

თურქეთი 1950-1960 წლებში

1. დემოკრატიული პარტიის მმართველობა

1950 წლის მაისში უნდა ჩატარებულიყო მორიგი არჩევნები პარლამენტში. სახალხო-რესპუბლიკური პარტიის ხელმძღვანელები თვლიდნენ, რომ ქვეყანაში პოლიტიკური მდგომარეობა მმართველი პარტიისათვის არახელსაყრელი იყო. პარტიის მიერ გატარებულმა პოლიტიკამ გამოიწვია ხალხის მასებში უნდობლობა და ამომრჩევლების იმედის გაცრუება. ამიტომ მეჯლისმა, სადაც უმრავლესობა სახალხო-რესპუბლიკურ პარტიას ეკუთვნოდა, 1946 წლის თებერვალში მიიღო ახალი საარჩევნო კანონი. ეს კანონი ითვალისწინებდა წარმომადგენლობის პროპორციული სისტემის წესის შეცვლას მაჟორიტარულით. რესპუბლიკური პარტიის ლიდერები ფიქრობდნენ, რომ ახალი საარჩევნო კანონის მიღებით და ხელისუფლების აპარატის ხელის-შეწყობით, შეძლებდნენ ამომრჩეველთა ხმების უმრავლესობის მოპოვებას და ძალაუფლების შენარჩუნებას. მაგრამ მათი იმედები არ გამართლდა. სახალხო-რესპუბლიკურმა პარტიამ სასტიკი დამარცხება განიცადა.

1950 წლის 14 მაისს მეჯლისში ჩატარდა მორიგი არჩევნები. არჩევნების წინ გამწვავდა ბრძოლა ორ ძირითად სახალხო-რესპუბლიკურსა და დემოკრატიულ პარტიებს შორის. დემოკრატიული პარტიის ლიდერები აკრიტიკებდნენ მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკას და გამარჯვების შემთხვევაში ჰპირდებოდნენ ხალხს ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

მაისის არჩევნებში გაიმარჯვა დემოკრატიულმა პარტიამ. მასში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა 88 პროცენტმა. დემოკრატიულმა პარტიამ მიიღო ხმების 53,6 პროცენტი, სახალხო-რუსპუბლიკურმა პარტიამ – 39,9 პროცენტით უპირატესობამ, მაჟორიტარული სისტემის გამო დემოკრატიულმა პარტიამ მიიღო მეჯლისში 408 დეპუტატის ადგილი, ხოლო სახალხო-რესპუბლიკურმა პარტიამ – მხოლოდ 69. ამრიგად, მაჟორიტარული სისტემა შეტრიალდა მისი შემომღების რესპუბლიკური პარტიის საწინააღმდეგოდ.



პრეზიდენტი ჯელალ ბაიარი (1950-1960)

არჩევნებში მონაწილე სხვა პარტიებს შორის ეროვნულმა პარტიამ მიიღო 1 მანდატი, „დამოუკიდებლებმა“ – 7.

რესპუბლიკური პარტიის დამარცხება არჩევნებში აიხსნება იმით, რომ მან 27 წლის განმავლობაში ვერ შეძლო გადაეჭრა მოსახლეობის ძირითადი სოციალური პრობლემები. პირველად თურქეთის ისტორიაში არჩევნების შედეგად მოხდა ერთი ბურჟუაზიული პარტიის მთავრობის შეცვლა მეორეთი. დემოკრატიული პარტია წინასაარჩევნო კამპანიის დროს დიდი დაპირებებით გამოვიდა და ხალხის მასები იმედოვნებდნენ, რომ გამარჯვებული პარტია და



პრემიერ-მინისტრი ადნან მენდერესი

ახალი მთავრობა შესძლებდა ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობისა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას.

ახალმა მეჯლისმა თურქეთის პრეზიდენტად აირჩია ჯელალ ბაიარი, პრემიერ-მინისტრი გახდა ადნან მენდერესი, ხოლო საგარეო საქმეთა მინისტრი – ფუად ქოფრულუ.

ჯელალ ბაიარი დაიბადა 1883 წელს სოფელ უმურბეიში (ბურსის ვილაიეთი), მუფთის ოჯახში. საშუალო განათლების მიღების შემდეგ რამდენიმე წლის განმავლობაში მსახურობდა გერმანიის ბანკის ადგილობრივ განყოფილებაში.

ახალგაზრდა თურქების რევოლუციამდე ცოტა ხნით ადრე შევიდა „ერთობისა და პროგრესის“ პარტიაში და მალე გახდა ქ. ბურსის ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელი. 1911 წელს გადავიდა იზმირში და იყო ამ ორგანიზაციის პასუხისმგებელი მდივანი.

პირველი მსოფლიო ომის ბოლოს ჯ. ბაიარი აირჩიეს მეჯლისის დეპუტატად ქ. იზმირიდან. მონაწილეობა მიიღო ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში და არჩეულ იქნა თურქეთის დიდი ეროვნული კრების პირველი მოწვევის დეპუტატად. 1923 წელს შევიდა სახალხო-რესპუბლიკური პარტიის მმართველობაში და არჩეულ იქნა მეორე მოწვევის მეჯლისის დეპუტატად.

ჯ. ბაიარი 1921 წელს იყო ეკონომიკის მინისტრი, ხოლო შემდეგ დაინიშნა რეპატრიანტთა მოწყობის მინისტრად. 1924 წელს, მუსტაფა ქემალის დავალებით, დაარსდა კერძო ბანკი, რომელიც შემდგომ გახდა ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი ბანკი. 1932 წლიდან ჯ. ბაიარი იყო ეკონომიკის მინისტრი.

1937 წლის ოქტომბერში ჯ. ბაიარი დანიშნეს პრემიერ-მინისტრად და აირჩიეს სახალხო რესპუბლიკური პარტიის გენერალური თავმჯდომარის მოადგილედ. ათათურქის გარდაცვალების შემდეგ, ისმეთ ინონუსთან უთანხმოების გამო, იგი გამოვიდა მთავრობის შემადგენლობიდან.

ადნან მენდერესი დაიბადა აიდინში 1899 წელს, მსხვილი მიწათმფლობელის ოჯახში. მამისაგან მემკვიდრეობით მიიღო 12 ათასი ჰექტარი მიწა. დაამთავრა იზმირის ამერიკული კოლეჯი, შემდეგ – სტამბოლის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. 1919-1921 წლებში მონაწილეობას იღებდა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში. 1927 წელს აირჩიეს მეჯლისის დეპუტატად სახალხო რესპუბლიკური პარტიიდან. 1931 წლიდან მუდმივად ირჩევენ მეჯლისის დეპუტატად აიდინის ვილაიეთიდან. 1944 წლის მარტში იგი პარლამენტში გამოვიდა და გაილაშქრა ბოროტმოქმედებებისა და სპეკულაციის წინააღმდეგ, ამით გაითქვა სახელი და პოპულარობა მოიპოვა.

ფუად ქოფრულუ დაიბადა 1890 წელს სტამბოლში. იგი ეკუთვნოდა ძველ ფეოდალურ-არისტოკრატიულ გვარს. ამ გვარის ფუძემდებელი იყო დიდი ვეზირი მეჰმედ ქოფრულუ (1656-1661). იხ. ტ. II, გვ. 45-48.

დაამთავრა სტამბოლის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი და ეწეოდა სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას. პროფ. ქოფრულუს გამოქვეყნებული აქვს

ნაშრომები ოსმალეთის ისტორიისა და ლიტერატურის დარგში, რომლებიც გაჟღენთილია პანთურქისტული იდეებით. 1935 წელს იგი აირჩიეს მეჯლისის დეპუტატად სახალხო-რესპუბლიკური პარტიიდან. 1943 წელს მეორედ იქნა არჩეული დეპუტატად და აქტიურად ჩაება პოლიტიკურ მოღვაწეობაში.



საგარეო საქმეთა მინისტრი ფუად ქოფრულუ

1950 წლის 29 მაისს მეჯლისმა მოიწონა ახალი მთავრობის პოლიტიკა. იგი ითვალისწინებდა უმუშევრობის ლიკვიდაციას, ეკონომიკისა და ფინანსების გამოჯანსაღებას, მშრომელი მასების მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას, თავისუფალი პროფკავშირების დაარსებას, სიტყვისა და ბეჭდვის თავისუფლებას. პროგრამა აგრეთვე ითვალისწინებდა ხელსაყრელი პირობების შექმნას კერძო კაპიტალისათვის, უცხოეთის კაპიტალის ფართოდ მიზიდვას, ეტატიზმის პოლიტიკის შეზღუდვას, დასავლეთის სახელმწიფოებთან და განსაკუთრებით, აშშ-თან ურთიერთობის შემდგომ გაფართოებას და სხვ.

ფაქტობრივად კი, დემოკრატიული მთავრობის საშინაო პოლიტიკის ძირითადი მიმართულება გახდა ანტიკომუნიზმი, ნაციონალიზმის გაძლიერება და რელიგიური ფანატიზმის აღორძინება. დემოკრატიული პარტია თავისი ხელისუფლების განმტკიცების მიზნით ფართოდ იყენებდა რელიგიას.

დემოკრატიულმა პარტიამ, სახალხო-რესპუბლიკური პარტიის გავლენის შესუსტების მიზნით, გაწმინდა სახელმწიფო აპარატი ყოფილი მმართველი პარტიის მოხელეებისაგან. გადაყენებულ იქნენ ვილაიეთის გუბერნატორები, ქალაქის მერები, მაზრის უფროსები, არმიის მაღალი ოფიცრები და ყველანი შეცვალეს თავისი მომხრეებით.

ეკონომიკის სფეროში დემოკრატიულმა პარტიამ გამოაცხადა, რომ იგი წაახალისებდა კერძო სექტორს და შეამცირებდა სახელმწიფო კაპიტალის წილს მრეწველობის რიგ დარგებში.

დემოკრატიული პარტიის ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდეგ, მისი ლიდერები არ ჩქარობდნენ შეესრულებინათ წინასაარჩევნო დაპირებები, რადგან მალე დარწმუნდნენ, რომ ადრე მიღებული კანონები, მათ შორის ისეთებიც, რომლებიც, მათი აზრით, იყო არადემოკრატიული სავსებით მისაღები იყო ახალი ხელისუფლებისათვის.

1951 წლის ივლისში შეტანილ იქნა ცვლილებები „ბეჭდვის კანონში“, რომლის მიხედვითაც, პრესა სასამართლო კონტროლს დაექვემდებარა, შემცირდა კანონის დარღვევის შემთხვევაში დასჯის ვადა, შერბილდა ჟურნალისტებისადმი წაყენებული მოთხოვნები. ამავე დროს გატარდა ნაწილობრივი ამნისტია.

ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, დემოკრატიული პარტია აცხადებდა, რომ შეზღუდავდა სახელმწიფო კაპიტალიზმს და თანდათანობით გადასცემდა სახელმწიფო საწარმოებს კერძო მეწარმეებს. მაგრამ არ მომხდარა არცერთი სახელმწიფო საწარმოს დენაციონალიზაცია. პირიქით, 50-იან წლებში შეიქმნა ახალი სახელმწიფო ეკონომიკური ორგანიზაციები – აქციონერული საწარმოების სახით, რომლებშიაც მონაწილეობდნენ მსხვილი კერძო კაპიტალის წარმომადგენლები. ამრიგად, შეიქმნა შერეული კომპანიები, ფირმები, რომელთა საქმიანობაშიაც მონაწილეობდნენ როგორც სახელმწიფო, ისე კერძო კაპიტალის წარმომადგენლები.

კერძო ინიციატივის წახალისების პოლიტიკამ გამოიწვია მრეწველობის ერთგვარი ზრდა. 1950-1960 წლებში მრეწველობის საშუალო წლიური ზრდა შეადგენდა 8 %-ს. გაიზარდა ელექტროენერგიის მოცულობა, ბამბეულის ნაწარმი, შაქრის პროდუქცია, ქვანახშირის ამოღება. კერძო სექტორის დაფინანსების მიზნით დასავლეთის მონოპოლიების ინიციატივით დაარსდა მრეწველობის განვითარების ბანკი. უცხოეთის კაპიტალმა მიიღო შეღავათები ფაბრიკა-ქარხნების მშენებლობის საქმეში.

50-იან წლებში მეჯლისმა მიიღო კანონები უცხოეთის კაპიტალის წახალისების მიზნით. ასე, მაგალითად, უცხოურ კაპიტალს ეძლეოდა შესაძლებლობა დაებანდებინა სახსრები ენერგომრეწველობაში, კავშირგაბმულობაში, ახალი საწარმოების მშენებლობაში და სხვა.

1950-1960 წლებში აიგო და მწყობრში ჩადგა შაქრისა და ცემენტის ქარხნები, საფეიქრო და ქაღალდის კომბინატები. ქვეყანას შეემატა ათეული ქარხანა, ფაბრიკა, ელსადგური, წიაღისეული მომპოვებელი საწარმო. ამაღლდა მისი ტექნიკური აღჭურვილობა. გაიზარდა მრეწველობის წილი ქვეყნის ეკონომიკაში, მაგრამ თურქეთის მრეწველობის ზრდა უპირატესად მიმდინარეობდა მსუბუქი მრეწველობის ხარჯზე.

უცხოური კაპიტალის წახალისების შედეგად ქვეყანაში გაიზარდა უცხო მონოპოლიების ხვედრითი წილი, განსაკუთრებით კი ამერიკის.

თურქეთის მთავრობის აგრარული პოლიტიკა მიმართული იყო მსხვილი მემამულეებისა და კულაკური მეურნეობების გარდასაქმნელად კაპიტალისტურ საწარმოებებში.

1952 წელს აღწერის მიხედვით, თურქეთის სოფლის მოსახლეობა ითვლიდა 2930 ათას ოჯახს. აქედან 489 ათას ოჯახს (16, 7 %) სრულებით არ ჰქონდა მიწის ნაკვეთი, 1507 ათასი (51, 4 %) ოჯახი ფლობდა მიწის ნაკვეთს 0,1 – 5 ჰექტარს, 530 ათასი ოჯახი (18,1 %) – 5-10 ჰექტარს. ამ სამი კატეგორიის (სოფლის მოსახლეობის 86,2 %-ი) ხელთ იმყოფებოდა მხოლოდ დასამუშავებელი მიწის ფართობის 28 %, მაშინ როდესაც 76 ათას მემამულეს (მთელი მეურნეობის 2,6 %) ეკუთვნოდათ მიწების (44 %) და 326 ათას კულაკს (11,2 %) – მიწის ფონდის 28 %-ი.

დემოკრატიული პარტიის მთავრობა უმთავრესად გამოხატავდა მსხვილი მიწათმფლობელების ინტერესებს, რომლებიც სოფლად შეადგენდნენ პარტიის დასაყრდენს. მთავრობა ზრდიდა სოფლის მეურნეობის დაფინანსებას. ასე, მაგალითად, სოფლის მეურნეობის ბანკის კრედიტები გაიზარდა. 1950 წელს ბანკის კრედიტი შეადგენდა 412 მილ. ლირას, ხოლო 1960 წელს – 2392 მილ. ლირას.

თურქეთის მთავრობამ სოფლად კაპიტალისტური ურთიერთობის სტიმულირების მიზნით, დიდი რაოდენობით შემოიტანა სასოფლო-სამეურნეო მანქანები. 1959 წელს ქვეყანაში აღრიცხული იყო 44 ათასი ტრაქტორი, 5 ათასზე მეტი კომბაინი და 40 ათასამდე სხვადასხვა სახის სამეურნეო ტექნიკა.

სოფლად ტექნიკის გამოყენების შედეგად გაიზარდა მარცვლეულის სათესი ფართობი და მისი მოსავლიანობა, მაგრამ სოფლის მეურნეობის პროდუქციის ზრდა ვერ აკმაყოფილებდა ქვეყნის მოთხოვნებს და 50-იანი წლების მეორე ნახევრიდან მთავრობამ დაიწყო მარცვლეულის საზღვარგარეთიდან შემოტანა.

ქვეყნის მილიტარიზაცია და სამხედრო ხარჯები მძიმე ტვირთად აწვებოდა ხალხის მასებს.

1950-1959 წლებში პირდაპირი სამხედრო ხარჯები შეადგენდა 9 მილრდ. ლირას. 1950-იანი წლების ბოლოს პირდაპირი სამხედრო ხარჯები შეადგენდა მთელი სახელმწიფო ბიუჯეტის 30 %-ს. ამ პერიოდში გადასახადების საშუალო წლიური ზრდა შეადგენდა 26 %-ს.

1960 წელს სახელმწიფოს ვალი შეადგენდა 12 მილრდ. ლირას, ხოლო საშინაო ვალი – 7 მილრდ. ლირას. სახელმწიფო ვალის ზრდის შედეგად მთავრობა იძულებული იყო აეღო ახალი კრედიტი ვალის პროცენტების დასაფარად.

1958 წელს მთავრობა იძულებული გახდა მოეხდინა ლირას კურსის დევალვაცია.

1950 წლის ივნისში სტამბოლში დაარსდა მშვიდობის მომხრეთა საზოგადოება, რომელშიაც შევიდნენ თურქეთის ინტელიგენციის წარმომადგენლები. ისინი აქტიურად იბრძოდნენ პოლიტიკური რეჟიმის დემოკრატიზაციისა და მშვიდობის განმტკიცებისათვის. მოითხოვდნენ დემოკრატიული რეფორმების ჩატარებას და ეროვნული სუვერენიტეტის დაცვას. პროგრესული ძალების მოთხოვნით, მთავრობა იძულებული გახდა საპატიმროდან გაეთავისუფლებინა გამოჩენილი პოეტი, მშვიდობის აქტიური მებრძოლი ნაზიმ ჰიქმეთი.

მენდერესის მთავრობამ გააძლიერა რეპრესიები მშვიდობის მომხრეების წინააღმდეგ. მან დახურა მშვიდობის მომხრეთა საზოგადოება, ხოლო საზოგადოების ხელმძღვანელებს ბრალი დასდეს კომუნიზმის იდეების გავრცელებაში და დააპატიმრეს. აიკრძალა გაზეთ „ბარიშ“-ის გამოცემა.

თურქეთის ხელისუფლება ხელს უწყობდა რეაქციულ ძალებს და ქვეყანაში ნერგავდა ისლამს.

1950 წლის ივნისში მეჯლისმა მიიღო კანონი არაბულ ენაზე ყურანის კითხვის შესახებ. შემდეგ მთავრობის ნებართვით დაიწყეს რადიოში ყურანის კითხვა. რელიგიის სწავლება სავალდებულო გახდა დაწყებით და საშუალო სკოლებში. აღდგენილ იქნა იმამებისა და მოლების მოსამზადებელი სკოლები. ანკარის უნივერსიტეტთან გაიხსნა ღვთისმეტყველების ფაკულტეტი.

1958 წელს სტამბოლში გაიხსნა ორწლიანი ისლამის უმაღლესი სკოლა. სკოლადამთავრებულებს შეეძლოთ სკოლებში იმამების მომზადება. 1959 წელს თურქეთში უკვე იყო 19 რელიგიური სკოლა, 4233 მოსწავლით. მთელ ქვეყანაში დაიწყო ახალი მეჩეთების მშენებლობა და ძველების შეკეთება.

დემოკრატიულმა პარტიამ მიიღო რიგი კანონებისა, რომელიც მიზნად ისახავდა ოპოზიციის დათრგუნვას. კერძოდ, სახალხო-რესპუბლიკური პარტიის საქმიანობის შეზღუდვას. 1951 წლის აგვისტოში მეჯლისმა მიიღო კანონი „სახალხო სახლების“ დახურვისა და მათი ქონების სახელმწიფოსათვის გადაცემის შესახებ. ამით სახალხო-რესპუბლიკურმა პარტიამ დაკარგა თავისი ერთ-ერთი დასაყრდენი პუნქტი.

1951 წლის ნოემბერში მეჯლისმა მიიღო რეაქციული კანონი, რომელიც ითვალისწინებდა კომუნისტური ჯგუფებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელების სიკვდილით დასჯას. შეიცვალა აგრეთვე სისხლის სამართლის მუხლი და გადიდდა სასჯელი, არსებული რეჟიმის წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკური საქმიანობისათვის.

1953 წლის ოქტომბერში სტამბოლის სამხედრო ტრიბუნალმა მოაწყო სასამართლო პროცესი 167 პატრიოტზე, აქედან 131-ს მიუსაჯა პატიმრობა ერთი წლიდან 10 წლამდე.



ნაზიმ ჰიქმეთი

1954 წელს მეჯლისმა მიიღო „ბეჭდვის“ კანონი, რომლის მიხედვითაც ჟურნალისტი და წერილის ავტორი, რომელიც აკრიტიკებდა სახელმწიფო მოღვაწეებს და ამით ზიანს აყენებდა სახელმწიფოს, იმსახურებდა პატიმრობას ერთ თვიდან სამ წლამდე და ფულად ჯარიმას 1000 ლირადან 5000 ლირამდე. ჟურნალისტებს არ ჰქონდათ აპელაციის უფლება.

ამ კანონის მიღების შემდეგ მთავრობამ დახურა ოპოზიციური გაზეთები „ულუსი“, „იენი გუნი“, „დემოკრატ იზმირ“, ჟურნალები „აკის“-ი და „ქიმ“-ი.

1953 წლის დეკემბერში მთავრობამ გადაწყვიტა მოეხდინა სახალხო-რესპუბლიკური პარტიის მოძრავი და უძრავი ქონების კონფისკაცია, რომელიც შეიძინა ხელისუფლების სათავეში ყოფნის დროს. ამავე კანონით სახალხო რესპუბლიკურ პარტიას აგრეთვე უნდა გადაეხადა 20 მილ. ლირა, რომელიც მან მიიღო მთავრობისაგან პარტიის საჭიროებისათვის. გადაუხდელობის შემთხვევაში იგი ბანკროტად გამოცხადდებოდა და მოხდებოდა მისი დათხოვნა.

1954 წლის მაისში დაინიშნა პარლამენტის მორიგი არჩევნები. წინასაარჩევნო კამპანია დაძაბულ ვითარებაში მიმდინარეობდა. სახალხო-რესპუბლიკურ პარტიას არ მისცეს უფლება ესარგებლა სახელმწიფო რადიოთი. მთავრობა უშლიდა რესპუბლიკურ პარტიას მიტინგებისა და კრებების ჩატარებას. მმართველი წრეების ინიციატივით ორჯერ მოხდა თავდასხმა ისმეთ ინოუზე. ერთ-ერთი თავდასხმის დროს იგი თავში დაჭრეს.

1954 წლის მაისში ჩატარდა არჩევნები მეჯლისში. არჩევნების შედეგად დემოკრატიულმა პარტიამ მიიღო 490 მანდატი, სახალხო-რესპუბლიკურმა პარტიამ 30, რესპუბლიკურ-ნაციონალურმა პარტიამ – 5 მანდატი, დამოუკიდებელმა დეპუტატებმა – 10.

თურქეთის პრეზიდენტად კვლავ აირჩიეს ჯელალ ბაიარი, ხოლო პრემიერ-მინისტრად დაინიშნა ადნან მენდერესი.

26 მაისს მეჯლისმა მოიწონა ახალი მთავრობის პროგრამა, რომელიც წინარესაგან არაფრით არ განსხვავდებოდა.

მთავრობა განაგრძობდა დემოკრატიული ძალების წინააღმდეგ ბრძოლას. 1956 წლის ივნისში მეჯლისმა მიიღო კანონი „კრებებისა და დემონსტრაციების შესახებ“. ამ კანონით მთავრობის ნებართვის გარეშე აკრძალული იყო კრებებისა და დემონსტრაციების მოწყობა.

ამავე დროს მთავრობა განაგრძობდა რეპრესიებს ოპოზიციონერების წინააღმდეგ. 1957 წლის სექტემბერში მეჯლისმა მიიღო კანონი, რომელიც ოპოზიციურ პარტიებს უკრძალავდა არჩევნების დროს ერთიანი სიით გამოსვლას.

ქვეყანაში იზრდებოდა უკმაყოფილება დემოკრატიული პარტიის მიმართ. დემოკრატიულ პარტიას გამოეყო ჯგუფი და 1952 წელს დააარსა თურქეთის გლეხური პარტია, რომლის თავმჯდომარე გახდა რ. არიქი.

1955 წლის ნოემბერში ყოფილმა სახალხო რესპუბლიკური პარტიის წევრებმა დააარსეს თავისუფლების პარტია, რომლის გენერალური მდივანი გახდა ფ. კარაოსმანოღლუ. ამ პარტიების წარმოქმნა გამოწვეული იყო უთანხმოებით. დემოკრატიული პარტიის ლიდერებთან, საშინაო პოლიტიკის საკითხებში.

1957 წლის 27 ოქტომბერს მეჯლისში ჩატარდა რიგგარეშე არჩევნები. დემოკრატიულმა პარტიამ მიიღო 419 მანდატი, სახალხო-რესპუბლიკურმა პარტიამ – 173, რესპუბლიკურმა სახალხო პარტიამ – 4, თავისუფლების პარტიამ – 4, დამოუკიდებელმა კანდიდატებმა – 2.

მეჯლისში ადგილების განაწილება არ ასახავდა პოლიტიკური ძალების ფაქტობრივ მდგომარეობას. არჩევნების შედეგად დემოკრატიულმა პარტიამ მიიღო 376

ათასი ხმით ნაკლები, ვიდრე ოპოზიციურმა პარტიებმა. მხოლოდ მაჟორიტარულმა საარჩევნო სისტემამ უზრუნველყო ადგილების უმრავლესობა მეჯლისში.

რათა შეეჩერებინა დემოკრატიულ პარტიას გავლენის დაცემა, 1958 წლის სექტემბერში პრემიერ-მინისტრმა მენდერესმა წამოაყენა „ეროვნული ყრილობის" შექმნის იდეა, მაგრამ ამ ნაბიჯმა ვერ შეანელა პარტიის ავტორიტეტისა და გავლენის დაცემა.

დემოკრატიული პარტიის მმართველობის დროს ძლიერდებოდა მშრომელი მასების მატერიალური მდგომარეობის გაუარესების პროცესი. ქვეყნის მილიტარიზაციამ, მძიმე ფინანსურმა მდგომარეობამ, ინფლაციამ მკვეთრად გააუარესა მშრომელი მასების მდგომარეობა.

მრეწველობის განვითარებასთან ერთად გაიზარდა მუშათა კლასის რიცხვი, მათი თვითშეგნება, იგი გადაიქცა მნიშვნელოვან პოლიტიკურ ძალად. 50-იანი წლების ბოლოს ქვეყანაში 2 მილიონამდე მუშა იყო, თუ ამას დავუმატებთ მუდმივ უმუშევართა რიცხვს, მათი რაოდენობა დაახლოებით 3 მილ. იყო.

იქმნებოდა მუშათა პროფკავშირები. 1950 წელს 78 ათასი მუშა პროფკავშირის წევრი იყო, 1960 წლისათვის – 400 ათასი, ე. ი. მათი რიცხვი 5-ჯერ გაიზარდა. თანდათან იზრდება სხვადასხვა პროფკავშირთა ფედერაციების რიცხვი: საფეიქრო მუშების, საზღვაო ტრანსპორტის, რკინიგზის, მუშების და სხვ. ასევე სტამბოლის, ანკარის, ბურსის მუშათა გაერთიანებები. 1952 წელს შეიქმნა თურქ მუშათა პროფკავშირების კონფედერაცია.

მუშათა კლასმა, ხელისუფლების რეპრესიების მიუხედავად, გააძლიერა ბრძოლა თავისი საარსებო პირობების გაუმჯობესებისათვის. ბრძოლის ძირითადი ფორმა იყო გაფიცვები.

მუშათა კლასი განაგრძობდა ბრძოლას თავისი კლასობრივი ინტერესებისათვის. 1951 წლის ივლისში გაფიცული იყვნენ სტამბოლის თამბაქოს ქარხნის მუშები. ივლისის ბოლოს გაიფიცნენ ისქანდერუნის მუშები, მათ დასაწყნარებლად ქალაქში გაიგზავნა სამხედრო ნაწილები. 1952 წლის მარტში გაიფიცნენ ანკარის ტაქსის მძღოლები. 1954 წლის იანვარში გაფიცვა გამოაცხადეს სტამბოლის საფეიქრო ქარხნის მუშებმა, ხოლო ივლისში გაფიცვა გამოაცხადეს იზმირის დოკერებმა.

1955 წელს გაფიცვათა ტალღა გავრცელდა სტამბოლში, ანკარაში, იზმირში, ადანაში, ბითლისსა და სხვა ქალაქებში.

1959 წლის ოქტომბერში წარმოიშვა კონფლიქტი მუშებსა და ამერიკის კომპანია „მიტკოვ-გამილტონს" შორის. ამის მიზეზი გახდა 550 მუშის დათხოვნა.

მუშათა კლასმა ეკონომიკურ მოთხოვნებთან ერთად წამოაყენა პოლიტიკური მოთხოვნებიც – ანტიდემოკრატიული და ანტიმუშური კანონმდებლობების გაუქმება, მუშებისათვის გაფიცვების მოწყობის უფლება, პროფკავშირების უფლებების გაზრდა და სხვ.


გახშირდა გლეხების გამოსვლებიც მემამულეებისა და კულაკების წინააღმდეგ. 1951 წელს ქვეყანაში რეგისტრირებული იყო გლეხების მიერ „საზოგადოებრივი წესრიგის" დარღვევის 400-ზე მეტი შემთხვევა, გლეხების მიერ მემამულეების საქონლის გატაცება და 43 შემთხვევა მემამულეებისა და კულაკების მიწების მიტაცება. გრძელდებოდა შეტაკებები ჟანდარმერიასა და გლეხებს შორის. 1959 წელს რეგისტრირებული იყო 200 ასეთი შემთხვევა. გლეხების შეტაკებები ჟანდარმერიასთან სტიქიურ ხასიათს ატარებდა.

2. საგარეო პოლიტიკა


დემოკრატიული პარტიის ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდეგ, თურქეთის საგარეო პოლიტიკური კურსი არ შეცვლილა. დემოკრატიული პარტიის ლიდერებმა გამოაცხადეს, რომ თურქეთი საგარეო პოლიტიკის სფეროში დარჩებოდა ერთგული 1939 წელს ინგლისთან და საფრანგეთთან დადებული ხელშეკრულებისა და გააგრძელებდა მეგობრულ თანამშრომლობას აშშ-თან.

თავის მხრივ, დასავლეთის სახალმწიფოები მიისწრაფოდნენ თურქეთი გამოეყენებინათ ახლო და შუა აღმოსავლეთში თავიანთი მიზნების განსახორციელებლად. 1951 წლის 10 ნოემბერს აშშ-ის, ინგლისის, საფრანგეთისა და თურქეთის მთავრობებმა მიმართეს არაბულ სახელმწიფოებსა და ისრაელს მოწოდებით მონაწილეობა მიეღოთ „ახლო აღმოსავლეთის სამხედრო სარდლობის“ შექმნაში. მაგრამ ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების უმრავლესობამ მხარი არ დაუჭირა ამ პროექტს და იგი ჩაიშალა.

1950 წელს თურქეთის მთავრობამ, მეჯლისის თანხმობის გარეშე, გაგზავნა კორეაში „მოხალისეთა“ ბრიგადა. 1950-1953 წლებში კორეის ომის დროს თურქეთმა კორეაში გაგზავნა 20 ათასი თურქი ჯარისკაცი. მათი დიდი ნაწილი ომში დაიღუპა, დაიჭრა ან ტყვედ ჩავარდა. თურქეთი იყო ერთადერთი ახლო და შუა აღმოსავლეთის სახელმწიფო, რომელმაც მონაწილეობა მიიღო კორეის ომში.



თურქეთმა მონაწილეობა მიიღო ნატოს სესიაზე (1957 წლის დეკემბერი, პარიზი).



ბაღდადის ბლოკის მონაწილე სახელმწიფოთა შეხვედრა ანკარაში

იმავე 1950 წელს თურქეთის მთავრობამ აშშ-თან, ინგლისთან და საფრანგეთთან ერთად შეიმუშავეს „ხმელთაშუა ზღვის სარდლობის“ შექმნის გეგმა, მაგრამ მის წინააღმდეგ გამოვიდნენ არაბული სახელმწიფოები და ეს პროექტიც ჩაიშალა.

1951 წლის მაისში აშშ-მა მისცა რეკომენდაცია თურქეთს შესულიყო ჩრდილოეთ ატლანტიკის სამხედრო ბლოკში (ნატო). 1951 წლის ოქტომბერში ლონდონში ხელი მოაწერეს ოქმს თურქეთის ნატოში მიღების შესახებ. 1952 წლის 18 თებერვალს თურქეთის მეჯლისმა მოახდინა ნატოში შესვლის ხელშეკრულების რატიფიკაცია. ნატოში შესვლის შემდეგ თურქეთი აქტიურად მონაწილეობდა აშშ-ისა და ინგლისის ინიციატივით შედგენილ სამხედრო ბლოკებში.

თურქეთმა აქტიური მონაწილეობა მიიღო ახლო და შუა აღმოსავლეთში სამხედრო ბლოკის შექმნაში.

1954 წელს აპრილში კარაჩიში ხელი მოაწერეს თურქეთ-პაკისტანის ხელშეკრულებას, ხოლო 1955 წლის თებერვალში – თურქეთ-ერაყის ხელშეკრულებას ურთიერთთანამშრომლობის შესახებ. თურქეთ-ერაყის ხელშეკრულება მიზნად ისახავდა ერაყი ჩაება არა მარტო თურქეთთან, არამედ თურქეთ-პაკისტანის ხელშეკრულებასთან. ეს კავშირი უნდა ყოფილიყო ზეწოლის იარაღი არა მარტო არაბულ სახელმწიფოებზე, არამედ ირანსა და ავღანეთზე. თურქეთისა და პაკისტანის მთავრობებმა წინადადებებით მიმართეს არაბულ სახელმწიფოებს, ირანსა და ავღანეთს, შეერთებოდნენ თურქეთ-პაკისტანის ხელშეკრულებას. ამ ქვეყნებიდან მხოლოდ ირანმა გამოთქვა სურვილი შეერთებოდა ამ პაქტს (1955 წლის ოქტომბერი).

1955 წლის ნოემბერში ბაღდადში ჩატარდა თურქეთის, ერაყის, ირანისა და პაკისტანის და ინგლისის პრემიერ-მინისტრების შეხვედრა, რომელზედაც გაფორმდა სამხედრო ბლოკის – ბაღდადის პაქტის შექმნა. ბაღდადის პაქტი გახდა ნატოს ახლო აღმოსავლეთის ფილიალი.

1958 წლის იანვარში, ერაყში მომხდარი რევოლუციის შედეგად, ერაყი გამოვიდა ბაღდადის პაქტის შემადგენლობიდან. ამის გამო ბაღდადის პაქტს შეეცვალა სახელწოდება და უწოდეს სენტო (ახლო აღმოსავლეთის სამხედრო სარდლობა). 1979 წელს სენტოდან პაკისტანისა და ირანის გამოსვლის შემდეგ ამ ორგანიზაციამ შეწყვიტა თავისი არსებობა.

თურქეთმა მონაწილეობა მიიღო ყველა იმ აქციაში, რომლებიც მოაწყეს ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების წინააღმდეგ დასავლეთის სახელმწიფოებმა. 1956 წლის ივლისში თურქეთმა გაილაშქრა ეგვიპტის მიერ სუეცის არხის ნაციონალიზაციის წინააღმდეგ და მხარი დაუჭირა ინგლის-საფრანგეთ-ისრაელის ომს ეგვიპტის წინააღმ-



ნატოს ჯარების მთავარსარდალი გენერალი ეიზენჰაუერი შეხვდა პრეზიდენტ ჯელალ ბაიარს

დეგ 1956 წლის შემოდგომაზე. 1958 წელს თურქეთმა მხარი დაუჭირა ინგლის-ამერიკის ინტერვენციას ლიბანისა და იორდანიის წინააღმდეგ.

დემოკრატიული პარტიის მმართველობის პერიოდში გრძელდებოდა აშშ-ის ეკონომიკური და პოლიტიკური გავლენა თურქეთზე. ეს ხორციელდებოდა სამხედრო, ეკონომიკური და ტექნიკური დახმარების გზით.

1948-1959 წლების მანძილზე აშშ-ის დახმარება თურქეთისადმი შეადგენდა 2885,5 მილ. დოლარს, აქედან 1878,3 მილ. დოლარი იყო სამხედრო დახმარება, 628 მილ. დოლარი – ეკონომიკური დახმარება, 150 მილ. დოლარი – კრედიტი, 292 მილ. დოლარი – ტექნიკური დახმარება და 200 მილ. დოლარი – სასოფლო-სამეურნეო საქონლით.

თურქეთმა აგრეთვე მიიღო დახმარება და კრედიტები განვითარებისა და რეკონსტრუქციის საერთაშორისო ბანკისაგან, ექსპორტ-იმპორტის ბანკისაგან და საერთაშორისო ვალუტის ფონდისაგან. სესხები და კრედიტები ამ ორგანიზაციებიდან 1959 წლისათვის შეადგინა 1627 მილ. დოლარი.

აშშ-ის ეკონომიკური და ტექნიკური დახმარების ნახევარზე მეტი მოხმარდა გზების, რკინიგზების, აეროდრომების და ნავსადგურების მშენებლობებს, რომლებსაც ჰქონდათ დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა.

მას შემდეგ რაც თურქეთი შევიდა ნატოში აშშ-ის დახმარება კიდევ უფრო მეტად გაიზარდა.

თურქეთის მიერ აშშ-ისაგან დახმარების მიღების შემდეგ, ამერიკის მთავრობამ თურქეთში გაგზავნა სხვადასხვა სამხედრო და სამოქალაქო მისიები, მრჩევლები და ექსპერტები, რომლებიც ხელმძღვანელობდნენ სამხედრო ბაზების მშენებლობებს, თურქეთის არმიის შეიარაღებას. ამერიკის სამხედრო და ეკონომიკური ექსპერტების რიცხვი სამ ათასს აღემატებოდა.

თურქეთში დემოკრატიული მმართველობის პერიოდში აშენებული და მოდერნიზებული იქნა 100-ზე მეტი სამხედრო-საჰაერო ბაზა, აეროდრომი და სხვა ობიექტი. თურქეთის ტერიტორიაზე აგებულ იქნა რადიო-ლოკაციური სისტემა. 1959 წლის ზაფხულში ტრაპიზონის რაიონში ააგეს ყველაზე ძლიერი რადარული სადგური, რომლის მოქმედების რადიუსი 2500 კმ. შეადგენდა. ქალაქ ადანაში ააგეს უდიდესი სამხედრო-სტრატეგიული ბაზა სტრატეგიული თვითმფრინავებისათვის. სწორედ აქედან აფრინდა 1960 წლის მაისში აშშ-ის მზვერავი თვითმფრინავი უ-2, რომელიც საბჭოთა კავშირის საჰაერო დაცვამ ჩამოაგდო სვერდლოვსკის მახლობლად. ამან დიდი რეზონანსი გამოიწვია, რასაც მოჰყვა ურთიერთობის დაძაბვა საბჭოთა კავშირსა და აშშ-ს შორის.

1959 წლის მარტში თურქეთსა და აშშ-ს შორის დაიდო ორმხრივი სამხედრო შეთანხმება, რომლის მიზანი იყო გადაექცია თურქეთი მთავარ რაკეტულ-ატომურ ბაზად, საბჭოთა კავშირის საზღვრებთან. ამერიკელებმა თურქეთში ააგეს რამდენიმე სარაკეტო ბაზა ატომურ-წყალბადის მუხტით აღჭურვილ ზემძლავრ ბომბდამშენ ბაზებთან ერთად. ამ ბაზებზე მათ განალაგეს საშუალო რადიუსის მქონე „ტორისა“ და „იუპიტერის“ ტიპის ბალისტიკური რაკეტები.

თურქეთში სამხედრო-სტრატეგიული ბაზების მშენებლობასთან ერთად მიმდინარეობდა თურქეთის არმიის ხელახალი შეიარაღება და მისი აღჭურვა უახლესი ამერიკული იარაღით.

1959 წლისათვის ძირითადად დამთავრდა თურქეთის არმიის აღჭურვა უახლესი სამხედრო ტექნიკით. თურქეთს გაცილებით მეტი შეიარაღებული ჯარისკაცი ჰყავს, ვიდრე ევროპის სხვა სახელმწიფოს. თურქეთმა აქედან 12 დივიზია ნატოს განკარგულებაში გადასცა.

3. შიდაპოლიტიკური ვითარების გამწვავება

ქვეყნის ფინანსური და ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებამ, ხალხის მასების უკმაყოფილებამ მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკით გაამწვავა ბრძოლა მმართველ და ოპოზიციურ პარტიებს შორის.

1960 წლის დამდეგისათვის პარტიებს შორის ბრძოლა ძალზე გამწვავდა. მმართველ პარტიას კარგად ესმოდა არჩევნები დანიშნულ დროზე, რომ ჩატარებულიყო, ე. ი. 1961 წლის შემოდგომაზე, მაშინ პარტია არჩევნებში დამარცხდებოდა. ამიტომ მან განიზრახა არჩევნები ვადაზე ადრე ჩაეტარებინა, მაგრამ არჩევნების თარიღის დანიშვნას არ ჩქარობდა.

დემოკრატიული პარტია მიმართავდა ახალ რეპრესიებს ოპოზიციური პარტიებისა და ბეჭდვითი ორგანოების თანამშრომლების წინააღმდეგ.

1960 წლის თებერვალში მენდერესმა შეიტანა მეჯლისში წინადადება ინონუსა და კიდევ 10 სახალხო-რესპუბლიკური პარტიის დეპუტატებისათვის ჩამოერთვათ ხელშეუხებლობის უფლება.

1960 წლის 20 მარტს, როდესაც ინონუ გაემგზავრა კაისერიში, სახალხო-რესპუბლიკური პარტიის კონფერენციაზე მონაწილეობის მისაღებად, ვილაიეთის გუბერნატორის ბრძანებით ინონუ ქალაქში არ შეუშვეს. ამავე დროს დაპატიმრებულ იქნენ მემარცხენე გაზეთებისა და ჟურნალების რედაქტორები და თანამშრომლები.

მთავრობის რეპრესიების საპასუხოდ, სახალხო-რესპუბლიკური პარტიის წევრებმა მოითხოვეს მეჯლისს განეხილა მენდერესისა და შინაგან საქმეთა მინისტრის პასუხისმგებლობა ინონუზე თავდასხმასთან დაკავშირებით, მაგრამ მეჯლისმა არ მიიღო არავითარი ზომები მათ წინააღმდეგ.

13 აპრილს სახალხო-რესპუბლიკური პარტიის დეპუტატებმა მეჯლისში შეიტანეს წინადადება განხილულიყო დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელებისა და მთავრობის არაკანონიერი ქმედებების შესახებ. ამის საწინააღმდეგოდ დემოკრატიული პარტიის დეპუტატებმა მოიწონეს მენდერესის წინადადება შექმნილიყო პარლამენტის კომისია, რომელიც განიხილავდა სახალხო-რესპუბლიკური პარტიის არაკანონიერი მოქმედებისა და ძირგამომთხრელი საქმიანობის შესახებ. 15 აპრილს მმართველმა პარტიამ მეჯლისში შეიტანა რეზოლუცია ამ საკითხთან დაკავშირებით და მოითხოვა შექმნილიყო სპეციალური კომისია.

1960 წლის 18 აპრილს მეჯლისმა დაამტკიცა ამ კომისიის შექმნა და მის შემადგენლობაში შევიდა დემოკრატიული პარტიის 15 დეპუტატი. ამავე დროს გადაწყდა, რომ კომისია სამი თვის ვადაში მეჯლისს წარუდგენდა თავის მოხსენებას. კომისიამ მიიღო დადგენილება აკრძალულიყო სამი თვის განმავლობაში კრებები და ოპოზიციური პარტიების ყრილობები, ოპოზიური გაზეთების მიერ ყოველგვარი ინფორმაციისა და განცხადებების გაკეთება მეჯლისისა და კომისიის საქმიანობასთან დაკავშირებით. მეორე დღეს პოლიციამ მოახდინა გაზეთების „ულუსისა“ და „დუნიას“ მთელი ტირაჟის კონფისკაცია, რომლებიც არ დაემორჩილენ ამ დადგენილებას.

19 აპრილს დაახლოებით 10 ათასმა კაცმა მოაწყო საპროტესტო დემონსტრაცია კიზლაის (ანკარა) მოედანზე. დემონსტრანტებს შორის იყო ინენუ. პოლიციამ დაარბია დემონსტრანტები და 22 კაცი დააპატიმრა.

26 აპრილს მეჯლისის სხდომაზე დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლებმა შეიტანეს კანონპროექტი, კომისიისათვის საგანგებო რწმუნების მინიჭების შესახებ, რომელიც დამტკიცებულ იქნა.

27 აპრილს კომისია შეუდგა რწმუნებების განხორიცელებას: შემოღებულ იქნა საგანგებო მდგომარეობა ანკარასა და სტამბოლში, დაიხურა ოპოზიციური გაზეთები „ულუსი“, „დუნია“, „ჯუმჰურიეთი“ და „აკისი“.

პარტიათა შორის ბრძოლაში ჩაერთვნენ სტუდენტებიც. 18 აპრილს სტამბოლის უნივერსიტეტის სტუდენტებმა მოაწყეს საპროტესტო დემონსტრაცია. პოლიციამ დაარბია სტუდენტები და ცეცხლი გაუხსნა მათ. რამდენიმე სტუდენტი მოკლული და დაჭრილი იყო. იმავე დღეს კომისიამ სტამბოლში შემოიღო კომენდანტის საათი, უნივერსიტეტი დაიხურა ერთი თვით. მეორე დღეს, ანკარის უნივერსიტეტის სტუდენტებმაც მოაწყეს საპროტესტო დემონსტრაცია. პოლიციამ ვერ შეძლო სტუდენტების დემონსტრაციის დაშლა და დახმარებისათვის მთავრობამ ჯარის ნაწილებს მიმართა. შეტაკების შედეგად რამდენიმე სტუდენტი მოკლეს და დაჭრეს.

სტუდენტებისა და ახალგაზრდების გამოსვლები და მიტინგები ჩატარდა სხვა ქალაქებშიც. მიტინგის მონაწილეები პროტესტს აცხადებდნენ მეჯლისის მიერ სპეციალური კომისიის შექმნის თაობაზე, მოითხოვდნენ მენდერესის მთავრობის გადაყენებას, ვინაიდან მთავრობამ დაარღვია დემოკრატიული მმართველობა და ქვეყანაში დიქტატურა დაამყარა.

4. 1960 წლის 27 მაისის სამხედრო გადატრიალება თურქეთში

ასეთ ვითარებაში სამხედროებმა გადაწყვიტეს დაემხოთ ჯელალ ბაიარ-მენდერესის დიქტატურა და ხელში აეღოთ ძალაუფლება. თურქეთში არმიას ყოველთვის განსაკუთრებული მდგომარეობა ეკავა. ასე იყო ოსმალეთის იმპერიაში ქემალისტურ რევოლუციამდე, ასეთივე მდგომარეობა იყო რესპუბლიკურ თურქეთშიც. არმია ეს ისეთი ფაქტორია, რომლის გამორიცხვის შემთხვევაში, გაუგებარი და აუხსნელი იქნება თურქეთის საშინაო და საგარეო პოლიტიკის მთავარი მოვლენები. არმია, ისევე როგორც ოსმალეთის იმპერიაში, რესპუბლიკურ თურქეთშიც, ქვეყნის ბატონ-პატრონად გრძნობდა თავს. ეს ძალაა, რომელიც კულისებიდან თოჯინების ძაფებით მართავდა სახელმწიფოს (ო. გიგინეიშვილი).

დემოკრატიული პარტია და მენდერესის მთავრობა ნაკლებ ყურადღებას იჩენდა არმიისა და ოფიცრების მიმართაც. ეს განსაკუთრებით გაძლიერდა 1954 წლიდან, როდესაც მენდერესმა თავის ერთ-ერთ გამოსვლაში საჯაროდ გააკრიტიკა თურქი

ოფიცრები. სწორედ აქედან იწყება არმიაში შეთქმულებათა პერიოდი, ოფიცრები მოითხოვდნენ არმიაში რეფორმების ჩატარებას.

პროფ. ო. გიგინეიშვილს შესწავლილი აქვს, თუ როგორ მოამზადეს თურქმა ოფიცრებმა 1960 წლის სამხედრო გადატრიალება.

1954 წლის მაისში ქ. თუზლას სამხედრო-საჰაერო სკოლის ორ კურსანტს კაპიტან დუნდარ სეიჰანს და ირჰან ჯაბიბს დაებადათ იდეა შეექმნათ საიდუმლო ორგანიზაცია და დაეწყოთ ბრძოლა. მაგრამ რა უნდოდათ საბოლოოდ, ან როგორ უნდა წარემართათ ბრძოლა, ამის შესახებ მათ ჯერ წარმოდგენა არ ჰქონდათ. მათ თავიანთი ჩანაფიქრი გაანდეს სკოლის კიდევ რამდენიმე ოფიცერს. თავდაპირველად მას „ათათურქისტების ორგანიზაცია“ უწოდეს.

თუზლას სამხედრო-საჰაერო სასწავლებელში შექმნილი ჯგუფის პარალელურად უკმაყოფილო ოფიცრების ჯგუფები იქმნებოდა სხვა ნაწილებშიც. 1957 წლის დასაწყისში ასეთი ჯგუფი ანკარაშიც შეიქმნა. 1957 წელს შეთქმულთა ჯგუფებმა საბოლოოდ აირჩიეს აჯანყების გზა. მათ აჯანყების საორიენტაციო გეგმაც შეადგინეს, მაგრამ მათ შორის არავინ ჩანდა ხელმძღვანელის როლში, არავის ჰქონდა სათანადო ავტორიტეტი და გამოცდილება. საჭირო იყო ისეთი ლიდერის მონახვა, რომელიც არმიასა და ხალხის მასებში ავტორიტეტით სარგებლობდა. მათ წამოაყენეს ისმეთ ინონუს კანდიდატურა, მაგრამ შეთქმულთა მიერ შეთავაზებულ წინადადებაზე მან უარი განაცხადა. ამის შემდეგ ისინი შეჩერდნენ გენერალ ნეჯათ თეჯანის კანდიდატურაზე, რომელიც კავკასიის საზღვართან განლაგებული მესამე არმიის სარდალი იყო და მალე იგი დაინიშნა თურქეთის სახმელეთო ჯარების სარდლად. მაგრამ 1958 წლის ზაფხულში იგი მოულოდნელად გარდაიცვალა. მისი ადგილი დაიკავა გენერალმა ჯემალ გურსელმა, რომელიც აგრეთვე სამხედრო წრეებში ავტორიტეტით სარგებლობდა. შეთქმულებმა თავიანთი არჩევანი ჯემალ გურსელზე შეაჩერეს. შეთქმულებმა ჯემალ გურსელთან მოლაპარაკება სადი კოჩას დაავალეს. მან ეს მისია წარმატებით შეასრულა. 1960 თებერვალში გენერალი ჯემალ გურსელი დათანხმდა სათავეში ჩადგომოდა აჯანყებას. ამის შემდეგ სწრაფად დაიწყო მზადება აჯანყებისათვის, რომელიც მიმდინარეობდა სრულიად საიდუმლოდ. შეთქმულების აქტიურ მონაწილეებს მიენიჭათ კონსპირაციული სახელები. არჩეული იქნა 12 წევრისაგან შემდგარი კომიტეტი. მთავრობის დამხობის შემდეგ სამხედროები დიდხანს არ უნდა დარჩენილიყვნენ ხელისუფლების სათავეში. სულ მოკლე დროში უნდა ჩატარებულიყო საპარლამენტო არჩევნები და ძალაუფლება უნდა დაბრუნებოდა სამოქალაქო ხელისუფლებას.

1959 წლის დეკემბერში შეთქმულთა ორგანიზაციის წევრები შეუდგნენ აჯანყებისა და მისი შემდგომი მოქმედების გეგმის შემუშავებას. თათბირი გაიმართა ანკარაში. მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ სახელმწიფო გადატრიალება უნდა მომხდარიყო 1960 წელს.

1960 წლის დასაწყისიდან თურქეთში მდგომარეობა მეტად გამწვავდა და დაიძაბა. მოსალოდნელი იყო ქვეყანაში დაწყებულიყო საყოველთაო-მასობრივი გამოსვლები რადიკალური სოციალური რეფორმების მოთხოვნით. ამიტომ საჭირო იყო, რაც შეიძლება მალე დაემხოთ ჯელალ ბაიარ-ადნან მენდერესის დიქტატურა, რომ შეეჩერებინათ დაწყებული სახალხო გამოსვლები.

3 მაისს თურქეთის შეიარაღებული სახმელეთო ჯარების სარდალმა გენერალმა ჯემალ გურსელმა ეროვნული თავდაცვის მინისტრს გაუგზავნა გამაფრთხილებელი წერილი. იგი მოითხოვდა პრეზიდენტის გადაყენებას, მთავრობის შემადგენლობიდან იმ პირების გამოყვანას, რომლებმაც სახელი გაიტეხეს, ანკარისა და სტამბოლის გუბერნატორების გადაყენებას, პარლამენტის დადგენილების გაუქმებას, სპეციალ-

ური კომისიის შექმნას, რომელსაც უნდა განეხილა ოპოზიციის „ძირგამომთხრელი“ საქმიანობა, დაპატიმრებული ჟურნალისტებისა და სტუდენტების განთავისუფლება.

1960 წლის 6 მაისს ჯემალ გურსელი იძულებით შვებულებაში გაუშვეს.

1960 წლის 25 მაისს კომისიამ დაამთავრა თავისი მუშაობა და მეჯლისს წარუდგინა თავისი წინადადებები. გაიმართა ძალზე ცხარე კამათი. სხდომის ბოლოს მმართველ და ოპოზიციურ პარტიებს შორის გაიმართა ჩხუბი. წესრიგის აღდგენის მიზნით გამოიძახეს პოლიცია. შემდგომ მიიღეს დადგენილება – 20 ივნისამდე დაეთხოვათ მეჯლისი. ეს ნიშნავდა იმას, რომ ქვეყანაში დამყარდა დემოკრატიული პარტიისა და მისი მთავრობის განუსაზღვრელი დიქტატურა. დაძაბულობამ უკიდურეს ზღვარს მიაღწია.

26 მაისს შეთქმულ ოფიცერთა ხელმძღვანელობამ შეიმუშავა გამოსვლის საბრძოლო გეგმა.

27 მაისს დღის 3 საათზე აჯანყებულთა ტანკები შევიდნენ ანკარასა და სტამბოლში. აჯანყებულებმა სწრაფად დაიკავეს მნიშვნელოვანი პუნქტები: პარლამენტი, მთავრობის დაწესებულებები, აეროდრომები, ფოსტა-ტელეგრაფი, რადიოკვანძი და სხვ. დაიწყო მთავრობის წევრების დაპატიმრება. დაპატიმრებულთა შორის იყვნენ პრეზიდენტი ჯელალ ბაიარი, პრემიერ-მინისტრი ადნან მენდერესი, დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელები, მინისტრები, მეჯლისის დეპუტატები დემოკრატიული პარტიიდან.

დილით თურქეთის ახალი სამხედრო ადმინისტრაციის სახელით რადიოთი გამოვიდა პოლკოვნიკი ალფარსლან თურქეში და გამოაცხადა, რომ ძალაუფლება ხელში აიღეს შეიარაღებულმა ძალებმა. თურქეთში მოხდა სამხედრო გადატრიალება და მთელი ძალაუფლება დროებით მათ ხელში გადავიდა.

თავი IX

თურქეთის მეორე რესპუბლიკა 1961-1980 წლებში

1. თურქეთი 1960 წლის სამხედრო გადატრიალების შემდეგ

1960 წლის სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ, ხელისუფლება ეროვნული ერთობის კომიტეტის ხელში გადავიდა. დროებითი ეროვნული ერთობის კომიტეტი შედგებოდა 38 გენერლისა და ოფიცერისაგან და იგი იყო სახელმწიფოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო. მის თავმჯდომარედ აირჩიეს გენერალი ჯემალ გურსელი, სახმელეთო ჯარების ყოფილი სარდალი. 28 მაისიდან იგი ხელმძღვანელობდა აგრეთვე დროებით მთავრობას, მასში შევიდა 3 გენერალი და 15 სამოქალაქო პირი, რომლებიც არცერთ პოლიტიკურ პარტიას არ ეკუთვნოდნენ.

დროებითმა მთავრობამ გამოაქვეყნა სპეციალური პროგრამა, რომელშიაც მოსახლეობას ჰპირდებოდა: 1. მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლების დაცვას. 2. ანტიდემოკრატიული კანონების გაუქმებას. 3. სახელმწიფო ღონისძიებათა ახალ საფუძველზე განხორციელებას. 4. თანამედროვე მართლწესრიგზე დამყარებული ახალ დემოკრატიულ დაწესებულებათა შექმნას. 5. ეკონომიკური გამნიავებელობისათვის ბოლოს მოღებას და სახელმწიფო დაგეგმის სამმართველოს შემოდებას. 6. ზომების მიღებას ქვეყნის ეკონომიკური და ფინანსური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. 7. მეზობელ ქვეყნებთან და მსოფლიოს ყველა ქვეყანასთან მეგობრული ურთიერთობის შენარჩუნების პრინციპების ერთგულებას. მთავრობამ დევიზად გამოაცხადა ათათურქის პრინციპი: „მშვიდობა ქვეყნის შიგნით, მშვიდობა მთელ მსოფლიოში".


ეროვნული ერთობის კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება ციხეებიდან გაეთავისუფლებინათ წინანდელი მთავრობის მიერ დაპატიმრებული დემონსტრაციებისა და გამოსვლების მონაწილეები.

შეიქმნა უმაღლესი საგამომძიებლო კომისია და უმაღლესი სასამართლო; ყოფილი მთავრობის წევრების, დემოკრატიული პარტიის დეპუტატებისა და სხვა თანამდებობის პირთა დანაშაულის გამოსაძიებლად.

ეროვნული ერთობის კომიტეტმა დროებით აკრძალა პოლიტიკური პარტიების საქმიანობა, ცვლილება შეიტანა „პრესის კანონში", რომლის შედეგადაც აიკრძალა დემოკრატიული პარტიის ჟურნალ-გაზეთების გამოცემა და ნება დართეს იმ გაზეთებისა და ჟურნალების გამოცემას, რომლებიც აკრძალული იყო მენდერესის მთავრობის მიერ.

ეროვნული ერთობის კომიტეტში პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიკური პრობლემების განხილვის დროს გამოიკვეთა ორი დაჯგუფება: ერთი – ზომიერი, რომელსაც მხარს უჭერდა ჯ. გურსელი, მეორე – რადიკალურ-ნაციონალისტური (ახალგაზრდა ოფიცრები), რომელშიაც მნიშვნელოვან როლს თამაშობდა პოლკოვნიკი არფასლან თურქეში, შემდგომში რეაქციული, პროფაშისტური მოძრაობის ლიდერი.

1960 წლის აგვისტოში უთანხმოება კომიტეტში მწვავდებოდა. რადიკალურ-ნაციონალისტური ჯგუფი მოითხოვდა მთავრობის პროგრამის შეცვლას და მთავრობის შემადგენლობაში თავისი მომხრეების შეყვანას. ხანგრძლივი კამათის შემდეგ 25 აგვისტოს ეროვნულმა ერთობის კომიტეტმა 10 მინისტრი გადააყენა.



1960 წელს შეიქმნა კომისია, რომელსაც უნდა შეემუშავებინა თურქეთის ახალი კონსტიტუცია.

1960 წლის სექტემბრის დასაწყისში ჯემალ გურსელის მეთაურობით შეიქმნა ახალი მთავრობა, რომლის უმრავლესობა შედგებოდა პროფესორებისა და მოხელეებისაგან. თავიანთი პოზიციის გასამაგრებლად ზომიერებმა მთავრობის შემადგენლობაში ეროვნული თავდაცვის მინისტრის თანამდებობაზე შეიყვანეს ეროვნული ერთობის კომიტეტის წევრი გენერალი ფაჰრი ოძილეკა. მაშინ, როდესაც თურქეშს არ ჰყავდა თავისი წარმომადგენელი მთავრობაში.

1960 წლის 13 ნოემბერს ზომიერი ჯგუფის მოთხოვნით, ჯელალ გურსელმა ეროვნული კომიტეტის შემადგენლობიდან გამოიყვანა 14 რადიკალური წევრი. ისინი საზღვარგარეთ გაგზავნეს და დანიშნეს მრჩევლებად თურქეთის საელჩოებში.

1961 წლის 4 იანვარს, დამფუძნებელი კრების გახსნამდე ჯემალ გურსელის დროებითი მთავრობა გადადგა. მეორე დღეს გამოცხადდა ახალი მთავრობის შემადგენლობა. ეს იყო მესამე მთავრობა სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ, რომელსაც ჯემალ გურსელი მეთაურობდა. ორი წინა მთავრობისაგან განსხვავებით მის შემადგენლობაში პოლიტიკური პარტიებიდან შევიდნენ ორი სახალხო-რესპუბლიკური პარტიიდან და ერთი – რესპუბლიკურ-გლეხურ-ნაციონალური პარტიიდან.

1960 წლის დეკემბერში ეროვნული ერთობის კომიტეტმა მიიღო კანონი დამფუძნებელი კრების შესახებ. დამფუძნებელი კრება შედგებოდა ეროვნული ერთობის კომიტეტისა და წარმომადგენლობითი პალატის წევრებისაგან. დამფუძნებელ კრებას ჰქონდა საკანონმდებლო ძალაუფლება.

1961 წლის 6 იანვარს დამფუძნებელმა კრებამ დაიწყო მუშაობა. იგი შედგებოდა 295 დეპუტატისაგან, რომელთა უმრავლესობა სახალხო-რესპუბლიკური პარტიის წევრები ან მისი მომხრეები იყვნენ.

დამფუძნებელი კრების მთავარი მიზანი იყო კონსტიტუციისა და საარჩევნო კანონის შემუშავება.

1961 წლის დამდეგს მთავრობამ გადაწყვიტა შეეცვალა არსებული პარტიების სტატუსი და აგრეთვე ახალი პოლიტიკური პარტიების შექმნის წესდება. ამ დროს თურქეთში არსებობდა სახალხო-რესპუბლიკური პარტია და მუშათა და გლეხთა სახალხო პარტია. მოკლე დროში თურქეთში აღმოცენდა რამდენიმე ახალი პოლიტიკური პარტია და მათ რიცხვმა 20-მდე მიაღწია. ახლად დაარსებულ პარტიათა შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ „სამართლიანობისა“ და „ახალი თურქეთის პარტია“. ამ პარტიების წევრების უმეტესობა ყოფილი დემოკრატიული პარტიის წევრები იყვნენ.

2. თურქეთის მეორე რესპუბლიკის კონსტიტუცია

1961 წლის 27 მაისს დამფუძნებელმა კრებამ მოიწონა კონსტიტუციის პროექტი, რომელიც ძალაში შევიდა იმავე წლის 9 ივლისის რეფერენდუმის შედეგად.

ეს იყო თურქეთის რიგით მესამე კონსტიტუცია. პირველი კონსტიტუცია მიიღეს 1876 წლის 23 დეკემბერს. 1877 წლის დეკემბერში აბდულ ჰამიდ II-მ დაითხოვა პარლამენტი. ფორმალურად კონსტიტუცია არ იყო გაუქმებული, მაგრამ ფაქტობრივად 30 წელზე მეტი ხნის განმავლობაში არ მოქმედებდა 1908 წლის ახალგაზრდა თურქთა რევოლუციამდე. მისი აღდგენის, შემდეგ მან იარსება 1924 წლამდე, როდესაც მიიღეს თურქეთის რესპუბლიკის პირველი კონსტიტუცია.

1961 წლის კონსტიტუცია აცხადებდა, რომ თურქეთის რესპუბლიკა არის ეროვნული, დემოკრატიული, საერო, სოციალურ-უფლებრივი სახელმწიფო, სადაც უმაღლესი ხელისუფლება „უსიტყვოდ ეკუთვნის ხალხს“ და ემყარება ადამიანის ძირითად უფლებებს.

კონსტიტუციით საკანონმდებლო ხელისუფლება ეკუთვნოდა პარლამენტს, რომელიც შედგებოდა ორი პალატისაგან: სენატისა (150 წევრი) და ეროვნული პალატისაგან (450 დეპუტატი). აღმასრულებელ ხელისუფლებას ანხორციელებდა პრეზიდენტი, მინისტრთა საბჭო და დამოუკიდებელი სასამართლო.

პრეზიდენტს ირჩევდა პარლამენტი 7 წლის ვადით. ახალი კონსტიტუციით გაძლიერებული იყო პრეზიდენტის ძალაუფლება. მას ჰქონდა მეჯლისის დათხოვნის უფლება, შეეჩერებინა კანონის დამტკიცება და სხვა.

სენატორებს ირჩევდნენ 6 წლით (ყოველ ორ წელიწადში ხდებოდა სენატის ერთი მესამედით განახლება), სენატის 15 წევრს ნიშნავდა პრეზიდენტი, მუდმივი წევრობის უფლებით, მასში შედიოდნენ აგრეთვე ეროვნული ერთობის კომიტეტის წევრები და ყოფილი პრეზიდენტები. ეროვნული კრების დეპუტატებს ირჩევდნენ 4 წლით.

ახალი კონსტიტუციის ძირითადი პრინციპული განსხვავება 1924 წლის კონსტიტუციისაგან გამოიხატებოდა იმაში, რომ გაძლიერდა აღმასრულებელი ხელისუფლება, შეიცვალა პარლამენტის სტრუქტურა (ერთი პალატის ნაცვლად შემოიღეს ორი პალატა) და საკონსტიტუციო სასამართლო.

თურქეთის პირობებში ორპალატიანი სისტემის შემოღება (სენატი და დეპუტატთა პალატა) არ შეიძლება ჩაითვალოს გამართლებულად. ასეთი პალატა საჭიროა მრავალეროვან, ფედერალურ ან კონფედერაციულ სახელმწიფოში. პირველ შემთხვევაში მის შემადგენლობაში შევიდოდნენ სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები, მეორეში – სახელმწიფოს შემადგენლობაში შემავალი რეგიონების (ვილაიეთების) წარმომადგენლები.

სენატის შემოღება აიხსნება მმართველი წრეების მისწრაფებით შეექმნათ ორგანო, რომლის დახმარებითაც შესაძლებელი იქნებოდა საჭირო მიმართულებით შეეზღუდათ დიდი ეროვნული კრების საქმიანობა.

რელიგიური აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლების შესახებ კონსტიტუციაში ჩაწერილია: „რელიგიის სწავლება ხორციელდება სახელმწიფოს კონტროლისა და ზედამხედველობის ქვეშ“, ხოლო დაწყებით და საშუალო სკოლებში რელიგიისა და მორალის სწავლება შეტანილ იქნა აუცილებელ დისციპლინად.

მიუხედავად სახელმწიფოს „კონტროლისა“ და „ზედამხედველობისა“, ისლამის მიმდევართა რიცხვი სწრაფად იზრდება და სახელმწიფო კონტროლს მიღმა რჩება.

კონსტიტუცია პირველად ანიჭებდა სახელმწიფოს უფლებას, მიეღო აუცილებელი ზომები უმიწო და მცირე მიწის მქონე გლეხების უზრუნველყოფისათვის. მაგრამ მთავრობას ამ მუხლის რეალიზაციის მიზნით რეალურად არაფითარი ნაბიჯი არ გადაუდგამს.

თურქეთის ახალი კონსტიტუცია, მიუხედავად ზოგიერთი ნაკლისა, წინგადადგმული ნაბიჯი იყო ქვეყანაში დემოკრატიის დამკვიდრების საქმეში.

1961 წლის მაისში მიიღეს ახალი საარჩევნო კანონი, რომლის მიხედვითაც არჩევნებში მონაწილეობის უფლება ჰქონდა 21 წლის მოქალაქეებს, ხოლო პასიური საარჩევნო უფლება სენატის კანდიდატ დეპუტატისა იყო 40 წელი, ეროვნული პარლამენტის დეპუტატისა – 30 წელი. სენატის დეპუტატებს ირჩევდნენ მაჟორიტარული წესით, ხოლო ეროვნულ პალატაში – პროპორციული სისტემით.

1961 წლის კონსტიტუციის მიღების შედეგად თურქეთში დამყარდა მეორე რესპუბლიკა.

3. თურქეთის შიდაპოლიტიკური მდგომარეობა 1961-1970 წლებში

1961 წლის 15 სექტემბერს დამთავრდა სასამართლო პროცესი დემოკრატიული პარტიის ლიდერებისა და მათი მომხრეების წინააღმდეგ. პროცესი მიმდინარეობდა მარმარილოს ზღვაში მდებარე კუნძულ იასიადაზე. სასამართლო პროცესზე გამოვლინდა ბაიარ-მენდერესის მთავრობის წევრებისა და მათი მომხრეების ბოროტმოქმედებები, რომლებიც მათ ჩაიდინეს ქვეყნის წინაშე: დემონსტრანტების დახვრეტა, დიდძალი სახსრების მითვისება, ქრთამების აღება, უცხოურ კომპანიებთან უკანონო გარიგებანი ხალხის ინტერესების საწინააღმდეგოდ და სხვ.



პრეზიდენტი ჯემალ გურსელი (1961-1966)


პასუხისგებაში მიცემული 592 კაციდან სასამართლომ 4 კაცს სიკვდილით დასჯა მიუსაჯა: მათ შორის ყოფილ პრეზიდენტ ჯელალ ბაიარს სიკვდილი სამუდამო პატიმრობით შეეცვალა, ხოლო შემდეგ ამნისტიით გაანთავისუფლეს. ყოფილი პრემიერ-მინისტრი მენდერესი, ფინანსთა მინისტრი ფოლატკანი და საგარეო საქმეთა მინისტრი ზორლუ ჩამოახრჩეს (ყოფილმა შინაგან საქმეთა მინისტრმა ნაქიმ გედიქმა ჯერ კიდევ პროცესის დაწყებამდე თავი მოიკლა). 461 კაცს მიესაჯა სხვადასხვა ვადით პატიმრობა, დანარჩენები გაანთავისუფლეს.

ეს განაჩენი იყო ბოლო ეტაპი სამხედრო დიქტატურიდან სამოქალაქო მმართველობისაკენ გადასვლაზე.

1961 წლის 24 სექტემბერს დაიწყო წინასაარჩევნო კამპანია. მასში ძირითადად ოთხი პარტია იღებდა მონაწილეობას: სახალხო რესპუბლიკური პარტია (სრპ), სამართლიანობის

პარტია (სპ), ახალი თურქეთის პარტია (ათპ) და მუშათა და გლეხთა სახალხო პარტია (მგსპ).

სხვა პარტიები არ იქნენ დაშვებული წინასაარჩევნო კამპანიაში, რადგან მათ ვერ შეძლეს 15-ზე მეტ ვილაიეთში თავიანთი პუნქტების გახსნა, რასაც მოითხოვდა საარჩევნო კანონი. მთელ ქვეყანაში მიმდინარეობდა წინასაარჩევნო კამპანია.



ბოღაზის უნივერსიტეტი სტამბოლში

1961 წლის 15 ოქტომბერს ჩატარდა არჩევნები პარლამენტში. არჩევნების შედეგად სამართლიანობის პარტიამ (სპ) მიიღო სენატში 70 მანდატი, ეროვნულ პალატაში – 158, სახალხო-რესპუბლიკურმა პარტიამ (სრპ) – შესაბამისად 36 და 174, ახალი თურქეთის პარტიამ (ათპ) – 28 და 65, და მუშათა და გლეხთა სახალხო პარტიამ (მგსპ) – 15 და 54.

სულ ეროვნულ პალატაში აირჩიეს 450 დეპუტატი, ხოლო სენატში – 150. ამას გარდა, სენატში მუდმივ წევრებად შეიყვანეს ეროვნული ერთობის კომიტეტის 21 წევრი და აგრეთვე პრეზიდენტის მიერ დანიშნული 15 სენატორი.

ამრიგად, სულ თურქეთის ეროვნული კრება (მეჯლისი) შედგებოდა 636 დეპუტატისა და სენატორისაგან.

1961 წლის 26 ოქტომბერს თურქეთის დიდმა ეროვნულმა კრებამ (მეჯლისი) ჯემალ გურსელი აირჩია რესპუბლიკის პრეზიდენტად.


ჯემალ გურსელი დაიბადა ერზურუმში 1895 წელს. დაწყებითი განათლება ორდუში მიიღო, საშუალო – ერზინჯანში, შემდეგ დაამთავრა სტამბოლის სამხედრო ლიცეუმში. 1915-1917 წლებში იყო არტილერიის ოფიცერი და მონაწილეობა მიიღო ჩანაკალეს დაცვაში. შემდეგ იბრძოდა პალესტინისა და სირიის ფრონტებზე. ეროვნულ-განმათავისუფლებელი ომის დროს იბრძოდა დასავლეთის ფრონტზე.

1929 წელს დაამთავრა სამხედრო აკადემია. 1946 წლიდან მაღალი სამხედრო თანამდებობები ეკავა. 1958 წელს დაინიშნა სახმელეთო ჯარების მთავარსარდლად.

პრეზიდენტმა მთავრობის შედგენა დაავალა სახალხო-რესპუბლიკური პარტიის ლიდერს ისმეთ ინონუს. ვინაიდან პარლამენტში არცერთ პარტიას არ ჰქონდა აბსოლუტური უმრავლესობა, პირველად თურქეთის ისტორიაში შეიქმნა კოალიციური მთავრობა, რომელშიაც შევიდნენ სახალხო-რესპუბლიკური და სამართლიანობის პარტიების წარმომადგენლები.

პარლამენტში არჩევნების ჩატარებასთან ერთად ვადა გაუვიდა ერთობის ეროვნულ კომიტეტს. 24 ოქტომბერს მიიღეს დადგენილება მისი დათხოვნის შესახებ და, კონსტიტუციის შესაბამისად, მისი წევრები გახდნენ სენატორები.

პარლამენტის არჩევნებში დიდი წარმატება მოიპოვა სამართლიანობის პარტიამ, რომელმაც თავის რიგებში გააერთიანა ყოფილი დემოკრატიული პარტიის მრავალი



ანკარის ეროვნული ბიბლიოთეკა

წევრი. ამავე დროს არჩევნების შედეგად გაირკვა, რომ ვერცერთმა პარტიამ ვერ შეძლო მოეპოვებინა ხმების უმრავლესობა თურქეთის დიდ ეროვნულ კრებაში. ამასთან დაკავშირებით პირველად თურქეთის რესპუბლიკის ისტორიაში დაისვა საკითხი კოალიციური მთავრობის შექმნის შესახებ. 1961 წლის ნოემბერში პრეზიდენტმა ჯემალ გურსელმა პირველი კოალიციური მთავრობის შედგენა დაავალა ისმეთ ინონუს, სახალხო-რესპუბლიკური პარტიის ლიდერს. კოალიციური მთავრობის შემადგენლობაში შევიდა სახალხო-რესპუბლიკური და სამართლიანობის პარტიის წევრები.

ახალი მთავრობის პროგრამაში ნათქვამი იყო, რომ მთავრობის მიზანია დაძლიოს ეკონომიკური ჩამორჩენილობა და ახლო მომავალში დაეწიოს მოწინავე ქვეყნებს. ამ მიზნის მისაღწევად გათვალისწინებული იყო კაპიტალდაბანდებების გადიდება სახელმწიფო და კერძო ეკონომიკური შიდა ანგარიშით და უცხოეთის კაპიტალის მიზიდვით, კერძო ინიციატივის ყოველგვარი წახალისება.

საგარეო პოლიტიკის დარგში მთავრობის პოლიტიკა ითვალისწინებდა ძველი მემკვიდრეობის შენარჩუნებასა და გაფართოებას. იგი ერთგული რჩებოდა ნატოსა და სენტოს ბლოკებისა და განაგრძობდა მათთან მჭიდრო თანამშრომლობას. მართალია, ახალმა მთავრობამ განაცხადა, რომ იგი აღადგენდა ათათურქის საგარეო პოლიტიკის პრინციპებს, მაგრამ სინამდვილეში რაიმე ახალი არ შეუტანია. თუ არ გავითვალისწინებთ, რომ ერთგვარად გაუმჯობესდა ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან.

ახალი კოალიციური მთავრობა უძლური აღმოჩნდა გადაეჭრა გადაუდებელი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები. ამის მიზეზი იყო დამხობილი მთავრობის მომხრეებთან ურთიერთობა, რომლის ერთი ნაწილი დემოკრატიული პარტიის წევრები იყვნენ და მოითხოვდნენ გასამართლებული პოლიტიკური დამნაშავეების სრულ ამნისტიას. სახალხო-რესპუბლიკური პარტია ამის წინააღმდეგი იყო.

პოლიტიკური ვითარება ქვეყანაში დაიძაბა. უკმაყოფილო იყვნენ მუშები, რომელთა მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა. გლეხობა კვლავ ათასგვარი გადასახადებით იყო დაბეგრილი და მევახშეების კაბალაში იმყოფებოდა. წვრილი ბურჟუაზია და ინტელიგენცია მოელოდა რადიკალურ გარდაქმნებს, მაგრამ მათი იმედები არ გამართლდა. უკმაყოფილება სუფევდა არმიაშიც, ახალგაზრდა ოფიცრების ნაწილი – ეროვნული ერთიანობის კომიტეტის რადიკალურ დაჯგუფებას უჭერდა მხარს.



სტამბოლის უნივერსიტეტი

მენდერესის ყოფილი მთავრობის მომხრეები თურქეთის ქალაქებში მართავდნენ მიტინგებსა და დემონსტრაციებს და მოითხოვდნენ მეჯლისისაგან დაუყოვნებლივ გამოცხადებულიყო საყოველთაო ამნისტია პოლიტიკური პატიმრების მიმართ. პარლამენტში გაძლიერდა დემოკრატიული პარტიის მემარჯვენეების გამოსვლები სახალხო-რესპუბლიკური პარტიის წინააღმდეგ. დაიწყო ყოფილი დემოკრატიული პარტიის წევრებისა და იმ ოფიცრების დაპატიმრება, რომლებიც უთანაგრძნობდნენ და მხარს უჭერდნენ „ოთხთა“ მოთხოვნებს.

პოლიტიკური კრიზისი კიდევ უფრო მწვავდებოდა, 1962 წლის 22 თებერვლის საღამოს ანკარის სამხედრო სასწავლებლის კურსანტებმა, რომლებმაც აქტიური როლი შეასრულეს ბაიარ-მენდერესის რეჟიმის დამხობაში, აგრეთვე სატანკო სასწავლებლის კურსანტებმა და ჟანდარმერიის სკოლის ოფიცრებმა თავიანთი მეთაურების ბრძანებით ალყა შემოარტყეს მეჯლისს, პრეზიდენტის სასახლესა და მთავრობის რადიოსადგურს. აჯანყებაში მონაწილეობა მიიღო 8 ათასმა სამხედრომ და მათ შორის 500 ოფიცერმა. მათი ხელმძღვანელი იყო ანკარის სამხედრო სკოლის მეთაური პოლკოვნიკი თალათ აიდემირი. მაგრამ მათ არ ჰქონდათ მოქმედების საერთო გეგმა. გათენებისას ანკარაში შევიდნენ მთავრობის ერთგული სამხედრო ნაწილები და აჯანყებულები დანებდნენ. 300-მდე სამხედრო დააპატიმრეს, 69 ოფიცერი სათადარიგოში გადაიყვანეს.

მსგავსი მოვლენების აღკვეთის მიზნით, 1962 წლის მარტში მეჯლისმა მიიღო კანონი წესრიგის დაცვის შესახებ, რომელიც ითვალისწინებდა მკაცრი ზომების მიღებას „კანონიერი ხელისუფლების“ დასაცავად.

1962 წლის 31 მაისს ისმეთ ინონუს კოალიციური მთავრობა გადადგა. კოალიციურმა მთავრობამ შვიდ თვეს იარსებნა.

მთავრობის კრიზისი ერთ თვეს გაგრძელდა. 7 ივნისს მეორე კოალიციური მთავრობის შედგენა კვლავ ისმეთ ინონუს დაავალეს. მის შემადგენლობაში შევიდნენ: სახალხო-რესპუბლიკური პარტიის 12 წარმომადგენელი, ახალი თურქეთის პარტიის – 6 და რესპუბლიკურ ეროვნული-გლეხური პარტიის – 4, და ერთიც „დამოუკიდებელი“. ახალი მთავრობის შემადგენლობაში არ შევიდნენ სამართლიანობის პარტიის წარმომადგენლები. მთავრობაში წამყვანი ადგილი დაიკავეს სახალხო-რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენლებმა.

ახალმა მთავრობამ გამოაქვეყნა სახელმძღვანელო პროგრამა, რომელიც ძალზე ბუნდოვანი იყო. მასში ნათქვამი იყო, რომ მოგვარებული იქნებოდა ქვეყნის საჭირბოროტო პრობლემები. ასეთმა ზოგადმა დაპირებებმა ხალხის მასებში უკმაყოფილება გამოიწვია.

მიუხედავად საპროტესტო გამოსვლებისა, 1962 წლის 16 ოქტომბერს მეჯლისმა მიიღო კანონი მენდერესის რეჟიმის მომხრეთა ნაწილობრივი ამნისტიის შესახებ.

სამართლიანობის პარტიის მომხრეებმა მიაღწიეს რა ნაწილობრივ ამნისტიას, 1963 წლიდან გააძლიერეს კამპანია მორიგი ამნისტიის მოთხოვნით. 1963 წლის თებერვალში პარლამენტმა მოიწონა კანონი ამნისტიის შესახებ, რომელიც შეეხო მსჯავრმისჯილთა დაახლოებით 10 ათას კაცს.

ცხარე დებატები გაიმართა ყოფილი პრეზიდენტის ჯელალ ბაიარის პატიმრობიდან განთავისულებასთან დაკავშირებით. მემარჯვენე ძალების ზემოქმედების შედეგად, ჯელალ ბაიარის ავადმყოფობის გამო, იგი 6 თვით გაანთავისუფლეს პატიმრობიდან. პროგრესული ძალებისა და, კერძოდ, სტუდენტების მოთხოვნით, მთავრობა იძულებული გახდა ჯელალ ბაიარი კვლავ აეყვანა პატიმრობაში. მაგრამ შემდგომ იგი მაინც გაათავისუფლეს ავადმყოფობის გამო.

1963 წლის გაზაფხულზე მდგომარეობა კვლავ დაიძაბა. 20 მაისს ანკარაში ადგილი ჰქონდა მორიგ სახელმწიფო გადატრიალების ცდას. მთავრობის წინააღმდეგ კვლავ გამოვიდნენ ანკარის სამხედრო სასწავლებლის კურსანტები და ზოგიერთი სამხედრო ნაწილი. აჯანყებულების წინააღმდეგ მთავრობამ სასწრაფოდ გადაისროლა სატანკო ნაწილები. 21 მაისს აჯანყებულთა წინააღმდეგობა დაძლეულ იქნა და ისინი დანებდნენ.

1963 წლის ივლისში ანკარაში დაიწყო სასამართლო პროცესი აჯანყებულთა პირველი ჯგუფის წინააღმდეგ. გაასამართლეს პოლკოვნიკი თ. აიდემირი და კიდევ 150 კაცი. სამხედრო ტრიბუნალმა 7 კაცს მიუსაჯა სიკვდილი, მათ შორის თ. აიდემირს მუდმივი პატიმრობა 24 – ოფიცერს, დანარჩენებს სხვადასხვა ვადით პატიმრობა, 45 კაცი, მათ შორის ა. თურქეში, გაასამართლეს.

მეორე სამხედრო ტრიბუნალმა განიხილა ანკარის სამხედრო სკოლის 1499 სტუდენტის მონაწილეობა აჯანყებაში. 166 სტუდენტს მიესაჯა სხვადასხვა წლით პატიმრობა. 1293 კურსანტი გაამართლეს, მაგრამ გარიცხეს სამხედრო სასწავლებლიდან.

ქვეყანაში შიდაპოლიტიკური მდგომარეობა კვლავ დაძაბული იყო. ახლოვდებოდა მუნიციპალური არჩევნები, რომელიც ჩატარდა 1963 წლის 17 ნოემბერს. გამარჯვება მოიპოვა სამართლიანობის პარტიამ. მან ხმების თითქმის ნახევარი მიიღო. ამან დაუყოვნებლივ გამოიწვია კოალიციის დაშლა და მეორე კოალიციური მთავრობის გადადგომა. პრეზიდენტთან და პოლიტიკური პარტიების ლიდერებთან ხანგრძლივი კონსულტაციის შედეგად, 1963 წლის დეკემბერში შეიქმნა მესამე კოალიციური მთავრობა. ახალი მთავრობის შექმნა კვლავ ისმეთ ინონუს დაავალეს. სახალხო-რესპუბლიკური პარტიის წევრების გარდა მთავრობის შემადგენლობაში შევიდნენ მხოლოდ „დამოუკიდებლები“. 1961 წლის არჩევნების შემდეგ, ფაქტობრივად, პირველად შეიქმნა მთავრობა, რომელშიც შევიდნენ მხოლოდ ერთი პარტიის წარმომადგენლები.

მთავრობა დაპირდა ხალხს ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას, უმიწაწყლო გლეხებისათვის მიწის გამოყოფას, მცირე მიწის მქონე გლეხებისათვის დახმარების აღმოჩენას, სამართლიანი საგადასახადო პოლიტიკის გატარებასა და სხვ. მაგრამ ეს დაპირებები მხოლოდ ქაღალდზე დარჩა.

1964 წლის 7 ივლისს სამართლიანობის პარტიის გამარჯვებით დამთავრდა სენატის ნაწილობრივი არჩევნები. ამან კიდევ უფრო მეტად შეარყია მესამე მთავრობის პოზიციები, რომელიც სახალხო-რესპუბლიკური პარტიის მხარდაჭერას ემყარებოდა.

ასეთ ვითარებაში, 1965 წლის 13 თებერვალს ისმეთ ინონუს მესამე მთავრობა გადადგა და 20 თებერვალს შეიქმნა მეოთხე კოალიციური მთავრობა. მასში შევიდნენ ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები: სამართლიანობის პარტიის 11 წევრი, მუშურ-გლეხურ-ნაციონალისტურის – ახალი, თურქეთისა – 4, და ნაციონალისტურის 4. მთავრობის მეთაური გახდა „დამოუკიდებელი" პოლიტიკური მოღვაწე სენატორი სუათ ჰაირი ურგოპლუ. წამყვან როლს ახალ მთავრობაში ასრულებდა სამართლიანობის პარტია.

1961 წლის არჩევნების შემდეგ ეს იყო პირველი მთავრობა, რომელშიაც არ იყო სახალხო-რესპუბლიკური პარტიის არცერთი წარმომადგენელი.

ურგოპლუს მთავრობის პროგრამა, ფაქტობრივად, არ განსხვავდებოდა წინარე მთავრობების პროგრამისაგან. მიუხედავად ამისა, საგარეო პოლიტიკის დარგში შეიმჩნეოდა ახალი ტენდენციები – გაეტარებინა შედარებით დამოუკიდებელი პოლიტიკა ნატოს მიმართ და ურთიერთობის გაუმჯობესება საბჭოთა კავშირსა და სოციალისტურ სახელმწიფოებთან.

ქვეყნის მნიშვნელოვანი მოვლენა იყო 1965 წლის 10 ოქტომბერს პარლამენტში ჩატარებული არჩევნები.

არჩევნებში გაიმარჯვა სამართლიანობის პარტიამ. მან შეაგროვა ხმების 56-58 % და პარლამენტში გაიყვანა 240 დეპუტატი. სერიოზული მარცხი განიცადა სახალხო-რესპუბლიკურმა პარტიამ, რომელმაც მიიღო ხმების 36 % და შესაბამისად პარლამენტში მხოლოდ 134 მანდატი. ეროვნულმა პარტიამ მიიღო 31 ადგილი, ახალი თურქეთის პარტიამ – 19, მუშურ-გლეხურმა ეროვნულმა პარტიამ – 11, თურქეთის მუშათა პარტიამ – 11.

არჩევნებში გამარჯვების შედეგად სამართლიანობის პარტიამ მიიღო უფლება შეედგინა ერთპარტიული მთავრობა. ახალი მთავრობის პრემიერ-მინისტრი გახდა სამართლინობის პარტიის ლიდერი სულეიმან დემირელი.

ამგვარად დაიშალა კოალიციური მთავრობა და კვლავ შეიქმნა ერთპარტიული მთავრობა. დემოკრატიული მთავრობის ერთპარტიულმა მთავრობამ სულეიმან დემირელის მეთაურობით იარსება 1971 წლის 12 მარტამდე.

სამართლიანობის პარტია გამოხატავდა მსხვილი ბურჟუაზიისა და მემამულეების ინტერესებს. მისი პროგრამა ითვალისწინებდა თურქეთში უცხოეთის კაპიტალის მოზიდვას. მთავრობა გამოვიდა მიწის რეფორმის წინააღმდეგ. საგარეო პოლიტიკაში იგი, ისევე როგორც წინარე მთავრობები, მომხრე იყო ნატოსა და სენტოს ბლოკებში მონაწილეობისა და ქვეყანაში აშშ-ის სამხედრო ბაზების შენარჩუნებისა.

სახელმწიფოს სათავეში მოსვლის შემდეგ, სამართლიანობის პარტიამ მიიღო ზომები სახელმწიფო მმართველობის აპარატზე თავისი კონტროლის დასამყარებლად. გადაყენებული იქნენ გუბერნატორები, ქალაქების მერები, პროკურორები, მოსამართლეები, დიდმოხელეები; ცვლილებები განხორციელდა არმიაში, ჟანდარმერიაში, პოლიციაში. სახელმწიფოს მაღალ თანამდებობებზე დანიშნეს სამართლიანობის პარტიის მომხრეები.

სამართლიანობის პარტიის მთავრობამ მოამზადა კანონპროექტი ყოფილი დემოკრატიული პარტიის წევრების ამნისტიის შესახებ. მაგრამ ამის წინააღმდეგ გამოვიდნენ ოპოზიციური პარტიები და ეს კანონპროექტი შეჩერებულ იქნა.

ამ დროს თურქეთის პრეზიდენტი ჯემალ გურსელი მძიმედ ავად იყო და აღარ შეეძლო მეჯლისის საქმიანობაში მონაწილეობის მიღება. 1966 წლის, 28 მარტს ორივე პალატის გაერთიანებულ სესიაზე პრეზიდენტად აირჩიეს გენერალი ჯევდეთ სუნაი, თურქეთის გენერალური შტაბის უფროსი.



პრეზიდენტი ჯევდეთ სუნაი (1966-1973)

ჯევდეთ სუნაი დაიბადა ტრაპიზონში 1899 წელს. დაწყებითი და საშუალო განათლება მიიღო ერზურუმში, კერკუკში, ედირნეში და დაამთავრა კულელის სამხედრო ლიცეუმი. პირველი მსოფლიო ომის დროს იყო ოფიცერი და იბრძოდა პალესტინის ფრონტზე. 1916 წელს ეგვიპტეში ინგლისელებმა იგი დაატყვევეს. ტყვეობიდან დაბრუნების შემდეგ, მონაწილეობა მიიღო ეროვნულ-განმათავისუფლებელ ომში. ჯერ სამხრეთის, შემდეგ – დასავლეთის ფრონტზე. 1930 წელს დაამთავრა სამხედრო აკადემია. შეიარაღებულ ძალებში ეკავა სხვადასხვა მაღალი თანამდებობა. 1960 წელს დაინიშნა გენერალური შტაბის უფროსად, ხოლო 1966 წელს სენატის წევრად აირჩიეს.

1966 წლის ივნისში თურქეთში ჩატარდა ნაწილობრივი არჩევნები სენატში 52 ადგილიდან სამართლიანობის პარტიამ მიიღო 35 ადგილი, სახალხო-რესპუბლიკურმა პარტიამ – 13 ადგილი, დანარჩენმა პარტიებმა თითო-თითო ადგილი.

1960 წლის სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ, თურქეთში კვლავ თავი იჩინა ტენდენციამ, მოეხდინათ ეკონომიკის დაგეგმვა. თურქეთისათვის ეს უცხო არ იყო. ჯერ კიდევ 30-იან წლებში, საბჭოთა კავშირის მიბაძვით, შემუშავებულ იქნა ხუთწლიანი გეგმა.

ამის გამოხატულება იყო 1960 წლის სექტემბერში სახელმწიფო საგეგმო ორგანიზაციის დაარსება, რომელსაც დაევალა ხუთწლიანი გეგმის შემუშავება. 1962 წლის სექტემბრისათვის სახელმწიფო საგეგმო ორგანიზაციამ დაამთავრა ხუთწლიანი გეგმის შემუშავება და იგი გადასცა პარლამენტს დასამტკიცებლად. რეაქციული ძალების წინააღმდეგობის მიუხედავად, 1962 წლის ნოემბერში პარლამენტმა დაამტკიცა თურქეთის ეკონომიკური განვითარების ხუთწლიანი გეგმა (1963-1968 წწ.). იგი ითვალისწინებდა ეროვნული შემოსავლის გადიდებას (სახელმწიფო და კერძო სექტორის) საშუალოდ 7 %-ით. ხუთწლედის ბოლოს სამრეწველო წარმოების წილი ეროვნული შემოსავალი უნდა გაზრდილიყო 16,8 %-დან 21,4 %-მდე. სათანადო სახსრების 75 % ადგილობრივი რესურსებიდან უნდა შეკრებილიყო, დანარჩენი თურქეთს უნდა მიეღო უცხოური სესხებისა და დახმარების სახით 11,3 მლრდ. ლირა. ხუთი წლის განმავლობაში სახელმწიფო და კერძო კაპიტალდაბანდებანი შეადგენდა 59646,8 მილ. ლირას. აქედან 10548,4 მილ. ლირა (17,7 %) მოდიოდა სოფლის მეურნეობაზე, 18456,2 მილ. ლირა (30,9 %) – მრეწველობაზე, 12116 მილ (20,3 %) – მშენებლობაზე, 8159,4 მილ. (139 %) – ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაზე, 4227 მილ. (7,1 %), 1346,9 მილ. 2,3 %) – ლირა მისტმარდესი და განათლების განვითარებას, 2,3 % ჯანდაცვის სფეროს, ხოლო დანარჩენი თანხა – სხვა დარგებს.

სოფლის მეურნეობის პროდუქცია უნდა გაზრდილიყო 25,6 %-ით, ნედლეულის გადამამუშავებელი მრეწველობა – 52,9 %, გადამამუშავებელი – 72,8 %, ენერგეტიკა – 83, 9%-ით. მთელი ეროვნული შემოსავალი უნდა გაზრდილიყო 40 %-ით.

პირველი ხუთწლიანი გეგმა მხოლოდ ნაწილობრივ განხორციელდა, ამის მთავარი მიზეზი იყო ის, რომ ვერ მოხერხდა მისი დაფინანსება. მიუხედავად ამისა, თურქეთისათვის მას სერიოზული მნიშვნელობა ჰქონდა. მოწინავე საზოგადოება ხუთწლიან გეგმას დადებითად შეხვდა.

1968 წელს დაიწყო თურქეთის ეკონომიკური განვითარების მეორე ხუთწლიანი 1968-1972 წლების გეგმის შესრულება. იგი ითვალისწინებდა განვითარების საშუა-

ლო წლიურ ტემპს 7 %-ის ოდენობით, ხოლო სამრეწველო განვითარების ტემპი 12 % უნდა ყოფილიყო. ამ გეგმის შესრულებაში დიდი როლი შეასრულა საბჭოთა კავშირმა. მისი დახმარებით აიგო 7 საწარმო. მათ შორის მეტალურგიული, ნავთობგადამამუშავებელი, მინის ქარხნები და სხვა.

1968 წლის მარტში სამთავრობო პარტიამ შესძლო პარლამენტში დაემტკიცებინა ახალი საარჩევნო კანონი, რომელიც მისთვის სასარგებლო იყო.

1968 წლის 2 ივლისს ჩატარდა სენატის ნაწილობრივი არჩევნები. არჩევნებში სამართლიანობის პარტიამ მიიღო ხმების 50 %-მდე, 6 %-ით ნაკლები, ვიდრე წინა არჩევნების დროს, მაგრამ ახალი საარჩევნო კანონის წყალობით, სამთავრობო პარტიამ სენატში 53 ადგილიდან მიიღო 38. ამას გარდა, სამართლიანობის პარტიის წარმომადგენლებმა ეროვნულ პალატაში მიიღეს ხუთი ვაკანტური ადგილი.



ანკარა

1969 წლის ოქტომბერში ჩატარდა არჩევნები პარლამენტში. არჩევნებში მონაწილეობა მიიღო რვა პოლიტიკურმა პარტიამ: სამართლიანობის პარტიამ (სპ) სახალხო-რესპუბლიკურმა პარტიამ (რსპ), თურქეთის მუშათა პარტიამ (თმპ) ახალი თურქეთის პარტიამ (ათპ), ნდობის პარტიამ (ნპ), ეროვნულმა პარტიამ (ეპ), ეროვნული მოძრაობის პარტიამ (ემპ), ერთობის პარტიამ (ეპ).

არჩევნების შედეგად დეპუტატების ადგილები შემდეგნაირად განაწილდა: სამართლიანობის პარტიამ მიიღო 260 ადგილი, სახალხო-რესპუბლიკურმა პარტიამ – 144, ნდობის პარტიამ – 14, ერთობის პარტიამ – 7, სახალხო პარტიამ – 6, ახალი თურქეთის პარტიამ – 3, თურქეთის მუშათა პარტიამ – 2, ეროვნული მოძრაობის პარტიამ – 1, „დამოუკიდებლებმა“ – 13.

1969 წლის არჩევნებმა დაადასტურა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში სამართლიანობის პარტიის წამყვანი როლი.

არჩევნების შემდეგ სულეიმან დემირელმა შეადგინა ახალი ერთპარტიული მთავრობა.

მთავრობის პროგრამის მიხედვით, იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის განვითარებას. საგარეო პოლიტიკაში მთავრობა კვლავ რჩებოდა აშშ-ის სანდო პარტნიორად და ამავე დროს განავითარებდა ურთიერთობას საბჭოთა კავშირსა და სოციალისტურ სახელმწიფოებთან.

1969 წლის ნოემბრის დასაწყისში სამართლიანობის პარტიამ მეჯლისს მიაღებინა „კანონი პოლიტიკური ამნისტიის შესახებ“. ამ კანონით ისარგებლა ყოფილმა

დემოკრატიული პარტიის 500-ზე მეტმა წევრმა, რომლებსაც ჩამორთმეული ჰქონდა პოლიტიკური უფლებები 1960 წლის გადატრიალების შემდეგ.

ამ გადაწყვეტილებამ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია თურქეთის პროგრესულ საზოგადოებაში. გაიზარდა უკმაყოფილება თვით სამართლიანობის პარტიის რიგებში. 1970 წლის თებერვალში სამართლიანობის პარტიის 42 დეპუტატმა უარყოფითი ხმა მისცა ახალ საბიუჯეტო კანონს და იგი ჩავარდა. ამან გამოიწვია მთავრობის გადადგომა.

4. პოლიტიკური კრიზისის გამწვავება და 1971 წლის 12 მარტის უმაღლესი სამხედრო საბჭოს მემორანდუმი

1970 წლის მარტში სულეიმან დემირელმა კვლავ შეადგინა ახალი მთავრობა. მთავრობის ახალი პროგრამა ძველი პროგრამის სრული გამეორება იყო. სამართლიანობის პარტიის მთავრობა განაგრძობდა დემოკრატიული მოძრაობის ჩახშობასა და მშრომელი მასების წინააღმდეგ ბრძოლას.


სულეიმან დემირელმა მეჯლისში განსახილველად შეიტანა კანონპროექტი, რომელიც ზღუდავდა დემოკრატიულ უფლებებს. ამ კანონპროექტის წინააღმდეგ გამოვიდა თურქეთის რევოლუციური პროფკავშირების კონფედერაცია. მისი მოწოდებით მუშებმა დაიწყეს გაფიცვები და დემონსტრაციები. განსაკუთრებით მრავალრიცხოვანი სვლა მოეწყო 1971 წლის 15-16 ივნისს სტამბოლ-იზმირის გზაზე, სადაც თავმოყრილია სამრეწველო საწარმოებების მნიშვნელოვანი ნაწილი. დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო 100 ათასმა მუშამ. ეს იყო ყველაზე ხალხმრავალი გამოსვლა თურქეთის ისტორიაში.

დემოკრატიული პარტიის მთავრობას შეეშინდა მუშათა მოძრაობის გაძლიერებისა და მიიღო გადაწყვეტილება ერთი თვით სტამბოლსა და იზმირში გამოეცხადებინა საგანგებო მდგომარეობა. მუშების წინააღმდეგ საბრძოლველად მობილიზირებულ იქნა პოლიცია, ჟანდარმერია და სამხედრო ნაწილები. პირველად, 1960 წლის 27 მაისის სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ, სტამბოლის ქუჩებში გამოჩნდნენ ტანკები და ჯავშან-მანქანები. მთავრობამ შემოიღო სამხედრო ტრიბუნალები, რომლებმაც დაიწყეს სასამართლო პროცესი 15-16 ივნისის დემონსტრანტების წინააღმდეგ.

დაიწყო პროგრესული მოღვაწეების დაპატიმრება და აგრეთვე გატარდა ღონისძიებები დემოკრატიული მემარცხენე პრესის ჩახშობის მიზნით. 1970 წლის აგვისტოში აიკრძალა პროგრესული ჟურნალის „ანტის“ გამოცემა. ამ ჟურნალის 112 თანამშრომლის წინააღმდეგ აღძრული იყო სასამართლო საქმე, რომლის მიხედვითაც მათ ემუქრებოდა 582 წლის პატიმრობა.

რეპრესიულ ღონისძიებებთან ერთად, მმართველი წრეები განაგრძობდნენ საკანონმდებლო აქტების მიღებას, მუშათა მოძრაობის ჩახშობის მიზნით.

1970 წლის ივლისის შუა რიცხვებში თურქეთის დიდმა ეროვნულმა კრებამ შეიტანა ცვლილებები პროფკავშირებისა და გაფიცვების კანონმდებლობებში. 1970 წლის ნოემბერში გაუქმებულ იქნა 1967 წლის „კანონი შრომის შესახებ“. საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღო დადგენილება, რომ ეს კანონი არ შეესაბამება თურქეთის სოციალურ-ეკონომიკურ პირობებს.



თურქეთის მონაწილეობა სენტოს სესიაზე (1970 წ. 17 მაისი)

მიუხედავად მასობრივი რეპრესიებისა, მუშათა გამოსვლები გრძელდებოდა. მუშათა მოძრაობამ თავის კულმინაციას მიაღწია 1970 წელს. ამ წელს მოეწყო ყველაზე მეტი მუშათა გაფიცვა, გამოსვლები გაგრძელდა 1971 წლის დამდეგამდე.

მოძრაობაში ჩაებნენ გლეხებიც, რადგან მათ დაკარგეს იმედი აგრარული რეფორმის ჩატარებისა, რიგ რაიონებში დაიწყეს ძალით მიწების მიტაცება.

ფართო ხასიათი მიიღო სტუდენტების გამოსვლებმა. ისინი მოითხოვდნენ სოციალ-ეკონომიკურ გარდაქმნებს. გამოსვლებში მონაწილეობას იღებდნენ ახალგაზრდათა მემარცხენე დაჯგუფებები. დემონსტრანტები მოითხოვდნენ დემირელის მთავრობის გადადგომას.

სამართლიანობის პარტიის შიგნით გაძლიერდა უთანხმოებები. 1970 წლის ივლისის ბოლოს სამართლიანობის პარტიის რიგებიდან გარიცხულ იქნა 26 დეპუტატი „პარტიის საწინააღმდეგო მოღვაწეობის გამო“. გარიცხულთა შორის იყო ხუთი ყოფილი მინისტრი. სამართლიანობის პარტიას აღარ ჰქონდა პარლამენტში ხმების უმრავლესობა. მას აღარ შეეძლო ოპოზიციის წინააღმდეგ გაეტარებინა კანონპროექტები, რომლებიც მიმართული იქნებოდა ოპოზიციური და დემოკრატიული ძალების წინააღმდეგ.

ქვეყანაში პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისი სულ უფრო მეტად მწვავდებოდა. პრეზიდენტმა ჯევდეთ სუნაიმ რამდენჯერმე მიმართა პრემიერ-მინისტრს სულეიმან დემირელს გადამდგარიყო. მაგრამ ეს უკანასკნელი გადადგომაზე უარს აცხადებდა.

ასეთ ვითარებაში თურქეთის პოლიტიკურ სარბიელზე კვლავ გამოჩნდა შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელობა, რომელმაც გადაწყვიტა ხელში აეღო ძალაუფლება. 1971 წლის 10 მარტს მოწვეულ იქნა უმაღლესი სამხედრო საბჭოს სხდომა, რომელმაც განიხილა ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობა. საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ დემირელის მთავრობას არ შესწევს უნარი მართოს ქვეყანა და უნდა გადადგეს.

1971 წლის 12 მარტს უმაღლესმა სამხედრო სარდლობამ პრეზიდენტი ჯევდეთ სუნაის წარუდგინა მემორანდუმი, რომელშიაც აღნიშნული იყო, რომ „პარლამენტისა და მთავრობის მოღვაწეობისა და ოპოზიციის საქმიანობის შედეგად ქვეყანა აღმოჩნდა ჩათრეული ანარქიაში, ძმათა შორის ბრძოლაში და სოციალ-პოლიტიკურ მღელვარებაში და თურქეთის რესპუბლიკის მომავალი სერიოზული საფრთხის წინაშე აღმოჩნდა, რადგან არ განხორციელდა კონსტიტუციით გათვალისწინებული რეფორმები“. მემორანდუმი მიუთითებდა, რომ საჭირო იყო შექმნილიყო ზეპარტიული მთავრობა, რომელიც „ბოლოს მოუღებდა ანარქიას და შეუდგებოდა კონსტიტუციით გათვალისწინებული რეფორმების გატარებას, ათათურქის პრინციპების სულისკვეთებით“. მემორანდუმი აფრთხილებდა, თუ ეს არ იქნებოდა სწრაფად განხორციელებული, მაშინ თურქეთის შეიარაღებული ძალები მზად არიან შეასრულონ მასზე დაკისრებული მისია თურქეთის რესპუბლიკის დაცვის მიზნით და ქვეყნის მმართველობა უშუალოდ აიღონ ხელში“.

თურქეთის უმაღლესი სამხედრო ხელმძღვანელობა დაინტერესებული იყო ქვეყნის სტაბილური მდგომარეობით.

თურქეთში არმიის უმაღლესი ოფიცრები არიან სხვადასხვა სამრეწველო საწარმოებების აქციონერები, მათ შორის უცხოეთის კაპიტალის კონტროლის ქვეშ მყოფისა. მნიშვნელოვნად გაიზარდა ოფიცრების ხელფასი, 1961 წლიდან არმიის ურთიერთდახმარების სალაროს შექმნის შემდეგ, საგრძნობლად შეიცვალა სამხედროების ცხოვრების პირობები. თავდაპირველად ეს ორგანო შეიქმნა სამხედროების სოციალური უზრუნველყოფის მიზნით. ეს ორგანიზაცია ფინანსირდებოდა ხელფასის გადარიცხვებიდან და სწრაფად მიიღო კაპიტალისტური საწარმოს ხასიათი. მისი კაპიტალი 10 წლის განმავლობაში გაიზარდა 44 მილ. ლირიდან 1 მლრდ ლირამდე კაპიტალდაბანდების ოპერაციების შედეგად, რომლებიც განხორციელებულ იქნა ახალ სამრეწველო საწარმოებში. უმაღლესმა ოფიცრებმა დაიწყეს თავიანთი „მოგების წილის მიღება“, ე. ი. აქციებიდან დივიდენდების მიღება. მოხდა არმიის ზედა ფენის ინტეგრირება ბურჟუაზიასთან.

თურქეთის არმიის სარდლობის ჩარევის შედეგად, 1971 წლის 12 მარტს სულეიმან დემირელის მთავრობა გადადგა. პოლიტიკურ პარტიებს შორის ხანგრძლივი მოლაპარაკების შედეგად, პრეზიდენტმა ჯევდეთ სუნაიმ წინადადება შესთავაზა ნ. ერიმს, რესპუბლიკური პარტიის წევრს, დეპუტატს, შეედგინა ახალი მთავრობა და გამოსულიყო პარტიის რიგებიდან.

მარტის ბოლოს ჩამოყალიბდა ახალი ზეპარტიული მთავრობა. მის შემადგენლობაში შევიდა ხუთი წარმომადგენელი სამართლიანობის პარტიიდან, სამი – სახალხო-რესპუბლიკური პარტიიდან, ერთი – სახალხო პარტიიდან, 15 – „უპარტიოებიდან“, მათ შორის ერთი მუდმივი სენატორი.

ახალი ზეპარტიული მთავრობის პროგრამაში ნათქვამი იყო კონსტიტუციით გათვალისწინებული რეფორმების ჩატარებაზე, აგრარულ, საგადასახადო, ეროვნული განათლებისა და სხვა სფეროებში. ქვეყანაში დამყარდებოდა „წესრიგი და სიმშვიდე“. გენერლები მთავრობისაგან მოითხოვდნენ დაეწყოთ ბრძოლა „ანარქისტებისა“ და „ექსტრემისტების“ მემარჯვენე და მემარცხენე მიმართულებების წინააღმდეგ.

1971 წლის 26 აპრილს ერიმის მთავრობამ გამოაცხადა, რომ ერთი თვით ცხადდებოდა საგანგებო მდგომარეობა 11 ილში (ვილაიეთში): სტამბოლი, საქარია, ზონგულდაქი, იზმირი, ესქიშეჰირი, ანკარა და სხვა.

მთავრობამ დაიწყო ფართომასშტაბიანი რეპრესიების განხორციელება დემოკრატიული ძალების წინააღმდეგ. დაიწყო მუშების, ახალგაზრდების, ეროვნულ უმცირ-

ესობათა წარმომადგენლების, აგრეთვე პროგრესული მწერლებისა და ჟურნალისტების დაპატიმრება. დაპატიმრებულ იქნა რამდენიმე ათასი კაცი, აღძრულ იქნა სასამართლო პროცესი 333 პოლიტიკური ორგანიზაციისა და ჯგუფების წინააღმდეგ.

1971 წლის 21 ივლისს აიკრძალა თურქეთის მუშათა პარტიის საქმიანობა. შედგენილ იქნა პროგრესული ლიტერატურის სია, რომელიც აიკრძალა და ამოღებულ იქნა გაყიდვიდან და სხვ.

ერიმის მთავრობის მიერ ყველაზე მნიშვნელოვანი ღონისძიება იყო 1971 წლის 20 სექტემბერს გატარებული საკონსტიტუციო ცვლილებები, რომელიც 1961 წლის კონსტიტუციის მუხლებს ზღუდავდა და აძლიერებდა სახელმწიფო ხელისუფლების პრეროგატივებს.

ყოველივე ამის შედეგად, მთავრობაში დაიწყო განხეთქილება. 1971 წლის დეკემბერში მის შემადგენლობიდან გამოვიდა 11 წევრი, მათ განაცხადეს, რომ აღარ არსებობს არავითარი პირობები რეფორმების გატარებისა. ერიმის მთავრობა გადადგა და პრეზიდენტმა ახალი მთავრობის შედგენა კვლავ ერიმს დაავალა.

1971 წლის 22 დეკემბერს შედგა ერიმის მეორე მთავრობა. ახალ მთავრობას ხმა მისცა 301 დეპუტატმა, წინა მთავრობამ მიიღო 332 ხმა. ახალი მთავრობა უფრო კონსერვატორული იყო ვიდრე წინა.

5. თურქეთი 1972-1980 წლებში

1972 წლის აპრილის დასაწყისში პრეზიდენტმა ჯევდეთ სუნაიმ წინადადება შესთავაზა პოლიტიკური პარტიების ხელმძღვანელებს დროებით თავი შეეკავებინათ პოლიტიკური საქმიანობისათვის, შეეცვალათ კონსტიტუცია და მთავრობის მეთაურისათვის მიეცათ უფლებამოსილება გამოეცა კანონის ძალის მქონე დეკრეტები. პოლიტიკურმა პარტიებმა კატეგორიულად უარყვეს ჯევდეთ სუნაის ეს წინადადება.

1972 წლის 17 აპრილს ერიმის მთავრობა იძულებული გახდა მეორედ გადამდგარიყო. 1972 წლის 15 მაისს ჯევდეთ სუნაიმ ახალი მთავრობის შედგენა დაავალა ეროვნული ნდობის პარტიის ლიდერს, ეროვნული დაცვის მინისტრს ფ. მელენს.

ახალი ზეპარტიული მთავრობა თავისი მოღვაწეობის პირველივე ღონისძიებების გატარების დროს წააწყდა იმავე ეკონომიკურ და პოლიტიკურ სიძნელეებს, რომლებმაც გამოიწვია წინა მთავრობის გადადგომა. მთავრობის მიერ მომზადებული უღიმღამო აგრარული კანონპროექტი უარყვეს და დააბრუნეს საბოლოო დამუშავებისათვის.

1972 წლის მაისის დასაწყისში ჩატარდა სახალხო რესპუბლიკური პარტიის საგანგებო ყრილობა. გამარჯვება მოიპოვეს რადიკალებმა, რომელთაც მეთაურობდა ბულენთ ეჯევითი. 12 მაისს ისმეთ ინონუ გადადგა პარტიის გენერალური თავმჯდომარის პოსტიდან, რომელიც მას ეკავა 1938 წლიდან. 14 მაისს ბულენთ ეჯევითი აირჩიეს სახალხო-რესპუბლიკური პარტიის თავმჯდომარედ. ინონუ გამოვიდა პარტიის რიგებიდან და სახალხო-რესპუბლიკური პარტიის 35 წევრთან ერთად დააარსა კონსერვატიული რესპუბლიკური პარტია.

1973 წლის აპრილში ჩატარდა პრეზიდენტის არჩევნები და 1973 წლის 6 აპრილის პრეზიდენტად აირჩიეს სენატორი ფაჰრი კორუთურქი.

ფაჰრი კორუთურქი დაიბადა სტამბოლში 1903 წელს. სწავლობდა საზღვაო სკოლაში, რომელიც დაამთავრა 1923 წელს, 1939 წელს – სამხედრო საზღვაო აკადემია. საზღვაო ძალებში ეკავა მაღალი თანამდებობები: რომში, ბერლინსა და



თურქეთის სახალხო-რესპუბლიკური პარტიის თავმჯდომარეები: ათათურქი, ი. ინონუ და ბ. ეჯევითი

სტოკჰოლმში იყო სახლვაო ატაშე. 1936 წელს მონაწილეობა მიიღო შავი ზღვის სრუტეებისადმი მიძღვნილ მონტრეს კონფერენციაში. 1958 წელს მიიღო ადმირალის წოდება. 1960 წლის შემდეგ იყო მოსკოვსა და მადრიდში თურქეთის ელჩი.

პრეზიდენტის არჩევის შემდეგ, გადადგა მელენის მთავრობა. ახალი მთავრობის შედგენა დაევალა ნ. ტალს, რომელმაც 1973 წლის 16 აპრილს შეადგინა კოალიციური მთავრობა – სამართლიანობის პარტიისა და ნდობის რესპუბლიკის პარტიის წარმომადგენლების მონაწილეობით, მათ ჰქონდათ პარლამენტში მანდატების უმრავლესობა.

1973 წლის 26 სექტემბერს ანკარასა და სტამბოლში გაუქმდა საგანგებო მდგომარეობა, შემოღებული 1971 წლის აპრილში. ამ ხნის განმავლობაში სამხედრო ტრიბუნალებმა გაასამართლეს ძირგამომთხრელი საქმიანობის ბრალდებით 1700 კაცი, მიმდინარეობდა სასამართლო განხილვა 4 ათასი კაცის საქმისა და კიდევ მრავალი ელოდებოდა სასამართლოს.

1973 წლის 14 ოქტომბერს ჩატარდა არჩევნები მეჯლისში. სახალხო-რესპუბლიკურმა პარტიამ ეროვნულ პალატაში მიიღო 185 ადგილი, სამართლიანობის პარტიამ – 149 ადგილი.

პარლამენტის არჩევნების შემდეგ არმიის ხელმძღვანელობამ გამოაცხადა, რომ ის დამთავრებულად თვლის შეიარაღებული ძალების მისიას.

1974 წლის იანვარში შეიქმნა „ნაციონალური ფრონტის“ კოალიციური მთავრობა ბ. ეჯევითის მეთაურობით. მასში 25 კაცი შევიდა: 10 სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენელი და 7 – ეროვნული კეთილდღეობის პარტიის პრემიერ-მინისტრის მოადგილის პოსტი დაიკავა ერბაქანმა, კეთილდღეობის პარტიის გენერალურმა თავმჯდომარემ.

ახალი მთავრობა აღმოჩნდა არასიცოცხლისუნარიანი. უთანხმოება დაიწყო კოალიციის წევრებს შორის მთავრობის პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებით, მაგრამ მთავრობის კოალიციის დაშლა შეჩერდა კვიპროსის კრიზისთან დაკავშირებით (1974 წლის 15 ივლისი).

1975 წლის 19 მარტს შეიქმნა კოალიციური მთავრობა ოთხი პარტიის მონაწილეობით. პრემიერ-მინისტრი გახდა სულეიმან დემირელი. კოალიციაში შევიდნენ შემდეგი პარტიები: სამართლიანობის, ეროვნული ხსნის, ნდობის რესპუბლიკური პარტია და დემოკრატიის ნაციონალისტური პარტია.

71-იან წლებში პოლიტიკურ ასპარეზზე ერთმანეთს დაუპირისპირდა ორი სოციალ-პოლიტიკური დაჯგუფება. ერთი მათგანი აერთიანებდა მსხვილი ბურჟუაზიის წარმომადგენლებს. მათ ინტერესებს გამოხატავდა სამართლიანობის პარტია. 1975 წელს სამართლიანობის პარტიამ, სხვა მემარჯვენე პარტიებთან ერთად, შექმნა „ნაციონალური ფრონტი“. კოალიციური მთავრობის ეკონომიკური კურსი მიზნად ისახავდა კერძო კაპიტალისა და კომპრადორული ბურჟუაზიის პოზიციების განმტკიცებას.

მსხვილ ბურჟუაზიას უპირისპირდებოდა საშუალო და წვრილი ბურჟუაზია, რომლებიც დაკავშირებული იყვნენ ეკონომიკის სახელმწიფო სექტორთან. მასში შედიოდნენ აგრეთვე მოსამსახურეები, ინტელიგენციის წარმომადგენლები. მათ ინტერესებს გამოხატავდა სახალხო-რესპუბლიკური პარტია. ამ ორ დაჯგუფებას შორის მიმდინარეობდა ბრძოლა.

1977 წლის 5 ივნისს ჩატარდა პარლამენტის ვადამდელი არჩევნები. არჩევნებში გამარჯვებას მიაღწია სახალხო-რესპუბლიკურმა პარტიამ. მან ეროვნულ პარლამენტში მიიღო 213 ადგილი, სამართლიანობის პარტიამ – 189, ეროვნულ კეთილდღეობის პარტიამ – 24, სახალხო ნაციონალურმა პარტიამ – 16, რესპუბლიკის დემოკრატიულმა პარტიამ – 3, დემოკრატიულმა პარტიამ – 1 და „დამოუკიდებლებმა“ – 4 ადგილი.

სენატის არჩევნები, რომლის განახლება ხდებოდა ორ წელიწადში ერთხელ ერთი მესამედით, ასეთი შედეგებით დამთავრდა: სახალხო-რესპუბლიკურმა პარტიამ მიიღო – 28 ადგილი, სამართლიანობის პარტიამ – 21 და სახალხო-ნაციონალურმა პარტიამ – 1 ადგილი.



პრეზიდენტი ფაჰრი ქორუთურქი (1973-1980)

ამრიგად, არჩევნების შედეგად, სახალხო-რესპუბლიკურმა პარტიამ შედარებითი უპირატესობა მოიპოვა როგორც ეროვნულ პალატაში, ასევე სენატში.

1977 წლის 21 ივნისს სახალხო რესპუბლიკური პარტიის ლიდერმა ეჯევითმა შეადგინა ერთპარტიული მთავრობა. მას იმედი ჰქონდა, რომ მხარს დაუჭერდნენ სხვა პოლიტიკური პარტიები, მაგრამ მისი იმედი არ გამართლდა. პირველსავე სხდომაზე მთავრობას უნდობლობის ვოტუმი გამოუცხადეს და ეჯევითის მთავრობა გადადგა.

21 ივლისს სამართლიანობის პარტიის ლიდერმა სულეიმან დემირელმა შეადგინა მეორე კოალიციური „ნაციონალური ფრონტის“ მთავრობა, რომლის შემადგენლობაშიც შევიდნენ სამი პარტიის წარმომადგენლები: სამართლიანობის, ნაციონალურ დემოკრატიული პარტიისა და ეროვნული კეთილდღეობის პარტიის.

მეორე „ნაციონალისტური ფრონტის“ მთავრობამ ვერ შეძლო გადაეწყვიტა ქვეყნის წინაშე მდგომი ვერცერთი პრობლემა.

თურქეთში გაძლიერდა ინფლაცია, უმუშევართა რიცხვმა 1977 წლის ბოლოსათვის მიაღწია 3 მილიონს, გაიზარდა ფასები ფართო მოხმარების საგნებზე. თურქეთის საგარეო ვალმა 7 მილიარდ დოლარს მიაღწია.

1977 წლის დეკემბერში სამართლიანობის პარტიის რიგებიდან გამოვიდა რამდენიმე პარლამენტის წევრი. ამის გამო დემირელის მთავრობამ დაჰკარგა უმრავლესობა მეჯლისში და იძულებული შეიქნა გადამდგარიყო.

1978 წლის 5 იანვარს შეიქმნა ერთპარტიული მთავრობა ეჯევითის მეთაურობით. ახალმა მთავრობამ გამოაცხადა მემარცხენე ცენტრისტული კურსი.

ბულენთ ეჯევითის მთავრობამ შეიმუშავა ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია, რომელიც ითვალისწინებდა: ა) ნატოში უფრო დამოუკიდებელი პოლიტიკის



პაკისტანის პრეზიდენტი გენერალი ბენაზირ ბხუტო თურქეთში შეხვდა ს. დემირელს (1977 წ. 2 ნოემბერი)

გატარებას; ბ) სხვადასხვა ქვეყანასთან მრავალმხრივი ურთიერთობის გაფართოებას; გ) ნატოსაგან დამოუკიდებელი სპეციალური შეიარაღებული ძალების ჩამოყალიბებას; დ) ისეთი ეროვნული სამხედრო მრეწველობის შექმნას, რომელიც შეძლებდა თანამედროვე იარაღის წარმოებას (ი. ბატიაშვილი).

მთავრობამ ვერ შესძლო დაეძლია სერიოზული ფინანსურ-ეკონომიკური სიძნელეები. ქვეყნის მდგომარეობა უარესდებოდა.

1979 წლის 14 ოქტომბერს ჩატარდა ნაწილობრივი არჩევნები მეჯლისში. წარმატებას მიაღწია სამართლიანობის პარტიამ. მან მიიღო ყველა ხუთი მანდატი ეროვნულ კრებაში და 33 – სენატში. სახალხო-რესპუბლიკურმა პარტიამ კი ვერცერთი ადგილი ვერ მიიღო ეროვნულ კრებაში, ხოლო სენატში მიიღო 12 ადგილი.

1978 წლის 12 ნოემბერს სულეიმან დემირელმა შეადგინა ერთპარტიული მთავრობა. მთავრობის სათავეში სამართლიანობის პარტიის მოსვლა ნიშნავდა მემარჯვენე ძალების გამარჯვებას. ახალმა მთავრობამ გაატარა ეკონომიკის ლიბერიზაციისა და დასავლეთთან კიდევ უფრო მეტად დაახლოების პოლიტიკა.

6. თურქეთის საგარეო პოლიტიკა 1960-1980 წლებში

1960 წლის სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ, ფაქტობრივად, თურქეთის საგარეო პოლიტიკის კურსი არ შეცვლილა. იგი განაგრძობდა დასავლეთის ქვეყნებთან მჭიდრო თანამშრომლობას და სამხედრო ბლოკებში (ნატო, სენტო) მონაწილეობას. ამავე დროს თურქეთმა ერთგვარად გააფართოვა თანამშრომლობა საბჭოთა კავშირთან და სოციალისტურ სახელმწიფოებთან.

1963 წლის დამდეგისათვის თურქეთის ტერიტორიაზე ააგეს 60-მდე აეროდრომი და სარაკეტო მოედანი. აშშ-ის დახმარებით, თურქეთის ტერიტორიაზე აშენდა სხვადასხვა სამხედრო ობიექტი. თურქეთის შეიარაღებულმა ძალებმა მონაწილეობა მიიღეს ნატოს მიერ მოწყობილ სამხედრო მანევრებსა და წვრთნაში.

ამ პერიოდში განსაკუთრებით დაიძაბა ვითარება კვიპროსის საკითხთან დაკავშირებით.

1960 წლის 16 აგვისტოს კვიპროსმა მიიღო დამოუკიდებლობა და რესპუბლიკად გამოცხადდა. პრეზიდენტად აირჩიეს მაკარიოსი. მაგრამ კუნძულზე მცხოვრებ ბერძენმა ოფიცრებმა, რომლებიც მხარს უჭერდნენ ენოზის საბერძნეთთან შეერთებას, 1974 წლის 15 ივნისს მოაწყვეს მთავრობის საწინააღმდეგო აჯანყება და პრეზიდენტი მაკარიოსი გადააყენეს. ეს სახელმწიფო გადატრიალება მოწყობილი იყო საბერძნეთის მმართველი ხუნტის დახმარებით. ენოზისის იდეის მომხრეებმა დაიწყეს ქვეყნის სამხრეთ ნაწილში მცხოვრები თურქების დევნა და შევიწროება. მათ თავი შეაფარეს ჩრდილოეთში გამაგრებულ ანკლავებს.

თურქეთში ამან დიდი რეაქცია გამოიწვია, დაიწყო სამხედრო სამზადისი. 1964 წლის 5 ივნისს პრემიერ-მინისტრმა ინონუმ განაცხადა: „თურქეთი მოვალედ თვლის უზრუნველყოს კვიპროსზე თურქული მოსახლეობის უსაფრთხოება“.

ჯერ კიდევ 1964 წლის მარტში თურქეთის მთავრობამ გააუქმა 1930 წელს საბერძნეთთან დადებული ხელშეკრულება მოსახლეობის დასახლების, ვაჭრობისა და ნაოსნობის შესახებ. ხელშეკრულების გაუქმების შემდეგ, თურქეთში მცხოვრები 300 ბერძენი მოქალაქე იძულებული იყო 15 დღის განმავლობაში დაეტოვებინა თურქეთი. ძალზე დაიძაბა თურქეთ-საბერძნეთის ურთიერთობა.

1964 წლის 22 ივლისს თურქეთის მთავრობამ, თურქული მოსახლეობის დაცვის მიზნით, ჯარის ნაწილები გადასხა კვიპროსის ჩრდილოეთ ნაწილში. თურქებმა მოახდინეს კვიპროსის ტერიტორიის დაახლოებით 40 პროცენტის ოკუპაცია. ამის შემდეგ დაიწყო ოკუპირებული ტერიტორიიდან ბერძნების გასახლება. 200 ათასზე მეტი ბერძენი გადასახლდა სამხრეთში, ხოლო დაახლოებით 40 ათასი თურქი – ჩრდილოეთში.


თურქეთის ჯარების კვიპროსზე გადასხმასთან დაკავშირებით, საბერძნეთმა მობილიზაცია გამოაცხადა და დაიწყო ჯარების თავმოყრა თურქეთის საზღვართან. თურქეთიც შეუდგა სამხედრო სამზადისს. 14 ვილაიეთში გამოცხადდა სამხედრო მდგომარეობა.

ამავე დროს საბერძნეთში დაიწყო ომის საწინააღმდეგო გამოსვლები. საბერძნეთის ხუნტას მთავრობა გადადგა. 23 ივლისს შეიქმნა ახალი მთავრობა. ასევე გადადგა კვიპროსის მარიონეტული პრეზიდენტი სამსონი. კვიპროსის პარლამენტის თავმჯდომარემ გ. კრილიდისმა, რომელიც ასრულებდა პრეზიდენტის მოვალეობას მისი არყოფნის დროს, მიიღო ზომები კუნძულზე კონსტიტუციური მმართველობის აღსადგენად და ქვეყნიდან უცხოეთის ჯარების გასაყვანად, მაგრამ უშედეგოდ.

1975 წლის 13 თებერვალს კვიპროსის თურქეთის თემის ხელმძღვანელობამ, თურქეთის ჯარების მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე, შექმნა განცალკევებული სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი „ჩრდილოეთ კვიპროსის თურქეთის რესპუბლიკა“. რომლის პრეზიდენტი გახდა რაულ ბენქთაში. გარდა თურქეთისა ამ მთავრობას არავინ არ ცნობს.

60-იანი წლებიდან გაფართოვდა საბჭოთა კავშირის ურთიერთობა თურქეთთან. გაუმჯობესდა საჰაერო და სარკინიგზო კავშირი ორ ქვეყანას შორის. 1963 წელს მოსკოვში ხელი მოაწერეს შეთანხმებას ტვირთბრუნვის გაზრდის შესახებ.

გაიზარდა კულტურული, სპორტული და სამეცნიერო კონტაქტები. ვითარდებოდა ეკონომიკური და კულტურული კავშირები, რაც შეესაბამებოდა ორივე ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს.



ნატოს სამიტი ვაშინგტონში 1999 წელს

1967 წლის მარტში მოსკოვში დაიდო შეთანხმება თურქეთში სამრეწველო ობიექტების მშენებლობის შესახებ. ამ ხელშეკრულებით საბჭოთა კავშირს თურქეთისათვის უნდა მიეწოდებინა მასალები და სამრეწველო მოწყობილობა.

70-იან წლებში საბჭოთა კავშირის ტექნიკური ხელშეწყობით ქ. ისკანდერუნში აგებული იყო მეტალურგიული ქარხანა, ალუმინის ქარხანა – სეიდშეჰირში, ნავთობის გადამამუშავებული ქარხანა – ალიაღაში, ქიმიური ქარხანა ბანდირმეში, ხე-ტყის დამამუშავებელი ქარხანა ართვინში.

1975 წელს, საბჭოთა კავშირსა და თურქეთს შორის ეკონომიკური კავშირის გაფართოების მიზნით, ხელი მოაწერეს სამთავრობო შეთანხმებას 10-12 წლის განმავლობაში ეკონომიკური და ტექნიკური თანამშრომლობის შემდგომი გაფართოების მიზნით.

საბჭოთა კავშირის მიერ თურქეთისათვის სამრეწველო ობიექტების მშენებლობით, მან დახმარება აღმოუჩინა თურქეთს მეორე ხუთწლედის (1968-1972 წწ.) გეგმის შესრულების საქმეში.

საბჭოთა კავშირ-თურქეთის თანამშრომლობის გაფართოებასთან ერთად, გაიზარდა ორი ქვეყნის სახელმწიფო მოღვაწეთა ურთიერთშორის ოფიციალური ვიზიტები. ასე, მაგალითად, 1964 წლის ნოემბერში საბჭოთა კავშირში იმყოფებოდა თურქეთის პრემიერ-მინისტრის მოადგილე ერბაქანი, 1965 წლის თებერვალში – თურქეთის პრემიერ-მინისტრი ურგუპლუ, 1967 წლის სექტემბერში – თურქეთის პრემიერ-მინისტრი დემირელი, 1977 წლის მარტში – თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ჩაგლაგილი, 1978 წლის ივნისში – პრემიერ-მინისტრი ეჯევითი, ხოლო თურქეთში საპასუხო ვიზიტით ჩავიდნენ: 1965 წლის იანვარში საბჭოთა კავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარე პოდგორნი, 1965 წლის მაისში საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. გრომიკო, 1975 წლის დეკემბერში – საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. კოსიგინი და სხვ.

თავი X

თურქეთის მესამე რესპუბლიკა 1980-2000 წლებში

1. 1980 წლის 12 სექტემბრის სამხედრო გადატრიალება

1979-1980 წლების მიჯნაზე თურქეთის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა ძალზე გაუარესდა. ქვეყანაში იწყება ეკონომიკური კრიზისი. მკვეთრად დაეცა ეკონომიკური ზრდის ტემპები, გაიზარდა უმუშევრობა და ინფლაცია. სწრაფად გაიზარდა ფასები პირველმოხმარების საგნებზე. ასე, მაგალითად, 1970 წლიდან 1979 წლამდე ფასები გაიზარდა 800 პროცენტით, ხოლო ხელფასი კი უმნიშვნელოდ. 1980 წელს ინფლაციის დონემ 90 პროცენტს მიაღწია. 1981 წლისათვის უმუშევართა რიცხვმა 4 მილ. მიაღწია. 1980 წლის დამდეგისათვის ერთი მილიონი თურქი მუშა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში მუშაობდა.

1978 წლის ივლისის დამდეგს იზმირში ჩატარდა მშრომელთა მასობრივი დემონსტრაციები. მასში მონაწილეობა მიიღო 50-ზე მეტმა საზოგადო ორგანიზაციამ.

1980 წლის თებერვალში სამი კვირის განმავლობაში გაფიცული იყვნენ იზმირის სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მუშები და მოსამსახურეები. გაიზარდა გლეხთა გამოსვლებიც.


ეკონომიკურ კრიზისს თან დაერთო პოლიტიკური კრიზისიც.

თურქეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი აქტი იყო თურქეთის ახალი პრეზიდენტის არჩევა. 1980 წლის აპრილის დასაწყისში ვადა გაუვიდა პრეზიდენტი ფ. კორუთურქის რწმუნებულებას. ჩატარდა ორივე პალატის გაერთიანებული სხდომის კენჭისყრის 110 ტური, მაგრამ ვერცერთმა კანდიდატმა ვერ მიიღო საჭირო ხმების რაოდენობა და ახალი პრეზიდენტი ექვსი თვის განმავლობაში ვერ აირჩიეს. 7 აპრილიდან თურქეთის პრეზიდენტის დროებითი მოვალეობის შესრულება დაევალა სენატის თავმჯდომარეს ი. ჩაგლანგილს.

გამწვავდა ბრძოლა პოლიტიკურ პარტიებს შორის და განსაკუთრებით ორ პარტიას (სამართლიანობისა და სახალხო-რესპუბლიკურს) შორის. დემირელი და სამართლიანობის პარტია სახალხო-რესპუბლიკურ პარტიას კომუნიზმს და ქურთების მხარდაჭერაში ადანაშაულებდა, ხოლო ეჯევითი აქცენტს აკეთებდა სამართლიანობის პარტიის პროისლამურ და პროფაშისტურ ორიენტაციაზე.

მეჯლისში, პარტიათა ურთიერთდაპირისპირებულობის გამო, ვერ მოხერხდა ვერც ერთი მნიშვნელოვანი საკითხის გადაჭრა. ფაქტობრივად, პარალიზებული იყო მეჯლისის საქმიანობა, რის შედეგადაც არაქმედითუნარიანი შეიქმნა როგორც საკანონმდებლო, ასევე აღმასრულებელი ხელისუფლება.

ქვეყანაში ამავე დროს მძვინვარებდა ანარქია და ტერორი, რომელშიაც აქტიურად მონაწილეობდნენ მემარჯვენე ნაციონალისტური ორგანიზაციები. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ტერორისტების ხელით დაიღუპა 5 ათასი კაცი და დაიჭრა 14 ათასზე მეტი, უმეტესად პროგრესული შეხედულებების პიროვნებები. ექსტრემისტული გამოსვლები გრძელდებოდა მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის პირობებში. ფართოვდებოდა საგაფიცვო მოძრაობა, ძლიერდებოდა ქურთების გამოსვლები, ეროვნული უფლებების მიღებისათვის.



პრემიერი მთავრობის წევრებთან ერთად.

ახლო და შუა აღმოსავლეთში შექმნილმა პოლიტიკურმა კრიზისმა (1979 წელს ირანში შაჰის რეჟიმის დამხობა და ისლამური რესპუბლიკის დამყარება, 1979 წლის დეკემბერში ავღანეთში საბჭოთა ჯარების შესვლა) დააჩქარა თურქეთში სამხედრო გადატრიალება. თურქეთს ძალზე დიდი სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს და ამერიკის შეერთებული შტატები დაინტერესებული იყვნენ თურქეთში სტაბილური მდგომარეობის შენარჩუნებით. თურქეთი ნატოს წევრია და მჭიდროდ თანამშრომლობს მასთან. თურქეთის უმაღლესმა სარდლობამ, არ არის გამორიცხული, რომ აშშ-ის რჩევით, გადაწყვიტა მოეწყო სახელმწიფო გადატრიალება და ხელში აეღო ძალაუფლება.

ასეთ ვითარებაში 1980 წლის 12 სექტემბერს თურქეთში სამხედროებმა მოაწყვეს სახელმწიფო გადატრიალება. შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელობამ ხელში აიღო ძალაუფლება. შეიქმნა ეროვნული უშიშროების საბჭო, რომლის ხელმძღვანელი გახდა ამ გადატრიალების მეთაური გენერალური შტაბის უფროსი, არმიის გენერალი ქენან ევრენი, ეროვნული უშიშროების საბჭომ აიღო მთელი საკანონმდებლო ფუნქციები. ეროვნული საბჭოს შემადგენლობაში შევიდნენ სახმელეთო, საჰაერო და საზღვაო შეიარაღებული ძალების სარდლები, აგრეთვე ჟანდარმერიისა და პოლიციის მეთაურები. ეროვნული უშიშროების საბჭომ დაითხოვა მეჯლისი და დემირელის მთავრობა, აკრძალა ყველა პოლიტიკური პარტიების და საზოგადოებრივი ორგანიზაციის საქმიანობა, გააუქმა პარლამენტის დეპუტატების ხელშეუვალობა და მთელ ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა.

გენერალმა ევრენმა თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ გადატრიალება მიზნად ისახავს ქვეყანაში აღადგინოს წესრიგი და მოახდინოს შიდაპოლიტიკური მდგომარეობის სტაბილიზაცია. სახელმწიფოს ახალმა მეთაურმა აგრეთვე განაცხადა, რომ თურქეთი დარჩება ნატოს ერთგული და პატივს სცემს დადებულ საერთაშორისო ხელშეკრულებებს.

ეროვნული უშიშროების საბჭოს განცხადებაში აღნიშნული იყო, რომ სამხედრო ადმინისტრაციის შემოღება დროებით ხასიათს ატარებდა. როგორც კი მოისპობა მიზეზები, რამაც გამოიწვია ქვეყანაში პოლიტიკური არასტაბილურობა, შეიარაღებული ძალები გადასცემდნენ ხელისუფლებას სამოქალაქო ხელმძღვანელობას და აღდგენილი იქნებოდა კონსტიტუციური საპარლამენტო სისტემის მმართველობა და პოლიტიკური პარტიების თავისუფალი საქმიანობა.

1980 წლის 20 სექტემბერს პრემიერ-მინისტრი გახდა ყოფილი ადმირალი ბულენდ ულუსი, ხოლო მისი მოადგილე – თურგუთ ოზალი, საგარეო საქმეთა მინისტრი – ილთერ თურქმენი. 27 მინისტრიდან შვიდი – სამხედრო იყო.

1980 წლის 12 სექტემბრის გადატრიალების შემდეგ ქვეყანაში დამყარდა სამხედრო დიქტატურა. მთელი ძალაუფლება გადავიდა ეროვნული უშიშროების საბჭოს ხელში, გენერალ ევრენის მეთაურობით.

გადატრიალების შემდეგ რამდენიმე კვირის განმავლობაში დააპატიმრეს 11500 პირი, ხოლო ერთი წლის განმავლობაში – 122600.

1981 წლის 16 ოქტომბერს აიკრძალა პოლიტიკური პარტიები და მათი ქონება ნაციონალიზირებულ იქნა. რადიკალურ პოლიტიკოსების მიმართ აღძრულ იქნა სასამართლო საქმეები და ზოგ მათგანს სხვადასხვა ვადით აეკრძალა პოლიტიკური მოღვაწეობა.

თურქეთის რესპუბლიკის ისტორიაში ეს იყო მესამე შემთხვევა (პირველი მოხდა 1960 წლის 27 მაისს, მეორე – 1971 წლის 12 მარტს (როდესაც სამხედროებმა დროებით ხელში აიღეს ძალაუფლება, არეულობისა და პოლიტიკური კრიზისის მოსპობის მიზნით). ქვეყანაში წესრიგის დამყარების შემდეგ ჯარისკაცები ყაზარმებში დაბრუნდნენ და სახელმწიფოს მმართველობა მოქალაქეების ხელში გადავიდა. ამაში მდგომარეობს თურქეთის სამხედრო გადატრიალებების თავისებურება. „ეს არის არსებითი განმასხვავებელი ნიშანი თურქეთისა და სხვა ქვეყნების სამხედრო გადატრიალებებს შორის. თუ ბანანის რესპუბლიკებში სამხედროთა მიზანი ხელისუფლების მოპოვებაა, თურქეთში მიზანი ქემალიზმის პრინციპების დაცვა, ქვეყნის თავისუფლებისა და სტაბილურობის შენარჩუნებაა, ძალაუფლების ხელში აღება კი მხოლოდ ამის მიღწევის საშუალებაა. ეს ასე რომ არ ყოფილიყო, თურქი სამხედროები ასე ადვილად არავის გადასცემდნენ ხელისუფლებას“ (ზ. ბატიაშვილი).


საერთოდ, თურქეთის ისტორიაში სამხედროები ყოველთვის მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ. გ. სორდია შენიშნავს, რომ „მთელი პოსტქემალისტური პერიოდის მანძილზე ერთადერთი ძალა, რომელიც ბოლომდე იცავდა ქემალიზმის პრინციპებს, იყო არმია. ის დღესაც წარმოადგენს ლაიციზმის მთავარ საყრდენს“.

2. თურქეთის მესამე რესპუბლიკის კონსტიტუცია

1980 წლის 12 სექტემბრის სამხედრო გადატრიალების შემდეგ გაუქმდა 1961 წლის თურქეთის კონსტიტუცია. შეიქმნა სპეციალური კომისია ახალი კონსტიტუციის შემუშავების მიზნით. ამ კომისიამ შეადგინა ახალი კონსტიტუციის პროექტი, რომელიც განიხილა და დაამტკიცა მეჯლისმა, შემდეგ – ეროვნული უშიშროების საბჭომ.

1982 წლის 7 ნოემბერს, კონსტიტუციის მიღებასთან დაკავშირებით, ჩატარდა სახალხო რეფერენდუმი. კონსტიტუციას მხარი დაუჭირა 17 მილიონმა ამომრჩეველმა, წინააღმდეგ წავიდა 1,6 მილიონი. ახალი კონსტიტუცია ძალაში შევიდა 18 ნოემბერს. კონსტიტუციის მიღებით თურქეთში დამყარდა მესამე რესპუბლიკა.

თურქეთის ყოველ მოქალაქეს, რომელსაც შეუსრულდება 19 წელი აქვს, არჩევნებში მონაწილეობის უფლება. ჯარისკაცებს, უნტეროფიცრებს, სამხედრო კურსანტებს, სასჯელის მოხდის ადგილებში მყოფ მსჯავრდადებულებს ხმის მიცემის უფლება არა აქვთ.



ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომა

კონსტიტუციით ყოველი თურქი, რომელსაც შეუსრულდა 30 წელი, შეიძლება არჩეულ იქნეს დეპუტატად.

დეპუტატად არჩევის უფლება არა აქვთ პირებს, რომლებსაც არა აქვთ მინიმუმ დაწყებითი განათლება, იმყოფებიან ზედამხედველობის ქვეშ, არ გაუვლიათ სავალდებულო სამხედრო სამსახური, ჩამორთმეული აქვთ სახელმწიფო სამსახურში მუშაობის უფლება. დეპუტატად არჩევა ეკრძალებათ აგრეთვე მათ, ვინც ნასამართლევი იყო ისეთი სამარცხვინო დანაშაულებების გამო, როგორიცაა გაფლანგვა, ძარცვა, კორუფცია, ქურდობა, თაღლითობა და სხვა.

კონსტიტუციით მთელი ძალაუფლება განაწილდა საკანონმდებლო, აღმასრულებელ სასამართლო ხელისუფლებებს შორის.

აღმასრულებელ ხელისუფლებას ახორციელებს რესპუბლიკის პრეზიდენტი და მინისტრთა საბჭო.

პრეზიდენტს ირჩევს პარლამენტი შვიდი წლის ვადით იმ პირებისაგან, რომლებიც აკმაყოფილებენ დეპუტატად არჩევისათვის საჭირო მოთხოვნებს. პრეზიდენტის არჩევა მეორე ვადით არ შეიძლება. პრეზიდენტის არჩევისათვის საჭიროა პარლამენტის დეპუტატების ხმათა ორი მესამედი. პრეზიდენტი აღჭურვილია საკმაოდ დიდი უფლებებით. იგი სარგებლობს საკანონმდებლო, აღმასრულებელი და ასევე სასამართლო ხელისუფლების პრეროგატივით. პრეზიდენტი პასუხისმგებელია პარლამენტის წინაშე, მას არ ეკისრება პოლიტიკური პასუხისმგებლობა მის მიერ განხორციელებული საქმიანობისათვის. პრეზიდენტი შეიძლება გადაყენებულ იქნეს თანამდებობიდან მხოლოდ სამშობლოს ღალატის შემთხვევაში, პარლამენტის წევრთა მინიმუმ ერთი მესამედის წინადადებით და წევრთა სრული შემადგენლობის სამი მეოთხედის გადაწყვეტილებით.

პრეზიდენტი არ უნდა იყოს არცერთი პარტიის წევრი.

პრეზიდენტი ნიშნავს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრებს, სახელმწიფო საბჭოს ერთ მეოთხედს, სახელმწიფო კონტროლის პალატის წევრებს, რესპუბლიკის

გენერალურ პროკურორს და მის მოადგილეს, უმაღლესი განთლების საბჭოს წევრებს, და უნივერსიტეტების რექტორებს.

პრეზიდენტის ავადმყოფობის, დროებითი არყოფნის ან სიკვდილის შემთხვევაში, სახელმწიფოს მეთაურის მოვალეობას ასრულებს დიდი ეროვნული კრების თავმჯდომარე.

პრემიერ-მინისტრს ნიშნავს რესპუბლიკის პრეზიდენტი თურქეთის დიდი ეროვნული კრების წევრთა რიგებიდან. მინისტრებს წარადგენს პრემიერ-მინისტრი თურქეთის დიდი ეროვნული კრების წევრთა რიგებიდან ან სხვა პირებისაგან, მინისტრები ინიშნებიან რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ.

საკანონმდებლო ხელისუფლება ეკუთვნის პარლამენტს ანუ თურქეთის დიდ ეროვნულ კრებას. პარლამენტი ერთპალატიანია და შედგება 550 დეპუტატისაგან (1961 წლის კონსტიტუციით პარლამენტი ორი პალატისაგან შედგებოდა – დეპუტატთა პალატა და სენატი). პარლამენტის არჩევნები ტარდება ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ. პარლამენტის მიერ მიღებულ კანონებს ამტკიცებს პრეზიდენტი თხუთმეტი დღის განმავლობაში, პრეზიდენტს შეუძლია არ დაამტკიცოს კანონი და დაუბრუნოს პარლამენტს ხელახალი განხილვისათვის. მაგრამ, თუ პარლამენტმა იგი კვლავ წინანდელი სახით მიიღო, პრეზიდენტი ვალდებულია დაემორჩილოს პარლამენტის გადაწყვეტილებას.

კონსტიტუციით გაზრდილია სამხედრო პირების გავლენა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაზე. ასე, მაგალითად, კონსტიტუციით სახელმწიფოს უშიშროების საკითხებს განიხილავს ეროვნული უშიშროების საბჭო პრეზიდენტის თავმჯდომარეობით. საბჭოს შემადგენლობაში შედიან პრემიერ-მინისტრი, გენერალური შტაბის უფროსი, ეროვნული თავდაცვის, შინაგან საქმეთა, საგარეო საქმეთა მინისტრები, სამხედრო-სახმელეთო, სამხედრო-საზღვაო, სამხედრო-საჰაერო ძალებისა და ჟანდარმერიის მეთაურები.

ახალი კონსტიტუციით შეიზღუდა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული უფლებები და გაფართოვდა პრეზიდენტისა და აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებები. შეიზღუდა მოქალაქეთა უფლებები სიტყვის თავისუფლებაზე, მასობრივი ინფორმაციის გამოყენების საშუალებებზე, კრებებისა და მიტინგების მოწყობაზე და სხვ.

კონსტიტუციაში შეტანილია ახალი დებულებები პოლიტიკური პარტიების შექმნისა და მათი საქმიანობის შესახებ. აიკრძალა პარტიებთან ახალგაზრდული და ქალთა ორგანიზაციების შექმნა, პარტიების თანამშრომლობა საზოგადოებებთან, პროფკავშირებსა და კოპერატივებთან. პარტიის წევრობა ეკრძალება სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებს. შეიზღუდა პოლიტიკური პარტიების საქმიანობა და მასზე დაწესდა სახელმწიფო კონტროლი.

მნიშვნელოვნად შეიზღუდა საუნივერსიტეტო თვითმართველობა და იგი შემოიფარგლა „სამეცნიერო თვითმართველობით“. უნივერსიტეტები იმყოფება სახელმწიფოს კონტროლის ქვეშ. უნივერსიტეტის რექტორები და დეკანები ინიშნებიან სახელმწიფოს მეთაურის მიერ.

კონსტიტუციის მიღების შემდეგ, მოსახლეობის ნაწილი უკმაყოფილო იყო მისი ზოგიერთი მუხლით და დაიწყო გამოსვლები მასში ცვლილებების შეტანის მიზნით.

1987 წლის 17 მაისს კონსტიტუციაში შეიტანეს შესწორებები და ცვლილებები, მაგრამ ისინი არსებითი ხასიათისა არ იყო.

1995 წლის 23 ივლისს თურქეთის პარლამენტმა, ხანგრძლივი დისკუსიის შემდეგ, დაამტკიცა ე. წ. „დემოკრატიული რეფორმების პაკეტი“.

ამ დადგენილებით, კონსტიტუციაში შეიტანეს მთელი რიგი ცვლილებებისა. აქედან აღსანიშნავია ამომრჩევლების ასაკობრივი ცენზის შემცირება 18 წლამდე.

ამან მნიშვნელოვნად გაზარდა ელექტორატის რაოდენობა. აღსანიშნავია ის, რომ ხმის უფლება მიეცათ საზღვარგარეთ მყოფ თურქ მოქალაქეებს (რომელთა რაოდენობა შეადგენდა 2,5 მილიონს). ამასთანავე დეპუტატების რიცხვი პარლამენტში გაიზარდა 450-დან 500-მდე. პროფკავშირებმა უფლება მიიღეს დაამყარონ კავშირი პოლიტიკურ პარტიებთან და იმოღვაწეონ პოლიტიკურ სარბიელზე. გაუქმდა კანონი, რომელიც ზღუდავდა პროფკავშირების ურთიერთობას პოლიტიკურ პარტიებთან. ახალგაზრდებსა და ქალებს მიეცათ პოლიტიკური ორგანიზაციების შექმნის უფლება. გამარტივდა პარლამენტიდან დეპუტატების გაწვევის პროცედურა და სხვ.

მიღებული დადგენილება უფლებას აძლევს უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებს დაიკავონ ხელმძღვანელი თანამდებობები პოლიტიკურ პარტიებში. სტუდენტებს აგრეთვე უფლება აქვთ შევიდნენ პოლიტიკურ პარტიებში და სხვ.

ერთი სიტყვით, კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებები აფართოებდა დემოკრატიის პრინციპებს.

3. თურქეთი კონსტიტუციის მიღების შემდეგ

ახალი კონსტიტუციის მიღების შემდეგ, ეროვნული უშიშროების საბჭოს თავმჯდომარე ქენან ევრენი აირჩიეს ქვეყნის პრეზიდენტად (1982 წ. 7 ნოემბერი). ქენან ევრენი დაიბადა 1918 წ. მანისას ვილაიეთში ქ. ალაშეჰირში. დაწყებითი და საშუალო განათლება მიიღო ალაშეჰირში, მანისაში, ბალიკესირში და სტამბოლში. შემდეგ დაამთავრა მალთეფეს სამხედრო ლიცეუმი. 1938 წელს სწავლობდა სახმელეთო-სამხედრო სკოლაში. 1949 წელს დაამთავრა სამხედრო აკადემია. სხვადასხვა დროს ეკავა მაღალი სამხედრო თანამდებობები. 1978 წლის 7 მარტს დაინიშნა გენერალური შტაბის უფროსად.

სამხედრო გადატრიალებების შემდეგ აიკრძალა პოლიტიკური პარტიების საქმიანობა. ეს აკრძალვა გავრცელდა პროფკავშირებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებზედაც.



პრეზიდენტი ქენან ევრენი (1982-1989)

ქვეყანაში პოლიტიკური პარტიების აკრძალვის შემდეგ, ეროვნული უშიშროების საბჭომ დაასახელა 242 პირი, რომელთაც აეკრძალათ პოლიტიკური საქმიანობა 10 წლით, სხვებს – ხუთი წლით. ამ სიაში მოხვდნენ ყოფილი პოლიტიკური პარტიის ხელმძღვანელები სულეიმან დემირელი, ბულენთ ეჯევითი და სხვ.

1983 წლის 24 აპრილიდან გაუქმდა პოლიტიკური პარტიების აკრძალვა და დაიწყო ახალი პოლიტიკური პარტიების ჩამოყალიბების პროცესი. შეიქმნა 15 პოლიტიკური პარტია, მაგრამ არჩევნებში დაშვებულ იქნა მხოლოდ სამი: პირველი – დემოკრატიული პარტია. ამ პარტიის დამფუძნებლები იყვნენ ყოფილი სამხედროები გენერალ თურგუთ სუნალფის ხელმძღვანელობით. მეორე იყო მემარცხენე ორიენტაციის სახალხო პარტია. მისი დამფუძნებელი იყო ნეჯეთ ჯალფი. ეს პარტია იზიარებდა სახალხო-რესპუბლიკური პარტიის ექვს პრინციპს. ორივე ეს პარტია

იდეოლოგიურად საკმაოდ ახლოს იდგა ერთმანეთთან. მესამე პოლიტიკური პარტია იყო თურგუთ ოზალის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბებული დედასამშობლოს პარტია. ამ პარტიის პროგრამა, პოლიტიკური თვალსაზრისით იყო კონსერვატორული, ხოლო ეკონომიკის განვითარების თვალსაზრისით ლიბერალური.

1983 წლის ნოემბერში ჩატარდა არჩევნები პარლამენტში. არჩევნებში გაიმარჯვა თურგუთ ოზალის დედასამშობლოს პარტიამ. მან თურქეთის ეროვნულ კრებაში ხმების 45 პროცენტი მიიღო.

სპეციალისტების აზრით, დედასამშობლოს პარტიის გამარჯვების მთავარი მიზეზი ის იყო, რომ იგი ერთადერთი სამოქალაქო პარტია იყო. ამასთან ერთად თურგუთ ოზალი სარგებლობდა ლიბერალის, ანტიეტატისტისა და ანტიბიუროკრატის რეპუტაციით.

დედასამშობლოს პარტიის წარმატება განაპირობა აგრეთვე ეკლექტიკურმა იდეოლოგიამ, რომელიც გამოხატავდა ოთხი ერთმანეთისაგან განსხვავებული პრინციპის გაერთიანებას, რაც ყველა ფენისათვის მისაღები იყო. გარდა ამისა, დედასამშობლოს პარტია, სხვა პარტიებთან შედარებით, რიტორიკაზე უფრო მეტად ახალი პროექტების განხორციელებასა და მოსახლეობის დასაქმებას პირდებოდა.

ეროვნულმა უშიშროების საბჭომ არჩევნების დროს აშკარად დაუჭირა მხარი ნაციონალურ დემოკრატიულ პარტიას და შედეგები სამხედროებისათვის მოულოდნელი აღმოჩნდა. მან ხმების 23 პროცენტი მიიღო, რაც ყველაზე დაბალი შედეგი იყო, სახალხო პარტიამ კი ხმების 30 პროცენტი მიიღო.

არჩევნების შემდეგ პრემიერ-მინისტრი გახდა თურგუთ ოზალი.

1980 წელს ჯერ კიდევ დემირელის მთავრობამ მიიღო ქვეყნის ეკონომიკის სტაბილიზაციის მიზნით „ღონისძიებათა პაკეტი", რომელიც მოამზადა პრემიერ-მინისტრის მრჩეველმა ეკონომიკის დარგში თურგუთ ოზალმა. პროგრამა მიზნად ისახავდა ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის გაზრდას ინდუსტრიალიზაციისა და ბუნებრივი რესურსების ოპტიმალური გამოყენების ბაზაზე. პროგრამა აგრეთვე ითვალისწინებდა ეკონომიკაში უცხოეთის კაპიტალის მოზიდვას.

გახდა რა პრემიერ-მინისტრი, თურგუთ ოზალმა გამოაცხადა, რომ იგი მომხრეა გაატაროს „ღონისძიებათა პაკეტი", რომელიც ჯერ კიდევ ადრე მის მიერ იყო შედგენილი. მან დააზუსტა, დაამატა და მასში შეიტანა ზოგიერთი ცვლილება.

მთავრობა გადაუდებელ ამოცანად თვლიდა დაჩქარებულიყო ადგილობრივი წარმოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის რეორგანიზაცია და მოდერნიზაცია, რომ მას შესძლებოდა გაეძლო უცხოეთის კონკურენციისათვის, საბაჟო ტარიფების თანდათანობით შემცირებით და ღია საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლით. მთავრობამ კურსი აიღო ეკონომიკის ლიბერალიზაციაზე, ე. ი. სახელმწიფო კაპიტალიზმის მოდელიდან თავისუფალ საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობების დამკვიდრებით. ეს ნიშნავდა ექსპორტის მაქსიმალურ სტიმულირებას, ყოველგვარ შეუზღუდველობას იმპორტზე, უცხოეთის კაპიტალდაბანდებების წახალისებას, სახელმწიფო საწარმოების პრივატიზაციას.

პრემიერ-მინისტრის თურგუთ ოზალის მიერ გატარებულმა ეკონომიკური ლიბერალიზაციის პოლიტიკამ ცენტრალური ანატოლიიდან წამოსული ახალი საქმიანი ელიტა შექმნა. მისი წევრების უმრავლესობა პროვინციული ქალაქებიდან იყვნენ. მათი მშობლები ძირითადად წვრილი ვაჭრები, პატარა მაღაზიების მფლობელები და ფერმერები იყვნენ. პროვინციული ახალგაზრდობა ქალაქებისაკენ დაიძრა, სადაც განათლება მიიღო და მუშაობა დაიწყო თანამედროვე ეკონომიკურ სექტორში. ისინი ურბანული საშუალო კლასის წევრები გახდნენ. ამასთან არ ესწრაფოდნენ დასავლეთთან დაახლოებას, მხოლოდ უცხოური ტექნიკური სიახლეების გადმოღებას

აპირებდნენ. მათთვის დასავლეთში ძირითადად აშშ იგულისხმებოდა, სადაც მათი ნაწილი კვალიფიკაციის ასამაღლებლად მიემგზავრებოდა. მათ, ძველი არისტოკრატიისაგან განსხვავებით, აკლდათ არისტოკრატიული წარმომავლობა და ხალხის საერთო კეთილდღეობაზე ნაკლებად ფიქრობდნენ. მთავარი საზრუნავი სიმდიდრის დაგროვება და მათ მიერ შექმნილი ახალი წესრიგის დაცვა იყო (მ. კომახია).

4. თურქეთის ეკონომიკური განვითარება 80-90 წლებში

ოზალის მთავრობამ მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია დასახული გეგმის განხორციელების საქმეში. ათი წლის განმავლობაში თურქეთმა მოახდინა დიდი ნახტომი მრეწველობის განვითარებაში. ამჟამად თურქეთი შედის მსოფლიოში ეკონომიკურად ყველაზე დინამიკურად განვითარებად ქვეყანათა ათეულში.

სწრაფად ვითარდება მრეწველობის სხვადასხვა დარგები:

საავტომობილო, ნავთობის გადამუშავების, საფეიქრო, კავშირგაბმულობის, სოფლის მეურნეობის სურსათის გადამუშავების დარგში და სხვ. თურქული საქონელი პროდუქციის დაბალი ფასისა და კარგი ხარისხის გამო, ფეხს იკიდებს უცხოეთის ბაზარზე. 1979 წლიდან ქვეყნის ექსპორტი გაიზარდა 3-ჯერ და 1986 წელს შეადგინა 7,5 მილიარდი დოლარი, ამასთან სამრეწველო მოცულობა გაიზარდა 80 %-მდე. ეკონომიკური ზრდის ყოველწლიური ტემპი ბოლო სამი წლის განმავლობაში შეადგენდა 5-8 %-ს, ხოლო 1995 წლის ზრდის ტემპის მაჩვენებელმა 10 % შეადგინა.

ქვეყანა აწარმოებს 1 მილიონ ტელევიზორს, 150 ათას ვიდეომაგნიტოფონს, მსუბუქი ავტომანქანების გამოშვებამ მიაღწია 100 ათასს.

თურქეთში დამუშავებითი მრეწველობის მთავარი დარგებია კვების, საფეიქრო, საშენ მასალათა და ქიმიური მრეწველობა.

თურქეთში მნიშვნელოვნად გაიზარდა ავტოპარკი. 1994 წელს ავტოპარკში იყო 3028 ათასი მსუბუქი ავტომანქანა. 688 ათასი – სატვირთო, 88 ათასი ავტობუსი.

ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა ტურისტთა რიცხვი თურქეთში. 1997 წელს ტურისტთა რიცხვმა 9,7 მილიონს მიაღწია და ტურიზმიდან ყოველწლიური შემოსავალი 7,5 მილიარდ დოლარს შეადგენდა.

მნიშვნელოვანი ძვრები მოხდა სოფლის მეურნეობაში: საგრძნობლად გაიზარდა სოფლის მეურნეობის ტექნიკური აღჭურვილობა. 1980 წელს თურქეთის მინდვრებში მუშაობდა 436,4 ათასი ტრაქტორი, ხოლო 1986 წელს – 612,7 ათასი, სალეწი მანქანა 92,8 ათასი და 126,6 ათასი, სასხურებლები 320,1 ათას და 463,8 ათასი, წვიმის მოწყობილობა 26,1 ათასი და 76,3 ათასი, გამოშვებულ იქნა ქიმიური სასუქები 6,0 მილ. ტ. და 7,7 მილ. ტ.

სოფლის მეურნეობის მთავარი დარგია მიწათმოქმედება, რომელიც სოფლის მეურნეობის პროდუქციის ღირებულების 2/3-ს იძლევა. სათესი ფართობის დაახლოებით 80 % უჭირავს მარცვლეულ კულტურებს. ძირითადად მოჰყავთ ხორბალი და ქერი. 1995 წელს მოიყვანეს ხორბალი 18 მილ. ტ. და ქერი 7,5 მილ. ტონა. მოჰყავთ აგრეთვე თამბაქო, ჩაი, თხილი, ლეღვი, ზეთის ხილი, ბამბა და სხვ.

სასოფლო პროდუქციის ზრდამ მნიშვნელოვნად გადააჭარბა მოსახლეობის ტემპების ზრდას, ამან კი საშუალება მისცა სახელმწიფოს შეეწყვიტა სასურსათო პროდუქტების შემოტანა საზღვარგარეთიდან და ნაწილი პროდუქტებისა გაეტანა საზღვარგარეთ.

ამავე წლებში გაიზარდა მადნის ამოღება. ელექტროენერგიის გამოშვება გაიზარდა 24,6-დან 40,5 მირდ. კილ. საათით, რამაც საშუალება მისცა მთავრობას მოეხდინა სოფლების 93,7 % ელექტროფიკაცია.

1980 წლამდე თურქეთში რეგისტრირებული იყო 100 უცხოური კომპანია, რომელსაც ჩადებული ჰქონდა კაპიტალდაბანდების 229 მილიონი დოლარი, ხოლო 1990 წლისათვის თურქეთში მოქმედებდა 1484 კომპანია, რომელსაც თურქეთის ეკონომიკაში ჩადებული ჰქონდა 3816 მილიონი დოლარი.



სტამბოლის სამრეწველო რაიონი


1960 წლის ბოლოდან თურქეთში იქმნებოდა ჰოლდინგური კომპანიები – პირველი თურქული კერძო კაპიტალისტური მონოპოლიები. ისინი იღებდნენ საგრძნობ დახმარებას მთავრობისაგან. მსხვილ ჰოლდინგებში გაერთიანებული იყვნენ ადგილობრივი და უცხოური კომპანიები.

რეფორმების შედეგად გაიზარდა უცხოეთის კაპიტალის დაინტერესება თურქეთით. ამჟამად თურქეთში ორ ათეულზე მეტი საერთაშორისო ბანკია გახსნილი.

ამ მხრივ აღსანიშნავია 1985 წელს მიღებული კანონი თურქეთის ტერიტორიაზე თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნის შესახებ. ამ კანონის მიღების შემდეგ თურქეთის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს ექვსი თავისუფალი ეკონომიკური ზონა: ანტალიაში, მესინაში, სტამბოლში, ტრაპიზონსა და აიდინში.

სახელმწიფომ დღის წესრიგში დასვა საკითხის მსხვილი სახელმწიფო საწარმოების გადაცემა-გაყიდვა კერძო სექტორისათვის, ე. ი. „ხალხისათვის“. ასე, მაგალითად, 1983 წელს გაიყიდა ბოსფორის ხიდის აქციები და სხვ.

ქვეყნის განვითარების სტრატეგია ვრცელდება სამხედრო მრეწველობის სფეროზედაც. მთავრობა ხელს უწყობს სამხედრო ტექნიკის წარმოების დარგში ნატოს ქვეყნების სამხედრო კომპანიებთან თანამშრომლობას. ამავე დროს თურქეთში შენდება სამხედრო ქარხნები ახლო და შუა აღმოსავლეთის ზოგიერთი ქვეყნის ფინანსური მონაწილეობით. ქარხ-



აფშინ-ელბისტანის ტერმინალი



ისქანდერუნის სამრეწველო ობიექტი აშენებული საბჭოთა სპეციალისტების დახმარებით

ნები მიაწვდიან თავიანთ სამხედრო პროდუქციას ამ რეგიონის სახელმწიფოებს.

1987 წელს თურქეთში მოეწყო პირველი რაკეტის გამოშვება, რომელიც მთლიანად დამზადებული იყო ადგილობრივი კომპონენტებისაგან, თურქეთის ტექნოლოგიით, ხოლო 1988 წელს ამერიკული ლიცენზიით ააგეს ბომბდამშენ-გამანადგურებელი ფ-16-ი.

თურქეთის მთლიანი ეროვნული შემოსავლის ზრდის ტემპები თანდათანობით უახლოვდება „ახალი ინდუსტრიული ქვეყნების“ (სამხრეთ-აღმოსავლეთი აზია და შორეული აღმოსავლეთი) მონაცემებს. 1981-1983 წლებში იგი შეადგენდა წელიწადში 3-4 %, 1984-1985 წლებში – 5 %, 1986-1987 წლებში მიაღწია 7,8 %, ამასთან სოფლის მეურნეობაში პროდუქციის ზრდა 1983-1986 წლებში გაიზარდა 3 %-ით, ხოლო მრეწველობაში შეადგენდა 8,6 %-ს. მრეწველობის სწრაფი განვითარების შედეგად 1980 წელს მრეწველობის ეროვნული პროდუქციის ხვედრითი წონა შეადგენდა 21,9 %-ს, ხოლო სოფლის მეურნეობისა – 24,1 %-ს, ხოლო 1987 წელს შესაბამისად 26,0 და 20.9 %.

ამრიგად, მრეწველობის ხვედრითმა წონამ გაუსწრო სოფლის მეურნეობას. თურქეთი აგრარული ქვეყნიდან გადაიქცა ინდუსტრიულ-აგრარულ ქვეყნად.

თურქეთის ეკონომიკურმა განვითარებამ ხელი შეუწყო საგარეო ვაჭრობის სწრაფ ზრდას. 1979 წელს საგარეო ვაჭრობის ტვირთბრუნვა შეადგენდა 7,3 მლრდ. დოლარს, ხოლო 1987 წელს გაიზარდა 24,4 მილიარდ დოლარამდე. თურქეთის წვლილი მსოფლიო ვაჭრობაში 8 წლის განმავლობაში თითქმის 3-ჯერ გაიზარდა: 0,24 %-დან 0,71 %-მდე, საგარეო ტვირთბრუნვის ტემპი 1980-1987 წლებში შეადგენდა 15 %-ს. თურქეთმა გაუსწრო აზიის ისეთ სახელმწიფოებს, როგორიც არიან სინგაპური – 4,0 %, ჰონკონგი – 12,4 %, სამხრეთ კორეა – 12,9 %, და ტაივანი – 14,0 %.

თურქეთის ექსპორტის სტრუქტურაში მოხდა რადიკალური ცვლილებები: თუ 1979 წელს სამრეწველო საქონლის ხვედრითი წონა შეადგენდა 40,6 %, 1987 წელს მან მიაღწია 81,8 %-ს.

ნაციონალური ექსპორტის წილი საგრძნობლად გაიზარდა 1980 წლიდან 1990 წლამდე; 2,9 მილიარდიდან – 14,7 მილიარდამდე. ამასთან შემცირდა სოფლის მეურნეობის პროდუქციის ხვედრითი წონა და მრეწველობისა კი – გაიზარდა.



საფეიქრო კომბინატი სტამბოლში

თუ ადრე თურქეთი უცხოური კრედიტების ვალში იმყოფებოდა, ეკონომიკური რეფორმების შედეგად, მან დაფარა ვალები, დააგროვა ოქროს რეზერვის სოლიდური მარაგი. 1993 წლისათვის შეადგინა 18,3 მილიარდი დოლარი. თურქეთის შიდა ეროვნულმა პროდუქციამ შეადგინა 200 მილიარდი დოლარი, ხოლო საერთო ეროვნული პროდუქციის წილმა ერთ მოსახლეზე – 3 ათასი დოლარი.

თურქეთის კერძო კაპიტალი ფართოდ იყენებს ლოზუნგს „ისლამური სოლიდარობა“ და აქტიურად იჭრება ნავთობით მდიდარ ახლო და შუა აღმოსავლეთის სახელმწიფოებში, განსაკუთრებით ერაყსა და ირანში.

თურქეთი მათ ამარაგებს სამრეწველო საქონლით, უთმობს თავის ტერიტორიას სატრანზიტო საქონლის გასატარებლად და სანაცვლოდ იღებს ნავთობსა და სხვა პროდუქტებს.

ხანგრძლივი დროის განმავლობაში თურქეთის სამრეწველო საქონლის წილი ამ ქვეყნებში შეადგენდა 20-30 %-ს, 1982 წლიდან – 59,7 %-ს, ხოლო 1984 წელს – 72,1 %-ს.

70-80 წლების მიჯნაზე თურქეთმა პირველად დაიწყო საწარმოო კაპიტალის ექსპორტი. 1978 წელს 17 თურქულმა სამშენებლო ფირმამ სხვადასხვა ქვეყანაში შეასრულა სხვადასხვა სამუშაო 7,6 მილ. დოლარის ღირებულების და თავის ქვეყანაში გადარიცხა 57,3 მილ. დოლარი მოგება. 1985 წელს 200 თურქული ფირმის მიერ ჩატარებული სამუშაო შეადგენდა 15 მილიარდ დოლარს.

1983 წელს თურქეთის მუშებმა (200 ათასი მუშა), რომლებიც საზღვარგარეთ მუშაობენ, სამშობლოში გადარიცხეს 864 მილიონი დოლარი (ი. ანთელავა).

თურქეთის ეკონომიკას ახასიათებს რიგი მოუგვარებელი პრობლემები: ასე, მაგალითად, მწვავედ დგას ინფლაციის პრობლემა. 1980-1983 წლებში ინფლაცია შეადგენდა 31,3%-ს, 1983-1991 წლებში 49%-ს, 1991-1995 წლებში 85,5 %-ს. ინფლაციამ ღრმად მოიკიდა ფეხი თურქეთის ეკონომიკაში. ეს კი იწვევს ფასების ზრდას ფართო მოხმარების საგნებზე და მშრომელი მასების ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებას.

თურქეთს ძალზე აწუხებს აგრეთვე უმუშევრობის პრობლემა. თურქეთში წლების განმავლობაში უმუშევართა რიცხვი შეადგენს 8-16 %-ს. ეს კი მეწარმეებს აძლევს შესაძლებლობას დააწესონ მინიმალური ხელფასი, რომელიც თურქეთში გაცილებით ნაკლებია, ვიდრე განვითარებულ ქვეყნებში.

მიუხედავად უარყოფითი მხარეებისა, თურქეთის ეკონომიკამ დიდ წარმატებებს მიაღწია. თურქეთი აგრარულ-ინდუსტრიული ქვეყნიდან გადაიქცა ინდუსტრიულ-

აგრარულ ქვეყნად. იგი თავისი დონით გაუსწორდა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიისა და შორეული აღმოსავლეთის „ახალ ინდუსტრიულ სახელმწიფოებს“.

5. ისლამური პარტიების გამოსვლა პოლიტიკურ ასპარეზზე და თურქეთი XX საუკუნის დამლევს

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ თურქეთის მმართველმა წრეებმა დაიწყეს რელიგიის პრინციპების მიმართ უფრო ზომიერი პოლიტიკის გატარება, ლაიციზმის პრინციპების შერბილება. ამით მათ სურდათ ხალხის მასებზე შეესუსტებინათ კომუნისტური იდეების გავლენა.

ისლამისტების გავლენის აღდგენას საგარეო ფაქტორმაც შეუწყო ხელი. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საბჭოთა კავშირის საერთაშორისო გავლენა მნიშვნელოვნად გაიზარდა. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში სახელმწიფოს სათავეები კომუნისტების ხელში გადავიდა და დაიწყო ამ ქვეყნებში სოციალისტური წყობილების დამყარება. კომუნისტების გავლენა გაძლიერდა დასავლეთ ევროპის ქვეყნებშიც. ასეთ ვითარებაში თურქეთის მმართველმა წრეებმა გადაწყვიტეს კომუნისტური საფრთხისათვის დაეპირისპირებინათ ისლამი.

1946 წელს მეჯლისში დაისვა საკითხი რელიგიური განათლების გაფართოების შესახებ. ერთმა დეპუტატმა თავის გამოსვლაში განაცხადა, რომ „ასეთი ღონისძიება წინ აღუდგება კომუნისტურ საფრთხეს“-ო. დისკუსიის შედეგად მეჯლისმა მიიღო კანონი, რომლითაც ბოლო მოეღო „უკიდურესი ლაიციზმის“ პოლიტიკას და ხელი შეუწყო რელიგიური განათლების გაფართოებას.

სეკულარიზაციის პოლიტიკის შესუსტებამ თანდათანობით გააძლიერა ისლამისტების პოზიციები, რამაც საბოლოო ჯამში შექმნა ხელსაყრელი პირობები ისლამისტური ორგანიზაციებისა და ისლამური პარტიების შესაქმნელად.

ერთი სიტყვით, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ თურქეთში თანდათანობით იწყება რეისლამიზაცია.

1947 წლიდან სკოლებში შემოიღეს რელიგიის გაკვეთილები, ხოლო ანკარის უნივერსიტეტში გახსნეს ღვთისმეტყველების ფაკულტეტი. 1948 წლიდან ნება დართეს მსურველებს წასულიყვნენ მექაში ჰაჯის შესასრულებლად.

დემოკრატიული პარტიის მმართველობის (1950-1960) პერიოდში რელიგია სასწავლო პროგრამებში შეიტანეს. სხვადასხვა ქალაქებში გაიხსნა იმამ ჰათიბის რელიგიური სკოლები, მიიღეს გადაწყვეტილება უმაღლესი ისლამური ინსტიტუტების გახსნის შესახებ.

დემოკრატიული პარტიის მმართველობის დროს ოთხჯერ მეტი მეჩეთი აშენდა, ვიდრე სკოლა.

60-იანი წლებიდან თურქეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში თანდათან იზრდება რელიგიის როლი და მაღლდება რელიგიის მსახურთა განათლების დონე. ასე, მაგალითად, 1962 წელს თურქეთში მცხოვრები 60 000 რელიგიის მსახურთაგან განათლება არ ჰქონდა 55 000, დაწყებითი განათლება 3106, საშუალო განათლება – 1298, რელიგიური – 417, საუნივერსიტეტო – 370.

მთავრობის მიერ კომპრომისზე წასვლის შედეგად პარალელურად იქმნებოდა რელიგიური საძმოები, ორდენები, სექტები და სხვა. მნიშვნელოვნად გაფართოვდა რელიგიურ-კულტურული საზოგადოებების საქმიანობა.



ნეჯმეთინ ერბაქანი

ქვეყანაში შეიქმნა ხელსაყრელი პირობები ისლამის ფაქტორის გაძლიერებისათვის. ამასთან ერთად ამ მოვლენებზე გარკვეული ზეგავლენა მოახდინა საგარეო ვითარებამაც.

თურქეთის მმართველი წრეები მიისწრაფოდნენ დაემყარებინათ მეგობრული ურთიერთობა ნავთობით მდიდარ მუსლიმურ სახელმწიფოებთან. 1967 წელს, როდესაც ისრაელმა ომი დაიწყო ეგვიპტის, სირიისა და იორდანიის წინააღმდეგ, თურქეთის მთავრობამ პირველად უარი თქვა მხარი დაეჭირა ისრაელისათვის და ნეიტრალიტეტი გამოაცხადა. ამას გარდა, იგი შეუერთდა იმ სახელმწიფოთა რიცხვს, რომლებიც მოითხოვდნენ ისრაელის ჯარების გაყვანას ოკუპირებული ტერიტორიებიდან.

1969 წელს თურქეთმა მონაწილეობა მიიღო ქ. რაბათში (მაროკო) გამართულ მუსლიმური ქვეყნების კონფერენციაში. შემდგომ წლებში თურქეთი მონაწილეობდა ყოველი ისლამური ორგანიზაციის საქმიანობაში.

ყოველივე ამან ხელი შეუწყო თურქეთში პროისლამური პარტიების დაარსებას.

1970 წლის 26 იანვარს, პირველად თურქეთის ისტორიაში, ლეგალურად დაარსდა პროისლამისტური ეროვნული წესრიგის პარტია. მისი დამაარსებელი იყო ნეჯმეთინ ერბაქანი.

უნდა აღინიშნოს, რომ რესპუბლიკის დაარსების დროიდან ისლამისტები ყოველთვის იმყოფებოდნენ პოლიტიკური ცხოვრების ეპიცენტრში. ისლამისტური დაჯგუფებები არსებობდა სახალხო-რესპუბლიკურ პარტიაში, დემოკრატიულ პარტიაში და სამართლიანობის პარტიაში, ეროვნული წესრიგის პარტიის ჩამოყალიბება კი ისლამისტთა არსებობის რეალობის ოფიციალური აღიარება იყო (ტ. ლებანიძე).

ეროვნული წესრიგის პარტიის პროგრამაში ნათქვამი იყო, რომ მისი მიზანია „მაღალგანვითარებული ცივილიზაციის შექმნა, რომელიც მთელი მსოფლიოსათვის მაგალითი იქნებოდა, როგორც ეს თურქი ერის დიდებულ წარსულში იყო“. ამ მიზნის მიღწევისათვის პარტია აპირებდა უმაღლესი მორალის აღიარებას სამართლიანობისაკენ სწრაფვას.

პარტიის პროგრამაში არაფერი იყო ნათქვამი, რომ პარტია სეკულარიზმს უარყოფდა. თუმცა პროგრამის ერთი თავი სეკულარიზმის კრიტიკას შეიცავდა.

პროგრამაში არაფერი იყო ნათქვამი თურქეთის დასავლეთ ევროპასთან დამოკიდებულებაზე და „საერთო ბაზარში“ შესვლის შესახებ. ერბაქანის განცხადებით, ამ ორგანიზაციაში შესვლით დასავლეთი თურქეთის კოლონიზაციას მოახდენდა. ერბაქანი მოუწოდებდა მუსლიმურ ქვეყნებს შეექმნათ „ისლამური ქვეყნების საერთო ბაზარი“.

ეროვნული წესრიგის პარტია გამოხატავდა წვრილი ბურჟუაზიის, ვაჭრების საშუალო ფენების ინტერესებს. ეროვნული წესრიგის პარტიამ დაიწყო ლაიციზმის პრინციპების წინააღმდეგ კამპანია, რაც გახდა ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ამ პარტიის დახურვისა. 1971 წელს, სამხედროების მიერ გამოცემული მემორანდუმის შემდეგ, ერბაქანი დააპატიმრეს, ხოლო „ეროვნული წესრიგის პარტია“ აკრძალეს.

მიუხედავად ამისა, ისლამისტებს ფარხმალი არ დაუყრიათ. 1972 წლის ოქტომბერში მათ დააარსეს „ეროვნული ხსნის პარტია“, რომელიც „ეროვნული წესრიგის პარტიის“ მემკვიდრე გახდა.

ერბაქანის მეთაურობით შექმნილმა ახალმა პარტიამ 1973 წლის არჩევნებში ხმების 11,8 პროცენტი მიიღო. იგი შევიდა კოალიციურ მთავრობაში სახალხო რესპუბლიკურ მთავრობასთან, რომელსაც მეთაურობდა ბულენთ ეჯევითი.

1977 წლის არჩევნებში ეროვნული ხსნის პარტიამ ხმების 8,6 პროცენტი მოიპოვა. მიუხედავად ამისა, შევიდა სულეიმან დემირელის მიერ შედგენილ მეორე „ეროვნული ფრონტის“ კოალიციურ მთავრობაში.

1980 წლის 12 სექტემბრის სამხედრო გადატრიალების შემდეგ ქვეყანაში არსებული პოლიტიკური პარტიები და მათ შორის ეროვნული ხსნის პარტიის საქმიანობა აიკრძალა. ერბაქანი დააპატიმრეს და პასუხისმგებლობაში მისცეს. ერბაქანს მიუსაჯეს 8 თვის პატიმრობა.

1987 წელს, თურგუთ ოზალის ინიციატივით, ჩატარდა რეფერენდუმი პოლიტიკური აკრძალვების გაუქმებასთან დაკავშირებით. ეს აკრძალვა შემოღებულ იქნა 1980 წელს სამხედრო გადატრიალების შემდეგ. რეფერენდუმზე ხალხმა მხარი დაუჭირა აკრძალვის გაუქმებას. რეფერენდუმის შემდეგ ქვეყანაში პოლიტიკური საქმიანობა გამოცოცხლდა. პოლიტიკურ სარბიელზე კვლავ გამოვიდნენ ისეთი პოლიტიკური მოღვაწეები, როგორიც არიან სულეიმან დემირელი, ბულენთ ეჯევით, ნეჯმეთინ ერბაქანი და სხვ.

1987 წელს ერბაქანი კვლავ დაუბრუნდა პოლიტიკურ მოღვაწეობას და იგი აირჩიეს 1983 წელს დაარსებული „კეთილდღეობის პარტიის“ გენერალურ თავმჯდომარედ. აქედან დაწყებული ერბაქანი გახდა ლეგალური ისლამური მოძრაობის ერთპიროვნული ლიდერი.

1987 წლის პარლამენტში არჩევნების დროს „კეთილდღეობის პარტიამ“ ხმების 7,2 პროცენტი მიიღო, ხოლო 1989 წლის ადგილობრივ არჩევნებში – 9,8 პროცენტი.

ამრიგად, პარტიის ამომრჩეველთა რიცხვი თანდათანობით გაიზარდა, რაც ისლამისტების გავლენის ზრდის მაჩვენებელი იყო.

აღსანიშნავია ის, რომ 1980 წლის სახელმწიფოს გადატრიალების შემდეგ გაფართოვდა კონტაქტები ისლამურ სამყაროსთან. 1981 წელს ანკარასა და სტამბოლში გაიხსნა ისლამის ისტორიის, კულტურისა და ხელოვნების ცენტრი: სტატისტიკური, ეკონომიკური და სოციალური გამოკვლევების ცენტრი, ისლამის განვითარების ბანკი და სხვ. ამ ქალაქებში ჩატარებულ კონფერენციებს ესწრებოდნენ ლაიცისტური რესპუბლიკის როგორც პრეზიდენტი, ასევე პრემიერ-მინისტრი. ამ კონფერენციებზე მიღებული გადაწყვეტილებებით თურქეთმა აიღო ვალდებულება აღმოუჩინოს დახმარება აზიისა და აფრიკის ისლამურ ცენტრებსა და ინსტიტუტებს.

ცხადია, თურქეთში ისლამური კვლევის ცენტრების გახსნამ ხელი შეუწყო ქვეყანაში ისლამის გავლენის ზრდას.

პრემიერ-მინისტრმა თურგუთ ოზალმა შეძლო შეიარაღებულ ძალებთან ურთიერთობაში გარკვეული გავლენა მოეპოვებინა და ცდილობდა განეხორციელებინა სამხედროებზე სამოქალაქო კონტროლი. ასე, მაგალითად, 1987 წელს მან შეაჩერა გენერალური შტაბის უფროსად ნეჯეთ ოზთოღანის დანიშვნა და მის ნაცვლად ეს თანამდებობა დაიკავა მისთვის უფრო მისაღებმა პირმა ნეჯათ თორუმმა. შემდგომში კი, უკვე თავისი პრეზიდენტობის დროს, იგივე პიროვნება აიძულა გადამდგარიყო თანამდებობიდან.

1989 წლის 9 ნოემბერს თურგუთ ოზალი ეროვნულმა კრებამ პრეზიდენტად აირჩია. ეს იყო მეორე შემთხვევა, როდესაც პრეზიდენტად სამოქალაქო პირს ირჩევდ-

ნენ. ექვსი წინა პრეზიდენტი სამხედრო პირი იყო. თურგუთ ოზალის შემდეგ, მომდევნო ორივე პრეზიდენტი სამოქალაქო პირია. ამრიგად, თურგუთ ოზალმა სათავე დაუდო პრეზიდენტად სამოქალქო პირების არჩევას. მართალია, უკანასკნელი სამი პრეზიდენტი სამოქალაქო ხელისუფლებიდან არიან, მაგრამ სამხედროების გავლენა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაზე ჯერ კიდევ საგრძნობია.

თურგუთ ოზალი დაიბადა 1927 წელს ქ. მალათიაში. პირველდაწყებითი განათლება მან დაბა სილიფკეში მიიღო. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, იგი სტამბოლის ტექნიკური უნივერსიტეტის ელექტრონიკის ფაკულტეტზე შევიდა, რომელიც 1950 წელს დაამთავრა და მიიღო ელექტრო-ინჟინერის კვალიფიკაცია. 1952 წელს საინჟინრო-ეკონომიკის სპეციალიზაციის მიზნით გაემგზავრა აშშ-ში. 1961-1966 წლებში თურგუთ ოზალი მაღალ თანამდებობებზე მუშაობდა ელექტროსისტემის საპროექტო საბჭოში და დიდი წვლილი შეიტანა გიგანტური სიმძლავრეების ჰიდროელსადგურების დაპროექტებისა და მშენებლობის საქმეში. ერთდროულად იგი ლექციებს კითხულობდა შუა აღმოსავლეთის ტექნიკურ უნივერსიტეტში.

თურგუთ ოზალი აქტიურ როლს თამაშობდა ქვეყნის ეკონომიკის განვითარებასა და მის პრაქტიკულ განხორციელებაში.

1971 წლის 12 მარტის ამბების შემდეგ, იგი გაემგზავრა აშშ-ში, სადაც 1973 წლამდე დაჰყო. 1976 წელს თურგუთ ოზალი „საბანჯის ჰოლდინგის" გენერალური კოორდინატორი გახდა. მალე მას სამრეწველო პროფკავშირების გენერალურ თავმჯდომარედ ირჩევენ.

1979 წელს თურგუთ ოზალი სულეიმან დემირელის მთავრობაში პრემიერ-მინისტრის თანაშემწედ დაინიშნა და აქტიურად ჩაება პოლიტიკურ საქმიანობაში.

პრეზიდენტად არჩევის შემდეგ თურგუთ ოზალმა წარმატებით გააგრძელა პრემიერ-მინისტრობის დროს დაწყებული ქვეყნის ეკონომიკური გარდაქმნები.

თურგუთ ოზალმა დაიწყო ლიბერალური პოლიტიკის გატარება. გამოცემულ იქნა მეორე გარდაქმნების რეფორმათა პაკეტი. 1991-1993 წლებში განხორციელდა რიგი დემოკრატიული ღონისძიებანი, რომლებმაც კონსერვატორებისა და სამხედროებში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია.

1991 წლის 20 ოქტომბერს მეჯლისში ჩატარდა არჩევნები. არჩევნების შედეგად გაიმარჯვა ჭეშმარიტების გზის პარტიამ (ჭგპ). მან პარლამენტში მიიღო 178 ადგილი, დედასამშობლოს პარტიამ (დსპ) – 115 ადგილი, სოციალ-დემოკრატიულმა სახალხო პარტიამ (სდსპ) – 80 ადგილი, კეთილდღეობის პარტიამ (კდპ) – 7 ადგილი.

კოალიციური მთავრობა შეადგინა ჭეშმარიტების გზის პარტიის ლიდერმა სულეიმან დემირელმა.

1993 წლის 17 აპრილს გარდაიცვალა თურგუთ ოზალი. მან თურქეთის ისტორიაში დიდი პოლიტიკური მოღვაწის სახელი მოიპოვა. მის მიერ გატარებული ეკონომიკური პროგრამების წარმატებით განხორციელებამ და ქვეყნის ეკონომიკის არნახულმა აღმავლობამ მას დიდი ავტორიტეტი და პოპულარობა მოუტანა. მის მიერ გატარებული ეკონომიკური რეფორმების შედეგად თურქეთი აგრარულ-ინდუსტრიული ქვეყნიდან ინდუსტრიულ-აგრარულ ქვეყნად გადაიქცა. თურგუთ ოზალმა დიდად შეუწყო ხელი სამ მნიშვნელოვან მიმართულებას: თავისუფალ საბაზრო ეკონომიკას, რელიგიისა და სინდისის თავისუფლებას, კერძო ინიციატივასა და კონკურენციის თავისუფლებას. მან ევროკავშირის წინაშე დასვა საკითხი თურქეთის ევროკავშირში სრულუფლებიან წევრად მიღების შესახებ. თურგუთ ოზალი იყო ინიციატორი შავი ზღვის ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის საერთაშორისო ორგანიზაციის შექმნისა და სხვ.



პრეზიდენტი სულეიმან დემირელი (1993-2000)

თურგუთ ოზალი იყო თურქეთის პირველი პრეზიდენტი, რომელმაც ჰაჯი შეასრულა. ათათურქის შემდეგ, თურგუთ ოზალი ყველაზე პოპულარული პრეზიდენტია.

თურგუთ ოზალის გარდაცვალების შემდეგ პრეზიდენტად აირჩიეს სულეიმან დემირელი (1993-2000).

სულეიმან დემირელი თურქეთის უახლოესი ისტორიის ერთ-ერთი გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწეა. იგი დაიბადა 1924 წლის 1 ნოემბერს ისპარტას ვილაიეთის სოფელ ისლამქოიში. 1949 წელს დაამთავრა სტამბოლის ტექნიკური უნივერსიტეტი. შემდეგ სტაჟირებას გადიოდა აშშ-ში. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ დემირელი ხელმძღვანელობდა რამდენიმე საზღვარგარეთულ კომპანიას, ლექციებს კითხულობდა ანკარის შუა აღმოსავლეთის ტექნიკურ უნივერსიტეტში.

60-იანი წლების დასაწყისიდან დემირელი ჩაება პოლიტიკურ საქმიანობაში. 1964 წელს იგი აირჩიეს სამართლიანობის პარტიის გენერალურ თავმჯდომარედ.

1965 წელს დემირელი გახდა პრემიერ-მინისტრი და ეს თანამდებობა ეკავა 1971 წლის მარტამდე. 1979-1980 წლებში კვლავ პრემიერ-მინისტრია. 1980 წლის 12 სექტემბრის სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ მას 7 წლით აუკრძალეს პოლიტიკური მოღვაწეობა.

1983 წლიდან დემირელმა განაახლა პოლიტიკური მოღვაწეობა. მისი მონაწილეობით შეიქმნა ჭეშმარიტების გზის პარტია და 1987 წელს იგი აირჩიეს ამ პარტიის თავმჯდომარედ. დემირელი თურქეთის ეკონომიკური მოდერნიზაციის ერთ-ერთი ინიციატორი იყო. დემირელი საქართველოსთან თანამშრომლობის აქტიური მომხრეა.

სულეიმან დემირელის პრეზიდენტად არჩევის შემდეგი პრემიერ-მინისტრი გახდა ქ-ნი თანსუ ჩილერი. ამავე დროს ჩილერი აირჩიეს ჭეშმარიტების გზის პარტიის გენერალურ თავმჯდომარედ.

90-იანი წლების დასაწყისიდან იზრდება ისლამისტური ელექტორატის ექსტრემისტული ორგანიზაციების რიცხვი. 1991 წელს გაუქმდა სისხლის სამართლის კოდექსის 163 მუხლი, რომელიც კრძალავდა ისლამის გამოყენებას პოლიტიკური და პირადი ინტერესებისათვის. დღითი დღე მატულობდა ისლამისტური ორგანიზაციების პარტიების ელექტორატი. 1994 წლის მარტის მუნიციპალური არჩევნების შედეგად, კეთილდღეობის პარტიის წარმომადგენლებმა ქვეყნის 28 დიდი ქალაქის მერის თანამდებობა დაიკავეს და აგრეთვე წარმატება მოიპოვეს პარლამენტის მორიგ არჩევნებში.

1995 წლის 24 დეკემბერს პარლამენტში ჩატარდა არჩევნები. დეპუტატის მანდატები ასე განაწილდა: კეთილდღეობის პარტიამ (კდპ) მიიღო 158 ადგილი, დედასამშობლოს პარტიამ (დსპ) – 132 ადგილი, ჭეშმარიტების პარტიამ (ჭპ)– 135 ადგილი, მემარცხენე დემოკრატიულმა პარტიამ (მდპ) – 76 ადგილი, სახალხო რესპუბლიკურმა პარტიამ (სრპ) – 49 ადგილი.



შეიქმნა მთავრობის კოალიცია. მარცხნიდან ს. დემირელი, არფასლან თურქეში, ნეჯმეთინ ერბაქანი.

ამრიგად ვერცერთმა პარტიამ ვერ მიიღო უმრავლესობა, ამიტომ დედასამშობლოსა და ჭეშმარიტების გზის პარტიები გაერთიანდა და შეადგინეს ორპარტიული მთავრობა, პრემიერ-მინისტრი გახდა მესუთ ილმაზი, მაგრამ კოალიცია მალე დაიშალა და 1996 წლის 29 ივნისს შეიქმნა ახალი კოალიცია, რომელშიაც შევიდა ჭეშმარიტების გზისა და კეთილდღეობის პარტია და პრემიერ მინისტრის თანამდებობას მონაცვლეობით დაიკავებდნენ თანსუჰ ჩილერი და ნეჯმეთინ ერბაქანი. თავდაპირველად პრემიერ-მინისტრი გახდა ნეჯმეთინ ერბაქანი. იგი „კეთილდღეობის პარტიის“ სახელით მოუწოდებდა: „ჭეშმარიტ დემოკრატიაზე“ გადასვლას, „დემოკრატიული საგარეო პოლიტიკის გატარებას“, ისლამურ სახელმწიფოებთან დაახლოებას, რწმენის თავისუფლების აღიარებას, ჩადრის ტარების თავისუფლებას, დღეში ხუთჯერ ლოცვას, რელიგიური სკოლების თავისუფალ საქმიანობას, ლოცვაში არაბული ენის გამოყენებას და სხვ.

კეთილდღეობის პარტიამ მიაღწია საერო და ისლამური ფაკულტეტების კურსდამთავრებულთა დიპლომების გათანასწორებას და ასეთ პირებს უფლება მიეცათ ემუშავათ და ემსახურათ სახელმწიფო დაწესებულებებში.

კეთილდღეობის პარტიის აქტივისტებმა სამხედრო ლიდერები დაადანაშაულეს ყაზარმებში ჯარისკაცებისათვის ლოცვის შესაძლებლობის წართმევაში.

ერბაქანი საგარეო პოლიტიკაში ატარებდა ისლამურ სახელმწიფოებთან დაახლოების პოლიტიკას.

1996 წლის ნოემბერში ანკარაში ჩატარდა ისლამური ქვეყნების „თანამშრომლობისა და განვითარების“ კონფერენცია. ერბაქანის ინიციატივით მიიღეს დადგენილება დასავლური „შვიდეულის“ მსგავსი ისლამური „რვათა კავშირის“ შექმნის შესახებ. კონფერენციას ესწრებოდნენ თურქეთის, ეგვიპტის, ირანის, პაკისტანის, მალაზიის, ბანგლადეშის, ინდონეზიისა და ნიგერიის წარმომადგენლები. მისი შტაბ-ბინა სტამბოლში უნდა ყოფილიყო.



თანსუ ჩილერი

ახალი ორგანიზაციის წევრების პირველი შეხვედრა მოეწყო ანკარაში 1997 წლის 4 იანვარს. პრემიერმა ერბაქანმა განაცხადა, რომ „ამ შეხვედრის მიზანი იყო არა მარტო ისლამური, არამედ ყველა განვითარებული ქვეყნის გაერთიანება ერთ ჯგუფად“. ერბაქანმა წამოაყენა „ისლამური გაეროს“, „ისლამური ნატოს“ მსგავსი გაერთიანების შექმნის იდეა“.

შემდეგი შეხვედრა დაინიშნა 1998 წლის ნოემბერ-დეკემბერში, მაგრამ ეს ვერ მოხერხდა თურქეთში შექმნილი შიდა პოლიტიკური ვითარების გამო.

60-იანი წლებიდან თურქეთში იქმნება მემარჯვენე რადიკალურ ნაციონალისტური დაჯგუფებები. ამ საქმეში დიდი წვლილი მიუძღვის პოლკოვნიკ ალფ-არსლან თურქეშს, რომელმაც 1960 წლის სამხედრო გადატრიალებაში აქტიური მონაწილეობა მიიღო, მაგრამ მალე იგი გარიცხულ იქნა ეროვნული ერთიანობის კომიტეტიდან. 1965 წელს არფასლან თურქეში შევიდა გლეხთა ეროვნულ პარტიაში და იმავე წელს იგი აირჩიეს ამ პარტიის თავმჯდომარედ. მან შეძლო პარტიაში რიგი ცვლილებების შეტანა და პარტიამ მიიღო უკიდურესად ნაციონალისტური და ნახევრად გასამხედროებული იერი. 1968 წელს ამ პარტიის ბაზაზე ჩამოყალიბდა ყველაზე მემარჯვენე ჯგუფები, რომლებსაც ულქუჯუები ეწოდათ. 1969 წლიდან პარტიას ეწოდა ნაციონალისტური მოძრაობის პარტია, ხოლო მის ახალგაზრდულ ფრთას – „რუხი მგლები“ („Bozkurt“).

არფასლან თურქეშმა პარტიის მიზნები ჩამოაყალიბა თავის წიგნში „ცხრა სხივი“. მასში იგი ანვითარებდა ახალი სახელმწიფოს შექმნის იდეას, რომელიც განსხვავებული იქნებოდა როგორც კაპიტალიზმისაგან, ასევე სოციალიზმისაგან. მისი საბოლოო მიზანი იყო, ისლამური დროშით, მსოფლიოში გაბატონება და დიდი თურქული სახელმწიფოს შექმნა.

ნაციონალური მოძრაობის პარტია ცხრა პრინციპს ეფუძნება, აქედან ძირითადი პრინციპი ნაციონალიზმი და ისლამიზმია. პარტია დიდ მნიშვნელობას ანიჭებს თურქულენოვან ხალხებთან ურთიერთობას. ნაციონალისტებს სურთ განახორციელონ პანთურანიზმი, რომელიც გულისხმობს თურქული წარმომავლობის ხალხების გაერთიანებას ერთი სახელმწიფოს ფარგლებში.

პარტიასთან შეიქმნა ნახევრად გასამხედროებული ორგანიზაციები და მათი ახალგაზრდა წევრები იწვრთნებიან სპეციალურ ბანაკებში.

ნაციონალური მოძრაობის პარტია თურქეთის ყველაზე მობილიზებული და ორგანიზებული პარტიაა. უსიტყვოდ სრულდება უფროსის ბრძანებები და მითითებები (ზ. ბატიაშვილი).

1980 წლის სამხედრო გადატრიალების შემდეგ პარტიის საქმიანობა აიკრძალა, არფასლან თურქეში და პარტიის რიგი წევრები დააპატიმრეს. 80-იანი წლების შუა პერიოდში პარტიამ დროებით სახელი შეიცვალა და განაახლა თავისი მოღვაწეობა.

1997 წელს გარდაიცვალა არფასლან თურქეში. მისი გარდაცვალების შემდეგ პარტიის გავლენა არ შესუსტებულა. 1999 წლის არჩევნების დროს ხმების 18

პროცენტი მოაგროვა. ამჟამად პარტიის გენერალური თავმჯდომარეა დევლეთ ბაჰჩელი.

თურქეთში ისლამური სახელმწიფოს შექმნისა და აქ შარიათის წესების დამკვიდრების მიზნით ქვეყანაში მოქმედებდნენ ისლამისტური ორგანიზაციები. მათ შორის აღსანიშნავია უკიდურესი ექსტრემისტული ისლამისტური ორგანიზაციები როგორიცაა „დიდი აღმოსავლეთის ისლამური ფრონტი“, „ისლამური მოძრაობის ორგანიზაცია“, „ჰეზბულაჰი“ და სხვები. მათი მიზანია თურქეთში ლაიციზმისა და დემოკრატიის მოსპობა და ხალიფატის აღდგენა.



არფასლან თურქეში

თურქეთში აგრეთვე აქტიურად მოქმედებენ ისლამური ორდენები თარიქათები, სულეიმანიები, აჯზიმენდიები, ნაქშბენდიები და სხვები. ისინი თავისი მიზნების მისაღწევად აქტიურად იყენებენ ისლამის პროპაგანდას, საგანმანათლებლო მოღვაწეობას და პოლიტიკურ პირებთან თანამშრომლობას, რომელთა შორის ყველაზე დიდი ავტორიტეტითა და გავლენით სარგებლობს ხოჯა ეფენდი ფეთჰულლაჰ გიულენი. ხოჯა ეფენდი საგანმანათლებლო და დიალოგით ცნობილი სასულიერო და მოაზროვნე ადამიანია.

ფეთჰულაჰ გიულენმა მოღვაწეობა 1966 წლიდან დაიწყო. მალე მან ხალხის მასებში დიდი გავლენა მოიპოვა. იგი სულიერ მამად და მოძღვრად აღიარეს.

1994 წელს დაარსდა „ჟურნალისტებისა და მწერლების ფონდი“, რომლის საპატიო თავმჯომარედ ფ. გიულენი აირჩიეს. ამ ფონდმა დიდი წვლილი შეიტანა სხვადასხვა რელიგიების წარმომადგენლებთან ურთიერთდაახლოებისა და მშვიდობიანი ურთიერთობის გამყარებაში. 1997 წელს გაიმართა საერთაშორისო კონფერენცია სახელწოდებით „ცივილიზაციათა შორის დიალოგი“, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ცნობილმა მეცნიერება, რელიგიისა და კულტურის წარმომადგენლებმა.



ფეთჰულაჰ გიულენი და მსოფლიო კონსტანტინოპოლის პატრიარქი

ფონდის მიერ გამართულ ღონისძიებებში მონაწილეობდნენ თურქეთის პრეზიდენტი სულეიმან დემირელი, ვიცე-პრეზიდენტი ბულენთ ეჯევითი, თანსუჰ ჩილერი, მესუთ ილმაზი და სხვა სახელმწიფო მოღვაწეები. ფეთჰულლაჰ გიულენი თავის ნაწარმოებებში და ქადაგებაში საუბრობს ურთიერთგაგების, განსხვავებული აზრისადმი პატივისცემისა და დიალოგის აუცილებლობაზე სხვადახვა აღმსარებლობებს შორის.



რეჯაი ქუთანი

1999 წელს ფეთჰულლაჰ გიულენი ამერიკაში გაემგზავრა სამკურნალოდ და ამჟამად იქ ცხოვრობს.

2001 წლის 11 სექტემბეს ნიუ-იორკში მოვლენების შემდეგ მან დაგმო ტერორიზმი და გამოვიდა რელიგიათა შორის დიალოგის გამართვის მოთხოვნით. ამ მიზნით იგი შეხვდა რომის პაპს იოანე II-ს, კონსტანტინოპოლის პატრიარქს ბართლომეს, მსოფლიო ხახამს ბახშის, მსოფლიო ეკლესიების კავშირის წევრებსა და სხვა რელიგიურ ლიდერებს.

ფეთჰულლაჰ გიულენი ილაშქრებს ტერორიზმის წინააღმდეგ. მან თავის ერთ-ერთ გამოსვლაში განაცხადა: „ტერორისტი მუსლიმი ვერ იქნება... არავინ ტერორისტს თავისუფლებისათვის მებრძოლი არ უნდა უწოდოს".

ფეთჰულლაჰ გიულენი თავისუფლებისა და დემოკრატიის მომხრეა, ჰგმობს ძალადობასა და დიქტატურას. „მხოლოდ ძალადობაზე დამყარებით, ამბობს იგი, ვერცერთი სისტემა დიდ ხანს ვერ იარსებებს, ძალა რომელიც სამართლიანობასა და მართლმსაჯულებას არ ემყარებოდა, ადრე თუ გვიან დესპოტიზმისაკენ გადაუხვევს და ეს კი მის დასასრულს მოამზადებს".

ფეთჰულლაჰ გიულენი ახალგაზრდობის აღზრდას და მის განათლებას უაღრესად დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. მისი აზრით: „სახელმწიფოს უნდა ჰყავდეს ნიჭიერი, ჭკვიანი და გონიერი ოქროს თაობა. გიულენის მთავარი მიზანია მშვიდობიანი თანაცხოვრება და განსხვავებული აზრის პატივისცემა და ტოლერანტობის პრინციპების ადიარება.

ფეთჰულლაჰ გიულენმა და მისმა მიმდევრებმა თურქეთში და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში დააარსეს 500-მდე სასწავლო დაწესებულება, მათ შორის 4 უნივერსიტეტი, აბიტურიენტთა მოსამზადებელი კურსები (100), უცხო ენების შემსწავლელი 8 ცენტრი. სულ აღნიშნულ სასწავლებლებში განათლებას ეუფლება 500 000 ახალგაზრდა აშშ-დან, გერმანიიდან, ბელგიიდან, რუმინეთიდან, სამხრეთ აფრიკიდან, კამბოჯიდან, მონღოლეთიდან, რუსეთიდან, თურქმენეთიდან, უკრაინიდან, აზერბაიჯანიდან, საქართველოდან და სხვ.



მევსუთ ილმაზი

კეთილდღეობის პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკამ და მის მიერ გატარებულმა ღონისძიებებმა ქვეყანაში ისლამური რეჟიმის დამყარების საფრთხე შექმნა. 1997 წლის თებერვალში სამხედროებმა გადაწყვიტეს ბრძოლა დაეწყოთ ეროვნული უშიშროების საბჭოში კეთილდღეობის პარტიის წინააღმდეგ.

1997 წლის 28 თებერვალს ჩატარდა თურქეთის ეროვნული საბჭოს სხდომა, რომელმაც შეიმუშავა რიგი ღონისძიებანი ისლამური იდეოლოგიისა და მისი საქმიანობის შეზღუდვის მიზნით.



ბულენთ ეჯევითი

1998 წლის 16 იანვარს თურქეთის საკონსტიტუციო სასამართლომ, რვა თვის სასამართლო პროცესის შედეგად, აკრძალა კეთილდღეობის პარტია. პარტიის ქონება ხაზინას გადაეცა. პარტიის გენერალურ თავმჯდომარეს ნეჯმეთ ერბაქანს და კიდევ ხუთ ხელმძღვანელს ხუთი წლით აეკრძალათ პოლიტიკური მოღვაწეობა.

აკრძალული კეთილდღეობის პარტიის წევრები გადავიდნენ „სათნოების (ღირსების) პარტიაში". ამ ახალი პარტიის ლიდერად 1998 წლის 14 მაისს აირჩიეს რეჯაი ქუთანი.

ამავე დროს ძლიერდება ბრძოლა ისლამური ფუნდამენტალიზმის წინააღმდეგ. თუ ადრე ფუნდამენტალისტების აღკვეთით, ახალი კანონით მას სამუდამო პატიმრობა ემუქრება. ამავე დროს მიიღეს კანონი, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო დაწესებულებებსა და უნივერსიტეტებში აიკრძალა თურბანის (ქალებისათვის თავსაფარი) ტარება. კანონის დამრღვევებს მიესჯებოდათ პატიმრობა 6 თვიდან ერთ წლამდე.

ოქტომბერში მთელ ქვეყანაში მიმდინარეობდა ისლამისტების გამოსვლები. ისინი მოითხოვდნენ სახელმწიფო დაწესებულებებსა და სასწავლებლებში თურბანის ტარების აკრძალვის გაუქმებას.

ქვეყანაში პოლიტიკური მდგომარეობა რთულდებოდა. 25 ნოემბერს პარლამენტმა უნდობლობის ვოტუმი გამოუცხადა მთავრობას და ახალი კაბინეტის შედგენა დაავალა დემოკრატიული პარტიის ლიდერს ბულენთ ეჯევითს. 1999 წლის 17 იანვარს შეიქმნა უმცირესობის მთავრობა, ბულენთ ეჯევითის მეთაურობით.

ახლად ჩამოყალიბებულმა ღირსების (სათნოების) პარტიის ლიდერებმა გადაწყვიტეს, ელექტორატის გაზრდის მიზნით, ყურადღება გაემახვილებინათ ქვეყნის საჭირბოროტო საკითხებზე. ასე, მაგალითად, მათ მხარი დაუჭირეს თურქეთის შესვლას ევროპის კავშირში იმ დროს, როდესაც ისლამისტური პარტიები ამის წინააღმდეგი იყვნენ. ისინი გამოდიოდნენ დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების დაცვის მოთხოვნით. მათ მხარი დაუჭირეს ქურთებისათვის კულტურული უფლებების მინიჭებას. პარტიამ შეცვალა ქალებისადმი დამოკიდებულება. პარტიის რიგებში მიიღეს უმაღლესი განათლების მქონე ქალები. პარტიის ცენტრალურ ორგანოს შემადგენლობაში შეიყვანეს სამი ქალი, რომლებიც ჩადრს არ ატარებდნენ. ორატორი ქალები აღარ საუბრობდნენ საზოგადოებრივ დაწესებულებში ქალების ჩადრის აკრძალვის გაუქმებაზე, აწყობდნენ ქალებისა და მამაკაცების მონაწილეობით ერთობლივ ბანკეტებსა და სხვ.



დევლეთ ბაჰჩელი

ღირსების პარტიის დეპუტატის მერვე ქავაქჩის (წარმომავლობით ქართველია) პარლამენტის შენობაში ჩადრიანი ქალის შესვლამ პარლამენტში დიდი აურზაური გამოიწვია და ერთგვარად შელახა პარტიის ავტორიტეტი.

1999 წლის 18 აპრილს თურქეთში ჩატარდა არჩევნები მეჯლისში. არჩევნების შედეგად მემარცხენე-დემოკრა-



პრეზიდენტი აჰმედ ნეჯდეთ სეზერი (2000 წ. 5 მაისი)


ტიულმა პარტიამ პარლამენტში მიიღო 136 ადგილი, ნაციონალური მოძრაობის პარტიამ 129 ადგილი, ღირსების (სათნოების) პარტიამ – 86 ადგილი და ჭეშმარიტების გზის პარტიამ – 85 ადგილი. დანარჩენმა პარტიებმა ვერ გადალახეს 10 %-იანი ბარიერი.

მართალია, არჩევნებში გამარჯვება მოიპოვეს დემოკრატიულმა ძალებმა, მაგრამ ახლად ჩამოყალიბებულმა ისლამისტურმა ღირსების (სათნოების) პარტიამ არჩევნებში მესამე ადგილი დაიკავა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ იგი ხალხის მასებში გავლენით სარგებლობს.

პრეზიდენტმა სულეიმან დემირელმა მთავრობის შედგენა დაავალა მემარცხენე-დემოკრატიული პარტიის ლიდერს ბულენთ ეჯევითს. 9 იანვარს პრეზიდენტმა დაამტკიცა ახალი მთავრობის შემადგენლობა: პრემიერ-მინისტრი – ბულენთ ეჯევითი, ვიცე-პრემიერი და სახელმწიფო მინისტრი – დევლეთ ბაჰჩელი (ნაციონალური მოძრაობის პარტია), საგარეო საქმეთა მინისტრი – ისმაილ ჯემი (მემარცხენე დემოკრატიული პარტია).

ბულენთ ეჯევითი თურქეთის ერთ-ერთი გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწეა. იგი დაიბადა 1925 წელს სტამბოლში. მამამისი იყო მეცნიერებათა დოქტორი, ეროვნული კრების დეპუტატი სახალხო-რესპუბლიკური პარტიიდან. ბულენთ ეჯევითმა განათლება მიიღო სტამბოლის პრესტიჟულ რობერტ კოლეჯში, რომელიც 1944 წელს დაამთავრა. მუშაობა დაიწყო ლონდონში თურქეთის საელჩოს, პრეს-ატაშეს თანამდებობაზე. 1950 წელს, თურქეთში დაბრუნების შემდეგ, მსახურობდა სახალხო-რესპუბლიკური პარტიის ორგანოში გაზეთ „ულუსში“.

პოლიტიკურ საქმიანობაში ჩაება 60-იან წლებიდან. 1961 წელს ისმეთ ინონუს პირველ კოალიციურ მთავრობაში დაინიშნა დასაქმების მინისტრად და ეს თანამდებობა ეკავა 1965 წლამდე. 1974, 1977, 1978-1979 წლებში იყო თურქეთის პრემიერ-მინისტრი.



პრეზიდენტები ბილ კლინტონი და ნეჯდეთ სეზერი

1966-1971 წლებში ბულენთ ეჯევითი იყო სახალხო-რესპუბლიკური პარტიის გენერალური მდივანი, ხოლო 1972 წელს, ისმეთ ინონუს პარტიის რიგებიდან გამოსვლის შემდეგ, იგი აირჩიეს სახალხო-რესპუბლიკური პარტიის გენერალურ თავმჯდომარედ და ამ პარტიის ლიდერი იყო 1980 წლის სახელმწიფო გადატრიალებამდე.

80-იან წლებში, სამხედრო გადატრიალების შემდეგ, რამდენჯერმე იქნა დაპატიმრებუ-

ლი და აეკრძალა პოლიტიკური მოღვაწეობა. 1987 წელს აკრძალვა მოეხსნა და დაუბრუნდა პოლიტიკურ მოღვაწეობას.

1989 წელს ბულენთ ეჯევითმა დატოვა პარტია და ჩამოაყალიბა ახალი პარტია, რომელსაც ნდობის პარტია ეწოდება.

2000 წლის მაისისათვის პრეზიდენტობის ვადა უმთავრდებოდა სულეიმან დემირელს. საპრეზიდენტო არჩევნებს წინ უძღოდა თითქმის ერთწლიანი დებატები სულეიმან დემირელისათვის საპრეზიდენტო ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებით.

პრემიერ-მინისტრი ბულენთ ეჯევითი და მისი მომხრეები მოითხოვდნენ მხარი დაეჭირათ სულეიმან დემირელისათვის საპრეზიდენტო ვადის გაგრძელებისათვის. ისინი თვლიდნენ, რომ ქვეყნის ახალ პრეზიდენტს უნდა ჰქონოდა საგარეო პოლიტიკის დარგში დიდი გამოცდილება, რადგან მისი მთავარი ამოცანა იქნებოდა თურქეთის გაწევრიანება ევროპის კავშირში. ასეთი პიროვნება კი, მათი აზრით, იყო სულეიმან დემირელი.

ბულენთ ეჯევითის მცდელობის მიუხედავად, პოლიტიკური პარტიების უმრავლესობამ, რომლებიც პარლამენტის დეპუტატები იყვნენ, მხარი არ დაუჭირეს სულეიმან დემირელისათვის საპრეზიდენტო ვადის გაგრძელებას და კონსტიტუციაში სათანადო ცვლილებების შეტანას.

ხუთმა საპარლამენტო ფრაქციამ პრეზიდენტის კანდიდატად დაასახელა საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე აჰმედ ნეჯდეთ სეზერი. თურქეთის დიდმა ეროვნულმა კრებამ 5 მაისს რესპუბლიკის მე-10 პრეზიდენტად აირჩია აჰმეთ ნეჯდეთ სეზერი. იგი უკვე ზედიზედ მესამე სამოქალაქო პრეზიდენტია.

აჰმედ ნეჯდეთ სეზერი დაიბადა 1941 წლის 13 სექტემბერს აფიონში. 1958 წელს დაამთავრა აფიონის ლიცეუმი, 1962 წელს – ანკარის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. 1977-1978 წლებში იყო ანკარის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ბაკალავრი სამოქალაქო სამართლის დარგში.

1983 წლის 7 მარტიდან მსახურობდა საკასაციო სასამართლოში.

1988 წლის 27 სექტემბერს აჰმედ სეზერი დაინიშნა საკასაციო სასამართლოს წევრად, ხოლო 1998 წლის 6 იანვრიდან, პრეზიდენტად არჩევნამდე, იგი იყო საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე.

თურქეთის პრესა ახალი პრეზიდენტის თვისებების შესახებ წერს: „ხელმომჭირნეა, თითოეულ დახარჯულ ყურუშს ანგარიშობს, არ უყვარს ცერემონიები. ლაპარაკობს ცოტას და ისიც ძირითადის შესახებ. ეკონომიკის კეთებით ცდილობს სხვებსაც მაგალითი მისცეს. განსაკუთრებით უყვარს თეატრისა და ბეშიქტაშის ყურება“.

თურქეთის საზოგადოება იმედოვნებს, რომ ახალი პრეზიდენტი, რომელსაც დიდი სასამართლო გამოცდილება აქვს და კარგად იცნობს კანონებს, დააჩქარებს რეფორმების პროცესს და ხელს შეუწყობს თურქეთის მიღებას ევროკავშირში.

პრეზიდენტად არჩევის შემდეგ აჰმედ ნეჯდეთ სეზარმა განაცხადა: „კონსტიტუციაში აუცილებელი ცვლილებები უნდა გატარდეს, რომელიც ადამიანის უფლებების სფეროში საყოველთაო ნორმებს შეესაბამება. აზრის გამოხატვის თავისუფლების შემზღუდავი კანონები უნდა გაუქმდეს“.

თავი XI

თურქეთი და ევროკავშირი

ომების თავიდან აცილების მიზნით, ევროპის გაერთიანების იდეა ჯერ კიდევ XVII საუკუნეში გაჩნდა, მაგრამ მისი განხორციელება მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გახდა შესაძლებელი.

1949 წელს ლონდონში დაარსდა პირველი ინტეგრირებული ორგანო – ევროპის საბჭო. მაგრამ იმ დროს ევროპის სახელმწიფოთა უმრავლესობა მზად არ აღმოჩნდა დაეთმო სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი ევროპული პოლიტიკური კავშირის სასარგებლოდ. ამის გამო ევროპელებმა დროებით თავი შეიკავეს პოლიტიკური კავშირისაგან და გადაწყვიტეს მისი განხორციელება ეკონომიკური ინტეგრაციით დაეწყოთ.

1950 წელს საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა რობერტ შუმანმა წამოაყენა წინადადება-საფრანგეთისა და გერმანიის ქვანახშირისა და ფოლადის მრეწველობის მართვის ერთობლივი ორგანიზაციის შექმნისა. მისი აზრით, ასეთი კავშირი შეარიგებდა ფრანგებსა და გერმანელებს და მომავალში თავიდან აიცილებდა მათ შორის ომებს.

1952 წელს შეიქმნა „ქვანახშირისა და ფოლადის მრეწველობის ევროპული თანამეგობრობის კავშირი“ („სამთამადნო კავშირი“). ამ ორგანიზაციაში, საფრანგეთისა და გერმანიის გარდა, გაწევრიანდნენ იტალია და ბენილუქსის ქვეყნები – სულ ექვსი სახელმწიფო. მალე ეს ორგანიზაცია გასცდა მრეწველობის ერთი დარგის ჩარჩოებს.

1957 წელს, რომში „სამთა კავშირის“ წევრებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას „ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის“ შექმნის შესახებ. ამავე დროს შეიქმნა – „ევროპის ატომური თანამეგობრობა“ („ევრო-ატომი“), რომლის ხელშეკრულება ძალაში შევიდა 1958 წელს. ეს ხელშეკრულება ითვალისწინებდა წევრ სახელმწიფოთა შორის ეტაპობრივად საბაჟო ბარიერების მოხსნას – ერთიანი ეკონომიკური სისტემის („საერთო ბაზარი“) შექმნას. ერთობლივი აგრარული პოლიტიკის გატარებას და სხვა.

1967 წელს შეიქმნა სამივე ევროპული ორგანიზაციის „სამთამადნო კავშირი“, „ეკონომიკური თანამეგობრობა“ და „ევრატომი“ (ერთიანი ხელმძღვანელობა). ამგვარად, ჩამოყალიბდა „ევროპის თანამეგობრობა“.

ევროპის თანამეგობრობის სრულყოფის ხანგრძლივი პროცესი დასრულდა 1992 წლის მარტში, ევროპის კავშირის ხელშეკრულების ხელმოწერით და იგი საბოლოოდ ძალაში შევიდა 1993 წლის 1 ნოემბერს, როდესაც კავშირმა იურიდიული სტატუსი მიიღო.

ევროკავშირის წევრმა სახელმწიფოებმა დათმეს თავისი სუვერენული უფლებების ნაწილი. ერთიანი ეკონომიკური სივრცე ითვალისწინებს ეროვნულ კანონმდებლობათა უნიფიკაციას, შრომის პირობებისა და ანაზღაურების იმიგრაციის პირობების სფეროში, სავალუტო კავშირის დამყარებას და საბოლოო ჯამში ერთიანი ვალუტის ევროს შემოღებას ყველა ქვეყნისათვის. საერთო მოქალაქეობასა და პასპორტების შემოღებას, კავშირის შიგნით საზღვრების გაუქმებას.

ევროკავშირის ორგანოებია: ევროპული საბჭო, მინისტრთა საბჭო, ევროკომისია, ევროპარლამენტი და სასამართლო.



ჰელსინკის სამიტი. 1999.

ევროპული საბჭო – კავშირის უმაღლესი ორგანოა, მას ევალება სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების პერიოდული შეხვედრების ორგანიზაცია, რომლებზედაც ათანხმებენ კავშირის პოლიტიკის ზოგად პრინციპებს.

მინისტრების საბჭო – მინისტრების ყოველთვიური შეხვედრა სხვადასხვა საკითხებზე (მასში მონაწილეობენ საგარეო საქმეთა, ეკონომიკისა და ფინანსების, სოფლის მეურნეობის მინისტრები).

ევროპის კავშირის კომისია – კავშირის მთავარი აღმასრულებელი მუდმივმოქმედი ორგანო, რომელიც კორდინირებას უწევს ევროკავშირის პოლიტიკის რეალიზაციას, დირექტივების გაცემის საშუალებით. მისი წევრების უფლებამოსილება ოთხი წელია.

ევროპარლამენტი შედგება 518 დეპუტატისაგან, რომელთაც პირდაპირი კენჭისყრით ირჩევს ევროკავშირის ქვეყნების მოსახლეობა ხუთი წლის ვადით. მისი ადგილსამყოფელია სტრასბურგი.

სასამართლო შედგება ცამეტი მოსამართლისა და ექვსი გენერალური ადვოკატისაგან. სასამართლო წყვეტს დავას წევრ სახელმწიფოებს შორის.

სულ მალე ამ ორგანიზაციის წევრმა სახელმწიფოებმა დიდ წარმატებებს მიაღწიეს თავიანთი ქვეყნის სამეურნეო მშენებლობაში და ევროპის რიგმა სახელმწიფოებმა გამოთქვეს სურვილი ამ ორგანიზაციებში გაწევრიანების შესახებ. 1979 წელს ამ ორგანიზაციას შეუერთდნენ დიდი ბრიტანეთი, ირლანდია, დანია, 1981 წელს – საბერძნეთი, 1986 წელს – ესპანეთი და პორტუგალია.

ამჟამად ევროკავშირში გაერთიანებულია 12 სახელმწიფო.

თურქეთი ერთ-ერთი პირველი სახელმწიფო იყო, რომელმაც 1959 წელს ევროპის ეკონომიკურ კავშირში გაწევრიანებაზე პირველი განაცხადი გააკეთა. იმავე წელს კავშირმა თურქეთს სრულ გაწევრიანებამდე ასოცირებული ურთიერთობა შესთავაზა. 1963 წლის 12 სექტემბერს თურქეთმა და ევროპის ეკონომიკურმა კავშირმა ხელი მოაწერეს ასოციაციის შექმნას, რომელიც ძალაში შევიდა 1964 წლის 1 დეკემბერს. ამის შემდეგ შეიქმნა საბაჟო კავშირი და დაიწყო მხარეების ეკონომიკური დაახლოება. თურქეთმა წარმატებით განახორციელა სტრუქტურული ცვლილებები, კავშირის რეკომენდაციები და ეკონომიკის დარგში წარმატებებს მიაღწია.

1987 წელს 14 აპრილს თურქეთის პრემიერ-მინისტრმა თურგუთ ოზალმა განცხადება შეიტანა ევროკავშირში სრულუფლებიან წევრად მიღების შესახებ.

თურქეთი ევროკავშირის სრულუფლებიანი წევრი რომ გახდეს, მან ევროკავშირის რიგი მოთხოვნები უნდა დააკმაყოფილოს: გააუმჯობესოს ადამიანის უფლებების დაცვა და ქვეყნის დემოკრატიზაცია. მან ამ მიზნით უნდა გადახედოს თავის კანონმდებლობას, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს საერთო ევროპული კანონმდებლობების ნორმებს, დაამყაროს შიდასტაბილობა, აღმოფხვრას ტერორიზმი, ქურთუ-



თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ისმაილ ჯემი და ევროკავშირის საგარეო კომისარი ჰავიელ სოლანა

ლი პრობლემა მოაგვაროს მოლაპარაკების გზით, მიაღწიოს ეკონომიკურ სტაბილიზაციას და სხვა.

ასე, მაგალითად, 1982 წლის თურქეთის კონსტიტუციის რიგი მუხლები არ შეესაბამება ევროკავშირის სტანდარტებს და მოითხოვს შესწორებას. მართალია, 1987 და 1995 წლებში თურქეთის კონსტიტუციაში შეტანილ იქნა მთელი რიგი ცვლილებებისა დემოკრატიული უფლებების გაზრდის მიზნით, მაგრამ ეს არ აღმოჩნდა საკმარისი. კერძოდ, ევროკავშირი მოითხოვს კონსტიტუციაში შეტანილ იქნეს ცვლილებები, რომლებიც ზღუდავენ მოქალაქის უფლებებს. ასეთებია კონსტიტუციის მე-13 და მე-14 მუხლები.

ევროსაბჭო თვლის, რომ თურქეთის ეროვნული უშიშროების საბჭოში დიდია სამხედროების გავლენა. ასე, მაგალითად, უშიშროების საბჭოს შემადგენლობაში შედიან: პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი, საგარეო საქმეთა, ეროვნული თავდაცვისა და შინაგან საქმეთა მინისტრები, გენერალური შტაბის უფროსი, სამხედრო-სახმელეთო, სამხედრო-საზღვაო, სამხედრო-საჰაერო და ჟანდარმერიის მეთაურები. ევროკავშირი მოითხოვს საბჭოს შემადგენლობის გაზრდას სამოქალაქო პირებით. მის შემადგენლობაში შეიყვანონ: ვიცე-პრემიერი, ფინანსთა და იუსტიციის მინისტრები.

თურქეთის კონსტიტუციით, თურქეთში მცხოვრები ნებისმიერი პირი, განურჩევლად ეთნიკური და რელიგიური კუთვნილებისა, ითვლება თურქ მოქალაქედ. (1923 წლის ლოზანის ხელშეკრულების გადაწყვეტილებით, თურქეთში ეროვნულ უმცირესობათა განსაზღვრა მოხდა რელიგიური მონაცემების მიხედვით და არამუსლიმი ბერძნები, სომხები და ებრაელები აღიარებულ იქნენ ეროვნულ უმცირესობებად, ხოლო არათურქი მაჰმადიანები ქურთები, ქართველები, ლაზები – მუსლიმ უმრავლესობად).

თურქეთის ევროკავშირში მიღება გარკვეულწილად დაკავშირებულია ქურთების საკითხის მოგვარებასთან.

თურქეთის მთავრობა ქურთების მიმართ ასიმილაციის პოლიტიკას ანხორციელებდა. ამის შედეგი იყო ის, რომ 1925 და 1937 წლებში ადგილი ჰქონდა ქურთთა დიდ აჯანყებებს. მართალია, ამ გამოსვლებს შედეგი არ მოჰყოლია, მაგრამ ქურთებს არ შეუწყვეტიათ ბრძოლა ეროვნული ინტერესების დასაცავად.

XX საუკუნის 60-იან წლებში ქურთული ეროვნული მოძრაობა გამოცოცხლებას იწყებს. იქმნება ქურთული პოლიტიკური პარტიები. აქედან ყველაზე დიდი გავლენა ქურთების მუშათა პარტიამ მოიპოვა აბდულა ოჯალანის ხელმძღვანელობით. დაიწყო შეიარაღებული პარტიზანული ბრძოლა ხელისუფლების წინააღმდეგ. ეს მოძრაობა განსაკუთრებით გაძლიერდა 80-იან წლებში. 1987 წელს თურქეთის სამხრეთ-აღმოსავლეთის 10 პროვინციაში საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა. ქურთებით დასახლებულ რაიონებში, ფაქტობრივად, საომარი ოპერაციები მიმდინარეობდა, რის შედეგადაც ორივე მხარე დიდ ზარალს განიცდიდა.

თურქეთის მთავრობა ქურთების პრობლემის გადასაწყვეტად მხოლოდ სამხედრო გზას ირჩევდა და ამ საკითხის პოლიტიკურ მოგვარებაზე უარს აცხადებდა.

1999 წელს აბდულა ოჯალანის დაპატიმრების შემდეგ, ქურთების გამოსვლები შესუსტდა, რაც საშუალებას იძლევა ეს საკითხი მშვიდობიანი გზით მოგვარდეს.

ევროკავშირის ექსპერტები ურჩევენ თურქეთის მთავრობას შეამსუბუქონ თავისი პოლიტიკა ქურთების მიმართ, ქურთებს უფრო მეტი კულტურული უფლებები მიანიჭოს, რაც შეანელებს მათ სეპარატიზმს.

ევროსაბჭო, როგორც ზემოთ ითქვა, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ქურთებისათვის კულტურული უფლებების მინიჭებას. ამჟამად თურქეთში გამოდის ქურთული გაზეთები, არის ქურთული წიგნების გამოცემის პრეცედენტები, ქურთებმა მიიღეს კვლევითი ცენტრის დაარსების უფლება და სხვა (გ. სორდია).

ევროკავშირის მოთხოვნაა აგრეთვე გაუქმდეს თურქეთში სიკვდილით დასჯა. მართალია, 1984 წლიდან თურქეთში სიკვდილით დასჯაზე მორატორიუმია გამოცხადებული, მაგრამ ამ საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტა ქურთების ლიდერს აბდულა ოჯალანს უკავშირდება. თურქეთის ულტრა მემარჯვენე პარტიების ხელმძღვანელები აცხადებენ, რომ ისინი სიკვდილის დასჯის გაუქმებას მხოლოდ მას შემდეგ დათანხმდებიან, როცა ოჯალანს სიკვდილით დასჯიან.

თურქეთის მმართველი წრეები აცხადებენ, რომ ისინი თანახმა არიან გააუქმონ სიკვდილით დასჯა, მაგრამ ამისათვის საჭიროა დრო, საზოგადოებრივი აზრის მოსამზადებლად.

ევროკავშირი განსაკუთრებით დაჟინებით მოითხოვს, რომ თურქეთმა კავშირში გაწევრიანებამდე ქურთების საკითხი პოლიტიკური გზით მოაგვაროს.

თურქეთის გაერთიანებას ევროკავშირში ყველა როდი უჭერს მხარს. 1997 წლის მარტში, ბრიუსელში ევროკავშირის კონფერენციაზე ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერებმა განაცხადეს რომ „თურქეთის ადგილი ევროპაში არ არის, რადგან იგი არ ფლობს ევროპისათვის დამახასიათებელ კულტურულ და ჰუმანურ ღირსებებს“.

აღსანიშნავია, რომ თურქეთი ერთადერთი მუსლიმური ქვეყანაა, რომელსაც ევროკავშირში შესვლა სურს.

თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანებას ერთი გარემოებაც უშლის ხელს: დღესდღეობით თურქეთის მოსახლეობა 66 მილიონს აღემატება, ანუ ამ მაჩვენებლებით ევროკავშირის წევრებს შორის მას მხოლოდ გერმანია უსწრებს, მაგრამ ზრდის ასეთი ტემპების შენარჩუნების შემთხვევაში, მისი მოსახლეობა 2010 წლისათვის იქნება 80 მილიონი, ხოლო 2020 წლისათვის კი მიუახლოვდება 100 მილიონს. ამგვარად, თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანების შემთხვევაში, ის უახლოეს ხანში გახდება ყველაზე დასახლებული ქვეყანა და მიიღებს ევროკავშირში ყველაზე დიდ კვოტას (ათს), ზუსტად იმდენს, რამდენიც გააჩნიათ დიდ ბრიტანეთსა და გერმანიას, ანუ თურქეთი ეფექტურად შეძლებს გავლენა იქონიოს ორგანიზაციის გადაწყვეტილებებზე. ეს ფაქტორი, თურქეთის კავშირში გაერთიანებისათვის, ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან არაოფიციალურ ბარიერად სახელდება“ (გ. სორდია).

თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ისმაილ ჯემმა თავის ერთ-ერთ გამოსვლაში განაცხადა, რომ „თურქეთის შესვლა ევროკავშირში გამოწვეულია არა სიყვარულით, არამედ მოგვაგონებს ქორწინებას ანგარებით“.

მუსლიმანური სახელმწიფოების პოლიტიკური ლიდერები სხვადასხვანაირად აფასებენ თურქეთის მისწრაფებას გახდეს ევროკავშირის წევრი. ასე, მაგალითად, ლიბიის ლიდერი მუამარ კადაფი აცხადებს: „ევროპისათვის არ არის ხელსაყრელი, რომ თურქეთი შევიდეს ევროკავშირში. თურქეთი ის ხეა, რომელსაც ფესვები აზიაში

ღრმად გაუდგამს და მხოლოდ ტოტებით ეხება ევროპას. თურქეთი არის მუსლიმური, სუნიტური აღმოსავლური სახელმწიფო, თავისი კულტურით, ტრადიციებით, წესჩვეულებებით. თურქეთის შესვლა ევროკავშირში გვაგონებს ერთი ადამიანის ორგანოს გადანერგვას მეორე ადამიანის სხეულში, რომელიც მისთვის უცხოა და ბიოლოგიურად შეუთავსებელი."

1999 წლის ოქტომბერში ჰელსინკის ევროკავშირის სამიტის გადაწყვეტილებით თურქეთი ევროკავშირში გაწევრიანებისათვის ოფიციალურად კანდიდატ ქვეყნად დასახელდა.

XXI საუკუნის დამდეგს ცნობილი გახდება თურქეთს მიიღებენ ევროკავშირში, თუ იგი ისლამურ ქვეყნებს დაუახლოვდება

თავი XII

საქართველო-თურქეთის ურთიერთობა თანამედროვე ეტაპზე

საბჭოთა კავშირის დაშლისა და საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ თურქეთი იყო ერთ-ერთი პირველი სახელმწიფო, რომელმაც სცნო საქართველოს დამოუკიდებლობა (1991 წ. 16.12) და დაამყარა მასთან დიპლომატიური ურთიერთობა (2.15, 1992 წ.).

1992 წლის ივლისის ბოლოს საქართველოში ჩამოვიდა თურქეთის მთავრობის ოფიციალური დელეგაცია პრემიერ-მინისტრ სულეიმან დემირელის მეთაურობით. მოლაპარაკების დროს განიხილეს ორივე მხარისათვის მნიშვნელოვანი პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული საკითხები.

30 ივლისს, ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას „საქართველოს და თურქეთის რესპუბლიკებს შორის მეგობრობის, თანამშრომლობისა და კეთილმეზობლური ურთიერთობის შესახებ".

გარდა ამისა, ხელმოწერილ იქნა ექვსი მნიშვნელოვანი დოკუმენტი: „ხელშეკრულება განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის დარგში თანამშრომლობის შესახებ", „ხელშეკრულება სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ", „ხელშეკრულება ინვესტიციების ურთიერთწახალისებისა და დაცვის შესახებ", „ხელშეკრულება საჰაერო მიმოსვლის შესახებ", „ხელშეკრულება საერთაშორისო სატრანსპორტო მიმოსვლის შესახებ" და „საზღვაო შეთანხმება".

ამ ხელშეკრულებების დადების შემდეგ იწყება ახალი ეტაპი საქართველო-თურქეთის ურთიერთობაში. დამყარდა და განვითარდა თანამშრომლობა ყველა სფეროში.

ურთიერთმოლაპარაკების შედეგად განისაზღვრა თანამშრომლობის პრიორიტეტული მიმართულებები სოფლის მეურნეობის, მსუბუქი მრეწველობის, ტრანსპორტის, კომუნიკაციებისა და ტურიზმის განვითარების დარგში და სხვ.

1991-1993 წლებში საქართველო-თურქეთის ეკონომიკური ურთიერთობა უმთავრესად ცალმხრივი იყო. თურქეთი საქართველოს ჰუმანიტარულ დამხმარებას უწევდა, აძლევდა შეღავათიან კრედიტებს. აქედან განსაკუთრებით აღსანიშნავია თურქეთის მიერ საქართველოსათვის მარცვლეულის მიწოდება, როდესაც საქართველო ღრმა ეკონომიკურ კრიზისს განიცდიდა.

1992 წლის 22 ივლისს დაარსდა თურქეთ-საქართველოს ბიზნეს საბჭო, რომელიც მოწოდებული იყო ხელი შეეწყო ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის განვითარებისათვის. ორ ქვეყანას შორის



თურქეთის პრემიერ-მინისტრი რეჯებ ერდოგანი და საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი

სავაჭრო-ეკონომიკური კავშირის საფუძველი გახდა 1992 წლის 30 ივლისის ხელშეკრულება მეგობრობის, თანამშრომლობისა და კეთილმეგობრობის შესახებ.

თურქეთი საქართველოს პირველი სავაჭრო პარტნიორია. წლიური საქონელბრუნვის მოცულობა დაახლოებით 200 მილიონ დოლარის ფარგლებშია.

1995 წლიდან საქართველოში ეკონომიკური სტაბილიზაციის შემდეგ ორ ქვეყანას შორის განვითარდა სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა.

თურქეთიდან საქართველოში შემოტანილ იქნა საქონელი: ხორბალი, ფეტვი, შაქარი და სხვა საკვები პროდუქტები.

საქართველოდან კი თურქეთში გაიტანეს ფერადი ლითონი, ბამბა, მიწა, ქაღალდი, ტყავ-ქსოვილები, ხის პროდუქცია, ელექტროენერგია და სხვ. იხ. ცხრილი № 1

ცხრილი № 1

თურქეთიდან საქართველოში იმპორტირებული ძირითადი საქონელი (1.000 $)

საქონლის დასახელება	1998	1999	2000	ცვალებადობა (%) 1999-2000
ხორბლისა და ჭვავის ფქვილი	16.902	12.774	21.384	67.40
შაქარი (ჭარხლის)	10.400	10.283	11.857	15.31
კაბელი	421	650	11.092	1606.46
რადიო, ტელევიზია და აქსესუარები	3915	169	6.992	4100.00
ქაღალდი	1984	2.947	2.988	1.39
ხორბალი და ჭვავი	529	301	2.904	864.78
სარეცხი საშუალებები	1.529	2.342	2.086	-10.93
ავტომობილები და მოტოციკლეტები	6.271	2.449	1.758	-28.17
ნავთობი და ნავთობპროდუქტები	1.234	791	1.655	109.23
მოსაპირკეთებელი საშუალებები	805	648	1.538	137.35
აკუმულატორები	251	459	1.473	220.92
ლითონის კონსტრუქციები	1.034	532	1.238	132.71
საფუარი	741	839	1.202	43.27
კვერცხი	3.357	5.190	1.195	-76.97
სხვა საქონელი	49.063	32.885	39.271	19.42
ჯამი	98.438	74.196	108.633	48.28

ოფიციალური მონაცემებით, 2000 წლისათვის საქართველოში მოქმედებდა 45 თურქული ფირმა კვების მრეწველობის, კომუნიკაციების, ტრანსპორტის, მშენებლობისა და სხვა სფეროებში.

გარკვეული თანამშრომლობა დამყარდა ენერგეტიკის სფეროში. ადრე თურქეთის რესპუბლიკა საბჭოთა კავშირიდან იღებდა წელიწადში 600 მილიონ კილოვატ/

საათს ელექტროენერგიას, 90-იანი წლების დასაწყისში ზამთრის პერიოდში შექმნილი სიძნელეების გამო, საქართველო თურქეთიდან იღებდა დაახლოებით 250-300 მილიონ კილოვატს, ხოლო შეთანხმების საფუძველზე ზაფხულის თვეებში ვუბრუნებთ გარკვეული გადავადებით.

თურქეთი საქართველოში ინვესტიციების დაბანდებით შედარებით გვიან დაინტერესდა და ამჟამად საქართველოს ეკონომიკაში ფუნქციონირებს 12 საწარმოო და ინვესტირების მოცულობა შეადგენს 3,9 მილიონ აშშ დოლარს, რაც საქართველოში დაბანდებული უცხოური ინვესტიციების საერთო მოცულობის 4 პროცენტს შეადგენს.

უაღრესად დიდია სარფის სასაზღვრო ჭიშკრის მნიშვნელობა ორ ქვეყანას შორის ურთიერთობაში. ამ გზით თურქეთი დაკავშირებულია კავკასიისა და შუა აზიის ქვეყნებთან.

საქართველო და თურქეთი დაინტერესებული არიან ურთიერთშორის საავტომობილო, სარკინიგზო, საჰაერო და საზღვაო თანამშრომლობის გაფართოებით.

ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის გაფართოებას გარკვეულად ხელი შეუწყო 1995 წელს ვალე-თურქეთის საკონტროლო გამშვები პუნქტის გახსნამ.

ცხრილი № 2

საქართველოდან თურქეთში ექსპორტირებული ძირითადი საქონელი (1.000 $)

საქონლის დასახელება	1998	1999	2000	ცვალებადობა (%) 1999/2000
ფერადი ლითონების ჯართი	971	19.885	31.415	57.98
ალუმინის ჯართი	32	1.228	9.368	662.87
ელექტროენერგია	–	2.621	6.135	134.07
ადრეული ნავთობი და ნაწარმი	–	–	5.954	–
ფეროშენადნობთა ნაწარმი	140	–	5.480	–
ხის მორები	3.134	2.381	2,546	6.93
სპილენძის ჯართი	–	327	2.408	636.39
ხის პროდუქცია	471	732	1.715	134.29
სასუქი	1.735	363	1.700	368.32
ალუმინის ნაწარმი	401	957	1.277	33.44
პროფილირებული ალუმინი	331	1.112	995	-10.52
ნახერხი	981	905	718	-20.66
ნავთობპროდუქტები	2.578	1.665	6.92	-58.44
ტყავი	728	396	431	8.84
სხვა საქონელი	8.787	5.158	2.791	-45.89
ჯამი	20.291	37.835	73.623	94.59

ცხრილი № 3

თურქეთ-საქართველოს შორის ექსპორტ-იმპორტის მოცულობა (1000 $)

წელი	ექსპორტი	იმპორტი	ჯამი
1996	110.319	32.495	142.814
1997	173.510	65.934	239.444
1998	164.146	91.007	255.153
1999	114.200	93.289	207.489
2000	131.338	154.959	286.297

წელი	ექსპორტი	იმპორტი	ჯამი
1996	25.897	76.625	102.522
1997	39.426	116.771	156.197
1998	20.291	98.438	118.729
1999	37.835	74.196	112.031
2000	73.623	108.633	182.256

უახლოეს მომავალში გაიხსნება ჩილდირ-არწახის (აქთაში) მესამე სასაზღვრო გამშვები პუნქტი.

მომზადებულია პროექტი ყარსი-ახალქალაქის 120 კმ-იანი რკინიგზის ხაზის მშენებლობასთან დაკავშირებით.


დაიწყო ფოთი-რიზეს ოფტიკურ-ბოჭკოვანი სისტემის მშენებლობა.

თურქეთი აპირებს დაიწყოს სამსუნ-სარფის ავტომაგისტრალის მშენებლობა, რომელიც დააკავშირებს ქვეყნის ცენტრალურ რაიონებს საქართველოსთან. ამ მაგისტრალის მშენებლობაზე მსოფლიო ბანკმა გამოყო 60 მილიონი დოლარი.

კასპიის ზღვის რეგიონში აღმოჩენილ იქნა ნავთობისა და გაზის დიდძალი მარაგი. თურქეთი და ევროპის სახელმწიფოები, რომლებიც განიცდიან ამ ნედლეულის ნაკლებობას, დაინტერესებული არიან მათი ევროპაში შეტანით. ამისათვის არსებობს ორი სატრანსპორტო გზა: 1. ბაქო-ნოვოროსიისკი და 2. ბაქო-ბათუმი. მაგრამ ამ მარშრუტებით ნავთობის გატანა აღარ აკმაყოფილებს გაზრდილ მოთხოვნილებებს და მისი ტრანსპორტირებისათვის გაჩნდა ახალი შესაძლო ვარიანტები: 1. აზერბაიჯანი-საქართველო-თურქეთი. 2. აზერბაიჯანი-სომხეთი-ნახიჭევანი-თურქეთი. 3. აზერბაიჯანი-ირანი-ნახიჭევანი-თურქეთი. 4. აზერბაიჯანი-ირანი-თურქეთი.

თურქეთი საქართველოს ერთ-ერთი სტრატეგიული პარტნიორია.

თურქეთის მთავრობა ყველაზე მეტად დაინტერესებულია აზერბაიჯან-საქართველო-თურქეთის მარშრუტით და, მისი ინიციატივით, შემუშავებულ იქნა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი მილის მშენებლობის პროექტი. ამ პროექტს მხარი დაუჭირეს აშშ-ის და ევროპის ნავთობის კომპანიებმა. საქართველოში, ისევე როგორც თურქეთში, ნავთობისა და გაზის მარაგი ძალზე მცირეა, ამიტომ საქართველო



საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯორჯ ბუში

დაინტერესებულია, რომ ნავთობმა მის ტერიტორიაზე გაიაროს, რაც მას მოუტანს ნავთობსაც და ვალუტასაც.

საქართველოს, თურქეთისა და აზერბაიჯანის პრეზიდენტების დიდი ძალისხმევის შედეგად, და აშშ-ის პრეზიდენტ კლინტონის მხარდაჭერით, 1999 წლის 18 მარტს სტამბოლში ხელი მოაწერეს „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის" ძირითადი საექსპლოატაციო მილსადენის სამთავრობათაშორისო ხელშეკრულებას.

ნავთობსადენის სიგრძე 1830 კილომეტრია; საპროექტო სიმძლავრე, 45-60 მილიონი ტონა წელიწადში, მშენებლობის ღირებულება – 2,4 მილიარდი აშშ-ის დოლარი, მშენებლობა უნდა დამთავრდეს 2004 წლის ბოლოს.

საქართველოს შემოსავალი, აქ გატარებული ნავთობის ტარიფის მიხედვით, შეადგენს წელიწადში საშუალოდ, 62,5 მილიონ დოლარს. საქართველოს მონაკვეთზე გასაწევი ხარჯები შეადგენს 515 მილიონ დოლარს, ხოლო საპროექტო ხარჯები – 400 მილიონ დოლარს.

ამავე პერიოდში შემუშავებულ იქნა „ბაქო-თბილისი-არზრუმის" გაზსადენის პროექტი. მისი სიგრძე შეადგენს 685 კილომეტრს. გაზსადენის გამტარუნარიანობა წელიწადში 36 მილიარდი კუბური მეტრი ბუნებრივი აირია. ამ პროექტის მშენებლობა ეღირება 2,9 მილიარდი დოლარი, აქედან საქართველოს ტერიტორიაზე დაბანდებული იქნება 500 მილიონი დოლარი. გაზსადენის მშენებლობის დამთავრება გათვალისწინებულია 2004 წლის ბოლოსათვის.

გაზსადენი ძირეულად შეცვლის საქართველოს ენერგეტიკულ ბალანსს. საქართველო უსასყიდლოდ, წელიწადში 1,5 მილიარდ კუბურმეტრ გაზს მიიღებს, რაც ორჯერ აღემატება მოხმარების ჩვენს დღევანდელ დონეს. გარდა ამისა, საქართველოს უფლება ეძლევა ყოველწლიურად შეისყიდოს შეღავათიან ფასებში 0,5 მილიარდი კუბური მეტრი ბუნებრივი აირი. მთლიანად გაზსადენის პროექტის ფუნქციონირების პერი-

ოდში საქართველო უფასოდ მიიღებს და შეღავათიან ფასებში შეიძენს 58,8 მილიარდ კუბურ მეტრ გაზს. ქვეყნის ბიუჯეტის მიერ მისაღები ნომინალური შემოსავალი 40 წლის მანძილზე, სავარაუდოდ, 7 მილიარდს შეადგენს, ანუ წელიწადში საშუალოდ 175 დოლარს.

ორივე პროექტის მშენებლობის პროცესში დასაქმებულია 80 პროცენტი ადგილობრივი სპეციალისტი და მუშახელი.

გაზსადენის პროექტის მშენებლობისა და განვითარებისათვის საჭირო ტვირთების 80 პროცენტი შემოტანილ იქნება ბათუმისა და ფოთის პორტებიდან ჩვენი სარკინიგზო, საავტომობილო და საავიაციო ტრანსპორტის საშუალებით. საქართველოს შემოსავალი ტრანსპორტირებული ტვირთის თითოეულ ტონაზე 8-10 დოლარს შეადგენს.

ამრიგად, ნავთსადენისა და გაზსადენის მშენებლობის შედეგად საქართველო მიიღებს ვალუტას და გაუმჯობესდება ქვეყნის ენერგორესურსების მარაგი, რაც ხელს შეუწყობს მისი ეკონომიკის შემდგომ განვითარებას.

2002 წლის 18 სექტემბერს სინგაჩალის ნავთობის ტერმინალზე საფუძველი ჩაეყარა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობას. ამ დღეს ბაქოში საზეიმო ცერემონიალზე შეიკრიბნენ და სიტყვები წარმოთქვეს თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ა. სეზერმა, პრეზიდენტმა ე. შევარდნაძემ, აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ჰ. ალიევმა, აშშ-ის ენერგეტიკის მინისტრმა სპენსერ აბრაჰამმა. შეკრებილებმა მოისმინეს აშშ-ის პრეზიდენტის ჯ. ბუშის, საფრანგეთის პრეზიდენტის ჟაკ შირაკის, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის ტონი ბლერის, ნორვეგიის პრემიერ-მინისტრის ბუნევიკის მისასალმებელი წერილები. „საუკუნის პროექტის“ მშენებლობა დაიწყო.


საქართველოსათვის გარკვეული მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ბაქო-სუფსის ნავთობსადენს და სუფსაში 2002 წელს აგებულ ტერმინალს.

ყურადღებას იმსახურებს შაჰდენიზის ბუნებრივი აირის პროექტი. მუშავდება აგრეთვე ტრანსკასპიური ბუნებრივი აირის მშენებლობის პროექტი. ყველა ამ პროექტის რეალიზაციის შემთხვევაში საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობა მკვეთრად გაუმჯობესდება.

საქართველოსა და თურქეთს შორის ეკონომიკური თანამშრომლობა კიდევ უფრო გაფართოვდა მას შემდეგ, რაც 1992 წლის 25 ივნისს სტამბოლში, თურქეთის პრეზიდენტის თურგუთ ოზალის ინიციატივით, დაარსდა შავი ზღვის რეგიონის ეკონომიკური თანამშრომლობის საერთაშორისო ორგანიზაცია (შემოკლებით ბისეკი). ბისეკში გაერთიანდა 11 სახელმწიფო. მათ შორის შავი ზღვის რეგიონის ექვსი სახელმწიფო – თურქეთი, საქართველო, ბულგარეთი, რუსეთი, რუმინეთი, უკრაინა და კიდევ ხუთი სახელმწიფო – აზერბაიჯანი, სომხეთი, ალბანეთი, აგრეთვე მოლდოვა და საბერძნეთი, რომლებსაც არა აქვთ გასასვლელი შავ ზღვაზე.

ბისეკის ორგანიზაციასთან თანამშრომლობა შეუძლია ყველა დაინტერესებულ სახელმწიფოს ან სახელმწიფოთა ჯგუფს, საერთაშორისო ორგანიზაციებსა და კომპანიებს. ავსტრია, იტალია, საფრანგეთი, გერმანია, პოლონეთი, სლოვაკია, ისრაელი, ეგვიპტე, ტუნისი ბისეკში დამოუკიდებლობის სტატუსით სარგებლობენ.

შავი ზღვა უძველესი დროიდან დიდ როლს ასრულებდა არა მარტო შავიზღვისპირა რეგიონის, არამედ შორეულ ქვეყნებთან ეკონომიკური და კულტურული თანამშრომლობის საქმეში. ამ რეგიონზე გადიოდა ცნობილი აბრეშუმის გზა, რომელმაც დააკავშირა ერთმანეთთან ევროპისა და აზიის ქვეყნები. უძველესი დროიდან (ჯერ კიდევ აქემენიდების ხანაში) შავი ზღვა წარმოადგენდა სამხედრო თვალსაზრისით მნიშვნელოვან სტრატეგიულ რეგიონს. ოსმალთა ბატონობის პერიოდში მან დაკარ-



დაიწყო ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობა

გა თავისი ოდინდელი მნიშვნელობა. ამ ორგანიზაციის შექმნით დაიწყო ახალი ერა რეგიონის ისტორიაში. ბისეკის მთავარი მიზანია შექმნას ევროპის ერთიანი ზონა და რეგიონში დაამყაროს მშვიდობა, სტაბილურობა დ ხელი შეუწყოს ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარებას.

1993 წელს შეიქმნა ბისეკის საპარლამენტო ასამბლეა, რომელიც საპარლამენტო ბაზას წარმოადგენს ბისეკის ქვეყნებს შორის ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და პოლიტიკური თანამშრომლობისათვის.

ბისეკის დაარსების შემდეგ, დაიწყო მასში შემავალი ქვეყნების თანამშრომლობა სხვადასხვა სფეროებში, როგორიცაა კავშირგაბმულობა, საზღვაო და ზღვისპირა სატრანსპორტო მიმოსვლა, ტელეკომუნიკაციები და შესაბამისი ინფრასტრუქტურა, ენერგეტიკა, ბუნებრივი აირის მიწოდება-განაწილება, მსუბუქი და კვების მრეწველობა, მეთევზეობა, სოფლის მეურნეობა და აგრომრეწველობა, წიაღისეული ნედლეულის მოპოვება და გადამუშავება, ჯანდაცვა და მედიკამენტების წარმოება, მეცნიერება და ტექნიკა, ინფორმატიკა, გარემოების დაცვა, ვაჭრობა, და ტურიზმი და სხვ.

1994 წელს დაარსდა შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკი, რომელსაც ხელი მოაწერა თერთმეტივე სახელმწიფოს წარმომადგენელმა. იგი ძალაში შევიდა 1997 წლის 24 იანვარს. ბანკის მიზანია ეკონომიკის გარდაქმნის პროცესებისათვის ხელშეწყობა, რეგიონალური პროცესებისა და პროგრამების დაფინანსება, მონაწილე სახელმწიფოებს შორის ვაჭრობის გაფართოვება, შავი ზღვის რეგიონის ეკონომიკური განვითარების დაჩქარება და რეგიონის მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესება.

საქართველოსა და თურქეთს შორის დაიდო ხელშეკრულებები „საავტომობილო“, საჰაერო და საზღვაო-სატრანსპორტო სფეროში თანამშრომლობის შესახებ“ (1992 წლის 30 ივლისი), „საჰაერო ტრანსპორტის სფეროში თანამშრომლობა“ (1995 წლის 30 ივლისი“, „სარკინიგზო მშენებლობის შესახებ“ (1996 წლის 4 აპრილი).

1999 წლის 17 აპრილს დამთავრდა ილიჩოვსკის სარკინიგზო-საბორნე გადასასვლელის მშენებლობა, რომელიც ფოთს, ბათუმს, ილიჩოვსკსა და ვარნას აკავშირებს. მის მშენებლობაში დიდი წვლილი მიუძღვის შავიზღვისპირა ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციას.

განსაკუთრებით კარგად ვითარდება ურთიერთობა სამხედრო სფეროში. თურქეთის თავდაცვის სამინისტრო დიდ დახმარებას უწევს ქართულ ჯარს. 1998 წლიდან დღემდე ამ მიზნით გრანტის სახით გადმოცემულია 15 მილ. 300000 აშშ-ს დოლარი.

103 ქართველმა კურსანტმა დაამთავრა თურქეთის სხვადასხვა სამხედრო სასწავლებელი. ამჟამად თურქეთში სწავლობს 96 ქართველი კურსანტი...

თურქეთმა განახორციელა მარნეულის სამხედრო აეროდრომის მოდერნიზაცია. თურქეთის მთავრობამ დიდი დახმარება აღმოუჩინა საქართველოს სამშვიდობო ოცეულს კოსოვოში სამშვიდობო მისიით გაგზავნაში. ქართულმა სამშვიდობო ოცეულმა გაიარა წინასწარი მომზადება თურქეთის რესპუბლიკაში და შემდგომ გაემგზარა კოსოვოში.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, დაიწყო ახალი ერა თურქეთ-საქართველოს ურთიერთობაში. დამყარდა და გაფართოვდა სამეცნიერო-კულტურული ურთიერთობა ორ ქვეყანას შორის.

ამასთანავე საგრძნობლად შეიცვალა თურქეთის ხელისუფლების დამოკიდებულება თურქეთში მცხოვრები ქართული წარმომავლობის მოსახლეობის მიმართ.

1992 წლის ივლისში თბილისში ყოფნის დროს თურქეთის პრემიერ-მინისტრმა სულეიმან დემირელმა განაცხადა: „თურქეთში მცხოვრები ქართული წარმოშობის მოსახლეობა აშენებს იმ ხიდს, რომელმაც უნდა დააკავშიროს ჩვენი ქვეყნები. ეს ქართული წარმოშობის პიროვნებები – ჩვენი თანამემამულეები, სწორედ ის სანდო ხალხია, რომელსაც შეიძლება მივანდოთ ეს საქმე“.

თურქეთში მცხოვრები ქართველები დიდი ნდობით სარგებლობენ. მათ მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ ქვეყნის სახელმწიფოს მმართველობაში და კერძო ბიზნესში. თურქეთის პარლამენტში ამჟამად ქართული წარმოშობის 18 დეპუტატია.

თურქეთის სხვადასხვა ქალაქებში გახსნილია ქართული სათვისტომოები: „ბათუმიდან და რეგიონებიდან გადასახლებულთა კულტურისა და სოლიდარობის საზოგადოება“ (1988 წ.), ანკარაში – „სამხრეთ კავკასიიდან გადასახლებულთა კულტურის, ფოლკლორისა და სოლიდარობის საზოგადოება“ (1989 წ.), ბურსაში – ბურსას ვილაიეთის ინგოლუს მაზრის სოფელ ჰაირიეში „სოფელ ჰაირიეს ტურიზმისა და ინფორმაციის საზოგადოება“ (1962 წ.), გიოლუქში – „ართვინელთა და ბათუმელთა კულტურისა და სოლიდარობის საზოგადოება“.

თურქეთში დაარსდა მეგობრობისა და თანადგომის ფონდი, რომლის თავმჯდომარეა მევლუთ ართვინელი (გოგლიძე).

ქართული წარმოშობის თურქეთის მოქალაქეებთან თანამშრომლობასა და კონტაქტებს დიდი მნიშვნელობა აქვს ორ ქვეყანას შორის მეგობრული ურთიერთობის განვითარების საქმეში.

2000 წელს სტამბოლში დაარსდა „თურქეთ-საქართველოს განათლებისა და კულტურის ფონდი“, რომლის პრეზიდენტია საქართველოს საპატიო მოქალაქე, ბიზნესმენი და საზოგადო მოღვაწე ნიჰათ გიოქიითი (გოგიტიძე).

თურქეთის ქალაქებსა და სოფლებში შექმნილია ქართული ხალხური სიმღერებისა და ცეკვების ფოლკლორული ანსამბლები, რომლებიც დიდი პოპულარობით სარგებლობენ არამარტო ქვეყნის შიგნით, არამედ აწყობენ კონცერტებს საზღვარგარეთაც. ამ ანსამბლებს შორის უნდა დავასახელოთ „იბერია“, მელაშვილის (ოზკანი) ხელმძღვანელობით ქ. ბურსაში 1987 წელს დაარსებული ბურსის ქართული ხალხური სიმღერებისა და ცეკვის ფოლკლორული ანსამბლი.

თურქეთში საქართველოს ისტორიისა, ქართული ლიტერატურისა და კულტურის პროპაგანდის საქმეში ნაყოფიერად მოღვაწეობს ფაჰრეთინ ჩილოღლუ (ბექა ჭილაშვილი). მან ამ საკითხებზე გამოაქვეყნა წერილები, წიგნი და მანვე გამოსცა XIX საუკუნის 90-ანი წლების თურქი მოღვაწის დოქტორ ისმეთზადე მეჰმედ არიფის წიგნი „ქართული სოფლები თურქეთში“. ფ. ჩილოღლუმ აგრეთვე გამოაქვეყნა



წიგნები საქართველო-თურქეთის შესახებ

„ქართველთა ისტორია“. იგი აგრეთვე ნაყოფიერად მოღვაწეობს ჟურნალ „ჩვენებურში“.

სამსუნის უნივერსიტეტის პროფესორმა ბილალ დინდარმა (მიქელაძემ) თურქულ ენაზე თარგმნა შოთა რუსთველის „ვეფხისტყაოსანი“.

თურქულ ენაზე ითარგმნა ცნობილი ქართველი ისტორიკოსების ივ. ჯავახიშვილის, ს. ჯანაშიასა და ნ. ბერძენიშვილის „საქართველოს ისტორია“.

თურქულ ენაზე ითარგმნა მ. ვანლიშისა და ა. თანდილავას „ლაზების ისტორია“, დაიბეჭდა იაკობ გოგებაშვილის „დედაენა“ და სხვ.

საქართველოს ისტორიის, ლიტერატურის, კულტურისა და საქართველო-თურქეთის მეგობრული ურთიერთობის განვითარების საქმეში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ჟურნალი „ჩვენებური“, რომლის დამაარსებელი იყო აჰმედ მელაშვილი (ოზკანი) ხოლო ამჟამად მისი რედაქტორია ოსმან ნური მერჯანი (იმედაშვილი).

ამჟამად დღის წესრიგში დგას სტამბოლში ქართული უნივერსიტეტის დაარსება, რომლის ადგილსამყოფელი იქნება ქართველ კათოლიკეთა სავანესთან. სტამბოლში გამოდიოდა აგრეთვე თურქულ-ქართული ჟურნალი „მამული“.

ტაო-კლარჯეთის ქართული კულტურის ძეგლებით დაინტერესდა თურქი მეცნიერი ქალბატონი მინე კადიროღლუ. მან შეისწავლა ამ რეგიონის რიგი ქართული ძეგლებისა და შედეგები გამოაქვეყნა შრომებში თურქულ და ინგლისურ ენებზე. ამ თემაზე მან წაიკითხა რამდენიმე მოხსენება თბილისსა და ქუთაისში გამართულ სამეცნიერო სესიებზე.

დიდია ინტერესი საქართველოში მეზობელი თურქეთისადმი. ეს გასაგებიცაა, რადგან მასთან მრავალსაუკუნოვანი ისტორია გვაკავშირებს.

საქართველოში წარმატებით იკვლევენ არა მარტო საქართველო-თურქეთის ურთიერთობის სხვადასხვა პრობლემებს, არამედ სწავლობენ საკუთრივ თურქეთის პოლიტიკურ ისტორიას, სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობებს, ენის, ლიტერატურისა და ფოლკლორის საკითხებს.

თურქეთის პრეზიდენტები




ქემალ ათათურქი



ისმეთ ინონუ



ჯელალ ბაიარი



ჯემალ გურსელი



ჯევდეთ სუნაი



ფაჰრი ქორუთურქი



ქენან ევრენი



თურგუთ ოზალი



სულეიმან დემირელი



აჰმეთ ნეჯდეთ სეზერი

საქართველოში თურქოლოგიას საფუძველი ჩაუყარა აკადემიკოსმა სერგი ჯიქიამ. მან მრავალი საყურადღებო ნაშრომი გამოაქვეყნა. აქედან განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და ფასდაუდებელია „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“ (ოთხ წიგნად).

90-იანი წლებიდან საქართველოში განსაკუთრებით ფართოდ გაიშალა თურქეთის ისტორიისა და საქართველო-თურქეთის ურთიერთობის საკითხების შესწავლა. ეს აიხსნება იმით, რომ ქართველ მეცნიერებს საშუალება მიეცათ წასულიყვნენ თურქეთში სამეცნიერო მივლინებებში, ემუშავათ თურქეთის არქივებსა და ბიბლიოთეკებში და სხვა სამეცნიერო დაწესებულებებში (ქართველი თურქოლოგების ნაშრომების სია დაწვრილებით იხ. ბიბლიოგრაფიაში).

თურქეთის ახალი ისტორიის საკითხებთან დაკავშირებით საყურადღებო წიგნები გამოაქვეყნეს ქართველმა თურქოლოგებმა: ო. გიგინეიშვილმა, „თურქეთის 1960 წლის 27 მაისის სახელმწიფო გადატრიალების მოკლე ისტორია“, ნ. კომახიძემ „მეზობელო კარისაო“, ე. მაკარაძემ „თანამედროვე თურქეთის აქტუალური საკითხები“, ზ. ბატიაშვილმა „თურქეთის შეიარაღებული ძალები“, მისივე, – „თურქეთი“ (ცნობარი), გ. სორდიამ 1982 წლის „თურქეთის რესპუბლის კონსტიტუცია“, აგრეთვე „დემოკრატიულ ნორმათა პრობლემები თურქეთის კანონმდებლობებში“ მ. სვანიძემ „ოსმალეთის ისტორია“ ორ ტომად, მისივე „ქართველები თურქეთში“ და სხვა.

თურქეთისა და თურქეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხებს ნაყოფიერად იკვლევენ: ც. აბულაძე, გ. ალასანია, ნ. შენგელია, მ. სვანიძე, ზ. შაშიკაძე და სხვ.

ქართველი თურქოლოგები განსაკუთრებით წარმატებით მუშაობენ საქართველოს შესახებ თურქული წყაროების შესწავლა-პუბლიკაციაზე, რომელსაც საქართველოში საფუძველი ჩაუყარა აკად. ს. ჯიქიამ. ამ მხრივ აღსანიშნავია ც. აბულაძის, გ. ალასანიას, ნ. შენგელიას, გ. ფუთურიძის, მ. ილურიძის მიერ გამოცემული თურქული წყაროები.


1997-1999 წლებში თურქეთში სამეცნიერო მივლინებაში იმყოფებოდა ნ. შენგელია. მან ანკარისა და სტამბოლის არქივებში მეტად საყურადღებო დოკუმენტები მოიძია საქართველო-თურქეთის ურთიერთობის შესახებ და შეუდგა მათ გამოქვეყნებას.

საქართველოში წარმატებით იკვლევენ თურქულ ენას, ლიტერატურას, კულტურასა და ფოლკლორს. აღსანიშნავია ნ. ჯანაშიას, მ. ჯიქიას, ი. გაბისკირიას, ი. გოცირიძის, ლ. რუხაძის, ლ. ჩლაიძის, გ. ანთელავას, ე. კვანტალიანის, ნ. გურგენიძის, გ. შაყულაშვილის, ქ. ლორთქიფანიძისა და სხვათა გამოკვლევები.

1989-1993 წლებში თურქეთში სამეცნიერო მივლინებაში იმყოფებოდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი შ. ფუტკარაძე. მან მოინახულა ქართველებით დასახლებული სოფლები, შეაგროვა და ჩაიწერა დიდძალი ენობრივი და ფოლკლორული მასალა, ამ საკითხებს მან მიუძღვნა იქ მცხოვრები ქართველების შესახებ მონოგრაფია „ჩვენებურების ქართული“.

1997 წლის 26 აგვისტოს დაარსდა საქართველო-თურქეთის სამეცნიერო-კულტურული ურთიერთობის საზოგადოება. იგი მოწოდებულია კიდევ უფრო მეტად გააფართოვოს და მრავალმხრივი გახადოს ორ ქვეყანას შორის სამეცნიერო და კულტურული თანამშრომლობა.

ქართველ თურქოლოგთა ჯგუფმა, ლ. ჩლაიძის რედაქტორობით, გამოაქვეყნა ორ ტომად „თურქულ-ქართული ლექსიკონი“ და გამოსაცემად ამზადებს „ქართულ-თურქულ ლექსიკონს“. ი. გოცირიძემ გამოსცა „თურქული ენის სახელმძღვანელო“, ს. ჯიქიამ „თურქული ქრესტომათია“ და სხვ.


თუშეთის რუკა
ტუშეთი
ბაკურციხე
ალვანი
ქისტაური
ბოდბისხევი
ანანური
ჭარისწყალი
ბაკურიანი
ბაკურიანის ტბა
ბაკურიანის ქედი
ბაკურიანის ხეობა
ბაკურიანის ციხე
ბაკურიანის ციხის ნანგრევები
ბაკურიანის ციხის ნანგრევები
ბაკურიანის ციხის ნანგრევები

ქართველი თურქოლოგები ნ. ჯანაშია, ლ. ჩლაიძე, ი. გოცირიძე, ს. კაჭარავა და სხვ. თარგმნიან თურქულ ენაზე ქართველი კლასიკოსებისა და თანამედროვე მწერლებისა და პოეტების ნაწარმოებებს, ხოლო თურქი მწერლებისას – ქართულად.

ქართველი თურქოლოგები მონაწილეობენ თურქეთში გამართულ სამეცნიერო კონგრესებსა და სიმპოზიუმებში და თავიანთ ნაშრომებს ბეჭდავენ მათ სამეცნიერო გამოცემებში: ც. აბულაძე, გ. ალასანია, ნ. შენგელია, მ. სვანიძე, ზ. შაშიკაძე, ე. მაჩიტაძე.

საქართველო-თურქეთს შორის კულტურულ-მეგობრული ურთიერთობის გაფართოება-განვითარების საქმეში დიდი როლი შეასრულა გაზეთმა „ხიდმა“, რომელიც 1993 წელს დაარსდა, ხოლო ამ გაზეთის ბაზაზე 2002 წლიდან გამოდის ჟურნალი „ახალი ხიდი“ ქართულ-თურქულ ენებზე, მისი რედაქტორია ა. იმედაშვილი. ეს ჟურნალი წარმატებით აგრძელებს წინამორბედის ტრადიციებს.

საქართველოში მოქმედებს თურქებს მიერ დაარსებული სამი სასწავლებელი: თბილისის ს. დემირელის სახელობის კოლეჯი, ბათუმის რ. შაჰინის სახელობის ლიცეუმი და თბილისის შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი. სასწავლებლებში სწავლება ინგლისურ ენაზეა, თურქული ენა ისწავლება არჩევით, ხოლო ქართული სავალდებულოა. ქუთაისში გახსნილია თურქული ენის შემსწავლელი კურსები.

საქართველოს ოცამდე სკოლაში და უმაღლეს სასწავლებელში ისწავლება თურქული ენა.

საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში ასობით თურქი ახალგაზრდა სწავლობს. 10 წლის მანძილზე საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში ქართულ ენას დაეუფლა და უმაღლესი განათლება მიიღო 600-ზე მეტმა ახალგაზრდამ, მათ შორის არიან ქართული წარმოშობის თურქი მოქალაქეები. ერთი სიტყვით, ორ ქვეყანას შორის იზრდება და ფართოვდება საგანმანათლებლო-სამეცნიერო-კულტურული ურთიერთობები.

თურქეთის ისტორიის ბიბლიოგრაფია

ნაკვეთი პირველი

წყაროები

აბულაძე ც. არზრუმის ვილაიეთის 1592 წლის კანონ-ნამე. საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, III, თბ., 1961.

არაქელ დავრიჟეცის ცნობები საქართველოს შესახებ. თარგმანი, შესავალი და კომენტარები კ. კუციასი. თბ., 1974.

გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი. თურქული ტექსტი გამოსცა, თარგმანი, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ს. ჯიქიამ. წ. I, ტექსტი. თბ., 1947; წ. II, თარგმანი. თბ., 1941; წ. III, გამოკვლევა: 1. ხელნაწერის აღწერილობა. 2. შენიშვნები ტექსტის გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის. თბ., 1958.

ევლია ჩელების "მოგზაურობის წიგნი". თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო გ. ფუთურიძემ. ნაკვ. I, ქართული თარგმანი. თბ., 1971; ნაკვ. II. გამოკვლევა, კომენტარები. თბ., 1973.

ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1973.

თურქეთ-სპარსეთის ომები და ქრისტიანი ქართველები. იტალიურიდან თარგმნა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ე. მამისთვალიშვილმა. თბ., 1978.

თურქული წყაროები XVI ს. I მეოთხედის სამცხე-საათაბაგოს ისტორიისათვის. თურქული დოკუმენტები ქართული თარგმანით, გამოკვლევითა და შენიშვნებით გამოსცა ც. აბულაძემ. თბ., 1983.

იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. თურქული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ს. ჯიქიამ. თბ., 1964.

მუსტაფა ნაიმას ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. თურქული ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკვლევითა და შენიშვნებით გამოსაცემად მოამზადა ნ. შენგელიამ. თბ., 1979.

ფუთურიძე გ. მუსტაფა სელანიქის ცნობები საქართველოს შესახებ. თსუ შრომები, ტ. 91, თბ., 1960.

ქათიბ ჩელების ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. თურქულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გ. ალასანიამ. თბ., 1978.

ქართლის ცხოვრება. ტ. II. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ., 1959.

შაჰ თამაზის საუბარი ოსმალეთის ელჩებთან. სპარსული ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, თარგმნა, შენიშვნები და წინასიტყვაობა დაურთო კ. ტაბატაძემ. თბ., 1976.

ჩილდირის ეიალეთის ჯაბა დავთარი. თურქული ტექსტი ქართული თარგმანით გამოსაცემად მოამზადა ც. აბულაძემ, გამოკვლევა დაურთო მ. სვანიძემ. თბ., 1979.

ჰასან რუმლუს ცნობები საქართველოს შესახებ. სპარსული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავლით გამოსცა ვ. ფუთურიძემ, შენიშვნები დაურთო რ. კიკნაძემ. თბ., 1966.

XV საუკუნის იტალიელ მოგზაურთა ცნობები საქართველოს შესახებ. იტალიურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ე. მამისთვალიშვილმა. თბ., 1981.

XVI-XVIII საუკუნეების ოსმალური დოკუმენტური წყაროები. თურქული ტექსტი, ქართული თარგმანით, შესავლით, ტერმინოლოგიური ლექსიკონით, ფაქსიმილეებითა და საძიებლებით გამოსაცემად მოამზადა ნ. შენგელიამ. თბ., 1987.

Аграрный строй Османской империи XV-XVII вв. Документы и материалы. Составление, перевод и комментарии А. С. Тверитиновой. М., 1963.

Бидлиси, Шараф-хан ибн Шамсаддин. Шараф-наме. Перевод, предисловие, примечания и приложения Е. И. Васильевой, т. 1-2, М., 1967-1976.

Книга Орудж-бека Байата (Дон Жуана Персидского). Перевод с английского, введение и комментарии О. Эфендиева и А. Фарзалиева. Баку, 1988.

Мебде-и Канун-и Йеничери Оджагы Тарихи (История происхождения законов янычарского корпуса). Издание текста, перевод с турецкого, введение, комментарии и указатели И. Е. Петросян. М., 1987.

Записки янычара, написаны Костантином Михайловичем из Островицы. Введение, перевод и комментарии А. И. Рогова. М., 1978.

Тверитинова А. С. Книга Законов султана Селима I. Публикация текста, перевод, терминологические комментарии и предисловие. М., 1963.

Alberi E. Relazioni degli ambasciatori Veneti al Senato..., t. I-III, Firenze, 1839-1869.

Anhegger R., Inalcik H. Kanunname-i Sultani ber muceb-i örf-i osmali. II. Mehmed ve II. Bayezid devirlerine ait yasakname ve kanunnameler. Ankara, 1956.

Bacque-Grammont J.-L. et Chahryar Adle. Les Ottomans, les Safavides et la Géorgie (1514-1524). Istanbul, 1991.

Barkan Ö. L. XV ve XVI asırlarda Osmanlı Imparatorluğunda Ziraî Ekonominin Hukuki ve Malî Esaslari, I cilt. Kanunlar. Istanbul, 1945.

Charière E. Négotiations de la France dans le Levant, ou correspondances, memoires et actes diplomatiques des ambassadeurs de France à Constantinople et des ambassadeurs... a Venise, Raguse, Rome etc., v. I-IV, Paris, 1848-1868.

Chesneau J. Le Voyage de monseigneur d'Aramon ambassadeur pour le roy en Levant. Paris, 1887.

Celal-zade Mustafa. Selim-name (Hazırlayalar A. Uğur - M. Çuhadar). Ankara, 1990.

Fekete L. Zur Geschichte der Grusiner des 16 Jahrhunderts. - Acta Orient. Hung., t. I, fasc. I, 1950, S. 93-133.

Don Juan of Persia. Relationes. London, 1926.

Knolles R. The General History of the Turks. Oxford, 1631.

Osmanlı Imparatorluğunda Eyalet Taksımatı, Toprak Dağıtımı ve Bunlarin Malı Güçleri. (Bugünkü dile çeviren H. Tuncer). Ankara, 1964.

I Selim Kanunnamesi (1512-1520) ve XVI yüzelin ikinci yarısnın kimi kanunları (Yayinlayanlar S. Pulaha - Y.Yücel). Ankara, 1988.

Tarih-i Peçevi, c. I, II, Ankara, 1981.

სამეცნიერო ლიტერატურა

ბაკე-გრამონი ჟ.-ლ. ოსმალები და საქართველო XVI საუკუნის პირველ მეოთხედში. მაცნე, ისტორიის სერია, 1978, № 3.

ბოსტაშვილი ნ. თურქეთის ბიბლიოგრაფია (ისტორია). თბ., 1971.

გაბაშვილი ვ. ქართული ფეოდალური წყობილება XVI-XVII სს. თბ., 1958.

გაბაშვილი ვ. დიდ სელჩუკთა სახელმწიფო. ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან (ფეოდალური ხანა). თბ., 1957.

გაბაშვილი ვ. თემურლენგი. ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან. თბ., 1957.

გაბაშვილი ვ. თურქმანები. ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან. თბ., 1957.

გაბაშვილი ვ. სეფიანთა სახელმწიფო. ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან. თბ., 1957.

გაბაშვილი ვ. ოსმალეთის ქალაქები, ხელოსნობა, ვაჭრობა. ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან. თბ., 1957.

გაბაშვილი ვ. ქართული დიპლომატიის ისტორიიდან (საქართველო და ანტიოსმალური კოალიციები XVI-XVII სს.). - მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკ. 31, თბ., 1954.

გიგინეიშვილი ო. ნარკვევები ოსმალეთის ისტორიიდან. თბ., 1982.

დონდუა ვ. „სტამბოლი" სახელის განმარტებისათვის. საქ. მეცნ. აკად. მომბე, № 2, 1961.

გელაშვილი ნ. ირან-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან (XVI ს.). თბ., 1995.

გუდიაშვილი დ. კავკასიური ელემენტი ოსმალეთის პოლიტიკურ სარბიელზე ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნის" მიხედვით. საქართველოს ისტორიის მასალები, წიგნი II, თბ., 1979.

კაციტაძე დ. საქართველო XIV-XV საუკუნეთა მიჯნაზე. თბ., 1975.

მამისთვალიშვილი ე. საქართველოს საგარეო პოლიტიკური ურთიერთობანი XV საუკუნის მეორე ნახევარსა და XVI საუკუნეში (ევროპული წყაროების მიხედვით). თბ., 1981.

პაიჭაძე დ. ევროპის ქვეყნების ანტიოსმალური კოალიცია და საქართველო XV ს-ის 60-იან წლებში. თბ., 1989.

საქართველოს ისტორია (დამხმარე სახელმძღვანელო). თბ., 1946.

საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973.

სვანიძე მ., ჯიქია ს. საქართველო-თურქეთის ურთიერთობის ისტორიიდან 1588-1590 წწ. - მაცნე, 1966, № 6.

სვანიძე მ. ლალა მუსტაფა ფაშას ლაშქრობა ამიერკავკასიაში (1578 წ.). თსუ შრომები, ტ. 116, აღმოსავლეთმცოდნეობის სერია, V, თბ., 1965.

სვანიძე მ. ოსმალეთის იმპერიის ადმინისტრაციული წყობა და პროვინციული მართვა-გამგებლობა XVI საუკუნეში. მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები. თბ., 1963.

სვანიძე მ. ჩილდირის (ახალციხის) საფაშოს დაარსების ისტორიიდან. - მაცნე, 1964, № 3.

სვანიძე მ. საქართველო-ოსმალეთის ისტორიის ნარკვევები (XIV-XVIII სს.). თბ., 1990.

სვანიძე მ. საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან (XVI-XVII სს.). თბ., 1971.

სვანიძე მ. ახალციხის საფაშოში მიწათმფლობელობის ისტორიიდან. ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან. თბ., 1976.

სვანიძე მ. ოსმალური დავთრების შესახებ ისტორიული ძიებანი 1985. თბ., 1988.

სვანიძე მ. გლეხთა მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის შესახებ ახალციხის საფაშოში ოსმალური კანონ-ნამეების მიხედვით. ი. ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული. თბ. 1976.

სვანიძე მ. ქართველები თურქეთში. თბ., 1998.

სვანიძე მ. ფეოდალური მიწათმფლობელობის ზოგიერთი საკითხი სამცხე-საათაბაგოში ოსმალთა ბატონობის დროს. - ახლო აღმოსავლეთი და საქართველო. თბ., 1991, გვ. 240-252.

ტაბატაძე კ. ქართველი ხალხის ბრძოლა უცხო დამპყრობლების წინააღმდეგ XIV-XV საუკუნეების მიჯნაზე. თბ., 1974.

ტაბატაძე კ. ამიერკავკასიის ქვეყნები და სეფიანთა სახელმწიფო შაჰ-თამაზ I-ის "თეზქერეს" მიხედვით. - ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან. თბ., 1957.

ტაბაღუა ი. საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, I-III, თბ., 1984-1987.

ტარდი ლ. უნგრეთ-საქართველოს ურთიერთობა XVI საუკუნეში. თბ., 1980.

ტივაძე გ. ოსმალეთის დერვიშობა და გლეხთა აჯანყებანი XVI ს-ში. დამატებითი ზოგიერთი საკითხების განხილვით. თბ., 1946.

ტიკაძე მ. იბნ იასის ცნობები ოსმალეთის მიერ სირიის ქალაქების დაპყრობის შესახებ. მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები, II, თბ., 1972.

ფუთურიძე გ. ოსმალეთის სახელმწიფოს წარმოშობა. ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან. თბ., 1957.

ფუთურიძე გ. ოსმალთა დაპყრობითი ომები XIV-XVI საუკუნეებში. ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან. თბ., 1957.

ფუთურიძე გ. გადასახადები და საგადასახადო სისტემა. ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან. თბ., 1957.

ფუთურიძე გ. ოსმალეთი XVI-XVII საუკუნეთა მიჯნაზე. ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან. თბ., 1957.

შენგელია ნ. სელჩუკები და საქართველო XI საუკუნეში. თბ., 1962.

შენგელია ნ. XV-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის ოსმალური წყაროები. თბ., 1974.

ჯავახიშვილი ივ. ქართველი ერის ისტორია, ტ. III-IV, თბ., 1946-1948.

ჯაფარიძე გ. საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო. თბ., 1995.

Абуладзе Ц. А., Сванидзе М. Х. Реестры Трапезундского, Чилыдрского и Карсского эялетов 1694-1732 гг. - Тюркологичекий сборник 1978, М., 1984.

Бартольд В. В. Турция, ислам и христианство. - Соч., т. 4, М., 1966.

Бартольд В. В. Халиф и султан. - Соч., т. 6, М., 1968.

Гордлевский Вл. А. Был ли турецкий султан халифом. - Избр. соч., т. 3, М., 1962.

Гордлевский Вл. А. Государство Сельджукидов Малой Азии. - Избр. соч., т. 1, М., 1960.

Гордлевский Вл. А. Внутреннее состояние Турции во второй половине XVI века. - Избр. соч., т. 3, М., 1962.

Достян И. С. Борьба сербского народа против турецкого ига в XV-XVIII вв. М., 1958.

Еремеев Д. Е. Этногенез турок. М., 1971.

Жуков К. А. Эгейские эмираты в XIV-XV вв. М., 1988.

Зулалян М. К. Армения в первой половине XVI в. М., 1971.

Ибрагимов Г. И. Крестьянские восстания в Турции в XV-XVI вв. "Византийский временник", VII, М., 1953.

Иванов Н. А. Османское завоевание арабских стран 1516-1574 гг. М., 1984.

История Византии, т. 1-3, М., 1967.

История Ирана с древнейших времен до конца 18 века. М., 1958.

История стран зарубежной Азии в средние века. М., 1970.

Карпов С. П. Трапезундская империя и западноевропейские государства в XIII-XV вв. М., 1981.

Кепрюлю М. Ф. Происхождение Османской империи. М., 1939.

Крымский А. История Турции и ее литературы от расцвета до начала упадка. М., 1910.

Мейер М. С. К вопросу об изменении в структуре и составе правящего класса Османской империи в XVIII в. - Проблемы истории Турции. М., 1978.

Мейер М. С. К вопросу о происхождении тимара. - Формы феодальной земельной собственности и владения на Ближнем и Среднем Востоке. М., 1979.

Мейер М. С. К характеристике правящего класса Османской империи XV-XVII вв. - Средний Восток: история, культура, источниковедение. М., 1980.

Мейер М. С. К периодизации истории Турции эпохи феодализма. Вестник МГУ, М., 1977, № 4.

Мейер М. С. Влияние "революции цен" в Европе на Османскую империю. Народы Азии и Африки, М., 1975, № 1.

Мейер М. С. Некоторые черты аграрных отношений в Османской империи. Историография стран Востока (проблемы феодализма). М., 1977.

Мейер М. С. Османская империя в XVIII веке. Черты структурного кризиса. М., 1991.

Мустафаев Ш. М. Восточная Анатолия от Ак-Коюнлу к Османской империи. М., 1994.

Мутафчиева В. П. Аграрните отношения в Османската империя през XV-XVI вв. София, 1962.

Новичев А. Д. История Турции. I. Эпоха феодализма (XI-XVIII вв.). Л., 1963.

Новичев А. Д. Крестьянское восстание в Турции в начале XV в. Проблемы востоковедения, М., 1960, № 3.

Орешкова С. Ф., Гасратян М. А., Петросян Ю. А. Очерки истории Турции. М., 1983.

Орешкова С. Ф. Османский феодализм: типологические наблюдения. Типы общественных отношений на Востоке в средние века. М., 1982.

Османская империя: государственная власть и социально-политическая структура. М., 1990.

Османская империя и страны Центральной, Восточной и Юго-Восточной Европы в XV-XVI вв. М., 1984.

Османская империя в первой четверти XVII века. М., 1984.

Петросян Ю. А. Древний город на Босфоре. Исторические очерки. М., 1986.

Петросян Ю. А. Османская империя: могущество и гибель. М., 1990.

Петросян Ю. А., Юсупов А. Р. Город на двух континентах. М., 1981.

Рансимен С. Падение Константинополя в 1453 г. Перевод с английского Л. Б. Петрушевской, М., 1987.

Сванидзе М. Х. О юрдлуках и оджаклыках как одной из форм землевладения в Османской империи (на примере Чилдырского эялета). Первый конгресс балканских исследований (София, 26 августа - 1 сентября 1966 г.). Сообщения советской делегации. М., 1966.

Сванидзе М. Х. Вопросы землевладения в Османской империи на примере Ахалцихского (Чилдырского) пашалыка. Доклады и сообщения советской делегации на III Международном съезде по изучению стран Юго-Восточной Европы (Бухарест, 4-10 сентября 1974 г.). М., 1974.

Сванидзе М. Х. Грузия, страны Причерноморья и Восточной Европы в первой половине XVII в. - Россия, Польша и Причерноморье в XV-XVII вв. М., 1979.

Сванидзе М. Х. Турецко-иранские отношения в начале XVII в. и Грузия. Проблемы истории Турции. М., 1978.

Сванидзе М. Х. Амасийский османо-иранский договор 1555 г. и Закавказье. Восточное историческое источниковедение и специальные исторические дисциплины, вып. 2, М., 1994.

Сванидзе М. Х. Турецко-иранские отношения и Грузия в 1613-1619 гг. Османская империя. М., 1986.

Сванидзе М. Х. Производство зерновых на крестьянском чифтлике (по османским законоположениям XV-XVI вв.). Османская империя государственная власть и социально-политическая структура. М., 1990.

Смирнов В. Ф. Крымское ханство под верховенством Оттоманской Порты до начала XVIII века. Спб., 1887.

Смирнов Н. А. Россия и Турция в XVI-XVII вв., т. I-II, М., 1946.

Тверитинова А. С. Восстание Кара Языджи-Дели Хасана в Турции. М.-Л., 1946.

Тверитинова А. С. К вопросу о крестьянстве и крестьянском землевладении в Османской империи (XV-XVIвв.). - Уч. зап. ИВАН, тт. 17, 19, 59.

Успенский Ф. И. История Византийской империи, т. III, М.-Л., 1948.

Успенский Ф. И. Очерки из истории Трапезундской империи. Л., 1929.

Фрейденберг М. М. Дубровник и Османская империя. М., 1984.

Цветкова Б. Новые данные о христианах-сипахи на Балканском полуострове в период турецкого господства. - Византийский временник, т. 13, М., 1958.

Шамсутдинов А. М. К вопросу об образовании Османского княжества. - Труды Московского института востоковедения, вып. 5, 1947.

Эфендиев О. А. Азербайджанское государство Сефевидов в XVI веке. Баку, 1981.

Abuladze T., Svanidze M. Defter-i Caba-i eyalet-i Çıldır a, dair ilk belgiler, v. VIII, TTK. II cilt, Ankara, 1981, s. 1034-1036.

Akdağ M. Celalı isyanları (1550-1603). Ankara, 1963.

Akdağ M. Türkiye'nin içtimaî ve iktisadî tarıhi, I-II, Ankara, 1959-1971.

Allen W. E. A History of Georgian People. London, 1932.

Allen W. E. Russian Embassies to the Georgian Kings, 1589-1605, v. I-II, Cambridge, 1970.

Babinger F. Die Geschichtsschreiber der Osmanen und ihre Werke. Leipzig, 1927.

Babinger F. Mehmet der Eroberer und seine Zeit. München, 1953.

Bacque-Grammont J.-L. Une description ottomane du Saatabago vers 1520. - Bedi Kartlisa, XXXVI, 1978, pp. 149-166.

Beldiceanu N. Le timar dans l'Etat Ottoman (début du XIVe - début du XVIe siècle). Wiesbaden, 1980.

Brosset M. Histoire de la Géorgie. T. I-II, SPb., 1856-1858.

Cahen C. Pre-Ottoman Turkey. London, 1962.

Carretto G. E., Lo Jacono C., Ventura A. Maometto in Europa. Arabi e turchi in Occidente 622-1922, a cura di Francesco Gabrieli. Milano, 1982.

Danışmend İ. H. Izahlı Osmanlı tarihi kronolojisi. Istanbul, c. I-III, 1948-1956.

Faroghi S. Subjects of the Sultan. Culture and Daily Life in the Ottoman Empire. London, 1998.

Fisher S. The Foreign Relations of Turkey 1491-1512. Urbana, 1948.

Gibb H. A., Bowen H. Islamic Society and the West. London-NewYork-Toronto, 1950.

Hammer J. Histoire de l'Empire Ottoman, v. I-IV, Paris, 1830-1846.

Inalcık H. L'Empire Ottoman. Les peuples de l'Europe de Sud-Est et leur role dans l'histoire (XV-XX ss.). - I Congres international des etudes Balkaniques et Sud-Est Europeenes, Sofia, 1966.

Inalcık H. Ottoman Methods of Conquest. - Studia İslamica, t. II, Paris, 1954.

Inalcık H. The Ottoman Empire. The Classical Age 1300-1600. London-NewYork, 1973.

Kırzıoğlu M. F. Osmanlıların Kafkas-Elleri'ni fethi (1451-1590). Ankara, 1976.

Köprülü M. F. Les origines de l'Empire Ottoman. Paris, 1935.

Kütükoğlu B. Osmanlı-Iran siyası münasebetleri 1578-1612. Istanbul, 1993.

Lamartine A. Histoire de la Turquie, v. I-IV, Paris, 1854-1859.

Lavallé. Histoire de l'Empire Ottoman. Paris, 1855.

Les voyageurs dans l'Empire Ottoman (XIV-XVI siecles). Ankara, 1991.

Lewis B. Ortagoğu Hıristiyanlığın Doğusundan Günümüze Ortadoğu'nun 2000 Yıllık Tarihi. Istanbul, 1996.

Mufassal Osmanlı tarihi. Istanbul, c. I-III, 1957-1959.

Pitcher D. E. An Historical Geography of the Ottoman Empire from Earliest Times to the End of the Sixteenth Century. Leiden, 1973.

Rycaut P. The History of the Present State of the Ottoman Empire. Londra, 1675.

Sertoğlu M. Osmanlı Tarihi Lügatı. Istanbul, 1986.

Sugar P. F. Southeastern Europe under Ottoman Rule, 1354-1804. London, 1977.

Svanidze M. Point des études sur l'histoire de la Turquie et de la Géorgie. - Turcica. Paris, 1978, t. IX/2-X.

Svanidze M. L'Économie rurale dans le vilayet d'Akhaltzikhé d'aprés le "Registre detaillé de 1595". - Contributions à l'histoire économique et sociale de l'Empire Ottoman, III, Louvain, 1983.

Svanidze M. Une ambassadrice géorgienne (sur l'histoire du traité de paix turco-persan de 1612). - Revue des études Géorgiennes et Caucasiennes, 4, Paris, 1988.

Svanidze M. La Production céréalière du Paşalık Çıldır au XVI s. - CIEPO, VII, Ankara, 1994.

Svanidze M. Animal Husbandry and Bee-Keeping in the Pashalık of Çıldır according to the "Detailed Register of the Vilayet of Gurjistan", 1595 A. D. - Between the Danube and Caucasus. Budapest, 1987.

Tansel S. Yavuz sultan Selim. Ankara, 1962.

Türkische Wirtschafts- und Sozialgeschichte von 1071 bis 1920. Hrsg. von H. G. Majer und R. Motika. Wiesbaden, 1995.

Uzunçarşılı İ. H. Osmanlı devletinin merkez ve Bahriye teşkilati. Ankara, 1948.

Uzunçarşılı İ. H. Osmanlı devleti teşkilatından Kapukulu Ocakları, I-II, Ankara, 1943-1944.

Uzunçarşılı İ. H. Osmanlı Tarihi, c. I-IV, 1947-1956.

Wittek P. The Rise of the Ottoman Empire. London, 1943.

ნაკვეთი მეორე

წყაროები

ისმეთზადე დოქტორი მეჰმედ არიფი, ქართული სოფლები (თურქეთში). თურქულიდან თარგმნა მ. ილურიძემ, თბ., 1996.

XVI-XVIII საუკუნეების ოსმალური დოკუმენტური წყაროები. თურქული ლექსიკონით, ფაქსიმილეებითა და საძიებლებით გამოსაცემად მოამზადა ნ. შენგელიამ, 1987.

თბილისის დაპყრობის წიგნი. თურქული ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლითა და შენიშვნებით გამოსცა ც. აბულაძემ, თბ., 1975.

ს. ჯიქია, ხონთქრის მიერ დიდი მოურავისადმი გაცემული სიგელი. ენიმკის მოამბე, ტ. 13, თბ., 1942.

Рикот, Монархия Турецкая. СПб., 1741.

Русский посол в Стамбуле. Петр Андреевич Толстой и его описание Османской империи начала XVIII в. 1985.

Элвия Челеби, Книга путешествия (Извлечения из сочинения турецкого путешественника XVII века) Перевод и комментарии, Выпуск 1, Земли Молдавии и Украины, 1961.

Элвия Челеби, Книга путешествия (Извлечения из сочинения турецкого путешественника XVII века) Перевод и комментарии, Выпуск 2, Земли Северного Кавказа, Поволжия и Подонья. 1979.

Элвия Челеби, Книга путешествия (Извлечения из сочинения турецкого путешественника XVII века) Перевод и комментарии, Выпуск 3, Земли Закавказья и сопредельных областей Малой Азии и Ирана. 1978.

Cevdet Paşa Ahmet Tarih-i-Cevdet, c.i-12, Ankara, 1972-1974.
Conferance de Lausanne ("Livre jaune"), vol. 1-2, Paris, 1923.
Koçi Bey Risalesi, Istanbul, 1939.
Norandounghian G.E., Recuil d'actes internationaux de l'Empire Ottoman, Paris, 1901-1902, t. 1-1v.
Osmanli Eyalet Tevcihati (1717-1730), Fahameddin Basar, Ankara, 1997.
Testa I., Recueil des traité de la Porte Ottoman, vol. I-XI, Paris, 1864-1911.

სამეცნიერო ლიტერატურა

ავალიანი ა., მიწისმფლობელობის ფორმები აჭარაში (თურქეთის ბატონობისაგან განთავისუფლების წინ, XIX ს. 40-70-იან წლებში), ბათუმი, 1960.

ბაწაში წ., ქართველების დასახლებები თანამედროვე თურქეთში. ახლო აღმოსავლეთის ახალი და უახლოესი ისტორიის საკითხები, თბ., 1988.

ბაწაში წ., პონტოს „ბერძნული სახელმწიფოს" დაარსების საკითხისათვის. „მნათობი", 1985, №11.

ბაწაში წ., ეთნოლოგიური პროცესები ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ ანატოლიაში. თბ., 1988.

ბოსტაშვილი ნ., თურქეთის ბიბლიოგრაფია (ისტორია), თბ., 1971.

ბოსტაშვილი ნ., იასე რაჭველის (მეზლუხა) წერილები თურქეთიდან, თბ., 1991.

ბურჭულაძე ე., საქართველოს დაყოფისა და დამონების ინგლისელ თურქ დამპყრობელთა გეგმების ჩაშლა (ყირიმის ომის პერიოდი), თბ., 1953.

ბურჭულაძე ე., ყირიმის ომი და საქართველო. თბ., 1960.

გიგინეიშვილი ო., თურქიზმი და ოსმალეთის საგარეო პოლიტიკა. თბ., 1963.

გიგინეიშვილი ო., აღა-მაჰმად-ხანი და ოსმალეთი. მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნების ახალი და უახლოესი ისტორიის საკითხები. თბ., 1975.

გიგინეიშვილი ო., XIX-XX საუკუნეთა თურქული საზოგადოების იდეოლოგიის ისტორიიდან. აღმოსავლური კრებული. თბ., 1960.

გიგინეიშვილი ო., თურქეთის XVIII საუკუნის 70-იანი წლების ისტორიის ზოგიერთი საკითხი. ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების ახალი და უახლოესი ისტორიის საკითხები. თბ., 1967.

გუდიაშვილი დ., ევლია ჩელების ცნობები სტამბოლის ბედესტანების შესახებ, ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქების ისტორიიდან, II, თბ., 1970.

დონაძე ვ., ბოსფორი და დარდანელი. თბ., 1983.

იაშვილი ვ., აჭარა ოსმალთა ბატონობის პერიოდში. ბათუმი, 1948.

ლომსაძე შ., მესხები, თბ., 1998.

მეგრელაძე შ., აჭარის განთავისუფლება თურქთა ბატონობისაგან. ბათუმი, 1956.

მეგრელაძე შ., სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან, თბ., 1963.

მეგრელაძე შ., აჭარის წარსულიდან (მუჰაჯირობა) 1877-1882 წლებში, თბ., 1964.

მაჭარაძე ვ., ასპინძის ბრძოლა. თბ., 1991.

ნატროშვილი თ., მაშრიყით მაღრიბამდე. თბ., 1991.

ნატროშვილი თ., მოყვასი შორეული რომიდან თბ., 1995.

ნოზაძე ვ., საქართველოს აღდგენისათვის ბრძოლა მესხეთის გამო, თბ., 1989.

საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ., IV, თბ., 1973.

სვანიძე მ., საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან XVI-XVII სს-ში. თბ., 1971.

სვანიძე მ., საქართველო-ოსმალეთის ისტორიის ნარკვევები XIV-XVIII სს. თბ., 1990.

სვანიძე მ., ახალციხის საფაშოში მიწათმფლობელობის ისტორიიდან. ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან. თბ., 1976.

სვანიძე მ., 1914 წელს ოსმალეთსა და საქართველოს განთავისუფლების კომიტეტს შორის დადებული საიდუმლო ხელშეკრულება. ქართული დიპლომატია, წელიწდეული, ტ. 2, თბ., 1995.

სვანიძე მ., 1917 წლის 16 დეკემბრის ერზინჯანის დროებითი ზავი. ქართული დიპლომატია, წელიწდეული, ტ. 4, 1997.

სვანიძე მ., ბრესტის ზავი და საქართველო. ქართული დიპლომატია, წელიწდეული, ტ. 3. თბ., 1996.

სვანიძე მ., ტრაპიზონის კონფერენცია (1918 14 მარტი – 14 აპრილი). ქართული დიპლომატია, წელიწდეული, ტ. 5, თბ., 1998.

სვანიძე მ., ბათუმის კონფერენცია (და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსება) 1918 წლის 11 მაისი – 4 ივნისი). ქართული დიპლომატია, წელიწდეული, ტ., 6, თბ., 1999.

სვანიძე მ., დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება საქართველოსა და ქემალის თურქეთის მთავრობასთან. ქართული დიპლომატია, წელიწდეული, ტ. 7, თბ., 2000.

სვანიძე მ., დიმიტრი ბაქრაძე სტამბოლში 1888 წელს. აღმოსავლური ფილოლოგია. ტ. III, თბ., 1978.

სვანიძე მ., დიდი არტაანის ლივა (სანჯაყი) 1595-1732 წწ. ახლო აღმოსავლეთი და საქართველო, ტ. 2, თბ., 1999.

სვანიძე მ., შავი და მარმარილოს ზღვებს შორის არხის გაყვანის პროექტები ძველად და ახლა. ჟურნ. „ეპოქა", 1998 წ., №4.

ტარტარაშვილი ვ., რუსეთ-თურქეთის დიპლომატიური ურთიერთობის ისტორიიდან (XVIII საუკუნის 70-იანი წლები). თბ., 1968.

ქართული დიპლომატიის ნარკვევები, ტ. 2, თბ., 1998.

ქორთუა ნ., საქართველო 1806-1812 წლების რუსეთ-თურქეთის ომში. თბ., 1964.

ფირცხალაიშვილი ა., საქართველო-რუსეთ-ირან-თურქეთის ურთიერთობანი XVIII საუკუნის პირველ ნახევარში. თბ., 2000.

ჩხეიძე ს., ახლო აღმოსავლეთის საკითხის ისტორიიდან (1875-1878 წლების კრიზისის პერიოდში). თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. 21, თბ., 1967.

Орешкова С.Ф., Некоторые проблемы эволюции феодального землевладения в Османской империи (2-я половина XVII –начало XVIII вв.). Проблемы новой и новейшей истории стран Запада и Востока. М., 1975.

Орешкова С.Ф., Русско-турецкие отношения в начале XVIII в. М., 1971.

Орешкова С.Ф., Османская империя и ее место в мировой истории. Проблемы истории Турции. М., 1978.

Орешкова С.Ф., Турецкий документ первой половины XVIII в. о международной ситуации в Европе и внешнеполитических целях Османской империи. Тюркологический сборник 1976, 1978.

Орешкова С.Ф., Петросян Ю.А., Гасратян М.А. Очерки истории Турции. М., 1983.

Орешкова С.Ф., Ульченко Е.Ю. Россия и Турция (проблемы формирования границ). М., 1999.

Фадеева М.Л., Официальные доктрины в идеологии и политике Османской империи (Османизм - пантуркизм). М., 1985.

Петросян Ю.А., Младотурецкое движение (вторая половина XIX –начало XIX в.). М., 1971.

Петросян Ю.А., «Новые османы» и борьба за конституцию 1876 г. в турции. М.-Л. 1958.

Петросян Ю.А., Юсупов А.Р., Город на двух континентах. М., 1977.

Рафиков А.Х., Очерки истории книгопечатания в Турции, Ленинград, 1973.

Розен Д.Т., История Турции от победы реформ 1826 г. до Парижского трактата. ч. 1-2 СПб., 1872.

Россия, Польша и Причерноморье в XV –начале XVIII в. М., 1979.

Сванидзе М.Х., Турецко-иранские отношения и Грузия в 1613-1619 гг. Османская империя. М., 1986.

Сванидзе М.Х., Производство зерновых на крестьянском чифтлике (по османским законоположениям XV-XVI вв.). Османская империя – государственная власть и социально-политическая структура. М., 1990.

Сванидзе М.Х., Изучение истории Турции в Грузии за тридцать лет (1945-1975), Тюркологический сборник 1976, Москва, 1978.

Сванидзе М.Х., Абуладзе Ц.А., Реестры Трапезундского, Чилдырского и Карсского эйалетов 1694-1732 гг. Тюркологический сборник, М., 1984.

Смирнов В.Д., Кучубей Гомюрджинский и другие писатели XVII в. о причинах упадка Турции, СПб., 1875.

Тарле Е.В., Крымская война. Соч. т. 8-9. М., 1959.

Тверитинова А.С., Социальные идеи в турецких дидактических социально-экономических трактатах XVI-XVII вв. М., 1960.

Тодоров Н.Т., Балканский город XV-XIX вв. М., 1976.

Тодорова М.Н., Состав правящей элиты Османской империи в период реформы (1826-1878). Тюркологический сборник., 1976, М., 1978.

Тодорова М.Н., Англия, Россия и Танзимат. 1983.

Фадеева А.В., Россия и восточный кризис 20-х гг. XIX в. М., 1958.

Фадеева И.Е., Мидхад-паша, жизнь и деятельность. М., 1877.

Чихаев П.А., Великие державы в Восточный вопрос. М., 1966.

Шеремет В.И., Турция и Адрианопольский мир 1829 г. М., 1975.

Шахинлер Ментер, Кемализм. Перевод с французского. М., 1998.

Akgünduz Ahmet Öztürük Said, Bilinmeyen Osmanli, Istanbul, 1999.

Aktepe M., Patrona isyani, Istanbul, 1958.

Aktepe M., 1720-1724 Osmanli Iran munasebetleri, Istanbul, 1970.

Cezer M., Osmanli tarihinde Levendler, Istanbul, 1965.

Between the Danube and the Caucasus, ed. by G. Kara, Budapest, 1987.

Davison R.H., Reform in the Ottoman Empire 1856-1876. Preston, 1963.

Gibb H. Bowen H. Islamic Society and the West, London, 1950.

Goudiaşvili D. XV-XVII Yüzyillarda Turkiye'de ipekli kumai dokumaciliği, Osmanli, Iktisat, cilt 111, Ankara, 1999.

Goudiaşvili D., Avrupa müzelerinde Ortacag Nurk resimli ipekli kumaşlari, Dialog Avrasya, Istanbul, 2000.

S. Esin Dayi, Elviye-i Selâse'de (Kars, Ardahan, Batum) Milli teşkilatlanma, Ankara, 1997.

Inalcik H., The Turkish Impact on the Development of Modern Europe, The Ottoman State and its Place in World History, Leiden, 1974.

Jonquière V. Histoire de l'Empire Ottoman, Paris, 1914, v. 1-2.

Karal E.Z., Osmanli Tarihi c. 5-8, Ankara, 1970-1976.

Kaynar R., Mustafa Reşit paşa ve Tanzimat, Ankara, 1954.

Kurat A.N., Prut seferi ve barişi (1711), c. 1-2, Ankara 1951-1953.

Lewis B., The Emergence of Moder Turkey, London-New York-Toronto, 1965.

Refik A., Lâle devri, Istanbul, 1928.

Svanidze M., Kars, Çildir ve Trabzon Vilayetlerinin Tahir Defteri (1694-1732), kars, 2001, Tarih sempozyumu 23-24 Mayis, Kars.

Unat F.R., Osmanli seferleri ve seferetnameleri, Ankara, 1968.

Yilmaz T., Öztuna, Türkiye Tarihi, c. 1-12, 1963-67.

ნაკვეთი მესამე

წყაროები

თურქეთის რესპუბლიკის კონსტიტუცია (1982 წ.). თურქულიდან თარგმნა და გამოსაცემად მოამზადა გიორგი სორდიამ, თბ., 2000.

ბარონი ფრიდრიხ კრეს ფონ კრესენშტაინი, ჩემი მისია კავკასიაში. გერმანულიდან თარგმნა, ისტორიული ნარკვევი და კომენტარები დაურთო ნოდარ მუშკუდიანმა. ქუთაისი, 2002.

ჟორდანია ნ., ჩემი წარსული, მოგონებანი, პარიზი, 1953.

შალიკაშვილი დ., საქართველოს წარმომადგენელი თურქეთში 1921 წელს. იხ. შარაძე – ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. 3, თბ., 2003 წ., ჟრნ. „თეატრი და ხელოვნება", თბ., 1991 წ. №1-2.

ჰიზლი დ. ს., ჩემი მოგზაურობა თურქეთში (თარგმანი ინგლისურიდან რეზო გაჩეჩილაძისა), „მიმომხილველი", №6-9, თბ., 1972.

Аралов С.И., Воспоминания советского дипломата 1922-1923 гг. М., 1960.

Ататюрк Мустафа, Избранные речи и выступления, М., 1966.

Мустафа Кемаль (Ататюрк), Путь новой Турции т. I-IV М., 1929-1934.

Геноцид армян в Османской империи, Сборник документов и материалов под редакцией проф. М.Г. Нерсесияна, Ереван, 1966.

Доукменты внешней политики СССР, т. I-IV. М., 1957-1960.

Документы министерства иностранных дел Германии. Вып. II. Германская политика в Турции (1941-1943) М., 1948.

Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии, Тф. 1919.

Джемал паша, Записки 1913-1919 гг. Тб., 1923.

Караосманоглу Якуб Кадри. Дипломат поневоле. Перев. с турецкого, М., 1966.

Ключников Ю.В. и Сабанин А.В., Международная политика новейшего времени в договорах, нотах и декларациях, ч. II-III. М., 1926-1929.

Константинополь и проливы по секретным документам б. Министерства иностранных дел. т. I-II, М., 1925-1926.

О конвенции в Монтре по черноморским проливам. Газ. «Известия», 13 августа 1946 г., 28 сентября 1946 г.

Пекер Э.Д., 40 лет на дипломатической службе. Воспоминания турецкого дипломата. М., 1971.

Раздел Азиатской Турции. По секретным документам б. министерства иностранных дел. Под ред. Е.А. Адамова, М., 1924.

Севрский мирный договор и акты, подписанные в Лозане. перевод с фран. текста. М., 1927.

Фрунзе М.В., Поездка в Агору, Собр. соч., т. I. М., 1948.

Atatürk Kemal, Nutluk Gazi Mustafa Kemal tarafindan Cumhuriyet Halk Firkasinin. c. I-III, Ankara-Istanbul, 1927-1934.

Atatürkün söylev ve demeçleri (1919-1939) c. 1-3 Ankara, Istanbul 1945-1954.

Cebesoy A.F. Moskva hatırları (1920-1922), Istanbul, 1955.

Cebesoy A.F. Mili, Mücadele Hatırları. Istanbul, 1953.

Documents on the British Foreign Policy, 1919-1939. First Ser. vol. IV, Oxford, 1948-1950.

Inönünün söylev ve demeçleri, c. 1-2, Istanbul 1963.

Ismet paşanIn siyasi ve demeçleri, c. 1-2, Istanbul, 1946.

Inönü Ismet. Kemal Atatürk, The creator of the Turkish Republlik 1937.
Karabekir kazim, Istiklal Harbimiz, Merk Yayincilik A.S. Istanbul 1998.
Karabekir Kazim, Doğunun Kurtuluşu, Erzurum, 1990.
Traité de Lausanne, Paris, 1923.

სამეცნიერო ლიტერატურა

ავალიშვილი ზ., საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წწ. საერთაშორისო პოლიტიკაში, თბ., 1929.

ალასანია გ., ქართველები ბ-ნ რონალდ სიუნის თვალსაზრისით, თბ., 1987.

ალასანია გ., ნაციონალიზმის კვლევის პოლიტიკურ-კულტურული ასპექტები, ქართველური მემკვიდრეობა, IV, ქუთაისი, 2000.

ანთელავა გ., საფრანგეთში ემიგრანტი თურქების კულტურული და რელიგიური ცხოვრების მოწყობის ერთი ასპექტი. აკად. გ. წერეთლის სახ. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის აკად. შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის „ნარკვევები", IV, საიუბილეო კრებული, მიძღვნილი პროფ. ნ. ლომოურის 70 წლისთავისადმი, თბ., 1998.

ანთელავა გ., თურქები დასავლეთ ევროპაში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ (ზოგადი მიმოხილვა), ე. თაყაიშვილის სახ. საქართველოს ისტორიის საზოგადოების აფხაზეთის ორგანიზ. „საისტორიო ძიებანი" IV, 2001.

ანთელავა გ., თურქები და ემიგრაციული პროცესები დასავლეთ ევროპაში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ (ზოგადი მიმოხილვა), თბ., ი. ჭავჭავაძის სახ. ენისა და კულტურის უნივერსიტეტის „საისტორიო შტუდიები", III, 2002.

ანთელავა გ., საფრანგეთში თურქი ემიგრანტების ცხოვრების მოწყობის ზოგიერთი ასპექტი, აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი, თბილისის აზიისა და აფრიკის ინსტიტუტი, „პერსპექტივა", XXI, IV, თბ., 2002.

ანთელავა გ., ისლამი და საფრანგეთში ემიგრირებული თურქების ეთნიკური და რელიგიური იდენტურობის საკითხი, „პოლიტიკა", 5, თბ., 2002.

ანთელავა გ., თურქები გერმანიაში: დაქირავებული მუშებიდან დამქირავებელ მეწარმეებამდე, „პოლიტიკა", 6, თბ., 2002.

ანთელავა გ., თურქი რმიგრანტების მეორე თაობის განათლების და ინტეგრაციის პრობლემები გერმანიაში, „ვალერიან გაბაშვილი – 90" საიუბილეო კრებული, თბ., 2003.

ანთელავა გ., თურქული ისლამური ორგანიზაციების მოღვაწეობა თანამედროვე საფრანგეთში (ზოგადი მიმოხილვა), სამეცნიერო კვლევის ორგანიზაცია (თისკა) ACADEMIA ისტორიულ-ფილოლოგიური ჟურნალი, ტ. 4. 2002.

ანთელავა გ., თურქების რელიგიურ-კულტურული ცენტრები თანამედროვე საფრანგეთში, ი. ჭავჭავაძის სახ. ენისა და კულტურის უნივერსიტეტი, ენა და ლიტერატურა, ფილოლოგიური სერია, I, 2002.

ანთელავა გ., თურქები ევროპის სატრანსპორტო ქსელში, ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახ. უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის „მოამბე", 2004.

ანთელავა გ., თანამედროვე ევროპა და თურქეთი (მიგრაცია), თბ., 2004.

ბატიაშვილი ზ., „თანამედროვე თურქეთი", საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის ბიულეტენი, №12. თბ., ივლისი 1998.

ბატიაშვილი ზ., „ცნობარი თურქეთზე", საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის ბიულეტენი, 23, თბ., აპრილი, 1999.

ბატიაშვილი ზ., „არჩევნების შედეგები თურქეთში" საქართველოს სტრატეგიული

კვლევებისა და განვითარების ცენტრი. სერია: „საგარეო პოლიტიკა და ეროვნული უსაფრთხოება“, №1, თბ., მაისი 1999.

ბატიაშვილი ზ., „ათათურქი და ქემალიზმი“, „თურქეთის ცნობები“, №6, ნოემბ. 1999.

ბატიაშვილი ზ., „თურქეთის შეიარაღებული ძალები“, თბ., 2000.

ბატიაშვილი ზ., „თურქეთის შეიარაღებული ძალები და საგარეო, პოლიტიკა“, „პოლიტიკა“ №1, თბ., 2002.

ბენდიანაშვილი ალ., საქართველოს პირველი რესპუბლიკა {1918-1921 წწ.} თბ., 2001.

ბაწაში წ., ქართველების დასახლება თანამედროვე თურქეთში, „ახლო აღმოსავლეთის ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“ თბ., 1988.

ბაწაში წ., ეთნიკური პროცესები ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ ანატოლიაში, თბ., 1988.

გაჩეჩილაძე რ., ქართული მოსახლეობა თურქეთში, „მიმომხილველი“ №6-9 თბ., 1972.

გაჩეჩილაძე რ., ახლო აღმოსავლეთი, თბ., 1977.

გაჩეჩილაძე რ., ახლო აღმოსავლეთი სივრცეში, ხალხი და პოლიტიკა, თბ., 2003.

გიგინეიშვილი ო., თურქიზმი და ოსმალეთის საგარეო პოლიტიკა, თბ., 1983.

გიგინეიშვილი ო., XX საუკუნეთა თურქეთის საზოგადოების იდეოლოგიის ისტორიიდან, აღმოსავლური კრებ. თბ., 1982.

გიგინეიშვილი ო., „ნაციონალიზმის ქემალისტური დებულება“ მახლობელი აღმოსავლეთს ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორია, თბ., 1983.

გიგინეიშვილი ო., „თურქეთის 1960 წლის 27 მაისის სახელმწიფო გადატრიალების მოკლე ისტორია“, თბ., 1989.

დონაძე ვ., სახღვარგარეთული აღმოსავლეთის ქვეყნების ახალი ისტორია, თბ., 1983.

დონაძე ვ., სახღვარგარეთული აზიისა და აფრიკის ისტორია, ნაწ, II, თბ., 1969.

დონაძე ვ., სახღვარგარეთული აზიისა და აფრიკის უახლესი ისტორია, თბ., 1991.

ენუქიძე დ., შავი ზღვის სრუტეების პრობლემა, თბ., 1996.

იმედაშვილი ა., ხელშეკრულების 19 წლისთავი, „ახალი ხიდი“, 2002 №5

იმედაშვილი ა., საქართველო-თურქეთის სამეცნიერო კავშირები XX საუკუნის 90-იან წლებში, „ახლო აღმოსავლეთი და საქართველო“, ტ. III, თბ., 2002.

იმედაშვილი ა., ბელთაძე მ., „ლაიცისტური თურქეთი იმარჯვებს“, „საქართველოს რესპუბლიკა“, №2, 197.

ისლამი, ენციკლოპედიური ცნობარი, თბ., 1999.

კილაძე ს., თურქეთის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ზოგიერთი საკითხი, თბ., 1987

კირთაძე ნ., ევროპა და დამოუკიდებელი საქართველო, თბ., 1997.

კომახია მ., ქურთების პრობლემა: შესაძლოა დესტაბილიზაციის წყარო რეგიონში. საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, ბიულეტენი №50, მარტი, 003.

კომახია მ., თურქეთ-ევროკავშირის ურთიერთობა. საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, ბიულეტენი №41, აგვისტო, 2002.

კომახია მ., თურქეთ-რუსეთის ურთიერთობა და სამხრეთ კავკასია. საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის ბიულეტენი, №6, მარტი, 2002.

კომახია მ., „პოლიტიკური ისლამი თურქეთში“. საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის ბიულეტენი, 47, თებ., 2001.

მაკარაძე ე., თანამედროვე თურქეთის აქტუალური საკითხები XX საუკუნის 90-იანი წლები, ბათუმი, 2002.

მაკარაძე ე., გოგიტიძე მ., კვიპროსის საკითხი აღმოსავლურ პოლიტიკაში XX საუკუნის 60-70 წლებში. ბათუმი, 2003.

მაკარაძე ე., ნატო და კვიპროსის პრობლემა, „ისტორია-ფილოლოგია“ (შრომების კრებული), ივ. ჯავახიშვილის სახ. თბ. უნივერსიტეტი, თბ., 1988.

მაჩიტიძე ე., 1980 წლის 12 სექტემბრის სამხედრო გადატრიალება თურქეთში. ისტორიულ-პოლიტიკური ძიებანი, კრებული I, თბ., 1993.

მაჩიტიძე ე., თურქეთის რესპუბლიკის საშინაო მდგომარეობის ზოგიერთი თავისებურება 70-იანი წლების დასასრულს. ორიენტალისტური ძიებანი. კრებული I, თბ., 1994.

მაჩიტიძე ე., სამხედრო ხელისუფლების მიერ გატარებული ღონისძიებანი თურქეთში 80-იანი წლების დასაწყისში, ორიენტალისტური ძიებანი, კრებული I, თბ., 1994.

მაჩიტიძე ე., XX საუკუნის 70-იან წლებში ნაციონალისტური მოძრაობის ზოგიერთი საკითხი თურქეთში, ორიენტალისტური ძიებანი, კრებული 3-4, თბ., 1995.

მაჩიტიძე ე., ისლამისტური პარტიები თანამედროვე თურქეთში, ორიენტალისტური ძიებანი, კრებული 3-4, თბილისი, 1995.

მაჩიტიძე ე., არმიის როლი თურქეთის სზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში XX საუკუნის 60-80-იან წლებში. ორიენტალისტური ძიებანი, კრებული 5, თბ., 1996.

მაჩიტიძე ე., ცვლილებები თურქეთის კონსტიტუციაში, ორიენტალისტური ძიებანი, კრებული 5, თბ., 1996.

მაჩიტიძე ე., თურქეთის რესპუბლიკის ეკონომიკური ვითარება 80-იანი წლების დასაწყისში (სამხედრო რეჟიმის პერიოდში), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოპოლიტიკის კათედრის შრომები, ტ. II, თბ., 1999.

ლებანიძე ტ., თურქეთში საპარლამენტო სისტემა და პირველი თურქული პარტიები, „კავკასიის მაცნე", 3, 2003.

ლებანიძე ტ., თურქეთში მრავალპარტიულ სისტემაზე გადასვლა და დემოკრატიული პარტიის მმართველობა, ვ. გაბაშვილისადმი მიძღვნილი კრებული, თბ., 2003.

ლებანიძე ტ., პარტიები და პოლიტიკური მდგომარეობა თურქეთში XIX ს-ის ბოლოს და XX საუკუნის პირველ ნახევარში, თბ., 2004.

ლებანიძე ტ., თურქეთის შიდა პოლიტიკა 1945-1980 წლებში და პოლიტიკური პარტიები თბ., 2003.

სეფიაშვილი ე., საქართველოს თანამშრომლობა BSEC-ში, საქართველოს სტრატეგიული განვითარებისა და კვლევების ცენტრის ბიულეტენი, №7, თებ. 2001.

სვანიძე მ., 1914 წელს ოსმალეთსა და საქართველოს განთავისუფლების კომიტეტს შორის დადებული საიდუმლო ხელშეკრულება „ქართული დიპლომატია", წელიწდეული, ტ. 2, თბ., 1955.

სვანიძე მ., ქართველები თურქეთში, თბ., 1996.

სვანიძე მ., ბრესტის ზავი და საქართველო, „ქართული დიპლომატია", წელიწდეული", ტ. 3, თბ., 1996.

სვანიძე მ., 1917 წლის 18 დეკემბრის ერზინჯანის დროებითი ზავი, „ქართული დიპლომატია", წელიწდეული, ტ.4, თბ., 1998.

სვანიძე მ., ქალაქ პეტრას ლოკალიზაციისათვის, საიუბილეო კრებული მიძღვნილი პროფ. ვ. ლომოურისადმი დაბადების 70 წლ. ნარკვევები, ტ. IV თბ., 1998.

სვანიძე მ., ტრაპიზონის კონფერენცია 1918 წ. 14 მარტი – 14 აპრილი, „ქართული დიპლომატია", წელიწდეული, ტ. 5, თბ., 1998.

სვანიძე მ., შავი და მარმარილოს ზღვებს შორის არხის გაყვანის პროექტები, ძველად და ახლა. „ეპოქა", 1998, №4. (თანაავტორი ბელთაძე).

სვანიძე მ., 1918 წ. 11 მაისი – 4 ივნისი ბათუმის კონფერენცია და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსება – „ქართული დიპლომატია", ტ. 6, 1999.

სვანიძე მ., დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება საქართველოსა და ქემალის თურქეთის მთავრობებს შორის, „ქართული დიპლომატია", ტ. 7. 2000.

სვანიძე მ., ოსმალეთის ისტორია (1600-1923) ტ. II, თბ., 2002.

სვანიძე მ., ტოპონიმი ბათუმი – თურქულ წყაროებსა და სამეცნიერო ლიტერატურაში, „გივი ჯორდანია 90“, თბ., 2001.

სვანიძე მ., აკად. ვ. გაბაშვილი 90, „ახალი ხიდი“, 2002, №1.

სვანიძე მ., ეძებენ ბოსფორის ალტერნატივას, „ახალი ხიდი“ 2003, №3.

სვანიძე მ., დიპლომატიური ბრძოლა ბათუმისა და ბათუმის ოლქისათვის 1918-1921 წლებში. „ქართული დიპლომატია“, წელიწდეული, ტ. 8.

სვანიძე მ., ქალდეის ისტორიიდან (ტ. გაბაშვილის „მიმოსვლის“ ერთი ადგილის განმარტებისათვის) ვ. გაბაშვილის საიუბილეო კრებული, თბ., 2003.

სვანიძე მ., ქემალისტური რევოლუცია, „ახალი ხიდი“, 2003 №4.

სვანიძე მ., რეცენზია წიგნზე ნ. კომახიძე, სოფლის მეურნეობა და გლეხთა მდგომარეობა აღმოსავლეთ თურქეთში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, თბ., 1965, „საქართველოს ეკონომისტი“, 1966 წ. №3.

სვანიძე მ., თურქეთის საისტორიო საზოგადოების VIII კონგრესი, მაცნე, 1977, №11.

სვანიძე მ., საბჭოთა და პოლონელ ისტორიკოსთა სიმპოზიუმი სოხუმში, მაცნე, ისტ. სერ. 1976, №2.

სვანიძე მ., ქართული ლეგიონი ოსმალეთში პირველი მსოფლიო ომის დროს, „სამშობლო“, 1992, 7-10 VI.

სვანიძე მ., ქართული კულტურის კერა სტამბოლში, თსუ მესხეთის ფილიალი სამეცნიერო სიმპოზიუმი, „ახალციხე-ყარსი“ 2002.

სვანიძე მ., დიმიტრი შალიკაშვილი „წინაპრები და შთამომავალნი“, „ქართული დიპლომატია“ წელიწდეული, თბ., ტ. II. 2004.

სვანიძე მ., საქართველო-თურქეთის ურთიერთობის ისტორიიდან 1920 წლის 25 ივლისის ანკარის მთავრობის ნოტა საქართველოსადმი. „ქართული დიპლომატია“, წელიწდეული, ტ. II, 2004.

სიორიძე მ., სამხრეთ-დასავლეთ საქართველო 1914-1918 წლებში, ბათუმი.

სორდია გ. ევროპიზაცია და ისლამიზმი თანამედროვე თურქეთში, ჟურნ. „პოლიტიკა“ №9, 2000.

სორდია გ. თურქეთის ეკონომიკური მდგომარეობის საკითხები, თსუ შრომები, 2002.

სორდია გ. ოსმალურ-ჰანიფიტური სამართლის სკოლის თავისებურებანი, „კავკასიის მაცნე“, №6, 2001.

სორდია გ., კონსტიტუციონალიზმის განვითარება და ადამიანის უფლებები თურქეთში, „ქართული დიპლომატია“, წელიწდეული, №9, 2002.

სურგულაძე ა. სურგულაძე პ., საქართველოს ისტორია 1783-1890, თბ., 1991.

ფირცხალავა ა., დიდი აბრეშუმის გზა, „ახალი ხიდი“, №2, 2002.

ფუტკარაძე შ., ჩვენებურების ქართული, ბათუმი, 1993.

ყავრელიშვილი რ., ორი თურქული დოკუმენტი „ყარსის მთავრობის შესახებ“, „ახლო აღმოსავლეთი და საქართველო“, ტ. III, 2000.

ყავრელიშვილი რ., თურქული საარქივო წყაროები ბრესტ-ლიტოვსკის საზავო კონფერენციის შესახებ, „მესხეთის ისტორია და თანამედროვეობა“, ახალციხე, 2000.

ყავრელიშვილი რ., ამიერკავკასიის კომისარიატის პოლიტიკური ურთიერთობის ისტორია [1917] ახალციხე-ყარსის სიმპოზიუმის შრომები, ახალციხე-ყარსი, 2001.

ჯაფარიძე შ., მუსტაფა ქემალ ათათურქი – პოლიტიკოსი და სახელმწიფო მოღვაწე, ბათუმი, 1996.

Алиев Г.З., Турция в период правления младотурок, М., 1979.

Алибеков И.В., Государственный Капитализм в Турции, М., 1966.

Армянский вопрос на Лозанской конференции. Тиф., 1926.

Багиров Ю.А., Из истории советско-турецких отношений (1920-1922) Баку, 1955.

Васильев В., О турецком «нейтралитете» во второй мировой войне, М., 1951.
Габидулин Х.З., Младотурецкая революция, М., 1936.
Глебов А., Линия дружбы, М., 1960.
Годес М., Что такое кемалистский путь и возможен ли он в Китае. М., 1928.
Гурко-Кряжин В.А., Ближный Восток и державы. М., 1925.
Гурко-Кряжин В.А. Возникновение национально-освободительного движения в Турции. Обзор источников, Новый Восток, 1928, №23-24.
Гурко-Кряжин В.А., История революции в Турции. М., 1923.
Гасратян М.А., Турция в 1960-1963 годах, М., 1965.
Вдовиченко Д.И., Национальная буржуазия Турции, 1962.
Вдовиченко Д.И., Борьба политических партий в Турции 1944-1965, М., 1967.
Данилов В.И., 7000 километров по Турции, М., 1975.
Данилов В.И., Средние слои в политической жизни в современной Турции, М., 1968.
Данциг Б., Турция (Полит.-эконом очерк) М., 1940.
Живкова А.П., Англо-турецкие отношения 1938-1945 гг. М., 1997.
Жуковский П.М., Земледельческая Турция, М-Л., 1933.
Завриев Д.С., Восточная Анатолия. Экономический очерк., Тиф. 1936.
Завриев Д.С., К новейшей истории северо-восточных вилаетов Турции, 1947.
Ирандуст, Движущие силы кемалистской революции, М-Л., 1928.
Инджикиян О.Г., Буржуазия Османской империи, Ереван, 1977.
Кадишев А.П., Интервенция и гражданская война в Закавказье. М., 1960.
Кайзер Ж., Европа и новая Турция. Перевод с фран., М., 1920.
Корхмазян Р.С., Турецко-германские отношения в годы второй мировой войны, Ереван, 1977.
Корсун Н.Г. Балканский фронт мировой войны 1914-1918 гг. М., 1939.
Корсун Н.Г., Первая мировая война на Кавказском фронте, М., 1946.
Корсун Н.Г., Греко-турецкая война 1919-1922 гг., М., 1940.
Кузнецова С.И., Установление советско-турецких отношений, М., 1961.
Кряжин В. (Гурко). Раздел Турции во время мировой войны, Новый Восток, М., 1923 №4.
Лазарев М.С., Крушение турецкого господства на Арабском Востоке 1914-1918 гг. М., 1960.
Мейер М.С., Еремеев Д.Е. История Турции в средние века и новое время, М., 1992.
Миллер А.Ф., Краткая история Турции, М. 1948.
Миллер А.Ф., Очерки новейшей истории Турции, М-Л., 1948.
Миллер А.Ф., Турция. Актуальные проблемы новой и новейшей истории, М., 1983.
Новичев А.Д., Турция. Краткая история, М., 1965.
Новичев А.Д., Очерки экономики Турции до первой мировой войны, М-Л., 1973.
Новичев А.Д., Экономика турции в период первой мировой войны, М-Л., 1935.
Нотович Ф.И., Дипломатическая борьба в годы первой мировой войны. т. I. Потеря союзников Балканского п-ова, М-Л., 1947.
Новейшая история Турции, М., 1968.
Павлович М.П., (М. Вельтман) Революционная Турция, М., 1921.
Петросян Ю.А., Орешкова С.Ф., Гасратян М.А., Очерки истории Турции, М., 1983.
Поцхверия Б.М., Внешняя политика Турции после второй мировой войны, М., 1976.
Орешкова С.Ф., Ульченко Н.Ю., Россия и Турция (проблемы формирования границ) М., 1999.

Саакян Р.Г., Франко-турецкие отношения и Киликия в 1918-1923 гг. Ереван, 1986.

Саркисян Е.К. Экспансионистическая политика Османской империи в Закавказье накануне и в годы первой мировой войны, Ереван, 1962.

Сванидзе М.Х., Изучение истории Турции в Грузии за тридцать лет (1945-1975), Тюркологический сборник 1976, М., 1984.

Сванидзе М.Х., Завоевание османами Северо-Западного побережья Кавказа, Источниковедение истории и кудьтуры народов Дагестана и Северного Кавказа 12-13 октября 1983 г. Тезисы докладов. «Сообщении», Махачкала, 1989 г. с. 27, 28.

Сванидзе М.Х., Основоположник грузинской тюркологий С.С. Джикия в связи 80 летием со дня рождения, Вечерний Тбилиси, 20/X, 1978 г.

Сванидзе М.Х., Первый национальный съезд Грузии, «Свободная Грузия», 5/X, 1991 г.

Сванидзе М.Х., Установление дипломатических отношений Грузии с правительством Анкары, «Свободная Грузия», 23/V, 1992 г.

Сванидзе М.Х., Друг и коллега грузинских историков и востоковедов, «Сильнее смерти», Сбор. посв. акад Зия Бунятову, Баку, 2002.

Сокольский Н., Очерки современной Турции, Тб., 1921.

Ставровский А., Закавказье после октября, М-Л., 1925.

Старченков Г., Роль армии в общественно-политической системе, «Азия и Африка сегодня», 1984, №7.

Турецкая Республика (справочник), М., 1975.

Турция – история, экономика, политика, М., 1984.

Турецкая республика в 60-70 годы. Вопросы общественно-политического развития. М., 1984.

Турецкая республика, справочник, М., 1989.

Фадеева И.Л., Официальные доктрины в идеологии и политике Османской империи (османизм-панисласмизм), М., 1985.

Шамсутдинов А.М., Турецкая республика, краткий очерк истории, М., 1962.

Шамсутдинов А.М., Национально-освободительная борьба в Турции 1918-1923. М., 1966.

Шпилкова В.И., Младотурецкая революция 1908-1909 гг. М., 1977.

Шахинлер Ментор, Кемализм, пер. с франц. М., 1998.

Юст К., Анатолийская печать, Тиф., 1922.

Юст К., Кемализм (Письма из Турции), Красная новь, М-Л., 1926, №9.

Andrews Peter Alford. Türkiye'de etnik gruplar, Istanbul, 1992.

Abadan Yavuz. Inkilāp Tarihine Girişi. Ankara, 1960.

Abadan Yavuz, Inkilāp ve inkilapilik, Ankara, 1933.

Akşin Aptülahat. Atatürkün diş politika ilkeleri ve diplomasi, Istanbul, 1966.

Aksit N., Milli Tarihi, c. I-II. Istanbul, 1993.

Agkut Seref. Kemalism. Istanbul, 1936.

Akşit Naelesi. Milli Tarihi. c. I-II, Istanbul, 1993.

Armanuglu fahir. Siyasi tarihi. 1789-1960, Ankara 1964.

Bayur Y.H. Türk inkilābi tarihi. c. I, Ankara, 1964.

Bayur Y.H. Türkiye Devletinin diş siyasi. Istanbul, 1938.

Erkin F.C. Türk-Sovyet ilişkileri ve boğazlar meselesi, Ankara, 1968.

Esmer Ahmet Sükrü. Siyasi Tarihi (1919-1921). Ankara, 1953.

Esmer Ahmet Sükrü. Türk Diplomasi 1920-1955. Istanbul, 1959.

Gönlüboil M., Sar C. Atatürk ve Türkiyenin diş politikasi (1919-1938). Istanbul, 1963.

Kani Irtem Süleyman. Böğazlar meselesi. Istanbul, 1936.

Karal Enver Ziya. Türkiye Cumhuriyeti Tarihi (1918-1960). Istanbul, 1962.
Lewis Bernard. Ortadoğu, Istanbul, 1996.
Olaylarla. Türk diş politikasi (1919-1965). Ankara, 1969.
Özdarim S.N. Atatürk devrimi kronolojisi, Istanbul, 1963.
Şapolyo E.B. Kemal Atatürk ve MIlli mücadele tarihi, Ankara, 1958.
Uçok Coşkum. Siyasi Tarih Dersleri. Ankara, 1961.
Uykucu K.E., 1919-den 1973-e kadar Cumhuriyet tarini ansiklopedisi, Istanbul, 1973.
Yönlübol M., Sar C., Atatürk ve turkiyenin diş politikasi (1919-1938), Istanbul, 1963.
Armstrong H. C., Capitain. Mustafa Kemal, Paris, 1933.
Anderson M. S. The Eastern Question 1774-1923. London, 1966.
Benoist-Méchin J. Le Loup et le léopard. Moustapha Kemal ou la mort d'un Empire, Paris, 1954.
Between the Danube and the Caucasus, Budapest, 1987.
Documents on the British Foreign Policy 1919-1935. First Series, vol. I-IV, Oxford, 1948-1950.
Driault E. La Question d'Orient 1918-1937. Paris, 1939.
Economie et societés dans l'Empire Ottoman (fin du XVIII – debut du XX), Paris, 1983.
Evans Laurence. United States policy and partition of Turkey 1914-1965 Paris, 1965.
Garnier Jean-Paul, La fin de L'Empire Ottoman. Du sultan Rouge a Mustafa Kemal, Paris 1973.
Centizon Paul. Mustafa Kemal oû L'Orient en march. Paris, 1929.
Karal Enver Ziya. L'image de la France chez Atatürk, Paris. 1981.
Kedourie Elie. England and the Middle East. London, 1956.
Kilic Altemur. Turkey and the world. Washington 1959.
Kinross, Lord. Ataturk. London, 1977.
Lewis Bernard. The emergence of Modern Turkey. London, 1961.
Mantran Robert. Histoire de la Turquie. Paris, 1961.
Marriott J. A. R. The Eastern Question. Oxford, 1951.
Medlicott W. N. British Foreign Policy since Versailles 1919-1963. London, 1968.
Pech Edgard. Les Alliés et la Turquie, Paris, 1925.
Rain Pieere. L'Europe de Versailles. 1919-1939. Paris, 1945.
Richard D. Robinson, The First Turkish Republic. Cambridge, 1963.
Savanjian L. Le Kemalisme contre les chretien d'Anatolie, Paris, 1922.
Shaw St. History of the Ottoman Empire and Modern Turkey. Vol. 1-6, Cambridge, London – New York – Melbourne 1978.
Speroo Willy. Moustapha Kemal Ataturk (1882-1938). Paris, 1958.
Svanidze M., Point des etudes sur l'histoire de la Turquie et la Georgie. "Turcica", revue d'etudes Turque, t. IX/X, Paris, 1978.
La Turquie contemporaine, Ankara, 1935.
Tongas Gerard. Ataturk and the true nature of Modern Turkey, London, 1973.
Vere-Hodge Edvard Reginald, Turkish Foreign Policy 1918-1948. Genev, 1950.
Zara Phillippe, Moustapha Kemal dictateur, Paris, 1936.
Ziyaeddin Fahri Ziya Cökalp. Sa vie sa sociolojie, Paris, 1936.

შინაარსი

ნაკვეთი პირველი. თურქეთის შუა საუკუნეების ისტორია 1299-1789 წლებში.

თავი I. თურქ-სელჩუკთა სახელმწიფო მცირე აზიაში XI-XII საუკუნეებში.

1. მცირე აზიაში თურქული ტომების დასახლება 5
2. დიდ-სელჩუკთა სახელმწიფო 5
3. რუმის (კონიის) სასულთნო 7

თავი II. ოსმალეთი XIV საუკუნეში

1. ოსმალეთის სახელმწიფოს დაარსება 11
2. ოსმალეთის სახელმწიფოს ჩამოყალიბება 13
3. ოსმალთა დაპყრობითი ომები XIV საუკუნეში 19

თავი III. ოსმალეთი XV საუკუნის პირველ ნახევარში

1. მცირე აზიაში თემურლენგის შემოსევები 26
2. ტახტისათვის ბრძოლა უფლისწულებს შორის 29
3. გლეხთა აჯანყებები XV საუკუნის დამდეგს 31
4. ოსმალეთი XV საუკუნის 20-იან წლებში 32
5. ანტიოსმალური კოალიციის შექმნა და ბალკანეთის ხალხების ბრძოლა ოსმალთა წინააღმდეგ XV საუკუნის 30-40-იან წლებში 34

თავი IV. კონსტანტინოპოლის დაცემა

1. მეჰმედ II 39
2. შეტევისათვის სამზადისი 40
3. მდგომარეობა ალყაშემორტყმულ ქალაქში 42
4. იერიშის დაწყება 46
5. ოსმალების მიერ კონსტანტინოპოლის დაპყრობა და მისი ისტორიული მნიშვნელობა 50

თავი V. ოსმალეთის იმპერიად ჩამოყალიბება

1. ოსმალთა პირველი ნაბიჯები შავი ზღვის რეგიონში გაბატონების მიზნით 53
2. ოსმალთა შემდგომი ექსპანსია ბალკანეთის ქვეყნებში 59
3. ტრაპიზონის საკეისროს დაპყრობა 60
4. ყირიმის დამორჩილება და შავი ზღვის გადაქცევა "ოსმალეთის ტბად" 65
5. იტალიის დაპყრობის ცდა 67
6. თიმარული სისტემა 69
7. ოსმალეთის საზოგადოებრივი წყობილება 78
8. ოსმალთა დაპყრობითი ომების თავისებურებანი 83
9. ქვეყნის აღწერა და დავთრების შედგენა 87
10. ლევანტის ვაჭრობა 88

თავი VI. ოსმალეთი XV საუკუნის მიწურულს და XVI საუკუნის დამდეგს
1. ბაიაზიდ II-ის გამეფება, უფლისწულ ჯემის ბრძოლა ტახტისათვის 91
2. ურთიერთობების დამყარება სხვადასხვა სახელმწიფოებთან, პირველი დიპლომატიური კონტაქტები რუსეთთან 93
3. ბაიაზიდ II და სეფიანთა ირანი 96
4. უფლისწულ სელიმის ბრძოლა ტახტისათვის 98
5. ოსმალეთ-ირანის ომის დაწყება 99
6. სელიმ I-ის ლაშქრობა სირიასა და ეგვიპტეში 102

თავი VII. ოსმალეთის იმპერია ძლიერების ხანაში
1. უნგრეთის დაპყრობა 107
2. ომი ავსტრიასთან და ვენის პირველი გარემოცვა 108
3. სულეიმანის პირველი ლაშქრობა ირანის წინააღმდეგ 111
4. ომის განახლება ევროპის სახელმწიფოებთან 112
5. სულეიმანის მეორე ლაშქრობა ირანის წინააღმდეგ 113
6. სულეიმანის მესამე ლაშქრობა ირანის წინააღმდეგ 116
7. 1555 წლის ამასიის ზავი 119
8. ოსმალთა დაპყრობები აფრიკაში 121
9. 1536 წლის საფრანგეთ-ოსმალეთის პირველი კაპიტულაცია 123
10. სულეიმან I და მისი საკანონმდებლო საქმიანობა 125
11. ოსმალეთის შეიარაღებული ძალები, იენიჩართა კორპუსი 126
12. სახელმწიფოს მართვა-გამგებლობა. დივანი ჰუმაიუნი 128
13. პროვინციების მართვა-გამგებლობა 133
14. არამუსლიმური მოსახლეობის მმართველობის მილეთური სისტემა 137
15. სახელმწიფო რეგლამენტაცია 139
16. სულთნის სამეფო კარი 141
17. უცხო სახელმწიფოების ელჩების მიღება 143

თავი VIII. ოსმალეთის დასუსტების პირველი ნიშნები
1. 1569 წლის ასტრახანის ლაშქრობა 146
2. კვიპროსის დაპყრობა და ომი "საღმრთო ლიგასთან" 148
3. გლეხთა აჯანყებები XVI საუკუნეში 150

თავი IX. 1578-1590 წწ. ოსმალეთ-ირანის ომი
1. ლალა მუსტაფა ფაშას ლაშქრობა ამიერკავკასიაში 152
3. სინან ფაშას ლაშქრობა 161
4. ირან-ოსმალეთის საზავო მოლაპარაკება 162
5. ოსმალეთის ურთიერთობა უცხოეთის სახელმწიფოებთან, დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება ინგლისთან 163
6. ანტიოსმალური კოალიციის შექმნა ირანის, საქართველოსა და აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ქვეყნების მონაწილეობით 165

7. ფერჰად ფაშასა და ოზდემირ ოღლუს ლაშქრობები 168
8. 1588 წელს სიმონ I-სა და ფერჰად ფაშას შორის დადებული ზავი 171
9. 1590 წლის 21 მარტის სტამბოლის საზავო ხელშეკრულება 174

თავი X. ოსმალეთი XVI საუკუნის მიწურულს
1. შავ და მარმარილოს ზღვებს შორის არხის გაყვანის მცდელობები 175
2. ომი ავსტრიასთან 178
3. თიმარული სისტემის კრიზისი, გლეხთა აჯანყების დაწყება 181

თავი XI. ოსმალეთი XVII საუკუნის პირველ მეოთხედში
1. ჯელალიების აჯანყებები XVII საუკუნის დამდეგს 188
2. 1606 წლის სიტვატოროკის ზავი ავსტრიასთან და ოსმალეთის ურთიერთობა დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებთან 191
3. 1603-1612 წწ. ოსმალეთ-ირანის ომი და 1612 წ. სტამბოლოს ზავი 192
4. 1615-1618 წწ. ოსმალეთ-ირანის ომი და 1619 წ. სტამბოლის ზავი 194
5. ბრძოლა სხვადასხვა პოლიტიკურ დაჯგუფებებს შორის (1617-1623 წწ.) 196

თავი XII. ოსმალეთი მურად IV-ის დროს
1. ოსმალეთი 1623-1632 წლებში 202
2. მურად IV-ის ღონისძიებანი ქვეყანაში წესრიგის დასამყარებლად 204
3. მურად IV-ის ლაშქრობები ერევნისა და ბაღდადის წინააღმდეგ და 1639 წლის ზოჰაბის კასრი-შირინის ზავი 207
4.-ოსმალეთას ურთიერთობა პოლონეთთან და კაზაცებთან 209

თავი XIII. ოსმალეთი XVII საუკუნის 40-80-იან წლებში
1. ოსმალეთის ეკონომიკური მდგომარეობა XVII საუკუნის 40-50-იან წლებში 211
2. ოსმალეთის პოლიტიკური მდგომარეობა XVII საუკუნის 40-50-იან წლებში 212
3. ქოფრულუები — ოსმალეთის დიდი ვეზირები 213
4. ურთიერთობა ევროპის ქვეყნებთან 216

თავი XIV. ოსმალეთის ომი საღმრთო ლიგასთან
1. საომარი ოპერაციები საღმრთო ლიგის სახელმწიფოებთან 219
2. კარლოვიცისა და კონსტანტინოპოლის საზავო ხელშეკრულებები 222

თავი XV. ოსმალეთი XVIII საუკუნის პირველ ნახევარში
1. ოსმალეთი XVIII საუკუნის დამდეგს 224
2. ომი რუსეთთან, პრუტისა და ადრიანოპოლის საზავო ხელშეკრულებები 227
3. ომი ვენეციასთან და ავსტრიასთან, პოჟარევაცის სამშვიდობო საზავო ხელშეკრულებები 232
4. „ტიტას ეპოქა“ 233
5. ოსმალეთი და საერთაშორისო ვითარება ახლო აღმოსავლეთსა და ამიერკავკასიაში 1720-1722 წლებში 237

6. ომის დაწყება ირანის წინააღმდეგ 239
7. 1724 წლის სტამბოლის ოსმალეთ-რუსეთის ხელშეკრულება და 1727 წლის ჰამადანის საზავო ხელშეკრულება ოსმალეთსა და აშრაფს შორის 241
8. პატრონა ჰალილის აჯანყება სტამბოლში 242
9. ირანთან ომის დამთავრება 244
10. ომი რუსეთთან, ავსტრიასთან და ბელგრადის საზავო ხელშეკრულება 246
11. 1740 წელს საფრანგეთთან დადებული „გენერალური კაპიტულაცია“ 248

თავი XVI . ოსმალეთ-თურქეთის ომები XVIII საუკუნის მეორე ნახევარში
1. 1768-1774 წლების ოსმალეთ-რუსეთის ომი 249
2. 1774 წლის ქუჩუქ-კაინარჯის საზავო ხელშეკრულება 252
3. ოსმალეთი 1774-1787 წლებში 254
4. ომი რუსეთთან და ავსტრიასთან 1787-1791 წლებში, სისტოვისა და იასის საზავო ხელშეკრულებები 256

ნაკვეთი მეორე. თურქეთის ახალი ისტორია 1789-1918 წლებში

თავი I. ოსმალეთი XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნაზე
1. სელიმ III-ის რეფორმები 260
2. 1798-1800 წლების საფრანგეთ-ოსმალეთის ომი 265
3. ბალკანეთის ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა 267
4. რეფორმების გატარების ახალი ცდა და მისი მარცხი 269
5. მუსტაფა ფაშა ბაირაღთარი 271
6. 1806-1812 წლების ოსმალეთ-რუსეთის ომი და ბუქარესტის ზავი 274

თავი II. ოსმალეთი XIX საუკუნის 20-იან წლებში
1. ბერძენი ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის 277
2. იენიჩართა კორპუსის განადგურება 278
3. საბერძნეთის აჯანყება და ევროპის სახელმწიფოები 280
4. 1828-1829 წლების რუსეთ-თურქეთის ომი და ადრიანოპოლის ზავი 281

თავი III. ოსმალეთი XIX საუკუნის 30-იან წლებში
1. ოსმალეთ-ეგვიპტის კონფლიქტი 284
2. ოსმალეთ-ეგვიპტის კონფლიქტი და ევროპის სახელმწიფოები 285
3. უნქიარ-ისქესელის ხელშეკრულება 287
4. მაჰმუდ II-ის რეფორმები 287
5. ოსმალეთ-ეგვიპტის მეორე კონფლიქტი 292

თავი IV. თანზიმათის რეფორმები
1. რეფორმების მომზადება 294
2. 1839 წლის გიულჰანეს ჰატი-შერიფი 296
3. რეფორმები ცხოვრების სხვადასხვა სფეროში 297

თავი V. ყირიმის ომი
1. საერთაშორისო ვითარება ომის წინ 303
2. საომარი მოქმედებების დაწყება 304
3. ინგლისის, საფრანგეთისა და სარდინიის ჩაბმა ომში 305
4. პარიზის ტრაქტატი 308

თავი VI. ოსმალეთი ყირიმის ომის შემდეგ
1. 1856 წლის ჰატი ჰუმაიუნი 311
2. თანზიმათის რეფორმების მეორე პერიოდი 313

თავი VII. ოპოზიციური მოძრაობა ოსმალეთში
1. 1859 წლის „კულელის შეთქმულება“ 317
2. „ახალგაზრდა ოსმალთა საზოგადოება“ 318
3. ბრძოლა კონსტიტუციის შემოღებისათვის 321
4. 1876 წლის ოსმალეთის პირველი კონსტიტუცია 324
5. პარლამენტის საქმიანობა და მისი დათხოვნა 325

თავი VIII. 1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომი
1. საომარი მოქმედებები 327
2. სან სტეფანოს ზავი და ბერლინის ტრაქტატი 328

თავი IX. ოსმალეთის გადაქცევა იმპერიალისტური სახელმწიფოების ნახევარკოლონიად
1. ოსმალეთის ეკონომიკური დაკაბალება დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების მიერ 331
2. ქვეყანაში ზულუმის რეჟიმის დამყარება 334

თავი X. ახალგაზრდა თურქთა რევოლუცია
1. „ერთობისა და პროგრესის“ საზოგადოების დაარსება 336
2. ახალგაზრდა თურქთა რევოლუცია 339
3. 1909 წლის კონტრრევოლუციური ამბოხება 343

თავი XI. ოსმალეთი პირველი მსოფლიო ომის წინ
1. ახალგაზრდა თურქები ხელისუფლების სათავეში 346
2. ტრიპოლიტანიისა და ბალკანეთის ომები 347

თავი XII. ოსმალეთი პირველი მსოფლიო ომის დროს
1. ოსმალეთის ჩაბმა მსოფლიო ომში 352
2. ოსმალეთის მონაწილეობა მსოფლიო ომში 354
3. ოსმალეთის ეკონომიკური მდგომარეობა ომის დროს 358
4. ანტანტის სახელმწიფოების საიდუმლო ხელშეკრულებები ოსმალეთის დანაწილების შესახებ 360

5. ბრესტ-ლიტოვსკის კონფერენცია და თურქეთი 361
6. ტრაპიზონისა და ბათუმის კონფერენციები 363
7. ოსმალეთის ჯარების ლაშქრობა აღმოსავლეთ კავკასიაში 366
8. სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის (ყარსის) მთავრობის შექმნა 367

ნაკვეთი მესამე. თურქეთის უახლესი ისტორია 1918-2000 წლებში

თავი I. ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა თურქეთში 1918-1922 წლებში ჯარების მიერ 371
2. ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის დაწყება, არზრუმისა და სივასის კონგრესები 375
3. სტამბოლში მეჯლისის (პარლამენტის) მოწვევა 380
4. ანკარაში თუქეთის დიდი ეროვნული პარლამენტის მოწვევა 382
5. სევრის საზავო ხელშეკრულება 384
6. დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება საბჭოთა რუსეთთან 387
7. ომი სომხეთთან 389
8. დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება საქართველოსა და ანკარის მთავრობებს შორის 390
9. საქართველოს საკითხი მოსკოვის რუსეთ-თურქეთის მოლაპარაკების დროს 396
10. 1921 წლის 16 მარტის მოსკოვის რუსეთ-თურქეთის ხელშეკრულება მეგობრობისა და ძმობის შესახებ 404
11. ყარსისა და ანკარის მეგობრობისა და ძმობის ხელშეკრულებები თურქეთსა და ამიერკავკასიის და უკრაინის რესპუბლიკებთან 405
12. ანატოლიის განთავისუფლება ოკუპანტებისაგან და მუდანიის დროებითი ზავი 407

თავი II. ლოზანის კონფერენცია
1. ლოზანის კონფერენციის გახსნა 410
2. თურქეთის საზღვრების საკითხი 412
3. შავი ზღვის სრუტეების საკითხი 412
4. კაპიტულაციების რეჟიმის გაუქმება 414
5. ფინანსურ-ეკონომიკური საკითხები 414
6. კონფერენციის მუშაობის განახლება და შედეგები 416

თავი III. ქემალისტური რევოლუცია თურქეთში
1. სასულთნოს გაუქმება 418
2. რესპუბლიკის გამოცხადება 421
3. სახალიფოს გაუქმება 425

თავი IV. თურქეთის პირველი რესპუბლიკა 1923-1929 წლებში
1. თურქეთის რესპუბლიკის პირველი კონსტი 427
2. იზმირის ეკონომიკური კონგრესი 428

3. ცვლილებები სოფლად 429
4. პროგრესულ-რესპუბლიკური პარტიის დაარსება და ოპოზიციური ძალების გამოსვლები 430
5. ქემალისტების რეფორმები 432
6. თურქეთის საგარეო პოლიტიკა 438

თავი V. თურქეთი 1929-1938 წლებში
1. თურქეთი 1929-1933 წლების მსოფლიოს ეკონომიკური კრიზისის დროს 431
2. თურქეთის საგარეო პოლიტიკა 446
3. 1936 წლის მონტრეს კონფერენცია შავი ზღვის სრუტეების შესახებ 449
4. თურქეთის საშინაო პოლიტიკა 453
5. თურქეთის საგარეო პოლიტიკა მეორე მსოფლიო ომის წინ 457
6. ალექსანდრეტას სანჯაყის საკითხი და თურქეთის დაახლოება საფრანგეთ-ინგლისთან 458

თავი VI. თურქეთი მეორე მსოფლიო ომის დროს 1939-1945 წლებში
1. მეორე მსოფლიო ომის დაწყება და თურქეთი 1939-1941 წლებში 462
2. ფაშისტური გერმანიის თავდასხმა საბჭოთა კავშირზე და თურქეთი 1941-1945 წლებში 466

თავი VII. თურქეთი 1945-1950 წლებში
1. თურქეთის საშინაო პოლიტიკა, მრავალპარტიული სისტემის შემოღება 471
2. თურქეთის ეკონომიკური მდგომარეობა 475
3. თურქეთის საგარეო პოლიტიკა 477
4. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შავი ზღვის სრუტეების საკითხი 478

თავი VIII. თურქეთი 1950-1960 წლებში
1. დემოკრატიული პარტიის მმართველობა 483
2. საგარეო პოლიტიკა 490
3. შიდაპოლიტიკური ვითარების გამწვავება 493
4. 1960 წლის 27 მაისის სამხედრო გადატრიალება თურქეთში 494

თავი IX. თურქეთის მეორე რესპუბლიკა 1961-1980 წლებში
1. თურქეთი 1960 წლის სამხედრო გადატრიალების შემდეგ 497
2. თურქეთის მეორე რესპუბლიკის კონსტიტუცია 499
3. თურქეთის შიდაპოლიტიკური მდგომარეობა 1961-1970 წლებში 500
4. პოლიტიკური კრიზისის გამწვავება და 1971 წლის 12 მარტის უმაღლესი სამხედრო საბჭოს მემორანდუმი 508
5. თურქეთი 1972-1980 წლებში 511
6. თურქეთის საგარეო პოლიტიკა 1960-1980 წლებში 514

თავი X. თურქეთის მესამე რესპუბლიკა 1980-2000 წლებში
1. 1980 წლის 12 სექტემბრის სამხედრო გადატრიალება 517
2. თურქეთის მესამე რესპუბლიკის კონსტიტუცია 519
3. თურქეთი კონსტიტუციის მიღების შემდეგ 522
4. თურქეთის ეკონომიკური განვითარება 80-90 წლებში 524
5. ისლამური პარტიების გამოსვლა პოლიტიკურ ასპარეზზე და თურქეთი XX საუკუნის დამლევს 528

თავი XI. თურქეთი და ევროკავშირი 540

თავი XII. საქართველო-თურქეთის ურთიერთობა თანამედროვე ეტაპზე 545

თურქეთის ისტორიის ბიბლიოგრაფია 558

Mikheil Svanidze

TURKEY HISTORY (1299-2000)

ARTANUJI Publishers
Tbilisi 2007

საგამომცემლო ჯგუფი

ეთერ ბაიდოშვილი
ეთერ კვანჭიანი
ბუბა კუდავა
ილია ხელაია
ალექსანდრე ჯიქურიძე

გამომცემლობა **არტანუჯი**
თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი 17ბ
25-05-22, 8 (93) 25-05-22
www.artanuji.ge artanuji@artanuji.ge